საშეცნიერო-პედაგოგიური და საფილოლ. ჟურნალი

8(05)
ქ-20

განათლება

ლ. ვ. ბოცვაძის რედაქციით

(წელიწადი მესამე)



1910 წ.

შინაარსი 1910 წლისა

I. სახალხო განათლების საზოგადო კითხვები.

ლ. ბოცვაძე—საუბარი სახალხო სკოლაზე VII—297, VIII—345, X—441.

სანიმუშო პროგრამები ყველა საგნებისა საქართველოს სკოლებისათვის I—22, II—79, III—149, IV—183, V—233, VI—276, VII—330. X—489.

კახაბერი—სახალხო განათლების საქმე საქართველოში—VI—260.

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების სანიმუშო პროგრამა და გაზეთი „ახალი გზა“ VIII—376.

სქესობრივი საკითხი აღზრდაში VII—307.

ი. ნიჟარაძე—მასწავლებლის განათლება და მისი პიროვნება VII—304.

ბესარ. ღამბაშიძე — მასწავლებლის თვით-განვითარება (ანასტასიევიდან) VII—311, კარგი მასწავლებელი (ანასტასიევისა) IX—405.

ე. ფალავა—(მ. კალგინი) მასწავლებელი ხელოვანია თუ ხელოსანი? VIII—351.

ტეხურის-პირელი—ექსკურსიის მნიშვნელობა მოწაფეთა და მასწავლებელთათვის VIII—359.

ლ. ტოლსტოი—დაბადება (ბიბლია) როგორც საუკეთესო წიგნი დასაწყისს სკოლებში საკითხავად VIII—382.

II. პედაგოგია, პსიხოლოგია და მეთოდიკა.

ნ. ლორთქიფანიძე—პედაგოგიის ისტორია ვაიმერისა გერმანულიდან III—171, VI—278, IX—403, X—460, I—19.

სამ. ცომაია—სწავლა-აღზრდის საქმე საქართველოში (X—XIII საუკ.) II—66, III—113, IV—159, V—205.

ალ. ფალავა—ბავშვის ლოღიკა (პრ. ბერნგარდ მიუნცისა) IV—153.

იპ. ვართაგავა—სამშობლოს გაცნობა V—201. ნაგრძნობ-დანაკვირ. X—447.

ლ. ბოცვაძე—ბავშვის პირველი გაკვეთილები (დიმარი) I—6; აღმზრდელობითი მნიშვნელობა საბავშვო წიგნებისა II—57: ბავშვის სიცილი (ვ. რუსაკოვი) III—106; ახალი მიმართულება პედაგოგიაში III—119; უცხო ენის ადრე სწავლება (სიმინოვიჩიდან) IV—165; გეომეტრია სახალხო სკოლებში IV—192; ბუნების შესწავლა სახალხო სკოლებში V—210; ბავშვების სოფლ-მხედველობა (Paola Lambroso) IX—393; სახელმძღვანელო წიგნების საჭიროება სკოლებში IX—421; კლასგარეშე კითხვა X—450.

დ. ო—ძე—ვილიამ ჯემსი. საუბარი ფსიხოლოგიაზე IX—407, X—456.

კახაბერი—ამერიკული მეთოდი ხატვის სწავლებაში VII—333.

ლ. ნ. ტოლსტოი.— რელიგიოზური აღზრდის გამო (წერილი ამერ.) I—27.

უშინსკიდან—დედა-ენა II—83.

ალ. მრევლიშვილი — ხატვა-ხაზვის სწავლება VII—331.

დ ალბანელი—ახალი მიმართულება არითმეტიკის სწავლებაში IV—185.

III. საზოგადო მეცნიერება

ვ. ღამბაშიძე—მეცნიერება და აღზრდა I—46.

ს. ავალიანი—ბუნების მეტყველება და ისტორია. რიკერტის აზრი ისტორიის შესახებ III—125. სოციოლოგია—V—213.

ე. ალშიბაია—ჰაერის ანუ ატმოსფერის ელექტრონი V—216.

კახაბერი—სატკივრის ბიოლოგიური მნიშვნელობა (დ-რ დიკერი) VII—319.

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი

განათლება

(წელიწადი მესამე)

I იანვარი 1910 წ.

შინაარსი: 1. რედაქციისაგან. 2. სხვათა შორის, ვაჟაფშაველასი. 3. **დიპარი**—ბავშვის პირველი კაკვეთილები. 4. გლოვა (ლექსი) აკაკისა. 5. ჩემი პირველი აღლვება (მოთხრობა) **ე. ჩელიგისა.** 6. სულა და დმერთები (სპარსული ლეგენდა) **ბაჩანასი.** 7. პედაგოგიის ისტორია ვეიმერისა (გერმანულიდან) **ნ. ლორთქიფანიძისა.** 8. სასიმუშო პროგრამები საქართველოს სახალხო სკოლებისათვის. 9. **ლ. ტოლსტოი**—რელიგიოზური აღზრდის გამო (წერილი ამერიკელთან). 10. შინაური მიმოხილვა **ფარისა.** 11. ცნობები საუოველთაო სწავლების შესახებ ტფილისის გუბერნიაში. 12. ერობის მოდვაწეობა რუსეთში. 13. სახალხო განათლების მოწეობა და მართვაგამგეობა უცხოეთში. 14. ბავშვების საზოგადოება ამერიკაში. 15. სკოლის გამოცდილებიდან. 16. მეცნიერება და აღზრდა (პირველი წერილი) ექიმი ვ. ღ-ძისა. 17. წერილები დაბა სოფლებიდან. 18. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. 19. სამეცნიერო მიმოხილვა. 20. განცხადებები.

ჟურნალი წლიურად ღირს 3 მან.
ნახევარი წლით . . 2 მან.
სახალხო სკოლების მასწავლებლებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად **ოჩრ მანეთად**

ცალკე ნომრის ფასი 30 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და „ნაკადულის“ რედაქციაში. წერილების და ჟურნალი ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: **Тифлисъ, Дворянская Грузинская Гимназія Л. Г. Боцвадзе**

რედაქციისაგან.

უნუგეშო სურათს წარმოადგენს დღევანდელი ჩვენი ცხოვრება. საზოგადო მოქმედების რომელი დარგიც უნდა აიღოთ, ყველგან მოუმზადებლობა, გულ-გრილობა, ერთმანეთში უთანხმოება, გაუტანლობა და ათასი სხვა სიდუხჭირე იჩენს თავს.

დღეს, როდესაც ცხოვრება თვალწინ გვიყენებს სხვა-და-სხვა საკითხებს, როცა ჩვენი არსებობა გადაგვარების გზაზედ დამდგარა—მტრე-

ბი იერიშით მოგვდგომია და ჩვენი ერის წმიდათა წმიდას უწმინდურად იხსენიებენ, არაფრად გვაგდებენ და უტიფრად დაგვცინიან კიდეც, მოდუნება და სასოწარკვეთილება სიცოცხლის ნიშანს არ წარმოადგენს. პირიქით „როს უჭირდეს, მაშინ მართებს გონებანი გონიერსა“-ო ნათქვამია და ჩვენც, ამ გაჭირების დროს, მეტი სიფხიზლე, უნარი და გამჭრიახობა უნდა გამოვიჩინოთ, რომ ცხოვრების ყველა საკითხს შესაფერისი პასუხი გავცეთ.

ყველაზე უფრო მუდმივ საჭირბოროტო საკითხს ჩვენში ხალხის სწავლა-განათლების საქმე იძლევა, თუ დღეს ჩვენში ხშირად ვხედავთ ჩვენებურს ქარაფშუტა ინტელიგენტებს, რომელთაც არც ცოდნის, არც შრომისა და არც საქვეყნო საქმიანობის უნარი აქვთ, ამის მიზეზი, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი დაქვეითებული ოჯახია და ის ყოვლად უვარგისი სასწავლებლები, საიდამაც არავითარი ცოდნა სამშობლო ქვეყნის მკვიდრთა ყოფა ცხოვრებისა, ერის აწმყოსი და წარსულისა, არ გამოაქვთ. პირიქით ჩვენებურმა საშუალო სკოლის მოწაფეებმა გაცილებით მეტი იციან ეტრუსკებისა პელაზგების შესახებ, გაზეპირებული აქვსთ ძველი რომაელების კანონები, ხასიათი და დაწესებულებანი, მაგრამ არ იციან ის, რაც მათ თვალწინ ხდება და რაც მათ გარშემოა; არ იციან თავისი ერის ზნე, ხასიათი და ჩვეულებანი, აწმყო და წარსული ისტორია თავისი ერისა, სამშობლო ქვეყნისა, რომ დაფიქრდნენ მომავალზე; ამიტომაც ამგვარი ნასწავლები, როცა ცხოვრებაში გამოდიან, მოკლებულნი არიან გონებრივს კავშირს საზოგადოებასთან, მათ წინ ყველაფერი უმეცრების წყვდიადითა მოცული, რაც მათ თვალწინ ხდება, რასაც ხშირად შეეჩეხება, ვერ ხედავს, არ ესმის რა არის. განა ამისთანა პირობებში შესაძლებელია გამოიჩინონ რაიმე მოქალაქობრივი გრძნობა? განა ამისთანა აღზრდის პირობებში შესაძლებელია აღზრდილებმა შეიტანონ საზოგადოებაში თავისი იდეალები, პიროვნებანი და ძალები? რაც არ იცი, ვერც შეიყვარებ, რასაც ვერ იცნობს და არ შეუსწავლია იმ სფერაში ამისთანა კაცი ყოველთვის გამოუსედაგარია. რით აიხსნება თუ არა სკოლის სიდუხჭირით ის გარემოება, რომ ჩვენში ვერც ერთს დაწესებულებაში ვერ იპოვით ერთის გრძნობით და ერთის აზრით გამსჭვალულს მუშაკებს, რომლებიც ერთმანეთთან შეთანხმებით განაგრძობდნენ საერთო მუშაობას, ერთი ალთას არ მიიწევდეს და მეორე ბალთას, რის გამოც ბევრს ჩვენებურს საზოგადო საქმეს წინმსვლელობა და სიცოცხლე არ ეტყობა.

სამწუხარო უფრო ის არის, რომ ზოგს ჩვენებურს ინტელიგენტს ისე აქვს ტვინი გადაბრუნებული, რომ ხალისიც კი დაჰკარგვია თავისთავად მაინც შეისწავლოს თავისი ერის ცხოვრება, დაუკვირდეს რა ხდება მის გარშემო და ხელი შეუწყოს ცხოვრების წალმართად მიმდინარეობას, ნუ გაგიკვირდებათ, რომ ასეთი პირები ცხოვრებაში მეტს ბარგს წარმოადგენენ.

ყველა ჩვენთაგანი კარგად უნდა ხედავდეს და გრძნობდეს იმას, რაც ხდება ჩვენს გარშემო; გულ-გრილად ცქერა, ან წაყრუება და პასუხის მიუცემლობა დღევანდელს ჭირ-ვარამზე დიდს დანაშაულობას შეადგენს. საჭიროა განსაზღვრული პოზიციის დაჭერა და საზოგადო საქმეში საკუთარი წვლილის შეტანა.

დღეს ფრიად დიდი საპასუხო მოვალეობა აწევთ ჩვენებურს სახალხო მასწავლებლებს. ხალხი იღვიძებს... სურს დაამსხვრიოს ბორკილები, თავი დააღწიოს სიბნელეს, სიღატაკეს, და სამართალ მოკლებულს ცხოვრებას. ხალხი მიისწრაფის ახალის ცხოვრებისაკენ. ვის შეუძლია გაუძღვეს ხალხს წინმსვლელობის გზით? ვინ მიაწვდის მას დროს შესაფერისს ცოდნას, ამ ძლევამოსილ იარაღს პოლიტიკური და მოქალაქობრივი უფლებათა მოსაპოებლად და ცხოვრების მოსაწყობად ნამდვილ კულტურულ და უფლებრივს ნიადაგზე? პასუხი ერთად ერთია: სახალხო მასწავლებელს, ხალხის მეგობარს, მისი ჭირ-ვარამის შუა გამყოფს, აი ვის შეუძლია უჩვენოს ხალხს ბედნიერების გზა, მიაწოდოს კაცობრიულ აზრთა საუნჯიდან საუკუნოებით დაგროვებული სიბრძნე, მოჰფინოს ხალხში ჭეშმარიტი სწავლა-განათლება და ადამიანური აზრები. მას წავლებელი, რომელსაც თუნდ მცირე ცოდნაც ჰქონდეს, მაგრამ სწავლის და თვით განვითარების ხალისი არ ჩაჰქრობია, რომელიც თვითონაც მუდმივ სწავლაშია და სხვებსაც ასწავლის, ბევრ რასმე შესძლებს ამ მასწავლებელთან შედარებით, რომელიც ერთს წერტილზე შეჩერებულა და უკან უფრო მიდის, ვიდრე წინ. მასწავლებელთა შეერთებულ-შეკავშირებულის ძალ-ღონით დაირღვევა ის ხელოვნური ზღუდე, რომელიც ჰყოფს დღეს მოწინავე ინტელიგენციას ხალხისაგან. აი სწორედ ამგვარი შეერთებული მოქმედება სახალხო განათლების მოსამსახურე პირთა შეადგენს დღეს აუცილებელს და უსაჭიროესს მოთხოვნილებას, რომლის შესრულებაც პირდაპირ ყველა ჩვენთაგანის მოვალეობაა და ჩვენზედვეა დამოკიდებული.

გადაგვარებულს, ადამიანური სიცოცხლის ნიშან-წყალს მოკლებულს და უკულმართ გზაზე დამდგარ ინტელიგენტთან „განათლების“ რედაქციას საქმე არ აქვს, რადგანაც ამისთანა ინტელიგენტი, თუ კი შეიძლება მას ვუწოდოთ ეს სახელი, როგორც შტო მოწყვეტილი თავისი მშობელი ხიდან, თავისთავად სპობს თავის სიცოცხლეს, ადრე თუ გვიან მაინც დაჭკნება და მთლად ჩამოშორდება ცოცხალ ადამიანთა ბანაკს. ჩვენ ვიწვევთ საერთო მოქმედებისაკენ თანამოაზრეებს, ვისაც თავისი ერის სიცოცხლე თავის სიცოცხლეზე უძვირფასესად მიაჩნია, ვისაც ერის სამსახური თავის მოვალეობად გაუხდია, ვისაც სიცოცხლის ნიშან-წყალი საკმარისად მოეპოვება და დარწმუნებულია, რომ მხოლოდ შეერთებულის ძალით შეგვიძლიან დღეს ბრძოლა ხალხში ჭეშმარიტი სწავლა-განათლების გასავრცელებლად, რაც შეადგენს ჩვენი მრავალ-ტანჯული ერის საუკეთესო მომავალს.

„განათლების“ რედაქციას თავის მოვალეობად მიაჩნია ხელი შეუწყოს სწავლა-განათლების მოწესრიგების საქმეს ჩვენებურს სკოლებში და ოჯახებში, დაეხმაროს რჩევით და ყოველგვარ ღონისძიებით სწავლა-განათლების მოღვაწეთა საერთო მოქმედებას.

რომ ჟურნალი ყველასათვის ხელმისაწვდენი ყოფილიყო და რედაქციისათვინაც არა იმდენად საზარალო, როგორც წინა წლებში, გადავწყვიტეთ ჟურნალის სიდიდე და ფასიც შეგვემცირებინა. რედაქცია თავის მხრით ეცდება, ჯერ-ჯერობით, გამოსცეს ამავე სიდიდის ჟურნალი ყოველთვის პირველ რიცხვებში იმავე პროგრამით, როგორც წინა-წლებში გამოდიოდა, შემდეგ კი, სახსარის მოპოვების კვალობაზე, შეეცდება მკითხველებს უფრო მეტი მასალა მიაწოდოს და ჟურნალიც გააფართოვოს, რაც დამოკიდებულია საზოგადოების თანაგრძნობაზედაც.

სხვათა შორის

ჩვენი ცხოვრება სწორედ რომ სხვათა შორისოა: რასაც ვფიქრობთ და ვაკეთებთ გამოდის რომ სხვათა შორის გვიფიქრია და გვიკეთებია. საწყენი ის არი, რომ უმთავრესს, უსაჭიროეს საქმესაც სხვათა შორის ვაკეთებთ. ვმწერლობთ, ვპედაგოგობთ თუ ვქველ-მოქმედობთ გამოდის სულ სხვათაშორისებურად.

ვერაფერი დროება გახლავთ: ადამიანს მამის სული გაუშვია და პაპისას ფიცულობს. ალბათ წინად, ძველ დროშიაც, მომხდარა ამისთანა მაგალითები, თორემ ამისთანა ანდაზა არ დაიბადებოდა. დიაღ, ყოფილა ამისთანა მაგალითები, მაგრამ ქვეყანა არ წარღვნილა, არც დაღუპულა. ამიტომ მეც იმედს არა ვკარგავ.

მომხდარა ისიც, რომ ბედაურები დახოცილან და ვირებს დაჰრჩენიათ ბურთი და მოედანი, მაგრამ ქვეყანა ისევ ქვეყანად დარჩენილა, გამოჩენილა კიდევ ბედაურები და ვირებისთვის დაუცლეინებიათ მოედანი. მომხდარა ისიც, რომ ბედაური აზრები დახოცილა ისე, როგორც გაზაფხულზე ყვავილები და ბალახი იხოცება და ვირულ აზრებს უფარფაშიათ, მაგრამ დამდგარა გაზაფხული და ბედაური აზრები ამდგარან მკვდრეთით.

მომხდარა ისიც, რომ ძაღლს პატრონი ველარ უცნია და პატრონს ძაღლი, მაგრამ ბოლოს უცნიათ ერთმანერთი მაინც და მაინც.

მომხდარა ისიც, მაჩაბლის ცუღლუტობის გამო ურია დაუსჯიათ, მაგრამ, ჰხედავთ, დღეს ვიცით ცხადად, ნათლად დასასჯელი ვინ იყო, და ვინ დასაჯეს. სიმართლე გამოაშკარავდა, არ დაიმალა: ვიცით დღეს ცხადად, აშკარად რომ ტყუილ-უბრალოდ დაისაჯა საწყალი ურია და გვებრალება, ხოლო მაჩაბელზე ბრაზი მოგვდის.

ერი, უმრავლესობა რასაც დაადასტურებს უცვალებელია. ტყუილად ხომ არ არის ნათვამი: ხმა ღვთისა—ხმა ერისაო.

—

სხვათა შორის ჩვენს ცხოვრებაში ასეთი მაგალითებიც მომხდარა რომ სულელს (იქნება ძალიან გულ-კეთილი იყო) მამას თუ დედას დამშეული შვილებისთვის აუ-

რთმევია ტაბლა და სხვისთვის გადაუცია: თქვენ მიირთვითო!.. ამაზე მეტი კაცთმოყვარეობა იქნება-ღა? რადა სწყინს ერს, ხალხს და რად იძახის დაჟინებით: შინ რომ ბალღებს გიშიოდეს გარეთ ტაბლას რა ხელი აქვსო?!.—ალბათ ამისთანა კაცთმოყვარეობა არ მიაჩნია ნამდვილ კაცთმოყვარეობად და იმიტომ სთვლის არა ბუნებრივ, არა ნორმალურ მოვლენად,— ეს თქვენ და თვით ერმა განსაჯეთ, მე არ შევდივარ ამის განსჯაში; მე მხოლოდ აღვნიშნავ იმას, რაც მომხდარა და რაც დღესა ხდება.

რად გიკვირსთ, მაშასადამე, რომ ჩვენში არიან ისეთები, რომელთაც თავის თავი წარმოუდგენიათ ქვეყნის ლალად, პატრონად, არა პირადი თავის ნაღვაწი, არამედ ერის საუნჯე-ტერრიტორია გახადონ საძმო, საკაცობრიო ტაბლად და თვით ერსაც ააღებინონ ხელი ეროვნებაზე? გაივლის ყველა ეს, დაჰლევს ჩაილურის წყალს, მხოლოდ ეს არის სავალალო, რომ ნამუს-ახდილ ბებრის სახლის კარებს გვიან გაეგდება ურდული.

დღეს თუ მწარედ იცინიან ჩვენზე ევროპიელნი და ნამეტნავად პოლონელები რომელნიც იძახიან თურმე: „საწყალი ქართველები! მაგათი მამები ჩრდილოელთ მემებმა ჩინ-მენდლებით მოატყუეს და ეხლა იმათი შვილები ქართვლის შვილებს— ძმობა-ერთობის სახელითო“, ხვალ ველარ გაიცინებენ!.. ჩვენც ერთხელაც იქნება გონზე მოვალთ. უნდა ითქვას ესეც, სხვათა შორის, თუ არა? ვგონებ რომ ამის თქმა არაფერს დააშავებს.

ერთ დროს ესევე ერი ჩვენს დღევანდელს პოლიტიკურ აბდა-უბდობას ერთ რომელიმე ანდაზაში ჩამოაყალიბებს, რომელიც იქნება ზემორე აღნიშნულ ანდაზას ჰგავდეს: „შინ რო ბალღებს გიშიოდეს, გარეთ ტაბლას რა ხელი აქვსო?!“

—

მაშ რევოლიუციის ქარიშხალმა სრულიად უნაყოფოდ ჩაიარა ჩვენთვის? არა. იმან ერთი დიდი სიკეთე მოგვიტანა: გამოამჟღავნა ჩვენი გონებრივი სიღატაკე, მოუმზადებლობა, ხალხის სიბნელე და დაჰბადა მისწრაფება კულტურულ მუშაობისა; დაგვახედებინა წინ, დაგვანახვა ჩვენი გონებრივი და ზნეობრივი ძალ-ღონე. დღეს ყოველი შეგნებული ქართველი მიისწრაფის ერში—ხალხში მეტი თვითცნობიერება, მეტი სინათლე შეიტანოს, ამისთვის არ ჰზოგავს დაეხმაროს ჯანღონით თუ ნივთიერად. ძალა მუდამ უმრავლესობაშია, მაგრამ ეს ძალა თუ შეუგნებელია, ბრმა, უფრო მავნებელია საქმისთვის, ვიდრე მარგებელი. ეს მაგალითებმა დაგვიმტკიცეს.

განუვითარებელი, გაუზდელი ხალხი, როგორიც უნდა დემოკრატიული მმართველობა დაარსდეს, მაინც მმართველთა სათამაშო ბურთი და სათლელი დუმა იქნება. საიმედო პოლიტიკური მოქმედებისათვის მხოლოდ მომზადებული, თვალახილებული ხალხია... ასეა სწორედ, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ხალხის გათვითცნობიერობას მხოლოდ დღესღა შეუდეგით... დიქტატორებს და დემაგოგებს სწყინთ და უნდა კიდევაც ეწყინოთ, რადგან იმათ ბრმად აღარავინ დაემორჩილება და იმათ მეუფებას აღარავინ აღიარებს, მაგრამ იმათ წყენასაც უნდა გაუძლოთ იმ დრომდე, ვიდრე თავის გუდა-ნაბდით ჩვენს ბანაკში არ გადმოსახლდებიან. ვითომ? ჰკითხულობთ თქვენ. მე ასე მგონია, როგორც სხვათა შორის ავტორს და რა ვიცი. მგონია და საბუთიცა მაქვს ასე მეგონოს, რადგანაც მეტის-მეტი ბრიყვი უნდა იყოს ადამიანი, რომ ერთს ფონში ორჯელ და სამჯერ ცხენი დაეფლას, სამჯერვე სხვის წყალობით გადაჰრჩეს და მე-

ოთხედაც კიდევ მიჩერჩეტდეს იმ ფონში
გასასვლელად. ამისთანა ადამიანი გინდ
იქით იყოს, გინდ აქეთ, არავისთვის სა-
ხარბიელო არ არი..,

ვისც პარტიულ ღრამატიკის
დოღმატიკა სრულად სჯერა,
ვერ აღუგზნებს სანანულსა
ჩემი სიტყვა და სიმღერა;
ქვის-თავიან, შხამიანი
შეითვისებს კარგს აზრს ვერა,
ეს ჩემი მცირე წერილი
იმისთვის არც დაიწერა.

ვაჟა-ფშაველა.

1906 წ.

მ. დ ი მ ა რ ი.

ბავშვის პირველი გაკვეთილები.

ერთს მთავარ საკითხს ბავშვის აღზრდაში შეადგენს ის, თუ როდის უნდა დააწყებინონ ბავშვს სწავლა, საიდან და როგორ უნდა დაიწყონ სწავლება. ეს საკითხი იმდენად საყურადღებოა, რომ ხშირათ პირველ რიგიან გაკვეთილზეა დამოკიდებული საზოგადოთ სწავლაში წარმატება, ბავშვის გონების განვითარება და ხანდახან თითქმის მთელს სიცოცხლეში მისი ბედნიერებაც.

სახელდობრ ამ პირველი გაკვეთილის შესახებ უფრო მეტს ცოდვას სჩადიან მშობლები. ამ გაკვეთილებს, თუმცა გასაკვირველია, მაგრამ ხშირად მშობლები ანდობენ უმეცარ ძიძებს, გამდელებს და არ აქცევენ მას არავითარ ყურადღებას.

რაც შეეხება სწავლის დაწყების დროს, ამის შესახებ პედაგოგები და ექიმები სხვა და სხვა აზრისანი არიან. ზოგი ამბობს, რომ შეუძლებელია დანამდვილებით განსაზღვრა რომელისამე საზოგადო ნორმისა, საჭიროა სწავლების დრო შეუფარდონ ბავშვის გონებისა და სხეულის განვითარებას, მისს ჯანსაღობას, მიდრეკილებას და სხ. სხვები კი პირდაპირ ამტკიცებენ—რაკი ბავშვი შვიდი წლისა გახდება, შეიძლება სწავლა დააწყებინოთ, ამ დრომდის კი ბავშვს სრული თავისუფლება უნდა მიენიჭოს და შვიდ წლამდის ასაკი-თამაშობის ასაკიაო. ამავე დროს ძლიერ გავრცელებულია ასეთი აზრიც, რომ ბავშვების სწავლებას უნდა შეუდგნენ იმ დღიდან, როცა ის ენას ამოიდგამს. ადრე სწავლების მომხრენი უთითებენ დიდებული კაცების მაგალითებს, რომელთაც წერა-კითხვა მეექვსე და მეხუთე წელს შეუსწავლიათ. ადრე სწავლების უფლებით მოსილ მტრებს კი პედაგოგიურისა და ჰიგიენიურის საზრისით ასეთი ადრე სწავლება დანაშაულობათ მიაჩნიათ.

მაგრამ, გვგონია, რომ ყველაზე უფრო სწორი აზრი, ბავშვის სწავლების დაწყების დროს შესახებ, წარმოსთქვა პესტალოცციმ, რომელსაც **ბავშვის ქვეყანაზედ გაჩენის საათი პირველ სწავლების საათად** მიაჩნია, რადგანაც იმ წუთიდან, როცა ბავშვის გრძნობები იწყებენ შთაბეჭდილებათა მიღებას—ბუნება ასწავლის მას და დედის მოვალეობაა ხელი შეუწყოს ბუნებას, ეცადოს შეუმსუბუქოს ბავშვს მისი ბუნებრივი მისწრაფება განვითარებისადმი.

რასაკვირველია, ბავშვის პირველი გაკვეთილი წერა-კითხვის სწავლებას კი არ უნდა შეადგენდეს, არც მეტყველების განვითარებას, როგორც შეცდომით ჰგონიათ ზოგს მშობლებს, არამედ—**დაკვირვებას**.

ყველაფერი, რასაც ადამიანი სწავლობს თავდაპირველად—ეს არის ცნებები გარეგან ქვეყნიერებაზე, რასაც შეიძენს თვალითა და ყურით. თავდაპირველად საჭიროა ხედვისა და სმენის განვითარება, რომ იმათი ურთიერთ შორის დახმარებით, ბავშვმა მიიღოს ცნებები მის გარშემო არსებული საგნებისა, მათი ნამდვილ არსებობისა, მოქმედებისა და თვისებათა შესახებ.

რაკი ბავშვი იმდენად განვითარდება ფიზიკურად, რომ შეეძლება მოსმენა და დანახვა, დედა იმისი პირველი მასწავლებელია, მან უნდა მიიზიდოს ბავშვის მხედველობა და სმენა; თავდაპირველად სმენა, რადგანაც ის უფრო აფხიზლებს სულიერ სიცოცხლეს, ვიდრე მარტო მხედველობა. პირველი ექვსი თვის შემდეგ საღი ბავშვი უკვე მოითხოვს გართობას; როგორ მოხერხდება ეს თუ არ ელაპარაკეთ, არ უმღერეთ. დედის ლაპარაკს უკეთ მიხვდება მისი საყვარელი ბავშვი, მიტომ, რომ ის სახეზე ატყობს თუ რა უნდა უთხრას დედამ, რომლის ხმის კილო სასიამოვნოთ ხვდება ბავშვის სულსა და გულს. აქვე იწყება გადასვლა დაკვირვებითი გაკვეთილებიდან ცოცხალი სიტყვების პირველ გაკვეთილზე. რა უნდა უთხრას დედამ ბავშვს ისეთი, რომ მას შეეძლოს გამეორება? თითქმის ყველა დედები თავდაპირველად მახლობელ ნათესავების სახელებს ასწავლიან: **დედა**, **მამა**. ამ სიტყვებს ადვილად გამოთქვამს ბავშვი, უფრო მეორეს, რადგანაც იწყება ბაგის მიერი თანხმოვანით და მარცვალიც იმეორება. ასეთს ადვილ გამოსათქმელ სიტყვებს ეკუთვნიან აგრეთვე შინაური ცხოველების სახელებიც, რაც ბავშვის გბრშემოა. ბავშვი ადვილათ ეჩვევა ცნობილი ცხოველების ხმის მიბაძვას—კატას ეძახის—**მიაუ**, ძაღლს—**ავ! ავ!**, ძროხას—**მუ** და სხ. ძალა არ უნდა დაატანონ ბავშვს ასეთის თუნდ მარტივი ხმების წარმოთქმაში, ვიდრე მისი ენის ორგანო ისეთს ძალას არ შეიძენს, რომ ადვილათ წარმოსთქვას ხმოვანი ასოები და მასთან შეერთებული თანხმოვანები (რაც წინა კბილების ამოსვლის ადრე არ იქნება).

მეორე წლის განმავლობაში, როცა ბავშვი სიარულს დაიწყებს, იმის ჯერ კიდევ ერთმარცვლოვან ენაზე გადააქვთ საჭმელების, ტანსაცმლის და ცხოვრების უსაჭიროეს მოთხოვნილებათა სახელები, მაგალითად—რძე—წყალი—პური—კვერცხი—ხორცი—ასე ასწავლიან მუნჯურ ლაპარაკსაც, რაც მისთვის უადვილესია: როცა ჭამა უნდა, ბუფეტს მიუთითებენ, როცა სმა—ჭიქას, როცა ძილი უნდა—თვალებს დახუჭავენ, როცა გასეირნება—უჩვენებენ ხელით ფანჯარას. მაგრამ ეს პირველი გაკვეთილი დიდ ხანს გრძელდება, ყოველ დღე ცოტ-ცოტა, რომ მან უკეთ შეითვისოს ახალი.

ასეთია გამოცდილი დედებისა და აღმზრდელთა უმეტესობის აზრი, მაგრამ პედაგოგიურს წრეებში არიან მომხრენი იმ შეხედულობისა, რომ არ არის საჭირო შექმნან განსაკუთრებული „ბავშვის ენა“, გაამხნევონ ბავშვის ტიტინი. პირიქით საჭიროაო ამტკიცებენ ამ აზრის მომხრენი, რომ ბავშვის ცხოვრების პირველ თვიდანვე ელაპარაკონ მას **ნამდვილი სიტყვებით, ნამდვილის** ენით—ბავშვი ისე-

დაც გაიგებს რასაც ელაპარაკებიან. იქაც თურმე საჭიროა მიაქციონ ყურადღება, რომ ბავშვს ესმოდეს ნამდვილი, გარკვეული, ლამაზი ენა. „როგორც ბავშვი აცქერდება სურათებს, ნახატებს, პორტრეტებს, ქანდაკებას, როგორც პირველ წლიდანვე ყურს უგდებს დედის ნანას, — სწერს ცნობილი პედაგოგი ოსტროგორსკი,—აგრეთვე ის ყურს უგდებს უფროსების სიტყვებს და იმათგან თვითონაც სწავლობს ლაპარაკს. აკვნიდანვე უნდა ესმოდეს ბავშვს დედისაგან, გამდელისაგან და ყველასაგან მკაფიო და კანონიერი სიტყვები, სწორი გამოთქმით, წმინდა ხალხური სიტყვები, არა ტლანქი გამოთქმით, საზოგადოთ ბავშვს უნდა ესმოდეს განათლებული კაცის ენა და მხოლოდ ის ამ ენაზე შეიმუშავებს საკუთარს ენას და გამოთქმასაც.“

ჩვენის აზრით კი დედა-ენის ნამდვილი გაკვეთილები შეიძლება მესამე წლიდან, მხოლოდ საჭიროა აქედანვე უნდა ეცადნენ რომ ბავშვის თავისებური ტიტინი შეიცვალოს ნამდვილ ენად.

ყველა ხმით მიმბაძველობითი სახელები, რომლითაც ბავშვი სამ წლამდი აღნიშნავს საგანს, უნდა შეიცვალოს ნამდვილი სახელებით. ამ სახით **მიაუ** — შეიქნება „კატად,“ ავ—„ძაღლად“ და სხვ. ამ დროს მეხსიერებაც ისე გაძლიერდება, რომ შეიძლება სახლის, ბაღის, ეზოის და მინდვრის საგნების სახელების შესწავლა, უმჯობესია ადამიანიდან დაიწყონ, მისი სხეულის ნაწილებიდან, რომ ბავშვმა გაარჩიოს ისინი. ბავშვს უჩვენებენ მისი სხეულის რომელსამე ნაწილს და წარმოსთქვამენ იმის სახელს ხმა მაღლა და მკაფიოდ, რომ ბავშვმა გაიგონოს ყველა ხმები. ამით დააჩვევენ ბავშვს სიტყვების სწორად გამოთქმას, რაც შემდეგში გაუადვილებს მას სკოლაში კითხვისა და წერის გაკვეთილებს.

პირველად უჩვენებენ თავს, რომელზედაც თან-და-თან დაუსახელებენ თვალს, ყურს, ცხვირს, პირს და ნიკაპს; პირში უჩვენებენ ენას, კბილებს, სასას. შემდეგ ბავშვის ყურადღებას მიაპყრობენ რომელიმე ორგანოს მოქმედებას, ამასთანავე ეუბნებიან; თვალებით ვხედავთ, ყურებით ვისმენთ, ცხვირით ვყნოსავთ (ამავე დროს აძლევენ სასუნებლად სუნიან ყვავილს), პირით ვლაპარაკობთ, ვჭამთ და ვიცინით. ეს ერთი დღის გაკვეთილია. დედა ეკითხება თავის პატარა შეგირდს,. ეძახის მას სახელს (რადგანაც მან არ იცის და არც გაეგება, რა არის **შენ**) სად არის ვანოს თავი? (თუ ეს სახელი ჰქვიან) თვალები? პირი? ყურები? რით ისმენს ვანო? ხედავს? სჭამს? ლაპარაკობს? რას შვრება ვანოს ყური? ვანოს თვალები? ცხვირი? მეორე დღეს გაიმეორებენ, რომ დარწმუნდნენ გაკვეთილი არ დაუვიწყნია და არ აურევია. თუ ეს გაკვეთილი კარგად აქვს შეთვისებული, მეორე დღეს განაგრძობენ ასევე ხელის დასახელებას თითებით, ფეხის, ზურგის, მკერდის. პატარა ბავშვისთვის ყველაზე უფრო სახალისოა ხელ-ფეხის სხვა-და-სხვა რიგად ხმარება.

გაუშლიან პაწაწა ხელებს, უჩვენებენ სიგრძე სიგანეს, თუ ის ამ მწყობრ მოძრაობაში კმაყოფილებასა ჰპოულობს. ასე იქცევიან ფეხებითაც: ჯერ თვითონ აღმზრდელი და შემდეგ ვანო, ხან დახტიან, ხან დადიან, ხან დარბიან, ნელა და ჩქარა. ეს მხიარული მოძრაობა ისე შეაქცევს ბავშვს, რომ შემდეგ თვითონ მოითხოვს მას და სხვა-და-სხვა გვარი მოძრაობით იკლავს თვისი მოქმედების წყურვილს.

თავის სხეულზე ენით ვარჯიშობის შემ-

დეგ გადადიან შინაურ ცხოველებზე. ბავშვს გააშინჯვინებენ მათ, დაუსახელებენ სხეულის ნაწილებს, სიდიდეს, ფერს და სხვა თვისებებს. მიიყვანენ ბავშვს ცხოველებთან, ხელს მოაკიდებინებენ, ხელს გადაასმევინებენ, რომ არ ეშინოდეს მისი. მალე ეს ცხოველები თამაშობაში ბავშვს მეგობრად გაუხდებიან, ბავშვს შეუძლიან მიეალერსოს, ასვას, აჭამოს და თან იყოლიოს, წაიყვან-წამოიყვანოს სადაც უნდა; აქედან ბავშვი შეიძენს ცოდნასაც ცხოველების სარგებლობის შესახებ და დაეჩვევა ბუნების დაკვირვებასაც.

მეოთხე წლიდან შეიძლება შეასწავლონ პაწაწა ლექსებიც მეხსიერებისა და გონების სავარჯიშოდ. ამ წლოვანებისათვის შესაფერისი ლექსის არჩევა ადვილი არ არის. ერთის მხრით უნდა ეცადნენ, რომ ლექსი ლიტერატურული იყოს და შინაარსით ბავშვისთვის გასაგები, მეორეს მხრით, არ უნდა იყვეს მოსაწყენი. „უკითხეთ და ელაპარაკეთ ბავშვს მხოლოდ ის, რაც ძას გაეკება, რაც მისაწვდენია მისი გონებისთვის,—სწერს ვლ. დალი, სხვანაირად თქვენ შექმნით მის თავში არეულობას და მიაჩვევთ ბავშვს ილაპარაკოს ყოველგვარი სისულელე, რომლის მნიშვნელობას ისევე ვერ გაიგებს, რა გორც იმ ღრმა აზრების მნიშვნელობას, რომლითაც გსურთ დარიგება მისცეთ.“ შესაძლებელია, რაკი ბავშვს დიდი მეხსიერება აქვს, ძლიერ მალე დაიხსოვნოს მან ლექსები, რომლის აზრიც მისთვის გაუგებარია,—მაგრამ განა აქედან გამოვა რამე სარგებლობა ბავშვის აზრიანი სიტყვა-პასუხის გასავითარებლად? მართალია ზოგ პედაგოგს, როგორც მაგალ. ვ. ოსტროგორსკის, ჰგონია, რომ ბავშვები, როცა სწავლობენ მათთვის გაუგებარს ლექსებს, მაინც ეჩვევიან რითმას, ცეზურას, ენის მოქცევის სილამაზეს, სახეს და „შეუმჩნევლად, პატარაობიდანვე იმდიდრებენ საკუთარს სიტყვას და ივითარებენ გემოვნებას და სიყვარულს პოეზიისადმი.“ მაგრამ ეს საეჭვოა. ერთი უმთავრესი პირობა სიტყვის წესიერად განვითარებისათვის არის სრული შეგნება სიტყვისა, თავი პირობა ლექსების სწორად წარმოთქმისათვის არის—სრული შეგნება ლექსების აზრისა. როცა პატარა ბავშვებს ასწავლიან მათთვის გაუგებარს ლექსებს, ამით პედაგოგიურ ბარბაროსობას სჩადიან. ამაზე მიუთითა ჯერ კიდევ ბელინსკიმაც. „პოეზიაშიო—ამბობს შესანიშნავი კრიტიკოსი,—ბავშვები უნდა ხედავდნენ თავიანთი სულის შინაგანი ბუნების სახეს, სხვა ნაირად ისინი გატაცებული შეიქმნებიან მათ წლოვანობაში საზიზღარი ყბედობით, ან თავისებურად ახსნიან მათთვის მიუწდომელ გრძნობებს და გარდაქმნიან მას თავისთვის არა ბუნებრივ და ცრუ შთაბეჭდილებათ..“

როცა დედებს ურჩევენ აკითხონ ბავშვებს და ასწავლონ ზეპირად თუნდაც კლასიკური, მაგრამ გაუგებარი ლექსები, ამით პედაგოგები დიდს შეცდომას სჩადიან. ძნელია წარმოსადგენადაც, რომ ასეთმა ლექსებმა შეაჩვიოს ბავშვის ყური დედა-ენის ჰარმონიას, აღავსოს ბავშვის გული მშვენიერების გრძნობით,—ბავშვმა, როგორც მოზრდილმა, რომ შეიგნოს სიმშვენიერე, უნდა იცოდეს, ან ინსტიკტიურად მაინც გრძნობდეს რაშია ეს სიმშვენიერე. ბავშვი, რომელიც ყურს უგდებს მისთვის გაუგებარს სიტყვებს და იმეორებს იმათ, ასე ვსთქვათ, ავტომატიურად, ვერ შეიგნებს და ვერ იგრძნობს მათ. ამიტომ სრულიად სულ ერთი არ არის, რა ლექსები უნდა იკითხოს ბავშვმა და რა უნდა ისწავლოს ზეპირად.

იმისგან, რომ ბავშვი დაიხსოვნებს ამა თუ იმ ლამაზ სიტყვას, მხატვრულ გამოთქმას, მცირე სარგებლობაა, მცირეა შეგნებული სიტყვის განვითარებისათვის მაინც. ლექსების სარგებლობა ბავშვებისათვის ყოველს ეჭვს გარეშეა. მაგრამ, ვიმეორებთ, ლექსები უნდა აარჩიონ არა მარტო ლამაზი, მხატვრული, არამედ ისეთები, რომელიც სრულიად შეეფერება ბავშვის შეგნებას წლოვანების მიხედვით.

მხოლოდ ამ პირობის დაცვით შეიძლება აღიარებული იქმნას ლექსების სარგებლობა სიტყვის კანონიერად განვითარებისათვის.

აზრიანი სიტყვის განვითარებასთან ერთად ბავშვებს თვლასაც ასწავლიან. ბავშვის საკუთარი თითები დიდს დახმარებას გაუწევენ დედას ამ საქმეში. ჯერ ბავშვი თვლის თითებს ერთს ხელზე, ცერიდან ნეკამდის და პირაქეთ, შემდეგ გადადის მეორე ხელზე. რიცხვებს 1—10 აერთებენ და აკლებენ სხვა-და-სხვა მაგალითებზე. ერთის თვის შემდეგ გადადიან შემდეგს საფეხურზე 10—20-მდის. შეკრებისათვის ხმარობენ ჯერ მხედველობას; დაათვლევინებენ ბავშვს ჩარჩოებს ორს ფანჯარაში.

„ბავშვთან მოპყრობა უნდა ეთანხმებოდეს მის პიროვნებას, ხასიათსა და ნიჭს.“ ეს ძველი და ყველას მიერ ცნობილი კანონია, რომლის შესახებ სოლომონ ბრძენიც კი ამბობს (იგავი სოლომონისა, თავი 22, სტ. 6). მშობლებსა და აღმზრდელებს ეს ყოველთვის სახეში უნდა ჰქონდესთ, თუ უნდათ, რომ ბავშვის სულში ყველაფერი სრულს ჰარმონიაში მოიყვანონ. რომ სწორად ჰსჯიდნენ ბავშვის აზრის მსვლელობაზე, მის ჩვეულებების დასაქციელის შესახებ, მშობლები უნდა იდგნენ ბავშვის შეხედულობის გზაზე. იმათ არასოდეს არ უნდა დაივიწყონ, რომ მიუხედავად კაცთა საზოგადო დამოკიდებულებისა, მისწრაფებათა და მიდრეკილებათა, თითოეულის ბავშვისაგან გამომუშავდება. განსაკუთრებული ინდივიდუუმი, საკუთარის განსაკუთრებული ტემპერამენტით, ჭკუით და ხასიათით. ხშირად ამაზეა დამყარებული მოწაფის უპირატესობა და ზიზღი და, თუ ამით ვიხელმძღვანელებთ, შეიძლება მისი სწორ გზაზე წაყვანა. ასე, მაგალითად, შეიძლება ბავშვების გარჩევა არა მარტო ასაკითა და სქესით, არამედ, ასე თუ ისე უფრო ადვილი გზითაც—უნდა ვიცოდეთ რა ბუნებასთან გვაქვს საქმე: მშიშარასთან და გულადთან, ადვილ თუ ძნელ გასაღიზიანებელთან, ენერგიულთან თუ ფლეგმატიკოსთან. მშიშარა ბუნებიანები უნდა გამაგრდნენ და გამხნევდნენ, გულადებს უნდა უჩვენონ თუ რა სიძნელე და საშიშრობა შეიძლება მოელოდესთ, ვინც ადვილად გაღიზიანდება, უნდა დაიფარონ აღელვებისაგან, სამხიარულო იქნება იგი, თუ სამწუხარო. მშვიდ ბავშვებთან უნდა გეჭიროს თავი, შეძლებისა და გვარად, მისაწდომლად. სუსტი ხასიათის ბავშვები უნდა შეიკავონ სანტიმენტალობიდან. ფლეგმატიკოსებს არა თუ უნდა განულვიძოთ ენერგია, არამედ მაგრად უნდა ჩასჭიდოთ ხელი. ნაზსა და გრძნოებიერ სულს ბავშვისას, რომელიც მწუხარებისა და საჭიროების დროს, ხშირად სტირის, ადვილად მიაყენებ შეურაცხყოფას უმიზეზოდაც. ენერგიული ხასიათი, რომელიც ჩქარა და თამამად ჰკიდებს სამუშაოს ხელს, ხშირად, აღმზრდელის უვიცი მოპყრობით, გახდება მრისხანე და თავნება; ფლეგმატიკოსი, რომელიც ზლაზნით და უხალისოდ ჰკიდებს საქმეს ხელს, საჭიროებს ცოცხალ გამხნევებას.

პატარა, სუსტსა და გამოუცდელ ბავშვებს უნდა მოეპყრან განსაკუთრებული სიყვარულით და პატიებით. ყველა მათი ნაკლულევანება, სისუსტე, შეცდომა და უხიაკობა, თუ ისინი არა გაუგონრობისა და ჯიუტობის გამო წარმოსდგებიან, არ შეიძლება ჩაითვალოს ისეთ დანაშაულობად, რომელიც სასჯელის ღირსია.

ქალები, ნერვების სისუსტის გამო, უფრო შთაბეჭდილების მიმღებნი არიან, ადვილად აღიზიანდებიან, ღელავენ, ჩქარა ასრულებენ ყველა გეგმას; მათ ხშირად ეშინიათ მოჩვენებული დაბრკოლებების, გახარება ადვილია, მაგრამ არც სიმწუხარის მიყენებაა ძნელი. ეს ხშირი ცვლა სულიერი მდგომარეობისა, რომელიც ხშირად ჟინიანობად და უხიაკობად მიაჩნიათ, მოითხოვს მოპყრობაში და საქციელის გაკიცხვაში მტკიცეს, მაგრამ შეწყალების კილოს. ყველა ამ ინდივიდუალური სხვადა-სხვაობის სახეში მიღების შემდეგ შეიძლება დავაფასოთ ან გავკიცხოთ ბავშვების ნაკლულევანება და სათნოება.

ფრიად საჭიროა ბავშვი პატარაობიდანვე მიეჩვიოს კითხვებზე ცხადი, მოკლე, მკაფიო და გასაგები პასუხის შიცემას. ასეთი პასუხები ხელს შეუწყობენ ბავშვის სწორს ენა-წყლიანობას. ბავშვებს ვერ მოვთხოვთ, რომ თითოეული მათგანის პასუხი ვრცელი და დაწვრილებითი იყოს. ლაპარაკის ნიჭი ყოველთვის არ შეეთანხმება აზროვნებას. ბევრს მაღალ ნიჭიერ ადამიანს არ შეუძლია სწრაფად სინამდვილით და ცხადათ ლაპარაკი, იმავე დროს ყბედები სრულიად თავისუფლად და ადვილად ლაპარაკობენ, მაგრამ იმათი აზრი უზომოდ უსაფუძვლოა. თუმცა ბავშვების შედარება, მათი განვითარების მიხედვით, ღრმად მოაზრეებთან არც-კი შეიძლება, მაგრამ მათ შორის მაინც არსებობს განსხვავება; ბევრ ბავშვს გაუძნელდება სწრაფი და სწორი პასუხი, რომელიც დამოკიდებულია არა მეხსიერებისაგან, არამედ ჭკუა-გონებისაგან. ღრმად მოაზრეები ჩქარ პასუხს ვერ იძლევიან, მაგრამ მათი დინჯი პასუხი მარჯვეა. მორცხვი და თავმოყვარენი—მკრთალი და მშიშარებია, ფანტაზიორები ხშირად სრულიად თავნებები არიან, მაგრამ ზოგჯერ მორცხვებიც. ღრმად მოაზრე ბავშვს შესაფერისი დრო უნდა მიეცეს მოიფიქროს და დაწვრილებით გამოთქვას თავისი პასუხი. მორცხვს წახალისება სჭირია და დახმარება აზრის გამოთქმაში, თუ აზრი მას სწორედ შეუგნია; ბავშვს, რომელსაც უყვარს ვრცლად ლაპარაკი და სხვა მხრით მიდრეკილება, სჭირია ხელმძღვანელობა მოკლეთ აზრის გამოთქმაში და ჩვენებაში, რომ გზიდან გადახვევა სრულიად საქმეს არ ეხება. ამისთანა ბავშვები უფრო ყურისგდებას უნდა მიეჩვივნენ, ვიდრე ლაპარაკს.

უფრო მეტს ყურადღებას ითხოვენ სუსტი და საშუალო ნიჭის ბავშვები. დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ ბავშვს უნიჭო არ უწოდონ, როცა ის ურიგო პასუხს იძლევა, ან არაფერს ამბობს. მალე შეიძლება მიხვდნენ, რომ ბავშვის უნიჭობის მიზეზი არც უღურადღებლობაა და არც სუსტი მეხსიერება, არამედ სხვა ფაქტორები, რომელთა ნიადაგი ან ბავშვის ნერვების ავადმყოფობაშია, ან მემკვიდრეობაში. უკანასკნელ შემთხვევაში ყველას სჯობიან მიჰმართონ გამოცდილს ექიმს.

პირველ-დაწყებითი სწავლების დროს ბავშვი წესიერებასაც უნდა მიაჩვიონ, ამას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს. წესიერებისადმი მიდრეკილება—ერთი უსაჭიროესი მიზანია აღზრდისა და რამდენადაც ადრე იქნება ის განვითარებული, მით

უკეთესია. ამიტომ ღირსებას მოკლებული არ იქნება ისეთი გაკვეთილი, რომ ბავშვს მეოთხე წლიდან ასწავლონ პირისბანა, ტანისამოსის გახდა-ჩაცმა და მიაჩვიონ წესიერებას და სისუფთავეს. არაფერია თუ პირველი გაკვეთილი პირის ბანისა, ჩაცმა-გახდისა თავდაპირველად რიგიანი არ იქნება; რამდენადაც მეტს დამოუკიდებლობას შეიძენს ბავშვი, იმდენად უფრო გაუადვილდება მას დედის დახმარებით ზრუნვა თავის მორთულობაზე.

რამდენადაც ბავშვი წამოიზრდება, იმდენად უფრო მეტი ყურადღებაა საჭირო, რომ მან დაიცვას წესიერება და შეასრულოს თავისი მოვალეობა.

გ ლ ო ვ ა

სად არის კუბო თამარის,
ქვეყნისგან ნაამბორისა?
ვის ხელში არის საფლავი
ნინო მოციქულთ სწორისა?

—

სადღაა ჯვარი ვაზისა,
შეკრული წმინდის თმებითა?
დასდუმდა მისი ტროპარიც,
ქართულის კილო ხმებითა.

—

ქრისტეს სახელით ქრისტეს სჯულს
წვალება შემოერია
და ჩვენს ეროვნულ შტოებზე
„ქართველი“ ალარ სწერია.

—

ვიტიროთ? არა! ვაჟკაცსა
არ შვენის ცრემლით გლოვანი—
„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
სიკვდილი სახელოვანი.“

აკაკი.

ჩემი პირველი აღელვება

მარიამ ჩელიგისა.

ყოველ პარასკეობით, ცოტა ხნით ბაღში გასეირნების შემდეგ, ჩემი აღმზრდელი შემიყვანდა საკლასო ოთახში და მიხსნიდა გაკვეთილებს საღმრთო სჯულიდან.

ეს გაკვეთილები სრულიად არ მიზიდავდნენ თავისკენ. **სიმვოლო სარწმუნოებისა და მცნებები** რაღაც მოსაწყინარს და თავ-მომაბეზრებელ საგანს წარმოადგენდნენ ბავშვის ნორჩის გონებისათვის. თუმცაღა განურჩევლად ყველა ერთსა და იმავეს ჩამძახოდა, რომ მე უკვე რვა წლისა ვარ და ამ ხანში სერიოზულად უნდა მოჰკიდო სწავლას ხელიო, მაგრამ მაინც არავითარი ხალისი არ მქონდა დიდხანს ერთს ადგილას მდგარვიყავ და მემუშავნა. საღმრთო სჯულის გაკვეთილები მაინც სხვებს მერჩივნა, მაგალითად საზოგადო ისტორიის გაკვეთილებს, რადგანაც ეს უკანასკნელი სავსე იყო სხვა-და-სხვა ბარბაროსული სახელებით, დაუსრულებელი წელთა აღრიცხვით. ყველა ეს არტაქსერქსები, კვიროსები, ეპამინონდები, უსიცოცხლო ჩარჩოში მოქცეული არეულის წელთ-აღრიცხვით, ჩემთვის ცხოველ ინტერესს მოკლებულნი იყვნენ, მე არ მესმოდა, და მართალი რომ ვთქვათ, არც ეხლა მესმის თუ რად მაწვალებდნენ საბრალო ქალს და მაზეპირებდნენ დაწვრი-

ლებით ამ გმირთა საარაკო და საშიშარ მოქმედებათა ამბებს.

ცოდვების მიტევებას, სარწმუნოების აღსარებას და სხვა ამ გვარ თხზულებებს, რასაკვირველია, არ შეეძლოთ გამოეწვიათ ბავშვში დამოუკიდებელი შეგულიანება, მაგრამ ჩემი ბავშვური ოცნება სასტიკ რელიგიოზურ დოღმატების ქსელიდან, გალიაში მომწყვდეულ ჩიტსავით ცოტად მაინც ხედავდა მტრედის ფრად მორთულ ცის კამარას: გაკვეთილების შემდეგ ჩემი აღმზრდელი მიამბობდა საკვირველს ამბებს სხივებით მოსილს ფრთოსან ანგელოზებზე, ქერაბიმებზე, რომელნიც უგალობდნენ მეუფეს ტკბილს საგალობლებს. ეს ჩემთვის უფრო სასურველი იყო, ვიდრე რომაელთა ომები და სხვ. მაგრამ ერთს გაკვეთილზე მეტის მეტი მწუხარება გამოვცადე. M-lle ბერტამ მკითხა: „რა არის ნათქვამი კატეხიზმოში ადამიანის უკანასკნელ დასასრულზედ?“

სწრაფად მივუგე:

— ადამიანის უკანასკნელი სვე-ბედია— სიკვდილი, საშიშარი განსჯა, სამოთხე და ჯოჯოხეთი..,

— ვინ შევა სამოთხეში?—დამისვა კითხვა მასწავლებელმა კატეხიზმოდან:

ჩუმად ვარ.

— აბა, მიპასუხე, რაღა!

ხმას არ ვიღებ.

— აბა, ჩქარა!.. თავისი საზიზღარი ხმით ჩამაცივდა M-ll ბერტა. აი როგორ მოგიმზადებია გაკვეთილი. პირველი სტრიქონიც კი არ დაგისწავლია.

გაკვეთილი ჩინებულად ვიცოდი, რადგანაც მეხსიერება ძლიერ კარგი მქონდა: საკმარისი იყო დაწოლის წინ ორჯელ გადამეკითხა წიგნი, რომ მეორე დღეს შეუცდომლად მეთქვა გაკვეთილი, მაგრამ ამ წუთში სულ სხვა ფიქრებმა შემიპყრეს; ამისთანა შემთხვევაში, როცა ჩემს ნორჩს გონებაში აღიძვრებოდა რაიმე ახალი აზრი, იდეა, ყოველ ჩემ გარშემო არსებულთან სრულს უგრძნობლობას ვიჩენდი.

ეს „იდეა“ მოსვენებას არ მაძლევდა ერთი სამწუხარო შემთხვევის შემდეგ, რომელმაც მწარე დაღი დაასო ჩემს ნორჩს გულს.

ჩვენი მეწისქვილის მშვენიერი ხუთი წლის პატარა ქალი მირკა უეცრივ გარდაიცვალა. მე კარგად ვიცნობდი ამ საყვარელ გოგონას, რადგანაც იმისი მამა მეტად ამაყობდა თავისი ქერა ქალით, რომელიც დედოფალასავით მორთული ჰყავდა და ხშირად მოჰყავდა ჩვენსას. მეც ხშირად ვთხოვდი მშობლებს ნება მოეცათ მასთან თამაშობისა, ისიც ხანდახან შემოჰყავდათ ჩემს ოთახში და მეც ვუჩვენებდი მას ყველა ჩემს სათამაშოებს. მისი მშვენიერი ცისფერი თვალები, მომხიბლავი ღიმილი საკვირველი სინაზის გამომხატველი იყო. მირკასათვის არ დავიშურებდი არაფერს, რაც კი გამაჩნდა, არც ჩემ დედოფლებს, არც სამხეცეს, არც საუკეთესო საცმელს, ოღონდ კი დამენახა მისი მშვენიერი ღიმილი; რაღაც ტანჯვას, წვალებას და შეურაცხყოფას ვგრძნობდი ყოველთვის, როცა ხელიდან მგლეჯდენ ამ ჩემს საყვარელ პატარა მეგობარს და მეუბნებოდნენ: არ შეჰფერის კეთილშობილ ქალს ღბრალო გლეხის ქალთან ხვევნა კოცნა და ალერსიო. საზოგადოთ ხშირად მისაყვედურებდნენ ზედმეტ გულწრფელობას. როგორც ერთად ერთი ქალი, უკანასკნელი მემკვიდრე ძველებური მდიდარი შთამომავლობისა, განსაკუთრებულ მზრუნველობაში ვყავდით და ცდილობდნენ გაევითარებიათ ჩემში თავის ღირსებისადმი პატივისცემა. მაგრამ ყველა ეს ზრუნვა მძიმე ლოდივით მაწვა კი-

სერზე; მე მერჩივნა თავისუფლება, თამაში, სირბილი, შექცევა, სადაც და როგორც მინდოდა.

როცა ეტლით მივსეირნობდი ჩემს განუშორებელ მასწავლებელ ქალთან ერთად, შურით შევყურებდი ქუჩაში მოთამაშე, ფეხშიშველა უყურადღებოდ დატოვებულს ბავშვებს, მეგონა, რომ ეს ფეხშიშველა, მონავარდე ბავშვები უბედნიერესნი იყვნენ მდიდრულად მორთულ პატარა მდიდარ ქალებზე, რომლებიც მუდამ უფროსების თვალყურის გდებაშია. რამდენიც არ მიქადაგეს, რომ მე უნდა ვამაყობდე ჩემის კეთილშობილურის მაღალის წოდებით და ზიზღით უნდა ვუყურებდე გლეხის შვილებს, მე მაინც განურჩევლად მიყვარდა ჩემი ხნის ყველა წოდების ბავშვები, მირკასთან კი განსაკუთრებული ნაზი გრძნობით ვიყავი განმსჭვალული. მირკაზე კი მეუბნებოდნენ, რომ ის გლეხის ქალზედაც უარესიაო, რადგანაც ის ებრაელიაო და ებრაელები კი ღვთისგან წყეული ხალხიაო, რომელიც ყველას ეზიზღებაო. ყველაფერი ამაო იყო! უფრო მეტად შემიყვარდა პატარა ქალი. ხშირად მთელი საათობით ვოცნებობდი, წარმოდგენილი მქონდა, გავიზრდებოდი თუ არა, შემეძლო რაც მინდოდა იმის გაკეთება; მაშინ წავიყვანდი თან მირკას, ის ჩემი და იქნებოდა და ჩვენ წავიდოდით შორს, შორს... თვითონაც არ ვიცოდი სად წავიდოდით, მაგრამ საკლასო ოთახსა და M lle ბერტას კი მოვშორდებოდით.

და აი ჩემი ასეთი მშვენიერი ოცნება ერთბაშად გაჰფანტა მწარე სინამდვილემ: მირკა გარდაიცვალა!.. ეხლა გაკვეთილზე კატეხიზმოს სიტყვებმა „ადამიანის უკანასკნელ სვე-ბედზე“ უძლეველის ძალით მომაგონეს საშინელი, გაუგებარი საიდუმლოება, რომლის შეგნებას ამაოდ ცდილობდა ჩემი ბავშვური გონება.

— ვინ შევა სამოთხეშიო?—მეკითხებოდა M-lle ბერტა. გონება ამეღნა; მტანჯავ ეჭვებმა ხელახლად შემიპყრეს.

— სამოთხეში შევლენ ისინი...—მიკარნახებდა მასწავლებელი ქალი, რომელიც, ჩემის სიჩუმით, მოთმინებიდან გამოვიდა, შევლენ ისინი, რომელ... აბა... სთქვი რაღა... ისინი, ვინც სიკვდილის წინ შეიქმნებიან ღირსნი ღვთის მადლისა. შემდეგ... აბა, სთქვი, რაღა!.. და რომელთაც სიცოცხლეში აღასრულეს ის, რასაც ითხოვს ღვთის მართლმსაჯულება. გაიმეორე ყველაფერი, რაცა ვსთქვი.

იმის მაგიერ, რომ გამემეორებინა მასწავლებლის სიტყვები, პირიქით შევეკითხე:

— რას ნიშნავს სიკვდილის წინ შეიქმნებიან ღირსნი ღვთის მადლისა?

— ეს ნიშნავს: ზიარების მიღებას, ცოდვების აღსარებას, ზეთის ცხებას.

— ცოდვებს აღიარებენ მხოლოდ მოზრდილები, ვუპასუხე მე, ბავშვები რაღას შვრებიან?

— ბავშვებიც, სიკვდილის შემდეგ, სამოთხეში წავლენ, თუ უფროსების მორჩილი და მონათლული იყვნენ.

ჩემი სულიერი მდგომარეობა აუტანელი შეიქმნა. მთელი სხეული ამიკანკალდა, სახელოებზე არშიები შემოვიგლიჯე. ვერ ვბედავდი კიდევ მიმეცა კითხვა. ამავე დროს იმას ვფიქრობდი, რომ რამე უნდა გადამეწყვიტა.

— რა მოგვიდა დღესაო?.. მკითხავდა M-lle ბერტა, როცა შემატყო ბოლოს შეკრთომა.

— მე... მე მინდოდა გამეგო...

— რა?

— მინდოდა გამეგო... შევიდოდა მირკა სამოთხეში?

— მირკა!.. ეს ურიის გოგო? ის რომ უნათლავი იყო!—წამოიძახა მასწავლებელმა ქალმა.

— მაშ, ებრაელები... ვერასოდეს ვერ შევლენ სამოთხეში?

— ვერა! თავის განძრევით, დაბეჯითებით წარმოსთქვა M-lle ბერტამ.

— მაშ რა მოუვათ იმათ?

— ისინი ჯოჯოხეთში წავლენ.

— ჯოჯოხეთში!..

მე მაშინვე მომაგონდა სიტყვა სიტყვით ყველა, რაც ნათქვამია კატეხიზმოში ჯოჯოხეთზე:

„ჯოჯოხეთი არის ტანჯვის ადგილი, სადაც ღმერთს სამუდამოდ დაშორებულნი ცოდვილნი ეშმაკებთან ერთად ითმენენ განუზომელს და დაუსრულებელს ტანჯვას.“

მაშ, მირკა, ჩემი საყვარელი მშვიდი და უწყინარი გოგონა სამუდამოდ უნდა იტანჯებოდეს, დუღდეს ჯოჯოხეთის ალში მწვალებელ ეშმაკთა შორის, ეს, ის მშვენიერი ნაზი გოგონა, ანგელოზისებური ღიმილით... არა, არა!

ჩემი ბავშვური გული შიშისა და ტკივილისაგან საშინლად კანკალებდა.

— Mademoiselle!—წამოვიყვირე აღელვებულმა,—mademoiselle...

— რა გინდა?

— განა ის დამნაშავეა, რომ ურიად მოკვდა?.. ღმერთს ყველა უყვარს. იმან ყველაფერი იცოდა... ის არ ინებებდა, რომ მირკა ჯოჯოხეთში ჩაეგდოთ.

— მხოლოდ კათოლიკები შევლენ სამოთხეში და იქ, ანგელოზებთან და წმინდანებთან ერთად დასტკბებიან ნეტარებით. წარმართები, ურწმუნონი, ეროტიკოსები, ებრაელები—მით უარესია მათთვის!.. ყველა ამათ ჯოჯოხეთი მოელისთ.

მრისხანეთ ხელის გაქნევით და ცივი ულმობელობით აყენებდა ვილასაც.

უცებ თვალ წინ წამომიდგა ჯოჯოხეთი და ჯოჯოხეთის ალში—ჩემი საყვარელი დაუვიწყარი გოგონა!

— არა, არა, არა!..—დავიყვირე და ხელები წინ გავიშვირე. ეს შეუძლებელია, არ შეიძლება... მირკა სამოთხეში შევა... თუ არა...—ხელები მუნჯური სასოწარკვეთილებით მეკრუნჩხებოდა,—თუ არა... ღმერთი კეთილი არ იქნება, მე ის არ მეყვარება.

— საბრალო ბავშვო! — დაიღრიალა m-lle ბერტამ და მტაცა ხელი.—დაიჩოქე! დაიჩოქე! სთხოვე შენდობა შენს შემოქმედს, რომელიც შეურაცხყავ!.. შეხედე ის სჯავრობს, გსჯის,—მეუბნებოდა m-lle ბერტა, მითითებდა კედელზე მაცხოვრის ხატზე და ცდილობდა სინანული გამოეწვია ჩემში. ის მარწმუნებდა, ქრისტე ისე გაჯავრებულია ჩემი უგვანო საქციელით, რომ მას თვალებიდან ცრემლები გადმოდისო.

ჩუმად გადავხედე მაცხოვრის ხატს და დავინახე, რომ იმისი თვალები ისეთივე მიმქრალი და მშრალია, როგორიც იყო. მაშინ მივხვდი, რომ მასწავლებელი ქალი ბოროტებაში ხმარობს ჩემს ბავშვურ ნდობას. ღრმა შეურაცხყოფა ვიგრძენი, თვალები ცრემლებით ამევსო და ზიზღით მივაძახე:

თქვენ მატყუარა ხართ და სხვა არაფერი!...

სულა და ღმერთები

(სპარსული ლეგენდა)

როცა კეთილის გამეფებისთვის
ფილოსოფოსნი სახსარს ეძებდნენ
და კარ-დახშულნი, ფიქრით მოცულნი
დღე-ღამეს სახლში განატარებდნენ!
მაშინ, როდესაც აღტაცებული
მოლექსე გულში იცქირებოდა
და მუხლ-მოყრილი, გაოცებული
ბუნებას შესხმას ეუბნებოდა;
როცა მოხუცი მოსავი ღვთისა
დღე, ღამე ლოცვა-ღაღადებითა
ამ წუთის სოფელს მოიძულებდა
საიმქვეყნიო იმედებითა!
როცა უბადრუკს უმრავლესობას
შრომაში ღამეც არა ჰსძინავდა
და ამავე დროს უმცირესობა
სიამოვნების ტბაში ჰცურავდა;
როცა აქ ტანჯვა-უსასოებამ,
თუ სიტკბოება, ნეტარებამა,
ან სამუდამო სიცოცხლისათვის
მაინც სულ-გულის ტრფიალებამა
ბოლოს სამოთხე გამოაჩინა,
სადაც სწორობის სუფევა არის
და უძლომელი კაცის გულისთვის
ნდობა, სურვილიც კი აღარ არის;
როცა სიცოცხლის სანუკვარადა
ედემი ჰხადა წარმოდგენამა
და ამ სურვილში ჩვენის ბუნების
თავი იჩინა მცონარებამა,—
როგორც მოგვითხრობს აღმოსავლეთი,
იმ დროს ორმუზდი ხმელეთს ჰსწვეოდა,
ამშასფანდები ფერვერებითურ
და იზედები შემოჰხვეოდა *).

* ზარატუშტრას სარწმუნოებით ორმუზდი ღმერთია კეთილისა, ამშასფანდები, ფერვერები და იზედები მისი მოსამსახურე კეთილი სულები ანგელოზები.

როცა ქვეყანა შეძრწუნებული
ორმუზდს აქებდა უქმნელობითა,
მაშინ დევები არიმანითურ
ჯგუფად მოვიდნენ ბოლუქებითა *)
დადგეს მსახურთა ორმუზდისათა
საჯდომი მისი თვალ-ალმასისა
და მის პირის პირ დევებმა ახლო
სხვა ესეთივე არიმანისა.
ორმუზდს არა ჰთნდა არიმანისგან
და ჰრქვა: „ნუ მოხვალ ბიწიერებავ!
ნუ გინდა შენის საზიზღრობითა
შეჰბღალო ჩემი სახიერება!
გირჩევ წახვიდე ნება-მყოფლობით,
ვიდრე ძალით არ წაუყვანიხარ!

არიმანი

ეგაც კარგია, ძმაო ორმუზდო,
რომ ლაპარაკში მაინც ჰვარგიხარ.
განა არ ვიცნობთ ჩვენ ერთმანეთსა,
განა ერთად არ დავბადებულვართ?
დასაბამიდამ დღეს აქამომდის
განა ჩვენ ერთხელ დავჯახებულვართ?
განა აის ცა და ეს ქვეყანა
მე და შენ ერთად არ შეგვიქმნია?
შენ გეძახიან კეთილის ღმერთსა,
ჩემთვის ბოროტის უწოდებიათ.

ორმუზდი.

უწოდებიათ!.. შენ თითქო იმად
არ ჰყოფილიყო და ან არ იყო?

არიმანი

მე ამასა გთხოვ კეთილ-ბოროტი
განაცალკევო შუა გამიყო..

*) არიმანი ღმერთია ბოროტებისა. დევები მისი მოსამსახურეები ავი სულებია. ბოლუქებითა—გუნდ-გუნდათ.

ო რ მ უ ზ დ ი

გსურს წამიცადო? მით ჩემ ბუნებას
არ მოეცხობა მცირედი ჩირქი
და შენ კი, გეტყვი, მუდამ გესხმევა
აყროლებული საზიზღი ქურქი.
მითომ შენ ამბობ, ადამიანსა
რატომ არ მივეც ბუნება სრული,
რომ შესძლებოდა დამარხვად მცნება
წმინდა მოძღვრება ბრძენთაგან თქმული?
მაგრამ იქაც შენ, ბოროტო სულო,
როგორც ყოველგან იყავ დარაჯი
და, როცა ერთ გვერდს მე ვუკეთებდი,
სხვას მეტაროცედ შენ ედეგ ქაჯი *)

ა რ ი მ ა ნ ი

სწორედ აგრევე ყველა ტანისა
ჩვენგან შექმნილის იოტისასა...
მაშ რად აძლევდი, სულო, კეთილო,
ბრძანებას ჩემი გაგდებისასა?
სასურველია, ერთი ვიცოდე,
რომელი ბრძენი მოგივლენია,
რომ შინაგანი და გარეგანი
ორივე მხარე წმინდა ჰქონია?
ე მინდა ჩემსა სამფლობელოსა
იმდენი კიდე შეჰმატებოდეს,
რამდენ ხსენებულ მქადაგებელსაც
ია ში სისხლი მოჰგუბებოდეს.
ამდენისაც ძალა უნებურადა
ბუნებას ენა არ ჰთანხმებია
ა ვნებიანი იმის არსება,
დუმალ სენებს უჟრჟოლებია.

ო რ მ უ ზ დ ი

ურჟოლებია, მაგრამ საცდური
ცდურად ისევ გულში მომკვდარა;
ოგორც მდინარე ადიდებული
ადეებისთვის საშიშ გამხდარა,—
ტალღა ნაპირებს შემოჰლევია,
დაწყნარებულა და ჩამომჯდარა...
ვის რას დააკლებს ასპიტი გველი,
რაც უნდ თვალითგან ცეცხლნავთი ჰყაროს,
თუ ცოფსა და ბრაზს ვერვიზე გაჰხეთქს
და თავის გესლი ვერსად ჩაღვაროს?..
მიწის გულში რომ გველ-ბაყაყები
დასისინობენ და დარბ-მორბიან,—
განა იმიტომ მის ზედა პირზედ
ია და ვარდი ველარ მოდიან?
რა ვქნათ, თუ ლეში ბევრს რასმე ითხოვს,
ბევრს საფრხეს უგებს შეცოდებისთვის?
ოღონდ ნუ იზამ მოქმედებითა
საზნევსა თავის მოყვასისათვის...

ა რ ი მ ა ნ ი

რამდენიც ძმა ძმას, შვილი მამასა
წარამარაზედ შემოჰკვდომოდეს
და თავის თავის მზრუნველობასა
მოვალეობა დაჰვიწყებოდეს;
რამდენიც კაცმა მომშიებულმა
სათნოებისა ვერ რა გაიგოს
და მის ღარიბმა საბალნარომა
კეთილი ხილი ველარ მოიღოს;
რამდენიც კაცმა გაანჩხლებულმა
სატრფო გულისაც არ შეიწყალოს
და წამიერსა ჟინსა, ნდომასა
გაასრესინოს და ანაცვალოს,—
იმდენი კიდევ ჩემ თავს ეშველოს,
შენსას არ ვიტყვი იქნებ გეწყინოს.

ო რ მ უ ზ დ ი

მაგით თავს იქებ, თუ მე მაძაგებ?
შენს ნათლით მოსილ, წმინდა სახელსა
ერთიღა აკლდა, რომ ისაც გეთქვა
და ქვეყანაზედ ჩვენი სტუმრობა
იმით სამუდმოდ სახსოვარ გექმნა.

ა რ ი მ ა ნ ი

დიახ, ეგეცა... არ კი გეწყინოს

*) ქურდზედ იტყვიან: „კაცს მეტაროცედ უდგოს;“ მგელზედ: „ცხვარს მეტაროცედ უდგაო.“

თავი მიეცი მოთმინებასა,
მაგრამ ის შენი მქადაგებლები
რომ გაიჩრიდნენ პირში ენასა
და საზნეობო ეპისტოლებით
არც კი ჰტოებდნენ ტყეში ტურასა—
რატომ სახსარიც არ უანდერძეს,
რომ აესრულა კიდეც იმასა?..
დიახაც, მაგრამ იმის შემდეგ რა
მოჰმართე შენი წყლის სამღვრევლები
და ხელში ბადე, ხოლიხებითა
დაჰგზავნე შენი ენა-გრძელები,
იმათაც რაში ენანებოდათ?
გაშალეს თავის მოსასმელები
და გამორეკეს ცოცხალ-ცოცხალი
ტყუილის ლოქო ორაგულები!..
მაგრამ იმათში ერთი ერივა
მეტად დიდი და გასაოცარი,—
ის იყო, როგორც მოგეხსენება,
მკვდრის ზღვის თევზების მამათ-მთავარი.
მერე დაჰკარგა იმ ზღვამ სიცოცხლე
და ჩაეყარა თვალში ნაცარი.
ხომ ამცნობინე, მითომ შენ იყო
ჩემი და ქვეყნის დამბადებელი,
მაგრამ მე გექმენ ურჩი და კერპი,
უშვერის რისმე შემმართებელი;—
მაშინ შენ მითომ ხომ გაგიგდივარ
მითომ ეგ როგორ გამიბედეო;
ეგ ერთი გითქვამს, ვაი შენ ტყავსა,
თუ კვლავაც კიდე დაიყბედეო;
ხომ ბევრი სხვაცა, სრულ უკეთესი
შენ ელჩებს ჩემზედ ასწავებინე;
და ჩემს სარიდად სამოთხის ბალიც
ჯილდოდ ხალხისთვის დაადებინე,—
მითხარ რა მოხდა? განა გონებას
გული კლანჭებში დაუჭერია
და ჩემი რამე კი აღარ არის,
სრულ კეთილია, სადაც ერია?..
მე, როგორ ვიცი, შენ სრულ ის გინდა
გული გონების მორჩილი იყოს,
რომ დაიხაროს შენკენ სასწორი
და ბოროტება მოსპობილიყოს.
მოდი აღახვენ ბაგენი შენნი,
კანონად ჩადგი მაგ აზრის მანა
და მით აღნიშნე ისტორიაში
ახალი დროის ახალი ხანა.
მაგრამ განა რომ ბუნება სალსა
არვის აკლია ეგ ხელოვნება
და თუ ხანდახან დაავიწყდება,
შენც მოითმინე ნუ გეწყინება.
რაც უნდა ძლიერ იჰოინბაზო
დაპირებით, თუ დამუქრებითა—
სადაც კეთილი გეგულებოდეს,
იქ ბიწიც-არის თავის რქებითა...

ორმუზდი

თუ გაიძახი, რომ ბოროტი ხარ
და ტყუილები შენც გეწყინება,
მაშ რაღა გიშლის კეთილი გაჰხდე,
კარგზედ გარდაჰქმნა შენი ბუნება?..

არიმანი

გარდავიცვალო რაღა ის გინდა,
ბოლოს მოვიდე და გეთაყვანო?
მე ყმა გამხადო და ეგ ოხერი
თავი ბატონი გამოიყვანო?
არა... ჰჯობია ეს ამისთანა
წარამარობა, ერთხელ მოისპოს:
ეწავ გადაჰჭრას შიშველმა ხმალმა
ჩვენში უფროსი, ვინც უნდა იყოს!..

ორმუზდი

ჰე, დაუშტვინე! ამხანაგებმა
შემოგიკეთეს, ველარა ჰდგები?
როგორ გიხდება ეგ გაჯავრება
და მერე თავზედ მამაცი რქები!
მაგრამ იფიქრე, თუ შენი თავი
იმ უგნურ კატას არ ემსგავსება,
რომელიც თავის აჩრდილს სარკეში
გარედამ უშქენს ეჯავახება?!.

(უფროსი დევი წინ წამოდგება, შორიდამ თაყვანსა სცემს არიმანს და პირქვე გდია).

(შემდეგი იქნება).

პედაგოგიის ისტორია *)

დ-რ ვაიმერისა

(თარგმანი გერმანულიდან)

§ 9 პროტესტანტთა ლათინური სკოლები მე-XVI საუკუნეში.

სწავლის საქმეში რაც რეფორმაციამ ო�sი განვითარების პირველ წლებში ვერ მოასწრო, მას ლიუტერის მხურვალე რჩევით და მოწოდებით დიდის თავგზამოდებით მიჰყვეს ხელი პროტესტანტთა ქვეყნების თავადებმა და ქალაქების თვითმმართველობამ. ამას აქტიცებენ, როგორც წინად მოყვანილი სასკოლო ბეგმები, აგრეთვე მრავალი ახალი სასწავლებლის დაარსებაც. ამ მოწოდებისა და დიდებული რეფორმატორის გარდაცვალების შუა გავიდა 22 წელი და ამ დროს განმავლობაში ევანგელურ გერმანიის ნაწილებში დაარსდა არა ნაკლებ 64 მაღალი და დაბალი ლათინური სკოლისა და მე-XVI საუკუნის დამლევამდე ამას კიდევ მოემატა 56 ახალი სასწავლებელი. ბოლოს ლათინურ სკოლებში, რომელთაც უფრო ხშირად საქალაქო ანუ პარტიკულიარულ სკოლას ეძახდენ, მხოლოდ ორ საგანს ასწავლიდნენ—სადმრთო რჯულსა და ლათინურ ენას, როგორც ამას თხოულობდა 1528 წლის სამოსწავლო წესდება. საშუალო სკოლებში კი აკადემიური გიმნაზიებში, სამეფო ანუ სამონასტრო სკოლებში, საერო სკოლებში ასწავლიდნენ კიდევ ბერძნულ ენასაც და ელემენტალურ ცნობებს ებრაული ენიდან, მათემათიკიდან და ფილოსოფიიდან. საერთოდ ლათინურის ენის შესწავლაში დაცული იყო საქსონიის გეგმის თანა-თანობა: თავდაპირველად მოწაფეებს ასწავლიდნენ დასაწყისს ცნობებს, შემდეგ გრამატიკას ასწავლიდნენ და ბოლოს მეჯვრმეტეველობას. განუფიფლებათა რიცხვი, რომელიც უოველთვის არ შეიცავდა წლიურ კლასებს, იყო 5 ან 6; მელანხტონის მიერ მოწონებული მწერლების კითხვას აქცევდენ უმთავრეს ყურადღებას. სწავლების მიზანს შეადგენდა ლათინურ პროზის შეთვისება წერილობით და სიტყვიერად.

ამიტომაც საერთოდ მოწაფეებს გაკვეთილების შემდეგაც აწვევდნენ ლათინურ დაპარაგში საგარჯიშოდ. აკადემიური გიმნაზიის უფროს კლასებში მასწავლებელნი ცოდნის დაკავშირებულად გადაცემის უფრო უპირატესობას აძლევდნენ დიალოგიური მეთოდის წინაშე. ამავე დროს მელანხტონის მაგალითისამებრ დიდს მნიშვნელობას აძლევდენ მოწაფეთა ვარჯიშობას კამათში და თავისუფლად სიტყვების წარმოთქმაში (დეკლამაცია).

წეს-რიგის დაცვა, ერაზმისა და სხვა შესანიშნავ პირთა რჩევის წინააღმდეგ, ისევ ძველებურად მონასტრულ სასტიკ ზომებზე იყო დამყარებული. ჯოხის ბატონობა სკოლაში მთავრობასაც შესაწყნარებელად მიაჩნდა და ახლად დანიშნულს მასწავლებელს დიდის ამბით, დიდებულად გადასიემდნენ წკეპლებს. ტერენციის, ჰლავტის და შემდეგ გერმანული დრამების წარმოდგენები და აგრეთვე სიჩუქრების დარიგება სახალხოთ გამოცდის დროს ფრიად საყვარელ სასკოლო დღესასწაულებს შეადგენდნენ. დასაწყისში პარტიკულარულ სკოლას ჰყავდა სულ სამი მასწავლებელი (რექტორი, კონრექტორი, კანტორი); შემდეგ მოწაფეთა რიცხვის და საგნებთა გამრავლების მიხედვით მასწავლებელთა რიცხვსაც ემატებოდა მრავალრიცხოვან კლასებში მას-

*) იხ „განათლება" № 3—4 1908 წ.

წავლებელი, შრომის შესამსუბუქებლად, ირჩევდა დეკურიონებს (ათის-თავები). ჯილდო და მდგომარეობა მასწავლებლებისა საერთოდ მაინც უნუგეშოდ რჩებოდა, თუმცა ზოგიერთი წესდება ცდილობდა რამე გაუმჯობესებას. მასწავლებლები იძულებულნი იყვნენ „სასწავლო ფულით“ დაკმაყოფილებულიყვნენ; ფული კი ძლიერ ცოტა იყო და უწესრიგოთაც შეიჭიმებოდა. ეკლესიას უფლება ჰქონდა თვალყური დაეჭირა, როგორც მასწავლებლებზე, ისე სწავლების საქმეზეც; დაარსება და შენახვა სკოლებისა საქალაქო და სახელმწიფო მოვრობის ხელში იყო.

ხელმძღვანელობა ამა თუ იმ სასწავლებლის საქმეში სხვა-და-სხვანაირი იყო და ეს დამოკიდებული იყო მასწავლებელთა და უფროსების ნიჭზე. მელანხტონის მოწაფეთა შორის უველაზე უფრო სახელი გაითქვეს, როგორც კარგი პედაგოგებისა, **მიხეილ ნეანდერმა** ილფელდში, დარტზე, **ლიერონიფუს გელფმა** აუგსბურგში და **ვალენტინ ტროცენდორფმა** გოლდენბერგში (შლეზია). **ნეანდერმა** (1525—1595) სხვა თანამედროვეებზე უფრო მეტი უურადღება მიაქცია სალმრთო სჯულისა და ძველ ენებთან ერთად რეალურ საგნების სწავლებასაც: მან სამოსწავლო გეგმაში შეიტანა ისტორია, გეოგრაფია და ბუნების მეტყველება. ვოლფი და **ტროცენდორფი** კი არ სტოვებდენ ჩვეულებრივს პროტესტანტთა ჰუმანისტურ სწავლას, მაგრამ მიზანთან შეთანხმებული მეთოდით და მკაცრი აღზრდით ამ ფარგლებშიაც მოახერხეს საკვირველად განეკითარებინათ თვისი მოწაფენი. ტროცენდორფი (1490—1556, ანუ ფრიდლანდი ტროცენდორფიდან) თავისებურად შეეცადა მოწაფეთა რესპუბლიკის დარსებით, რომლის სენატი, კონსული და ცენზორები ყოველთვიურად იცვლებოდნენ, შეეთვისებია მოწაფეებისთვის მთავრობისადმი მორჩილება და პატივისცემა, სენატს ირჩევდა თვითონ ტროცენდორფი. როგორც dictator perpetuus (მუდმივი დიქტატორი); სენატს მხოლოდ სამოსამართლო უფლება ჰქონდა მინიჭებული; სკოლის წესდების წინაძე დამნაშავე მოწაფეებს თავი უნდა ემართლნათ ლათინურ ენაზე და სენატი, უნის სიმშვენიერის მიხედვით, ან სრულიად ამართლებდა დამნაშავეს, ან და სჯიდა გაწყეტვლით, კარცერში ჩასმით და სხვ. . კონსულის მიერ გამოცხადებულ სენატის გადაწყვეტილებას დიქტატორი დაუყოვნებლივ მოიყვანდა სისრულეში; ეკონომები თვალ-ყურს აღუვნებდნენ ოჯახის წესრიგს; სუფრაზე კი ზედამხედველებათ იყვნენ ეფორები; მოწაფეთა გულმოდგინეობას, ბეჯითობას თვალყურს აღუვნებდნენ ქვესტორები. ტროცენდორფი სწავლების საქმეშიაც კი აღებინებდა მოწაფეებს მონაწილეობას: უფროს კლასის საუკეთესო მოწაფეები მიანდობდა უმცროს კლასებში გაკვეთილების მიცემას. . ასე იქცეოდნენ სხვა მრავალ-რიცხოვან სკოლებშიაც. ყველაზეულები სასწავლებელი 1554 წელს გადაიწვა ქალაქ გოლდენბერგთან ერთად. ტროცენდორფმა მხოლოდ ორი წელი იცოცხლა ამ უწესლო უბედურების შემდეგ.

ყველაზე უფრო თავისებური, შესანიშნავი და შედეგებით მდიდარი მე-XVI საუკუნეში იყო მოღვაწეობა **იოლანნე შტურმისა** (დაიბადა 1507 შლაიდენში, ეიფელში); იგი არ იყო პირდაპირი მოწაფე მელანხტონისა. ჰუმანისტური განვითარება მან მიიღო „ძმობის“ გიმნაზიაში, ლიუტიხში (1521—1524), რომლის რამოდენადმე მიბაძვით მანვე დაარსა შტრასბურგში გიმნაზია. ლიეენში და პარიზში იმდენად შეისწავლა მან ლათინური და ბერძნული ენები, რომ მალე შეეძლო ჰუმანისტური ლექციები წაეკითხა პარიზის უნივერსიტეტში. რადგან კალვინის რეფორმატორულ მისწრაფებებს შტურმიც თანაუგრძნობდა, ამიტომ, კარდა სწავლის საქმისა, ის გულმოდგინეთ შეუდგა პროტესტანტიზმის გავრცე-

ლებას საფრანგეთში, მაგრამ ამ შრომამ თითქმის უნაყოფოო ჩაუარა. ამის გამო შტურმი დათანხმდა ბუცერის მიპატიჟებაზე შტრასბურგში, სადაც 1538 წ. ქალაქის საბჭოს ხელის შეწყობით, დააარსა გიმნაზია ჯერ ფრანცისკანთა და მერმე დომინიკანელთა მონასტერში. ორმოცდა სამი წელი ხელმძღვანელობდა შტურმი ამ გიმნაზიის, რომელიც შეიქმნა იმ დროის უშესანიშნავეს ლათინურ სკოლად. სანამ კალვინიზმი შტრასბურგში მეფობდა, შტურმს შეურეველად ეჭირა საპატიო ადგილი. მაგრამ, როცა შტურმი წინააღუდგა კონკორდიის ფორმულის შემოღებას *), პროტესტანტ-ლიუტერანთა სამღვდელოებამ მას ლანძღა დაუწყო და 1581 წ. შტურმი ძლეულ იქმნა. 1589 წ. შტურმი გარდიცვალა დიდს გაჭირვებაში. — საუკეთესოდ ასურათებს შტურმის სასწავლებლის წესრიგს, საგნებთა სიგრძეს და მათ დაყოფას შტურმისვე გეგმა 1538 წლისა de litera rum ludis recte aperiendis და სამოსწავლო გეგმა 1565 წ. Epistolae classicae **). შტურმის აზრით სკოლაში სწავლამ უნდა შეაერთოს სიკეთის განვითარება მოწაფეებში, მეცნიერებათა შეთვისება და მჭერმეტყველება (ლათინურის ცოდნა). ათის წლის სწავლის განმავლობაში მის სასწავლებელს უნდა მიეღწია ამ მიზნამდის. გარეშე წესრიგი გიმნაზიის (წლიური კლასები, ეოველს კლასში თითო მასწავლებელი, დაყოფა კლასების დეკურიონებად (ათეულებად), სახალხო ეგზამენები და დაჯილდოვება ორი საუკეთესო მოწაფისა) შტურმმა გადმოიღო ლიუტიხის სკოლისგან; შესაძლოა, რომ ზოგიერთი მეთოდებიც მან ლიუტიხის სკოლიდან გადმოიღო და სხვ. თავი და თავი საგანი სწავლებისა ძველი ენები იყო. Epistolae classicaes-ს მიხედვით მთელი სწავლა ორ ნაწილად იყოფოდა, რომლიდანაც პირველი განსაკუთრებით ლათინურისთვის იყო გადადებული, ხოლო მეექვსე კლასიდან იწყებოდა აგრეთვე ბერძნულიც. განსაცვიფრებელის მეთოდიურის ხელოვნებით ასწავლიდა შტურმი ორივე ენას: მეხსიერებასა და გონებას შტურმი ოანაბრად უგარჯიშებდა მოწაფეებს; რაც ნათლად არ იყო გაგებული, ზეპირად არ უნდა ესწავლათ: რიმე ნახტომი სწავლაში უარეოფილი იყო და ყოველივე ახალი ცნება ძველთან უნდა შეეკავშირებინათ; კლასში მუდმივი მუშაობა და სახელმძღვანელოების (უფრო ხშირათ თვით შტურმის მიერ შედგენილის) ხმარება აადვილებდა შესწავლულის განმეორებას; განმეორებას კი მოითხოვდა ყოველ მასწავლებლისგან სამოსწავლო გეგმა; ლექსიკონთა შემოღებამ, რომელიც თვით მოწაფეებს უნდა შეედგინათ, შესაძლოთ ჰყო მოწაფეებს მეექვსე წლის დამლევს სტოდნოდათ უკვე 21,000 სიტყვა, წინადადება და ანეორიზმები. სამწუხაროა მხოლოდ, რომ შტურმა მიზანი ლათინურის შესწავლისა ძლიერ გააფართოვა; შტურმს უნდოდა შეგირდებს ისე კარგად სტოდნოდათ ლათინური ენა, მაინც, როგორც თვით რომაელებისთვის იყო შესაძლო. ამ გატაცების გამო მთელი სწავლა დამოკიდებული იყო რეტორულ თვალთახედვის ისარზე; ლათინთა და ბერძენთა ორატორებს (ეგვლაზე უწინარეს ციცერო) და დრამატიკოსებს პირველი ადგილი დაუთმეს, ისტორიკოსები თითქმის სრულიად გამორიცხეს სწავლის გეგმიდან, ეპიურ პოეტებს, თვით ჰომერსსაც კი მხოლოდ მათი რეტორიული მნიშვნელობისთვის კითხულობდნენ. იგივე გატაცება იყო მიზეზი, რომ ერთხელ ერაზმის მიერ სასაცილოთ ადიარებულს მეთოდს იმიტაციას

*) კონკორდიის ფორმულები არის სიმბოლიური წიგნები პროტესტანტთა.

მთარგმ.

**) შინაარსი მოყვანილია პედაგოგიის ვრცელ ისტორიებში: მაგ., შმიდტი „ისტორია პედაგოგიისა" ტ. III, გვ. 164; ციგლერი: „ისტორი პედაგოგიისა" გვ. 80 და შემდეგი.

(თავდაცვის მიბაძვას) მიჰყვეს ხელი—ცდილობდნენ, რამდენადაც მოსახერხებელი იყო, ციცერონს წინადადებებით აეკრძალებინათ ნაწერი და ამით ვითომც და მიეცათ ნამდვილი კლასიკური ხასიათი ნიწარმოებისთვის. მოლოხს მკერმეტყველებისას შესწირა შტურმმა აგრეთვე ორი დანარჩენი მიზანი—სასკოლო მეცნიერების შესწავლა და სიკეთის კადვიძება მოწაფეებში: ისტორიას, გეოგრაფიას, ბუნებისმეტყველებას არასწავლიდნენ შტურმის სკოლაში; მათემატიკამ, რომლის ცოდნა საჭირო იყო საბაკალავრო ეგზამენისთვის, მხოლოდ მესამოცდაათე წლებში მოიპოვა პაწია ადგილი უკანასკნელ ორ კლასში. გერმანული ენა აღკრძალული იყო, როგორც კაკვეთილების დროს, ისე კაკვეთილების გარეშე და დამნაშავეს სასჯელს უქადდნენ. რაც თხზულებათა კითხვით ცოდნის შეძენა შეიძლებოდა, ისიც თითქმის უმნიშვნელოთ რჩებოდა, რადგან შტურმის მოელი ყურადღება უმცროს კლასებში გრამატიკაზე იყო მიპყრობილი, უფროს კლასებში კი რეტორიულ მხარეზე. თვით კატეხიზმოც მხოლოდ სათარგმნ წიგნად გადიქცა და კვირა-შაბათობით პავლე მოციქულის ეპისტოლეების ახსნა განმარტება ოდნავ თუ ასცილდებოდა გრამატიკულ და რეტორიულ გარჩევას.

შტურმის თანამედროვენი, რა თქმა უნდა, ვერაფერს წუნს ვერ პოულობდნენ. შეგირდების რიცხვი (1578 წელს რამოდენიმე ათასი იყო), მთავრობის წლიური ბევრი დახმარება, სხვა-და-სხვა გვარი დიპლომატიური თხოვნა-რჩევა მოგვეცია, განსაკუთრებით კი მიბაძვანი შტურმის სისტემისა სამხრეთ და დასავლეთ გერმანიის ქალაქებში (ლაუინგენი, ტრაბანი, დორნბახი) აქტიკიცებენ, თუ რა ღრმა პატივისცემით ეპყრობოდნენ მხნე პედაგოგს და მის სისტემას. 1566 მაქსიმილიან II-რემ დაგვირგვინა შტურმის საქმე: იმპერატორმა ნება დართო **აკადემიის** გახსნისა, რომელიც შეკავშირებული იქნებოდა გიმნაზიასთან და რომელსაც უფლება ებოძა Baccalaureus და Magister artium-ის ხარისხი მიენიჭებინა. მაგრამ აკადემია პირველ ხანებში ვერ განვითარდა, რადგან არ ჰქონდა უფლება თეოლოგებისათვის, მედიკებისათვის და იურისტებისათვის დოქტორობის ხარისხი მიეცა. ბოლოს 1621 წელს ამ აკადემიას მიეცა უველა უფლება სხვა უმაღლეს სკოლებისა.

ნ. ლორთქიფანიძე.

სანიმუშო პროგრამები

საქართველოს სახალხო სკოლებისთვის

მოკლე წინასიტყვაობა.

ყველასთვის ცხადია, რომ დღევანდელი ჩვენებური სახალხო სკოლები სრულიად ვერ აღწევენ თავიანთ დანიშნულებას. ამის მიზეზი ბევრია და ყველას ჩამოთვლას აქ არ შევუდგებით.

ერთი მთავარი ნაკლულევანება ჩვენებური სახალხო სკოლებისა, მასწავლებლების მოუმზადებლობის გარდა, იმაშიაც გამოიხატება, რომ სკოლებს არ აქვთ საითითაოდ ყველა სასწავლო საგნების გარკვეული და დროს შესაფერისი პროგრამები; რასაც კი ასწავლიან დღევანდელს ჩვენებურს სკოლებში უცხო ენით, ხანმოკლეა, უნაყოფო და ბავშვის გონების ნორმალურ განვითარებისათვინაც მეტად საზარელო.

ქვემო აღნიშნული პროგრამებით სახალხო სკოლებში ყველა სასწავლო საგნები **დედა ენის** საშუალებით უნდა ისწავლებოდეს; რუსული ენის სწავლება, რომელიც იწყება მესამე წლიდან, უნდა სწარმოებდეს როგორც ცალკე საგნისა. მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება სკოლა მართლა სასარგებლო დაწესებულება შეიქმნეს და ხალხსაც მოუტანოს ის კეთილი ნაყოფი, რასაც იგი სამართლიანად გამოელის. ამის მიხედვით, ყველა შეგნებული პირი, ჩვენი ერის განათლების გულშემატკივარნი ზნეობრივად მოვალენი არიან მხარი დაუჭირონ საღს მიმართულებას და, შეძლებისა და გვარად, ხელი შეუწყონ ჩვენში სახალხო განათლების საქმის ნაყოფიერად მოწყობას და წარმართვას.

ამ ჟამად სახალხო სკოლა ჩვენში, ჩვენის აზრით, მოსახერხებელია ორნაირი ტიპისა—ოთხწლიანი და ექვსწლიანი—ე. ი. ოთხ განყოფილებიანი და ექვს განყოფილებიანი. რასაკვირველია ფრიად სასურველია, თუ ადგილობრივი პირობები და სხვა გარემოებანი ხელს შეუწყობენ, თითოეულს განყოფილებას თითო მასწავლებელი ჰყავდეს, მაგრამ, სადაც ეს შეუძლებელი გახდება, იქ შეიძლება ორ განყოფილებას ჰყავდეს თითო მასწავლებელი. ისეთს ღარიბს სოფლებში, საცა სკოლის გახსნა აუცილებელ საჭიროებას მოითხოვს, მაგრამ მკვიდრთა სიღარიბე ხელს უშლის და სხვა წყაროც სკოლის შესანახად საკმარისი არ იქნება, იძულებული გავხდებით, დროებით მაინც, ერთს მასწავლებელს დავჯერდეთ, რომელსაც ოთხი განყოფილება ეყოლება. თუ როგორ უნდა გაუძღვეს ერთი მასწავლებელი ოთხს განყოფილებას, ამის შესახებ პედაგოგიურს მწერლობაში სხვა და სხვა აზრია გამოთქმული, ამათში ყველაზე უფრო ნაყოფიერად, შედარებით რასაკვირველია, ჩვენ მიგვაჩნია ის საშვალება, როცა მასწავლებელი დილით ასწავლის ორ განყოფილებას ერთად, აძლევს სამს გაკვეთილს და, ცოტა ხნით დასვენების შემდეგ, ასწავლის დანარჩენ ორს განყოფილებას და იქაც სამს გაკვეთილს აძლევს. თუ რომელი და რომელი განყოფილება უნდა შეაერთოს მასწავლებელმა, ეს დამოკიდებულია მის პედაგოგიურს მოსაზრებაზე და ადგილობრივს პირობებზე; ამ შემთხვევაში მასწავლებელი ისე მოიქცევა, როგორც საქმისთვის სასარგებლოდ დაინახავს.

იმედია მომავალში, ცოტად თუ ბევრად თუ რიგიანი ერი ა გველირსა, ეს დაწესებულება ჩვენში იმდენს ღონისძიებას და სახსარს გამოძებნის, რომ ერთ მასწავლებიანი ოთხ წლიანი სკოლა, რაც დიდს უკიდურესობას შეადგენს, იშვიათი მოვლენა იქნება. ქვემოთ მოყვანილი პროგრამები, როგორც საქმეში ჩახედული მკითხველი დაინახავს, მოთხოვნილების მაქსიმუმს შეიცავს. რასაკვირველია ოთხს წლიანს სკოლაში ერთი მასწავლებელი, რაც უნდა დახელოვნებული იყოს იგი, ვერ გაივლის ყველა მასალას იმ ფარგალში, რაც ნაჩვენებია, მაგრამ იგი ვალდებული შეიქმნება პროგრამის უმთავრესი, არსებითი მხარე მაინც შეასრულოს.

საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ სამოსწავლო წლის დასაწყისში, აქ მოყვანილი გეგმის მიხედვით, მასწავლებლებმა თვითონვე უნდა შეადგინონ დაწვრილებითი პროგრამები, საკითხავი და საწერი მასალები სახელმძღვანელოებისა და სწავლაში ხელსაწყო ნივთების მიხედვით, დროსთან და ადგილობრივ პირობებთან შეთანხმებით, წინადვე გაითვალისწინონ, მოისაზრონ ყველაფერი და ისე შეუდგნენ საქმეს.

აქვე აღნიშნულს, თითოეული საგნის პროგრამას ბოლოში აქვს განმარტება და დასახელებულია სწავლებაში ხელსაწყო ნივთებიც; ყველა ეს რასაკვირველია, საბეში უნდა ჰქონდეს მასწავლებლებს, უნდა შეიძინონ ეს ნივთები, თვითონ შეისწავლონ კარგად და შემდეგ შეუდგნენ საქმით განხორციელებას.

აქვე მოგვყავს გაკვეთილების ცხრილი თითოეულის საგნისა კვირის განმავლობაში.

	I განყ.	II განყ.	III განყ.	IV განყ.	V განყ.	VI განყ.
1 **საღმრთო სჯული**	2—	2—	2 —	2 —	2 —	2 —
2 **ქართული ენა** (წერით). . . .	10—	10—	6 —	6 —	3 —	3 —
3 **არითმეტიკა და პრაქტ. გეომეტრია.**	6—	6—	5 —	5 —	4 —	4 —
4 **რუსული ენა** (წერით)	—	—	6 —	6 —	6 —	6 —
5 **საუბარი რეალურ საგნებზე.** .	2—	2—	2 —	2 —	— —	— —
6 **გალობა და სამღერა.** . . .	2—	2—	2 —	2 —	2 —	2 —
7 **ხატვა-ხაზვა**	2—	2—	2 —	2 —	2 —	2 —
8 **ბუნების მეტყველება** (ელემენტარული ფიზიკა, ქიმია, ბოტანიკა, ზოოლოგია და ჰიგიენა).. . .	—	—	—	—	5 —	5 —
9 **სამშობლოს შესწავლა** (გეოგრაფია და ისტორია).	—	—	—	2 —	— —	— —
10 **საზოგადო გეოგრაფია** (საქართველოს გეოგრაფიასთან დაკავშირებით)	—	—	—	—	2 —	2 —
11 **საზოგადო ისტორია** (საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებით	—	—	—	—	2 —	2 —
12 **კანონები და საუბარი ეკონომიურს კითხვებზე**	—	—	—	—	2 —	2 —
	24	24	27	27	30	30

სადაც სკოლას ბაღი და ბოსტანი ექნება, მოწაფეები მუშაობით ფიზიკურადაც უნდა ვარჯიშობდნენ, ამას გარდა მოწაფეები სხვა და სხვა გვარ სათამაშოების მოწყობითაც და სადაც შესაძლებელი იქნება ხელით შრომაშიაც უნდა ავარჯიშებდნენ სხეულის ნაწილებს.

სახალხო სკოლებში ქალები და ვაჟები ერთად უნდა სწავლობდნენ. მხოლოდ ასეთ შერეულს სკოლებში სასურველია, საცა ორი მასწავლებელია, ერთი მათგანი მაინც ქალი იყოს, რადგანაც მოსალოდნელია, რომ ის მოწაფე ქალებს, სხვათა შორის, ჭრა-კერვას და სხვა ხელსაქმესაც შეასწავლის. —

მკითხველი, უეჭველია, მიხვდება, რომ დაბალს პირველ დასაწყისს სახალხო სკოლებში ჩვენ უპირატესობას საზოგადო განვითარებას ვაძლევთ, რადგანაც დარწმუნებული ვართ, რომ ვერც ერთი დაბალი სახალხო სკოლა ვერ მისცემს მოწაფეს ამა თუ იმ სამეურნეო დარგისათვის საკ-

მარისს სპეციალურ ცოდნას, თუ მას საზოგადო განვითარება და მომზადება აკლია, ამიტომაც დასაწყისი სკოლების უპირველესს მიზანს მოწაფის საზოგადო განათლება, გონების განვითარება და ზნეობრივად ამაღლება უნდა შეადგენდეს, რასაც თან მოჰყვება სპეციალურად შესწავლა რომელიმე მეცნიერებისა, ან მეურნეობის რომელიმე დარგისა სპეციალური სკოლების საშვალებით. ვიტყვით მეტსაც— თუ მოწაფეს რიგიანი საზოგადო განვითარება, საგნის ხალისი და სიყვარული ექნება, მას არ გაუძნელდება თვით განვითარების წყალობით თვითონვე გაიკვლიოს გზა და შეუდგეს ამა თუ იმ სახალისო საგნის სპეციალურად შესწავლას, თუ, რასაკვირველია, საჭირო საკითხავი წიგნები და ხელსაწყო ნივთები ექნება. ჩვენ წინააღმდეგნი არა ვართ, რომ სახალხო სკოლებში პრაქტიკულად ავარჯიშებდნენ მოწაფეებს მეურნეობის რომელიმე დარგში იმდენად, რამდენადაც შესაძლებელი იქნება ეს ვარჯიშობა პედაგოგიურის მოსაზრებით, ამას თვით ბუნების მეტყველების შესწავლაც ითხოვს, რასაც საკმარისი ადგილი აქვს დათმობილი ჩვენ მიერ შემუშავებულს პროგრამებში.

საღმრთო სჯული.

I განყოფილება (პირველი წელიწადი)

1. ზნეობრივი შინაარსის მოთხრობები ბავშვების და შათთან დაახლოვებულის ცხოვრებიდან. 2. წინასწარი ცნებები ქრისტეს სარწმუნოებაზე, რაც ხელს შეუწყობს ბავშვების მიერ საღმრთო ისტორიიდან მოთხრობათა შეგნებაში. 3. ქვეყნისა და პირველ ადამიანის შექმნა. 4. სამოთხე. 5. ნეტარებითი ცხოვრება ადამ და ევასი სამოთხეში. 6. შეცოდება და მაცხოვრის მოლოდინი. 7. დვიისმშობლის დაბადება. 8. დვიისმშობლის ტაძრად მიყვანება. 9. იოანნე ნათლისმცემელი. 10. ხარება. 11. მაცხოვრის დაბადება. 12 ნათლისღება. 13. ქადაგება იესო ქრისტესი. 14. ჯვარცმა იესო ქრისტესი. 15. აღდგომა იესო ქრისტესი. 16. ამაღლება. 17. სული წმინდის მოფენა. 18. ჯვართ ამაღლება. 19. აღგილობრივი ტაძრის დღესასწაული.

ლოცვები: 1. სახელითა მამისათა... 2. ლოცვა იესო ქრისტესი. 3. სამების ლოცვა. 4. ლოცვა სწავლის დაწყების წინ. 5. ლოცვა სწავლის გათავების შემდეგ. 6. ლოცვა უფლისა.

II განყოფილება (მეორე წელიწადი)

კურსი იგივეა, რაც პირველ განყოფილებაში, მხოლოდ უფრო გავრცელებით და შეკვსებით:

1. ქვეყნის შექმნა. 2. სამოთხე და ცხოვრება პირველ ადამიანებისა. 3. მცენება უფლისა ხე ცნობათისა კეთილისა და ბოროტის შესახებ. 4. ეშმაკის შური. 5. შეცოდება ადამისა და ევასი. 6. დასჯა ცოდვისათვის და მაცხოვრის მოლოდინი. 7. ადამის შვილები და ძმის მოკვლა. 8. ნოე და წარღვნა. 9. ბაბილონის კოდოლის შენება. 10. აბრაამი და ისაკი. 11. იოსები და იმისი ძმები. 12. მოსე წინასწარმეტყველი. 13. სამსონი. 14. დავითი და გოლიათი. 15. დავითის გამეფება. 16. ილია წინასწარმეტყველი. 17. დანიელი და მისი ამხანაგები. 18. მაცხოვრის მოლოდინი და დვიისმშობლის დაბადება 19. ტაძრად მიყვანება ქალწულ მარიამისა. 20. ხარება. 21. იოანნე ნათლისმცემლის დაბადება. 22. შობა ქრისტესი. 23. მირქმა. 24. ყრმა იესო ტაძარში. 25. ნათლისღება და პირველი სასწაული იესო ქრისტესი. 26. ბზობა და განკურნება დავრდომილისა ცხოვართა საბანელში. 27. ნაინელი ქვრივის შვილის აღდგენა. 28. ხუთი პურით ხალხის გა-

ძღომა. 29. ფერისცვალება. 30. იგავი მოწყალე სამარიტელზე 31. იგავი მეზვერე და ფარისეველზე. 32. ბავშვების კურთხევა. 33. ლაზარეს აღდგენა. 34. ვნება ქრისტესი. 35. აღდგომა და ამაღლება ქრისტესი. 36. სული წმინდის მოფენა. 37. წმინდა ნინო ქართველთა განმანათლებელი.

ლოცვები: 1. სული წმინდის ლოცვა. 2. მფარველ ანგელოზის ლოცვა. 3. ღვთისმშობლის ლოცვა.

III განყოფილება (მესამე წელიწადი).

მოკლე სისტემატიური კურსი საღმრთო ისტორიიდან ძველი და ახალი აღთქმიდან. განცხობა ქანაანის ქვეყნისა გეოგრაფიისა და ტოპოგრაფიის მხრივ.

ლოცვები: 1. ათი მცნება, 2) დიდის ლოცვა. 3. ლოცვა ძალად მისვლისა. 4. სიმოღლო სარწმუნოებისა.

IV განყოფილება (მეოთხე წელიწადი).

1. ცნება საღმრთო წერილის შესახებ. 2. საღმრთო წერილის წიგნები. 3. მსოფლიო კრებები. 4. ახსნა მართლმადიდებელი ეკლესიის შვიდი საიდუმლოისა. 5. მარხვა და უქმეები. 6. საქართველოს წმინდანების ცხოვრება და მათი უქმეები. 7. ღვთის მსახურება: ცისკარი, წირვა, მწუხრი, პარაკლისი და პანაშვიდი. 8. მოკლე საეკლესიო ისტორია: ცნება ეკლესიაზე, როგორც ქრისტიანთა კრებულზე, სული წმინდის მოფენა და ეკლესიის დაარსება. მოციქულთა მოღვაწეობა და ქრისტიანობის გავრცელება. კონსტანტინე დიდი და ქრისტიანობის გავრცელება. წმინდა ნინო და ქართველთა მოქცევა ქრისტეს სჯულზედ. სომხების მოქცევა ქრისტიანობაზე, რუსეთის მოქცევა ქრისტიანობაზე; გაყოფა ეკლესიისა აღმოსავლეთ დასავლეთად. სომხების ჩამოშორება სარწმუნოებით ქართველებისაგან. ცნობები კათოლიკეებზე და პროტესტანტებზე.

V განყოფილება (მეხუთე წელიწადი).

კითხვა და განმარტება მათე და მარკოზის სახარებისა, მოკლე ცნობები სხვა და სარწმუნოებათა შესახებ.

VI განყოფილება (მეექვსე წელიწადი).

კითხვა და განმარტება ლუკა და იოანეს სახარებისა. სხვა და სარწმუნოებათა მოკლე ისტორია. წიგნი კანონებისა და ფსალმუნები. მოციქულთა ისტორია.

შენიშვნა: საღმრთო სჯულში მესამე განყოფილებაში უნდა იხმარებოდეს სახელმძღვანელოდ „საღმრთო ისტორია ძველი და ახალი აღთქმისა, შედგენილი გ. იოსელიანის მიერ, მეოთხეში მისივე „ქართველი წმინდანების ცხოვრება". საღმრთო სჯულის სწავლებაში საჭიროა შემდეგი ხელსაწყო ნივთები: 1 პალესტინის ქარტა— 50 კაპ. 2. ქარტა ქანაანის ქვეყნისა იერუსალიმის გეგმით ფ. 50 კაპ. 3. ხუთი სურათი ღვთისმსახურების შესასწავლად სიტინის გამოცემა ფ. 1 მ 50 კაპ. 4. სურათები საღმრთო ისტორიიდან შრეიბერისა 14 ძველი აღთქმისა და 16. ახალი აღთქმისა ფ. 4 მ. 80 კაპ. 5. კულტურულ-ისტორიული ქარტები ლემანისა: 1 ეგვიპტის ტაძრები და იერუსალიმი ქრისტეს დროს ფასი ორივესი 2 მ. 55 კაპ. **მასწავლებლისათვის** საჭიროა: 1 საეკლესიო ისტორია მოსე ჯანაშვილისა, 2. ისტორიპ მართლ-მადიდებელი ეკლესიისა ეკლესიათა გაყოფამდე თარგმანი ჯავაშვილის მიერ ფ. 60 კ. 3. Исторія Религій Прайса ფ. 50 კაპ. 4. Вильгельмъ Бельше „Новая Книга Бытія" თარგმანი გერმანულიდან გრიგორიევისა, ბიტნერის რედაქციით, სურათებიანი გამოცემა ჟურნალ„ Вѣстн. Знаніе"-სი.

მოკლე განმარტება.

საღმრთო სჯულის სწავლების მთავარს მიზანს სახალხო სკოლებში უნდა შეადგენდეს ქრისტეს ზნეობრივი მოძღვრების ჩანერგვა ბავშვის სულში. სწავლების ხერხიც უნდა შეეთანხმონ ბავშვის სულის

მოთხთვნილებას, ისარგებლონ იმ მასალით, რასაც ბავშვი იძლევა და რასაც ის თავის თავად განიცდის სარწმუნოების მხრივ. ამის მიხედვით სასწავლო მასალის შემუშავებისა და გადაცემის დროს საღმრთო სჯულის მასწავლებელს სახეში უნდა ჰქონდეს პედაგოგიური საფუძველი და ბავშვის პსიხოლოგიური მხარე. ამავე დროს რელიგიის სწავლება დაკავშირებული და შეთანხმებული უნდა იქმნას აწინდელი მეცნიერთა გამოკვლევის ნამდვილ შედეგებთან და ჩვენი დროის ზნეობრივ შემეცნებასთან. საღმრთო სჯულიდან ისეთი მასალა უნდა ისწავლებოდეს, რასაც ასე თუ ისე ცხადი და გამასპეტაკებელი გავლენა ექნება ბავშვის რელიგიოზურ და ზნეობრივ გრძნობათა განვითარებაზე. ძველი სისტემატიური და დოღმატიური წესი საღმრთო სჯულის სწავლებისა, რასაც დღესაც ადგილი აქვს სკოლებში, დაგმობილი უნდა იქმნას კატეხიზმოსთან ერთად, რადგანაც არც ერთი მათგანი არ შეიძლება საფუძვლიანად ჩაითვალოს ბავშვის ზნეობრივად აღზრდაში. სასურველია, რომ ყველა მასალა, რასაც საღმრთო სჯულის მასწავლებელი გადასცემს მოწაფეებს, სრულის შეგნებით და მკვიდრად იქმნას შეთვისებული მოწაფეების მიერ, ამის შიხედვით უფრო სასურველია მოწაფეებმა იცოდნენ საღმრთო სჯულიდან თუნდ ცოტა, მაგრამ შეგნებით, საფუძვლიანად და კარგად, ვიდრე ბევრი და შეუგნებლად.

(შემდეგი იქნება)

რელიგიოზური აღზრდის გამო

წერილი ამერიკელთან

მივიღე თქვენი წერილი და მესიამოვნა მისი წაკითხვა, რადგან შიგ ვპოვე ისეთი აზრები, რომელიც სრულიად უდგება ჩემს შეხედულებასა,—ბავშვობის ასაკში, გარდა მშობლებისა და ბავშვის გარშემო მყოფთა პირადის მაგალითებით მოქმედებისა და გავლენისა, საჭიროა მიეცეს ბავშვს პირდაპირი რელიგიოზური აღზრდაც.

ჩემი რელიგიოზური შეგნება ცხოვრებისა, რომლიდანაც გამომდინარეობს ჩემი აზრიც იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს რელიგიოზური აღზრდა, ასეთია:

ღმერთს, სიცოცხლის სულიერ დასაწყისს, ჩვენ ვიცნობთ მხოლოდ იქიდან, რომ ვიცით ის არის ჩვენში და სხვა ადამიანში. ამიტომ ნამდვილი ღვთის მსახურება და პატივისცემა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ღმერთს ემსახურები და სცემ პატივს თავის თავში და სხვა ადამიანებში. თავის თავში ღვთის მსახურება იმაში გამოიხატება, რომ წარმოდგენილი გქონდეს, მუდამ თვალ.წინ გესვენოს ხატი უზენაესის უაღრესობისა, სახიერებისა და სიცოცხლეშივე მიისწრაფოდე ამ უაღრესობა - სისრულისკენ მისაახლოვებლად.

ღვთის მსახურება და პატივისცემა სხვა ადამიანებში იმაში მდგომარეობს, რომ აღიარო თითოეულს ადამიანში იგივე ღმერთი, რომელსაც ჩვენში ვაღიარებთ და თითოეულ ადამიანთან შეერთების, გაერთიანების მისწრაფებაში; ეს შეერთება კი შესაძლებელია მხოლოდ სიყვარულით.

ვფიქრობ, რომ ამნაირ ღვთის-მსახურება პატივ-ცემაშია მთავარი აზრი ყველა სარწმუნოებისა და, მგონია, რომ ამნაირი ღვთის-მსახურება შეიძლება და კიდეც უნდა ჩავაგონოთ ბავშვებსაც. მგონია და გამოცდილებითაც ვიცი, რომ ამნაირი სწავლა ბავშვისათვის ადვილი გასაგებია და სახალისოც, განსაკუთრებით თუ მარტო ამაშია მთელი სწავლა ღვთის-მსახურებისა.

ბავშვებისათვის ღვთის მსახურება-პატივისცემის შთაგონება, ჩემის აზრით, ასე შეიძლება:

— ყველამ ვიცით—ვეტყოდი ბავშვებს,—რომ არავის უნდა ვაწყენინოთ, არ გავლანძღოთ, არ გავკიცხოთ ვინმე, ყველასთან კეთილად უნდა ვიყვეთ, ყველასათვის სიკეთე უნდა გვინდოდეს, ყველა უნდა გვიყვარდეს, და ასე რომ ვიცხოვროთ, სხვისთვინაც კარგი იქნება და ჩვენთვინაც, მაგრამ ჩვენ კი ხშირად გავკიცხავთ სხვებს, ვლანძღავთ და შეურაცხყოფას ვაყენებთ, მხოლოდ ჩვენთვის გვინდა სიკეთე და მხოლოდ ჩვენი თავი გვიყვარს, ან ისინი, ვისაც ჩვენ ვუყვარვართ; როცა ასე ვცხოვრობთ ცუდია სხვებისთვის და ჩვენთვინაც.

— რატომა ასე?

— ეს იმიტომ ხდება, რომ თითოეული ჩვენთაგანი ცხოვრობს სულითა და ხორცით. სულს მარტო თავისთვის არაფერი უნდა, არამედ ყველასთვის, ქვეყანაზე ყველასთვის სიკეთე სწადიან, ყველა უყვარს, სხეულს კი ყველაფერი კარგი მარტო თავისთვის უნდა, მხოლოდ თავის თავი უყვარს, ამიტომაც რამდენადაც უფრო მეტს სულისათვის ცხოვრობ, და ნაკლებს სხეულისათვის, იმდენად ცხოვრება უკეთესია სხვა ადამიანებისთვინაც და შენთვინაც.

რა უნდა ვქნათ, რომ მეტი სულისთვის ვიცხოვროთ და ნაკლები სხეულისთვის? იმისთვის, რომ მეტი სულისთვის ვიცხოვროთ და ნაკლები სხეულისთვის, უნდა პირველი ისე გვესმოდეს, რომ სული—ეს არის სული ღვთისა ადამიანში, ერთი და იგივეა ყველა ადამიანში, და მეორე უნდა დავეჩვიოთ და ვაკეთოთ ის, რაც სულსა სწადიან და არა ის, რაც მარტო ხორცს უნდა.

რომ ცხადად გვესმოდეს ის, რომ ჩვენი სული—ეს ღვთის სულია ადამიანში, კარგია ვისმენდეთ, ვიმეორებდეთ, ან ვკითხულობდეთ ბრძენთა და წმიდანების მოძღვრებას იმის შესახებ, თუ რა არის ღმერთი და როგორ ცხოვრობს ის ადამიანებში. რომ მივეჩვიოთ იმის კეთებას, რაც სულსა სწადიან და არა რაც ხორცს უნდა, კარგი იქნება ყოველ დღის ბოლოში მოვიგონოთ ყველა ის, რაშიაც მოვიქეცით არა ისე, რასაც სული ითხოვდა, არამედ ისე, როგორც ხორცს უნდოდა; მეორე დღის დასაწყისში უნდა ვეცადნეთ, რომ არ გავიმეოროთ იგივე შეცდომები.

ასე ვეტყოდი ბავშვებს თავისთავში ღვთის-მსახურების შესახებ. ღვთის-მსახურებაზე სხვა ადამიანებში ვეტყოდი ასე:

— გახსოვდეთ ყოველთვის, რომ თითოეულს ადამიანში ცხოვრობს იგივე ღმერთი, რაც თქვენშია, ამიტომაც, როცა კაცს დაუახლოვდე-

ბით, ნუ დაივიწყებთ, რომ იმაზე უაღრესი და უსაჭიროესი, რაც იმ ადამიანშია, არაფერია ქვეყანაზე. ამის გამო, რაც უნდა ცუდი იყვნენ ჩქმენი ადამიანისა, თვითონ ადამიანს, ვინც უნდა იყოს იგი, პატივი უნდა სცე, როგორც ღმერთს და გიყვარდეს, როგორც შენი თავი, უნდა მოექცე ისე, როგორც შენთვის მოისურვებდი, რომ მის ადგილას ყოფილიყავი.

აი მოკლეთ ჩემი პასუხი თქვენს შეკითხვაზე — თუ როგორი უნდა იყვეს რელიგიოზური აღზრდა ბავშვისა. მოხარული ვიქნები თუ ამ ამ ჩემს აზრებს გამოიყენებთ.

ლ. ტოლსტოი

შინაური მიმოხილვა

(მასწავლებელთა ბანაკიდან).

ხალხის სიბნელე და უვიცობა არის ერთი უმთავრესი მიზეზი მისი სიბეჩავისა, ქონებრივი და ზნეობრივი სიღატაკისა. ეს დღეს არავისთვის არ არის საიდუმლო. ყველა ფხიზელი ერი ყოველგან დიდს ყურადღებას აქცევს სასკოლო სასკითხებს. თვით ევროპაშიაც, საცა კი ჩვენსავით დამონავებულია ერია, ყველგან გამწვავებული ბრძოლაა ნაციონალური სკოლისა და სწავლა აღზრდის საუკეთესო იდეალისათვის, რადგანაც ყველას კარგად ესმის, რომ სკოლა მძლავრი ფაქტორია ერის საკუთარი სახის, ინდუვიდუალობის შენარჩუნებლად. ჩვენში კი, ჩვენ და სამწუხაროდ მაღალ ფარდოვან და ლამაზ სიტყვებს თუ გაიგონებ, თორემ საქმით შეუდარებელ გულგრილობას ვიჩენთ საკუთარის ინტერესების დაცვაში.

დღეს ყველა ჭკუათმყოფელ ადამიანისათვის ანბანურ ჭეშმარიტებად არის გადაქცეული ის გაცვეთილი აზრი, რომ რუსეთის სახალხო სკოლებს ხალხში სწავლა-განათლების ნაცვლად მიზნად გაუხდია მასში ცხოველმყოფელი სხივის ჩაქრობა, მაცოცხლებელი სულის ჩაკვლა და მჩქეფარე სისხლის ამოშრობა. ეს სულთამხუთავი სასკოლო რეჟიმი ყველაზედ სასტიკსა და გამანადგურებელ ძალას იჩენს არა რუსთა სკოლებში. ჩვენი სკოლები ბასრი იარაღია ჩვენივე გაჩანაგებისა და ძალად ასსიმილიაციის მოსახდენად მომარჯვებული. მერე რა საშვალებას ვღონობთ ამ უბედურების თავიდან ასაცდენად? თითქმის არაფერს... ზიზილ-პიპილეტით აჯილდოვებენ და მაღალ საფეხურებზე მიაცოცებენ იმ ხალხის გამყიდველთ და ერის მოღალატე მასწავლებელთ, რომელნიც დიდ მხნეობასა და ერთგულებას იჩენენ დედა-ენის სკოლებიდან განდევნის საქმეში. ეს ვაჟბატონები ისე გაკადნიერდნენ, რომ ასეთი უკუღმართობის გამართლებასაც კი ლამობენ, უყურადღებოდ სტოვებენ დიდაქტიკის ელემენტარულ კანონებს, რომ ყრმათა სწავლება იწყებოდეს ადვილად გასაგებიდან და თან-და-თან გადადიოდეს უფრო რთულ და ძნელზე; ეწინააღმდეგებიან პედაგოგიის ძირითად დებულებას, რომელიც ითხოვს სწავლების დაწყებას ბავშვის გასაგებ დედა-ენით. მათი ცდა ამაოა! ვერც ერთი საღი მოსაზრებით, ვერ გაამართლებენ პირველ წლიდანვე

ნორჩი ბავშვის უცხო ენაზე სწავლების წესს. პედაგოგიის მამამთავართა ავტორიტეტული აზრით და თვით ცხოვრების ყოველდღიური დაკვირვებით ნათლად ვხედავთ, რომ თვინიერ დედა-ენისა შეუძლებელია ნორმალური განვითარება, როგორც კერძო პიროვნებისა, მით უმეტეს მთელი ერისა. პროფ. სიკორსკი ამბობს: „ბავშვებმა სწავლა უნდა დაიწყოს უწინარეს ყოველისა მშობლიურის ენით. დედა ენა ყველაზედ უფრო ბუნებრივია არა მარტო ზნეობრივი მოტივებით, არამედ მემკვიდრეობით, წინად-განწყობილების ძალიდაც, რომელიც გადადის შთამომავლობიდან შთამომავლობაზე და დედა ენას ჰქმნის ფიზიოლოგიურად მახლობლად და ამისთვის უფრო ადვილ შესათვისებლად“.

განმათავისუფლებელ მოძრაობის შემდეგ ჩვენს სკოლებში 81 წლის სასწავლო გეგმა შემოიღეს, რომლის წყალობითაც სამშობლო ენას ცოტათ არის მაინც კარები გაეღო. ამ პროგრამით ნაციონალურ სკოლის იდეალს ერთის ნაბიჯით ვუახლოვდებით, რაც ჩვენ, რასაკვირველია, დამორებით ვერ გვაკმაყოფილებს. და აი იმის მაგივრად, რომ ერთხელ უკვე მოპოვებული უფლება განვიმტკიცოთ და სკოლის განახლებისათვის ახალი მოთხოვნა წამოვაყენოთ, გამომდგარან და ყველასაგან დაგმობილ 92 წლის სასწავლო პროგრამას უბრუნდებიან და ლევიცკის მეთოდს ავარჯიშებენ. ასეთი „ბეჯითობას“ ბევრი სახალხო მასწავლებელი იჩენს, რისთვისაც ალბათ ჯეროვან ჯილდოსა და დაწინაურებას მოელის. სხვათა შორის ქ, ქუთაისში არსებობს უფასო საქალებო სასწავლებელი, რომელიც თვისი გარეგნული კეთილ-შეხედულებით და მოწყობილებით ადამიანის თვალს იტაცებს, მაგრამ საკმარისია გაეცნოთ სკოლის შინაურ მდგომარეობას—სწავლა-აღზრდის საქმეს, რომ იმედები გაგიცრუვდეს. სხვა რომ არა იყოს რა ამ სკოლისათვის 81 წლის სასწავლო გეგმა არ არსებობს: პირველ წლიდანვე დედა-ენაზე ძლივს მოტიტინე ბავშვებს უცხო ენით უმასპინძლდებიან და ამნაირად გონებას უხშობენ და სწავლის სურვილს უკლავენ. ამ სასწავლებლის ბრჭყვიალებით მოტყუებულთა ქუთაისის ხმოსნებმა გასულ სასწავლო წელს მადლობაც კი გამოუცხადეს დასახელებულ სკოლის უფროსს. თუ მარტო „დაუღალავი ენერგიისა და შრომის“ მიხედვით მადლობის ღირსნი არიან ამ სკოლის უფროსები, მაშინ იანოვსკიმ, ლევიცკიმ და სხვებმა რალა დააშავეს?! განა ამათ ცოტა შრომა და ენერგია დახარჯესდასახულ მიზნის მისაღწევად?., იმავე ქუთაისის თვითმმართველობამ, ადგილობრივ მასწავლებელთა კორპორაციის სურვილის წინააღმდეგ და დირეკციის წინადადების თანახმად, საუკეთესო თბილ ადგილზე წამოასკუპა საეჭვო ზნეობის ადამიანი, რომელსაც კავშირი აქვს ჩვენი ქვეყნის მოკეთეებთან და დეზორგანიზაცია და დემორალიზაცია შეიტანა მასწავლებელთა წრეში...

მხოლოდ ჩვენისთანა ფუქსავატ და დაუდევარი ხალხის ცხოვრებაში ექმნება ადგილი ასეთს მოვლენას, რომ თბილ ადგილებზე წამოსკუპებულნი დიდებული გვამნი სათანადო მთავრობის წინაშე შუამდგომლობენ მათი შვილების სამშობლო ენის სწავლებისაგან განთავისუფლებას და ამავე დროს კი ეს ვაჟბატონები ჩვენს საზოგადოებაში დიდს პატივსა და მოწონებაში არიან! რალა საკვირველია ამის შემდეგ თუ ასეთს მაგალითს იძლევა ქუთაისის წმ. ნინო ქალთა-გიმნაზიის ერთი გავლენიანი ქართველთაგანი, რომ ამავე გიმნაზიაში,

სადაც ქართველი მასწავლებელნი საკმარისათ არიან და მოსწავლენი თითქმის ყველა ქართველებია, და ქართულის სწავლება კი აბუჩად არის აგდებული. აქ სწავლა დასრულებულ ქალებს კითხვაში ენაც არ აქვთ გატეხილი და ერთად ორი სიტყვის დაწერა არ შეუძლიათ ქართულათ.

ამ სასწავლებელს ადგილობრივი საზოგადოება საადგილ-მამულო ბანკის სახით მატერიალურ დახმარებასაც უწევს იმ მიზნით, რომ სამშობლო ენას შესაფერი ადგილი ექმნეს დათმობილი, მაგრამ ფული ტყუილად იკარგება, რადგან არავინ კითხულობს ასწავლიან რასმე თუ არა.

როგორც მოგეხსენებათ ჩვენი საზოგადოების მაღალ და ცოტათ არის მაინც შეძლებულ ელემენტების უმრავლესობას ქართული ენა და განახლებული ეროვნული სკოლა ჩირადაც არ უღირთ და სრულიადაც არ აფასებენ: მიბრძანდით ჩვენებურს კრებებზე და ბევრიც რომ ეცადოთ ქართულად დაძრულ სიტყვას ვერ გაიგონებთ; ფეხი შეადგით მათ ოჯახებში და ბავშვების უცხო ენაზე ტიტინით დასტკბით. აქ პატარაობადანვე უნერგავენ მშობლიურ ენის უპატივცემულობას და აძულებენ კიდეც. ამ ოჯახებში ღრმად აქვს გადგმული ფესვები დასახელებულ საზიზღარ ანომალიას და მისი აღმოფხვრა ფრიად ძნელია. ხოლო თუ ამას დროზე ყურადღება არ მიექცა, ეს სენი ჩვენი ხალხის ფართე წრეებსაც მოედება და შემდეგ გვიანღა იქნება სინანული და თითთა კბენანი. ჩვენი ამგვარად თავის თავზე ხელის აღებისა და საკუთარი ინტერესების თვით ჩვენივე ფეხებით გათელვის პირდაპირი შედეგია მთავრობის საარაკო განკარგულება, რომლითაც ქარველ 5—6 წლის ბავშვებს საბავშვო ბაღში დედა-ენაზე ტიტინს უკრძალავენ. ამის შემდეგ არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ეს განკარგულება თავის ლოგიკურ დასკვნამდი მივა და ჩვენს ოჯახებშიც ქართულს ენაზე ლაპარაკის აკრძალვას მოვესწარით. განა ამის საუკეთესო მაგალითს ჩვენვე არ ვიძლევით?! ჩვენ სისკოლო საკითხში ყურადღება უნდა მივაქციოთ და იმედის თვალები მივაპყრათ გადაგვარების გზაზე მდგომ საზოგადოების ნაწილს კი ჯრა, არამედ იმას, რომელზედაც საზოგადოთ დამოკიდებულია ჩვენი ერის აღორძინებისა და წინმსვლელობის საქმე.

სასკოლო მთავრობა და მისი გათახსირებული აგენტები, ზოგნი ჩვენი მასწავლებელნი ცდილობენ სკოლებში კვლავინდებურად გაამეფონ ტვინის გამლაყებელი ძველი პროგრამები და სკოლის განახლებისათვის თავდადებულნი მასწავლებელნი განდევნონ, თავიდან მოიცილონ.

განა ამის ნაყოფს დღესაც თვალსაჩინოდ არ ვხედავთ?! რომელი მასწავლებელია მომხრე ბავშვის ტვინის გამალაყებელი პროგრამებისა დღესაც ეს ცხადად სჩანს ქუთაისის ქალაქის დასაწყისს ზოგს სასწავლებლებში, სადაც საბრალო ბავშვებს უზომოთ ამახინჯებენ თავიდანვე უცხო ენაზე სწავლებით. ცხადად სჩანს იგივე მოვლენა ჩვენს დედა ქალაქ ტფილისშიაც, სადაც შემოიღეს ახალი უკუღმართზე უუკუღმართესი პროგრამები, რომლის შედგენაში, ჩვენდა სავალალოდ, თვითონ მასწავლებლებივე ღებულობდნენ მონაწილეობას. ამისთანა მასწავლებლების გაიძვერული მოქმედება საიდუმლოდ არ დარჩება და, როცა იქნება, ფარდა აეხდება მათს საზიზღარ საქციელს და თითოეულის მოქმედება თავის დროზე გამოქვეყნებული იქნება.

ეს მასწავლებლები, როგორც აგენტები, მოხერხებულად ყოვლად უგვანო აგიტა-

ციასაც კი ეწევიან თავიანთ ამხანაგებში და ამტკიცებენ: „საჭიროა პირველ დაწყებით სკოლების პროგრამების სხვა საშვალო და სამოქალაქო სასწავლებელთან შეფარდება, სადაც ყველა საგნებს რუსულს ენაზე თხოულობენ. თვით ცხოვრებაშიც ყოველს ნაბიჯზე მხოლოდ რუსულის მოთხოვნილებასა ვგრძნობთ. ამნაირად, როგორც ხედავთ, გარეშე პირობები თავისთავად ითხოვენ ახალი სასწავლო გეგმის ფარის ყოფას და ჩვენც მეტი რაღა დაგვრჩენია—ცხოვრების მოთხოვნილებას უნდა მივეგებოთ“. ამ რიგად ეს გათახსირებული აგენტები სახელს უტეხენ ახალ წესს და ახალ კურს ქვეყანას აძულებენ.

ამ ვაჟბატონებს ავიწყდებათ ის ჭეშმარიტება, რომ სკოლა უნდა ემსახურებოდეს ჭეშმარიტს განათლებას, უნდა ჰგმობდეს იმას, რაც ცხოვრების უკულმართობის ნაყოფია და არა განამტკიცოს ის, რასაც უკულმართობა მოითხოვს. ამ სახით სკოლას, თავისი განმანათლებელი მოქმედებით, მაღლა უნდა ეჭიროს განათლების დროშა და არ ჩამოქვეითდეს ისე, როგორც დღეს ვხედავთ დაცემულს და გახრწნილს ცხოვრების უკულმართი პირობათა გამო. სახალხო მასწავლებელთა უმრავლესობა მოკლებულია ფართო საზოგადოების თანაგრძნობას და დახმარებას, აგრეთვე საკმაო განვითარებასა და ვრცელ მსოფლმხედველობას, ბოლოს და ბოლოს ვერ უძლებს მთავრობისა და გარყვნილ ამხანაგების იერიშებს და მათი იარაღად ხდება. ასეთ დროს ჩვენი პრესსას და მოწინავე საზოგადოებას სახალხო სკოლები და მისი მასწავლებელნი, რომლებზედაც თამამად შეიძლება ითქვას, რომ ერთის მხრით დამოკიდებულია ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალი, თითქმის სრულიადაც არ ახსოვს რაც შეუწყნარებელია დღეს მაინც, როდესაც საყოველთაო სწავლების შამოღებაზე ასე დაჟინებით ლაპარაკობენ.

საზოგადოებრივ და ეროვნულ პროგრესს მაშინ დაეტყობა სწრაფი მსვლელობა, როცა მცხოვრებთა დიდი ნაწილი შეგნებულად მოეკიდება თავის ინტერესებს, მხნედ და ერთსულოვნად დაიწყებს ბრძოლას მისს განსახორციელებლად, აი სწორედ მასსაში ამ შეგნების შეტანა შეუძლიან რიგიანად დაყენებულ საყოველთაო სწავლებას; ახლანდელ სასკოლო პირობებში კი, რომლის კიდევ ფფრო გაუკულმართებას ცდილობენ, ეს სკოლები ეროვნული გადაგვარებისა და ჩვენი თვითმკვლელობის მომასწავებელი იქნება, რადგან მთავრობა თავის მიდრეკილების თანახმად მოაწყობს სწავლებას და ჩვენი კეთილშობილურ ყოველგვარ მისწრაფებას გზას შეუკრავს. მაშ რაშია ხსნა? ერთად ერთი ხსნა საზოგადოების თვითმოქმედებაშია. საზოგადოებაში უნდა აღმოცენდეს განახლებულ სკოლისადმი ცხოველი ინტერესი, ამ საკითხის გარშემო უნდა შამოკრბენ და საუკეთესო ნაციონალურ აღზრდისათვის თავდადებულად იშრომოს ყველამ, ვისაც ჩვენი ქვეყნის ავ-კარგი მართლაც გულ-წრფელად აინტერესებთ. უპირველესად თავი ყურადღება უნდა მიექცეს გონების გამავითარებელ საშუალებებს მოკლებულ, ყოველთვის მწვავე გონებრივ განსაცდელში მყოფ და ყველასაგან ათვალწუნებულ და დევნილ სახალხო მასწავლებელთ. უნდა გვახსოვდეს, რომ ის საზოგადოება, რომელიც მასწავლებელთა გონებრივსა და ზნეობრივს ამაღლებაზე ირ ზრუნავს, თავის-თავის მტერია; ის ქვეყანა, სადაც მასწავლებელნი აბუჩად არიან აგდებული, ვერ იხეირებს.

მიუხედავად მძიმე პასუხ საგებ პროფესიისა და ფართო გონებრივი ჰორიზონტის უცილებელ საჭიროებისა, ჩვენი პედაგოგების უმრავლესობის ცოდნა თვისი სიღრმითა და ყოველ მხრივობით ბევრი თვალსაჩინო დეფეკტითაა სავსე. სანამ მასწავლებელი, ეს სკოლის ბურჯი, არ იქნება ჩაყენებული დაახლოვებით სასურველ პირობებში, მანამ საქმის რიგიანად გაუმჯობესობა წარმოუდგენელია. მასწავლებელთა მდგომარეობის გაუმჯობესობას და მათი გათვითცნობიერებას, რასაკვირველია, ხელს არ შეუწყობს ის მთავრობა, რომელიც ფელდფებელებით სკოლების გავსებას ლამობს. ჩვენთვის სასურველ ნიადაგზე დაფუძნებული სახალხო სკოლა განხორციელდება მხოლოდ, როგორც შეგნებული მისწრაფების საგანი და არა თავის თავად. ამისთვის ჩვენში ყველაზედ უფრო საჭიროა კერძო თაოსნობის, ინიციატივის განვითარება. კერძო და საზოგადო ინიციატივა და მხნეობა, ეჭვი არ უნდა, თან და თან სძლევს ყოველგვარ დაბრკოლებათ. ამისთვის ფრიად სასიამოვნო და დიდათ სასარგებლო იქნებოდა რომ წ. კ. საზოგადოების გამგეობას წარსულ ზაფხულში თბილისში მასწავლებელთა კურსების გამართვის განზრახვა სისრულეში მოეყვანა. კაცს მწარედ გული გიკვნესის და უიმედობა გიპყრობს, როდესაც ჰკითხულობ რუსეთის ვრცელ ტერიტორიაზე მასწავლებელთა კურსების ამბებს; ყოველგან გაცხარებული მუშაობაა. თვით ჩვენ სამშობლოში სომხები აგერ მგონი მესამე წელიწადია მართავენ ასეთს კურსებს და ჩვენ კი გულხელ-დაკრეფილნი ვსხედვართ და ერთმანეთის კინკლაობაში ვკლავთ ძვირფასს დროს. სასურველია მომავლისათვის მაინც მოვახერხებდეთ დასახელებულ კურსების მოწყობას. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ფილიალურ განყოფილებათა თაოსნობით მასწავლებელთათვის ლექციები უნდა იკითხებოდეს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეებში, საიდანაც ისინი ამოკრეფენ გონებრივსა და ზნეობრივ ძალას და გამხნევებულნი მეტის ხალისით განაგრძობენ თავიანთ მძიმე და ნაყოფირი უღლის ზიდვას. აქ მასწავლებელნი ერთმანეთს დაუახლოვდებიან და საერთო ინტერესებით და სოლიდარობით გაიმსჭვალებიან.

უნდა დაარსდეს მოძრავი სამკითხველოები, საიდანაც მასწავლებელნი და მათი ხელმძღვანელობით ხალხიც წიგნებით ისარგებლებენ; გაჩნდეს თვითგანვითარების წრეები და სხვა. მაგრამ ყველაზედ უფრო საჭიროა თვით ჩვენ სახალხო მასწავლებელნი გონს მოვიდეთ და გამოვფხიზლდეთ. კმარა უნაყოფო კინკლაობა და „ეშმაკის“ თაყვანის ცემა. დროა ქვეყანას ვამხილოთ იმ მოღალატეთა „საგმირო საქმეები“, რომელნიც ბიუროკრატიის სულსა და გულს შეადგენენ და საზოგადოების ნდობასაც იმსახურებენ. დროა ჩვენგან დამოკიდებული ყოველივე ღონე ვიღონოთ ოჯახში და სკოლაში რაციონალურ პედაგოგიის თანახმად მოწყობილ სწავლა-აღზრდისათვის და კრიჭაში ჩავუდგეთ მთავრობის აგიტატორებს, რითაც ჩვენი მოზარდი ახალგაზდობა, მომავალი თაობა ბევრს მოიგებს ყოველ მხრივ და ჩვენც შეგვეძლება გულდამშვიდებით თვალი გავუსწოროთ მომავალს. გარწმუნებთ ჩვენ ყველანი სათითაოდ საერთო ინტერესებით და სოლიდარობით რომ გავიმჭვალებოდეთ და გაბრწნილ ადამიანების გავლენას არ დავემორჩილებოდეთ, მაშინ ნაყოფი ერთობ თვალსაჩინო იქნება.

ფარი.

ცნობები საყოველთაო სწავლების შესახებ

ტფილისის გუბერნიაში.

შარშანწინ სახელმწიფო სათათბიროში გამოითქვა სურვილი საზოგადო დასწყისი სწავლების შემოღების შესახებ. ამ სურვილის მიხედვით სახალხო განათლების სამინისტრომ მოიწადინა გამრავლება საქალაქო სკოლების რიცხვისა, გაფართოება პროფესიონალურ და სახელოსნო სკოლების ცხრილისა და გაბევრება საშუალო სასწავლებლებისა.

სამინისტრო კავკასიის სწავლა განათლების მზრუნველსაც შეეკითხა სასკოლო ასაკის ბავშვთა რიცხვის და სასწავლებელთა რაოდენობის შესახებ თფილისის გუბერნიაში.

ტფილისის პოლიცმეისტერის და მაზრის უფროსების მიერ შეკრებილი იქმნა შემდეგი ცნობები:

ტფილისში სასკოლო ასაკის ბავშვებია 24,416; საშუალო სასწავლებელია 23; პროფესიონალური 1. და სხვა დაბალი სკოლები 83. პოლიცმეისტერის აზრით საჭიროა გაიხსნას I ნაწილში ორი ექვს კლასიანი საქალაქო სასწავლებელი; მე II ნაწილში სამი დასწყისი სკოლა. მე III ნაწილში ერთი საქალაქო დასწყისი სკოლა; მე VII ნაწილში —ოთხი დასწყისი სკოლა; მე VIII ნაწილში ერთი სახალხო სკოლა და ერთიც საქალაქო სასწავლებელი; მე IX ნაწილში ხუთი საქალაქო სასწავლებელი და მე X ნაწილში —ერთი საქალაქო სასწავლებელი.

ტფილისის მაზრაში სასკოლო ასაკის ბავშვია 4204, საქალაქო სასწავლებლები და დასწყისი სამინისტრო სკოლა არის 16. საერეკლო სკოლა—20. ტფილისის მაზრის უფროსისს აზრით საჭიროა გადაკეთება სოფ. ენაგეთში არსებული სკოლისა სასოფლო საერეკლო განუოფილების დამატებით, დურნუკის სკოლის--ერთკლასიან სამინისტრო სკოლად, ერივანის პოლკის შტაბის ბინასთან არსებული სამინისტრო სკოლის ოთხკლასიანად გადაკეთება; საჭიროა ხელახლად გაიხსნას ერთკლასიანი სამინისტრო სკოლები: კოდინის, ვაშლოვანის, დუმანისის, ხატის თელეთის, გადშალახესკის, ეტაკლინსკის, მანავსკის და მთავისის აზოგადოებაში და სოფლებში კოდის წყალოში და ახალსოფელში: ორკლასიანი სამინისტრო სკოლები საჭიროა დიდ თონეთში, დიდომში და ნორიოში; სახელოსნო სასწავლებელი ელისავეტალის კოლონიაში. სასოფლო სამეურნეო სკოლები: მარტყოფში, ხაშმში და საგარეჯოში; ამ სკოლებთან ბავშვებს თავშესაფარიც უნდა ჰქონდეთ. ამასთან სოფლებსა, სადაც კი სასოფლო სამეურნეო სკოლა გაიხსნება, აქვთ შესაფერისი შენობა და სოფლის ახლო სკოლას საკმაო მიწასაც უთმობენ.

ბორჩალოს მაზრაში: სასკოლო ასაკის ბავშვი ეოფილა 6161, საქალაქო და სამინისტრო დასწყისი სკოლა 20, სამრევლო სკოლა 31. ბევრ სოფელში მცხოვრებთა სიმცირის გამო სკოლის გახსნა მოუხერხებელია, ამიტომ, მაზრის უფროსის აზრით, საჭიროა: ნორმალური სკოლების გადაკეთება სოფ. სადახლოში, შულავერში, სარვანში, კიზილჯილში, ალავერდის ქარხანაში, შაგალში, ჯელალ ოღლში, უზუნლიარში, ვორონცოვკაში, პრივოლნაში, ბაშტაშენში, არეხლოში და გომარეთში, ოთხკლასიან სამაზრო სკოლებად, მოძრავი სკოლების განუოფილებით, რომელიც უნდა ემსახურებოდეს ახლო მახლო მდებარე მცირე რიცხოვან სოფლებს; ეკატერინოფელდში სკოლა უნდა გადაკეთდეს ოთხკლასიანად, მაგრამ იქ კი არ იქნება მოძრავი სკოლების განუოფილება-

გორის მაზრაში: სასკოლო ასაკის ბავშვი—20,000. ქ. გორში საშუალო სკოლა—2, საქალაქო და სამინისტრო დასაწყისი სკოლა 2; სამრევლო—3; დასაწყისი სკოლა—2, მაზრაში: პროფესიონალური 1. საქალაქო და სამინისტრო დასაწყისი სკოლა—20; საეკლესიო-სამრევლო—25 და სხვა 7. მაზრის უფროსის აზრით საჭიროა გაიხსნას სასწავლებლები: მიხაილოვში, ახალქალაქში, ბორჯომში, მეჯვრისხევში და ცხინვალში ოთხკლასიანი საქალაქო სკოლები საახელოსნო და სამეურნეო განყოფილებით. სოფელ ჯავაში საჭიროა ორკლასიანი სამინისტრო სკოლის ოთხკლასიანად გადაკეთება. გორის მაზრის ყველა სოფლის საზოგადოებაში, რიცხვით 44 ში, საჭიროა გაიხსნას პირველ დასაწყისი დაბალი სასწავლებელი.

ახალქალაქის მაზრა; ახალქალაქში სკოლის ასაკის ბავშვები 778. ერთი საქალაქო სასწავლებელია დამატებითი კლასებით, სადაც ასწავლიან: ზაინკლობას, დურგლობას, აგრეთვე მეფუტკრეობას და ყველის კეთებას, არის სამეურნეო ფერმა, ბოსტანი და საცდელი მინდორი. მაზრაში 8388 ბავშვია სკოლის ასაკისა: საქალაქო და სამეურნეო დასაწყისი სკოლები 17; სამრევლო სკოლა ერთია და ერთიც სხვა. მაზრის უფროსის აზრით საჭიროა ბარალეთის ორკლასიან სასწავლებელთან და გორელოვსკის ერთკლასიან სკოლასთან დაარსდეს თითო სახელოსნო სამკედლო და საღურგლო განყოფილება.

თელავის მაზრა; თელავში 2168 ბავშვია სასკოლო ასაკისა. საქალაქო და სამინისტრო სასწავლებელი—2, სამრევლო—3, დასაწყისი სკოლა—3. მაზრაში 10301 ბავშვია სასკოლო ასაკისა, საქალაქო და სამინისტრო სკოლაა—11. საეკლესიო—8. მაზრის უფროსის აზრით თელავში საჭიროა გაიხსნას ისეთი პროგიმნაზია, როგორიც გორშია. ამის მოთხოვნილება შეგნებული აქვთ მცხოვრებლებს და ქალაქის თვით მმართველობამ დაადგინა მიეცეს მომავალ პროგიმნაზიას ერთდროულად 2000 მანეთი და ნაჭერი მიწა შენობის ასაგებად. მაზრაში უნდა გაიხსნას მედვინეობის სკოლა უფრო შუა ადგილას, სახელდობრ სოფ. ნათარეულში ან წინანდალში.

თიონეთის მაზრა: სასკოლო ასაკისა 3537 ბავშვია. საქალაქო სასწავლებელი ერთია. სამრევლო—6 და სხვა დასაწყისი სკოლა—5. მაზრის უფროსის აზრით უნდა გაიხსნას ერთი ოთხკლასიანი სასწავლებელი სოფ. თიონეთში პანსიონით 25 ბავშვისათვის, ექვსი ორკლასიანი სასწავლებელი სხვა-და-სხვა ადგილებში და 22 დასაწყისი სკოლა მაზრაში.

დუშეთის მაზრა: დუშეთში სასკოლო ასაკის ბავშვი—224. ქალაქის სკოლა ერთია, საეკლესიო—2. მაზრაში: სასკოლო ასაკის ბავშვებია 1377. სამეურნეო სკოლა ერთია; საქალაქო და სამინისტრო—3, საეკლესიო—3 და სხვაც 2. საჭიროა გაიხსნას დუშეთში საქალაქო სასწავლებელი სამეურნეო განყოფილებით; სოფლებში ახალგორში, მონასტერში და ზაქარაში თითო დასაწყისი სამინისტრო სკოლა; საჭიროა გაიხსნას ორკლასიანი სასწავლებელი სოფ. მურტში, წილკანში და მუხრანში, ამ უკანასკნელში უნდა ასწავლიდენ მედვინეობასაც, მწყდისყვრის სამინისტრო სკოლაში, რომელიც დაკეტილი იქმნა მოძრაობის დროს, უნდა განახლდეს სწავლება; დასაწყისი სკოლები უნდა გაიხსნას სოფლებში—გრემის ხევში, ანანურში და არანისში; არსებული ბაზალეთის სკოლა უნდა გადაკეთდეს ორკლასიანად სამეურნეო განყოფილებით.

სოფელ ყაზბეგში, სნოში, სიონში და თასნაურში არსებული სამრევლო სკოლები სამაზრო სკოლებად უნდა გადაკეთდეს, დანარჩენები ქვეშეთის საწილში—ნორმალურ სკოლებად.

ახალციხის მაზრა: ქ. ახალციხეში სა-

სკოლა ასაკის 2600 ბავშვია. არის ერთი საქალაქო სასწავლებელი, სამი საეკლესიო და და ოთხი სხვა და სხვა დასაწყისი სკოლა. მაზრაში—1673. საქალაქო და სამინისტრო სკოლა—8. საეკლესიო—5 და სხვა დასაწყისი—3. მაზრის უფროსის აზრით საჭიროა გაიხსნას ახალტიბეში საქალაქო სასწავლებლის ტიპის დაბალი სახელოსნო სკოლა ორის განყოფილებით: სადურგლოით და სამჭედლოით, მთავრობის საქალაქო სკოლა, ბროგიმნაზიის ტიპისა და სავაჟო გიმნაზია. მაზრაში სოფელ ბონატურში—სამეურნეო სკოლა, სოფლებში—მღაშიხევში, ორპოლაში და აგარაში ერთკლასიანი სკოლები, სოფლებში—ლენინსში, ურაველაში და წყალთეილაში—ორკლასიანი სკოლები.

საღნალის მაზრა: სიდნაღში სასკოლო ასაკის 2439 ბავშვია, ორი საქალაქო სამინისტრო სკოლაა, სამი სამრევლო სკოლა. მაზრაში—15651. საშუალო სასწავლებელი 1. საქალაქო და სამინისტრო—17, საეკლესიო-სამრევლო—18. მაზრის უფროსის აზრით საჭიროა სიდნაღში გაიხსნას ვაჟთა ბროგიმნაზია იმ მიზნით, რომ მოთხოვნილების მიხედვის თანახმად იმაში და მარიამის ქალთა სასწავლებელში კურსი აუვანილი იქმნას გიმნაზიებამდის. სიდნაღის ახლო მახლო ადგილებში—ნუკრიანში, ჭოტორში და მადარიაში, საჭიროა ერთი ორკლასიანი სასწავლებელი. სოფელ გურჯაანში—ბალოსნობისა და მედვინეობის სკოლა. გურჯაანში და კარდანახში—ორკლასიანი სკოლა. ბოდბეში, ჯიმითში და კაკაბეთში—ორკლასიანი სკოლები და ჭირულში, კაჭრეთში, კოლაკში, მელაანში და იორ-მუღანლოში—ერთკლასიანი სკოლები. სოფელ ქვემო მაჩხაანში, ქიზიეის შუა გულში, საჭიროა სამეურნეო სკოლა. დედოფლის წყაროშიც—ორკლასიანი სკოლა.

რუსეთის ცხოვრებიდან

ერობის მოღვაწეობა რუსეთში.

(მოკლე ისტორიული მიმოხილვა).

პირველ წლებში, როცა ერობა შემოიღეს რუსეთის ზოგიერთის გუბერნიებში, ცდილობდნენ ახალ სკოლების გახსნას და არსებული სკოლების გადაკეთებას; ამავე დროს განსაკუთრებულს ყურადღებას აქცევდნენ მასწავლებლების მომზადებასაც. უკანასკნელი მიზნისადმი მისაღწევად ჭმართავდნენ პედაგოგიურს კურსებს და მასწავლებელთა კრებებს. ზოგან, ამას გარდა, ხსნიდნენ საოსტატო სემინარიებს, როგორც მაგალ. ჩერნიგოვის, ნოვგოროდის, მოსკოვის და სხვა ერობები. სამოცდა ათს წლებში მასწავლებელთა კრებები ძლიერ გახშირდა და ამან საკმარისად შეუწყო ხელი სკოლის საქმის წესიერად დაყენებას. სკოლის ცხოვრების შესახებ სხვა და სხვა საკითხების განმარტებამ, ადმინისტრაციული მზრუნველობის ბრწყალებს მოკლებულმა დრომ, როცა მასწავლებელთა კრებებს იდეიურად არჩეული ხელმძღვანელები ჭყავდათ, შეშვენიერი მასალა მისცა ერობებს სკოლის საქმეების მოსაწესრიგებლად და ამასთანავე, ცოტად თუ ბევრად, საკმაო შეგნებაც შეიტანა კრებებზე დამსწრე მასწავლებლებში.

სამწუხაროდ ეს თავისუფალი კოლექტიური მუშაობა სახალხო განათლების მოდგაწეებისა, მეურნეობის სფერაში დაწყებული რეაქციის გამო, ოან და ოან შესწყდა; კრებებს იშვიათად ჭმართავდნენ და ბოლოს მეოთხმოცე

წლის პირველ ნახევარში სრულიად აღკრძალული იქმნა.

შემდეგ ერობა განაგრძობდა ზრუნვას მასწავლებელთა ღირსების შესახებ და ზემოთ ნაჩვენებ საშუალებებიან ერთად ზრუნავდა მათი ცხოვრების ნივთიერად გაუმჯობესობის შესახებაც. ზოგიერთი საგუბერნიო ერობა თავის მხრით უმატებდა მასწავლებლებს ჯამაგირს იმაზე, რაც დანიშნული ჰქონდათ სამაზრო ერობისაგან. ამავე დროს ეკუთვნის საგუბერნიო ერობის მიერ ზომების მიღება სასკოლო საქმეებში, ეს ზომები გამოიხატებოდა დაუბრუნებელ დახმარებაში, სარგებლიანში ან უსარგებლო სესხში, რომელსაც აძლევდა არა მარტო მაზრის ერობას, არამედ სოფლის საზოგადოებასაც. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ აგრეთვე ისიც, რომ **ამ ხანებში** ერობის მოქმედებაში ბევრი რამ შემთხვევითი და უსისტემო იყო, რაც, რასაკვირველია, აიხსნება საქმის სიახლით და გამოუცდელობით. ეს მერყეობა ერობას განსაკუთრებით გაძლიერებული რეაქციის დროს დაეტყო, რომელმაც თავისი ტლანქი ხელი მტკიცედ ჩასჭიდა სახალხო განათლების განვითარების საქმეს. სკოლის საქმეებს არა თუ ეტყობოდა წარმატება გაუმჯობესობის მხრივ, პირიქით ბევრგან ჩაჭკვდა კიდეც; სკოლის საქმეები თითქმის უველგან შეჩერდა. ვიტყვით მეტსაც. აღმოჩნდნენ ისეთი უბადრუკი ერობებიც, რომელთაც თავიანთი სკოლები სასულიერო უწყებას გადასცეს.

ეს მეუდროება დიდ ხანს არ გაგრძელებულა. ხალხის ულმობელმა მტერმა მრისხანედ დაიქუხა. ეს იყო სიმშილი, რომელიც ეწვია რუსეთს 1901 წელს და რომელმაც ღრმად ჩაუფიქრა ბევრი, რომ გამოეძებნათ მიზეზი ამ მოულოდნელისა.

უველას ეურადღება სახალხო განათლებისკენ იქმნა მიქცეული. უკანასკნელში ხედავდნენ საუკეთესო საშუალებას ამ უბედურების თავიდან ასაცილებლად საზოგადოთ და ხალხის ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად კერძოთ. იმისი შეგნება, რომ მხოლოდ სულიერად განვითარებულს ერს შეუძლიან შეიძინოს უველა სამეცნიერო ცოდნა მეურნეობის სხვა და სხვა დარგიდან, გონივრულად აწარმოოს თავისი მეურნეობა, გაამდიდროს ნაყოფი თავისი შრომისა და შეიქმნეს მოტილედ მსოფლიო ბაზარზე, ხდება საფუძვლად მომავალი გამანათლებელ მოქმედებისათვის ერისა და ქვეყნის საკეთილოდ. ამ დროდან იწყება რუსეთში **მეორე ხანა** ერობათა მოქმედებისა ხალხის განათლების საქმეში, დრო ინტენსიური და ფართო ზომებისა. დიდი უმრავლესობა სამაზრო ერობისა არ ერიდება ხარჯს სახალხო სკოლების საჭიროებისათვის. იმით დამხმარედ ერთი მეორეზე მოჰყვებიან საგუბერნიო ერობები. წამოუენებული იქნება საკითხი **საზოგადო ხელმისაწვდენ** დასაწყისი სწავლების შესახებ. ბევრს გუბერნიებში დაწვრილებით გამოიკვლევენ ხალხის სწავლა განათლების მდგომარეობის საქმეს. საგუბერნიო და სამაზრო ერობები შეერთებულად მოქმედებენ, შეიმუშავებენ სასკოლო ცხრილს და გაითვალისწინებენ გეგმას ამ ცხრილის თან და თან შესავსებლად. ზოგიერთს უფრო მოწინავე ერობებში არსდება განსაკუთრებული სასკოლო კომისიები, რომელშიაც, გარდა კრების მიერ არჩეული ხმოსნებისა, შედიან სამაზრო სამმართველოს უველა თავმჯდომარეები; ამას გარდა ქალაქებში, ქალაქის თვითმმართველობაში, არსდება გამოსაკვლევ-პედაგოგიური ბიურო (საგუბერნიო) და მაზრებში ცალკე განყოფილება სახალხო განათლების შესახებ ცნობების შესაკრებად; ამ საქმეში მთავარ მონაწილეობას იღებს მესამე ელემენტი, გამოცდილი უოფილი სახალხო სკოლების მასწავლებლება. ერობები ცდილობენ სკოლების რიცხვის გამრავლებას და იმავე დროს ეურადღებას აქცევენ სკოლის საქმეების გაუმჯობე-

სობასაც. სასკოლო შენობების აგებენ შეძლების დაგვარად სასკოლო ჰიგიენის და სანიტარიის მოთხოვნილების თანახმად. საგუბერნიო ერობები დახმარებისა და უსარგებლო სესხის მიცემის დრო სკოლის შენობების ასაგებად ბირობას იხოულობენ, რომ შესრულებული იქმნას ჰიგიენური და სანიტარული მოთხოვნილებანი. ზოგან დაწესებენ საქიმო—სანიტარულ მეთვალეურეობასაც. იმართება სასკოლო სანიტარული სამხრეველოები; სწარმოებს გამოკვლევა თუ რა გავლენას ახდენს სკოლა მოწაფეთა ჯანმრთელობაზე და ბოლოს იღებენ ზომებს, რომ შეასუსტონ სკოლის მოწყობილების ცუდი გავლენა მოწაფეთა ფიზიკურად განვითარებაზე; შეაქვთ სკოლებში რაციონალური ავეჯები, ესრედ წოდებული ერისმანის სისტემის ბარტები, შემოიღებენ ცხელ-ცხელ საუზმოებს, მართავენ ღამით ოვშესაფარს და სანიტარული საბჭოში წევრებად შეჰყავთ მასწავლებლებიც. ეს არის გარეგანი მხარე სკოლისა. მაგრამ ეს არ კმარა. სკოლის საქმეების წარმატება მომეტებულად მასწავლებლის ბიროვნებაზეა დამყარებული, მის საზოგადო და სპეციალურ პედაგოგიურს განათლებაზე, მის ნივთიერ და სულიერ უზრუნველეოფაზე, რაც შეძლებას აძლევს მასწავლებელს სკოლის საქმესაც სიყვარულით მოეპყრას და თვითონაც ადგია მუდმივ. სულიერად განვითარების გზას; ერობები ამ მხრით მიმართავენ სხვა და სხვა ღონისძიებას: მასწავლებლებს ჯამაგირად თვდაბირველად უნიშნავენ 300 მანეთს წლიურად და დრო გამოშვებით თან და თან უმატებენ, კონებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ერობები მასწავლებელთათვის ხსნიან ქალაქის საშმართველოსთან სამასწავლებლო ბიბლიოტეკებს, სადაც მოიპოვებოდა, როგორც პედაგოგიურის, ისე საზოგადო ხასიათის საუკეთესო თხზულებები, რამდენადაც კი ეს შესაძლებელი იყო, რადგანაც, განსაზღვრული კატალოგით, მაშინ ბევრი კარკი წიგნი აღკრძალულად იყო აღიარებული მთავრობისაგან. ბიბლიოტეკების მოწყობის გარდა ზოგიერთი ერობები (მაგ. სარატოვის, იაროსლავის, კურსკის და სხ.) უგზავნიან მასწავლებლებს ყურნალ გაზეთებს, ამისათვის საკმარისს თანხას აძლევდნენ მასწავლებლებს თავიანთ სრულს განკარგულებაში. დასასრულ საზოგადო განათლების კურსებით, განათლების მიზნით ექსკურსიების მოწყობით, შელავაციანი ბირობებით წიგნების დათმობით საწყობიდან, ერობები ცდილობდნენ მასწავლებლების კულტურულად ამაღლებას.

ერობას რუსეთში მცირე დვაწლი არ მიუძღვის მასწავლებელთა საერთიერთო დამხმარებელ საზოგადოების საქმეში თანაგრძნობის და დახმარების აღმოჩენით.

ერობების სხვა ზომებთა შორის, რომელთაც მიზნად სკოლის საქმეების გაუმჯობესობა ჰქონდა დასახული, უნდა აღვნიშნოთ: სამასწავლებლო ბიბლიოტეკების მოწყობა სკოლებთან, მიწოდება სკოლებისათვის სასწავლო და თვალსაჩინო საწავლებისათვის ხელსაწყო ნივთებისა. სკოლების გამრავლებასთან, რასაკვირველია, წერა-კითხვის მეთოდნეთა რიცხვიც მრავლდებოდა, ცხოვრებამ ერობათათვის წამოაყენა ახალი, უფრო რთული საკითხი—მკვიდრთა სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. საჭირო იყო არა მარტო ხელის შეწყობა წერა-კითხვის გასავრცელებლად ხალხში, არამედ პასუხიც იმ კითხვებზე, რაც ხალხს აღელვებდა და რომელიც ცხოვრებამ წამოაყენა. ერობები შეუდგებიან ზრუნვას ხალხის **სკოლის გარეთ განათლების შესახებ,** ჰმართავენ სახალხო კითხვებს, სალამოობით და კვირა-უქმე დღეებში მეცადინეობას მოზრდილებთან, გამეორებით კლასებს, სახალხო ბიბლიოთეკებს. უფრო საეურადღებოა ამ მხრივ კურსკისა და სამარის ერობათა მოდვაწეობა მოზრდილებთან მეცადინეობის მოწყობის საქ-

მეში განსაკუთრებულ სპეციალურად მოწვეული მასწავლებლების საშუალებით. ზოგ ერობათა ცალკე ცხადად დაამტკიცა, რომ საღამოობით განმეორებითი მეცადინეობა სკოლის მასწავლებლების მიერ თავისს მიზანს ვერ აღწევს. დღისით მოქანცულს მასწავლებელს არ შეუძლია სასურველად აწარმოოს სწავლების საქმე საღამოობითაც, მით უმეტეს, რომ მოზრდილი მსმენელნი ხშირად ხელმძღვანელთ ძლიერ სერიოზულს მოთხოვნილებას უყენებენ.

სხვა და სხვა ფორმებში გამოისახა ბიბლიოტეკის საქმეც. ერობებმა მოაწყვეს ესრედ წოდებული მოძრავი ბიბლიოტეკები, ე. ი. დაჭეშეს ცენტრალური ბიბლიოტეკები განსაკუთრებულ კომპლექტებად, რასაც აღნიშნულს დროს გზავნიდნენ მახლობელ სოფლებში.

სოფლელებთან წიგნების მისწვდენათ ხელსაყრელ პირობებში საყურადღებოა ერობათა მოქმედება წიგნების საწყობის დაარსებით საგუბერნიო სამმართველოსთან და ფილიალური განყოფილებათა გახსნით მაზრებში, წიგნების გაყიდვით საწყობებიდან დაკლებულს ფასებში და აგრეთვე გავრცელება წიგნებისა სოფლად და დაბად მოსიარულე გამყიდველების საშუალებით. ერობებმა თავი იჩინეს აგრეთვე იაფ წიგნების გამოცემითაც; მათი გამოცემები რამდენიმე ასი ათასი ცალი ვრცელდებოდა ხალხში. მარტო ვიატსკის ერობამ გამოუშვა სამეურნეო და სახელოსნო შინაარსის წიგნების აუარებელი სერიები. კარგი წიგნების იაფად გამოცემით ერობამ თანდათან განდევნა ცუდი შინაარსის ლიტერატურა.

დიდი კულტურული გავლენა მოახდინეს მცხოვრებლებზე ერობის გაზეთებმაც, როგორიცაა მაგ. „ვიატსკის", „ნიჟეგოროდის" და სხვა ერობათა გამოცემული გაზეთები.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ ერობათა ზრუნვა სახალხო სკოლების ნიჭიერ მოწაფეთა შესახებაც. მათდა დასახმარებლად განათლების განსაგრძობლად ზოგი ერობა იძლევა ფულს, ზოგიც აარსებს სტიპენდიებს საშუალო და მაღალ სასწავლებლებში, როგორც საზოგადო განათლების, ისე პროფესიონალურშიაც.

1868 წელს ერობის ხარჯს სახალხო სწავლა-განათლების საქმეში შეადგენდა მხოლოდ 738,000 მან. ე. ი. 5% მთელი ერობების შემოსავლისა. 1883 წ. ამ ხარჯმა თავალსაჩინოთ იმატა, ავიდა 6,354,459 მანეთამდის და ბოლოს 1903 წელს მარტო სამზრო ერობები ხარჯავდა 15.594.225 მან. თუ ამას დაუმატებთ კიდევ საგუბერნიო ერობების მიერ ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილს 3.777.118 მ., მაშინ საერთო ხარჯი სწავლა-განათლების საქმეში 34 საერობო გუბერნიებში გამოიხატება 19.371.370 მანეთი.

სამზრო ერობებმა საერობო სასოფლო სკოლების შესანახად 1903 წელში დახარჯეს 10.816.876 მანეთი. ამას გარდა ამავე საგნისათვის საგუბერნიო ერობებმა გადასდეს 1.186.724 მან. ამ სახით მთელი საერობო ხარჯი საერობო სკოლების შესანახად განისაზღვრებოდა 11.953.700 მანეთით.

1903 წლის საგუბერნიო ერობათა 34 გუბერნიის მიერ შედგენილს ხარჯთ-აღრიცხვაში სახალხო განათლების საქმისათვის დანიშნული იყო 4.063.738 მან. აქედან 1.136.727 მანეთი ანუ 28,0% დანიშნული იყო ახალი საასკოლო შენობების ასაგებად და არსებული სკოლების შესანახად, 632,815 მან., ანუ 15,6%—საზოგადო განათლების სხვა და სხვა უწყებათა დაბალ და საშუალო სკოლების დასახმარებლად; 824,974 მანეთი ანუ 20,3%—პროფესიონალურ განათლებისათვის: 556,468 მ., ანუ 13,7%—მასწავლებელთა ცხოვრების გასაუმჯობესებლად, თვით-განვითარებისათვის საშუალების მისაწოდებლად; 314,147 მან. ანუ 7,7%—სკოლის გარეთ განათლების საქმისათვის და, დასასრულ 598,610 მანეთი ანუ 14,7%—სხვა და სხვა მოულოდნელ ხარჯად ხალხის განათლების საქმეში. საზოგადო ხარჯთ-

ადრიცხვასთან შეფარდებით (35,880,166 მ.) მთელი სარჯი, საგუბერნიო ერობების მიერ გაწეული სახალხო განათლების საქმეში, მცირეა, სახელდობრ 11,3%, ამასთან ეს ბრიტანეთი გუბერნიების მიხედვით უფრო მეტია ვიატკის საგუბერნიო ერობაში (23,5), ნაკლებია ორლოვის (3,4%) და კოლუუსკისაში (2,7).

1903 წლის დასაწყისში ყველა 34 გუბერნიის ერობებში 18.871 სოფლის საერობო-საზოგადო სკოლა არსებობდა, სადაც 1.324.608 მოწაფე ქალი და ვაჟი სწავლობდა, რომელთაგან ვაჟები იყვნენ 1.014.367 (76,6%) და ქალები 310.241 (23,4%). ამ სკოლებში მასწავლებლობდა 26.948 მასწავლებელი ქალი და კაცი, რომელთაგან— ქალები შეადგენდნენ 17.446 და კაცები 9.502.

ასეთია მოკლე ცნობები ერობათა მოქმედების შესახებ სახალხო განათლების საქმეში წარსული ორმოცი წლის განმავლობაში. უკანასკნელმა წლებმა რუსეთშიც ცხადად დაანახვა ყველას, რომ მხოლოდ დემოკრატიულ დასაწყისზე მოწყობილს სკოლებს შეუძლიან ცხოვრებისა და ხალხის მოთხოვნილებათა საკმარისად დაკმაყოფილება, როცა ერის ცხოვრების სინამდვილე დაემყარება ახალს კულტურულს და სამართლიანს საფუძველზე.

სახალხო განათლების მოწყობა და მართვა-გამგეობა უცხოეთში.

(საყოველთაო სწავლების შემოღების საკითხისა გამო).

უმთავრესი მართვა-გამგეობა დასაწყისი სახალხო განათლებისა დასავლეთ ევროპის ყველა სახელმწიფოებში დღეს მთავრობის ხელშია; თითქმის ყველგან ხალხის განათლება პირველ ხარისხოვან უსაჭიროესს სახელმწიფო საგანს შეადგენს. საფრანგეთში, იტალიაში, უნგრეთში ვხედავთ ცალკე სახალხო განათლების სამინისტროებს; პრუსიაში, ბავარიაში, საქსონიაში, ავსტრიაში, რუმინიაში და სკანდინავიაში არ არსებობს განცალკევებული ორგანო, რომელიც განკერძოებით უნდა ედგას სათავეში განათლების საქმეს: სკოლები აღსარებათა და განათლებათა სამინისტროს უწყებაშია; ჰოლანდიაში, ბელგიაში, პორტუგალიაში მთავარი გამგებლობა ხალხის განათლებისა შინაურ საქმეთა მინისტრის უწყებაშია, რომელთანაც სახალხო განათლების ცალკე სათათბირო არსებობს; ინგლისში, შოტლანდიაში, ირლანდიაში დასაწყისი სკოლები 1898 წლ. კანონმდებლობამდის არ იყო დამოკიდებული სამინისტროსაგან, მაგრამ განსაკუთრებულ განათლების სათათბიროს უწყებაში იყო. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში სკოლების მართვა-გამგეობის საქმეში გამონაკლს შეადგენს შვეიცარია: იქ არ არსებობს ცენტრალური ორგანო, რომელიც მართავდეს მთელი ქვეყნის სკოლების საქმეს, მაგრამ თითოეულს კანტონს თავისი საკუთარი სასკოლო ორგანიზაცია აქვს.

ბევრგან პროგრამებს განსაზღვრავენ ცენტრალური ორგანოები, ისინი მიმართულებას აძლევენ სკოლის ცხოვრებას და სხვა და სხვა დახმარებაზე სასკოლო არჩეულის თუ დანიშნულის ადმინისტრაციის ორგანოების საშვალებით თვალყურს ადევნებენ კანონს. მთავრობა ნიშნავს ადგილობრივსაც და ცენტრალურ ინსპეკტორებს, მაგრამ მათ გარდა თითოეულს ოლქში, თითოეულს საზოგადოე-

ბაში უსათუოთ არის რომელიმე სასკოლო ორგანო, რომელიც შესდგება ადგილობრივ არჩეულ პირთაგან; უკანასკნელს ეკუთვნის დასაბეგვებითი და უფრო დაწვრილებითი თვალ-ყურის გდება სკოლის ცხოვრების ყველა მხარეზე, მაგრამ უფლება ადგილობრივ არჩეულ ორგანოებისა ყველა სახელმწიფოში ერთნაირი არ არის: მაგალითად ინგლისში ის უფრო ფართოა, საფრანგეთში კი ადგილობრივ არჩეულ სასკოლო ორგანოს მოქმედება უმთავრესათ შეადგენს სამეურნეო მხარეს.

როცა დასაწყისი სახალხო განათლების შესახებ გვაქვს ლაპარაკი არ შეიძლება არ შევეხოთ სახალხო სკოლების სასულიერო მთავრობას. საშუალო საუკუნოებში ყველა ქრისტიან სახელმწიფოებში სკოლა აღორძინდა კათოლიკე სამღვდელოების თაოსნობით, და ახალ საუკუნოებშიაც პროტესტანტთა სამღვდელოებასაც ცოტა არ უმუშავნია ამ ასპარეზზედ. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ მე-XVIII საუკუნემდის სამღვდელოებას დიდი და ძლიერი გავლენა ჰქონდა სკოლებზე. მე-XVIII საუკუნის ბოლოს პირველად პესტალოციმ წამოაყენა პრინციპი სახალხო სკოლების სასულიერო მთავრობისაგან დამოუკიდებლობისა, ის დაბეჯითებით თხოულობდა, რომ რელიგიოზური განათლება სკოლის გარედ უნდა მიეცათ მოწაფეთათვის. ამ პრინციპმა მზა ნიადაგი იპოვა და ევროპის სხვა და სხვა სახელმწიფოებში, რადგანაც სამღვდელოება არ უთმობდა, გაიმართა ძლიერი ბრძოლა. ამ ჟამად შეგვიძლიან თამამად ვსთქვათ ბევრს კულტურულ სახელმწიფოებში სკოლის საერო დასაწყისის იდეამ უკვე გაიმარჯვა.

სახალხო განათლების უმაღლესი მართვა-გამგეობა სახელმწიფომ თავის ხელში ჩაიგდო; ბევრი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოს მმართველობა კანონმდებლობითი წესით ძალას ატანს თემს ადგილობრივ იზრუნონ სკოლის საქმეებზედ.

სავალდებულო სწავლება კანონით შემოღებულია დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში გარდა ირლანდიისა, პორტუგალიისა, ჰოლანდიისა და ბელგიისა. აზრს იმის შესახებ, რომ ბავშვების სწავლება ისეთსავე საჭიროებას შეადგენს, როგორც მათი საზრდოობა, მტკიცედ აქვს ფესვები გადგმული ყველა კულტურულ ხალხთა შეგნებაში. რომ სავალდებულო სწავლება, სკოლაში სიარული შეთანხმებულია თავისუფლებასთან ამის საბუთად საკმარისია ის, რომ მან მკვიდრად მოიკიდა ფეხი ისეთს უფრო თავისუფალს ქვეყნებში, როგორიც არიან შვეცია, შვეიცარია, შეერთებული შტატები და სხ. დრო სავალდებულო სწავლებისა სხვა და სხვა სახელმწიფოებში სხვა და სხვაა. მაგალითად შოტლანდიაში სავალდებულოდ ხდიან დასაწყისს სკოლაში ბავშვების ტარებას 5—13 წლამდის; საფრანგეთში, ბავარიაში, ვიურტენბერგში, უნგრეთში 6—15 წლამდის; საქსონიაში—7—15 წლამდის; შვეიცარიაში—6—15 ან 16 წლამდის კანტონის მიხედვით; ესპანიაში—6—9 წლამდის; რუმინიაში და შვეციაში—7—14 წლამდის; ნორვეგიაში—7—13 წლამდის; ინგლისში დასაწყისი სკოლის კურსი დაახლოებით 7 წელს შეიცავს; ამასთან სავალდებულოა მხოლოდ 4 წელიწადი—6 ან 7—11 წლამდის, შემდეგ კი სკოლას უფლება არ აქვს ძალად დააკავოს ბავშვი.

შემდეგ უნდა აღვნიშნოთ, რომ თითქმის ყველგან სავალდებულო სწავლება იმავე დროს უფასოც არის. საფრანგეთში, პორტუგალიაში, იტალიაში, რუმინიაში, საქსონიაში, შოტლანდიაში, სერბიაში და

ნორვეგიაში უფასო სწავლება ყველა ბავშვებისათვის დაკანონებულია. ინგლისში, მაგალითად, არ არსებობს კანონი უფასო სწავლების შესახებ, მაგრამ სახელმწიფო არა თუ ნებას აძლევს სკოლის სათათბიროებს შემოიღონ თავიანთ ოლქებში უფასო სწავლება, არამედ 1891 წლიდან განსაკუთრებული კანონით თავის მხრივ დახმარებას უწევს უფასო სკოლებს. ამგვარადვე ჰოლანდიაში და პრუსიაში საზოგადოებას ნება ეძლევა შემოიღოს უფასო სწავლება, მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში ახდევინებენ სწავლის ფასს და იმასაც მცირეს. ეხლა გადავიდეთ სხვა საკითხზე, რომელიც მჭიდროთ არის დაკავშირებული სკოლის საქმესთან სახელდობრ სახალხო სკოლების მასწავლებელთა შესახებ.

სახალხო სკოლების მასწავლებლების დანიშვნა ზოგჯერ ადგილობრივი სასკოლო სათათბიროს, ადგილობრივი ადმინისტრაციის საქმეა, ზოგჯერ კი—ცენტრალური ორგანოებისა. საფრანგეთში მასწავლებლების თანაშემწეებს სახალხო სკოლების ინსპექტორი ნიშნავს, მასწავლებლებს პრეფექტი ამტკიცებს, მაღალ სახალხო სკოლების მასწავლებლებს კი—მინისტრი. ჰოლანდიაში მასწავლებლები იმ სკოლებისა, რომელიც სახელმწიფო ხარჯით ინახება, ინიშნებიან შინაურ საქმეთა მინისტრის მიერ; თუ სკოლებს საზოგადოება ინახავს თავისი ხარჯით, მასწავლებლების დანიშვნა ადგილობრივი თვითმართველობის საქმეა. ორივე შემთხვევაში მასწავლებელთა დანიშვნა კონკურსით არის. ინგლისში, ბელგიაში, იტალიაში, ავსტრიაში, ფინლიანდიაში მასწავლებლებს, როგორც ვაჟებს ისე ქალებსაც ადგილობრივი სასკოლო სათათბირო და ადგილობრივი ადმინისტრაცია ამტკიცებენ. შვეიცარიის კანტონებში მასწავლებელს ან ადგილობრივი მცხოვრებლები ირჩევენ, ან სკოლის სათათბირო ნიშნავს. შვეიცარიის ზოგიერთ კანტონებში და აგრეთვე პრუსიაშიაც მასწავლებელს თანამდებობიდან არ გადაუყენებენ, ე. ი. მათი დათხოვნა სამსასურიდან მხოლოდ სამართლის წესით შეიძლება. ბელგიაში მასწავლებლის დამნიშვნელს სასკოლო სათათბიროს შეუძლიან მასწავლებლის თანამდებობის დაცვა მხოლოდ მმართველ სასკოლო ორგანოს თანხმობით, ამას გარდა გადაყენებულს მასწავლებელს უფლება აქვს გაასაჩივროს საქმე. იტალიაში მასწავლებელი, ექვსი წლის საკმარისი სამსახურის შემდეგ, გადუყენებელი რჩება.

ეხლა მივაქციოთ ყურადღება აწინდელს სასკოლო მართვა-გამგეობის საქმეს ევროპის გარე ქვეყნებში. შევჩერდეთ ჩრდილო ამერიკის შეერთებულს შტატებზე. აქ სახალხო განათლების ცენტრალურ ორგანოს 1897 წელს დაარსებული „სახალხო განათლების ბიურო“ წარმოადგენს, კომისარის მეთაურობით, რომელსაც ბინა ვაშინგტონში აქვს. ამ ცენტრალური დაწესებულების როლი ბევრში განსხვავდება ევროპის ამგვარივე დაწესებულებათაგან. ვაშინგტონის ბიურო ყოველგვარ ადმინისტრატიული მოქმედების გარეშეა, სკოლებს არ ათვალიერებს, მთელი მისი დანიშნულება ხალხთა განათლების საქმის ყოველის მხრივ გაცნობიერებაში და თვალყურის გდებაში გამოიხატება. ამ მიზნის მიხედვით „ბიურო“ შეკითხვას აძლევს ყველა ზოგად განათლების დაწესებულებას, ჯერ თავის ქვეყნისას, შემდეგ შეძლებისა დაგვარად სხვა ქვეყნებშიაც, და მიღებული ცნობების მიხედვით ჰბეჭდავს ყოველ წლიურ დაწვრილებითს ანგარიშს სახალხო განათლების მდგომარეობის შესახებ.

მთავარი ადგილი ანგარიშში, რასაკვირველია, ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებს უჭირავს, მაგრამ იქვეა მოყვანილი მრავალი ცნობები სხვა კულტურულ ქვეყნების შესახებაც. ეს ბიურო ერთად-ერთი საზოგადო დაწესებულებაა მთელის რესპუბლიკისათვის. ყველა დანარჩენებში თითოეული შტატი თავიანთ საქმეებს თავის შეხედულობის კვალობაზე განაგებს. საზოგადოთ სახალხო განათლების საქმე თუმცაღა თითოეულს შტატში, კერძოთ სხვადასხვა გვარია, მაგრამ საერთოდ გამოიხატება შემდეგში:

სათავეში სდგას კერძო „განათლების სათათბირო“, რომელიც შესდგება შტატის მმართველის, იმისი თანაშემწის და ცალკე სათათბიროს მდივნისაგან, ხანდახან ამ სათათბიროში მონაწილეობას იღებენ არჩეული წევრებიც. სათათბიროს უფლებაა სკოლების უმთავრესი მართვა-გამგეობა, სკოლების ტიპის განსაზღვრა, რომლის დაარსება და შენახვა სავალდებულოა ყველა საზოგადოებისათვის, განსაზღვრა სასკოლო ასაკისა, საზოგადო პროგრამების გეგმის შემუშავება და საზოგადო-სახელმწიფო დახმარების განაწილება. დანარჩენი სასკოლო საკითხები სკოლის ცხოვრებიდან ირჩევა ადგილობრივ, ადგილობრივის სასკოლო სათათბიროს მიერ, რომელიც შესდგება ოთხეულის არჩეულ წევრებისაგან, რომელთა შორის ბევრ შტატებში დედა-კაცებიც არიან. მასწავლებლებს ქალებსა და კაცებს ზოგ შტატებში სასკოლო სათათბირო ნიშნავს, ზოგში კი— ადგილობრივი მცხოვრებლები ირჩევენ.—



უცხოეთის ცხოვრებიდან.

ბავშვების საზოგადოება ამერიკაში.

ტბა მიჩიგანის ნაპირას, რომელსაც გარს არტყია უტეხი ტყე, დაბინავებულია პაწაწკინტელა სახელმწიფო. ამ სახელმწიფოს ჰმართავენ მოქალაქენი 8—16 წლამდის. ქალაქ მიჩიგანის და ილლინოის ქუჩის პატარა მაწანწალებს, აქ, ამ პატარა ახალშენში, რომელიც სარგებლობს ფართო თვითმმართველობით, უპოვიათ თავშესაფარი ბინა.

ამერიკაში ბევრია ყოველგვარი ბავშვების გამასწორებელი დაწესებულება, მაგრამ მიჩიგანის საზოგადოება ერთად ერთია თავისებური მოწყობილობით და არაფერი საერთო არ აქვს იმ საზოგადო ახალშენებთან პაწაწა დამნაშავეთათვის, რომელთაც განაგებენ მთავრობის მოხელეები ან ქველმოქმედნი.

ეს ბავშვების სახელმწიფოა, რომელსაც თვითონ ბავშვებივე ჰმართავენ და განაგებენ. თითოეული ყმაწვილი ამ ახალშენისა—თავისუფალი მოქალაქეა, უფლება აქვს დასტოვოს ის ადგილი, როცა მოისურვებს, ამისთვის არავისგან ნებართვა საჭირო არ არის.

მიწის პატარა მუშაკთა ახალშენს აქვს საკმაოდ ტყე და დამუშავებული მიწა; ის თითქოს ცალკე ერს წარმოადგენს, რომელსაც საკუთარი პრეზიდენტი, ვიცეპრეზიდენტი და პარლამენტი ჰყავს. არჩევანის დღეც რაღაც ასეოდე მოქალაქისათვის უფრო საყურადღებოა, ვიდრე პრეზიდენტის არჩევა ჩრდილო ამერიკის 80 მილიონ მცხოვრებთათვის.

ამ სახელმწიფოს საფუძველი ჩაუდგა-

რამდენმამე პირმა, რომელთაც უნდოდათ მიშველებოდნენ უსახლკარო პატარა მაწანწალებს. იმათ ხელის მოწერით შეაგროვეს მცირეოდენი ფული და იმით იყიდეს მიწა მიჩიგანის შტატის ჩრდილო ნაწილში, აქვე ააგეს შენობა, რომელშიაც 200 კაცი თავისუფლად მოთავსდება.

მცირე გამონაკლისის გარდა ყმაწვილები, რომლებიც იქ მიდიან, რომ შეიქმნენ ახალშენის სრულ უფლებიან მოქალაქეებად, ერთი მეორეზე უარესები არიან ეს არიან გარყვნილ გათახსირებულ დედ-მამის შვილები, ეს ის ყმაწვილებია, რომელთაც ბავშვობიდანვე გაუცვნიათ სხვა და სხვა დანაშაულობა, ეს პაწაწა მაწანწალებია, რომელთაც ცხოვრება ქალაქის ბნელსა და მიყრუებულს ქუჩებში გაუტარებიათ.

ისინი გამოცხადდნენ აქ ტიტვლიკანები, მწვირიანები, ნახევრად მშივრები და გაბოროტებულნი მათ გარშემო ხალხთან ბრძოლაში.

მაგრამ, რაკი ფეხი შედგეს ახალშენში, მაშინვე მათთვის დაიწყო ახალი ცხოვრება, რომელსაც წარსულთან არაფერი საერთო არ აქვს. იმათ ჩააგონეს, რომ 300 აკრი ტყისა, და შემუშავებული მიწა, ტბის საუცხოვო ნაპირები, დაუსრულებელი ტყე, ბორცვი, ნაკადულები, ვეებერთელა შენობა სკოლით, გიმნასტიური დარბაზით და ასი ოთახი, მათ კუთვნილებას შეადგენენ. თითოეულ მათგანს მიუზომავენ თავის საკუთრებად თითო აკრს (888³/₄ საჟ.) მიწას, ჩააცმენ ახალს, სუფთა საცვლებს და ტანისამოსს.

ახალშენში შემსვლელთათვის მხოლოდ ერთი პირობაა საჭირო. არ უნდა იყვნენ უხნესი 16 წლისა და ნაკლები 8 წლისა. რაკი ახალს წევრს უჩვენებენ ოთახს და მიუზომავენ აკრ მიწას—ის ხდება მოქალაქედ, რომელსაც ყოველს თანმდებობაზე ახალშენში აქვს ხმისა და არჩევის უფლებაც. არჩევანი ხდება ყოველ წელს შემოდგომაზე საზოგადო, თანასწორი, პირდაპირი, საიდუმლო ხმის მიცემით.

თითოეული ახალი წესი, რასაც ახალშენის გამგე დაინახავს საჭიროდ, განხორციელდება მხოლოდ „რესპუბლიკის“ მცირე წლოვან მოქალაქეთა თანხმობის შემდეგ.

საჭირო იქნება ქოხის აგება ტყეში, ან ნავთ-საყუდელის გაკეთება ტბის ნაპირას, ან ღობის გაკეთება, ცხენის ან ძთოხის გაყიდვა,—ყველა კითხვებს მოქალაქენი გადასწყვეტდენ უბრალო ხმის უმეტესობით.

საცოდავი, მიგდებული ბავშვები, რომელთაც ბინა იშოვეს თავშესაფარში, ძლიერ მალე იგნებღნენ, რომ თითო მათგანი ძალას წარმოადგენს ამ პაწაწა სახელმწიფოში, ისინი არ არიან შევიწროებულნი, როკორც გამასწორებლის ან საქველმოქმედო დაწესებულებაშია, არამედ არიან თავისუფალნი, მიწის მფლობელნი მოქალაქენი, ცხოვრებაც მათ ეხლა სულ სხვა სინათლით ეფინება წინ, ვიდრე წინედ.

მათ მიერ გამოცემული კანონის მიხედვით დანიშნულს დროს სწარმოებს მეცადინეობა სკოლაში სამუშაოდ და გასართობად.

მუშაობის დროს მიწას ამუშავებენ და სთესავენ სხვა და სხვა ბოსტნეულს, აგრეთვე მოიწევენ ჭინახულს და უვლიან საქონელს. ბოსტანში მოწეული მწვანილეულება მიაქვთ საერთო სუფრაზე და ზედმეტს კი ჰყიდიან. ზამთრობით ხეებს სჭრიან, სთლიან და ამზადებენ ხე-ტყის მასალას.

ფულს თვითონვე ღებულობენ იმის მი-

ხედვით, თუ რამდენი საათი უმუშავნია თითოეულს მათგანს.

თითოეული ყმაწვილის მუშაობა იწერება დაწვრილებით და ყოველწლივ დანიშნულია დღე, როცა გამოიანგარიშებენ ვის რამდენი საათი უმუშავნია, და აგრეთვე რამდენი ფული ერგება და ყველა ყმაწვილი მიიღებს თავის წილს.

ყოველწლიული სამუშაო ხელფასი 40—200 მანეთს უდრის თითოეულს ყმაწვილზე, რადგანაც ბევრი მოქალაქე ძლივსღა იქნებიან 9—10 წლისანი,

თავისუფალ დროს „კომმუნის“ ყველა წევრები ისეთი მკვირცხლი და მხიარული ყმაწვილები არიან, როგორც იმ ასაკის ბავშვები. იმათ ყველაფერი აქვთ, რაც ბავშვებს ასიამოვნებს: რამდენიმე საჟენზე მთავარ სადგომიდან გაჭიმულია ვეებერთელა ტბა თავისი საბანეგლით და ნავით საცურავოებით. უკან ვეებერთელა უტეხი ტყეა თავის მცხოვრებლებით—პეპელებიდან დაწყებული დათვებამდის. ზამთარ ზაფხულში ბავშვები მომეტებულ დროს ტყეში ატარებენ. ზოგი მათგანი ბუნებრივი ნატურალისტები არიან და ვეებერთელა შენობა „რესპუბლიკისა“ ხანდახან სამხეცედ იქცევა ხოლმე. ახალგაზდები არ ხოცვენ ცხოველებს, მაგრამ დღე არ გავა, რომ რომელიმე მათგანმა არ მიუთრიონ გამგეს რომელიმე პატარა მხეცი. რამდენიმე ხნის წინათ ყმაწვილებს დიდათ უხაროდათ გველების ჭერა. გამგემ დაათვალიერა შენობა და დაინახა ვეებერთელა გველი, რომელიც ყუთში ჩაესვათ; მან გადასწყვიტა ბოლო მოეღო ამ გვარი გართობისათვის. საკითხი წამოყენებული იქმნა „ახალშენის პარლამენტში“ განსახილველად და უმეტესობამ გადასწყვიტა გველების ჭერაზედ ხელი აეღოთ.

საზოგადოთ საუკეთესოდ ცვლილება ეტყობად ყოვლად ცუდ ბავშვებსაც. თითოეული მათგანი გრძნობს, რომ ახალშენის აყვავება მასზეა დამოკიდებული და ეს ახალშენი აძლევს მას არა მარტო განათლებას, არამედ შეძლებასაც მოიპოვოს ცოტაოდენი ფული, რომლითაც გამოდის ცხოვრების სარბიელზე.

ერთ გაფუჭებულ მოქალაქედ „რესპუბლიკაში“ ითვლებოდა ფრანკი. დედა მას მკვდარი ჰყავდა, მამა ლოთი იყო. მთელი განათლება ფრანკისა მარტო სალანძღავ სიტყვებში გამოიხატებოდა, იგი თამბაქოსაც ეწეოდა; ქურდობდა კიდეც და მაგარ სასმელებსაც ეტანებოდა.

ეხლა ფრანკი სრულიად გამოცვლილია, მხოლოდ ხან და ხან შემთხვევით წამოსცდება ხოლმე სალანძღავი სიტყვები. იმას პრეზიდენტობის იმედიც აქვს, წელს კი გამოდის კანდიდატად ახალშენის ხაზინადრის ადგილზე.

ახალშენის პირველ პრეზიდენტს, ოსკარ ვიბერს, არ ახსოვს თავისი მშობლები, ის ძლიერ პატარა ყოფილა, როცა მშობლები დახოცია. ახალშენში შესვლამდის ის მიჩიგანის ქუჩებში ცხოვრობდა, იკვებებოდა ნასუფრალით, მათხოვრობდა და ქურდობდა კიდეც. „ახალშენის“ ყველა მოქალაქენი ჰგვანან ამ ორ დასახელებულ პირს და ისინი რომ საპყრობილეში გაეგზავნათ, ან გამასწორებელ დაწესებულებაში, ეჭვი არ არის, რომ ნამდვილ დამნაშავე—რეციდივისტებად გადიქცეოდნენ.

ახალსა და ნორჩს ნაძვნარში, კარგი საზრდოობით, სუფთა ტანსაცმლით, ალერსით და მზრუნველობით გარს შემორტყმული, თვით მოქმედებას და თავის პატივისცემას დაჩვეული ქუჩის ბავშვები თითქოს ხელახლად იბადებიან სხვა გულითა და სხვა სულით.

სკოლის გამოცდილებიდან

მოწაფეთა ნაწერების გასწორება და საშინაო სამუშაოები.

ეს ორივე საკითხი გარჩეული იქმნა მასწავლებელთა ერის საზოგადოებაში მიუნხენში, ჩვენი მიზანია რამდენიმე სიტყვით გავაცნოთ ჩვენი მკითხველები იმ დასკვნას, სადამდინაც მივიდა ამ კრებაზე მოხსენების ავტორი.

თავის მოხსენებას ავტორი აფუძნებდა 1.200 მოწაფეთა ნაწერების გაშინჯვაზე და მივიდა იმ დასკვნამდის, რომ მასწავლებლის მიერ მოწაფეების ნაწერების გასწორება, ართმევს ამ უკანასკნელს აუარებელს დროს და მასთან ძლიერ მცირე სარგებლობა მოაქვს მოწაფეთათვის. ამ სახით მოწაფეთა ნაწერების გასწორების შემდეგ, მოწაფეები, იმავე საწერის გამეორების დროს, იმეორებდნენ ერთს მესამედს იმავე შეცდომებისას და მასთან რამდენსამე ახალს შეცდომასაც აკეთებდნენ. აუარებელი შრომა, რაც მასწავლებელმა გასწია მოწაფეთა რვეულების სწორების დროს და დიდი დრო, რაც მან მოანდომა ამ ნაწერების სწორებას, ძლიერ სამწუხარო შედეგებს იძლევიან. გაცილებით უფრო ნაყოფიერია მოწაფეების მიერ მართლწერის შესათვისებლად ის ხერხი, როცა მასწავლებელი თავის თანა დასწრებით და ყურადღებით თვითონ მოწაფეებსვე ასწორებინებს თავიანთ შეცდომებს. ასეთი საერთო მუშაობა მასწავლებლისა და მოწაფეებისა მეტს გულისყურს იწვევდა მოწაფეებში, აჩვენებდა მათ შეგნებით მუშაობას და მასწავლებელსაც აძლევდა თავისუფალ დროს კითხვისა და თვით-განვითარებისათვის, რაც წინად უნაყოფოდ იხარჯებოდა მოწაფეთა რვეულების კითხვაზე და შეცდომების სწორებაზე.

რაც შეეხება სახლში მისაცემ საწერებს, ესრედ წოდებულს „საშინაო სამუშაოებს“, ეს უარეყოფილი და დაგმობილი იქმნა იმავე მოხსენების ავტორის მიერ.

იმავე დაკვირვების და შეკრებილი მასალების მიხედვით ადმოჩნდა, რომ საშინაო ნაწერებს უმრავლესობა ასრულებს ცალკე მასწავლებლის, მშობლების, უფროსი და-ძმების ან ამხანაგების დახმარებით; მოხსენების ავტორს ასეთი ნაწერები, სინდისიერად, დამოუკიდებლად მომუშავე მოწაფეთა ნაწერებთან შედარებით, მასწავლებლისა და სკოლისათვის უღირსად მიაჩნია.

ამ სახით მოხსენების ავტორის აზრით მასწავლებლებისა და მოწაფეების საერთო სარგებლობა მოითხოვს, რომ მოწაფეთა ნაწერებს მარტო მასწავლებლები არ უნდა ასწორებდნენ და საშინაო საწერებიც გაუქმებული იქმნას, კრებამაც ერთხმად სრულიად სამართლიანად ადიარა მოხსენების ავტორის დასკვნა.——

მეცნიერება და აღზრდა

პირველი წერილი.

სწავლა-განათლების საქმე ყოველი დაწინაურებული ერისათვის ერთ უდიდეს და უსაჭიროეს საქმედ იყო დასახული. როგორც კი მოიდგამდა ფეხს ცოტად თუ ბევრად განვითარებული ცხოვრება რომელიმე საზოგადოებაში, მაშინვე შეუდგებოდნენ ხოლმე სწავლა-განათლების საქმეს და, რაც უფრო გამჭრიახი და ჭკვიანი იყო ერი, მით უფრო დაწინაურებული იყო მისი სწავლა-განათლება. უხსოვარის დროიდგან ასე მომდინარეობდა კაცობრიობა და მრავალმა ერმა, რომელთა ცხოვრებაც ეგუთვნის მეტად შორეულს წარსულს, უკვე

მოსწავლეს თავისი დღე და მსოფლიოს დაუტოვა მხოლოდ ნაშთი თავისი დიდებული ცოდნისა და განვითარებისა. ერთი ერის ცოდნასა და გამოცდილებას შემდეგ საუკუნეთა ნამუშევარი ემატებოდა და ამასობაში კაცობრიობამ მოატანა ისეთ დაწინაურებულ ხანას, როგორიც იყო მეთვრამეტე და მეტადრე მეცხრამეტე საუკუნე, როდესაც მეცნიერების ეოველმხრივმა განვითარებამ თითქმის უზენაესს წერტილს მიაღწია. მეცხრამეტე საუკუნე წინანდელ დროსთან შედარებით გაცილებით უფრო ნაყოფიერი გამოდგა, და ადამიანის ცოდნის ეოველმა დარგმა ამ საუკუნის განმავლობაში მეტად დიდი ნაბიჯი წარსდგა.

მაგრამ რამდენადაც სხვა დარგებში შეიტანა ცვლილება ამ საუკუნის შენაძენმა და აღმოჩენამ, იმდენად მცირე და შეუმჩნეველი განსხვავება მიეცა სწავლა-განათლების საქმეს ამ ხნის განმავლობაში. როგორც მომდინარეობდა ეს დარგი საშუალო საუკუნეებიდგან, უმთავრესად თითქმის იმნაირადვე დარჩა. და თუ რამე ცვლილება მოხდა, მხოლოდ დიდის ლოდინისა და ბრძოლის შემდეგ, ისიც მეტად შეუმჩნეველი და უმნიშვნელო. თითქოს ეველას გაუჭირდა ძველი გზის შეცვლა და მისი გავლენის თავიდგან აშორება...

სხვა მრავალ ნაკლულევანებას არ შეეხებით—ეს ამ წერილის საგნად არცა გვაქვს აღებული—ჩვენ შეეხებით მხოლოდ ერთ-ერთ უმთავრესს ნაკლს სწავლა-განათლების საქმისას, რომელიც მხოლოდ გონივრულ განვითარებას ისახავდა მიზნად და სხეულის ფიზიკურ მდგომარეობას სრულებით ანგარიშს არ უწევდა.

მართალია, ჯერ კიდევ ძველი ბერძნები დიდ ეურადღებას აქცევდნენ სხეულის ძალასა და მხნეობას და მრავალ საშუალებას ხმარობდნენ ჯან-ღონის განსავითარებლად; რომაელებიც მათ შემდეგ გაიძახოდნენ: „ჯანმრთელი სული, ჯანმრთელ სხეულშიაო“—მაგრამ მათ შემდეგ ეოველივე ეს დავიწყებას მიეცა და ეველამ მეტ ბარგად დაისახა ამაზედ მზრუნველობა. საშუალო საუკუნოებში ეველანი გატაცებული იყვნენ მხოლოდ გონების განვითარებით, მრავალ უმნიშვნელო საგანს ითვლიდნენ ეუსაზღვროეს დარგად, სხეულის ფიზიკური განვითარება კი სულ აბუჩად აგდებული იყო. სრულებით დავიწყებას მიეცა ის ჭეშმარიტება, რომ სხეულის განვითარება გონებრივიცა და ფიზიკურიც ერთი-შეორის შენთანხმებით უნდა სწარმოებდეს. ამგვარი არა-ბუნებრივი მოვლენა, რასაკვირველია, თავის შედეგსაც იჩენდა. ამას მოჰყვა ახალგაზრდობის ფიზიკური დაძაბუნება და დაქვეითება. ბუნების კანონების გარდასვლამ თავისი შეკვეა და შეუბრალებელი კვალი დაჩინა ეველას და მძლავრად შეარეია სხეულის კეთილდღეობა. დიდმა ხანმა განვლო, სანამ კაცობრიობა გამოერკვეოდა და ამ მრუდე გზით სიარულს უარჰყოფდა. მაშინ მეცნიერებამ აღიმაღლა ხმა, აღმოაჩინა სხეულის დაძაბუნების ნამდვილი მიზეზები, მიუგნო მათ სათავე და მძლავრად მიეტანა იერიში ეველაფერზედ, რაც კი ხელს უშლიდა სხეულის კეთილდღეობას. მაგრამ ერთხელვე დამკვიდრებულ მიმართულებასთან ბრძოლა, რასაკვირველია, ასე სადვილო არ იყო და ბევრი საეუძველიანი მოსაზრება უარეოფილი იყო, სანამ მეცნიერების წინსვლელობამ თავდა არ ახადა მრავალ საიდუმლოებას და აშკარა დამამტკიცებელი საბუთებით არ დაადასტურა ეოველი თავისი დასკვნა. ეს მოხდა მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, რადგანაც სამკურნალო მეცნიერების ერთ-ერთმა დარგმა, ეგრედ წოდებულმა ფიზიოლოგიამ, რომელსაც მიზნად აქვს დასახული სხეულის ეოველგვარი მოქმედების შესწავლა, ბევრი ახალი რამ აღმოაჩინა უტეეარისა და დამამტკიცებელის საბუთებით. რაც წინად ვარაუდით იყო ნაგულისხმევი, ეოველივე უარეოფილი იყო, მხოლოდ ის იყო შეწყნარებული, რასაც აღასტურებდა ცდა და გამოკვლევა. ამ ახალი დარგით მაშინვე ისარ-

გებლა ფსიხოლოგიამ,—ეს ის დარგია ფი-ლოსოფიისა, რომელიც იკვლევს სულიერ მოვ-ლენათა და მათ კანონებს,—და მრავალი დას-კვნა, წინად საიდუმლოებით მოცული ან საოუ-ნიადაგზედ ნაგულისხმევი, ახალ უტყუარ სა-ფუძველს დაამყარა. ამის შემდეგ მთელი დარ-გი შეემატა ფსიხოლოგიას, ეგრედ წოდებული ფიზიოლოგიური ფსიხოლოგია. ამას გვერდს ვერ აუხვევდა ის დარგიც მეცნიერებისა, რო-მელსაც საგნად აქვს აღებული აღზრდის საქ-მე, ეგრედ წოდებული პედაგოგია, და ამნაი-რად ამასაც ანგარიში უნდა გაეწია ამ ახალი მიმართულებისათვის, ერთის მხრით ფიზიო-ლოგიისათვის და მეორეს მხრით ფიზიოლო-გიური ფსიხოლოგიისათვის. სწორედ ამ ნი-ადაგზედ აღორძინდა პედაგოგიის ახალი დარ-გი ფიზიოლოგიურ პედაგოგიად წოდებული. წინად თუ პედაგოგია ბევრ საოუ-ოა საკითხს მხოლოდ მიახლოვებია და ვარაუდით არკვევ-და, ახლა იგი მკვიდრ და შეურყეველ საბუ-თებზედ ამყარებს ბევრს თავის კანონებს. ამ-ნაირად თუმცა ორივე დარგს—ფსიხოლოგიას და პედაგოგიას შორეულ წარსულში ჰქონდათ საოავე, მაგრამ ორივეს სუსტი ჰქონდათ მეც-ნიერული საფუძველი, სანამ ახალმა მეცნიერე-ბამ არ შეიგნო ადამიანის სხეულის მრავალ-ფეროვანი მუშაობა და კარგად არ შეისწავლა მისი რთული და საიდუმლო კანონები.

აი ამ დროიდგან ბევრი საიდუმლოებით მო-ცული აზრი შეიქმნა უტყუარ და დასაბუთებულ ჭეშმარიტებად. ამას ვერავინ გაუწევდა ძველე-ბურ სიჯიუტეს და ეოველ წინააღმდეგობას თავი უნდა მოეხარა ამ ახალი დარგის საფუძ-ველიან მოთხოვნილების წინაშე.

ამავე დროს დაწინაურდა შესამჩნევად სამ-ეურნალო მეცნიერების ის დარგიც, რომელ-საც მიზნად აქვს დასახული ჯანმრთელობის დაცვა, ეგრედ წოდებული ჰიგიენა. დიდი ეუ-რადღება მიაქციეს ნორჩი აგებულების განსა-კუთრებულ მოთხოვნილებას და საფუძვლიანად გამოიკვლიეს ეოველი ვითარება, რაც წინად მივიწყებული და შეუსწავლელი იეო. ამნაირად განვითარდა ახალი დარგი, რომელსაც სასწავ-ლებლის ჰიგიენა უწოდეს.

როდესაც ეოველივე ეს შეემატა თანამედ-როვე კატორბრიობას, მაშინ, რასაკვირველია, აღზრდის საქმეც განახლების გზას დაადგა. მაგრამ სამწუხაროდ, რაც უნდა განვითარებული იეოს სალხი, იგი ერთხელვე ძვალ-რბილში გამჯდარ ჩვეულებას ისე ადვილად ვეღარ სტო-ვებს და დიდი ბრძოლა და დრო არის საჭი-რო, რომ ახალმა მიმდინარეობამ თავისი მოიდ-გას, დიდათ სასარგებლოდ რომ იეოს იგი. მაგრამ რაც უნდა იეოს, რამდენადაც დაწინაუ-რებულია რომელიმე ქვეეანა, მით უფრო ჩქა-რის ნაბიჯით მიდის ეს განახლების საქმე, და რაც უფრო ბეჩავი და საბეარია რომელიმე კუთხე თანამედროვე კატორბრიობისა, მით უფრო ნელის გზით იდგავს თავსს ეოველივე ნაეო-თიერი მუშაობა.

სამწუხაროდ, ჩვენ, ქართველები ამ შედა-რებაშიაც ვერ მივიღებთ მონაწილეობას, რად-განაც ამაშიაც ისე გამოწირულად უნდა დავი-სახოთ ჩვენი თავი, როგორც ბევრ სხვა საგა-ლალო საქმეში... დიდი ხანია, რაც ჩვენი თვითარსებობის ოროთაეირი ჩვენ ხელთ აღარ არის და მისი მიმდინარეობაც ჩვენ სურვილს აღარ ემორჩილება... ბევრ სხვა რამესთან ერ-თად სწავლა-განათლების დიადი საქმის საოა-ვეც ჩვენს ხელთ არ არის და მისი ასე თუ ისე შეცვლა, თანამედროვე მეცნიერების შე-თვარდებით, ჩვენგან იმდენადვე ხელშეუეალია, რამდენადაც ჩვენი მნათობის მცხოვრებთათვის მარიხის მცხოვრებლების საქმეში ჩარევა... ეს ეოველმა შეგნებულმა ქართველმა ძალიან კარ-გად უნდა იცოდეს, მაგრამ მაინც საგულის-ხმოა ცნობის-მოყვარე ადამიანისათვის ამ საგ-ნის შესწავლა, იმის-და მიუხედავად, მალე მო-ვესწრებით თუ არა ამის განხორციელებას. რაც უნდა დაშორებული ვიეოთ სასარგებლო

მიმდინარეობას და ხელდაცარული ახალი მოთხოვნილების განხორციელებაში, მაინც არასოდეს არ გვაწყენს იმის ცოდნა, თუ რა არის კარგი და რა არის მავნებელი.

აი სწორედ ამ მიზნით ხანდახან გამოვესაუბრებით მკითხველებს ზოგიერთ უუსაწირეს კითხვების შესახებ, რომელნიც ახალმა მეცნიერებამ საფუძვლიანად შეიმუშავა და ქვა-კუთხედად დაუდო ახალგაზრდა თაობის შეგნებულ აღზრდას.

ეჭ. ვ. ღ—ძე.

წერილები დაბა-სოფლებიდან

ახალციხე, როგორც ძველი სამესხეთოს დედა ქალაქი, ოდესმე ჭეშმარიტად სწავლა-განათლებითა და ვაჭრობა—მრეწველობითა. ის იყო გზა და ხიდი ევროპიდან პირველად შემოშუქებული ჩვენში ცივილიზაციისა, რომელიც კულტურულად ანვითარებდა ქართველ ხალხს; ამიტომ სამესხეთო ახალციხე ძველად ითვლებოდა საქართველოს განმანათლებელად.

დროთა ვითარებამ ისე შესცვალა გარემოება ამ ქვეყნისა და ისე მოაწყო საქმე, რომ განვითარების პირველობა არგუნა იმ დროიდან ჩამორჩენილ საქართველოს კუთხეებს და სამესხეთო კი დასცა, დაუძლურა და ერთ უკანასკნელ კუთხედ დასტოვა; ამ ნაირად ახალციხე თავის მიდამოიანად წარმოგვიდგენს დღეს ბნელეთს. დღეს საქართველოს ყოველ კუთხეში სიცოცხლე სდუღს, ხალხი განვითარების გზას დაადგა, სამესხეთოში კი სდუმს... იქ განახლებულმა თავისი პროგრესიული გვალი დაჩნია, აქ კი თავისი სანაქებო თვისებაც დაჭკარგა, დაიქვეითა, ერთი სიტყვით დაჭკარგა სამესხეთომ თავისი ისტორიული მნიშვნელობა პირველობისა. როგორც აღმოსავლეთის საქართველო, ისე დასავლეთის დღითი დღე წინ მიდის ეკონომიურად და სწავლა-განათლებით, თვით მთიულთა შორისაც იხსნება პირველ დაწყებითი სასწავლებლები, სადაც იყო თითო ოროლა, იქ ხომ ათრკლასიანებენ და მით განვითარების გზას დაადგენენ, რასაც კარგად მოწმობს ამ უკანასკნელ დროს პირველ დაწყებითი სასწავლებლების გამრავლება, სამკითხველოების გახსნა, დრამატიული დასების შედგენა და წარმოდგენების გახშირება, კოოპერატიული ამხანაგობების შედგენა, სასოფლო ბანკების დაარსება და სხვ. სამესხეთოში კი საამფერის ვერარას შეხვდებით. უკანასკნელ მაზრაში 30—40 პირველ დაწყებითი სკოლებია საქართველოში, ზოკან ხომ ორი და სამი ამდენიც არის, მაგ. გურიაში და სამეგრელოში ასს სკოლებსაც აღემატება, ახალციხის მაზრაში კი 8-ოდე საეკ. სამრევლო და 10—12 სამინისტრო პირველ-დაწყებითი სასწავლებელიც ძლივს არის და ისიც უვარგისად მოწყობილი. უვარგისობას დავანებთ თავი, რაც გვაქს იმისი რიცხვიც არ მცირდებოდეს!... აი მაგალითი! სოფ. ადიგვენში (ახალციხიდან 20 ვერსია) მშვენიერი ორ კლასიანი ნორმალური სასწავლებელი იყო გამართული პანსიონით და სამეურნეო განყოფილებით. არას დროს ამ სასწავლებელში რვა ბავშვზე მეტი არ ყოფილა: მეტი მსურველი რო ვეღარ მიიზიდა ამ სასწავლებელმა, სახალხო ინსპექტორმა ბოგდანოვმა ეს სასწავლებელი ადიგვენიდან ს. ბარალეთში—ჯავახეთში გადაიტანა.

დანარჩენი სკოლებიც რომ ვერაა სასურველ ნიადაგზე დაუნებული ჩვენში შემდეგი მაგალითებიდანაც დავინახავთ:

ქ. ახალციხეში ქართველ კათოლიკეთა სამრევლო სკოლა 50 წელიწადია არსებობს. ნა-

ხევარ საუკუნის განმავლობაში ამ სასწავლებელმა ვერც ერთხელ ვერ მიაღწია თავის დანიშნულებას. ხან იკეტებოდა და ხან იხსნებოდა. რიგიანი მასწავლებელი ამ სასწავლებელს ორ წელიწადს ერთათ არ დირსებია, სულ უწესრიგო სწავლებით ერთი ბავშვიც არ გამოსულა აქედან წერა-კითხვის რიგიანი მცოდნე, ერთ ბავშსაც არ შეუსრულებია ეს სასწავლებელი.

ამ სასწავლებლის ახლოს გვაქვს დედათა ერთ კლასიანი და მართლმადიდებელ ქართველთა სამრევლო საეკლესიო ერთკლასიანი სკოლა. რა საკვირველია ვერც ესენი არიან რიგიან ნიადაგზე დაუენებული!...

დედათა სკოლა 35 წელიწადია არსებობს აქ, განს. ანნა ბეს.—ასული დოდობერიძე—მუსხელოვის მეთხებით. ეს სასწავლებელი ინახება დღიურად ნაშოვნი წყაროებით. ქალაქი წლიურად აძლევს 300 მან. საქველ-მოქმედო საზოგადოების წევრებს შეაქვთ 10—10 მან. რომლებიდგან 200 მან. ძლივს იკრიბება. დანარჩენი კი სკოლის კომიტეტმა უნდა იზრუნოს, წარმოდგენების გამართვით და კერძო შემოწირულებით შეაქუსოს საჭირო თანხა. ამ სკოლის წლიური ხარჯი 1200 მან. ამდენი ფულის მოგროვება ისიც კაბიკობით ახალციხეში, სადაც ერთი მუჭა ქართველობა სიღარიბის გამო სულს ჭლაკავს, ადვილი არ არის. ჩემის აზრით სკოლის ხარჯი უნდა შემცირდეს წელიწადში 450 მანეთით; 750 მანეთით მშვენივრად შეიძლება ერთკლასიანი სკოლის შენახვა.

უზომო ხარჯებიც რომ არ მივიღოთ მხედველობაში, სწავლაც არ არის რიგიანად დაუენებული ამ სასწავლებელში: არავინ არ ათვალიერებს, ჩვენი კომიტეტის წევრები თავის დღეში არ შეიხედავს სასწავლებელში, არც იციან ასწავლიან რასმეს მასწავლებლები თუ არა!.. საჭიროა კომიტეტმა სასწავლებელის უკეთესად დაუენებისათვის მიაქციოს ყურადღება, როგორც ხარჯთ აღრიცხვას, აგრეთვე სწავლების საქმის უკეთ მოწყობასაც სკოლაში. აუცილებლად საჭიროა სკოლის ორკლასიანად გადაკეთებაც, რომ აქ ნასწავლს შეეძლოს სწავლის გაგრძელება სხვა სასწავლებელში და ვინც სხვა სასწავლებელში არ მიებარება, ცოტად თუ ბევრად, ცხოვრებაში გამოსაყენებელი ცოდნა მაინც უნდა გამოიტანონ სასწავლებლიდან. ამისთვის კი უპირველესად კომიტეტმა ხელსაქმის განყოფილება უნდა გაუმჯობესოს, სადაც უპირველესი ადგილი უნდა ეჭირონ ჭრა-კერვას და არა ბალიშის პირების ქარგვას, რომელიც ჩვენი მომავალი ქალებისათვის გამოუყენებელია ცხოვრებაში. ჭრა-კერვა კი უფრო მეტად გამოდგება ოჯახში.

კომიტეტმა უნდა იზრუნოს აგრეთვე იმის შესახებ, რომ გაცდენილი და მოუწყობელი ოთახი სკოლის შენობაში დაამთავროს და შიგ სამუდამო სცენა მოაწყოს, რომელიც აუცილებლად საჭიროა ადგილობრივ ქართველობისათვის. თუ გაორკლასიანება მოხდება, ეს ოთახი მაინც მეორე კლასისათვის საჭირო გახდება და მოწყობილი სცენაც რო იქნება არას დაუშლის რა სწავლების დროს, რადგან ოთახი კარგა მოზრდილი იქნება.

არც ის იქნება ურიგო რომ ადგილობრივი წ. კ. საზოგადოების ბიბლიოთეკა შეეერთონ ამ სასწავლებელს, რომლის ცალკე შენახვა უსახსრობით მაინცა სჭირს და შეერთებით ბევრი ხარჯი შეუმცირდება ბიბლიოთეკას. შეერთება ასე უნდა მოხდეს; ბიბლიოთეკას თავისი საკუთარი ფული აქვს შენობას ასაგებად 800 მან. ამ ფულით სკოლის შენობას აღმოსავლეთიდან მიადგან ორი ოთახი. ერთში სამკითხველო მოთავსდება და მეორე ოთახში წიგნების საწყობი.

ამ ნაირად სკოლა, სცენა, და ბიბლიოთეკა ერთად მოჰყვებიან და საქმეც გაიჩაჩხება. აუცილებლად საჭიროა ახალციხეშიც გაიხსნას

ადგილობრივი განყოფილება წერა-კითხვის სასოგადოებისა, რომელიც ადვილად შეიძლებს ამ სამ ორგანოთა შეკავშირებას: სკოლის, ბიბლიოთეკის და სცენის. სკოლაში სწავლების საქმეც რიგიან მოეწყობა, მაგ. 1, შეადგენს სწავლების წესიერ პროგრამას, 2, ხშირ რევიზიებს გაუწევს და სასტიკ მეთვალყურეობას იქონიებს პროგრამების წესიერ შესრულებაზე; 3, გამოცდის დროს თავმჯდომარეობის როლს შეასრულებს და 4, რიგიან მასწავლებლებს დაუნიშნავს. მერწმუნეთ მაშინ ნამდვილ და სისტემატიურ ნიადაგზე ამყარდება უოველივე. ეს განყოფილებავე იზრუნებს ლექციების მოწყობას საჯაროდ და სხ.

მესხი კ. გვარამაძე.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

Литургическіе грузинскіе памятники въ отечественныхъ книгохранилищахъ и ихъ научное значеніе. — Протоіер. Кор. Кекелидзе. — Тифлисъ. — 1908 г. (XXXI+515+XIII стр.). Цѣна 4 р. 50 коп.

ეს თხზულება მ. კეკელიძისა სამაგისტრო დისერტაციაა, რომელმაც დიდი ეურადღება დაიმსახურა რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში. მეცნიერ—სპეციალისტები ერთხმად აღიარებენ: „თხზულება მ. კეკელიძისა ძვირფასი განძია სამშობლო საღვთისმეტყველო ლიტერატურაშიო“.

შრომა მ. კეკელიძისა ორ ნაწილადაა გაყოფილი: პირველ ნაწილში ვრცლადაა განხილული ქართულ სადმრთო-საეკლესიო წიგნების წარმოშობის და თან-და-თანი განვითარების ისტორია, მეორეში კი აღნუსხულია საღვთისმსახურო წესების რიგი და ხასიათი ჩვენში მე-IX საუკუნიდან მე-XVIII საუკუნემდი. ავტორს თავისი დისერტაციისთვის გადაუშინჯავს ხელთნაწერები პეტერბურგში (საჯარო წიგნთ საცავში და სამეცნიერო აკადემიის მუზეუმში (ასიის)), მოსკოვში (რუმინცევის მუზეუმში, თბილისში (საეკ. მუზეუმში და ქართვ. ს. ს. კ. გ. საზ. წიგნთსაცავში) და საქართველოს ზოგიერთ მონასტრებში (გელათში, შიო-მღვიმეში...) და დეტალურად 62 ხელთნაწერი შეუსწავლია. საეკლესიო წიგნებიდან ვრცლად აქვს გამოკვლეული მ. კეკელიძეს ეკზოლოგიონი (თვენი=ალგარი) და ტიბიკონი (1—221 გვ.), საღვთისმსახურო წესებიდან კი იოანე ოქროპირის, ბასილი დიდის და განახლების წირვის წესები. მეტად საინტერესოა ცნობანი „ერისთავის კურთხევის“ და ეგრედ წოდებულ „ელასამონი“-ს წესის შესახებ, რომელიც ახალგაზრდა მეცნიერს აღმოუჩენია თბილისის საეკლესიო მუზეუმის ხელთნაწერთა შორის (433, 467 გვ.). ეს წესები შეადგენენ მარტოოდენ საქართველოს ეკლესიის კუთვნილებას და სხვა მართლმადიდებელ ეკლესიის წარმომადგენელ ერთა შორის არ მოიძებნებიან. საეურადღებოა მაგ კეკელიძის აზრი ივერიის ეკლესიის კავშირის და დამოკიდებულების შესახებაც ანტიოქიის და კონსტანტინოპოლის საპატრიარქო კათედრებთან XIII. 473—513 გვ.).

საზოგადო თვისება, დადებითი მხარე მ. კეკელიძის შრომისა—ეს მისი მტკიცე მეცნიერული ხასიათია. ფვითოეული თავი, უოველივე გვერდი მოწმობს ავტორის მეცნიერულ განვითარებას და კრიტიკულ სოფლმხედველობას. ბოლო და გამოკვლევის მეთოდიც თხზულებაში უსაკლულოა ენა წმიდა, მარტივი და მსუბუქია.

საძუნარად წიგნში არის ნაკლულეკანებაც-

მაგალითად ავტორს არ განუხილავს კერძო (სპეციალური) საღვთისმსახურო წესები ქართველ წმინდანების სახელზე (მნ. წმ. ნინოსი, იოანეს, წმ. ანდრეას „საგალობლებზე“ მოკლედაა ნაჩვენები (გვ 357—9) და სხ.) და—რაც უველაზე უფრო უმთავრესია—1 ოქტომბრის საღვთისმსახურო წესი: „საკითხავი სუბ-ტიტეროველისა, კუართისა საუფლოსა და კათოლიკე (მცხეთის) ეკეკლესიისა“ ერთი სიტყვითაც არ მოუხსენებია. როგორც ვიცით, ეს წესი ჯერ კიდევ მე-XII საუკ. შეადგინა კათალიკოზმა ნიკოლოზ I (+1160 წ.) და მე-XIX საუკ. იგი ორჯერ გამოიცა. პირველად იგი მოათავსა თავის „საქართველოს სამოთხე“-ში ბ-მა საბინინმა 1882 წ. (გვ. 70—117), ხოლო 1908 წ. მღვდ. კარბელაშვილმა იგი ახლად გამოსცა, უკეთეს დედანზედ, ცალკე შენიშვნებით და კომენტარიებით. ამ წესზე მით უფრო უნდა ეჩვენებინა მ. კეკელიძეს, რომ საქართველოს ერთ უკანასკნელ ეპარქიის თაკანმა (ვლადიმირმა) შემოიღო მცხეთის საპატრიარქო ტაძარში პირველ ოკტომბრის ღვთის მშობლის სოფრველის (Покровъ Богородицы) დღესასწაული და ამასთანავე დააკანონა ამ დღეს ღვთის მსახურების წესი რუსულ ენაზე და, როგორც საფუძველი თავისი ამ გვარ განკარგულებისა, უჩვენა მასზე, რომ ქართველებს ამ რიტხვისთვინ (1 ოკტ.) არ გაქვთ ცალკე საღვთისმსახურო წესი. ამის შესახებ ბევრი რამ ითქვა ჩვენი ეკლესიის წარმომადგენელის ეოვლად-სამდვდელო ლეონიდესგან რუსეთის ადგილობრივ კრების (მოსამზადებელ) წინასწარ სხდომებზე (предсоборная комиссія) პეტერბურგში 1906 წ. რამაც ცხარი და მედგარი წინააღმდეგობა გამოიწვია ცნობილ დეკანოზ ვოსტორგოვისგან.

ეოველ შემთხვევაში (მიუხედავად ნაჩვენებ ნაკლულევანებისა) შრომა მ. კეკელიძისა ძვირფასი განძია სამშობლო სამეცნიერო ლიტერატურაში და, როგორც სამაგისტრო დისერტაცია, შეუდარებელია. ავტორს დონე არ დაუზოგავს დასახულ მიზნის მისაღწევად და ტიტანური შრომა გადუტანია. ამისი მოწამეა ვრცელი 550-გვერდიანი თხზულება მ. კეკელიძისა მრავალნაირი შენიშვნებით, სხოლიებით და კომენტარიებით თვითოეულ გვერდზე, რუსულ-ქართულ-ბერძნულ-ლათინურ-ფრანგულ-გერმანულ ენებზე.

სასურველია, რომ მ. კეკელიძემ განაგრძოს თავისი შრომა და მიჰყოს ხელი ბიბლესტინათონ-ულუმბოს მონასტრების ხელთნაწერების გამოკვლევასაც, სადაც ძველად ქართველ მწერლებს უმოღვაწნიათ და დიდ ძალი მწერლობითი ნაშთი დაუტოვებიათ. იქ სწორედ არა ერთი და ორი ხელთნაწერი აღმოჩნდება, რომელთ დიდი და გაუცვლელი მნიშვნელობა ექმნებათ არა მარტო თუ სამშობლო მხარის წარსულის შესასწავლად, რომელიც ძალზე დარიბია მეცნიერული გამოკვლევებით, არამედ მსოფლიო (უფრო კი აღმოსავლეთის ერთა) ისტორიულ მოვლენათა განსამარტველად და ასახსნელადაც *).

სამ. ცომაია.

პეტერბურგი

*) კიევის სას. აკადემიის პროფესორთა საბჭომ მიუსაჯა მ. კეკელიძეს მაგისტრობის (ღვთისმეტყველების) ხარისხი 1908 წ ოკტომბერში, სიტყვიერი დისპუტის (დაცვის) შემდეგ. კეკელიძე მესამე ქართველია, რომელსაც რუსეთის აკადემიისგან მიუღია მაგისტრობის ხარისხი. პირველი ორნი არიან: ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე) და დეკ. ხელაშვილი. „სასულიერო მახარობლის“ რედაქტორი მესამოცე წლებში.

სამეცნიერო მიმოხილვა

ჩრდილო პოლუსის აღმოჩენა.

წარსულ საუკუნის განმავლობაში არა ერთს მეცნიერს შეუწირავს თავისი სიცოცხლე მეცნიერებისათვის, რომ გამოეკვლია დღემდის კაცობრიობისათვის უცნობი დედამიწის ნაწილები—ჩრდილო და სამხრეთის პოლუსები. უკანასკნელ წლებში, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ორმა ამერიკელმა მოგზაურმა **დ-რ უკმა** და **რობერტ პირიმ** მიაღწიეს საწადელს. დ-რი კუკი ამტკიცებს, რომ 21 აპრილს 1908 წელს მან მიაღწია ჩრდილოეთის პოლუსამდის. მეორე მხრით რობერტი პირი იუწყება, რომ 6 აპრილს 1909 წ. მან ჩრდილოეთის პოლუსზე აღმართა დროშა შეერთებული შტატებისა. პირის ცნობები ყველამ სარწმუნოდ აღიარა, კუკის ცნობებს კი საეჭვოდ შეხედეს. მთავარი მიზეზი ამ დაუჯერებლობისა იმაში მდგომარეობდა, რომ კუკმა თავისი მოგზაურობა მარხილით მოაწყო და თან წაიყვანა მხოლოდ ორი ესკიმოსი, რომლის კულტურული მხარე მტკიცე საბუთს არ იძლევა სარწმუნო მოწმეებისას. ამას გარდა ბევრს საეჭვოდ მიაჩნდა კუკის ისეთი სწრაფი მგზავრობა. 1908 წელს 17 მარტს კუკი იყო ტომას გემბარდის კონცხოზე, რომელიც დაშორებულია პოლიუსიდან 560 ინგლისური მილით, მაშასადამე ეს აუარებელი მანძილი მან 35 დღეში გაიარა, რაც, ბევრის აზრით, შეუძლებელია. მაგრამ ყველა ეს არც იმდენად საბუთიანია, რომ ეჭვი შეეპაროს კაცს მოგზაურის ჩვენების სიმართლეში. მისი პირველი რიტორიული ცნობები აიხსნება იმ აღმაფრენით და სიხარულით, რაც მოგზაურმა განიცადა ამ აღმოჩენის დროს. არც ის კმარა ამის საბუთად, რომ პირიმ ვერავითარი ნაკვალევი კუკისა პოლუსზე ვერ იპოვა. აქ ყველაზე უწინ ის უნდა გვახსოვდეს, რომ ადგილის განსაზღვრას მხოლოდ შედარებითი ფასი აქვს. თვითონ კუკისაც სჯერა, რომ შეიძლება შეცდომა იყოს სათოფის მანძილზე.

კუკისა და პირის საერთო ცნობებიდან სჩანს, რომ პოლუსზე ხმელეთი არ არის, არამედ მცურავი ყინულებია, ასეთივეა ნანსენის გამოკვლევის შემდეგ საზოგადო აზრი ამის შესახებ. ამიტომ გასაკვირველი არ არის, თუ ერთის წლის შემდეგ პირიმ პოლიუსზე ვერ იპოვა კუკის ნაკვალევი. უკანასკნელის ცნობების ღირსების დაფასებას უნდა დავუცადოთ იმ დროამდის, სანამ ის არ გამოაქვეყნებს თავის მოგზაურობის დაწვრილებითს ცნობებს. უფრო ნაკლებ უჯერობას იწვევს პირის ცნობა. ოცდა სამი წელიწადი თავისი სიცოცხლის 52 წლიდან პირიმ მოანდომა გრენალდიის და გრანტის მიწის გამოკვლევას და ცდას, რომ მიეღწია ჩრდილო პოლუსამდის. ეს აღფრთოვანებული მოგზაურია და შეიძლება არქტიული ქვეყნების ფრიად გამოცდილ მკვლევარად ჩაითვალოს. ჯერ კიდევ 1905—1907 წლებში მან გაუსწრო პოლიალურ ქვეყნების ყველა მოგზაურებს, როცა მიაღწია 87°6' ჩრდილოეთის სიგანეზე.

გამგზავრების წინ 6 ივნისს 1908 წ. პირიმ განაცხადა, რომ თუ წარმატება ექნა და მშვიდობით დაბრუნდა უკანვე, ქვეყანა გაიგებს ამას აგვისტოში ან სექ-

ტემბერში 1909 წელს. რამდენად სწორი იყო იმის ანგარიში, შეიძლება დავინახოთ იქიდან, რომ მისი ტელეგრამა, სასიხარულო ამბით წარმატებით მოგზაურობის შესახებ, მიღებულ იქმნა 5 სექტემბერს 1909 წ.

პირიმ გასცურა ყინულებს შუა. და 1 სექტემბერს მიაღწია ელეკმეროვის ადგილის ჩრდილოეთის ნაწილთან, აქ ექსპედიციამ დაიზამთრა.

შემდეგი მოგზაურობა ჩრდილოეთის პოლუსისკენ შეასრულეს მარხილებით, როგორი სისწრაფით მიდიოდა პირი სჩანს იქიდან, რომ Ე აპრილს 12 საათში გაიარეს 40 ინგლისური მილი. მართალია დღე იყო არა ჩვეულებრივი — სიცივე იყო 15°/₀ ნულს ქვევით და ამან გამოაცოცხლა ძაღლები.

6 აპრილს პირი იყო პოლუსზე. პირველი 30 საათი მოანდომეს დაკვირვებას და ფოტოგრაფიული სურათების გადაღებას. მგზავრების მისვლიდან 10 საათის შემდეგ, ცა მოიწმინდა და 7 აპრილს, შუა დღის შემდეგ, ცაზე ღრუბელი არა სჩანდა. ყინულის ნაპრალებში 5 მილზე პოლიუსიდან შეიძლებოდა ზღვის ფსქერის გაზომვა, მაგრამ 1500 საჟენის მავთული ცოტა გამოდგა; შემდეგ მავთული გაწყდა და დაიკარგა.

უკანასკნელი დაკვირვება მეტად საყურადღებოა, რადგანაც იგი წარმოადგენს ახალს საბუთს გრინა მორეს თეორიის დასამტკიცებლად დედამიწის მოყვანილობის შესახებ. როგორც ვიცით მორე ამტკიცებს, რომ დედამიწას სრულიად ისეთი მოყვანილობა არა აქვს, როგორც გეოგრაფიის სახელმძღვანელოშია აწერილი. მორეს აზრით დედამიწას ტეტრაედრის ანუ მსხლის მოყვანილობა აქვს ოთხის მწვერვალით, სამი მწვერვალი ჩრდილო ნახევარ სფერაშია — ესენია: სკანდინავია, კანადა და ციმბირი, რომ დედამიწა ჩრდილო პოლუსთან ღრმად ჩაზნექილია. ამაში ეჭვი არ არის ნანსენის, აბრუცკის და რეოლის ექსპედიციის შემდეგ; მეოთხე მწვერვალს კი წარმოადგენს სამხრეთ პოლიუსი, სადაც უკანასკნელი ექსპედიცია ნათლად ამტკიცებს ხმელეთის არსებობას. მხოლოდ ჯერ გამოკვლეული არ არის სამხრეთის პოლუსი ერთი დიდი ხმელეთია თუ კუნძულებად არის დაყოფილი.

შემთხვევითი რამე ჩრდილო პოლიუსის აღმოჩენის დროს ცოტა იყო, ვიდრე ჰგონიათ. არტიკული ქვეყნების ჰაერის პირობები შესწავლილ იქმნა წინანდელ ექსპედიციების მიერ და მიღებული ცნობებიდან მივიდნენ იმ დასკვნამდის, რომ წარმატებით მოგზაურობა ჩრდილო პოლუსისკენ შესაძლებელია მხოლოდ გაზაფხულზედ, როცა ყინულის მდგომარეობა არ აბრკოლებს მარხილით მოგზაურებს და სიცივეც ისეთი მძაფრი არ არის, როგორც ზამთარში. ბოლოს ამით უნდა აიხსნას პირის (და შეიძლება კუკის) წარმატებაც. ორნივე იმ დასკვნამდის მივიდნენ, რომ წინანდელი ხერხით და საშუალებით, რაც უხმარიათ მრავალ რიცხვოვან ექსპედიციებს შეუძლებელია მიზნისადმი მისაღწევა. ექსპედიციაში უნდა მოჰყვეს ცოტა ხალხი, სასტიკ არჩევით, რაც შეიძლება ჰყავდეთ მეტი ძაღლი, საჭიროა სურსათის მინიმუმი, ესკიმოსების ჩვეულება, თოფი და მონადირის სიმარჯვე. ეს საშუალებანი ნანსენმაც მოიწონა, როცა შეეხო პირის მოგზაურობას.

ჩრდილო პოლუსის აღმოჩენას კიდევ ის მნიშვნელობა აქვს, რომ მკვლევართა ინტერესები მარტო ამ წერტილზე არ შეჩერდება, მათი ყურადღება მიქცეული იქნება ამ ქვეყნის ჯერ კიდევ გამოუკვლე-

ველი ადგილებისკენ. ამ მხრით სამუშაო აუარებელია, რადგანაც ალიასკის ჩრდილოეთი ნაწილი და აღმოსავლეთის მხარე ციმბირისა, იმ გზამდის, რომელიც განვლო ნანსენმა, ჯერ კიდევ ბევრგან გამოუკვლეველია.

ამ გამოკვლევას სავაჭრო-სამრეწველო ინტერესიც მოჰყვა, მაგალითად შპიცბერგენზე ეხლა გაცხარებული მუშაობაა ქვანახშირისა. წარსული წლის სექტემბერში დაასრულა თავისი სამუშაო შოტლანდიელმა მოგზაურმა დ-რ **ბრუსმა** პრინც ჩარლზის კუნძულის შესახებ. ამ ექსპედიციამ იმდენი მადნეულის სიმდიდრე აღმოაჩინა ამ კუნძულზე, რომ მალე შეუდგებიან მის შემუშავებას.

რედაქტორ-გამომც. ლ. გ. ბოცვაძე.

განცხადებები

მიიღება ხელის მოწერა 1010 წლ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

დროება

(წელიწადი მესამე)

გაზეთს ექნება: **სურათებიანი დამატება.**

წლიურად გაზეთი ღირს 8 მან. 50 კ. ნახევარი წლით 4 მან. 80 კაპ. ერთი თვით 80 კაპ. 1910 წელს წლიურ ხელის მომწერლებს დაურიგდებათ **კედლის კალენდარი**

ადრესი: Тифлисъ, редакція „Дроэба" И. Г. Агладзе.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

მოამავალი

გაზეთი წლიურად ღირს 7 მანეთი, ნახევარი წლით 4 მან. ერთი თვით ტფილისში 80 კაპ. ტფილისს გარედ 90 კაპ. რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა, № 3, ზემო სართული.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип „Шрома" Калистрату Конст. Цуладзе

ყოველ-კვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ფონი

გამოვა იმავე პროგრამით 1910 წელსაც, როგორც 1909 წელს გამოდიოდა. გაზეთის ფასი წლიურად—3 მან. ქალაქს გარეთ 3 მ. 50 კაპ. ნახევარი წლით 2 მან. სამი თვით 1 მ 20 კაპ. სოფლის მასწავლებლებს გაზეთი დაეთმობა წლიურად 2 მანეთად, ნახევარი წლით 1 მან 20 კ.

რედაქციის ადრესი: Кутаисъ, Балахванская ул. д № 37 Редакція „Понц"

Открыта подписка на 1910 г. на газету

ЗАКАВКАЗЬЕ

годъ пятый

ПОДПИСНАЯ ЦѢНА съ доставкой въ Тифлисѣ за годъ 6 р, за полгода 3 руб. 50 к.; съ пересылкой въ другіе города за годъ 8 р, за полгода 4 р. 50 к. Помѣсячно по всюду 75 к За границей вдвое

Адресъ редакціи: Тифлисъ. Эриванская площадь, д Гургенова, общій входъ съ конторой нотаріуса Мгеброва

Ред -изд. Г. І. Амираджиби.

Открыта подписка на ежедневную общественно-политическую и литературную газету

НОВАЯ РѢЧЬ

ПОДПИСНАЯ ПЛАТА на годъ для городскихъ 7 р., на полгода 4 р. Для иногородныхъ на годъ 8 р., на полгода 5 руб помѣсячно 75 коп.

Адресъ: Тифлисъ, Дворцовая, д. груз дворян ред. газ „Новая Рѣчь".

Редак -изд П. А. Готуа

მიიღება ხელის მოწერა

სამეცნიერო-პედაგოგიურს და სალიტერატურო ჟურნალ

„განათლება“-ზე

(წელიწადი მესამე)

1910 წელს ჟურნალი გამოვა ყოველთვის პირველ რიცხვებში, გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალის მიზანია ხელი შეუწყოს სწავლა-განათლების საქმეს ჩვენებურს სკოლებში და ოჯახებში, მიაწოდოს მკითხველს უსაჭიროესი ცოდნა მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდან და სიტყვა-კაზმულ მწერლობიდან, დაეხმაროს მასწავლებელთა და სახალხო განათლების მოღვაწეთა შეერთებულს მოქმედებას საქმის ნაყოფიერებისათვის.

ჟურნალში მონაწილეობა აღგვითქვეს ჩვენებურმა საუკეთესო მეცნიერებმა, პედაგოგებმა და მწერლებმა.

ჟურნალი წლიურად ღირს 3 მანეთი, ნახევარი წლით 2 მანეთი. სახალხო მასწავლებლებს ჟურნალი წლიურად დაეთმობათ **ორ მანეთად.**

წარსული ორი წლის ყველა ნომრები მსურ-ველთ დაეთმობათ „წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიიდან **ორ მანეთად.**

ჟურნალის ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Дворянская Грузинская Гимназія Луарсабу Герасимовичу Боцвадзе.

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

ავტორებას საყურადღებოდ: რადგანაც ჟურნალი ამ წელში შემოკლებული გამოდის, ამიტომ „განათლების“ რედაქცია ვერ იკისრებს ვრცელი წერილების ბეჭდვას. რედაქციას სასურველად მიაჩნია უფრო მოკლე და შინაარსიანი წერილები მიაწოდოს მკითხველებს. დასაბეჭდ წერილებს, თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეასწორებს და შეამოკლებს. ჟურნალში დასაბეჭდი წერილები გარკვევით უნდა იყოს დაწერილი ცალ გვერდზე, დატოვებული უნდა იქმნას საკმაო ადგილი გასასწორებლად. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ინახავს, ვიდრე ავტორი არ მოიკითხავს და უკანვე არ დაიბარებს თავის ხარჯით. ჰონორარს რედაქცია ვერავის ვერ დაპირდება.

შემდეგი ნომერი „განათლებისა“ გამოვა პირველ თებერვალს.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა, სპირიდონ მ. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა № 5.

სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივ ჟურნალი

განათლება

(წელიწადი მესამე)

II თებერვალი 1910 წ.

შინაარსი: 1. აღმზრდელობითი მნიშვნელობა საბავშვო წიგნებისა. 2. სწავლა-აღზრდის საქმე ძველ საქართველოში X—XIII საუკ., **სამ. ტომაიასი.** 3. **მთას** (ლექსი), **ვაჟაფშაველასი.** 4. მკვდარი სკოლა, (მელეტეკოსი) **კ. ან—ძისა.** 5. სიმღერა, (ლექსი) **ლ. გეგეჭკორასა.** 6. სულა და ლმერთები (სპარსული ლეგენდა) **ბაჩანასი.** 7. ქართული ენის პროგრამა საქართველოს სახალხო სკოლებისათვის. 8. ლედა-ესა, (უშინსკიდან). 9. მესსიანიზმი პოლონურსა და ქართულს მწერლობაში, **ალ. ხახხაშვილისა.** 10. შინაური მიმოხილვა, **რატტი-სა.** 11. სულით ავადმყოფ დამტვერ-საზოგადოებათა კრება, (წერილი პეტერბურგიდან), **ლ. გეგეჭკორასა.** 12. სახალხო მასწავლებელი ინგლისში. 13. ზრუნვა მოწაფეთა ჯანმრთელობის შესახებ უცხოეთში. 14. საბავშვო ბიბლიოთეკები ამერიკაში 15. სინემატოგრაფი და მისი მნიშვნელობა სწავლებაში. 16. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, **იპ. ვართაგავასი.** 17. განცხადებანი.

ჟურნალი წლიურად ღირს 3 მან. ნახევარი წლით . . . 2 მან. სახალხო სკოლების მასწავლებლებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად **ოჩ მანეთად.**	ცალკე ნომრის ფასი 30 კაპ.	ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში" და „ნაკადულის" რედაქციაში. წერილები და ჟურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ. Дворянская Грузинская Гимназія. Л. Г. Боивалзе.

აღმზრდელობითი მნიშვნელობა საბავშვო წიგნებისა.

ცოცხალი პიროვნების დამოუკიდებელი გავლენა ყოველთვის შეადგენდა და შეადგენს აღზრდის ერთს უმთავრესს დანიშნულებას. მაგრამ ამ საქმეში საჭირო იარაღს, დამხმარე საშუალებას, აღმზრდელობით გავლენისათვის ხელსაწყო ნივთს წიგნი შეადგენს, უფრო კი საბავშვო წიგნი.

საბავშვო წიგნი პატარა მკითხველს უვითარებს გონებას, გრძნობას, შეუმუშავებს ხასიათს, შეუქმნის რწმენას, ერთი სიტყვით, ყოველის მხრით ზრდის ახალთაობას.

მშობლები და სკოლაც, ცხოვრების

სხვა და სხვა სოციალური პირობებისა, ან ზოგჯერ მოუნდომლობისა გამო, ყოველთვის ვერ ასრულებს აღზრდის ამ რთულს დანიშნულებას. ამიტომაც ფრიად საჭიროა მიაწოდონ მოწაფეებს კლასს გარეთ საკითხავი წიგნებიც, როგორც აღზრდის მხრივ დამატებითი საშვალება ოჯახებში და სკოლებში.

როცა ამა თუ იმ წიგნს შეგნებით ვაწვდით ბავშვებს, დიდი სურვილიც რომ გვქონდეს ბოლომდის ვერ ჩავატარებთ პიროვნების მიხედვით კითხვას; ხშირად კოტესათვის კარგი წიგნი—ნუკასათვის შეუფერებელია იმ შედეგების მიხედვით, რასაც ვამჩნევთ ამა თუ იმ ბავშვზე. და ეს იმიტომ არის, რომ, რაც უნდა კარგად გვქონდეს შესწავლილი ბავშვის პსიხოლოგია, რაც უნდა ცხადათ ვკითხულობდეთ ყველაფერს ბავშვის სულში, წიგნი მაინც დაანახვებს მას ისეთს რასმე, რასაც ჩვენ წინად ვერ წარმოვიდგენდით. და ეს იმისგამოა, რომ წიგნი, როგორც არა წინგანწარახული აღზრდა, ჩნდება ახალ აღმზრდელად, ბავშვის ცხოვრების მასწავლებლად, რაც ჩვენთვის, დიდებისთვის უხილავია.

მაგრამ დავეკითხოთ თავის თავს: როგორს გავლენას ახდენს ჩვენს ბავშვებზე ეს ახალი აღმზრდელი? წიგნი აწვდის ბავშვს ახალს ცნობებს. ჯერ სუსტი, რბილი და გაუმაგრებელი გონება ბავშვისა იკვებება წიგნიდან ცხოველ მყოფელის წვენით. მართლაც თავის ნებაზე მიშვებული ბავშვების დაკვირვება სუსტია, ზერელაა, წუთიერია და ღრმად ფესვებს ვერ იკიდებს იმის სულში. საჭიროა ბავშვები მიეჩვევნენ ბუნების მოვლენების და მათ გარშემო ქვეყნისადმი გულის ყურის მიპყრობას და, ამასთან ერთად, შეიმუშავონ ნამდვილი დიფფერენციული (განსხვავებული) წარმოდგენილებანი, უკუაგდონ გონების გამფანტველი, შემთხვევით ჭრელ-ჭრელი შთაბეჭდილებანი—ბოროტი შოლტი ჩვენის ნერვებიანის, ძლიერ მოძრავი ცხოვრებისა.

როგორც გამოცდილი, ნიჭიერი პედაგოგი, კარგი წიგნი უღვიძებს ბავშვს აზრს და, ამასთან ერთად, ცოტ-ცოტათი აჩვევს მას წესიერებას.

აღმზრდელობითი მნიშვნელობა საბავშვო წიგნებისა ბუნების მეტყველების დარგიდან ყოველს ეჭვს გარეშეა: ბუნების შესწავლა ადამიანის სულის ძირითადის თვისებიდან გამომდინარეობს—ცოდნისადმი მისწრაფებიდან. ამას გარდა, ბუნების მოვლენათა და ფაქტებთან ერთად ჩვენ აზრი შეგვაქვს დამოუკიდებელ დაკვირვებაში და ვსწავლობთ წესიერად გამოვიყენოთ ბუნების კანონები, ვილესავთ გარეგან გრძნობებს, ვაწესრიგებთ გულის ზრახვათა. მაგრამ მშრალად დაწერილი მოთხრობები ბუნების მეტყველებიდან ადვილად უკარგავს ბავშვებს კითხვის ხალისსა. ამიტომ საჭიროა, რომ წიგნები ბუნების მეტყველებიდან, რასაც ბავშვს ვაწვდით, გარდა მეცნიერების მხრით სწორი შინაარსისა, უნდა წარმოადგენდნენ გარეგანის მხრითაც მხატვრულ ნაწარმოებს და საინტერესო შინაარსიან დასურათებას.

რიგიანად შედგენილს საბავშვო წიგნებს ბუნების მეტყველებიდან დღეს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. ბავშვებისაგან ხშირად გაიგონებთ: „ზღაპრები არ გვინდა, იქ ყველაფერი სიცრუეა“, სანუგეშო მოვლენაა და ამ ცნობის მოყვარეობას ბავშვისას ანგარიშის გაწევა უნდა. ამიტომ კარგად შედგენილი საბავშვო წიგნი ბუნების მეტყველებიდან,

მხატვრული სურათებით, ნათლად გადუშლის თვალწინ ბავშვს ბუნების სურათებში, მხატვრულ სახეებში ⁄ დაეხმარება აღმზრდელს ბავშვში ცნობის მოყვარეობა საღ ცოდნის მოყვარეობად გადააქციოს.

დღევანდელი ცხოვრება თანდათან რეალური მხარისკენ მიისწრაფება, თხოულობს ისეთს ცოდნას, რაც პრაქტიკულად გამოსაყენებელია. ამას ბავშვის გემოვნებაზედაც აქვს გავლენა, მაგრამ ბავშვის სულში ყოველთვის იყო და არის იდეალური მისწრაფ ნი. ცხოვრების პრაქტიკულმა და რეალურმა მიმართულებამ რომ არ ჩააქროს ბავშვის სულში ეს იდეალური მისწრაფებანი, განსაკუთრებით საჭიროა და სასარგებლო სიტყვა-კაზმული ლიტერატურა. უნდა გვახსოვდეს, რომ, როცა ბავშვს უღვიძებთ გულში სიმშვენიერისა და სილამაზის გრძნობებს, იმავე დროს მას ვაწვდით საზრდოს იდეალურ მისწრაფებისათვის და თანდათან ხელს ვუწყობთ გახდეს იგი თავდაპირველად კაცთ-მოყვარე ადამიანი. რომ ეს ასეა, სჩანს ესთეტიური გრძნობის რთული ბუნების პსიხოლოგიურად განხილვისაგან. ესთეტიური გრძნობის განსაკუთრებული თვისებაა, როგორც აწინდელი ახალი პსიხოლოგია გვასწავლის, ამ გრძნობის არა შეგულიანება, უანგარობა. ამ სახით თვით ესთეტიურ გრძნობაშია ალტრუისტულ გრძნობათა საწინდარი, ეგოიზმის მინიმუმით, ან მისი სრულიად არ არსებობით. ამას გარდა ბუნებით რთულ ესთეტიურ გრძნობის შედგენილებაში არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ბავშვის სულის საღად შემქნელი და მფარველი ერთგვარი სუფთა ოზონი. მართლაც, როცა ბავშვი ესთეტიურ კმაყოფილებასა გრძნობს, ის მხიარულობს, იცინის ან ლმობიერობას განიცდის. ამ სიამოვნების გამოვლის დროს ბავშვის სული ფაქიზი ხდება, იწმინდება, მაღლდება და მდიდრდება. რაც შეეხება ფანტაზიას, მისი ზრდისა და განვითარებისათვის ესთეტიური სიამოვნება იმდენად საჭიროა, როგორც ბავშვის საზოგადო ჰარმონიულად განვითარებისათვის თამაშობა და სათამაშოები. ჩვენს მანქანების, ქარხნების და ავტომობილების საუკუნეში, ცხოვრების პრაქტიკულად მოწყობის ხანაში, მშობლებს და აღმზდელებს ვალად აძევთ განამტკიცონ ახალთაობაში იდეალური მისწრაფებანი. წიგნების კარგად შერჩევა სიტყვაკაზმული მწერლობიდან, ჭაბუკ მკითხველებს თვალწინ გადუშლის ცხოვრებას და იმავე დროს შეუმჩნეველად ავითარებს მათს ესთეტიურ გემოვნებას, სიმშვენიერის გრძნობას, აკეთილშობილებს, ამაღლებს ბავშვს.

ამ სახით სიტყვა კაზმული მწერლობა თან და თან აღვიძებს ბავშვის სულში დაუშრეტელს, მაღალს და უანგარო ალტრუისტულ გრძნობებს, რომლითაც ადამიანი სარგებლობს მთელს თავის სიცოცხლეში. რა უღრმესს გულითადს მადლობას გადუხდის ადამიანი თავის პირველ ხელმძღვანელს საბავშო წიგნებს, რომელმაც შეაძინა მას სულიერი ძალა ეკლიანს გზაზე ცხოვრების ჭირ-ვარამთან საბრძოლველად!

სიტყვა კაზმულ საბავშვო ლიტერატურას, რომელშიაც ფორმა და შინაარსი რგოლივით გადაბმულია ერთმანეთთან ისე, რომ ვერ ხედავ ერთის დასაწყისს და მეორეს დასასრულს, სადაც ერთი მეორეს გულისხმობს,—ამ ლიტერატურას უეჭველად პირველი ადგილი უნდა დაეთმოს საბავშვო საკითხავ წიგნებს შორის.

ჩვენ აღვნიშნეთ ზემოთ გულ-მოდგინებით არჩევა საბუნებისმეტყველო წიგნე-

ბისა ბავშვებისათვის დღევანდელი ცხოვრების პირობის მიხედვით, მაგრამ მაინც ვურჩევთ მშობლებს და აღმზრდელებს ძლიერ ნუ იქნებიან გატაცებული პრაქტიკული, სამეცნიერო შინაარსიანი წიგნების მიწოდებით, უფრო ხშირად საბავშო სიტყვა კაზმულ მწერლობას მიმართონ, რომელიც ბავშვის სულში ჩადგამს საკაცობრიო იდეალიზმის პირველს საფუძველს.

ფანტასტიური შინაარსის წიგნები ბავშვებს შემოქმედებითს ძალებს უვითარებს. ამ მხრით სასარგებლოა ზღაპრები, რაც ბავშვებსაც უყვართ თავისი მიმზიდველობით, სიმარტივით, სილამაზით, გასაგები ფორმით, ზღაპრები თითქმის იმდენად არ ამდიდრებენ ბავშვის ფანტაზიას, რაც ისედაც საკმარისი აქვსთ ბავშვებს, რამდენადაც, უმეტესად, მიმართულებას აძლევს, ზრდის მის ფანტაზიას და იმავე დროს აცნობს ბავშვს მახლობელ და შორეულ ქვეყნებს, სხვა და სხვა პირებს და კაცობრიობის ერთმანეთთან დამოკიდებულებას.

თვითონ ჩვეულებრივი ფორმა ზღაპრებისა დროსა და ადგილის გარეშეა; ის ბავშვობიდანვე უნერგავს გულში ყმაწვილს დიდებულს სოლიდარულს გრძნობას ხალხთა შორის, საზოგადო ძმობას ხალხისას, ფართოდ უვითარებს კაცობრიულს გრძნობებს და უნერგავს გულში თავისი ერის სიყვარულსაც. ამ აზრის სიმართლეში ადვილად დავრწმუნდებით, თუ მოვიგონებთ ჩვენს და უცხო ხალხის ნიჭიერ პოეტებს. საკმარისია გავიხსენოთ ჩვენი სახელოვანი პოეტი ილია ჭავჭავაძე, რომელიც სიამოვნებით იგონებს თავის ავტობიოგრაფიაში მთავარს და მშობლებს, რომლებიც ბავშვობისას გასაგების ენით უამბობდნენ მას ზღაპრებს და სამშობლო ქვეყნის ისტორიულ ამბებს, რომელნიც ღრმად ჩარჩენოდა გულში და დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც მოეხდინა მასზე.

იმავე როლის პედაგოგ იდეალისტისას ასრულებს ყოველგვარი ბელეტრისტიული ნაწარმოები მოთხრობების სახით ნესტიან ქოხებში მცხოვრებ ბავშვებზე, მთხოვარებზე, ობლებზე, უბედურებზე — ერთი სიტყვით ყველა ამა ქვეყნის მაშვრალთა და ტვირთ მძიმეთა შესახებ. ბავშვი ინსტიკტიურად გრძნობს მხატვრული სხვა და სხვა შინაარსიანი ნაწარმოებთა დიდს მნიშვნელობას და ერთნაირის გატაცებით და სიამოვნებით კითხულობს ინდოელების და აფრიკელების, ესკიმოსების და იტალიელების ცხოვრებას, როგორც ცხოვრებას იმ საცოდავ ობოლ მთხოვარა ბავშვისას, რომელიც მდიდრის კარებთან დგას, სახლში ფუფუნებაა, ბავშვები მხიარულობენ, გაჩირაღდნებულ შობის ხეს გარს უვლიან, სახლში სინათლე და მხიარულობაა, მაგრამ ქუჩაში მოხეტიალე გაყინულ და მშიერისთვის კი არა — უფრო ბედნიერ ბავშვებისათვის და სხვ. შეიძლება ბავშვს, როცა წაიკითხავს საწყალი ბავშვის თავგადასავალს, სიბრალულის ცრემლებიც გადმოცვივდეს თვალებიდან, მაგრამ ეს ცრემლები — კარგი ცრემლებია. ამით გული გაუკეთესდა და ბავშვიც უკეთილშობილესი შეიქმნა. ასე წიგნი უღვიძებს მას კეთილ აზრებს, კეთილ საქმეებში კი ბავშვი უნდა ავარჯიშონ მშობლებმა და მახლობელ აღმზრდელებმა.

ჩვენ ვხედავთ, რომ კითხვა აფართოვებს ბავშვის გულს, მახლობელ სისხლის ნათესავებს გარდა, გულში დაისადგურებენ სხვა მოყვასნიც. ბავშვის გული შეიყვარებს სულით ნათესავებს, მეზობლებს

და შორეულებს. ამნაირად მოისპობა ის ვიწრო კარჩაკეტილობა, რომელიც გვეუბნება: „სისხლი წყალი არ არის, მიყვარს ჩემიანები, სხვებს ვერ ვიცნობ და არც მინდა ვიცნობდე“, არა, ნაცვლად ამ დახავსებული მარტო თავისის თავის მოყვარეობისა, შეიძინება ფართო და ღრმა სიყვარული კაცისადმი, შექმნილის ხატად და მსგავსად ღვთისა, შეიძინება დაუსრულებელი სურვილი ყოველთვის და ყველგან, საცა შესაძლებელია, საქმით კაცის სიყვარულისა და მისი სამსახურისა. ცოდნას, თუ როგორ უნდა ცხოვრება, ასწავლის კარგი საბავშვო წიგნი. რამდენად საჭიროა ცოდნა ცხოვრებისა, სჩანს ერთი პოეტის ბრძნული სურვილიდან, რაც მან უსურვა ახალთაობას: „არ გეტყვი—იყავ ბედნიერ, მაგრამ ეცადე იცხოვრო!“ ურჩია მან ვინც ცხოვრებას იწყებს.

როცა ბავშვები ეცნობებიან მოთხრობებით სხვა და სხვა ხალხის ყოფა ცხოვრებას, ჯერ თუმცა თეორიულად, მაგრამ მაინც ეჩვევიან ცხოვრების სხვა და სხვა პირობებთან შეგუებას, რასაც ბოლოს ცხოვრებაში საქმეში გამოიყენებენ. საზოგადოს, საერთო კაცობრიულს სხვა და სხვა ერის ცხოვრებაში, რასაც ბავშვი აღნიშნავს, შეუძლიან შეიმუშაოს ბავშვში მისი სულიერი ბუნების იდეალური მხარეები. ამ ორნაირი სარგებლობის ერთად მხატვრულად დაწერილი ბელეტრისტიული ნაწარმოების კითხვას არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიოთ, არ გამოვყოთ ცალკე, როგორც ძვირფასი საშუალება აღზრდის საქმეში.

რაკი მნიშვნელობას ვაძლევთ უფრო ისეთ წიგნებს, რომელიც უვითარებს ბავშვს შემოქმედებას და სულიერს ძალებს, ჩვენ სრულიად უნდა განვდევნოთ საბავშვო წიგნთ-საცავიდან **საშაშარა** ზღაპრები და ისეთი წიგნები, რომლებიც მძიმედ მოქმედებენ ბავშვის პსიხიკაზე. ბავშვის სულის აღზრდის დროს, მუდამ უნდა ვზრუნავდეთ, რომ აღუძრათ ბავშვს სამხიარულო, გამამხნევებელი ემოციები, უკუ ვაქციოთ დამჩაგვრელ და შემასუსტებელ გავლენისაგან, აგრეთვე ყოვლის ღონის ძიებით უნდა გავაფრთხილოთ, რომ ბავშვს არ განუვითარდეს გადამეტებული ოცნებიანი ფიქრები და გულის ზრახვანი, რასაც ცუდი გავლენა აქვს ადამიანის ცხოვრებაში.

როცა ვამბობთ ბავშვის გამახნევებელი ემოციების განვითარებაზე, ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვის ასაკს მინიჭებული აქვს უზრუნველობის ხასიათი. ბავშვის სული სიცოცხლის სიამოვნებით და მხიარულობით არის სავსე. უნდა ვეცადნეთ, რომ დიდხანს შერჩესთ ბავშვებს ეს სიცოცხლით კმაყოფილება და სიამოვნება. ამიტომაც ბელეტრისტიული ნაწარმოებნი შესაქცევი შინაარსიანი, კომიკური დებულებითა და შედეგებით, რომელნიც კითხვის დროს გამოიწვევენ ბავშვის გულწრფელ სიცილს, ფრიად სასარგებლონი არიან. სიცილი, ვერცხლისებრივი, მოზრდილთათვის გადამდები ბავშვის სიცილი შეადგენს საწინდარს მომავალის იუმორისას, რასაც ადამიანი შეიმუშავებს და ხან მთელი ხალხიც. გულკეთილი სიცილი ბავშვობაში, გულკეთილი ცრემლებიანი სიცილი მოზდილებში, რაც მკვეთრად და საგრძნობლად ჰკიცხავს ცხოვრების უსამართლობას—ეს თავის მაცხოვრებელი თავსაცავია, ურომლისოდაც ზოგი კაცი ჩაიხჩვებოდა ტანჯვა-ვაებაში, რაც მას ბედმა არგუნა. სიცილი ახალგაზრდობაში, იუმორი მოწიფულობაში აძლევს ადამიანს ძალას და

ზეკაცობრიულს მოთმინებას, რაც ხელს უწყობს აიტანოს ცხოვრების მძიმე განსაცდელი, რომელიც მუდამ გარს გვარტყია. ჩვენც შევუნარჩუნოთ ჩვენს ბავშვებს ბავშვობაშივე მეტი სიცილი და მხიარულება.

ჩვენ ვსთქვით, რომ უნდა მიექცეს ყურადღება ბავშვებში ,,ამამხნევებელ, სამხიარულო ემოციების განვითარებას, რაც ამაღლებს მათს გრძნობა-გუნებას ან როგორც ექიმები ამბობენ— სიცოცხლის ტონუსს, ამით ჩვენ იმის თქმა არ გვინდა, რომ ბავშვები კარჩაკეტილში ჰყავდეთ, ცხოვრებას, მწუხარებას და ტანჯვას მოშორებული. სრულიადაც არა. შემცდარი იქნებიან ისინი, ვინც ჩვენს სიტყვებს ასე გაიგებს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ბავშვებისთვის ცხოვრების გაცნობა არა თუ შესაძლებელია—საჭიროც არის. ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რომ ცხოვრება მუდმივს მხიარულებას და ლხინს არ წარმოადგენს. იმათ უნდა იცოდნენ, რომ არის ვაება, მწუხარება, ტანჯვა და სიკვდილიც, ან პოეტის სიტყვებით რომ ვსთქვათ: „იცოდნენ რომ არიან ღარიბნიც, არის სადმე სიმწარითა ცხოვრება". მაგრამ ყველა ამას ნორჩი არსება **თანდათან** უნდა ეცნობოდეს. თავდაპირველად ბავშვმაც, როგორც, მცენარემ, ძალ-ღონე უნდა მოიკრიფოს, გამაგრდეს, შეიწოვოს სიცოცხლის საღი წვენი და შემდეგ შეგიძლიათ მოახდინოთ უსაჭიროესი დამყნა. არ არის საჭირო ძლიერ გაფერადება სამწუხარო სურათებისა, რასაც ბევრი მშობელი შვრება. ჩვენ უნდა მოვაგონოთ აღმზრდელებს და მშობლებს პოეტის სიტყვები:

„იტიკტიკე ენითა უსუსურის,
იტიკტიკე, ვიდრე ჟამი დაგხარის,
ვიდრეგმდის ხარ, ყრმაო, თავისუფალი,
არ გიცვნია სოფელი მომღერალი!"

იტიკტიკონ, ითამაშონ, იცელქონ ბავშვებმა, მაგრამ მოზრდილები ნუ მოუშხამავენ მათ ბუნებრივს მაცხოვრებელს ჯანსაღობას თავიანთი რჩევა დარიგებით და მკვდარი ზნეობრივი სწავლებით, რაც უჩლუნგებს ადამიანს ზნეობრივს გრძნობებს. საჭიროა მიაწოდოთ ბავშვებს უფრო მეტი სინათლე, მზე, ჰაერი, სიყვარული და სიცილი, სამხიარულო საღი სიცილი, ნათელი ფერადები და ბრწყინვალე მოთხრობები. ნუ დაიშურებთ ამისათვის დროს და საშუალებას. საღი ახალთაობა, როგორც ხე საღის ფესვებით, თავისი აღზრდით გაახარებს მშობლებს და აღმზრდელებსაც

ნების აღზრდაში საჭიროა ბავშვის თვითმოქმედების განვითარება, თავისი საქციელის პასუხის გების გრძნობასთან ერთად. გამბედაობა, სიმტკიცე, შეურყეველობა, სულის სიმაგრე—აი რა უნდა შესძინოს ბავშვებს აწინდელმა საბავშვო ლიტერატურამ. საბავშვო წიგნი, როგორც ცხოვრებაში გზის მაჩვენებელი და მისი ოსტატი, რაოდენადმე განსაზღვრავს ბავშვის გემოვნებას. თესლი, დანერგილი ამა თუ იმ წიგნის მიერ, ორგანიულად გაღვივდება-გაღრმავდება და გაფართოვდება. წიგნი სულიერ საზრდოს აძლევს ბავშვის მიდრეკილებათა: საყვარელი წიგნის გმირების იდეები, როგორც მძლე მოძრავი ძალა, აქეზებს ბავშვებს, მათი ბიბაძვის ძალით, დაემსგავსონ საყვარელ გმირებს. ხშირად საბავშვო წიგნს გადაუწყვეტია მთელი მომავალი ბედი ადამიანისა. რამდენი მკვლევარია დავალებული თავისი მოწოდებით კითხვისაგან. ნაპოლეონის დიდებამ „უარებელი დასი წარმოშვა მამაცი მხედრებისა, კორნელის წყალო-

ბით გაჩნდა მთელი გუნდი პოეტებისა. დიდებული ადამიანების კულტი გვიფარავს ბევრის სისუსტესაგან და გვაძლევს ზნეობრივს ძალას გავყვეთ მათს ნაკვალევს, აღვძრათ ადამიანებში აღფრთოვანება და გამოვიწვიოთ მათში მაღალი შეგულიანება და ნება. მამაცური გატაცება ბავშვებში ხშირად გამოუწვევიათ მათ საყვარელ მწერლებს. ამისი ცოცხალი მაგალითი ყველასათვის თვალსაჩინო იყო ჩვენში, ჩვენი მხცოვანი პოეტის აკაკის იუბილეს დროს, როცა ბავშვი სთხოვდა პოეტს მასთან სურათის გადაღებას—მინდა შენ დაგემსგავსოვო.

კარგი საბავშვო წიგნი, სადაც აღწერილია გმირთა ცხოვრება, ავითარებს ბავშვში მამაცობას, ამასთან ერთად აქეზებს პროზულ ცხოვრების წვრილმანზე მაღლა იდგეს და ასწავლის უკეთ დააფასოს ადამიანი. ბავშვი, რაკი ადვილად მიჰყვება სხვის გავლენას და ხელმძღვანელობას, თავისი სისუსტის გამო, მიჰმართავს, ვინც მასზე ძლიერია. ამის გამო, პირველ ყოფილ ადამიანების მსგავსად, ბავშვს დიდებული ადამიანები ნახევარ-ღმერთებად მიაჩნია; მოთხრობები მათის შესახებ აღუნთებს მათ გულის ზრახვას და ცდილობენ დაემსგავსონ მათ.

დააკვირდით ბავშვების თამაშობას: ისინი ადგენენ საინტერესო სცენებს, რომლის შესახებაც მათ უამბეს. მიხრა მოხრას, ქცევას, გმირების ლაპარაკსა ისე ადგენენ ბავშვები, თითქოს გმირების სულს ერთს წუთში ბინა მათში უპოვიაო!

ამიტომ ფრიად სასარგებლოა ბიოგრაფიები: ისინი თვალსაჩინოდ, ცოცხლად, გასაგებად იძლევიან მაღალს გაკვეთილებს ზნეობრივის ძალისას. საჭიროა მივმართოთ ჩვენს წარსულს ისტორიას და ჩვენი ბავშვების სულიერად ხელმძღვანელობისათვის ამოვკრიბოთ ის დიდებული მოგონებანი ჩვენის წარსულიდან, რომლითაც საბუთი გვაქვს ვიამაყოთ! რა მშვენიერს ოქროს წიგნს დასწერდა ბავშვის მცოდნე და მოყვარული პედაგოგი!

ბავშვობიდან ფხიზელი გაცნობა თავისი ქვეყნის ცხოვრებისა, თავისი სამშობლოს ღირსება ნაკლულევანებით, მოამზადებდა ჭეშმარიტ მოქალაქეებს და განუვითარებდა მათ ეროვნულს გრძნობას, რომელიც, რასაკვირველია, არ სდევნის ადამიანთა შორის დიდებულს ძმობა-ერთობას. რომ გიყვარდეს შენი სამშობლო, უნდა იცნობდე მას, ცნობისთვის კი საჭიროა მისი შესწავლა. არ უნდა დავუმალოთ ბავშვებს, სამშობლოს მომავალ მოქალაქეებს თუ რამდენი ტანჯვა, წამება, დარბევა და ვაი ვაგლახი გამოუვლია ქართველ ერს თავისს ხანგრძლივ ცხოვრებაში. ჩვენს ისტორიაში აუარებელი მაგალითია მაღალი ცხოვრებისა, მუდმივის და თავგამოდებითის შრომისა. ეს მაგალითები გმირთა ცხოვრებიდან თვალწინ უნდა ჰქონდესთ ბავშვებს და პატარაობიდანვე უნდა ეჩვევოდნენ შრომას. ავიღოთ თუ გინდ რობინზონის ამბავი. მისი ბრძოლა ბუნებასთან მთელი ისტორიაა კაცობრიობისა, რომელსაც უხდება ბრძოლა ბუნების ძალებთან და გზის გაკვალვა ბედნიერებისაკენ. როგორ ძლიერად და კეთილად მოქმედებს ეს მაგალითი ბავშვებზე!

როგორც კეთილი დამრიგებელი-მშობელი, წიგნიც რბილად, ნაზად ძალ დაუტანებლად უშლის თვალ წინ ბავშვს სიკეთისა და სიბოროტის ცნებებს, ზრდის მისს გრძნობებს და იზიდავს მას სათნოებიან ცხოვრების გზისაკენ, ცხადათ უხატავს გმირულ ცხოვრების სურათებს

ე. ი. უვითარებს იდეალურ-კაცთმოყვარულ ქვეყნის შეგნებას, რაც ფრიად საჭიროა ჩვენს რეალისტურ საუკუნეში.

მხატვრულად დაწერილი წიგნი, სადაც ენა ლამაზია, სადა, უმდიდრებს ბავშვს ენას და ესთეტიურად ავითარებს მას. საბავშვო წიგნი განუწყვეტლივ, ფრთხილად მოქმედებს ბავშვის სულის განვითარების ყოველს მხარეზე, ჩასთესავს სარწმუნოებრივი, ზნეობრივი და ეროვნულ დასაწყისის თესლს, ჰქმნის ბავშვს სრულ პიროვნებად.

ბელეტრისტიული, საბუნებისმეტყველო და სხვა წიგნების გარდა, რომელიც აცნობებს ბავშვებს თავისი და უცხო ხალხის გმირების ცხოვრებას და აგრეთვე ის წიგნებიც, რომლიდანაც ბავშვები გაიცნობენ საზოგადოების სხვა და სხვა წრის ბავშვთა ცხოვრებას, ბევრი წიგნი ახალგაზდობიდანვე უნერგავს ბავშვებს კაცთ-მოყვარულ დამოკიდებულებას დამნაშავე ადამიანებთან. ეს წიგნები ეუბნებიან ბავშვებს, რომ დამნაშავე ადამიანშიაც ბეუტავს ღვთიური ნაპერწკალი, რომ ის ხშირად დამნაშავე კი არა—უბედური ადამიანია.

როცა გათვალისწინებული გვაქვს თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბავშვო წიგნს, რომელიც იჭერს აღმზრდელის ადგილს ან ამთავრებს მის მიერ დაწყებულ საქმეს, უნდა შევიმუშაოთ ბავშვებში განსაზღვრული დამოკიდებულება წიგნთან, წიგნი უბრალო სათამაშო ნივთი კი არ არის, რასაც საშობაოთ ან დღეობებში უყიდიან ხოლმე ბავშვებს გასართობად. წიგნი მასწავლებელია, წიგნი დამრიგებელია, ბავშვის ხელმძღვანელია. წიგნი, როცა ბავშვებს ართობს, იმავე დროს შეადგენს შრომას, მეცადინეობას, ბავშვებისათვის სერიოზულს საქმეს. წიგნის გარეგნობა არა იმდენათ უნდა იქცევდეს მშობლებისა და აღმზრდელთა ყურადღებას, რამდენადაც მისი შინაარსი. რასაკვირველია ყდაც, სურათებიც, რომელიც თვალსაჩინოდა ხდის წიგნის ამა თუ იმ აზრს, უცხოველებს ბავშვს გულის ზრახვას, უვითარებს მშვენიერების გემოვნებას, სასარგებლოა ბავშვებისათვის. მაგრამ წიგნის მშვენიერი გარეგნობა არ უნდა აურიონ საპრეტენზიო მედიდურობასთან.

წიგნებთან სერიოზული დამოკიდებულობა რომ ჰქონდესთ, სასარგებლო იქნებოდა, რომ პატარაობიდანვე დაჩვეულიყვნენ ბავშვები თავისთვის პაწაწა ბიბლიოტეკების შედგენას. ეს აამაღლებდა ჩვენში საზოგადო კულტურას და განათლებას. ბავშვს ხელმძღვანელობა უნდა და გავლენა სჭირია იქ, რაშიაც მას ჯერ კიდევ ცოტა გაეგება.

მაგრამ საბავშვო წიგნების აღმზრდელობითი მნიშვნელობა თავის კეთილს გავლენას ახდენს მაშინ, როცა კითხვა სწარმოებს **სისტემატიურად**, ზოგიერთი **გეგმის** მიხედვით. ამ შემთხვევაში გეგმად ჩვენ ვგულისხმობთ აღმზრდელობითს **გავლენას**, უფროსების **ხელმძღვანელობას**, რჩევა-დარიგების, და ჩვენების სახით და სრულიადაც არ ვამბობთ, რომ ბავშვის გემოვნებას ძალა დაატანონ, ჩვენ მხოლოდ გვინდა, რომ ბავშვს კითხვაშიაც კანტროლი გაუწიონ, რადგანაც სხვა და სხვა გვარი პარნოგრაფიული ლიტერატურა, სამწუხაროდ, ჩვენშიაც იჩენს თავს, რაც დამღუპველია ტ მაზარალებელი ახალთაობისთვის.

კითხვა სისტემატიური უნდა იყოს იმიტომაც, რომ წარმავალი ცნობები ღრმად ვერ მოიდგამს ფესვებს ბავშვის სულში, მისთვისაც ძნელია ყველაფერში გარკვე-

ვა. აი ამიტომაც სისტემატიური კითხვა გავლენას **აგრძელებს**, მუდმივად დაჟინებულად ხდის და არ სპობს ბავშვის თავისუფალ ზრდას და განვითარებას. ძნელი არ არის საბავშვო ლიტერატურა ყველა წლოვანებას შეუგუოდ. ის, ვინც ყმაწვილების გონებას შეიპყრობს და უკუაქცევს მათ მავნე უმნიშვნელო წიგნებისაგან, რომლითაც ის გატაცებულია, ქვეყანას ფრიად დიდს სარგებლობას მოუტანდა; იგი მასსის ზნეობას უფრო მეტს შესძენდა, ვიდრე ბევრი ზნეობის მასწავლებელი. ის იქნებოდა უფრო სასარგებლო, ვისაც შეეძლებოდა, ვიწრო-პარტიულის ცრუ პატრიოტულის და ხალხთა შორის შურის ძიების ნაცვლად, გაევითარებინა მოზარდ თაობაში საღი ეროვნული გრძნობა, რომლითაც მტკიცე იყო ქართველი ერი, რომელიც ლმობიერად ეპყრობოდა მეზობელ ერებს, რასაც გვამცნევს ჩვენი ერის ისტორია. კაცთმოყვარულ, საზოგადო კაცობრიულ აღზრდის თესლს, მშობელთა და აღმზრდელთა გარდა, ბავშვის გრძნობიერს სულში ჰყრის ბავშვის სარწმუნო მეგობარი, მისთვის შრომა და მისვენება— საბავშვო წიგნი.

დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენში საბავშვო ლიტერატურა აღორძინდა. გვაქვს საბავშვო ჟურნალები, მხოლოდ მცირეა საბავშვო საკითხავი წიგნები. ჩვენს საბავშვო ჟურნალებში—„ჯეჯილში“ და „ნაკადულში“ ხშირად ისეთი კარგი წერილები იბეჭდებოდა, რომ მათი დალაგება სერიებათ და ცალკე წიგნაკებად გამოცემა, ამ საბავშვო წიგნების სიძვირის დროს, დიდათ სასარგებლო იქნებოდა. აუცილებლად საჭიროა ჩვენში საბავშვო წიგნების გამოცემა და საყმაწვილო ბიბლიოტეკის მოწყობა და ვინც ამ საქმეს იკისრებს და შეასრულებს აუარებელს სამსახურს გაუწევს ჩვენს ახალთაობას. უნდა გვახსოვდეს, რომ საბავშვო წიგნი მასწავლებლისა და აღმზრდელის როლს მხოლოდ მაშინ შეასრულებს, თუ გავითვალისწინებთ შემდეგს პირობებს:

ა) კითხვა უნდა იყოს სისტემატიური, ხელმძღვანელობას უნდა უწევდნენ ბავშვებს კითხვაში, მაგრამ იმავე დროს, შეძლებისა და გვარად, არ უნდა ჩაუქრონ ბავშვს თავისუფალი ინტერესები.

ბ) საჭიროა სახეში გვქონდეს ბავშვის წლოვანება და მისი ძიდრეკილება ე. ი. საჭიროა შეძლების დაგვარად კითხვის დროს დაცული იქმნას მკითხველის ინდივიდუალური (პიროვნული) მხარე.

გ) არ უნდა მიეცეს ბავშვს საკითხავად ზნეობრივი სწავლით გაჟღენთილი წიგნები.

დ) სრულიად უნდა განიდევნოს საბავშვო წიგნთსაცავიდან საშიშარი მოთხრობები.

ე) კითხვით უნდა გააძლიერონ სამხიარულო ემოციები, რომელიც უვითარებს ადამიანს სიცოცხლის ნიჭს.

ვ) ბავშვებს უნდა მიეცეს საკითხავად სხვა და სხვა შინაარსის წიგნები, რომლებიც ეხებიან, შეძლებისა და გვარად, ცხოვრების ყველა მხარეს.

მხოლოდ ამ უსაჭიროესი პირობების დაცვით შეგვიძლია გავამდიდროთ ბავშვის გონება ახალის ცნობებით, აღვზარდოთ მასში საღი, ფხიზელი გრძნობები, გაუმაგროთ ნება, განუვითაროთ თვითმოქმედება, თაოსნობა პირველ ყოვლისა. ზემონათქვამის მიხედვით ყველაზე უფრო სარწმუნოთ, ღრმად და ძლიერად იმოქმედებენ, რასაკვირველია, **დებულებითი** და არა უარყოფითი მიმართულების წიგნები, ე. ი. ისეთი წიგნები, რომელიც ბავშვს უმაგრებს სულიერს ძალებს, და არა არყევს ისედაც ბუნებრივად სუსტს აგებულობას ბავშვისას *).

*) სტატია გადმოკეთებულია ვოლკოვიჩის წიგნაკიდან. **რედ.**

სწავლა-აღზრდის საქმე საქართველოში

ძველ დროიდან (IV ს.) მე-XVIII საუკუნის დასასრულამდი. *)

II

სკოლები საქართველოში X—XIII საუკუნოებში და არაბთა გავლენა.

ბრწყინვალე ხანა სწავლა-აღზრდის საქმეს საქართველოში დაუდგა მე-X საუკ. გასულიდან, როდესაც ბაგრატ III-მ (980—1014) და დავით კურაპალატმა (983—1001), განდევნეს რა საქართველოდან არაბები, [1]) მიჰყვეს ხელი სამეფოს განცალკევებულ ნაწილების შეერთებას,—და გაგრძელდა მე-XIII საუკ. პირველ მეოთხედამდის, როდესაც კვლავ დაიწყო საქართველოს მუდმივი დარბევა-ალეხრება მონგოლ-თურქ-სპარსთაგან. [2]).

პოლიტიკურად ძლიერი ივერია ამ ხანაში (X—XII) კულტურულადაც აღუვავდა და მიაღწია უმაღლეს წერტილს ცხოვრების ყოველ-მხრივ განვითარება-პროგრესში.

კერძოდ სწავლა-განათლების საქმეც სამაგალითო კარგად მოეწყო ამ ხანაში ჩვენში.

ამ დროს პირველად დაარსდებიან საქართველოში უმაღლესი სასწავლებლები და დაიწერებიან წიგნები თითქმის ყველა სამეცნიერო დარგიდან.

ამ ხანაშივე დაწესდება ჩვენში ცალკე ინამდებობა მწიგნობართ-უხუცესისა, რომელსაც, სხვათა შორის, ჩაბარდება სწავლა-განათლების უმაღლესი. მეთვალყურეობა და მესვეურობა სამეფოში.

ამ დროსვე აშენდებიან მრავალი ეკეკლესია-მონასტრები საქართველოში და საქართველოს გარედ და სკოლათა რიცხვი ერთი ოცად მატულობს.

ბედიის ტაძარი სამურზაყანოში, [3]) გელათის მონასტერი იმერეთში, [4]) ვარძიის, ხახულის და გუდარეხის მონასტრები ჯავახეთში (სამცხე - სასთაბაგოში), [5]) მონასტრები სა-ზღვარ-გარედ: ულუმბოში, შავ-მთაზე, იე-

---

1) არაბები ბაგრატმა განდევნა საქართველოდან 985 წ. (იხ. „Ставроп. епарх. вѣд.“ за 1898 г. № 20 (16 окт.) статья Ѳ. Жордания: „Абхаз. катсликосы“.—стр. 646—48). პირველად არაბები შემოვიდნენ საქართველოში მეფე მირის (663—668) დროს, მე-VII საუკ. (იხ. ვახუშტი—„საქარ. ისტ.“).

2) პირველად მონგოლნი საქართველოს დასაზვერად შემოდიან 1220 და 1222 წლებში გიორგი IV ლაშას მეფობის დროს (იხ. ვახუშტი—„საქარ. ისტ.“ გვ. 220—221).

3) ბედიის ტაძარი ააშენა ბაგრატ III (980—1014); ამავე ბაგრატს და დედა მისს გურანდუხტს მიაწერენ აგრეთვე ქუთაისის ტაძრის (ეგრედ წოდებულის „ბაგრატის ტაძრის“ (არქიელის გთრაზე. ახლა ნანგრევებია) შენებას. (იხ. „ქართ. ცხ.“ წ. II, გვ. 318—340; ვახუშტი—„ისტ.“ გვ. 145. შენიშვნა.).

4) ააშენა დავით აღმაშენებელმა (1089—1125) იხ. „ქართ ცხ.“ წ. II, გვ. 343—374.

5) ვარძიის მონასტრის შენება დაიწყო თამარის მამამ გიორგი III (1156—1184), დაასრულა კი თამარ მეფემ (1184—1212). თამარის დროსვე აშენდნენ შესანიშნავი ბეთანიის და კაბენის ეკკლესიები („იხ. ქარ. ცხ.“ წ. II, გვ. 462, 411, ვახუშტი—„ისტ.“ გვ. 197—216; А. Хахановъ—„очерки“—в. II—стр. (149—154).

ხახულის ლავრა ააშენა მეფე დავით კუროპალატმა (983—1001) იხ правосл. палест. сбор. т. IV. в I. спб. 1888 г —А. Цагарели—„памятники груз старины въ св. земли и на Синаѣ“—стр 178—179.

*) იხ. „განათლება“ № 1 1909 წ.

რუსალიმში [1]), მაკედონიაში, [2]) კუნძულ კვიპრეში, [3]) კონსტანტინოპოლის [4]) და ანტიოქიის მახლობლად [5]) და უფრო კი „ივერთა“ მონასტერი ათონის მთაზე, [6]) დაარსებულნი X—XII საუკუნოებში წინა საუკუნოებში დაარსებულ მონასტრებთან ერთად გადაქცევიან აკვნად და საგანად სამშობლო (ქართული) მწიგნობრობა—მწერლობას და სწავლა-აღზრდის საქმეს.

ეს ხანა იყო დრო გიორგი I (1014—1027), ბაგრატ IV (1027—1072), გიორგი II (1072—89), დავით აღმაშენებელის (1082—1125), გიორგი III (1156—1184) და თამარის (1184—1212) მეფობისა,—ხანა ფრიად ბრწყინვალე და დიდებული საქართველოს ისტორიის ფურცლებზე.

როგორც პირველ საუკუნოებიდან (IV—X) არც ამ ხანადან დარჩენილან ჩვენ დროამდი ცნობა-მოწმობანი სკოლების ორგანიზაციის და სწავლების წეს-რიგის შესახებ ჩვენში. „ბიოგრაფიები“ ამა საუკინოების (X—XII) ცნობილ მოღვაწეთა სწავლა-განათლების შესახებ მეტად მოკლე და ზოგადი ხასიათის ცნობებს იძლევიან და ერის სრულს სურათს ვერ ჭვატავენ. [7]) მაგრამ ყოველ შემთხვევაში უნდა ვიფიქროთ—და უეჭველიცაა სწორედ—რომ ამ ხანაშიც არსებობდენ ივერიაში იგივე ტიპები დაბალ სკოლებისა, რაც მეათე საუკუნემდი, მხოლოდ კი ტოტოდენი ცვლილებით სასკოლო პროგრამაში და საგნების გადატემის სისტემა-მეთოდებში.

---

1) აქ ვგულისხმობთ ჯვარის მონასტერს, რომელიც დაარსებულ იქმნა ბაგრატ IV (1027—1072) და მის დედის მარიამ დედოფლის თანასწობით და საფასით ვინმე პროხორე ბერისაგან (იხ. „Addition á l' Hist. de la Geor. ar Brosset. 1851. p. 201 აგრეთვე „მამ. ცხოვრ. შიო მღვიმ. უდაბნ“ გვ. 116) ზოგიერთები (პროფ ცაგარელი—ჯანაშვილი) „ფიქრობენ“ ეს მონასტერი ააშენა მეფე მირიანმაო (+342), მე-V საუკ. აღმოსავლეთში მოგზაურობის დროს ინახულა იგი ვახტანგ გორგასლანმა, ხოლო მე-X საუკ. განაახლა ვინმე ბერმა პროხორემო (იხ. „палест сборн.“ т. IV. в. I. спб. 1888 г., стр 32, 88, 42) ჯანაშვილი—„груз. обит. внѣ грузіи“— Тифл. 1899 წ стр 9). მარა ეს ნამდვილი არ უნდა იყოს. ერთი რომა ჩვენი მატიანე „ქარ. ცხ“ ამის შესახებ არაფერს ამბობს (წ. I გვ. 193—აქ ვახტანგის იერუსალიმში ყოფნის შესახებაა ლაპარაკი) და, მეორედ, მირიანის დროს მონასტერი ჯერ კიდევ არსად არ იყო დაარსებული (დედამიწის არც ერთ კუთხეში); როგორც ვიცით, პირველად სამონასტრო ცხოვრების დამაარსებელი ანტონი დიდი (ეგვიპტელი) გარდაიცვალა 356 წ და მაშასადამე 14 წლის შემდეგ მირიანის გარდაცვალებისა.. და თვითვე პროფ. ცაგარელი თავის მეორე წიგნში („Свѣд.“ в. I. стр XXVII) პირდაპირ ამტკიცებს—ეს მონასტერი (ჯვარის) მე-X—XI საუკ. დაარსდაო,

2) პეტრიწოს მონასტერი (ახლანდელი ბაჩკოვის) დაარსებული 1083 წ. მახლობლებში გრიგორი ბაკურიანის მიერ (იხ Н. Марръ.— „Іоаннъ Петриц. груз. неоп. XI—XII в. (Отд. оттискъ изъ запис. Вост Отд Имп Рус. Арх. об-а, т. XIX. спб 1909 г

3) მონასტერი ჟა(ი)ლია (იხ „ქრონ.“ წ. I, გვ 128) „ქარ. ცხ.“ (წ. II, გვ 462) ეს მონასტერი შეუმკია მე-XII საუკ. თამარ მეფეს.

4) ჰრომანოს მონასტერი, დაფუძნებული საბერძნეთის მეფის ბასილი მაკედონიელის დროს. (867—886). იხ „ათონ. ივერ. მონასტ. 1074 წ. ხელთნაწ. აღაპებით“ თბილ. 1901 გვ. 102.

5) კალიპოს მონასტერი (ღვთისმშობლის სახელზე) იხ. „Палест сборн.“ т. IV. в I. стр. 29.

6) დაარსდა მე-X საუკ. წმ. იოანე—ევთიმე და თორნიკესგან (იხ. ვახუშტი ისტ. გვ. 136 და 144 შენიშ I).

7) აი, მაგალითად, გიორგი მთაწმინდელის შესახებ (გიორგის „ცხოვრება“ ერთად-ერთი სრული „ცხოვრებაა“) რას სწერს მისი ბიოგოაფი: განათლებისა მისისათვის (ე. ი. გიორგისა) ყოველივე სულ მცირედ და მოკლედ მოგითხრაო. იხ, „ათონის ივერიის. მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი აღაპებით“.—გამოც. საეკ. მუზეუმისა —თბილისი —1901 წ. გვ 288).

საქართველოს დაბალ სკოლებში სასწავლო საგნების რიცხვს წინანდელზე შედარებით ამ საუკუნეებში (X—XII) მიემატება შემდეგი „სავალდებულო“ საგნები: „ანგარიში—რიცხვთა ცნობა“ (значеніе числовыхъ знаковъ и счисленіе)[1]) ქვეყნის მხაზველობა (ანუ გეოგრაფია), ხატის-წერა,[2]) ენის კანონების ცოდნა (ანუ გრამმატიკა)... ხოლო მე-IV—X საუკუნ. დანიშნულ საგნებიდან კი დიდ განვითარება-აღფენებს ენების ცოდნა, ლექსის წერა, ხატვა-მხატვრობა, ხელოვნური წერა, ჰომილეტიკა.

მე-XI საუკ. დასასწაისის ცნობილ ქართველ მწერლების და სწავლულების წმ. იოანე—ევთიმე (+1028) გიორგი მთაწმინდელის (1014—1065) „ცხოვრებიდან“ [3]) ჩვენ ვტყობილობთ, რომ ისინი ფრიად დახელოვნებული იყვნენ ენების ცოდნაში და ლექსთა წერაში. მათ აუარებელი წიგნები სთარგმნეს ბერძნული ენიდან ქართულად და თვით ენა მათი „თარგმანთა“ სამაგალითო და სრულიად უნაკლულო.[4]) ისე საფუძვლიანად სცოდნიათ წმ. მამების ენები, რომ, არა მარტო თუ სამშობლო ქართულ ენაზე, ბერძნულადაც თავისუფლად სწერდნენ ისინი ლექსებს.[5])

აწ უკვე განსვენებულს ელინისტს ეპისკოპოსს პორფირი უსპენსკის თავის ცნობილ წიგნში: „Первое путешествіе въ Синайскій монастырь въ 1845 г.“. (стр.

---

[1]) „რიცხვთა-ცნობის“ საფუძველი ჩაეყარა და განვითარდა ჩვენში არაბულ ციფრების შემოტანით არაბებისაგან IX—X საუკ. უძველესად ხმარებულის არაბულის ციფრების კვალს ჩვენ ვპოულობთ ქუთაისის ბაგრატის ტაძარის ნანგრევებზე 1003 წლიდან;—წარწერა აღმოაჩინა ფრანგ მოგზაურმა დიუბუამ. გარდა ქუთაისის ტაძრისა აკადემიკოსი ბროსსე არაბულ ციფრებს პოულობს აგრეთვე 1001 წლის ვერის ეკლესიაზე, გორის მაზრაში, ატენის მახლობლად და 1002 წ წვიმოეთის საყდრის კედელზე საციციანოში. ორივე ესე წარწერაც ეკუთვნის ბაგრატ III დროს. (იხ. Dubois—„Voyage autur du Coucase... eten Crimee“. Paris—1839—46.—I, p. 411—424. Brosset—„Voyage archèologiqe en trans Caucasie (1848—49 г.г.) St.—Peters b. 1851, VI Rap. pp. 30, 90—100; Епископ. Киріонъ: „засл. груз. монал. и монастыр. для отечеств. цер. и об-ства“ Тифл., 1899 г. стр. 26.)

[2]) ეს ხელობა მეტ განვითარებაში ათონში ყოფილა. აქ ამ ხანაში XII ს. ვინმე ბერს დიონისეს დაუწერია ხატვა—მხატვრობის სახელმძღვანელო, რომელშიაც განუმარტავს—თუ რა სახის კომპოზიციას შეუძლიან მისდიონ მხატვრებმა ამა თუ იმ ბიბლიურ სიუჟეტის დახატვის დროს (იხ. К. Байэ—„Исторія искуствъ“ стр. 101—102—пер. съ франц. проф. Г. Павлуцкаго. Кіевъ 1902 г.).

[3]) ცხოვრება წმ. იოანე—ევთიმესი დაუწერია გიორგი მთაწმინდელს, ხოლო ამ უკანასკნელის კი ვინმე გრიგორის (გიორგის მოწაფეს) „ცხოვრებათა“ ბერძნული ტექსტი დაცულია ათონის ივერიის მონასტრის წიგნთ-საცავში; ქართული ტექსტი მოთავსებული აქვს გ. საბინინს თავის „საქართუველოს სამოთხეში (პეტერბურგი.—1882 წ. გვ. 400—465..) „ცხოვრების“ ერთი ვარიანტი მოთავსებულია აგრეთვე საეკლ. მუზეუმის მიერ გამოცემულ „ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერში აღაპებით“. (აქ წმ. ილარიონ ქართველის (829—882) ცხოვრებაცაა მოთავსებული—გვ. 69—110; ნაწყვეტ-ნაწყვეტად რუსული თარგმანი იხ. А. Хахановъ—„Очерки—в. II, стр. 61—71..)

[4]) ევთიმეს უთარგმნია სხვა-და-სხვა საღმრთო და საეკლესიო წიგნები, რიცხვით 54—57, გიორგის 17—18 (იხ. „ათონის ივერ. მონასტრ. 1074 წ. ხელთნაწერი გვ. 27—29; 310—311; „საქარ. სამოთხე“—გვ. 414; „ხრონიკები ჟორდანიასი წ. I. გვ. 113, 124, 131, 137, 141, 155, 163—69, 217, 231, 237; წ. II, გვ. 39, 82.)

[5]) ქართულიდანაც თარგმნიდენ წმ. მამები ბერძნულად და ბერძენ საზოგადოებას აცნობებდენ სამშობლო მხარის გონებრივ ნაწარმოებებს (იხ. „საქ. სამოთხე“ გვ. 403; „ათონის ივერ. მონასტ. 1074 წ. ხელთნაწ.“ გვ. 41.

212—213) მოვვანილი აქვს ლექსი ბერძნულ ენაზე, რომელიც მას უნახავს სინას მონასტერში ისაკ მესოპოტამელის ხელთ-ნაწერთა კოლექციაში და რომელსაც ჩვენი თანამემამულის წმ. ევთიმეს კალამს მიაკუთვნებს. ლექსი წარმოადგენს წერილს წმ. მამისას იმპერატორ კონსტანტინე დუკასთან (XI საუკ.). წერილის თავში, რომელიც მეტად ფამილიარული ხასიათისაა, ევთიმე უსურვებს იმპერატორს ჯანმრთელ, ხანგრძლივ და ბედნიერ ცხოვრებას, თხოვს არ დაივიწყოს და მიწერმოწერა არ შეწყვიტოს (!) და, უკანასკნელ, ჩვენს—კავტიკელი შეშის ჯრის დროს ათონის მაღლობებზე და მეტად ცუდად ვგრძნობ თავსო. ლექსთ-წყობილება თორმეტ-სტოპიანია და მეტად რითმიულ-ჰარმონიული და თვით ჩვეულებრივ ბერძნულ ლექსთ-წერაში მორიგეობა გრძელ-მოკლე მარცვლებისა აქ სრული და უნაკლულოა [1]).

მე-XVIII საუკუნის ცნობილი მოგზაური (აღმოსავლეთში) მთავარ-ეპისკოპოსი ქართლისა ტიმოთე გაბაშვილი მოწმობს, რომ ევთიმემ ქართულადაც სწერა ლექსებიო და „ესოდენ ვრცლად იცოდა მან ქართულად ზრახვა და რიტორება, ვითა ომიროს უსწრობდა სიმარჯვითა ენისათაო“ [2]). ამასვე ამტკიცებს თავის „წყობილ სიტყვაობაში (§§ 694—697.—გვ. 234) კათალიკოსი ანტონიც [3]).

წმ. გიორგი მთაწმინდელიც ცნობილია ჩვენში როგორც პოეტი და დახელოვნებული აკროსტიხების შემდგენელი. პროფესორ კალინოვსკის აზრით გიორგის ეკუთვნის ინგლისურიდან რუსულად ი. ი. კაზლოვის მიერ კადაღებულ-გადაკეთებული ლექსი: „Вечерній звонъ, вечерній звонъ“!.. [4]) გიორგის ქართულ ლექსთაგან კი ჯერჯერობით ცნობილია მარტოოდენ ერთად-ერთი აკროსტიხი, რომელიც გელათის მონასტრის სახარებაშია მოქცეული. [5])

---

[1]) როგორც ნაყოფს ევთიმეს შემოქმედებით ნიჭისა მოვიყვანთ აქა ნიმუშად რამოდენიმე პწკარს მისი წერილი—ლექსიდან, რომელიც ნათლად მოწმობს წმიდანის მუზის ენაწყლიანობას და მჭერმეტყველობას:

„Κορμηνοδουκῶν Χρυσέου γένους κλάδος
Ψυχὴν ἐμὴν φςάνουσα καρδίας μέσην
Πρὸς εωπυρὸν σόν ἐν ἀσυγκρίτῳ πόλῳ.
Καὶ λαμπραν ὑγιείαν εἰς πλείστους χρόνους,
Καὶ πᾶν ὅ τι κάλλιστον ἐν βίῳ μένει“... ᲩᲮᲮ.

„და ფრიად საკვირველია,—შენიშნავს პორფირი (ეპისკოპოსი),—ის მოვლენა, რომ ევთიმემ იცოდა ელინთა ენა მაგრე საფუძვლიანად და ვრცლად, რომ შეეძლო წერა ამ ენაზე ლექსებისა. მაშასადამე ჩვენ თანამემამულეებს ქართველებს შეუძლიან სრულიად დაენდონ საღმრთო წერილის წიგნების იმ თარგმანს, რომელიც უთარგმნიათ წმ. მამებს ათონის მთაზეო“.

პროფ. ხახანაშვილი ზემომოყვანილ ლექსს (ევთიმესას) „სათუოდ“ მიაკუთვნებს წმ. გიორგი მთაწმინდელს („ОЧ“. в. II, стр. 81).

[2]) იხ. „მოხილუა წმინდათა და სხვათა აღმოსავლეთისა ადგილთა, ტიმოთესაგან ქართლისა მთავარ-ეპისკოპოსისა“—თბილისი. 1852 წ. პლ. იოსელიანის რედაქტ. გამოც. გვ. 40.—აქ „ლექსი“-ს ქვეშ („განმარტა ლექსი?) შეიძლება ვიგულისხმოთ საგრამმატიკო კანონებიც.

[3]) იხ. აგრეთვე §§ 689—91 (გვ. 232) (იოანეს, ევთიმეს მამის შესახებ (იოანე აქ ნაწოდებია „ლამაზ მუსიკად, მუშნიერ რიტორად“...)

[4]) გიორგი,—პროფ. ხახანაშვილის აზრით, სპირიტუალისტულ მიმართულების აპოლოგეტია ქართულ ლიტერატურაში. (იხ. А. Хахановъ—„очерки“ в. II, стр. 81. აქვე მოთავსებული აქვს ხახანაშვილს კაზლოვის (გიორგის) ლექსი რუსულად; ქართულად იგი—რუსულის მიხედვით—უთარგმნია მ. ჯანაშვილს და თავის „უკვდავთა ღაღადებან-ში“ (თბილ. 1908 წ. გვ. 85|86 მოუთავსებია). იხილე აგრათვე „ივერია“ 1895 წ. № 105 სტ. გ. საძაგელოვისა (ეპ. კირიონისა) „გიორგი მთაწმინდელი, როგორც სასულიერო პიიტიკოსი.

[5]) ამ აკროსტიხში წმ. მამა უჩვენებს საღმრთო წერილის სარგებლობაზე და წამკითხველთ შენდობასა სთხოვს (იხ. Хахановъ ib dem და ეპ. კირიონის: „Засл. груз. мон“. стр. 61).

და არა მარტო თუ ევთიმე – გიორგი, არამედ უფრო ამ ხანას (X—XIII-ს. ცოტად თუ ბევრად ღირს შესანიშნავი მოღვაწეებიც ცნობილნი არიან როგორც მოლექსე და „ტკბილ და სასმო იამბიკოების“ შემდგენელნი იოანე ჰეტრიწი,[1]) ეფრემ მცირე,[2]) გრიგორი ჩახრუხაძე[3]), ივანე შავთელი[4]), სარგის თმოგველი[5]), ძაგნაკორელი[6]), იოანე ტარიჭის ძე (ანუ ტაიჭის ძე)[7]), შოთა რუსთაველი, არსენი იაღლთოელი[8]), კალოდიკოსი არსენი ბულმაისის ძე[9]) და სხვები ერთ ერთმანეთს სცვლიან ამ ორ საუკუნის განმავლობაში სამშობლო ხელოვნურ ლიტერატურის ასპარეზზე და ატკბობენ თავიანთ თანამემამულეთა ესტეტიურ გრძნობის ჭარმონიულ ლექსებით და „იამბიკოები“-თ.

ნამდვილია, „პოეტები იბადებიან“ (poetae nascuntur) და მათ სკოლა ვერ ჭქმნის. მაგრამ ის მოვლენა, რომ **თ ითოეული** ამ საუკუნოების ცნობილი მწერალ-მოღვაწე ერთ-და-იმავე დროს „პოეტიცაა“, საეუძველს გვაძლევს ჩვენ დავასკვნათ, რომ „ლექსთა—წერაც“ (στίχους μράφειν) ისწავლებოდა ამ ხანაში ჩვენებურ სკოლებში.

ამასთანავე პოეტიც არის და პოეტიც. ეროველ ეჭვს გარეშეა, რომ შოთა-შავთელ-ჩახრუხაძე ზე-ნიჭით დაჯილდოვებულნი პირები არიან. ტალანტი ლექსთა ქმნისა მათ დაბადებიდანვე ჭქონდათ მოძღვნილი პარნასიდან. ხოლო რაც შეეხება დანარჩენებს, მაგ. იოანე—ეფრემ—არსენის... მათ ხერხი ლექსთა წერისა „ცხოვრებაში შეისწავლეს (სწორედ სკოლებში) და, როგორც მოლექსენი, ისინი ბუნებრივობას მოკლებულნი არიან.[10])

(შემდეგი იქნება). **სამ. ცომაია.**

---

[1]) სწერდა „იამბეს“ (А. Цагарели —„свѣдѣнія“—в. III, გვ. 152. მასვე ეკუთვნის მთელი „ლექსთაკონა“ კლემაქსი იოანე სინაელისა ლექსად ნათარგმნი და სხვ.—ibid. გვ. 260). ანტონი კათალიკოსი შემდეგ ნაირად ახასიათებს მას, როგორც მოლექსეს:

„იოანისნი ბრწყინუჲან ლექსნი მზიანი,
წალკოტ ყუავიან, მმწიფენ ხილნი ხიანი,
ფშვიან სუნნელთა მისნი შროშან იანი,
მისნი დათხზუანი დიოს კრონოსიანი,
სიმაღლით სხუათა უზეს ყოვლად ციანი“

(„წყობ.—სიტყ“. §§ 741—2—გვ. 255).

[2]) სწერდა სასულიერო სტიხებს, იამბებს, აკროსტიხებს იხ. „ხრონ“. ეორდანიასი.—ნ. I, გვ 215—20; Цагарели „свѣд“ в. I, 61—62).

[3]) მას მიაწერენ 115 კუპლეტიან პოემას „შესხმა თამარისადმი“ („Очер“ в. II, стр 305—11). ანტონ კათალ. სიტყვით ის „მესტიხთ გვირგვინია“ („წყ.—სიტ“—§ 804, გვ. 286).

[4]) დაუწერია „თამარ მეფისა და მის მეუღლისა დავითის შესხმა“ 1192 წლ. მახლობლებში. (ibid. გვ. 232—43). გამოც. პლ. იოსელიანმა თბილისში 1838 წ („წყ.—სიტ“. §§ 770—71).

[5]) მეფის ძის თეიმურაზის რწმუნებით მას დაუწერია დილარიანი. ამავე აზრისაა პლ. იოსელიანიც „წყ.—სიტ“. § 803, შენიშ. 162).

[6]) იხ. Хахановъ „оч“. II. 311.

[7]) ანტონი კათალ. სიტყვით „მან აპიიტიკნა ლექსნი, შუჲნიერ თხზულნი“ და ის „დიადი პოეტი—მთარგმნელია („წყ.—სიტ.“ §§ 762-3, გვ. 264.) მასვე უწერია საგალობლები ქართველ წმინდანების სახელზე „იამბიკოებად“. (Хахановъ—„оч“ в. III, 316... აგრეთვე „წყ.-ს“. შენიშ. 141 პლ. იოსელიანისა).

[8]) უწერია იამბიკოები.—იხ. „описаніе рукоп. тифл. церк. музея“—Ѳ. Жорданія. кн. II, 1902 г. тифл, стр. 45 (№ 482 рукоп.

[9]) მასაც დიდძალი იამბიკოები უწერია (იხ. ibibem. და კარბელაშვილის: „იერარქია საქარ. ეკკლ.“).

[10]) ძველად თურმე ლექსთა წერის ცალკე თეორიაც არსებობდა ჩვენში. მამუკა ბარათაშვილს ის ძველ ხელთნაწერებში უპოვნია და გადუწერია. ხელთნაწერი დაცულია ახლა წერა-კითხ. საზოგ. წიგნთ-საცავში (იხ. დ. კარიჭაშვილის კატალ. ქართვ. შორის წერა-კითხ. გამავრც. საზ. წიგნთ-საც.“—თბილ. გვ. 318 (№ 1550)) ამ ხელთნაწერში მოთავსებულია საგრამატიკო კანონებიც.

მ თ ა ს

ჰოი მთებო, მთებო,
თქვენ ისევ, თქვენა,
თორო არ ძალმიძს
ამდენ ჭირთ თმენა!..
თქვენ შამაყვარეთ
თავი პირველად,
რომ დამცქეროდით
მაღლიდან მცველად—
გეგულებოდით
თავის მფარველად.
არ გაგიმტყუნვდათ
ჰხედავთ, იმედი!..
ჩემს ბედადა ვსცან
მე თქვენი ბედი?!
მიყვარხართ მიტომ,
რომ ხართ მაღლები,
გულ-უბრყვილონი,
როგორც ბალღები;
მაგრამ ამაყნი,
მტკიცე და ლაღნი...
ოხ, რა ცუდია,
იცით, დაბლობა!
ქვე-მძრომელობა
და სულ-მდამპლობა!..
გულ-გატეხილის,
მუხლ-მოკვეთილის
თქვენა ხართ მხოლოდ
ჩემი ნუგეში,
ჩაკერებული
მტკიცედ გულ-მკერდში.
უთქვენოდ დუნე,
მტირალი ლეში,
თქვენი მნახველი
აღარა ვხვნეში.—
ყველას ავიტან,
ლელოს გავიტან.
თუ წავიჩოქებ,
ისევ ავდგები
და, როგორც თქვენა,
მაგრა დავდგები.
პირს არ მოვკუმავ
და არც დავდგები.
იღვიძებს მაშინ
იმედი გულში,
ნეკტარი მესხმის
საამოდ წყლულში:
რომ ამაღლდება
ქვეყანა ჩემი
დაბრიყვებული,
ნაცემ ნაგვემი..
დამბერეთ ქარი,
ავარდეს ბუქი,
დამიხშოს იმან
მე მზისა შუქი:
შთანთქას სტიქიამ
სიცოცხლე მუქი!..
თქვენი მეყაროს
მიწა და ლამი.
თქვენის ხელითა
მასმიეთ შხამი.
ტკბილი იქნება
ჩემთვის ის წამი.
მარტო სიამე
მახსოვს თქვენგანა?
სიამეს ბევრჯელ
შხამიც ეტანა.
მაინც ფიქრით ვარ
ისევ თქვენთანა!...
ბევრჯელ დამაზრო
თქვენ თხემთა თოვლმა.
ბევრჯელ დამხეთქა
გულ-მკერდზე ოფლმა.
სეტყვამ, დელგმამ
თქვენმა ღვარებმა
დამაწყევლინა
ბევრჯელ თავ-ბედი,
დასანახავად
მძაგდა მთის ქედი
მაგრამ როს გაჰქრა
ყოველი ესა—
ვნახე ჩემს გულში
ვარდი ეთესა.
როცა თქვენ გხედავ—
კვლავ შრომას ვბედავ,
თქვენთან კავშირსა
მე ვერ გავწყვეტავ:
გავერანდება
სიცოცხლე ჩემი
ვით უპატრონოდ
ზღვაზედა გემი.
უბე-კალთები
და თქვენი თხემი
შაესისხლ-ხორცა
ჩემ გულ-გონებას:
ვებრძვი მტარვალთა,
ვებრძვი მონებას.
მეც, როგორც თქვენა,
ვერ მოვხრი ქედსა,
ვერ დავემონვი
უბედურ ბედსა.
გზას გაუკაფავ
ჩემს დანაყბედსა.
როგორაც თქვენა
წყაროს და ხევსა,
ვერაფერს გეტყვით
მე ამის მეტსა:
მიყვარს სიმაღლე,
მით მიყვარს მთები,
მიტომ ვმაღლდები
და არა ვკვდები;—
ჩემი ოცნება
თქვენთან დარჩება
საუკუნოდა
და არც გაქრება...
თუმცა სიცოცხლე
ჩემი დაშრება.

ვაჟა ფშაველა.

მკვდარი სკოლა

(მოლოუსკისა)

ისინი ცხოვრობდნენ ოთხ კედელ შუა. მზე იშვიათად შეიხედავდა იქა, ფანჯრებიდან შეპარული მისი შუქი, მკრთალად ანათებდა იქაურობას. განთიადის სხივი, მზის სინათლე, ცხოვრების ჩარხის ბრუნვა,—ყოველივე უსიცოცხლო იყო. აქ მისულიყვნენ სასწავლებლად. მასწავლებლებიც ასწავლიდნენ. ასწავლიდნენ ძველს, მკვდარ ენებს, მხედრების, მეფეების და სპასალარების ისტორიას. აქვე გადიოდენ ლიტერატურის ისტორიას, ფელოსოფიას და სხვას. მოწაფეებიც გაფაციცებით ისმენდენ მათს გადმონაცემს, უნდოდათ ყოველივე ნასწავლი შეუცვლელად აღებეჭდათ მათს გულის ფიცარზე, რაც საჭირო იყო მათთვის, ყველაფერი დაავიწყეს, წაართვეს, ნაცვლად ჰპირდებოდენ ახალს რასმე, რომელიც მათ აამაღლებდათ ითქო. ისინიც ახალის მოლოდინში სწავლობდნენ და სწავლობდნენ... მასწავლებლები მიდიოდნენ და მოდიოდნენ... ფორმის ტანისამოსით, გულ-ცივად და უნდობლად. კაცობრიობის სიცოცხლესა და ისტორიაზე ცივი წყალი გადაესხათ, ერთისა და იმავე კილოთი ბაასობდნენ შესანიშნავ კაცებზე, გმირებზე, გენიოსობის და ნიჭის შემოქმედობაზე, კანკლიდობასა და სხვა გრამატიკულ ფორმებზე. დიდებული ფილოსოფიური სისტემები, სარწმუნოების შემოქმედება, სიტყვა-კაზმული ნაწარმოები—უკუ აქციეს მათ, როგორც მკვდარი ნაყოფი ადამიანის ჭკუა-გონებისა. ხშირად საუბრობდნენ მწვალებლობასა და სექტებზე. ისინი ხომ ზეშთაგონებულნი იყვნენ! ყოველი კაცობრიული იყო მხოლოდ უბრალო ბავშური ცელქობა იმ ჭეშმარიტებასთან, რომელსაც გზა უნდა გაენათებია. გამოურკვეველ ბურუსში იხატებოდა მკრთალი სურათი ამ ჭეშმარიტებისა. იმას არ ესხა არც ხორცი და არც სული, ყველაფერი უსიცოცხლო და უარარაო იყო, ეს იყო მკვდარი ჩონჩხი, რომელიც ბრძანების კილოთი თხოულობდა თაყვანის ცემას, როდესაც მკრთალ სინათლეზე გამოკრთოდა ამ სახის ნიშნები, გული ზე აღმა ფრენით არ სცემდა, თვალის ჩინი ბეუტავდა, შიში და გულ-გრილობა იყო ყველაფერში, მონური ქედ-მოხრილობა სუფევდა ყველგან, კაცის გონება დაბნეული იყო. ზემოდან რიხით ჩამოძახოდენ: დამმორჩილდი ამპარტავანო ადამიანო და შეიგნე შენი უძლურებაო. ისინიც ემორჩილებოდნენ, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ.

მათი აღმზრდელ-გამწვრთვნელნი ბევრს ლაპარაკობდნენ მოვალეობაზე, მოთმინებაზე, სიწყნარეზე. იმათ უნდოდათ ყველგან და ყველაფერში ერთი დარჯაკი ყოფილიყო; შეუბრალებლად სჭედდენ „ჯიუტს და მოუხეშავს“, ყოველს ღონეს ხმარობდნენ მათის კეთილ-შობილურ სულის კვეთებისათვის ფრთები შეეკვეცათ. მათი სული და გული მონობის უღელ ქვეშ კვნესოდა. შავ-ანაფორისნებსა და კუნკულიანებს არარაობის ნიშანი ესვათ შუბლზე; ქვეყნიერების სილაზათეს ჰშლიდნენ, კაცობრიობის მისწრაფება ფეხქვეშ გასათელად არ შურდათ. დაწყნარდი ადამიანო და იცან შენი ცოდვებიო.—ეს შეადგენდა მათი მოქმედების მიზანს. ისინი ერთბაშად ტალახში სთელავდნენ ადამი-

ანის ბუნებას, მათი წინსვლის სურვილი ძილს უფთხობდა და მოსვენებას არ აძლევდა.

მათი შეხედულობით კაცმა სრულად უნდა ამოიფხვრას გულიდამ ყოველივე მისწრაფება კეთილისაკენ. მათ იდეალათ მიაჩნდათ წყნარი და შეზღუდული არსება, ამტანი და მომთმენი შინაური ცხოველივით, რომელიც კმაყოფილია მცირითაც და დიდზე ფიქრსაც არ გაიტარებს თავში. ისინი ბევრს ლაპარაკობდნენ ღვთისადმი მისწრაფებაზე, ზეციურს ცხოვრებასა და სიამაზე; მეტ-ყველურად ჰქადაგებდნენ ღვთიურ სიმშვენიერეს, დიდს სიყვარულს ღვთისა და კაცისადმი. მოწაფეებს კი უკვირდათ რა არის აქ საერთო ღმერთსა და მათ ნათქვამს შორის და ღვთის სახელით რატომ ადებდენ მძიმე უღელს და მონობის ხუნდებს? რად ემუქრებოდნენ და სასტიკს დასჯას უქადდენ? მათ გულში ეჭვი შეეპარათ.

ისინი მოგლიჯეს დედა მიწას და გაქანეს ზეცამდე ამაღლებულს კოშკში. ცამდე უნდა ასულიყვენ, მაგრამ კოშკი ცარიელი იყო. ამ უაზრო სივრცეში უნდა ეფრინათ ანგელოზებივით და განთავისუფლებულიყვენ ყოველივე ხორციელობიდან, თავის თავს უარს აყოფინებდენ და სიცალიერეს ლამობდენ. ცამდე ჯერ კიდევ შორს იყო. ისინი გრძნობდენ შრომის უნაყოფობას და მისწრაფებათა სიცალიერეს. და აი აქ, სადაც შრომა საერთო უნდა ყოფილიყო, სადაც უნდა გამეფებულიყო სიხარული და აღფრთოვანება უდიდესს მისწრაფებათა ძიებაში, სადაც ადგილი უნდა ჰქონოდა საზოგადო სიყვარულს და სოლიდარობას, აქ ძალა და აპატია პარპაშობდენ, უკმაყოფილება და ბოროტება სუფევდა. მალალი კოშკი სატუსაღოდ გადაიქცა, სადაც შავი მეცხოვნენი ერთგულად უთხრიდნენ ძირს სიცოცხლეს. დამწყვდეულ მოწაფეებს გული უწყლულდებოდათ და ბრაზი ერეოდათ. დიდრონ კედლებსა და დაკეტილ კარებიდან მოესმათ მათ ცხოვრების სხვა გვარი ხმა, რომელიც დიდებულად უწოდებდა თვისის სხვა და სხვაობით, ცხოვრება დიდის ნაბიჯით წინ მიაბიჯებდა და ბნელი კოშკის გარშემო ღრმავდებოდა. აქ იყო საერთო აღფრთოვანებული მუშაობა. დიდის ჭაპან წყვეტით, მოთმინებით, და შეუდრეკელად აშენებდნენ შენობას. ცხოვრების მუშაკნი ეჭვით და სიბრალულით უცქერდნენ უკუნით მოცულს შენობას, სადაც იყო სამარისებური სიჩუმე და ხან და ხან მოისმოდა სასტიკი სასოწარკვეთილებითი სულის კვეთება. ცხოვრების შენობის კედლები კაი ძალზე იყო ზემოთ ამოყვანილი და აქედამ იშლებოდა განიერად თვალ-წარმტაცი ღვთის ქვეყანა. კოშკის მდგმურნი ქვემო სართულში მოხვდნენ, მათ თავზე ძლივს მოჩანდა ღრუბლის ნაგლეჯი. ცა ისევ ცარიელი იყო მათთვის.

ძველ შენობაში კაცს სული შეეხუთებოდა. ახალ-გაზდები სულით იტანჯებოდენ: ხან დაწყნარდებოდნენ და გაქვავდებოდნენ, ხანაც გამოჩნდებოდნენ და ბედსა სწყევლიდნენ. აქ ხშირად ბევრსა სვამდენ, სვამდენ გულ-ჩათხრობილი და ბედსა კრულვიდენ, უწმაწურად ილანძღებოდნენ, ღმერთს გმობდნენ, ჰყვიროდნენ და ითიშებოდნენ. ხან და ხან ისეთი შეიქნებოდნენ, რომ საერთო ფერხულში ჩაებმოდნენ და აქედამ თავს იჩენდა ეგრედ წოდებული „უწესობა“. ფანჯრებს ამტვრევდნენ, წიგნებს ხევდნენ და სწვავდნენ, ავეჯეულობას ამსხვრევდნენ, ყველაფერს სპობდნენ, ტანისამოსს ხევდნენ.

ეს იყო უარჰყოფა. ისინიც ხომ ამისთანა ჰანგებზე ასწავლიდნენ. დამონებულის ადამიანის პირადობა დამმონებლებს წინააღუდგებოდა და აქედამ იწყებოდა მონობის ჯაჭვის ლეწვა. ამას ერქვა უწესოების ხანა. მეამბოხეთა სჯიდენ-ერეკებოდნენ სასწავლებლიდან... იწყებოდა კვლავ ყითომ დამშვიდება ხელ-ახლა ასაღელვებლად.

მიუხედავად ამისა ცხოვრება თან და თან გზას იკვლევდა, ის შეტორტმანდა, შეიფთხრიალა, იფეთქა და ფრთა გაშალა საუკეთესო ადამიანების მეოხებით თავისუფლებისა და საზოგადო ბედნიერების მოსაპოებლად. მის დროშაზე ეწერა მოწოდება ადამიანის განთავისუფლებისა შემხუთველ პირობებისაგან, მოწოდება ახალი თავისუფალი ცხოვრებისაკენ, საზოგადო სიხარულისა და ბედნიერებისაკენ. ახალი თაობა პირველი გაეშურა ამ მოწოდების ხმაზე და გახდა მესვეური მებრძოლთა ახალი ცხოვრების უფლებების მოსაპოებლად. მკვდარი სკოლა არ დამშვიდებულა. ის კვდებოდა, მაგრამ მკვდარი კი არ იყო. იქაც იყო მოზარდი თაობა, იქაც სცემდა გული, ლამობდნენ გამოსვლას გარეთ ჭაბუკთა იდეალიზმი და თავ-განწირულება. ძველი სისტემა გულს უწყლავდათ და ლოდათ აწვათ, ცხოვრების ამონაკვნესი ღრმად აღმოჩდა ზემოთკენ. აი აქ, ამ ვიწრო და სულის შემხუთავ ატმოსფერაში, მოსაწყენ მუშაობასა და მკვდარ რეჟიმში მედგრად მიექანებოდა ახალი ცხოვრებისაკენ. აქ იყო ხმა მღაღადებელისა უდაბნოსა შინა. ძველს სკოლაში შემოქროლა ცხოვრების ახალმა სიომ და ვისშიაც ჯერ კიდევ არ გამქრალიყო გონიერ ცხოვრებისაკენ მისწრაფება, დაეწაფნენ ამ ნაკადულს. მათ წინ იშლებოდა ახალ-ახალი ჰორიზონტები, მათში იხატებოდა ახალ-ახალი ლტოლვილებანი, იმათაც წამოაყენეს თავიანთი მიზნები, ისინიც რაღაებსაც იმედოვნებდნენ. ამ განმაახლებელმა პროცესმა ფესვები გადგა ახალ-გაზრდათა შორის. სკოლა ახალს არაფერს დაეძებდა: ძველებურად იგი უძრავი და მკვდარი იყო, უფროსები, მასწავლებლები და მოსწავლენი ერთს კალაპოტში იყვნენ ჩასმული. შინაური ცხოვრება მოწაფეებისა სკოლის გარეშე იყო, მისი ინტერესები მას არაფრად მიაჩნდა. ისინი სცდილობდნენ მხოლოდ საჩქაროდ გაეწყვიტათ გარეგანი კავშირი სკოლასთან, ჩქარა გამოსულიყვნენ მისი დაშხამული ატმოსფერიდან ლაღ ქვეყანაზე. სიყვარულისა და კეთილ-განწყობილების მაგიერ სკოლასთან, მოწაფეებს რცხვენოდათ თავიანთი წოდებისა და თავს არ იზოგავდნენ განთავისუფლებულიყვნენ სიზიზღარი სკოლის კლანჭებიდან.

მიუხედავად ამისა სკოლიდან გამოსასვლელი კარი თავისუფალ ასპარეზზე ძრიელ ვიწრო იყო. იქიდამ გამოსვლა შეეძლო მხოლოდ ზოგიერთ რჩეულთ. უმეტესი ნაწილი მოწაფეებისა მიჯაჭვული იყო სკოლაზე და მის მიერ ნაჩვენებ გზაზე; იმათ ნება არ ჰქონდათ თავიანთი ინტერესების დაგვარად მოეწყოთ ცხოვრება, რკინის ჯაჭვებით იყვნენ მიკრული არა სასიამოვნო საქმეზე. იქ, სადაც საჭირო იყო მოქმედება, თუ ვინმე ხელის განძრევას გაბედავდა, ყელში ხელს წაუჭერდნენ დაისინიც-იძულებული ხდებოდნენ მათ ნებას დაჰყოლოდნენ.

მაგრამ ცხოვრების ხმამ ისეთის სიძლიერით დაიქუხა, რომ მონებს თვალები დააჭყეტინა. უკმაყოფილება იზდებოდა. ახლა კი უწესოებას ადგილი აღარ ჰქონდა. მათ წამოაყენეს თავიანთი იდეალე-

ზი, თვისი შინაარსი. ყოვლის უწინარეს იმათ არ უნდოდათ უნაყოფოდ დროს დაკარგვა მკვდარ სიტყვებისა და საგნების შესასწავლად; მერე მოითხოვეს უფლება და თავისუფლება.

ასე ცხოვრობდნენ მკვდარ სკოლაში. აქ ასწავლიდნენ უარის ყოფასა; მოსწყვიტეს ქვეყანას და აჩვენეს ცარიელი ცა. მოთმინებასა და სიმშვიდეს აგონებდნენ; მისწრაფებას ავიწროებდნენ და კაცების მაგიერ ქათმები გამოჰყავდათ; ახალ-გაზდა ბუნებამ მაინც თავისი გაიტანა და ხმა მაღლა მოითხოვა კანონიერი უფლებანი. ყველასთვინ აშკარა იყო, რომ ასე ცხოვრება შეუძლებელია: საჭირო იყო განახლება ნამდვილი განათლების მიღებით. უნდა ყოფილიყო ცოცხალი სკოლა და ცოცხალნი მუშაკნი.

მღ. კ. ა—ძე.

სიმღერა

მზე ჩაესვენა. სიბნელემ
კვლავ მოიცვა არე-მარე,
გული მომიკლა სრულიად;
მამყოფა ტანჯულ, მწუხარე
სიცივე, ქარი მსუსხავი
იქმნა შემკვრელი შარა გზის,—
მგვემა, ჩამიკლა იმედი,
იმ სასურველი მომავლის!
მეგონა, მოძმე მეტყოდა
რამ სიტყვებს იმედიანსა,
მაგრამ მოვსტყუვდი, არ მცემენ
ნუგეშს დატანჯულ დღიანსა...
სულით ობოლი მივმართავ
აწ ვარსკვლავთ და ნაზ მთვარესა,
ღრუბლებში ტურფად მოარულს,
მბრწყინავს და მოელვარესა:
ვარსკვლავნო მოციმციმენო,—
და მთვარევ ტურფა ცისაო,
მიმოყვრეთ განაწამები,
დამთმენი წამებისაო!
ოდეს მიზანი გაცუდდეს,
შევიქმნე დაღვრემილიო,
ან ოდეს მნახოთ ველ მინდვრად
მტრისაგან დაკოდილიო,—
მაშინ სვავთ საალაფოსა
სხივები მომაყარეთო.
და ლეში მუნ მხეცთ-ნადირთა
სვრისაგან დაიფარეთო!
მაგრამ სანამ ჯერ მტრისაგან
არ დავცემულვარ სრულადო,
გზა გამინათეთ, მნათობნო,
მომეპყართ მეგობრულადო,—
რომ ეკლიანი გზა გავვლო,
ნარი აღმოვფხვრა გზისაგან
და ვიხსნა ჩემი სამშობლო
ათას გვარ წამებისაგან!

ლადო გეგეჭკორი.

1909 წ. პეტერბურგი.

სულა და ღმერთები

(სპარსული ლეგენდა)

ა რ ი მ ა ნ ი.

შეგიძლავ მითხრა და კარგიც რამე,
თუ სიცოცხლე არ მოგძულებია.

დ ე ვ ი.

ძალთა ძალისთვის, ღმერთთა ღმერთისთვის
ბუნებას კაცი უახლებია.

ანგელოზი. (ორმუზდს მდგომელა თავშიშველა ფრთებს ეფარებს სახეზედ).

მოწყალე მამავ მიღებას ჰბრძანებთ,
თქვენთან ბუნების შუაკაცია.

ო რ მ უ ზ დ ი.

მოვიდეს, უოხარ.

(გამოჩნდება სულა; აძლევს ღმერთებს ზრდილობიანს სალამს და ჰდგება იმათ წინ საშუალ ადგილზედ).

ორმუზდი-არიმანი. (ერთად).

რა გაქვს სათქმელი?

ს უ ლ ა.

მე არა მაქვს რა კერძო სათქმელი,
მე ვარ ბუნების მოვლინებული.
ამასა ჰბრივის ყოველი ტანი
და კერძოდ ცოცხლად დაბადებული:
„რათა ხანია, ჩვენი არსება
თვალ ახვეული ბნელში ვიდოდა,
თუმც გაეგონა შემოქმედები
და სახელებიც მათი იცოდა,
მაგრამ აქამდის ჩვენ მხედველობას
არ ჰღირსებოდა ბედნიერება,
რომ გაეცადნათ იმათ ხატების
გამოუთქმელი მშვენიერება.
ბოლოს მძლივ სადმე ნატვრა აგვიხდა
და ეხლაც, როცა შეგადგით თვალი,
ჰლამის შევცვალოთ შვება გოდებად
გულზედ მოგვედვას ცეცხლი და ალი-
ნუ აენთება თქვენს შუა ბრძოლა
და სისხლი ღმერთთა ნუ დაიქცევა,
თორემ დაღვრილი შემოქედთაგან
შექმნილებს ცეცხლად გადაექცევა.
გვიყვარს სიცოცხლე,
ეზარავს სიკვდილი,
ჩვენო სიცოცხლის მომნიჭებლებო,
ვისწარაფით აჯით,
მოგვნიჭოთ მადლი,
მოწყალე გვექმნათ, ხელთ აღმპყრობლებო“.

ა რ ი მ ა ნ ი.

არა ჰჯობია, რომ ერთხელ გაჰწყდეთ
მაგდენ წუწუნსა, თქვე საძაგლებო?

ს უ ლ ა.

გვერჩივნა ჩვენი დაბადებისა
აზრი აზრადვე დარჩომილიყო,
ვიდრე დევნის და დასაცილისთვის
ადამიანი გაჩენილიყო.
ჩვენ ხომ ჩვენთავად არ-რა შეგვიძლავ,
ხომ ყველაფერი თქვენგან გვეძლევა
და თუ ღირსნი ვართ სიძულვილისა
უსრულობისთვის—ჩვენ რა გვეთქმევა?
მხოლოდ მიკვირს კი ჩვენის დევნისა
რად უნდა გქონდესთ მიზიდულება,
როდესაც მაინც თქვენს ხელში არის
ჩვენი ბედი და უბედურება?..

ა რ ი ა მ ა ნ ი.

იმიტომ, რომა შენს უსინათლოს
თვალებს აკლია შორს მხედველობა
და ჯერ არავის აულაგმია
შენი ბრიყვული ენა-გრძელობა.
მიტომ, სულელო, რომ ნება მოგცეთ
თავისუფალი გამრავლებისა,
ასი ამდენიც აღარ გეყოფათ
სივრცე ხმელეთის ალაგებისა.

ს უ ლ ა.

ნუ თუ იმ ძალას, რამაც დაბადა
სფერო ხმელისა და სივრცე ცისა,
ჩვენთვის მოცემად კი ვერ ძალ ედვა
მსგავსება თქვენი, წამალი მისა?

ა რ ი ა მ ა ნ ი.

რომელი ნდომა გალაპარაკებს
არიმანობის თუ დევობისა?

ს უ ლ ა.

უშიშარ ყოფა თქვენგან ნათქვამის
კაცობრიობის გამრავლებისა...

ა რ ი ა მ ა ნ ი.

ეს მიქარვებიც რომ უსწავლია,
ერთი უყურეთ ამ საზიზღარსა!
მაშ მუდამ გინდა წარმოიდგენდე
ცივ სამარეში სულნიან მკვდარსა?
არ გინდა ის დრო, როცა სიცოცხლეს
განულვიძარი ძილითა სძინავს;
მხოლოდ სახელი სოქალივითა *)
ჟამთ მდინარების სილრმეში ბრჭყვინავს,
არ გინდა მეთქი ის ხანი მთელი,
ვიდრე იცოცხლებს შენი სახელი,
ბოლოს ხომ ისევ დასავიწყელი,
სიცოცხლივ წუთად არც კი დაგიჩნდეს,
ისე გარდაქმნა ერთი სიტყვითა,—
ოღონდ უმეტეს ნუ მოინდომებ
დევობას მოგცემ საურავითა *).

ს უ ლ ა.

არ მინდა შენი ანგელოზობა
და უკვდავება ბოროტიანი:
არც შენი ავით სავსე ბუნება
დამდგარი გუბე ჭაობიანი;
სადაც ყვავილი ტრფიალებისა
არ გაწითლდება სიყვარულითა
და გალახული სიტურფისადმი
არ აღიძვრება სიბრალულითა.
საცა ძულება, ჯაჯა და დევნა
რაღაც ბალღამად შედეგებულა
და ნაცვლად მხსნელი სათნოებისა
შიგ ბიწის გველი დაბუდებულა.
დიახ, როდესაც მე ლეშის მზიდველს,
ღლიური საზრდო შემომაკლდება,
სხვაგან რომ ვერა ვიღონისძივო,
მაშინ მოპარვაც კი შემენდობა,
მაგრამ შენ რადგან ყოველი ძალ-გიძს,
მერე მაგ მხრითაც დაზღვეული ხარ,
საკვირველია რაღა გაწუხებს,
ან სისხლის მსმელი ნეტა რადღა ხარ?

ა რ ი ა მ ა ნ ი.

გულო რატომ არ გაიგმირები?
ყურებო, რატომ არ დაჰყრუვდებით?
ქვეყანავ, რად არ შეიმუსრები,
და ცის მნათობნო, არ დაჰბნელდებით!

(დევებს შეაჟრიალებს).

თქვენ კი, ოხრებო, რად არ გაჰწყდებით,
თუ ამ მორიელს ვერ გაჰთელავდით
ვიდრე ეგოდენს შეურაცხყოფას
ჩემსას ამისგან გაიგონებდით?

*) სოქალი ძვირფასი თვალი.

*) საურავი—სამსახური ხელობა.

ს უ ლ ა.

შენი ბრალია, რისთვის აჩენდი?
რატომ არ დაჰხშე უწინვე კარი?
კიდე თქმა გინდა, რომ ჯალათობა
კვლასთან ერთი და იგივე არი?.

არიმანი. (დევებს).

რაღას უდგეხართ? მიდით და ისე
სწრაფად შემუსრეთ ეგ საძაგელი,
რომ ნატამალიც ჰაერს არ მოჰხვდეს
ჩემის უფლესის უარ-მყოფელი.

ორმუზდი. (არიმანს)

ხელი არ გაჰძრან! განა იმოდნად
აგანთოთ მაგის მეტყველებამ,
რომ იმის საცდურს ველარ დაჰძლიოს
დიდი ღმერთების ძლიერებამა?!
როგორაც ღმერთსა სათნოებისას,
მე არვინ მინდა რომ გავაწბილო.
მე რაღას მეტყვი! მომიახლოვდი...
და დაიჩოქე სიკვდილის შვილო.

ს უ ლ ა.

მოდი ქვეყანას რას დავემდურო,
როცა ორმუზდიც ამას ჰიბრძანებს?!

ო რ მ უ ზ დ ი.

მორჩილებით და ერთგულებითა
ძლიერთან სუსტი რას შეინანებს?...
არ გირჩევნია ამ სოფლიური
ავი და კარგი სხვებს ჩააბარო?
ცაში დაატკბო დამბადებელი,
მის სადიდებლად ჩანგი ამღერო
გამომყვე, ჰნახო ის ალაგიცა,
საცა დურბინდით ვერა სწვდებიან
და ბუნებაში მოქმედნი ძალნი
უცნობ სივრცეში იკარგებიან?
თუ შენი გული უკვდავებასა
და ყოვლის ცოდნას არ დაჰჯერდება,
მაშინ ხომ იცი მნათობთა რიცხვი
ცაში სიმრავლით არ დაითვლება,—
ჰთქვი და ჩაგბარდეს რამდენიც გსურდეს,
ღმერთების სიტყვა არ შეიშლება...
განა არ იცი მზღვარი არა აქვს
კაცის თვალ-გულის ანგარებასა
და ცხოვრებაში ფასი არა სმევს
დიდ და უმსხვერპლო სათნოებასა?..
განა კი უწყი სიკეთისათვის
რომ აღგიმართვენ სახსოვარ ძეგლსა
და შენ ჭეშმარიტს გულწრფელობასა
არ შეახებენ ცოდვიან ხელსა?.

ს უ ლ ა.

რაც თქვენა ჰბრძანეთ უამესია
და უტკბეს ყველა სურვილისაგან.
მაგრამ ვერავინ შაეთვისება
მაგას ნაშობი ადამისაგან.
დაე მელოდეს სხვებთან სამარე,
შიში და კრთობა სიკვდილისაგან;
დაუცხრომელი შრომა და ბრძოლა,
შვება, წამება სიცოცხლისაგან.
დაე სიკვდილმა, როგორც ყველა სხვას
მეც დავიწყების ძაძა დამხუროს,
და ჩემმა ყოვლის მძიებმა თვალმა
დიდება ცისა ვერ ინახულოს.
დაე, სიკვდილმა და მწუხარებამ
სიცოცხლეს მეტი სიტკბო აძლიოს,
და სისრულისთვის მისწრაფებამა
კაცობრიობას სრულ წინ წასწიოს.
ეგებ არ შესდგეს სამარიდისოდ
მდინარეობა ისტორიისა,
მასთან სიცოცხლე და წარმატება
ბედკრულის ჩემის ივერიისა.
მზაკვარ, მოშურნე კაცის ბუნება
ჩემში თუ აღძრავს მძულვარებასა,
მიმოეხლება შეშფოთებული,
გული დააცხრობს მღელვარებასა
და ნზად გახდება ზიზღის ადგილი
დაუთმოს ისევ შებრალებასა.

უარმყოფლობის შიშით შემკრთალი
ხომ გადვიქეცი მოღალატედ!
არა, თუ გავჩნდი, ისევაც უნდა
უთუოდ მოვკვდე ქვეყანაზედა.
თუ მარგალიტი ერთხელ მამალმა
ვერ დააფასა და გადისროლა,
მაშ რას მიბრძანებთ, ნუღარც მე მინდა
იმ უგუნური ფრინველის ყოლა?
შეხედულება ერთი უმანკო
ბავშვების ნორჩი ყვავილებისა
უამესია, ვიდრე ერთიან
სინათლე ყველა ვარსკვლავებისა...

ბაჩანა.

(შემდეგი იქნება).

სანიმუშო პროგრამები

საქართველოს სახალხო სკოლებისთვის

ქართული ენა

I განყოფილება (პირველი წელიწადი)

1. საუბრები მოწაფეებთან უსაჭიროეს ტნებათა შესათვისებლად, დაკვირვებათა და ბავშვის გარეგან გრძნობათა გასავითარებლად. 2. წინასწარი სავარჯიშოები წერა-კითხვის შესასწავლად ზეპირი და წერითი: ხატვა მარტივი საგნებისა და წერა-კითხვა (ანბანი) ანალიტიურ-სინტეტიურის წესით, „ნორმალური“ სიტყვების მიხედვით. 4. შეგნებით კითხვა შესაფერისი მოთხრობებისა. 5. გადმოცემა წაკითხულის შინაარსისა თავისი სიტყვებით. 6. ცოდნა ზეპირად და შეგნებით საუკეთესო ლექსებისა სახელმძღვანელო წიგნიდან. 7. სიტყვიერად მოუოლებით გათმოცემა შეთვისებულ შთაბეჭდილებათა და აზრთა შინაარსისა როგორც წაკითხულიდან, ისე გაგონილ ამბებიდანაც. 8. სიტყვიერი ვარჯიშობა სწორ-მეტყველებაში. 9. სიტყვების ხმარება მხოლოობითსა და მრავლობითს რიცხვებში პრაქტიკულად. 10. გამოცნობა საგნებისა თვისებათა მიხედვით. 11. ცნობილი საგნების კლასიფიკაცია.

წერით სავარჯიშოები: წერა სიტყვებისა, სურათების სახელებისა და მოკლე ფრაზებისა. წერითი პასუხი კითხვებზე: ვინ რას აკეთებს სურათზე (სურათ დედნები); გადაწერა წიგნიდან და საკლასო დაფიდან: კარნახი. მოკლე აწერილობა საგნებისა, სურათებისა. ზეპირად დასწავლილი ლექსების წერა. თავისუფლად წერა მოკლედ საკუთარის შთაბეჭდილებისა. —

შენიშვნა: წლის ბოლოს მოწაფეებს უნდა შეეძლოსთ თავისუფლად, ასოების ჩაუთვლელად მკაფიოდ წაკითხვა მოკლე შინაარსიანი და ადვილად გასაგები მოთხრობებისა და მათი შინაარსის გადმოცემა კითხვების საშუალებით; წერა ოთხ ხაზს შუა ასოების სწორი მოყვანილობით შეძლების დაგვარად სიტყვების დაუმახინჯებლად.

II **განყოფილება** (მეორე წელიწადი)

გარკვევით და სისწრაფით კითხვა. თავისი სიტყვებით მოუოლებით გადმოცემა წაკითხულის შინაარსისა. ზეპირად ცოდნა, საჭირო განმარტების შემდეგ, საუკეთესო ლექსებისა და იგავ-არაკებისა სახელმძღვანელო წიგნიდან. ცოდნა საუკეთესო მოთხრობათა და ხალხურ ნაწარმოების (ზღაპრების) შინაარსისა თავისუფლად მოუოლებით. თავისუფლად აღწერა მახლობელ საგნებისა და სურათებისა, გადმოცემა ლიტერატურულის ენით შთაბეჭდილებათა და აზრთა, რომელნიც შეუთვისებია მოწაფეს

სხვა და სხვა გაკვეთილებზე საუბრების დროს.

წერითი სავარჯიშოები: საგნებისა და სურათების მოკლე აწერილობა. მოთხრობათა მოკლე შინაარსის წერა კითხვების საშუალებით. ნასწავლი ლექსების ზეპირად წერა. წელიწადის დროთა მოკლე აწერილობა მიცემული გეგმით; საუბრის მოკლე შინაარსის წერა კითხვების საშუალებით. თავისუფლად მოკლედ წერა საკუთარის შთაბეჭდილებისა: ნანახისა, გაგონილისა ჯ შემთხვევებისა საკუთარის ცხოვრებიდან.

შენიშვნა: მეორე წლის ბოლოს მოწაფეებს უნდა შეეძლოსთ თავისუფლად კითხვა და შეგნება ადვილი მოთხრობების შინაარსისა და შეძლებისა და გვარად გადმოცემა მოყოლებით წაკითხულისა. წერა ორ ხაზს შუა სუფთა და შნოიანის ხელით, ასოების გადაბმით.

მე-III განყოფილება (მესამე წელიწადი)

გარკვევით, სწრაფად, შეგნებით და გამომეტყველებით კითხვა, გადმოცემა მოყოლებით, თავისი სიტყვებით წაკითხულის შინაარსისა. ზეპირად ცოდნა, ყოველის მხრივ განმარტების და შეგნების შემდეგ, საუკეთესო ლექსებისა და იგავ-არაკებისა სახელმძღვანელო წიგნიდან. იგავ-არაკების შინაარსის გადმოცემა მოყოლებით; სრულად შეგნება ლიტერატურულ ნაწარმოებიდან მხატვრული ადგილებისა, აწერილობათა: კითხვა აწერილობითი და მოთხრობითი ხასიათის სტატიებისა სხვა და სხვა საგნებისა და მოვლენათა შესახებ. კითხვა და შეგნება ხალხური ნაწარმოებისა. სიტყვიერად გადმოცემა შეთვისებულ აზრთა და შთაბეჭდილებათა ლიტერატურულის ენით და საზოგადო ვარჯიშობა ზეპირ სიტყვიერებაში; ვარჯიშობა გარეშე წიგნების კითხვაში.

საგანი, თვისება და მოქმედება. აზრი და წინადადება. მოკლე წინადადების ნაწილები. სახელი არსებითი, ზედ-სართავი სახელი, ზმნა, ნაცვალ სახელი და რიცხვითი სახელი (მოკლეთ).

წერითი სავარჯიშოები გადმოცემა წაკითხულის მოკლე შინაარსისა მიცემულს კითხვებზე. საგნებისა და სურათების უფრო ვრცლად აღწერა. მოკლე მოთხრობითი სტატიების გეგმის შედგენა. თავისუფლად აწერა ისეთის საგნებისა, რომლის მსგავსი უკვე შესწავლილი აქვსთ. შედარება საგნებისა— მსგავსება და განსხვავება. მოკლე შინაარსი საუბრებისა, იგავ-არაკებისა დასახელებით ვინი დაწერილია და რას გვასწავლის. დასურათება ლექსებისა, იგავ-არაკებისა და სხვა ლიტერატურული ნაწარმოების მხატვრული ადგილებისა. ზეპირად წერა შესწავლილი ლექსებისა. მოკლე ამბების თავისუფლად წერა ბავშვის ცხოვრებიდან და მოგონებიდან; ნახულის და გაგონილის მოკლედ აღწერა. დღიურების წერა. პატარ-პატარა მოთხრობების წერა სურათების მიხედვით. ვარჯიშობა სასვენი ნიშნების ხმარებაში.

მე-IV განყოფილება: (მეოთხე წელიწადი)

ვრცელი სტატიების კითხვა; კითხვა ქრესტომატიაში ნაწყვეტებისა საუკეთესო მწერლების თხზულებებიდგან; შესწავლა შესანიშნავი ლექსებისა და იგავ-არაკებისა საჯირო განმარტებით; ლიტერატურულ ენაში ზეპირი ვარჯიშობა. შესწავლილ საგნების შესახებ ცნობების მწყობრად გადმოცემა; გადმოცემა თავისუფლად ლიტერატურული ნაწყვეტების შინაარსისა; გამომეტყველებითი კითხვა შესწავლილი მასალებისა; ცოცხლად დასურათება ლიტერატურული მხატვრული ადგილებისა; კითხვა და გადმოცემა შინაარსისა იმ მასალებიდან, რომელნიც შეადგენენ საუბრის საგანს და მოქცეულია სახელმძღვანელო წიგნში, ზეპირად გადმოცემა სამაგალითო ნაწარმოებისა ლექსად და პროზად. ვარჯიშობა გარეშე წიგნების კითხვაში; მოკლე შინაარსი წაკითხულისა ზეპირად და წერით. მოკლე ბიოგრა-

ფიული ცნობები საქართველოს საუკეთესო ახალი და ძველი მწერლების შესახებ.

ენის პრაქტიკული გრამატიკა — გამეორება ნასწავლისა მე-III განყოფილებაში; განსაზღვრება, დამატება და გარემოებითი სიტყვები; რთული და კავშირებული წინადადებანი; სიტყვის უმთავრესი ნაწილები გაფართოებულის კონტენტრით —: თანდებული, ზმნისართი, შორისდებული, კავშირი. ზმნას მიმოხვრა; სასვენი ნიშნები და მათი ხმარება.

წერითი სავარჯიშოები: ზეპირი და წერითი გადმოცემა მოთხრობათა შინაარსისა. წერითი პასუხი მიცემულს გეგმაზე; პატარ-პატარა აწერილობა შინაურის ცხოვრებისა, ბუნებისა; კითხვა და გადმოცემა წერით ისტორიული ამბებისა; საკუთარი მოგონებანი თავის ცხოვრებიდან. გადმოცემა იკავ-არაკის და ზოგიერთ ლექსების შინაარსისა თავისი სიტყვებით. დასურათება გმირების მოქმედებისა ლიტერატურული ნაწარმოებიდან. მოკლე შინაარსი კლასს გარეთ წაკითხულისა, დღიურების წერა. მოკლე შინაარსი საუბრებისა საბუნების-მეტყველო საგნების შესახებ. აწერილობა ექსკურსიისა; მოთხრობა ცხოველების პირით, პატარა მოთხრობების შეთხზვა ანდაზებზე. ავტობიოგრაფია, თხზულებანი ადვილს ტემებზე, საქმიანი წერილების შედგენა და სხ.

მე-V და მე-VI განყოფილება

შესწავლა ქართველ მწერლების საუკეთესო სიტყვა-კაზმულ ნაწარმოებისა, მეხუთეში ქრესტომატიიდან, მეექვსეში ორიგინალში მომქმედ პირთა დასახასიათებით, ქართველი მწერლების და უცხოეთის შესანიშნავ პირთა ბიოგრაფიები; განხილვა ქართველი მწერლების საუკეთესო ნაწარმოებისა და მათი მნიშვნელობა; ქართული სიტყვიერების მოკლე ისტორია. ქართული ლიტერატურისა და კულტურის მოკლე ისტორია.—

ქართული ენის გრამატიკიდან: მთავარი და დამოკიდებული წინადადებანი, ყველა სიტყვის ნაწილები, ზმნები სხვა და სხვა დარგისა და მათი მიმოხვრა. რთული და მარტივი წინადადებანი, რთული გაერთიანებული წინადადება.

წერითი სავარჯიშოები: ვარჯიშობა შესწავლილ ლექსებისა და მოთხრობათა შინაარსის წერით გადმოცემაში მიცემულის გეგმის მიხედვით და თავისთავად საკუთარს გეგმაზე. თავისი სიტყვებით გადმოცემა წერით გეოგრაფიის, ბუნების მეტყველების და ისტორიის გაკვეთილებზე გაგონილისა. დიდი მოთხრობების შინაარსის მოკლეთ გადმოცემა, მოკლე მოთხრობათა შინაარსის ვრცლად გადმოცემა. თხზულებანი სხვა და სხვა ტემებზე.

შენიშვნა: სახელმძღვანელოდ ქართული ენის შესასწავლად პირველ ორს განყოფილებაში უნდა ხმარობდნენ **იაკობ გოგებაშვილის** „დედა-ენის“ I და II ნაწილს; მესამე და მეოთხეში ამავე ავტორის „ბუნების კარს“ უკანასკნელი წლის გამოცემას. ამავე განყოფილებებში მასწავლებლებს შეუძლიათ იხმარონ, როგორც სწავლებაში ხელსაწყო საგნები, სხვა ქართულ ენაზე არსებული სასკოლო წიგნებიც. ამათში, ჩვენის აზრით, უპირატესობა უნდა მიეცეს „გუთანს“, შედგენილს ქუთაისის ქართული გიმნაზიის მასწავლებლების მიერ. მეხუთე და მეექვსე განყოფილებებში შეიძლება სახელმძღვანელოდ იხმარონ „ქართველი მწერლები“, შედგენილი ივ. გომელაურის მიერ. ქართული გრამატიკის სწავლებაში მასწავლებლები უნდა ხელმძღვანელობდნენ სილ. ხუნდაძის „ქართული გრამატიკით“. რადგანაც ზოგიერთი სასკოლო ელემენტარული სახელმძღვანელო წიგნები ქართული სიტყვიერების თეორიისა და ქართული ლიტერატურისა და კულტურის მოკლე ისტორიისა ჯერჯერობით არ მოგვეპოვება, ამიტომ მასწავლებელი იძულებულია მიჰმართოს ხელსაწყოთ თავისთვის უფრო სერიოზულს წიგნებს, როგორიც არის „სიტყვიერების თეორია“ ეპისკ. კირიონისა და გრ. ყიფშიძისა და „ქართული სიტყვიერების ისტორია“ ალ. ხახანაშვილისა და სხვა წყაროებს, რომლიდანაც ამოკრებს საჭირო მოკლე ცნობებს განსაზღვრულს ფარგალში ბ გასაგებად გადაცემს მოწაფეებს საუბრის სახით.

მოკლე განმარტება ქართული ენის პროგრამისა.

ყველა სასწავლებელში და მით უფრო პირველ-დასაწყისს სკოლებში **დედა ენა** ყველაზე უმთავრესი საგანია, ფრიად უსაჭიროესი საშვალებაა და იარაღი, რომლითაც იძენენ ყოველ გვარ ცოდნას. ეს ისეთი საღი ჭეშმარიტებაა, ყველა განათლებული ქვეყნის საუკეთესო მეცნიერთა და პედაგოგების მიერ აქსიომად აღიარებული, რომ ვერც ერთი საღი ჭკუა-გონების ადამიანი ვერ დასძრავს სიტყვას ამის საწინააღმდეგოდ, თუ არა ბრიყვი და რეგვენი. პირიქით ყველა წარჩინებული პედაგოგები დასაწყისს სკოლებს **დედა ენის სკოლებად** ნათლავენ. და ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც დედა ენა არის შუაგული, დედა ბოძი, რომლის გარშემო თავს იყრიან დანარჩენი საგნები თავისი მეტ-ნაკლებობითი მნიშვნელობით.

დედა ენის სწავლებას სკოლებში სამი მიზანი აქვს დასახული: ა) ენის შესწავლა, ბ) მოწაფეთა ჭკუა-გონების განვითარება, გაფართოება ახალი ცოდნის შეძენით და გ) მომზადება მოწაფეებისა დამოუკიდებლად წიგნების კითხვაში. ენის შესწავლა დასაწყისს სკოლებში მხოლოდ პრაქტიკულად არის მოსახერხებელი. ამისათვის სკოლამ უნდა შეასწავლოს მოწაფეებს ზეპირი ლიტერატურული სიტყვა, თავისი აზრის გასაგებად, მკაფიოდ და ნათლად გამოთქმა და აზრთა შეკავშირებით გადმოცემა, შესაფერისი შინაარსის წიგნების წესიერად და გამომეტყველებით კითხვა და შეთვისება წაკითხულის შინაარსისა; სკოლამ უნდა მიიჩვიოს მოწაფე, რომ მან გარკვევით, მართლწერის დაცვით ჩასწეროს ყველა თავისი აზრები, იცოდეს წერილების, მოთხრობების, ნახულის, გაგონილის, ან წაკითხულის შინაარსის გადმოცემა სიტყვიერად და წერით. ყველა ეს სავარჯიშოები, რაც საჭიროა დასახული მიზნისადმი მისაღწევად, სრულდება, თანდათანობის მიხედვით, მთელი კურსის განმავლობაში, ბევრი მათგანი ცალკე გაკვეთილებს არც კი ითხოვს. ამისათვის საჭიროა კლასში შემდეგი სავარჯიშოები: საუბრები, ამბები და მოთხრობები მოწაფეებისა და მასწავლებლის მხრივ, წერაკითხვის შესწავლა, განმარტებითი კითხვები, საწერი სავარჯიშოები მასწავლებლის დახმარებით და დამოუკიდებლად, ზოგიერთი გრამატიკული ცნობები.

მოწაფეთა გონების გასავითარებლად დედა ენის კურსში შედის სხვა და სხვა ცნობები ადამიანთა ცხოვრებიდან, ბუნებიდან და შესაფერისი იდეების ფრაგლიდან. ამ ცნობათა შეთვისებას ხელს უწყობს საუბრები ნახულის, გაგონილის წაკითხულის, სურათებისა და საგნების შესახებ, განმარტებითი კითხვა სიტყვა-კაზმული ნაწარმოებისა, საქმის ხასიათის სტატიებისა და დამოუკიდებელი კითხვა მოწაფეებისა. სკოლის უმთავრესი დანიშნულებაა განავითაროს მოწაფეში ხალისი თვით-განვითარებისა, თვით-განათლებისა, რომ მან, სკოლაში კურსის დასრულების შემდეგ, განაგრძოს თვით-განვითარება წიგნების კითხვით. ასეთი მომზადება მოწაფისა შეიძლება ლიტერატურული ენის შესწავლით, პოეტიური ნაწარმოებთა და საუკეთესო მწერლების თხზულებათა შესწავლით. სავარჯიშოები, რომელსაც ეს მიზანი აქვს დასახული, შემდეგია: კითხვა, ახსნა-განმარტება, ხან და ხან ზეპირად შესწავლა ნარკვევისა საუკეთესო მწერალთა თხზულებიდან, საუბარი მა-

სწავლებლისა მწერალთა ცხოვრებისა და მათ თხზულებათა შესახებ, დამოუკიდებლად კითხვა მოწაფეების მიერ სახლში მთელის თხზულებებისა და საუბარი მასწავლებლისა წაკითხულების შესახებ. ყველა სავარჯიშოებს, აღიარებულს ზემოთ ნაჩვენებ მიზანთა მისაღწევად, ამ პროგრამაში თავი მოვუყარეთ ერთად და დავალაგეთ განყოფილებათა მიხედვით, ადვილიდან ძნელზე გადასვლის წესის დაცვით. დაწვრილებითი შემუშავება და გათვალისწინება ყველა სავარჯიშოებისა, როგორც წინად მოვიხსენიეთ, თვითონ მასწავლებლის მოვალეობაა და აუცილებელი საჭიროც არის ამ მხრივ ყურადღების საკმარად მიპყრობა და ერთგულად მუშაობა, ურომლისოდ ვერც ერთი პროგრამა ვერ მოიტანს სასურველს ნაყოფს.

(შემდეგი იქნება).

დ ე დ ა-ე ნ ა

(უშინსკიდან)

ენა ხალხისა არის საუკეთესო, დაუმჭკნარი და ყოველთვის ახლად გაფურჩქვნილი ყვავილი იმისი სულიერის ცხოვრებისა, რომელიც იწყება შორს, ისტორიის საზღვარს იქით. ენაშია შთაბერილი სული მთელის ხალხისა და მთელის იმის დედა-ქვეყნისა, ხალხის სულიერ შემოქმედების ძალით, ენა განახორციელებს და შეჰქმნის აზრად, სურათად და ხმად სამშობლოს ცასა, იმის ჰაერს, იმის ცისიერ მოვლენათ, იმის ჰავას, იმის მინდვრებს, იმის მთა-ღელეს, იმის ტყესა და მინდვრებს, იმის ქარიშხალს და ელვა-ჭექას,—ყოველს იმ აზრითა და გრძნობით სავსე ხმას დედა-ბუნებისას, რომელიც ისე აშკარად მოსჩანს კაცის სიყვარულში მის ხანდისხან მკაცრის სამშობლოსადმი, რომელიც ისე ცხადად გამოითქმება მშობლიურს სიმღერაში, მშობლიურს კილოში, ხალხის პოეტების ენით. მაგრამ ხალხის ენის ნათელსა და გამჭვირვალე სილრმეში მოსჩანს არა მარტო დედა-ქვეყნის ბუნება, არამედ სრული ისტორია ხალხის სულიერ ცხოვრებისა, ჩამომავლობა მისდევს ჩამომავლობას, მაგრამ ყოველ მათგანის ცხოვრების ნაყოფი გამოიხატება ენაში შემდეგს თაობათა სამკვიდროდ. ჩამომავლობა ჩამომავლობაზედ აგროვებს დედა ენის სალაროში ღრმა გრძნობათა ნაყოფს, ნაყოფს ისტორიულ მოვლენათა, მათ სარწმუნოებას, გამომხატველობას; სტოვებს კვალს გამოვლილ მწუხარებისა და სიხარულისას,—ერთის სიტყვით, თავის სულიერ ცხოვრების ნაყოფს ერი მოწიწებით ინახავს დედა ენაში, ენა არის ცხოველი, მკვიდრი კავშირი, რომელიც ერთობის სულს უდგამს ყოფილს, აწმყოს და მომავალს თაობას ერისას, ის არა თუ ხალხის სიცოცხლის გამომხატველია,—ის არის თვით სიცოცხლე, როცა ხალხის ენა ჰქრება,—ჰქრება ხალხიც. ვიდრე ენა ცოცხალია და ხალხიც იმაზე ლაპარაკობს,—ხალხიც ცოცხალია; და

იმისთანა აუტანელი ძალადობა არა იქნება რა, რომ წაართვა ხალხს სამკვიდრო, შექმნილი და დატოვებული აურაცხველ უწინდელ თაობათაგან. წაართვით ხალხს ყოველისფერი—და ის ყოველისფერის დაბრუნებას შეიძლებს; მაგრამ, თუ ენა წაართვით,—ის თავის დღეში ველარ შეჰქმნის მას: ახალს სამშობლოს კიდევ შეჰქმნის ხალხი, მაგრამ ენას კი ველარ! მოკვდა ხალხის ენა და მოკვდა ხალხიც! და თუ კაცს აძრწუნებს ერთის ადამიანის მოკვლა, რომელსაც უიმისოდაც დიდი დღე არა აქვს,—რა უნდა ვიგრძნოთ ბაშის, როდესაც ვუპირებთ მოკვლას მრავალ-საუკუნე-გამოვლილს და ისტორიულს პირს—ხალხს, ამ დიდებულს ქმნილებას!.. ენა არის სრული და სარწმუნო მატიანე ხალხის სულიერ და მრავალ-საუკუნე-განვლილ ცხოვრებისა და იგივეა უდიდესი ხალხის მოძღვარი, მასწავლებელი ხალხისა უხსოვარის დროიდან, როცა ჯერ კიდევ არც წიგნი ყოფილა და არც სკოლები; ენა ასწავლის ხალხს მისი ისტორიის დასაბრულამდის. ბავშვი ითვისებს დედაენას და მასთან ერთად ითვისებს აზრსა და გრძნობის ნაყოფს ასისა და ათასის განვლილ თაობისას, რომელნიც დიდი ხანია, რაც განხრწნილან დედა მიწაში, ან რომელთაც შეიძლება უცხოვრიათ შორს სადმე, თუ გინდ ჰიმალაის მთის ძირში. ბავშვი აკვირდება ქვეყნიერებას და ყოველივე ნახული, ნაცადი, ნაგრძნობი და ნაფიქრი იმ აურაცხველ ჩამომავლობათა გარდაეცემა მას ადვილად, უშრომლად, უძლეველის ძალით შეჭურვილი. ბავშვი არა სწავლობს დედა ენას, როგორც უბრალო ნიშნებს და სიტყვებს,—ის სწოვს სულიერს ცხოვრებას დედა ენის მკვებავ ძუძუდამ; იგი უმარტებს მას ბუნებას ისე, როგორც ვერც ერთი ბუნების მეცნიერი ვერ განუმარტებდა, იგი აცნობებს მას ადამიანთ ხასიათს, ხალხსა, საზოგადოებას, მის ისტორიას, მის მისწრაფებას ისე, როგორც ვერც ერთი ისტორიკოსი ვერ გააცნობდა; იგი უხსნის მას ხალხის რწმენას და მის პოეზიას ისე, როგორც ვერც ერთი ესთეტიკოსი ვერ აუხსნიდა; ბოლოს დედა ენა ისეთს ნათელსა ჰფენს მის მსჯელობასა და ფილოსოფიურ შეხედულობას, როგორსაც ვერც ერთი ფილოსოფოსი ვერ მოჰფენდა.

ხშირად ხუთი-ექვსი წლის ბავშვი თავისუფლად და სწორად ლაპარაკობს თავისი დედა ენით. მაგრამ დაუფიქრდით, რამდენი ცოდნა, გრძნობა, აზრი, ლოგიკა და თითქმის ფილოსოფიაც არის საჭირო, რომ ილაპარაკოთ ისე, როგორც ექვსი-შვიდი წლის ბავშვი ლაპარაკობს თავისი დედა ენით? ძლიერ სცდებიან ისინი, ვისაც ჰგონიათ, ვითომ დედა ენის შესათვისებლად მხოლოდ ბავშვის მეხსიერება მუშაობდეს: ვერავითარი მეხსიერება ვერ გაუძლებდა რომელიმე ენის არა თუ ყველა სიტყვების დახსოვნებას, არამედ სიტყვების ერთმანეთთან ყოველ გვარ შექსოვას და მათს შეცვლას;—არა, მარტო მეხსიერების საშვალებით რომ ესწავლათ ენა, ვერასოდეს ვერავითარს ენას ვერ შეისწავლიდნენ სრულად. ხალხის მიერ შექმნილი

ენა ბავშვის სულში ავითარებს ნიჭს, რომელიც ჰქმნის ადამიანში სიტყვას და რომელიც არჩევს ადამიანს ცხოველთაგან: უვითარებს სულს. თქვენ შენიშნავთ, როცა ბავშვს სურს აზრის გამოთქმა ერთს შემთხვევაში ხმარობს ერთს გამოთქმას, მეორეში—მეორეს და უნებლიეთ გაჰკვირებთ ის ალღო, რომლის საშუალებითაც მან შენიშნა არა ჩვეულებრივი წმინდა განსხვავება ორ სიტყვაში, რომელიც ერთის შეხედვით თანასწორ-აზრიანია. თქვენ შენიშნავთ აგრეთვე, როცა ბავშვს ესმის ახალი სიტყვა, იგი იწყებს ამ სიტყვის ბრუნვებას, მიმოხვრას და სწორად უერთებს სხვა სიტყვებს. განა ეს შეიძლებოდა, თუ ბავშვს, როცა სწავლობს დედა ენას, არ შეეთვისებინა ნაწილი იმ შემოქმედებითი ძალისა, რომელმაც მისცა ხალხს ენის შექმნის შეძლება? დაუკვირდით, რა ძნელად ითვისებს უცხოელი ამ ალღოს სხვისი ენისას; და შეიძენს კი ოდესმე სრულად? ოცს წელს იცხოვრებს გერმანელი რუსეთში და ვერ შეიძლებს შეიძინოს იმდენი ცოდნა ენისა, რაც აქვს სამი წლის ბავშვს! საგრამ ეს საკვირველი პედაგოგი,—დედა ენა, არა თუ ასწავლის ბევრს, არამედ ასწავლის საკვირვლად ადვილად, რაღაც მიუწვდომელის ადვილის ხერხით. ჩვენ გვინდა გადავსცეთ ბავშვს ხუთი, ექვსი მის მიერ უცნობი სახელი, შვიდი, რვა უცხო სიტყვა, ორი, სამი ახალი ცნება, რამდენიმე რთული ამბები და ეს ჩვენთვის საკმარისად სამძიმოა, უფრო მძიმეა ეს შრომა ბავშვისათვის. ის ხან სწავლობს, ხან ივიწყებს, და თუ გადასაცემი ცნებები რამდენადმე მაინც განყენებულია, ან შეიცავს რაიმე ლოგიკურს, ან გრამატიკულ წვრილმანობას, ბავშვს სრულიად არ შეუძლიან შეითვისოს იგი. მაშინ, როდესაც, გამოცდილებით ბავშვი დედა ენაში ადვილად და თავისუფლად სარგებლობს იმ წვრილმანებით, რომელსაც ჩვენ ამაოდ ძალას ვატანთ და ვუხსნით. როცა ბავშვი დედა ენასა სწავლობს, ის ითვისებს არა მარტო სიტყვებს, მათს შექსოვას და სახის შეცვლას, არამედ აუარებელს ცნებებს და შეხედულობას საგანზე, ურიცხვს აზრებს, გრძნობებს, მხატვრულ სახეებს, ენის ლოგიკას და ფილოსოფიას;—და ითვისებს ადვილად და ჩქარა, ორი-სამი წლის განმავლობაში, იმდენს, რის ნახევარსაც ვერ შეითვისებდა ოც წელში მუყაითისა და მეთოდიურის სწავლებით. ასეთია ეს დიდებული პედაგოგი ხალხისა—დედა-ენა.

მესსიანიზმი პოლონურს და ქართულ მწერლობაში

მესსიანიზმი მისტიკური მოძღვრებაა, რომლის დედა აზრი იმაში გამოიხატება, რომ განგება ქვეყნად დროგამოშვებით აგზავნის ზეშთაგონებულს მომაკვდავს თავის წინაგანზრახულთა აღსასრულებლად. ამ გვარ ზეცით წარმოგზავნილ მესსიად თავი გამოაცხადა წარსული საუკუნის პირველს ნახევარს პოლონელმა მისტიკმა ტოსიანსკიმ. თუმცა მიღებულია ამ დასახელებული პირის მოღვაწეობასთან დაკავშირება მესსიანიზმის დასაწყისისა, მაინც უნდა ითქვას სიმართლის აღსადგენად, რომ უკვე 1800 წ. დაახლოებით პოლონეთის მწერალმა ახალგაზდა მღვდელმა ვორონიჩმა შეჰქმნა მკზავსი მისტიკური მოძღვრება. თავის ყალბ-კლასსიკური თეორიით დაწერილს ლექსებში იგი მოგვითხრობს კრალი იანკაზიმირის ტახტიდან ჩამოხდომიდან პოლონეთის ისტორიას. მოულოდნელად, გატაცებული სულისკვეთებით, იგი გვიხატავს ჩასვენებულთა აჩრდილს, რომელნიც კრალიტს თვალწინ ელანდებიან. „ეს ვინ არისო?“ ჰკითხავს კრალი, როდესაც პოლონეთის განადგურებული სურათის შემდეგ გამობრწყინდება აყვავებული მხარე. ის უცხო პირი „სასწაულ მოქმედებით აღადგენს ძველებს მკვდრეთით და შემოსავს ხორცით, ცეცხლით განწმენდს აოხრებულს ქვეყანას და ახალს ტაძარს შემოავლებს გარდუვალს ზღუდეს“. პოეტის რწმენა ამ განმაცოცხლებელი მომავალისადმი შეუდრეკელია. საჭიროა მხოლოდ ლოცვა ღვთისადმი, რომ წაიშალოს მისგან დაწერილი საშინელი განჩინება. წინასწარმეტყველი სივილლა, რომელიც პოეტს გამოეცხადება, მოითხოვს ერის ზნეობითი განწმენდას. „ამაოდ არ გადუვლია ჭექა-ქუხილს თქვენს კუთხეზე, გათავდება საშინელი ბრძოლა სიცრუისა სიმართლესთან, დაუბრუნდება ქვეყანას ჭეშმარიტების დაუფასებელი ნაყოფი, შეაერთებს იგი კაცთა ძმობის ბუნებრივი კავშირით და ადამიანთა ტომი გახდება ღირსი თავის სახელისა. დეე, თქვენი სახლები ქარიშხალის დროს შთაინთქას,--**გწამდეს**, რომ ახალი ფენიქსი აღადგენს ძველი ფერფლისაგან. ნუ თუ უარჰყოთ თქვენი მამობა იმ ღმერთმა, რომელმაც, თქვენი მწუხარებით გულდასობილმა, მოიგონა, რომ თქვენ ხართ იმის საყვარელი წინაპართა ჩამომავალნი?“

ამ ლექსებში მესსიანიზმის კლემენტები მოლად მოყვანილია. პოლონეთი დაეცა, რადგან მან დაარღვია ღმერთთან კავშირი. მაგრამ აწ შეიკრა ახალი კავშირი და ზნეობითი განწმენდა დაუბრუნებს ერს თავისუფლებას და ბედნიერებას. პოლონელნი ღვთისაგან არჩეული ერია და თვით მისს უბედურებაში მოსჩანს ნება უფლისა. პოეტი მიუბრუნდება შემოქმედს და შეასხავს ქებას: „შენ იქნები ყოველს ჟამს, თუნდაც ქვეყანა დაიქცეს! უკანასკნელი ბალანი დათვლილი გაქვს ჩვენს თავზე! ბრმა შემთხვევა კი არა, შენი ნება სურვილი ჰმართავს დროს და ბედ-ილბალს. შენ არ შეგიძლიან გვსაჯო უდანაშაულოდ და ჩვენი სვე ჩვენი საქციელისთვის სასჯელია. ხოლო ჩვენი ცრემლი ჩვენი ცოდვათა მოწამეა. შენ არ შეგიძლიან გულგრილად უცქირო კაცის ცრემლთა ნიაღვარს; შენ, მოწყალეო მამავ, არ ააქცევ პირს შენ შვილებს!“

ამ გვარივე რწმენა, რომ უფალი მოხედავს ქვეყანას და განაახლებს მის ნაგრევებს, უღვივოდა გულში ქართველს პოეტს ვახტანგ ორბელიანს. საინტერე-

სოა ლიტერატურის ისტორიისთვის, რომ პოლონელი მწერალი ვორონიჩი, გულდათუთქული თავის ქვეყნის დაცემით და აღტაცებული ოცნებით მის მომავალს აყვავებაზე, იმავე ყალიბში აწარმოვებს თავის აღმაფრენას, რომელიც შეადგენს ჩვეულებრივ სქემას ჩვენი მცხოვანი მგოსნისას. ამისი ლექსები: „ორი შენობა", „ჯვარი ვაზისა", „იმედი" და სხვ. განჭვალულნი არიან მესსიანიზმით, მისტიკური რწმენით, რომ „დანგრეული სამშობლო კვლავ აყვავდება". ვახტანგ ორბელიანის მესსიანიზმი მით უფრო საყურადღებოა, რომ მან განიცადა ოცნების ამოება 1832 წ., როდესაც ქართველთა შეთქმულებამ მამულის პოლიტიკურად განთავისუფლებისთვის უნაყოფოდ ჩაიარა და თვით პოეტი საიდუმლო საზოგადოების წევრი დაიჭერა და სამშობლოდან გაიდევნა. მაინც ვახტანგ ორბელიანს რწმენა მომავალი ბრწყინვალე ვარსკვლავისადმი არ გაჰქრობია და მესსიანური მოძღვრების თანხმად „ნათელი და სიცოცხლე მოკლულს გულს" არ შეჰრყვია.

თუ შევადარებთ ვახტანგ ორბელიანის „იმედს" პოლონელი პოეტის ვორონიჩის ნაწერს, მგზავსება იმდენად თვალსაჩინოა, რომ გვებადება აზრი მივაწეროთ ქართული ლექსის წარმოშობა უცხოელის გავლენას. მართლაც მიაქციეთ ყურადღება იმ სქემას, გეგმას, რომელიც შეადგენს ჩვენი და პოლონელი პოეტის დედაძარღვს. ორივენი ჯერ აგვიწერენ დანგრეულს სამშობლოს, ორთავეს გამოეცხადება იდუმალი მშვენიერი არსება, ერთნაირად აღნიშნავენ ღვთის და კაცის შორის ახალკავშირის დამყარებას, რომელსაც შედეგად მოჰყვება სამშობლოს აღორძინება. ვორონიჩი ეკითხება „ვინაა ისა?" და ამ გვარადვე იწყობს „იმედის" დამწერი: „ვინა ხარ ეჰა, მშვენიერო, მოხვედი სითა? ხარ ამ ქვეყნისა, თუ ციური მოფრინდი ცითა? ვ. ორბელიანი შეაქებს ივერიის ცას, ბუნებას, ზღვას და ბარს, რუსთაველის ლექსს, მოიხსენებს თამარის და დავითის სულს და შემდეგ გულამსკვნილი აღწერს „ივერიის შავს ბედს". დაობლებულს ძველს დიდებას მოკლებულს მამულს: „მაგრამ აქ ხშირად ჰპოვებ ტაძართ, შთენთ დიდებულთა, პალატთ ნანგრევთა და მონასტერთა აოხრებულთა... წმინდა საფლავნი ნანგრევთ შუა ხშირად არიან, მოუხსენებელთ, უპატრონოდ ტყენი ჰბურვიან". ერთი საუნჯე დარჩენია აწ „გმირთა აკალდამას"—ივერიას—ჯვარი ვაზისა, რომელიც ხელში ეპყრა წმინდა ასულსა მირიანის დროს. მოიგონებს იგი „გმირთა-გმირს" ირაკლის და მისს მამულისთვის ბრძოლას, მიუთითებს არაგვის და მტკვრის კიდეებზე, რომელნიც წარსულის უტყუარნი მოწამენი არიან, ჰგმობს კიდეც უფალს, რომ თუ მან ქვეყანას მიანიჭა წესი, საქართველო ასე მწარედ რად დაემხო". ბოლოს ვორონიჩისებურად, ტურფა ასული მიუახლოვდება პოეტს, გაამხნევებს და ეტყვის: **გწამდესო**, ღვაწლნი მამა—პაპათ არ განჭრებიან, **გწამდეს** ეს შთენნი დიდებულად კვლავ აღსდგებიან! მართლმადიდებელთ ჭეშმარიტი, ღმერთი ძლიერი მოგფენსთ თვისს სხივსა, თვისს სიუხვეს, და თქვენი ერი ქრისტეს ჯვარისთვის წამებული, კვლავ გამრავლდება, თქვენი სამშობლო დანგრეული კვლავ აღყვავდება; ამიერ თქვენთან დავამყარე წმინდა კავშირი, ამიერ თქვენთან მე ვიქნები სტუმარი ხშირი".

ამაზე მკაფიოდ მესსიანიზმი ქართულს მწერლობაში არ იყო არც ერთხელ ვა-

მოთქმული ლექსად თუ პროზად. ამავე მესსიანურს მოძღვრებას ვ. ორბელიანი აღიარებს თავის ლექსებში „ჯვარი ვაზისა“ და „ორი შენობა“. წარსული საერთოდ მისს ნაწერებში განდიდებულ, იდეალურს სურათად არის წარმოდგენილი და ამ მხრივ იგი ეკუთვნის ჩვენი საუკეთესო პოეტთა დასს, რომელნიც აწმყოს და მომავალის გარდაქმნის სურვილით აფერადებდნენ და ძხურვალედ აშუქებდნენ ისტორიულს მოგონებას და ნაშთებს.

ა. ხახანაშვილი

შინაური მიმოხილვა

ტფილისის ქართულ-რუსულ გაზეთებმა ამას წინად აღნიშნეს, რომ ტფილისის ქალაქის დასაწყისს სკოლებში შემოიღეს ერთის წლით საცდელად ისეთი პროგრამები, რომელიც ყოველ გონიერს ადამიანს შეუწყნარებლად უნდა მიაჩნდეს; აღნიშნეს ისიც რომ ამ დუხჭირი პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობას იღებდნენ ქალაქის სკოლების მასწავლებლებიო; მართალია ერთმა ჯგუფმა სულ სხვა პროგრამა შეადგინა და დირექტორმაც მოიწონაო, მაგრამ ამ პროგრამას დღის სინათლე არ უნახავს და ისევ ის პროგრამა მოახვიეს მასწავლებლებს, რასაც მასწავლებელთა უმრავლესობა წინად იცავდა და მთავრობის მოხელეებიც მხარს უჭერდენ. ამ საქმეში მასწავლებლებს სამართლიანად სდებენ ბრალსა, რადგანაც იმათ, პროგრამების შემუშავების დროს, არ უხელმძღვანელნიათ პედაგოგიურის მოსაზრებით, არამედ იმ მოსაზრებით თუ რა უფრო ესიამოვნება უფროსებს, ცდილან რომ თავიანთი საქციელი უფროსების სურვილს შეუთანხმონ. თუ ეს აზრი მართალია უფრო სამწუხაროა ჩვენი სკოლების მდგომარეობა, რადგანაც ვინც ბავშვების სწავლა აღზრდის საქმეს უფროსთა სურვილებზე ამყარებს და არა საღ პედაგოგიურს საფუძველზე, ის აღმზრდელადაც არ ვარგა და მათი აღზრდილიც ყურ-მოჭრილ ყმობის მეტს ვერავითარ უნარს ვერ გამოიჩენს ცხოვრებაში. მაგრამ აქვს კი ჩვენებურს მასწავლებლებს საღი პედაგოგიური აზრი და შეგნება? ამაში ცოტა არ იყოს ეჭვი გვაქვს, რადგანაც თვითონ მასწავლებლები ისეთს უკუღმართ პირობებში არიან მასწავლებლად აღზრდილნი, რომ იმათში იშვიათად იპოვით ჭეშმარიტ პედაგოგიურის აზრების მიმდევართ. სასწავლებელში, სადაც მათ მიიღეს განათლება, ასწავლიდნენ. ყველაფერს, რაც პედაგოგიის წინაღმდეგია, მეცნიერების მხრით შეუწყნარებელ აზრებს—საღ პედაგოგიურად ასაღებდნენ და აწვდიდნენ მომავალ მასწავლებლებს; იმათაც სჯეროდათ და სასწავლებლიდან ცხოვრებაში გამოსულებმა, თვით-განათლებას და განვითარებას მოკლებულებმა იწყეს თავიანთ სკოლებში ბავშვების გონების გადამახინჯება ისე, როგორც მათ ასწავლეს და ამის ნაყოფს ვხედავთ ყოველ დღე ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში, როცა რუსულმა სახალხო სკოლებმა ფეხი მოიდგა ჩვენში. მასწავლებლებიც დამნაშავენი არიან, ვიტყვით ჩვენც სხვებთან ერთად, მაგრამ მაინც იმათ არ მიუძღვით დანაშაულობა იმ ფრიად საპასუხო და დიდ საქმეში, რო-

გორიც არის ახალთაობის სწავლა აღზრდის საკითხის საქმე. აქ სხვა პირობებსაც მიუძღვის საკმარისი ბრალი, ისეთს პირობებს, რომელთან შებრძოლება და დამარცხება მარტო მასწავლებლებს არ ძალუძთ, თუ საზოგადოება და მთელი ერი ხმას არ მისცემს, მხარს არ დაუჭერს და შეერთებულის ძალღონით არ შეებრძოლება იმ ყოვლად შეუწყნარებელს მიმართულობას, რომელსაც ძალად ახვევენ თავზე სკოლებს და მასწავლებლებს. როცა ხედავთ, რომ ამ უკეთმართ მიმართულების განმტკიცებაში მასწავლებელიც აქტიურ მონაწილეობას იღებს, ზიზღით აივსებით ამისთანა ჯურის მასწავლებელზე, თან გეცოდებათ კიდეც, რომ ეს არის ნაყოფი ცხოვრების უკეთმართული მიმდინარეობისა, მაგრამ ვერაფერ სანუგეშოს მომავლისათვის ვერ ჰპოვებ ისეთს საზოგადოებაში, როცა ატყობთ, რომ იქაც გულ-გრილობას იჩენენ და სრულიად უყურადღებოთ სტოვებენ ისეთს საკითხს, რომელიც მომარჯვებულია ერის გადასაგვარებლად. ამის თქმის ნებას შემდეგი საბუთი გვაძლევს: ტფილისის ქალაქის სკოლების მასწავლებლებმა საერთოდ ვერ გამოიჩინეს ისეთი ფხა და გამჭრიახობა, რომ დაეცვათ მცირე ჯგუფის მიერ შედგენილი პროგრამები. ამას მოჰყვა ოფიციალურად მიწოდებული სულ სხვა ჯურის პროგრამა, რომელიც ეწინააღმდეგება ყოველს გვარს საღს მოსაზრებას. მერე რა ღონის ძიება იხმარა ქალაქის თვითმართველობამ, რომელიც თავისი ხარჯით ინახავს სკოლებს და როგორც პატრონი მოვალეა სკოლებშიაც თავისი პროგრამა შეიტანოს, ისეთი პროგრამა, რომელიც არ ეწინააღმდეგება კანონებს და ცოტათ თუ ბევრად საღს პედაგოგიურს მოსაზრებასა და არა იმ გვარი პროგრამები, რომელიც რომელიმე სწავლა-განათლების მოხელის პირად შეხედულობაზეა დამყარებული? ქალაქის გამგეობას კრინტიც არ დაუძრავს ამის შესახებ სიჩუმით ჩაატარა ეს ფრიად საჭირო საკითხი და ამ სიჩუმით მან უფრო შეუწყო ხელი ჩვენი მოზარდ-თაობის დამახინჯებას და გადაგვარებას, უფრო გააღრმავა და გააფართოვა აღვირ ახსნილ მოხელეთა თვით-ნებობა.

ნათქვამია: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“. ყველა ბოროტებას, რასაც ცხოვრებაში ვამჩნევთ, ფესვი თვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქვს გადგმული და თუ თვითონ საზოგადოება არ შეეცდება ამ ბოროტების ძირიან ფესვიანად ამოფხვრას, ის უფრო გაღრმავდება, გაფართოვდება და ბოლოს შეუძლებელი შეიქნება მისი მოსპობა. მეცხრამეტე საუკუნის სკოლამ ზოგიერთ თითო ოროლა ჩინებულ მამულიშვილებთან ერთად უფრო მეტი რენეგატები წარმოშვა ჩვენში. ნიჭიერი მამულიშვილები გვიმტკიცებენ იმას, რომ უხერხულმა სკოლამ ვერ შელახა მათი მაგარი ბუნება, რომელიც შთამომავლობით თანდაყოლილი ჰქონდათ. რენეგატები—შედეგია ეროვნული ნიადაგს მოკლებულის სწავლა აღზრდისა. ამ გარემოებაშიაც, რამდენადმე მაინც, ბრალი თვით საზოგადოებას მიუძღვის. გონება გამჭრიახობა და ერის მომავლის ბედი მოითხოვს, რომ საზოგადოება თვითვე წრთვნიდეს თავის განდგომილს, გადაგვარებულს და რენეგატობის გზაზე დამდგარს წევრს. საზოგადოება ნათლად უნდა ხედავდეს და უკვირდებოდეს იმ წევრთ, რომელიც პირში ჩვენთან ენატკბილობს, ზურგს უკან კი ჩვენს მტრებ-

თან ერთად საკუთარს საქმეს იკეთებს და ზოგჯერ სამარცხვინო როლსაც არ თაკილობს ერის საზიანოდ და თავისი პირადი ინტერესების სასარგებლოდ. მაგრამ ყველაზე. უფრო სამწუხარო და სავალალო ის არის, როცა თვითონ საზოგადოება, იმის ნაცვლად, რომ ასეთი მავნე წევრი დაჰგმოს, გაჰკიცხოს და განდევნოს, ზოგჯერ თანაგრძნობასაც უცხადებს მას და იწვევს შეჰყოს თავი ისეთს წმიდა დაწესებულებაში, სადაც მურტალს ხელს ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ამის შემდეგ უნებლიეთ ეკითხები შენს თავს გვყავს განა ისეთი საზოგადოება, რომელიც ღირსეულად იცავდეს თავისი ერის ინტერესებს? თუ ყველანი რენეგატებად გადავიქეცით? ამის პასუხი მკითხველისათვის მიგვინდვია.

რატტი.

რ უ ს ე თ ი

გამოფენა სულით ჯანმრთელობის დამცველ საზოგადოებისა

(წერილი პეტერბურგიდან)

ამ სამოსწავლო წლის საშობაო უქმეებში რუსეთის ჰსიხიატრებმა პეტერბურგში გამართეს კრებები, მოისმინეს სხვა-და-სხვა ქალაქების სულის საავადმყოფოების, კლინიკების და ბავშვთა თავ-შესაფარის ხელმძღვანელთაგან წარდგენილი ანგარიშები,—მათი მოქმედების გეგმა; უფრო უკეთესად განამტკიცეს ოვიანთი ამხანაგობა და მჭიდრო კავშირით ხელშეკრულნი დაიშალნენ. კრებები იმართებოდა შობიდან ნათლისღებამდე. ეს რიცხვით მესამე საერთო კრებაა ჰსიხიატრების მიერ გამართული.

ამავე დროს გამართული იყო გამოფენა. ეს გამოფენა გაიხსნა 27 დეკემბერს ჰსიხო-ნევროლოგიურ ინსტიტუტის შენობაში. გამოფენას ეჭირა მთელი შენობა ინსტიტუტისა. კიბეების კედლებზე გამოფენილი იყო სულისა და ნერვების ავადმყოფობათა კლინიკის მიერ ექსპონირებული რუკები და დიაგრამები რუსეთში სულით ავადმყოფეფის და საავადმყოთა რიცხვის შესახებ. რუკაზე ნაჩვენებია ევროპის რუსეთში არსებულ სულის საავადმყოფოების და კლინიკების ადგილები; რუკა დიაგრამისა-კი უჩვენებს თუ რამდენად მრავლდებოდა რიცხვი სულით ავადმყოფებისა საავადმყოფოებში 1902—1908 წ. წ. აქ პირველი ადგილი ქ. პეტერბურგს უჭირავს, სადაც 1908 წ. საავადმყოფოებში ყოფილან 6,760 სულით ავადმყოფნი, პეტერბურგს მისდევს მოსკოვი და შემდეგ ოდესა.

დიდათ საყურადღებოა კერძოთ ჩვენთვის იმ რუკის კანხილვა, რომელიც უჩვენებს 1908 წ. საავადმყოფოებში მყოფ სნეულების რიცხვს გუბერნიებად დანაწილების მიხედვით. აქ ბაქოსა და ქუთაისის გუბერნიებიც არიან მოხსენებულნი. პირველი ადგილი ამ შემთხვევაშიაც პეტერბურგის გუბერნიას უჭირავს 6,760, მას მისდევს ხარკოვის გუბერნია 3,180. ბაქოს გუბერნიაში ყოფილა 104, ქუთაისისაში-კი 60. ბევრი ვადევნე თვალ-ყური, მაგრამ თფილისის გუბერნია ვერსად ვერ ამოვიკითხე.

შენობის პირველ სართულში გამოფენილი იყო უმთავრესად ექსპონატები პეტერბურგის ქალაქის და კერძო სულის საავადმყოფოებისა. წმინდა ჰარტლეიმონის სახელობის სულის საავადმყოფოს გამოფენილი ჰქონდა სხვა-დასხვა ხელოვნური ნაწარმოებნი, ნამუშევარნი სულით ავადმყოფებისა; გოგოლის სურათი

ბევრი მინახავს, მაგრამ ისე არც ერთი არ მომწონებია, როგორც სულით ავადმყოფის ივანოვის მიერ დახატული,—გოგოლი ცოცხლად მეჩვენა ამ სურათში. აქვე დიდ ყურადღებას იპყრობს ავადმყოფის მიერ შედგენილი მთელი სქემა-მოდელი წმ. პანტელეიმონის სახელობის საავადმყოფოსი პავილიონით, ფასადით, ბაღებით, ხეებით და სხვა. ღირს შესანიშნავია აგრეთვე ავადმყოფების მიერ გადაღებული ფოტოგრაფიული სურათებიც. ავადმყოფებს უქსოვიათ, უკერიათ; არის სხვა-დასხვა ნაქსოვები და მოს ჰსახურეთათვის საჭირო ტან-საცმელი. ერთ ავადმყოფ ქალს აუღია დაბეჭდილი ნოტი და ხელით სხვა ქალალდზე გადაუღია: „Соната для скрипки съ гитарою соч. Н. Паганики“. დაბეჭდილი და ხელით დაწერილი ორივე ერთად ვნახე და მაინში ვერავითარი განსხვავება ვერ გამოვნახე. ავადმყოფებს უწერიათ აგრეთვე თხოვნები, მოთხრობები, ლექსები; ზოგი მათგანი ალაგ-ალაგ წავიკითხე და ზეუიან აზრზე მეოფ კაცის ნაწერი შეგონა. ეს უველაფერი ამტკიცებს, რომ სულით ავადმყოფებშიაც არიან ისეთები, რომელნიც დრო გამოშვებით ჭკუაში დგებიან და სხვადიან ჭკუიანურ საქმეებს.

როდესაც დავკითხე ექიმს: მოსამსახურეებს ავადმყოფები არ ერჩიან, ან რითი გუაგვი ავადმყოფები შებოჭვილები, რომ ვინმე არ მოკლან, ან ზარალი რამე არ მიგაყენონ—მეთქი, მიპასუხა: ჩვენ ვიჭერო გამოცდილ მოსამსახურეებს, წინ-და-წინ ვწვრთნით; ავადმყოფები-კი გვიჯერებენ, ჩვენი სიტყვა მათზე ძალიან მოქმედობს და სწორედ ამიტომ არის, რომ ეხლა ჩვენ ბორკილებს ადარ მივმართავთ, იგი ჩვენთვის საჭირო არ არისო.

შემდეგ განყოფილებაში ყურადღების მისაქცევი გამოდგა ალექსანდრე მესამის სახელობის სულის საავადმყოფოს სხვა-და-სხვა კვარი ქსოვილები: ბალიშის პირი, ცხვირსახოცი, ბანტები,—აგრეთვე სხვა-და-სხვა გვარი ხელით ნახატები.

საუცხოოდ არის გაკეთებული მოდელი საავადმყოფოსი „Всѣхъ скорбящихъ“. სულით ავადმყოფის მიერ გაკეთებული მოდელი: სახლებისა, ეკეკლესიისა, ბაღებისა, გზებისა, ტბებისა და სხვათა საუცხოო შთაბეჭდილებას ახდენენ.

ძველად სულით ავადმყოფების წინააღმდეგ სხვა-და-სხვა ზომები იყო მიღებული. გამოფენილი იყო ორგვარი ზომა, რომლითაც აკავებდენ ავადმყოფებს: სოფელში მიღებული იყო რკინის ბორკილები, ხოლო გოსპიტლებში და საავადმყოფოებში ეგრედ წოდებული ტყავის სარტყელი (поясъ съ наручниками). მაგრამ ეხლა ესენი არხიკს ჩაბარდა, რადგან მეცნიერებამ ამ მხრივ იმდენად წინ წაიწია, რომ, რაც გინდ გახელებული ავადმყოფი იყოს, სიტყვით დააწყნარებენ და დააშოშმინებენ.

უველაზე უფრო ჩემი ყურადღება მიიპყრო საბავშვო განყოფილებამ. არსებობს ორ გვარი სკოლა: ერთი, სადაც წვრთნიან რეგვენ ბავშვებს და მეორე, სადაც ასწავლიან ბნედიანებს ჩამორჩენილ (отсталые) ბავშვებს. რეგვენ ბავშვებთან სხვა-და-სხვა ზომებს ხმარობენ. უნოსკას უვითარებენ, აუნოსვინებენ სხვა-და-სხვა გვარ საამო სურნელოვან წამლებს; სმენის განსაკუთარებელ საშუალებად მიღებულია პატარა სარეკავი ზარები, სასტვენი დედუკი, კამერტონი და სხვა; რომ ხალისი და სიცოცხლეობა არ აკლდეს, ბავშვს აძლევენ სხვა-და-სხვა გვარ სათამაშო საგნებს და ასე ამ გვარად.

გამოფენაში ნაჩვენები იყო, თუ როგორ ხელმძღვანელობას უწევენ რეგვენ ბავშვებს მასწავლებელნი და რა ზომებს ხმარობენ გაკვეთილზე: ა) უვითარებენ ხუთსავე გრძნობას, რათა რეგვენ ბავშვს აღეძრას ყურადღება და მეხსიერება; ბ) ასწავლიან ნივთების დაჭერას; გ) ასწავლიან გიმნასტიკას, ავარჯიშებენ ფი-

ზიკურად; დ) ასწავლიან და უსწორებენ სიტ-ყვა--ბასუხს; ე) ასწავლიან ჩაცმას და ბირის ბანას; ვ) ასწავლიან და აცნობენ სხვა-და-სხვა გვარ ფერებს; ზ) ასწავლიან დაწყობა-დალაგებას; თ) აჩვენებენ და უხსნიან სურათებს; ი) აჩვევენ გარჩევა შედარებას; კ) ასწავლიან ანგარიშს; ლ) ასწავლიან ხატვა-წერას; მ) ასწავლიან კითხვას. ამ საშუალებით ნასწავლი რეკვენი ბავშვები ტოტალი გამოსადეგნი ხდებიან; ადვილი სამუშაოები, რომელთაც არ სჭირიათ დაკვირვება და გამჭრიახობა, ყოველთვის შეუძლიათ შესრულონ.

რაც შეეხება ბნედიან, ჩამორჩენილ ბავშვებს, ამათ უფრო მეტს ასწავლიან და ისინიც მეტს ითვისებენ: ასწავლიან კითხვას, წერას, ანგარიშს. ზოგი ამ გვარი ბავშვები, რიგიან სწავლების წესლობით, ათავებენ სასწავლებელს, გადადიან გიმნაზიაში და განაგრძობენ სწავლას. ზოგი სრულიად განიკურნება, პროცენტი ამ გვარ ავადმყოფებისა ასეა დანაწილებული: პეტერბურგი 51,75%; პროვინცია 44,25%; კავკასია 2,75%. გამაკვირვა ამ ავადმყოფების ხელით ნაწარმოებ ნივთებმა. ყველაზე უფრო აღსანიშნავია მოდელები გემებისა, სამხედრო გემებისა და სხვა გვარი ხელით დახატულ-მოქარგული ნივთები ბნედიან, ჩამორჩენილ მოსწავლეებისა.

ტაშკენტის საავადმყოფოს განყოფილებაში ჩემი ყურადღება მიიპყრო იაპონურმა შვიდმა, რომელსაც ისინი გასულ საუკუნის სამოცდა მეათე წლებში ხმარობდენ და თოფმა, რომლითაც რუსეთს ებრძოდნენ და დაამარცხეს კიდეც ამ საუკუნის დასაწყისში. სამხედრო პსიხიატრიამ გვაჩვენა ამ გამოფენაში სურათი სალდათის ივანე იუშჩენკოსი, რომელიც რუსეთ-იაპონიის ომის დროს გამოიქცა იაპონელთა ტყვეობიდან. მეომარი თვრამეტი დღე უსმელ-უჭმელი იყო, რის გამოც იგი, როდესაც ამხანაგებთან მივიდა, იაპონელ მეომარად მიიჩნიეს. შიმშილმა და ასეთმა „დამამცირებელმა შემთხვევამ" იგი ჭკუიდან შეშალა. იქვე იყო ნაჩვენები სტატისტიკური ცხრილები ავადმყოფობების და სალდათების ომიანობის დროს სულით დაავადმყოფებისა. ყოველთვის ომიანობის დროს რიცხვი სულით ავადმყოფთა მეომრებისა ძალზე მატულობს. ამ ცხრილებიდან ნათლად სჩანს, თუ ომი და სხვა გვარი საერთო აღშფოთებანი რა რიგ მავნებელნი არიან მეომართა და მცხოვრებთა სულიერ ჯანმრთელობისათვისაც-კი!

ხარკოველები ძალიან ცდილან შეენახათ სხვა-და-სხვა წყოვანობისა და სხვა-და-სხვა გვარ სახით ავადმყოფთა ტვინები, რომ მით ნათელ ეყოთ ანომალიური და პატოლოგიური მოვლენანი. შეუნახავთ აგრეთვე მეცნიერთა ტვინები: ფიზიკის პროფესორის ბილჩიკოვის ტვინი, ტვინის სიმძიმე 1700 გრამმია. აქვე უნდა აღვნიშნო გამოჩენილ ქიმიკოსის მენდელეევის ტვინიც, რომელიც გამოფენა კლინიკამ; როგორც ვიცით მენდელეევის ტვინმა მთელი ევროპა გააკვირვა თავის სიდიდით და სიმძიმით.

მთელი ერთი ოთახი კლინიკის განყოფილებისა ეჭირა რენტგენის სხივებისთვის საჭირო მასალებს. ამ გამოგონების საშუალებით ყველაფერი შინაგანი აგებულება ადამიანისა ნათლად მოსჩანს, რაც დიდ საშუალებას აძლევს ექიმებს ავადმყოფობას ჩქარა მიუხვდენ.

პსიხოლოგიური განყოფილებაც მეტად საინტერესო გამოდგა. აქ ვნახე სხვა-და-სხვა გვარი გამოსაცდელი გამოგონებანი,—დასახსოვნებელი, გრძნობათა შემცნობი, რაც ეგრე საჭირონი არიან ექსპერიმენტალურ პსიხოლოგიის განვითარებისათვის. ყურადღებას იქცევს ამ ნაწილში აკადემიკოსის ვ. ბეხტერევის კლინიკიდან მოტანილი ობიექტიური გამოსაცდელი გამოგონებანი სულით ავადმყოფების გამოსაცნობად, მათი ნიჭის, მეხსიერების და გრძნობათა გამოსარკვევად: აპპარატი ბეხტე-

რევისა ვიბრაციულ გრძნობის გამომრკვევი, ენევმოგრაფი მისივე და სხვა. ფსიხო-ნეკროლოგიურ ინსტიტუტის ფსიხოლოგიურ ლაბორატორიაში არსებული საჭირო ბრეპარატებიც იყო გამოფენილი, რომელთაც დიდი ყურადღება მიიპყრეს: ესტეზიომეტრი ვებერისა, ხრონომეტრი გიპპისა,—ტვინის ბრეტესის სიჩქარის გამოსარკვევი და სხვა.

პეტერბურგის ფარულ პოლიციის გამოფენის განყოფილებაში თვალში მეცა პეტერბურგში მომხთარ მხეცურ მკვლელობათა სურათები, რომელთაც კასულ წელში ჭქონდათ ადგილი: გიდვეიჩის და პოლუეკის სურათები, გიდვეიჩის მიერ პოდლუეკის მოკვლა და დასახიჩრება; რადკევიჩის მიერ ორი როსკიპი ქალის სხვა და-სხვა სასტუმროებში მოკვლა და სხვა. იქვე გამოფენილი იყო იარაღები, რომლითაც უმეტეს შემთხვევაში ხდება ასეთი მკვლელობანი.

ლადო გეგეჭკორი.

უ ც ხ ო ე თ ი

სახალხო მასწავლებელი ინგლისში

რამდენად მაღლა სდგას ინგლისური სკოლები ჩვენს ბედკრულსა და რუსულს სკოლებზედაც და რამდენად გაცილებით უკეთესია მასწავლებლის მდგომარეობაც ამ თავისუფალს ქვეყანაში ჩვენებურ მრავალად წამებულ მასწავლებლებთან შედარებით, ამას ქვემოთ დავინახავთ.

ინგლისში სკოლა თავისუფალია, მასწავლებელიც იქ ცოცხალი მოთავეა სკოლისა. სწავლების საქმეში და გადაცემაში ინგლისელი მასწავლებლები უფრო თავისუფლები არიან, ვიდრე სხვა ქვეყნის მასწავლებლები, ჩვენებურსა და რუსების მასწავლებლებს ეს ოცნებად უნდა მიეჩნდეთ. იქ ხალხთა განათლების მეთვალყურენი, ინსპეკტორები თვალყურს ადევნებენ სწავლების შედეგს და არა სწავლების ხერხს ანუ მეთოდს. 40 წლის დასასრულს ინგლისში მოახდინეს ცდა შეედგინათ სია მოწონებულ წიგნებისა დასაწყისი სკოლებისათვის, მაგრამ ამ ცდამ თამამი წინაადმდეგობა გამოიწვია, როგორც მასწავლებლების, აგრეთვე გამომცემლების და პედაგოგიური პრესის მხრითაც. ასეთი წესი ადმოჩნდა საწინააღმდეგოდ ინგლისელთა ცხოვრებაში გამეფებულის პიროვნების, აზრის და საქციელის თავისუფლებისათვის და სხვ. სახალხო განათლების დეპორტამენტი არსებობს მისთვის, რომ დაეხმაროს ფულით და ოფიციალის ძალ დონით ოფიციალ კეთილ სინდისიერ მუშაკს სახალხო განათლების საქმეში. და არა მისთვის, რომ თავს მოახვიოს ყველა ერეკვნებას თავისი პედაგოგიური თეორები და უჩვენოს თუ ვის როგორ უნდა ასწავლონ". დიდათ შესანიშნავია ხალხთა განათლების დეპორტამენტის შეხედულობა სახალხო სკოლების ინსპექტორის მოქმედების შესახებ. აი რა არის ნათქვამი ამის შესახებ ინსპექტორების ინსტრუქციაში: „**დიდს ინტერესს წარმოადგენს და აღძრავს ჩვენში ცდა, რომელიც ხდება ყველგან საღამოს კლასებისა და სხვა დამატებებითი ღონის ძიების შესახებ ხალხის განათლებისათვის—თქვენს მოვალეობას შეადგენს დრო გამოშვებით მიაწოდოთ დეპორტამენტს ცნობები ამ საგულისხმიერო ცდების შედეგის შესახებ**". მთელი ქვეყანა, ყველა დიდი ქალაქები, კერძო პირებიც კი მიწვეულია საერთო

სამოქმედოთ—ერთი საზოგადო მიზნისადმი მისაღწევად—ხალხის დასახსნელად სიბნელისა და უმეცრებისაგან. პარლამენტი, სახალხო განათლების დეპარტამენტის შუამდგომლობით, ბირდება ყველას თავის დახმარებას, ცნობილის პირობებით და აცხადებს ამასთანავე სურვილს გაიცნოს ყველა ის შედეგი, რომელსაც ღწევს ვინმე, სადაც უნდა იყოს. ინსპექტორების ინსტრუქციით აგონებენ, რომ სკოლის დათვალიერების დროს, ისე მოიქცნენ, რომ მასწავლებლები ხედავდნენ მათში: „**არა მარტო კრიტიკოსს და გამომცდელს, არამედ თანაშემწესაც და დამრიგებელს მრჩეველს ძნელი მოვალეობის ასრულებაში**“. მასწავლებლის პიროვნება უზრუნველ ეოფილია ეოველგვარ თვითნებობისაგან. მასწავლებლებს იწვევს ან სკოლის კომიტეტი და ან სკოლის დამაარსებელი, მასწავლებლისაგან მოითხოვება ერთი: ცოდნა და ცხოველი ინტერესი განათლების საქმეში. მისი პიროვნება ისეთივე უზრუნველ ეოფილია, როგორც პიროვნება ეოველის მოქალაქისა ინგლისში. ინსპექცია და საზოგადოება მტკიცე მფარველია მასწავლებლის უფლებებისა, როგორც მასწავლებლისა და თავისუფალი ქვეყნის შვილისა.

სკოლის კომიტეტები და დამაარსებელნი განსაზღვრავენ მასწავლებელთა ჯამაგირსაც. ორთა შუა რიცხვი ჯამაგირისა ინგლისის სკოლებში, უფროსი მასწავლებლებისა უდრის 1890 წლის ცნობებით მაშაკაცისა 1200 მან, ქალ-მასწავლებლისა 770 მანეთს. ზოგიერთ სკოლებში მასწავლებლები იღებენ—ჯამაგირს 3000 მანეთამდის. სახალხო განათლების საქმე თან და თან ვითარდება და იზრდება, ამასთან ერთად მაგრად იდგამს ფეხს ის რწმენაც, რომ მასწავლებლის შრომის დაფასება დაკავშირებულია საზოგადო ბედნიერებასთან და საზოგადოების გაუმჯობესებულ ცხოვრებასთან. ჭესია არ არსებობს, ამის საჭიროებაც არ არის. ეველა მასწავლებელი ან დაზღვეულია დამზღვეველ საზოგადოებაში, ან ჩაწერილია მასწავლებელთა შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობის ორგანიზაციაში, რომლის მოვალეობაა აღმოუჩინოს საჭირო დროებითი ან მუდმივი დახმარება თავისს წევრებს რაიმე უბედურობისა, ავადმეოფობისა თუ სხვა შემთხვევებში და სხვ.

ამნაირად სახალხო მასწავლებელი, რომელიც მთელს თავის ძალ ღონეს, ცოდნას და შრომას ახმარებს სკოლის საქმეებს, სრულად არ ფიქრობს იმ მომავალზე, როცა ძალა გამოელევა, რომელიც მას შეუწირავს საზოგადო სასარგებლო საქმისათვის. იმან არ იცის მწვავე კაჭირება, როგორც არ იცოდა მაშინ, როცა ძალ ღონით სავსე გამოდიოდა სასკოლო ასპარეზზე. მართებლობამ და საზოგადოებამ აღსარდა ის თავის ხარჯზე, რომელსაც არ ზოგავდა მისთვის. სამასწავლებლო სემინარია, რომელიც ამზადებს სახალხო მასწავლებლებს, ინახება კერძო საზოგადოების მიერ, რომელსაც დახმარებას აძლევს სახელმწიფო, რომელიც იძლევა საგმარის თანხას და ამასთან უჩვენებს რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს ამ სასწავლებლების კურსი. როგორც ეოველთვის ამ შემთხვევაშიაც მართებლობა უთითებს მხოლოდ ცოდნის მინიმუმზე, არაფერს შემთხვევაში წინ არ უდგება და პირიქით აქეზებს კიდეც ლექციების კითხვის მოწყობას არა საკუთარ საგნებიდანაც.

ერის ამერიკელს მარჯვლისს, რომელსაც კარგად აქვს გაცნობილი ინგლისის ეველა ტიპის სკოლები, „მიახნია ბედნიერ და სასიხარულო დროდ ის ორი წელიწადი მასწავლებლის ცხოვრებაში, რომელსაც იგი ატარებს სემინარიაში“. იგივე ამერიკელი და ავსტრიის პედაგოგი გრესბი დიდის ქებით იხსენებენ სემინარიაში მეცადინეობის მოწყობას. ამ სასწავლებლებში ასწავლიან საეკუძვლიანად ინგ-

ლისურ ენას და ლიტერატურას, პედაგოგიკას, დიდაკტიკას და ფსიხოლოგიას, („ურჩევენ ისეთის წიგნების შესწავლას, როგორიც არის „აღზრდა“ სპენსერისა, და „მეცნიერება აღზრდის შესახებ“ ბენისა და სხვ.) გეოგრაფიას, ისტორიას, აღგებრას, გეომეტრიას, სურვილის მიხედვით ასწავლიან გალობას — სატვას, ბერძნულს, ლათინურს, ფრანგულს, გერმანულს ენებს და პოლიტიკურ ეკონომიას. სტუდენტს შეუძლიან კურსის დასრულების შემდეგ ერთი წელიწადი კიდევ დაჭყოს ინსტიტუტში, მას ნება აქვს მოისმინოს ლექციები—ფსიხოლოგიიდან, ტრიგონომეტრიიდან, ელემენტარული მეხანიკიდან, შეისწავლოს ძველი და ახალი ენები, ბუნების მეტეგელება, დიფერენციალური და ინტეგრალური გამოანგარიშება. ყველა მესამე წელს დარჩენილები ირჩევენ რომელიმე საგანს და მართებლობა არა თუ ხელს უშლის ამ თავისუფალ სპეციალურ საგნის არჩევაში, პირიქით ეოველის მხრით ხელს უწყობს და ამხნევებს მას. ერთი უმთავრესი ინგლისელი პედაგოგი ფიჩი, რომელიც ითვლება ქალების სემინარიების ინსპექტორად, თავის უკანასკნელ ინგლისის პარლამენტში წარდგენილს ანგარიშში უჩვენებს სხვათა შორის გარედან მოსიარულე მოწაფეთათვის სამასწავლებლო სემინარიის უპირატესობას, ბენსიონთან შედარებით — იმ მოსაზრებითაც, რომ ამ შემთხვევაში უფრო სახურხებელი ხდება სპეციალურ საკითხებზე დექციების მოწყობა ცალკე ჯგუფისათვის. „ქალებსაც და კაცებსაც ამბობს იგი, ასეთს სასწავლებელში უფრო ადვილად შეუძლიან დაიკმაყოფილონ თავიანთ მისწრაფება რომელიმე მეცნიერობის სპეციალურად შესწავლაში. რასაკვირველია მხოლოდ მცირე ნაწილს შეუძლიან შეითვისონ ფართო ცოდნა. მაგრამ, ეოველ შემთხვევაში, სასისარულოდ უნდა მიგვაჩნდეს, რომ ჩვენ ეხლა იმედი გვაქვს დავინახოთ მასწავლებელთ შორის ისეთები, რომელთაც საფუძვლიანად ექნება შესწავლილი მეცნიერების ან ხელოვნების რომელიმე ნაწილი“. ინსტიტუტთან არის აგრეთვე რამდენიმე სამაგალითო დასაწყისი სკოლა, მთელი კურსის განმავლობაში ყველა სტუდენტი ვალდებულია სემინარიის პროფესორების თანადასწრებით და ხელმძღვანელობით მისცეს არა ნაკლები 180 გაკვეთილისა. სემინარიაში კურსის დასრულების დროს სტუდენტებს გამოცდიან თეორიაში და პრაქტიკაში, რის შემდეგ ახალგაზდა უშაწვილი მიიღებს დიპლომიანი მასწავლებლის ხარისხს.

ინგლისში 57 სამასწავლებლო სემინარიაა, საიდამ.ც გამოდიან სახალხო მასწავლებლები, მათში 26 საქალაო სემინარიაა, 17 ვაჟებისა და 1 შერეულია ვაჟებისა და ქალებისათვის. ყველა ამაებში პანსიონია გამართული. ამ დარგის სასწავლებლის გარედან მოსიარულეთა რიცხვს შეადგენს 6 საქალაო და ორიც შერეული სემინარია. აღსანიშნავია ისიც, რომ ინგლისის დასაწყისის სკოლებში მასწავლებელ-ქალთა რიცხვი აღემატება კაცებისას. თითქმის ასი ათას სახალხო სკოლის მასწავლებელთა რიცხვში ქალები $^2/_3$ შეტია. შეინიშნება აგრეთვე ასეთი ტენდენცია მასწავლებელ ქალთა გამრავლების შესახებ „არსებობს ისეთი რწმენა, რომ ზოგიერთს შემთხვევებში მასწავლებელი ქალები უკეთესი პედაგოგებია, ვიდრე კაცები“.

მასწავლებელ ქალებისა და კაცების გარდა, რომელთაც კურსი აქვსთ დასრულებული საამასწავლებლო სემინარიაში, ინგლისში არსებობს აგრეთვე მოელი ინსტიტუტი მასწავლებელთა თანაშემწეებისა. შვიდ კლასიან დასაწყისს სკოლაში კურს დასრულებულს 14 წლის მოწაფეს შეუძლიან დარჩეს სკოლაში, როგორც „მოვარჯიშე მასწავლებელი“; რომელიც ეხმარება შეძლების დაგვარად მასწავლებლებს. თითოეულ დიპლომიან მასწავლებელზე ამისთანა მოვარჯიშე თანაშემწე სამამდის არის.

ამნაირად ჭაბუკი სწავლების საქმეს თან და თან ეჩვევა კლასში უფრო მასწავლებელის ხელმძღვანელობით; ამისთანა მოვარჯიშე მასწავლებელს ოთველ წელიწადს გამოცდიან. 4 წელიწადი რჩება ამისთანა უმაწვილი მასწავლებელი სავარჯიშოთ სკოლაში და ოთვალს წელს სტიპენდიას იღებს მოაგრობისგან 100—200 მანეთამდის. ოთვალს წელს იმას გამოცდიან არითმეტიკაში, ალგებრაში, გეომეტრიაში—ბუნების მეტყველებაში და სხვა საგნებში. მოვარჯიშეებს რომ მეტი დრო ქონდესთ თვით განვითარებისა და განათლებისათვის, იმათგან მოითხოვება კვირაში ნახევარ გაკვეთილებზე დასწრება და მონაწილეობის მიღება სკოლაში. დიდს ქალაქებში იმათთვის მოწყობილია განსაკუთრებული კლასები, სადაც სწავლებას მიანდობენ უფრო გამოცდილსა და ცნობილს ბედაგოგებს. ოთხი წლის გამოცდილების შემდეგ, უმაწვილი იწერს გასათავებელ ეგზამენს და, გამოცდის შემდეგ, შედის სემინარიაში, ან ემზადება სემინარიის გარეშე, სემინარიის სტუდენტებთან ერთად დიპლომიანი მასწავლებლის ხარისხის მისაღებად. საზოგადოებრივი ცხოვრება და ორგანიზაციები სრულებით არ რჩებათ ინგლისელ მასწავლებლებს უყურადღებოთ, როგორც ამ ქვეყნის ყველა მოქალაქე, რომელიც იკუთვნის ამა თუ იმ პროფესიას. ეროვერთ დამხმარებელი ამხანაგობის გარდა, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ, მასწავლებელთა შორის არსებობს ბევრი სხვა საზოგადოებაც, რომელსაც აქვს სამეცნიერო, კორპორატიული, ფილანტროპიული და სხვა მიზანი. უფრო დიდს კავშირს თანამედროვე ცხოვრებაში შეადგენს „ეროვნული კავშირი“, რომელიც აერთებს მასწავლებელთა უმეტესს ნაწილს. ეს კავშირი სცემს გაზეთებს, ჟურნალებს, რომელსაც სახელი აქვს მოპოვებული და დიდათაც გავრცელებულია. საზოგადოებაში, რომელიც შეტად ეფასებს მასწავლებლის შრომას, რომელიც ცოცხლად დაინტერესებულია თავისი საქმით, დიდს დახმარებას უწევს მასწავლებლებს ჟურნალ გაზეთების გამოცემაში და გავრცელებაში, რომელიც ეხება სკოლის საქმეებს და მასწავლებელთა ინტერესებს. მასწავლებელთა კრებას ესწრება ბევრი გარეშე პირნიც, რომ მოისმინოს კამათი—ოთვალთვის ცხოველი დღიური საკითხებისა—სწავლა აღზრდის შესახებ. ინგლისელ მასწავლებელს სიამოვნებით დაუგდებ ყურს, რადგან მას დიდ გამოცდილებასთან ბევრი სამეცნიერო ცოდნაც აქვს. საზოგადოება და კავშირები ბლომად აწვდიან მას ლიტერატურას, რომელიც ეხება როგორც სკოლის ისე საზოგადოებრივს და თანამედროვე სხვა და სხვა გვარ სამეცნიერო ცხოვრებას—ეს მეცნიერება და თავისეული ცხოვრება მასწავლებელს უკაფავს გზას უფრო ადვილად მიაღწიოს სკოლის იდეალს, რომელსაც თითოეული ჩვენთაგანი ძლიერ დაშორებულია. ოთვალ ჩვენგანს ადვილად აქვს წარმოდგენილი ჩვენებური სკოლების უგულმარეული მოწყობა და მასწავლებელთა უსუგეშო მდგომარეობა, ამიტომ ძნელი არ არის წარმოვიდგინოთ თუ რა ნაირის ‹ერძნობით განიმსჭვალება თითოეული ჩვენგანი, როცა ეცნობა სკოლის საქმეებს და სახალხო მასწავლებელთა მდგომარეობას ინგლისში.

ზრუნვა მოწაფეთა ჯანის სიმთელეზე

1. ჰიგიენური წესები მოწაფეთათვის.

ბერლინის მოწაფეთა ჯანმრთელობის შესახებ მზრუნველ საზოგადოებამ შეადგინა და გამოსცა წესდება, რომლის ასრულება საჭიროა ჯანმთელობის დასაცველად. აი უმთავრესი მუხლები ამ წესდებისა:

„ჯან-საღობა უდიდესი ბედნიერებაა, ამიტომ იზრუნე იმის დაცვის შესახებ. წესიერად იცხოვრე. შრომა და მოსვენება ერთგვარად საჭიროა ჯანმთელობისათვის, სჭამე განსაზღვრულ დროზე. ჭამის დროს ნუ ჩქაროობ და კარგად დაღეჭე საჭმელი, თავის დროზე დაწექ დასაძინებლად და იძინე 8—10 საათამდის. გაგეღვიძება თუ არა დილით, ნუ წევხარ ლოგინში, ადეგ მაშინვე. სხეული სუფთად გქონდეს. სუფთა კანი არა თუ ამშვენებს ადამიანს, არამედ იფარავს კიდეც სხვა და სხვა სნეულებისაგან. ხელები ხშირად დაიბანე, უფრო ჭამის წინ. ერთხელ მაინც კვირაში იბანავე თბილ წყალში საპნით. ზაფხულში, რაც შეიძლება, ხშირად იბანავე, მაგრამ არა მაშინვე, როცა ჭამას მორჩები. ავადმყოფობის დროს ბანაობა მავნებელია. ხშირად გამოივლე წყალი პირში და ყელში. დილით და საღამოობით კბილები დაიწმინდე ჩოთქით. პირის სისუფთავე იფარავს არა მარტო კბილის ტკივილისაგან, არამედ სხვა ავადმყოფობისაგანაც. ხველის დროს დაიცავ პირი ხელით. ყურადღება მიაქციე ოთახის ჰაერის სისუფთავეს. ამისთვის დააღეთ ფანჯრის თვლები. სინათლე და ჰაერი ისე საჭიროა ადამიანისათვის, როგორც საჭმელი და სასმელი. ეცადე ცხვირით ისუნთქო; ეს უსათუოდ საჭიროა, როცა ჰაერი მტვრიანია, რომ დაიცვათ ფილტვები.—დადექ პირდაპირ: ეს ლამაზიც არის და სასარგებლოც ჯანმთელობისათვის. სკოლაში და სახლშიაც კითხვის, წერის და ხელით მუშაობის დროს პირდაპირ უნდა იჯდე. ფიზიკური ვარჯიშობანი, ციგით სრიალი, ცურვა და მოძრავი თამაშობა სასარგებლოა ჯანმთელობისათვის, მაგრამ დაღლილობამდის არ უნდა მიხვიდე. თამაშობის დროს ფრთხილად უნდა იყო. გართობა ჩხუბად არ უნდა გადაიქცეს, ან სხვაგვარ ველურ საქციელად, რომელიც ავნებს შენს ამხანაგს. თამაშობის დროს უფრო თვალებს უფრთხილდი. ყოველ წლობით აუარებელი ბავშვი ბრმავდება, რადგანაც სიფრთხილით არ ეპყრობიან მაკრატელს, დანას, ფისტონს, ისარს, კირსა და ქვებს. ნუ სვამ ცივს წყალსა, როცა სხეული გახურებული გაქვს და ნურც გამოხვალ ცივს ჰაერზე, სანამ არ გაგრილდე. მგზავრობის დროს სვი გადადუღებული წყალი, ან რძე, ფეხი თუ დაგისველდეს, გამოიცვალე წინდები და ფეხსაცმელი. ნუ ჩაიცვამ ისეთ რასმე, რაც ავიწროებს ტ ხუთავს სხეულს, როგორც მაგალითად—კარსეტს, სარტყელს, ძლიერ გახამებულს მაღალსა და ვიწრო საყელოს. ნუ იმეცადინებ როცა ბნელა, ან წევხარ ლოგინში. ეცადე რომ მეცადინეობის დროს კარგი, ზომიერი და არა ძლიერი სინათლე იყოს. ვიდრე აირჩევდე რამე პროფესიას, დაეკითხე ექიმს, შეეგუება თუ არა შენი ორგანიზმი იმ პროფესიას. ნუ სვამ მაგარ სასმელებს, განსაკუთრებით არაყს. ხშირი სმა მაგარი სასმელებისა არა თუ სხეულსა ჰშლის, არამედ ცუდ საქციელსაც ჩაადენიებს ადამიანს, დამნაშავეთა უმეტესობა—ლოთებია. თამბაქოს წევა სიყმაწვილეში ჯანმთელობის დამღუპველია. ნუ იკითხავ ცუდი შინაარსის წიგნებს: ის ღუპავს სულსაც და ხორცსაც. ისწავლე თავის დაჭერა. ნუ გაგიტაცებს ბნელი აზრები. მშვიდად და მხიარულად ყოფნა ყველაზე უფრო კარგად შეგინახავს სულისა და სხეულის ჯანსაღობას. თუ ამ წესებში რამე გაუგებარი იქნება შენთვის, მიჰმართე შენს მასწავლებელს და ის აგიხსნის“.

ეს წესები გამოცემულია ტაბულებად ტ გაკრულია ტილოზე საკლასო ოთახში კედლებზე გამოსაკიდებლად.

2. ბავშვების გაცვლა დანიაში.

დანიაში მშობლები დროებით ცვლიან თავიანთ შვილებს, აგზავნიან მათ სოფლის სკოლიდან ქალაქის სკოლებში და ქალაქიდან სოფლისაში. ამ სახით ოცი ათასს ბავშვს, ათი ათასს ქალაქში და ამდენსავე სოფელში, ეძლევათ შემთხვევა იცხოვრონ ზოგს სოფლის ბუნების წიაღში, ზოგსაც კოპენგაგენში და მის არე მარეში.

3. მხედველობის ძალდატანება ბავშვების მიერ სკოლებში.

სტატიაში. რომელიც მოთავსებულია ნიუორკის „Medical Journal-“ში დოქტორი ვალტერ ს. კორნელი აღნუსხავს საყურადღებო ცნობებს ბავშვების მიერ მხედველობის ძალდატანების შესახებ სკოლებში. ქ. ნიუიორკში გაშინჯეს 79,069 ბავშვი და ბავშვების % რომელთაც მხედველობის სისუსტე ეტყობათ, აღმოჩნდა 29, 5%.

ფილადელფიაში გაშინჯეს 140,000 ბავშვი და არა ნორმალური მხედველობის ბავშვთა რიცხვი უდრიდა 28%, ლონდონში თვალის ექიმებმა 20,000 ბავშვი გასინჯეს. ბავშვების პროცენტი არა ნორმალური მხედველობით უდრის 26%, ამ რიცხვიდან იმ ბავშვების პროცენტი, რომლის მხედველობაც უდრიდა ნორმალურის ნახევარს და იმის ნაკლებს, იყო 12,5%.

ავტორმა თვითონ გასინჯა 1156 ბავშვი, რომელთაგან 34% არა ნორმალური მხედველობა ჰქონდა, ამ რიცხვიდან ექვსს პროცენტს ჰქონდა ისეთი მხედველობა, რომელიც უდრის ნორმალურის ნახევარს და ნაკლებსაც.

ამ რიცხვიდან მხოლოდ ზოგიერთი ბავშვები ატარებდნენ სათვალეებს. დანარჩენებს ძალა უნდა დაეტანებინათ მხედველობისათვის, ბრალი ამ სამწუხარო მოვლენაში ექიმებსაც ედებათ, მოწაფეებსაც და მშობლებსაც. ამ ფაქტების უცოდინრობა, გულგრილობა და სიღარიბე—აი რას უნდა შეებრძოლონ, რომ მოიშორონ ეს ნაკლულევანება.

გამოკვლეული იქმნა დამოკიდებულება ცუდ მხედველობის და სწავლის შორის 219 ბავშვზე. აღმოჩნდა რომ განსხვავება ნიშნებში ნორმალურის და ცუდი მხედველობის ბავშვებში უფრო შესამჩნევია არითმეტიკაში და spelling (დაისწავლიან, როგორ იწერება თითოეული სიტყვა და ამ დასწავლას ეძახიან spelling-ს); მაშასადამე განსხვავება უფრო სჩანს იმ შემთხვევაში, როცა მოწაფისაგან მოითხოვენ თვალყური ეჭიროს იმაზე, რაც საკლასო დაფაზე იწერება.

გამოკვლევით ცხადათ დამტკიცდა, რომ იმ მეცადინეობის დროს, რომელიც „საკლასო დაფასთან არის შეკავშირებული, უკეთესს წარმატებას იჩენდნენ ნორმალური მხედველობის ბავშვები, უარესს—ცუდი მხედველობისა.

ეს გვიჩვენებს თუ რა ყურადღებაა საჭირო მშობლების, პედაგოგების და სკოლის ექიმების მხრივ ბავშვების ამ მხრით ჯანმრთელობის დასაცველად.

საზოგადოთ სჩანს, რომ სკოლაში სწავლას და მხედველობის გამჭრიახობას მჭიდრო პროპორციონალური დამოკიდებულება აქვთ ერთმანეთში.

4. უფასო აბანოები მოწაფეთათვის შვეციაში.

შვეციის ბევრ ქალაქში დასაწყისი სკოლის მოწაფეები ორივე სქესისა სარგებლობენ უფასო, ცივი აბანოებით და ზოგ ადგილას ცურვასაც კი ასწავლიან.

დიდ ქალაქებში შესაძლოდ დაინახეს დასაწყისი სკოლების მოწაფეებისათვის მოეწყოთ უფასო აბანოები ზამთარშიაც. ამისათვის ან სკოლაშია გამართული ვანები ან და შეუძლიათ უსასყიდლოთ ისარგებლონ საზოგადო აბანოებით.

სტოკგოლმში დასაწყისი სკოლის ყველა მოწაფეებს შეუძლიათ უფასოდ იარონ აბანოებში. თითოეულ მოწაფეს ორჯერ შეუძლიან თვეში წავიდეს აბანოში. მოწაფეებს ძალას არ ატანენ ამაში, ისინი ხალისით დადიან თვითონვე, რადგანაც ბავშვებიც და მათი მშობლებიც დარწმუნებულნი არიან აბანოს სარგებლობაში.

საბავშვო სამკითხველოები ამერიკაში

უკანასკნელ წლებში ამერიკის შეერთებულს შტატებში დიდი მოძრაობა შეინიშნება საუმაწვილო ბიბლიოტეკების და სამკითხველოების გახსნისა და გამრავლების შესახებ.

ძირითადი მიზანი საბავშვო ბიბლიოტეკების დაარსებისა მარტო იმაში კი არ გამოიხატება, რომ მიაწოდონ ბავშვებს წიგნები საკითხვად, არამედ იმაშიაც, რომ ბავშვებს განუ-

ვითარონ გემოვნება და ჩვეულება წიგნების კითხვისა.

ამერიკის ბევრს ქალაქებში მოწყობილია სპეციალური საბავშვო სამკითხველოები, რომლის თვალ-ყურის გდება დავალებული აქვთ მასწავლებლებს. სხვა და სხვა ასაკის ბავშვები ხალისით დადიან ამ სამკითხველოებში. ქ. პიტსბურგში 1905 წელში, წლის განმავლობაში 300,000 ჯერ უვლიათ ბავშვებს. უფრო ამ ბიბლიოტეკას კვირაობით ეტანებოდნენ.

სამკითხველოს გამგე აკვირდებოდა ბავშვებს და გამოკითხვით ტუობილობდა მიზეზს იმ ბავშვების შესახებ, რომლებიც არ დადიოდნენ სამკითხველოში. რადგანაც გამგეებს განზრახული ჰქონდათ თანდათან გავრცელება კითხვისა ბავშვებში, ისინი მიდიოდნენ მშობლებთან და ითანხმებდნენ, რომ თავიანთი შვილები ჩაეწერათ სამკითხველოს წევრებად.

საბავშვო ბიბლიოტეკები და სამკითხველოები ამერიკაში ისეა მოწყობილი, რომ ბევრი სინათლე და ჰაერი და სხვა მოწყობილება ხელს უწყობს კითხვას. რომ გამოიწვიონ ბავშვებში ესთეტიური გრძნობა, გამგეები მორთავენ სამკითხველოებს მცენარეებით და ყვავილებით. კედლებზე გამოჰფენენ ფოტოგრაფიულ სურათებს, შესანიშნავი მხატვრების ნაწარმოებს. სამკითხველოს კუთხეებში სდგამენ გამოქანდაკებულ სახეებს, ფრინველების და ცხოველების გამოხატულებას და სხ.

მ'ეარული ფერის ყდებში ჩასმული წიგნები დაბლა თაროებზე აწყვია, რომ საკმარო წიგნი ადვილად ჩამოიღონ ბავშვებმა.

წიგნების საკითხავი მაგიდა დაბალია, თარო და გრძელი, გაკეთებულია ბავშვების სიმაღლის მიხედვით.

ბიბლიოტეკაში მოიპოვება წიგნები ყველა ასაკის ბავშვისათვის—როგორც საბავშვო ყურნალები შესაფერისის სურათებით რომელიც თვალსაჩინოდ ხდის დასტამბულს წერილს, აგრეთვე სხვა და სხვა სიტყვა-კაზმული ნაწარმოებნი, რომელნიც შეეფერებიან მოზარდ თაობას.

უფრო გატაცებით თხოულობენ საბავშვო ყურნალებს, რაც ბევრია და მოთავსებულია ძირის თარაზე, საიდანაც მსურველს ადვილად შეუძლიან აიღოს ესა თუ ის წიგნი.

ბავშვების კითხვაში ხელმძღვანელობის დროს გამგეები მიმართავენ თვალსაჩინო სწავლებას სურათებისა და სხვა საგნების შემწეობით. მკითხველთა ყურადღება მუდმივ მიმართულია ახლნა განმარტებაზე, სჯა-ბაასზე, პოეტიური ნაწარმოების პროზით და ლექსებით დეკლამაციაზე, რომელიც ეხება რომელიმე შესანიშნავ დღეს, ისტორიულს მოგონებას, ლიტერატურას და აწინდელს საზოგადოებრივს ცხოვრებას. სურათები შეადგენენ ისტორიის, კეოგრაფიის და საბუნების-მეტყველო საგნების სწავლების დამატებას, რასაც სკოლაში სწავლობენ.

დაბადების ან გარდაცვალების წლის თავს შესანიშნავი ადამიანებისას: პოეტებისას, მწერლებისას, მხატვრებისას, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა მოგონებენ მკითხველებს. იმ დღეს შესავალ კარებთან ჩამოკიდებენ სურათს იმ პირისას, ვისი დღესასწაულიც არის იმ დღეს.

ბიბლიოთეკა სამკითხველოებში არის წიგნების კატალოგები, რომელსაც ზემოდამ აწერია: „თუ გსურთ გაეცნოთ წარსულ გმირთა ცხოვრებას, შესანიშნავ მეცნიერებს, მწერლებს, საზოგადო მოღვაწეებს, მკვლევართა, მხატვრებს და სხვათა, გაწვდით ამ მიზნით წიგნების სიას, სადაც იპოვით ყველაფერს, რაც გაინტერესებთ“.

იმის გამო, რომ თვალსაჩინოდ სწავლება უფრო ჩქარა და უკეთესად შეითვისება, ვიდრე სიტყვიერი, ზეპირი, სხვა და სხვა მხატვრული სერიები ძალიერ კარგს მასალას წარმოადგენენ ამ გვარმა ცდამ, რაც მოახდინეს ერთს საბავშვო ბიბლიოთეკაში, ძალიერ კარგი ნაყო-

ფი მოიტანა. ამ ბიბლიოთეკის ერთს კედელზე გამოფენილი იყო ფერადი სურათები, როგორც თვალსაჩინოთ დამსურათებელი ცნობილის ზღაპრებისა და იგავ-არაკებისა. ამგვარ ნაწარმოების და სურათების მოთხოვნილება ისეთი დიდი იყო, რომ ის ოთახები სადაც ისინი ელაგა, მუდამ ცარიელი რჩებოდა.

კვირაში ორჯელ ბავშვები შეიკრებებიან სამკითხველოში იმ დროს, როცა ბიბლიოტეკის გამგე უკითხავს მათ სხვა და სხვა მოთხრობებს ამბებს, რაც ბავშვებისათვის გასაგებია და მათი წლოვანებისათვის შესაფერისი. წაკითხვის შემდეგ გაიმართება საუბარი და კამათი წაკითხულის შესახებ. ბავშვები გამოთქვამენ თავიანთ აზრს ამა თუ იმ ნაწარმოების შესახებ ამასთან ადეკვრებათ სურვილი თავისთავად წაიკითხონ ესა თუ ის ნაწარმოები.

ბევრ ადგილას ამერიკის ბიბლიოტეკებში კედლებზე შემდეგი წარწერაა: „ბიბლიოტეკაში არსებული წიგნები იმყოფება მკითხველთა მზრუნველობაში“. ბავშვები ამგვარი ნდობით ამაყობენ და ცდილობენ ეს ნდობა გაამართლონ, არ გასკარონ, არ დახიონ და არ დაკარგონ წიგნები, რაც მათ აძლევათ სახლში საკითხავად.

ამნაირად იზრდება და ვითარდება ახალი თაობა ამერიკაში განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა.

სინემატოგრაფის მნიშვნელობა სწავლაში

უმაწვილების აღზრდა საზოგადოთ და სკოლაში სწავლება კერძოთ იმდენად საჭირო საგანს შეადგენს, რომ ეოველი რჩევა და დარიგება, რომელიც ცოტად თუ ბევრად ხელს შეუწყობს საკითხის საუკეთესოდ გადაწყვეტას, საყურადღებო უნდა იყოს ამ დიადის საქმისათვის. სწავლებისათვის ისეთის წესების გამოგონება, რომლის დროს დროც და მოწაფეთა ძალღონეც მცირე იხარჯება და შედეგი კი დიდი და მკვიდრია — შეადგენს აწინდელი დაბალი და საშუალო სკოლების საზრუნავ საგანს. დიდი ხანია საყურადღებოთ არის აღიარებული თვალსაჩინო სწავლება, რომლის დროსაც საჩვენო საგანი მოწაფეთა თვალწინ არის საცდელად, გასაშანჯად და შესასწავლად. მაგრამ, საბოლოოდ, ეს მეთოდი იშვიათად იხმარება ჩვენში, როგორც დასაწყისს, აგრეთვე საშუალო სკოლებშიაც. და სუსტად მედგესილი თვალსაჩინო გაკვეთილები, რომელთაც აგერ-ეგერ შეხვდებით ჩვენებურს სკოლებში, სრულიად ვერ შეედრება იმ თვალსაჩინო სწავლებას, რომელიც სუფევს ამერიკის დასაწყისს სკოლებში. მართალია ჩვენს სკოლებში ზოგჯერ მიჰმართავენ სურათებს, მაგრამ ამავე დროს საგნის აწერილობა ხშირად ჭარბობს მოწაფეთა მეხსიერებიდან, მაუხედავად იმისა, რომ ეს აწერილობანი ბავშვების გონებაში ოკეანეთის მტკიცე წარმოდგენილებას ვერ ქმნიან.

დაუფასებელ სამსახურს უწევს ამ შემოხვევაში სკოლას სინემატოგრაფი. ის ადვილი გასაგებია ეველასათვის, წერაკითხვის უცოდინარითვისაც, ცოცხალ და ილიუზიით სავსე სურათებით აცნობებს ის მნახველს დედამიწას, ხმელეთს, ზღვას, მისივე მცხოვრებლებით, ადამიანს სხვა და სხვა კულტურისა და მრეწველობის საეეხურზე. შრომის სხვა და სხვა სახეები, ადამიანის ბრძოლა ბუნებასთან ნათლად სჩანან მნახველის თვალწინ ცოცხალ რეალურ სახეებში და სამუდამოდ აღიბეჭდებიან მის მეხსიერებაში; ვერც ერთი აწერილობა ვერ მისცემს ისეთს ცხადს და ცოცხალ წარ-

მოდგენილებას, როგორც სინემატოგრაფის სურათები. ამ მხრით მისი მნიშვნელობა უსასაუდებელია, როგორც ტოტხალი დემონსტრაცია წიგნისა.

სასკოლო ასაკის მოწაფეთათვის სინემატოგრაფი ეოვლად უსაჭიროესია ზოოლოგიის, ბოტანიკის, გეოგრაფიის, ეტნოგრაფიის და ისტორიის შეგნებით შესწავლისთვის. ჩრდილო ქვეყნების სურათების, ზღვის, ვეშაპზე და ოვეზებზე ნადირობის, ჩინეთის ჩაისა და აბრეშუმის ნაწარმოები, ამერიკის ტეეების, მდინარეების, ჩანჩქერების, ალპებზე მოგზაურობის ხილვის შემდეგ თავისი ჩახრიალებით. და სხვა და სხ. წიგნში წაკითხვა მშრალი გაზეპირება არ იქნება, პირიქით ის მოაგონებს მოწაფეს ნახულს. ამ მხრით სინემატოგრაფი მეტად სასარგებლო გამოგონებაა, როშელიც ხელს უწყობს მოწაფეს მეცნიერების შესწავლაში და ცნობათა გამდიდრებაში. სხვა და სხვა ეპიზოდები ისტორიიდან აღბეჭდილია სინემატოგრაფის ლენტებზე. აქ შეხვდებით სურათებს სამხრეთ და საერო ისტორიიდანაც.

ამ უკანასკნელ ხანებში სინემატოგრაფი ისე გავრცელდა ჩვენშიაც, რომ იშვიათი ქალაქი იქნება, რომ ის არ ნახოთ. უეჭველია, რომ ახლო მომავალში სინემატოგრაფი ეველა სკოლების აუცილებელს კუთვნილებას შეადგენს, მაგრამ სანამ ის დრო დადგებოდეს აუცილებლად საჭიროა სარგებლობა ქალაქებში არსებული სინემატოგრაფებით, საჭიროა ქალაქის სკოლების გამგეებმა მოელაპარაკონ რომელიმე სინემატოგრაფის პატრონს, რომ დანიშნულს დროზე დადგას საბავშვო სურათები შესაფერისის შინაარსისა, რეგულიარულად ტარებაბავშვებისა ტოტხალი სურათების სანახავად დიდს სარგებლობას მოუტანს მათ, თუ კი, რასაკვირველია, სურათები არ იქნებიან მოგლებული ბავშვებისათვის სულისა და გონების საზრდოს.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

„ძველი საქარუველო. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული. ტ. I ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, თფილ. 1909“

ჩვენი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ჯერ ნორჩია. მისი ზრდა და წარმატება უმთავრესად ჩვენი ერის შეგნება—თანაგრძნობაზეა დამყარებული. მარტო რამდენიმე ჰირს, რაც გინდ გატაცებულნი იყვნენ ისინი შრომის სურვილით და რა გინდ ამ შრომისათვის უნარიც შესწევდეს, ბევრის რისმე გაკეთება არ შეუძლიათ. შემცდარი აზრია, ვითომც სპეციალურ საზოგადოებას, მარტო სპეციალისტების დახმარება ესაჭიროებოდეს. აუცილებლად საჭიროა ეველა შეგნებულმა ქართველმა, რითაც კი შეუძლია, მხურვალე მონაწილეობა მიიღოს ამ დიდათ საჭირო და სასარგებლო საქმეში... საზოგადოების მიზანი ძლიერ ფართოა. მას საგნად აქვს შესწავლა საქართველოს წარსულისა და აწმყოსი: ცდილობს შეჭკრიბოს ძველი ხელთ-ნაწერები, სიგელ-გუჯრები, იარაღები, სამკაულები, ტანისამოსები, ძველი ფულები და სხვა მრავალი არქეოლოგიური ნივთები; ცდილობს შეჭკრიბოს და გამოსცეს ხალხური ზღაპრები, გადმოცემანი, არაკები, თქმულებანი, შელოცვები, გამოცანები; ცდილობს ასწეროს ქართველთა მოდგმის ხალხის ზნე-ჩვეულება: ქორწილი, ტირილი, დღეობა, ხატობა, სხვა და სხვა გართობა, მგლოვიარობა, მიცვალებულთა სამ-

სახური და სხვა და სხვა... სწორეთ რომ ფართო მიზანია; სწორეთ ნამდვილი ფართო ერთგულია საქმე დაუსახავს საზოგადოებას სამოქმედო ასპარეზად! როგორც თვით საზოგადოების თავმჯდომარე აღიარებს, ჩვენდა სასიხარულოდ, ეს ნორჩი საზოგადოება დღითი დღე იძენს ხალხის თანაგრძნობას,—ტოტოტა, მაგრამ შეუწყვეტლად, მოსდის სხვა და სხვა შემოწირულება: საარქეოლოგიო ნივთები მუზეუმისათვის, ხელნაწერები და სიგელ-გუჯრები წიგნთსაცავისათვის და მცირედი შემოწირულება ფულითაც.—თავის მხრივ თვით საზოგადოების საბჭო დიდის ენერგიით ეკიდება საქმეს და ძალ-ღონეს არ ზოგავს შესაფერად ემსახუროს დასახულს მიზანს. საზოგადოებამ ერთის წლის განმავლობაში გამოსცა ორი დიდი კრებული: „საქართველოს სიძველენი, ტ. II“ და „ძველი საქართველო“. „საქ. სიძველის“ პირველი ტომი იბეჭდებოდა „მოამბის“ დამატებით და შემდეგ 1899 წ. ცალკე წიგნად გამოვიდა. მეორე ტომი შეიცავს სულ 509 სიგელ-გუჯარს და სხვა აქტებს მეთორმეტე საუკუნიდგან დაწყებული მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე. ექვსიოდე სიგელ გუჯრის გარდა, აქ სულ უცნობი მასალაა.

„ძველი საქართველოს“ პირველი ტომი შეიცავს სულ ხუთ განყოფილებას. პირველ განყოფილებაში მოქცეულია ნეკროლოგები ალექსანდრე ეპისკოპოზისა, ნ. ხიზანაშვილის და ა. ჭეფიანისი; მეორეში—რეფერატები; მესამეში—ისტორიო და საკანონმდებლო მასალა; მეოთხეში—სახალხო სიტყვიერება; მეხუთეში—ხალხური სიმღერა ნოტებზე გადაღებული და მეექვსეში საზოგადოების კრებათა ოქმები.

ალექსანდრე ეპისკოპოზი, ნ. ხიზანაშვილი და ა. ჭეფიანა დიდი მოტრფიალენი და მცოდნენი იყვნენ საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა; სწორედ რომ მშვენიერი აზრი მოსვლია საზოგადოებას, რომ პირველი ფურცლები თვისი გამოცემისა ამ ნამდვილ ქართველების ხსოვნა-დათვსებას დაუთმო.

რეფერატები ყველა საყურადღებოა. მათი ავტორები გარდა არს. მ. ამბროსისა, ცნობილნი არიან თავიანთ წინანდელ ისტორიულ კვლევა-ძიებით. არს. ამბროსი, როგორც ვიცით, დიდი მოტრფიალე და მცოდნეც არის ქართულ ისტორიისა და მწერლობისა. ბევრი მასალაც ჰქონდა დამზადებული. მისი პირველი შრომა „ჭელიშის ვარიანტი ქართლის მოქცევისა“ საყურადღებოა. ვარიანტი იძლევა ფრიად შესანიშნავ ცნობას; სხვათა შორის აღსანიშნავი და საინტერესოა მ. ამბროსის აზრი წმ. გიორგის ქართველობის შესახებ. მართლაც, ეს აზრი გხვდებათ, როგორც მწერლობაში, ისე ჩვენი მოიულების რწმენა-თქმულებაში (სვანეთში). ავტორი ეხება აგრეთვე საქართველოში „ურიების“ ან ებრაელების გადმოსახლებას. ექ. თაყაიშვილის აზრით, ჭელიშას ვარიანტს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ისტორიისათვის.

ბ. აბულაძის რეფერატში: „მე XII საუკუნის ქართულ მწერლობის ხასიათი და რუსთაველის ვეფხვის ტყაოსანი, როგორც დროის მიმართულების უძლიერესი გამომხატველი“, შემდეგი აზრია გამოთქმული: მე XII საუკუნეში, განსაკუთრებით თამარის დროს, მალალი ქართული საზოგადოება მეტად გაიმსჭვალა სპარსულის კარის მწერლობის აზრებით და მიმართულებით; ეს ამ საზოგადო გატაცების ნაყოფია ისეთი ნაწარმოები, როგორიც არის „ვ. ტყაოსანი“. რუსთაველს სიუჟეტად აუღია ერთ-ერთი არაბულ-სპარსულ საგმირო არაკი, რომელიც მალალ ქართულ საზოგადოებაში დიდ პატივისცემაში ყოფილა და თავის შემოქმედებითის ნაკვით იმდენად შეუცვლია იგი, დღეს კიდევაც წინ რომ გვედგას ამ არაკის ორიგინალი და „ვ. ტყაოსანს“ შეუდარო იგი, მათ შორის ვერავითარს მსგავსებას ვერ ვიპოვით. ამის გამო, რეფერენტის აზრით, ჩვენ შეგვიძლია „ვ. ტყაოსანი“ ორიგინალურ ნაწერად ჩავთვალოთ.—ბ. აბულაძეს განუზრახავს შეარიგოს ის ორი პირ და პირ ერთმანეთის მოწინააღმდეგე აზრი, რომელიც მკაფიოთ გამოთქმულია, „ვ. ტყაოსნის“ შესახებ ჩვენს ლიტერატურაში (ზოგი ამტკიცებს „ვეფ. ტუ.“ თარგმანია, ზოგი ორიგინალურია). ამისათვის მას ახალ

თეორიისთვის მიუმართავს. ჩვენის აზრით, არც ეს თეორია და არც მისი გასამართლებლად მოყვანილი საბუთები ისეთის ყურადღების ღირსი არ არიან, როგორც დამატება რეფერატისა „ვეფხვის ტყაოსნის ლექსიკონი“, რომელშიაც ცხადად სჩანს ავტორის შრომის მოუვარეობა, დაკვირვება და ცოდნა საგნისა.

დ. კარიჭაშვილმა რეფერატში: „ვინ უნდა იყვეს სუმბატის ქრონიკის ავტორი“, გამოთქვა ახალი ჰიპოტეზა ქრონიკის ავტორის ვინაობის შესახებ. მას ყოველივე საფუძველს მოკლებულად მიაჩნია დ. ბაქრაძის და თ. ყორდანიის აზრი ამ საკანზე. რეფერენტი, წინააღმდეგ ბაქრაძისა და ყორდანიასი, ქრონიკის ავტორად სთვლის „დავით მტირის“-ძე სუმბატს. ბ. კარიჭაშვილს თითონ უტყუარ ისტორიულ-მეცნიერულ ფაქტებზე არ აქვს აშენებული თვისი აზრი, და ამისთვის ის, როგორც თვით ჰიპოტეზა, ვერ აბათილებს ბაქრაძის და ყორდანიის აზრს. ს. გორგაძემ რეფერატში: „მეფე ადერკი და, ეგრედ წოდებული, ორშეფობა ძველ ივერიაში“ ის აზრი გამოთქვა, რომ მთელ იმ ჰერიოდში, რომელსაც დღემდე „ორშეფობის“ სახელით იცნობდნენ, ივერიის ცხოვრებაში არავითარს ორშეფობას არ წარმოადგენდა. 30—140 წლების შორის, ისე როგორც მათ უწინ და მათ შემდეგაც ივერიაში ერთსა და იმავე დროს მეფობდა მხოლოდ თითო მეფე, რომელსაც ვვერდით უდგა მისი მეორე ჰირი ანუ მთავარ-სარდალს-მთავარ-მსაჯული... ბ. ს. გორგაძის რეფერატში სხვათა შორის, უკანასკნელ. მეტად საგულისხმოა ის ბრალდებული ადგილები, რომელიც მან მოსე ქორენელიდგან და—„ქ. ცხოვრებიდგან“ გვიჩვენა.

ადა-აზრი კი ავტორისა ჯერ-ჯერობით სათუოა.

„ძველს საქართველოში“ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ახლად აღმოჩენილი თხზულება „მცირე უწყება ქართველთ მწერალთათვის“ უცნობის ავტორისა. ბ. ექ. თაყაიშვილის აზრით, „უწყების“ ჰირველი ნასკვარი (გვ. 1—29) ავტორს შეუდგენია სხვა და სხვა შორ დროიდე ცნობილი წყაროებითა და ზეპირ თქმულებათა მიხედვით; ხოლო მეორე ნახევარი (29—55) საკუთრივ მას ეკუთვნის და მის მიერ შეკრებილს, ნახულს და გაგონილს ცნობებზეა დამყარებული. ეს მეორე ნახევარი მრავალს ცნობებს გვაძლევს ქართულ ერის მოდგაწეობაზე განურჩევლად ტომისა და სარწმუნოებისა. მეტად საყურადღებოა ცნობები ანტონ ქათალიკოზის მოწაფეებზე, რომლებიც მასწავლებლად მოჰფენიან მთელს საქართველოს... სტატიაში თვალსაჩინო შეცდომებიც მოიპოვება და მრავალი საეჭვო ცნობებიც. სტატიის შინაარსის მიხედვით, იგი უნდა იყოს დაწერილი 1822—1827 წლებს შორის. რადგანაც ქართველთა მოდგაწეთა და მწერალთა შესახებ ვრცელი ცნობები სისტემატიურად დაწყობილი უძველეს დროიდგან ჩვენ არ მოგვეპოვება, ამისათვის ეს სტატია დიდ განძათ უნდა ჩაითვალოს ჩვენი მწერლობის ისტორიის კასაღებში.

მე IV განყოფილებაში მოთავსებულია ხალხური ზღაპრები და ხალხური ლექსები სევგაჩეიანძისგან ჩაწერილი ზემო იმერეთში. ეს მასალა რიგზე დაუწყვია ბ. ს. გორგაძეს და ზოგიერთი გაუგებარი სიტყვები განუმარტავს. ხალხური ნაწარმოებები ერის სულის და გულის სარკეა, მათში ჩაქსოვილია მთელი ერის გონებრივი, ისტორიული და სარწმუნოებრივი მისწრაფვება, რწმენა, სიმპატია, და ანტიპატია. ამისათვის მათ დიდი პედაგოგიური, აღმზრდელი, ესთეტიური და სამეცნიერო მნიშვნელობა აქვს. დიდათ სასიამოვნოა, რომ საზოგადოებას ჯეროვანი ყურადღება მიუქცევია ჩვენი ერის შემოქმედების ამ დარგზე.

საზოგადოდ „ძველი საქართველო“ სერიოზული კრებულია. სანამ ჩვენი ისტორიული წყაროები არ გამოიცემა მეცნიერული კომენტარიებით, სანამ ისტორიული მასალა არ დამზადდება, მანამდის შეუძლებელია ჩვენში ვრცელი და დასაბუთებული პროგმატიულ ისტორიის შედგენა. იმედია, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება თვისი შეგნებულის და ნაყოფიერი შრომით დაჩქარებს ჩვენის ასეთი ისტორიის შექმნას.

იპ ფართაგავა.

რედაქტორ-გამომც. ლ. გ. ბოცვაძე.

მიიღება ხელის მოწერა

სამეცნიერო-პედაგოგიურს და სალიტერატურო ჟურნალ

„განათლება“-ზე

(წელიწადი მესამე)

1910 წელს ჟურნალი გამოვა ყოველთვის პირველ რიცხვებში, გარდა ზაფხულის ორის თვისა ჟურნალის მიზანია ხელი შეუწყოს სწავლა-განათლების საქმეს ჩვენებურს სკოლებში და ოჯახებში, მიაწოდოს მკითხველს უსაჭიროესი ცოდნა მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდან და სიტყვა-კაზმულ მწერლობიდან, დაეხმაროს მასწავლებელთა და სახალხო განათლების მოღვაწეთა შეერთებულს მოქმედებას საქმის ნაყოფიერებისათვის.

ჟურნალში მონაწილეობა აღგვითქვეს ჩვენებურმა საუკეთესო მეცნიერებმა, პედაგოგებმა და მწერლებმა.

ჟურნალი წლიურად ღირს 3 მანეთი, ნახევარი წლით 2 მანეთი. სახალხო მასწავლებლებს ჟურნალი წლიურად დაეთმობათ **ორ მანეთად.**

წარსული ორი წლის ყველა ნომრები მსურ-ველთ დაეთმობათ „წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიიდან **ორ მანეთად.**

ჟურნალის ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: **Тифлисъ, Дворянская Грузинская Гимназія Луарсабу Герасимовичу Боцвадзе.**

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

ავტორების საყურადღებოდ: რადგანაც ჟურნალი ამ წელში შემოკლებული გამოდის, ამიტომ „განათლების“ რედაქცია ვერ იკისრებს ვრცელი წერილების ბეჭდვას. რედაქციას სასურველად მიაჩნია უფრო მოკლე და შინაარსიანი წერილები მიაწოდოს მკითხველებს. დასაბეჭდ წერილებს, თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეასწორებს და შეამოკლებს. ჟურნალში დასაბეჭდი წერილები გარკვევით უნდა იყოს დაწერილი ცალ გვერდზე, დატოვებული უნდა იქმნას საკმაო ადგილი გასასწორებლად. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ინახავს, ვიდრე ავტორი არ მოიკითხავს და უკანვე არ დაიბარებს თავის ხარჯით, ჰონორარს რედაქცია ვერავის ვერ დაპირდება.

შემდეგი ნომერი „განათლებისა“ გამოვა პირველ მარტს.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა, სპირიდონ მ. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა №5.

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი

განათლება

(წელიწადი მესამე)

III მარტი 1910 წ.

შინაარსი: 1. ვ. რუსაკოვი. **ბავშვის სიცილი**, მისი ფსიხოლოგიური, პედაგოგიური და ჰიგიენური მნიშვნელობა, **ლ. ბოცვაძისა**. 2. სწავლა-აღზრდის საქმე ძველ საქართველ. X—XIII საუკ., **სამ. ცოფურისა**. 3. ახალი მიმართულება პედაგოგიაში **ლ. ბ—ძისა**. 4. ბუნების მეტყველება და ისტორია **ს. ავალიანისა**. 5. გადარჯულებული (ლექსი) **აკაკისა** 6. ზოზნანელ მასწავლებლის დღიური (სენკევიჩიდან) **თ. მაგძაძისა**. 7. სიმღერა **ვაჟაფშაველისა**. 8. სულა და ღმერთები (სპარსული ლეგენდა) **ბაჩანისა**. 9. რუსული ენის პროგრამა სახალხო სკოლებ., განმარტებით. 10. უცხო ენების ადრე სწავლება, (სიმოხოვიჩისა). 11. პედაგოგიის ისტორია (გერმან.) **ნ. ლორთქიფანიძისა**. 12. გეოგ. სახელ. ახსნა, **პრ. ალ. ხახანაშვილისა**. 13. შინაური მიმოხ., **რატლისა**. 14. მარიამ დემურია და მელ. ჩოგოვაძე (ნეკროლოგები). 15. სახალხო სამ. გერ. 16. სასკ. საკითხი საფრანგეთში. 17. საუმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ 20 წლის არსებობა. 18. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

ჟურნალი წლიურად ღირს 3 მან.
ნახევარი წლით . . . 2 მან.
სახალხო სკოლების მასწავლებლებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად **ორ მანეთად**

ცალკე ნომრის ფასი 30 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“ და „ნაკადულის“ რედაქციაში. წერილები და ჟურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ. Дворянская Грузинская Гимназія **Л. Г. Боцвадзе.**

ვ. **რუსაკოვი.**

ბავშვის სიცილი

მისი ფსიხოლოგიური, პედაგოგიური და ჰიგიენური მნიშვნელობა.

ამერიკელი ექიმი, გემფრი, რომელიც დანიშნული იყო ექიმად ფილადელფიის ობოლ ბავშვთა ერთს თავშესაფარში ძლიერ გაკვირვებული იყო შემდეგი საუცხოო გარემოებით: თავშესაფარში ორი განყოფილება იყო; ორივე ერთსა და იმავე დროს ერთ გვარ პირობებში იყო, მაგრამ ერთში ბავშვებს სალი, ფხიზელი

სიცოცხლით სავსე მხიარულება ეტყობოდათ სახეზედ, მეორეში კი სუსუსტეს, უძლურებას და სიზანტეს იჩენდნენ, თითქოს ბავშვებს სახეზე რაღაც საოცარი მწუხარების ბეჭედი ესვა. პირველს განყოფილებაში ბავშვები იშვიათად ხდებოდნენ ავად, ავადმყოფობასაც ადვილად იტანდნენ; პირიქით, მეორეში ბავშვები მუდამ ზედიზედ ხდებოდნენ ავად. გემფრი დიდხანს ვერ მიხვდა ამ საოცარი განსხვავების მიზეზს, ვიდრე არ დაუკვირდა თავშესაფარის ორსავე განყოფილებაში არსებულს აღზრდის სისტემას. თუმცა ეს სისტემა ცალკე კომისიის მიერ იყო შემუშავებული და ერთი და იგივე იყო ორსავე განყოფილებაში, მაგრამ ექიმის გამჭრიახ თვალს ვერ გამოეპარებოდა, რომ ხასიათით ის პირნი, რომელნიც სათავეში ედგნენ თითოეულს განყოფილებას, ბევრად განირჩეოდნენ ერთმანეთში: პირველ განყოფილებას, სადაც ბავშვები მეტს სისაღესა და სიფხიზლეს იჩენდნენ, ასწავლიდა ბუნებით მხიარული, ტკბილ სიცოცხლით სავსე აღმზრდელი, რომელიც ამ თვისებას გადასცემდა მისდამი რწმუნებულს ბავშვებსაც, იგონებდა თავის ობოლ მოწაფეთათვის ყოველ გვარ სამხიარულო გასართობებს და სხ. მეორე განყოფილების აღმზრდელს კი, უფრო სერიოზობა ეტყობადა, სასტიკად ასრულებდა აღნიშნულ პროგრამას, უკრძალავდა ბავშვებს ცელქობას, ან უყვარდა მათი სიცილი, მხიარულება. და აი გემბრი დაეკითხა თავის თავს: უთუოდ მასწავლებლის მხიარულ ხასიათს, რომელიც მოწაფეებშიაც იწვევს სულის სიმხიარულეს, კეთილი გავლენა უნდა ჰქონდეს ბავშვებზე და პირიქით, მეორე აღმზრდელის სერიოზობა და ამის გამო გამეფებული მოწყენილობა და ნწუხარება უნდა იყოს მიზეზი ბავშვების ხშირი ავადმყოფობისა. ამ მოსაზრების შესამოწმებლად გემბრმა რამდენიმე მოწაფე გადაიყვანა პირველ განყოფილებიდან მეორეში. შედეგმა მალე იჩინა თავი: საღმა, სიცოცხლით დამტკბარმა და მხიარულმა ბავშვებმა მალე მოიწყინეს, დასუსტდნენ, დაეკარგად ჭამის მადაც და სწავლის ხალისიც, ჯანის სიმთელემაც ჩქარა იკლო. პირიქით, ბავშვები, რომლებიც გადიყვანეს „სერიოზული“ აღმზრდელის განყოფილებიდან „მხიარულ“ მასწავლებელთან, მუდამ მოცინარ და მხიარულ ამხანაგებში, ძლიერ მალე გამხიარულდნენ; იმათ ჯანის სისაღეც მალე დაეტყოთ და წონაშიაც მოიმატეს. ამ ცდამ გემფრის მისცა საბაბი, რომ მოეხდინა სხვა მრავალი ახალი დაკვირვება, რომლის შედეგებმა მტკიცედ დაარწმუნეს ექიმი, რომ სიცილ-მხიარულებას მეტად კეთილი გავლენა აქვს ბავშვის ჯანის სიმთელეზედ.

ამერიკელი ექიმის დაკვირვება შემდეგში შემოწმებული და დამტკიცებული იქმნა სხვა ექიმებისაგანაც; თუმცა არა ბევრისაგან, რადგანაც ზოგს, სამწუხაროდ, ეს საკითხი არც ისე სერიოზულად მიაჩნია, მართალი რომ ვსთქვათ ამ საკითხს ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს. ჯერ კიდევ ფართო მოედანია ამ საკითხის დაკვირვებისა და გამოკვლევისათვის, რომელიც ბევრს ფრიად ღირსეულ შედეგებს მოგვცემს. ამაზე, სხვათა შორის, უთითებს ფრანგების ცნობილი მწერალი-ექიმი ფლერი, რომელიც იწვევს ექიმებს და პედაგოგებს მეტის ყურადღებით მოეპყრან ბავშვის სიცილს და გამოადონ ის გულმოდგინებითი დაკვირვებისა საგნად. „შეისწავლეთ, ჩქარა შეისწავლეთ სიცილის ფიზიოლოგიური და ჰიგიენური გავლენა ბავშვზე,—ამბობს ფლერი.—ამ შე-

სწავლას შეუძლიან მთლად შესცვალოს ეხლანდელი აღზრდის სისტემა, შეუძლიან ჩაუდგას საფუძველი ახალ შეხედულობას ხასიათის აღზრდაზე".

II

ინგლისელმა ექიმმა უილიამ უელემ მოახდინა საყურადღებო დაკვირვება დედის და აღმზრდელის მხიარული ხასიათის გავლენის შესახებ ბავშვის ჯანმრთელობაზე. თავისი დაკვირვება მან მოახდინა აუარებელს მდიდარს და ღარიბს ოჯახებში, სადაც უელი დადიოდა, როგორც შინაური ექიმი; ამ დაკვირვებამ ექიმი მიიყვანა იმ მტკიცე რწმენამდის, რომ დედებს, რომელთაც შეუძლიათ მხიარულება თავიანთ შვილებთან, უმეტეს შემთხვევაში, საღი ბავშვები ეზრდებათ, „ნერვებით მაინც საღი" და, პირიქით, მოწყენილს, სერიოზულს და მუდამ დაღვრემილს დედებს შვილებიც ნერვებ აშლილი, ანჩხლი და ჟინიანები ჰყავთ... უფრო ხშირად ეს დაკვირვება მართლდება ქალაქს საშუალო ინტელიგენტურ ოჯახში. ყველგან, სადაც დედა სიმხიარულეს იჩენდა ბავშვებთანაც, შვილებიც საღები იზრდებოდნენ, იშვიათად ხდებოდენ ავად და აუცილებელ სნეულებასაც ადვილად იტანდნენ. პირიქით იმ ოჯახებში, სადაც დედები მეტს სიმკაცრეს და სერიოზობას იჩენდნენ, სადაც ცდილობდნენ გაახდარიყვნენ ბავშვებისათვის „მიუწდომელ მაღალ არსებად" და მოითხოვდნენ მათგან განურჩეველ მორჩილებას და პატივისცემას, ნაცვლად ძალადაუტანებელის, გულახდილი ბავშკური სიყვარულისა, სადაც ბავშვებს აღკრძალული ჰქონდათ დედებთან მხიარულობა და ცელქობა—ასეთს ოჯახებში, მომეტებულ შემთხვევაში, ნერკებ აშლილი, სნეული და ანჩხლი ბავშვები იზრდებოდნენ.

შემდეგ უელმა თავისი დაკვირვება გაიმეორა თავშესაფარებში და ინტერნატებში—იქაც იმ დასკვნამდის მივიდა, როგორც მისი წინა მოადგილე გემფრი—იმ სასწავლებლებში, სადაც ხელმძღვანელი ქალები მხიარული ხასიათისა იყვნენ, ბავშვებიც ჯანმთრთელები გამოდგნენ, სუსტ ნერვებიანებს იშვიათად ნახავდით. ამას გარდა უელი იმ მტკიცე რწმენამდის მივიდა, რომ საზოგადოთ მიღებული აზრი—თითქოს ბავშვებს ნერვებ აშლილობა, ესა თუ ის ტემპერამენტი—სერიოზობა, მოწყენილობა ანუ მხიარულობა თან დაყოლილი აქვთო, ჭეშმარიტების წინააღმდეგია და ან ძლიერ გაზვიადებული. ნერვების აშლილობა, ტემპერამენტი, ხასიათი, უელის აზრით, ნაყოფია გარეშეშე პირობებისა, ბავშვის გარშემო მყოფ პირთა გავლენისა და ყოველთ უწინარეს დედის ან აღმზრდელის სულიერი მდგომარეობისა.

ამ დაკვირვებამ აიძულა ინგლისელი ექიმი მიემართნა ქალთა საზოგადოების ყველა წარმომადგენლებისათვის, ყველა დედებისა და აღმზრდელებისათვის ფორმალური მოწოდებით, რომლის შინაარსი ორი სიტყვით გამოიხატება: **„იყავით მხიარულნი"**.

ამ ორ სიტყვაში გამოიხატება მთელი პროგრამა აღზრდისა—ჰიგიენისა და პედაგოგიურის მხრივ.

ერთმა რუსის ექიმმა საკმარისად განმარტა უელის აზრი და შემდეგის სიტყვებით მიმართა ყველა ქალებს, ვისაც რამე დამოკიდებულება აქვსთ ბავშვებთან: „იყავით მხიარულნი ჩვენი ბავშვების, დების, ძმების, თქვენს მზრუნველობაში მყოფ მცირე წლოვანთა გულისათვის... და იყავით მხიარულნი არა მარტო მათთან ერთად, არამედ ეცადეთ,

რაც შეიძლება მეტი იცინოთ ბავშვებთან ერთად, ეცადეთ მოიგონოთ ისეთი მოხდენილი ხუმრობა და შექცევა, რასაც შეეძლოს გაამხიარულოს დაღვრემილი და მოწყენილი ბავშვები. მერწმუნეთ სიცილი—ჯანსაღობაა".

III

რომ სიცილს კეთილი გავლენა აქვს ბავშვის სხეულზე, ეს მეცნიერულად ძლიერ საფუძვლიანად არის დამტკიცებული ლაგრანჟის მიერ. ამ მეცნიერს სიცილი მიაჩნია მხიარულობის სარკედ. ლანგრანჟი თავდაპირველად იმას აქცევს ყურადღებას, რომ სიცილის ჰიგიენური და სულიერი უაღრესი მნიშვნელობა ინსტიქტურად ესმის ყველა დედას: როცა ბავშვს ძუძუს აწოვებს დედა ცდილობს გააცინოს ბავშვი, რადგანაც ამის შემდეგ ბავშვი ვარდის ფერი ხდება და გამოცოცხლება ეტყობა. როცა ბავშვი წამოიზდება, მას უვითარდება სიცილის მოთხოვნილება, თავს იჩენს ყოველს მოხერხებულს შემთხვევაში. სიცივე, თოვლი, წყლის შეშხაპუნება პირისახეზე, წკიპურტი, დაცემა—ყველა ეს აცინებს ბავშვს. სიცილი და მხიარულება, როგორც უსაჭიროესი საშვალება ნერვების იმპულსის გასაღიზიანებლად,— ლაგრანჟის აზრით უფრო საჭიროა ბავშვისათვის, ვიდრე მოზრდილთათვის, რომელთაც სხვა მიზეზებიც აქვთ ნერვების იმპულსის გასაღიზიანებლად: ძლიერი აღელვება სიმამაცის დროს, მწუხარება, აღტაცება, ენტუზიაზმი. ბავშვს ყველა ეს არ აქვს, და ის საჭიროებს სიცილ მხიარულებას, როგორც მცენარე სინათლეს. ბავშვი, სიცილს მოკლებული, ჰქრება. მაშინ როდესაც საღი სიცილი და მისი განუშორებელი მხიარულობა—აცოცხლებენ სხეულს,—სიმწუხარე კი—პირიქით აჩერებს სიცოცხლის პროცესებს და გულის მუშაობას, მძიმე ვიწროობით დაუხშობს გულს, რომელიც აღივსება დარდითა და მოწყენილობით. წუხილი, როგორც მოწყენილობა, ჩამოაქვეითებს ორგანოების მოქმედებას. მოწყენილობა ისეთსავე ცუდს გავლენას ახდენს საზრდოობაზე, რიგორც მწუხარება. თუ მხიარულობა მაშინვე აგრძნობინებს თავის კეთილ გავლენას ნერვების იმპულსების გავრცელებით სიცოცხლის ფუნქციებზე, მოწყენილება აჩერებს ტვინის უჯრედებში ამ კეთილის მყოფ ენერგიას, რომელიც ამაგრებს ყველა ორგანოებს. ტვინის გაღიზიანების ნაკლებულობას მოჰყვება გონებრივი და ფიზიკური გაშეშება. ბავშვი, სიტკბოებასა და მხიარულებას მოკლებული, სამწუხარო სურათს წარმოადგენს. იმისი სახე იმდენად მოგვაგონებს ავადმყოფის სახეს, რომ თითქმის ყოველთვის ცდილობენ მისი ორგანოების მუშაობის მოშლა ავადმყოფობით ახსნან. მაშინ როცა მოჩვენებული სნეულება წარმოადგენს მხოლოდ მოწყენილობის ფიზიკურ მოვლენას. ასეთს ბავშვს, რომელიც ვითომ სისხლ ნაკლებია, აძლევენ რკინას, ან ქინაქინას, ბავშვი კი ჯანსაღობის ნიშნების აღსადგენად საჭიროებს მხოლოდ ზნეობრივს რეაქციას, რომელსაც შეუძლიან—მისი ნერვების ცენტრი აამოძრაოს.

სწორედ ასეთს ზნეობრივს რეაქციაშეადგენს ცხოველ-მხიარული სულის მდგომარეობა და მისი უმთავრესი მაჩვენებელი—გულწრფელი, გულითადი სიცილი.

IV

თუ რა მნიშვნელობა აქვს ბავშვის ცხოვრებაში სულის ცხოველ მხიარულებას, ამის შესახებ ჩვენ საყურადღებო

აზრებს ვპოულობთ ჰიუიოს ნაწარმოებში: „აღზრდა და მემკვიდრეობა“-ში.

ჰიუიო უფარდებს ერთმანეთს ცუდსა და ცხოველ მხიარულ მდგომარეობას სულისას და ამბობს: პირველი მათგანი ე. ი. გულამღვრეულობა, ცუდი გუნება— არის საზოგადო საწინააღმდეგო და მასთანვე დამჩაგვრელი ზნეობრივი მდგომარეობა. „ეს მდგომარეობა მეტის მეტად რთულია, ახირებული და რამდენადაც ბავშვი ადრე დაეჩვევა მის დაძლევას, მით უკეთესია. გაბოროტების, მოუთმენლობის და ამის მაგვარი სულიერი სნეულების ძლევა ადვილია, მაგრამ ხშირი გამეორებით ისინი აჩენენ ბნელ ატმოსფერას, თავს იჩენს ათას სხვა და სხვა გვარად და იქიდან გამოსვლა შემდეგ ძლიერ ძნელია. ეს ატმოსფერა არის ცუდი გუნება. ბავშვი, შეცდომით შეჩერებული ყოველს ნაბიჯზედ და ყოველის მიზეზის გამო, იკრუნჩხება და იფლება თავის თავში, თავის განუსაზღვრელ გულის წუხილში, შედეგად კი გამოდის უბედური, სუსტი, ადვილად დასაჯაბნელი კაცი. ცუდ გუნებაზე ყოფნას მოსდევს უბედურება არა სწორზომიერ ბუნების ადამიანისათვის, რომლის ტიპებით სავსეა აწინდელი საზოგადოება. ამიტომ **საჭიროა მიაჩვიონ ბავშვები მხიარულებას, მტკიცე და კარგ გუნებაზედ ყოფნას**, რაც თვისებაა ისეთის ადამიანისა, რომელსაც არავითარი ხიჭვი არ აქვს გულში და არაფერში არ აყვედრის არც თავის თავს და არც სხვას. ბავშვს, რომელიც აღზრდილია სიყვარულისა და მხიარულობის ატმოსფერაში, ეს უკანასკნელი იმდენად დაუგროვდება, რომ საკმარისი იქნება მთელს მისს სიცოცხლეში. ბედნიერი ბავშვი სხვებზე უფრო ლამაზია, მოსიყვარულე და გულწრფელი. მისი გაშლილი, ბადრი და მოღიმარი სახე ისე ახარებს და ხვდება გულს, როგორც ახალი ჭეშმარიტების აღმოჩენა.

ამ სახით, ჰიუიოს აზრით, მხიარული გუნების შეკავება ბავშვში შეადგენს აღზრდის ერთს დანიშნულებას.

V

ზემო ნათქვამიდან ნათლად სჩანს, რომ სიცილ მხიარულობის მოთხოვნილება ბავშვებს უეჭველად აქვთ, და ეს მოთხოვნილება ბუნებრივიც არის და საფუძვლიანიც. საჭიროა ხელის შეწყობა და წაქეზება ამ მოთხოვნილებაში, ე. ი. საჭიროა ბუნებისადმი დახმარება? სიცილის მოწინააღმდეგენი გვიპასუხებენ: **არა**; ჩვენ კი ნებას მივცემთ ჩვენს თავს და ვიტყვით: **დიახ, დიახ, დიახ! არაო**,—ამბობენ სიცილის მტრები იმიტომ, რომ სიცილი, უფრო კი ხშირი, ხმა ძალალი, უბრალო სიცილი უზრდელობისა და სისულელის ნიშანიაო. **დიახ**,—ვამბობთ ჩვენ იმიტომ, რომ პედაგოგიურის საზრისით სიცილში ჩვენ ვერაფერს საძრახისს ვერ ვხედავთ, ჩვენ სრულიათ ვუერთდებით იმათ აზრს, ვისაც სიცილი ჰიგიენიურის მნიშვნელობით საჭიროდ მიაჩნიათ. საღი სიცილი, როგორც ესა სჩანს ზემოთ მოყვანილი აზრებიდგან, რომელთაც ემხრობიან ეხლა ყველა გონიერი ექიმები და მეცნიერები, ხელს უწყობს სულით მხნეობას და ნერვების სისტემის ნორმალურ მოქმედებას, შველის საჭმლის წესიერ შონელებას. სიცილი გულით და სულით, გულწრფელი სიცილი ბავშვისათვის ისეთივე ბუნებრივია, როგორც სმაჭამა და თითქმის ისეთივე საჭირო.

„გამხიარულდით და იცინეთ ბლომად, თუ გინდათ ჯანსაღნი იყვნეთ“—ამბობს ფრანგების ერთი ექიმი მეცნიერი ფელიკს ბრემონი, რომელმაც სპეციალურად

შეისწავლა სიცილის გავლენა მოზრდილ ადამიანის ჯანმრთელობაზე. მაგრამ თუ მოზრდილთა ჯანსაღობისათვის ასე საჭიროა სიცილი და მხიარულება, მაშ, როგორც ზევით ვსთქვით, მით უფრო საჭიროა ის ბავშვებისათვის.

ბრემონი, სხვათა შორის, აღნიშნავს სიცილის ჰიგიენიურსა და სამკურნალო მოქმედებას სუსტ გულ-მკერდიანებზე: სიცილით, — ამბობს ხსენებული ექიმი — გზავნის ჰაერს გულმკერდიდან სასუნთქავ მილში და თავისი მიწოლოთ გადევნის ჰაერს ლორწოიან კედლებში. ბავშვებისთვის კი, რომლებშიაც ხშირად შეხვდებით უძლურს, გულმკერდ ჩავარდნილს, სტომაქ მოშლილს, უმადოს და სხ. — სიცილს განსაკუთრებული საჭირო მნიშვნელობა აქვს. ეს გარემოებაც უფრო მეტს საბუთს გვაძლევს მივემხროთ იმ აზრს, რომ სიცილი, საღი სიცილი, მხიარულება, გულწრფელი და ძალა დაუტანებელი უფრო სასარგებლოა და საღი, ვიდრე ყოველგვარი „მსაზრდოებელი ექსტრაქტები“, „ძალის გამმაგრებელი პეპტონები“ და სხვა სანელებელი ლათინურის სამზარეულოდან.

VI

ახალმა მეცნიერებამ საბოლოოდ აღიარა ის ფაქტი, რომ ბავშვი ქვეყანაზე ჩნდება ცნობილი, განსაზღვრული და და თავისი შესაბამი ხასიათის ინდივიდუალური სხვაობით. მშობელთა და აღმზრდელთა მოვალეობაა ეს ინდივიდუალური სხვაობა, განთვისებულება სწორის გზით წარმართოს.

თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ყველა ბავშვებს (გამონაკლს მხოლოდ ავადმყოფი ბავშვები შეადგენენ) პირველ ასაკშივე აქვთ სიცილის სურვილი. ბავშვი სწორედ ისე გრძნობს სიცილის საჭიროებას, როგორც სუნთქვას, ძუძუს და სხ. მაგრამ თავის უმწეო მდგომარეობაში საჭიროებს დედის, ან აღმზრდელის მზრუნველობას. დედებსაც, როგორც ზემოთ ვამბობდით, ჩინებულად ესმისთ ეს, რომ ცა იგონებენ სხვა და სხვა საშუალებებს, რომ გაართონ, გაამხიარულონ, გააცინონ ბავშვი. პირველი საშვალებაა თვითონ დედის მხიარულ გუნებაზედ ყოფნა. დედის სიცილი, როგორც ანდამატის სითხე, გადაეცემა ბავშვს და ძლიერ დაღვრემილიც რომ იყოს იგი, მაინც გამხიარულდება დედის მხიარული გუნების გავლენით.

სამწუხაროდ ზოგი მშობლები პირდაპირ უფრთხიან ბავშვის მხიარულობას. იმათ ჰგონიათ თითქოს საჭიროა შეაჩეროონ ბავშვების სიცილი და ისინიც ულმობელად უკრძალავენ მათ რომელიმე სამხიარულო სათამაშოს, რომელიც იწვევს ხმა მაღალ სიცილს, დიდს სიცოცხლეს. ესეც დიდი შეცდომაა. დიდებულმა მოაზრემ, კანტმა სთქვა შემდეგი საყურადღებო სიტყვები: „მხიარულება არ შეიძლება იქმნეს ზომაზედ მეტი, რადგანაც ის ყოველთვის წარმოსდგება კეთილისაგან; პირიქით, მწუხარება შეიძლება უზომო, რადგანაც იმისი დასაბამი ბოროტებაა“. ეს სიტყვები კარგად უნდა ახსოვდეთ ყველას, ვისაც უნდა ბავშვების მხიარულება მოამწყვდიოს რომელიმე ფარგალში.

VII

კარგად რომ დაუკვირდეთ ჩვენებურს ბავშვებს, უფრო მოზრდილებს, შეატყობთ ხშირ დაღვრემილობას, ბუნდოვანად უყურებენ ისინი ცხოვრებას. რაღაც მწუხარე პესსიმიზმს შეუპყრია ისინი, ეს პესიმიზმი ხშირად იწვევს განრისხებას და

სიძულვილს იმისას, რაც ყმაწვილს გარს არტყია, ის გრძნობს უძლურებას შესცვალოს საზოგადოებრივი პირობები და რჩება ბუნდოვანი, დაღვრემილი და გამხრწნელი დანალეკი ბავშვის ხასიათში და, როგორც ნამდვილად შენიშნულია, ყმაწვილი სრულიად მოკლებული ხდება ცხოველ-მხიარულებას, ბრწყინვალე „ელინურ“ შეხედულობას ცხოვრებაზე, სიცოცხლის, თავის თავისა, თავისი ინტერესისა და მომავლისადმი სიყვარულს.

რა განსხვავებაა ამ მხრით ჩვენსა და ინგლისელ ბავშვებს შორის. მხიარულ, მუდამ მოცინარ, ცხოველ-მხიარულ ინგლისელ ყმაწვილს სახეზე უწერია ბედნიერება თავისი არსებობით, ძალღონე უდუღთ და იმედით სავსენი არიან უსათუოდ ბედნიერ მომავალზე.

რამდენს ზრუნავენ ინგლისელები მისთვის, რომ აღზარდონ ცხოველ-მხიარული ბავშვები, გაამხნეონ და გაამხიარულონ ისინი! ისინი იგონებენ სამხიარულო გასართობებს, სამხიარულო სათამაშოებს, აძლევენ ხელში ბავშვებს სამხიარულო შინაარსის სურათებიან წიგნებს, იმდენად სამხიარულოს, რომ ზოგი „სერიოზულ“ პედაგოგების შეხედულობით, უაზროც არის; ისინი ყოველის ღონის ძიებით ცდილობენ მხარი დაუჭირონ ბავშვის სიცილ-მხიარულობას, მასთან საფუძველიანადაც ჰფიქრობენ, რომ ყველა ეს სრულიად არ შეუშლის ხელს რომ ბოლოს ამ ბავშვებიდან საქმის მოყვარე და სერიოზული ადამიანები გახდნენ. რასაკვირველია, როგორც ყველგან, ინგლისშიაც არიან მშობლები და პედაგოგები, როგორც გამონაკლისნი, რომელნიც ცდილობენ შთააგონონ ბავშვებს სერიოზობა, მაგრამ, როგორც გამონაკლისი ისინი ჰქრებიან საზოგადო აუარებელ გონიერ მშობელთა და აღმზრდელთა მასსაში, რომელიც დიდს მნიშვნელობას აძლევს ბავშვების საღ სიცილს.

VIII

ურიცხვი დაკვირვება გვიმტკიცებს, რომ დაღვრემილება და თავის დატყვევება ხელს უწყობს განცალკევებას, ამ უკანასკნელს კი მოჰყვება ფარული ბიწიერება, რაც არღვევს სხეულს, ტვინს და ნებას და რომლის გადაჩვევას ცდილობენ ყოველგვარი ფიზიკური თამაშობით, პედაგოგიურ-საექიმო დარიგებით, გონებრივი და ფიზიკური შრომით, მაგრამ ამგვარი წამლობა ხშირად ამაოა. მაშინ, როდესაც უფრო ადვილი იქნებოდა, ბევრს შემთხვევაში მაინც, გაეფთხილებინათ ამ საშინელი სენის მოვლენა ბავშვებში ცხოველ-სიმხიარულის განვითარებით, საღ სიცილისადმი მისწრაფების შეკავებით.

ამნაირად მხიარული სულის შეკავება ბავშვებში და ხშირი გულწრფელი სიცილი ერთი საუკეთესო ჰიგიენიური საშვალებათაგანია. სამწუხაროდ ჯერ კიდევ არიან ისეთი პედაგოგები, რომლებიც სულ სხვა აზრისანი არიან; იმათი შეხედულობით ბავშვი, რომელსაც სიცილი უყვარს, გასაკიცხია.

სანამდის მიდის ხანდახან ეს ცრუ შეხედულობა ბავშვების „სერიოზობის“ შესახებ, გვიჩვენებს, სხვათა შორის, შემდეგი ფაქტები: ზოგი პედაგოგები ცდილობენ განდევნონ ბავშვის ცხოვრებიდან კარიკატურული, სასაცილო სურათები, რომელზედაც მხეცებია გამოხატული სასაცილოდ. ერთმა ამგვარმა პედაგოგთაგანმა კურდღლის სურათის შესახებ, რომელიც ქოლგით ხელში ჩისეირნობდა მინდვრად, სთქვა: ამისთანა სურათები, შემცდარ ცნებებს აწვდის ბავშვს, რო-

მელსაც მართლა ეგონება ვითომ კურდღლები ქოლგით დასეირნობენო. ამ მოსაზრებით, რასაკვირველია, უნდა განდევნილი იქმნას ზღაპრებიც, მაგალითად „ჩექმებიანი კატა“, რადგანაც ბავშვს ეგონება ვითომ კატები მართლა ჩექმებით დადიანო.

ამისთანა პედაგოგები, როცა პირველდაწყებით სწავლების დროს იცავენ სერიოზობას, როცა ცდილობენ ბუნებით მხიარული, უზრუნველი ბავშვები სერიოზულ ჭაბუკებად გახადონ, საქმით იმათგან ჰქმნიან სუსტს, მოწყენილს, დაღვრემილს, ავადმყოფს და მუდამ უკმაყოფილო ბავშვებს. იბადება საკითხი — რა უფრო სასიამოვნოა: ბავშვი აღიზარდოს ჯანსაღი და მხიარული, თუ სუსტი, მაგრამ სერიოზული არსება?

IX

ერთი საშვალებათაგანი, რომლითაც შეიძლება დავეხმაროთ ბავშვებს სიცილის და მხიარულობის გამოწვევაში, თუ-გინდ ხელოვნურადაც, — არის საბავშვო გასართობები.

სამწუხაროდ, უკანასკნელ ხანებში უფრო მეტს ყურადღებას აქცევენ, რომ ბავშვების გასართობები სასარგებლო იყოს ბავშვის გონებისათვის, უფართოებდეს მას ცოდნას, უვითარებდეს მხატვრულ გრძნობას, ვიდრე იმას, რომ მართლა გაართონ ბავშვები, გაამხიარულონ ისინი. ამასთან ასეთი საბავშვო სასაცილო სათამაშოები და გასართობები ძლიერ ცოტა გვაქვს. მაშინ, როდესაც სულ მცირე რამ არის საჭირო, რომ გაამხიარულო და გააცინო ბავშვი! შეხედეთ ჯანსაღ ბავშვებს, როცა ისინი ბურთსა თამაშობენ: როგორი სიცოცხლით სავსე მხიარულება იხატება იმათ სახეზე, როცა ესა თუ ის მოთამაშე იძლევა სიცილის საბაბს! როგორ გულწრფელად ხარხარობენ ისინი. საჭირო არ არის არც ექიმი და არც პსიხოლოგი იმის დასამტკიცებლად, რომ სიცილი მარგებელია: ეს აშკარად სჩანს ბავშვების სახეზე, სჩანს იმათ სულიერ მდგომარეობაზე, აღტაცებაზე.

იმ გასართობთა შორის, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ბავშვებში სიცილი, თვალსაჩინო ადგილი უკავია კითხვას. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი საბავშვო მწერლობა ან სრულიად მოკლებულია იუმორისტიულ ნაწარმოებს, ან მეტად მცირე მასალას იძლევა. ბავშვს, რომელსაც წერა-კითხვა შეუსწავლია, აჩეჩებენ ხელში უსათუოდ ისეთს წიგნებს, რომელიც იძლევა რამე ცნობებს, აცნობს ბავშვებს ბუნების მეტყველებას, ფიზიკურ მოვლენებს, მის გარშემო ცხოვრებას და სხ. ისეთი წიგნები, რომელიც ამისთანა ცნობებს არ შეიცავს, უვარგისად მიაჩნიათ ბავშვებისათვის.

საბავშვო წიგნებმაო, — ამბობენ სერიოზობის მომხრენი, — უნდა ზნეობრივად აღამაღლონ ბავშვის გრძნობები და ჩაუნერგონ სიყვარული სიმშვენიერისადმი, კეთილშობილურ, მაღალ მხატვრობისადმი, იმათ ხელი უნდა შეუწყონ ხასიათისა და რწმენის შემუშავებას, იმათში ჰაბუკ მკითხველმა უნდა იპოვოს დაკვირვება ადამიანთა ცხოვრებისადმი, ბუნებისადმი, უნდა გაეცნოს ხალხის წარსულ და აწმყო ცხოვრებას და სხ ყველა ეს, რასაკვირველია, სრულიად მართალია. მაგრამ ამ გვარ წიგნებთან ერთად, ჩვენი სურვილია დავინახოთ თითოეული ჰაბუკი მკითხველის ხელში სასიხარულო ხასიათის წიგნებიც, რომელიც არ მისდევს ასეთს მაღალს მიზანს, არამედ რომლის დანიშნულებაც იქნება ბავშვებში მხიარულების გამოწვევა, კარგი და სამხიარულო სიცი-

ლის მოგვრა, მაგრამ იუმორისტიული მოთხრობებისა და საბავშვო ლექსების მოწინააღმდეგენი არიან ბევრი პედაგოგები და quassi-კრიტიკოსები საბავშვო ლიტერატურისა, ისინი ხშირად მთელს აურზაურს ასტეხენ ხოლმე და მოითხოვენ ყველა ამგვარი წიგნების, როგორც მაკნებელის და დამღუპველის მოსპობას.

უაზროდ არ შეეწინააღმდეგა ი. ნ. პოტაპენკოს: „ჩვენ ვცხოვრობთ დაღვრემილს მხარეში, სადაც ცა მოღრუბლულია და ბუნებაც ღარიბი ფერადებით, და არავის ისეთი მოთხოვნილება სიცილისა არ აქვს, როგორც ჩვენ", ჩვენის პირადი რწმენითა და შეხედულობით ჩვენს ბავშვებში ეს მოთხოვნილება უფრო მეტია, „ციდრე მოზრდილებში და მძიმე ცოდვას იღებენ თავის თავზე ის პედაგოგები, რომლებიც ჰფიქრობენ ამ მოთხოვნილების ჩაჭრობას. ასეთსავე ცოდვას სჩადიან ის კრიტიკოსები და რეცენზეტები, რომლებიც ასე ბეჯითად ცდილობენ მიწასთან გაასწორონ ისეთი საბავშვო წიგნები, რომელსაც იუმორისტული თხზულების ხასიათი აქვს, ან ისეთი საბავშვო გასართობები, რომელსაც მიზნად აქვს მხოლოდ გართობა და გამხიარულება ბავშვისა სხვა არაფერი.

„მხიარულობა და გართობა იმდენადვე საჭიროა მოზარდ თაობისათვის, როგორც სმა-ჭამა, ამაზეა დამოკიდებული მათი ჯანის სიმთელე",—ამბობს ლიუტერი. იშვიათად თუ სადმე მოიპოვება ისეთი გონიერი ექიმი, ან გამოცდილი აღმზრდელი, რომელიც არ დაეთანხმება ლიუტერის აზრს ამ საქმეში.

ლ. ბოცვაძე.

სწავლა-აღზრდის საქმე საქართველოში

ძველ დროიდან (IV ს.) მ-XVIII საუკუნის დასასრულამდი. *)

II

სკოლები საქართველოში X—XIII საუკუნოებში და არაბთა გაგლენა.

არა საკლებ ლექსთა წერაზე „რაციონალურად" იყო დაყენებული საქართველოს სკოლებში ხელოვნური წერის (კალიგრაფიის), მხატვრობის, ჰომილეტიკის, სამშობლო ისტორიის, და გრამმატიკა-დეკლამაციის სწავლებაც.

ნაოქვამი შეგვიძლია დავადასტუროთ კონკრეტიულ მაგალითებით.

ამ საუკუნოებიდან (X—XIII) დარჩენილი ხელნაწერები მრავლად არიან დასურათებული და მოქარგული სხვა-და-სხვა ხვეულებით და სიმბოლიურ ხაზებით და კონტურებით. ევთიმე—გიორგი—იოანე ჯერ კიდევ სასკოლო სკამებიდან დიდად დახელოვნებული იყვნენ ხატვა—მხატვრობაში და ხელოვნურ წერაში [1]).

ევთიმეს დროსვე, გიორგი მთაწმინდელის სიტყვით, ცხოვრობდა ათონში „ვინმე თეოფანე ხუცესი—კაცი ფრიად სწავლული და ხელოვნებით მწერალი წიგნთა... რომელს ათას

[1]) იხ. А. Цагарели—„катал. рукоп. крестн. монаст." № 25, прим I; აგრეთვე გიორგ—ევთიმეს „ცხოვრებანი".

ხუთასისა დრაჭკნისა უწერნია წიგნი მონასტრისანი“ [1]). როგორც კალიგრაფნი ცნობილნი არიან აგრეთვე დავით ჯიბის ძე [2]), ზაქარია ვალაშკერტელი [3]), ჰეტრე ხუცესი [4]), სიმონ-შავი, იოვანე ჩირაქ, ხუცეს-მონაზონი ევსტრატი თეოფილე, მიხეილ, დაგალისონელი და სხ. [5]).

ცნობებს სამშობლო ისტორიის სწავლების შესახებ ჩვენ ვპოულობთ მადალაშვილის სახარების წარწერებში, რომელიც მოუვანილი აქვს ბ-ნ მ. ჯანაშვილს თავისს „საქართველოს ისტორიაში“ (წ. I.) „მე,—სწერს მთავარეპისკოპოსი კირილე დონაური (XIII),—გადავწერინე კაკის წმინდა ბარბარის მღვდელს, იასე ქიტიაშვილს და ათ-თორმეტთა მოწაფეთა მისთა სახარება და სხვა წიგნნი და წარგზავნე საუდართა, მონასტერთა და შვიდთა სასწავლებელთა და ვუბრძანე სწავლებად: სკუდი ჯუმარიტი და ფილოსოფოსება, მამათა ცხოვრება, **ქართლის ცხოვრება** და **ცხოვრება ალვანაისა**“-ო [6]).

[1]) ათონ ივერ. მონასტ. 1074 წ. ხელთნაწ.“ გვ. 57; დ. ბაქრაძე— ისტ.“ გვ. 250.

[2]) М. Джапашвили—„опис. рукоп. церк. муз. дух-а груз. епар.“—кн. Ш, тифл. 1908 г. стр. 201 (№ 927 прим.).

[3]) იხ. „ქართ. მწერლობა“. წ. I (მერ. მე-X აუკუნემდი) მ. ჯანაშვილისა.—თბილ. 1900 წ. გვ. 138.

[4]) „ათონ. ივერ. მონ. 1074 წ. ხელთნაწ. აღაპებით“ გვ. 223.—

[5]) იხ Свѣд. в. I, ст. 75, 78, 79, 81, 84, 86, 45. . ესენი ათონის მონასტრის კალიგრაფებია.

[6]) ეს ადგილი მოყვანილი აქვს ბ-ნ ზ. ედილს თავის სტატ. „ქართველების კვალი დაღესტანში“ (იხ. „დროება“ 1909 წ. № 152 (11 ივლისის).

რომ ჰომილეტიკა [7])—გრამმატიკა [8])—

[7]) როგორც მქადაგებელნი ცნობილნი არიან იოანე ტარიჭისძე (ანუ ტაიჭისძე), იოანე ხახული, წოდებული ოქროპირად, არსენი იყალთოელი, იოანე ბოლნელი და სხვები. მათ შორის უფრო ცნობილია თავისი ორიგინალური ქადაგებებით (მე-XI სარკ. დასაწყ.) იოანე ბოლნელი, რომლის ქადაგებათა კრებული (ხელთნაწერი XI საუკ.) შენახულა ჩვენ დრომდი თბილისის საეკკლესიო მუზეუმში (იხ. Ѳ. Жорданія—„опис. рукоп. церк. муз.“ кн I, стр. 150 (рукоп. № 144); А. Цагарели—„Свѣд.“ в. I, стр. 60—61; დ. ბაქრაძე—„ისტ.“—გვ. 250—251; А. Хахановъ— Очер.“ в. II, стр. 316—17 съ примѣчан.)

ღირს შესანიშნავია აგრეთვე მოწმობა ტიმოთე გაბაშვილისა, რომელიც თავის „მოხილუა“-ში სწერს, რომ მან ათონის ივერიის მონასტრის წიგნთსაცავში იხილა მრავალად ძველი დროიდან დაცულნი „**წიგნნი ოდილია**“-ო (იხ. „მოხილ. წმ. აღმოს. ადგ.“ გვ. 44).

[8]) იოანე პეტრიწი, ეფრემ მცირე, იოანე გრძელისძე ცნობილნი არიან როგორც გრამმატიკოსნი. პეტრიწის გრამმატიკაც კი დაუწერია, რომელიც ჩვენ დრომდი არ შენახულა, მარა ცნობა მის არსებობის და ღირსების შესახებ შეუნახავს ანტონ კათალ. თავის გრამმატიკაში („სიმეტნე“-ში) და „წყობილ-სიტ.“ § 731, გვ. 255—56). პროფ. ა. ცაგარელი ანტონ კათალიკოსის ჩვენების მიხედვით დაასკვნის—პეტრიწის გრამმატიკა დიდი ღირსებით უნდა ყოფილიყოს შემკულიო (იხ. А. Цагарели—„О грам. литер груз. яз.“ спб. 1873 г стр. 12—14, 106—107)

პეტრიწი ჭლ. იოსელიანის სიტყვით სცხოვრობდა 1170 წლ. მახლობლად, ხოლო ცაგარლის კი 1120 წლის—(ibid. стр. 106).

გრწელისძე-ზე იხილე „წყობ.—სიტ.“ § 698.

დიდი რეფორმა შეიტანა მე-XII ს. საგრამა-

მჭერმეტყველობაც [1]) ისწავლებოდა ჩვენებურ სკოლებში ეს სჩანს იოანე ხახულელის, არსენიულთოველის, იოანე ბოლნელის, ეფრემ მცირის, იოანე პეტრიწის... მაგალითებიდან. მათ ზედ-მიწევნით სტოდნიათ ეგელა ეს მეცნიერება—ხელოვნება, რომლის საფუძველს—უნდა ვითქროთ—ისინი გაეცვნენ ჯერ კიდევ უმაწვილობაში ჩვენებურ დაბალ სკოლებში.

როგორც პრაქტიკულად მომქმედი სასკოლო საქმეებში—დიდი ღვაწლი მიუძღვისთ საშობლოს წინაშე დავით აღმაშენებელამდი—წმ. ევთიმეს და გიორგი მთაწმინდელს; დავით აღმაშენებელის და ისმარის მეფობის დროს კი: იოანე ტარიჭისძეს, არსენი იულთოველს, იოანე პეტრიწის, გიორგი ბერს, გიორგი და ანტონი ჭყონდიდელებს და სხ.

ტიკო კანონებში იოანეს (პეტრიწ. მოწაფემ ეფრემ მცირემ (1089—1136), რომელმაც პირველად ქართულ მწერლობაში შემოიღო გარკვეული კანონი სასვენ ნიშნების ხმარებისა (Употребленіе знаковъ препинанія) (იხ. ,,ხრონ'' ნ. I, გვ. 215, 220; Цагарели—,,свѣд. в. I, стр. 61—2). ეფრემამდი კი ჩვენში, როგორც სხვა ერთა შორისაც, **ხშირად** უინტერპუნკციოს (interpunctia) და სიტყვებს გაუყოფელად (scriptio continua) სწერდენ. (მაგალითი იხ. ს. ცაგარლის სტატიაში: ,,Памятники груз. стар. въ св. зем. и на синаѣ'' въ ,,палест.'' сборн-ѣ т. IV, в. I, спб. 1888 г. стр. 158, 160, 192--იქ პოტოტიპიურად გადაღებული ძველ ქართულ წერის პალეოგრაფიული ნიმუშებია).

[1]) რომ დეკლამაცია—მჭერმეტყველობასაც აქცევდნენ ჩვენებურ სკოლებში შესაფერ ყურადღებას სჩანს იოანე პეტრიწის გრამმატიკიდან, სადაც, ანტონი კათალიკოსის სიტყვით, დიდი ადგილი ჰქონია დათმობილი თავის **პროსოდიის** სეშახებ (იხ ანტონის გრამმატიკა ხელრნაწ. წერა-კითხ. საზოგად ; აგრეთვე Цагарели— о грам. литер.'' стр. 106—107).

წმ. ევთიმეს შესახებ მისი „ცხოვრებიდან'' ვტყობილობთ, რომ ის მეფე დავით კურაპალატის მოწვევით (ათონიდან) მოდვაწეობდა თავის სამშობლოში მთელ ოთხიწლის განმავლობაში, ასწავლიდა თვის თანამემამულეთ ზნეობას და დახსნა მრავალი სკოლები და კახეთში მონასტერი წმ. სტეფანეს სახელზე, სადაც შემდეგში სამონასტრო სკოლა მოთავსდა [2]).

წმ. გიორგი მთაწმინდელის შესახებაც მისი ბიოგრაფი გვამცნებს:... „და მოიწვია მეფე ბაგრატიმ (IV) გიორგი, რომელმაც დაჭეო საქართველოში ხუთი წელი, სადაც ახალი სკოლები დაარსა და მრავალი საეკლესიო წესნი განმართა; ზოლო, დაბრუნდა რა უკან კონსტანტინოპოლს, შეიყვანა იქ 80 ობოლი ქართველთა ურმათაგანი, რომელნიც იმპერატორს კონსტანტინე XIII დუკას შეჰვედრა'' [3]). ამ 80 ურმათაგანი ზოგიერთები შემ-

---

[2]) საბინინი—,,საქართ სამოთხე''—გვ 416, 403—35.

[3]) საყურადღებოა აქ მოყვანილი გიორგის აღზრდის წეს-რიგი. 7 წლისა ის ტაძრისაკენ დედათა მონასტერში გაგზავნეს სასწავლად. იქ დაჰყო პატარა გიორგიმ 3 წელი და იზრდებოდა თავის დის მონაზონ თეკლას ხელმძღვანელობით. 10 წლისას თევდორე (გიორგის სახელი ერისკაცობაში) ხახულის ღვთის-მშობლის ლავრაში გადაიყვანეს და იქ ცნობილ მასწავლებელს ილარიონ თუალელს მიაბარეს. ამ მონასტერშივე ამავე დროს სცხოვრობდენ გიორგის ძიძები სწავლული ბერები გიორგი და საბა. „და ილარიონმა,—სწერია ცხოვრებაში,—შეიწყნარა იგი (გიორგი), ვითარცა ღუთისაჲ მიერ მოცემული კეთილი შვილი, და **წესიერებისა მიმართ** და **სათნოებისა წესთად იწყო**... და გიორგიმ სწავლათაცა საეკლესიოთა და სამღვდელოთა... უმეტეს ყოველთა ჰასაკის სწორთა მისთასა წარემატა, და საგალობელნი იგი საწელიწდონი დ

დეგ „პროფესორებად“ იყვნენ საქართველოშივე ჩვენებურ „დიდ სკოლებში“—აკადემიებში.

რაც შეეხება იოანე ტარიჭისძეს—მხოლოდ ისდა ვიცით, რომ მან საბერძნეთიდან დაბრუნების შემდეგ, სადაც ის სწავლობდა, დაარსა თავის სამშობლო კუთხეში სამცხე-სათაბაგოში რამოდენიმე სკოლა [1]).

არსენი იუალთოელი, იოანე პეტრიწი, ჭყონდიდლები—გიორგი და ანტონი და სხ. კი მოღვაწეობდენ მაშინ, როდესაც ჩვენში უმაღლესი სასწავლებლები დაარსდნენ.

შეწყობილებაჲნი იგი გალობითანი ყოველნივე მეყსა შინა ზეპირით დაისწავლნა... და ყოველნივე საღმრთონი წერილნი ძუ‌ლისა და ახლისა სჯულისა, რომელნი ოდენ ჩუენსა ენასა პოვნა, ყოველნივე კეთილად გულად იხუნა. ხოლო სწავლაჲ ბერძნული ისწავა ფერის ჯოჯიკის ძისაგან“. 2—3 წლ ხახულში ყოფნის შემდეგ გიორგი კონსტანტინოპოლს წაიყვანეს, სადაც მან 12 წელი დაჰყო. „და მიაბარეს იქა ყრმაჲ იგი გიორგი კაცთა ფილოსოფოსთა და რიტორთა, ორითავე ცხოვრებითა შემკობილთა, არა ერისკაცთა, არამედ მონაზონთა და ღუთის მოშიშთა და ყოველთა მიერ წამებულთა“. აქ გიორგი „მეცნიერულად“ განვითარდა და შემდეგ „გონება-გახსნილმა“ ახალგაზრდამ ყველა ქართველთ საზღვარ გარეთელი მონასტრები მოიარა, იქაური წმ. მამები და სწავლულები „მოიკითხა“, რის შემდგომ „ტკბილსა მას უღელსა მონაზონებისასა ქედი თვისი მოუდრიკა“. იხ. „ათონ. ივერ. მონასტ 1074 წ. ხელთნაწ“ გვ. 287—293; აგრეთვე „საქარ. სამოთხე“ „ქართ ცხ.“ წ. II, გვ 321; Brosset—„Hist. de la Géor.“ I, p. 340; ვახუშტი—„ისტ“. გვ. 161 შენიშ 2 ბაქრაძესი).

[1]) А. Хахановъ—„оч“ в. II. стр. 316; „წყობ.—სიტ.“ § 762—3 გვ. 264) შენიშვნა 141 პლ. იოსელიანისა.

უმაღლესი სასწავლებელი პირველად საქართველოში გაიხსნა მეფე დავით აღმაშენებელის დროს (1089—1125); მანამდი კი, როგორც მე-X საუკუნემდისაც (რაც ზევით (I თავში) დავინახეთ), ქართველი ახალთაობა უმაღლესს სწავლა-განათლებას საბერძნეთში ღებულობდა [2]). წმ. იოანე და ევთიმეს ბიოგრაფის გიორგი მთაწმინდელის სიტყვით ათონში მათ დროს 300 მეტი ახალგაზრდა ქართველი იყო საქართველოდან წამოსული სწავლა—განათლების მისაღებად. და მეტი ნაწილი ამ საუკუნის (XI) მწერალ-მოღვაწეთაგანი: იოანე გრძელიძე (გრძელისძე), ზაქარია მირდატის ძე, ბასილი ბაგრატის ძე, ილარიონ თუალელი (მოძღვარი და მასწავლებელი გიორგი მთაწმინდელისა), გიორგი ოდთისელი, არსენი (არა იუალთოელი, არცა კათალიკოსი), იოანე ხახულელი, საბა თუხარელი და სხვები საბერძნეთში სწავლა-განათლებით აღჭურვილნი პირნი იყვნენ [3]).

მეფე დავით აღმაშენებელის დროდან კი საქმე სულ სხვანაირად დატრიალდა და ქართველი ახალთაობა უმაღლესს სწავლა-განათლებას თავის სამშობლოშივე საქართველოში ეწაფება.

რა სახის და აგებულობის იყო ჩვენში უმაღლესი სასწავლებელი და რამდენად დიდი იყო მისი რიცხვი?

გარდა ბიზანტიის ზეგავლენისა საქართველომ IX—XIII საუკუნოებში განიცადა არაბთა კულტურული გავლენაც, რომელმაც მეტად შესამჩნევი კვალი დაჰტოვა ჩვენებურ

---

[2]) იხ. ამის შესახებ იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის (XVII.) „ეპისტოლე“ ირაკლი I-მდი. („საქ. სასულ. მახარობ. მღ. გ. ხელიძის რედაქტ. 1866 წლ.; აგრეთვე მ ჯანაშვილის—„груз обители внѣ груз.“ стр. 17).

[3]) А. Цагарели—„свѣд.“ в. I, срт. 60—61; в. III, 267 стр.; „ქართ. ცხ.“ წ. II, გვ. 306; Хахановъ—„Оч.“ стр. 316—318 (в. II).

კულტურის აყვავება-აღორძინების და კერძოდ კი სწავლა-აღზრდის განვითარების და სკოლების ორგანიზაციის (უფრო უმაღლესის) საქმეშიაც. და აი სწორედ ამიტომ საჭიროა მოკლედაც მაინც გავითვალისწინოდ აქა არაბულ სკოლების აგებულება და სწავლა-აღზრდის წესრიგი მათში X—XIII საუკუნოებში.

დიდად მაღლა იდგა სწავლა-განათლება არაბეთში IX—XIII საუკუნოებში. პოლიტიკურად ძლიერი „არაბისტანი" კულტურულადაც ჭეშმარიტად ამ ხანაში და ცხოველ-მეოფელ სხივებით თავის ცივილიზაციის შუქსა ჭეშეხდა და ასაზრდოებდა მთელ ევროპა-აზიის ხალხთ და სახელმწიფოებს [1]). არაბეთში ღვთის-მეტყველების და ფილოსოფიის გარდა დიდ განვითარებაში იყო ასტრონომია [2]), იურისპრუდენცია, მათემატიკა [3]), რიტორიკა, მედიცინა [4]).

[1]) მაგალითად ისპანიის სახალიფოს სატახტო ქალაქში კორდოვაში 17 უმაღლესი სასწავლებელი არსებობდა. იქ სწავლის მისაღებად მოდიოდნენ ევროპის სხვა-და-სხვა კუთხეებიდან. სხვათა შორის მეფე ოტტონ III-ს აღმზრდელი ცნობილი ფრანგი მეცნიერი გერბერტი (შემდეგ პაპა სილბისტრო II) სწავლობდა კორდოვას უმაღლეს სასწავლებელში (იხ. „Всемір ист." Ф. Шлоссера.—спб. т II, 1869 г. стр. 361).

[2]) გარდა ძვირფას სპეციალურ გამოკვლევათა (ასტრონომიულ ტერმინებს, როგორიცაა, მაგალითად: ზენიტი, ნადირი, აზიმუტი... ჩვენ პირველად ვხდებით არაბების ხელში) არაბებს მე-VII—IV საუკ. ჰქონდათ თარგმანნი თავის ენაზე ყველა დიდებულ ატრონომების თხზულებათა და, სხვათა შორის, პტოლომეოსის შესანიშნავ ალმაგესტისაც. (იხ. „Энцикл слов." Брокгауза — Ефрона — т. I (на букву а) стр. 940—46).

[3]) ალგებრამ თავისი პირველსახე არაბების ხელში მიიღო. გეომეტრიამაც (უფრო ტრიგონომეტრიამ (სწავლება ხორდა—სინუსებზე) დიდი განვითარება არაბეთში განიცადა. (ibidem).

სპეციალური გამოკვლევანი არაბულ მეცნიერთა უფლებრივ სფერაში დიდ არაფერით არ ჩამოუვარდებიან თავის დირსებით რომის იურისტების ნაშრომთ სამეცნიერო (იურიდიულ) ლიტერატურაში. დიდად მაღლა იდგა აგრეთვე არაბეთში ხელოვნება და ვაჭრობა-აღებ-მიცემაც [5]).

აბასიდების დროს მე-VIII საუკუნიდან) დიდ-ძალი ქალაქები არაბთა სამფლობელოში დამშვენიერებულ — დალამაზებული იყვნენ ძვირფასი მეჩეთებით, მდიდარი ბაღებით, იშვიათ-სასახლეებით, სამაგალითო აბანოებ-შადრევნებ-აუზებით, ვეებერთელა ხიდებით, ქარვასლებით და არხებით. ისტორიკოს ვებერის სიტყვით ხალიფ ჰარუნა-ალ-რაშიდის დროს (780—809) ბაღდადში 10,000 მეჩეთი და 100,000 ბაღი იყო [6]).

[4]) საქიმო მეცნიერებიდან არაბეთში დიდ აღყვავებაში იყო ფარმაკოლოგია და ქიმია. ანატომიაზე კი იქ ყურადღებაც არ მიუქცევიათ. ამის მიზეზი ყორანია, რომელიც ვიცით, სასტიკად უღკრძალავს მართლმორწმუნე მაჰმადიანებს ადამიანის ტანის გაჭრას (ibid).

[5]) Вл. Череванскій—„Міръ ислама и его пробужд"—ч. II, стр. 222.

[6]) არაბებმა (კორდოვის სახალიფოს) ამასთანავე პირველად მოიგონეს ქუჩის ფარნები, მოკირწყვლა შარა-გზისა, წყლის საათი და სხ.

რომ დიდად მაღლა იდგა ცივილიზაცია არაბთა, ეს ნათლად სჩანს, სხვათა შორის, იმ მოვლენიდანაც, რომ არაბულ ენიდან მრავალი ტერმინები და მთელი სიტყვებიც (უფრო ტეხნიურ ცნებების გამომხატველი) გადასულა ევროპა-აზიის თითქმის ყველა ერთა ლექსიკონში და დღემდის ხმარებაშია ამ უკანასკნელთა ხელში. ასეთია, მაგალითად, სიტყვები: მაღაზია, ადმირალი, გენერალი და სხ. (იხ. „Всеобщ. ист." Георга Вебера. т. VI.—пер. Андреева.—Москва.—1887 г.; აგრეთვე Ф. Шлоссеръ—„Всемір. ист." II, стр. 353—362).

მარა სამაგალითო კარგად არაბეთში სასკოლო საქმე იყო დაყენებული. არაბებს, როგორც საზოგადოდ მაჭმადიანებს, ორი სახის სკოლა ჰქონდათ: დაწყული, რომელიც მეჩეთებთან იხსნებოდა, და მაღალი ანუ აკადემიები, რომლებიც ქალაქებში არსებობდა. დაბალ სკოლებში ასწავლიდენ: კითხვას, წერას, ბირველ-დაწყებით (ელემენტარულ) ცნობას გრამატიკიდან, ლექსის წერას და ტოტალ-თუ-ბევრად ლირს შესანიშნავ ადგილებს ყურანიდან ზეპირად. დაბალ სასწავლებლიდან მოწაფეები 16—20 წლისანი აკადემიაში გადადიოდენ უმაღლეს სწავლის მისაღებად. დიდი სახელი ჰქონდათ აკადემიებს ბაღდადში, ბასორში, ბუხარაში, დამასკოში და სამარყანდში, სადაც ისინი ძვირფას სასახლეებში იყვნენ მოთავსებული. უმთავრესი საგნები, რომლებსაც აკადემიაში გადიოდენ, იყვნენ შემდეგნი: ღვთისმეტყველება, ფილოსოფია, იურისპრუდენცია, ლოგიკა, ფილოლოგია, დიალექტიკა, მედიცინა. საბუნებისმეტყველო და ისტორიულ მეცნიერებათა შესასწავლად ცალკე სპეციალური სასწავლებლები არსებობდნენ. სწავლება-გრადაცემას აკადემიაში პრაქტიკული ხასიათი ჰქონდა და მედიცინას და ჰიგიენას სტუდენტები კლინიკა-ქსენონებში ეცნობოდნენ. უმაღლეს სასწავლებლის სათავეში ერთი უფროსი (დამსახურებული) პროფესორთაგანი იდგა, რომელსაც ჩაბარებული ჰქონდა „სკოლის" მართვა-გამგეობა. თავისი აგებულობით არაბთა აკადემიები მოგვაგონებენ ახლანდელ ინგლისის უნივერსიტეტების კოლეჯებს [1]).

[1]) იხ. Веберъ — „Всеобщ. ист" т VI, стр 457—9. არაბულ აკადემიებში სტუდენტ-პროფესორები ინტერნატში ცხოვრობდენ. სწავლა აკადემიაში უფასო იყო. ინახებოდა აკადემია თვის მამულების შემოსავლით (აკადემიებს დიდი უძრავი ქონება (სახელმწიფო) ეძლეოდა დაარსების დღიდანვე) და მეცენატთა უხვი შემოწირულებით (იხ. ibid).

რაგორც დაბალ სკოლების შესახებ საქართველოში (რაზედაც ზეკით ვუჩვენეთ), არც მაღალ სასწავლებლების ორგანიზაციაგებულების შესახებაც მოგვეთხოვება ჩვენ ჯერ-ჯერობით **პირდაპირი** ისტორიული მოწმობასაბუთები [2]). მაგრამ ისედაც აბრიორიულადაც შეგვიძლია დამტკიცებით ვსთქვათ, რომ XI—XII საუკ. ჩვენში უმაღლესი სასწავლებელი არსებობდა. როგორც ვიცით, მეცხრე საუკუნის დასასრულიდან მე XIII საუკ. ბირველ მეოთხემდის საქართველოში კულტურა დიდად მაღლა იდგა, უფრო კი დავით—თამარის მეფობის დროს. სახელმწიფოს ცხოვრების ეროვნული მხარე ამ დროს დიდ განვითარებაში იყო და, უეჭველია, სწავლა-განათლებაც, რომელმაც წინანდელზე შედარებით, დიდი რამ ნაბიჯი წარსდგა წინ. და ნაბიჯი ეს,— ჩვენის აზრით,—გამოიხატა უმაღლეს სასწავლებლის დაარსებაში ჩვენში.

ამასთანავე ვიცით **დანამდვილებით**, რომ ამ ხანაში ქართველებს საზღვარ-გარედ პეტრიწოს მონასტერში (მაკედონიაში) ჰქონდათ უმაღლესი სასწავლებელი [3]). საკვირველი და გაუგებარი იქნებოდა, რომ ქართველებს, რომლებიც ამ დროს დიდ კეთილდღეობას განიცდიდენ [4]), თავის სამეფოში, **თვით** საქართველოშივე არ დაერსებინა უმაღლესი სასწავლებელი.

სხვაც რომ არა იყოს რა, ეს უკანასკნელი ფაქტი (პეტრიწოს უმაღლესი სასწავლებლის არსებობა) რამოდენადმე ამტკიცებს ჩვენს აზრს,

[2]) მხოლოდღა გარდმოცემაა.

[3]) Н. Марръ—„Іоаннъ Петритскій, грузинскій неоплатон XI—XII в. спб. 1909 г. (отдѣльный оттискъ изъ запис. Вост. Отд. Имп. Рус. археол об-а —т. XIX), стр. 2—4.

[4]) ეს დრო იყო საქართველოს ისტორიის „ოქროს ხანა".

რომ ქართველებს თვით საქართველოშივე ჰქონდათ უმაღლესი სასწავლებელი.

პეტრიწოს მონასტერში უმაღლესი სასწავლებელი დაარსდა მე-XI საუკ. გასულს. იწოდებოდა იგი სემინარიად. მონასტრის წესდების § 31 ძალით სემინარიაში დაკანონებული იყო ეკლესიის საგნების ქართულად სწავლება და ქართულის არა-მცოდნე პირთა მიღება იქ აკრძალული. იყო. ცნობილი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი აქ სწავლობდა და ერთს დროს სემინარიის უფროსადაც ითვლებოდა [1]). ქართულ წყაროების მიხედვით, გარდა იოანესი. ცნობილი არიან კიდევ ნიკოლა და თეოფანე პეტრინიწელები [2]).

1) იხ. Н. Марръ—„Іоан. Петр.“ стр.

2—4. ამ სემენარიას ჩვენ ვთვლით უმაღლეს სასწავლებლად, ვინაიდან ძველად საშუალო სასწავლებელი არ არსებობდა, იყო მხოლოდ დაბალი და მაღალი სკოლა.

2) „ათონ ივერ. მონასტ. 1704 წ ხელთნაწ. აღაპებით“—გვ. 218, 237 და 253

სამ. ცოამია.

(შემდეგი იქნება .

ახალი მიმართულება პედაგოგიაში

უკანასკნელ წლებში საპედაგოგიო მწერლობამ უცხოეთში და რუსეთშიაც წამოაყენა საგულისხმიერო საკითხი, რომელიც ეხება საზოგადოთ ბავშვების აღზრდას. რუსულს მწერლობაში ამ მხრით საყურადღებოა ბ-ნი სედოვის სტატიები В. В-ში სათაურით „დინამიური ფაქტორები აღზრდაში“ (№ 4, 1907 წ.) ეს სტატია ფრიად საყურადღებოა იმ პირთათვის, ვინც დაახლოებულია ბავშვების სწავლა აღზრდის საქმესთან.

ეჭვს გარეშეა, რომ დღევანდელი მასწავლებლები სწავლა აღზრდის საქმეში იმდენს ცოდნას, დაკვირვებასვერ იჩენენ და ცოდნის საქმეში გამოყენებასაც ვერ ახერხებენ ისე, როგორც საჭიროა და სასურველი. მართალია ზოგმა კარგად იცის მრავალი „წმინდა ჭეშმარიტებანი“, რომელნიც მეცნიერებას შეუქმნია და შეუმუშავებია, მაგრამ იმავე დროს ღრმად არ უფიქრდებიან ამ ჭეშმარიტებათა და ზერელე ეპყრობიან მათ.

ერთს „წმინდა ჭეშმარიტებას“—სედოვის სიტყვით ეკუთვნის ის დებულება, რომელსაც თავ-გამოდებით იცავდა რუსო: „ბავშვის აღზრდა მისს ბუნებასთან უნდა იყოს შეთანხმებული“.

ამ „წმინდა ჭეშმარიტების“ შესახებ თეორიულად კამათს არავინ დაიწყებს, მაგრამ საქმით კი იშვიათად სრულდება. საზოგადოთ სასკოლო სწავლა-განათლების მთელი საქმე, მცირე გამონაკლისით, ეთანხმება მოზრდილ ადამიანის და არა ბავშვის ბუნებას. დიდიხანი არ არის მას აქეთ, როცა ერთს ადგილას უძრავად ჯდომის იდეალი გამეფებული იყო. ერთს ადგილას უძრავად ჯდომა, წიგნში ცქერა, ან მასწავლებლისკენ ყურება, მისი სიტყვების გამოუტოვებლად მოსმენა აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა სწავლის დროს. მოწაფის თვალსა და ყურს, სხეულისა და ხელ-ფეხის უძრავად, უნდა გაეცნო მის გარშემო არსებული ქვეყანა. ეგონათ, რომ ყოველგვარი მოძრაობა

გაკვეთილის დროს ხელს უშლის სწავლის საქმესაო.

სწორედ ეს სიმშვიდე და უმოძრაობა სრულიად არ შეეფერება ბავშვის ბუნებას. პირიქით 2 დან 10 წლამდის და შემდეგაც ბავშვების დამახასიათებელია მუდმივი მოძრაობა, მოუსვენრობა, სირბილი, გადახტომა ხეზე აცოცვა, ჩამოგდება რისიმე, დამტვრევა, ხმაურობა, ყვირილი—ერთის სიტყვით კუნთების, მუსკულების მუდმივი მოქმედება. თუ ნერვების ენერგიას თავისუფალი გამოსავალი არ აქვს ხელფეხის მოძრაობით, იწყება დაუცხრომელი ყბედობა. ბელლმა დათვალა სიტყვები, წარმოთქმული 5 წლის ნორმალური ბავშვის მიერ ერთი დღის განმავლობაში და აღმოჩნდა 14.996. ერთი კვირის შემდეგ ეს ცდა გაიმეორეს მეორე უმცროსს ბავშვზე; იმან დღეში წარმოსთქვა 15.230 სიტყვა.

ეს მოძრაობა ბავშვის ბუნებისა თანდათან მეტს ყურადღებას იპყრობს პსიხოლოგებისა და პედაგოგების მიერ. ჯერ-ჯერობით უმთავრესად თეორიულად ირკვევა საკითხი და იმის მიხედვით იწყება პრაქტიკულად მოწყობა სწავლა აღზრდისა, გარდაქმნა მისი მუნჯურ, გაშეშებულ მდგომარეობიდან „სტატისტიურადან“ მოძრავ მდგომარეობად, „დინამიურად“, რომელიც უჩვენებს ბავშვის მოძრაობის თავისუფალ გასავალს და სარგებლობს ამ მიდრეკილებით სწავლა-აღზრდის მიზნისათვის. ეს ახალი მიმართულებაა პედაგოგიაში.

ამ სტატიაში სედოვი აცნობს მკითხველებს ამერიკელი პროფესორი ო'შის იდეებს, ო'ში მქადაგებელია ახალი სახარებისა „დინამიური აღზრდისა“. ახლად გამოცემულ წიგნში, რომელსაც სათაურად აქვს: „დინამიური ფაქტორები აღზრდაში“, ო'ში ხელმძღვანელობს ფიზიოლოგების და პსიხოლოგიების გამოკვლევით, არკვევს ბავშვის ბუნების სხვანაირობას და მასთან დაკავშირებით, სხვათა შორის, ამბობს თუ რამდენად უსაფუძვლოა ბევრი იმ მოთხოვნილებათაგანი, რომელსაც ბავშვებს ვუყენებთ და მასთან იძლევა რამდენსამე რჩევას „დინამიური“ აღზრდის დებულებითი სამუშაოს შესახებ.

მოთხოვნილება, რომ ბავშვი უძრავად იჯდეს გაკვეთილების დროს, გულისხმობს თავშეკავების ნიჭს, როცა ბავშვს სურს თავისი სხეულის რომელიმე ნაწილი აამოძრაოს, გულისხმობს ნების საკმარისს სიმტკიცეს. ასეთი ნიჭი კი მოზრდილ ადამიანს, აქვს, და სანამ ბავშვს უყურებდენ, როგორც მოზრდილ ადამიანს, ისეთს ადამიანს, რომელიც ცოტად თუ ბევრად შეიცავდა მოზრდილი ადამიანის ყველა თვისებებს, ასეთი მოთხოვნილება გასაგები იყო. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ბავშვი თუმცა იგივე ადამიანია, რასაკვირველია, მაგრამ სრულიად სხვაგვარი ადამიანია, ვიდრე მოზრდილი. უმთავრესი თვისება ბავშვისა არის მოძრაობითი მოქმედების სიჭარბე სხვა დანარჩენებთან ერთად. ბავშვი მუსკულებით ჭვიქრობს. თავის შესაკავებელი ნიჭი ბავშვს ჯერ-ჯერობით არ აქვს; იმას ძლიერ ადვილად იტაცებს თავისი გრძნობები და სურვილები. თითოეული შთაბეჭდილება მიქცეულია დამოუკიდებ ლად გამოიხატოს მოქმედებაში. შინაგანი ქვეყანა, საითკენაც შეიძლებოდა მიმართვა, ბავშვს თითქმის არ აქვს, მოსთხოვეთ ბავშვს „ჩაულრმავდეს ოავის თავს“—გაჩუმდეს და წყნარად იჯდეს—და იმას ჩასთვლემავს. მოზრდილს შეუძლიან თავისი დრო აზროვნებაში გაატაროს, მაგრამ ბავშვისათვის კი უმოძრაოდ სიცოცხლეარ არის

თავდაპირველად უმთავრესად ბავშვები სიამოვნების გულისათვის მოქმედებენ; ამ სიამოვნებას თვითონ მოქმედება ჰგვრის. როცა მაგალითად ბავშვები ჩაქუჩის ხმარებას შეეჩვევიან, ისინი უთავბოლოდ, უანგარიშოთ სცემენ ჩაქუჩს იატაკს, მაგიდას, სრულიად სახეში არ აქვსთ რაიმე განსაზღვრული მიზანი, ლურსმნის ჩაქედვა და სხ. უბრძანეთ ბავშვს ლურსმნის ჩაქედვა, დაინახავთ, რომ იმას ჯერ კიდევ არ შეუძლია შეთანხმებულად, განსაზღვრულად მოქმედება. იმისი მუსკულები, ამ განვითარების საფეხურზე, რაოდენადმე დამოუკიდებლობას და ინიციატივას იჩენენ, ისინი ჯერ კიდევ არ გამხდარან ჭკვის მორჩილი მონა. მუსკულების მოქმედება მხოლოდ დროს განმავლობაში ემორჩილება რომელიმე მოძრაობითს იდეას.

5—6 წლის ასაკის ბავშვს შედარებით უფრო ეხერხება რამდენიმე ხანს ყურის გდება, ან მოთხრობის წაკითხვა, ხატვა და თითქმის „გაკვეთილების სწავლაც". როცა 3—4 წლის ბავშვი ისმენს მოთხრობას მგელზე, დათვზე, ძაღლზე; ის ამ ცხოველების მაგვარ მოძრაობას აკეთებს.

რამდენადაც ბავშვი წამოიზრდება, გაყმაწვილდება და შემდეგ დაჭაბუკდება, იმდენად თანდათან განუვითარდება ნიჭი არ აჰყვეს წუთიერს იმპულსებს, შეიკავოს ისინი, „ჰფლობდეს თავის თავს". ეს ნიჭი მოქმედების შეკავებისა გამოიხატება ცოდნაში მისცეს სხვა მიმართულება ენერგიას, რომელიც წავიდოდა იმ მოქმედებისაკენ.

თავდაპირველად ბავშვი ჯერ მოქმედობს და შემდეგ ჰფიქრობს. განვითარების კვალობაზე ეს პროცესები უკუქცევითი თანდათანობით მოქმედებს. სხვანაირად არც კი შეიძლება. ბავშვს რომ მოუფიქრებელ თვითნებითი მოქმედებიდან არ დაეწყო მოძრაობა, ვერც ვერავითარ გამოცდილებას შეიძენდა, რომელიც საფუძვლად დაედებოდა გონიერს განზრახვას და საკონტროლო მოქმედებას.

ბავშვი თვის გარშემო ქვეყანას მოძრაობით ეცნობა. უძრავად ჯდომა ეწინააღმდეგება მის ბუნებასა და მოთხოვნილებას, ბავშვის მთელს არსებასაც დიდს ვნებას აყენებს. იმის მაგიერ, რომ 5 წლის ბავშვმა ანბანის სწავლებას მიჰყოს ხელი, ის უნდა ეცნობოდეს ყვავილებს, ფრინველებს, ტყე და მინდვრებს; იმან უნდა ისწავლოს დანის, ხერხის და ჩაქუჩის ხმარება; ის უნდა მუშაობდეს ქვიშის გროვაში და თამაშობდეს თავის ამხანაგებთან,—ერთის სიტყვით ის უნდა მოქმედებდეს გონივრულის ხელმძღვანელობით და არა ზეპირობდეს თუთიყუშივით მოქმედებას მოშორებულს სიტყვებსა და ფრაზებს.

ასეთი შეხედულება თანდათან იკიდებს ფეხს ახალი აღზრდის სისტემაში.

მოძრაობის სფერის სათანადო განვითარება კეთილად მოქმედებს გონების განვითარებაზედაც. პირიქით, მუსკულების განვითარების შეჩერება ავნებს გონებითს განვითარებასაც. სირეგვნე, სისუსტე თავს იჩენს მუსკულების განვითარების ადრე შეჩერებაში. სუსტ გონებიანებთან სწავლებას სენგვინი მუსკულებიდან იწყებდა და ატყობდა, რომ რამდენ წარმატებასაც იჩენენ სუსტგონებიანები მოძრაობითი ნიჭის გამოჩენაში, მით უფრო მეტი წარმატება ეტყობათ გონებით განვითარებაშიაც, „სტატიური" მეთოდით სენგვინი მცირე წარმატებასაც ვერასოდეს ვერ მიაღწევდა.

ნათქვამის დასამტკიცებლად, შემიძლია დავუმატო, რომ ჩემს გამოცდილებაში რეგვენისა და არა ნორმალური ბავშვების სწავლების დროს, ვატყობდი კარგს

წარმატებას, მხოლოდ იმის გამო, რომ სწავლების დროს ფართოდ ვხმარობდი დინამიურ მეთოდს; ამისთანა ბავშვები გაკვეთილებზე ისე იქცეოდნენ, როგორც სურდათ: დგებოდნენ, დადიოდნენ კლასში, როცა სხვები ისხდნენ, მივიდოდნენ დაფასთან, სწერდნენ... (ამისთანა მოწაფეები, მართალია, ცოტა მყვანდა).

ამ საკითხის გამორკვევამ იმ დასკვნამდის მიიყვანა პსიხოლოგები, როგორც ფიზიოლოგები. ისინი ამტკიცებენ, რომ მუსკულების მოძრაობა საჭიროა ცხადი, გარკვეული და ჭეშმარიტი წარმოდგენილებათა მისაღებად გარშემო ქვეყნის შესახებ. მარტო მხედველობითი და მსმენელობითი შთაბეჭდილებანი საკმარისი არ არიან. განა ბავშვს შეუძლიან ისე კარგად შეისწავლოს ძაღლი, რომელიც მხოლოდ უნახავს, როგორც ისე, როცა ის მასთან არის? მხედველობითი და მსმენელობითი შთაბეჭდილებანი მხოლოდ დამატებას შეადგენენ იმ ძირითადი შთაბეჭდილებისას, რომელსაც შეხებითა ვგრძნობთ.

მოძრაობითი სამუშაო, რომელიც, ამ სახით, იძლევა უფრო მეტს ცხადს წარმოდგენილებას გარეგან ქვეყნის შესახებ, ჭეშმის უფრო მეტს საჭირო ელემენტებს სულიერად განვითარებისათვის.

„დინამიური აღზრდის“ ახალი იდეა ჯერ კიდევ არ არის გავრცელებული და საქმეში გამოყენებული, მაგრამ მაინც თან და თან იკიდებს ფეხს სკოლებში.

პირველი ნაბიჯი ამ საქმეში გადადგეს უფრო ელემენტარულმა სკოლებმა—„საბავშვო ბაღებმა“. ბევრგან საბავშვო ბაღებში დიდს ყურადღებას აქცევენ ამშენებელ მოქმედების ნიჭის განვითარებას. კარგი ბაღი სამუშაო ადგილად ხდება, აქ თამაშობის სახით სწარმოებს მომავალი ცხოვრებისათვის საჭირო სერიოზული მუშაობა. ბავშვს აძლევენ არა დანის აწერილობას, არამედ თვითონ—დანას ხელში და ასწავლიან იმით მუშაობას. არ განსაზღვრავენ გეომეტრიული სხეულების ცნებებს, არამედ აცნობენ მათს „თვისებებს“. თამაშობის დროს, აძლევენ ბავშვებს გეომეტრიულ სხეულებს, როგორც მასალას სახლის ხუხულეების ასაგებად და სხ. მაგრამ თითქმის ამერიკელ საუკეთესო საბავშვო ბაღებშიაც ჯერ კიდევ ბევრია ძველებური „სტატიური“ ელემენტი.

არითმეტიკაშიო—ამბობს ო-ში, ბავშვი მხოლოდ მაშინ შეიგნებს ნამდვილად ციფრების აზრს, როცა გამოცდილებით, თამაშობის დროს, ის ეჩვევა საგნების თვლას, თავისი სათამაშო ხუხულოების აგების დროს, აწონვას, გაზომვას და სხ.

წერას ბავშვები უფრო სწრაფად სწავლობენ მაშინ, როცა მათ უნდათ თავის ძეგობრებთან წერილის მიწერა.

ამ იდეების მიხედვით და იმის გამო, რომ ყოველი ცოდნა ყველაზე უფრო ადვილად შეიძინება მაშინ, როცა მას საქმეში იყენებენ—ცნობილი ამერიკელი „კომიტეტი 10“, რომელმაც რევიზია მოახდინა სწავლების სისტემაში, წინ აღუდგა ესრედ წოდებულს „კომერციულს არითმეტიკას“ (დამატება არითმეტიკისა სავაჭრო ანგარიშზე). ეს „კომიტეტი“ უთითებდა იმაზე, თუ როგორ მშვენივრად და სწრაფად ითვისებენ მას კანტორებში მუშაობის დროს და რა უნაყოფოდ იკარგება აუარაბელი დრო მის შესასწავლად სკოლებში.

ყველაზე უფრო მედგრად ძველ „სტატიურ“ რეჟიმს ფესვი აქვს გადგმული საშუალო სკოლებში, მუდმივი წესების შესწავლით, კანონებით, რომელიც წარმოადგენს მასწავლებლების შეცდომებზე ნადირობას, და სხ.

„კომიტეტმა 10“ წარმოსთქვა წინააღმდეგი აზრი კარნახის შესახებ, რომელიც ეძლევა მოწაფეს არა იმიტომ, რომ მან წარმოსთქვას თავისი აზრი—თუ რა იცის და რასა ჰფიქრობს, არამედ იმიტომ, რომ დაგვანახვოს წერის ცოდნა.

როგორც მოსალოდნელიც იყო ო-ში ბევრს ყურადღებას აქცევს ხელით შრომას, როგორც საშუალებას ფიზიკურად განვითარებისთვის, დაკვირვებისა და სინამდვილის გრძნობის აღსაზრდელად და სხ. ამასთან მისი შეხედულობა ამ საგნის შესახებ შემდეგში გამოიხატება: „უკეთესია მარტივს საქმეებს ცალკე არ ასწავლიდნენ, როგორც რაღაც დამოუკიდებელს, არამედ უნდა ასწავლიდნენ შეერთებულად, მთლიანად: აკეთონ რამე იმისთანა, რომელიც რისთვისმე საჭიროა და სასარგებლო; უნდა აიწყონ შედარებით მარტივი სამუშაოდან; არ უნდა შეჩერდნენ სამუშაოს ელემენტებზე, ასოებზე, სურათებზე, ხატვაზე, ან წერაზე. ასაკის მიხედვით—საჭიროა მოითხოვონ სინამდვილის გადიდება და სისუფთავეც.

ხელით შრომა, მოძრაობის სახით, ბავშვის ასაკისა და განვითარების მიხედვით, ნაკლებ ადგილს იჭერს. ნების ცენტრის სიმწიფეს ბავშვი 9—10 წლის ადრე ვერ აღწევს, ამიტომ ტყუილია ის ძალდატანება სკოლისა სისუფთავის შესახებ, რასაც საბავშვო ბაღებში და დასაწყისს სკოლებში მოითხოვენ ხოლმე წერისა და სხვა სამუშაოს დროს. როცა დრო მოვა, უნდა მოვითხოვოთ სინამდვილე წერაშიაც, ხატვაშიაც და გამოთქმაშიაც; დაუდევრობას აქ ისეთის პატიებით ვერ მოვეპყრობით, როგორც მცირე ასაკში.

მკვლევარი ატყობს, რომ სკოლაში ძლიერ ბევრი ენერგია იხარჯება, ბავშვები იქანცებიან. დაქანცული ბავშვები ცუდად ასრულებენ ისეთს სამუშაოს, როგორც წვრილად წერაა, ან კერვა, რვეულებსა თხვნიან მელანის წინწკლებით. ყველა ეს დაუღალობის გამო კი არ მოსდით, რაშიაც ბრალსა სდებენ მოწაფეებს, არამედ მოქანცულობის, კოორდინაციური ნიჭის გამო. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მუშაობაში წარმატება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ გულის ყური არ მიდის მოქანცულობამდის. უკანასკნელი ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში ამერიკაში საგულისხმიერო ცდა სწრმოებს. სწავლის დღე პატარა ბავშვებისათვის ნახევრად შემოკლებულია, სჩანს, რომ ახალი რეჟიმით ბავშვები ერთი საათის განმავლობაში პატარა ჯგუფში იმდენსვე აკეთებენ, რამდენსაც 2—3 საათის განმავლობაში აკეთებდნენ ძველად; მეორე ვამოკვლევით $1^1/_2$ საათში I კლასში და $2^1/_2$ ს. მე II-ში უფრო მეტს შედეგს აღწევდნენ, ვიდრე 4—5 საათით მეცადინეობის დროს ჩვეულებრივს სკოლაში. ბავშვები საშუალო ნიჭისანი იყვნენ, მაგრამ მასწავლებლები ადფრთოვანებულად მუშაობდნენ, ყოველი წუთი ნამდვილ საქმეს ხმარდებოდა, მასწავლებლები ბავშვებზე სიმპატიურს შთაბეჭდილებას ახდენდნენ და ეს კი კედლებზე ასობით გამოფენილ სურათებზედაც უკეთესია.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია შემდეგი შენიშვნა ო-შისა; ამბობენ, რომ მასწავლებლები ხშირად განრისხებულნი არიან და ძალას ატანენ თავს, ვიდრე სხვა პროფესიის კაცებიო. თუ ეს მართალია, ეს განსაკუთრებით ცუდია, რადგანაც მსგავსი გონებათა მიქცევა გადამდებია. თუ თქვენი ნერვები ცუდ მდგომარეობაშია, თუ თქვენთვის ძალდატანება პირისახეზე, ხმაზე და მიხრა-მოხრაში გამოიხატება, თუ ჰყვირით, ილანძღებით, მაშინ

სხვებიც, ვისთანაც ერთობა გაქვსთ, უნებლიეთ ჰბაძვენ თქვენს მოძრაობას და მათი ნერვებიც იმავე მდგომარეობაში ჩავარდებიან, როგორც თქვენია. პირიქით, კეთილშვიდობიან ადამიანთან ურთიერთობა გამშვიდებს თქვენსაც და მასაც. მასწავლებელმა ბავშვის სულში ჭარმონია უნდა შეიტანოს და არა მოშლილობა, ამიტომ იმისი სულიც თავისუფალი უნდა იყოს ზრუნვისაგან; ის ისეთს პირობებში უნდა იყოს ჩაყენებული, რომ არ იცოდეს მატერიალური გაჭირება და მოქანცულობა, რომ შეძლება ჭქონდეს ადვილოს თავისი სული ზეკარდმოშალილით და მხნეობითი გავლენით, რასაც იძლევა დიდებული, მუდამ ცოცხალი ლიტერატურული ნაწარმოებნი, საუკეთესო მუსიკა, ნორმალური ცხოვრება და მხურვალე მონაწილეობა მასში.

სწავლის საქმის ნორმალურად მოწყობის დროს, როგორც დაკვირვებიდანა სჩანს, ძალდატანებით სამუშაო უმცროს კლასებში 15 წუთს არ უნდა აღემატებოდეს, უფროსს კლასებში—25, შემდეგ 5 წუთით დასვენებისა, შეიძლება ხელახლად შეუდგნენ მუშაობას. მაგრამ გარდა მეცადინეობის შემწყვეტისა და დასვენებისა გაკვეთილებზე, საჭირო კიდევ ერთი საგნის მეორე საგნით შეცვლა, რადგანაც ერთი და იმავე საგნით მეცადინეობა, ჰქანცავს მომეტებულად ნერვების განსაზღვრულ ცენტრებს მაშინ, როდესაც სხვები დასვენებულია, მაშასადამე, სხვა საგნებზე გადასვლის დროს, შესაძლებელია ენერგიის ახალი მოქცევა.

ლაბორატორული გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ ძალები მომეტებულის სიახლით დილის 7—12 საათამდის განირჩევიან, ყველაზე უფრო საუკეთესო საათებია დილის 9-დან 11 საათამდის; სახელდობრ ეს დილის საათები უნდა მოხმარდეს სკოლაში უფრო ძნელ საგნებს. საშეცადინო დროს შემოკლებით მოწაფეთა რიცხვიც უნდა მინიმუმამდის შემცირებული იქმნას და თითოეულს ჯგუფსაც ცალკე მასწავლებელი უნდა ჰყავდეს. როგორც მოწაფეთათვის, ისე მასწავლებლისთვისაც ერთგვარად საჭირო სულის სიმხნეზე და სიმხიარულე, მოკლებული ეოველგვარ შიშს, მოშეტებულად, რომელიც ხელს უწყობს გონების არა საჭირო ძალდატანებას.

ყველაფერია, ამბობს დასასრულ სედოვი—დამყარებულია რამოდენიმე მარტივ ჭეშმარიტებაზე. ნუ ამახინჯებთ ბავშვის ბუნებას. მიეცით შეძლება მოწაფეს იყვეს მუდამ ბომქმედი, მხნე, ნუ აქრობთ მის ბუნებრივს ძალას, მიტომ, რომ ამით თქვენ შეაყენებთ ბავშვის ზრდას, არამედ კვალდაკვალ მიჰყევით მას, ისარგებლეთ იმით მისსავე სახეიროდ. მიეცით ბავშვს თავდაპირველად ძლიერ მარტივი სამუშაო, მაგრამ შემდეგ გაართულეთ, გადადით უფრო სრულსა და ნამდვილზე; ბოითხოვეთ მედგარი შრომა იმ ხნიდან, როცა გაჩნდება ნიჭი თავგამოდებით შრომისა, მაგრამ მოითხოვეთ მედგარი შრომა მხოლოდ იმ დროს განმავლობაში, რომელიც ნაყოფიერია ორგანიზმისათვის. ნება მიეცით მოწაფეს ყოველ დროს თავის თავად იყვნენ, მიეცით ცოდნა, როცა ის დროს შეეფერება, როცა ის აკმაყოფილებს მომწიფებულს საკითხებს, მაშინ თქვენ მისცემთ მოწაფეებს შეძლებას გამოცადონ სამხიარულო გრძნობა ზრდისა და განვითარებისა, და ის დააფასებს სკოლას, შეიყვარებს მას და არა შეიძაგებს, როგორც ხშირად, ძლიერ ხშირად ეზიზღება ის ეხლა.

ლ. ბ—ძე.

ბუნების მეტყველება და ისტორია

რი კერტის აზრი ისტორიის შესახებ

მე-XIX საუკუნემ მრავალ გვარი რთული და დაბნეული სამეცნიერო კითხვების დამუშავება, განმარტება და დაბოლოება უანდერძა მე-XX საუკუნის მეცნიერთ. მე-XIX საუკ. მეცნიერული კვლევა-ძიება მეტად გართულ—გაძლიერდა. ძველი მეცნიერება დანაწილდა, დაიყო ათას-გვარ დარგებათ; თითოეულ მეცნიერულ დარგს თავისი ჯირისუფალი და მუშაკი გაუჩნდა. მეცნიერული შრომის განაწილება თან და თან იზდება და ფართოვდება. შედეგი ასეთი დანაწილებისა დიადია. მეცნიერების უკანასკნელი მიზანი ის არის, რომ შეიგნოს ბუნების საიდუმლოებანი, შეიგნოს სახე იმ წეს-წყობილებისა, ჭარმონიისა, რომელიც მოფენილია დედა-მიწის ზურგზედ. ბუნება ძლიერ რთულია, რთულია მისი ცხოვრების კანონებიც, მაშასადამე, რთულის შეგნება მაშინ შეიძლება, როცა იგი დანაწილდება; როცა ცალათ გვექნება წარმოდგენილი რთულის შემადგენელი მარტივი ნაწილები. მე-XIX ს. მეცნიერებამ ასეთი შრომა იკისრა; მან დაინაწილა ბუნების და მსოფლიო წესრიგის შესწავლა; შრომა განაწილებული იქმნა ათას გვარ მეცნიურულ დარგებს შორის. მაგრამ ამ რთული შრომის დროს აღმოჩნდა, რომ არსებული დარგებიც ვერ აუღიან მათ წილ ხვედრ შრომას და ამიტომ კიდევ საჭირო შეიქმნა მათი ნაწილებათ დაყოფა; რა თქმა უნდა ხელ ჩართულმა მეცნიურულმა მუშაობამ დიდი ნაყოფი მოიტანა. მე-XIX ს. განმავლობაში შეგროვდა აუარებელი მასალა, თვალ უწვდენელი მეცნიერული ცნობები; მეცნიერებამ ბევრი რამ გამოსტეა მესაიდუმლე ბუნებას, მაგრამ ასეთი შრომა საკმარისი ვეღარ შეიქმნა. რამდენადაც წინ მიდის მეცნიერება, რამდენადაც მეტი მასალა ჭგროვდება, იმდენად უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდება ერთი დიადი მოთხოვნილება. აუარებელი მასალა, შეგროვებული მრავალგვარ მეცნიურული დარგების მიერ, წარმოადგენს დაბნეულ, დაფანტულ სიმდიდრეს; საჭიროა ამ განძის თავის მოურა, შეგროვება; ერთგვარი ცნობების შეგროვება, შეთავდარიგება და შეკავშირება. ბუნება რთულია,—მაგრამ ეს რთული წარმოადგენს—ერთ **განუყოფელ მთელს**, მაშასადამე, ბუნების კანონებს, მის წეს-რიგს მხოლოდ მაშინ შევიგნებთ, როდესაც თავს მოვუყრით ჩვენს ცნობებს ბუნების შესახებ. მართლაც ამგვარი შრომა იკისრა მეცნიერებამ. შედეგი ასეთი მისწრაფებისა კი ის იყო, რომ გაჩნდა სინტეტიური მიმართულება მეცნიერებისა. ამ მიმართულების წყალობით შესაძლებელი შეიქმნა არა მარტო აღმოჩენა კანონებისა, დამოკიდებულის სხვა და სხვა დარგებს შორის, არამედ ცალკე მეცნიურულ დარგებშიაც. რა თქმა უნდა, მეცნიურული დარგების დაახლოვებასთან ერთათ შესაძლებელი შეიქმნა ახალი საშუალების და კვლევა-ძიების გზების აღმოჩენაც. ასეთი სინტეტიური შრომა ხდება ბევრ მეცნიურულ დარგებში დღითა-დღე. დიდებული იყო ბუნების მეტყველთა შრომა, დიდებულია მათი მოღვაწეობა დღეს. ბუნების მეტყველების მხნე, მრავალნაყოფიერი მუშაობის შედეგი ის იყო, რომ ამ მეცნიერებამ უპირველეს ყოვლისა შეიძინა ძლევა-მოსილი შრომისა და ძიების იარაღი, მეცნიურული მეთოდები. ბუნების მეტყველების მეთოდებმა ძლიერი გავლენა იქონია სხვა და სხვა მეცნიერულ დარგებზედაც. ჩემი მიზანია ამ მოკლე წერილში აღვნიშნო თუ რა გზას დაადგა მე XX ს. ისტორიული მეცნიერება. ისტორიულმა მეცნიერებამაც, როგორც სხვა

მეცნიერულ დარგებმა, ძირიანთ იცვალა თავისი ელფერი მე-XIX ს. განმავლობაში. თუ ისტორია მე-XIX ს. ნახევრამდის თითქმის ზღვრების კრებულს წარმოადგენდა, ომებისა და მეფეების ძლევა-მოსილების მეტს არაფერს მოგვითხრობდა, მე-XIX ს. დამლევს იგი გადიქცა ჭეშმარიტ მეცნიერებათ, ამანაც შეიძინა თავისი მეცნიერული საზრომი და სამუშაო იარაღი. ამასთანავე მთელი მე-XIX ს. განმავლობაში ისტორიკოსებმა შეაგროვეს ისეთი რთული მასალა, იმდენათ ღრმათ და ვრცლათ შეიმუშავეს და გაითვალისწინეს კატეგორიების წარსული, რომ თავის თავად დაიბადა კითხვა, შეიძლება თუ არა ისტორიული კანონების აღმოჩენა და შესაძლებელია თუ არა ისტორიის ჩარიცხვა მეცნიერების დარგთა შორის. ე. ი. მე-XIX ს. დამლევს და მე-XX ს. დასაწყისს აღიძრა კითხვა-შესაძლებელია თუ არა ისტორიული წარსულის შეგნება, და ისტორიკოსების ისეთივე მეცნიერული მეთოდებით და საშუალებებით შეიარაღება, როგორც მაგალითათ ბუნების მეტყველებაშია? ამ კითხვასთან ერთათ გასუფოფელათ აღიძრა მეორე საკითხიც,—შესაძლებელია მივაღწიოთ წმინდა ისტორიულ ცოდნამდის თუ არა? რათქმა უნდა, რომ ეს ძლიერ მძიმე და რთული საკითხია და მასთან მეტად საფურადღებოც.

ზემო მოყვანილი კითხვები აინტერესებს გამოჩენილ ისტორიკოსებს და ფილოსოფიის წარმომადგენელთ დასავლეთ ევროპაში. ერთი ასეთი ფილოსოფოსის აზრების გაცნობა ვიკისრეთ ამ წერილში. ჩვენი ქართული მწერლობა იმდენად დაშორებულია ასეთს საზოგადო კითხვებს, რომ მეტი არ იქნება მოკლეთ მაინც გავეცნოთ **აწინდელი გერმანიის ფილოსოფიის წარმომადგენელის** აზრებს. სახეში მყავს ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი ენრიხ რიკერტი. (N. Rickert) და მისი შესანიშნავი შრომა: „Die grenzen der naturwissenshaftlichen Begu ffsbibdung (Iwsite Nälfte, Tülingeu und Leipzig—1897—1902) [1]). ბ. რიკერტის შრომამ დიდი მოძრაობა გამოიწვია, როგორც ისტორიკოსების, აგრეთვე ფილოსოფოსთა შორისაც. უმთავრესი აზრები შემდეგ განმარტებული იქნნა ბ. რიკერტის მიერ ახალ შრომაში: „ისტორიის ფილოსოფია“ [2]).

1894 წ. დაიბეჭდა ცნობილი გერმანელი მეცნიერის ვინდელბანდის სიტყვა: Naturwissenschaft ung geschichte“ [3]). ვინდელბანდს ამ მოკლე, მაგრამ ძლიერ ღრმა შინაარსიან შრომაში აზრად ჰქონდა გაეთვალისწინებია თუ რა განსხვავება არსებობს ისტორიასა და ბუნების მეტყველებაში, როგორც მეცნიერულ დარგებში. ვინდელბანდის აზრით მეცნიერების დანაწილებას, ანუ კლასიფიკაციას, აზრი და მნიშვნელობა მაშინ აქვს, როდესაც ჩვენ მხედველობაში მივიღებთ არა საგანს მეცნიერების კვლევა ძიებისას, არამედ—ჩვენს მხედველობას კვლევა ძიების და საგნის მეცნიერულად შეგნების შესახებ. ვინდელბანდი მეცნიერებას ანაწილებს ორ დარგთა შორის: ერთ დარგს უწოდებს **ნომოგრაფიულ** მეცნიერებას, მეორეს **იდიოგრაფიულს**. იდიოგრაფიული მეცნიერების მიზანია: აღმოაჩინოს საზოგადო კანონები, რომელსაც ემორჩილება სხვა და სხვა გვარი მოვლენანი; ნომოგრაფიული მეცნიერების მიზანი კი გამოიხატება იმაში, რომ აღწერა, დაასურათოს განცალკევებული, კერძო მოვლენანი. ვინდელბანდის აზრი, შესახებ მეცნიერების კლასიფიკაციისა, მიიღო რიკერტმაც, მხოლოდ თავის მხრით რამოდენიმე ცვლი-

---

[1] იხ. რუსული თარგმანი О Границахъ естественно-историческаго образованія понятіи, пер. А. Водена, с.-пб 1904 г.—თარგმანი მშვენიერია.

[2]) იხ ძლიერ კარგი რუსული თარგმანი Риккертъ Философія исторіи

[3]) იხ. რუსული თარგმანი: Прелюдіи“, Виндельбандъ пер. С. Фракка.

ლება და განმარტება შეიტანა ვინდელბანდის მოსაზრებაში; რიკერტის კლასიფიკაციით მეცნიერება ორგვარია. მეცნიერების ერთი დარგი ცდილობს დაამტკიცოს და შეიძინოს **საზოგადო ცნებები**. ასეთ საზოგადო ცნებებს იძიებს და აგროვებს მეცნიერება, რომლის მიზანია შეიგნოს ბუნება; ე. ი. საბუნების-მეტყველო მეცნიერება; მხოლოდ მეორე დარგი მეცნიერებისა ცდილობს: **წარმოადგინოს, დასურათოს კერძო ფაქტები**; ვინაიდგან კერძო ფაქტები, მოვლენანი ურიცხვნი არიან, ეს მეორე დარგი მეცნიერების ყურადღებულ ფაქტებს შორის არჩევს მხოლოდ ისეთს, რომელსაც აქვს რაიმე ფასი და მნიშვნელობა, ე. ი. მეორე გვარი მეცნიერება შეეხება: ადამიანის საზოგადოებას და მისს ისტორიას. ვინდელბანდის აზრით ჩვენი მეცნიერება ორგვარია: 1) **ისტორიული მეცნიერება** (Geschichte); 2) **მეცნიერება საბუნების მეტყველო** (Naturwissenschaft). რიკერტის აზრითაც მეცნიერება ორგვარია: 1) Naturwissenschaft, ე. ი. **ბუნების მეტყველება**), 2) Kulturwissenschaft **კულტურა**; ე. ი. მეცნიერება კაცობრიობის კულტურისა და მისი განვითარების შესახებ [1]).

მეცნიერული კვლევა ძიების საერთო მეთოდი არ არსებობსო, განაგრძობს რიკერტი, მაშასადამე, თითოეულ მეცნიერულ დარგს აქვს თავისი გამოკვლევის და შეგნების საშუალებანი ე. ი. არის ორგვარი მეთოდი, ანუ მეცნიერული შემეცნების გზა: საბუნების მეტყველო და ისტორიული, ამ ორ მეთოდს შორის არის, როგორც გარეგანი, აგრეთვე შინაგანი განსხვავება. ვინაიდგან მეცნიერების შემეცნების გზა ორ სახის არის, განირჩევა ორი განსხვავებული მეცნიერება: ისტორია ე. ი. კულტურა და ბუნების მეტყველება. თუ ისტორია და ბუნების მეტყველება განირჩევა ერთი ერთი შორის, ცხადია უნდა გავითვალისწინოთ და ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ რა გვარი განსხვავება არის ისტორიასა და ბუნების-მეტყველების შორის. ბუნების-მეტყველება მართალია იკვლევს და სწავლობს განცალკევებულ ფაქტებს და მოვლენებს, მაგრამ ფაქტების და მოვლენების სათითოდ შესწავლა არის მხოლოდ საშუალება ე. ი. ბუნების მეტყველება მრავალ გვარ განცალკევებულ ფაქტების, მოვლენათა და ინდივიდუუმების შესწავლის შემდეგ, ცდილობს ამ მოვლენებიდან კერძო თვისებების გამორიცხვას. ბუნების მეტყველება უკუ აგდებს ამ კერძო თვისებებს, რომლებიც წარმოადგენენ კუთვნილებას თითოეულის, ინდივიდური ფაქტების, მოვლენების და ჰირებისას და ასეთი შრომის შემდეგ ბუნების მეტყველი ცდილობს შეამუშაოს საზოგადო, **საერთო ცნებები**, მაშასადამე აბსტრაქციის, კერძო თვისებების განუყენებით, ბუნების მეტყველი შეჰქმნის საერთო ცნებებს. ისტორიკოსი კი სულ სხვა ნაირად მუშაობს. ისტორია იკვლევს ინდივიდუალურს, სხვა და სხვა ფერადოვანს, ისეთ მოვლენებს, რომლებიც მუდმივ იცვლებიან, ისეთ მოვლენებს, რომლებიც ერთი მეორეს სრულებით არა გვანან. მაშასადამე, ისტორია ვერ შეამუშავებს საზოგადო, სავალდებულო, საერთო ცნებებს. ისტორიაც თითქოს იძიებს და

[1]) იხ. რიკერტის: Natuwissenschaft ung Kulturwissenschoft, 1899. დიდი ყურადღების ღირსნი არიან დასახელებულ ავტორების გარდა შემდეგნი: Bernheim Gehrluch der historichen Methode 5, Auflage 1908 г. Ed. Megez—Iur Theorie und Methodik d. geschihte, არის რუსული თარგმანიც; Xenopol—zur Jogik d. grschichte histor. Ieitschz, Driffe Folge, 6 B.—1909 წ. აგრეთვე შესანიშნავი შრომა А. Чупрова—Очерки по теоріи статистики, с.-пб. 1909 წ., თავი 1—Науки номографическія и науки идіографическія.

ᲒᲕᲝᲣᲚᲝᲑᲡ კიდეც საერთო საზოგადო ცნებების (die historiche Begiffe), როგორც მაგალითად: სოფრანგეთის რევოლიუცია, გერმანული რეფორმაცია, მაგრამ თუ ჩაუკვირდებით ამ ისტორიულ საზოგადო ცნებებს, მიხვდებით, რომ მათი წარმოშობა სულ სხვა სახისაა, ვიდრე საბუნების-მეტყველო საზოგადო ცნებები. ისტრიული საზოგადო ცნებები შედგეგა არა აბსტრაქციისა, არა განუყენებული მსჯელობის, ე. ი. ისტორიული ცნებები შეიქნენ არა კერძო თვისებების გამოკლებით მოვლენებისაგან, არამედ საზოგადო ცნებები ჩვენ შევქენით მხოლოთ იმით, რომ შევაერთეთ და შევაკავშირეთ ერთგვარი ინდივიდუალური, ცალკ-ცალკე ეოფილი მოვლენები. ისტირიისა და ბუნების მეტყველების განსხვავება, როგორც მეცნიურული დარგისა, აგრეთვე მათი კვლევა ძიების საშუალების, მეთოდებისა აღნიშნული თვისების გარდა, განირჩევა კიდევ შემდეგით: საბუნების-მეტყველო კვლევა ძიების და გამოკვლევის მასალას, სრულიად გვაძლევს ბუნება, საბუნების-მეტყველო მასალა საკსებით და ვრცლათ გვაქვს მოცემული ეოველთვის, ამას გარდა თვით მასალას თვისებები ბუნებით არის შექმნილი და გადმოცემული. ისტორიას კი მასალა ასეთი სიგრცით და საკსებით მიცემული არა აქვს. ამას გარდა ბუნების მეტყველება გამოსაკვლევ მასალას გვაძლევს პირდაპირ; მხოლოდ ისტორიას ხელ ქვეით აქვს მასალა ძლიერ ნაკლოვანი, მასალა ეძლევა არა პირდაპირ, არამედ უნდა მოსძებნოს აღადგინოს მასალა; სიძნელე იმაში გამოიხატება, რომ ისტორიამ უნდა აღადგინოს მასალა, მასალის აღდგენა კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისტორიულ მოვლენებს შემდეგ დარჩა რაიმე კვალი, ნაშთი. მიუხედავათ ასეთი ძირითადი განსხვავებისა, ისტორია მეცნიერებაა; მხოლოდ მისი ძირითადი ცნება—არის ცნება არა საზოგადო, საერთო, არამედ ცნება, შეგნება კერძოსი, ინდივიდულურის; ესე იგი არის შეგნება ისეთი კერძო მოვლენისა, რომელიც არსებობდა, ეგუთვნოდა წარსულს. თუ ისტორიას, როგორც მეცნიერებას აქვს თავისი კერძო, ინდივიდუალური ცნება, მაშ რა გზით, რის შემწეობით ვცდით და ვიძენთ ჩვენ, ისტორიკოსები, ასეთს ცნებებს: ერთათ ერთი საშუალება და საზომი აქვს ისტორიას,—ერთათ ერთი საფასი აქვს მას: ზნეობრივი საზომი; ე. ი. ჩვენ ეოველთვის ვცდილობთ ზნეობრივი სასწორით ავსწონოთ ისტრიული ცნების ფასი, მაშასადამე გარდა ზნეობრივი საზომისა ისტორიას სხვა საშუალება თავისი ცნებათა შესაქმნელათ არა აქვს.

ისტორიას, როგორც მეცნიერებას აქვს მისწრაფების უკანასკნელი მიზანი: ასეთი უკანასკნელი მიზანი ისტორიისა: მიადწიოს უზენაესს, უმაღლეს ზნეობრივ დირებულებას, უზენაესს ზნეობრივ საფასს; ასეთი უმაღლესი ისტორიული დირებულება, მასთანავე საერთოთ მადებული დირებულებას წარმოადგენს: ცნება **კულტურა**. თუ ასეთი ცნება კულტურა არ ექნა ისტორიას, როგორც უზენაესი საფასი, შეუძლებელია ისტორიამ გაითვალისწინოს ხალხის განვითარების თავი ან ბოლო. თუ ჩვენ მოვინდომებთ ისტორიული განვითარების კანონის გამოხატვას დარწმუნებული უნდა ვიქნეთ, რომ ასეთ კანონს ჩვენ ვერ გამოვიყვანთ, თუ ჩაუკვირდებით და შეგისწავლით მხოლოდ ასიოდე პროცესს, ორიოდე ხალხის ისტორიულ განვითარებას, ცხადია აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს შესწავლა და შედარება მრავალი ისტორიული განვითარების პროცესებისა; ე. ი. უნდა შეგისწავლო არა ერთი ხალხის განვითარების ისტორია, არამედ რამოდენიმეს, მაგრამ უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ მხოლოდ მაშინ შეგქმნით კანონს ისტორიული განვითარებისას, თუ შეგისწავლით ისტორიულ პროცესს კულტურული ხალხისას; კულტურულ ხალხის რიცხვი ძლიერ მცი-

რეა, მაშასადამე შედარება კულტურული ეროტესსების შეუძლებლათ ხდება; აქედან ნათლათ სჩანს, რომ ხალხის განვითარების საერთო, საყოველთაო სავალდებულო კანონების აღმოჩენა შეუძლებელია. დიდი შეცდომაა, განმარტებს რიკერტი—ვისაც ჰგონია, რომ ისტორიას შეუძლია აღმოაჩინოს ისეთივე სავალდებულო კანონები, როგორც ეს შესაძლებელია ბუნების მეტყველებაში. თუ ისტორია ვერ აღმოაჩენს საზოგადო, სავალდებულო კანონებს, მაშინ რა გზას უნდა დაადგეს ისტორიული კვლევა; ისტორიკოსის ვალდებულობაა—აღმოაჩინოს კავშირი და დამოკიდებულება კერძო მოვლენათა შორის; დაუკავშიროს მოვლენები, რომლებიც გარეგნობით დამოუკიდებელნი არიან. ბუნების მეტყველება სულ სხვა გვარ გზას აღგია; ბუნების მეტყველს არაფრათ მიაჩნია ზნეობრივი საზომი; ზნეობრივ ღირებულებას მისთვის არავითარი წინმსვლელობა არ აქვს. ბუნების მეტყველი სულ სხვა მისწრაფებით არის გამსჭვალული: მას აინტერესებს თუ რამდენად მომზადებულია ორგანიზმი და რა ძალონის პატრონია, რომ არ დაიღუპოს და გადარჩეს არსებობისათვის ბრძოლის ველზედ. ამას გარდა ბუნების მეტყველი იკვლევს ისეთს კანონებს, რომლებსაც აქვს სავალდებულო, საზოგადო ღირებულება; საზოგადო საბუნების-მეტყველო კანონს კიდევ ის თვისება აქვს, რომ მისი შემწეობით ბუნების მეტყველს შეუძლია ახსნას კერძო მოვლენები, კერძო, ინდივიდუალური თვისებები. ისტორიკოსმა რომ მოსძებნოს ასეთი საერთო კანონი, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ამით იგი ვერ ახსნის კერძო ისტორიულ მოვლენებს. განსხვავება კიდევ იმაში გამოიხატება, რომ ბუნების მეტყველს საშუალება აქვს მიჭმართოს ხელოვნურ ცდას; გამოსცადოს თითოეული ბუნების მოვლენა, ისტორიკოსი კი მოკლებულია ასეთ საშუალების ცდას, ისტორიული მოვლენის ხელოვნურად გამოცდა შეუძლებელია. მაშასადამე, დასკვნის თავის აზრს რიკერტი:—ბუნების-მეტყველება ისეთი მეცნიერებაა, რომელიც ცდილობს განყენებული აზროვნობის შემწეობით, ანუ აბსტრაქციის ძალით, განცალკევებულს, კერძო მოვლენებში აღმოაჩინოს საზოგადო კანონები, რომელსაც აუცილებლათ ემორჩილება ბუნება; მხოლოდ ისტორია კერძო მოვლენების აღწერით, შემუშავებით, მათი ურთიერთ შორის დაკავშირებით ცდილობს შეისწავლოს განცალკევებული, ინდივიდუალური მოვლენანი და შემთხვევანი, რომლის საფასს და საზომს წარმოადგენს ცნება კულტურა.

რიკერტის შესანიშნავი გამოკვლევა სავსებრმა აზრებით; მისი წიგნი წარმოადგენს ფრიად საინტერესო გონივრულს ნაწარმოებს. ამ წიგნის გამოქვეყნების შემდეგ რიკერტმა მოიხვეჭა დიდი სახელი და დიდება და დღეს გერმანიის ფილოსოფოსებს შორის ფრიად საპატიო ადგილი უკავია. რიკერტის წიგნმა დიდი კრიტიკული ლიტერატურა შექმნა გერმანიაში, რუსეთშიც საკმარისი ყურადღება მიაქცია რიკერტის აზრებს. კრიტიკული შენიშვნები გამოსთქვეს, როგორც ისტორიკოსებმა, აგრეთვე ფილოსოფოსებმაც.

ამას შემდეგში დავუბრუნდებით.

სიმ. ავალიანი.

გადარჯულებული

ნეტავ ეს ქალი ვინ არის?
და რომელ ეროვნებისა,
სამშობლოს დამწუნებელი
ზორწმუნე სხვების მცნებისა?

*
* *

ამბობენ ქართველი იყო
მაგისი დედაც, მამაცა,
მაგრამ არ მჯერა!.. ღვთის მადლსა,
ნუ მეუბნები!.. დამაცა!!

*
* *

სად გამოზდილა რომ ჰფიქრობს
ია და ვარდის ფენასა,
მით რომ უარჰყოფს სამშობლოს,
ივიწყებს დედა-ენასა!

*
* *

სკვითია და სკვითს გაჰყვება,
რაღა თქმა უნდა მაგასა?!
და ბედაურის სანაცვლოდ
ჯოროს დასვამს ვირის ბაგასა!

*
* *

აი რა უთხრა მე მაგისს
უკულმართ შემქნელ-მშობელსა,
ჩვენი სამშობლოს გამომხვრელს
და სკვითის მახარობელსა!!

აკაკი.

პოზნანელ მასწავლებლის დღიური

ჭენრიგ სენკევიჩისა

ხშირათ გამოვუღვიძებივარ ლამპრის მქრქალ სინათლეს ღამის მეორე და მესამე საათზე და ყოველთვის დამინახავს ისე გვიან მოცადინე მიხასი. პატარა და სუსტი, ის მარტო თეთრეულში უჯდა წიგნებს, და ნამძინარევ, ჩახრენწილ ხმით მექანიურათ იმეორებდა ლათინურს, ან ბერძნულს უღლვილებას ისეთი ერთნაირობით, როგორც საყდარში იმეორებენ ხოლმე ლიტანიის სიტყვებს. როდესაც ვეტყოდი—წადი და დაიძინე მეთქი, ბავშვი მომიგებდა: „ჯერ კიდევ არ ვიცი გაკვეთილი, ბატონო ვავჟინკევიჩ!“ აქ უნდა მოგახსენოთ, რომ მე მიხასთან ერთათ ოთხიდან რვა საათამდი ვხსნიდი არითმეტიკულ ასახსნელებს, და შემდეგ—ცხრიდან თორმეტამდი, სანამ არ დავრწმუნდებოდი, რომ მას ყველა გაკვეთილი დასწავლილი ჰქონდა, არ ვწვებოდი. მართალი უნდა ვთქვა, რომ ასეთი მეცადინეობა მეტის მეტი იყო. ბავშვი რომ ბოლონდელ გაკვეთილს დაისწავლიდა, პირველი ავიწყდებოდა; ბერძნული, ლათინური და ნემეცური უღლვილებანი და სხვა და სხვა სახელები მაზრებისა, ისე დომხალივით ირეოდა საწყალ ბავშვის თავში, რომ ძილი არ ეკარებოდა მის თვალებს. ამიტომაც მიხასი ნაშუალამევს გამოძვრებოდა საბნიდან, აანთებდა ლამპას და ისევ მიუჯდებოდა მაგიდას. როდესაც გავუჯავრდებოდი, ის მეხვეწებოდა და ტიროდა. შემდეგ ისე მივეჩვიე მის ღამით მეცადინეობას, ლამპის სინათლეს და უღლვილებათა ჩადუდუნებას, რომ როდესაც ვერცერთ ამას ვერ დავინახავდი და ვერც გავიგონებდი—ველარ დავიძინებდი. იქნება, მე არ უნდა მიმეცა ნება ბავშვისათვის, რომ ასე გადაქარ-

ბებით ემეცადინა, მარა რა უნდა მექნა? მას ხომ ყოველ დღე უნდა დაესწავლა როგორმე გაკვეთილები, თუ არა და გამორიცხავდნენ გიმნაზიიდან, და ეს მხოლოთ ღმერთმა უწყის, თუ რა უბედურება იქნებოდა დედისათვის, რომელიც ორი შვილის პატრონი იყო, და დაქვრივების შემდეგ, ყველა თავის იმედებს მიხასზე ამყარებდა. საქმის გარემოება თითქმის უსაშველო იყო, რადგანაც, მეორე მხრით, ვხედავდი, რომ გადაჭარბებული გონებითი ჯაფა ასუსტებდა ბავშვის ჯანს, და შეიძლებოდა საშიშარიც გამხდარიყო მისი სიცოცხლისათვის. საჭირო იყო, რომ ბავშვი ფიზიკურათ მაინც გაგვემაგრებინა, გიმნასტიკა გვესწავლებინა, ბევრი გვერონინებინა, ანუ ცხენით გვეტარებინა, მარა საამისოთ დრო აღარ რჩებოდა. ბავშვი ყოველ დღე იმდენს მეცადინეობდა, იმდენს იზეპირებდა და იმდენს სწერდა, რომ სულს ქვეშე შემიძლია ვსთქვა: ფიზიკური ვარჯიშობისათვის სრულიათ არ რჩებოდა დრო. ყოველ იმ წამს, რომელიც საჭირო იყო ჯანისათვის, სიცოცხლისა და ბავშვის გართობისათვის, გვართმევდა ლათინური, ბერძნული და... ნემეცური ენები. დილ-დილობით, როცა ჩავუწყობდი ბავშვს ჩანთაში წიგნებს, და ვამჩნევდი როგორ იზნიქებოდა მისი გამხდარი მხრები ამ მსხვილი წიგნების სიმძიმით,—გული მეკუმშებოდა სიბრალულით! ზოგჯერ მივდიოდი სკოლაში და ვთხოულობდი, რომ ლმობიერათ მოპყრობოდენ მიხასს, მარა გერმანელი მასწავლებლები მეუბნებოდენ, რომ მე ასეთი თხოვნით ვაფუჭებ და ვანებივრებ ბავშვს, რომ ის, ცხადიაო, ჯეროვანათ არ მეცადინეობს, და თანაც სტირის ტყუილ უბრალოთო. მიხასი იყო საშუალო გულის ყურის ყმაწვილი, ნაზი ბუნებისა, მარა იმდენათ ამტანი და მტკიცე ხასიათის, რომ იმგვარი ხასიათი არც ერთი სხვა ბავშვისთვის არ შემიმჩნევია. საბრალო მიხასს გაშმაგებით და ბრმათ უყვარდა დედა. მას უთხრეს ერთხელ, რომ დედა მისი ერთობ უბედური და ავადმყოფია, და თუ მან ცუდათ ისწავლა, ბოლოს მოუღებს დედას, და იმ დღიდან ბავშვს აკანკალებდა, როცა ამას წარმოიდგენდა, და მთელი ღამეობით უჯდა წიგნებს, რომ დედა არ შეეწუხებინა. ბავშვი ტიროდა, როცა ცუდ ნიშნებს მიიღებდა, ხოლო არავის აზრათ არ მოუვიდოდა—რატომ ტიროდა, და რანაირს პასუხის მგებლობას გრძნობდა ბავშვი ამისთანა დროს,—ეს ვის რათ ენაღვლებოდა? მე იმას არც ვაფუჭებდი და არც ვანებივრებდი. მე მხოლოთ გაგებული მქონდა მისი ბუნება სხვებზე უკეთესათ, და თუ მის მაგიერ, რომ მეყვედრებინა, ვანუგეშებდი მას, ეს ჩემი საქმე იყო. მე თითონ ცხოვრებაში შემხვდა არა მცირედი შრომა, გამომიცდია შიმშილი, გაჭირვება, არ ვყოფილვარ და არც ვიქნები ბედნიერი—და—ეშმაკმა წაიღოს ჩემი თავი!—არც ვწუხვარ მაინცა და მაინც, როცა ამას დაუფიქრდები: არ მრწამს რომ ცხოვრება ღირდეს, და იქნება მარტო ამ მიზეზით, სულითა და გულით თანავუგრძნობ ადამიანის ყოველგვარ გაჭირვებას.

მე კი, როცა მიხასის ხელა ვიყავი და ქუჩაში, ქალაქის გამგეობის წინ, მტრედებს დავზდევდი და ჩემს ტოლებს ვეთამაშებოდი,—თავისუფალი დრო მაინც მქონდა, აგრეთვე—ჯანმრთელობა და კარგი გუნებაც. ხველება მაშინ მე არ მაწუხებდა; როდესაც მცემდენ, ვტიროდი, სანამ მცემდენ, მარა თავისუფალი მაინც ვიყავი, როგორც ჩიტი, და არაფერზე

არ ვზრუნავდი. მიხასი ამასაც კი მოკლებული იყო. ცხოვრება, რასაკვირველია, ბოლოს იმასაც გააწვენდა გრდემლზე და დაურთავდა ურის, მარა, სამაგიეროთ, ბავშვობაში მაინც უნდა ღირსებოდა გულიანათ გაცინება იმაზე, რაც ბავშვებს ართობს, უნდა ღირსებოდა აგრეთვე წმინდა ჰაერში და მზისით გულის შეჯერებამდე ცელქობა და სირბილი. მარა ასეთს ჰარმონიას შრომისას ბავშვობასთან ის მოკლებული იყო. ეს კი არა, მე მას ვამჩნევდი, როცა სკოლაში მიდიოდა და იქედან ბრუნდებოდა, ყოველთვის მოწყენილი იყო. წიგნების სიმძიმით ბეჭებში მოხრილი, დასუსტებული კუთხებ დანაოჭებულ თვალებით, თითქმის ყოველთვის ცრემლებს იკავებდა,—და ამიტომაც მე თანავუგრძნობდი მას და მინდოდა მისთვის მფარველობა გამეწია.

მე თვითონ მასწავლებელი ვარ, თუმცა კი კერძო, და არ ვიცი რას ვიზამდი ამ ქვეყნათ, რომ სხვა სიკეთესთან ერთად დამკარგვოდა რწმენა მეცნიერების მნიშვნელობისა და იმ სარგებლობის, რომელიც მეცნიერებას მოაქვს. ხოლო ვფიქრობ, რომ მეცნიერება ბავშვებისათვის ტრაგედია არ უნდა იყოს, რომ ლათინური მათ ვერ გაუწევს ჰაერისა და ჯანმრთელობის მაგიერობას, და რომ სხვა ენაზე კარგს ან ცუდს გამოთქმას არ უნდა ჰქონდეს საბედისწერო გავლენა პატარა არსებათა ბედსა და სიცოცხლეზე.

მე აგრე მგონია, რომ პედაგოგიკა მაშინ უფრო კარგათ შეასრულებს თავის დანიშნულებას, როცა ბავშვი იგრძნობს, რომ მას ხელმძღვანელობს ალერსიანი ხელი, და არა მკერდზე დაჭირებული ფეხი, რომელიც თრგუნავს ყველაფერს, რისიც პატივისცემა და სიყვარული ბავშვს სახლში ასწავლეს.—ვგონებ, მარტო მე უნდა ვიყო ასეთი უკუღმართი, რომ სწორეთ ამ საგნის შესახებ. არაფრისთვის არ გამოვიცვლი ჩემს აზრს, რადგანაც თან და თან უფრო ვრწმუნდები, რომ ჩემი აზრი მართალია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გავიხსენებ ჩემს მიხასს, რომელიც წრფელის გულით მიყვარდა.

ექვსი წლის განმავლობაში მისი მასწავლებელი ვიყავი, ჯერ როგორც აღმზრდელი, მერე კი, როცა ის მეორე კლასში გადვიდა, როგორც რეპეტიტორი, და, მაშასადამე, საკმაო დრო მქონდა, რომ მას შევთვისებოდი. მაინც რატომ უნდა დავუმალო ჩემ თავს: ის ჩემთვის ძვირფასი იყო. როგორც შვილი ჩემთვის უძვირფასესი არსებისა და ამ ქვეყნათ... იმ არსებას არასოდეს არ ცოდნია ეს, და ვერც ვერასოდეს გაიგებს. კარგათ მახსოვს, რომ მე... ვიყავი მხოლოთ ბ-ნი ვავჟინკევიჩი, კერძო მასწავლებელი, და ამასთანავე ავადმყოფი, ის კი—გამოჩენილი გვარის შვილი, კარგი საზოგადოების მანდილოსანი, რომელსაც მე შეხედვასაც ვერ ვუბედავდი. მარა რადგანაც ობოლი გული, ცხოვრების ქარიშხალისაგან ნაქენჯნი, ბოლოს და ბოლოს უნდა მიეწმასნოს რასმე, როგორც მიეწმასნება ხოლმე ზღვის ტალღებისაგან გადანატყორცნი ნიჟარა,—ჩემი გულიც ისე მიეწმასნა მიხასის დედას. მაშ რა უნდა მექნა? განა ამით იმას რამე დაუშავდება? მე ხომ იმისაგან უფრო მეტს სინათლეს არ ვნატრულობ, ვიდრე ჩემდა წილათ მხვდება მზისაგან, რომელიც გაზაფხულში ათბობს ხოლმე ჩემს ავადმყოფ მკერდს. ექვსი წელიწადი ვცხოვრებდი მის სახლში, დავესწარი მისი ქმრის სიკვდილს, როცა ის იყო უბედური და მარტოხელი, მარა ყოველთვის კეთილი, როგორც ანგელოზი, იყო შვილების მოყვარული, თავის ქვრივობაში თითქმის

წმინდა და, მაშასადამე... ასეც უნდა მომხდარიყო... მარა ეს სიყვარული კი არ არის ჩემი, ეს უფრო სარწმუნოებაა ჩემი.

მიხასი ძალიან ჩამოჰგავდა დედა მისს. ყოველთვის, როცა ის შემომხედავდა, ასე მეგონა—დედა მისს ვუყურებდი. მას ჰქონდა იგივე ნაზი, მოხდენილი პირის ნაქვთები, იგივე პირისახე დაჩრდილული სქელი ხუჭუჭა თმით, იგივე ნაზი მოქნილობა წარბებისა, ნამეტურ კი ხმა, თითქმის იგივე, როგორიც ჰქონდა დედა-მისს. დედა-შვილის ხასიათში იყო ერთი მსგავსებაც: ორივეს ჩვევოდათ გრძნობებითა და ფიქრებით გატაცება. ისინი ორნივე ეკუთვნოდნენ იმ გვარს ნერვებიან, მგრძნობიარე, კეთილ-შობილ და მოყვარულ არსებათ, რომელთაც შეუძლიათ უდიდებულესი თავ-განწირულება, მარა ცხოვრებაში კი, სინამდვილესთან საქმის დაჭერის დროს, ბედს ვერ ეწევიან, და უფრო მეტს გაცემენ, ვიდრე ითონ მიიღებენ ხოლმე. ამგვარი ადამიანები დღეს ილუპებიან, და მე მგონია, რომ ეხლანდელს ვინმე ბუნების მეტყველს შეუძლია თქვას იმათზე, რომ ისინი იბადებიან გულის მანკით, რადგანაც ერთობ მოყვარულ გულისანი არიან.

მიხასის წინაპარნი ოდესმე მდიდრები ყოფილან, მარა, ვაი რომ ერთობ გატაცებულნი ყოფილან სიყვარულით... და ამიტომაც სხვა და სხვანაირ გრიგალ-ქარებს შეურყევიათ მათი სიმდიდრე, და, თუმცა ის, რაც დარჩათ არც საღარიბოა და არც საგლახაკო, მარა მაინც შეუძლებელია ეხლანდელი მათი ნივთიერი მდგომარეობის შედარება მათს ბრწყინვალე წარსულთან. მიხასი თავის გვარის მოძირე [1]) იყო, და ამიტომაც დედა მისს უყვარდა იგი არა მარტო როგორც შვილი, არამედ რიგორც ყველა თავის იმედები მომავალში. საუბედუროთ დედა მისი, როგორც საზოგადოთ ყოველი დედა, იმდენათ ცდებოდა, რომ მიხასი საუცხოვო ნიჭის პატრონი ეგონა! მართალია, ბავშვი არ იყო გონება ჩლუნგი, მარა ის ეკუთვნოდა იმ ჯურს ბავშვებისას, რომლების ნიჭი თავდაპირველად არ აღემატება საშუალო ნორმას, და იფურჩქნებიან მხოლოდ შემდეგში, ფიზიკურს ძალასა და ჯანმრთელობასთან ერთათ. სხვა პირობებში ის შეიძლებდა გიმნაზიის და უნივერსიტეტის გათავებასაც, და საკარგეძლო მუშა იქნებოდა ყოველგვარ ასპარეზზე. არსებულ პირობებში კი, ბავშვი მხოლოთ იტანჯებოდა, და, რაკი იცოდა დედის აზრი, ტყუილათ ძალას ატანდა თავის თავს.

ბევრი რამ უნახავს ამ ქვეყნათ ჩემს თვალებს, და მე გადავსწყვიტე არაფერი აღარ გავიკვირვო ხოლმე, მარა გამოტეხილი უნდა მოგახსენოთ, რომ წინათ ძნელათ დავიჯერებდი ისეთი აპუწული წესის არსებობას, რომელიც ბავშვს საკნებლათ გადუქცევდა მისვე მხნეობას, ხასიათის სიმტკიცეს და შრომას. ასეთ წესში არის რაღაც მანკი, და რომ სიტყვებს შეეძლოს ჩემი სიმწრისა და ლმობიერების ანაზღაურება, ჰამლეტისამებრ ვიტყოდი, რომ „ამ ქვეყნათ ბევრი რამ არის, რაც ფილოსოფოსებს არც დასიზმრებიათ“...

მე ისე ბეჯითათ ვმეცადინეობდი მიხასთან, თითქო იმ ნიშნებზე, რომელსაც ის იღებდა, დამოკიდებული იყო ჩემი საკუთარი მომავალი. მე და ჩემს ძვირფასს ბავშვს ერთი რამ გვქონდა საგნათ: არ გვეწყენინებია დედისათვის, გვეჩვენებია მისთვის კარგი ნიშნები და მითი გამო-

[1]) მოძირე—უკანასკნელი წარმომადგენელი გვარისა. მთარგმნელი.

გვეწვია ბედნიერების ღიმილი მის ტუჩებზე. როდესაც ბავშვი მიიღებდა კარგ ნიშანს, ის ბრუნდებოდა გიმნაზიიდან გახარებული და ბედნიერი. მე შეჩვენებოდა, რომ ამისთანა დღეებში ის უეკრათ იზრდებოდა, მისი ჩვეულებრივათ მწუხარე თვალები იცინოდა ბავშვური გულწრფელი სიცილით, და ანათებდა, როგორც ორი ნაკვერცხალი. მიხასი მაშინვე გადმოიხდებდა თავის ვიწრო მხრებიდან წიგნებით სავსე ჩანთას, და თვალების დაპაჭუნებით კარების დვირედანვე მომაძახებდა:

— ბატონო ვავჟინკევიჩ, დედა დღეს ჩემი კმაყოფილი იქნება! დღეს მივიღე გეოგრაფიიდან... აბა, თუ გამოიცნობთ, რამდენი?

და როდესაც თავს ისე ვაჩვენებდი, ვერ გამოვიცანითქო, ის გამარჯვებული სახით მომეარდებოდა, მომეხვეოდა და ვითომც ყურში მეუბნებოდა, მარა ხმამაღლა მეტყოდა:

— ხუთი, ნამდვილათ ხუთი!

სწორეთ მაშინ იყო ჩვენთვის ბედნიერი წაძები. ასეთ დღეებში, საღამოობით, მიხასი ოცნებას მიეცემოდა, და თავის გუნებაში წარმოიდგენდა, თუ რა იქნება, რომ მან ყველა საგნებში კარგი ნიშნები ჰიიღოს, ამასთანავე ის, არ ვიცი მე მეუბნებოდა, არ ვიცი თავის თავს:

— საშობაოთ ჩვენ გავემგზავრებით ზალესინოში, იქნება თოვლი, როგორც ჩვეულებრივათ არის ხოლმე ზამთარში, და ამიტომაც ჩვენ წავალთ მარხილებით. სოფელში ღამით ჩავალთ, მარა ეს არაფერია! დედა მიმელის, მომეხვევა, მაკოცებს, და ერე მკითხავს წლის მეოთხედის ნიშნები როგორი მაქვს, მე განგებ მოვიწეხარებ თავს, და დედა კი წაიკითხავს: საღმოთო წერილიდან—კარგი, ნემენცურიდან—კარგი, ლათინურიდან—კარგი.... სულ კარგი ნიშნები. ოჰ, ბატონო ვავჟინკევიჩ, რა ბედნიერება იქნება ეს!

და საწყალ ბავშვს ცრემლები მოადგებოდა თვალებზე. მე კი, იმის მაგიერ რომ ბავშვი შემეჩერებინა, ჩემი დაქანცული საგონებელით მივყვებოდი მისი ოცნების კვალს, გავიხსენებდი სახლს ზალესინოში, მის დიდებულ შესახედაობას და იმ უმაღლეს ხარისხამდის კეთილშობილ არსებას, რომელიც იქ სუფევდა; გავიხსენებდი აგრეთვე იმ ბედნიერებას, რომელსაც მას მოუვლენდა ბავშის მისვლა კარგი ნიშნებით.

მე ვსარგებლობდი ამისთანა დროით და ვუხსნიდი ბავშვს, რომ დედამისისთვის, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს მისს კარგს სწავლას, მარა იმისთვისვე უაღრესათ საჭიროა შვილის სიმრთელეც, და, მაშასადამე, ის არ უნდა ტიროდეს, როცა მე სასეიროთ მიმყავს, იძინოს უნდა იმდენხანს, რამდენხანსაც მე ვურჩევ, და ისე დიდხანს არ უნდა მეცადინეობდეს ღამ ღამობით. გულ აჩუყებული ბავში მომეხვეოდა და იმეორებდა:

— კარგი, კარგი, მე მრთელი ვიქნები და ისეთი დიდი გავიზრდები, რომ ვერც დედა მიცნობს და ვერც პატარა ლოლა.

მე ხშირად მომდიოდა წერილები დედამისისაგან, რომელიც მთხოვდა თვალყური მედევნებინა ბავშის სიმრთელისათვის. მარა სასოწარკვეთილებით ვრწმუნდებოდი, რომ სწავლისა და სიმრთელის მორიგება შეუძლებელი იყო. სასწავლო საგნები რომ ძნელი ყოფილიყო, ვითხოვდი, რომ მიხასი მეორე კლასიდან პირველში დაებრუნებინათ, მარა მას ყველა ეს უნაყოფო საგნები ჩინებულათ ესმოდა: მაშასადამე, საქმე ეს საგნები კი

არ იყო, საქმე დრო და შავბედითი ნემეცური ენა იყო, რომელიც მიხასმა კარგათ არ იცოდა. აქ მე არაფერი შემეძლო, და მხოლოთ იმის იმედი მქონდა, რომ ზედმეტ მეცადინეობისაგან დასუსტებული ბავში გამომრთელდებოდა მომავალ დღესასწაულებში.

მიხასი რომ გულგრილათ ყოფილიყო სწავლას დამოკიდებული, მე უფრო ნაკლები საზრუნავი მექნებოდა, მარა, ვაი, რომ მისს სწავლას მარცხი უფრო სდევდა, ვიდრე გამარჯვება. ისეთი წამები, როცა ის ისე გახარებული იყო ხუთების მიღებით, როგორც ზევით მოგახსენეთ, იშკიათი იყო.

მე იმდენათ შევისწავლე ბავში, რომ პირველ შეხედვისათანავე შევატყობდი, როდის ბრუნდებოდა ის სკოლიდან და მარცხებული.

— ცუდი ნიშანი მიიღე? ვკითხავდი მას.

— ჰო!

— გაკვეთილი არ იცოდი?

ზოგჯერ ის მომიგებდა:

— არ ვიცოდი. მარა უფრო ხშირათ კი მეტყოდა: ვიცოდი, მარა ნემეცურათ ვერ ვთქვი...

პატარა ოვიცკი, მეორე კლასის პირველი მოწაფე, რომელიც განგებ მოვიწვიე, რომ ჩემ საბრალო ბავშვთან ერთათ ესწავლა, მეუბნებოდა, რომ მიხასი უფრო იმიტომ ღებულობს ცუდ ნიშნებს, რომ ნემეცურში ენა არ აქვს გატეხილიო...

რამდენადაც უფრო და უფრო იღალებოდა ბავშვი გონებრივათ და ფიზიკურათ, იმდენათ უფრო ხშირათ იღებდა ის ცუდ ნიშნებს. მე შევამჩნიე, რომ როცა ნამტირალევი მიხასი გაკვეთილის დასასწავლათ დაჯდებოდა, მაშინ დაწყნარებული და დამშვიდებულო იყო, მარა ამ გაორკეცებულ ბეჯითობას, რომლითაც ის ეკიდებოდა თავის საქმეს, რაღაც სასოწარკვეთილება ლა აფოცება ეტყობოდა. ხანდახან ის დაჯდებოდა კუთხეში, ორივე ხელს შემოიჭირებდა თავზე და გაჩუმდებოდა: ფიქრით გატაცებული ბავში ჰგონებდა, რომ სამარეს უთხრის საყვარელ დედას, მარა არ იცოდა—რანაირათ გამოეკეთებია საქმე. მას ჯეროდა, რომ ის თილისმით არის შეკრული, და რომ ვერასოდეს ვერ გამოვა ასეთ მდგომარეობიდან.

მიხასმა უფრო ხშირათ დაიწყო ღამით მეცადინეობა. იმის შიშით, რომ მე არ გამომღვიძებოდა, და არ მეთქვა იმისთვის დასაძინებლათ წასულიყო, მიხასი ჩუმათ ადგებოდა ხოლმე ღამით, გაიტანდა ლამპას წინა ოთახში, იქ აანთებდა და შეუდგებოდა მეცადინეობას. სანამ მე ამას ვაუგებდი, მან ამნაირათ გაატარა თურმე რამდენიმე ღამე ცივ ოთახში. მე მეტი რა უნდა მექნა, გარდა იმისა, რომ მეც წამოვდექი, შევიხმე ის ოთახში, მოვუსმინე ყველა გაკვეთილები, და დავარწუნე, რომ მან იცოდა ისინი, და რომ ის ტყუილა უბრალოთ იცივებდა თავს. ბოლოს იქამდი მივიდა საქმე, რომ მიხასს აღარ შეეძლო გამოეკვეთა—რა იცოდა მან და რა არა. ბავშვს ეკარგებოდა ძალა, ხდებოდა, ყვითლდებოდა და კიდევ უფრო ჯავრიანდებოდა. ზოგჯერ მოხდებოდა ისეთი რამე, რაც მარწმუნებდა, რომ არა მარტო მეცადინეობა ასუსტებდა მის ძალებს. დედამისის თხოვნით მას ყოველ დღე ვასწავლიდი ისტორიას, რომელიც „ბიძამ უამბო თავის ძმის წულებს“. ერთხელ ასეთ სწავლების დროს მიხასი წამოვარ ა მოელვარე თვალებით, მე კანაღამ შეშინდა, როცა მან გადმომავლო განმცე-

ლი და ბაკაცრი თვალები, და შემომძახა:

— მასასადამე ეს მართლა არ ყოფილა ზღაპარი, რადგანაც...

— რადგანაც რა, მიხასო? ვკითხე მე გაკვირვებით.

პასუხის მაგივრათ მან დაკრიჭა კბილები და ბოლოს ისეთი გულ ამოსკვნილი ტირილი დაიწყო, რომ მე დიდხანს ვერ დავამშვიდე.

მე გამოვკითხე ოვიკის ამ ტირილის მიზეზი: იმან, არ ვიცი ვერ მოახერხა, არ ვიცი მართლა არ იცოდა და ვერ ამიხსნა ამის მიზეზი, რაც მე თვითონ მივხვეთ მალე. ყოველ ეჭვს გარეშე იყო, რომ პოლაკის ბავშვს ნემეცურ სკოლაში ესმოდა ბევრი რამ ისეთი, რაც შეამავდა მის გრძნობებს. ასეთი განაგონი ასხლტებოდა სხვა ბავშვების გულს, და არაფერ კვალს არ ტოვებდა მათში, გარდა მტრობისა მასწავლებელთადმი და მათი ეროვნების მიმართ. მარა ისეთი პატიოსანი ბავში, როგორც მიხასი, სწავლობდა ასეთ მონასმენისაგან გამოწვეულ გრძნობებით, მარა სიტყვის შებრუნებას ვერავის უბედავდა. ორი ძალა, ორი ხმა, რომლებსაც უნდა ემორჩილებოდეს ბავშვი, და რომელთა შორის სწორეთ ამიტომ უნდა არსებობდეს სრული ჰარმონია, თავ-თავისკენ, ერთი მეორის წინააღმდეგ, ეწეოდენ მიხასს. რასაც ერთი ავტორიტეტი არქმევდა წმიდას, ძვირფასს, ის მეორეს მიაჩნდა დაძველებულათ და სასაცილოთ; რასაც ერთი არქმევდა სათნოებას, მეორეს მიაჩნდა— დანაშაულათ. და აი ამ ორი, ერთმანეთის წინააღმდეგ მიმართულებიდან ბავშვი გაჰყვა იმ ხმას, რომელსაც თანაუგრძნობდა მისი გული, მარა ამასთანავე ისე უნდა ეჩვენებინა თავი, ვითამ ემორჩილება და სწამს სრულიათ წინააღმდეგი. ასეთ თავის მოჩვენებაში უნდა ყოფილიყო ის დილიდან საღამომდი, და ეცხოვრა ამნაირს ტანჯვაში მთელი დღეები, კვირეები, თვეები... რა საშინელი მდგომარეობაა... ბავშისათვის!

ახირებული იყო მიხასის ბედი. ცხოვრების დრამები იწყება ხოლმე ბევრათ უფრო გვიან შემდეგ იმისა, როცა სიყმაწვილის ხეს ჩამოცვინდება პირველი ფოთლები, მიხასისთვის კი ყველაფერი ის, რაც შეადგენს უბედურებას: ზნეობითი იძულება, დაფარული მწუხარება, მოუსვენებლობა, ამაო მეცადინეობა, დაბრკოლებებთან შებრძოლება, თანდათანი სასოწარკვეთა,—ყველაფერი ეს დაიწყო მისი ცხოვრების მეთერთმეტე წლიდან. არც მის სუსტ აგებულებას, არც მის მილეულ ძალებს არ შეეძლოთ ასეთი ტვირთის ზიდვა. გადიოდა დღეები, კვირეები, და საბრალო ბავშვი აორკეცებდა თავის მეცადინეობას, მარა შედეგი მაინც უფრო და უფრო უარესი იყო. დედის წერილები, თუმცა გრძნობით იყო ნაწერი, მარა მის მწუხარებას კიდევ უფრო ადიდებდა.

„მიხასო, ღმერთს მოუნიჭებია შენთვის არა ჩვეულებრივი გულის ყური,—წერდა დედა მისი,—ამიტომაც მე მწამს, რომ შენ გამიმართლებ რაც შენზე იმედები მაქვს, და გამოხვალ მამულის სასახელო და ნუგეშის მცემელი შვილი“.

როცა ბავშვმა პირველათ მიიღო ასეთი წერილი, მე მომვარდა, დამიჭირა ხელი და ცრემლების ღვრით იმეორებდა:

— რა ვქნა, ბატონო ვავჟინკევიჩ! რა მოვახერხო?

მართლაც, რა უნდა ვქნა? განა მისი ბრალი იყო, რომ მას არ ჰქონდა თანშობილი ნიჭი ენების შეთვისებისა, და რომ ნემეცურში ენა არ ჰქონდა გატეხილი?

მარა, აი, დაიწყო ყველა წმიდათა დღე-

სასწაული, და გათავდა პირველი მეოთხედი წლისა. მიხასის წიშნები ვერაფერი შვილი იყო: სამი უმთავრესი საგნიდან სუსტი ნიშნები ჰქონდა. შევიწყნარე მისი მუდარება, და ცნობები არ გამიგზავნია დედა-მისისთვის.

— თქვენი ჭირიმე, ნუ გაუგზავნით! შემომძახა მან. დედამ არ იცის, თუ ამ სადღესასწაულოდ ცნობებს გვაძლევენ, და საშობოთ კი, იქნება ღმერთმა მომხედოს.

საბრალო ბავშვი თავს იმედით იტყუილებდა, რომ საშობოთ კარგ ნიშნებს მიიღებდა. სულს ქვეშე რომ ვთქვა, მეც ასეთი იმედი მქონდა. მეგონა, რომ ის შეეჩვეოდა სკოლაში არსებულ წესებს, შეეგუებოდა ყველაფერს იქაურს, და უფრო თავისუფლათ ილაპარაკებდა ნემეცურად. უფრო კი იმას ვიმედობდი, რომ მიხასს აღარ დაჭირდებოდა იმდენი მეცადინეობა გაკვეთილების მოსამზადებლათ. რომ ასეთი მოსაზრებანი არა, მე დიდი-ხნიდან უფრო ადრე მივწერდი დედამისს და გულ ახდილათ ავუხსნიდი საქმის მდგომარეობას. იმედები თითქმის არ იყო ამბო. ყველა წმიდათა დღესასწაულის შემდეგ მიხასმა მიიღო სამი ჩინებული ნიშანი, იმათგან ერთი ლათინურიდან. მთელს კლასში მარტო იმან იცოდა რომ გაუდეო—დან (მიხარია) წარსული დრო იქნებოდა—გავისუს სუმ, და იცოდა იმიტომ, რომ წინათ ორი კარგი ნიშანი მიიღო და მკითხა—როგორ არის ლათინურათ—მიხარიაო. ასე მეგონა ბავშვი სიხარულისაგან გადირეოდა. მან მიწერა დედა მისს წერილი, რომელიც იწყებოდა ასე:

„ძვირფასო დედილო, იცი როგორ არის ჰერფექტუმ გაუდეო-დან?“ დარწმუნებული ვარ ეს არც შენ გეცოდინება, და არც პატარა ლოლას, რადგანაც მთელ კლასში მარტო მე ვიცოდი!“

თ. მაგმაძე.

(დასასრული იქნება)

სიმღერა

ჩემის კაცობის გვირგვინო,
ჩემო სამშობლო მხარეო!
შენგან შობილი ოცნება
გულს შანთად გავიყარეო.
არ მიმეფარო თვალთაგან,
დამიცევ, დამიფარეო.
ბევრს ტანჯვას გამოვლილი ვარ,
ბევრი დღე ვნახე მწარეო.
არ დაიმალვის, როგორც მზე,
რაც მე ცრემლები ვღვარეო.
ის მოიგონე, მაინცა,
ბეჩავო არე—მარეო!
ჩემს ცრემლს უბეში ინახავ,
ვიცი, სამშობლოს მთვარეო;
არ მიღალატო, ოცნებავ,
მნახოდი მალი მალეო.
კი არ შემომწყრე, მიმუხთლო,
იარო გარე—გარეო.
თუ ამას იზამ წინადღით
საფლავი გამითხარეო.
მოვკვდე? კაცთ ხელი მერიდოს...
ოცნებავ დაგიბარეო:
შენ მნახე, შენა, მარტო შენ,
გულს ბიწა მომაყარეო!

ვაჟაფშაველა.

სულა და ღმერთები

(სპარსული ლეგენდა)

ო რ მ უ ზ დ ი

თუ მაგრე არის, აქავე დარჩი
დედავ და შვილო ტკბილი გრძნობისა.
იყავ უკვდავი გამვრცელებელი
სათნოებისა და მშვენებისა.
მაგრე კი არა, მხოლოდ დამთანხმდი,
სახე ატარე ფერვერებისა..
წარმოიდგინე, რაც რამ არსებობს,
იზრდება, ანუ აღმოცენდება
განაგე კაცთა საბედნიეროდ,
როგორც შენ გინდა და მოგიხდება.
შენ გაუმაგრე პატიმრებს გული,
სიმართლისათვის თავდადებულთა;
გზა და სავალი შენ წარუმართე
სახელისათვის დაბადებულთა.
შენა ჰფარავდე ყველა საბრალოთ,
ბრმა, ყრუვთ, ღარიბთ ბოროტ-ქვრივებსა.
შენ შეამცირე ცრემლი და ტანჯვა,
შენ დაეხმარე შრომის შვილებსა.
შენ ჩაიბარე სიკვდილ, სიცოცხლე,
განუყოფელი მიწა და წყალი,
ყველას შენს ჭკვაზედ გაუნაწილე
და დაიფარე კაცი და ქალი.
ვსთქვათ: დღის სანთელი ღამემ მიმალა,
ძილმა მოდრიკა ყველა სულდგმული
და ბაღში ნაზად ცხარე არშიყი
ვარდს მიესალმა სტვენით ბულბული.
ნამაშვრალევი მამა მკლავზედ წევს,
დედას აკვანზედ დასძინებია
და ჩვილი ბავშვი უმანკოებით
იმას გულ-მკერდზედ მიჰსვენებია.
ამ დროს შეეიდა ქოხში მცურავი,
პირდაპირ მიდის და მისრიალებს.
უნდა დაეცეს უმანკო მსხვერპლთა,
ცოდვიან თვალებს მიაბრიალებს.
მაშინ იქა ხარ იმათი მცველი
და უხილავად მათი მფარველი;
უნდა მისვლამდის კრიჭა შეეკრას,
უნდა გაშეშდეს მაცდური გველი.
ან მოიგონე იგივე ღამე—
ლამაზი ქალი ლოგინზედ წვება;
მაღალი მკერდა ასდის და ჩასდის,
როგორც ყვავილზედ ნამები ჰკრთება
და გრძელი თმები ყარყარა ყელზედ
და ბროლის მკერდზედ ეთამაშება!
შენ კი უმჩნევლად იქავე მყოფი
თავზედ დაჰყურებ ხელ-გაპყრობილი,
ის თვალებს ჰხუჭავს, ძილს მიეცემა;
ჰდგეხარ და სტკბები აღტაცებული!
მის უკეთესი, რაც ეხლა გითხარ,
არ ვიცი კიდე რა გენდომება?
იყავ, იმეფე .. სხვა ჩემის მეტი
უფროსი არვინ არ გეყოლება..

ს უ ლ ა

ვით წვიმა და მზე ფოთლის კოკორსა
გამოიტყუვებს გასაშლელადა;
მსკავსად იმისა თქვენ მიერ თქმული
კაცს მიიზიდავს საცდუნებლადა.
ყველა კარგია, ვინ არ უნდა ჰთქვას,
რაც თქვენა ჰბრძანეთ, მეც.გეთანხმებით.
ვკადნიერდები და მოგახსენებთ,
მაინც ყაბული ვერ გაგიხდებით.

ო რ მ უ ზ დ ი

მითომ რატომ?

ს უ ლ ა

იმით რომ ჩემი იქნება ჰჯობდეს
აზრი აზრს თქვენსას, ნდომა ნდომასა
და მაინც უნდა დავემორჩილო
მე თქვენს სურვილსა და ბრძანებასა.

ო რ მ უ ზ დ ი

არა მგონია სადმე ჩალა ბზე
ზამთრის იმდენი იხარჯებოდეს,
რამდენიც სიტყვა „თავისუფლება“
დუნიეებზედ �ოშებოდეს,
მაგრამ იმისი აზრი და ფასი
სწორედ კი არვის ეყურებოდეს.
თუ შენც იმგვართა ჯოგს არ ეკუთნი,
შეუფერებლად ეხლავ მითხარი:
ან რას ეძახი თავისუფლებას,
ან კაცს სად უძევს იმის სამძღვარი?

ს უ ლ ა

როგორც ცივს მთაზედ გასაშენებლად
ბალი და ბალჩა არ შეიძლება,
ისე ბრმად როცა ადამიანი
სხვისა ბრძანებას ემორჩილება;
ან, როცა სინდისს, პატარა ღმერთსა,
ქენჯნის ჯარ-მჭვალი შამოერტყმება,
მაშინ იქ ბალში თავისუფლების
ნერგი არას დროს არ აყვავდება,
მხოლოდ იქ არის თავისუფლება,
საცა ყველაა კანონმდებელი,
თვით უფალია თავის სიტყვისა,
მეფე და მონაც ამსრულებელი.

ბაჩანა.

(შემდეგი იქნება).

პედაგოგიის ისტორია

დ—რ. ვაიმერისა. (გერმანულიდან)

§ 10. კათოლიკ. სწავ. საქმე რეფორმაციის ხანაში. იეზუიტები. ვიესი.

რეფორმაციის ხანა კათოლიკეთა ეკლესიისათვისაც განახლების დრო იყო; ეკლესიის ცხოვრების ყველა მხარეებში იწყება ახალი შრომა. დიდ ხანს გაგრძელებულმა ტრიოდენტის მსოფლიო კრებამ, რომლის მიზანი იყო ეკლესიის საქმეების განახლება, მრავალ დადგენილებითა შორის მიიღო რამდენიმე გადაწყვეტილება სკოლის საქმის გაუმჯობესობის შესახებაც. მღვდლებს ხელახლად მიანდვეს ახალგაზდობის სწავლების საქმე და მღვდელმთავრებს დაევალათ სემინარიების დაარსება ახალგაზდების მეცნიერულად — სამღვდელოდ აღსაზრდელად. მაგრამ ეს დადგენილებანი უსახსრობისა და სამღვდელოების დაუდევრობისა გამო, ვერ განხორციელდებოდენ, რომ 1540 წელს დაარსებულს **იეზუიტთა** ორდენს თავს არ ედვა ამ საქმის გაძღოლა. მე-XVI-ტე საუკუნის ნახევრიდან ამ ორდენმა ისეთი უნარი გამოიჩინა სწავლის საქმეში, განსაკუთრებით კი უმაღლეს განათლებაში, რომ ეოვეღიგე მოქმედება სამღვდელოებისა იეზუიტებთან შედარებით ფერს კარგავდა. შაგვე ორდენის დამფუძნელი იგნატიუს ლოიოლა მიხვდა, რომ ეროტიკოსებთან ბრძოლაში სკოლა ისეთივე დიდმნიშვნელოვანი იარაღია, როგორც აღსარების მიღება და ქადაგება. ამიტომაც ლოიოლამ თავის Constitutiones—ში, ორდენის ძირითად წესდებაში, მიზნად დასახა მთელი სწავლა-განათლების ხელში ჩაგდება და შეიმუშავა ძირითადი კანონები იეზუიტური პედაგოგიისა. Ratio ac institutio studiorum societatis Jesu, (სასწავლო გეგმა და წესდება იესოს საზოგადოებისა) რომელიც 1586 ექვსმა მეცნიერმა პატრმა შეადგინა და რომელიც გულდასმით შემუშავების შემდეგ, 1599 წელს დამტკიცა ორდენის წინამძღოლმა კლავდიუს დე აქვავივამ; ეს წესდება შემუშავებულია იგნატიუსის რჩევის მიხედვით.

Ratio (გეგმა), როგორც ყველა ორდენის საქმეში, ისე სწავლაშიც შეუზღუდველს უფ-

ლებას ანიჭებს ორდენის წინამძღოლს. პრო-ვინციალებს, ზედამხედველებს თავ თავის პროვინციების სასკოლო საგარეში უნდა წარედ-გინათ ფრდენის ლენერალისთვის. ყოველ კოლ-ლეგიუმთან (იეზუიტთა ინსტიტუტი) დაარ-სებულია სასწავლებელი, რომელიც ამზადებს მოწაფეებს მომავალ საერო მოვალეობათა-თვის და ორდენის წევრად. სწავლა გაყოფილია ორ ნაწილად: უმაღლესი სკოლა (studia superiora) და მდაბალი (studia inferiora); ყოველ მათგანს ჰყავს თავისი პრეფექტი და ორივეს უძღვება ერთი რექტორი. მდაბალი სკოლა ხუთს კლასში (ექვსი წელიწადი) იძ-ლევა ცოდნას გიმნაზიისას. როგორც მიზანი ისე მეთოდი ამ სკოლისა იგეთივეა, როგორც თანამედროვე პროტესტანტთა სკოლებისა. სწავლა იწყება გრამატიკის ზედმიწევნით შეს-წავლით, შემდეგ ელოქვენციის შესათვისებ-ლათ მოწაფეებს მუყაითად აკითხებენ განსა-კუთრებით ციცერონს, ხშირად ავარჯიშებენ წერაში და უთუოდ ლათინურათ ალაპარაკებენ. კლასიკთა, უმთავრესად, იმ მიზნით აკითხებენ მოწაფეებს, რომ ბეჯითად შეისწავლონ გრა-მატიკული და რეტორიული ცოდნა. შინაარსს რომ აქცევდნენ უურადღებას იქედანაც სჩანს, რომ გეგმა მოითხოვს რათა გამორიცხულ იყოს ზნეობის მხრივ საეჭვო ადგილები და უურადღება მიექცეს ერუდიციას ე. ი. რეა-ლურ სწავლათა ცოდნას. დედა აზრი „იმი-ტაციონის“ ე. ი. მიბაძვის სწორეთ ისე ეს-მის გეგმას, როგორც შტურმს. ბერძნული უნდა ისწავლებოდეს ყოველ დღეს თუთხმეტი წუთი და არა მხოლოდ იმ მიზნით, რომ მოწაფეებმა ორატორთა და ისტორიკოსთა თხზულებანი წაიკითხონ, არამედ შესძლონ ამ ენაზე ლაპარაკი და წერა. სამღრთო სჯულის სწავლა შემოკლებულია, სწავლობენ მხოლოდ: ბ. კანიზიუსის კატეხიზმოს და კითხულობენ სახარებას. რეალური საგნები, გარდა მათემა-თიკისა, არ არიან შესწავლის ღირსად ადია-რებულნი.— უმაღლესი სკოლა შესდგება 2 ან 3 წლის ფილოსოფიური კურსიდან (საფუძვ-ლათ ამ სკოლას ჰყავს მამა სხოლასტიკისა— არისტოტელი) და 4 წლის თეოლოგიური კურსი, რომელიც აგებულია თომა აქვინე-ლის სისტემაზე. ეს დამაგვირგვინებელ სწავ-ლის კურსი დანიშნულია მხოლოდ ორდენის მომავალი წევრების გასავითარებლად. ყოველი იეზუეტი მოვალეა, ფილოსოფიური კურსის დამთავრების შემდეგ, მასწავლებლად დარჩეს უმცროს კლასებში, მიუხედავათ იმისა ვარგა მასწავლებლათ თუ არა.

აღზრდის შესახებ „Ratio“ ისეთსავე დაწვ-რილებით რჩევებს იძლევა, როგორც სწავლის მოწყობისა და საგნების შერჩევის შესახებ. კეთილ მსახურება და კეთილი ზნეობა უნდა შეადგენდეს აღზრდის მიზანს. ამიტომაც ძველ ენებთან სამღრთო რჯული უპირველეს საგნათაა აღიარებული; სამღრთო სჯულმა უნ-და განამტკიცოს მოწაფეთა გრძნობაში მორ-ჩილება ეკლესიისა და პაპისადმი. ხშირს ლოცვებს უნდა მოჰყვეს მორჩილება და თავმ-დაბლობა; ზარმაც მოწაფეებს სასჯელათ ენიშ-ნება სამლოცველო ოთახში ლოცვა, ან და უქმე დღეებში მეორე წირვის მოსმენა. პატივ-მოყვარეობის და შეჯიბრების გაღვიძება, რომელსაც ჰუმანისტების სასარგებლოთ რაცხ-დენ, საუკეთესო საშუალებათ მიიღო იეზუიტთა პედაგოგიამ და ხშირად ისე ხმარობდენ რომ უფუჭებდენ შეგირდების ხასიათს. პატივმოყვა-რეობას, შაგალითად, შემდეგი საშუალებით განამტკიცებდენ ხოლმე: მოწაფეს, რომელსაც მიუსაჯავდენ სასჯელს კერძანულად ლაპარაკის გამო, ანთავისუფლებდენ ამ სასჯელისგან, თუ იგი იმავე დღეს დაიჭერდა ვისმე იმავე დანაშაულებაში და მოწმეებით დაუმტკიცებდა დანაშაულს. პატივმოყვარეობის შესისხლ ხორ-ცებისათვის ყოველს მოწაფეს ეიჩენილი ჰყავდა მეტოქე, რომელიც შეცდომებს უსწორებდა მოწინააღმდეგეს და ყოველი შეცდომის შესა-

ხებ მოახსენებდა ხოლმე უფროსებს. მოხელეების, პრეტორების, დეკურიონების არჩევა და საჯაროდ დარიგება ჯილდოებისა, რომელიც ხდებოდა წარმოდგენებთან ერთად მოწაფეების საუკეთესო ლექსების გამოფენა სამოსწავლო ოთახის კედლებზე, ცუდი მოწაფეების „სამარცხვინო სკამზე" გადასმა და სხვა, აგრეთვე შემოდებული იყო, რათა პატივმოყვარეობა უფრო ძლიერ აღეძრათ მოწაფეებში. თეატრალურ წარმოდგენებზე მოწაფეებს უნდა შეესწავლათ სხვა და სხვა ხელოვნური მიბაძვა-მოხვრა, ცხოვრების სხვა და სხვა მდგომარეობაში მოხერხებულად დაეჭირათ თავი. სხეულის განვითარებას გიმნასტიკის საშუალებით დიდს ყურადღებას აქცევდნენ. მოწაფეთა მოქანცულობის ასაცდენად შემოდებული იყო განსაზღვრული დრო (ხუთი საათი დღეში); ძესაფერისი განაწილება სამუშაოსი, დასვენება გაკვეთილებს შორის და საკმაო დიდი დრო საზაფხულოდ დასასვენებლად. გაწკეშვლა მოწაფისა სისრულეში მოჰყავდა ამ საქმისთვის სპეციალურად დანიშნულს პირს—კორრექტორს. იეზუიტების სკოლის შენობებს ჰიგიენის მხრივ არც წინად და არც ახლაც არაფითარი წუნი არ ჰქონდათ.

იეზუიტთა სკოლების უტუარი უპირატესობა თავიდანვე დიდს ნაყოფს უქადდა მათ და მართლაც კათოლიკეთა საუკეთესო წრეებიდან ურიცხვი მოწაფეები მოაწყდა სკოლებს. რადგანაც იეზუიტთა სკოლებშიც იმასვე ასწავლიდენ, რასაც პროტესტანტთა სკოლებში, საშიშარი მეტოქეობა და შეტილება გაიმართა ამ სკოლებს შორის; ამ შეტილებაში იეზუიტებმა გაიმარჯვეს, რადგან თვით პროტესტანტი მშობლებიც კი ხშირად შეილებს იეზუიტების სკოლებში აბარებდენ. 1552 წ. ორდენმა პაპა იულიუს III-დან მიიღო უფლება ყოველგან სკოლების დაარსებისა და ბაკალავრის, მაგისტრის და დოქტორის ხარისხის მიტემისა. იმავ წელს რომში დაარსდა „Collegium germanicum"—დიდ ბოძი იეზუიტთა გერმანულ სკოლებისა; 1600 წელს ორდენს ქონდა 200 სკოლა; 1710 წ. კი—612 კალეგიუმი და 157 სემინარია და საერთო სატხოვრებელი.

სამწუხაროდ სწავლა აღზრდის საკითხებში იეზუიტები შეჩერდნენ მე XVI-ტე საუკუნეში გამოთქმულს აზრზე, რწმენამ, რომ მათი სწავლების კეგმა 1599 წლისა და კეგმის დაკვარეთ შედეგნილი სახელმძღვანელოები საუკეთესოა, თითქმის შეუძლებლად გახადა პედაგოგიის შემდეგი განვითარება. ეხლაც ძალაშია მოთხოვნილება, რომ ყოველმა იეზუიტმა რამდენიმე წელიწადი უნდა იმასწავლებლის, მხოლოდ მე XVIII საუკუნეში მოხდა სუსტი ცდა მცირე პედაგოგიური მომზადება მიეცათ იმათთვის, ვინც მასწავლებლად ემზადებოდა. Batio-ს მიერ სახელმძღვანელოთ მოწონებული ალვარეცის ლათინური ენის გრამატიკა და კრეტოსერის ბერძნული გრამატიკა მე XIX საუკუნეშიც კი საუკეთესო სკოლებში, მიუხედავად მრავალი შეცდომებისა და ნაკლულევანებისა, ხმარებაში იყო. მე XVIII საუკუნის ნახევრამდის გერმანული ენა გამორიცხული იყო იეზუიტთა სამოსწავლო კეგმისაგან; გეოგრაფია, ისტორია და მათემატიკაც, არ იპყრობდა დიდს ყურადღებას. მხოლოდ არსებობისთვის ბრძოლამ და პროტესტანტთა მუდამ წინმსვლელ სკოლებთან შეტილებამ აიძულა გენერალი როტანი ახალი კეგმა გამოეცა, რომელიც, თუმცა არ შორდებოდა Batio-ს ძირითად სიფუძვლებს, მაგრამ უფრო მეტს ადგილს უთმობდა ახალ ენებსა და რეალურ საგნებს.

უცხო ახალ-ოობის ჰუმანისტთა შორის აქ უნდა დავასახელოთ თეორეტიკოსი პედაგოგი, რომელმაც აღზრდისა და სწავლის საკითხებში ბევრად წინ გაუსწრო თანამედროვეებს. ეს არის ესპანელი ლუდვიგ ვივესი. ვივესი დაიბადა ვალენსიაში 1492 წელს და, რო-

გორც თავის სამშობლო ქალაქის აკადემიაში, ისე პარიზშიც მიიღო სხოლასტიური აღზრდა. პირველად ერაზმუსთან გაცნობამ შეათვისებია მას ჰუმანიზმი. 1519 წელს ვივესმა სრულიად უარჰყო სხოლასტიკა და, თუმცა ცხოვრების უმთავრესი დრო რეფორმაციის გავლენის ქვეშ მეოთე ნიდერლანდში გაატარა, კათოლიკეთა რწმენის მიმდევართა მაინც დარჩა. სანამ ჰენრიხ VIII თავის ცოლთან კატარინასთან კეთილგანწყობილებაში ცხოვრებდა, ვივესი, როგორც მასწავლებელი პრინცესსა მარიამისა, ძლიერ სასიამოვნო სტუმარი იყო ინგლისის სასახლეში. შემდეგ ვივესი მარტო მეცნიერულ შრომას დაადგა. გარდაიცვალა ვივესი 1540 წ. ბრიუგგეში. მრავალ პედაგოგიურ ნაწერებში (უმთავრესი თხზულება: De Disciplinis 1531 წ.) ვივესმა პირველად ჰუმნისტთა შორის სცადა პედაგოგია ეთიურ და ფსიხოლოგიურ საფუძველზე აეშენებინა. ძველადვე ტრადიციით გადმოცემული დამოკიდებულება არისტოტელისაგან უკუაგდო ვივესმა ერთი იმიტომ, რომ არისტოტელის ფილოსოფიის საერო მიმართულება შეუძლებელია საფუძვლად დაედოს ქრისტიანულ მსოფლმხედველობასო და მეორეცრადგან არისტოტელის შეგნებას რეალური საგნებისას დრომ უკვე გაუსწრო, ამიტომაც ვივესი თხოულობდა განსაკუთრებით ბუნებისმეტყველებაში დამოუკიდებელ დაკვირვებას და საკუთარ გამოკვლევას. ჰუმანისტებსავით ქრისტიანსაც არ მისდევდა ვივესი მორჩილად, ვივესი კრიტიკის თვალით უყურებდა არსებულს სკოლებს; ერთგვარად ჭკვიანვდა იგი, როგორც სხოლასტიკების დიალექტიურ თავის მტკრევას, ოინბაზობას; ისე ჰუმანისტთა ციცერონისაგან ამონაკლეკ ლამაზ ფრაზებით თავმომწონეობას. ვივესი სკოლაში სწავლებას ძინ სწავლებაზე უპირატესობას აძლევდა. მხოლოდ საჭოროდ ეაჩნდა, რომ სკოლის შენობები ჯანსაღობისათვის უკეთესად ეოფილიყო მოწყობილი, ვიდრე მანამდის იყო. მასწავლებელთა კორპორაციას რო პატივის-ცემა და დამოუკიდებულება შეეძინა, ვივესი თხოულობდა მთავრობისაგან მათთვის ჯამაგირს. ვიკესის აზრით ეოკელ სამ თვეში მასწავლებლების კრება უნდა გამართულიყო, საერთოდ სამოსწავლო საკითხების გამოსარკვევად, რომ უკეთ დახელოვნებულიყვნეს თავიანთ საქმეში. მასწავლებლები მოვალენი არიან მოწაფეთა კონებრივის მხრივ განათლებასთან ერთად იზრუნონ მათ ზნეობრივ განვითარებაზედაც. სწავლის უფლება უნდა მიეცეს მხოლოდ იმ მოწაფეს, რომელიც ბეჯითის გამოცდით დამტკიცებს, რომ მას ნიჭი შესწევს მასწავლებლობისა და სამეცნიერო მეცადინეობისა. ამ შორს მჭვრეტელმა განათლებულმა პედაგოგმა ოჯახის აღმზრდელობითი გავლენაც კი დრმად გაარჩია და გამოარკვია. ცალკე თხზულება უძღვნა ვივესმა თავის მფარველს ინგლისასას, დედოფალს ეკატერინას ქალთა აღზრდის შესახებ.

ნ. ლორთქიფანიძე.

გეოგრაფიული სახელების ახსნა

გეოგრაფიული სახელწოდების ახსნას ბევრნაირი მნიშვნელობა აქვს. მეტადრე ჩვენს ქვეყანას იმდენი თავგადასავალი არგუნა ისტორიულმა ბედისწერამ, რომ ქალაქს და სოფელს, ტყეს და ველს, წყალს და ტბას, მთას და კლდეს უნდა შერჩენოდა ცხოვრების დაუდეგარი ჩარხის ტრიალის გავლენა. ძველს და ახალს

სარწმუნოებას, ბუნებას თავის ცხოველებით და მცენარეობით, კაცის სულის კვეთებას და მისწრაფებას აგრეთვე უმოქმედნია ამა თუ იმ გეოგრაფიულს სახელწოდებაზე, რომლის გამორკვევა დროთა ვითარების მიმდინარეობით ძნელდება და იხლართება. სამზღვ რ-გარეთ და რუსეთშიაც გეოგრაფიულის ნომენკლატურის მიხედვით დაწერილია მრავალი გამოკვლევა, რომლის საფუძველს შეადგენს ეტიმოლოგიური ახსნა ამა თუ იმ ადგილობრივი სახელწოდებისა. თითო-ოროლა საქართველოს გეოგრაფიული სიტყვის ახსნა მოიპოვება ქართულს მწერლობაშიაც, მაგრამ სრული მეცნიერულად შემუშავებული გამოკვლევა ამ საგნის შესახებ ჯერ არ გამოსულა არც ქართულად და არც რუსულად. მხოლოდ ამ მოკლე ხანში დაიბეჭდა კ. განის*) პირველი ცდა „კავკასიის გეოგრაფიულ სახელების ახსნისა. როგორც პირველი ცდა საყურადღებოა, თუმცა ჩვენს მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. კ. განის „ცდას“ აკლია თავდაპირველად ტრანსკრიპცია, ე. ი. გეოგრაფიული სახელები ჩამოთვლილია და აღნუსხული რუსული ენის გამოთქმის მიხედვით და არა იმ ხალხის ენით, რომლის შემწეობითაც გეოგრაფიული სახელი აიხსნება. რადგან რუსულს ანბანს აკლია მრავალი ბგერა, რომელიც კავკასიურს ენებში იხმარება, ამიტომ ხშირად კ. განის გამოკვლევაში არეულია ц და ч (ნაწრეტი, ნაცრეთი), ქ და კ (ნაქერალი და ნაკერალი), უ და გ (ყორნისი და გორნისი): ყური გარდიქ ნა კურად, შეერთდა არხი და არყი, ქვითკირი გარდიქცა კვიტირად და სხვა და სხვ. მეორე საწყენი ნაკლულევანება ის არის, რომ მეტად მცირედი ნაწილია გამორკვეული იმ გეოგრაფიული სიტყვებისა, რომლის სიას ადვილად შეავსებდა სტატისტიკური კრებულის მიხედვით და დაუბრკოლებლივ ახსნიდა. უმთავრესი სუსტი მხარე ამ პატიოსანი შრომისა ის არის, რომ ეტიმოლოგიური ახსნა აქ ჩამწკრივებული ქართულ სომხურ-თათრულ-ლეკურ - ჩერქეზულ სიტყვებისა ხშირად ნაძალადევი და შეუწყნარებელია. ჩვენ არ შეგვიძლიან აღვნუსხოთ სათითაოდ ამგვარი შემცდარი ეტიმოლოგიის მაგალითები. სანიმუშოდ მოვიყვანთ მხოლოდ რამდენსამე.

ახანური კ. განის აზრით დაერქვა ცნობილს სოფელს წარმარითა ღმერთის ანანის სახელიდან, ხოლო ამ ანანას კითხვით ნიშანით უახლოვებს დინას. უფრო კი სიმართლესთან ახლო იქნება ახანური დავუკავშიროთ სახელწოდებას ანანას, რომელიც წარმომდგარია სიტყვიდან ანნა და აღნიშნავს სოფელს—ანანას საკუთრებას. სუფიქსი ური ადგილის დასახასიათებლად მიღებულია ქართულის სიტყვის წარმოებაში, მაგალითად კურდღელაური, ოსიაური, ამბროლაური და სხვ.

არხის ციხე კ. განის მოსაზრებით სიტყვიდან არყი+ციხე. რუსულად სთარგმნის крѣпость канавы მაგრამ არყი და არხი სხვა და სხვა მნიშვნელობის სიტყვები არიან. თუ ციხეს სახელი ეწოდა არხიდან (канава), მაშ რად ეძიებს ფესვს სიტყვაში არყი, რომელიც აღნიშნავს ხეს (береза). ამას უნდა დავუმატოთ, რომ ვახუშტის გეოგრაფიაში არ არის მოხსენებული არც არყის ციხე და არც

*) Сборникъ матеріаловъ для описанія мѣстностей и племенъ Кавказа, вып. 40-й Тифлисъ. 1909.

არხის ციხე. ბატონიშვილმა იცის მხოლოდ არშის ციხე.

აწყური სწარმოებს სიტყვიდან აწყვა, ვითომ იქ ყოფილიყოს ასაწონი ადგილი. იქნება ძალადაუტანებლივ ეს სახელი ადვილად აიხსნას შეერთებული სიტყვებიდან აწ+ყური (შეადარე ხიდის ყური).

ბარძილი—იგივე ბარძიმია, რადგან გადმოცემით იქ ინახება წმ ბარძიმი. ჩვენ არ გაგვიგონია არც ერთს მთაზე, რომ იქ ინახება წმ. ბარძიმი; მაინც ბარძიმიდან ბარძილი არ წარმოიშობება. ჩვენ ამ სახელწოდებას ორად ვყოფთ: ბარ+ძილი=ბარს ძილი.

საეჭვოდ მიგვაჩნია ასეთი ეტიმოლოგია, როგორც ბელაქანი სიტყვებიდან ბელა+ყანა, ესე იგი დათვის სათიბიო. ან ფშავი სიტყვიდან შავი, სკრა სიტყვიდან სკა და ბორჯომი სიტყვიდან ბაჟი (=ბორჯი). დაბოლოება ომი რომ აუხსნელი რჩება?!

გურია წარმოსდგა სიტყვიდან ურიაო და მართლაც გურულებს ებრაული სისხლი ემჩნევათო!!

ჯორნისი (კ. განის ტრანსკრიპციით კორნისი და გორნისი) წარმოსდგაო სიტყვიდან გორა. თუ გორნისი მართლაც ამ ფესვისაა, იგივე არ შეიძლება ითქვას კორნისზე, რომელიც გამოითქმის ყორნისად და წარმოიშობის სიტყვიდან ყორანი.

ქსოვრისი იმიტომ დაერქკაო სიტყვიდან „ცხოვრება", რომ რატიშვილების მამული კარგი საცხოვრებელი ადგილიაო?! „ქსოვრისი" და „ცხოვრება" სხვა და სხვა ფესვის სიტყვები არიან, იქნება პირველის ფესვი იყოს ქსოვა.

ოძისი უცნია „ორძიზ"-ად და სთარგმნის рости, რადგან სოფელი თანდათან იზრდებაო! ჩვენ კი გვგონია ოძისი=ორი+ძისი, ან ო=სა შეადარე ო+ზურგეთი=(ს+ზურგეთი) და მაშასადამე ოძისი=საძისი, სიტყვიდან „ძე" ორივე შემთხვევაში: ორი+ძე, ან სა+ძე.

ოდიში სრულიად აუხსნელია, როგორც აუხსნელად დატოვებული ოუში.

ოდიში უნდა უდრიდეს „ო+ „დიში" ს, სადაც ო=სა, ხოლო დიში=დისი=დასი, სიტყვიდან დაჲ.

თრიალეთი დაუკავშირა ტრიალს, უფრო სარწმუნო უნდა იყოს ფესვი თრია (бѣлка).

ურბნისი ჰგონია წარმომდგარი სიტყვიდან ურიბი (наискось); ჩვენ ვაწარმოებთ სიტყვიდან ორბი.

ხერთკისი მას წამოუყენებია ხერთვისიდან=островъ(?!), ჩვენ ვუკავშირებთ სიტყვას ჰერთვის (შეერთვის), სადაც თავსართი ჰ გამაგრებულია ხ-ად (შეადარე შენ ხ-არ).

ვერ გაგვიგია, ცაგვერი ნუ წალვერი რაგორ უნდა წარმომდგარიყო სიტყვებიდან მთა და გვერდი? წალკა რად უნდა ნიშნავდეს ცალკეს. უფრო სასაცილო, ვიდრე შეუწყნარებელია ჩხერიმელას ახსნა სიტყვებიდან შხირი+მელა, იმიტომაო, უმატებს ბ-ნი განი, რომ ამ წყალში ხშირად შეხვდებით მელიებსაო! წყალში რა უნდათ მელიებს?!

აღარ ჩამოვთვლით ამგვარს საეჭვო ეტიმოლოგიის მაგალითებს, ვიტყვით მხოლოდ რად მოსდის ხშირად შეცდომები პატივცემულს მეძიებელს. იგი იღებს სახელწოდებას იმ გამოთქმით, როგორც ჩვენს დროში იხმარებიან: მაგალითად, ცხინვალი კ. განის აზრით, შესდგება ფესვიდან რცხილა+ველი. თუ მხედველობაში იქონიებდა წინანდელს გამოთქმას ქრცხინვალი, რა თქმა უნდა სხვა ეტიმოლოგია დასჭირდებოდა. საეჭვო ეტი-

მოლოგიამ ვერც ერთი ვერ განმარტა. სრული შემოკრება აქამომდე გამოთქმული მოსაზრებისა ამა თუ იმ სახელის ასახსნელად (მაგალითად „კავსკასია“) აგრეთვე ვერ მოახერხა. მაინც მადლობის ღირსია, რომ შეძლებისამებრ ეცადა გეოგრაფიული სახელების ახსნას. ამის წაბაძვით იქნება სხვებმა, უფრო დაახლოებით საგნის მცოდნეებმა, გააგრძელონ დაწყებული გამოკვლევა. აქვე დავძენთ, რომ ხალგაზდა ლინგვისტი ა. მ. დირირი, რომელმაც უკვე გამოიძია რამდენიმე კავკასიური ენა, საუცხოოდ შეძლებს ბ-ნი განის მიერ აღძრულს საგანს. იმავე კრებულში, სადაც მოთავსებულია კ. განის ზემოაღნიშნული შრომა, დაბეჭდილია საინტერესო მოკლე განხილვა „კავკასიური ხალხთა სახელებისა“. საწყენია, რომ ამასაც შეეპარა ერთი შეცდომა, როდესაც შეუდგა „სომეხის“ სახელის ხსნას. იგი იწყებს ამ ნაირად: „სომხები. ქართველები ეძახიან მათ სომხური, სომხეთს სომეხი“!! როგორ მოუვიდა ეს შეცდომა, ვერ წარმოგვიდგენია.

ა. ხახანაშვილი.

შინაური მიმოხილვა

ისეთი უკუდმართობის, რაც ამ ჟამად არის გაშეფებული ჩვენს სკოლებში, ჯერ არ მოვწრებივართ. წარმოიდგინეთ სოფლელი ბავშვი, რომელიც სახალხო სკოლაში დადის ვიითომ და სწავლისთვის, რას ასწავლიან ამ საცოდავს და რის სწავლებას ითხოვენ ჩვენი ბიბოლაები! პირველ წელიწადს რუსული ენის გაკვეთილების 12 საათი უნდა მოანდომოთ კვირაში, სწერს ტფილისის გუბერნიის ხალხად დანიშნული სახალხო სკოლების ინსპექტორი მასწავლებლებს. სად გაჭრა 1881 წლის სასწავლო გეგმა, რომელიც კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ სავალდებულოდ გახადა ჩვენში? ძალა ადმართსა ხსავსო, ნათქვამია და ჩვენი მოგეთეებიც მოწადინებულნი არიან მიჭმარონ ყოველგვარ დონის ძიებას, რომ სახალხო სკოლები გახადონ მარტო რუსული ენის სკოლებად და უცხო ენაზედ სწავლებით გამოათაყვანონ, დაუძლურონ, დაასუსტონ ჯკუაგონებით ქვეყნის მომავალი იმედი და სიხარული—მოზარდი თაობა. სწავლა-განათლების საკითხი—სამკვდრო სასიცოცხლო საკითხია ჩვენში. ან უნდა გვქონდეს ისეთი სკოლები, რომელიც ერს სიცოცხლეს ჭმატებს, კანონიერ განვითარებას აძლევს, ცოდნას შეძენს, ავკარგს დაანახვებს, თავლებს აუხელს, გონებას შეჭმატებს, თავის ვინაობას ამცნობს და სხ. ან სრულიად არა; სკოლა, რომელიც ემსახურება პოლიტიკურ იდეალებს, ის ნამდვილ სკოლად სახსენებელი არ არის, ის მოვლენილია მხოლოდ ჩვენი მოზარდ თაობის საწამებლად და ერის წმიდათა წმიდის შესაბღალავად, გაღასაგვარებლად, დასაუძლურებლად. და რამდენად შესაწყნარებელია ეს მეცნიერებისა და პედაგოგიის მხრით, ყველა ჯკუათა მეოფელს ადვილად წარმოუდგება თვალწინ, თუ მცირეოდენ გულის ყურს მიაპყრობს იმ წამებას და ვაი ვაგლახს, რასაც განიცდის საცოდავი სოფლელი ბავშვი, როცა მას პირის მაგიერ ქვას აწვდიან საზრდოთ, როცა უცხო ენის უდროოდ და ძალდატანებით სწავლება უხშობს მას ჯკუაგონებას, სიყვარულის ნაცვლად აძულებს საგანს და უნერგავს გულში ყველაფრის ზიზღსა. ჩაიხედეთ ბავშვის გულში და ცხადად ამოიკითხავთ: თუ გავჩდი ქვეყნად, რაღას მაწვალებთ, რად მამახინჯებთ და მჭრით ენასა,

ბუნება ჩემი იმას მოითხოვს, რომ მასწავლიდეთ დედა ენასა; თქვენ კი ჩემს ნორჩს გულს და ნაზ გონებას იმასა აწვდით, რაც არ უხდება, და რადას გიკვირსთ თუ ნორჩი გული ყველაზე უფრო ადრე დაჭკნება?!

ჩვენი მტერ-მოყვრები ერიშით მოდიან ჩვენს საწინააღმდეგოდ. უნდათ ჩაქრონ ყველაფერი იქ, სადაც ერთგული სინითლე ბუტაგს. ეს იერიში დაიწყო ტფილისის სახალხო სკოლების დირექციამ. მან არ მისცა ნება „წერა-კითხვის საზოგადოებას“ საკვირაო სკოლაი გახსნა სოფ. გიორგი წმინდაში (გარეთ კახეთში). ამავე საზოგადოებას სკოლა აქვს, სხვითა შორის, გიორგიწმინდაში. სწორედ იქ, სადაც საზოგადოების სკოლაა, დირექციას მოუწადინია სკოლის გახსნა. ტფ. გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორი სწერს გიორგიწმინდის და გომარეთის ნაცვალს შეკრიბოს საზოგადოება და მისცეს შემდეგი წინადადება: „დირექცია თანახმაა სახელმწიფო ჯამაგირიანი მასწავლებელი გამოგიგზავნოთ, ოღონდ თქვენ მარტო შენობა დაუთმეთ სკოლას, მასწავლებელს მიეცით მოსამსახურე და შეშა. ნაცვალსაც შეუკრებია საზოგადოება და გამოუტანიათ შემდეგი დადგენილება:

„ჩვენ უკვე გვქონდა საშინისტრო სკოლა, მაგრამ ჭან არაფერი შესძინა ჩვენს შვილებს. საშობლო ენის სწავლება საშინისტრო სკოლაში აბუჩად იყო აგდებული; ჩვენ გვინდა ეს სკოლა დარჩეს ისევ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობის ხელში, დეე, ისევ ჩვენ ვიკისრებთ მასწავლებლის ჯამაგირს, ოღონდ ჩვენმა შვილებმა საშობლო ენაზე მიიღონ სწავლა და სხვა... („დროება“ 13 თებ. № 34).

აქ უფრო საუურადღებოა სოფლის შეხედულობა სკოლაზე, სჩანს სოფელმა საკმარისად იწვნია დუხჭირი სკოლის ნაყოფი, იმას ადვილად ვერავინ მოატყუებს რამდენი საკენკიც უნდა გადაუყაროთ. მაგრამ ყველგან სოფლად ისეთი შეგნება ხალხში არ არ არის, როგორც ეს გვიჩვენეს გიორგიწმინდელმა. ავიღოთ თუ გინდ მცხეთა. მცხეთელები აგერ სამი წელიწადია ჩაუგნენ ამ საკენკს, ჭვირდებიან სახელმწიფო ჯამაგირიან მასწავლებელს, მასწავლებელსაც დაუნიშნავენ ალბად, მაგრამ რამდენად სასარგებლო იქნება ეს სკოლა მცხეთელებისათვის, ამის გამოსაცნობად დიდი ჭკუაც არ არის საჭირო.

უვიცი სოფლები რაში უნდა გავამტყუნოთ, როცა ბევრი მასწავლებელთაგანიც არ არის სწავლა-განათლებაზე სიდი შეხედულობით განმსჭვალული. ამის მაგალითს ერთი მასწავლებელი გვეუბნება გაზეთ „ზაკავ.“ ფურცლებზე: (იხ. № 18, 23 ივნ.) ცამეტი წელიწადი ვმასწავლებლობო — ამბობს ვიღაც ა. ნ. იანოვსკიდან დ. წყებული სამი მზრუნველი მინახავს ჩემს სკოლაში; ყოველთვის, როცა ეს დიდებული პირები ინახულებდენ სკოლას, მასწავლებლებს სულით არა ჩვეულებრივი აღფრთოვანება დაეტყობოდათ და ახალის ენერგიით შეუდგებოდნენ წმინდა საქმეს. ბნელი ხალხი, რომელიც სოფლის მწერალს მასწავლებელზე მაღლა აყენებს, უფრო პატივისცემით უყურებდენ მასწავლებელს მზრუნველის ნახვის შემდეგ. დავასურათებთ ფაქტით: განსვენებულმა იანოვსკიმ ინახულა ჩემი სკოლა. მე ავუხსენი ბავშვებს, რომ ის მზრუნველია, მეორე პირი მინისტრის შემდეგ, ზრუნავს ჩვენს სკოლაზე, ჩვენს განათლებაზე და სხ. ბავშვებმა გადასტეს ეს მშობლებს. ამათ ძლიერ უკვირდათ, რომ ასეთმა დიდმა კაცმა ინახულა მათი სკოლა, ხელი ჩამოართვა მასწავლებელს, გამოკითხა ბავშვებს. ამ რევიზიას შედეგად მოჰყვა სკოლის გაორკლასიანება“. ამ სიტყვებს კომენტარიები არ ესაჭიროება, თავის თავად ცხადია თუ ვისი და რისი თაყვანისმცემელია ამ წერილის ავტორი მასწავლებელი, ცხადია ვის და რად უკმევს გუნდრუკს; მარტოოდი უთქვამს ვინცა სთქვა: „სიტ-

ყველამან შენმან გამოგაჩინოს შენო". და ჩვენ კი გვაშორებს ღმერთმა ისეთს მასწავლებელს, რომელიც ხალხში ამ გზით ჭეშმარიტებს ავტორიტეტს.

შემცდარია ვინც ხალხს ბრმას უწოდებს, ხალხი იმდენად ბრმა არ არის, რომ ავის და კარგის გარჩევა არ შეეძლოს, ეს ცხადად დაგვანახვეს გიორგიწმინდელებმა, მ გრამ ვთქვათ ხალხი უმეცარია, რა ღონისიებას ხმარობს სახალხო მასწავლებელი ამ უმეცრების წინააღმდეგ? ბევრი არაფერს, იმას ჭეშმარიტ სახალხო მასწავლებლობა მარტო ბავშვების ანბანის სწავლებაშია; მიაწოდეთ ხალხს წიგნები, უკითხეთ მოცლილ დროს, უამბეთ რაც გაზეთებში სწერია, მიიზიდეთ ახალი გონება წიგნებისაკენ და ხალხიც გულით დაგაფასებს და დაგიმადლებს. ჩვენდა სასიამოვნოდ არიან ასეთი მასწავლებლებიც, რომელთაც ხალხში დიდი პატივი და სახელი აქვთ, გაცილებით მეტი და უფრო მკვიდრი, ვიდრე ის სასულიერო, რომელიც მოიპოვება „მსრეველის ხელის ჩამორთმევით". — მაგრამ ეველა მასწავლებელი, სამწუხაროდ, ასე არ იქცევა, ხალხში ქართული წიგნის გავრცელებაზე არ ზრუნავს. აი ამისი ცოცხალი მაგალითი: სამეგრელოში არის სოფ. ბორდი, იქ არის სამინისტრო ორკლასიანი სკოლა, ვიღაცას ამ სკოლისათვის შეუწირავს 8 მ. 50 კაპ ზედამხედველი სკოლისა გაზეთის ფურცლებზე მადლობას უცხადებს შემომწირველს და დასძენს — ამ ფულით რუსული ჟურნალი „Нива" უნდა გამოვიწეროთ. უეჭველია ქართველი გაზეთებს და იტევის სად ბორდი, სად „Нива"?! ამ ფულით ერთი პაწია სახალხო ბიბლიოთეკის შედგენა შეიძლებოდა და ის არ ეჯობებდა თუ კინდ ოც „Нива"-სთ, ან რა საჭიროა სკოლისათვის „Нива"? მაგრამ კაცია და გუნებაა; საკვლელი ის არის, რომ „ნივის" მოტრფიალენი ჩვენებურს ეანასაც ვერ უყვარან რიგიანად და ამიტომაც არის ასეთი შწირე მოსავალი.

Ratti.

მარიამ დემურია

20 იანვარს ტფილისში უეცრად გარდაიცვალა საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის" რედაქტორი მ. ი. დემურია. განსვენებულს შესამჩნევი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი ხალხის განათლების საქმეში თავისი დაუღალავის შრომითა და მეცადინეობით; ტფილისში ამ 15 წლის განმავლობაში სახალხო კითხვების, სახალხო თეატრის და ბიბლიოთეკების სულის ჩამდგმელი და მოთავე იყო განსვენებული და თავისი მხნეობით, მეცადინეობით და შრომით შექონდა განათლების სხივი ჩვენს მღაბიო ხალხში; იგივე იყო გამგე ნაძალადევის სახალხო ბიბლიოტეკისა, რომელიც ტფილისის ქართულ ბიბლიოტეკებში საუკეთესოდ ითვლება. უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში განსვენებული რედაქტორობდა საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულს"; ამ ჟურნალს შეალია განსვენებულმა თავისი დღენი; ვინც იცის რამდენი შრომა და აუტანელი ჯაფაა საჭირო ღღევანდელს პირობებში ჟურნალის გამოსაცემად და ისიც საყმაწვილო ჟურნალისა, რომელსაც ჩვენში ჯერ კიდევ მცირე თანამგრძნობი ჰყავს, ცხადად მიხვდება, რომ ამ შრომას იკისრებს მხოლოდ იდეით გატაცებული, ქვეყნის და მისი მომავლის მოსიყვარულე ადამიანი.

ამიტომაც მარიამ დემურიას უდროოდ დაკარგვა დიდი დასაკლისია ჩვენთვის, მით უფრო, რომ მოღვაწე ქალები დღეს თითებზე ჩამოსათვლელია ჩვენში.

საუკუნოდ იყოს ხსენება პატიოსანის მუშაკისა და მოღვაწისა.

მელიტონ ჩოგოვაძე

(ნეკროლოგი)

31 იანვარს გარდაიცვალა ახალგაზდა და ქუთაისში კარგად ცნობილი მასწავლებელი და ინსპექტორი საეპარქიო ქალთა სასწავლებლისა მელიტონ იესეს ძე ჩოგოვაძე. განსვენებულმა სწავლა დაიწყო ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ სასულიერო სემინარიაში და ბოლოს დაასრულა კიევის აკადემია სწავლაში, მიუხედავად უკიდურესი სიღარიბისა, დიდს ნიჭს იჩენდა, ჩინებულად სწავლობდა და რაც უფრო საყურადღებოა ცხოვრებაშიაც გაუტეხელი, მტკიცე ხასიათის, მართლის მოყვარული, ერის მოამაგე და მისი კანონიერი მოთხოვნილების მტკიცე დამცველი და ერთგული მუშაკი შეიქმნა. აკადემიაში კურს დასრულების შემდეგ თავის სოფელ ბანოჯაში ასწავლიდა სამრევლო სკოლაში, შემდეგ ასწავლიდა ქართულ ენას ქუთაისის სასულიერო სემინარიაში და ხს. განსვენებულის ერთი ამხანაგი სწერს „მელიტონმა გზიდან გადახვევა არ იცოდა, მის ბუნებას არ სჩვეოდა სიმხდალე და მორიდება; ერთ ხელ დასახულის მიზნისკენ ის მეუდრეკელის პირდაპირობით და თავგანწირულებით მიისწრაფოდა, და ყოველგვარ დაბრკოლებას ამსხვრევდა და იმორჩილებდა". სწორედ დიდი დასაკლისია ამისთანა ადამიანის დაკარგვა ჩვენს დროში, როცა ამისთანა ღირსებით შემკულს მთელ ადამიანს დიოგენის ფარნითაც ვერ იპოვით. განსვენებული დიდებულად დაასაფლავეს. გასვენების დროს ჩვენმა მხცოვანმა პოეტმა აკაკიმ შემდეგი სიტყვებით და ხასიათა განსვენებულის პიროვნება:

„ბატონებო! გამოეთხოვა წუთი სოფელს და დღეს უნდა ჩავაბაროთ ბნელ საფლავს ერთი საუკეთესო საზოგადო მოღვაწეთაგანი. ქუთაისს გარეშე, ეგები, ბევრმა არ იცოდა: ვინ იყო განსვენებული მელიტონ ჩოგავაძე? და ჩვენი ვალია, აღვნიშნოთ მისი ვინაობა!.. ის იყო ღირსეული ადამიანი, თავდადებული ქართველი, უმწიკვლო თავისს ასპარეზზე და ჩუმი მოღვაწე და მიტომაც მისი შრომა-მოღვაწეობა შორსა და შორს თვალსა და ყურს არ ეჩხირებოდა ჩვეულებრივად. ამისთანა მოღვაწენი ხშირი არ არის ჩვენში; მხოლოდ საუკუნოები წამოშობენ! რომ შეჰფერის ისე არ იმარხება: ვერა ვხედავთ საქართველოს სსვა და სხვა კუთხეების წარმომადგენლებს! არსად არიან ჩვეულებრივად ვეცხლის გვირგვინები, მაგრამ ძვირფას გვირგვინად ედება მას ის მწუხარე სახე, რომელიც ეტყობა საერთოდ დღეს აქ, თავმოყრილ საზოგადოებას და ის ცრემლები ახალგაზდა მოსწავლეთა, თან რომ ჩაჰყვებიან სამარეში! ნეტავი მშობლებს, ამისთანა შვილის გამომზდელს! ვაი დედ-მამას ამისთანა შვილის უდროოდ დამმიწებელს!! და და სამძიმარი საზოგადოებასაც, ამისთანა მოღვაწის დამკარგავს!! ვინატროთ ქვეყნისთვის ბევრი ამისთანა მოღვაწე და განსვენებულსათვის კი დაუვიწყარი სახსენებელ".

სანიმუშო პროგრამები

საქართველოს სახალხო სკოლებისათვის

რუსული ენა.

მე-III განყოფილება (მესამე წელიწადი).

შესწავლა სიტყვებისა და ფრაზებისა რუსულად; ვარჯიშობა რუსულ ლაპარაკში ფრაზებისა და მოკლე მოთხრობების შედგენა ცნობილ სიტყვებიდან ოვალსაჩინოდ და ქართულად გადათარგმნით საჭირო შემთხვევაში. შესწავლა რუსულად წერა კითხვისა; კითხვა მოკლე აწერილობათა, რომელიც შესწავლილი აქვსთ მასწავლებლის ცხოველი სიტყვის დახმარებით საუბრის შემდეგ; სურათების აღწერა; სურათ-დედნები, კითხვა და შესწავლა ადვილი მოთხრობებისა და საბავშვო ლექსებისა რუსულად;

წერითი-სავარჯიშოები: სურათების სახელების წერა—სახელმძღვანელო წიგნიდან (სურათ-დედნები), მოკლე ფრაზების წერა კარნახით, შეცდომების გასწორთხილებით. ნასწავლი მოთხრობების და ლექსების წერა. სიტყვების ამოწერა, რომელიც ძნელად ახსოვდებათ უმაწვილებს, ან რომელშიაც ძნელი გამოსათქმელი ხმებია.

მე-IV განყოფილება (მეოთხე წელიწადი).

გამეორება მესამე განყოფილებაში გავლილი მასალისა. გარკვევით კითხვა და წაკითხულის ახსნა რუსულად და ქართულად; პატარა-პატარა სტატიების ზეპირად შესწავლა შემდეგ განმარტებისა და ქართულად გადათარგმნისა; ერთი სიტყვის ან ფრაზის შეცვლა მეორე სიტყვით ან ფრაზით. ვარჯიშობა ზეპირ ლაპარაკში, განმარტებითი კითხვა მოზრდილი და ადვილი შინაარსიანი მოთხრობებისა, ზღაპრებისა, ლექსებისა, იგავ-არაკებისა; სათითოდ და გუნდ-გუნდად კითხვა მასალისა შეგნებით და გამომეტყველებით სახელმძღვანელო წიგნიდან. კარნახით წერა კლასში შესწავლილი სტატიებისა, ზეპირად ნასწავლის წერა; პრაქტიკულად შესწავლა რუსული მართლწერის უმთავრესი კანონებისა, ადვილ შინაარსიანი რუსული წიგნების კითხვა სკოლის წიგნთსაცავიდან.

მე-V განყოფილება (მეხუთე წელიწადი)

განმარტებითი კითხვა მოთხრობებისა, ლექსებისა, იგავ-არაკებისა და სხვა მასალებისა სახელმძღვანელო წიგნიდან; კითხვა გარკვევით სწრაფად და გამომეტყველებით; წაკითხულის გადმოცემა თავისი სიტყვებით; თარგმნა რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად შესაფერისი მასალისა. კლასში გარჩეული სტატიების შინაარსის წერა; შესწავლა სიტყვის და წინადადების უმთავრესი ნაწილებისა, ქართული სიტყვის ნაწილთან და წინადადებასთან შედარებით, გაერთებული წინადადება და ნიშნების დასმა. ვარჯიშობა ადვილ-შინაარსიან რუსულ წიგნების კითხვაში.

მე-VI განყოფილება (მეექვსე წელიწადი)

შეგნებით, სწრაფად და გამომეტყველებით კითხვა კლასში გარჩეული სტატიებისა. ზეპირად და წერით გადმოცემა კლასში ნასწავლი რთული სტატიების შინაარსისა. ლექსების, იგავ-არაკების და სიტყვა კაზმული პროზის შესწავლა. ვარჯიშობა გამომეტყველებით კითხვაში. ზეპირი და წერითი აღწერა კარგად ნაცნობი საგნებისა. თხზულებები ადვილს თემებზე. ზეპირად ნასწავლის წერა.

წერილობითი გადათარგმნა უფრო რთული სტატიებისა რუსულიდან ქართულად და პირიქით. გამეორება მე-V-ში ნასწავლი გრამატიკისა. რთული წინადადება. სიტყვის ნაწილები; მთავარი და დამოკიდებული წინადადებანი; გამეორება მოკლედ რუსული ენის ეტიმოლოგიისა და სინტაქსისა. კითხვა რუსის მწერლების საუკეთესო ნაწარმოებისა და სხვა შესაფერისი შინაარსის რუსული წიგნებისა სკოლის ბიბლიოთეკიდან.

შენიშვნა: რუსული ენის შესასწავლად მე III და მე-IV განყოფილებაში უნდა ხმარობდნენ სახელმძღვანელოდ ჩვენი პედაგოგის **იაკობ გოგებაშვილის** „Русское слово"-ს I და II ნაწილს. მეხუთე და მეექვსე განყოფილებაში შეუძლიათ იხმარონ ისეთი რუსული სახელმძღვანელოები, რომელშიაც მომეტებულ მასალას ლიტერატურული ნაწარმოები შეადგენს და ენაც სახელმძღვანელოსი ნამდვილი რუსული ლიტერატურული ენაა. ამისთანა სახელმძღვანელოები რუსულ ენაზედ საკმარისად მოიპოვება და შეიძლება მისი არჩევა მიენდოს თვითონ სკოლის პედაგოგიურს საბჭოს. სავალდებულოდ მიგვაჩნია ყველა ქართული სახალხო სკოლის მასწავლებლებისათვის იხელმძღვანელონ აგრეთვე ბ-ნი ი. გოგებაშვილის რუსული წიგნებით: 1. „Руководство по „Русскому Слову" და 2) Разборъ учебныхъ руководствъ, სადაც მასწავლებლები გაეცნობიან მრავალ საღ პედაგოგიურს აზრებს.

მოკლე განმარტება რუსული ენის პროგრამისა.

რუსული ენის სწავლება ჩვენებურს სკოლებში ბავშვების საწამებლად არის გადაქცეული. ამის მიზეზია უხერხული წესი სწავლებისა, უვარგისი სახელმძღვანელოები, რომელთაც აჩეჩებენ ხელში მოწაფეებს და უდროოდ სწავლების დაწყება. უხერხული წესი სწავლებისა, ანუ ესრედ წოდებული „მუნჯური" მეთოდი ჩაბარ და არხივს და, გვგონია, არც ერთი გონიერი მასწავლებელი არ დაუბრუნდება მას იმის შემდეგ, როცა მისი ნაყოფი ყველამ საკმარისად იწვნია. „მუნჯურ" მეთოდთან ერთად იკარგება ხსენება ისეთის სახელმძღვანელებისა, რომლებიც ამ მეთოდზეა შედგენილი; ამ სახით ყველა რუსული ენის სახელმძღვანელო, რომელიც დედა ენას, როგორც უპირველესს იარაღს უცხო ენის შესასწავლად, მეტ ბარგად სთვლის, იმავე „მუნჯურ" მეთოდით არის შედგენილი და მასალის მხრითაც სრულიად უცხო და დაშორებული ჩვენსა და ჩვენი ბავშვების ცხოვრებას. არც ერთს ამისთანა სახელმძღვანელოს რუსული ენის შესასწავლად თავდაპირველად ადგილი არ უნდა ჰქონდეს ჩვენებურს სკოლებში და თუ ამას მხარს უჭერს ზოგი მასწავლებელთაგანი, ამით ის ამტკიცებს სრულს პედაგოგიურს უვიცობას.

რაც შეეხება რუსული ენის სწავლების დაწყების დროს-მესამე წლიდან, როგორც ამ პროგრამაში გვაქვს მოხსენებული, ამას ჩვენ განვმარტავთ უბრალო მოსაზრებით: რამდენადაც ბავშვი უფრო განვითარებულია გონებრივად და ფიზიკურად, იმდენად უცხო ენის შესწავლას მეტი ნაყოფი მოაქვს, სწავლებაც უფრო შეგნებით სწარმოებს და ბავშვის განვითარებასაც ხელს უწყობს და არ უშლის ისე, როგორც ადრე დაწყებინება უცხო ენის სწავლებისა. ორი წლის სწავლების შემდეგ ბავშვს იმდენი განვითარება ექნება, რომ მას თანდათან შესწავლა უცხო ენისა არ გაუძნელდება; პირიქით გონებით და ფიზიკურად ცოტად თუ ბევრად განვითარებული ბავშვი ცოტა ხანში უფრო მეტს ცოდნას შეიძენს და ის ცოდნაც უფრო საფუძვლიანი იქნება,

ვიდრე ის ბავშვი, რომელსაც უდროოდ დააწყებინეს უცხო ენის სწავლება და დაამახინჯეს გონებრივად და ფიზიკურად.

რუსული ენის სწავლებას ჩვენებურს სახალხო სკოლებში პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მისი სწავლება უნდა სწარმოებდეს თანდათანობის წესით: ადვილიდან მოძნელოზე და ახლოდან შორეულზე გადასვლით. ყოველივე უცხო სიტყვა, აზრი, გამოთქული უცხო ენაზედ სრულიად შეგნებით უნდა ჰქონდეს ბავშვს წარმოდგენილი; ხშირი ვარჯიშობა ზეპირ ლაპარაკში, კანონიერი გამოთქმა სიტყვებისა, განმარტებითი კითხვა და წერაში ვარჯიშობა შეადგენენ საფუძველს უცხო ენის შესწავლაში. ამ საფუძველზეა აგებული ზემოთ მოყვანილი პროგრამა—რუსული ენისა. დარწმუნებული ვართ, რომ ამ პროგრამის მიხედვით და პედაგოგიური პრინციპების დაცვით ექვს წლიან სკოლაში ოთხი წლის განმავლობაში რუსულ ენას ჩვენებურს სახალხო სკოლებში უკეთ შეისწავლიან ყოველის მხრით, ვიდრე დღესა სწავლობენ ხუთ-ექვს წელში და ამგვარი სწავლებიდან ბავშვის გონების დამახინჯებას მეტი არა გამოდის რა.

(შემდეგი იქნება).

ჟურნალ „ჯეჯილის“ ოცი წლის არსებობა *)

სწავლა-აღზრდაში დიდი მნიშვნელობა აქვს, სხვათა შორის, საუმაწვილო ჟურნალებს და წიგნებს იმ ენაზე, რომელიც გასაგებია ბავშვებისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სკოლა გაუგებარ ენაზე ასწავლის მათ. ოთხი-ხუთი წლის ბავშვებსაც კი, რომელთაც ჯერ, რასაკვირველია, წერა-კითხვა არ იციან, ძალიან უყვართ, როდესაც ესაუბრებიან მათ და რასმეს წაუკითხავენ ხოლმე. შეგნებულ დედამამას შეუძლიან ისარგებლოს ამ ინტერესით და კეთილად გამოიყენოს საუმაწვილო ჟურნალი და წიგნები. შემდეგ, როდესაც ბავშვები წერა-კითხვას ისწავლიან, კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა შესაფერ წიგნის კითხვას, რადგან მაშინ თითონ შეუძლიან იკითხონ წიგნი, თითონ დაუფიქრდნენ წაკითხულს, გაეცნონ კარგ მაგალითებს, კარგ საქციელს და ივარჯიშონ აზროვნებაში. ჩვენი ბატარა უმაწვილები ამ მხრითაც ცუდს მდგომარეობაში იყვნენ ამ ოცი წლის წინად. შეგნებული თუ ვინმე იყო მშობელთა და მასწავლებელთა შორის და ათვასებდა საუმაწვილო ჟურნალებს და წიგნებს, იმათ წიგნებიარ მოეძებოდა. (გამოდიოდა, მართალია, 1884 წელს საუმაწვილო ჟურნალი „ნობათი“, მაგრამ, სამწუხაროდ, უსახსრობის გამო დაიხურა). ამ დროს გამოუჩნდა ჩვენ ბაწია ბავშვებს და მათ მშობლებს გულ-შემატკივარი მზრუნველი, რომელსაც დრმად ჰქონდა გულში დანერგილი სამშობლო ხალხის შვილების სიყვარული თანახმად ქრისტე მაცხოვრის სიტყვებისა: „რომელმან შეიწყნაროს ერთი ყრმა ესეგვითარი სახელითა ჩემითა, მე შემიწყნარეთ“. დღეს ტფილისში, საქართველოს დაბაქალაქში, დღესასწაული აქვსთ გამართული ამ ბირის მოდვაწეობის ბატივსაცემლად. ეს ბირია ანასტასია მიხეილ თუმანიშვილის ასული, მეუღლე აწ უკვე გარდაცვალებულის ცნობი-

*) ამოღებულია ჩვენი პედაგოგის ბ-ნი ალ. ბიჟინაძის სიტყვიდან, რომელიც წარმოსთქვა მან ხონში „ჯეჯილის“ 20 წლის არსებობის გამო (დრ. № 40). რედ.

ლის ქარიოველ მოღვაწის, გიორგი წერეთლისა. წარსულ იანვარში ბერეულს რიცხვს შესრულდა ოცი წელიწადი, რაც ქალბატონი ანასტასია განუწყვეტლივ და თავ-აუღებლივ შრომობს ქართველ ბავშვებისათვის. ამ ოცი წლის წინად ტფილისში მოიწვია მან ქართველი მოღვაწეები, ქართველი მწერლები და განუზიარა მათ განზრახვა საუმაწვილო ჟურნალის გამოცემისა. კრებამ ერთ ხმად აღნიშნა სრული უქონლობა თითქმის სასკოლო წიგნებისა ქართულ ენაზე და სასოდესმე მდგომარეობა ურმათა, რომელთაც არც სკოლაში შესვლამდის და არც სკოლაში ყოფის დროს :რა ჭქონდათ საკითხავი რამ გასაგებ ენაზე. მშობლებსაც და მასწავლებლებსაც ეწერვებოდათ შინაარსიანი ქართული წიგნები ბავშვებთან სასაუბროდ და საკითხავად, რომ ევარჯიშებინათ მათი გონება, განეთარებინა მათ გულში აღმოცენური გრძნობა და ამასთანავე შეეუვარებინათ მათ თავის სამშობლო ენა, მაგრამ არსად იყო ამისთანა წიგნები. ეს გარემოება ხელს უწყობდა, რასაკვირველია, სამშობლო ენის დავიწყებასაც. კრებამ მოიწონა ანასტასიას განზრახვა, დამსახურებულმა მწერლებმაც და ახალგაზდებმაც თანამშრომლობა აღუთქვეს მას, და იმ დღეს გადაწყდა საუმაწვილო ჟურნალის „ჯეჯილის“ გამოცემა, რომელშიდაც უნდა ებეჭდათ წერილები როგორც მცირე წლოვანებისათვის, ისე უფრო მოზრდილებისათვისაც

სიტყვა „ჯეჯილი“ ნიშნავს ახალ ამოსულ ბურის მცენარეს, ქოროს, მწვანეს და ეს სახელი შესაფერიც არის იმ ასაკისათვის, რომლისთვისაც დაარსდა ჟურნალი. იქიდგან დაწყებული დღემდის განუწყვეტლივ გამოდის ეს წიგნი ოთხელ თვიურად. ბევრი რამ სასარგებლო დაიბეჭდა შიგ: ლექსები ჩვენი საუკეთესო მგოსნებისა, სასაბავშვო მოთხრობები, არაკები, მოთხრობები საქართველოს ისტორიიდგან, წერილები ბუნების მეცნიერებიდგან და სხვა და სხვა. ამ ჟურნალმა და სხვა წიგნებმა, რომელიც თან მოჰყვა მას ანასტასიას დაუცხრომელი შრომის წყალობით, მისცეს მშობლთა და მასწავლებელთ შესაფერი მასალა ურჩია გონებისა და გრძნობის საწვრთნელად. ქართველი ბავშვები ედიერსენ წიგნებს, რომელთაც ჭკითხულობდენ და რომელნიც ესმოდათ; ესმოდათ და სიამოვნებას ჭეოვებდნენ წიგნის კითხვაში, სიამოვნება კი ხალისს უღვიძებდა მათ სწავლისას, სიყვარულს სამშობლო ენისას, და ვინ იცის, რამდენი კარგი აზრი და კარგი გრძნობა ჩაუნერგა ამ ჟურნალმა უმაწვილებს სულსა და გულში. აჭა, მისი მკითხველებიც! ზოგნი უკვე გამოდიან საზოგადოებრივ და ვხედავთ მათს კეთილ მიმართულებას, მათს სიყვარულს სამშობლოსადმი, ხოლო სხვები, უფრო მრავალნი, ახლო მომავალში გამოვლენ სამეცნიერო და თავის სწავლა-ცოდნით, იმედია მიეშველებიან მშობელ ხალხს. აღსრულდება მაშინ ის სიტყვები, რომელიც ზეწარწერილი აქვს ჟურნალს „იზარდე, მწვანე ჯეჯილო, დაბერდი, გახდი ყანაო, მისივე სარჩო შეიქენ, ვინც გთესა მოგიყვანაო“.

ამ ოცი წლის განმავლობაში ბევრჯელ გადაეღობა წინ დაბრკოლება „ჯეჯილს“ და მასთან განუყრელს ანასტასიას, ბევრი განსაცდელი დაადგა, მაგრამ იმ სიყვარულის წყალობით, რომლითაც გამსჭვალულია იგი ბაწია ქართველებისადმი, ჟურნალი მაინც ფეხზე სდგას კიდევ და ბეჯითად უნერგავს მკითხველებს გულში ქართულ გრძნობას და ჯანსაღ ებს მათ სწავლისადმი.

რედაქტორ-გამომც. ლ. გ. ბოცვაძე.

შენიშვნა: უადგილობის გამო ზოგიერთი წერილები გამზადებული ამ №-ში დასაბეჭდად გადიდო შემდეგი ნომრისათვის, რომელიც გამოვა 1 აპრილს.

ლექტორ-მბეჭდავი სტამბა, სპირიდონ ვ. ლოსაბერიძისა, საკუთარი სახლი მოსკოვის ქუჩა № 5.

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი

განათლება

(წელიწადი მესამე)

IV აპრილი 1910 წ.

ჟურნალი წლიურად ღირს 3 მან.
ნახევარი წლით . . . 2 მან.
სახალხო სკოლების მასწავლებლებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად **ოჩ მანეთად.**

ცალკე ნომრის ფასი 30 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“ და „ნაკადულის“ რედაქციაში. წერილები და ჟურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Дворянская Грузинская Гимназія **Л. Г. Боцвадзе.**

პროფ. ბერნგარდ მიუნც

ბავშვის ლოლიკა

ბევრს ჰგონია ვითომც უსიტყვოდ აზროვნება არ არსებობს, მაგრამ ასეთი აზრი შემცდარია. მაგ. ბავშვი, რომელსაც ჯერ ენა არ ამოუდგამს, უკვე ეჩვევა აზროვნებას იმ რიგად, როგორც ის ეჩვევა დანახვას და გაგონებას. ამაში ნათლად დარწმუნდება ყველა ბეჯითი მეთვალყურე; ბავშვი ხშირად, ვიდრე დაიწყებდეს ლაპარაკს, შეისწავლიდეს სიტყვას, რომელიც არის საშვალება ადამიანთა ერთობისა, ბევრად ადრე, სანამ შეიძლებდეს სიტყვების ან დანაწევრებული ხმების დაყოფას, უკვე ლოლიკურად ალაგებს თავის სხვა და სხვა შთაბეჭდილებას, ე. ი. აზროვნობს. აზროვნობა ეს იგივეა რაც „შინაგანი“ საუბარი, თავის თავთან ლაპარაკი, იმ სახით როგორც შეიძლება უსიტყვოთ იქონიოთ დამოკიდებულება გარშემო ქვეყანასთან.

პრეიერი, ავტორი შესანიშნავი წიგნისა „ბავშვის სული“, მოგვითხრობს, რომ მისმა პატარა ვაჟმა, რომელსაც 319 დღე შეუსრულდა დაბადებიდან, ერთი საყურადღებო ცდა მოახდინა სმენის მხრივ. ეს ცდა გვიჩვენებს თუ რამდენად წაიწია წინ ამ ბავშვის განვითარებამ. ბავშვი თეფშზე ახლიდა კოვზს, ამავე დროს შემთხვევით მოჰკიდა მეორე თავისუფალი ხელი თეფშს; ახლა ხმა უფრო ყრუთ ვაისმა, ამ გარემოებამ მიიპყრო ბავშვის გულისყური. მან კოვზი ეხლა მეორე ხელში აიღო და ხელახლად დაუწყო ცემა თეფშზე, თავისუფალ ხელს კი ისევ თეფშსა ჰკიდებდა. საღამოს ეს ცდა მან ხელახლად გაიმეორა, ისევ გამეორდა იგივე მოვლენა: ხმა გაისმა უფრო ყრუდ, როცა ბავშვი თავისუფალ ხელს თეფშს მოავლებდა. ცხადია, ბავშვმა იმიტომ გაიმეორა ეს ცდა, რომ იგი დაინტერესებული იყო იმ კავშირით, რომელიც ამ ორ მოვლენათა შორის არსებობდა: ხმა მაშინ ისმოდა უფრო ყრუდ, როდესაც

ის თავისუფალ ხელს თეფშს შეახებდა. რისგან ხდებოდა ეს—ხელის შეხებისაგან, თუ თეფშისაგან? მაშინ ბავშვი იცვლის ხელს—სჩანს მიზეზი მარტო ხელში არ არის. აი ასე, დაახლოვებით ხსნის ბავშვი ამ ბგერათა მოვლენას და ეს ხდებოდა იმ დროს, როდესაც ბავშვმა არ იცოდა არც ერთი სიტყვა. მეთორმეტე თვეში იყო ეს ბავშვი, როდესაც ის ხშირად ხედავდა როგორ შემოჰქონდათ ქვა ნახშირი და ხმაურობით ჰყრიდენ მას ფეჩში. წლის შესრულებას სამი დღე უკლდა, როდესაც დაანათეს ცეცხლი მეორე ოთახში, მეორე ფეჩში, გამეორდა იგივე ხმაურობა. ბავშვმა მიიხედა იქითკენ, საიდანაც ისმოდა ხმაურობა, მაგრამ, რადგანაც ვერაფერი ვერ დაინახა, გაკვირვებით შეხედა პირველ ფეჩს, რომელშიაც ცეცხლი უკვე დანთებული იყო. თუმცა ბავშვს ჯერ კიდევ არ შეეძლო დანაწევრებული სიტყვის გამოთქმა, მაგრამ აქაც იჩინა თავი ლოღიკური აზროვნების ნიჭმა ბგერათა შთაბეჭდილების შექსოვაში.

მეჩვიდმეტე თვეში იყო ბავშვი, როცა მან მოინდომა თავისი სათამაშოს შკაფიდან ჩამოღება, მაგრამ ვერ მოახერხა, რადგანაც სათამაშო მაღლა თაროზედ იდო; ბავშვმა სადღაც მოძებნა მაფრაშა, მიათრია შკაფთან და მიაღწია საწადელს. ვერც ეხლა შეეძლო მას გამოეხატა სიტყვებით თავისი აზრი, რადგანაც ჯერ არ იცოდა სიტყვები. მე 15-ე თვეზედ მან ერთხელ თითი დაიწვა სანთელზედ, ამის შემდეგ მას ვერასფრისათვის ვერ მიატანიებდით თითს ცეცხლთან; ხან-და-ხან, თითქოს სიცელქით, მიუახლოვებდა თითს სანთელს, მაგრამ მაშინვე უკან გამოსწევდა. მე 18-ე თვეზე, სხვის დაუხმარებლად მიათრია ფეჩთან ერთი ღერი შეშა, შედო ფეჩის კარებში და გამარჯვებულის სახით გადახედა დედ-მამას. პირველ ხანებში ძლიერ ეჯავრებოდა, როცა ტუჩს ან პირს მოსწმენდდენ; სტიროდა კიდეც, მაგრამ 15 თვიდან უტირლად ნებდებოდა, რომ მოეწმინდათ ცხვირ-პირი. სჩანს ბავშვი მიხვდა—რაც უფრო ჩუმად და წყნარად იქნება, მით უფრო ადრე გათავდება ეს მისთვის არა სასიამოვნო საქციელი. ამისთანა მაგალითს ვამჩნევთ ყველა ბავშვის ცხოვრებაში, თუ მას არ ეპყრობიან არც ძლიერ სასტიკად და არც ძლიერ რბილად. თუ მახლობლები გულ გრილად შესცქერიან ბავშვის ყვირილს და არავითარ ყურადღებას არ აქცევენ მას, მაშინ ის რწმუნდება, რომ ამაოა მისი ყვირილი და იმით ვერაფერს ვერ მიაღწევს, ყვირილით ის ვერ ასცდება იმას, რასაც მისგან მოითხოვენ. ეს გარჩევა მართებულისა (ნება დართულის და ჯეროვანისა) და უმართებულოსი (აკრძალულისა) გვაჩვენებს, რომ ბავშვს აქვს თავისი აზრი—რომ დარღვევა ამა თუ იმ კანონისა ეამოიწვევს ამა თუ იმ არა სასიამოვნო შედეგს ე. ი. ერთგვარი მოქმედება იწვევს კმაყოფილებას, მეორე კი, პირიქით უკმაყოფილებას. ყრუ-მუნჯთა მიხრა-მოხრით ლაპარაკის მრავალი გამოკვლევა, იმ ყრუ-მუნჯთა, რომელთაც არსად არ უსწავლიათ, უფრო ნათლად გვიმტკიცებს, ვიდრე რომელიმე სხვა ფაქტები, რომ აზროვნებისათვის არ არის საჭირო სწავლა არც სიტყვებისა და არც პიროპითი ნიშნებისა. მაშ ნორმალურ ადამიანისათვის მარტო მაშინ რისთვის უნდა გაჩნდეს აზროვნება, როდესაც მას უჩნდება სიტყვა? სხვა და სხვა დაკვირვება ბავშვზე, რომელიც იწყებს ლაპარაკს, გვაჩვენებს, თუ სიტყვა როგორ აძლევს გონებას შეძლებას შემოსოს თვისი ბუნდოვანი, პირველი წარმოდგენები უფრო განსაზღვ-

რული ფორმით და ამასთან ერთად განაგრძოს განვითარება, ამ წარმოდგენების შეფარდებით იმ გარემოებასთან და პირობებთან, რომელშიაც ბავშვს უხდება ცხოვრება და მოქმედება.

როგორ სწავლობენ ბავშვები ლაპარაკს? ე. ი. როგორ სწავლობენ ადამიანის სიტყვის გაგებას? პირველად, როდესაც ჩდება სიტყვა, ყველა უნდა ჰქმნიდეს თავის საკუთარს ენას; ენა ადამიანს თან ვერ დაჰყვება, რადგანაც ენის შეძენას, გაგებას და მის გამოყენებას წინ უნდა უძღოდეს გონება. და აი ამიტომაც ყველა ბავშვი ჰქმნის თავის ენას. „განა ჩვენი ბავშვები არ სწავლობენ ლაპარაკს მიბაძვით“ გვეტყვიან ზოგიერთნი, ეს მარტო ასე გვგონია, თორემ ნამდვილად სულ სხვა ხდება. ვერც ერთს ბავშვს ვერ ასწავლი, როგორ უნდა წარმოსთქვა ესა თუ ის ხმა, როგორ უნდა მიჰბაძოს მას. ხშირად ნახავთ დედებს და ძიძებს, რომელნიც ცდილობენ ათქმევინონ პატარას ეს თუ ის ხმა მათი მიბაძვით; ბავშვი გულგრილად შესცქერის მათ, არც კი ესმის რა უნდათ მისგან. ბავშვი ხომ ვერ ხედავს, როგორ წარმოითქმება რომელიმე ხმა; არა თუ ხმა, სიტყვები, რომელნიც შესდგებიან თანხმოვან ასოებიდან, რომლის წარმოთქმის დროს განსაკუთრებით მოძრაობს ბაგე ე. ი. ხდება ისეთი რამე, რის დანახვა შეუძლიათ, მაგრამ ამ სიტყვების ხმოვანი ასოებიც მოითხოვენ ხმის სამოძრაო კუნთების ძალ-დატანებას, რაც თვალისათვის შეუმჩნეველია. აქედან არის, რომ ბავშვი უკეთ ითვისებს ისეთ სიტყვებს, როგორც „მამა, დედა“, მაგრამ ითვისებს არა მარტო სმენით, არამედ მას ეხმარება კიდევ მხედველობაც. ბავშვს, როგორც ველურ ადამიანს, პირველი სიტყვები, პირველი დანაწევრებული ბგერა უჩნდება უნებლიეთ შემოქმედებისა გამო და მისი შედეგიც ჩნდება წმინდა რეფლექტიურ მოძრაობასთან ერთად.

ამიტომაც ბავშვის შეგნებით მიბაძვას ყოველთვის მოსდევს თავისი საკუთარი სიტყვების გამოგონება. ამ სიტყვებს ბავშვი იგონებს, რომ გამოთქვას თავისი შთაბეჭდილებანი, დედები ხშირად ხედავენ—როგორ ხმარობენ ბავშვები თავიანთ გამოგონილს სიტყვებს და დიდხანსაც ხმარობენ მას, თუმცა მოზრდილების ენა უკვე შესწავლილი აქვთ. და ეს სრულიად ბუნებრივია, რომ ბავშვი ლაპარაკობს „**თავისებურად**“ სანამ არ ისწავლის ლაპარაკს „**ჩვენებურად**“. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ენის შესწავლის დროს ბავშვები ხმარობენ საგნის არა მარტო გამომხატველ ნიშანს, არამედ მის დამახასიათებელ ნიშანსაც. მაგ. ერთ პატარა ქალსა ჰკითხეს: რა ჰქვიან მის გამზდელს. ქალმა უპასუხა: „მარიამ საღამო“ ქალმა იცოდა მისი სახელი „მარიამი“, ეს მეორე სახელი კი მისთვის მისცა, რომ ეს გამზდელი პირველად მოვიდა საღამოს. ამავე ქალმა უწოდა სახელი „ძმარი“ ერთ ბიჭს, რადგან ამ უკანასკნელმა ერთხელ მაღაზიიდან ძლიერ ცხარე ძმარი მოიტანა. „ძმარო მოიცადე“, უთხრა მან ერთხელ ბიჭს, როდესაც დედამ ბრძანა მოეცადნა მოსულს. აქედანა სჩანს, რომ ჩვენ ბავშვს ვასწავლით არა ენას, არამედ ლაპარაკს ისე, როგორც ჩვენ ვლაპარაკობთ. ბავშვმა ჯერ თავისთავად უნდა შეისწავლოს ხმების დანაწევრება, გარკვევით წარმოთქმა, უნდა ისწავლოს თვითონ **ლაპარაკი**, და შემდეგ შეგვიძლიან შევასწავლოთ ჩვენი ენა. ყოველგვარი ენა, ეხლა ხელოვნურად შემუშავებული, წარმოსდგა პირველ ყოფილ უნებლიეთი **ლა-**

პარაკიდან, რაც შეადგენდა ადამიანის თან დაყოფილ თვისებას. აი ამ შემუშავებულ ენას ვასწავლით ჩვენ ბავშვს, და არა პირველ დაწყებითს **ხერხს ლაპარაკისას**. როდესაც ადამიანი შეუდგება გონების განვითარებას, მისი აზროვნება სწარმოებს ენის დახმარებით, გარეგანი მოქმედების გავლენით; ეს მანამდე გასტანს, ვიდრე აზროვნება იმდენად არ განვითარდება და არ შეიძენს დამოუკიდებლობას, რომ იქონიოს შეძლება იმავე ენის დახმარებით იმოქმედოს სხვებზე. შეთვისებული სიტყვა იგივე თესლია გულში ჩანერგილი; შინაგანი, სულის შემოქმედებითი ძალა შთანთქავს მას, მხოლოდ იმისათვის რომ დროზე, თუ გარემოება ხელს შეუწყობს, გაანაყოფიეროს, გააცოცხლოს. აი ამისი თვალსაჩინო მაგალითი: პოეტ ფრიდრიხ რიუკკერტის შვილის შვილმა სადღაც ყური მოჰკრა და სულ ხშირად ამბობდა ამ სიტყვებს; „ეს დიდი განსხვავებაა". ეტყობოდა, რომ ამ სიტყვების მნიშვნელობას ყურადღებას არ აქცევდა. ერთხელ ეს ბავშვი სოფელში იყო. ის არასოდეს არ მჯდარა ნამდვილ ცხენზე. სოფელში კი ის შესვეს ცხენზე, ნამდვილ, ცოცხალ ცხენზე. „აი ეს დიდი განსხვავებაა". წამოიძახა ბავშვმა ისეთი სიცხარით და აღტაცებით, რომ არავითარი ეჭვი არ იყო, რომ ბავშვს ესმოდა რას ნიშნავს ეს სიტყვა „განსხვავება".

ამის და გვარი მოვლენა ხდება ბევრ სხვა წარმოდგენების შეძენის დროს, რომელიც შეეხება ხილულ ქვეყანას, და ვიძენთ ჩვენი ხუთი გრძნობის დახმარებით, მაგ. ცისა და ვარსკვლავების წარმოდგენის დროს. წარმოდგენა ცაზე მარტო იმიტომ კი არა გვაქვს, რომ თვალით ვხედავთ მას, არამედ იმიტომაც, რომ ჩვენ გაგვიგონია ბევრი რამ ცის შესახებ, ულაპარაკნიათ ჩვენთან ცაზე; პირველი წარმოდგენა მასზედ ბუნდოვანია, მხოლოდ შემდეგში ის ნელ-ნელა გამოირკვევა ამ შეკრებილი მასალიდან, რომელიც ჩვენა გვაქვს ამ საგანზე.

ჯერ ბავშვს რომ ესმის სიტყვა ვარსკვლავი მას ეს თავდაპირველად წარმოდგენილი აქვს რაღაც პატარა საგნად, მხოლოდ შემდეგში კი ეს წარმოდგენა ფართოვდება.

პროფესორს ლაძარუს მოჰყავს ორი მაგალითი იმის დასამტკიცებლად, რომ მართალია ბავშვს ესმის, სწავლობს, ითვისებს და იმეორებს სისწორით აუარებელ სიტყვებს, მაგრამ მათ შინაგან აზრს და მნიშვნელობას ის ითვისებს თანდათანობით. ოთხი წლის ბავშვი მიდის მაგიდასთან, სადაც ბანქოს თამაშობენ და ამბობს სიტყვას „ტუზი" (კიკო). ყველას გაეცინა და ჰკითხეს—რას ნიშნავს ეს სიტყვაო. „ეს, როდესაც ბანქოს თამაშობენ იმას ნიშნავს" მიუგო პატარამ. აქ ადვილი წარმოსადგენია, როგორ მუშაობდა მისი პატარა თავი: ბავშვს ესმოდა რაღაც გაუგებარი სიტყვები, თვითონაც აკვირდებოდა ბანქოს თამაშს და აი ისარგებლა შემთხვევით და იხმარა თავის ადგილას ეს სიტყვა, რომელიც ხშირად ესმოდა, თუმცაღა ეს სიტყვა სრულიად განცალკევებული იყო ან საზოგადოთ მრავალ დაკვირვებაში განყენებული ადგილი ეჭირა. ძლიერ საგულისხმოა ის მოვლენა, რომ ბავშვებიც, როგორც უბრალო ხალხი კითხვაზე: „რა არის ეს?" ან „რას ნიშნავს ეს?" ძლიერ ხშირად პასუხს ასე იწყებენ: „ეს როდესაც"... ამავე ბავშვმა მოინდომა თავი გამოეჩინა მოსამსახურესთან ახლად გაგონილი სიტყვის ცოდნით და უთხრა მას, რომ მამა მისმა წაიკითხა ლექცია. „რა არის ლექცია? დაეკითხენ

მას. ბავშვმა უპასუხა თვალთმაქცური დარცხვენით, რაც ხშირად ემართებათ ბავშვებს, როდესაც გამოსთქვამენ ისეთ რასმე, რის გაგებაც მათ არ შეუძლიათ. „უნივერსიტეტში“ უპასუხა ბავშვმა. დედამ ჰკითხა ერთხელ „გესმის შენ რა არის უკადრისობა?“ ბავშვმა უპასუხა „ეს როდესაც ვინმეა“.

ხშირად ბავშვი, თუ მას აკლია რამე სიტყვა, თავის აზრის გამოსათქმელად, სხვას სთხოვს. მაგ. ერთმა პატარა ყმაწვილმა რობერტმა (ავსტრიელ შესანიშნავ პოეტის გამერილნგის შვილმა) დედის შეკითხვაზე: „რად არ მიპასუხე ჩემ კითხვაზეო“.—უპასუხა „მე გითხარი, მაგრამ შენ ვერ გაიგე, რადგანაც ავადა ხარ და „დაბრმავებული“ გაქვს „ყურიო“. საგულისხმოა ის, რომ ბავშვები დიდხანს ხმარობენ ამნაირ გამოგონილ სიტყვებს. ბავშვის დაკვირვება ბუნების მოვლენაზე ძლიერ საინტერესოა, თუმცა ეს დაკვირვება ხშირად სიმართლეს ლალატობს, მაგრამ ცოტაოდენი სიმართლე მათშიაც მოიპოვება. მაგ. პატარა რობერტმა რომელმაც პირველად დაინახა ბუზი, დაარქვა მას „პატარა ჩიტი“. ასეთი შედარება ცნებისა დააკმაყოფილებდა თვით ჰეგელსაც. „დღეს უკვე ხვალ არის“ უთხრა პატარა რობერტმა მეორე დილით, როდესაც მას დაჰპირდნენ წინადღით „ხვალ“ აგისრულებთ შენ თხოვნასაო. სადილობის დროს მას ჰკითხეს—გინდა თუ არა პურიო.—„არა, არა, არა ეს მინდა“, სთქვა მან და მიუთითა კუპატზე (пирог). სამი წლის გერმანს გაეგონა რომ ამბობდნენ „ვარსკვლავები ტრიალებენ დაუსრულებელს სივრცეში“. მას დაახსოვდა ეს სიტყვები. ერთხელ მან ცხვირში შეიყო ხელი, რაზედაც დედა ძლიერ უჯავრდებოდა. „გერმან, სადა გაქვს შენი თითი?“ ჰკითხა დედამ. ბავშვმა ეშმაკურის ღიმილით უპასუხა: „დაუსრულებელ სივრცეში“. ბავშვის ლაპარაკი სავსეა პოეზიით და ძლიერ ორიგინალურიც არის. განა ამაზე უკეთესი მაგალითი საჭიროა ამ აზრის დასამტკიცებლად. სულთაობა დღეს პატარა რობერტი სასაფლაოზე იყო. „საფლავების გარშემო დადიოდა ხალხი მოწყენილი თავებით, მოწყენილი ხელებით, მოწყენილი ფეხებით“,—სთქვა მან. უფრო კარგი დაკვირვებით გამოიჩინა თავი რობერტმა ცეცხლის აღწერის დროს, რომელმაც ყველა მდგმურები შეაშინა. მან ასე დააბოლოვა ცეცხლის წაკიდების ამბავი: სახლი ეხლა ისევ კარგად არის, მდგმურები მხიარულობენ და ფორტეპიანოზედაც კი უკრავენო. სამი წლის რო იყო ეს ბავშვი, დედას ხშირად დაჰყავდა იგი ერთ ტბის ახლო მახლო, რომელიც ტყის მახლობლად იყო. ერთხელ ისინი მიუახლოვდნენ ამ ტბას ქვევიდან ისე, რომ ტბა ჯერ არ სჩანდა. ირგვლივ ყველაფერი უცვლელად იყო, ტბა კი არ სჩანდა. ბავშვმა წამოიძახა: „ტბა აღარ არის, როგორ ბნელა აქ!“ სჩანს მას ტბა წარმოდგენილი ჰქონდა როგორც რაღაც ბრჭყვიალა, ნათელი, და ახლა რო არ იყო მისი ლაპ-ლაპა ზედაპირი, ბავშვს არე მარეც, მიუხედავად იმისა რომ მშვენიერი მზიანი დღე იყო, ჩაბნელებულად მოეჩვენა. განა ამ სიტყვებში არა გამოსჩანს პოეტიური გრძნობა, რომელიც ყოველ ბავშვის გულში არის? რაც უფრო ადვილად აკეთებს ბავშვი შედარებას, ანალოგიას, მით უფრო ჰქმნის იგი თავისებურ ენას და ამაში გამოიხატება მისი შემოქმედებითი ნიჭი; მაშინ განაგონიდან ის სთხზავს უფრო ადვილად, ანალოგიით, თავისებურ სიტყვებს და მთელ წინადადებას, თუმცა სიტყვიერების კანონი ხუს-

ტად არის მათში დაცული; ბავშვები უპირატესობას აძლევენ რბილ ხმოვან ბგერებს, რაც ამტკიცებს მათს მისწრაფებას დაამახინჯონ, გაგონილი სიტყვები. ხშირად ბავშვის ფანტაზია ჰქმნის სხვა და სხვა რთულ გამოთქმას იმ სიტყვის მაგიერ, რომელიც ბავშვმა ჯერ არ იცის. ერთმა პატარა ქალმა გაიგონა რო დედა მისი ლაპარაკობს ჩახრეწილი ხმით. მან უთხრა დედას: „დედა, შენ ლაპარაკობ დღეს „ბნელად“.

ბავშვი ცოდნის მოყვარეა. რადგანაც ბავშვს, რომელიც იწყებს ლაპარაკს და რომელსაც ხვდება გარშემო უფრო მომეტებული პირები და საგნები, სულ ცოტა გამოცდილება აქვს, ამიტომ ის ეხლა იძენს ცოდნას, ხედავს სულ ახალ-ახალ მოვლენას, ის ცდილობს შეიგნოს ეს მოვლენა, შეითვისოს იგი და შეუკავშიროს უკვე შეძენილ შთაბეჭდილებას. აი ამ ხანაში ის არ კმაყოფილდება არავითარ ახსნით; ყველას ის აძლევს კითხვებს, ცდილობს გააფართოვოს თავისი გონების თვალი ყოველნაირ საშვალებით. და ეს მისწრაფება ბავშვისა—გაიგოს ყოველ მოვლენათა მიზეზი, უსათუოდ უნდა იყოს დაკმაყოფილებული. (მასწავლებლებს და აღმზრდელებს ეს უნდა ახსოვდეთ) გონიერათ და ბავშვისათვის გასაგებად. ეს გამოიწვევს გონიერს მსჯელობას კითხვებზე. და თუ ამ გვარ კითხვებს უყურადღებოდ დასტოვებენ, რაც ხშირად ხდება ხოლმე, ანუ განგებ ამ კითხვებზე სამასხარო და ზღაპრულ პასუხს მისცემენ, მაშინ რა გასაკვირველია, რომ ძლიერ ნიჭიერმა ბავშვმაც სულელური კითხვებით მიჰმართოს უფროსებს. ბავშვი მიეჩვევა ცუდ აზროვნებას და ბოლოს მისი თავი აივსება სხვა და სხვა ცრუმორწმუნობით. ერთად ერთი ცრუმორწმუნოება, რომელშიაც პრეიერმა თავისი შვილები დაარწმუნა, ეს ის არის, რომ ბავშვები წეროებს მოაქვთო. მაგრამ, ეს ზღაპარიც არ აკმაყოფილებს ბავშვებს და ჰბადებს მათში საეჭვო კითხვებს. ერთმა ოთხი წლის გოგონამ აჩვენა დედას სპილო და ჰკითხა: „დედა, ნუ თუ ესეც წეროს მოიტანა?“.

ბავშვები ძლიერ ძნელად გამოარკვევენ თავის „მე“-ს შეგნებას და ეს იმიტომ, რომ მშობლები და აღმზრდელები ლაპარაკში ერიდებიან ამ „მე“-ს და რო ლაპარაკობენ პირველ პირით კი არა, არამედ მესამეთი—„დედა, მამა, ძია,“ აი ეს შვრება იმას, რომ ბავშმა დიდიხნის განმავლობაში არ იცის ხმარება „მე“ ს „ჩემი“-ს. ბევრი ბავშვი ამ „მე“-ს ხშირად უმატებს თავის სახელს; თავისი სახელის ხმარება მათ გაუგიათ დიდებისაგან, და მნიშვნელობა კი არ ესმით ამისი, და ამიტომაც ერთად ხმარობენ ნაცვალ სახელს „მე“-ს და თავის საკუთარ სახელსაც. შესანიშნავ გერმანელ ხირურგ ბარდელებენს მოჰყავს შემდეგი მაგალითი: პატარა სამი წლის გოგონა ილზას იმის მაგიერ რომ ეთქვა „ჩემი სკამი“, ჩვეულებრივად ხშირად ამბობდა: „ილზა, ჩემი სკამი“. რამდენად გამოურკველია ბავშვის გონებაში წარმოდგენა თავის „მე“-ზედ, მაშინაც კი, როდესაც ბავშვი შეეთვისა ამ ნაცვალ სახელს, შემდეგი მაგალითი გვიმტკიცებს. ერთი პატარა 4 წლის ქალი, მეცნიერ ლინდნერის შვილი, ოლღა, ხშირად ამბობდა „იმან მე დამასველა“, იმის მაგიერ რომ ეთქვა: „მე დავსველდი“. მარტო თამაშობის დროს, როდესაც იღვიძებს ბავშვის ინიციატივა, როდესაც ის აკვირდება, რომ მისი პიროვნება არის მიზეზი, ანუ უკეთ რომ ვთქვათ—ერთად ერთი ავტორი ამა თუ იმ გამოგონებისა, მარტო მაშინ იღვიძებს ცოტ-ცოტათი წარმოდგენა თავის „მე“-ზედ. და მარტო მაშინ, როდესაც ბავშვი დაიწყებს ლაპარაკს თავის თავზე, თავის თავთან, როდესაც ბავშვი მონოლოგით ლაპარაკობს, მაშინ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ბავშვში გაიღვიძა თვით შეგნების გრძნობამ.

ალ. ფალავა.

სწავლა-აღზრდის საქმე საქართველოში

ძველ დროიდან (IV ს.) მ-XVIII საუკუნის დასასრულამდი. *)

II

სკოლები საქართველოში X—XIII საუკუნოებში და არაბთა ეგავლნა.

საქართველოში უმაღლესი სასწავლებელი **გარდმოცემით** [1]) არსებობდა: გრემში [2]), იუალთოში [3]) და თბილისში. გრემის სასწავლებლის დაარსებას იგივე გარდმოცემა მიაწერს იოანე პეტრიწის, იუალთოსას—არსენი იუალთოელს და თბილისისას—ვინმე გიორგი ბერს [4]).

შეიძლება „დიდ სკოლათა“ რიცხვი მეტიც ეოფილიეო ჩვენში. როგორც ვიცით, საქართველო ხშირად რამოდენიმე დამოუკიდებელ სამთავროდ იყო დაყოფილი, რომელიც თავის ცალკე განკერძოებულ სახელმწიფურ ცხოვრებას ატარებდა. რაც შეეხება X—XIII საუკუნოებს საქართველო მაშინ თუმცა შეერთებული იყო ერთ სამეფოდ, მარა ეს შეერთება ფედერატიული იყო და თვითოეულ სამთავროში სუვერენიტეტი ეკუთვნოდა სამთავროს თავს (ერისთავ—მთავართ) და მის ხელისუფალთ [5]). ცხადია ამისთანა წეს-წყობილება ხელს უწყობდა ცალკე სამთავროს თავისი ცალკე უმაღლესი სასწავლებელიც ჰქონოდა. ამ ნაირად შესაძლოა გელათ—მარტვილშიაც ეოფილიეოს „დიდი სკოლა“. უფრო კი მარტვილში. ერთი რომ მარტვილი ცენტრი იყო (ადგილ-მდებარეობით) მთელ დასავლეთ საქართველოსთვინ და, მეორედ, მას დიდი პრივილეგია ჰქონდა, რადგანაც იქ ისხდნენ ჭყონდიდის მდვდელთ-მთავრები, რომლებსაც კათალიკოსის შემდეგ პირველი ადგილი ეკავთ საქართველოს იერარქთა შორის [6]) და რომლებიც ერთ და-იმავე დროს სწავლა-განათლების უმთავრეს მეთვალეურად ითვლებოდნენ საქართველოს სამეფოში [7]).

---

[1]) ამ გარდმოცემის მიხედვით ამტკიცებენ უმაღლეს სასწავლებლების ანუ „დიდი სკოლების“-ს არსებობას ჩვენში **თეიმურაზ ბატონიშვილი** (იხ. მისი „ისტორია დაწყებითაგან ევერიისა ესე იგი გიორგისა, რომელ არს სრულიად საქართველოჲსა“.—ს-პეტერბურღი.—1848 წ. გვ. 295—98), **პლატონ იოსელიანი** (იხ. მისი „Крат. ист. Груз. церкви“—изд. 2-ое—СПБ. 1843 г. стр 79; მისივე „Жизнеоп: свят. прославл. правосл. груз. церковью.— Тифл. 1850 г. стр. 26. примѣч. 28) და **პროფესორი** ალექ. ანტ. **ცაგარელი** (იხ. მისი „Свѣдѣнія в I. стр. XXVII).

[2]) ქალ. გრემი 20 ვერსის მანძილზეა თელავიდან; მეფე დავით I-დან (1471—1492) ის კახეთის სატახტო ქალაქად იყო.

[3]) არსენის აკადემიის ნაგრეკებს ახლაც უჩვენებენ წმ. ზენონ იყალთოელის ტაძრის გვერდით. (იხ. „მოხილუა“... ტიმოთესი.—გვ. 160, შენიშ. 98 პლ. იოსელიანისა; „სალარო ცოდნ.“ წ. I, გვ. 155 (ასო **ანზე**.

[4]) Іосселіани—„Кр. ист. груз. цер.“ стр. 79.

[5]) საზოგადოდ საქართველოს მეფის უფლების შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევა „საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია“ თბილ. 1905 წ. (გადმობეჭდილია „ცნობის-ფურცლ.“).

[6]) „ქრონიკები“ წ. I, გვ. 45 46.

[7]) ბ-ნი ი. ვართაგავა ფიქრობს—მარტვილში უმაღლეს სასწავლებელს გიორგი ჭყონდიდელი (1135—1191) დააარსებდაო. (იხ. მისი „Груз. духовн. переводн. и оргинальн. литерат. съ VI—XVIII в “—Симферополь.—1907 г. стр. 42).

იბადება კითხვა—ვინ უნდა ეოფილიყვნენ მასწავლებლად ჩვენებურ უმაღლეს სასწავლებლებში.

„ბროფესორებად“ პირველ ხანებში ჩვენებურ „დიდ სკოლებში“—აკადემიებში იყვნენ საბერძნეთში განათლებული ქართველები და სწორედ ზოგიერთნი იმ 80 ერმოთაგანი, რომელნიც წმ. გიორგი მთაწმინდელმა ბაგრატ IV დროს საბერძნეთს წაიყვანა „სწავლის მისაღებად“ [1]. მათ რიცხვს ეკუთვნოდენ სწორედ ზემო ნახსენები პეტრიწი, არსენი იულოელი, ეფრემ მცირე [2], საბა სინგელი [3].

წმ. იოანე-ეფთიმეს და გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრებიდან“ სჩანს აგრეთვე, რომ მათ დროს საბერძნეთ-აღმოსავლეთში დიდძალი ქართველობა მოდიოდა და „განსწავლის“ შემდეგ „აკეთილდება სახლად წარვიდიან“ [4].

თამარ მეფის დროს კი (და შეიძლება კიდევ უფრო ადრე გიორგი III (1156—1184) „ბროფესორებად“ ჩვენებურ აკადემიებში ჩვენშივე უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებული პირნი ინიშნებოდენ. და არა მარტო თუ ბროფესორები—ყველა ჩვენი ტოტად თუ ბევრად XII—XIII საუკ. ცნობილნი მოღვაწეები [5]) ჩვენებურ აკადემიებში უნდა ეოფილიყვნენ აღზრდილი.

ოვით დიდებული შოთა, რომლის შესახებ ჩვენი წარსულის მკვლევარნი ერთხმად ამტკიცებენ—საბერძნეთში (ათინაში) მიიღო უმაღლესი განათლებაო [6]),—ჩვენ გვგონია,—თავის სამშობლოშივე იყალთოს—გრემის აკადემიებში დაჰწავებია უმაღლესს სწავლა-განათლებას. წინასაღმდეგ შემთხვევაში ჩვენთვის სრულიად გაუგებარია ის ფაქტი, რომ შოთამ ზედმიწევნით და შეუდარებლივ კარგად იცოდა ქართული ენა. ეოველად შეუძლებელია ადამიანმა, რომელსაც თავის სამშობლო ენაზე არ მიუღია უმაღლესი განათლება, შესძლოს წერა ისეთი სრული, უნაკლული და მარტივ—მსუბუქ ენითა, რომლითაც არის დაწერილი ჩვენი ჭომარტოსის ილიადა. წარმოუდგენელია, რომ სამშობლო განათლების კერას მოციქულებულს და სამშობლო ენის „შორი-გამგონეს“ ისე ეადვილებოდეს და ემარჯვებოდეს განუენებულ ცნებების და წინადებების გამოთქმა, როგორც ეს ეხერხება ჩვენი სამშობლოს მე-XII ს. შექსპირის. ეჭვს გარეშეა—შოთა იყო საზღვარ-გარედ, მარა მას შემდეგ, რაც მან სწავლა დასრულა გრემ-იყალთოს აკადემიებში [7]). საზღვარ-გარედ შოთა გაემგზავრა „პრაკტიკის მისაღებად“ და ჩვენებურ აკადემიებში შეძენილ ცოდნათა შესავსებლად. ვარდან დიდის თქმით „დავითი (აღმაშენებელი) ზრუნავდა ქართველთ სწავლაზე და ამ განზრახვით

---

[1]) „ათონ. ივერ. მონასტ. 1074 წ. ხელთნ.“ გვ. 326—27.

[2]) „ქრონ.“ წ I, გვ. 215—220; Н. Марръ—„Предварительный отчетъ о работахъ на Синаѣ... и въ Іерусалимѣ въ поѣздку 1902 г.“

[3]) იყო ჯავახეთიდან. მან გადმოსთარგმნა ბერძნულიდან ,,ირმოლოგიონი'' ანუ ძილის პირი და აღწერა ცხოვრება დავით აღმაშენებელისა—(იხ. ,,წყობ. სიტ.'' §§ 764—65; Хахановъ—,,Очерки'', в. II, стр. 316).

[4]) ,,ათონ. ივერ. მონასტ. 1074 წ. ხელთნაწ.'' გვ. 60,328.

[5]) მაგალითად: იოანე შავთელი, ჭყონდიდლები—სვიმონ, გიორგი და ანტონ, კათალიკოზნი—ნიკოლოზ გულაბრიძე და არსენი ბულმაისიძე და სხვ. (იხ. ,,ქარ. ცხ.'' წ. II, გვ. 425, 444, 358, 366...)

[6]) ამას ამტკიცებენ. სხვათა შორის, აკადემიკოსი მარრი ბროსე, ანტ. ფურცელაძე; იხ. აგრეთვე ,,არჩილიან''-ში ,,მეფე თეიმურაზის და შოთას გამობაასება'' (შოთა იქებს თავს იმით, რომ საბერძნეთში მიუღია განათლება). იხ. კიდევ А. Хахановъ—,,Очер.'' в. III, стр. 94 (93—100).

[7]) საზღვარ-გარედ შოთა იყო ათინაში, კონსტანტინოპოლში, ათონში (იხ. ,,არჩილიანი'', აგრეთვე ,,შოთა რუსთ. და მისი დრო'' (ლეგენდა).—გამ. ანტ. ფურცელაძისა).

ამოარჩია მან ორმოცი უმაწვილი, რომელიც გაგზავნა საბერძნეთს ენების შესასწავლად და წიგნების სათარგმნელად“ [1]). ეველა ეს 40 უმაწვილი -უნდა ვიფიქროთ—ჩვენში უმაღლესი სწავლა დამთავრებულები იყვნენ და საბერძნეთში საჰროფესორო მოქმედებისათვის მოსამზადებლად იყვნენ გაგზავნილი. მათ რიცხვში ერია სწორედ შოთაც და იყო ერთი იმ სამთავანი, რომლების შესახებ იგივე ვარდანი შენიშნავს: „და მომეტებულად განვითარდენ იმათ შორის (40 უმაწვილთაგან) ნიჭიერებით სამნიო“ [2]).

რა საგნებს ასწავლიდნენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში და როგორ იყო იქ მოწესრიგებული გარდაცემის საქმე?

ბიზანტია—არაბეთის ზედგავლენა ჩვენებურ „დიდ სკოლების“ სტრუქტურა-მოწყობის საქმეში ეოველს ეტყვს გარეშეა. არაბები, როგორც ვიცით, სამ საუკუნეზე მეტს (VII—X) ფლობდენ საქართველოს და საკვირველი იქნებოდა, რომ მათ ამდენი ხნის განმავლობაში არავითარი გავლენა არ ჰქონოდესთ იგერიელთა ზნე-ჩვეულება—რწმენაზე და საზოგადოდ კი კულტურაზე. ვიცით აგრეთვე, რომ კულტურულად დიდად გაჩვითარებულნი სახალიფონი ღაზნევიდისა და ბაღდადისა თავის საზღვრებით საქართველოს სწვდებოდენ და აშკარაა დიდი გავლენა ჰქონდათ მათ ჩვენი სამეფოს შინაურ ცხოვრების მოწესრიგებაზე [3]).

მსგავსად არაბთა აკადემიებისა ჩვენებურ აკადემიებშიც შემდეგ საგნებს კადიოდენ: ღვთის მეტყველებას, ფილოსოფიას, კლასიკურ ლიტერატურას, ლოდიკას, ენებს, ხელოვნების (τέχνη), იურის ჰრუდენციას. ვარსკვლავთ-მრიცხველობას...

მეტად კარგად ჩვენებურ უმაღლესს „სკოლებში“ იყო დაყენებული ვარსკვლავთ-მრიცხველობის, ღვთისმეტყველების და ფილოსოფიის სწავლება. თითქმის ეველა დავით—თამარის მეფობის დროს საქართველოს ცნობილი მოღვაწეები: იოანე ჰეტრიწი [4]) არსენი იყალთოელი [5]), მოსე ხონელი [6]), ივანე შავთელი [7]), ჩახრუხა [8]), შოთა რუსთაველი [9])...

---

1) იხ. Варданъ Вел.—,,Всеобщ. ист.'' пер. Эмина —Москва''.—1861 г. стр. 147.

ავტორი წიგნისა ,,Истор. изображ. Груз въ церк. полит. и учебн. ея сост.'' ევგენი ბოლხოვიტიანოვი სწერს—,,დავითმა 12 (და არა 40) ახალგაზრდა ქართველი გაგზავნა ათონში მეცნიერების შესასწავლადო'' (72 გვ.). ვერ გაგვიგია, საიდან ამოიღო ყოვლად-სამღვდელო ევგენიმ რიცხვი თორმეტი!

2) Варданъ ibid.

3) ღაზნევიდის სახალიფოს საზღვრები სწვდებოდა დასავლეთისაკენ საქართველოსა და ბაღდადს, ჩრდ.-ბუხარას და აღმ. და სამხრ.-ინდოს შესართავსა (იხ. ,,სალარო ცოდნისა'' წ. IV, თბილისი. 1899 წ —გვ. 635).

საზოგადოდ არაბთა ზედგავლენაზე დამორჩილებულ ერთა კულტურაზე იხ. ,,Всемірн. ист'' Шлоссера, გვ 351.

4) მან, სხვათა შორის, სთარგმნა ,,ნემესიოს ფილოსოფოსის'' წიგნი, სადაც არიან ცნობანი ასტრონომია-ასტროლოგიიდან (Цагарели—,,Свѣд'' в. Щ, стр. 254; ,,წყ.-სიტ.'' § 731—44 (§ 738).

5) ,,ქრონ.'' წ II, გვ. 69.—,,შესხმა დავითისადმი არსენისა'' (იქ ასტრონომიული ცნობებიცაა).

6) იხ. მისი ,,ამირან-დარეჯანიან'' თავი მერვე იქ, სხვათა შორის, არის ლაპარაკი ,,სტროლიაბიაზე'' (სტროლიაბია (?!) აგრეთვე Хахановъ—,,Очер.'' в. I, стр. 340.

7) იხ. მისი ,,შესხმა თამარ და მის მეუღლის დავით მეფისადმი'' (ვახუშტი—,,ისტ.'' გვ. 217 შენიშვ. ,,ქართ. ცხ.'' წ II, 467 გვ.). შავთელსაც ეკუთვნის ქართულ კვინკლოსის შესწორება, რომელიც მეცნიერულის მხრით მეტად საყურადღებოა. ,,საიცრად უნდა მიგვაჩნდესო,—სწერს მ. ბროსე,—რომ ქართველებმა XII საუკ. უკვე იცოდნენ ნახევარი იმ ცთომილებისა, რომელმაც 1582 წ. აიძულა პაპი გრიგორი მე-XIII ს. გაესწორებინა რომაული კალენდარიო'' (იხ. ,,სა-

დიდად განსწავლული იყვნენ ასტრონომიაში და არა მარტო თუ თეორეტიულად—პრაქტიკულადაც იკვლევდნენ ქართველი სწავლულები ასტრონომიურ მოვლენას. ისტორიკოს შლოსერის სიტყვით ამ ხანაში თბილისში ცალკე ასტრონომიური ობსერვატორია არსებობდა [1]). ამ ობსერვატორიაში—უნდა ვიფიქროთ—ქართველი „სტუდენტობა“ თბილისის უმაღლეს „სკოლისა“ ეცნობოდა პრაქტიკულად ციურ სხეულთა თვისებებს და მათ აგებულებას და საზოგადოდ ვარჯიშობდა „ასტრალურ“ მოვლენათა შესწავლაში.

ამ ხანაში დაბალ სკოლებშიაც ასწავლიდნენ ჩვენში ელემენტარულ ცნობებს ასტრონომიიდან. ვახტანგის სჯულის წიგნში ვკითხულობთ: „ოთხი წიგნნი არიან სასწავლნი კაცთათვის: პირველი არს რიცხვთა ცნობა, მეორე მუსიკა, რომელი არს სამგალობელი, მესამე ქვეყნის აღრიცხვა და მეოთხე ვარსკვლავთ-მრიცხველობა“. და ეს დადგენილება სწორედ მიეკუთვნება არა მარტო თუ XVII—XVIII საუკუნეებს, არამედ უფრო ადრინდელ დროსაც—XI—XIII საუკუნეებს—როდესაც არაბთა გავლენით ასტრონომია საგალდებულო საგანი გახდა საბერძნეთის დაბალ სკოლებშიაც და მათთან ერთად ჩვენშიაც [2]). საეურადღებოა ამ შემთხვევაში ის ფაქტიც, რომ ყველა ჩვენი ზემო აღნიშნული მწერალ-ასტრონომები XI—XIII საუკუნეებისა ხმარობენ პლანეტების არაბულ სახელებს და ერთხელაც არა ქართულს ან ბერძნულს. და აქედან კი აშკარაა და ეჭვს ეჭვს გარეშეა, რომ ასტრონომიის სწავლებას ჩვენებურ სკოლებში პირველი საფუძველი ჩაეყარა არაბთა გავლენით [3]).

ქართვ. კალენდარი“ ვ. გუნიასი 1904 წ მ ჯანაშვილის წერილი „წელთა და ჟამთა აღრიცხვა ქართვ.“ გვ 67; Хахановъ - „Очер“ II, стр. 233).

[8]) თამარის ქების დროს ის თავის „ოდა“-ში იხსენიებს სხვა-და-სხვა პლანეტებს (მაგალითად ზოალს—saturnus) და ვარსკვლავთ-მრიცხველებს (იხ. დ ი ჩუბინაშვილის—„ქრესტომატია“ ნაწ II, 1863 წ.).

[9]) იხ. „ვეფხ.-ტყაოს.“ გამოც. კ. თავართქილაძისა.—ახალ-სენაკი.—1896 წ. შემდეგი გვერდები: 143 (ტაეპი I, 142 (ტ. VII), 148 (ტ VI), 233 (ტ. I), 139 (ტ. I).

შოთა და ყველა ამ ხანის მწერლები პტოლომეისტები (გეოცენტრისტები) იყვნენ, ე. ი. დედამიწას ცენტრალურ პლანეტად თვლიან და ამასთანავე მოძრაობას მზეს მიაკუთვნებენ, დედა-მიწას კი უძრავ მდგომარეობას. პლანეტებს ისინი მხოლოდ შვიდს უჩვენებენ და ეს იმიტომ, რომ ურანოსი (Uranos) და ნეპტუნოსი Neptunus) იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო აღმოჩენილი. ეს უკანასკნელი მე.XVIII—XIX საუკ. აღმოაჩინეს ინგლისელმა უილიამ ჰერშელმა და ფრანგმა ლევერიემ.

ვრცლად ასტრონომიის შესახებ საქართველოში იხილე ჩემი: „ასტრონომიის ანუ ვარსკვლავთ-მრიცხველობის მოკლე ისტორია“ ჟურ. „მოგზაური“ 1904 წ. № 5—6. იხ. აგრეთვე „ქარცხ.“ წ. I, გვ 33; წ. II, გვ 404 (აქ შეეხება თამარის დროს) პლანეტების ბერძნული სახელებია ნახმარი); გვ. 500 (აქ (ჩინგის-ყაენის შემოსევის დროს ეკუთვნის) „ათ-თორმეტთა ზოდთა“ (ბურჯი=ზოდიაქოსი=Зодіакъ) სახელებია ჩამოთვლილი თურქ-მონღოლურად და ქართულად). გვ. 631; წ III, გვ. 745.

[1]) 1258 წელს ამ ობსერვატორიის დირექტორს არაბს ალი ფაქრა-ალი-ხალათას ადერბეიჯანის ერთ-ერთ ქალაქში (?) მომხთარ ასტრონომთა კონგრესში მიუღია მონაწილეობა და იქ დიდი ცოდნა გამოუჩენია (იხ Шлоссеръ—„Всемірн. ист.“ стр. 360).

[2]) იხ. „სამართლის წიგნი ვახტანგ VI“ სა (ხელთნაწერი მეფის ძის იოანეს ხელთნაწერთა კოლექციიდან, რომელიც პეტერბურგის საჯარო წიგნთ-საცავშია დაცული) § ტმთ=349 ბერძნ კანონებისა. (სენატის თარგმანში რუსულად (1827 წ.) ეს მუხლი აღნიშნულია § 151).

[3]) შოთა და სხვები პლანეტების არაბულ სახელებს ხმარობენ („ვეფხ.-ტყ.“ გვ. 143, ტაეპი I; აგრეთვე ხელთნაწერები, რომლებიც საეკ. მუზეუმში (№ 65), წერა-კითხვ. გამავრ. წიგნთსაცავში და მეფის ძის იოანეს კოლექციაშია პეტერბურგში (№ 148) დაცული.

ასტრონომიაზე არა ნაკლები ყურადღება იყო მიქცეული ჩვენებურ აკადემიებში ფილოსოფია — მეტაფიზიკის (καζάρα ἐπιστήμη) სწავლება შეთვისებაზე. ბერძნულ წყაროების მოწმობით ქართველ სწავლულებს (ფილოსოფოსებს) დიდი როლი უთამაშნიათ საბერძნეთის ფილოსოფიის აღორძინების საქმეში X—XIII საუკუნოებში. ცნობილ ბერძენ ფილოსოფოსებს მიხეილ ფსელს და იოანე იტალის (XI—XIII ს.) დიდი მეგობრული განწყობილება ჰქონიათ ქართველ ფილოსოფოსებთან. უკანასკნელს მათთანაც (იტალის), სამშობლოდან განდევნის შემდეგ (განდევნეს მისი ახალი სარწმუნოებრივ-ფილოსოფიურ თეორიისთვის), ტკბილი და მეუდრო სვანე და კეთილი მეგობრები უპოვნია საქართველოში და ქართველ სწავლულთა შორის, სადაც კიდევაც გაუგრძელებია თავისი ფილოსოფიური კვლევა-ძიება [1].

ფილოსოფიურ სკოლებიდან პირველ ხანებში მეტს პატივში ყოფილან საქართველოში ნეოპლატონიკური სკოლა და მისი მიმდევრებადეპტები. მაგრამ, როგორც ვიცით, მე-X საუკუნიდან კვლავ „მოდაში შემოდის“ პლატონი და არისტოტელი და მათი აგტორიტეტი ხდება საყოველთაოდ სათაყვანებელი. ერთნი მაღლა აყენებდნენ პლატონს და მის „იდეიურ“ (ტრანსცენდენტალურ-მეტაფიზიკურ) ფილოსოფიას, სხვები კი არისტოტელს და მის „რეალურ“ (იმანენტურ) ფილოსოფიას. პირველნი ცნობილნი არიან პლატონისტებად, მეორენი კი-არისტოტელისტებად. მათ შორის დიდი ანტაგონიზმი სუფევდა და ხშირად ცხარე და მკაცრი სიტყვიერი დისპუტი იმართებოდა.

უფრო მტკიცედ ჩვენებურ აკადემიებში ჰქონდათ ფესვი გადგმული არისტოტელის ფილოსოფიას [2]), თუმცა პლატონისტებიც ხშირი იყო. ცნობილი არსენი იყალთოელი არისტოტელისტი იყო, დიდებული შოთა [3]) კი პლატონისტი. როგორც ნეოპლატონიზმის მიმდევართაგანი ჩვენში ცნობილია იოანე პეტრიწი [4]), ეფრემ მცირე [5]), საბა სინგელი, იოანე ტარიჭის ძე [6]).

---

[1]) იხ. Н. Марръ „Іоаннъ Петрицскій, Груз. неопл.“ стр. 52, 59, 55, 56, 46, 47...

[2]) დიდი პატივი არისტოტელს ჰქონდა აგრეთვე არაბებ შორისაც, რომელნიც მას მეორე მაჰმადად თვლიდნენ (Шлоссеръ— стр. 358—9). და საზოგადოდ საშუალო საუკუნოებში ყველა სარწმუნოების ღვთისმეტყველები არისტოტელს დიდ ავტორიტეტად ჰსახდნენ.

[3]) თავის აზრების დასამტკიცებლად შოთა იმოწმებს ხშირად საღმრთო წერილს (უფრო მოციქულებს, მაგალ. გვ. 155, ტ. 2) და ფილოსოფოსთაგან მარტო პლატონს. „მე სიტყვასა ერთსა გკადრებ **პლატონისგან** სწავლა თქმულსა, სიცრუეე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“ (გვ. 117, ტ. 2) სწერს ავთანდილი როსტევან მეფისადმი ადრესში (იხ აგრეთვე გვ. 121, ტ. 2...). და საზოგადო ხასიათიც მისი აზრებისა „პლატონიურია“ და პლატონის ფილოსოფიის ზედგავლენა ატყვია.

[4]) არისტოტელის ხუთ ცნობილ თხზულებიდან (1) κατηγορίαι, 2) περὶ ἑρμηνείας 3) τοπικά, 4) Ἀναλυτικά (προτέρα καὶ ὑτερα) და 5) περὶ σοφιστικὸν ἐλέγχον) მან სთარგმნა τοὶ τοπικά და περὶ ἑρμηνείας. უკანასკნელის (პერი ერმინია) თარგმანს ჩვენამდი არ მოუღწევია. მის მაგივრად ჩვენ გვაქვს მე-XVIII საუკ. თარგმანი სომხურიენიდან ნეკრესის ეპისკოპოსის დოსითეოსისა (იხ. „Свѣд.“ в. III, стр. 261) ბ-ნი მარრი ამტკიცებს—იოანე პეტრიწი ნეოპლატონიკიაო. ჩვენის აზრით პეტრიწი რამდენად ნეოპლატონიკია, იმდენადვე არისტოტელისტიც, ვინაიდგან ის **ხშირად** არისტოტელის აზრებსაც იცავს.

[5]) უთარგმნია ამმონი საკის (ნეოპლატონიკია) თხზულება (იხ. Цагарели—„Свѣд.“ в. III, стр 261).

[6]) მან სთარგმნა პორფირის (ნეოპლატ.) „შეყვანილება“ (εἰσαγωγή) იხ „ქრონ“ წ. I, გვ 237, 241; „წყობ.-სიტ.“ § 762—3 (გვ. 264; Хахановъ.—в. II, стр. 316.

უველაზე წინ თავის ფილოსოფიურ განვითარებით და შემეცნებით სდგას იოანე პეტრიწი „ბრძენი ბრძენთა შორის, ჭეშმარიტი ფილოსოფოსი“, რომელმაც „არა თუ ნივთნი იცოდა განუოფილი, არამედ მიზეზნიცა“. მას არა მარტო თუ უოარგმნია ფილოსოფიურ შინაარსის წიგნები ქართულ ენაზე, თვითონაც ორიგინალური ფილოსოფიური ტრაქტატებიც უწერია. მის მიერ ნათარგმნს „ელინურ“ ენიდან პროკლე დიადოხოსის „კვეშირს ანუ სტიხიას“ (Στοιχείωσις) თვითოეულს თავს „უწერია განმარტება და განჭვალული ფილოსოფოსურს გვარზედ თვით იოანე ფილოსოფოსისა მიერ პეტრიწისა“ [1]). ანტონ კათალიკოსის სიტყვით იოანემ „ქართული ჭქმნა ათი ნად“ [2]).

პეტრიწის შემდეგ ცნობილია ამ ხანაში თავის ფილოსოფიურ შემეცნებით მოძღვარი მეფე დავით აღმაშენებელის არსენი იუალთოელი—თავად იბადე ვაჩნაძის შვილი [3]), ზაქარია მირდატის ძე [4]), მამა სტეფანე [5]), თეოფილე [6]), ილარიონ თულარელი [7])...

[1]) ამ თხზულების მშვენიერი გამოკვლევა მოთავსებული აქვს ბ-ნ ნ. მარრს თავის „Іоаннъ Петр. Груз. неопл. XI—XII в“-ში.

[2]) „წყობ.-სიტყ.“ § 737—38 (§ 731).

[3]) ibid. § 751—758.

[4]) ibid. § 702.

[5]) ibid. § 729.

[6]) ibid. § 750.

[7]) ibid. § 707; იხ. აგრეთვე § 766 იეზეკიილ ფილოსოფოსზე—„მეორე პეტრიწზე“.

სხვებზე წინ იდგა არსენი იუალთოელი, რომელიც, მსგავსად იოანე პეტრიწისა, იუო არა მარტო თუ მრავალ-მხრივი, არამედ ეოველმხრივი განვითარებული და მეცნიერი გვამი. მან ზედმიწევნით იცოდა არა მარტო თუ ფილოსოფია, არამედ ენებიც [8]), საბუნებისმეტყველო მეცნიერებაც [9]), იურისპრუდენციაც [10]), ენების კანონი—ფილოლოგიაც [11]) და სხ. მის შესახებ ანტონი კათალიკოსი სწერს: „ამისი არის საქებელი ღვთისმეტყველება, ფისიკა, ანატომია, ფილოსოფია, სილოგიზმი, ჰიეტიკა-შაირნი, გალობა, სტვინვა ოქრომუსიკოთა“ [12])

სამ. ცომაია.

(დასასრული იქნება)

[8]) არსენიმ იცოდა ბერძნული, არაბული და სირიული ენები

[9]) იცოდა ასტრონომია—ფიზიკა—ანატომია. („წყობ.-სიტყ.“ §§ 731—44, გვ. 260—262). ამას ცხადად მოწმობს „შესხმა დავითისადმი არსენისა“, სადაც ნახმარია შედარებანი და ტერმინები ასტრონომიიდან, მამათა-ცხოვრებიდან, ფილოსოფიიდან, საბუნებისმეტყველო მეცნიერებიდან (...ბრწყინვალე ვითარცა **ეთერი** (!?) ნივთაა შორის“...) საზოგადო ისტორიიდან და სხ. („ქრონ.“ წ. II, გვ 69)

[10]) არსენს დაუწერია რუის-ურბნისის კრების (1103 წ.) დადგენილება ეგრედ წოდებული „ძეგლის წერა“. მასვე მიაკუთვნებენ დავით აღმაშენებელის ანდერძის შედგენას და ზოგიერთ გუჯრებისას (იხ. „ქრონ“ წ. II, გვ. 64; „ისტორიული საბუთები შიო-მღვიმ. მონასტ.“ თ. ჟორდანიასი; Хахановъ—„Очер.“ II, 126, 340, 124).

[11]) ibid.

[12]) „წყობ.-სიტყ.“ § 751—58 (§ 756).

უცხო ენის ადრე სწავლება

(სიმონოვიჩიდან)

არც ერთს ქვეყანაში არ არის ისე ძლიერ გავრცელებული პატარა ბავშვების უცხო ენის ადრე სწავლება, როგორც რუსეთში. ჩვენში ხშირად ნახავთ სამი წლის ბავშვს, რომელიც ტიკტიკებს ფრანგულად, გერმანულად და რუსულად; მდიდარ ოჯახებში კი ამას ემატება კიდევ ინგლისური ენაც.

ბავშვი პატარაობისას ადვილად ითვისებს უცხო ენას; ამ გარემოებამ იმ აზრამდის მიიყვანა მშობლები, რომ რადგანაც პრაქტიკულად შესწავლა უცხო ენისა ბავშვს არ უძნელდება, ამიტომ მავნებელიც არ იქნება იმისთვის; და რადგანაც უცხო ენის ცოდნა ფრიად სასარგებლოა მომავლისათვის, უსათუოდ პატარაობიდანვე უნდა შეისწავლონო. ამის გამო იშვიათად ნახავთ ისეთს მშობელს, რომელიც პატარაობიდანვე არ ასწავლიდეს თავისს შვილებს უცხო ენას.

ჩვენც გვჯერა, რომ პატარა ბავშვებს უფრო ეადვილებათ უცხო ენის შესწავლა, მაგრამ შევეხებით ამ საკითხს უფრო დაწვრილებით: რა მიზანი აქვთ მშობლებს, როცა ჩჩვილ ბავშვებს აწყებინებენ ლაპარაკს უცხო ენით, რა სარგებლობას იძენენ ბავშვები ამ ცოდნიდან და სარგებლობა უფრო მეტია თუ ზარალი ამის გამო?

მოწიფული კაცისათვის სასიამოვნოა უცხო ენების ცოდნა. რამდენადაც მეტი უცხო ენა იცის და კარგადაც იცის, იმდენად ცხოვრებაც მისთვის ხელსაყრელ პირობებშია. მას დიდი შეძლებაც რომ არ ჰქონდეს, ადვილად შეუძლია მგზავრობა, შეუძლიან ორგინალში გაიცნოს უცხო მწერალთა თხზულებები; ეს გაცნობა საკმაოდ ხელს უწყობს გონების განვითარებას და ამასთან ცხოვრებისათვის სახსრის მოპოებასაც. ამას გარდა უცხო ენათა მცოდნეს, რაღაც საეჭვო მოსაზრებით, მეტი სახელი აქვს საზოგადოებაში, განათლებულ კაცს უწოდებენ. ერთის სიტყვით, ვინც დედა ენის გარდა უცხო ენებიც იცის, ის კარგად ცხოვრობს ქვეყანაზე.

როცა ამ დასკვნამდის მივა ადამიანი, როგორ არ უნდა წამოიძახოს: მოდით, ვასწავლოთ ჩვენს შვილებს აკვნიდანვე უცხო ენები, ოღონდ პატივი ჰქოხდესთ საზოგადოებაში და ადვილად გაიჩინონ ცხოვრების წყარო.

თუ აღზრდის დროს აღმზრდელი მარტო იმის ზრუნვაში იქნება, რომ ადრე მოამზადოს ბავშვი პრაქტიკულ მოქმედებისათვის, რომ ადვილად იშოვოს და ჩაიჩხრიალოს ჯიბეში ფულები, მაშინ არა თუ უცხო ენის ადრე სწავლებაა საჭირო, არამედ სხვა და სხვა ხელოსნობის და ხელოვნების სწავლებაც ადრეა საჭირო. მაშინ ხუთი წლის ბავშვს ხარაზობა უნდა ასწავლონ, ან კალათების წნვა, წიგნების დაკაზმვა და სხვ. ეს რა სისულელეაო, იტყვის ბევრი. ვინ აწვალებს ამისათვის ბავშვებს; ვინ არ იცის რომ ბავშვი უნდა აღიზარდოს თავდაპირველად როგორც ადამიანი და არა ხელოსანი? ამ საგნის შესახებ განა ცოტასა სწერდნენ და მიუთითებენ პიროგოვის სტატიას: „ცხოვრების კითხვებზე“. ასე იფიქრებს ბევრი. მაგრამ ნება მომეცით შევეკითხო მათ: რა განსხვავება იმაში ასწავლიან

ბავშვს ხარაზობას, წიგნების კაზმვას თუ უცხო ენებზე სწრაფად ლაპარაკს. თქვენ ბრძანებთ პირველი სამუშაო ბავშვების საწვალებელია. ამაზედ ენდა მოგახსნეთ, რომ არც ისე საწვალებელია, როგორჯ გგონიათ, თუ ამას გარეგანი ცუდი პირობები ხელს არ უშლის; თუ ბავშვი კარგს პირობებში, მოწყობილობაში რამდენიმე საათს რამე ხელობას სწავლობს, ეს მისთვის იმდენად სამძიმო არ იქნება, რამდენადაც ლაპარაკი უცხო ენის, როცა ბავშვს დედა ენით უნდა ილაპარაკოს. არის მხოლოდ ორი განსხვავება უცხო ენებისა და ხელობის სწავლებაში— პირველი უფრო ხელსაყრელია სხვა ხელობაზე და ერთი შეადგენს უფრო ტვინის სამუშაოს, მეორე კი სამოძრაო ორგანოების მუშაობაა. ის კაცი, რომელმაც იცის პრაქტიკულად მხოლოდ უცხო ენა და სხვა არაფერი, არაფერს არ დახარჯავს და შეიძენს 200—300 მან წლიურ შემოსავალს და ამას გარდა წლიური ჯამაგირიც ექნება. რომელი ხელობა იძლევა ამდენს შემოსავალს?

ბევრი არ დაგვეთანხმება ამაში და დაიწყებს დამტკიცებას, რომ ბავშვებს ხელობისა და გამორჩენისათვის კი არ ასწავლიან უცხო ენას, არამედ იმიტომ, რომ ცოდნა შეძლებას აძლევს კითხვით გაკეთილშობილდეს და სხ. მაგრამ ეს საბუთი ტყუილია: განა ცოტაა ცოდნა, რომელიც აკეთილშობილებს ადამიანის ბუნებას: მათემატიკა, ფიზიკა და სხვა მეცნიერებანი ნაკლებ როლს არ ასრულებენ განათლების საქმეში, ვიდრე ფრანგული და გერმანული ენები, მაგრამ იმათ ისე ადრე არ ასწავლიან ბავშვებს, როგორც უცხო ენებს, თუმცაღა ეს ძლიერ შესაძლებელია, და ბავშვსაც ყველაფერს ასწავლი თუ საქმეს ხერხიანად მოეკიდები.

უცხო ენის ადრე სწავლება ისეთივე მავნებელია, როგორც ყოველგვარი ადრე სწავლება. ბავშვი, რომელიც ჯერ ფიზიკურად არ გამაგრებულა, რომელიც ჯერ კიდევ ვერ იცნობს რაც მის გარშემოა, არ გრძნობს არავითარ საჭიროებას უცხო ენით ლაპარაკისას გარდა თავის ენისა, არაფერს არ უნდა სწავლობდეს, არც მეცნიერებას და არც უცხო ენას. ერთიც და მეორეც მხოლოდ ავნებს მას. ტვინის ცალმხრივი მუშაობა ბევრს საზღაურს ითხოვს, ბევრს საზრდოს, და ეს საზრდო, რომელიც უნდა მიდიოდეს სხეულის თანაბრად გამოსაკვებავად, მიდის მომეტებულად ტვინთან, რის გამო კუნთები სუსტდება, სუსტდებიან სხვა ორგანოებიც, უფრო საჭმლის მომნელებელი ორგანოები; ბავშვი ყვითლდება, ხდება, ავად მყოფის სახე ედება. ბოლოს ან გონება უჩლუნგდება და ან ანჩხლი ხდება, რომლიდანაც სნეულებამდის მხოლოდ ერთი ნაბიჯია. სამწუხაროდ არ არის ისეთი სტატისტიური ცნობები, რომელიც ამტკიცებდეს თუ რომელი ბავშვები კვდებიან და ავად ხდებიან უფრო ხშირად—ისინი, რომელთაც ადრე დაიწყეს ცალმხრივი ტვინით მუშაობა—უცხო ენების შესწავლა, თუ ისინი, ვინც უცხო ენის შესწავლას შეუდგა მაშინ, როცა გონებით და ფიზიკურადაც გამაგრებული იყვნენ. ცნობილია აგრეთვე, რომ ბავშვებს სატახტო ქალაქებში, მდიდარ ოჯახებში, სადაც გონებით მუშაობა ხშირია, ხშირად უფრო დაღვრემილი სახე აქვთ, ვიდრე სოფლელ ბავშვებს. ამას ჩვეულებრივ მიაწერენ სუფთა ჰაერისა და კარგი საჭმელის ნაკლებულებას, მაგრამ არ შეიძლება აქ არ დავინახოთ უცხო ენების ადრე სწავლების გავლენაც, მით უფრო, რომ იმ ოჯახებშიაც სოფლად,

სადაც ჰაერიც და საჭმელ-სასმელიც უკ-ლებლად არის, მაგრამ გარს არტყია ფრანგი ან გერმანელი აღმზრდელები, ბავშვები იშვიათად იჩენენ ჯანის სიმთელეს, მაშინ როდესაც ქალაქის ოჯახს, სადაც სადა ცხოვრებაა და უცხო ენით არ ლაპარაკობენ, ჯანსაღი ბავშვები ჰყავს.

ასაკის მიხედვით ბავშვი ითხოვს მეცადინეობის დროს სხვა და სხვა ფერობას, რომელიც იწვევს ერთსა და იმავე დროს სხვა და სხვა ორგანოების მოქმედებას. რასაკვირველია ბავშვმა რაც უნდა გააკეთოს, ტვინი ყოველთვის იღებს მონაწილეობას, რადგანაც უიმისოდ არაფერი მოქმედება არ შეიძლება, მაგრამ დიდი განსხვავებაა ტვინის მუშაობაში იმ დროს, მაგალითად, როცა ხედავს ქაღალდზე ხაზს და იმ—ხაზზე მაკრატლით სჭრის ქაღალდს, ან მუშაობს ბაღში და იმ მუშაობაში, როცა ესმის რომელიმე ფრაზა, რომელიც მან უნდა დაიხსოვნოს. პირველ შემთხვევაში გართულია მხედველობა, ხელი და ტვინი, მაგრამ ეს უკანასკნელი ერთი მიმართულებით არ მოქმედებს, არამედ სხვა და სხვა მხრივ; რადგანაც ხელი რომ მოხვდეს ხილულ ხაზს, საჭიროა რთული გონებრივი პროცესსი. სულ სხვაა, როცა ცდილობს დაიხსოვნოს გაგონილი ფრაზები; აქ მონაწილეობას იღებენ მხოლოდ სმენა და მეხსიერება. აავსეთ ბავშვი ამისთანა ფრაზებით და თქვენ შექმნით იმისგან ცალმხრივ მახინჯ არსებას. ყველა მეცნიერების სწავლება შეიძლება თვალსაჩინოდ ე. ი. შეიძლება მისაწვდენი გახდეს ბევრი ორგანოებისათვის. უცხო ენების სწავლება კი შეუძლებელია მთლად თვალსაჩინოდ და ამიტომაც ის უფრო მავნებლად მოქმედებს ბავშვის ორგანიზმზე, ვიდრე სხვა საგანი, ამის გამო ბავშვებიც უხალისოდ სწავლობენ უცხო ენებს. ამის თქმა არ შეიძლება მხოლოდ ორი წლის ბავშვზე, რომელიც ხელში ჰყავს უცხოელ გამზრდელს. ეს ბავშვი სწორედ ეხლა იწყებს ლაპარაკს და მისთვის, რასაკვირველია, სულ ერთია რომელ ენაზე დაუწყებენ ლაპარაკს. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც ბავშვს ყველა ერთი და იმავე ენით უნდა ელაპარაკებოდეს, თორემ მას ეცოდინება მაგალითად პურის სახელი ორ-სამ ენაზე, სხვა საგნების სახელები—არც ერთზე, ან და ურევს ერთმანეთში ყველა ენებს—ერთს ფრანგულად იტყვის, მეორეს რუსულად, ვერც აუკრძალავ, ვერ ეტყვი ან ფრანგულად ილაპარაკე, ან რუსულადო, რადგანაც მისთვის გაუგებარია ფრანგულიც და რუსულიც. ამას გარდა დიდი ხნის განმავლობაში ვერც ერთს ენაზედ ვერ ილაპარაკებს რიგიანად. ერთის სიტყვით **იმაზე სისულელე არა არის რა, როცა ბავშვი სხვა და სხვა ენაზე ტიტინებს.** მშობლები, რომელთაც სურთ რომ მათმა შვილებმა პატარაობიდანვე შეისწავლონ უცხო ენა, უკეთ მოიქცეოდნენ, რომ ნება მიეცათ უცხო ენით ლაპარაკისა და იმავე დროს ბავშვს არ გაეგონა სრულიად თავისი დედა-ენა. ბავშვისთვის ამა თუ იმ ენის თვისება იმდენად საშიშარი არ არის, რამდენადაც მეხსიერების დატვირთვა; ბავშვისთვის საჭიროა ყველა საგნისათვის ერთი სახელი, მოქმედება და გარემოება და არა ორი ან მეტი. მშობლებს, რომელთაც სურთ პედაგოგიის კანონის დაცვა და აქვთ ძლიერი სურვილი პატარაობიდანვე შეასწავლონ შვილებს უცხო ენა, მეტი აღარა დარჩენიათ რა, რომ აკვნიდანვე მოაშორონ ბავშვს თავისი ღვიძლი ენა. მაშინ ბავშვი არ დატვირთავდა **უზო-**

მოდ თავისს მეხსიერებას და ძლიერ ადრე შეისწალიდა უცხო ენას,

იმ ასაკის გახსაზღვრა, როცა ბავშვს უვნებლად შეუძლია შეუდგეს უცხო ენის შესწავლას, სინამდვილით ძნელია. ის დამოკიდებულია საზოგადოთ ბავშვის აგებულობაზე. რამდენადაც სუსტია ბავშვი აგებულობით, იმდენად გვიან უნდა დაიწყოს უცხო ენის სწავლა. მაგრამ საზოგადოთ ათი წელიწადი არ შეიძლება ძლიერ ადრედ ჩაითვალოს უცხო ენის წესიებად და გონიერად სწავლებისათვის. ათი წლიდან არა თუ სასარგებლოა, საჭიროც არის ისწავლოს ბავშმა უცხო ენა. ამ ასაკში ტვინი უკვე გამაგრებულია, და ყოველგვარი გონებრივი მოქმედება, რომელსაც ცვლის წესიერი ფიზიკური შრომა, გასეირნება და სხვა თავის მხრით ამაგრებს ტვინსაც. ამ ხანში ბავშვს უკვე შეუძლიან მიხვდეს საზოგადოთ სწავლის სარგებლობას, და აგრეთვე უცხო ენის შესწავლის, სარგებლობასაც. ეს შეგნება კი ცოტას არ ნიშნავს სწავლაში წარმატებისათვის. ჩვენ, რასაკვირველია, სახეში გვაქვს, რომ სწავლება არ უნდა იყოს მექანიკური, რომელიც უჩლუნგებს ბავშვს ყოველგვარ ნიჭს. ჩვენ გვინახავს საცოდავი ბავშვები სხვა და სხვა სასწავლებლიდან, ისინი თავ-პირს იმტვრევდნენ სიტყვების გაზეპირებით, თარგმანებით, თხზულებებით, საცოდავებს, თუმცაღა ბევრსა შრომობდნენ, მაგრამ არაფერი ესმოდათ, უკან რჩებოდნენ სხვა ბედნიერებს, რომელთაც პატარაობისას შეესწავლათ ენები, ვერ გადადიოდნენ კლასიდან კლასში, რჩებოდნენ ერთსა და იმავე კლასში და ძვირად უჯდებოდათ უცხო ენის უცოდინრობა. ასეთი მოვლენა არ არის ნორმალური და ამის შესახებ ლაპარაკი არ შეადგენს ჩვენი სტატიის მიზანს. ასეთი მოვლენები ვერ შეადგენენ მიზეზს, რომლითაც უნდა გაამართლონ ის მისწრაფება, რომელსაც შეუპყრია ყველა, რომ პატარაობიდანვე ასწავლონ ბავშვებს უცხო ენები. ანგარიში ვერასოდეს გაუწევს აზრმაცობას ჭეშმარიტს აღზრდას.

ორი კუდიანი ვარსკვლავი

წრევანდელი წელიწადი ასტრონომიის ისტორიაში ღირს შესანიშნავია ახალი და ჯერ სრულიად უცნობი კუდიანი ვარსკვლავის გამოჩენით, რომელიც უცბად და მოულოდნელად გამოჩნდა ჩვენი მზის სისტემაში და ისევ ჩქარა გაჰქრა; ის ეკუთვნის იმ ციურ მოგზაურთა რიცხვს, რომლის გზა კვალი იკარგება დაუსრულებელს სივრცეში.

ეს კუდიანი ვარსკვლავი პირველად აღმოაჩინა დრეკმა (Drake) იოგანესბურგში (ტრანსვაალში) განთიადის დროს. იქაურმა ობსერვატორის დირექტორმა ინსმა (jnnes) შეამოწმა დრეკის დაკვირვება და დაადგინა, რომ ეს ციური სტუმარი მზიდან სამხრეთით 5° იყო და ისე ნათლად ბრწყინავდა, რომ მისი დანახვა ჰოგრიტით დღისითაც შეიძლებოდა. პროფესორმა გლაზენაპმა აღნიშნა, რომ ეს კუდიანი ვარსკვლავი მოძრაობდა სიპრტყით, რომელიც ეკლიპტიკის სიპრტყესთან 26° კუთხეს შეადგენდა. ის მიდიოდა ჩრდილოეთისკენ, გაიარა პერიგელი (უმცირესი მანძილი მზიდან) 4—17 იანვარს, ღამის 11 საათზედ პეტერბურგის დროთი; ამ დროდან კუდიანი ვარსკვლავი შორ-

დებოდა მზეს. მზისგან დაშორების გამო ელვარებაც აკლდებოდა. პერიგელიაში კუდიანი ვარსკვლავი მზის ზედა პირიდან 6 მილ. კილომეტრის ან $3^1/_2$ მზის საღერძის მანძილზე იყო. ამ დროს კომეტის სწრაფი მოძრაობა უდრიდა 200—300 კილომეტრს ერთს წუთში. ყოველ დღე კომეტა მიიწევდა ეკვატორიდან ჩრდილოეთისკენ $1^3/_4$ გრადუსით, ამის გამო მისი დანახვა უკვე შეიძლებოდა, რომ მზისაგან დაშორებით მისი ელვარება არ შემცირებულიყო. იანვრის ბოლოში კუდიანი ვარსკვლავი სამხრეთ დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ მიიმართებოდა, ყველაზე უკეთესად მას შეამჩნევდით **ერმის** (ვენერის) მარჯვნით, მზის ჩასვლიდან ნახევარი საათის შემდეგ.

თუ ზემო აღწერილი კუდიანი ვარსკვლავის მოვლინება მოულოდნელი იყო ვარსკვლავთ-მრიცხველთათვის, სამაგიეროდ კომეტა გალლეისა ძველი ნაცნობი ვარსკვლავია, რომლის მოვლინება მეორდება ყოველს 75 წელში. ეხლა ის უახლოვდება მზის სისტემის ცენტრს და ჩვენს დედა-მიწას. და ჩვენც ცოტა ხნით დავინახავთ მას, თუმცაღა ეს სანახავი განსაკუთრებული ბრწყინვალებით არ იქნება მორთული. მაინც წინააღმდეგ სხვა დრო გამოშვებითი კუდიან ვარსკვლავებისა, რომელნიც ახლად მოჩვენების დროს თან და თან სუსტად გვეჩვენებიან და თითქმის ჰქრებიან კიდეც, გალლეს კუდიანი ვარსკვლავი, ჩვენთვის ძველი დროიდანვე სარწმუნოა, რადგანაც ცნობები მისს შესახებ გვაქვს მეხუთე საუკუნიდან ქრ. დაბადებამდის.

ამ კუდიანი ვარსკვლავის აღმოჩენა ეკუთვნის ცნობილს ასტრონომს გალლეის, რომელმაც გამოიკვლია ცნობილი კომეტების გზა და ყველაზე უწინ თვითონ მივიდა იმ დასკვნამდის, რომ კუდიანი ვარსკვლავებიც ემორჩილებიან კეპლერის კანონს, ტრიალებენ მზის გარშემო და მიჰყვებიან ნიუტონის მიმზიდველობის კანონს. გალლეიმ გამოიკვლია კუდიან-ვარსკვლავების გზა, რომლის შესახებ წინად ჰფიქრობდნენ, რომ ეს ვარსკვლავები მოხაზავენ პარაბოლებს და მაშასადამე არასოდეს არ ბრუნდებიან მზისკენ, გალლეიმ გამოიანგარიშა გზა არა ნაკლებ 24 კომეტისა და ამასთანავე გამოარკვია შესანიშნავი აღმოჩენა, რომ სამს ამ კუდიანს ვარსკვლავთაგანს, სახელდობრ 1531, 1607 და 1682 წლებისას აქვსთ თითქმის ერთგვარი გზა. აქედან გალლეიმ ის დასკვნა გამოიყვანა, რომ, უეჭველია, ეს სამი კუდიანი ვარსკვლავი ერთი და იგივეა, რომელიც მზის გარშემო ხაზავს ელიპსის მაგვარ ხაზს ყოველ 75 წლის განმავლობაში, გალლეიმ იწინასწარმეტყველა მისი გამოჩენა 1758 ან 1759 წელში.

რასაკვირველია გალლეიმ ვერ გაძლო 70 წელი, რაც მას უკლდა წინასწარმეტყველების ასრულებამდის, კუდიანი ვარსკვლავის გამოჩენას, რომელსაც დაერქვა ამ დიდებული ასტრონომის სახელი, მაგრამ მაინც იცხოვრა იმ დრომდის, ვიდრე მეცნიერებმა აღიარეს მისი გამოანგარიშების სინამდვილე; ასეთი გამოანგარიშება მატემატიკურის სინამდვილით შეუძლებელია, რადგანაც კუდიან ვარსკვლავებს გზაზედ ბევრი დაბრკოლება ელობებათ ცდომილებისაგან, განსაკუთრებით ისეთი დიდი ცდომილისაგან, როგორიც არის **დია** (იუპიტერი) ან **კრონოსი** (სატურნი), რომელთა მიმზიდველობა უშლის კუდიან ვარსკვლავებს წესიერად მოძრაობას.

გალლეს წინასწარმეტყველობა მართა-

ლი გამოდგა. პირველად ამ კუდიანი ვარსკვლავის გამოჩენა შენიშნა გლეხმა — ვარსკვლავთ მრიცხველმა პალიჩმა შობა დღეს 1758 წელს, თუმცა უფრო ძლიერი დაახლოება მზესთან აღნიშნული იყო 1759 წლის შუა აპრილში. უკანასკნელი დაბრუნება გალლეს კუდიან ვარსკვლავისა მოხდა 1835 წელს, როცა მისი ელვარეგა არც ისე დიდი იყო.

ეხლანდელი გამოჩენა გალლეს კუდიანი ვარსკვლავისა მოხდება დედამიწასთან ძლიერ დაახლოებით, თუმცა, სამწუხაროდ, ის იმ დროს ჰორიზონტზე დღისით იქნება. წარსული წლის 11 ენკენისთვეს ძველის სტილით ეს კომეტა ფოტოგრაფიულის საშუალებით მოიპოვა ასტრონომმა მაქს ვოლფმა. იმის შემდეგ მისი ელვარება თან და თან მატულობდა და დეკემბრის ბოლოს მისი დანახვა შეიძლებოდა პატარა ჭოგრიტითაც. პირობა ამ კუდიანი ვარსკვლავის დასანახავად უხერხულია, რადგანაც ორი საათით ადრე უნდა ადგე მზის ამოსვლამდის, რომ ცოტა ხნით დაინახო კომეტა თავისი კუდით. მაისში (17 მაისს) უკანასკნელად დავინახავთ, მაგრამ, რასაკვირველია, მხოლოდ ძლიერ გრძნობიერ იარაღს შეუძლიან აღნიშნოს მისი გავლენა ჩვენს ატმოსფერაზე. რასაკვირველია ყოველთვის დედამიწის დაუსჯელად ვერ გაივლიან კუდიანი ვარსკვლავები, რადგანაც მათში თავისი შედგენილობით მავნებლებიც არიან. ასე კომეტა მორხაუზის კუდში აღმოაჩინეს ციანი, რომელიც, როგორც ცნობილია, ძლიერ საშიშარ შხამს წარმოადგენს ..

ამ ხანად ჩვენთან კუდიან ვარსკვლავ გალლეის მოახლოებით, თუმცა დაკვირვებისათვის უხერხულია, მაგრამ ასტრონომები შეეცდებიან ისარგებლონ და შეისწავლონ საკითხი კომეტის ფიზიკური სახის ცვლილებისა: კუდის გაჩენა (მზიდგან დაშორებით, როგორც ვიცით, კომეტებს კუდი არ აქვთ), მისი ევოლიუცია, შედგენილება და შიგნით მატერიის მოძრაობა და სხ. ასე ვოლფის დაკვირვებით, ეგერმანნის და კოპფის გამოკვლევით მატერია იწყებს მოძრაობას იმ მხრიდან, რომელიც მზისკენ არის მიქცეული მოპირდაპირე მხარისკენ წუთში 50—100 კილომეტრით, 1907 წლის დანიელის კომეტაში კი 500—600 კილომეტრის სისწრაფით. აქედან ცხადია, რომ კომეტის კუდი ყოველთვის ახლდება შუაგულის აორთქლების გამო, რომელიც თან და თან უნდა გაჰქრეს. ასე გაჰქრა მაგალითად კომეტა ბელისა.

მთავარი საკითხი, რომლის პასუხსაც ეცდებიან შეიტყონ ასტრონომები გალლეს კომეტის დაახლოვების დროს, არის: რა გვარ მატერიიდან შესდგება ეს კომეტა და რა ხდება მასში კუდის გაჩენის დროს.

ამის შესახებ ჯერ ძლიერ ცოტა ვიცით, ფოტოგრაფიის გარდა ამაში ხელი უნდა შეუწყოს სპეკტრალურ ანალიზმაც. ვუსურვოთ წარმატება ასტრონომებს ამ რთულ საქმეში და დავუცადოთ შედეგს, რასაც ვაცნობებთ ჩვენი ჟურნალის მკითხველებსაც.

პედაგოგიის ისტორია

დ—რ. ვაიმერისა. (გერმანულიდან)

§ 11. სახალხო სკოლები მე-XVI საუკუნეში.

სახალხო სწავლება ე. ი. სწავლება სახელმწიფოს უველა წევრებისა ქრისტიანობის საქმეა. სურვილმა ახლად გაქრისტიანებულ კერპთთაყვანის მცემელთათვის განათვლამდის გაეცნოთ სჯული და ისტორია ქრისტიანობისა ჯერ კიდევ მე-II საუკუნეში (ქრ. დაბად. შემდეგ) აიძულა ქრისტიანები დაეარსებინათ კატეხეტთა სკოლა, რომელსაც შეიძლება ერთის მხრით ვუწოდოთ პირველი ქრისტიანთა სახალხო სკოლა. ასეთისავე სურვილის ნაყოფი იყო კარლ დიდის მისწრაფება სახალხო სწავლების გავრცელებისა, რათა მის ქვეშევრდომთ სცოდნოდათ მამაო ჩვენო და მრწამსი მაინც. ქალაქებისა და კერძო პირთა სამოსწავლო დაწესებულებანი საშუალო საუკუნოებისა ვერ ჩაითვლებიან სახალხო სკოლათ, რათგან მათი მიზანი იყო კითხვის, წერის და ანგარიშის სწავლებით გაეადვილებინათ ცხოვრება **ქალაქებში** ვაჭრებისა და ხელოსანთათვის. **სოფელში მცხოვრებ ხალხის** სწავლებისათვის საშუალო საუკუნოებში არ იწუხებდა თავს არც ეკლესია და არც საერო მთავრობა. პირველად მეთექვსმეტე საუკუნის რეფორმატორებმა ჩასწიდეს ხელი კარლ დიდის აზრს და ცდილობდენ წმინდა მოძღვრება სახარებისა მიეწოდებინათ ქალაქისა და სოფლის დარიბ და უჩინარ მცხოვრებთათვის, როგორც სხვა წოდების წევრებისათვის. თუმცა ლიუტერი თავის წერილში „ქალაქის თავებს და სხვ..!! მოითხოვდა უველა პატარა ქალებისა და ვაჟებისათვის დღეში თითო ან ორ-ორ საათს სწავლებას, მაგრამ ეს შეეხებოდა მხოლოდ ქალაქის ბავშვებს და ამიტომაც მისი მოთხოვნა არ იყო მოთხოვნა საყოველთაო სახალხო სწავლებისა. როცა ლიუტერი და მისი მეგობრები უკვე ნახსენებ რევიზიის დროს (1527—1529) საქსთა საკიურფი-ურსტოში დარწმუნდნენ, რომ ხალხმა განსაკუთრებით სოფლებში არაფერი იცის ქრისტეს მოძღვრების შესახებ, მაშინ მიხვდნენ თუ რა საჭიროებას წარმოადგენდა სოფლისათვის მუდმივი სწავლება სხვა რამის თუ არა, სჯულისა მაინც. ამიტომაც „რევიზორთა დარიგება“ მოითხოვს, რათა მღვდლები „კვირაობით ნაშუადღევს, როცა მოსამსახურეები და ახალგაზდობა ეკლესიაში მიდის. ასწავლიდნენ, უკითხავდნენ და უხსნიდნენ სამს უმთავრესს საგანს მაინც—მამაო ჩვენოს, მრწამსს, და ათ მცნებას“. ცოტა ხნის შემდეგ ლიუტერმა დასწერა (1529) პატარა კატეხიზმო, რომელმაც გაუადვილა მღვდლებს მათი მოვალეობის ასრულება. ეხლა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ გაჩნდა ახალი საგნები—წერა, კითხვა და ღვთის მსახურების ადასრულებლათ საჭირო საეკლესიო გალობა ე. ი. გალობის სწავლება. რა თქმა უნდა უველა ამ საგნების შესასწავლათ კვირის ნაშუადღევი არ იკმარებდა. რათა ბავშკვის კვირას შესწავლილი არ დავიწუებოდათ, საჭირო იყო კვირაში ერთხელ მაინც გაემეორებინათ. მღვდლის თანაშემწეობას ეწოდა კისტერი (მედავითნე), რომლის ხელში ნელ-ნელა გადავიდა მთელი სწავლების საქმე. თავდაპირველათ ეჭვს გარეშეა, ძლიერ ცოტა იყო ამ საქმისათვის მომზადებული პირი. განსაკუთრებით უნუგეშო მდგომარეობაში იყო ამ ეხრით სოფელი; ქალაქებში კი, სადაც უკვე მოხსენებული გერმანული სკოლები არსებობდა, სახალხო სკოლების განვითარება მიდიოდა უფ-

რო ჩქარა, დაუბრკოლებლივ და შეუფერხებლად. ამ სკოლებისთვის საჭირო იყო მხოლოდ თავის გეგმაში შეეტანათ სადმრთო სჯული და მაშინდელი მოთხოვნილება სახალხო სკოლისა დაკმაყოფილებული იქნებოდა. ბუგენ ჰაგენის წინადადებით ქალაქმა ბრაუნშვაიგმა 1528 წელს გახსნა 4 საქალაქო და 2 სავაყო ეგრეთი სკოლა. შემდეგ წლებში მათ მიჰბაძა ჰამბურგმა, შტრასსბურგშა, ვიტტენბერგმა, ჰანნოვერმა და სხვებმა. ზოგი მათგანი ახლად აარსებდა სკოლებს, ზოგი კი რეფორმატორთა სურვილისამებრ სცვლიდა ძველი სკოლების გეგმას. ვიურტენბერგის სასკოლო წესდება (1559) ყველაზე უფრო დიდ ყურადღებას აქცევს სახალხო სკოლებს და მოითხოვს ასეთი სკოლები დაარსებულნი იქმნენ სოფლებსა და დაბებში. საქსონიის სასკოლო წესდება (1580), როგორც სხვა მრავალ საკითხებში, ისე ამ საკითხში ჰბაძავს ვიურტენბერგის წესდებას. სჯულის სიწმინდის დაცვისთვის საეკლესიო მთავრობას შემდეგ წლებშიაც შერჩა უფლება ამ სკოლების ზედამხედველობისა. სხვა ძველ სახალხო სკოლები თემების საქმე იყო. თემს ნება ჰქონდა მასწავლებლის არჩევისა, რომელიც ყოველთვის ასრულებდა მედავითნის მოვალეობას. დანიშვნამდის, რა თქმა უნდა, მასწავლებელს უნდა დაეჭირა ეგზამენი დეკანის ან სუპერინტენდანტის წინაშე, რათა დაეტკიცებინა, რომ მას ცოდნა შესწევს და გამოცდილება აქვს სადმრთო სჯული და ბირველ დაწყებითი ცოდნა გადასცეს. ამ მასწავლებელთა და მედავითნეთა გავლენა და მატერიალური მდგომარეობა საერთოდ ბევრს არა სასურველს წარმოადგენდა.—(ხშირათ ისინი იყვნენ ცხოვრებისგან გარიყული მოწაფეები დაბოინთა სკოლებისა, ხელოსნები, ჯარის კაცთ ნამეოფი ბირები და სხვა...) მათი ჯამაგირი შესდგებოდა საეკლესიო შემოსავლისაგან—ნათელისთვის, ქორწინებისთვის, დასამარხი, ბური, კვერცხები, ათისთავისაგან და სასკოლო ფულისაგან. საკუთარი სადგომი სკოლებს მხოლოდ ქალაქებში ჰქონდათ. ბატარა სოფლებში კი მოწაფეები და მასწავლებლები გადადიოდნენ ერთი სახლიდან მეორეში. იქ კი, სადაც მასწავლებელი რაიმე ხელობას მისდევდა და თავისი საკუთარი ბინა ჰქონდა, გაკვეთილები იმართებოდა იქვე, სადაც მასწავლებელი სხვა გარეშე საქმეებს აკეთებდა. სწავლების მეთოდი ყოველად უვარგისი იყო, რადგან მასწავლებლებს არავითარი სამასწავლებლო განათლება არ მიეღოთ. სახელმძღვანელო წიგნებთა შორის ყველაზე უფრო გავრცელებული იყო ბროტესტანტა სკოლებში, გარდა კატეხიზმისა და საეკლესიო საგალობელთა, ფსალმუნი და არაკების წიგნი; ხშირად ხმარობდნენ აგრეთვე ლიუტერის უკვე მოხსენებულს ანბანს. 1531 წელს, თუ იმ წლის ახლო ხანში, ერფურტის მაშინდელმა მასწავლებელმა ვალენტინ იკკელზამერმა გამოსცა გერმანული გრამატიკა, რომელშიაც იძლევა რჩევას კითხვა სახმო მეთოდით ესწავლებინათ. მაგრამ მისმა რჩევამ ვერავითარი თანაგრძნობა ვერ მოიბოვა. **კათოლიკეთა სახალხო** სკოლები მე-XVI-ტე საუკუნეში მიბაძვა ბროტესტანტთა ამგვარივე სკოლებისა. ეს იქედანაც სჩანს, რომ ტრადენტის მსოფლიო კრებამ დაადგინა: „ყოველ მრევლში კვირა-უქმი დღე მუუაითად უნდა ასწავლიდნენ ბავშვებს სჯულის ძირითად კანონებს და ღვთისა და მშობლების მორჩილებას“. ეს სურვილი სისრულეში მოიყვანა **იეზუიტების** დარიბთა სკოლებმა, სადაც კანიზიუსის კატიხიზმო ისეთსავე ხმარებაში იყო, როგორც ლიუტერის კატეხიზმო ბროტესტანტთა სახალხო სკოლებში. კონტრ რეფორმაციის გამარჯვებისთანავე იეზო ამ ორდენის მუეაითობამ უსახსრო ახალგაზდობის განვითარებაში. ორატორიებმა და კიდევ უფრო ბიარისტთა ორდენმა განსაკუთრებული ყურადღებით მოჰკიდეს ხელი კათოლიკ-ხალხის განათლების საქმეს. მათ შემდეგ

ში მიემხრო აგრეთვე „სკოლის **ძმანი** La-salle“. 1564 ბავარიის ჰერცოგმა ალბრუხტ V გამოსცა სასკოლო კანონდებულება; ამ დებულებაში ნაბრძანები იყო, რათა გამოცდილ მასწავლებლებს ბავშვებისთვის ესწავლებინათ ქრისტიანული სჯული, კითხვა, წერა და ანგარიში.

საქალებო სკოლები საშუალო საუკუნოებშიაც იყო დედათა მონასტრებში. მაგრამ მათი კარები მხოლოდ მაღალ წოდებათა ქალებისთვის იყო ღია. იქ ასწავლიდნენ მხოლოდ კითხვას, წერას და აზეპირებინებდნენ ფსალმუნებს, ლოცვებს, და მრწამსს. იშვიათად ქალებს ლათინურსაც ასწავლიდნენ. სწავლება **ყველა** ქალებისა მოითხოვეს პირველად მეთექვსმეტე საუკუნის რეფორმატორებმა. ბრაუნშვეიგის მაგალითის მიხედვით 1530 წ. შტრასსბურგმა გახსნა 4 საქალებო სკოლა. ვიუტენბერგის სამოსწავლო გეგმაც მოითხოვს გარდა სავალო სკოლებისა განსაკუთრებულ საქალებო სკოლის ორგანიზაციას გახსნას. სხვა და სხვა ადგილებში მოითხოვდნენ ხოლმე აგრეთვე დაარსებას საქალებო სკოლებისას დიდ ქალაქებში მაინც. უმრავლესს შემთხვევაში მოთხოვნილებანი მოთხოვნილებათვე დარჩა; ასწავლებელ ქალების სიმცირემ დაუძლეველი წინააღმდეგობა გაუწია მთავრობათა წინადადებას.

ჯერ კიდევ მეთექვსმეტე საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო კათოლიკეთა მხრივ ქალების ურსულინთა ორდენმა ბრძოლა პროტესტანტთა წინააღმდეგ; ეს ბრძოლა უჩინარი იყო, მაგრამ კარგად გამოანგარიშებული და იხატებოდა ქალების სწავლების საქმეში მუდამ მუშაობაში. მეჩვიდმეტე საუკუნის დაწყებისთანავე ამ ორდენს ნაყოფიერი დახმარება გაუწია **ინგლისელთა დების** და **ელისაბედენთა** ორდენებმა.

ნ. ლორთქიფანიძე.

* * *

ვდგევარ კლდის პირად და ჩემს დაბლა მოსჩანს უფსკრული,
გარს მახვევიან ალქაჯები, ავი სულები;
სუსხმა, სიცივემ და სიბნელემ მომიკლა გული,
აღარ მშორდება მწარე სევდა, მწველი ცრემლები!

შევცქერი ცას და მოციმციმე ვარსკვლავთ კრებულსა
და დატანჯული გული თითქოს წამით გრძნობს შვებას;
მაგრამ ოდითვე სულს დაღვრემილს, დაობლებულსა
რა აგრძნობინებს მკაცრ სოფელში სიამოვნებას?!

ჩემო ვარსკვლავო, მოციმციმევ, ნაზად მოარევ,
შენკენ მიილტვის სევდით სავსე ეს ჩემი გული;
შენი სხივები საიმედო, გუშაგო მთვარევ,
გულს მებნევიან და მამკობენ ვით თაიგული!

მსურს ვით მეგობრებს საიდუმლო ჩემი გულისა
მხოლოდ თქვენ გამცნოთ, მხოლოდ თქვენ ერთს გაგიზიაროთ:
მე ველარ ვპოვე სოფლად წამი სიყვარულისა,
ესდენ ტანჯული გთხოვთ მიმიღოთ და მომიაროთ!

მხოლოდ თქვენ უწყით, რას განიცდის სული ობლისა,
მეგობრის ნუგეშს, სატრფოს ალერსს განშორებული;
მე მსხვერპლი გავხდი დაუნდობელ, მტანჯავ სოფლისა,
მრავალ გზის დევნილ, დატანჯული და წამებული!

ლადო გეგეჭკორი.

1909 წ. პეტერბურგი.

პოზნანელ მასწავლებლის დღიური

ჰენრიკ სენკევიჩისა

(დასასრული)

მიხასი აღმერთებდა დედა მისს. იმ დღიდან ის ყოველ წუთს მკითხავდა სხვა და სხვა **პერფექტა** და **პარტიციპია**-ზე. ამ კარგი ნიშნების შერჩენა მიხასისთვის გადიქცა ახლა სიცოცხლის საგნათ. მარა ეს კარგი ნიშნები ბუდის ხან-მოკლე გამოშუქება გამოდგა. მალე შავბედითმა პოლაკურმა გამოთქმამ ჩაფუშა ის, რაც შექნა მეცადინეობამ; დიდძალმა რიცხვმა საგნებისამ არ შეაძლებინა ბავშვს, რომ ყოველ საგნისათვის იმდენი დრო მოეხმარებინა, რამდენსაც თხოულობდა მისი დასუსტებული მეხსიერება. ერთი შემთხვევა შეიქნა მიზეზი ბავშვის კიდევ უფრო დიდი უბედურებისა. მიხასს და ოვიცკისაც დაავიწყდათ ეთქვათ ჩემთვის ერთი დასაწერი გაკვეთილი, და არ მოემზადებინათ ის. ოვიცკის ეს შერჩა, რადგანაც მისთვის, როგორც პირველი მოწაფისთვის, არც უკითხავთ გაკვეთილი, ხოლო მიხასს კი ყველა მის ამხანაგების წინაშე საყვედური უთხრეს, და გარდა ამისა დაემუქრნენ,—თუ კარგათ არ ისწავლი, სულ გამოგრიცხავთო.

მასწავლებლები მართლა ფიქრობდნენ თურმე, რომ მიხასმა განგებ დამალა არითმეტიკური ასახსნელი, რომ ის არ გაეკეთებინა. ბავშვმა, რომელსაც არასოდეს სიცრუე არ უთქვამს, ახლა ვერაფრით ვერ შეაგონა მათ თავისი სიმართლე. მართლა, მას შეეძლო თავის გასამართლებლათ ეთქვა, რომ ოვიცკისაც დაავიწყდაო, მარა ამას სკოლის ეთიკა ნებას არ აძლევდა. როცა მე დავუწყე მათ რწმუნება, რომ მიხასი სრულიათ მართალი იყო ამ შემთხვევაში, ნემცებმა მომიგეს, რომ მე ბავშვს სიზარმაცეზე ვაქებ. მე ეს ძალიან მეწყინა, მარა მიხასის შესახედაობამ კიდევ უფრო ამაშფოთა. იმავე დღეს, საღამოთი, მე დავინახე, როგორ მოიჭირა მან ორივე ხელები თავზე და დაიწყო ჩურჩული: „მტკივა! მტკივა! მტკივა!“ მას ეგონა, თუ მე არ მესმოდა, რასაც ის ამბობდა. მეორე დღეს დილით მოვიდა დედა მისის წერილი, რომლითაც ის ქებას ასხამდა შვილს წინათ მიღებულ კარგ ნიშნებისათვის. ეს წერილიც თავსაცემათ გახდა მისთვის.

— ახლა როგორ ვანუგეშო დედა ჩემი! შეძახებდა ხოლმე ის და პირის სახეს ხელებით დაიმალავდა.

მეორე დღეს, როცა მე გადავკიდე ბავშს წიგნებით გატენილი ჩანთა, ის წაბარბაცდა და კინაღამ დაეცა. მე მინდოდა ის სახლში დამეტოვებია და სკოლაში აღარ გამეშვა, მარა ის ჩამაცივდა, ეს არაფერიაო, და მთხოვა მხოლოთ სკოლამდი გავყოლოდი, რადგანაცო, მითხრა მან, მეშინია გზაში თავბრუ არ დამესხასო. ბავშვი შუადღისას დაბრუნდა კიდევ სუსტი ნიშნებით. სუსტი ნიშანი მიიღო მან იმ გაკვეთლისათვის, რომელიც ჩინებულათ იცოდა, მარა, როგორც ამბობდა ოვიცკი, შეშინებოდა და ერთი სიტყვა ვერ ეთქვა. მიხასზე სკოლაში ნემეც მასწავლებლებს ის აზრი შეედგინათ, რომ ეს ბავშვი გაჟღენთილია „უკუღმართ დედა აზრებით და ინსტინქტებით, არის გონება ჩლუნგი და ზარმაცი“.

ორ უკანასკნელ ბრალდებულებას, რაც გაგონილი ჰქონდა მიხასს, ის ებრძოდა როგორც წყალ წაღებული ზვირთებს—

თავგანწირულათ, მარა, მისდა საუბედუროთ, ამაოთ.

ბოლოს მას დაეკარგა ყოველივე იმედი და ყოველივე ნდობა თავის ძალებისა; მივიდა იმ დასკვნამდი, რომ ყოველივე მეცადინეობა და შრომა იმისი ამაოა, რომ სულ ერთია—მისი სწავლა მაინც ცუდათ ჩაივლის, და ამასთანავე წარმოიდგენდა, თუ რას იტყოდა ამისათვის დედა მისი, როგორ შეაწუხებდა, და როგორ დაასუსტებდა ეს დედა მისის ისედაც სუსტ არსებას.

ზალესელი მღვდელი, რომელიც ზოგჯერ წერდა მიხასს, ძალიან თანაუგრძნობდა მას, მარა წინ დაუხედავი იყო და ყოველ წერილს აბოლოვებდა ასე:

„გახსოვდეს, რომ არა თუ სიხარული, არამედ სიმრთელეც დედაშენისა დამოკიდებულია შენს კარგს სწავლასა და ყოფა ქცევაზე სკოლაში“.

საცოდავ ბავშვს ახსოვდა, ძალიანაც ახსოვდა, რადგანაც სიზმარშიაც იმეორებდა საბრალო ხმით: „დედა! დედა!“ თითქო მას პატიებას ეხვეწებაო.

სიფხიზლეში კი უფრო და უფრო ცუდ ნიშნებს ღებულობდა. ამასობაში ახლოვდებოდა შობის დღესასწაული და საეჭვო აღარ იყო, რომ ნიშნები კარგი არ იქნებოდა. მე მივწერე მიხასის დედას წერილი, რომ წინდაწინ მომემზადებინა ის ცუდი ნიშნებისათვის. მე გულ-ახდილათ და გადაჭრით ვაცნობე, რომ ბავშვი სუსტია და ქანც გაწყვეტილი, რომ ის თუმცა მეტის მეტათ მეცადინეობს, მარა არაფერი არ გაუდის, და რომ მოსალოდნელია, დღესასწაულის შემდეგ, საჭირო დარჩეს მისი სკოლიდან გამოყვანა, რომ სოფელში იცხოვროს და იქ გამომთელდეს. მისმა პასუხმა გამაგებინა, რომ მისი დედობრივი გული ერთობ დაეტანჯა ჩემ წერილს, მარა ის მაინც პასუხს მაძლევდა, როგორც ჭკვიანი ქალი და მოყვარული დედა.

მე არაფერი არ მითქვამს მიხასისთვის არც ამ წერილზე, და არც მის გამოყვანაზე სკოლიდან, რომ ნამეტანი არ ამეღელვებინა ბავშვი. მე მხოლოთ ვუთხარი მას, რომ რანაირიც უნდა იყოს მისი ნიშნები, დედამისმა მაინც ძალიან კარგათ იცის, რომ ის გულმოდგინეთ სწავლობს და ამიტომაც შეიწყნარებს მის ცუდ ნიშნებს. ამ ჩემი სიტყვებით მას ცოტა გულს მოეშვა, რადგანაც დიდხანს იტირა, რაც მას ბოლო დროს არ დამართია. ტირილში ის იმეორებდა; „რამდენი საწყენი ხვდება დედა ჩემს ჩემგან!“ მარა, რომ წარმოიდგენდა სოფელში მალე წასვლას, დედის, პატარა ლოლასი და სოფლის მღვდლის მაშინსკის ნახვას, ბავშვი თვალ ცრემლიანი იღიმებოდა. მეც მინდოდა მალე წავსულიყავი ზალესინოში, რადგანაც მეტი აღარ შემეძლო მემზირა ბავშვის სამწუხარო მდგომარეობისათვის. სოფელში კი მას მოელოდა დედის ალერსი, თავისიანების თანაგრძნობა, მყუდროება და დამშვიდება. იქ მოელოდა მას წმიდა, მშობლიური ატმოსფერა, რომელშიაც ყმაწვილს შეეძლო თავისუფლათ ესუნთქა.

მე ისე მოველოდი დღესასწაულებს, როგორც ჩემ ხსნას და ვითვლიდი წამებს, რაც დარჩენილიყო იმ დღესასწაულამდი და რომლებსაც მიხასისთვის ახალ-ახალი უბედურება მოჰქონდა. თითქოს ყველაფერი შეერთდა მის წინააღმდეგ. მიხასს, როგორც ისეთს ბავშვს, რომლის გავლენითაც ვითომ სხვა მისი ამხანაგები ეჩვევოდენ თავიანთი მოვალეობის აუსრულებლობას, კიდევ მთელი კლასის წინაშე საყვედური გამოუცხადეს.

ეს მოხდა თავათ დღესასწაულების წინ, და მაშასადამე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ძნელი ასაწერია, როგორ იმოქმედა ამ შემთხვევამ თავმოყვარე ბავშვზე, და როგორ არივ-დარია მისი გონება. სახემ ამ თერთმეტი წლის ბავშვისამ მიიღო ნამდვილ ტრაგიული გამომეტყველება; გეგონებოდათ, ვითომც ის ძალით იმაგრებდა ტირილს, წამ და უწუმ მისი თვალები თოფ-ნაკრავ ჩიტის თვალებს ემსგავსებოდა; შემდეგ უცნაურათ დაღონდა და ძილათ მივარდნა დაჩემდა; თითქოს შეუგნებლათ მოძრაობდა, და ხმა კი საოცრათ ნელი გაუხდა. ის შეიქნა არა ჩვეულებრივათ ჩუმი, მშვიდი და მექანიურათ დამჯერე. როდესაც ვეუბნებოდი, დროა გავისეიროთ თქვა, ის აღარ მეწინააღმდეგებოდა, როგორც უწინ, დაიხურავდა ქუდს, და ხმა ამოუღებლათ გამომყვებოდა თან. მე კმაყოფილიც ვიქნებოდი, რომ ეს მისი გულგრილობისაგან ყოფილიყო, მარა ვატყობდი, რომ ეს მისი სიმშვიდე იყო მოჩვენებული სიმშვიდე, რომელიც ფარავდა ბავშვის ატაცებულს და სატანჯველ მორჩილებას ბედისადმი. ბავშვი მიუჯდებოდა ხოლმე გაკვეთილს, ხსნიდა ასახსნელებს, როგორც უწინ, მარა უფრო იმიტომ, რომ ასე იყო დაჩვეული. ცხადი იყო, რომ ბავშვი, როცა მექანიურათ იმეორებდა უღლვილებას, ფირქრობდა სხვა რაღაც საგანზე, ან უფრო მართალი რომ ვთქვა—არაფერს აღარ ფიქრობდა. ერთხელ, როცა მას ვკითხე, მორჩი თუ არა გაკვეთილს თქვა, მან მოიგო ნელი და თითქმის მძინარი ხმით: „მგონია, ბ-ნო ვავჟინკევიჩ, ამიდან არაფერი არ გამოვა". ახლა კი მე მეშინოდა დედა მისის გახსენებაც, რომ სიმწრის ფიალას არ გადმოეარა.

მე უფრო და უფრო მაწუხებდა მისი სიმრთელის მდგომარეობა, რადგანაც ის თან და თან ხდებოდა, და ბოლოს თითქმის გამჭვირვალი შეიქნა. ქსელი უუწვრილესის ძარღვებისა, რომლებიც უწინ საფეთქლებთან გამოაჩნდებოდა ხოლმე, როცა ის განსაკუთრებით გამოცოცხლდებოდა, ახლა უფრო ემჩნეოდა მას. ბავშვი ისე გამოლამაზდა, რომ მოგაგონებდათ რომელიღაც ნახატს. საცოდავი შესახედავი იყო ამ ბავშვის თითქმის ანგელოზური პატარა თავი, რომელიც ისეთს შთაბეჭდილებას იწვევდა, თითქო ვარდი ჭკნებაო. სათვალდათვალოთ მას თითქოს არაფერი განსხვავებული რამ არ ჰირდა, და ნამდვილათ კი, ის დნებოდა და კარგავდა ძალებს. მას აღარ შეეძლო ყველა წიგნების წაღება, და ამიტომაც ჩანთაში ვულაგებდი მას მხოლოთ რამდენსამე წიგნს, და სხვები კი მე თითონ მიმქონდა, რადგანაც ახლა ყოველ დღე დავყვებოდი მას სკოლაში და სკოლიდან სახლში.

ბოლოს დადგა დღესასწაულები. ორი დღეა რაც გვიცდის ზალესინოდან გამოგზავნილი ცხენები. დედა მისი წერილით გვაცნობებდა, რომ ყველანი მოუთმენელათ მიგველიდენ. „მე გავიგე, ათავებდა დედამისი წერილს, რომ შენ, მიხასო ძლიან გაგჭირვებია, და ამიტომაც არ მოველი კარგ ნიშნებს, მხოლოთ სასურველია, რომ შენი მასწავლებლები ჩემსავით ფიქრობდნენ შენზე, რომ შენ ყველაფერი შეასრულე, რაც შენზე დამოკიდებული იყო, და რომ სწავლაში ჩამორჩენილობას აინაზღაურებ კარგი ყოფაქცევით".

მარა მასწავლებლები სულ სხვანაირათ ფიქრობდნენ, და ამიტომაც ცნობებმა ეს მოლოდინიც არ გაუმართლა მიხასის დედას. უკანასკნელი საჯარო საყვედური პირდაპირ წუნს დებდა ყოფაქცევას ბავშისას, რომელზედაც დედამისი სულ სხვა-

ნაირი შეხედულობის იყო. ნემეც მასწავ-
ლებლების აზრიდ მხოლოთ ის ბავშვი
იყო კარგი ყოფა-ქცევის, რომელიც იცი-
ნოდა, როცა ისინი დაცინოდენ პოლაკე-
ბის ჩამორჩენილობას, პოლაკების ენას
და ისტორიულ გადმოცემებს. ასეთი ეთი-
კურ შეხედულობის მასწავლებლებისათ-
ვის მიხასი არ იძლეოდა იმედს, რომ ის
მომავალში მაინც, შეეგუვებოდა ასეთს
სწავლებას. ამიტომაც ის, როგორც ტყუ-
ილათ ადგილის გამცდენი კლასში, გამო-
რიცხეს სკოლიდან. ბავშვმა ეს განაჩენი
მოიტანა საღამოს. ოთახში თითქმის ბნე-
ლოდა, რადგანაც ძალიან თოვდა და მე
კარგათ ვერ შევხედე მის სახეს. ვხედავ-
დი მხოლოთ, რომ ის მივიდა ფანჯარას-
თან და ჩუმათ, უაზროთ უმზერდა, თუ
როგორ ტრიალებდა ჰაერში თოვლის
ფირფლები. საწყალი ბავშვის აზრიც
უთუოთ ისე ტრიალებდა, როგორც თოვ-
ლის ფირფლები და მეც აღარ მინდოდა
გამოვლაპარაკებოდი მის საქმეზე. ასე და-
ჯავრიანებულნი ჩუმათ ვიყავით მეოთხე
საათამდე, და ამასობაში სულ ჩამობნელ-
და. მე შევუდეგი ზანდუკის ჩალაგებას,
მარა რაკი ბავშვი კიდევ ფანჯარასთან
იდგა, შევეკითხე:

— მანდ რას აკეთებ მიხას?

— როგორ ფიქრობთ თქვენ,—წაილა-
პარაკა იმან მთრთოლვარე ხმით, კითხვა-
ზე პასუხ მოუცემლათ,—დედა ახლა ხომ
მწვანე კაბინეთში იქნება, ბუხართან, და
ჩემზე ფიქრობს?

— შეიძლება. რატომ ასე აგითრთოლ-
და ხმა? ავათ ხომ არ ხარ?

— არა, ავათ არა ვარ, მხოლოთ ძა-
ლიან მცივა.

მე გავხადე მაშინვე და ჩავაწვინე ქვეშ-
საგებში. გახდის დროს გულმტკივნეულაი
დავყურებდი მისს გამხდარს მუხლებს და
ჩხირებსავით წვრილ ხელებს, ვურჩიე მას
დაელია ჩაი, და მერე დავხურე რაც კი
შემეძლო.

— როგორ ხარ ახლა, გათბი?

— ჰო, კი! მხოლოთ თავი მტკივა ცო-
ტათი.

საბრალო თავი! კი ჰქონდა ატკივების
მიზეზი. ნაწამებ ბავშვს მალე ჩაეძინა და
მძიმეთ ითქვამდა სულს თავის ვიწრო
მკერდით. მე გავათავე ნივთების ჩალაგე-
ბა და დავწევი, რადგანაც მეც უნდომათ
ვგრძნობდი თავს. გავაქრე თუ არა სან-
თელი, თითქმის იმ წამსვე ჩამეძინა.

ნაშუალამევის სამ საათზე მე გამომაღ-
ვიძა სინათლემ და კარგათ ნაცნობმა ერთ-
გვარმა ბურდღულმა. მაგიდაზე ენთო ლამ-
პა და წიგნს უჯდა პერანგს ამარა მიხა-
სი; ლოყები წამოჭარხლებული ჰქონდა
და თვალები დაჭუტული, თითქო მეხსი-
ერება უნდა უფრო მოიკრიბოსო, თავი
კი უკან გადაეხარა. მძინარე ხმით ის
იმეორებდა:

— **კონიუნკტივუს: ამემ, ამეს, ამეტ,
ამემუს, ამეტის!**

— მიხას!

— **კონიუნკტივუს: ამემ, ამეს.**

მე ჩავაფრინდი მხრებში და ჩავძახე:

— მიხასო!

ის გამოფხიზლდა და გაკვირვებით და-
იწყო თვალების ფახური, თითქო ვერ
მცობილობდა.

— რას შვრები? რა დაგემართა, ბავშვო?

— ბ-ნო ვავჟინკევიჩ,—მომიგო ბავშვმა
ლიმილით,—მე ვიმეორებ თავიდან ყვე-
ლაფერს, ხვალ მე უნდა მივიღო ჩინებუ-
ლი ნიშნები!

მე ავიყვანე ის და ჩავაწვინე ლოგინ-
ში; მისი სხეული თითქო იწვოდა. რაღაც
ბედათ იმავე შენობაში იდგა ექიმი, რო-
მელიც იმ წამსვე მოვიწვიე. ის დიდხანს

არ მონდომებია ავადმყოფობის გამოცნობას: გაუშინჯა მაჯა, დაადვა ხელი შუბლზე ავადმყოფ ბავშვს და თქვა: „ტვინის ანთებაა!“

ოჰ, ცხადია, ბევრი რამ არ დაეტია საბრალო ბავშვის თავში.

ავადმყობი მალე იმდენათ უარესათ შეიქნა, რომ საშიშარი იყო მისი მდგომარეობა. მე დავუკარი დედამისს ტელეგრამა, და მეორე დღეს წინა ოთახში ზარის მკვეთრათ ჩამოკვრამ გაგვაგებინა მისი მოსვლა. მე გაუღე კარი და დავინახე მისი მკრთალი სახე შავს ვუალ ქვეშ; მან ხელი მაგრათ ჩამომართვა, შეშფოთებული ჩამაცქერდა და მკითხა:

— ცოცხალია?

— ჰო, ექიმი ამბობს—უკეთ არისო.

მან გადიწია ვუალი და შევარდა ბავშის ოთახში. მე ტყუილი ვუთხარი. მართალია ძიხასი ცოცხალი იყო, მარა უკეთ კი არ იყო. მან ვერც იცნო დედამისი, როცა ის მიუჯდა და ხელი მოკიდა. მხოლოთ როცა მე დავადევი თავზე ახალი ყინვა, მან დაიწყო თვალების ხამხამი და ძალზე მიაცქერდა დედას, რომელიც ზედ გადაყრდნობილი დაყურებდა მას. ბავშვს ეტყობოდა, რომ აზრებს იკრებდა, ცხელებას ებრძოდა, ტუჩები უთრთოდა. რამდენიმე წამს შემდეგ ბავშვმა გაიღიმა ერთი ორჯერ, და ბოლოს ძლივს წამოიჩურჩულა:

— დედა!..

დედა ჩაეფრინდა მას ორივე ხელებში, და ასე უჯდა გვერდით რამდენიმე საათი, ისე რომ სამგზავრო ტანისამოსიც არ გაუხდია. ხოლო როცა მე მივაქციე ამას მისი ყურადღება, იმან მომიგო:

— მართლა, მე სულ დამავიწყდა ქუდის მოხდა.

როცა მან ქუდი მოიხადა, გული შეეკუმშა ტკივილისაგან: თმები, რომელიც აშვენებდა ახალგაზდა ტურფა თავს, რამდენიმე ალაგას შეჭაღრებულიყო. იქნება ამ სამი დღის წინეთ ეს ჭაღარა ძაფები არც ერია მის თმას.

დედა ახლა თითონ უცვლიდა შვილს კომპრესს და აძლევდა წამლებს. მიხასი სუიკ თვალს ადევნებდა დედა მისს, მარა კიდევ ვერ ცნობილობდა. საღამოს ცხელებამ უმატა. ბოდვაში ის ამბობდა ნემცევიჩის ლექსებს ჟოლკევსკიზე, ხან-დახან წაილაპარაკებდა ნემეცურათ, ან აუღლვილებდა ლათინურ სიტყვებს. მე ყოველ წამს გამოვდიოდი ოთახიდან, რადგან არ შემეძლო იმის ატანა, რაც იქ ხდებოდა. როცა მიხასი ჯანმრთელათ იყო, ის ნამალჯვათ სწავლობდა ღვთის მსახურებას, რომ ამითი დედა მისი მოულოდნელათ ეგეხარებია. ახლა კი მე გამაცივა, როცა საღამოს სიჩუმეში მომესმა თუ როგორ იმეორებდა ეს თერთმეტი წლის ბავშვი, სიკვდილის წინათ, ერთგვარი მიმკვდარებული ხმით: **„ღმერთო ჩემო, რისთვის უგულებელ მყავ მე, და რისთვის დავალ მწუხარე, როცა მტერი შეურაცხმყოფს მე?“**

არ შემიძლია გადმოგცეთ თუ რა საზარელ შთაბეჭდილებას ახდენდა ეს სიტყვები. ეს ამბავი შობის წინაღამით იყო. ქუჩიდან ისმოდა მარხილების ზარების ხმა და ადამიანების ლაპარაკი. ქალაქს სადღესასწაულო, მხიარული სახე ედებოდა. როცა სრულიად დაღამდა, ქუჩის მეორე მხარეზე, ფანჯრებში მოჩანდა შობის ხე, ანთებულ სანთლებით სავსე, ვერცხლის და ოქროს ნიგვზებით დაყურსული, რომლის ირგვლივ კულულებ აფრიალებულნი ცქრიალა ბავშები დახტოდენ ისე, თითქო აშკებით იყვნენ მომართულნი. ფანჯრები ერთობ განათე-

ბულიყო, და იმ სადგომიდან მოისმოდა მხიარული სიცილი და ყვირილი, ქუჩიდანაც მხიარულობის ხმა ამოდიოდა. ერთი სიტყვით საერთო მხიარულება იყო, მხოლოთ ჩვენი ბავშვი მეტის-მეტი შესაბრალისი ხმით იმეორებდა: **„ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! რისთვის უგულებელ მყოფ მე?“** ჭიშკართან მეალილოები გაჩერდენ და გალობა დაიწყეს; ახლოვდებოდა შობა ღამე, ჩვენ კი ვძიგძიგობდით და გვეშინოდა, რომ ის ღამე ჩვენთვის არ გადაქცეულიყო სიკვდილის ღამეთ.

ცოტა ხანს შემდეგ ჩვენ მოგვეჩვენა, ვითომც ბავშვი ცნობას მოეგო, რადგანაც მან დაუძახა თავის პატარა დას ლოლას და დედას, მარა ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. ხან და ხან მისი ჩქარი სულთქმა უცებ შეწყდებოდა. ვაი, რომ იმედით თავის მოტყუილება მეტი აღარ შეიძლებოდა! ეს პატარა სული მხოლოთ სანახევროთ იყო ჩვენ შორის, მისი ცნება გაფრინდა, და ახლა თითონ ის მიდიოდა თან და თან სადღაც, ბნელ სივრცეში, უსაზღვროებაში. უკვე ველარავის ხედავდა, ველარაფერს გრძნობდა, ვერ გრძნობდა დედის ხელსაც კი, რომელიც მკვდარსავით იწვა მის ფეხთით. ბავშვი გულგრილათ ეკიდებოდა ყველაფერს ირგვლივ, და უკვე ჩვენ აღარ გვიცქერდა. მისი მკერდის ყოველივე სულთქმა გვაშორებდა მას, და თითქო გადაქონდა ის უცნობ წყვდიადში. ავადმყოფობა აქრობდა სიცოცხლეს ნაპერწკალ-ნაპერწკალობით. ბავშის ხელები, საბანზე დალაგებული, მკვდრისას დაემსგავსა, ცხვირი თან და თან უმწვეტიანდებოდა და პირის სახის გამომეტყველება რაღაც ცივი და დიდებული უხდებოდა. სულთქმა თან და თან უფრო ჩქარი ხდებოდა და ბოლოს დაემსგავსა პატარა საათის ფუჩუნს. გვეჩვენებოდა, რომ კიდევ ერთი წამი, ერთი ამოოხვრა და დასასრული დადგებოდა...

შუადამისას ჩვენ მოგვეჩვენა, რომ სულთა-ბრძვა დაიწყო, რადგანაც ბავშვმა იწყო ხრიალი და კვნესა, როგორც კაცმა, რომელსაც ყორყი წყალით ევსება, და მერე უცებ შეჩერდა. მარა სარკე, რომელიც ექიმმა მიადვა მის ტუჩებს, სულთქმისაგან გაორთქლდა. ერთ საათს შემდეგ სიცხემ უცებ უკლო: ყველას გვეგონა, რომ ის გადარჩა. ექიმსაც კი იმედი მოეცა. საცოდავ დედას კი გული შეუწუხდა.

ორი საათის განმავლობაში ბავშვი სულ უკეთ და უკეთ ხდებოდა. რადგანაც მე მეოთხე ღამეს ვათევდი ბავშვის საწოლთან, და ხველება თან-და-თან უფრო მაწუხებდა, ამიტომაც გავედი წინა ოთახში, წავწექი ლებზე და მიმეძინა. მალე გამაღვიძა ავადმყოფ ბავშვის დედის ხმამ. მე ჯერ მომეჩვენა, რომ ის მიძახოდა, მარა ერთ წამს შემდეგ ცხადათ მომესმა ღამის სიბნელეში: მიხას! მიხას! მე თმა ამებურძგლა, როცა ყური დავუგდე და გავიგე-თუ რას ნიშნავდა ეს დაძახება. სანამ მე წავოხტებოდი, წინა ოთახში შამოვარდა ბავშვის დედა სანთლით ხელში და, მთლათ აძიგძიგებულმა, წაიფუჩუნა:

— მიხასი... მოკვდა!

უცებ მივირბინე ბავშვის ლოგინთან. ჩემი მიხასი აღარ იყო ამ ქვეყნათ. დაბჩენილი პირი, დაღებული თვალები, უძრავათ მიშტერებულნი ერთ წერტილს, და გაკივებული ნაკვთები აღარავითარ ეჭვს აღარ ტოვებდენ, რომ მიხასი მკვდარი იყო.

მე გადავახურე მას საბანი, რომელიც დედა მისმა უცაბედათ გადახადა მის გამხდარ გვამს. დავუხუჭე თვალები, და შემდეგ დავუწყე მოსულიერება დედა მისს. როდესაც კუბოსთვის ზომა აიღეს, საბრალო დედას კიდევ შეუწუხდა სული. სული შეუწუხდა აგრეთვე ბავშვის ჩაც-

მისას და კუბოს დადგმის დროსაც. მისი ვაება ყოველ წამს წინ ხვდებოდა გულგრილობას მესამარე მსახურებისას, რომელნიც მიჩვეულნი იყვნენ ასეთ სანახაობას, რაც დედას ბავშვისას თითქმის აგიჟებდა, ამასობაში მიხასი იდვა ლოგინზე, ახალ მუნდირ ჩაცმული და თეთრი ხელთათმანებით, დაწყნარებული, გულგრილი. ბოლოს ჩვენ ჩავდევით მისი გვამი კუბოში, დავდგით საცხედრეზე და ირგვლივ სანთლები დავუნთეთ. ოთახი, რომელშიაც საცოდავმა ბავშვმა დააუღლვილა იმდენი ლათინური სიტყვები და ახსნა იმდენი არითმეტიკური ასახსნელები, თითქო გადიქცა საჯვარეთ. დახურული დარაბები სინათლეს არ უშვებდენ ოთახში, და სანთლების ყვითელი მოლაპლაპე სინათლე რაღაც საეკკლესიო დიდებულების სახეს აძლევდა. კედლებს. ჩინებულ ნიშნების მიღების შემდეგ მე არასოდეს არ შემიმჩნევია მიხასის სახისათვის ასეთი მშვიდი, ნათელი გამომეტყველება, როგორც ახლა. მისი ნაზი სახე იღიმებოდა, თითქო სიკვდილის უკუღმართ ხელში ის ბედნიერათ გრძნობდა თავს. სანთლების ლაპლაპისაგან მისი სახე და ღიმი ისე მოჩანდა, თითქო იგი ცოცხალი ყოფილიყო და ძინებოდეს. ოთახში თან და თან შეგროვდენ მისი ამხანაგი ბავშვები, რომლებიც სადღესასწაულოთ სახლში არ წასულიყვნენ და ქალაქში დარჩენილიყვნენ.

ბავშვები გაკვირვებისაგან ფართეთ აღებდენ თვალებს, რომ ხედავდენ სანთლებს, საცხედრეს და კუბოს. იქნება იმათ უკვირდათ ამხანაგის გამოჩენებული მდგომარეობა. აი, სულ ამ ცოტა ხნის წინათ ის იყო მათ შორის, იხრებოდა, როგორც ისინი, ნემეცურ წიგნებით სავსე ჩანთის სიმძიმით, იღებდა ცუდ ნიშნებს და საჯარო საყვედურებს; თითოეულ მათგანს შეეძლო აეწია მისთვის ყურები და ჩაფრენოდა მას თმაში; ახლა კი ის როგორაც მათზე უფრო მაღლა არის, დევს ასე დიდი ამბით, დაწყნარებული, სინათლით გარშემოვლებული; ყველანი უახლოვდებოდენ მას პატივის ცემითა და რაღაც შეშფოთებით, და თვით ოვიცკი, თუმცა პირველი მოწაფე იყო, მარა ახლა ბევრს არას ნიშნავდა მიხასთან შედარებით. ბავშვები ერთმანეთს ნიდაყვს წაკრავდენ და ეფუჩუნებოდენ, რომ ახლა იმისთვის სულ ყველაფერი ერთია. ახლა რომ აქ მოვიდეს თვით ბ-ნი ინსპექტორი, მიხასი მაინც არ წამოხტება, არ შეეშინება, და როგორც არის ისე დაწყნარებით გაიღიმებს,—რომ იქ მას შეეძლება ყველაფერი, სულყველაფერი, რაც ენებება, იყვიროს რამდენიც უნდა და ისაუბროს პატარა ფრთიან ანგელოზებთან.

ამ ფუჩუნით ისინი უახლოვდებოდენ დიდ სანთლებით განათებულ საცხედრეს და ლოკულობდენ ამხანაგის სულისათვის.

მეორე დღეს კუბოს თავი დაახურეს და წაიღეს სასაფლაოზე, სადაც თოვლნარევ ქვიშის ზვინმა მალე დაფარა ის ჩვენ თვალთაგან... სამარადისოთ!

ეხლა, როცა მე ამას ვწერ, წელიწადია გასული მას შემდეგ, მარა მე შენ მახსოვხარ, ჩემო პატარა მიხასო, და მეცოდვები შენ, ჩემო პატარა და დამჭკნარო ყვავილო. არ ვიცი სად ხარ ახლა და გესმის თუ არა ჩემი, მხოლოთ ვიცი, რომ შენი წინანდელი მასწავლებელი თან და თან უფრო მეტს ახველებს, რომ ის უფრო და უფრო უარესათ არის, მარტოხელია და, შეიძლება, მალე წავიდეს იქ, სადაც შენ წადი.*)

თ. მაგმაძე.

*) ამ თარგმანის პირველ ნაწილში შემდეგი კორექტურული შეცდომაა:

გვერ.	სვეტი.	ზემ.	ქვემ.	პწ.	დაბეჭდილია.	უნდა იყოს.
182.	2.	16	—		და ამ ქვეყნათ	ამ ქვეყნათ
—	—	—	18		გადანატყორცნი	განატყორცნი.
185.	1.	9.	—		დამოკიდებული	მოკიდებული.
186.	1.	—	19		სწავლობდა	წვალობდა.

სულა და ღმერთები

(სპარსული ლეგენდა)

ორმუზდი

მაშ დავიჯერო, რომ ურომელო *)
თავისუფლება არ გირჩევნია?

სულა

ჩვენთვის მაგეთი თავისუფლება
მხვედრს არ შეადგენს სიცოცხლისასა,
რადგანაც იგი ჯერ თევზთ არა აქვსთ
და მერე ფრინველთ მაღლის მთისასა.
როდესაც კაცი უგულებელ ჰყოფს
მოვალეობას მოყვასისასა,
იქ პირუტყვობა დაიპყრობს ადგილს
სამოქალაქო ცხოვრებისასა.
გულს რომ ერჩივნოს, გონებამ რა ჰსთქვას?
მოდი გაუშვათ ადამიანი:
ვნახოთ რას იზამს მაშინ იმისა
ვნების ტომარა ცეცხლ-ნავთიანი...
კაცის ბუნება დიდი ზღვა არის,
ქარტეხილია დაგუბებული;
მეხი და სეტყვა, თოვლი და წვიმა,
სითბო, სიცივით ამოვსებული.
ცოტა რამ უნდა—ცამ დაიჭექოს,
ქარი ავარდეს, მოჰსქდეს ზღვებიცა,
თოვლმა და წვიმამ წამოუშინონ,
ჩამოილეწნენ ზვავად მთებიცა.
მაშინ მაგეთი თავისუფლება
წარღვნა იქნება ქვეყანაზედა
და მოვლენილი მისგან ვაება—
უარესობა ტყვეობაზედა.
ეგ იმას უნდა, ვისიც ბუნება,
სიწმინდის ცეცხლში გამობრძნობილა
და სათნოებით იმისი გული
ღმერთთ ღირსებამდის ამაღლებულა.
მაგრამ სად ვპოვოთ ისეთი კაცი,
დაჰწაფებოდეს ამ გვარ წყაროსა?
როდი მოუდის ასეთი ვარდი
ამ წუთის სოფლის საბაღნაროსა.
არა, უსამზღვრო თავისუფლება
ავს და მოსისხლე ტყის მგელს არ უნდა.
თქვენი მორჩილი სულებისათვის
კარგი იქნება, თქმა აღარ უნდა.

ორმუზდი

ბარაქელ ბიჭო!... მესმის რაცა სთქვი,
მაშ სწორობაზედ რაღასა ჭბრძანებ?

სულა

თუ ნებას მომცემთ, მაგაზედ პასუხს
ძველი იგავით მე მოგახსენებთ.

ორმუზდი

ილაპარაკე...

სულა

საცაღა თურმე ერთ ქვეყანაში
მამალს და ტურას ბინა ჰქონიათ;
ამოუღიათ ერთ ურთი თვალში
და თითქმის მუდამ ომი ჰქონიათ.
თუმცა მამალიც მამაცი იყო,
მაინც ტიალი ტურა ჰჯობნიდა,
და პირ-მწითურა ჯიჯლიბოსანი
იმ აშარ ტურას, ბდღვნად არ ჰყოფნიდა.
შეწუხებულა ბოლოს დევ-გმირი,
რომელნ მდაბიოდ ჩვენ მამალს ვუხმობთ,
ერთხელ მისულა ითრუჯან ღმერთთან
და დაღონებულს ამგვარად უთქომს:
„უკეთეს რასმე თუ არ ვნახავდი
ტურის საჯენჯლად რად გამაჩინეთ?
ან დამაშორეთ ის ცოდვით სავსე,
ან აქვე სული ამომახდინეთ“.
შეჰბრალებია ითრუჯან ღმერთსაც
და მორიგებას დაჰპირებია.

*) ურომელო—უსამზღვრო.

დაუბარებავ თავისთან ტურა,
ჯერ ერთი კარგად გაჰჯავრებია
და მერე უთქვამს შერიგებაზედ,
მაგრამ ის როდი დაჰთანხმებია!
მაშინ მამალი, ითრუჯამის თქმით,
გამხდარა ღონით იმ ტურის სწორი
და ფეხებზედაც საჩხუბნელადა
გაჰკეთებია დეზები ორი...
კიდე შეყრილან ტურა და ისა.
მამალს უცია იმისთვის ხმლები.
კაცმა უნდა ჰთქვას იმ თავწასულსა
ტურას ჰტკენია მაშინ კი ძვლები.
რაღა თქმა უნდა, რომ ამის შემდეგ
ტურას მამლისა ერიდებოდა
და ეს კი თავის გამარჯვებასა
თამამად დედლებს ეფიცებოდა.
კარგა დრო გახდა.—ამის სახლკარსა
ტურა აღარსად მიჰკარებოდა.
ერთხელ დედლების მოშორებითა
მამალს ტყის პირას დაჰძინებოდა.
ეს შაენიშნა ცბიერ ტურასა
და ჩუმა-ჩუმად მოჰპარებოდა.
საუბედუროდ რაღაც იმ ჟამად
მამალს მაგარი ძილი ჰქონოდა
და თავის სწორი ჭკვით და ღონითა
ტურა ქერჩოზედ წამოჰჯდომოდა!
ხომ მოგახსენეთ, რომ ითრუჯანმა
ორივ ისინი სწორი გახადა,
მაგრამ მამალი განა სისწორემ
ტურის საჭმელად აღარ გახადა?
დიახ, სწორობა განუსაზღვრელი,
თუ არ ვიქნებით ყოვლად კეთილნი,
ბედნიერებას ვერ მოგვანიჭებს,
თუნდა ველირსნეთ სიკვდილის შვილნი.
მაგრამ სწორობა უმეტნაკლებო
სინამდვილეში ზღაპარი არის,
ხოლო მის ახლო თანაბრობა კი
კეთილშობილი სურვილი არის...

ორმუზდი

დარჩი, ან წადი, ნება შენია...
ბევრი რომ აღარ ვილაპარაკოთ,
მაშ არც ის გინდა, რომ ჩვენი სწორი
გქმნათ, ეს პლანეტი შენ ჩაგაბაროთ?

სულა

თუ შეიძლება ეს ცის ქვეშეთი
დაეპყროს მხოლოდ სათნოებასა
და ქვეყანაზედ სახსენებელი
აღარა ჰქონდეს ბოროტებასა;
თუ გულწრფელობით ამ საწუთროში
ისეთი ვინმე გეგულებოდესთ,
რომ საუბრის დროს საიდუმლო რამ
კიდევაც გულში არა ჰრჩებოდეს,—
დაე ერმა სთქვას და მეც ვიკისრებ
ვნახოთ როგორი ღმერთი ვიქნები...

არიმანი (ორმუზდს)

ვერ გაიგონე? არც ეხლა მოგხვდა?
არ გაგიხურდა ეგ დიდი თავი?
მაგრამ კეთილის ღმერთი რომა ხარ,
არაფერი სთქვა ჩუმად იყავი..

ორმუზდი

რაღა უნდა ვსთქვა?.. წამხდარ საქმესა
ვინ რაღას არგებს გულის წყრომითა?
ან ვინ დაიჭერს წვიმის წინწკლებსა
მაღლა ჰაერში თავის ნდომითა?.
მაინც ციაგზედ ტაროსის მცვლელი
შავი ღრუბელი მოგუბებულა.
რა გაეწყობა, როცა ამათში,
ასეთი აზრი დაბადებულა!
მრავალს ძველს რასმე და ღმეროებსაცა
ვხედავ, თავის დრო მოუჭამია.
და ცვალებად ბედს ცის და ქვეყნისთვის
სრულ სხვა დროება მოუყვანია.
სხვა სამსხვერპლოა და სხვა ღმერთები,
ჩვენი ტაძრები დაუქმებულა!
კარგი იქნება, ჩვენც შევუერთდეთ

მას, რაც ჩვენ მიერ დაბადებულა.
რომ ყველა ნივთში, ყველა საგანში
ჩვენი არსება იხატებოდეს
და სახსოვარი ჩვენი მათ მკვლევარს
მუდამ თვალის წინ ელანდებოდეს...

არიმანი

რა სიტყვა არის, რა მოფიქრება!!
ერთი ეს მითხარ, შენ გეთაყვანე,
ეგ აზრი შენთვის სხვას ვისმე უთქვამს,
თუ ეხლა თვითონ შენ მოიგონე?!
როგორ ჰჯობია: როცა პატრონსა
გაუავდება წუწკი მყეფარი,
ის უნდა თვითონ გადაიკარგოს
და ძაღლს დაუგდოს თავის სახლკარი;
თუ იმას უნდა ჭკვა აპოვნინოს
და გულში ჩაჭცეს მკვლელი-ხანჯარი?

ორმუზდი

რაც არის, არის,—ჩვენ ეგ ნუ გვინდა...
ისე მოვიქცეთ, წელან რომ გითხარ..

ბაჩანა.

(დასასრული იქნება)

სანიმუშო პროგრამები

საქართველოს სახალხო სკოლებისათვის

არითმეტიკა და გეომეტრია

I განყოფილება.

ეოველმხრივ შესწავლა ოთხი მოქმედებისა რიცხვებზე 1—20 მდის. თვლა ერთეულობით, ათეულობით და ოცეულობით, ოთხი მოქმედება ათეულებზე და ოცეულებზე და რიცხვების წერა 100 მდის. შეფარდება რიცხვებისა კითხვებზე რამდენით მეტი ან ნაკლები, რამდენჯერ მეტი ან ნაკლები. გაყოფა ნაშთით, ზეპირი სწრაფი ანგარიში ოცის ფარგალში, ადგილობრივი ზომები და საწყაო. ზომა სიგრძისა: საჟენი, ადღი, გოჯი, ფუტი, დიუმი (ოვალსაჩინოდ). გირვანქა, ფუთი. ჩაფი, თუნგი, საპალნე. მანეთიანი ათშაურიანი, ხუთშაურიანი, აბაზი, სამშაურიანი, უზალთუნი, სამი კაპ. 2 კაპ. 1 კაპ. (თვალსაჩინოთ).

ცოდნა უადვილეს ტიპებზე ამოცანების კეთებისა, შედგენა მოწაფეების მიერ ანალოგიური ამოცანებისა; ცნობები $^1/_2$ და $^1/_4$ (თვალსაჩინოდ).

სწორი ხაზი. ხაზის გაყოფა. პირდაპირი კუთხე. პარალელური ხაზები (ახსნა თვალსაჩინოდ განმარტება საკვალდებულო არ არის).

მე-II განყოფილება.

ეოველ მხრივ შესწავლა ოთხი მოქმედებისა რიცხვებზე 100-მდის. შეკრება. შესაკრებელი რიცხვები და ჯამი. გამოკლება. დასამცირებელი, დამამცირებელი და ნაშთი. გამრავლება. გასამრავლებელი, გამამრავლებელი და ნაწარმოები. გაყოფა. გასაყოფი, გამყოფი და ნაწილადი. სწრაფი ზეპირი ანგარიში 100-ის ფარგალში და ათობით და ოცობით 1000 მდის. შეფარდება რიცხვებისა კითხვებზე რამდენით და რამდენჯერ მეტი ან ნაკლები. მტკიცედ ცოდნა გამრავლების ტაბულისა. ხშირად სახმარი ზომები: ადგილობრივი ზომები: საწყაო მარცვლეულებისა: ურემი, კოდი, ლიტრა, სასმელებისა: საპალნე, ცალი, ჩაფი, თუნგი. **სიგრძის ზომები:** მიდღი (ადაჯი) ვერსი, საჟენი, ფუტი, დიუმი, ხაზი, ადღი და გოჯი; **წონისა:** ფუთი, ბათმანი, გირვანქა, ლოტი და მისხალი. **ქალალდისა:** ოზმა, დასტა, თაბახი. ფულისა: 1 კ. 2 კ. 3 კ. 5 კ. 10 კ. 15 კ. 20 კ. 25 კ. 50 კ. 1 მ. 3 მან. 5 მან. 10 მან. 25 მ. 50 მ. 100 მან. **დროსი:** საუკუნე, წელიწადი, თვე, კვი-

რა, დდე და დამე, საათი, წამი და წუთი. მარტივი და რთული სახელწოდებული რიცხვები ასის ფარგალში, მათი დაშლა და გადაქცევა. ოთხი მოქმედება სახელწოდებულ რიცხვებზე ზეპირად და წერით 100-ის ფარგალში.

პრაქტიკული ცნობები ნაწევრების შესახებ $^1/_2$, $^1/_4$, $^1/_8$, $^3/_8$, $^5/_8$, $^7/_8$ (თვალსაჩინოდ) ცნობები აღმნიშვნელზე და მნიშვნელზე, მთელიდან ნაწილების გამოცნობა; გაყოფა რიცხვებისა ნაწევრების მიდებით. ამოცანების კეთება ოთხს მოქმედებაზე. მტკიცედ ცოდნა ამოცანებისა ტიპების მიხედვით და კეთება არა ნაკლებ 12 ტიპის სხვა და სხვა ამოცანებისა. შედგენა მოწაფეების მიერ მსგავსი ამოცანებისა.

პირდაპირი ხაზების თვისება, გამკვეთი ხაზები, ტეხილი და მრუდე ხაზები, პირდაპირი კუთხე—სამკუთხეები (განმარტება არ არის საჭიროდ).

მე-III განყოფილება.

ზეპირი და წერითი ანგარიში 1—1000 მდის. რიცხვების წერა და კითხვა 10.000-მდის. ოთხი მოქმედება ზეპირად და წერით, როგორც განუყენებულს, ისე სახელწოდებულს რიცხვებზედაც 1—1000 მდის. შეკრება და გამოკლება რიცხვებისა, გამრავლება და გაყოფა ერთ ნიშნოვან და ორ ნიშნოვან რიცხვებზე; ოთხი მოქმედება სწორს ნაწილებზე, აღვილს ნაწევრებზე და შერეულ რიცხვებზე. რთული სახელწოდებული რიცხვები და უსაჭიროესი ზომები: სიგრძისა, მარცვლეულისა, სითხისა, სიმძიმისა, ქაღალდისა, დროსი და ფულისა. შეგნებით და განმარტებით კეთება ტიპიურის ამოცანებისა, შედგენა ამოცანებისა მოწაფეთა მიერ. საზოგადო ამოცანები ოთხს მოქმედებაზე და უმარტივეს ნაწევრებზე, დაშლა და გადაქცევა სახელწოდებულ რიცხვებისა; საზოგადო ამოცანები სახელწოდებულ რიცხვების ოთხსავე მოქმედებაზე. პრაქტიკული ამოცანები ოთხ-კუთხს (კვადრატულს) და კუბიკურს ზომებზე. მარტივი და ათეული ნაწევრები. ოთხი მოქმედება მარტივსა და ათეულს ნაწევრებზე, ამოცანები.

ხაზვა რკალებისა და მათი დაყოფა, თვისება პერპენდიკულიარისა, აშენება პირდაპირ ხაზიანი ფიგურებისა მიცემულის კვალობაზე.

მე-IV განყოფილება

ამოცანები და რიცხვითი მაგალითები განუყენებულსა და სახელწოდებულ ოთვალის სიდიდის რიცხვებზე. რიცხვების წერა და კითხვა მილიონამდის. ამოცანები ოთხს მოქმედებაზე; რთული სახელწოდებული რიცხვები: ცოდნა უველა საჭირო ზომებისა და საწყაოსი, ოთხ-კუთხი (კვადრატული) ზომები. მოცულობის ზომა, დაშლა და გადაქცევა, ოთხი მოქმედება, ამოცანები რთულს სახელწოდებულს რიცხვებზე, ამოცანები დროს გამოანგარიშებაზე, ამოცანები კვადრატულსა და კუბიკურს ზომებზე, ცნობები მარტივსა და ათეულის ნაწევრებზე, ოთხი მოქმედება მარტივსა და ათეულის ნაწევრებიან რიცხვებზე და პრაქტიკული ამოცანები ნაწევრებზე, რუსული ზომები და მეტრი. პროცენტების (სარგებლის) გამოანგარიშება.

მოკლე ცნობები ბუჰგალტერიისა და ანგარიშის წარმოების შესახებ პრაქტიკულად.

კუთხეების გაზომვა; ფიგურების აშენება: აშენება სწორ კუთხიანისა, ოთხ კუთხისა, კვადრატისა, პარალელოგრამისა, სამკუთხიანისა, ტრაპეციისა და სხ. გაზომვა ხსენებული ფიგურების პერიმეტრისა და ასპარეზისა; პრაქტიკული მოხმარება ზომებისა.

მე-V და VI განყოფილებანი:

გამეორება მეოთხე წლის კურსისა მარტივსა და ათეულს ნაწევრებზე, შევსებით და გაფართოებით; ოთხი მოქმედება ნაწევრებზე

განმარტებით; არეული ნაწევრები; მარტივი ნაწევრების ათეულ ნაწევრებად გადაქცევა; მარტივი პროპორციები; ერთეულობით გამოანგარიშება (приведеніе къ единицѣ) სარგებლის წესი; დასაწყისი ბუჰგალტერისა და ანგარიშის წარმოებისა.

წესიერნი ჩახატულნი მრავალ კუთხედები; აშენება წესიერის მრავალ კუთხიანებისა მიცემულს გვერდზე; მრავალ კუთხედების ასპარეზის გაზომვა. წრის სიმრგვალე და ასპარეზი წრისა. ზედა პირი და მოცულობა პარალელეპიპედისა, კუბისა, პრიზმისა, ცილინდრისა. პრაქტიკულად გამოუნება ზომებისა. გამოკრება კვადრატული ძირისა განუმარტებლად (извлеченіе квадратныхъ корней) ზედა პირის, მოცულობის და სიმძიმის გამოანგარიშება. გაკეთება ამოცანათა საკმაო რიცხვისა და ზეპირ საგარჯიშოებისა, რომელიც ეხება განსაკუთრებით სასოფლო მეურნეობას, მრეწველობას და ვაჭრობას. გაკეთება მარტივი ამოცანებისა % % ზე; თამასუქის ანგარიშის შემოკლება (учётъ векселей).

შენიშვნა: არითმეტიკის სწავლების დროს სახელმძღვანელოდ შეიძლება იხმარონ „კრებული ამოცანებისა და რიცხვითი მაგალითებისა“ I და II ნაწილი შედგენილი **ეგნ. ხრამელაშვილის მიერ**, რადგანაც ქართულ ენაზე არსებულ არითმეტიკულ სახელმძღვანელოთა შორის ხრამელაშვილის წიგნები შედარებით უკეთესია; ამას გარდა მასწავლებელმა უნდა იხმაროს მოსკოვის ქალაქის მასწავლებელთა წრის მიერ გამოცემული კრებულები ბორისოვისა და სატაროვის რედაქტორობით; ახალი არითმეტიკული ამოცანები, გამოცემული ნ. ი. სოკოლოვისა და ი. პ. სახაროვის რედაქტორობით.—არითმეტიკა მიხეილ ყიფიანისა, მეთოდიური სახელმძღვანელო გოლდენბერგისა.—პოლბერი „დასაწყისი საცდელ გეომეტრიისა“ გამოცემული მოსკოვში გატლიხის რედაქციით 1910 წ. ფასი 30 კაპ.;—წიგნი ვ. კემბელისა „**თვალსაჩინო გეომეტრია**“ ინგლისურიდან ნათარგმნი ე. პოპოვისა ფ. 1 მან. 10 კაპ. გეომეტრია მიხეილ ყიფიანისა. **ლ. გურვიჩი**, „პირველი გაკვეთილები გეომეტრიიდან“ ბავშვებისათვის 213 სურათით, მოსკოვი 1908 წ. გამოცემა გორბუნოვ-პოსადოვის რედაქციით. **ვ. ა. ლაი.** (Dr W. A. Lay), „სახელმძღვანელო დასაწყისი არითმეტიკისა, გერმანულიდან თარგმანი ვოლკოვსკის მიერ, მოსკოვი სიტინის გამოცემა 1910 წ. ფასი 80 კაპ.

ამას გარდა საჭიროა სკოლას ჰქონდეს ყოველგვარი კოლლექციები, არითმეტიკული ყუთი, გეომეტრიული ფიგურები, საწყაოს, ზომის, წონის, სიგრძის და სხვა საზომი იარაღები თვალსაჩინოდ სწავლებისათვის,—რასაც სახელმძღვანელო წიგნები ურჩევენ. ბევრი ამ გვარი კოლექციების დამზადება ადვილად შეუძლია თვითონ სკოლას და მასწავლებელმაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ამ წესით თვალსაჩინო სწავლებაში ხელსაწყო საგნების დამზადებას, შეგროვებას და რიგზე დალაგებას.

(შემდეგი იქნება)

ახალი მიმართულება არითმეტიკის სწავლებაში

(ვ. ა. ლაი. „არითმეტიკის პირველ-დაწყებითი სწავლება)

უმეტესი, ვისაც-კი საშვალო სასწავლებელი მაინც დაუმთავრებია და ვინც საკმარისად დაჭკვირვებია იმ საგნებს ანუ მეცნიერების იმ დარგებს, რომლებიც შეუსწავლია,—დაინახავდა ერთ შესანიშნავ მოვლენას: შესასწავლ საგნებს შორის მათემატიკას უჭირავს განსაკუთრებული ადგილი მით, რომ მეცნიერების ეს დარგი **უსაცილოა** და მისი დასკვნები **შეუცდომელია**. და თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ მათემატიკის შემადგენელი ნაწილები მჭიდროთ არიან დაკავშირებულნი ერთმანეთზე, რომ ამ მეცნიერე-

ბაში ყოველი შემდეგი საფეხური ბუნებრივად და ლოგიკურად გამომდინარეობს წინა საფეხურიდან და რომ ამ საგნის შინაარსი აშენებულია შესანიშნავ თანდათანობაზე, მაშინ ჭეშმარიტებად უნდა მივიღოთ, რომ მათემატიკა **განხორციელებული ლოგიკაა**. მიუხედავად მათემატიკის აღნიშნულ თვისებისა, ეს საგანი დაყოფილია ჩვენ სკოლაში სამ უცნაურ შტოდ: უმდაბლესი, საშუალო და უმაღლესი მათემატიკა. მათემატიკის შესახებ არსებობს ამისთანა უმართებულო შეხედულება მაშინ, როდესაც მეცნიერების სხვა დარგებს, მაგალ. ისტორიას, ბუნების მეტყველებას და სხვ. უყურებენ, როგორც ერთ მთლიან საგანს. არ არსებობს უმდაბლესი ისტორია, უმაღლესი ისტორია... ამ გარემოებით აიხსნება ჩვენ ცხოვრებაში ერთი მოვლენა: საშუალო სკოლის დამამთავრებელი ადვილად ვითარდება მეცნიერების სხვა-და-სხვა დარგებში, გარდა მათემატიკისა. მათემატიკის შესწავლა სწყდება იქ, სადაც თავდება „კურსი". ასე რომ „საშუალო კურსის" მცოდნე სრულიად უძლურია (არ ვეხები იშვიათ მაგალითს) თავისად შეისწავლოს მათემატიკის „უმაღლესი კურსი". რა დიდი მნიშვნელობა აქვს მათემატიკურ ცოდნას როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკულ მოთხოვნილებაში, ეს ანბანის მცოდნემაც კარგად იცის და ამას დიდი განმარტება არ უნდა. მეცნიერების ის დარგი, რომელშიაც-კი შეიტანეს მათემატიკური მეთოდი, დაუენებულია უფრო მტკიცე ნიადაგზე; მათი დასკვნანი უფრო და-უფრო უახლოვდება თავის თვისებით მათემატიკურ დასკვნებს—შეუცდომლობას. ასეთი მეცნიერებაა: ქიმია, ფიზიკა, სტატისტიკა და სხვა. რაც შეეხება პრაქტიკულ საწყროებას, აქ უფრო ცხადია მათემატიკურ ცოდნის აუცილებლობა. არც ერთი ადამიანი უანგარიშოდ არ სცხოვრობს; არც ერთი მანქანა უმათემატიკოდ არ კეთდება; მიწის უფრო ნაყოფიერად დამუშავებას მათემატიკის ცოდნა უნდა... ტეუილად-კი არაა, რომ ოგიუსტ კონტმა მეცნიერების შესწავლას საფუძვლად მათემატიკა დაუდო.

ამ მცირე შენიშვნებიდან აშკარად ჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ცხოვრებისათვის მათემატიკის შესწავლას. აქედან ისიც ცხადია, რომ სკოლამ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ საგნის სწავლებას, და ყოველმა მასწავლებელმა **თავიდანვე** სიფთხილით და სერიოზულად ხელი უნდა მოჭიდოს ამ საგანს. ვამბობ ამას იმიტომ, რომ ბევრი ბავშვი ძალე იცრუებს გულს ამ საგანზე, ვინაიდგან მათემატიკა მათთვის დასაწყისშივე გაუგებარი რამ ხდება! რა ნიადაგზე უნდა დაეფუძნოს არითმეტიკის პირველ დაწყებითი სწავლება—ამ კითხვის გამოსაკვლევად და გამოსარკვევად დაწერა ლაიმ თავისი წიგნი, რომლის სათაური ზემოდ ამოვწერე. თავის მიზნის მისაღწევად ვ. ა. ლაი შორიდან იწყობს; იგი არკვევს იმას, თუ როგორ ვითარდებოდა ანგარიში პირველ-ყოფილ დროიდან და რა მდგომარეობაშია დღეს ანგარიშის ვითარება ველურ სხვა-და-სხვა ტომებში. ამ კითხვის გამოსაკვლევად ვ. ა. ლაი სარგებლობს მეცნიერთა ნაწერებიდან მდიდარ მასალით. ამ მასალიდან ირკვევა, რომ ველური ხალხი დღესაც სხვა-და-სხვა საფეხურზე დგას ანგარიშში. აქ უფრო საინტერესოა ჩვენთვის გავიგოთ, ანგარიშში რა-და-რა სისტემები შეიმუშავა სხვა-და-სხვა ხალხმა. როგორც ირკვევა, ზოგიერთა ველურებს სრულებით არა აქვთ რიცხვითი სახელები და იოლას კადიან თავიანთ თვალში სხვა-და-სხვა საგნების რაოდენობაზე მითითებით; ზოგიერთა ველურებს შეუმუშავებიათ რიცხვითი სახელები 1-სა და 2-ის... ამ რიგად დღეს არსებობს ანგარიშში სისტემები: ორიანი, სამიანი, ოთხიანი, ხუთიანი, ექვსიანი, რვიანი, ათიანი და ოცეანი. ეს უკანასკნელი—ოცეანი წესი ანგარიშისა—მეტად საინტერესოა ჩვენთვისაც, ვინაიდგან ჩვენი

ხალხი სარგებლობს ათიანი და ოციანი სისტემით, ე. ი. თავის ანგარიშის საფუძველად დაუდვია რიცხვი — ათი და ოცი. ვ. ა. ლაის აზრით, ანგარიშის ოციანი წესი გაჩენილა, ალბად, ამნაირად: როდესაც ადამიანის ანგარიში იმდენად განვითარებულა, რომ მის საჭიროებისათვის ორივე ხელის თითები აღარ კმარობდა, მაშინ ადამიანმა თან და თან მიიშველია ჯერ ერთი ფეხის თითები და შემდეგ მეორისაც. ასე რომ 11-ის რაოდენობის გამოთქმისათვის, ადამიანი ამბობდა: **ერთი ფეხზე**, ე. ი. ორი ხელი და ერთი თითი ფეხზე. ავტორის შეხედულებით, ყველაზე უფრო მარტივი და სრული სისტემა — ათიანი სისტემაა; და ამის გამო ამბობს: „ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ანგარიშის ჩვენი სისტემა უფრო სრულია და ფრიად აადვილებს ანგარიშის საქმეს“. ამ აზრის დასამტკიცებლად მოჰყავს ლაპლასის აზრიც. ლაპლასი ამბობს: „ის გარემოება, რომ 9 ნიშნით შეიძლება გამოვხატოთ ყოველ გვარი რიცხვი, ვაძლევთ — რა მნიშვნელობას თვით ციფრს და მის ადგილსაც რიცხვში, იმდენად მარტივია, რომ სწორედ ამ სიმარტივის გამო ვერა ვხედავთ იმას, თუ რა გასაკვირო რამაა ეს ათიანი სისტემა“. რაკი ათიანი სისტემა გავრცელებულია ხალხთა უმრავლესობაში და რაკი ეს სისტემა ბუნებრივი და მარტივი საფუძველია ანგარიშისათვის, ვ. ა. ლაი დაბეჯითებით ავალებს მასწავლებელს, რომ ამ სისტემას მიაქციოს სერიოზული ყურადღება. ვ. ა. ლაი ამბობს: „ათიანი სისტემა გვიჩვენებს, რომ რიცხვები 1-დან 10-დის შეადგენენ საძირკველს არითმეტიკის სწავლებაში; ანგარიშის სისწორე და სიმარდე დამოკიდებულია ამ რიცხვების ტოტალურ წარმოდგენაზე, მათ სიმტკიცეზე და მოძრაობაზე გონებაში“. აქედან აშკარაა, რომ არითმეტიკის სწავლების პირველ ხანებში რიცხვები 1 დან 10-დის უნდა გამოიფარგლოს და იქმნას შემუშავებული და შესწავლილი **წარმოდგენის გზით**. ლაის აზრით, ბავშვს შეუძლიან წარმოიდგინოს ერთ-და-იმავ დროს 1-დან — 12 საგნამდის, ოღონდ მოხერხებულ ჯგუფებად დალაგდეს ეს საგნები. ამაზე ქვემოდ.

მე ზემოთა ვსთქვი, რომ ლაიმ ზედმიწევნით შეისწავლა ანგარიშის ვითარება ველურ ხალხებში. ამ შესწავლამ და პირად დაკვირვებამ ლაი მიიყვანა ერთ ფრიად საინტერესო დასკვნამდე. ლაის ველურ ხალხის ცხოვრებიდან მოჰყავს შემდეგი ფაქტები: „რიცხვითი სახელი 1-ი თავდაპირველად ნიშნავდა „მე“-ს, ან მთავრეს; 2-ი — თვალებს; სამი — სირაქლემის ფეხს“. ამ ფაქტებს დაართავს იმ მოვლენასაც — ეს ზემოთაც ითქვა — რომელიც გვიჩვენებს, რომ ზოგი-ერთა ველურებს არა აქვთ რიცხვითი სახელები, თუმცა ანგარიშობენ, ე. ი. **რიცხვის წარმოდგენა** აქვთ. სწორედ ამ ფაქტებმა ათქმევინეს ლაის შემდეგი... **„ეს იმას ნიშნავს, რომ საგნების რაოდენობა ირკვეოდა უფრო წინ, მანამ სახელს მისცემდნენ რიცხვს. და, მაშასადამე, მინამ დაიბადებოდა თვლა.** უთუოდ შეცდომა არ იქნება ითქვას, რომ ვ. ა. ლაის **ახალი მიმართულება არითმეტიკის სწავლებაში სწორედ ამ დებულებაზეა აშენებული**. ამას იმიტომ ვამბობ, რომ საზოგადოდ მიღებული იყო რიცხვის ცნების შესახებ ის აზრი, ვითომ რიცხვს მოსდევდა თვლა და თვლას რიცხვი, ე. ი. თვლა და რიცხვი ერთ და იმავ დროს იბადებოდა და ვითარდებოდა. საკვირველი აღარაა, რომ ვ. ა. ლაი ისეთ დიდ მნიშვნელობას აძლევს დაკვირვებითი და საგნებითი ვარჯიშობას არითმეტიკის სწავლებას პირველ წელს. ბავშვიო — დასძენს ლაი, — ვითარდება იმავ გზით, რა გზითაც ვითარდებოდა და ვითარდება დღესაც ველური ადამიანი, ვინაიდან — ამავ ავტორის აზრით — ბავშვის ფსიხიკა ისეთივე თვისებისა, როგორც ველური ადამიანისა. ფსიხიკის ამ

ერთგვარობას. ლაი აღნიშნავს თავის წიგნში რამდენჯერმე. თუ ბავშვის ფსიხიკა ასეთია, მაშ, ბავშვიც რიცხვითი ცნებას უფრო ადრე არდგენს, ვიდრე იწყობს თვლას ანუ იძენს რიცხვითი სახელებს. დასკვნა — რა თავისი აზრი ბავშვის ფსიხიკის და რიცხვითი ცნების განვითარების შესახებ, ლაიმ ერთი ნაბიჯი კიდენ გადადგა წინ: იგი შეეხო ამ კითხვის პრაქტიკულ მხარეს. ლაიმ გვიჩვენა ის გზაც, რომლითაც უფრო ადვილად და მკვიდრად შეიძლება ბავშვმა შეითვისოს ანგარიში, ე. ი. — მისი აზრით — მან შეიმუშავა უფრო სუკეთესო და რაციონალური მეთოდი არითმეტიკის პირველ დაწყებითი სწავლაში. მინამ თავის მეთოდს გადმოგვცემდეს დაწვრილებით და დასაბუთებდეს კიდეც, ლაი ცხარე ომს უცხადებს უკვე არსებულ მეთოდებს. ჩვენი ავტორი ეკამათება პედაგოგებს, სპეციალისტ-მათემატიკოსებს, სხვა-და-სხვა მეცნიერებს და ფილოსოფოსებს. თუმცა ლაი უმეტეს ნაწილად უურადღებას აქცევს არითმეტიკის მეთოდიკის ისტორიას გერმანიაში, მაგრამ ამ კამათში ცხადად ირკვევა ის, თუ ძველიდანვე როგორ ესმოდათ, რა არის რიცხვი და რა ნიადაგზე უნდა დამყარდეს ანგარიშის შეთვისება. რა პრინციპსაც შეიმუშავებდა ან მიიღებდა რომელიმე პედაგოგი, იმის-და-დაკვალად ახერხებდა არითმეტიკის სწავლებაში პრაქტიკულ მხარესაც. მე ვერ გადავცემ მკითხველს ამ მცირე შენიშვნაში პოლემიკის შინაარსს უადგილობის გამო, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ეს კამათი, რომელიც ეხება არითმეტიკის სწავლების ისტორიას, ფრიად საინტერესო და სასარგებლოა პედაგოგისა და მშობლისათვისაც. ლაის დასკვნით, ზოგნი რიცხვს უფურებენ, როგორც თვლის შედეგს, სხვები, როგორც საგნების რაოდენობის განუყენებულ თვისებას... გრუბე-ევტუშევსკის მონოგრაფიული მეთოდი, — რიცხვების თანდათანობით შესწავლა, — აგებულია იმ მოსაზრებაზე, ვითომ რიცხვითი სახელის საშვალებით წარმოიდგინოს თვით რიცხვი. ამას ლაი სრულებით უარს ჭეშმარიტ გზა — ინდუქციაა, ე. ი. კერძო მოვლენების შესწავლით ზოგად პრინციპის დადგენა. ლაი ერთხელ კიდენ უბრუნდება რიცხვითი ცნებას და იკვლევს ამ კითხვას ბავშვის ფსიხიკის ნიადაგზე; აქედან გამოჰყავს შემდეგი დასკვნა: რიცხვითი ცნების შედგენაში მონაწილეობს იდეის ხედვის და სმენის, შეხების და მოძრაობის უნარის და გემოვნების კრძნობა. ამ კრძნობათა შორის ლაი უპირატესობას აძლევს ხედვის და შეხების ორგანოებს, ხოლო უნარის და გემოვნების ორგანოებს სულ მცირე ადგილი სჭერია ანგარიშის განვითარებაში. რა-კი ხედვისა და შეხების ორგანოებს ასეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონია რიცხვითი ცნების შედგენაში, ამიტომ ლაი აქცევს მასწავლებლის

ყურადღებას საგნების მომიჯნავეობას სივრცეში, ანუ—მდებიურად რომ ითქვას—საგნების დალაგებას სივრცეში, ვინაიდგან სივრცის შესახებს ცნებას ვითვისებთ ამ ორგანოებით. აქვე იბადება ფრიად საინტერესო პრაქტიკული კითხვა: საგნების რა ნაირი წყობა უფრო ხელ საურელია რიცხვითი ცნების შედგენისა და შეთვისებისათვის? ამის გამოსარკვევად, ავტორი დაწვრილებით განიხილავს აწ არსებულ პრაქტიკულ სხვა-და-სხვა საშვალებას ანგარიშის სწავლებაში. ავტორი ჩერდება საგნების ორგვარ დალაგებაზე: მწკრივად და ჯგუფად. საგნების მწკრივად დალაგებას ავტორი მცირე მნიშვნელობას აძლევს, რადგან—„მრავალგვარ გამოცდილ—ამ შემთხვევაში ბავშვს შეუძლიან **წარმოიდგინოს მხოლოდ ს მი საგანი ერთბაშად, ე. ი შეითვისოს რიცხვითი ცნება სამი.** ჯგუფებად დაწყობილ საგნებში—ლაი პირველს ადგილს ანიჭებს კვადრატულად დალაგებულ საგნებს ანუ კვადრატულ რიცხვითი ფიგურებს. ამ უკანასკნელ შემთხვევის შესახებ ლაი ამბობს: „**თუ არითმეტიკის სწავლების საშვალებად მიღებულია კვადრატულ-რიცხვითი ფიგურები, მაშინ ყოველ მოსწავლეს შეუძლიან აშკარად წარმოიდგინოს რიცხვით ცნება 1-დან 2-დის** (ხაზგასმა ჩემია)“. ამას ლაი ამტკიცებს მრავალ ფაქტებით. რასაკვირველია, დიდი განსხვავებაა ამ ორ საშვალებათა შორის: ერთი (მწკრივი) იძლევა რიცხვითი ცნებას 3-დის, მეორე—12-დის! ამიტომაცაა რომ ლაი ასე დაყინებით უთითებს მასწავლებელს ისარგებლოს კვადრატულ რიცხვითი ფიგურებით არითმეტიკის პირველ დაწყებით სწავლაში.

თვით ვ. ა. ლაი თავის გამოკვლევაზე არითმეტიკის პირველ დაწყებითი სწავლის შესახებ ამბობს შემდეგს: „ჩვენ დავადექით ამ გზას იმიტომ კი არა, რომ აქ დასკვნილი აზრები მივიღოთ დამთავრებულ **თეორიად** და უჩვენოთ უებარი საშვალება არითმეტიკის სწავლებაში, როგორც ამას სჩადიან ზოგიერთი მეთოდისტები. ჩვენ—განაგრძობს ავტორი—ვუყურებთ ჩვენ მსჯელობას, როგორც **ჰიპოტეზას**, რომლის დაკვალად ვახდენთ ცდას; ამავე ჰიპოტეზის ძალით ვარდგენთ დამოუკიდებელ მეცნიერულ ინდუქციაზე დამყარებულ **თეორიას**, რომელიც გვიჩვენებს სწავლის საქმეში ნამდვილ პრინციპებს“.

დასასრულ უნდა ვაუწყოთ მკითხველს, რომ ვ. ა. ლაის წიგნი მეტად საინტერესოა თავის შინაარსით: ავტორი, ცხადია, დრმა ერუდიციით შეიარაღებული მწერალია. შეიძლება ვინმე არ დაეთანხმოს მას; თუ გინდ, ძირეულ პრინციპებში, მაგრამ ლაის წიგნის დაბეჯითებით წაკითხვა—დარწმუნებით ვიტყვი—დიდ სარგებლობას მოუტანს ყველას. ამიტომ ვაქცევ ამ წიგნზე მასწავლებლების და ყველას ყურადღებას, ვისაც ახალ თაობის მომავალი ეძვირფასება.

ალბანელი.

პირველ-დაწყებითი საშვალება

არითმეტიკის სწავლებისა ამერიკის სკოლებში.

დასაწყისი არითმეტიკის სწავლების დროს ამერიკაში დიდს ყურადღებას აქცევენ მოწაფეებში გრძნობების განვითარებას. ამ მხრით საყურადღებოა Wentworth-ის წიგნი—„New elementary arithmetic" (ახალი ელემენტარული არითმეტიკა), რასაც ხმარობენ სახელმძღვანელოდ ამერიკის სკოლებში.

წინასიტყვაობაში Wentworth-ი ამბობს: „ადრეული საბავშვო გაკვეთილები არითმეტიკისა უნდა სწარმოებდეს **თვალსაჩინოდ, სწავლებაში ხელსაწყო ნივთების საშვალებით,** მაშასადამე რიცხვების გონივრულად შესწავლას საფუძვლად უნდა დაედვას **გრძნობათა გიმნასტიკა.**

არითმეტიკის ცუდად შეთვისების ერთი მიზეზთაგანი ცხადი წარმოდგენილებათა სისუსტეა. ამ ნიჭის განვითარებლად საჭიროა სისტემატიური ვარჯიშობა დაკვირვებაში და თვალსაჩინო სწავლებაში.

ამის მიხედვით Wentworth-ს მოჰყავს მიელი რიგი სისტემატიური ვარჯიშობისა გრძნობების განვითარებლად. ამ სავარჯიშოების მიზანი ფერების, ფორმისა და ხმის შესწავლა კი არა, არამედ ყურადღებით დაკვირვების ნიჭის განვითარება მოწაფეებში, იმავე გრძნობების საშვალებით. სავარჯიშოები მომეტებულად ეხება მხედველობას, მსმენელობას და შეხებას.

მხედველობის ვარჯიშობა: ა) მასწავლებელი გამოიყვანს ოთხს ან ხუთ მოწაფეს და დაამწკრივებს კლასის წინ. მოწაფეები თავიანთ ადგილებიდან ადნიშნავენ მათ წინ მეოთხ მოწაფეების მდგომარეობას, შემდეგ დახრიან თავს, ამ დროს მასწავლებელი წინ მდგომ მოწაფეების რიგს შეცვლის, შემდეგ ეტყვის: „ასწიეთ თავი!" და ეკითხება რა რიგზე იდგნენ მოწაფეები წინად.

ბ) ყველა მოწაფე დახრის თავს. მასწავლებელი წაჰკრავს ხელს ოთხს ან ხუთ მოწაფეს და ეს უკანასკნელები დარბიან დარბაზში. მასწავლებელი ეტყვის დანარჩენ ბავშვებს—ასწიონ თავი. ბავშვები დარბაზიდან გაირბენენ საკლასო ოთახს, მასწავლებელი ეკითხება: ვინ მეტყვის რა წესით გაირბინეს ბავშვებმა საკლასო ოთახი?

გ) უჩვენებენ სხვა და სხვა ფერის ოთხს საგანს. ბავშვები უცქერიან მათ, შემდეგ მასწავლებელი ამ საგნებს გადაფარებს რასმე, ბავშვები დასახელებენ საგნებს იმ წესზედ, როგორც უჩვენეს, შემდეგ იმავე წესით ჩამოთვლიან ფერებსაც.

დ) უჩვენებენ იმავე საგნებს. მოწაფეები უყურებენ მათ და შემდეგ თავს დახრიან, მასწავლებელი შეცვლის საგნების მდებარეობის წეს რიგს და ეტყვის მოწაფეებს აღადგინონ მათი წინანდელი წესი.

სმენის სავარჯიშო: ა) მოწაფე გამოდის შუა კლასში, ზურგი ამხანაგებისკენ აქვს შექცეული. შემდეგ ითქმევინებენ იმ მოწაფის სახელს, რომელიც შეეკითხა: „ვინ ვარ მე?"—ხმაზე უნდა გაიცნოს მოწაფის ვინაობა

ბ) მოწაფეს თვალს აუხვევენ; სხვა მოწაფეები სხვა და სხვა ადგილიდან შეეკითხებიან: „სად ვარ?" და ის, ვისაც თვალები აქვს აკრული, უნდა მიხვდეს რომელ მხარეზეა ის მოწაფე.

გ) მოწაფეები დახრიან თავს. მასწავლებელი ამ დროს დაჰკრავს ჯოხს სხვა და სხვა საგნებს, ამის შემდეგ მოწაფეები ცდილობენ დასახელონ საგნები იმ რიგზე, როგორც ხმა გაისმა.

შეხების სავარჯიშოები: მასწავლებელს უნდა ჰქონდეს რამდენიმე ბურთი, კუბიკები, ბრიზმები და ცილინერები და სხ.

1. გაგზავნიან მოწაფეს მოძებნოს სფერა, შემდეგ მოძებნოს მოდიდო ბურთი. მეორე მოწაფე აძებს უფრო ბატარა ბურთს, შემდეგ სხვა ბურთებს....

2. მოწაფე უკან დაიდებს ხელებს, მასწავლებელი ჩაუდებს ხელში ბრიზმას. მოწაფე ასახელებს დადებული სხეულის ფორმას და სიდიდეს. ამას გარდა მოწაფე შეხების საშუალებით გამოიცნობს ბევრს სხვა საგნებსაც.

3. ჩაამწკრივებენ რიგზე კუბს, სფერას და ცილინდრს. ბავშვები უჩვენებენ თითოეულს ამ საგნებს, შემდეგ ამბობენ, რომელი სხეულია მარჯვნით, რომელი მარცხნით რომელი შუაში. საგნების ნაცვლად შეიძლება სურათებიც იხმარონ.

მოწაფეები თვალში და გონებაში წარმოიდგენენ საგნებს, შემდეგ დასახელებენ მათ მარჯვნიდან მარცხნით და მარცხნიდან მარჯვნით.

მოწაფეებს შეიძლება მისცენ ასეთი კითხვები:

უნახავს ვისმე სფერის მსგავსი რამე?

დამისახელე ყველაზე უფრო დიდი სფერა, რომელიც გინახავს!

დამისახელე ყველაზე უფრო ბატარა სფერა?

დამისახელე ცილინდრის მსგავსი ნივთები.

კუბის რამდენი მხარე შეიძლება დავინახოთ სურათზე?

რამდენი მხარე აქვს კუბს? რამდენი კუთხე? რამდენი გვერდები?

დამისახელე რამე კუბიკის მსგავსი.

რამდენი მხარე აქვს კვადრატს? ყველა მხარეები თანასწორია?

გაზომე. დახატე კვადრატი.

მოახასზვინებენ მოწაფეს ფარგლით წრეს დაფაზე.

რამდენი მხარე აქვს ბირდაბირ კუთხიანს? თანასწორია მისი მხარეები სიგრძით? რით განირჩევა ბირდაბირ კუთხიანი კვადრატისაგ ნ? დახატე ბირდაბირ კუთხიანი.

რამდენი მხარე აქვს სამკუთხედს? დახატე სამკუთხიანი.

დამისახელე რამდენიმე სამკუთხიანები, რაც გინახავს.

თამაშობითა და ვარჯიშობით ბავშვები გაეცნობიან „ტერმინებს“: სფერა, ცილინდრი, ბრიზმა, კუბი, კვადრატი, სწორკუთხიანი, წრე, სამკუთხიანი

ბავშვები გაიცნობენ „შედარების ტერმინებს:“ მეტი, უმეტესი, ნაკლები. უფრო ნაკლები, უგრძესი, ძალიან გძელი, უმძიმესი, ძალიერ მძიმე, უმაღლესი, ძალიერ მაღალი, უფართოესი, ძალიერ ფართო და სხ.

ისინი გაიცნობენ აგრეთვე „მდებარეობისა და მიმართულების ტერმინებს“: უკან, წინ, მარჯვნით, მარცხნით, შუაში; ჩრდილოეთი, სამხრეთი, აღმოსავლეთი, დასავლეთი.

ისინი გაიცნობენ შემდეგ „ფერების ტერმინებსაც:“ წითელი, ნარინჯი, ყვითელი, მწვანე, მტრედის ფერი. იის ფერი, თეთრი, შავი.

ბევრი ამაოგანი მოწაფეებმა სკოლაში შემოსვლამდინაც იციან. მაგრამ ამ ვარჯიშობათა მიზანი ფაქტების ცნობის **შეძენა** კი არა, არამედ ფაქტების **გამოყენება** გრძნობათა გასავითარებლად და **საკუთარი მსჯელობის** შესაძენად.

გეომეტრია სახალხო სკოლებში

რაღაც გაუგებარის მიზეზის გამო გეომეტრიას თითქმის სრულიად არ ასწავლიან დასაწყისს სკოლებში. მაშინ, როდესაც ამ საგანს ისეთივე საპატიო ადგილი უნდა ჰქონდეს დათმობილი სკოლებში, როგორიც აქვს არითმეტიკის სწავლებას და უნდა ისწავლებოდეს ამ ორ კანასკნელთან ერთად, რადგანაც ეს ორივე საგანი კაცობრიობის კულტურულ ცხოვრებაში აღორძინებულა და განვითარებულა ერთმანეთთან განუყოფელად და შეერთებულად.

ზოგს ჰგონია, რომ გეომეტრიაში ბევრი რამ არის ისეთი, რაც უნდა გაამარტივო იგი საშუალო ნიჭის 11 წლის ყმაწვილისათვის მაინც ბევრად გაუგებარი იქნებაო. მაგრამ ეს მოსაზრება, თუ მივიღებთ მხედველობაში ელემენტარულ გეომეტრიას, სიმართლეს მოკლებულია; ელემენტარული გეომეტრია დამყარებულია ცდაზე, რომელსაც მოჰყვება მარტივი ელემენტარული მსჯელობა, რასაც ერთმანეთში ლოგიკური კავშირი აქვს და ყველა წინადადებაც ცდის შედეგია, როგორც ყოველგვარი წინადადება ქიმიიდან, ან რომელიმე საბუნებისმეტყველო სამეცნიერო დისციპლინიდან. გეომეტრიაშიაც საჭიროა ძირითადი მოთხოვნილება ინდუქტიური გამოკვლევისა: რამდენადაც მდიდარია და სრული ცდა, იმდენად შედეგიც უფრო სარწმუნოა. რასაკვირველია უფრო მაღალს საფეხურზე საჭიროა კლასიკური გონება-მჭვრეტელობითი მეთოდი, მაგრამ დაბალ საფეხურზე კი გეომეტრიაც ადვილი გასაგებია, მხოლოდ ექსპერიმენტარული სახით.

საუკეთესო პედაგოგები ამტკიცებენ, რომ ბავშვის გონება მიისწრაფის კონკრეტიულზე, მას არ შეუძლიან განყენებითი აზროვნება 14 ს ან თითქმის 16 წლამდის. მაგრამ ყველა საშუალო ტიპის ბავშვი — ექსპერიმენტატორია განსაკუთრებით; მას განყენებული მსჯელობა არ მოსწონს, მაგრამ ცდა და დაკვირვება უყვარს და მხატვრულადაც აზროვნობს. თუ აწინდელ პედაგოგებს საჭიროდ მიაჩნიათ და სრულიად შესაფერისად დამოუკიდებელი დაკვირვება და ცდა ფიზიკიდან, ქიმიიდან, ფიზიოლოგიიდან და სხ. რა საბუთის ძალით უნდა ვჰყოთ უარი გეომეტრიულს ცდაზე და დაკვირვებაზე? რომ თვალსაჩინო გეომეტრია სრულიად გასაგებია ბავშვებისათვის, ამას დასაწყისი სკოლების გამოცდილებაც ვიმტკიცებს. როგორც ვიცით ამერიკის დასაწყისს სკოლებში არითმეტიკისა და გეომეტრიის სწავლება ერთსა და იმავე დროს სწარმოებს. გამოცდილებაც გვიჩვენებს, რომ ექსპერიმენტალური გეომეტრია, ყოველს შემთხვევაში, არითმეტიკაზე უძნელესი არ არის.

რომ ექსპერიმენტალური გეომეტრია გასაგებია დასაწყისი სკოლების მოწაფეთათვის. ამის შესახებ ეჭვი არ აქვს ისეთს მათემატიკოსებს, როგორიც არის მაგალითად ჯონ პერრი; იგი თავისი გამოცდილებით ჰგმობს დოღმატიურ მკვდარ სწავლებას და მხარს უჭერს საცდელ მეთოდს. ან ვინ არ იცის, ვის არ გაჰოუცდია, რომ დღევანდელი წესი გეომეტრიის სწავლებისა სკოლებში ძალდატანებაზე და თეორემების გაზეპირებაზეა დამყარებული, რის გამო ძოწაფეები გონების განვითარებას კი არა დაბნელებასა გრძნობენ.

ჩვენ არ გამოვუდგებით იმის დამტკიცებას, რომ ისტორიულად არითმეტიკა და გეომეტრია ერთმანეთს გვერდში იდგა — ერთად ისწავლებოდა, შემდეგ დაშორდნენ და ბოლოს ისევ დაუახლოვდნენ ერთმანეთს მაღალს მათემატიკურს ანალიზში. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ, როგორც სხვა კულტურულ ერებში, ისე ქართველ ხალხშიაც, როგორც მიწის მომუშავე ხალხში ძველადვე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და დღესაც აქვს. ჩვენი ხუროთმოძღვრება, ძველი მხატვრობა, შესანიშნავი ორნამენტები, მრავალი საუცხოვო ფიგურები ძველებურს ხელნაწერებში ნათლად გვიმტკიცებენ, რომ ჩვენს ძველებს საუკეთესოდ ჰქონდათ შესწავლილი ეს საგანი, რასაც უეჭველია სკოლებშიაც ასწავლიდნენ.

დასაწყისს სკოლებში გეომეტრიის სწავლების დროს უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს სამს გარემოებას. **თვალსაჩინობას, ცდა-დაკვირვებას და ცოდნის პრაქტიკულ მხარეს**. ეს სამი მხარე გამოიწვევს სამოქმედოთ ბავშვის ბუნების სხვა და სხვა მხარეს. ხაზები და ფიგურები მისცემენ მხედველობითს შეთვისებას; დაწებება და ფიგურების აშენება კარდონის, თიხის, ლითონის და ხისაგან და სხვა და მათი გაზომვა „ხელიდან ტვინისკენ წაიყვანს სასწავლო საგანს"; ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება, (მომეტებულად სოფლის ბავშვებს) გარდა უკეთ გაკვეთისა და ცოდნის მტკიცედ შეთვისებისა, დაარწმუნებს ბავშვს, რომ შეძენილი ცოდნა ცხოვრებაში საჭიროა და სასარგებლო.

სოფლის ბავშვს ბუნება და ცხოვრება აუარებელ მასალას აძლევს გეომეტრიული ფორმების დაკვირვებისათვის. საჭიროა მხოლოდ ამ კარგად ცნობილ საგნებზე შეაჩერონ ბავშვის გულის ყური, დაანახვონ ამ ცნობილ საგნებში ის, რასაც წინად თვითონ ვერ ამჩნევდა. თვითონ ბავშვი აშენებს სხვა და სხვა სათამაშო ხუხულებს გეომეტრიულის ფიგურებით, მათ შეუძლიათ თვალსაჩინო სწავლებისათვის ხელსაწყო ფიგურების გაკეთებაც, ამიტომ ასეთს თვალსაჩინო საგნებს, თვითონ ბავშვების მიერ დამზადებულებს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ნაყიდ კოლლექციებს. ბავშვებს მასწავლებლის ხელმძღვანელობით ადვილად შეუძლიან დაამზადონ სწავლებისათვის საჭირო ხელსაწყო ნივთები: კუთხეების საზომავები, სხვა და სხვა ხაზები, სამკუთხედები, ტრაპეციები, კუბიკური და კვადრატული ზომები, პრიზმები, ცილინდრები, პირამიდები, კონუსი; სფერა და სხ. და სხ.

ლოგიკამ იცის სამი გზა, რომლითაც მოძრაობს აზრი ჭეშმარიტების საძიებლად—ინდუქციისა და დედუქციის გზა. სასტიკად რომ განვსაზღვროთ ადამიანის აზროვნება არ მიჰყვება მარტო ერთ რომელსამე გზას, მაგრამ საზოგადოთ მიღებულია, რომ საცდელ მეცნიერებაში უპირატესობა ეძლევა ინდუქციას, გონების საჭვრეტს მეცნიერებაში (მათემატიკაში)—დედუქტიას. არ გამოვუდგებით ამის განმარტებას, ვიტყვით მხოლოდ, რომ უტყუარი ფაქტია—ძველის დროიდანვე უმეტესი ნაწილი გეომეტრიული წინადადებებისა შემუშავებული იქმნა ცდის საშვალებით; საცდელ მეთოდით საქმე უფრო სწრაფად მიდის და ცოდნაც უფრო მკვიდრი ხდება.

გეომეტრიის სწავლებას სახალხო სკოლებში დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, როგორც ცხოვრებაში გამოსაყენებელ საგანს. პრაქტიკულად მოხმარება

ცოდნისა და განვითარება ამ მხრით მოწაფის მიდრეკილებისა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. კურსის შესწავლის დროს, ჯერ მასწავლებლის დახმარებით და შემდეგ დამოუკიდებლად მოწაფე დაუბრკოლებლად გაზომავს ყოველგვარ ფორმის მიწას, ეზოს, ბაღს, მინდორს, ტყეს, ველს და განსაზღვრულის მაშტარით შეადგენს მათ გეგმას. გეომეტრია მოწაფეს სახალისო მეცნიერებად წარმოუდგება. როგორ ადვილად და სწრაფად იპოვის ის ოთხ წერტილს მიწაზედ ბოძების ჩასასმელად განსაზღვრული ზომის შენობის აგების დროს, რაზედაც, ჩვეულებრივ, დიდხანს წვალობენ ხუროები; როგორ ადვილად და სწრაფად გამოიანგარიშებს თუ რომელიმე სიგანის რამდენი ფიცარი იქნება საჭირო იატაკისა და ჭერისათვის, რამდენი მასალა დასჭირდება სახურავს, რამდენი ოთხ-კუთხი არშინი მინა დასჭირდება ფანჯრებში ჩასასმელად; რამდენს ხალისს შესძენს მოწაფეს, როცა ის ექსკურსიის დროს ჩრდილის მიხედვით ან სხვა კიდევ უბრალო საშვალებით გაზომავს ხის სიმაღლეს. როდესაც სოფლელი უვიცი გლეხი გაშტერებით შესცქერის სოფელში სამუშაოდ მისულს მიწის მზომელს, სკოლის მოწაფე სრულის შეგნებით შეხედავს ამ საქმეს. ქვის შენობის აგების დროს ის სრულის სინამდვილით გამოიანგარიშებს რამდენი აგური მოუნდება შენობას და სხ.

ძნელია ყველაფრის ჩამოთვლა, რაშიაც კი გამოსაყენებელია გეომეტრიის ცოდნა; ცხოვრება აუარებელ მასალას იძლევა ამ მხრით და მისი პრაქტიკული გამოყენებაც სწორედ ნამდვილს ცხოვრებაშია და არა ლაბორატორიულს მოწყობილებაში. ავიღოთ თუნდა სწავლა მოცულობის შესახებ. რამდენ მასალას იძლევა ამ მხრით მარტო ოჯახი თავისი ბეღლით, კიდობნით, ჭურჭლებით და სხვა და სხვა საწყაოებით!

დიდი მნიშვნელობა აქვს ექსკურსიას გეომეტრიულის მიზნით; ექსკურსანტები წავლენ მაგალითად შენობებზე, ან მიწის გასაზომავად; რასაკვირველია ამ შემთხვევაში ექსკურსანტებმა თვითონ უნდა გაზომონ, რაც საჭიროა და იქვე გამოიანგარიშებენ, ან ჩაწერილი ცნობების მიხედვით, კლასში, გეომეტრიის გაკვეთილებზე მასწავლებლის დახმარებით მოწაფეები გამოარკვევენ ყველა საჭიროებას. ამ პრაქტიკულ მუშაობას თან მოჰყვება ერთი მეტად საყურადღებო შედეგიც: დაედება საფუძველი ჩვენში გეომეტრიული ანუ გეომეტრიულ არითმეტიკული მასალის მოგროვებას ადგილობრივის ცხოვრებიდან; შეკრება ამ მასალისა ერთად ერთ კრებულად, სადაც თითოეული რიცხვი იქნება გამომხატველი რეალური ცხოვრებისა და არ ემსგავსება კაბინეტურ ნაწარმოებს, დიდათ საჭირო არის და მით უფრო საყურადღებო, რომ შემდგენელი ამ კრებულისა იქნება სკოლა, მოწაფეები და მასწავლებლები, და ეს არც ისე ძნელია, თუ კი სკოლას ჰყავს მუყაითი, საქმის მცოდნე და მოყვარული მასწავლებელი.

უცხოეთი

სასკოლო საკითხი საფრანგეთში

12 იანვარს საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში დასრულდა დიდი ხნის კამათი სასკოლო საკითხის შესახებ. კამათი გამოიწვია კათოლიკე სამდვდელოების შეკითხვამ,—როგორ ესმის მთავრობას „სკოლის ნეიტრალობა“. კათოლიკეთა ორატორები ცდილობდნენ ეჩვენებინათ, რომ საერო სკოლების მასწავლებლები ხშირად არღვევენ ნეიტრალობის პრინციპს, იმის მაგიერ რომ განზედ იდგნენ რელიგიოზური კამათისაგან, ცდილობენ დაარღვიონ კათოლიკური სარწმუნოება, ცდილობენ, როგორც ამბობდნენ კათოლიკეთა ორატორები—„მოსპონ ქრისტიანობა საფრანგეთში“. ამიტომ შეკითხვის მიზანი იყო გაეგოთ, თუ როგორ უყურებს მთავრობა ასეთს ანტირელიგიოზურს ქადაგებას, რასაც ვითომდა ეწევიან საერო სკოლის მასწავლებლები. როცა კათოლიკეთა ორატორები დაპარაკობდნენ ნეიტრალობის დაცვისა და რელიგიოზური სინიდისის პატივისცემის შესახებ, ხშირად ურწმუნო თვალითაც უყურებდნენ ნეიტრალობის პრინციპს, რომლის სახელითაც ბრალს სდებდნენ მასწავლებლებს და მთავრობას. ნეიტრალური ანუ არა რელიგიოზური სკოლა ეხლა იწვევს მათში ძველებურს არა თანაგრძნობას. კათოლიკეთა გარდა შეკითხვა შეიტანეს სხვა ჯგუფების წარმომადგენლებმაც. ისინი, პირიქით ითხოულობდნენ ისეთს ზომებს, რომლითაც უნდა დაიფარონ მასწავლებლები სამდვდელოების მიერ დაჯაბნებისა და აგიტაციისაგან. ასახელებდენ სამდვდელოების და მათი მომხრეების საქციელს, როცა ისინი აქეზებდნენ მოწაფეებს გაფიცულიყვნენ, როგორ ატანდნენ ძალას მოწაფეებს უარი ეთქვათ „უდვთო“ სახელმძღვანელოებით მეცადინეობაზე, რომლის „უდვთოობა“ ხანდახან მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ იმათში საკმარისად აკრავდენ სამარცხვინო ბოძზე ჭუგენოტების ამომფლეტელებს ბართლომეს დამეს. განმარტებული იყო დებულებითი მნიშვნელობა ნანტსკის ედიკტისა, რომელიც ნებას აძლევდა ჭუგენოტებს თავისუფლად შეესრულებინათ დვთის მსახურება და სხ. გაიხსენეს მასწავლებლების გაწირებული მდგომარეობა მიურუებულს კუთხეებში, პროვინციებში, სადაც კლერიკალების მიერ წაქეზებული მცხოვრებლები სწევეტდენ მათთან ყოველგვარ დამოკიდებულებას და ხანდახან სანოვაგესაც კი არ მიუიდდენ ხელმე.

კამათი მარტო ერთმანეთის საჩივრით კი არ ბოლოვდებოდა. ამ კამათში ცდილობდნენ ფართოდ გამოერკვიათ საკითხი, რომელიც იწვევდა ამდენს მღელვარებას და განემარტათ „ნეიტრალობის“ ცნება და სკოლის დანიშნულება, რასაც აწინდელი შეგნება გვიკარნახებს. თუ კათოლიკეთა მოურიგებლობას ამგვარივე მოურიგებლობა ხვდებოდა ანტიკლერიკალების მხრით, საზოგადოთ პალატა და მთავრობაც დარჩენენ მწვალებლობის (სეკტანტობის) ცალმხრივობის გარეშე. რომ არ შევეხოთ კამათის წვრილმანებს, შეიძლება ვთქვათ, რომ ისინი ამ დასკვნამდის მივიდნენ: თავდაპირველად საერო სკოლა, თანახმად უკვე დამკვიდრებული შეგნებისა საფრანგეთში, მიდებულია, როგორც წინად, საფუძვლად სარელიგიოზო წესწყობილებისათვის. მაგრამ საერო სკოლა არ ნიშნავს მოუთმენლობას. მთავრობის წარმომადგენელმა ისე განმარტა ცნება საერო სკოლისა, როგორც ამას წინად განმარტა პალატის უოფილმა პრეზიდენტმა დეპუტატმა დეშანელემ:

„სკოლა სულიერ—ეს თავისუფალი აზროვნებაა, თავისუფალი აზროვნება კი ნიშნავს რწმენის თუ არა რწმენის თავისუფლების პატივისცემას, აქ ერთგვარად კანონიერად წარმოგვიდგება ლიტერეს რაციონალიზმიც, რენანის იგნორიც, და პასტერის რწმენაც. ვისაც ეს არ ესმის, ის სხვის სწავლებასაც ნუ გამოუდგება“. მინისტრ-პრეზიდენტი ბრიანი გარკვეულად უსვამდა ხაზს, რომ დაწყებითი სკოლა არ აძლევს და ვერც მიცემს სრულს სოფელ-მწვრეტელობას, ის აძლევს მხოლოდ მასალას და უცილობელს ცოდნას. ამასთან ერთად ის უარს ეუბნება სოლიდარობაზე იმ მასწავლებლებთან, რომელთაც თავიანთი დანიშნულება სარწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლაში ჰგონიათ, და დადასტურა მთავრობის მტკიცე გადწყვეტილება, რომ პატივს სცემდენ ეროვნულგვარ სარწმუნოებრივი აზრის თავისუფლებას. მეორე შუხლი იყო დადასტურება განზრახვისა ჩქარა გამოსულიყო კანონები, რომელიც მართლა მიანიჭებდა მფარველობას სერო-სკოლის მასწავლებლებს, და ბოლოს მოუღებდა კერძო სარგებლებს მასწავლებლებზე მათ მიერ ნეიტრალობის მარილა თუ ტეუილ დარღვევის შესახებ. სარგებელი მასწავლებლებზე ახალ კანონმდებლობით უნდა წარედგინოს ადმინისტრატიულ უფლებათა წარმომადგენლებს. კანონმდებლობა გამოწვეული იქმნა კათოლიკე მშობელთა ხშირი ბოროტ-მოქმედებით იმ უფლებაში, რაც მათ ჰქონდათ კანონით მინიჭებული. საინტერესოა აღვნიშნოთ კიდევ ბრიანის სიტყვები სწავლის მონოპოლიის შესახებ, რომელსაც ცდილობენ ზოგიერთი გამოჩენილი რესპუბლიკელთა ჯგუფები.

იმათი აზრით დაწყებითს სწავლა-განათლებაში მონოპოლია სახელმწიფოს ეკუთვნის და ეხლანდელი კანონით არსებული უფლება რელიგიოზური სწავლების შესახებ კერძო სკოლებში უნდა მოისპოსო. ამაზე ბრიანმა შენიშნა, რომ მონოპოლიას მხოლოდ მაშინ შეუძლიან არსებობა, როცა ყველგან სახელმწიფოს რწმენა არსებობს და როცა ქვეყანა არ იტანჯება რელიგიოზური ბრძოლით. დღევანდელს პირობებში ეს მონოპოლია საფრანგეთში დიდს ვნებას მოუტანდა საზოგადო მშვიდობიანობას და შედეგად მოჰყვებოდა ძლიერი ჯგუფის მიერ სუსტის დაჩაგვრა.

სახალხო სამკითხველოები

გერმანიაში

პირველი ცდა სახალხო სამკითხველოების დაარსებისა გერმანიაში მოხდა ხალხის მოძრაობის დროს მე-XIX საუკუნის ნახევარში. შემდეგ ხელახლად დაუბრუნდნენ 1870 წელში და ბოლოს 1895 წელს. საზოგადოთ ამბობენ, რომ სახალხო ბიბლიოთეკების წარმატება განიზომება დასწეისი სწავლების წარმატებითაო. შეიძლება ეს აზრი თეორიულად მართალი იყოს, მაგრამ საქმით კი სულ სხვას ვხედავთ. სახალხო ბიბლიოთეკები ძლიერ ჩამორჩნენ უკან დასწეის სწავლების განვითარებას. პარიქით უკანასკნელის წარმატებამ შეჭქმნა სერიოზული დაბრკოლებანი ბიბლიოთეკის გახსნაში. აღმოჩნდა რომ გერმანიის სახელმწიფოს სხვა და სხვა ადგილებში ცუდი შინაარსიანი ლიტერატურის გავრცელება ხდება საკვალდებულო სწავლების დაწყებიდან. ეს ლიტერატურა ყველაზედ უწინ უფრო სწრა-

ფად გავრცელდა იქ, სადაც სავალდებულო სწავლება საზოგადოთ გახდა და შემოღებული იქმნა ნაკლების წინააღმდეგობითი. ამ სახით ისტორიამ ავსტრიკების შესახებ, ცუდი შინაარსის რომანებმა და საზოგადოთ ულბმა მწერლობამ საუკეთესო ნიადაგი მოიპოვა გასავრცელებლად საქსონიაში, სადაც სავალდებულო სახალხო სწავლება ადრე შემოიღეს და ძლიერ ადვილადაც. ეს თავის თავად ცხადია. სწავლება, თუ ცუდათ არის მოწყობილი, აღუძრავს მკითხველებს სურვილს მარტო თავ-შესაქცევი წიგნები იკითხონ. ამნაირი კითხვა გაუმაძღრობად იქცევა, ამისთანა მკითხველისათვის კარგი და სერიოზული წიგნი იგივეა, რაც ლოთისათვის წყალი. დღეს ცუდი რომანების წარმოება დიდად გავრცელებულია გერმანიაში. დანიშნულება სახალხო ბიბლიოთეკებისა, მარტო იმას კი არ შეადგენს, რომ შეავსოს სკოლის სწავლება, არამედ გამოიხატება ცუდი შინაარსიან ნაწარმოების წინააღმდეგობაშიაც, რაც ძლიერ გავრცელებულია.

რა ხალხია, რომელნიც უნდა მიაჩვიონ სად კითხვას? ეს არის დაბალი კლასი და მთელი ნახევარი საშვალო ბურჟუაზიისა. ეკონათ, რომ ეს ხალხი თავის თავად აღიზრდება, გადაეჩვევა ზოგიერთ წიგნების კითხვას და თითქმის შეუმჩნევლად მიეჩვევა სხვანაირ წიგნების კითხვასო. საშეუხარო შეცდომაა! სახალხო ბიბლიოთეკები დაცალიერდება, თუ იმას არ მიაწვდიან, რასაც კი ითხოვენო. უფასო კითხვაც ვერ შეაცდენს ვერავის, როგორც ლოთს ვერ აცდენს წყლის შადრევანი.

განა ეს იმას ნიშნავს, რომ სახალხო ბიბლიოტეკებმა ხელი აიღონ ბრძოლა გემოვნების განვითარებაზე? სრულებითაც არა, რადგანაც კარგ მწერლობაშიაც არის გასართობი წიგნები. სახალხო ბიბლიოთეკებს უნდა ჰქონდეს ასეთი წიგნები, მაგრამ რომ მიაწოდონ ისინი მკითხველებს, საჭიროა კონიერი ბიბლიოტეკარი, მცოდნე ლიტერატურისა და იმისი, თუ რა მოუხდება ამა თუ იმ მკითხველს, საჭიროა ცოდნა თუ რაგვარი წიგნი უნდა მიაწოდონ ამა თუ იმ მკითხველს. რამდენადაც კი შეიძლება შეამოკლონ კატალოგების ხმარება ოავის მშრალი ნომრებით და სახელწოდებით; ჩვენება, რჩევა და ხელმძღვანელობის გაწევა მეტად საჭიროა. გერმანიის ერთს ბიბლიოტეკაში, სადაც ამგვარი წესია შემოღებული, 50 ცალი „ფაუსტისა“ გეტესი, და 12 ცალი ფრეიტაგის „ფრო ნაციონალური რომანებიდან „წინაპრები“ შედგენ გაქვეთ საკითხავად.

მაშასადამე საჭიროა საქმის მცოდნე და მოუვარული კამეგ ბიბლიოტეკისა, რომელიც უნდა ხელმძღვანელობდეს საკითხავ წიგნების არჩევაში და არა აჩეჩებდეს ხელში მკითხველებს მარტო კატალოგს. ასეთი ბიბლიოტეკარი განვითარებს მკითხველს გემოვნებას. თუ ორ-ორ წიგნს აძლევს ის მკითხველს, ერთი უნდა იყოს შესაქ�gარი, მეორე ჭკვის დამრიგებელი, რომანი და ისტორიული ამბები, ან მოთხრობები მოგზაურობაზე, ან კარგი სამეცნიერო ადვილად გასაგები წიგნი. ამ სახით ბიბლიოტეკის გამგე მიჰმართავს მკითხველის სურვილს ღებულებითი ცოდნის შეძენისაკენ და კითხვასაც მოსაწყენად არ გახდის. ამისთანა ბიბლიოტეკარი შემდეგ კარგი ორგანიზატორიც გახდება. ის ყოველ ლონეს იხმარს, რომ მიიზიდოს მკითხველები. როცა საქმე კარგად მიდის, ის არ ითაკილებს თხოვნით მიმართვას, სადაც ჯერ არს, რომ მიიღოს დახმარება, რასაც შემოხვევითი ბიბლიოტეკარი ვერ იზამს. ამერიკაში სახალხო ბიბლიოტეკებზე თითოეული მცხოვრებელი ხარჯავს 9—15 კაპ., ბოსტონში მცხოვრები იხდის საზოგადო ხარჯიდან 95 კაპ. გერმანიაში ეს ხარჯი 2 კაპ. უდრის. გერმანიის 40 ქალაქში $11\frac{1}{2}$ მილიონი მცხოვრებია, სახალხო ბიბლიოთეკებში 800,000 ტომია, რომლითაც სარგებლობს $1\frac{1}{2}$ მილ. მცხოვრებელი. წლიური ხარჯი

დასახლოებით 248,400 მანეთია, ბრუსიის 1909 წ. ხარჯთაღრიცხვაში აღნიშნულია, რომელიც დახმარება ბიბლიოთეკებისა 46,000 მან. მხოლოდ ერთი ბოსტონი აწვდის თავისს 500,000 მცხოვრებელს ტომების თანაბარ რიცხვს, ფილადელფია თავისს სახალხო ბიბლიოტეკებზე ხარჯავს იმდენს, რამდენსაც გერმანიის 40 ქალაქი. ამერიკელების ხარჯი ზოგიერთების აზრით ზომაზე მეტია, ზოგის აზრით კი მას თან სდევს არსებითი უხერხულობა. (შეერთებული შტატების ზოგ ადგილებში ხალხის სწავლება უკან რჩება სახალხო ბიბლიოტეკებს). ამათ, მგონია, უნდა დაინახონ ძველი ევროპის სიძუნწე და რუტინობა. ბოსტონში მუშა, როცა გაივლის დილით ბიბლიოტეკის ახლო, ჩასდებს უუთში წერილს, მოითხოვს რა წიგნიც უნდა, სადამოს ბრუნდება სახლში, გამოვლის დროს წიგნი მზად დახვდება და მიაქვს შინ. საჭიროა ფუული, რომ ეოველ მოხერხებულ ადგილას დაარსდეს ბიბლიოტეკები; საჭიროა დაიბეჭდოს რეკლამები, განცხადებები, რომელიც აცნობებს დღისით და ღამით გამვლელებს, სად არის მახლობლად საწყობები, ბიბლიოტეკის განყოფილება. საჭიროა მმოძრავი საწყობები ისეთს ადგილას, ს

მტკიცედ ემსახურება. გარდა ამისა ეწევა შუაკაცობას მემამულისა და გლეხკაცობის შორის,—აძლევს შემწეობას ფულით; უჩვენებს გზას როგორ გამოიტანოს ფული საგლეხო ბანკიდან, რომელიც დაარსდა იმავე აზრით, რომ გაეადვილებინა გლეხთათვის მამულის შესყიდვა ფულის სესხად მიცემით და სხვ. და სხვ. ამ წრეს ჰქვიან „საადგილ-მამულო კამისია", რომლის დაარსება მართლაც რომ მალამოდ დაედო ჩვენს ეროვნულ წყლულსა.

ამიტომ ფრიად სასურველია გავრცელდეს მდაბიო ხალხში ბ. **ალ. ყიფშიძის** ზემო აღნიშნული წიგნაკი; ეს ბროშიურა გარდა იმისა რომ მკითხველს ასწავლის გზას სად, ვისთან და როგორ დაიჭიროს საქმე მამულის ყიდვის დროს,—გვამცნებს კამისიის შრომის ნაყოფს ამ 2—3 წლის განმავლობაში,—არის დაწერილი შვენიერი, მარტივი, სუბუქი ენით, ნასწავლისა და უსწავლისათვის ადვილად გასაგებია.

ვინ ყანი.

ახალწლის დღესასწ. სპარსეთში და საქართველოში

სპარსეთის გავლენა ქართულს მწერლობაზე, სარწმუნოებაზე და საერთოდ კულტურაზე ბევრჯელ იყო აღნიშნული ჩვენს ლიტერატურაში. ამ წინაზე ერთს გამოცემულს სამეცნიერო გამოკლევაში, რომელიც ეკუთვნის პეტერბურგის პროფესორს კ. ა. ინოსტრანცევს სპარსეთის გავლენა საქართველოზე განხილულია მეტად საინტერესო მხრივ. მესამე კაბადონი, რომელიც შეეხება სასანიდთა გაზაფხულის დღესასწაულს, მოწმობს, რა კავშირი შეიძლება დამყარდეს სპარსულ და ქართულ ჩვეულებების შორის, რომელნიც ძველად სპარსეთშ[illegible]და ახლაც საქართველოში მოქმედობდნენ და აქამდის შერჩენილან. მე-IX საუკუნის მწერალს მუსა-იბნ-ისა-ალ-კისრავს დაუცვავს' იმ გვარი აღწერილობა ნიროზისა (=ნაურუზისა), რომელიც ერთის მხრივ გვაგონებს ვახუშტის ცნობებს ახალწლის დღესასწაულზე სამეფო სასახლეში, მეორის მხრივ ნათელს ჰფენს აქამდის დაცულს საახალწლო ჩვეულებებს.

სპარსეთში, როცა მეფე ჩაიცვამდა ტანისამოსს, მისალოცად შევიდოდა მასთან სათნოიანი სახელით კაცი, მხიარული, მახვილ გონებიანი, გამოცდილი იმაშიაც, რომ იგი ბედნიერების მოამტანია. დადგებოდა მეფის პირდაპირ და მოახსენებდა: ნება მიბოძე—შემოვიდე. ჰკითხავდა მას მეფე: ვინ ხარ, საიდან მოდიხარ, სად მიხვალ? ვინ მოდის შენთან და რა მოგაქვს? იგი უპასუხებდა: მოვდივარ ორი კურთხეულისაგან და მივდივარ ორს მადლიანთან, ჩემთან მოდის ყოველი ღვაწლ შემოსილი, სახელი ჩემი „ხუჯესტე" (=ბედნიერი); მომყავს თან ახალი წელი; ვახარებ მეფეს და ვულოცავ. მეფე უბრძანებდა, რომ იგი შესულიყო მასთან. შესვლასთანავე ახალწლის მიმლოცველი (ჩვენებური მეკვლე, კაცი აგრეთვე გამოცდილი, სათნოიანი და ბედნიერების მოამტანი—ფეხი ჩემი—კვალი ანგელოზისა გვიანტრის იგი) დაუდგამდა ვერცხლის სინს, რომელზედაც დალაგებული იყო გამომცხვარი კუპატები (ლავაშებივით) ხორბლის, ქერის, ფეტვის, მუხუდოს, ოსპის, ბრინჯის, ლობიოსი და სხვ., შვიდს მარცვალს ამ მცენარეებისას მოუწყობდა პირზე სინს; შუაში დაუდებდა შვიდს ხის შტოს (შეადარე გურია სამეგრელოში „ჩიჩილაკი"), კომშის, ზეთიხილის, ბროწეულის, ტირიფის; ამათ სხვა და სხვა მნიშვნელობა ჰქონდათ და მათი მიხედვით მოამავალს უწინასწარმეტყველებდნენ. სხვა და სხვა ადგილას აწერდნენ: აბზუდ, აბზუნ, ბარკარ, ფარარახა, ესე იგი: გამრავლდი, სიმდიდრე, ბედნიერებ, ბარაქა. ამასთანავე დასდგამდნენ

შვიდს თეთრს ჯამს და თეთრს ფულს. მეფე ამ დღეს მიირთმევდა და სხვებსაც უბოძებდა ტაბიღეულობას, (როგორც ჩვენში გოზინაყს, ფალუსტაკს და სხვ.). ახალს წელიწადს თეთრს ქორს გაუშვებდენ. წასულს „მოსტაცებდნენ“ მდინარეს ქალები წისქვილთან და მოიტანდნენ სურით. ამ დღეს მეფეს მიირთმევდნენ მშვილდს და ხეთ ისარს. სიმღერა და სიამოვნება გაჩაღდებოდა.

შემდეგი დროის ცნობანი ავსებენ კისრავის გადმოხვეტემს და უპირდაპირდებიან ქართულს ჩვეულებებს. გასთიადისას ახალწლის მიღოცვა და სიკეთის სურვილი აღწერილი აქვს დიმაშკისაც. ბირუნი ჭმოწმობს, რომ ახალწელიწადს ნაურუზს—ჩვეულება სპარსეთში შაქრის მიღოცვა, როგორც ჩვენშიაც ყინვარის შაქრით და გოზინაყით „დაბერება“. გოზინაყს უფრო უახლოვდება სპარსული ჩვეულება — თაფლის შეჭმა, რათა მთელი წლის განმავლობაში აიცდინონ ავათმყოფობა.

საქართველოში, როგორც სპარსეთშიაც, შიღებულია ახალ წელიწადს განდიადზე „ტაბლის“ დამზადება. ეს „ტაბლა“ უდრის სპარსელთა „სინს“. ტაბლაზე „აწყობენ მასალას“, თაფლ, ერბოს, ხორბალს, ჩურჩხელებს, შაქარს, ბრაშუმს და სხვ.; სპარსელების ხის შტოს უდრის ჩვენში „მეკვლის“ მიერ ცეცხლზე დადებული შეშა, რომლის ნაპერწკლებზე იგი ნატრულობს ცხვარს, ხარს, ფულს, სიცოცხლეს და სხვა. არ მოგეგონოს ეს ჩვენებური ჩვეულება, რადგან იგი კარგად ცნობილია. „ტაბლის“ მიმტანს შეგნიდან იმავე კითხვით მიეგებარებენ, როგორც სპარსეთში: რა მოგაქვს? რაზეადაც მიუგებენ: სიცოცხლე, ბედნიერება, ბარაქა და სხვ.; აქამდის სპარსეთში და ჩვენშიც დარჩენილია რწმენა, რომ ახალ წელიწადს გაკეთებული და ნაოქვამი მთელს წელიწადს კაცს დასჩემდება. ამიტომ ცდილობენ სათნოიანი სიტყვით და ქცევით გაატარონ ეს დღე. წელის მოტანა ჩუმად აგრეთვე შეგვრჩენია როგორც ჩვენ მეფეების დროს ეთოფილა დადებული ქორის გაშვება. ბატონიშვილი ვახუშტი 1 წერს: ახალწლის პირველს იანვარს უწინარეს ცისკრის ლოცვისა უკლევდა მეფესა ჭეთხდიდელი... და სანუკარს შაქრისასა. შემდგომად წირვისა ეახლებოდნენ სასახლის დიდებულნი, მოართმევდნენ ქორსა, ცხენსა... და ისარსა და მიულოცავდნენ: მრავალ ჟამიერ ჭეთს ღმერთმან მეფობა თქვენი მრავალს წელს და ეს ისარი ესე გულსა შინა განერთხას მეფობისა თქვენისა ორგულსა. შემდგომ შექნიან ბურობა განცხრომითა...

უადგილობის გამო ვედრ ვადარებთ საქორწინო ჩვეულებას, აგრეთვე დამარხვის დროს ცნობილნი ჩვეულებანი ჩვენში და სპარსეთში. დაწვრილებით და დახლოვებით მკითხველი გაიცნობს ამ საგანს მოხსენებული წიგნიდან Сасанидскіе этюды К. А. Иностранцева (С.-Пб. 1910)

ა. ხახანაშვილი.

შინაარსი: პროფ. ბერნარდ მიუნტ. 1. ბავშვის ლოლიკა—**ალ. ფალავასი**. 2. სწავლა აღზრდის საქმე საქართველოში. **სამ. ცომაიასი**. 3. უცხო ენების ადრე სწავლება (სიმონოვიჩიდან). 4. ორი კუდიანი ვარსკვლავი. ნ. პედაგოგიის ისტორია—დრ. ვაიმერისა (გერმანულიდან) **ნ. ლორთქიფანიძისა**. 6. * * * ლექსი **ლადო გეგეჭკორისა**. 7. პოზნანელ მასწავლებლის დღიური (სენკევიჩისა) **თ. მაგმაძისა**. 8. სულა და ღმერთები (სპარსული ლეგენდა) **ბაჩანასი**. 9. არითმეტიკის და გეომეტრიის პროგრამა საქ. სახალხო სკოლებისათვის. 10. ახალი მიმართულება არითმეტიკის სწავლებაში. **ალბანელისა**. 11. პირველ დაწყებითი საშვალება არითმეტიკის სწავლებისა ამერიკის სკოლებში. 12. გეომეტრია სახალხო სკოლებში. 13. სასკოლო საკითხი საფრანგეთში. 14. სახალხო ბიბლიოტეკები გერმანიაში. 15. ბიბლიოგრაფია. **ვინ ვანისა**. 16. ახალწლის დღესასწაული სპარსეთში და საქართველოში **ა. ხახანიშვილისა**.

რედაქტორ-გამომცემელი. **ლ. გ. ბოცვაძე.**

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა, სპირიდონ მ. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა საკუთარი სახლი № 5.

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი

განათლება

(წელიწადი მესამე)

V მაისი 1910 წ.

ჟურნალი წლიურად ღირს 3 მან.
ნახევარი წლით . . . 2 მან.
სახალხო სკოლების მასწავლებლებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად **ოკ მანეთად.**

ცალკე ნომრის ფასი 30 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში" და „ნაკადულის" რედაქციაში. წერილები და ჟურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: **Тифлисъ. Дворянская Грузинская Гимназія. Л. Г. Боцвадзе.**

სამშობლოს გაცნობა

ევროპაში ახლა, ამ მეოცე საუკუნეში, რომ ვინმე გამოვიდეს სამშობლოს გაცნობის საჭიროების მქადაგებლად, მას ანბანურ, თითქმის შაბლონურ აზრის მქადაგებლად მონათლავენ; დასცინებენ კიდეც და ირონიულის ღიმილით შენიშნავენ: „შეხეთ, რა კისრის ტეხით ეხეთქება შესასვლელად გაღებულ კარებში; სჩანს საწერი მასალა და ტემა შემოლევიაო!". დიახ, ყველგან, ყოველივე კულტურულად მომწიფებულ ერში სამშობლოს ყოველმხრივ გაცნობის საჭიროება აქსიომათ, უთუო ჭეშმარიტებად არის აღიარებული. საკუთარ სამშობლოს ღრმა შესწავლით იწყება კულტურული მუშაობა მოწინავე ერებისა, რადგანაც უამისოდ შეუძლებელია შესაფერ და შეწონილ ნომრების და მიზნების დამყარება ერის ცხოვრების პოლიტიკურ, ეკონომიურ და ესტეტიურ სფერაში. ევროპაში ის მოწინავე ელემენტი, რომელიც მუშაობს ერის ზრდა-განვითარების და წინსვლის ასპარეზზე, აუცილებლად და თავდაპირველად განძრახულ და სასურველ რეფორმებს და საზოგადოდ ყოველივე კულტურულ მუშაობას ხალხის გეოგრაფიულ, ეტნოგრაფიულ, ისტორიულ, ეკონომიურ და ფსიხოლოგიურ თვისებებს და მდგომარეობას უფარდებს, შეაზომავს, რადგანაც დარწმუნებულია, რომ უამისოდ ყოველივე დაწყებული საქმე უნიადაგო და ხანმოკლე გამოდის...

ერთის სიტყვით, კულტურულ ერების ღრმა რწმენით, ყოველმა ერმა, რომელსაც სურს ჩაებას საკაცობრივო კულტურულ ცხოვრების ფერხულში, თვის სამ-

შობლოს გაცნობიდან უნდა დაიწყოს მუშაობა: ეს პირველი ნაბიჯია, ქვაკუთხედია ნორმალურ პროგრესის გზაზე მსვლელობისა.

როგორ ვფიქრობთ ჩვენ, ქართველები? გვაქვს თუ არა ეს ჭეშმარიტება შეგნებული? და თუ გვაქვს, ვახორციელებთ კი მას ცხოვრებაში? ე. ი. ვიცნობთ კი ჩვენ ჩვენს ხალხს, ჩვენს სამშობლოს?

გადაჭრით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჩვენ არ ვიცნობთ ჩვენს სამშობლოს არც გეოგრაფიულად, არც ეტნოგრაფიულად, არც ეკონომიურად, არც ისტორიულად და არც ფსიხოლოგიურად... ეს—ფაქტია; მისი უარყოფა შეუძლებელია. ნურავინ მიგვითითებს თითო-ოროლა მაგალითზე: ეს მხოლოდ წვეთია ზღვაში. ერთ-ორს მაგალითს, როგორც გამონაკლისს, საზოგადო სურათის და მოვლენის შეცვლა არ შეუძლია.

საზოგადოდ კი, ჩვენი ერის მოწინავე ნაწილი—გონებრივი არისტოკრატია—ინტელიგენცია, რომელიც კანონით უნდა იდგეს ერის კულტურულ მსვლელობის სათავეში, რომელსაც უნდა ეჭიროს ერის სადავე,— სრულიად არ იცნობს ხალხს, სამშობლოს! და აკი ამისთვისაა, რომ ის ვერ ახერხებს პირნათლად აასრულოს თვისი დანიშნულება-მოვალეობა?! აკი ამისთვისაა, რომ ჩვენ, ქართველები, თუმცა დიდი და გრძელი კულტურული გზა გავივლია, „მოწინავეს ჩამოვრჩით, უკანაზე წინა ვართ“?!

მივიხედ-მოვიხედოთ; თავს დავეკითხოთ; ნუ შეგვრცხვება პირდაპირ ვაღვიაროთ ჩვენი ცოდვები სამშობლოს წინაშე.—აბა რომელი ქართველი ინტელიგენტი იტყვის, რომ არამც თუ სამშობლო მეცნიერულად შემისწავლია, ანდა ისე ვიცნობო, ისედაც, როგორც უბრალო მგზავრს, ტურისტს, ეს შემომივლია! თითქმის არც ერთი. მერე ან გაუვალი მაინც იყოს სივრცით ეს ჩვენი სამშობლო, რომ ფიზიკურად არ შეეძლოს ყოველივე გაგებულ მის შვილს მისი შემოვლა, ან სიკეკლუცე, სიმშვენიერე და სიუხვე მაინც აკლდეს მას, რომ ვინმე თვისი მნახველ-სტუმარი მოაწყინოს, არ ასიამოვნოს?!

სამწუხაროა, მაგრამ სინამდვილე კი.

მიზეზი? მიზეზია ჩვენი შეუგნებლობა, ჩვენი დაუდევრობა უმთავრესად. როდესაც ქართველი ახალგაზდა სწავლობს საშვალო სასწავლებელში, ის უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ იცნობს იმ ქალაქს, სადაც სწავლობს, და იმ პატარა კუთხეს, სადაც მისი დედ-მამა ცხოვრობენ... აბა ვინ ეტყვის და ვინ ჩააგონებს ჩვენ ახალგაზდას, ანდა ვინ მისცემს საშვალებას, რომ ის კანიკულებში მაინც გაეცნოს თვის სამშობლო მხარეს? ალმზრდელ-მასწავლებელნი? ეს ხომ აბა რა სათქმელია! ჩვენი გადაგვარების გზაზე დამდგარი და ეკონომიურად გაღატაკებული ოჯახი? იმედი ნუ გაქვსთ. ჩრდილოეთის სუსხმა ჩააქრო ჩვენი ეროვნული თვითშეგნება; სილაჩრეთ, მონობათ შეგვიცვალა „სული მამა-პაპური“. ბედოვლათობამ, ქართველურმა „ნაცარქექაობამ“, „შევსვათ ხელადით ღვინოს“-ს ღრიალმა და „ბითურ ცხრის“ გატაცებულმა თამაშმა მთლად დააცალიერა ისედაც ჩვენი თხელი ჯიბე! ამ ავლადიდების პატრონს ქართველ ოჯახს აბა როგორ მოსთხოვთ შვილის კარგ ნიადაგზე დაყენებას?! უვიკი სამშობლოს ცოდნაში ათავებს ქართველი ახალგაზდა საშვალო სასწავლებელს და შედის რუსეთში უმაღლეს სასწავლებელში. რამოდენიმე წლის შემდეგ ამთავრებს სწავლას და ჩამოდის სამშობლოში, ხშირად შრომის და მოღვაწეობის სურვილით გატაცებული.

მაგრამ, საუბედუროდ, სინამდვილე ფრთას აკვეცს მისს ოცნებას. „უხორთუმო“ სპილო, უიარაღო დარაჯი, მშობლებ-ნათესავების ეგოისტურ კილოსი „ნანინა“თი მითვლემილ-თავბრუდასხმული ქართველი „დიპლომიანი“ ჩქარა იდგამს მოხელეობის მოოქრულ უღელს, ძვრება „ფუტლიარში“ და შეუმჩნევლად, მაგრამ თანდათანობით, ინთქება ცხოვრების უფსკრულში.

სადა აქვს მას ახლა მოცლა-ხალისი სამშობლოს შესწავლისა! სამსახური... ოჯახი... ცოლ-შვილი... კარიერა!.. სამშობლოო? შეიძლება იკითხოთ. ვერ იცლის მისთვის, ადამიანებო, დრო არა აქვს!! შეუძლებელია „ღმერთს და მამონას ერთად ემსახურო“!

საბწუხაროდ, ჩვენი თანამედროვე დუხჭირი ცხოვრება ასე მრუდედ აყალიბებს ჩვენ „ნასწავლთ“. საკვალალოდ ასეთია ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობის ელ-ფერი! მაგრამ ჩვენ ამ მიმდინარეობას რომ გავყვეთ პასსიურად, მაშინ ხომ ყველას ერთად ჩაგვითრევს უფსკრულში და ამოგვახრჩობს? თუმცა ეს ასეა, მაგრამ ჩვენ მაინც არ ვიჩენთ თავის დაცვის ალღოს.

თუ ჩვენი თანამედროვე ინტელიგენტი, ნებით, თუ უნებლიეთ, ოჯახის ზედ გავლენით, თუ საკუთარის ინიციატივით, თითონ მართალ გზას აცდა და უნაყოფოთ ლევს „დღეთა თვისთა“, იმის შეგნება მაინც გამოიჩინოს, რომ შვილებს— ამ ერის მომავალ იმედს—შთააგონოს სამშობლოსადმი მოვალეობა, აღუძრას სურვილი მისი ყოველ-მხრივ შესწავლისა, შეაყვაროს სამშობლო ენა, ლიტერატურა, ისტორია. განა ქართველს ექიმს, ვექილს, მასწავლებელს, მღვდელს, ვაჭარს და სხ. არ შეუძლიანთ შეიძინონ საუკეთესო ქართული წიგნები, გამოიწერონ ქართული ჟურნალ-გაზეთები? განა მათ არა აქვთ იმდენი სახსარი, რომ შვილებს ზაფხულობით მაინც მისცენ შეძლება სამშობლო შემოიარონ, მას გაეცნონ? ეს ორი საგანი—ქართული წიგნი და მოგზაურობა—ჩვენ ახალგაზდათა უმეტესობაში აღძრავს სამშობლოსადმი ინტერესს, შეასწავლის რამოდენადმე მაინც ერის სულიერს და ეკონომიურს ცხოვრებას, ჩაახედებს წარსულში, გაუცხოველებს იმედებს და მისწრაფებებს.

ვინ მოსთვლის—რა და რაში არ ხარჯამს ქართველი ინტელიგენტი ფულს: წვეულებებში, ბანქოში, უბრალო დროს გატარებაში... და ამავე დროს ვერ გაუმეტია რამოდენიმე თუმანი ეროვნულ საქმისათვის! ზოგიერთები (რა საკვირველი გადაგვარებულნი) იმით იმართლებენ თავს, რომ ვითომც ქართულ წიგნების და ჟურნალ-გაზეთებისთვის ფულის და დროს დაკარგვა არ ღირდეს. შემცდარი აზრია; შეუწყნარებელ გონების სიმჩალტეა! აბა ვის გაუგდია ღვიძლი დედა სახლიდგან მხოლოდ იმისთვის, რომ სხვა დედებს ჩამოუარდება სილამაზით, ახოვნებით და განვითარებით?! ანდა მაინც და მაინც არც ისე დაცემულ—დაკნინებულია ჩვენი ლიტერატურა და ჟურნალ-გაზეთობა, რომ ჩვენ, ინტელიგენტებმა, იქ ვერაფერი გონებითი საზრდო ვერ ვპოვოთ...

სირცხვილია, ღმერთმანი, რომ იმ დროს, როდესაც სხვები, ინგლისელები, ფრანგები, ნემცები, რუსები, ჩვენს მხარეს დაწვრილებით და გულმოდგინეთ ათვალიერებენ, იძიებენ სხვა და სხვა მხარეს ჩვენი ცხოვრებისას, ამ დროს ჩვენი „საზოგადო“ მოღვაწეები და მწერლები გულ-ხელ დაკრეფილი სხედან და იმ მასალით სარგებლობენ ჩვენი ერის შესახებ,

რაც უცხოელებს შეუგროვებიათ და აღმოუჩენიათ. ამაზე სამარცხვინო კიდევ რამე იქნება?

მერე ყოველ მხრივ მაინც არ იყოს ჩვენი „ცა-ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტი“ და მრავალ ტანჯული ამირანი—საქართველო—ყურადღების, შესწავლის და სიყვარულის ღირსი?

რანაირად უნდა დაგვებადოს ჩვენ, თუ გენიოსი არა, ნიჭიერი მაინც, პოეტ-რომანისტი მაინც, დრამატურგი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, ისტორიკოსი, როდესაც ჩვენ ჩვენს თავს და ჩვენს ხალხს ვერ ვცნობთ? რამ უნდა ასაზრდოვოს ფანტაზია—შემოქმედება ჩვენის პოეტ-მწერლებისა? ნასესხ იდეებით, უცხო ფორმებით, საზღვარ გარედგან შემოტანილ სანოვაგით და კოსმოპოლიტურ სფერაში ცურვა-ნავარდით ჩვენ ვერ შევქმნით ეროვნულ კულტურას, ეროვნულ თავისებურ ლიტერატურას. თუ ჩვენ ასე უკულმართად ვიარეთ, მოვა დრო, როდესაც ჩვენში შეუძლებელი გახდება მოვლენა—დაბადება რუსთაველებისა, ბარათაშვილებისა, ჭავჭავაძეებისა, აკაკიებისა, ვაჟაფშაველებისა... მხოლოდ **ეროვნული** ელვერი და ხასიათი ჩვენი კულტურისა და ლიტერატურისა გახდის მათ საკაცობრივო განძად; მხოლოდ მაშინ ჩავირიცხებით ჩვენ ნამდვილ ერთა სიაში...

რანაირად უნდა აღორძინდეს ჩვენი ეროვნული მუსიკა; რანაირად უნდა შემუშავდეს ჩვენი ეროვნული ოპერა, როდესაც სახალხო სიმღერა, რომელშიაც ჩაქსოვილია მთელი ერის არსება და სულის კვეთება, რომელშიაც გამოსჭვრის მისი მრავალ-ტანჯული ისტორიული არსებობა, არ შეგვისწავლია, არ ჩაგვიწერია?

ჩვენ ჯერაც არა გვაქვს ისტორია, ჩვენ—იმ ხალხს, რომელსაც ათას წლობით სახელოვნად უცხოვრია და მრავალი საბუთები თვისის არსებობისა—უტყვი და მეტყველი—უანდერძებია შთამომავლობისათვის! დიახ, არც გვაქვს და არც დიდხანს გვექნება, რადგანაც, გარდა ორიოდ კაცისა, ჩვენ ვერც კი წავიკითხავთ ჩვენს ისტორიულს საბუთებს.

რითი აიხსნება, ბატონებო, ის არა ჩვეულებრივი, ანორმალური მოვლენა, რომ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში შინაური, პროვინციალური ვითარების განხილვა—აწონ-დაწონას ნაკლები ადგილი უჭირავს, და ამავე დროს უცხოეთის მიმოხილვას კი დიდი? მიზეზი მხოლოდ ერთია. არ ვიცნობთ ჩვენს ხალხს, სამშობლოს, არ გვყავს სამშობლოს მცოდნე პუბლიცისტი მწერლები, არა გვყავს სამშობლოს ჭირ-ვარამის და ვითარების მცოდნე საზოგადო მოღვაწეები. ძნელი წარმოსადგენია, რომ ვინმემ ქვეყანას სარგებლობა მოუტანოს, საზოგადო საქმისათვის ნაყოფიერად იზრუნოს, თუ კი მან ქვეყნის და საზოგადოების ჭირ-ვარამი და მოთხოვნილება არ იცის.

ეს ჭეშმარიტება დიდი ხანია შეგნებული აქვთ მოწინავე ერებს. ისინი ჯგუფ-ჯგუფათ, პატარა ფუთა აკიდებული, ჯოხით ხელში დაიარებიან ქვეითად თავიანთ ქვეყანაში, ათვალიერებენ ყველაფერს, რაც ყურადღების ღირსია, უკვირდებიან ხალხის ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებას, საჭიროებას და სხვა. ჩვენ კი? თვითეული ჩვენთაგანი, ვიტყვით ს. მესხის სიტყვით, „იმ სოფლის, იმ ქალაქის ცხოვრებასაც კარგად ვერ ვიცნობთ, სადაც დავბადებულვართ და გავზრდილვართ, თითქო ჩვენი ღირსების დამამცირებელ და უსარგებლო საქმედ მიგვაჩნია ჩვენი მდაბიო ხალხში ცხოვრება, მისი საჭიროების გა-

გება, იმის მოთხოვნილების შეტყობა“ (ს. მესხი წერილები, გვ. 281).

რაც ს. მესხმა ამ ოცდა თუთხმეტ წლის წინედ სთქვა, ესევე თითქმის უცვლელად შეიძლება გამეორდეს დღეს, მხოლოდ იმ განსხვავებით კი, რომ როდესაც ვიღაცა უცხოელს უამბნია მესხისთვის **დალაგებით** ქართველ ხალხის ცხოვრებაზე, ბუნებაზე, ადგილების მდებარეობაზე, მას თურმე შერცხვა, რომ ვიღაც უცხო კაცმა უფრო კარგად იცოდა მისი სამშობლოს ვითარება,—ჩვენ კი ეს „სირცხვილიც“ დავკარგეთ.

დროა ამ დიდ მნიშვნელოვან საკითხს ჩაუკვირდეთ!

იპ. ვართაგავა

სწავლა-აღზრდის საქმე საქართველოში

ძველ დროიდან (IV ს.) მ-XVIII საუკუნის დასასრულამდი. *)

II

სკოლები საქართველოში X—XIII საუკუნოებში და არაბთა გავლენა.

(დასასრული)

როგორც ზევით შევნიშნეთ, საქართველოს „დიდ სკოლებში“ ასწავლიდნენ კიდევ ხელობას (τέχνη), ლოდიკას [1]), იურისპრუდენციას [2]).

[1]) აქვე საყურადღებოა შევნიშნოთ, რომ ჩვენიანებს პსიხოლოგიიდანაც ჰქონიათ ამ ხანაში შემეცნება (თუმცა, უნდა შევნიშნოთ, პსიხოლოგიას მაშინ არ ჰქონდა ცალკე სპეციალობის ხასიათი, როგორც ახლა; პსიხოლოგია, როგორც ცალკე სამეცნიერო დისციპლინა, გამოეყო ფილოსოფიას შემდეგში). როგორც პსიხოლოგზე ჩვენ შეგვიძლია ვუჩვენოთ შოთა რუსთაველზე. თავის უკვდავ „ვეფხ.-ტყ.“-ში ის უჩვენებს ორს მხარეს ადამიანის სულისას: ჭკუას (გონებას) და ნებას. რაც შეეხება მესამეს—გრძნობა-გრძნობიერობას—შოთა მას არ იხსენიებს. არისტოტელიც, და საზოგადოდ ყველა მეცნიერები მე-XVIII საუკუნემდი, ამ ნაირი შეხედულობის იყვნენ ადამიანის ბუნების პსიხიურ მხარეზე. გრძნობას ისინი მიაკუთვნებენ ან გონებას და ნებას და ადამიანის სულის ცალკე მხარედ არ თვლიან. მხოლოდ მე-XVIII საუკუნიდან რუსსო-ზულცერ-კესტნერ-კანტის ზედგავლენით გრძნობა აღიარებულ იქმნა მესამე მხარედ ადამიანის სულისა—„მან მისთა ხელოვნებიდან მეტ ადუვავებაში იყო ხელოთმოძღვრება და მისი ცალკე სტილიც კი შემუშავდა ჩვენში. ეგრედ წოდებულ „ქართულ არხიტექტურულ სტილის“ კუთვნილებას შეადგენს ზონრებისა, მოსავლებისა და ზოლების ხალართულობა. „ქართული არხიტექტურული სტილიო,—სწერს აკადემიკოსი ნ. ბ. კონდაკოვი,—დიდად თავისებურია და მდიდარია. მარტო ირლანდიის არხიტექტურული სამკაული ემსგავსება ქართულს, მაგრამ ქართული მასაც სჯარბობს: აქ მისი იერი უფრო სწორეა, ნახატი სამკაულისა უფრო ცხადია, დანიშნულება და აზრი ნახატისა ყოველთვის

[2]) ამას მოწმობს ამ საუკუნიდან დარჩენილი იურიდიული ნაშთები. იხ. აგრეთვე ი. ჯავახიშვილის „საქ. მეფე და მისი უფლ. ისტ.“ გვ. 35.

მეგრელთა წაუღის გული, გონება და სული“—სწერს თინათინის შესახებ შოთა. „გული, ცნობა და გონება ერთმანერთზედან ჰკიდიან“—ეუბნება ეშხით მთვრალი ავთანდილი ასმათს. (იხ. „ვეფხ. ტყ.“ გვ. 6, ტ. 2; გვ. 126, ტ. I; გვ. 47, ტ. 2).

შესაფერია მიზნისა და არას დროს არ ემორჩილება ოცნების თვითნებობასა და ფერადთა ცვალებადობას. ქართული სტილი ბრძნული გონიერების ნაშთიაო". [1]) უძველესი ქართული ტაძრები: ჯვარ-პატიოსნისა, ატენის, მარტვილის, ქუთაისის (ბაგრატისა), სოფრის, გელათის... ქართველ ხუროთ-მოძღვრებისგან აშენებულნი, ნათლად მოწმობენ, რომ ხუროთ-მოძღვრება დიდ განვითარებაში იყო საქართველოში და მასზე შესაფერი უურადღება იყო მიქცეული ჩვენებურ „სკოლებშიც".

კერძოდ ბაგრატის და სოფრის ტაძრების არხიტექტურულ სტილს და ქანდაკებას (ეს ტაძრები მეათე საუკ. არიან აშენებულნი) ცნობილი ევრანგი მოგზაური დიუბუა—და სხვებიც—ხელოვნების სამაგალითო ნაშთად სთვლიან [2]).

ხუროთ-მოძღვრების გარდა ხელოვნების სხვა დარგსაც აქცევდნენ ჩვენებურ სკოლებში—უფრო კი დაბალში—უურადღებას, ამ მხრით ფრიად ძვირფასს ცნობებს იძლევა საეკლესიო მუზეუმში, თბილისში, დაცული ტუალეტის ხელთნაწერი (ბარაკლიტონი) მე-XIV საუკუნიდან. ამ ხელთნაწერის მიხედვით ჩვენში კიდევ შემდეგ ხელობას სწავლობდენ: მწიგნობრობას, ხუცურის წერას, ეტრატის შექმნას, წიგნის შეკვრას, მხატვრობას (სწორედ ხატის წერასაც), მკერვლობას, ტუალეტის კერვას, ხუროვნობას, ჭონობას, მაზმანობას [3]), კალატოზობას დ... „ოოველსავე სოფლიოჲსა მუშაობას" [4]).

[1]) Кондаковъ—„Древняя архитект. Грузіи"—стр. 47—59; აგრეთვე მ. ჯანაშვილის—,,ისტ.'' წ. I, გვ. 366—67; „свѣд," в. III, ст р. VII—VIII съ примѣч.

[2]) Dubois—„Uoyage aütur du caucase"... t. I, p. 411—24; t. II, pp. 292—99).

[3]) მაზმანობა=ბალნის მქსოველობა (იხ. ,,ქართული ლექსიკონი საბა სულ. ორბელიანისა.—თბილ. 1884 წ. გამ. რ. ერისთავის რედაქტორობით).

ამ ნაირად X→XIII საუკ. სწავლა-განათლების საქმე საქართველოში განვითარების უმაღლეს წერტილზე იდგა და დიდად გავრცელებული იყო ევრეიის მკვიდრთა შორის. იშვიათი იყო იმისთანა ბერი (უფრო უმაღლეს წრიდან), რომელმაც წერა-კითხვა არ იცოდა, სწორედ ამ უკანასკნელ შემთხვევით აიხსნება ის მოვლენა, რომ 1103 წ. რუის-ურბნისის კრებამ დადგინა—„ეგზამენი" მოეთხოვოს ყველას სამღვდლო ხარისხის მაძიებელსო. „კათალიკოსისა და ეპისკოპოსთაგან ხორეპისკოპოსი სჯულისა და საღვთოთა წიგნთა მეცნიერნი გამოირჩეოდნენ"—ვკითხულობთ „ძეგლის-წერის" მერვე მუხლში (§ 8) [5]).

ქართულ სკოლებში, უფრო კი საზღვარგარეთ, სწავლა-აღზრდის საქმე ისე კარგად ეოფილა მოწესრიგებული, რომ იქ მეფის შვილებსაც უსწავლიათ. საბერძნეთის იმპერატორს ბასილის (IX ს.) თავისი შვილები ლეონ და ალექსანდრე ქართველთ ჭრომანის მონასტერში (კონსტანტინოპოლის მახლობლად)

[4]) იხ. „Опис. рукоп. церк. музея"—Жорданія. кн. II, стр. 92 (№ рукоп. 575). ნამდვილია, ეს მოწმობა ეკუთვნის მე-XIV საუკ., მარა ადრედაც გადიოდნენ ამ ხელობებს ჩვენებურ სკოლებში (იხ. თავი I.) იხ. აგრეთვე ტიმოთეს ,,მოხილუა წმიდათა და სხუათა აღმოსავლეთისათა ადგილთა''... გვ. 43—44. (აქ ჭონობა-მაზმანობის სწავლებაზეა XVI—XVIII ს. ,,აღმოსავლეთის'' სკოლებში, მარა ამ ხელობებს—უეჭველია—წინედაც ასწავლიდნენ ჩვენში).

[5]) იხ. ,,ქრონ.'' წ. II, გვ. 64. ,,მეცნიერის'' ქვეშ აქ იგულისხმება ის, ვინც განსწავლულია საღმრთო წერილში და შეუძლია პოლემიკა სომხებ-ნესტორიანებთან და საზოგადოდ მწვალებლებთან (იხილე § 8 სხვა §§-თან კონტექსტში); ამ ნაირივე იყვნენ დადგენილებანი არტანუჯის (ბაგრატ III დროს) და ბაგრატ IV დროის (XI ს.) კრებებისა (იხ. А. Хахановъ—,,Оч.'' в. II, стр. 80, 338—9; დ. ბაქრაძე ,,ისტ.''; ,,ქრონ.'' წ. I, გვ. 125—8; ,,ქარ. ცხ.'' წ. II, გვ. 375—82).

მიუუვანია, მიუბარებია იქაურ სამონასტრო სკოლის მასწავლებელ-მამათათვის და შემდეგი ლაუვლებია: „ლოცვა ყავთ ამათთვის, წმიდანო მამანო, და ასწავეთ წიგნი და ენაჲ თქუენი, რათა იუვნენ ეგე შვილნი ლოცვისა თქუენისანი“-ო [1]).

სწავლა-განათლების ხშირი გავრცელებით და აგრეთვე ქართველთა მიერ მისი სარგებლობის შეგნებით აიხსნება ის მოვლენაც, რომ საქართველოში მე-XII საუკ. დასაწყისს მთელის სამეფოს სახალხო განათლების და სწავლა-აღზრდის საქმე ჩაბარდება ცალკე პირს, რომელიც იწოდება მწიგნობართ-უხუცესად და რომლის თანამდებობას ასრულებს ჭყონდიდის მთავარ-ეპისკოპოსი. ვრცელი ცნობები მისი უფლების ფუნქციებზე ჩვენამდი არ დარჩენილა, მაგრამ — უნდა ვიფიქროთ (ზოგიერთ სიბუთების მიხედვით) — რომ ის მეფესთან ერთად იყო უმთავრესი პატრონი (Patronus) და მეთვალყურე სწავლა-განათლების საქმეში ჩვენში [2]). პროვინციალურ სკოლებს მწიგნობართ-უხუცესი-ჭყონდიდელი განაგებდა ეპისკოპოსთა შეშწეობით, რომლებიც ვალდებული იუვნენ „ანგარიში წარედგინათ“ მისთვის, როგორც „სახალხო“ განათლების კანონიერ თავისთვის სამეფოში [3]).

მწიგნობართ-უხუცესაც დავით-თამარის დროს იუვნენ ჭყონდიდელები: გიორგი, სვიმონ. ანტონი.

მათ შესახებ „ქარ. ცხ.“-ი ვკითხულობთ: ...„და იყო გიორგი ჭყონდიდელი, მწიგნობართ-უხუცესი, სრული ყოველითა სიკეთითა, სულისა და ხორცისასა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა, განმზრახი, სვიანი, ფრთხილი, თანა-აღზრდილი პატრონთა, და თანა-განკაფული ყოველთა გზათა“ [4])

ხოლო სვიმონ იყო „მიმსგავსებული გიორგი, დედის ძმისა თვისისა, კაცი ყოველითურთ სრული და ბრძენი“. [5]).

ანტონზე კი სწერია შემდეგი: ... „იყო იგი კაცი დირსი ქებისა, მართალი, წრფელი, უმანკო, სახიერი, მოწყალე, ყოველთა ტკბილი, მდაბალი, პატრონის ერთგული და შემეცნებული საურავთა ეკკლესიათა და მონასტერთა-თვის,... ვითარცა მის მიერ მდვიმესა და კლარჯეთს მონასტერნი ქმნილან“ [6]).

დავით-თამარის მეფობის დროს ჭყონდიდლები მეფის შვილების აღმზრდელებიც იუვნენ, რომელთაც სიღმრთო წერილს და ზნეობას ასწავლიდნენ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ხანაში მე-

[1]) იხ. „ათონ. ივერ. მონასტ. 1074 წ. ხელთნ.“ გვ. 102,

[2]) პირველად ჭყონდიდელს მწიგნობართ—უხუცესობა ჩაბარდა დავით აღმაშენებლის დროს. არც ვახუშტი, არც ვახტანგის სჯულის წიგნი და დასტურლამალი საქართველოს სამეფოს ხელის-უფალთა რიცხვში არ იხსენიებენ მწიგნობართ-უხუცესს, როგორც ცალკე მოხელეს. მისი თანამდებობა მუდამ თან შეკავშირებულია ჭყონდიდლის თანამდებობასთან და მასთან ერთად (მისი ფუნქციების განმარტების დროს) იხსენიება.

ჩვენ მზადა გვაქვს ცალკე შრომა მწიგნობართ-უხუცესის პირველად მოვლენის და მისი მოვალეობის შესახებ და ვფიქრობთ ახლო მომავალში გამოვაქვეყნოთ.

[3]) მეექვსე მსოფლიო კრებამ (680—692 წ.) პირდაპირ **დაავალა** (§§ 19 და 64) ეპისკოპოსებს სწავლა-განათლების გავრცელება თავიანთ სამწყსოში უფასოთ.

[4]) წ. II, გვ. 358.

[5]) წ. II, გვ. 366.

[6]) ibid.. გვ. 426, 409—10. ამ ანტონის სიკვდილის შემდეგ ახალ ჭყონდიდლის დანიშვნამდი მის თანამდებობას ასრულებდა კათალიკოზი მიქელ („ქართ. ცხ.“ წ. II, გვ. 425) და ეს ჩვეულებად იყო ჩვენში—როდესაც ჭყონდიდელი არ იქნებოდა სამეფოში ან და გარდაიცვლებოდა დროებით მის უწყების საქმეებს მართავდა კათალიკოს-პატრიარხი ივერიისა.

ფის შვილების მასწავლებელს საერო-სამხედრო საგნებში პირველად მიეწერება სახელწოდება ათაბაგი.

პირველად სიტყვა ათაბაგი ჩვენ მატიანებში იხმარება თამარ მეფის დროს და, როგორც სენ-მარტენი შენიშნავს, „ქართველთ მეფეთ იგი სელჯუკების სულთანთა მიბაძვით შეუთვისებიათ“ [1]).

ათაბაგი (ათაბეგი) სპარსული სიტყვაა და თარგმანებით ნიშნავს „მამა-პატრონს“, ე. ი. მზრდელს სახელმწიფოს პატრონისა უმაწვილობის დროს (ატა=გამზრდელი და ბეგი=ბატონი, მთავარი [2]).

ათაბაგად ირჩეოდა ერთი ცნობილი სპასპეტთაგანი (სპასალართაგანი — და თითქმის ყოველთვის ამირ-სპასალარი=სამხედრო „მინისტრი“), რომელიც არჩევის დღიდან მეფის სასახლეში სცხოვრობდა და გარდა მეფის შვილების აღზრდისა, ჯუონდიდელთან ერთად ის მეფის მთავარ ვეზირად და მრჩეველად (უფრო სამხედრო საქმეებში) ითვლებოდა. ...„და იყო ათაბაგობა,—შენიშნავს „ქართ. ცხ.“ (წ. II, 394), — უმეტეს სხვათა ერისთავთა განდიდებული; ესე იყო ვაზირი კარსა მეფისასა“.

იყო ხშირად იმისთანა შემთხვევებიც, რომ მეფის მემკვიდრენი იზრდებოდნენ ათაბაგის ხელმძღვანელობით ათაბაგისვე სახლში (ibid. გვ. 467—8).

ვახუშტის სიტყვით „ათაბაგობის შესძინების შემდეგ არღარა იწოდებოდა სპასალარი სპასალარად, არამედ ათაბაგად“, და ეს იმიტომ რომ ათაბაგობა სპასალარზე უმაღლეს დირსებად ითვლებოდა და სპასალარი, რომელიც ათაბაგად მოუვებოდა, სხვა სპასპეტ-სპასალრების წინ იდგა და მეტი უპირატესობა და პატივი ჰქონდა. „და იქმნა ავაგ (ივანე მხარგრძელის) (ზაქარია მხარგრძელის შემდეგ ამირ-სპასალარი) მემკვიდრე სამსახურში),— ვკითხულობთ „ქარ. ცხ.“. (წ. II, გვ. 511—512) ამირ-სპასალარობისაგან ათაბაგ და პატივი დიდი მიეცა მას“ (ibid. გვ. 483—84 [3]).

ათაბაგი—ეს ისევ ის მე-XII საუკუნემდი ცნობილი „ოსტატია“ ამ უკანასკნელის ფუნქციებით და მოვალეობით. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ოსტატად საქართველოში იწოდებოდა როგორც მეფის, ისე სხვების (დაბალ წოდებიდანაც) შვილების აღმზრდელი, სახელწოდება ათაბაგი კი დაენათლება მე-XII საუკუნიდან მარტოოდენ მეფის შვილების აღმზრდელს [4]).

რაც შეეხება სასკოლო ცხოვრების დანარჩენ მხარეებს—საჭირო ასაკს ბავშვთა სკო-

---

[1]) იხ. Saint—Martin Antoine jean.—Memoires historique A géogr. sur l' Arménie“.—t. I, p, 251; აგრეთვე „ქარ. ცხ.“ წ. II, 484).

[2]) ვახუშტი—„ისტ.“ გვ. 12. შენიშ. სხოლიაში დ. ბაქრაძისა.

[3]) სპასალარი საქართველოში მე-XI საუკუნიდან რამოდენიმე იყო. თვითოეულ სამთავროში ცალკე სპასალარი ინიშნებოდა (როგორც ახლა ცალკე ოლქების ჯარების უფროსი=начальникъ отдѣльныхъ военныхъ округовъ). სპასალარებზე და საზოგადოდ ჯარების უფროსად მთელს სამეფოში ამირ-სპასალარი ითვლებოდა. ამირ-სპასალარი ესე იგივე სამხედრო მინისტრია თანამედროვე ტერმინოლოგიით.

რომ სპასალარები რამოდენიმე იყო და ამირ-სპასალარი კი ერთი-ეს სჩანს ჩვენი მატიანის „ქარ. ცხ.“-დან ამირ-სპასალარი მხოლოობით რიცხვზე იხმარება მხოლოდ, სპასალარი კი ხშირად მრავლობით რიცხვშიაც.

[4]) თუ როგორ ათაბაგობა თანდათან სახელისუფლო თანამდებობად გადაიქცა და საშვილიშვილოდ (მემკვიდრეობით) სამცხის მთავრებს მიენიჭათ (გიორგი ბრწყინვალეს დროს) იხილე ამის შესახებ მშვენიერი გამოკვლევა ნ. ურბნელისა: „ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი“ თბილ. 1892 წ. (თუმცა ბ-ნ ურბნელის ყველა დებულებას ჩვენ არ ვეთანხმებით). იხ. აგრეთვე ვახუშტი „ისტ.“ გვ. 9, შენიშ. I დ. ბაქრაძისა.

ლაში შესასვლელად, დედათა აღზრდის საქმეს, ზნეობრივ-ფიზიკურ აღზრდა-განვითარებას და სხვა—საქართველო X—XIII საუკუნოებში წარმოადგენს ჰირველ ხანის (IV—X ს.) მაგალითების განმეორებას. როგორც მე-X საუკუნემდი—XI—XII საუკუნოებშიაც მოწაფეთა საკირო ასაკი სკოლაში შესასვლელად განისაზღვრებოდა 6=8 წლით, [1]) თუმცა ხშირად უფრო ხნიერიც მოუყვანთ [2]).

ქალთა განათლებაზედაც იყო მიქცეული შესაფერი ყურადღება. გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრებიდან“ ვტყობილობთ, რომ თეკლა, გიორგის (მთაწმინდელის) და შვიდის წლის „მისცეს“ ტაძრისის (სამცხეში) დედათა მონასტერში წინამძღვარს საბიანას აღსაზრდელად. „და მან დედაკაცმან დირსმან და წმიდამან, ვითარცა შვილი თვისი, კეთილად აღზარდა იგი“ [3]). შემდეგ გიორგიმ, სანამ ხახულს წავიდოდა და იქაურ სამონასტრო სკოლაში შევიდოდა, ჰირველ-დაწყებითი აღზრდა მიიღო თეკლესგან ტაძრისის მონასტერშივე.

ჰროფ. ს. ცაგარლის სიტყვით ქართველებს ამ ხანაში საზღვარ-გარედაც ჰქონიათ დედათა მონასტერი, სადაც თურმე დიდძალი წიგნები ითარგმნებოდა და იწერებოდა [4]).

სწავლა-განათლების ასპარეზზე ამ ხანაში უმოდვაწნიათ კიდევ გიორგი მთაწმინდელის დედს მარიამს და ბაგრატ მეფის ასულს მართას [5]).

---

[1]) გიორგი მთაწმ. 7 წლის მიაბარეს სამონასტრო სკოლაში, აგრეთვე მისი და თეკლაც. ესევე ვიცით წმ. ევთიმეს ცხოვრებიდან (იხ. „ათონ. ივერ. მონასტ. 1074 წ. ხელთნ.“ გვ. 286, 287).

[2]) ამ. შემთხვევამი ასაკის გამოჰხატველ ტერმინად იხმარებოდა სიტყვა „**უფროული**“. („ათონ. ივერ. 1074 წ. ხელთნ.“ გვ. 48).

[3]) „ათონ. ივერ. მონასტ. 1074 წ. ხელთნაწ.“ გვ. 286—87.

[4]) „Палест. сборн.“ т. IV. в. I. стр. 48, 125, 170.

[5]) მართას შესახებ გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში სწერია: „არა უდარეს იყო ღირსი ესე დედაკაცი ღუთის მსახურებით ძმასა თვისსა ნეტარისა ბასილისა“ (ეს ბასილი—ბაგრატ III-ს ძე—ბერად აღკვეცილი მოღვაწეობდა ხახულის ლავრაში) იხ. „ათონ. ივერ. მონასტ. 1074 წ. ხელთნაწ.“ გვ. 290, 306, 330, 285).

[6]) იხ. „სჯულის წიგნი ვახტ. VI“ § 303 (ტგ) (კანონი სომხური); რუსულად (სენატის თარგმანში) ეს მუხლი ნაჩვენებია § 304. აღნიშნული მუხლი მოვიყვანეთ ჩვენ არა სიტყვა—სიტყვით, არამედ თავისუფლად ვარდმოვეცით.

[7]) იხ. Παπαρρηγόπουλο—„Ἱστορία τοῦ ἑλληνικοῦ ἔθνους“—т. IV (სულ ხუთი ტომია); „ათონ. ივერ. მონ. 1074 წ. ხელთნ.“ გვ. 315 (აქ (გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრებაში“) ნაჩვენებია თეოფილე ქართველი, ტარსუს მიტროპოლიტად ნამყოფი); იხ. აგრეთვე მ. ჯანაშვილის: „карт.—цховреба—жизнь грузіи“—стр. 26 (отдѣльн. оттискъ изъ XXXV вып. „сборн. матер. для описанія мѣстн. и плем. кавк.“) тифл. 1905 г. იქ საზღვარ-გარედ (სა-

საზღვარ გარედ მეზობელი ისინი თავიანთ სამშობლოს არ ივიწყებდნენ; მშობელი მხარის სიყვარულის ნაპერწკალი მუდამ ჟამს ღვიძდა მათ გულში და თავ-გამოდებით ზრუნავდენ სამშობლოს კეთილდღეობისათვის და მისი კულტურის აღუვავება-აღორძინების საქმეში [1]).

ბერძნეთში) მოსამსახურე ქართველების მთელი წყებაა მოყვანილი.

[1]) აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ქართულ საზღვარ-გარეთელ სკოლებში სწავლება სწარმოებდა (,,გარდაცემის'' ენად იყო) ქართულ ენაზე და ქართულ ენის ცოდნა იქ პირველ რიგზე იყო დაყენებული. ამის შესახებ აი რას ვკითხულობთ წმ. იოანე—ევთიმეს ,,ცხოვრება''-ში: ,,მამამან

მაშინდელი სწავლული ქართველობა მარტოოდენ ფილოსოფიურს სპეკულიაციებში და თეორეტიულს სჯა-ბაასში კი არ ერთობოდა, არამედ პრაქტიკულადაც მოქმედებდა და მოქმედებდა საზრიანად, წინდახედულად და რაციონალურად. დეკეზი Sapere et fari ძველ ქართველებს.

სამ. ცომაია.

იოანემ შვილი თვისი ევთიმეს **პირველად** ქართული სწავლაჲ ასწავა და მერმე ბერძნულად გაასწავა ყოვლითავე სწავლულებითა'' ესევე ვიცით სხვა ამ ხანის საზღვარ-გარეთელ მოღვაწეთა ,,ცხოვრებიდანაც'' (იხ. ,,ათონ. ივერ. მონ. 1074 წ. ხელთნ.=25 გვ.).

ბუნების შესწავლა სახალხო სკოლებში

მგონია არავისთვის არ უნდა იყოს საეჭვო, რომ ბუნების შესწავლას და იმის დაკვირვებით გაცნობას, რაც ბავშვის გარშემოა და რაც ხდება მის თვალწინ, დიდი მნიშვნელობა აქვს მოწაფის გონების განვითარებისათვის. ამის წინააღმდეგი არ იქნება არა თუ არც ერთი პედაგოგი, არამედ არც ერთი გონიერი ადამიანი. ჩვენმა მხცოვანმა პედაგოგმა ტყუილად არ დაარქვა თავისს ერთს საუკეთესო სახელმძღვანელოს „ბუნების კარი". თუ ბავშვმა არ იცის, რაც მის გარშემოა, რაც ბუნებაში არის და რაც ხდება, არ ესმის და ვერ აუხსნია ბუნების სხვა და სხვა მოვლენანი, იგი ყოველ განვითარებას მოკლებულია. მაგრამ არც ჩვენში და არც რუსეთში ბუნების მეტყველების შეწავლას სახალხო სკოლებში დღემდის საკმაო ყურადღებას არ აქცევდნენ. თითქმის ის მცირეოდენი ცოდნა, რასაც იძლეოდა საკითხავი მასალა განმარტებითი კითხვის გაკვეთილებზე, ბევრისაგან უყურადღებოდ რჩებოდა. ბევრგან ჩვენს სკოლებში სასაუბრო მასალას უყურადღებოდ სტოვებდენ; დაკვირვებითი სწავლების გაკვეთილები, როგორც ცალკე საგნისა, სრულიად განდევნილი იქმნა სკოლებიდან, რამაც, რასაკვირველია, ხელი შეუწყო სკოლის ჩამოქვეითებას. გერმანიაშიაც წარსულ საუკუნის დასაწყისში ბუნების მეტყველებას დასაწყისს სკოლებში მცირე ადგილი ეჭირა „სასარგებლო ცოდნათა" შორის, მხოლოდ პესტალოცის იდეების გავლენით და ლიუბეკის მეცადინეობით ბუნების მეტყველებამ გერმანიის სკოლებში დამოუკიდებელი განვითარება მიიღო. ჩვენშიაც აუცილებლად საჭიროა, რომ მასწავლებლებმა მიაქციონ სერიოზული ყურადღება სკოლის მოწაფეთა სწორ სოფლმეურნეობის განვითარებას. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს სხვა და სხვა მხრით. ერთი რომ ამ მხრით ბოლო მოეღება იმ აუარებელ ცრუმორწმუნოებას,

რომელსაც ჯერ კიდევ ადგილი აქვს ჩვენი ხალხის ცხოვრებაში და რომლის ნიმუშებიც ამავე ნომერში იბეჭდება აფხაზეთ-სამეგრელოდან მოწერილ ამბებში; კერძოთ მაგალითად ცოდნა ადამიანის სხეულის აგებულობისა, სხეულის სხვა და სხვა ორგანოების დანიშნულებისა და სხვათა ხელს შეუწყობს სოფლებში ჰიგიენიური წესების დაცვას, ექიმებისადმი რწმენით აღჭურვას, მკითხავებზე გულის აყრას და უმეცარი საშვალებით ბრძოლას სხვა და სხვა სნეულებასთან. წესიერ სოფლ-მჭერმეტყველობას მნიშვნელობა აქვს პროფესიონალურ მოქმედებაშიაც, როცა კაცი კრიტიკულად აფასებს წარმოების ამა თუ იმ წესს და არ რჩება ძველებურ დახავსებული წესების ანაბარად. მაგრამ ბუნების მეტყველების შესწავლას უფრო დიდი აღმზრდელობითი დანიშნულება აქვს, ადამიანს იგი გონებრივად უფრო თავისუფლად და დამოუკიდებლად ხდის, უნერგავს თავისი თავისადმი პატივისცემას და მეტს რწმენას თავისი ძალებისადმი. მართალია ჩვენ ამ მხრითაც არ გვყავს საკმარისად მომზადებული მასწავლებლები, მაგრამ ეს გარემოება გვეუბნება იმას, რომ მასწავლებლებმა განსაკუთრებითი ყურადღება უნდა მიაქცეონ თავიანთ მოქმედებას. სრულიად საჭირო არ არის ჩაუნერგოთ მოწაფეებს ცრუ წარმოდგენილებანი მასწავლებელზე, როგორც ყველაფრის მცოდნე ადამიანზე. ამ გვარი „პრესტიჟი" ყოველ შემთხვევაში მავნებელია. პირიქით, ჩვენ გვგონია, მასწავლებლებისა და მოწაფეთა მიერ ჯრთად შეცსწავლა ამა თუ იმ ფაქტებისა, რომელიც საფუძვლად ედება ბუნებისა და ადამიანის ცხოვრების შესწავლას, ხელს უწყობს ფრიად სასურველს ამხანაგურ დამოკიდებულებას მასწავლებლისა და მოწაფეთა შორის, რასაკვირველია მასწავლებელი საზოგადო საერთო მუშაობაში, აქაც უმთავრესი ხელმძღვანელი იქნება. თვალსაჩინობა, რაც აუცილებლად საჭიროა მრავალი საგნების შესასწავლად, გამოიწვევს ექსკურსიებს ბოტანიკურის, ზოოლოგიურის მიზნით, შეერთებულის ძალით სკოლისათვის საჭირო თვალსაჩინო კოლლექციების მოგროვებას, სკოლის მუზეუმის მოწყობას და სხ. ეს ერთის მხრით დაახლოვებს ერთმანეთთან მასწავლებელს და მოწაფეებს, და მეორე მხრით ამას, როგორც აღზრდის საშვალებას, კეთილი გავლენა ექნება მოწაფეებზედაც.

მასწავლებლისათვის მეტად საჭიროა იცოდეს თუ რა ცოდნა აქვთ მოწაფეებს ქვეყნიერების შესახებ სკოლაში შემოსვლის დროს, ე. ი. რა გვარი ცნებები და წარმოდგენილებანი შეუძენიათ ბავშვებს დაბადებიდან სკოლაში მიბარებამდის. ამ მხრით ის ცნობები, რასაც გვაძლევს „ექსპერიმენტალური პედაგოგია" მეიმანისა, საყურადღებოა, თუ მას ფრთხილად გასინჯავს მკითხველი, კრიტიკულად ასწონ-დასწონის და მიაქცევს ყურადღებას იმას, თუ რა უფრო გამოსაყენებელია პრაქტიკულად და რა არა. ამ შემთხვევაში მასწავლებლის მიზანს მეიმანი ასე განსაზღვრავს: „მასწავლებელი ამ მხრით გაიცნობს საითკენ არის მიმართული ბავშვების მეტი ინტერესები, რამდენად ნიშანდობლივია მათი შთაბეჭდილებანი და წარმოდგენილებანი, რაც მეხსიერებაში შეუნახავთ, რამდენად მკვიდრია ბავშვების მიერ მოგონება, აღწერა და დაკვირვება წინად ნანახის ნივთების და პროცესებისადმი, რამდენად აქვთ განვითარებული ლექსიკონი და სიტყვის საქცევი, რამდენად წესიერად ასახელებენ ნივთებს,

როგორია ის საზოგადო დარგი მონათესავე ცნებათა, რომელთაც უერთდება ახალ შთაბეჭდილებათა შინაარსი და სხ.“ (გვ. 119 თარგმ. ვინოგრადოვის რედაქციით). იმ დასკვნათა შორის, რაც შეიმუშავეს დღემდის სხვა და სხვა ექსპერიმენტატორებმა, მოვიყვანთ შემდეგს: „ბავშვის გონებაში ცხადი, ნახევრად ცხადი და სრულიად შეუგნებელ წარმოდგენილებათა ხაოტიური არეულებაა გამეფებული, ეს წარმოდგენილებანი ეხებიან, როგორც ბავშვის გარშემო არსებულს საგნებს და მორთულობას, აგრეთვე მისს საკუთარ პიროვნებას და ყველას, რაც არ შედის ბავშვის დამოუკიდებელი ცდის ფარგალში. ჩვენ ვიცით ბავშვების წარმოდგენილებათა გამოკვლევიდან, რომ 6—7 წლის ბავშვი ყველგან თავის ნებაზეა მიშვებული, თავისი ფანტაზიის წყალობით იგი ჰქმნის თავისს საკუთარ ქვეყანას. ყველაფერზე, რაც კი მოზრდილებს მისთვის არ აუხსნია, ბავშვი ადგენს თავისთვის საკუთარ შემწეობითს და სამაგიერო წარმოდგენილებათა“ (გვ. 120)... „როცა ბავშვი ხმარობს ამა თუ იმ სიტყვას, მას ან არ აქვს სწორი წარმოდგენილებანი, ან შეადგენს თავისთვის ამ წარმოდგენილებას მხოლოდ იმ წუთში, როცა მას ეკითხებიან. ბავშვები ხშირად წარმოსთქვამენ სიტყვებს, რომელთაც არავითარ განსაზღვრულ მნიშვნელობას არ აძლევენ და ეს ჩვენ საზოგადოთ იმას გვიჩვენებს, რომ ბავშვი არა თუ ამსგავსებს ერთმანეთს აუარებელ შეუმუშავებელ შთაბეჭდილებას, არამედ სჭრის ისეთის სიტყვებით, რომელთა პირდაპირი მნიშვნელობა არ ესმის და რომელთაც თავის საკუთარ მნიშვნელობას აძლევს“. (გვ. 130) „რაც შეეხება დაკვირვებას ბუნების წიაღში, აქ ბავშვისთვის ნაცნობი ხდება ყველა ის, რითაც დაინტერესებულია, და თუ რამე ბავშვისთვის საინტერესო არ არის, ის შეუძლია მან ასჯერ და ათასჯერაც ნახოს, მაგრამ მაინც არ გახდება მისი სულიერ სამკვიდროდ“ (გვ. 137) სხვა და სხვა ბავშვების შედარებითი ცდიდან აღმოჩნდა, რომ „დიდი ქალაქის პირობები განსაკუთრებით არა სეკეთილოდ მოქმედებენ უსაჭიროეს შეხედულობათა შეძენაზე“... „ბუნების ცოდნაში ქალაქელი ბავშვები სოფლელ ბავშვებზე სუსტები არიან“... „სოფლელი ბავშვების მიერ ცნობილი ნივთების ფარგალიც უფრო ფართეა და თვით დაკვირვებანიც უფრო ნიშანდობლივია“. ზოგ გამოკვლევაში აღნიშნულია განსხვავება ვაჟებისა და ქალების შორის. საზოგადოთ ზოგიერთ ცნებებში ქალები ნაკლებ ცოდნას იჩენდნენ, მაგრამ ზოგ კერძო კითხვებზე უპირატესობა ეტყობოდათ; მაგ. მათ უკეთ იციან შინაური და ოჯახის ცხოვრება, ზოგი მოვლენა ამიდის შესახებ; მათ მეტი აქვთ რელიგიოზური წარმოდგენილებანი; პირიქით ნაკლები ცოდნა აქვთ გარშემო ადგილებისა. ცნებები სოციალურ და სივრცეთა დამოკიდებულების შესახებ თითქოს ქალებმა უკეთ იცოდნენ, რიცხვითი ცნებები—ვაჟებმა. საყურადღებო დაკვირვებაა, რომ თავშესაფარში მყოფ ბავშვებს მეტი ცხადი წარმოდგენილება ჰქონდათ, ვიდრე იმ ბავშვებს, რომლებიც ოჯახებში იზრდებიან; ორთავეს კი სჯობნიდნენ საბავშვო ბაღში მოსიარულე ბავშვები. თუმცალა ეს ცნობები სრული არ არის და ზოგჯერ არც სრულიად სარწმუნო, მაგრამ მაინც შეიძლება დაიდვეს საფუძვლად მასწავლებლის მოქმედებისათვის, რომელმაც უნდა გაიცნოს ბავშვის ცნებათა ფარგალი. სჩანს რომ ეს გაცნობა არც ისე

ადვილი საქმეა, როგორც ერთი შეხედ-ვით ეგონება ვისმე. ბავშვების პასუხი ისე უნდა გაიგონ, როგორც საჭიროა, უკეთ რომ ვთქვათ ეს პასუხი ბავშვის ენიდან მასწავლებლის ენაზე უნდა გადაითარგმნოს, იმავე დროს ბავშვის ცნებათა და წარმოდგენილებათა ხასიათი დანამდ-ვილებით უნდა იქმნას გამორკვეული: იმათში უნდა გამოირკვეს სრულიად ცხა-დი, ნამდვილი მეცნიერული ცნებები და სხვა საოცნებო აზრები, რომელიც სრუ-ლიად არ შეეფერება სინამდვილეს. თავი-სი წარმოშობით ბავშვების ცნებები, რო-მელთაც დიდი გავლენა აქვს ხასიათზე, სხვა და სხვანაირია: ზოგი საკუთარი ცდის და დაკვირვების შედეგია; ზოგიც სხვებისაგან სიტყვიერად გადაცემულია, ზოგიც ნაყოფია ბავშვის წმინდა ფანტა-ზიისა. თუ გვინდა რომ რიგიანად დავა-ფასოთ ბავშვების პასუხის მნიშვნელობა, ყველა ამაებში საჭიროა გარკვევა. რაც შეეხება ბავშვების წარმოდგენილებათა ფარგალს, სახეში უნდა გვქონდეს, რომ ამის შესახებ ცდა იძლევა მხოლოდ სა-ზოგადო რჩევას სხვა და სხვა ბავშვებში ამ ფარგლის მოცულობისა და შინაარსის შესახებ. ეს რჩევა მეტად საჭიროა თავ-დაპირველად საქმის გამოსარკვევად, რად-განაც ამ ცოდნით მასწავლებელს შეუძ-ლია წინდაწინ დაახლოებით მაინც წარ-მოიდგინოს თუ რა სხვა და სხვა სოფლ-მეურნეობის ბავშვთან აქვს საქმე, რომელზედაც ფიქრობს იმოქმედოს. მაგ-რამ გარდა ამ საზოგადო რჩევისა საჭი-როა კიდევ სპეციალური ხასიათის კერძო ცნობებიც ბავშვების სოფლ-მეურნეო-ბის შესახებ, რამდენადაც ის გამოიხატე-ბა ადგილობრივი პირობებით და მახლო-ბელი წრის გავლენით და თითოეული ბავშვის ინდივიდუალური სხვაობით. მხო-ლოდ ამ კერძო ცნობებით, რომლის შეძენასაც უნდა მოახმაროს მასწავლე-ბელმა თავისი ცოდნა და ძალღონე, შეუძლია მას წარმატებით ისარგებლოს, რომ სახალხო სკოლის მოწაფეებში გაავითაროს ნამდვილი სოფლ-მეურ-ნეობა.

ლ. ბ—ძე.

სოციოლოგია

სოციოლოგია სულ ახალგაზდა და ნორჩი მეცნიერებაა. მისი კვლევა-ძიების აზრი, მი-მართულება ჯერ-ჯერობით მკაფიოდ გამორ-კვეული არ არის. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ბევრი ეწვის თვალით უყურებდა სოციალოგიას, როგორც მეცნიერებას. მაგ-რამ ამ უკანასკნელ 15—20 წლის განმავლო-ბაში სოციოლოგიურ კვლევა-ძიების ასპარეზ-ზედ იმდენი სახელოვანი მეცნიერი გამოვიდა, იმდენი შესანიშნავი შრომა დაგვიტოვეს იმათ, რომ დღეს საჭიროა გულდასმით შესწავლა და ჩაკვირვება ამ ნორჩ მეცნიერების მოძღვრე-ბაში.

ამ უკამად სოციოლოგებს შორის მრავალ-გვარი სკოლა და მიმართულება არსებობს; ხში-რად ესენი ერთმანეთს ეკამათებიან, სცდილო-ბენ მოწინააღმდეგის შეხედულობის დარღვევას და თავიანთის ადმატებას. ბრძოლა, შეტაკება მეცნიერების ასპარეზზედ მეტად უწყობს ხელს მეცნიერების წინმსვლელობას. სოციოლოგიუ-რი ლიტერატურა დღითი-დღე იზრდება, ფარ-თოვდება. დასავლეთ ევროპის უნივერსიტე-ტებში უველგან განსაკუთრებული ლექციები

იკითხება სოციოლოგიის მოძღვრების შესახებ. საკმაო დავასახელოთ გ. ზიმმელი, ბერლინის უნივერსიტეტში. სოციოლოგიურ ჟურნალებს, პერიოდიულ გამოცემებს ვერ დათვლით. უკვე მოქმედებს სოციოლოგიური საზოგადოებანი: „პარიზის სოციოლოგიური საზოგადოება", „საერთო შორისო სოციოლოგიუ ინსტიტუტი" და სხვ. ცხადია, გულმოდგინე, მხურვალე მუშაობა გვაუწყებს, რომ სოციოლოგია, როგორც მეცნიერება, საფუძვლიან ნიადაგზედ სდგას და მომავალში ეს ნიადაგი უფრო გაძლიერდება და გამაგრდება. მართალია სოციოლოგია ნორჩი მეცნიერებაა, მაგრამ მან უკვე შექმნა უმთავრესი საკვლევებულო ტენებანი, შეიმუშავა ვრცელი და შინაარსიანი მოძღვრება. ჩვენი მიზანია გავაცნოთ ქართველი მკითხველი თუ რას წარმოადგენს სოციოლოგია, როგორც მეცნიერება, რა მისწრაფებანი აქვს მას, რა მეცნიერულ ზომებს და საშუალებას ხმარობს თავის კვლევა-ძიებაში; ერთის სიტყვით რა სახე აქვს თანამედროვე სოციოლოგიას. ამასთან ძლიერ საჭიროა გავეცნოთ მოკლეთ მაინც სოციოლოგიის განვითარების ისტორიას, ვერ აუხვევთ გვერდს, რასაკვირველია, სხვა და სხვა გვარ მიმართულებას სოციოლოგიაში, ვინაიდგან ამათში გამოიხატება დრმა ძიება ჭეშმარიტი ნიადაგისა.

სოციოლოგიური ლიტერატურა ძლიერ რთულია, აქ ვერ შეკუდგებით მის გადათვალიერებას. ამ საგნის შესახებ მდიდარი ლიტერატურული განძი მოიპოვება დასავლეთ ევროპაში, მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ შესანიშნავი შრომები უკანასკნელი დროისა. საზოგადო ეურადღება მიიქცია გერმანიაში ახალგაზდა მეცნიერმა A. Eleuthe ropulos თავისი შრომით: „Soziologie, 2-Auflage, Jena. აქ მკითხველი იპოვნის სოციოლოგიური კითხვების ახალგადათვალიერებას და თანახმად დღევანდელი მეცნიერების მოთხოვნილებისა იმავე კითხვების დამუშავებას. დასახელებული შრომა ეურადღების დირსია განსაკუთრებული კრიტიკული შინაარსით. მეორე შრომა ეკუთვნის ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორს გ. ზიმმელს (g. Simmel—Soziologie. Untersuchungen ûebr die Formen der Yergesellschaftung, Leipzig, 1908, და 1—882). გ. ზიმმელი დრმა ფილოსოფოსია, დასახელებული შრომა წარმოადგენს შეუდარებელ დრმა აზროვან გამოკვლევას; სოციოლოგიულ ლიტერატურაში ამგვარი შრომა დაუფასებელ განძს წარმოადგენს. ეურადღების დირსია ქ. კოვალევსკის შრომაც: Соціологія, 2 т. 1909—1910 г. რაც შეიძინა ამ უკანასკნელ ხანებში სოციოლოგიურ მეცნიერებამ ეველაფერი მოხსენებული აქვს ავტორს. დასასრულ უნდა აღვნიშნოთ დე-რობერტის წიგნი— Новая программа соціологіи გამოვიდა ფრანგულ ენაზედ, არის რუსული თარგმანიც. დე-რობერტის შრომა ძლიერ საინტერესოა. ცნობილი სოციოლოგის წიგნი დირს შესანიშნავია ავტორის თავისებური და ახალი აზრებით სოციოლოგიის შესახებ.

I.

სოციოლოგიის ცნების ადგილი აზრი.

სოციოლოგიას, როგორც მეცნიერების მოძღვრებას, ვერ განმარტავთ თუ თავდაპირველად არ გავითვალისწინებთ უმთავრესს კითხვას: რა არის სოციოლოგია? ამ ცნების პირდაპირი გადაწყვეტა ძნელია, ვინაიდგან სოციოლოგები ჯერ-ჯერობით ამ საკითხებში არ შეთანხმებულან. სოციოლოგიის მამამთავრის **კონტის** აზრით სოციოლოგიის მიზანია გაითვალისწინოს საზოგადოების წეს-წყობილება და განვითარება. მაშასადამე სოციოლოგიას ორნაირი მისწრაფება აქვს, სოციოლოგია განიყოფება ორ ნაწილათ, ერთს კონტი უწოდებს—**სოციალურ-სტატიკას**, მეორეს—**სოციალურ-დინამიკას**. სოციალური სტატიკა იკვლევს საზოგადოების სახეს,

ცდილობს შეიგნოს იგი, ე. ი. რა პირობების შემწეობით არსებობს საზოგადოება, როგორც განუყოფელი მთელი. სოციალური დინამიკა კი იკვლევს საზოგადოების განვითარების წინმსვლელობის პირობებს (სტატიკა — არსებობის პირობებს). საზოგადოების ცხოვრება, საზოგადო მოვლენანი განუყენებულად რიდი არსებობენ; მაშასადამე ისინი ემორჩილებიან თავის კანონებს; ცხადია — ბოლოს სოციოლოგიამ უნდა აღმოაჩინოს საზოგადოების არსებობის და განვითარების აუცილებელი კანონები, და როგორც მალე დავინახავთ კონტმა კადმოგვცა ამ გვარი კანონები. **სპენსერის** აზრით, სოციოლოგია სცდილობს ასწერას და აღნიშნოს ის, რაც ხდება საზოგადოების არსებობაში, უნდა დაუკავშიროს წარილი და აღმოჩენილი საზოგადო მოვლენანი; დაკავშირება კი საჭიროა იმისათვის, რომ ჩვენ უნდა აღმოვაჩინოთ ის უმაღლესი ძალები, რომელთა შემწეობით სხვა და სხვა ფერი, ხშირათ განცალკევებული, თითქოს დამოუკიდებელი მოვლენანი შექმნიან ერთს მთელს, განუყოფელს; შექმნიან ერთობას — consensus. სოციოლოგი **გიდდინგსი** კი ფიქრობს, რომ სოციოლოგიამ, როგორც მეცნიერებამ სისტემატიურათ უნდა ასწეროს და შეიგნოს საზოგადოებრივი მოვლენანი, ვინაიდგან ეს მოვლენანი ხდება ერთ მთელ განუყოფელ ორგანიზმში, მაშასადამე, სოციოლოგიის დედა აზრია შეიგნოს ის საერთო, საყოველთაო მოვლენანი, რომელნიც საზოგადოების ცხოვრებაში ხდება; სოციოლოგია საზოგადო მეცნიერებაა, რომელიც კერძო მოვლენების შესწავლის შემწეობით აღმოაჩენს საერთო კანონებს საზოგადოებრივი ცხოვრებისას. **ლორია** კი იმ რწმენისაა, რომ სოციოლოგიამ უნდა გაიკვლიოს გზა საზოგადო მოვლენათა შორის. საზოგადო ცხოვრება, მართალია, მრავალ გვარია, მრავალ ფეროვანი; მართალია, საზოგადო ცხოვრებაში გადახლართულია ათასგვარი, ხშირად სხვა და სხვა დარგის და სახის მოვლენანი, მაგრამ სოციოლოგიამ უნდა აღმოაჩინოს ამ მრავალ ფეროვან საზოგადოებრივ მოვლენებში ერთ-ფეროვანი დასაწყისი, მიზეზი; გამოიკვლიოს საზოგადო მოვლენების ურთიერთ შორის არსებული კავშირი, და მასთან მიზეზი ასეთი კავშირისა, მოვლენების აგებულება და განვითარება; უნდა გაიკვლიოს აგრეთვე სოციოლოგიამ რა პირობების ძალით არსებობს საზოგადოება, და დასასრულ უნდა აღმოაჩინოს საერთო კანონები საზოგადოებრივი განვითარებისა და წინმსვლელობისა. **ზიმმელი** ამბობს, რომ სოციოლოგიამ უნდა გაარკვიოს მოვლენათა ბუნება, თვისება, ხასიათი, უკეთ რომ ვსთქვათ, სოციოლოგიის უკანასკნელი მიზანია შეიგნოს რა ძალებზედ არის დამყარებული საზოგადოებრივი მოვლენათა კავშირი ანუ რა პირობებზედ არის აგებული საერთო კავშირი, დამოკიდებულება საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მე განგებ შევჩერდი სხვა და სხვა გვარი სოციოლოგიური მიმართულების წარმოადგენლების აზრებზედ. ცხადია, ასე აღვილი არ უოფილა სოციოლოგიის დედა-აზრის განმარტება და გამოხატვა, თუ ზემო მოყვანილ აზრებს და განმარტებას ჩვენ ღრმათ ჩავუკვირდებით და მივაქცევთ უურადღებას თვალსაჩინოკითხვას. სოციოლოგიის დედა-აზრის სხვა და სხვა გვარი განმარტებაში ერთი რამ არის ეჭვს გარეშე. კონტი, სპენსერი, გიდდინგსი, ზიმმელი, ლორია ერთხმათ აღიარებენ, რომ საზოგადო ცხოვრების მოვლენანი მართალია მრავალფეროვანი და ძალიერ არეულ-დარეულნი არიან, მაგრამ ამ მრავალფეროვან სურათში არის დამალული ისეთი ძალები, რომელებიც ამოძრავებენ საზოგადო ცხოვრებას, ოღონდ ეს ძალები უნდა აღმოჩნდნენ, აღმოჩენა კი უნდა იკისრონ სოციოლოგიამ. ასეთი აზრის შედეგია მეორე რწმენა, რომ საზოგადო ცხოვრება არის ნაწილი საერთო-მსოფლიო ცხოვ-

რებისა და საზოგადო ცხოვრება არ სდგას ერთ ადგილს, არამედ იცვლება, რთულდება, ე. ი. ვითარდება. მაშასადამე თუ სოციოლოგია მოსძებნის იმ საზოგადო ძალებს, რომლებიც ამოძრავებენ საზოგადოების ცხოვრების მრავალსახეობას, მაშინ ჩვენ ხელთ გვექნება საშუალება წარმოვიდგინოთ საზოგადოდ ამ ძალების ცვლილება ე. ი. საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება, წინმსვლელობა. ზემო მოყვანილი მსჯელობა უფლებას გვაძლევს შემდეგი დასკვნა გამოვიყვანოთ: სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების კვლევა ძიების უმთავრესი საგანია: საზოგადოება, მისი არსებობა, ე. ი. ცხოვრება და იმავე საზოგადოების არსებობის განვითარება. სოციოლოგია მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიგნებს საზოგადოების არსებობის განვითარებას და საერთოთ ცხოვრებას, თუ დაწვრილებით ასწერს და განმარტავს საზოგადოებრივ ცხოვრების მოვლენებს; აწერილი და განმარტებული საზოგადოებრივი მოვლენანი უნდა დუკავშიროთ ერთი მეორეს, უნდა აღმოვაჩინოთ თუ რა მიზეზების ძალით ისინი არიან გადაბმული, დაკავშირებული; ამგვარი შრომა კი საჭიროა მისთვის, რომ მხოლოთ ეს გზა მოგვაძებნიებს იმ საერთო, საიდუმლო ძალებს, კანონებს, რომლებსაც ემორჩილება საზოგადოების ცხოვრება. თუ სოციოლოგიას ამნაირი მიზანი აქვს, თუ ასეთი შეხედულება აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაზედ, ურიგო არ იქნება შეეკითხოთ, რანაირათ მიაგნო სოციოლოგიამ ასეთს აზრებს. რა თქმა უნდა, რომ სოციოლოგიის აზროვნობაზედ ძლიერი გავლენა იქონია საერთოთ მეცნიერების მოძრაობამ მე-XIX ს. მე-XIX ს. განმავლობაში დიდებული მეცნიერების ტაძარი აღშენდა; ამ ტაძრის აშენებაში მიიღო მონაწილეობა მთელმა მსოფლიომ. თვალ-აუწვდენელი მასალა შეგროვდა; ბუნდოვანი წარმოდგენანი ადამიანისა შეიცვალა და მან ადგილი დაუთმო ჭეშმარიტ შეურყეველ ცოდნას. ისტორიის, სამართლის, ეთნოგრაფიის მეცნიერულათ შესწავლამ თვალი აუხილა მეცნიერებს და ისეთი სურათები გადუშალა, რომ წინეთ ადამიანი ვერც კი გაბედავდა ასეთ სასწაულებზედ ოცნებას. ბუნების მეტყველებამ გამოსტეუა ბუნებას მრავალი დიდებული საიდუმლო და დაიმედა ადამიანი მომავალი ნაყოფიერი მუშაობის შესახებ. საზოგადო მეცნიერული მუშაობისა და კვლევა-ძიების შედეგი მე-XIX ს. მომხიბლავ სურათად გადიქცა. სოციოლოგია, როგორც მეცნიერება, ადორძინდა, ფეხი მოიკიდა; თავის შენობას შეუდგა საზოგადო მეცნიერული აზროვნობის ზედ-გავლენით.

სიმ. ავალიანი.

ოდესსა.

ჰაერის ანუ ატმოსფერის ელექტრონი*)

ჭექა ქუხილის და მეხის მიზეზი

შესავალი. მაშინ, როდესაც ელექტრონით ატმოსფერა გაჟღენთილია, როდესაც ჭექა-ქუხილი და გრგვინვა გაისმის ყველგან, როდესაც ცა ხან იღრუბლება და ხან კი ნათდება ელვით და ყოველი სულდგმული მწერიდან დაწყებული ადამიანამდის ცდილობს თავის თა-

*) ელექტრონი სიტყვა ბერძნულია ἤλεκτρον და ნიშნავს ყვითელ ქარვას, რადგანაც ვრთ ერთი თვისება ელექტრონისა სახელდობრ მიმზიდველობა, პირველათ ამ ქარვაზე იყო შემჩნეული თანამედროვე მეცნიერება კი ელექტრონს ენერგიას უწოდებს, როგორც სითბოს და სინათლეს. მოკლეთ რომ ვსთქვათ ელექტრონი ეს ერთგვარი ენერგიაა.

ვი. რასმე შეაივარონ, სწორეთ ამ სიშიშს დრონ იუვნენ იმნაირი ადამიანები, რომლებიც დიდის სიხარულით ეგებებოდნენ ამ მოვლენას და ეოველნაირ სიშიშ მდგომარეობის მიუხედავათ, ისინი რკინის ლატანით (tige) და გამომწვევით (excitateur) ხელში დაეძებდნენ ადგილს და მომენტს თავიანთ ელექტრონის მანქანით დემონსტრაციის მოსახდენათ, და ამ მეცნიერებისთვის თავგანწირულთა წყალობით, დღეს ეველს, ვინც კი მოისურვებს, საშვალება ეძლევა ბუნების ეოველნაირ მოვლენას გაეცნოს და შეისწავლოს. ამ მეცნიერთა შორის მამამთავრათ ინგლისელი ფიზიკოსი Wall-ი ითვლება, რომელმაც პირველათ შეამჩნია ელექტრონის ნაპერწკალი და შესასწავლათ გახადა მისი მიზეზი. მახლობელი მიმდევრები ამ იდეისა იუვნენ Freke-ი იმავე ინგლისში, Wincler-ი გერმანიაში და Eranklin-ი ამერიკაში.

სწორეთ ამავე დროს, ეს იდეა გადმოდის საფრანგეთში, სადაც სამგალითო სისწრაფით ვითარდება; პირველი წარმომადგენელი ამ იდეისა საფრანგეთში იყო მამა Nallet, რომელმაც დიდი ხნის მუშაობის შემდეგ, ერთ-ერთ თავის წერილში, რომელიც სამეცნიერო აკადემიისადმი იყო მიმართული, აღვიარა, რომ თუ მეხი და ჭექა-ქუხილი ბუნების მოვლენაა, მაშინ ეჭვს გარეშეა, რომ ეს ერთ ერთი ელექტრონის ფორმა არ იყოს, იმ ელექტრონის, რომელიც ჩვენ ხელში იმყოფებაო. მაგრამ ეველა ამ სიტყვებს დამტკიცება სჭირდებოდა სხვა და სხვა დემოსტრაციით, რაც იმ დროის ეველა მეცნიერებისთვის ხელმიუწვდენელი იყო. Nollet-ის მუშაობამ საზოგადო ყურადღება მიიქცია და სხვათა შორის მას მალე გაეგოუნდა მიმდევრად ერთი მღვდელი სახელათ Dalibard-ი, რომელმაც ეს საკითხი გააეითარა. თავდაპირველათ Dalibard-მა კადათარგმნა Franklin-ის ნაწარმოები ამ საკითხზე, სადაც ამერიკელი მეცნიერი თავის დაკვირებებს და ელექტრონის თეორიას ეხებოდა; შართალია დასაწყისში Daiibard-ი მხოლოთ მთარგმნელის როლს ასრულებს, მაგრამ შემდეგ ამ საკითხმა თან და თან გაიტაცა და 1752 წელს ჩვენ ვხედავთ მას ნამდვილ მეცნიერათ Buffon და Delort-თან ერთად, რომლებიც ერთი მეორის შეთანხმებით სდგამენ საფრანგეთის სხვა და კუთხეში აპარატებს დემონსტრაციის მოსახდენათ. რასაკვირველია თითო მათგანს თავისი აპარატი ჰქონდა და მოულოდნელათ უტიდენ ჭექა-ქუხილს. ამ სამში, პირველი დემონსტრაციის მოხდენა ბედმა Dalibard-ს არგუნა. Dalibard-ის აპარატი წარმოადგენდა ერთ დიდს რკინის ლატანს (tige), მოღუნულს თავის ქვემო ნაწილში და განცალკევებულს მიწისგან ხის მაგიდით, რომელსაც ბოთლის ფეხები ქონდა, აი აპარატი Dalibard-ისა, რაც შეეხება მის დემონსტრაციას, ეს გამოიხატებოდა შემდეგში: სწორეთ იმ დროს, როდესაც ჭექა-ქუხილი დაიწყო, ის მიუახლოვდა თავის აპარატს და მეორე რკინის ჯოხით, რომელიც ბოთლში იყო ჩარჭობილი თან და თან დაიწყო მიახლოვება თავის აპარატთან, და სწორეთ იმ დროს, როდესაც ეს რკინის ჯოხი უახლოვდებოდა და ეკარებოდა აპარატს, მაშინ უშველებელი ნაპერწკალი ვარდებოდა აპარატიდან და მიუხედავათ ჭექა-ქუხილის დაწყნარებისა, ეს მოვლენა 25 წამს გრძელდებოდა. Dalibard-ის დემონსტრაციის წყალობით ნაპოვნია წერტილი, საიდანაც ელექტრონის გამორწყვა (dèharge) შესაძლო გახდა.

რასაკვირველია ამ პირველ დემონსტრაციის შემდეგ ლოდიკურათ მოსალოდნელი იყო სხვებიც და მართლაც იწყება მთელი სერია დემონსტრაციებისა: 18 მაისში Delort-მა მეორე დემონსტრაცია მოახდინა პარიზში, შემდეგ თვით მამა Nollet-მ, Bethier-მ და 7 ივნისს იმავე წლისა კი Le Monier-მა შესაძლებლათ სცნო ელექტრონის არსებობა ატმოსფერაში, ეოველნაირ ღრუბლების დამოუკიდებლათ მზი-

ან დდეში. როგორც მკითხველი ხედავს ამ ატმოსფერის ელექტრონის კვლევა ძიებაში და მისი მიზეზის ახსნაში საფრანგეთს დიდი დვაწლი მიუძღვის, მაგრამ ამავე დროს ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ევროპის უველა სახელმწიფოებში დიდი მუშაობა ხდებოდა ამ საკითხის შესასწავლათ; წარმოიდგინეთ თვით რუსეთიც არ ჩამორჩა ამ საერთო კვლევა ძიებას და ერთი თავისი სასიქადულო მამულიშვილი იმსხვერპლა ამ გამოკვლევამ. ეს იყო რიხტმანი, სამეცნიერო აკადემიის წევრი; აი ეს ზემოთ ჩამოთვლილი პირები ითვლებიან ატმოსფერის ელექტრონის თეორეთიკოსებათ, მიუხედავთ იმისა, რომ მათ შემდეგ, ამ თეორიას ბევრი მეცნიერი გამოუჩნდა მივდევრათ, რომლებმაც ათასნაირად შეასწორეს და განმარტეს ეს საკითხი.

*
* *

ბევრი სხვა და სხვა აზრი გამოთქმულა იმის შესახებ, თუ რა არის ატმოსფერის ელექტრონი და ბევრი ცდისა და დაკვირვების შემდეგ, მეცნიერება იმ დასკვნაზე შეჩერდა, რომ თავი და თავი მიზეზი ატმოსფერის ელექტრონისა არის ხახუნი (frattement) როგორც მშრალ, ისე ნესტიან ჰაერისა მიწის ზედა პირზე (surface) ანუ ზედვაზე: ეს ხომ ნათელი ჭეშმარიტებაა, რომ ყოველნაირი ხახუნი ქმნის ანუ ელექტრონს, ანუ სითბოს, მაშასადამე ამ ჰაერის ხახუნსაც უნდა შეექმნა რამე და სწორეთ ეს რამე ატმოსფერის ელექტრონი გამოვიდა: ზედმეტი არ იქნება ვიქონიოთ მხედველობაში ის ათას გვარი შეუწყვეტელი აორთქლება, ათასნაირ ცთომილთა და მზის შუქისგან გამოწვეული, რომელიც ხდება დედამიწაზე; შემდეგ მრავალი ქიმიური დეკომპოზიცია და რეაქცია ქმნის ერთგვარ გაზს, რომლის ძალა შეაჯგუფებს ხოლმე ელექტრონს და ამ შეჯგუფულ ელექტრონს მიწას ან და თან აშორებს, რომელსაც შედეგათ მეხი და ჭექა-ქუხილი მოსდევს. აი ეს არის მიზეზი ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, დასაწყისი ატმოსფერის ელექტრონისა.

დავგმაყოფილდეთ ჯერ-ჯერობით ამ მოკლე განმარტებით *) და ვნახოთ ელექტრონი ისე უკანონოთ არის გაფანტული ჰაერში, თუ რომელიმე ფიზიკურ კანონს ემორჩილება. ამ კითხვაზე შემდეგ პასუხს იძლევა მეცნიერება: რადგანაც ყოველ ფიზიკურ სხეულზე ელექტრონს ერთხელ და სამუდამოთ გარკვეული ადგილი უჭირავს (ზედა პირი (surface) სხეულისა)—ატმოსფერაშიაც ელექტრონს ამადლებული ადგილებული უჭირავს; მართალია დედამიწა ელექტრონით არის გარშემორტყმული, მაგრამ, ამავე დროს, მაღალ საგნების ელექტრონი გაცილებით უფრო ინტენსიურია, ვიდრე დაბალ ნაწილებისა და ამ მიზეზის გამო მუდმივი ბუდე ატმოსფერის ელექტრონისა მთები, გორები და მაღლობებია. ეს მოვლენა ადვილი ასახსნელია, ვინაიდან თუ რომელიმე სხეული მატულობს სიმაღლეში, მისი ზედაპირი კლებულობს პროპორციონალურათ და ამავე დროს, რადგანაც ელექტრონი მხოლოთ ზედა პირს ეტანება, ამისთვის ის უფრო და უფრო ჯგუფთება ამ საგანზე; ბუნებაში კი ამ ნაირ სხეულს, ამ ნაირ საგანს გორები, მთები და მაღლობები წარმოადგენს. ეხლა გავარჩიოთ დამოკიდებულება ღრუბლებსა და ელექტრონს შორის, მაგრამ სანამდის თვით ამ დამოკიდულებას აღვნიშნავდეთ, ერთი ორიოდე სიტყვას ვიტყვით ღრუბლების შესახებ. თითქმის უველასათვის ცხადია, რომ ღრუბელი შედგება იმ

*) ვინაიდან უფრო ფართოთ და უფრო მკაფიოთ გადმოცემა ამ საკითხისა, მოითხოვს მეცნიერულ განმარტებას და რადგანაც ამ შემთხვევაში საქმე გვექნებოდა ფორმულებთან, რომლების ახსნა მათემატიკურ ცოდნას მოითხოვდა, სწორეთ იმ ცოდნას, რომელიც აკლია ჩვენ საშვალო მკითხველს, ამისთვის გადავწყვიტე, რაც შეიძლება, მოკლეთ და მდაბიოთ განვმარტო ეს საკითხი.

ორთქლებისა, რომელიც შეუწყვეტლივ დედამიწაზე ხდება; ეს ორთქლი ჯგუფთება და სწორეთ ამ შეჯგუფულ ორთქლს ჩვენ ღრუბელს ვეძახით. ამავე დროს ეს ღრუბლები, თავის სიმაღლეთა მიხედვით, განირჩევიან ერთი მეორისაგან და ამ აზრით არის რომ ფიზიკაში თუთხმეტამდე სახელს ხმარობენ სხვა და სხვა ღრუბლის ერთი მეორისგან გასარჩევათ. თვით ღრუბელი კი საუკეთესო თანამგზავრია (conducteur) ატმოსფერის ელექტრონისა, რომელიც იმ წუთშივე ირგვლივ შემოეხვევა ხოლმე ამ ღრუბელს. მაგრამ ყველაზე უფრო ყურადღების მისაქცევი ის არის, რომ თუ ამ ღრუბლის მოდეკულები ერთი მეორესთან მჭიდროთ არ არიან შეერთებულნი, მაშინ ელექტრონს შეუძლია გამოერწყოს, გაშორდეს ამ ღრუბელს წვიმის ანუ ნისლის დროს და ისევ ჰაერში გაიფანტოს; ერთის სიტყვით ყოველნაირ ნესტიან ატმოსფერას, ყოველნაირ სველ სხეულს შეუძლია ელექტრონი თავის თავზე გადმოიტანოს და შემდეგ ისევ ჰაერში გაფანტოს, რაც ხდება ხოლმე ზამთარში; მაგრამ ზაფხულში, როდესაც ატმოსფერა მშრალია, ყოველ ღრუბლებთა შორის მშრალი ჰაერის ინტერვალი არსებობს და სწორედ ამ ინტერვალით გაშორებულია ერთი ღრუბლის ელექტრონი, მეორე ღრუბლის ელექტრონიდან, რადგანაც მშრალი ჰაერი ელექტრონის თანამგზავრი არ არის, ამავე დროს ამ ელექტრონს მიწისგანაც ისევ მშრალი ჰაერი ჰყოფს, ამ მოვლენას შედეგათ ის მოსდევს, რომ ელექტრონის სიძლიერე თან და თან მატულობს პროპორციონალურათ ღრუბლების შეჯგუფვასთან. ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ ატმოსფერის ელექტრონი, როგორც ყოველნაირი სხვა, ორ დიდ ნაწილათ იყოფა; დადებითი (positiue) და უარყოფითი (nègative); რაც შეეხება ელექტრონით ღრუბლების დატვირთვას, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ელექტრონის ღრუბლებზე გავრცელებას, ეს მოვლენა ერთნაირ კანონს ემორჩილება, რომელიც გამოიხატება შემდეგში, რომ ერთი ნაწილი ღრუბლებისა არის დადებითი ელექტრონის ზედგავლენის ქვეშ, მეორე კი წინააღმდეგ ელექტრონის (უარყოფითი), მიზეზი კი, თვით ამ ღრუბლების სხვა და სხვა მდგომარეობაში და სხვა და სხვა მიზეზების გამო წარმოშობა — გაჩენაშია. ამ ორ, ერთ მეორის წინააღმდეგ ელექტრონით დატვირთულ ღრუბელთა შორის, განსაკუთრებული მიმზიდველობა არსებობს, რომლის ძალით ეს ორი ღრუბელი ერთმანეთს უახლოვდება და უერთდება; მაგრამ, რადგანაც ყოველი დადებითი და უარყოფითი ელექტრონის შეერთება ყოველთვის ნაპერწკალს ჭბადავს, სწორეთ ამ ორ ღრუბელთა შეერთებაც იმავე კანონს ემორჩილება და ნაპერწკალს ისვრის, რომელსაც ჩვენ ელვას ვეძახით.

*
* *

რას წარმოადგენს ელვა? ყველა ჩვენთაგანს შეუმჩნევია მშვენიერ ზაფხულის საღამოს, როდესაც კიდევ საკმაოთ თბილა, როდესაც ვერც ერთ ღრუბელს ადამიანი ჰორიზონტზე ვერ ამჩნევს, განსაკუთრებით დასავლეთისკენ ანუ რომელიმე სხვა მხარესკენ გაიელვებს ერთჯერ, ორჯერ და კიდევ რამოდენჯერმე. რასაკვირველია მაყურებლებისთვის ეს მოვლენა ჩუმია, უხმაურო და მასთან არც საშიშს რასმე წარმოადგენს; მიზეზი კი ამ მოვლენისა, როგორც ზემოთ ვსთქვით, ამ ორ დადებითი და უარყოფითი ელექტრონის ერთი მეორესთან შეერთებაა, ჩვენგან ძალიან სიშორის გამო, რასაკვირველია მისი, ჭექა-ქუხილი არ გვესმის, მაგრამ სინათლეს კი ვხედავთ. ელვას, როგორც სინათლეს, უფრო ადრე ვხედავთ, ვინაიდან ერთ წუთში სინათლის სისწრაფე 300000 კილომეტრს *) უდრის, მაშინ რო-

*) კილომეტრი ვერსზე ნაკლებია 34 საჟნით.

დესაც ხმაურობის მხოლოთ 350 მეტრს *). ეს იმას ნიშნავს, რომ ელვა და ჭექა-ქუხილი ერთ და იმავე წუთში ხდება და რადგანაც ელვა, როგორც სინათლე, გაცილებით უფრო სწრაფათ ვრცელდება, ვიდრე ხმაურობა, ამისთვის არის, რომ ზოგჯერ ელვის დროს სრულებით არ გვესმის ქუხილი და თუ გავიგონებთ, ეს მხოლოთ ელვის შემდეგ; უველაფერი ეს დამოკიდებულია იმაზე თუ რა მანძილზე, რა სიშორეზე ხდება ჩვენგან ამ ორ ელექტრონის შეერთება, რომელიც ელვასა და ჭექა-ქუხილს იწვევს. ეოველ შემთხვევაში ელვა, სადაც უნდა ელავდეს, თუ ერთხელ მას ამჩნევენ, ეს მაშინ ნამდვილი წინამორბედია ჭექა-ქუხილისა და მეხისა. ძალიან იშვიათია, რომ ელვას შედეგად ჭექა-ქუხილი არ მოჰყვეს.

რაც შეეხება ქუხილს ეს ადვილი ასახსნელია; ქუხილი ეს ის ხმაურობაა, რომელიც სწორეთ იმ დროს გაისმის, როდესაც უარეოფითი და დადებითი ელექტრონი ერთი მეორეს ერთვის, ამავე დროს ეს შეერთებული ელექტრონი ანუ მეხი, თავის გასავლელ გზაში ეოველნაირ წულის მოლეკულებს აორთქლებს, ეს აორთქლება კი თვით ამ მოლეკულების აფეთქებით ხდება, და რადგანაც ეოველნაირი აფეთქება ხმაურობას იწვევს, აი სწორეთ ამისთვის არის, რომ ქუხილის ხმაურობა მოძრაობაშია, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ ერთ ადგილზე, ერთ წერტილზე დაწყებული შეუწყვეტლათ მირბის მეორე წერტილამდე.

ჩვენ უკვე ვცადეთ დაგვენახვებია მკითხველისთვის ელვის და ქუხილის მიზეზი, ეხლა დაგვრჩა თვით მეხი; მეხი ეს ისევ ის ელვაა, მხოლოთ განირჩევა მისგან, ერთის მხრით, თავის სიძლიერით და მეორეს მხრით თავის დამოკიდებულებით დედამიწასთან. როდესაც რომელიმე ელექტრონით დატვირთული ღრუბელი ახლო მანძილზე იმეოფება დედამიწისგან, მაშინ ამ ღრუბლის ზედ გავლენა, რომელიმე დედამიწაზე მეოფ საგანზე დიდ ცვლილებას ახდენს, ვინაიდან, როგორც დედამიწა, ისე ეოველი იმის ზედაპირზე მეოფი საგანი თანაბარი (neutre) ელექტრონით არის დატვირთული და ღრუბელში კი ანუ მხოლოთ დადებითი, ანუ მხოლოთ უარეოფითი ელექტრონია, ამის გამო როგორც ღრუბლის ელექტრონი ისე დედამიწაზე მეოფ საგნის ელექტრონიც ცდილობენ თავის წინააღმდეგი ელექტრონი მიიზიდონ, ხოლო თავისი მსგავსი უკუაგდონ, შორს გასტეორცნონ, ამასთანავე, თუ ჰაერის წინააღმდეგობა მძლავრი არ არის, მაშინ ეს ერთი მეორეს წინააღმდეგი ელექტრონი უახლოვდება ერთმანეთს და ხდება შეერთება. ამ შეერთებას ჩვენ მეხს ვეძახით, რადგანაც მიწაზე მოქმედობს, ან და საგანზე, რომელიც დედამიწის ზედაპირზე იმეოფება. ცხადია რომ, რაც საგანი უფრო მაღალია, მით უფრო კარგნიადაგს წარმოადგენს მეხისთვის და ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ მეხი თითქმის მუდამ ამაღლებულ საგნებს ეცემა, როგორც ხეს, სამრეკვლოს, შენობის სახურავებს და სხ.

აი ეს ერთი მხარე, რაშიაც გამოიხატება ატმოსფერის ელექტრონი.

გარდა ჭექა-ქუხილისა და მეხისა; კიდევ ბევრ რამეში გამოიხატება ატმოსფერის ელექტრონი; მაგალითად ცეცხლმფრქვეველ მთაში, მიწის ძვრაში, ციესარტველაში, ციკლონში, ტორნადში და ათასნაირ ზღვის ღელვაში, რომელზედაც შემდეგ წერილებში გვექნება ლაპარაკი. აქობამდის ჩვენ ვცდილობდით დაგვენახვებია მკითხველებისთვის მიზეზი ჭექა-ქუხილისა და მეხისა. ეხლა გავარჩიოთ რას წარმოადგენს მისი შედეგები. ეს შედეგები გამოიხატება სხივოსნობაში, სითბოში, ქიმიურ და ფიზიოლოგიურ მოვლენებში ე. ი. მეხი აბობს ხეებს და ხშირათ ცეცხლსაც უკიდებს, ამტვრევს კლდეებს, აქცევს უშველე-

*) მეტრი უდრის 1 არშინსა და 8 ვერშოკს.

ბელ მონუმენტებს, სხვა და სხვა ლითონებს ერთმანეთში აღუღებს; მოხდება ისეთი შემთხვევა, როდესაც მათ სრულებით აქრობს (rolatiriser), ხან ქვიშას აღნობს და ამ სითხეს უერთებს ათასნაირ კაჟებს, რითაც ჭქმნის ეგრეთ წოდებულ ფულგურიტებს fulgurit) ე. ი. სწორეთ იმ ლითონის მზგავს საგნებს, რასაც მდაბიო ხალხი წმიდა გიორგის ლახვარს უწოდებს. რაც შეეხება მის მოქმედებას სულდგმულზე, მუდამ ერთნაირი როდია: ხან ჭკლავს, ხან კი სრულებით ნაცრად აქცევს, ხან დამბლას დასცემს, ხან კი სულდგმულის ტანი კონტუზიებით არის მოცული: მოხდება ხშირად, რომ შეხი არავითარ ვნებას არ მოუტანს ადამიანს ფიზიოლოგიურად, მხოლოთ ეოველნაირ ლითონის ნივთებს, როგორც სათს, დანას, დოგმებს, ბეჭდებს ჩამოატლეს: ხან კიდევ ერთხელ და სამუდამოთ თმებისგან გაათავისუფლებს და რადაც ახალ ადმოჩენილ სულდგმულს დაამსგავსებს. ერთის სიტყვით, როგორც მკითხველი ხედავს, ბევრი ზარალი და ვნება მოაქვს ადამიანისთვის ამ სტიქიონს.

თუ ერთის მხრით ადამიანმა შესაძლო გახდა მეხი და ჭექა-ქუხილის ახსნა-შესწავლა, აქედან ფატალურად ის გამოდიოდა, რომ მას უნდა გამოეგონა იმნაირი რამე, რომლის საშვალებით ეს საშინელი სტიქიონი თავიდან აეცდინა; მართლაც დღევანდელი პარატონერები, ანუ მეხის ამცდენი მანქანა, ამ გამოგონებას წარმოადგენს. პირველ მეხის ამცდენის გამოგონებას ფრანკლინს და რომს მიაწერენ, მაგრამ, ჩემის აზრით, ეს პირდაპირ უსამართლობაა მიმაჩნია, რადგანაც პარატონერის აშენების პრინციპი მორავიის ერთ მივარდნილ სოფელში დაიბადა და ამერიკაში კი შემდეგ გადავიდა. ერთმა მორაველმა სახელად Procope Diwisch-მა ისარგებლა Dalibard-ის თეორიით და აშენა პირველი მეხის ამცდენი 15 ივნის 1754 წელს; მართალია Diwisch-ის აპარატი ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვა არ იყო, მაგრამ, რაც უნდა იყოს, ეს პირველი მანქანა იყო მეხის ასაცდენად გაკეთებული; გავარჩიოთ ეხლა რას წარმოადგენდა ეს მანქანა (სურათი



დავიშის მეხის ამცდენი (Dawiche)

პირველი). ერთი დიდი ჯოკი (perche) სიმაღლით 10 მეტრი, რომლის წვერი რკინის ლატანით (tige) თავდება; ამ ლატანის შუა ადგილას, ჯვარადინად ლითონის ოთხი ტოტი აქვს მიკეთებული, ეოველ ტოტზე კი სამ-სამი პატარა ტოტებია მოთავსებული; ამ თორმეტ პატარა ტოტზე თეთრი რკინის (fer blanc) კოლოფებია მოთავსებული, რომლებიც რკინის ნახერხით არის სავსე (limaille); აი ასეთ უბრალო მექანიზმს წარმოადგენ Diwich-ის მეხის ამცდენი. საუბედურეთ მას არ დაცალდა ამ აპარატით დემონსტრაცია მოეხდინა, ვინაიდან გლეხებმა კუდიანად ამ წელს მომხდარ გვალვა-შიმშილის მიზეზად ჩასთვალეს: ამას შედეგად ის მოყვა, რომ Diwich-ს სრულებით დაუმტვრიეს თავი აპარატი და მასთან სიკვდილით დასჯას დაემუქრენ, თუ კიდევ ამნაირ დვთის საწინააღმდეგო მანქანების აშენებას გაბედავდა. აი ამ ნაირად შეურაცყოფილი იყო, როგორ მეცნიერი, ისე მის მიერ გამოგონებული პირველი მეხის ამცდენი. 1760 წელს კი ამერიკაში ფრან-

კლინმა ისარგებლა იმავე პრინციპით და Diwich-ის გეგმაზე მეორე აპარატი მოაწყო.

რაც შეეხება თანამედროვე მეხის ამცდენს, ეს ორ ნაწილათ შეგვიძლია გავყოთ: ლატანი (tige) და თანამგზავრი (conducteur); ლატანის რიცხვი დამოკიდებულია თვით მეხის ამცდენის გამკეთებლისგან, სწორეთ ამისთვის არის რომ ზოგიერთ პარატონერს ერთი ლატანი აქვს და ზოგს კიდევ მრავალი; ფორმათ, ოვალურთვის მახვილის ფორმას აძლევენ, რომელიც ხანდისხან თავის წვერზე პლატინით თავდება (რადგანაც პლატინა საუკეთესო თანამგზავრია ელექტრონისა); თანამგზავრი კი სწორკუთხიან (rectangulaire) რკინის ჯოხს ანუ მავთულს წარმოადგენს, რომელიც საგანგებოთ ლატანზე არის მიკეთებული; ამასთანვე რაც უფრო მეტი თანამგზავრები აქვს მეხის ამცდენს, მით უფრო კარგია იმ შენობისთვის, რომელზედაც ეს მეხის ამცდენი იმოფეება.

მოწყობა პარატონებისა კი ძალიან ადვილია: ზემოთ აღწერილ მანქანას იმ შენობის სახურავზე დასვამენ, რომელსაც მეხი უნდა აცდინონ; შემდეგ მის თანამგზავრებს ქვევით ჩაიყვანენ და ერთ ნაწილს ჩაუყოფენ თავს ჭაში და მეორეს კი ნახშირით სავსე კასრაში, რომელიც ნესტიან ადგილში უნდა იყოს ჩამარხული. ყველა პარატონერების სისტემათა შორის, Melsens-ის სისტემა ყველაზე უფრო ადვილი გასაკეთებელია, რადგანაც მისი თანამგზავრები პირდაპირ მიწაში იფლება და არც ჭაა საჭირო და არც კასრა (სურათი მეორე). თვით პრინციპი პარატონერისა ერთ ელექტრონის კანონს ემორჩილება, რომელსაც წერტილთა სიძლიერეს (pouroir despointes) უწოდებენ, და რომელზედაც სხვა წერილებში გვექნება ლაპარაკი.

*
* *

ახლა დაგვრჩა ორიოდე პრაქტიკული რჩევა მივცეთ მკითხველს; თუ რარიგ უნდა მოიქცეს



მელსენის (Melsens) სისტემის მეხის ამცდენი

მეხის და ჭექა-ქუხილის დროს: ა) უნდა ეცადოს, რომ ორ ქარს აცდეს, ამისთვის ფანჯრების და კარების გაღება დიდ საშიშ რასმე წარმოადგენს, ბ) ბუხარს მოშორებული უნდა იყოს, ვინაიდან ჭვარტლი ელექტრონის კარგი თანამგზავრია, გ) ყოველნაირ ლითონის ნივთები, როგორც საათი, ჯაჭვა, კლიტე, ბეჭედი და სხვა თავიდან უნდა მოიშორონ, დ) არაფრის გულისთვის ზარის რეკვა არ მოახდინონ, რადგანაც ყოველნაირი ხმაურობა და განსაკუთრებით რეკვა, ჰაერის მოძრაობას ჰქმნის, თვით ამ მოძრაობას მისდევს ელექტრონი და უერთდება ზარის ელექტრონს, რასაც შედეგათ მრეკავის სიკვდილი მოსდევს. (ძველ დროში საფრანგეთში ჩვეულება ქონდათ მეხის და ჭექა ქუხილის დროს, ზარის რეკვა მოეხდინათ და, როგორც სტატისტიკიდან სჩანს, 33 წლის განმავლობაში 386 სამრეკლოს დაეცა მეხი და 103 მრეკავი მოუკლავს). ე) თუ კი ადამიანს ჭექა-ქუხილი მინდორში ანუ გზაში მოესწრო, მაშინ პირველი—ეს არ უნდა გაიქცეს, მეორე ყოველნაირ ლითონის ნივთებისაგან მაღალ განთავისუფლდეს და მესამე—არასოდეს ხეს არ უნდა ამოეფარონ, განსაკუთრებით ხის ტახს არ უნდა მიეკარონ.

ე. ალშიბაია.

პარიზი.

ადამ და ევა

(ჰეუინსკისა)

შუადღისას მთავარ-ანგელოზი ცეცხლის მახვილით სამოთხის კარებთან გაჩნდა. ცოლ-ქმარმა საშინელის მღელვარებით შეხედეს ერთმანეთს.

ისინი მძიმე წინათგრძნობამ მოიცვა და ღიმილი ტუჩებზე გაუქრათ.

— საქმე ცუდათაა, წაიჩურჩულა ევამ— ის ჩვენ აქედან გაგვრეკავს. ადამმა თავი დახარა და სდუმდა; არ იცოდა რას ნიშნავდა ეს საპატიო სტუმრობა, მაგრამ გრძნობდა კი, რომ ის კარგს არას მოასწავებდა.

დავიღუპეთ—ჩურჩულებდა სასოწარკვეთილებით ევა.

რამდენიმე წუთის წინათ კი კარგად გრძნობდენ თავს! ისინი იწვნენ რბილ ბალახზე ჩრდილში, მზის მწვავე სხივებისაგან დაფარულნი. მათ ზევით ათასგვარ ფრინველთა გუნდი დაფრინავდა, ისმოდა მათი ტკბილ-ხმოვანი სიმღერა და მოშორებით კი ყრუთ მიდუდუნებდა ეფრატი.

თვითონ კი, ერთმანეთის სიყვარულით აღვსილნი, გაოცებულნი მსოფლიოს სიმდიდრით, რომელიც ღმერთს მათთვის შეექმნა, ოცნებობდენ მომავალ ბედნიერებაზე.

გიყვარვარ—ეკითხებოდა ევა.—მიყვარხარ—უპასუხებდა ადამი და მიიკრავდა ხოლმე მკერდზე. და მუდამ გეყვარები?—მუდამ.. მუდამ... მაშ მაკოცე! სად?—აი აქ!

ადამი დაიხრებოდა და კოცნიდა. დამთრობელი სიცხე იდგა. შორს ნელა მირაკრაკებდა მდინარე. ხანდახან ტყიდან გამოდიოდა მინდორზე ლომი, ან ევფრატიდან ტიგრში გამობობღდებოდა ნიანგი. ევა სიცილით ეძახდა ცხოველებს, ისინი მოწიწებით უახლოვდებოდენ მას და ხელებს ულოკავდენ...

შემდეგ ევა ისევ ადამს მიუბრუნდება: გიყვარვარ? – მიყვარხარ, უპასუხებდა ადამი და ვნებით აღვსილი გულში ჩაიკრავდა... რა სახელს დავარქმევთ იმას?—არ ვიცი... მოიგონე რამე შესაფერი სახელი..—მე იმას კაინს დავარქმევდი... მოგწონს ეს სახელი?—კაინი, კაინი... რა კეთილ ხმოვანი სახელია... ახ ევა შენისთანა ქალი მეორე არ იქნება ქვეყანაზე... თუ ასეა, მაკოცე!.. ადამი დაიხრებოდა და კოცნიდა. და ისევ მდუმარება გამეფდებოდა...

რა ბედნიერად გრძნობდენ ისინი თავს... მათი ბედნიერება დაუსრულებელი, სამოთხისებური იყო. სამოთხის კარებთან უძრავად, როგორც ქანდაკება, ცეცხლის მახვილით ხელში, იდგა მთავარ-ანგელოზი და აქეთ-იქით მკაცრად იყურებოდა...

ის ჩვენ გვეძებს—წაიჩურჩულა ადამმა.

გვეძებს—ყრუთ გაიმეორა ევამ—ვინმე ჩვენგანი უნდა გავიდეს და ჰკითხოს რა უნდა... ალბათ იმ საფათერაკო ვაშლის თაობაზე მოვიდა—წაიბუტბუტა ადამმა.

— შეიძლება... წადი დაელაპარაკე. მაგრამ ადამს მთავარ-ანგელოზთან გასვლა არ უნდოდა...—არა, არა—სჯობია შენ გახვიდე, შენ უკეთ შესძლებ ყველაფრის ახსნას... მაგრამ რომ არ შეძლია იმას ასეთი გარეგნობით ვეჩვე-

ნო. გულმოსვლით უპასუხა ევამ—საჭიროა რიგიანი სახე მქონდეს...

ქმარმა აათვალიერა ევა... მართალია, დაღონებით სთქვა მან... თმა გაიშალე... ან სჯობია იცი რა ქნა.... გახარებულმა ღიმილმა გაანათლა მისი სახე. მოსწყვიტა ახლოს მდგარ ლეღვის ფოთოლი, გადასცა ცოლს და უთხრა: აი, ეს, მგონია, საკმარისია. ცოტა ხანს კიდევ იმის დავაში იყვნენ—ვინ გასულიყო პირველი და ბოლოს გადასწყვიტეს ორნივე ერთად გასულიყვნენ. მათ არც მუდარებამ, არც ცრემლებმა, არც თავის მართლებამ არა უშველეს რა. მთავარ-ანგელოზი შეუწყნარებელი იყო და სასოწარკვეთილ მეუღლეთა ლაპარაკისა გაგონებაც არ უნდოდა. მათ ხვეწნა მუდარაზე ის ერთ და იმავე, მტკიცედ გადაწყვეტილ და შეუცვლელ სიტყვით—„განვედით"—უპასუხებდა და ცეცხლის მახვილით უჩვენებდა სამოთხის ღია კარებს.

ცოლ-ქმარნი დამორჩილდნენ. გავიდნენ ისინი... საით და რისთვის, თვითონაც არ იცოდნენ. უდაბნოს წვიტიანი ქვები მათ ფეხებს უწყლულებდათ. ხან და ხან უკან მობრუნდებოდენ და მაშინ ჩამავალ მზისაგან გასისხლიანებულ ცის კიდეზე ხედავდენ სამოთხის ხეების მწვერვალებს და ბრწყინვალე ზედაპირს, სამოთხის სადაფის კარებისას, რომელიც მათთვის საუკუნოთ დაიხშო. ღრმათ ჩაფიქრებულნი და მდუმარენი მიდიოდნენ. უცბად ევამ მწარეთ დაიქვითინა და მიწაზე დაეცა. ადამი მიხვდა, რომ ევას სიყვარული უუდიდესი ბედნიერება იქნება მისთვის, და ცრემლები კი უდიდესი ტანჯვა. და შეშინებული მივარდა მას: რა დაგემართა ჩემო კარგო? მაგრამ ევამ ხელის კვრით მოიშორა იგი. „დაიკარგე შე რეგვენო!" დაუყვირა ატირებულმა, შენი გულისთვის შეგვემთხვა ჩვენ ასეთი საშინელი უბედურება.

ადამი გაკვირვებისაგან დამუნჯდა. შემდეგ აკანკალებული ხმით წაიჩურჩულა: როგორ თუ ჩემი გულისთვის? ვაშლი აკი შენ მოსწყვიტე და მომეცი მე! ევამ თავზე ხელები იტაცა: მე? მე? ყვიროდა ის და დგებოდა მიწიდან... მაგრამ შენ უნდა მიმხვდარიყავი რა შედეგი მოჰყვებოდა ამას და გაგეფრთხილებინ... უჰ, უჰ, უჰ,—გამოტვინებულო ჩერჩეტო! — მოითმინე ჩემო ძვირფასო...—დაიკარგე აქედან! უყვიროდა ევა და ახლოს არ იკარებდა... ძალიან კარგი მფარველი მყავს ღვთის წინაშე... ერთად ერთი მამაკაცია მთელ ქვეყანაზე და ისიც არაფრად ვარგა!

და ევას გული წაუვიდა, სევდის ქარები აუტყდა და ქვითინებდა. ადამი ჩამოჯდა ქვაზე, სახეზე ხელები მიიფარა და შეუდგა თავის დანაშაულობის ანალიზსა...

მართლაც და ის ხომ მამაკაცი იყო!..

ე.—ფ.—ვა.

მოხუცი და ახალგაზდა

მოხუცო, რად ჰქექ ნაცარსა?
ცივი და დაფერფლილია!
მაგრამ, გეტყობა, წარსულსაც,
რომ მოიგონებ ტკბილია?!

—

რომ უნაყოფოს უსაქმოდ
რად მიჯდომიხარ კერასა?
ლამის გადაყვე ოცნებით
გატეხილ გულის ძგერასა.

—

გვიჯობს წავიდეთ სხვის სახლში,
მივუჯდეთ სხვების კერასა!..
იქ შევუერთებთ ჩვენსასაც
იმათ ტკბილ ბედის-წერასა..!

—

—შვილო, მაგ გვარად ვინცა სჯის,
გამოუცდელი... ხამია!
არ მოსცხებია ტალახი,
ჯერ მწარე არ უჭამია.

—

სხვაგან რომ მიხვალ, სად მიხვალ,
უგნურის სიხარულითა?
ვინ ნახა დედინაცვალი
მშობლიურ სიყვარულითა?

—

თავ-თავისი ჰყავს სუყველას;
შენთვინ კი შენიანია.
ამას გვიმტკიცებს ცხოვრება...
გვიმტკიცებს დიდი ხანია.

—

რას გარგებს, სხვისას გადაჰყვე
შორეულ ბედის წერასა?
სჯობს დაუბრუნდე ისევე
შენს მირულებულ კერასა!

—

ძველ ნაცეცხურზე მივიდეთ,
ერთად გავქექოთ ნაცარი,
მე საიმედოდ მომავლის
აქ მეგულება, რაც არი.

—

მერწმუნე გული ამ ნაცრის
ჯერ თბილად შენახულია
და ნაკვერცხალი ობოლი
აქ კიდევ დამალულია.

—

ის გამოვიღოთ, დავბეროთ,
ცეცხლი დავანთოთ ახალი,
რომ ნაკვერცხლები გვათბობდენ
და გვინათებდეს ჩვენ ალი..!

აკაკი.

გახარებული ღორი

სალტიკოვისა (შჩედრინისა)

მომქმედნი პირნი: ღორი—მეტად გასუქებულია, ჯაგარი ფაფარსავით აურია, უბრწყინავს ბოსლის სითხეში ხშირად გორაობის გამო. **სიმართლე**—ისეთი ხერია, რომელიც მუდამ ახალგაზდაა, მაგრამ საკმაოდ მოთელილი, ბატონის განკარგულებით ძონძებშია გახვეული. ამ ძონძებიდან გამოსჩანს კლასიკური მუნდარი ე. ი. სიტიტვლე

მოქმედება სწარმოებს ბოსელში

ღორი (ჯაგარ აშლით).—მართალს ამბობენ ვითომ ცაზე მზე ანათებსო?

სიმართლე მართალია, ღორო.

ღორი ასეა? მე, ბოსელში რომ ვსცხოვრობ, არავითარი მზე არ მინახავს!

სიმარ. ეს იმიტომაა, ღორო, შენ რომ

ბუნებამ გაგაჩინა, აღგითქვა: ვერ ნახო, ღორო, შენს დღეში მოელვარე მზეო!

ღორი ნუ თუ? (თავგამოდებით) ჩემის აზრით კი ეს რაღაც მზეზე ლაპარაკი მტკნარი სიცრუეა. . ა?

სიმარ. (მდუმარებს და დარცხვენილი ძონძებს ისწორებს; მაუურებლებში ისმის ხმები): შენ მართალი ხარ ღორო! სიცრუეა!... სიცრუე...

ღორი (ისე ჯაგარს აიშლის) მართალია, ვითომ გაზეთებში სწერდენ: თავისუფლება უძვირფასესი საუნჯეა ადამიანთა საზოგადოებისათვისო?..

სიმარ. მართალია, ღორო..

ღორი ჩემის აზრით კი, უიმისოთაც თავისუფლებაში ჩაფლულნი ვართ. აი მე, ფეხგადუდგმელად ბოსელში ვსცხოვრობ, დარდი კი არაფრისა მაქვს რა... მეტი რა მინდა; მინდა ვარცლში ჩავყოფ დინგს—მინდა და ნეხვში ვიგორავებ .. მეტი რა თავისუფლებაა საჭირო.. (თავ-კამოდებით). მოლალატენი ხართ თქვენ როგორც ვხედავ... ა?

სიმარ. (ხელ-მეორეთ ცდილობს სიტიტველე დამალოს. მაუურებლნი ხარხარებენ): მართალი ხარ ღორო, მართალი, მოლალატენი, მოლალატენი არიან. (ზოგიერთი მაუურებელი მოითხოვს, რომ სიმართლე პოლიციის ნაწილში წაიუვანონ. დორი კმაუოფილებით დრუტუნებს, თავის თავს მეტად ბედნიერად გრძნობს).

ღორი. პოლიციის ნაწილში რათა? იქ ხომ ფორმისთვის დაიჭერენ, შემდეგ ისევ გამოუშვებენ. (ნეხვზე გაწვება და იწუებს გრძნობით დაპარაკს) არა, ამ დროში ბოქაულებიც ფელეტონისტების ენით ლაპარაკობენ. ახლახან ერთ გაზეთში ამოვიკითხე: ჩვენში თავ-აშვებულობა იმიტომაა, რომ კანონები მხოლოდ ფორმისთვის იწერებაო.

სიმარ. შენ კიდეცა კითხულობ, ღორო?

ღორი ვკითხულობ, მხოლოდ ისე კი არ გავიგებ, როგორც სწერია ხოლმე. როგორც მინდა,—ისე გავიგებ! (მაუურებლებისაკენ) აი რა მეგობრებო! პოლიციის ნაწილში ჩვენ ამას არ გავგზავნით... ისე ჩვენც ზომებს მივიღებთ... გამოძიება დავიწყოთ... დღეს ერთ პატარა კითხვას მივცემთ, ხვალ ორს... (ჩაფიქრდება). ერთბაშათ არ გავათავებთ, თანდათან, ნელ ნელა შევსთქვლეფავთ... (დრუტუნით მიდის სიმართლისაკენ. სტაცებს დინგს კანწში და დაუწუებს კბენას). აი როგორ!

სიმარ. (იკლაკნება ტკივილისაგან. მაუურებლები გრიალებენ. ისმის ხმები): — ვაშა ღორო ვაშა!.. რა მოხერხებულია!..

ღორი ჰა. ტკბილია განა? გეყოფა!. (მიტოვებს კბენას). ახლა სთქვი: რაშია დასაბამი ბოროტებისა!

სიმარ. (დაბნეულათ) დასაბამი ბოროტებისა. ღორო? დასაბამი ბოროტებისა... დასაბამი ბოროტებისა .. (გადაწრით და მოულოდნელად): შენშია ღორო!

ღორი (გაჯავრებით) რა! შენ ამას ამბობ! ეხლა კი მიფრთხილდი! მართალია, რომ შენ გითქვამს—ვითომ კაცობრიული სიმართლე პოლიციურ სიმართლეზე გაცილებით უკეთესიაო!

სიმარ. (ცდილობს გამოძვრეს).. თუმცა ცხოვრების ზოგიერთ პირობებში, უარს ვერ ვყოფთ...

ღორი არა შენ კუდს ნუ იქნევ! ჩვენ ეს თუმცა-თუმცა .. გაგვიგონია... სთქვი პირდაპირ! ნამდვილად შენის აზრით... არის რამე განკერძოებული

სიმართლე ბოქაულის სიმართლეზე უმჯობესი?

სიმარ. ახ, ღორო, ეს როგორ ღალატით მზაკვრობაა!

ღორი კარგი ამაზე შემდეგ მოვილაპარაკებთ. (უფრო და უფრო მწყრალად აწყვეს). განაგრძე! მართალია ვითომ გითქვამს: კანონებმა ყველა ერთნაირათ უნდა უზრუნველ ჰყოს და დაიცვასო, რადგანაც თუ ასე არა, ხალხის საზოგადოება ერთმანეთის მოსისხლე ელემენტის ხაოტიურ კრებულათ გადაიქცევაო... რომელ კანონებზე ბრძანებდით... რა მიზეზით და ვისი განსასწავლებლათ ყბედობდი ამას?

სიმარ. ახ, ღორო!

ღორი რა საჭიროა სულ ღორო და ღორო... თვითონაც კარგად ვიცი, რომ ღორი ვარ. მე ღორი ვარ, შენ—სიმართლე!.. (ისმის ფორის ირონიული ფრუტუნი). აბა, ღორო, გასთელე სიმართლე! (იწყებს თქვლეფას, მაუურებლებისაკენ): მოგწონთ ბატონებო!

სიმარ. (იგრიხება ტკივილისაგან. მაუურებლები მეტის მეტ ადტაცებაში არიან, ყოველი მხრიდან ისმის): მოგვწონს! სთქვლიფე ღორო, სთქვლიფე! გასთელე, შეახრამუნე! უსირცხვილო ენით ტიკტიკიც კი რომ დაიწყო!.....

Coloqium-ი ამით გათავდა. შემდეგ მე ვერაფერი გავარჩიე, რადგანაც ბოსელში ისეთი ღრიანცელი ატყდა, რომ მხოლოდ ხანდახან გავიგონებდი: „მართალია, რომ უნივერსიტეტში?“ „მართალია რომ, ქალთა კურსებსე“... თვალის ერთ დახამხამებაში სიმართლე, სულელურ და გამცემელ მზაკვრობის ისეთ სქელ ბადეში იქნა გახვეული, რომ ყოველი ცდა ამ ბადის გარღვევისა ღორის სთქვლეფით და ხალხის ღრიალით თავდებოდა: „მოდით, ძმებო, ჩვენი სამართლით გავსაჯოთ... ხალხური სამართლით!“

მე, როგორც შებორკილი, ვიწექი და ველოდი, რომ მალე ეს-ეს არის მეც დამიწყებდენ თქვლეფას. მე, რომელიც მთელ ჩემს სიცოცხლეში, გულუბრყვილოდ გავიძახოდი: „ღმერთი არ დამტოვებს და ღორი არ შემჭამს“ მეთქი—უცბათ, რაც ძალი და ღონე მქონდა, დავიღრიალე: შემჭამს ღორი! შემჭამს მეთქი!

განწირული.

ეს მესამე ჩარფუზანა

აბა, ბიჭო, ტაში დაჰკა,
მიდექ, მოდექ განი—განა,
გვინდოდა და გაგვიმართეს
ეს მესამე ჩარფუზანა!

—

ჩვენ პირველში შევისწავლეთ
მხოლოდ ცეკვის ანაბანა,
ეხლა სხვაა, ეს სულ სხვაა,
ეს მესამე ჩარფუზანა!

—

მეორეშიც ვითამაშეთ,
მაგრამ ამას ჰგავს კი განა?
ეხლა სხვაა, ეს სულ სხვაა,
ეს მესამე ჩარფუზანა!

—

მარჯვნივ ტაში—მარცხნივ ცეკვა,
შუაგულში იავნანა,
დიახ სხვაა, ეს სულ სხვაა,
ეს მესამე ჩარფუზანა!

—

გადააბით ხელი-ხელსა,
ხან გასმულა, ბუქნაც თანა,
ეს მესამე „ნომერია",
არ გეგონოთ ლილახანა!

—

ჩვენც მივაწვეთ, გვაწვებიან
მემარცხნეებს მარჯვნიდანა,
ულუტუნოთ ერთმანეთსა,
ამას ჰქვიან ჩარფუზანა!

—

ფეხზე ადექ, თუ აგწივა,
ძირს დაეშვი, თუ დაგფხანა,
სიძეს უნდა უგონებდე,
ჩვენო კარგო გოგუცანა!

—

ორჯელ ერთზე გათხოვილო,
მესამეთ ხარ იმასთანა,
რასაც გთხოვენ გოგუცანა,
მას არ უნდა გამოცანა!

—

თავდახრილი, პირ აკრული,
მამამთილთან და მაზლთანა
მხიარული მოცეკვავე,
აი ჩვენი ჩარფუზანა!

—

მარჯვნივ ტაში, მარცხნივ ბუქნა,
შუაგულში იავნანა,
დიახ, სხვაა, ეს სულ სხვაა,
ეს მესამე ჩარფუზანა.

ი. ევდოშვილი.

სულა და ღმერთები

(სპაუსული ლეგენდა)

(დასასრული)

არიმანი:

(განრისხებული აყღრიალებს კაცის კენჩხოს ღარადეს, რომელიც მას ყელზედა აქვს ჩამოკიდებული).

დიახ... მე თავი თვითონ მოვიკლა,
რომ ეგ აქ დარჩეს?! კი ბატონი ხარ!!
მაგრე იქნება, თუ მარტო შენგან
ცა-ქვეყნად რამე გარიგებულა...
ჯაჰნამას ყველა!.. თუ მე არა ვარ,
მაშინ ქვა-ქვაზედ ნულარ დებულა!..

ორმუზდი:

მაშ წილი ვყაროთ? უარს არ გეტყვი...
რას დააყენებ საჯუფთაოზედ?.

არიმანი.

თუ მე მერგება, უნდა დამკვიდრდეს
ჩემი მეფობა ცა-ქვეყანაზედ...

(წილსა ჰყრიან. ორმუზდის წილი ამოდის... ორმუზდი და არიმანი; კეთილი და ბოროტი სულები: ეშმაკები, ქაჯები, დევები, ალები, ჭინკები და ალები იგრიალებენ და ბუნებას შაერთვიან. არიმანი, ვიდრე შაეფარებოდეს, სდგება და ჰწყევლის სულას, რომელიც გაოცებული სდგას და პირდაპირ უყურებს. ბუნებას ნისლი ეხვევა).

არიმანი.

გულს გავაქვავებ, ხელს გავამძლავრებ,
შემოვკრებ ძალთა ბუნებისათა,
დავაშრობინებ ენას მორევსა
ვნებათა ჭექა-ქუხილისათა.
ასე დაგლოცავ: იყავ ბედნიერ,
როგორაც მტრისა შენ გეწყინება;
ხარმცა ცოცხალი და მუდამც შენი
ხელი ღმერთობას ეპოტინება!
გული კეთილის ჩაგედვას, ხალხის
საბედნიეროდ აყვავებული,

ხოლო ის შენი მტერი და მგელი
ჰქმნა შენ საკბენად აყეფებული.
ამ ვრცელ სოფელში ფეხმოსაკიდი
არ გქონდეს თავის მისასვენებლად;
მუდამც გარტყია სევდისა ჯანყი
ღამის წყვდიადი გაუთენებლად.
ცეცხლი მოგედვას,
არ იწვებოდე.
წყალმა წაგიღოს,
არ იხვრჩებოდე;
სნეული იყო
არა ჰრჩებოდე,
ეძახდე სიკვდილს,
არა ჰკვდებოდე,
ოღონდ ზეზეურ იტანჯებოდე!
გწყუროდეს შველა და თბილი სიტყვა,
ხალხს შეჰლამოდე თანაგრძნობასა.
მაგრამ პირველი ქვა დასაკრავი
გამოჰხდეს გულის მეგობრობასა
და „ვიში!“ მარტო სხვის საწოლიდამ
შენის კეკლუცის ერთგულობასა.
იოცხლე დიდხან, რომ თმა და წვერი
თეთრი სიბერით გაგყვითლებოდეს
და აუდგომელს, მდებიარესა
თავი თვითონვე მოგძულებოდეს.
არ რა გებადოს შენი შენთვისა.—
სხვის შესანახად გახდილს პურისა,
სმისა და ჭამის მადა ძუ მგლისა
გქონდეს, და ლუკმა—საყვედურისა!
ამასთან ერთად კურთხეულ იყავ
ბევრი ქალ-ვაჟის ოლბალ ბედითა,
რომ სავსე იყოს მთელი ქვეყანა
იმათის ბოროტ მოქმედებითა!..
რაც მე ვერ გითხარ, ის ბედმა გითხრას
უბედურობის ჩრდილით მყოლელმა
და დანარჩენი ცივ სამარეში
მატლმა და ჭიამ ქვესკნელს მძრომელმა.

(არიმანი საჩქაროდ მიბრუნდება და ჰექა-ქუხილით ბუნებას მსოფლიოს შაერთვის. ნისლიდამ ორმუზდი პატარა ხანს გამოჩნდება).

ო რ მ უ ზ დ ი (სულას).

შვილო, შენც ისე დამილოციხარ,
როგორც სხვა კაცად დაბადებულნი...
იქონე გარნა ნიჭი სამგოსნო,
მადლი ცის მიერ მონიჭებული.

(ორმუზდი მყის გაქრება... წვიმა მოდის. სულა განცვიფრებულია).

ს უ ლ ა

რა მითხრა ისა? ეს კიდე კარგი
არიმანისგან მამგონდებოდა,
რო მის მოსისხლე და ბოროტ პირსა
კეთილიც რამე გამოსდნებოდა?!
თუ უბედური სხვათგან ვიქნები,
და მე მათსაში არ გავრევ ხელსა,
ნუგეშად მეყო და გულით ვამბობ:
„კიდე დიდება დამბადებელსა!“
თუმცა ღმერთობა არ მომანიჭეს,
მაგრამ კაცობა ხომ ისევ მრჩება.
რა ვუყვათ? ისეც თავის საქმეებს
კიდე მოვუვლით როგორც იქნება.

(ანკარა მდინარეებიდამ, ტყე-მინდვრებიდამ, ყვავილ-ბალახებიდამ, მთა-კლდეებიდამ და ცა-ვარსკვლავებიდამ წარმოსდგებიან უუშვენიერესნი ქალნი, ასულნი საკვირველებისა და ეუბნებიან ბუნებას საგალობელს):

შენში ბევრს რასმე ჩვეულებრივი
თვალი ვერ ჰხედავს, შეჩვეულია;
ან ჯერ რამდენი საკვირველიც რამ
ვერც ბრძნებისაგან შემჩნეულია.
ტყე... შიგ ფსიტები და შველ-ირმები
წმინდა ცხოვრებით შეექცევიან,
და თან ლომ-ვეფხის სიახლოვითა
დამფრთხალნი ხშირად გაიქცევიან.
სადმე საამოდ მკულ, მოუბარი
წყარო მდინარედ მოიღალება
და მერე იმის ლერწმოვანებში
სადმე ნიანგი დაიმალება.
სადაც ვარდია, შხამიცა ხარობს

იმავე დედის ძუძუს წოვითა,
ერთხელ რომ ჰწვიმონ ღრუბელთ საამოდ
გადმოივლიან მერე თოვითა.
თალხ-შემოსილი, სულ-შეხუთული
ზამთრის ქვეყანა შეიძაძება,
მაგრამ როდესაც თავის მადლითა
შენივე ხელი დაიხარჯება—
მკვდარი სიცოცხლე ხორცსვე შეისხამს,
მორცხვი სიტურფით გაიბადრება!.
საცა დღე არის, იქვე ღამეა,
სადაც სიტკბოა; იქვე სიმწარე,
სადაც ყვავილი ტურფა რამეა—
იქვე ყვავილი, მიმჭკნარი, მხმარე.
სადაც ველები და ტყე და მთები
ყვავილ-ბალახით ტკბილად ჰღელავენ;
იქ ცეცხლის მფრქვევი მთებიც ჰყუდია
და შორით შორად ზღვებიც ჰთვლემავენ.
შენ ხარ მშვენებით ტკბილ-მოუბარი
და მეოხუნჯე სიგონჯითაცა;
ხარ სიყვარულით გულის გამთბობი,
და მატირები ცრემლებითაცა!.
აქ მასპინძელი წუთის სოფლისა
და წინამძღვარი იმ სოფლისაცა.
გაქებთ, გადიდებთ! შენ ხარ ყოველის
ჭური, მიზეზი, ყოველის სურა.
შეგამკობთ, როცა ღმერთთ არსებამაც
შენს სახის ქვეშ დაისადგურა!
ეხლა მშვიდობით, შენაცა ცაო,
ცაო, მწვიმავო ჩვენთვის დარზედა
და შენც სრულიად ცისა ქვეშეთო,
ველარ გავივლით შენს კალთაზედა.
მზეო, შენა გთხოვთ, ხსოვნა მაინცა
არ დაგვიკარგო ქვეყანაზედა.

რა ამ საგალობელს გაათავებენ
საკვირველების ასულნიც
დაიქსაქსებიან და იგინიც ბუნებას
მსოფლიოს შაერთვიან.

ბაჩანა.

1887 წ.—1891 წ.

ცრუ-მორწმუნოება სამეგრელო-აფხაზეთში

სამეგრელო აფხაზეთში დღესაც აუარებელი ცრუმორწმუნეობაა ხალხში გავრცელებული. როცა აქაურ ცხოვრებას უკვირდება კაცი, ეჭვი შეიპყრობს, რომ მეოცე საუკუნეში საქართველოს ერთი უძველესი კუთხე—ზუგდიდის მაზრა და სამურზაყანო ასეთი უმეცრების წყვდიადით არის მოცული; ხალხი უმეცრების მორევში ცურავს, ქონებრივად და ზნეობრივად გაჩრწნილების გზას ადგას და სახსარი კი არსაიდამ სჩანს.

ჩემი მიზანია ამ ყამად შევეხო ზოგიერთ უმთავრეს ზნე-ჩვეულებას, რომელიც ჭეშეპავს სოფლის უვიცს ხალხს. ეს არის—„ყინიშიხვამა“, „მკითხაობა“ და ლოცვები.

სამეგრელოში ყოველ ოჯახს გლეხია, აზნაური, თუ თავადი, სავალდებულოდ მიაჩნია წელიწადში აღასრულოს რამდენიმე „ლოცვა“. ოჯახის პატრონი ყიდულობს, თუ თვითონ არა ჰყავს, ძროხას, თხას, ანუ ცხვარს და დანიშნულ რიცხვში ჰკლავს საქონელს, მიიპატიჟებს მეზობლებს და ნათესავებს, შეიკრიბებიან ოცდა-ათამდე. ოჯახის პატრონი მიდის მარანში, სტუმრებიც თან მიჰყვებიან; ახდის ქვევრს, სადაც სალოცავი ღვინოა შენახული, დააჩოქებს შვილებს, შვილის შვილებს, (მარტო ვაჟებს) და ეკიდრება წმიდანს, რომლის სახელზედაც არის ლოცვა და ქვევრია ჩაფლული. თვითონ ეული სტუმართაგანი დაჩოქილებს თავზე შემოავლებს ანთებულ წმინდა სანთელს; შემდეგ ბრუნდებიან სახლში, დასხდებიან სადილად; სტუმრები ირჩევენ თამადას, გაჩაღდება სადღეგრძელო და ღვინის სმა, ზოგჯერ შეზარხოშებული სტუმრები დაერევიან ერთმანეთს და თავპირს ამ-

ტვრევენ. ასეთი შემთხვევა კი მასპინძლისთვის უფრო დამღუპველია; მან ეხლა უნდა „გამოიღოცოს“. გამოღოცვა იმას ნიშნავს, რომ პირველ ლოცვის შემდეგ იგივე მასპინძელი ჭკლავს გოჭს, ანუ თიკანს და ევედრება იმ წმიდანს, მიუტოვოს მას შეცოდებანი თვისნი, და მიიღოს მისი ლოცვა. მართალია გამოღოცვის დროს მასპინძელი არავის ეძახის, მაგრამ ორთა შუა რიცხვით რომ ვიანგარიშოთ, ითოო ეს „ლოცვა“ „გამოღოცვა“ დარიბ ოჯახს 20 მანეთზე მეტი უჯდება და თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ხშირად ამგვარი ლოცვა თითოეულს ოჯახში ათჯერაც სრულდება წელიწადში, ადვილად მივხვდებით თუ რამდენად გამანადგურებელია ეს უაზრო და ველური ჩვეულება ხალხისა. რასაკვირველია, სადაც ასეთი უვიცობაა ხალხში, იქ მკითხავმარჩიელებიც ბლომად იქნებიან და მართალიც იშვიათი სოფელი იქნება სამეგრელო აფხაზეთში, სადაც 2—3 მარჩიელი მაინც არ იყოს, უფრო დედაკაცები. გაუნათლებელს ხალხს ჭკონია, რომ მკითხავები ღვთისგან არჩეულებია, და მათი პირით ღმერთი აცნობებს ხალხს გაჭირვების მიზეზს. ამით მკითხავ-მარჩიელები საკმარისად სარგებლობენ თვითონ, რადგანაც ხალხი ბუზიკით ეტანება მათ. თუ კი ვინმე ავად გახდა ციებით ანუ ცხელებით, ავადმყოფის ჯირისუფალნი მაშინვე მირბიან მარჩიელთან და ისინიც ოსტატურად ხვდებიან, უსახელებენ ამა თუ იმ მიზეზს და მასთან აძლევენ რჩევას, თუ კი ხატზეა გადაცემული, გამოიხსნას, რომელიც შეიძლება დაუჯდეს ორას მანეთზე მეტიც, და თუ ლოცვის მიზეზია, რამე სხვა დარიგებას აძლევენ, რომელიც ისევად არ უჯდებათ; მასთან აფრთხილებენ არავითარი წამალი არ მიაკარონ ავადმყოფს და არც ექიმს აჩვენონ. რომ კი შესრულებს მიცემულ დარიგებას, შეუძლიათ ავადმყოფს წამალიც დაალევინონ, მაგრამ ესაა უბედურება, რომ სანამ დარიგებას შესრულებდენ, სნეულება ხშირად მაგრად იდგამს ფეხს ადამიანის სხეულში და ავადმყოფის მორჩენა ძნელი ხდება. მკითხავების წყალობით ექიმებს გულგრილად უყურებს უსწავლელი ხალხი; ბევრი ეოფილა და დღესაც არის იმისი მაგალითი, რომ შეკნებულ პირს ექიმიც მიუყვანია ავადმყოფთან, ექიმს წამალი გამოუწერია, მაგრამ, მკითხავების რჩევით, წამლიანი შუშები ქვებზე დაუმსხვრევია, ავადმყოფს სული დაულევია, მკითხავებს კი ჯიბე გაუტენიათ.

უფრო სამწუხარო მოვლენას ხალხის ცხოვრებაში შეადგენს „ყინიში“. ეს სიტყვა მეგრულია, აფხაზურად „ანჭა“, ორივე სიტყვა ერთსა და იმავეს ნიშნავს. ქართულად ნიშნავს „ზეციერი“, „ყინიში“ იმაში მდგომარეობს, რომ ვინმე ოჯახის წევრი, სუსტდება, იძახის წმ. გიორგის სახელს, ვითომდა წმ. გიორგი ლაპარაკობს იმისი სიტყვებით. ლოგინი, ტანისამოსი და ყოველი ოჯახის მოწყობილობა თეთრი უნდა იყოს, მნახველნიც თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილნი უნდა იყვნენ, ისე არ მიიკარებს. მნახველმა ავადმყოფის წინ უნდა დაიჩოქოს და ევედროს წმ. გიორგის. თუ კი ინება ავად-მყოფმა, მნახველიც იქ უნდა დაწვეს და ისიც ისე ავად ხდება. ერთს ავადმყოფს შეუძლია გაჭმევდეს ავად ოცზე მეტი კაცი ანუ ქალი, ავად-მყოფის პატრონი მირბის მარჩიელთან, ის რასაკვირველია, ეუბნება, რომ ეს წმ. გიორგის მიზე

ეს არის წ. გიორგის მიერ ამორჩეული პირი, რომელიც მთელ ზუგდის მაზრაში ორია, სოხუმის ოლქში კი სამი. ავად-მყოფის პატრონი აცნობებს „ყინის მდოცველს“ და უკანასკნელიც მობრძანდება დანიშნულ დროზე; ყოველგვარი ჭურჭელი: თეფშები, ჭიქები, ქვაბი და სხვა სულ ახალი უნდა იყოს; პირველ ხმარების შემდეგ უველა ეს საკუთრებად რჩება „ყინის“ მდოცველს. უველა ეს დავიდარაბა 80—100 მანეთამდის უჯდება ავადმყოფის პატრონს. ხშირად 3—4 წლის შემდეგ შეიძლება ავადმყოფობა ისევ გამეორდეს და როგორ იდუპება ამით უმეცარი ხალხი მკითხველისათვის ადვილი წარმოსადგენია. ჩემის დაკვირვებით შემიძლია ვთქვა, რომ „ყინიში“ ავად-მყოფობა—არ გახლავთ, არავის არასუერი სტკივა, კარგად არის, მაგრამ, აქ თავს იჩენს სულ სხვა გვარი მიდრეკილება—„ყინით“ ავადმყოფს სრული უფლება აქვს ვინც უნდა ის მიიწვიოს და დაიწვინოს ლოგინში. მოგეხსენებათ, რომ „პსიხიურს“ შთაგონებას ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა და გავლენა აქვს, და აი ამის გამო მოწოდებული პირი უნებლიედ ემორჩილება მომწოდებელის ბრძანებას, მაგრამ ამ მოვლენის მეცნიერულად გამოკვლევა მეცნიერების საქმეა, მე მხოლოდ ვიტყვი, რომ ამ „ყინით“ ავად ხდებიან უფრო ახალგაზდები ქალი და კაცი. წმ. გიორგის სახელით იმათ შეუძლიათ, ჯანმრთელები წახლიდან გადევდნენ და ვისთანაცა სურთ იმასთან იმუსაიფონ.... ჩვენი მდაბიო ხალხი ისე დარწმუნებულია ხატების ძალიერებაზე, რომ ერთი მარტო წმ. გიორგის ხსენება დიდ შიშსა ჰგვრის და თუ ვინმემ უთხრა ეს და ეს უბედურება შენს თავზე წმ. გიორგის წყრომით არისო, მზად იქნება ყოველივე თავისი სცხოვრებელი გაჰყიდოს, მხოლოდ მოიბრუნოს წმ. გიორგის გული ბევრი მაგალითები მახსოვს, „ყინით“ ავადმყოფობისა, მაგრამ აქ მოვიყვანთ მხოლოდ ორ მაგალითს: ა) წალენჯიხის საზოგადოებაში ს. მაზანდარაში—ამ რამდენიმე წლის წინად ვითომდა გახდა ავად „ყინიშით“ ერთი მოწიფული ემაწვილი. მან მოიწვია ქალები სხვა სოფლიდან, ამ ნაირად შეგროვდა 5—6 მდე ავადმყოფი. ეს ამბავი რომ გაიგო იმ სოფლის მდვდელმა—სამსონ თვალთვაძემ, მივიდა ავადმყოფებთან და მოინდომა იმათი გარეკვა; მოძღვარს და ავადმყოფებს მოუხდა შეტაკება, რომლის დროსაც ცრუ ავადმყოფებმა იფრინეს მდვდელი, რომელსაც ჯოხი და ქუდი იქვე დარჩა. მე თვითონ ვიუავი მოწამედ, როცა ეს სულიერი მამა მივიდა გამომძიებელთან და სთხოვა ოქმი შეედგინა. გამომძიებელმა მოიხმო დამნაშავენი და შეუდგა საქმის გამოძიებას, მარა შეეგედრენ მდვდელს, მისცეს პირობა შემდეგ არ ვიქმთ არაფერს მაგის მსგავსო და მდვდელმაც აპატია.

ბ) ს. ცაიში, ზუგდიდის მაზრაში ვიღაც ქალი, გვარად ვართაგავა ამ რამდენიმე წლის წინად გახდა ავად „ყინიშიდ“; მოიწვია სხვა საზოგადოებიდან ემაწვილები, ქალიშვილები და შეაგროვა ოცზე მეტი წმინდანი, თვითონ წმ. გიორგის გამომხატველი იყო, დანარჩენები სხვა და სხვა წმიდანებისა. აუარებელი ხალხი სხვა და სხვა სოფლებიდან მიდიოდა სალოცავად, მიჰქონდათ შესაწირავი წმიდანებთან, რომელთაც შეადგინეს საუცხოო გუნდი მგალობელთა. დადამდებოდა თუ არა, გუნდი „წმინდანებისა“, ანთებულ სანთლებით გასწევდა მდინარის ნაპირას, სადაც ხდებოდა ნათლის ღება. ამოდენა წმიდანების განხორციელებით შეშინებული ხალხი სახლიდან თავს ვერ ეოფდა გარედ და „წმიდანებიც“ ვინ იცის რას შვრებოდენ.... თვენახევარზე მეტი ასეთს ეოფაში იყვნენ. ეს ამბავი გაიგო მაზრის უფროსმა ო. დადეშქელიანმა, დააპატიმრა ყველანი. როცა გასჩხრიკეს პოლიციამ სახლი, ნახა შემოწირული წმინდა სანთელი ხუთასი მანეთისა. როცა ისინი შე-

იუვანეს სტუსადოში, ეკითხენ: „რავა უბედავთ წმიდანებს დამწყევეს, ახლავე დაინგრევა ციხეო. როცა ეს „წმინდანები“ გონს მოვიდნენ, მაზრის უფროსმა გაანთავისლა ისინი, ახლაც ზოგი მათგანი არხეინად ცხოვრობს. ერთს მათგანს, რომელიც წარმოადგენდა იოანნე ნათლის მცემელს, ეკითხეს: ამას წინად—რაში იყო საქმე მეთქი; მან მიპასუხა: შემაცდინა იმ ქალმაო, მითხრა, ადვილად შეიძლება ხალხი ჩვენ დაგვეგეს, და თუ კი ორი სამი საზოგადოება მოვიმხრეთ, მაშინ დანარჩენიც ჩვენ მოგვეგება, და მერე ჩვენ წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელი გახდებაო, ჩვენ რომ მეთაურები ვიქნებით, ჩვენი სახელი არას დროს არ დავარდებაო; ტოტა არ იყოს ეს აზრი მეც ჭკუაში მომივიდა, მით უმეტეს, რომ ყოველ დღე აუარებელი ხალხი ჭეროვდებოდა ჩვენთან თაყვანისცემლად. როცა ტოტა დრომ განვლო, მეც წარმოვიდგინე, უთუოთ წმიდანი ვარ მეთქი, რადგან ამდენი ხალხი თაყვანსა მცემს, ყველა წმიდანები ადამიანები იყვნენ, და მეც წმიდანი ვარ მეთქი, და ჩემი კეთილდღეობის გრძნობა სულ დამეკარგა. ეი ასეთი აზრებით ვიყავი გაჟღენთილი. ახლა ხომ ვიცი რა უსინდისობა ჩამიდენია, მაგრამ რას უშველიო“. მოყვანილ მაგალითებით საგსეა სამეგრელო და აფხაზეთი, მეც ბევრის მოწმე ვარ, მაგრამ ყველაფრის ადნუსხვა მეტად ვსცანი, ნათქვამიდანაც ადვილად მიხვდება მკითხველი, თუ რა კულტურული ძალაა საჭირო სოფლათ, რა მოვალეობა აწევთ კისერზედ მდვდლებსა და მასწავლებლებს. საჭიროა მეტი მხნეობა, ხალხში კულტურული მუშაობა, ჭეშმარიტი სწავლა-განათლების გავრცელება, რომელიც მოსპობს იმ ცრუმორწმუნეობას, რითაც იდუჰება დღეს ჩვენი სამშობლოს ერთი მშვენიერი კუთხე. ამ საქმეში ისეთი გულგრილობა, რასაც დღემდის ვიჩენდით, ეოვლად შეუწყნარებელია; ნათლად სჩანს, რომ დღევანდელმა დუხჭირმა სკოლამ სინათლის მაგიერ სიბნელე შეიტანა ხალხში; საჭიროა სკოლის გარდაქმნა, მოზარდ-თაობის აღზრდა ადგილობრივს ნიადაგზე და შთაგონება თუ რა ვნება მოაქვს ხალხისთვის აუარებელს ცრუმორწმუნოებას; საჭიროა ქართული ენის და წერა-კითხვის გავრცელება მოზრდილებშიაც, ცხოველი სიტყვით ქადაგება მათში ჭეშმარიტი აზრებისა, სახალხო კითხვების გამართვა, ბიბლიოტეკების დაარსება და საერთო ზრუნვა ხალხის გონების განვითარებაზე, რაც შეადგენს სოფლად მდვდლების, მასწავლებლების და ყველა ტოტათ თუ ბევრად განვითარებული ადამიანის მოვალეობას და ვინც ამას არ ასრულებს, ის სამუდამოდ დაგმობილი იქნება შთამომავლობის მიერ.

ერასტო როდონაია,
სოფელი მუხური, ზუგდიდის მაზრა.

სანიმუშო პროგრამები

საქართველოს სახალხო სკოლებისათვის

საუბარი და ბუნების მეტყველება

I. განყოფილება.

საუბარი დედაენასთან დაკავშირებით ანბანის შესწავლის შემდეგ: განხილვა და აღწერა ცნობილის საგნებისა. ოჯახის მოწყობილობისა, სკოლისა და მის გარშემო საგნებისა ცხადი წარმოდგენილებათა შესადგენად საგნებზე და მათ თვისებებზე. საკლასო კუთვნილებანი, სათამაშო და სასწავლო ნივთები, დგამი, ჭურჭელი, სასმელი და საჭმელი, საცმელი, იარაღები, შენობანი, შინაური და გარეული

ცხოველები და ფრინველები, ქვეწარმავალნი, თევზები, მწერები, მცენარეულობა; ხე, ხეხილი, ჩირგვები, ბოსტნეული, აწერა გაცნობილი საგნების მონათესავე საგნებისა—ადგილის მეოფლობით, ფორმით, მასალით, მომზადებისა და ხმარების მხრივ.

მე-II განყოფილება.

ბავშვების გონების გაფართოება მახლობელ საგნებზე, მათი უფრო დაწვრილებითი განხილვა, შესწავლა ახალი საგნებისა ოჯახისა და სკოლის მახლობლად. ქვები, ლითონები და მადნეულობანი, წელიწადის დრონი, თვეები, ადამიანის სხეულის აწერილობა, ხუთი გრძნობა, ბუნების მოვლენანი მოკლედ, ქვეყნის ოთხი მხარე, მდინარე და მისი ნაწილები.

ადამიანისათვის სასარგებლო ცხოველები, ფრინველები, მწერები, თევზები, ვეშაპი და სხვა წყლის რძითმკვებავნი, მწერიწამია რძით მკვებავნი, ბეწვიანი მხეცები.

მავნე ცხოველები (მხეცები), მუქთახორები ანუ პარაზიტები, შხამიანი ცხოველები, შინაური ქონებისათვის მავნე ცხოველები, მცენარისათვის სასარგებლო და მავნე ცხოველები, დაეოფა ცხოველებისა ხერხემლიანად და უხერხემლოდ; ხერხემლიანების დაჰყოფა: რძით მკვებავნი, ფრინველები, ქვეწარმავალნი, თევზები. უხერხემლონი: მწერები, ობობები, კიბოები, ჭიები და რბილტანიანები.

მე-III განყოფილება.

დედა-მიწა: ზეადაგი, ნიადაგი. ზეადაგის შემადგენელი ნაწილები. ქვანახშირი, ქვამარილი, მარილი, ნავთი, შავი ქვა, ოქრო, ვერცხლი, რკინა, რვალი, ქარვა, ანდამანტი, ვერცხლის წყალი, გოგირდი, სტალაკტიტი და სტალაგმიტი.

ჰაერი. ჰაერის თვისება, სითბო და სიცივე, გაგანიერება სითბოსაგან, სითხე და სიმაძიმე ჰაერისა, ჰაერის მოძრაობა ბუნებაში, ქარის გაჩენა, ზარალი და სარგებლობა ქარისაგან. ჰაერის შემადგენელი ნაწილები. როგორ ჩნდება სითბო. სითბოს კარგი და ცუდი გამტარებელი ნივთები.

წყალი: ადგილ-მდგომარეობა წყლისა, მდინარის ნაწილები, წყლის სივრცე დედა-მიწაზე, წყლის სამი მდგომარეობა, სითბოსა და სიცივის გავლენა წყალზე, ტერმომეტრი, თოვლის დადნობა, ორთქლი, გადნობა წყალში სხეულებისა. მლაშე წყლები, ზღვა. ზღვიდან მარილის გამოტანა. ბუნების მოვლენანი: ნამი, რთვილი, ნისლი, დრუბელი, წვიმა, თოვლი და ცისარტყელა. წყლის მოქმედება ხმელეთზე, ქვების დაშლა, ზეადაგის შედგენა, დედამიწის მოუვანილობა, მისი სიდიდე, მოძრაობა დედამიწისა, დაჰყოფა დედამიწისა მატერიკებად და კუნძულებად, ქვეყნის ნაწილები, ოკეანები, მიწის ძვრა, ცეცხლის მფრქვეველი მთები (სანძრები), თბილი წყლები, მადნეულის წყლები.

მე-IV განყოფილება.

ადგილობრივი კულტურული მცენარეები. მცენარის ადმოცენება. თესლი, ნასახი, თესლის გადვივება, ძირი, ფესვები, ჩინჩლები, ძაფის მსგავსი სორსლები; ბუშტი, რომლითაც მცენარე სწოვს სინოყიერეს მიწიდან; თესლ-ბიბილოები, ბოლქვნარი მცენარეები, როგორ ითესება მცენარე ბუნებაში, ხე როგორ იზრდება, ხის ნაწილები: ძირი, ტანი, ტოტები, ულორტი, კოკორი, ქერქი, ათუკა, ცილა, მერქანი, გული; ფოთოლი და მისი მნიშვნელობა, ყვავილი, მისი ნაწილები და მნიშვნელობა, ნაყოფი, ხეხილები, ხეები, ჭინახული, ბოსტნეული.

ცხელი ქვეყნის მცენარეები, ცივი ქვეყნის მცენარეები, მნიშვნელობა მცენარეებისა საზოგადოთ, დამოკიდებულება მცენარეთა და ცხოველთა შორის. რა სარგებლობას აძლევს კაცს მცენარეები და ცხოველები. მსგავსება ცხოველთა და მცენარეთა შორის.

ანატომიური, ფიზიოლოგიური და ჰიგიენური ცნობები (მოკლედ). ადამიანის სხეულის აგებულება, სამოძრაო ორგანოები. ჩონჩხი და კუნთები (მუსკულები), ჩონჩხის ნაწილები, დანიშნულება, ძვლების ფორმა, მოუვანილობა, მათი გადაბმა და შეერთება, კუნთების დანიშნულება, აგებულება, ფორმა, ძვლებზე გადაბმა.

საჭმლის მომნელებელი ორგანოები, მათი დაყოფა, საჭმლის შეცვლა პირში, კუჭში და ნაწლავებში, უმთავრესი საკვები მასალა. სისხლის შენივთება ანუ შედგენა. სისხლის მოძრაობა. სისხლის მატარებელი ორგანოები; გული და მისი ნაწილები, სასუნთქავი ორგანოები—ჰაერგვარის შეცვლა ფილტვებში, სადი სუნთქვის პირობები, კანის შედგენილება, მოვლა კანისა, ტანისამოსი, სისუფთავე და მისი მნიშვნელობა, **გრძნობის ორგანოები.** მოკლე ცნობები ნერვების სისტემაზე და გრძნობის ორგანოების შესახებ, მათი მოვლა. ჰიგიენური საუბარი ჰაერზე და წყალზე.

ბუნების მეტყველება.

(ელემენტარული ფიზიკა, ქიმია, ბოტანიკა, ზოოლოგია და ჰიგიენა).

მე-V და მე-VI განყოფილება.

სხეულები: მაგარი, თხელი, ჰაერგვარი. სიმძიმე სხეულებისა, სითბო, სითბოს გამოწვევა, გატარება, ტერმომეტრი, ცუდი და კარგი გამტარებელი სითბოსი, დუღილი, გადადნობა და აორთქლება.

წყალი—(გამეორება): რთვილი, ნამი, ნისლი, ღრუბელი, წვიმა, თოვლი და სეტყვა. სხეულის ტივტივი წყალზე, სხეულების გადნობა წყალში, დაკვრისტალება; შეფარდებითი სიმძიმე (**удѣльный вѣсъ**), კარგთიანებული ჭურჭლები, წყლის დაწმენდა, წყლის შედგენილობა, წყალბადის თვისება.

ფიზიკური სხეულების საზოგადო თვისება: მიუწოდმლობა (непроницаемость), განწვალებულება, დანაწილება (дѣлимость) ფორიანობა (скважность) მიმზიდველობა (притяженіе), სიმაგრე (твердость) სიმკვრივე, მოუდრეკელობა (упругость), მიკვრა (прилипаніе) ბოლოვა (волосность), სიმძიმე (тяжесть) და ინერცია.

ჰაერი—დამტკიცება ჰაერის არსებობისა, დაწოლა ჰაერისა, შედგენილობა, თვისება მყავბადისა, აზოტისა და ნახშირ მყავ-ჰაერგვარისა, ცნებები დაწვაზე. ალი.

მარტივი და რთული სხეულები; ლითონები და არა ლითონები.

ცნებები ატომებზე, მყავბადე. მყავბადის შეერთება სხვა სხეულებთან, წყალბადი; წყალი და მისი ქიმიური შედგენილება, აზოტი და მისი შეერთება მყავბადესთან, გოგირდი, მისი შეერთება მყავბადესთან, აზოტის სიმყავე, გვარჯილა, გოგირდის სიმყავე და იმისი უმთავრესი მარილები, შაბიაბანი, გიპსი.

ფოსფორი, ფოსფორის შეერთება მყავბადესთან და წყალბადთან, ფოსფორის სიმყავე.

ხლორი, ხლორის წყალბადი, მარილის სიმყავე. ნახშირმბადე, მყავბადის და ნახშირმბადის შეერთებანი, ნახშირმყავე და მისი მარილები (სოდა, საკირე ქვები) საზოგადო ქიმიური თვისებანი ლითონებისა.—

ედა-მიწა—უსაჭიროესი მადნეულებანი, გაცნობა მათი და მოხმარება; მიწის ზედაპირის შეცვლა ჰაერის, წყლის და ბუნების სხვა და სხვა ძალთაგან.

გაცნობა ყვავილოვან მცენარეთა რამდენიმე ცალისა, ყვავილის შედგენილება, გამტვერიანება, ნაყოფის გაჩენა, თესლი; სხვა და სხვა ნაყოფი, უმთავრესი დამახასიათებელი თვისებები მცენარის ძირისა, ტანისა და ფოთლებისა.

გაცნობა სხვა და სხვა ადგილობრივ მცენარეულობისა, ცნობები მცენარეთა აგებულობაზე, შენობაზე, უჯრედებზე, დაჭყოფა მცე-

ნარეთა ჯგუფებად და შესწავლა თითოეული ჯგუფის ორი-სამი წარმომადგენელისა.

ცნობები მარტივ ცხოველებზე; მათი უმთავრესი წარმომადგენლები: ჭიები, ღრუბელი, ალიტრიონი (მედუზა), მარჯანის ოთხოპოდი (королевый полипъ) წურბელები და სხ.

კიბო, ობობა და სხვა, მწერები. ხერხემლიანი ცხოველები: თევზები, ქვეწარმავალნი, ფრინველები, უხერხემლონი, შესწავლა ზოოლოგიურად თითოეული კლასის თითო ორდა წარმომადგენლებისა.

გაფართოება წინა განყოფილებებში ნასწავლისა ადამიანის სხეულის ანატომია-ფიზიოლოგიიდან და ჰიგიენიდან. ადამიანის სხეულის აგებულება; ჩონჩხი, კუნთები, ნერვები, კბილები და მისი მოვლა; სჯმელი და სჯმლის მონელება, სისხლი, წითელი და თეთრი სორსლები, სისხლის ტრიალი, სუნთქვა, ჰაერი, წყალი, სასმელი და სჯმელი ჰიგიენის მხრივ, საზრდობა, შენახვა, მომზადება და გემო სჯმლისა, სასმელები, ტანსასმოსი, სადგომი; რაგორ უნდა დაიფაროს კაცმა თავი გადამდები სენისაგან.

შენიშვნა: თავდაპირველად ბუნებას და ბავშვის გარშემო არსებულს საგნებს და მოვლენებს დაბალს განყოფილებებში მოწაფეები გაიცნობენ პირადის დაკვირვებით და მასწავლებლის ცოცხალი საუბრის საშვალებით.—მასალას ამ მხრით იძლევა დედა ენის სახელმძღვანელო წიგნიც; მხოლოდ მასწავლებელმა ეს მასალა შესაფერისად უნდა დაამუშაოს და გასაგების სიტყვებით ესაუბროს მათ შესახებ მოწაფეებს. ერთკლასიანი სკოლის უფროს განყოფილებებში, გარდა იმ მასალისა, რასაც იძლევა სახელმძღვანელო წიგნი „**ბუნების კარი**“, მასწავლებელმა, ადგილობრივი პირობების მიხედვით, უნდა ისარგებლოს სხვა მასალითაც, შეავსოს და სისტემატიურად დაალაგოს მასალები და ისე ცოცხალ საუბრით და თვალსაჩინო განხილვით გააცნოს მოწაფეებს ესა თუ ის საგანი და შემდეგ წააკითხოს წიგნში. ყოველ შემთხვევაში **დაკვირვებას, ცოცხალ სიტყვას და თვალსაჩინოებას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს საუბრებით სწავლების დროს.**

გარდა თვალსაჩინო კოლექციებისა, რასაც ადგილობრივ მოაგროვებენ, სკოლაში საჭიროა შემდეგი სურათები: 1. „**ყვავილთა ფორის**“ 50 სურათი ბოტანიკიდან, გამოცემული რუბაკინის რედაქციით და **მეზიერის** განმარტებითი წერილით, ღირს კარდონზე გაკრული 6 მანეთად; 2) „**ცხოველთა სამეფო**“, თორმეტი დიდი კედლის სურათი ფერადებით და განმარტებითი წერილით, გამოცემული ტულუპოვისა და ჩეხოვის რედაქციით, ფასი 1 მ. 50 კ. 3) „**ანატომია კაცისა**“ 11 სურათი ახსნით **3. კანელისა**. ფასი 3 მან. 4) „**კბილები და მათი მოვლა**“ დიდი სურათი ახსნით **კანელისა**. საჭიროა აგრეთვე ყველა სკოლასთან შეძლების დაგვარად მოწყობილი იქმნას პატარა ფიზიკური კაბინეტი და ქიმიური ლაბორატორია. ამაში მასწავლებელს ხელს გაუმართავს შემდეგი სახელმძღვანელოები: 1 **ქიმია**. პოპოვი. **3. ი.** „ქიმია თვით განვითარებისათვის იაფ ლაბორატორიაში“, აკადემიკოს ბეკეტოვის წინასიტყვაობით. 2) „**ექსპერიმენტარული ქიმია**“; 1 ქიმიური ლაბორატორია და 2) ქიმიური ცდები“ **3. ა. ფეინშტოკისა** „Вѣстн. Зн.“ გამოცემა. 3) „უმარტივესი ცდები“ ბუნების მოვლენათა ასახსნელად 175 სურათით **ე. ი. სმირნოვისა** სიტინის გამოცემა ფასი 40 კ. 4) **გოლიკოვი**. ბუნების მეტყველების გაკვეთილები, ფიზიკიდან, ქიმიიდან, მეტეოროლოგიიდან, მინერალოგიიდან და გეოლოგიიდან ფასი 25 კაპ. 5) **გოტვალდი**—თვალსაჩინოდ შესწავლა ფიზიკისა. 6) **ფიზიკა და ქიმია** ნ. ლომაურისა, დაბეჭდილია 1906 წლის „ნაკადულის“ ნომრებში. 7) „**Предметный методъ обученія**“ ვახტეროვისა ფასი 50 კ. 8) **ა. იგნატოვიჩი**: „**Элементарное объясненіе явленій природы** ფასი 60 კ. 9) ქიმია როსკოსი, თარგმანი **რცხილაძის**-მიერ.

რ უ ს ე თ ი

სასკოლო საკითხი

სახალმწიფო სათათბიროში

17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ ცოტა იმედი მოგვეცა, რომ სახალხო განათლების უკეულმართი წესები ცოტად თუ ბევრად გაუმჯობესდებოდა ახალი კანონების შემოღებით; თუმცა სასკოლო საკითხი ჯერ ჯეროობით საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის, მაგრამ მაინც დიდი გულთმისნობა არ არის საჭირო იმის გამოსაცნობად, რომ დღევანდელი პირობები სახეიროს ვერაფერს გვიქადის.

ჩვენთვის უფრო საყურადღებოა არა-რუსთა სკოლების საკითხი და მისი სვეგედი სახელმწიფო სათათბიროში. ამ საგნის შესახებ, როგორც სჩანს დეპუტატის კ ჩხეიძის წერილიდან (იხ. „ჩვენი გაზეთი" № 3), კომისიას, რომელსაც მინდობილი ჰქონდა არა-რუსთა სკოლების საკითხი, მიეღია შემდეგი პროექტი:

1. მაზრებში, სადაც „ინოროდცთა" რიცხვი აღემატება 50%, მცხოვრებთ ნება ეძლევათ დააარსონ პირველ დაწყებითი სკოლები, რომლებშიაც სწავლება უნდა სწარმოებდეს დედა-ენაზე, თუ ამ ენაზე არსებობს წერა და ლიტერატურა; თუ სკოლაში მისდებ ბავშვთა შორის, რომელნიც შთამომავლობით ერთსა და იმავე ხალხს ეკუთვნიან, უმეტესობა არ ლაპარაკობს რუსულათ.

შენიშვნა. ეს წესი არ შეეხება საშუალო ასაკს, აღმოსავლეთ ციმბირს და შორეულ აღმოსავლეთს.

როგორც შენიშვნიდან სჩანს ეს წესი ჩვენ ქართველებსაც შეგვეხება. ძლიერ ძნელია ყველა ერთა საკითხი სწავლა-განათლების შესახებ ჩამოსხმული იქმნას ერთს ყალიბში; ამას მოჰყვება აუცილებლათ სასწავლო უწყების მოხელეთა თვითნებობა; თვითონ წინადადება თუ უმეტესობა არ ლაპარაკობს რუსულადო, იძლევა ამის საბუთს. საყველპურო რუსული დღეს ჩვენში თითქმის ყველამ იცის, მაგრამ ეს არ შეადგენს ისეთს საბუთს, რომლის ძალითაც შეიძლებოდეს ჩვენს სკოლებში რუსულად სწავლება. სწორედ ეს საყველპურო რუსულის ცოდნა ზოგიერთებს მართლა ცოდნად მიაჩნიათ. ამ რამდენიმე წლის წინად კავკასიის ყოფილმა მზრუნველმა ზავადსკიმ დაათვალიერა ერთი სასწავლებელი, სადაც მასწავლებლად ამ სტრიქონების დამწერი იყო, როცა მზრუნველმა გაიგო, რომ არითმეტიკას დაბალ განყოფილებებში რუსულად არ ვასწავლიდი, შემომწყრა. ვერც ერთმა ჩემმა საბუთმა, ბავშვების მიერ ენის უცოდინარობისამ, ვერ გასჭრა; შევიდა თვითონ უმცროს განყოფილებაში, უჩვენა ბავშვებს ერთი თითი და ჰკითხა—რამდენიაო—**одинъ**-ო, უთხრეს ბავშვებმა, მეორე თითი უჩვენა—ესეც—**одинъ**-ო. ორივე ერთად გამოვიდა—**два**. ბავშვებმა იცოდნენ **одинъ** და **два**, ამით დამიმტკიცა მზრუნველმა. რომ ბავშვებს შეუძლიათ რუსულად სწავლა და არ ასწავლიო. ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ ამოწერილი მუხლი, როგორც ვთქვით, ვერ იხსნის ჩვენს სკოლებს მეთვალყურის თავნებობისაგან. ზავადსკის წინა-მოადგილე იანოვსკიც, თუმცა გარუსების პოლიტიკას ემსახურებოდა ჩვენში, მაგრამ ბოლო დროს მან სიტყვიერად მაინც წარმოსთქვა საღი აზრი: „**Все изучаемое по**

какому-бы то ни было учебному предмету, а тѣмъ болѣе по Закону Божію, должно быть усвоено сознательно, а для этого необходимо, чтобы все это было излагаемо туземцамъ на ихъ родномъ языкѣ“ (Рус. шк. 1908 г. № 7—8). მოგეხსენებათ, რომ ქართლში და კახეთში ბლომად არიან გაქართველებული სომხები, ქართლში ოსებიც, რომელთაც ქართული უფრო ეხერხებათ; რომელ ენაზედ უნდა ასწავლონ ამათ თავიანთ შვილებს, თუნდა ცალკე სკოლებიც ჰქონდესთ; უეჭველია იმ ენაზედ, რომელიც უკეთ იციან და რომელიც მუდმივ ხმარებაშია ოჯახში და გარეთ მეზობლებში, ე. ი. ქართულ ენაზედ; ამაში შოვინისტობას ვერავინ ვერ დაგვწამებს, აქ საღი პედაგოგიური მოსაზრებაა, რომელიც სკოლას ნაყოფიერების გზაზედ აყენებს. იანოვსკისაც უეჭველად პედაგოგიურმა მოსაზრებამ ათქმევინა: **„Многіе армяне говорятъ только по грузински, въ такомъ случаѣ ихъ роднымъ языкомъ служитъ грузинскій“** (იქვე). აშნაირად ამ პირველ მუხლში, როგორც მკითხველი დაინახავს, არაფერია ხელსაყრელი არც ჩვენთვის და არც ჩვენი მეზობლებისათვის.

2. ასეთს სკოლებში დედა-ენაზე სწავლებას აწესრიგებს სამაზრო სამოსწავლო სათათბირო ადგილობრივ მცხოვრებთა სურვილის თანახმად. ეს სურვილი უნდა გამოიხატოს ხაერთო დადგენილებით ან საერთო თხოვნით.

3. თუ ადგილობრივი მცხოვრებნი თავიანთ სურვილს შესცვლიან, სწავლება იწარმოებს საერთო დებულებათა მიხედვით.

ხალხის სურვილზე დაძყარება, რასაკვირველია, საჭიროა; ძნელად იხეირებს ის საქმე, რასაც ხალხი არ თანაუგრძნობს, რაც არ გამომდინარეობს თვით ხალხის გონებიდან; მაგრამ, როდესაც ხალხს სურვილებს უკვეც, როცა ამ ხდომა-სურვილს განძრახ აყენებ შემოფარგლულს წრეში, ძალას ატან ხალხს იაზროვნოს ისე, როგორც სხვას სურს და არა ისე, როგორც თვითონ ხალხსა სწამს და საკეთილოდ მიაჩნია, მაშინ ფრთა შეკვეცილი ხალხის სურვილიც არ იქნება სინამდვილის გამომხატველი; ამას შედეგად მოჰყვება მესამე მუხლის განხორციელებაც, რაც კუდად მიჰყვება მეორე მუხლსა და რომელშიაც სწორედ ძაღლის თავია დამარხული. ჩავყვეთ ქვევით.

4. გარდა რუსული ენისა ერთ-კლასიან სკოლებში ყველა საგნების სწავლება სწარმოებს დედა-ენაზე პირველ ოთხ წელიწადს.

5. პირველი სამოსწავლო წლის მეორე ნახევარში სავალდებულოა რუსული ენის სწავლება.

6. რუსული ენის სწავლება უნდა სწარმოებდეს რუსულ ენაზედვე. დედა-ენა ამ შემთხვევაში როგორც დახმარებითი საშუალება, ნებადართული იქნება მხოლოდ პირველი წლის განმავლობაში.

7. ასეთ სკოლებში კურს დასრულებულმა უნდა იცოდეს: ლაპარაკი და ჩქარა კითხვა რუსულათ, წაკითხულის გასაგებად გადაცემა და სიტყვების დაუმახინჯებლათ წერა კარნახით.

დიდი მეცნიერება გამოუჩენია კომისიას, რომელმაც ასეთი სიბრძნე წარმოსთქვა, რომ უცხო ენის სწავლება უცხო ენაზედვე უნდა სწარმოებდესო. ე. ი. ჩვენში ცნობილი მუნჯური მეთოდით, რომლის ნაყოფი საკმარისად იწვნია ქართველმა ერმა და დაჰგმო იგი; დღეს არც ერთი გონიერი ადამიანი არ ჰყოფს უარს, რომ დედა-ენა, როგორც ერთი უძლიერესი იარაღთაგანი, საჭირო არ იყოს უცხო ენის სწავლების დროს; თვითონ სამინისტრომაც კი, ბევრის წვალების შემ-

დეგ, საჭიროდ დაინახა, რომ რუსული ენა არა-რუსთა სკოლებში დედა-ენის საშუალებით ისწავლებოდეს უფროს განყოფილებებშიაც და ამიტომ 1907 წლის სასწავლო გეგმას არა რუსთა სკოლებისათვის ასეთი შენიშვნა გაუკეთა: „**природный языкъ дѣтей въ 3-й и 4-й годы обученія употребляется въ помощь къ нему**“. კომისიამ თავისი სიბრძნით სამინისტროსაც კი გადააჭარბა და ხალხის სურვილსაც გზა შეკრული აქვს ამ საკითხში. სამაგიეროდ კომისია ეთანხმება სამინისტროს კანონ-პროექტს, რომ რუსული ენის სწავლება იწყებოდეს პირველი წლის მეორე ნახევრიდან. თუ როდის უნდა იწყებოდეს რუსული ენის სწავლება ჩვენს სახალხო სკოლებში, ამის შესახებ ვრცელი წერილები და გარკვეული პასუხი არა ერთხელ დასტამბულა ჟურნალ „განათლებაში“; არ გავიმეორებთ ერთხელ ნათქვამს, ვიტყვით მხოლოდ, რომ უდროოდ სწავლება უცხო ენისა არც ამ ენისათვის არის სასარგებლო და არც ბავშვის გონების განვითარებისათვის; ეს ისეთი მარტივი ჭეშმარიტებაა, რომ მის დასამტკიცებლათ აუარებელს აზრებს მოიყვანს კაცი ნაფიც პედაგოგებისას, მაგრამ სადაც სიმართლე არ გადის და ძალა ვერა სჭრის, იქ რეგვენს ვერაფრით შეაგონებ. ვიდრე ბავშვი ცოტად თუ ბევრად არ არის განვითარებული დედა-ენაზე, ვიდრე საკმარისად თავისუფლად არ შეუძლია გამოთქვას დედა-ენაზე თავისი გულის ზრახვანი, მანამდის უცხო ენის სწავლება ზიანის მეტს ვერავითარ სარგებლობას ვერ მოიტანს და უცხო ენაც, რამდენადაც უმდიდრესი იყოს იგი დედა-ენაზე, იმის ერთ მეათედ ცოდნასაც ვერ შესძენს, რაც ბავშვს შეუძლიან შეიძინოს დედა-ენაზე. მაგრამ ეს უტყუარი ჭეშმარიტება განა ყველას ესმის? და თუ ესმის ემეტება კი ის სხვისთვის?

როგორც ჩვენი ჟურნალის მკითხველებს ეცოდინება, რუსული ენის სწავლების დაწყებას ჩვენ ვთხოულობთ ოთხწლიან სკოლის მესამე წლიდან და დარწმუნებული ვართ, რომ შედეგი ამგვარი სწავლებისა, როცა ბავშვი უკეთ განვითარებული მეტის შეგნებითა იწყებს უცხო ენის სწავლას, ნაკლები არ იქნება იმაზე, რასაც კომისიის მეშვიდე მუხლი მოითხოვს.

8. სამხსწავლო გეგმას ყოველი განყოფილებისთვის ადგენს სახალხო განათლების მინისტრი.

9. სამხსწავლო დღეების რიცხვს საზღვრავს სამაზრო სამხსწავლო სათათბირო. ყოველ შემთხვევაში ქალაქად წელიწადში უნდა იყოს 200 სამხსწავლო დღე, სოფლად — 180.

10. მასწავლებლებათ იქნებიან რუსული და და დედა-ენის კარგად მცოდნე პირნი, თუ მათ ამასთან ექნებათ შესაფერი სამასწავლებლო წოდება.

ამ მერვე მუხლიდან ცხადად სჩანს ცენტრალური მართვა-გამგეობის წესების შემოღება სკოლებში, ამის მიხედვით განაპირა ქვეყნებს და არა-რუსთა სკოლებს გეგმა ყოველი განყოფილებისათვის პეტერბურგიდან უნდა მიაწოდოს სამინისტრომ, ამისთანა წესი კი სკოლას სარგებლობას ვერ მოუტანს, რადგანაც ამ შემთხვევაში სრულიად მივიწყებული იქნება ადგილობრივი პირობები, ხალხის მოთხოვნილება და სხვა ფრიად საჭირო მხარე, რომელიც სკოლის სულის ჩამდგმელია და რომლის უარის ყოფა სკოლის უნაყოფობას მოასწავებს. მხოლოდ იმ სკოლას შეუძლიან სარგებლობის მო-

ტანა, რომლის სწავლების საქმე მოწყობილია ადგილობრივი პირობების თანახმად. ყოვლად შეუწყნარებელია ის აზრი, რომ რუსეთში ყველგან ერთგვარი ტიპის სასწავლებელი იყოს სამინისტროს გეგმით ჩამოყალიბებული. საზოგადო განათლების სკოლებში მოწაფეები მაშინ მიიღებენ ნამდვილ განათლებას, როცა სკოლის საქმეები შეგუებულია ადგილობრივს პირობებთან და ცხოვრების მოთხოვნილებასთან; ყველა ამის კარგად გათვალისწინება, ყველა საჭირო პირობების დაცვა შესაძლებელია მხოლოდ ადგილობრივ საგნის განხილვით, ამის მიხედვით ყველა ცალკე ერს ნება უნდა ჰქონდეს სკოლების გეგმის შედგენისა ადგილობრივი პირობების სახეში მიღებით და დაცვით, სამინისტროს კი უფლება უნდა ჰქონდეს საჭირო შემთხვევაში კანტროლიც გაუწიოს და დახმარებაც აღმოუჩინოს სკოლებს ხაზინიდან, საცა საჭირო იქნება. კომისიის გეგმის მიხედვით სამოსწავლო დღე სოფლად 180 უნდა იყოსო, კეთილი სურვილია, მაგრამ შესაძლებელი კი არის? ზოგან საქართველოში სოფლის სკოლებში ოთხ ხუთ თვეს ძლივსღა ატარებენ ბავშვებს სკოლებში; ამის მიზეზი ადგილობრივი ეკონომიური მდგომარეობაა, ბავშვები სახლში სჭირდებათ მომხმარეთ და სკოლაში, სოფლად მუშაობის დროს, ვერ ატარებენ. ყველა ეს ნათლად გვიჩვენებს რამდენად საჭიროა ადგილობრივი პირობების მიღება და დაცვა, რომელიც შეუძლებელია პეტერბურგიდან გამოგზავნილი ბრძანებით, ცენტრალურ მართვა-გამგეობის წესით.

11. ორ-კლასიან სასწავლებლებში ერთი მასწავლებელთაგანი (კაცი იქნება თუ ქალი), დამოუკიდებლათ სარწმუნოების და ეროვნებისა, უნდა იქნეს ისეთი, რომ მის ბუნებრივ ენას შეადგენდეს რუსული ენა.

12. ოანახმათ ადგილობრივ მცხოვრებთა სურვილისა ასეთ სკოლებთან შეიძლება დაარსონ დამატებითი და განმეორებისათვის საჭირო კლასები რუსული ენისა და სბავშვო ბაღები, სადაც ბავშვები წინდაწინვე გაეცნობიან რუსულ ენას, ეს დაწესებულებანი შეიძლება გაიხსნას ან მცხოვრებლების, ან ხაზინის ხარჯზე და ხაზინის დახმარებით; ასეთი კლასები და ბაღები შეიძლება გაიხსნას აგრეთვე როგორც სავსებით დამოუკიდებელი დაწესებულებანი.

13. დაუფასებს რა ინსპექტორი რუსული ენის ცოდნას ასეთ სკოლებში, მას ამ შემთხვევაში პროტესტის უფლება ეძლევა. ასეთივე უფლება ეძლევა სამაზრო სამოსწავლო სათათბიროში სკოლების დირექტორს.

მეთერთმეტე მუხლში ის აზრია გატარებული, რომ ორ კლასიან სკოლებში ერთი მასწავლებელი რუსი უნდა იყოსო. ცხადად არა სჩანს ამ რუსმა უნდა იცოდეს ადგილობრივი ენა თუ არა, მაგრამ ვთქვათ, რომ უნდა იცოდეს (უფრო კი საყველ პუროდ, თითო ოროლა სიტყვა თუ ეცოდინება), რადგანაც ქვემოთ პროექტი მოითხოვს, ერთი ადგილობრივი ენის ცოდნას; საქმე მარტო ენის ცოდნაში არ არის; მასწავლებელმა, ვინც უნდა იყოს იგი, დაწვრილებით უნდა იცოდეს ენის გარდა იმ ხალხის ზნე, ხასიათი, ჩვეულება და სხვა საჭირო პირობები, რომლის უცოდინრობა მუდამ ხელს უშლის სკოლის წარმატების საქმეს, ეს კი იცის უფრო ადგილობრივ აღზრდილმა, რომელსაც ბავშვობიდანვე აქვს შეთვისებული ხალხური ზნე ჩვეულებანი და მხოლოდ ასეთი განვითარებული და საკმაოდ მომზადებული პირი გაუწევს ხალხს და სკოლას ნამდვილ მასწავლებლობას.

მეთორმეტე მუხლი იხსენიებს საბავშვო ბაღებს, **სადაც ბავშვები წინდაწინვე გაეცნობიან რუსულ ენას.** საბავშვო ბაღებში აბარებენ ნორჩ ბავშვებს, ვიდრე სკოლის ასაკისა გახდებოდნენ. მიზანი საბავშვო ბაღებისა ყველგან ისეთია, რომ ბავშვებს განუვითარონ გონება სხვა და სხვა ვარჯიშობით, რაც ხდება მშობლიური ენის საშვალებით. კომისიის პროექტით კი ამგვარი ბაღების დანიშნულება რუსული ენის სწავლებაში გამოიხატება. მეცამეტე მუხლი ამგვარ სკოლებში რუსული ენის ცოდნის დაუფასებას ეხება ინსპექტორის მიერ, რომელსაც „პროტესტის უფლება ეძლევა". რამდენად შესაწყნარებელია კომისიის აზრი საბავშვო ბაღებში უცხო ენის სწავლების შესახებ, როცა ნორჩი არსება ძლივსლა ტიკტიკებს მშობლიურს ენაზე, ძლივსლა ახერხებს აზრის გამოთქმას დედა-ენით, ურევს ერთმანეთს სხვა და სხვა ცნებებს და სხვა—ყველასათვის ცხადია, ვისაც კი ბავშვების აღზრდა წმიდა საქმედ მიაჩნია და ამ წმიდა საქმეს მსხვერპლად არ სწირავენ ისეთს მოსაზრებას, რომელსაც პედაგოგიასთან ხელი არ აქვს. დედა აზრი კი კომისიის პროექტისა უაზრო გარუსებაა და უფრო კი ნორჩი გონების დამახინჯება, რასაც არ იქმოდა ჩვენს დროში არც ერთი მაღალი ზნეობისა და წრფელი გონების მქონე ადამიანი.

14. თუ რიცხვი ან რუსის ბავშვების, ან იმ ბავშვების, რომლებთაც სურთ რუსული ენის სწავლა, არის არა ნაკლები თუთხმეტისა, იქ, სადაც არსებობს ზემოხსენებული სკოლები, იხსნება დამოუკიდებელი პირველდაწყებითი სკოლა. თუ რიცხვი ბავშვების ნაკლებია, მაშინ არსებულ სკოლასთან იხსნება პარალელური განყოფილება, სადაც სწავლება სწარმოებს დედა ენაზე.

15. იმ ეროვნების ბავშვებისათვის რომელნიც ადგილობრივ მცხოვრებთა შორის უმცირესობას შეადგენენ, შეუძლიათ რუსულ პირველდაწყებით სკოლებთან დაარსონ მოსამზადებელი განყოფილებანი, სადაც ასეთი ბავშვები გაეცნობიან რუსულს ენას დედა ენაზე.

შენიშვნა: ასეთ განყოფილებაში მასწავლებლობისათვის შეიძლება მასწავლებელს დანიშნოს დამატებითი ჯამაგირი.

ზემოთ მოყვანილ მუხლებიდან სჩანს, რომ ცენტრი ამ შერეულ სკოლებისა რუსული ენაა. ან რა მოსაზრებაა უცხო ენის სწავლების დამყარება ბავშვის სურვილზე, ან იცის კი ბავშვმა რა არის უცხო ენა? ბავშვისთვის არსებობს ერთი ენა თავისი საკუთარი ღვიძლი დედა ენა; უცხო ენის შესწავლის სურვილი ყოველ ბავშვს უფრო გვიან დაებადება და სწორედ მაშინ, როცა თავისი ენა შედარებით კარგად იცის. იქნება ბავშვმა გიპასუხოს მინდა უცხო ენის სწავლაო, მაგრამ ეს პასუხი შეუგნებელი იქნება და ამაზე დამყარება არც სასურველია. ჩვენ ვერ თანავუგრძნობთ ისეთს შერეულს სკოლებს, რომელშიაც ერთი საგანი მეორეს სჩაგრავს, დედა ენა მეცამეტე გოჯად არის გადაქცეული და მთელი ყურადღება მარტო რუსულის სწავლებაზეა მიპყრობილი; საჭიროა არა შერეული, არამედ გაცალკევებული სკოლები ყველა ერისათვის, სადაც შეეძლება ყველას მიიღოს კანონიერი სწავლა აღზრდა.

16. თუ აღნიშნული საჭიროებისათვის არ კმარა კრედიტი, რომელიც უნდა გაიღონ საუოველთაო სწავლების შემოღებისთვის მაზრაში, დამატებითი კრედიტი უნდა მოთხოვნილ იქმნეს „სმეტის" წესით; გარდა ამისა უნდა გაღებულ იქმნეს კრედიტი რუსული ენის კლასებისათვის საბავშვო ბაღებისთვის და მოსამზადებელი განყოფილებისათვის.

17. რუსეთის ქვეშერდომთა — გარდა სახალხო განათლების მინისტრის ნებართვით სკოლებში სწავლა შეუძლიათ აგრეთვე სხვა სახელმწიფოების ქვეშევრდომთა ბავშვებისაც.

18. ორ-კლასიან სახელმწიფო პირველ დაწყებითი სასწავლებლის მეორე კლასში უფლა საგნების სწავლა სწარმოებს რუსულ ენაზე. ადგილობრივ ენაზე შეიძლება გაიხსნას ასეთი სკოლა მხოლოდ კერძოთ.

შენიშვნა: დედა ენის და საღმრთო სჯულის სწავლება ორ კლასიან პირველ დაწყებითი სასწავლებლის მეორე კლასში (სწავლების მე 5 და 6 წელიწადი) სწარმოებს დედა ენაზე.

მეთექვსმეტე მუხლის აზრია, რომ მაზრამ უნდა გასწიოს ხარჯი სკოლებზე და რაც დააკლდება მოითხოვოს „სმეტის“ წესითო. რასაკვირველია სასკოლო ხარჯს მაზრის მცხოვრებნი იხდიან და ახმარებენ ისეთს სკოლებს, რომელიც ხელს უწყობს მკვიდრთა გადაგვარებას, ე. ი. პროექტი გვეუბნება — შენ თავს შენივე ჯიბით მოუღე ბოლოვო! ამაზედ მეტი აბუჩად აგდება კიდევ შესაძლებელია! არ ვეხებით მეჩვიდმეტე მუხლს, მეთვრამეტე ითხოვს ყველა საგნების სწავლებას რუსულ ენაზედ და მხოლოდ საღმრთო სჯულის სწავლების ნებას იძლევა დედა ენაზე და დედა ენისას. რომ დედა ენა დედა ენაზე უნდა ისწავლებოდეს, ეს ვითომ ახალი ჰეშმარიტებაა, ვითომ შესაძლებელი იყოს დედა ენის შესწავლა არა დედა ენაზედ, მაგრამ რას იქთ, როცა ჩვენში მართლა იყვნენ ისეთი ვირტუოზები, რომლებიც დედა ენას რუსულ ენაზედ ასწავლიდნენ და ეს უეჭველად უხერხულად უცვნიათ ამ ბოლო დროს. რაც შეეხება ყველა საგნების რუსულ ენაზე სწავლებას ორ კლასიან სკოლებში უნდა ვსთქვათ, რომ საკმაო მაგალითი გვაქვს იმისი თუ რა შედეგი მოჰყვა ამ გვარ სწავლებას ჩვენში, რამდენად წასწია მან წინ ხალხის სწავლა განათლების საქმე და რამდენად დააყენა ხალხი წინმსვლელობის გზაზედ. უნაყოფობა ჩვენებურის სკოლებისა რუსულად სწავლებით ყველასათვის თვალსაჩინოა, იშვიათად ნახავთ სოფელს, სადაც ამგვარ სკოლებს ნაყოფი გამოეღოსთ, ხუთი ექვსი წელიწადი ბავშვი მომცდარა ოჯახს, ვადაჩვევია სახლში მუშაობას, ვერ შეუძენია ვერავითარი ცოდნა და ცხოვრებაში გარიყული დარჩენილა, თავისიანებს ჩამოშორებია და ცხოვრებაშიც მისი დუხჭირი ცოდნით გზა ვერ გაუკვლევია, მალე დაუვიწყნია ის გამოუსადეგარი ცოდნაც, რაც თუთიყუშივით ჰქონდა სკოლაში გაზეპირებული და დღეს ამისთანა ნასწავლი ზიზღით იგონებს იმ სკოლას, რომელმაც საუკეთესო დრო უნაყოფოთ დაკარგვინა. ამისთანა თვალსაჩინო მაგალითის შემდეგ, წარმოუდგენელია და მეტად მავნებელი ისეთი სკოლა, სადაც სწავლება საგნებისა დედა ენაზე არ არის და თუ რამე ღონისძიება გვაბადია ყოველის საშვალებით უნდა ვეცადოთ, რომ ყველა სახალხო ერთ კლასიან თუ ორ კლასიან სკოლებში საგნების სწავლება დედა ენის საშვალებით სწარმოებდეს. ამას მოითხოვს ერის განვითარების ინტერესი; ამას მოითხოვს სწავლა აღზრდის მეცნიერება, ეს არის საანბანო ჰეშმარიტება, რომელიც დღეს, სამწუხაროდ, გათელილია.

19. კერძო ხასიათის პირველ დაწყებითი სკოლების პატრონს შეუძლია მიიღოს დახმარება ხაზინიდან თანახმად სახალხო განათლების მინისტრის მიერ დადგენილის წესისა, თუ რუსული ენის სწავლება კარგად მიდის.

ამ მუხლით კერძო სკოლებს დახმარების მიღება შეუძლია „თუ რუსულის

სწავლება კარგად მიდის". ეს ხაზ გასმული წინადადება პიროვნებითს გემოზე და შეხედულობაზეა დამყარებული, რის დაფასებაც ალბად რუს ინსპექტორ-დირექტორების კომპეტენციას შეადგენს; შეიძლება რუსული ენა კარგად იცოდნენ, როგორც კერძო საგანი, მაგრამ საგნების სწავლება კი დედა ენაზედ იქნეს, ეს კი ეეჭველად იმათ არ მოეწონებათ, რადგანაც კერძო სკოლები განსხვავებული იქნება მათი პირდაპირ უწყებაში მყოფ სკოლებისაგან და სიმართლის სასწორი გამრუდდება, დახმარებასაც ვერავინ მიიღებს, ან კერძო სკოლაც სამინისტროს უწყების მსგავს სკოლად გარდიქმნება. დღეს აი რასა ვხედავთ—ტფილისის გუბერნიის დირექცია სცდილობს სწორედ იქ გახსნას სკოლა, სადაც „წერა-კითხვის საზოგადოების სკოლაა—მაგ. გიორგიწმინდაში, გომარეთში და საგურამოში. ამით, რასაკვირველია, უნდათ არსებულ სკოლებს მეტოქეობა გაუწიონ და ხალხს უარი ათქმევინონ არსებულს სკოლებზე და თავიანთი დააარსონ; საგურამოში სულ სამოცი მოსახლეა და იქ უნდათ თავიანთი სკოლა, სადაც სკოლა უკვე არსებობს ილია ჭავჭავაძის სახელობაზე, თითქოს სხვა სოფელი, სადაც სკოლის ჭაჭანებაც კი არ არის, ბლომად არ მოიპოვებოდეს ჩვენში. ასეთი ჯიბრი სხვა და სხვა უწყებათა შორის ყოველთვის იქნება, ვიდრე სკოლები ნამდვილს ნორმალურს ნიადაგზედ არ დამყარდებიან და სკოლებიდან არ იქნება განდევნილი პოლიტიკური მისწრაფებანი.

გარდა ამისა სასურველია შემდეგი. თუ მიღებულ იქნება ზემოხსენებული:

1. საჭირო დაუყონებლივი ზომები, რათა დროზე მოამზადდენ მასწავლებლები, რომლებსაც ეცოდინებათ როგორც რუსული ისე ერთი ადგილობრივი ენა.

2. საჭირო მოამზადდენ ინსპექტორები რუსთაგან, რომლებსაც საფუძვლიანათ ეცოდინებათ ერთი ადგილობრივი ენა.

ამ ორი უკანასკნელი მუხლის შესახებ ზემოთაც გამოვთქვით ჩვენი აზრი, რომ მარტო ენების ცოდნა საკმარისი არ არის თუ ადგილობრივ მკვიდრთა ზნე, ჩვეულება და სხვა თვისებები არ იცის მასწავლებელმა და ინსპექტორმაც. დღემდის ინსპექტორობას მაინც ზოგან თითო ოროლა არა რუსთაც აძლევდნენ; მეორე მუხლი კი მოითხოვს **მომზადდეს ინსპეკტორები რუსთაგან, რომელთაც ეცოდინებათ საფუძვლიანად ერთი ადგილობრივი ენა.** ერთი რომ ინსპეკტორობის გულისათვის არც ერთი რუსი არ აიტკივებს თავს შეისწავლოს ის ენა, რომელიც მას არ მოსწონს და ისიც „საფუძვლიანად"; თუ ვინმე აიტკივებს თავს და დაიწყებს რომელიმე ენის შესწავლას, ისიც ფორმის გულისათვის გაიზეპირებს ორიოდე ფრაზას და მიიღებს „საფუძვლიანად" ენის მცოდნის დიპლომს, რაც სრულიად არ უშველის საქმეს. რატომ უნდა აიტკივონ აუტკივარი თავი, როცა ადგილობრივი ერის ღვიძლ შვილთაგანიც ალმოჩნდებიან, რომელნიც შესაფერისად შეასრულებენ ინსპეკტორის მოვალეობას მაინც იმ ხალხში, საცა სკოლა არსებობს. მაგრამ,სადაც ყველა მოქალაქე თანასწორის უფლებით არ სარგებლობს, სადაც სხვა და სხვა ერთა შორის ბატონყმობაა, სადაც ერთი უნდობლობას უცხადებს მეორეს, თუმც მას ეს არ დაუმსახურნია, არც წარსულში და არც აწმყოში, იქ მოზარდ თაობის სწავლა ალზრდის საქმეც განსაცდელში იქნება და პედაგოგიურად მოწყობილი სკოლები ოცნების ფარგალში იტრიალებენ.

საზოგადოთ კომისიის პროექტი არა-რუსთა სკოლების შესახებ მრავალი დეფექტებით არის სავსე და ვეჭობთ, რომ აქედან რამე ხეირი გამოვიდეს.

კახაბერი.

მოწერილი ამბები

ქუთაისი. არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს ის გაცვეთილი აზრი, რომ ხალხის გათვითცნობიერების და გამოფხიზლების ერთი უძლიერესი ფაქტორია რიგიანად დაყენებული სახალხო სკოლებია. ვისა და რას შეუძლიან მოჰფინოს ხალხში ცხოველმყოფელი სწავლა-განათლების სხივები, აღმოფხვრას ათასგვარი მავნე ცრუმორწმუნოება, შთაუნერგოს ცხოვრებაზე და გარემოზე საღი წარმოდგენა და შეხედულება, გამოიწვიოს და განამტკიცოს საკუთარი ინტერესების თვითშეგნება ისე, როგორც ამ სახალხო სკოლებსა და მის მასწავლებელთ. იმავე დროს მხოლოდ სკოლას და სხვას არავის შეუძლია ერს გამოაცალოს მისი უპირველესი და უძვირფასესი საუნჯე—ენა, წარხოცოს მისი პიროვნება, გამოფიტოს და გააღატაკოს სულიერად, ზნეობრივად და მაშასადამე ქონებრივადაც და დააყენოს გათახსირებისა და გადაგვარების გზაზე. ასე ესმის სკოლის დიადი მნიშვნელობა ყველა ცოტათ არის მაინც შეგნებულ ადამიანს და თვისი შეხედულებისა და მიდრეკილების თანახმად ცდილობს ისარგებლოს ამ ძვირფასი იარაღით. ვისთვისაა საჭირო ამ ანბანური ჭეშმარიტების გათვალისწინება, ცხვირზე დაწერა და ყველგან და ყოველთვის მასზედ ფიქრი და ზრუნვა თუ არა ჩვენთვის?! ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ ამ საკითხსაც ისე, როგორც საზოგადოთ ყველა საჭირბოროტო საარსებო საკითხებს, ზერელე ეხებიან და სათანადო ყურადღებას არ აქცევენ განსაკუთრებით ისინი, ვინც ბრმა გარემოებასა და შემთხვევას ჩვენი ხალხის მესვეურად და მათი ინტერესების გამომხატველად წამოუსკუპებია. მოგეხსენებათ წელიწადზედ მეტია რაც ბ. მზრუნველმა ჩვენ თვითმართველობათ (ქალაქის საბჭოებსა და თავად-აზნაურების მარშლებს) მოწერილობა დაუგზავნა გამოერკვიათ და თავიანთი აზრი გამოეთქვათ არსებულ სკოლებისა, მის რაოდენობის გამრავლებისა და რეორგანიზაციის შესახებ. აქ ჩვენ „ჭირისუფალთ“ დიდებულ „მამულიშვილთ“ მშვენიერი შემთხვევა ეძლეოდათ თვისი შეხედულება ამ ღირშესანიშნავ საკითხზე, ხმამაღლა და გაბედულად გამოეთქვათ. მაგრამ, მაგარი ის არის, რომ კრინტიც არავის დაუძრავს, ხელიც არ გაუნძრევიათ, მაშინ როდესაც „კენჭობიას“ დროს დაუშრეტელ მხნეობას და გონების საოცარ გამჭრიახობას იჩენენ.

ამ მოწერილობაზე რიგიანი და მიზნის შესაფერი პასუხის მისაცემად მასწავლებლის, ბ. ბუჯანაძის თაოსნობით შესდგა კომისია, რომელმაც მოხსენება წარუდგინა ქალაქის საბჭოს. მაგრამ ეს მოხსენება დღესაც მაუდის ქვეშ განისვენებს და ნათელი აღარ უხალავს. ხოლო ქალაქის მოურავმა იმის მაგივრად, რომ ამ მოხსენებისათვის მსვლელობა მიეცა, დირექციის მიერ შემუშავებულ პროექტს მოაწერა ხელი. თუ რამდენად ხელსაყრელი და მისაღები იქნება ჩვენთვის დირექციის პროექტი, ეს ყველამ, ვისაც ყურები აქვს სმენად და თვალები ხედვათ, უწყის. განა რას უნდა გამოველოდეთ იმათგან ხეირიანს და ან იმათ პროექტზე ხელის მოწერა და მისი დადასტურება ნუ თუ დანაშაულობა არ არის ჩვენი თვითმართველობის სათავეში მდგომარე პირისთვის, როდესაც ისინი ამ თვითმართველობის ლანდის გაქრობასაც კი ლამობენ, როდესაც მათი წარმომადგენელი მაჟნიკოვი უმაღ-

ლეს მთავრობისაგან დაკანონებულ 81 წლის გეგმასა და მის დამცველ მასწავლებელთ აშკარად სასტიკად სდევნის. მათი მეცადინეობით ეს გეგმა ახლა არც კი არსებობს და ნეტარხსენებულ ლევიცკის მეთოდს თან-და-თან ფართოდ კარები ეღება. ქალაქის სკოლები ათვალწუნებული, მიზანში ამოღებული ჰყავთ და ყოველივე ღონეს ხმარობენ როგორმე დასცენ და ნიადაგი გამოაცალონ. ამ მიზნით საკუთარი სკოლების გახსნას სცდილობენ და ერთი უკვე იანვრიდან კიდეც დაარსეს, სადაც ბავშვებს შესვლისთანავე ძალად ამახინჯებენ. ადგილობრივი წმ. ნინოს ქალთა გიმნაზია დირეაქციას შეკითხებია—მიგვითითეთ საუკეთესო სამაგალითო პირველ დაწყებით სკოლაზე, სადაც უფროსი კლასის მოსწავლენი სამაგალითო გაკვეთილებს მოისმენენ და პრაქტიკულ ცოდნას შეიძენენო, მასაც, არც უცხელებია და არც უცივებია, ამდგარა და ეს სკოლა წარუდგენია და გაუცვნია ყველაზედ უფრო შესაფერად და ამ მიზნისთვის გამოსადეგად. დირექცია ამ სკოლისათვის ქალაქისაგან დახმარებას ითხოვს და, მგონი, ჩვენ „ჩვენ ჭირისუფალთ“ თანხმობაც განუცხადებიათ, რაც ფრიათ დამაღონებელია. გვეტყვიან, რაც უნდა იყოს სკოლაა, სწავლა-განათლების გავრცელებას ემსახურება და როგორც ასეთს ყოველთვის უნდა დავეხმაროთო. ჩვენ ვუპასუხებთ, რომ ეს სკოლა კი არაა—კაზარმაა, სადაც სწავლა-აღზრდის ნაცვლად უკუღმართ პოლიტიკას ემსახურებიან და ჩვენს გადაგვარებისა და გადაშენების იარაღად მოუმარჯვნიათ, სადაც კუსტონოვიჩებს და მაზედ უარესებს სულით მდაბალთ, გონებითა და აზრით ბეჩავ თვით ჩვენს თანამემამულეთ ქებათა-ქებას ასხამენ მაჟინიკოვები და ცოტათ თუ ბევრად ფართო შეხედულებისა და პროგრესიული სულის მატარებელთ მიწასთან ასწორებენ. შემთხვევას ეძებენ ურჩი მასწავლებელნი ქალაქის სკოლებიდანაც გარეკონ და „პოსობიით“ აჯილდოვებენ ქალაქისავე სკოლაში მოსამსახურე ერთგულ ყმებს.

ფარი.

ახალციხე. ახალციხის ქართველები დიდიხნიდან ყურყუმელობდენ უმეცრების ზღვაში და იხრჩობოდენ ჭორიკანობის ოკეანეში. სწავლა-განათლებისა მათ არა იცოდნენ რა. იმათი ბავშვებისათვის უსასყიდლოთაც რომ ესწავლებინა ვისმე, მაინც არ დაანებებდენ, იმდენად შეუგნებელი იყვნენ, მაგრამ ამ ბოლო დროს აქაურებმაც გამოიღვიძეს საღათას ძილისაგან; მიჰხვდენ, რომ არაფრად ღირს უსწავლელი ადამიანიო და მას შემდეგ არის, რომ ახალციხელი ქართველი შვილს თავისივე სურვილით აძლევს სასწავლებელში. წელს, სამოქალაქო დასაწყისს სასწავლებელში, როცა ადგილი არ აღმოჩნდა ბავშვების მისაღებად, თვით მშობლებმა ითხოვეს თავიანთი ხარჯით დამატებითი განყოფილების გახსნა იქვე, ოღონდ კი შვილები სასწავლებელს გარედ არ დარჩენოდათ. წარმოიდგინეთ, ბევრს შეძლებულთ, თავიანთი შვილებისათვის კერძო მასწავლებლებიცა ჰყავთ და ისე ასწავლიან შვილებს, მაგრამ ერთი დიდი ნაკლი კი თან დაყოლილი აქვს ამ მისწრაფებას. თავდაპირველად ანბანს ასწავლიან უცხო ენაზე და არა დედა-ენაზე და ამით ღუპავენ თავიანთ შვილებს. ცხადია რომ ეს შეცდომა მათ უვიცობით მოსდით, თორემ რომელი მშობელი იქნება თავისი შვილის მტერი,

რომ სიკეთის მაგიერ ავი უსურვოს. ალბათ არ ესმის თუ რაოდენი ვნება მოაქვს უსუსური 6—7 წლის ბავშვისათვის არა დედა-ენაზე, არამედ უცხო ენაზედ სწავლებას, რომელიც ისედაც უვიცს, ჯერ კიდევ გონება გაუხსნელს, ერთიან გამოაყეყეჩებს და გამოჩერჩეტებს. რომ ჰკითხოთ ამ ვაჟბატონებს თუ რად სჩადიან ამას, გიპასუხებენ: „ქართული ენა რაშია გამოსადეგი, დღეს რუსულია საჭირო, რუსულია გამოსადეგი ცხოვრებაშიო და საჭირო ენა კარგად რომ შეისწავლოს ბავშვმა პატარობიდანვე უნდა ვასწავლოთ ძნელი რამ გაუადვილდეს შემდეგისათვის სწავლა. პირველშივე თუ არ მივაჩვიეთ წმიდა რუსულს ხომ გიმნაზიაშიც არ მიიღებენო!... რაც შეეხება დედა-ენას, თავისითაც შეიძლებენ სწავლას, ამას რაღა მასწავლებელი ეჭივრება და ან როგორ დავაკარგვინებთ ოქროს დროს ბავშვსაო“. აი მთელი მათი შეხედულობა ამ საგანზე.

„არ ცოდნა არ ცოდვააო“, ნათქვამია. ეს არ ცოდნა მშობლებს შეიძლება მიეტევოს, მაგრამ რაღას იტყვით იმ მასწავლებელზე, რომელიც სჩადის ასეთს პედაგოგიურს ბარბაროსობას? ჩემის აზრით ასეთი პირი არ არის ღირსი მასწავლებლის სახელი ატაროს, იგი ჯალათზედ უარესია და ყველასაგან გასაკიცხია. მთავრობამ განსდევნა ქართული ენა სასწავლებლებიდანაო, ვგოდებთ მუდამ ჟამ და ოჯახში კი ისე ვერ მოგვიწყვია საქმე, რომ ჯერ დედა-ენაზე განვავითაროთ ბავშვის გონება და შემდეგ შევასწავლოთ უცხო ენა. მაგრამ ამას გაგება და შნო უნდა, რაც, სამწუხაროდ, მშობლებსაც აკლია და მასწავლებლებსაც.

კ. გვარამაძე.

პეტერბურგი.

უმაღლეს სასწავლებელში მოსწავლე ქართველ ახალგაზდობის მატერიალური მდგომარეობა.—

უმაღლეს სასწავლებელში მოსწავლე ახალ-გაზდობის უმეტესი ნაწილი შიმშილს განიცდის, მატერიალურად დაქვეითებულია. ეს ფაქტია. მაგრამ ამ შემთხვევაში, როგორც შეიძლება ბევრ სხვა შემთხვევებშიაც, პირველი ადგილი ქართველ მოსწავლე ახალ-გაზდობას უნდა დაეთმოს. მატერიალური მდგომარეობა კერძოთ ქართველ სტუდენტებისა მეტად უნუგეშო სურათს წარმოადგენს. ყველაზე უფრო მდიდარიც რა არის ქართველ სტუდენტებში, იმასაც აღარ ყოფნის თვიდან თვემდის ფული და ზოგჯერ ისიც სხვებსავით დამშეულია. არ შეიძლება ითქვას საყვედური ჩვენს მშობლებზე: ვისაც ასეთები ჰყვანან, ისინი შეძლებისა დაგვარად დახმარებას უწევენ თავიანთ შვილებს, შეძლებისა დაგვარად-მეთქი ვამბობ და საქმეც სწორედ ამაშია; ეს შეუძლებლობა უშლის ხელს ყოველივე მათგანს მიაწოდონ შვილს იმდენი, რამდენიც სჭირია, თორემ მე ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ ცდას არ დააკლებენ!

სიღარიბე და შიმშილი, ლუკმა პურზე ფიქრი და ზრუნვა მძიმე ლოდივით თავს დაგვწოლია, სულს გვიხუთავს, გვიშლის ხელს სწავლას უფრო ღრმად ჩავსჭიდოთ ხელი, მეცნიერებას უფრო სწორის იმედებით გავსდიოთ. მოსწავლე ახალ-გაზდობის თვითმკვლელობის გახშირებაში უმეტესი ბრალი შიმშილს უდევს, რომელიც ოპტიმისტს პესსიმისტათ ხდის და იმედებს უქარწყლებს. პსიხოლოგიურად, ფიზიოლოგიურად, რა მხრითაც გასინჯოთ, თუ კაცი დამშეულია, მას საქ-

მის ხელის მოკიდება, გაძღოლა თუნდ ადვილ შესასრულებელ საქმისაც-კი, არ შეუძლია. აქედან, ცხადია, თუ სტუდენტი უზრუნველყოფილი არ იქნა, მას არ შეუძლია თავის საყვარელ საგანს ახლო გაეცნოს, უფრო შეიყვაროს! პირიქით ასეთ შემთხვევაში უიმედობა გვიპყრობს და მეცადინეობაზე გული აღარ მიგვიწევს. ან როგორ უნდა შეიძლო მეცადინეობა მაშინ, როდესაც შიმშილისაგან კუჭი გეწვის, არ იცი ხვალემდის გააწევ ცოცხალი თუ არა, არც ის იცი ხვალ რა მოგელის? ეს თავსამტვრევი კითხვები, ცხადია, დიდ დროს ართმევს მეცადინეობაში გართულ ადამიანს და საქმეზე გულს უცრუვებს.

პეტერბურგში თუ ასეა, სხვა ქალაქის ქართველი სტუდენტობა უფრო უარეს მდგომარეობაშია. ერთმა პეტერბურგის სამხედრო მედიკურ აკადემიის სტუდენტმა ამ სამოსწავლო წლის ნოემბერში მიიღო თავის ტომსკელ ამხანაგ ტეხნოლოგისაგან შემდეგი შინაარსის წერილი:

მოგიყვები ჩემს ამბავს. ტომსკიდან შემატყობინეს ქუთაისში მიღებული ხარო. ეს კარგი, მარა ეხლა ფულის შოვნა იყო საქმე. დიდი წვალების შემდეგ, როგორც იყო ვიშოვე სწავლის ფული და გავგზავნე. ახლა გზის ფული მინდოდა; ზოგი ვისესხე, ზოგიც ნაცნობებმა მიწიდადეს და შვიდი თუმნით გაუდექი გზას პირველ ენკენისთვეს. 30 მ. ბიღეთში მივეცი, 8 მ. ბარგში, ტომსკში რომ ჩამოვედი ოც მანეთამდე მქონდა. აქ სამოსწავლო ნივთების ყიდვა დამჭირდა და კიდევ სხვა რამეების, ვიყიდე ესენი და ცარიელი დავრჩი. ერთი კვირის შემდეგ მომივიდა სამი თუმანი, ვიყიდე სამოსწავლო და სხვა ნივთები, რომლების ყიდვა ამ წინანდელი ოცი მანეთით ვერ მოვახერხე, დიასახლისს ოთახის ქირა მივეცი და ისევე ცარიელი დავრჩი, მას შემდეგ არაფერი მომსვლია. რადა სიცოცხლეა, ჩემო ძმაო, ამისთანა სიცოცხლე. ერთი მითხარი თუ ძმა ხარ,— რა მეცადინობა შეიძლება მაშინ, როცა კაცს შიმშილით კუჭი გეწვის. რამოდენიმე ხანი დავდიოდი „სტოლოვკაში“ და იქ ვსადილობდი. ეხლა-კი დღეს **მეთვრამეტე დღეა, რაც მე სადილი არ მიჭამია.** შემარცხვინოს ღმერთმა ტოლ-ამხანაგებში გამოწუვეტილი ვიარო, თუ მე ამას ტუუილს ვამბობდე. თუ არ გჯერა, შეგიძლია მოსწერო მ. ქ—ს, ტ—ს, ბ—ს, ი—ს და გაიგებ მართალია ეს, თუ ტუუილი. ჩემს საჭმელს შეადგენს დილას და საღამოს ჩაი და ბური. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ეგენიც არ მაქვს ხშირად, თორემ სადილს ვიდან ჩივა. ავდგები დილა ადრიან, ჩავიცვამ, დავიხურავ და გავრბივარ ინსტიტუტისაკენ, დიასახლის ვეუბნები სამოვარი არ დაადგა, მეჩქარება და მის ადუღებას ვერ მოვუცდითქვა. კაცო, კი არ მეჩქარება მართალა, მარა აბა სხვა რა უნდა უთხრა, როცა არც შაქარი, არც ბური და არც ფულიც არ მაქვს რომ ვიყიდო... და რად მინდა რომ ადუღებული წყალი შემოიტანოს. ამას წინად ტოტა დამაგვიანდა და დიასახლისმა მომასწრო სახლში სამოვრის შემოტანა, ახლა რა უნდა მექნა. ავდექი, გამოვაღე სტაქანს ცხელი წყალი, ერთი თუნუქის ჩაინიკი მაქვს და იმაში ჩავასხი. წინა დამის ბურის ნამცეცები იყო ქაღალდში ჩარჩენილი, ავიღე და ეს ბურის ნამცეცები მაგიდაზე დავუარე, ვითომ ვჭამე და შემდეგ უთხარი წაიღე თქვა, შენ მეტუვი, თუ ასე გიჭირს ამხანაგებს რად არ ეტუვი ისინი მოგცემენო, კი, ძმაო, ერთჯერ მოგცემენ, ორჯერ და სამჯერ, მარა სულ ყოველთვის ხომ ვერ მარჩენენ, ოცი და ოცდა ხუთი დღის განმავლობაში. იმათ იმდენი ფული მოსდით სახლიდან, რომ თვითონ ყოფნისთ და ჩემი სარჩენი-კი არ აქვთ... ისევე მეხმარება მ. ქ. ხან რვა კაპიკს მაძლევს დღეში,

ხან ორ შაურს, ამ ფულით დილას და საღამოს ჭურს ვიყიდი და მეტი მე არ მინდა. შიმშილით არ მოვკვდები და სხვას თავი დავანებოთ. სახლში რომ მივსწერო ასეა ჩემი საქმე და ფული გამომიგზავნეთ-თქო, რა გამოვა. ვიცი ვერაფერს იშოვნიან, შევაწუხებ მარტო და ის გამოვა. ასე რომ მგონებოდა არ წამოვიდოდი, მაგრამ არ ვიცოდი. ქუთაისში რომ ტეხნიკი არის დ. წ—ი. თუ იცი, ის დამჭირდა თუმანს გამოგიგზავნი თვეშიო, ერთი კიდევ ბ—ძე არის ხუთ მანეთს ყოველ თვე გიგზავნიო, ხუთ მანეთს კიდევ სახლიდან გამომიგზავნიდენ და ოც მანეთათ მე კარგად ვიცხოვრებდი, მარა კამოიშვენ, ძმაო, აქეთ და ქე მომატუეილენ. სახლიდან წერილი მომივიდა, დედა და მამა მითვლის, არავინ არაფერი მოგვცა, რომ დაგვჭირდენო, ეს სამი თუმანი ეხლა რომ გამოგიზავნეთ, ვისესხეთო, თორმეტი თუმნის გირავო მივეცით ამ სამ თუმანში და თვეში თუმანში ცამეტ შაურს სარგებელს ვაძლევთო. თუ გეინტერესება შემომითვალე და იმ წერილს გამოგიგზავნი. ასეა ძმაო საქმე, თუ არ მოვკვდი შიმშილით ხომ კარგი, თუ არა რა ვუყოთ. თავს ზევით ძალა არ არისო ნათქვამია. შენი ძმა და ამხანაგი ტ.“ *)

ჩემის აზრით, ვინც ნივთიერად უზრუნველ ყოფილი არ არის, წუ მიემგზავრება რუსეთის გადაკარგულ ქალაქებში. რასაკვირველია სწავლა კარგია, მაგრამ რას შესძენს სამშობლო ქვეყანას რუსეთიდან დაბრუნებული, ჭლექით დაავადმყოფებული, რომელიც დღე-დღეზე სიკვდილს მოელის. უმჯობესია, ვისაც საშვალება არ აქვს სამშობლოშივე დარჩეს და თავისი მცირე ცოდნით დაეხმაროს ხალხს, ვიდრე რუსეთის სუსხი სიცივით თავი მოიწამლოს. ამ შემთხვევაში უზნეო კეთილმყოფლებაზე დანდობა, რომელთაც დაპირება შეუძლიათ და ასრულება კი არა, საიმედო არ არის.

ლადო გეგეჭკორი

*) ეს წერილი, რომელიც გვისურათებს ჩვენებურს სიტყვით ქველმოქმედებს და სტუდენტების გაჭირებულ მდგომარეობას, რედაქციაში ინახება.

რედ.

შინაარსი: 1. სამშობლოს გაცნობა. **იპ. ვართაგავასი.** 2. სწავლა აღზრდის საქმე ძველ საქართველოში (X—XIII საუკ.) **სამ ცომაიასი.** 3. ბუნების შესწავლა სახალხო სკოლებში. **ლ. ბ—ძისა.** 4. სოციოლოგია. **სამ. ავალიანისა.** 5. ჰაერის ანუ ატმოსფერის ელექტრონი. **ე. ალშიბაიასი.** 6. ადამ და ევა (პეტინსკისა) თარგმ. **ე. ფ—სი.** 7. მოხუცი და ახალგაზდა (ლექსი) **აკაკისა.** 8. „მხიარული ღორი“ სალტიკოვისა (შჩედრინისა) თარგმ. **განწირულისა.** 9. ეს მესამე ჩარფუზანა (ლექსი) **ირ. ევდოშვილისა.** 10. სულა და ღმერთები (დასასრული) **ბაჩანასი.** 11. ცრუ-მორწმუნოება სამეგრელო-აფხაზეთში, **ერ. როდონაიასი.** 12. საუბრისა და ბუნების მეტყველების პროგრამები საქართველოს სახალხო სკოლებისათვის. 13. რუსეთი: სასკოლო საკითხი სახელმწიფო სათათბიროში. **კანაბერისა.** 14. მოწერილი ამბები: ქუთაისიდან—**ფარისა,** ახალციხიდან **კ. გვარამაძისა,** პეტერბურგიდან **ლ. გეგეჭკორისა.**

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა. სპირიდონ მ. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა საკუთ. სახლი № 5.

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი

განათლება

(წელიწადი მესამე)

VI ივნისი 1910 წ.

ჟურნალი წლიურად ღირს 3 მან.
ნახევარი წლით . . . 2 მან.
სახალხო სკოლების მასწავლებლებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად ოჩრ მანეთად.

ცალკე ნომრის ფასი 30 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“ და „ნაკადულის“ რედაქციაში. წერილები და ჟურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ. Дворянская Грузинская Гимназія Л. Г. Боцвадзе.

მზიანი სკოლა

(ა. დაუგე)

ამ სამის წლის წინად გერმანულს ენაზედ დაისტამბა ერთი საყურადღებო წიგნი შემდეგის სათაურით: „Sonnenschule“ *) „მზიანი სკოლა“. სკოლა, „აღსავსე მზით, ყვავილებით და მუსიკით“, არსად არ არსებობს, ის მხოლოდ ახალგაზდა პოეტ-მასწავლებლის ფანტაზიაშია. ქვეყანაზე არსად არ არსებობს ჯერ ისეთი სკოლა, სადაც მასწავლებლისა და მოწაფეების ყოველგვარი სამუშაო განუყრელ სიამოვნებას წარმოადგენს, ერთგვარად იტაცებდეს ყველას და აღსავსეც იყოს სიმშვენიერით და პოეზიით. ჯერ ასეთი სკოლა არ არსებობს. მაგრამ განა არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ეს შესაძლებელია? საუკეთესო პირობებში არა ერთი მშვენიერი აზრი განხორციელებულა. მშრალ წიგნურ სიბრძნეს და მარტო პრაქტიკულ გონებას არასოდეს არ შეუქმნია ისეთი ადამიანები, რომელთაც მოეხდინოთ რაიმე ცვლილება ცხოვრების რომელსამე დარგში, არამედ მხოლოდ ძლიერს გრძნობას, ფანტაზიის ფართოდ მუშაობას და გატაცებითი ნიჭს. „იცი, ჩემო შვილო“, ეუბნება სიკვდილის წინ სენ-სიმონი თავისს საყვარელ მოწაფეს, „არაფრის დიდებულის რისმე შექმნა არ შეიძლება გაუმხნევებლად“.

წიგნის ავტორს აღტაცებით უყვარს თავისი საქმე. მგონია, პირადად მისთვის

*) წიგნი გამოცემულია ლეიპციგში 1905 წ. სრული სათაური არის: Johann Fveidvich, Sonnenschule, ein Wieuev Pvobejahv.

ყოველი გაკვეთილი სკოლაში ნამდვილ დღესასწაულს წარმოადგენს. მაგრამ ამ წიგნში დასტამბული მოწაფეთა თხზულებიდანაც ბრწყინვალე და სასიამოვნო სიო მოჰქრის. ამ ჩინებული წიგნის კითხვის დროს უნებლიეთ ჰფიქრობ: აქ არის დასაწყისი იდეალის განხორციელებისა, აქ უკვე არა მარტო ოცნებაა, არამედ მშვენიერი სინამდვილე! გენატრება და გსურს იდეის განხორციელება უფრო ფართო საფუძველზე.

წარმოდგენილი გაქვთ სკოლა, სადაც ბავშვები სწავლობენ იმას, რაც მათ იზიდავს, რაც უყვართ. ასწავლიან ოსტატები, რომელთაც უყვართ საგანი, ბავშვები, იცნობენ მათ კარგად და ცხოვრობენ მათთან ერთი საზოგადო ცხოვრებით. ბავშვები მიისწრაფიან სკოლისკენ, სადაც ისინი ინტენსიური სულიერი სიცოცხლით ცხოვრობენ, თითოეული საათი იმათ აძლევს რაღაც ახალს და კარგს, იმათ სულში ფესვებს იდგამს სიყვარული, ყველაფრის შეგნება, სიმშვიდე და მხურვალე საერთო გრძნობა გარეშემო არსებულ ბუნებასთან. მასწავლებლებიც აგრეთვე მიდიან წინ, ცხოვრობენ ნამდვილი სავსე სიცოცხლით, იმათაც თითოეული გაკვეთილი აძლევს რასმე ახალს და კარგს. საუკეთესო ძალები გონებისა და სულისა მუდმივ სიფხიზლეშია და ცოცხალი გატაცებული მუშაობით სიმკვიდრეს იძენენ. ეს ძალები სულიერად არ იქანცებიან მუშაობით, ისინი არ გაურბიან სამუშაოს, პირიქით ეძებენ მას, ის მათთვის საჭიროა, როგორც სტიმული სულიერი ცხოვრებისა. მართლაც საკვირველი საქმეა: დახარჯვით კი არ ღარიბდებიან, მდიდრდებიან კიდეც, სიყვარული და ადამიანის სიცოცხლის და სულის შეგნება ყოველ დღე მატულობს. წლიდან წლამდის კი არ ბერდებიან, თითქოს ყმაწვილდებიან კიდეც. თითქოს ბავშვები უზიარებენ მათ თავიანთ ახალგაზდა ნორჩ სიცოცხლეს.

ბავშვებისთვისაც კარგია ასეთს სკოლაში. უფრო ადვილად სუნთქავენ, დაშორებულნი არიან ყოველგვარ უშნოებას, უგვანობას, „ბაზრის სუნსა და მტვერს“, ქუჩურ ხმაურობას, მიხლა-მოხლას და ყველაფერს, რაც ხელს უწყობს ცუდის უშნო და ტლანქი გრძნობის განვითარებას. სწავლის დამთავრების შემდეგ, როცა ცხოვრებაში შევლენ, თან ატარებენ დასაწყისს იმ სიმშვენიერის და სისპეტაკისას, რომლითაც მოწაფენი განიმსჭვალებოდნენ სკოლაში. ეს ატმოსფერა მოწაფეებს ძველ-რბილში აქცევს გამჯდარი და სადაც უნდა წავიდნენ, ყველგან მას ავრცელებენ. მეტი სითბო და სინათლე ჩნდება იმათგან ცხოვრებაში, რომლისთვისაც ისინი ემზადებიან: იმათ უნდათ უკეთ გაიგონ ცხოვრება, ღრმად იგრძნონ, უსრულესად და უმშვენიერესად იცხოვრონ.

ავტორი მოგვითხრობს თუ როგორი გუნებით მიდიოდა ის სკოლაში: „**ხშირად ისეთს გრძნობას განვიცდიდი, თითქოს მზის ძალა წვიმასავით მესხმებოდა ზევიდან; როცა სკოლაში მივიდოდი, გავიბერტყავდი და ყველა ეს ოქროს წინწკლები მოესხურებოდა ნორჩ საზოგადოებას**“. ის განიმსჭვალებოდა სიცოცხლის სხივებით, ცხოველი სიცოცხლე შეჰქონდა სკოლაში და იმის სხივებით ათბობდა მოზარდ მსმენელთა ნორჩს გულს.

იმან იცის და გრძნობს, რომ აწინდელი სკოლა სიცოცხლესა ჰსპობს, ყველაფერს მტვრით ავსებს, მშრალი და უსარგებლო წიგნური სწავლების სიმძიმის

ქვეშ კვდება ცოცხალი გრძნობა და ჭკნება სიყმაწვილე. მას უნდა მთლად გააღოს ყველა კარ-ფანჯრები, რომ გამაცოცხლებელი საღი ჰაერი და მზე შეუშვას საკლასო ოთახებში. უფრო მეტი, უფრო მეტი მზე! „ვერ დავმშვიდდები იმ დროამდის, სანამ ავსტრიის ყველა სკოლები არ გარდიქმნებიან ყვავილებით, მუსიკით და მზით აღვსებულ, შუშებიან სასახლეებად"- გაიძახის ის.

იმან იცის, რომ დღეს სკოლებში ყველა ეს მცირეა. იქ სჭარბობს უსიცოცხლობა და მოწყენილობა. აი მას უნდა თავის მხრით შეიტანოს სკოლაში ცოტა მაინც სიცოცხლე და სინათლე. უყვარს სკოლა, მისთვის ძვირფასია ყველა ის ბავშვები, რომლებიც ყოველ დღე მოელოდებიან მას გაკვეთილებზე! თავის ოთახში ზის, თუ ქალაქის ქუჩებში დასეირნობს, ყველგან იმათზე ფიქრობს, როგორც შეყვარებული. „რას შვრებიან ეხლა? „რაზე ფიქრობენ?" ისინი კარგადა ჰყავს შესწავლილი, გაგებული აქვს თითოეული მათგანის პიროვნება, ეგუება თითოეულის გემოვნებას და მიდრეკილებას. პოეტებიც, მემუსიკენიც, სკეპტიკ ფილოსოფოსებიც და ყბედი-მორალისტებიც ჰყავს მოწაფეთა შორის. ის ყველას ნებას აძლევს გულახდილად ლაპარაკისას, პატივისცემით ეპყრობა მათ გულნადებგულწრფელ აზრებს, რადგანაც მას უნდა, რომ თითოეული მათგანი განვითარდეს თავისი ბუნებრივ მიმართულებაში და შერჩეს თავისებურობა, ორიგინალობა. ის მხოლოდ გულწრფელობას, გულითადობას და ალალ-მართლობას მოითხოვს ყველასაგან. „შენ მიკროსკოპზე იმუშავე, შტიხელ ჰეიმ; იკითხე მორალი, შპერბერ; მხოლოდ ერთი: არ დაგავიწყდეთ **ცხოვრება!**" ასე სჯის თავის გულში, როცა ჰფიქრობს ორ თავის მოწაფეზე, უკიდურეს რეალისტებზე, იდეის მოძღვარ პლატონის მტრებზე".

მოწაფეებთან სრულიად გულწრფელი დამოკიდებულება ჰქონდა და. მათში სრული ნდობა მოპოვებული. ისინი მთელს თავისს გულს გადაუშლიდნენ მასწავლებელს. ისიც ცოცხალ ინტერესით ეკიდებოდა მოწაფეთა კამათს. როცა თხზულებებში პოლემიკა ატყდებოდა „რეალისტებსა" და „იდეალისტებს" შორის, ის აღტაცებაში მოდიოდა. აი ისინი აზროვნობენ, გრძნობენ, მხიარულობენ, სამდურავს აცხადებენ,— ერთი სიტყვით **ცხოვრობენ!** იმის აზრით, მოწაფეთა კამათი უნდა გადასწყვიტოს არა მასწავლებლის ავტორიტულმა სიტყვამ, არამედ—მას უნდა, რომ თვითონ მოწაფეებმა, ამხანაგურ საუბრებისა და კამათის დროს, დამოუკიდებლად შეიმუშაონ საკუთარი შეხედულობა და გემოვნება. ის მხოლოდ ერთს უშლის მოწაფეებს—სიბრიყვეს; მხოლოდ ერთსა სდევნის—არაგულწრფელობას; მხოლოდ ერთისა ეშინია—წიგნური და შაბლონური აზროვნების განვითარებისა; მისთვის ერთი ყველაზე მაღლა სდგას—ძლიერი და გულწრფელი გრძნობა და სიმართლე. სწორი და გონიერი აზრი, მაგრამ დამოკიდებული, იმაში ვერ აღძრავს პატივისცემას. გამოთქმა არა საკუთარი აზრისა, რაც თვითონ არ განუცდია, მისთვის არა სიმპატიურია, მას სიცრუის სუნი ჰსდის.

ის, რასაც თვითონ ასწავლის თავისს მოწაფეებს, საჭიროა მისთვის იმდენად, რამდენადაც ის ჩნდება გონების მოქმედების და სულის სიცოცხლის აღმძვრელ ელემენტად და არა ისეთ რამედ, რასაც მოწაფეები უსათუოდ უნდა დაეთანხმნენ. მისთვის მეტად სასიამოვნოა ის აზრი,

რომ იმას, რასაც ლაპარაკობს და რაზედაც ესაუბრება სიყვარულით და გატაცებით, მოწაფეები არ დაივიწყებენ, მაგრამ არა როგორც აბსოლუტური ჭეშმარიტება, არამედ როგორც სიმბოლო პატიოსნურის აზროვნებისა და წრფელის გრძნობისა. „ღმერთო ჩემო"; წამოიძახებს იგი, როცა მოაგონდება ერთი თავისი ძვირფასი ყმაწვილთაგანი, „აი რომ გყავდეს ასეთი შვილი, როგორიც ერიხ ტანბერგერია! რა ბედნიერება იქნებოდა! წრფელს სიამოვნებასა მგვრის ის აზრი, რომ ჩემი სიტყვები კიდევ დიდხანს ცოცხალი იქნება მის მშვენიერ თავში, რომ მისი მტრედის ფერი თვალები ხან და ხან შორს გაიცქირებიან და მოიგონებენ ჭაბუკობის დროს! ვიცი, რომ მას უყვარვარ, ჩემი აზრებით არის გამსჭვალული, მე თითქოს ჩაფლული ვარ იმის სულში".

ბრწყინვალე დღეებში, როცა მზე ფანჯრებიდან შემოიცქირება, იმის სხივებზე მოსჩანან ბრწყინვალე და მუქი თავები, თვალები უბრწყინდებიან და ლოყები ენთებიან. მაშინ ის მოწაფეებს ესაუბრება მზეზე, დაუსრულებელს ქვეყნიერებაზე, მუდმივ გარდაქმნაზე, როგორც გარდიქმნება მზე ოქროდ, ყვავილებად, ღვინოდ, როგორ გამოიწვევს ის სიცოცხლეს ხმელეთზე, წყალში, ტყეში, ესაუბრება მზეზე, როგორც მთელის სიცოცხლის და ყველა ჩვენი წარმომშობ დედაზე და როგორ მიისწრაფის მთელი სიცოცხლე უკანვე თავისს გამჩენ მზისკენ...

ყმაწვილები ყურს უგდებენ, ყურს უგდებენ და ითვრებიან ბრწყინვალე მეცნიერებით, რომელიც ნაკადულივით გადმოსჩქეფს პოეტ-მასწავლებლის ბაგეთაგან...

გაკვეთილებზე, ნასადილევს, როცა უკვე დაბინდდება და საკლასო ოთახს ნახევრად სიბნელე მოიკავს, მასწავლებელი ძლივსღა არჩევს მოწაფეთა სახეებს, ის მხოლოდ ბავშვების მოელვარე თვალებსა ჰხედავს მიპყრობილს, ჩაფიქრებულს, გამომცდელს და მწყურვალეს.

„მე ველაპარაკები ჩუმად იმათ ნაზად დაღლილ სულს", ამბობს ის, „და დარწმუნებული ვარ, რამდენადაც დაბალის ხმით ვლაპარაკობ, იმდენად უფრო კარგად ეყურებათ. ერთხელ ვუთხარი იმათ: „ბავშვებო, ეხლა დროა ვარსკვლავების მოლოდინისა მეთქი!" გუშინ, როცა ვბრუნდებოდი სახლში, რკინის გზის ლიანდაგთან, მეისრის სახლთან, მინდორში ორი ბავშვი ვნახე ვაჟი და ქალი, რომელთაც მაგრად მოეხვიათ ხელი ერთმანეთისათვის. თავისუფალი პაწია ხელები გაიშვირეს, ეგონათ საცაა ხელის გულზე თოვლის ფიფქის ვარსკვლავები დაგვეცემაო... ამას ვეუბნები გაკვეთილების დროს. ოთახში ღამის ბინდია, ვხედავ უკანა სკამზე, წითელ ლოყებიანმა ანგელოზის სახის როზნერმა, გლეხის შვილმა როგორ გაიშვირა ხელი, თვითონაც არ იცოდა რას შვრებოდა ისე გატაცებული იყო იმით, რასაც ვუამბობდი... და აი ვესაუბრები ცაში მოციმციმე ვარსკვლავებზე, იმაზე თუ როგორ გაჩნდა მზის სისტემა, მოელვარე ნისლები როგორ უფრო და უფრო შესქელდებიან ერთ მგზნებარე მასად და სწრაფი ტრიალის დროს ცეცხლის ვეებერთელა მარგალიტებს ისვრიან სამყაროში და ამ აუარებელმა მარგალიტებმა როგორის შეუკავებელი მისწრაფებით უნდა იტრიალონ იმ დიადი ბრწყინვალე ბურთის გარშემო, რომელმაც ისინი გამოისროლა. ამ მგზავრობის დროს ისინი თანდათან ცივდებიან, ზედა პირი ამწვანდება და აჭრელდება, აღორძინდება სიცოცხლე, რომელიც გრძელდება იმ დრომდის, სანამ არ ჩაჰქრება უკანასკნე-

ლი ცეცხლი და მკვდარი მარგალიტი ხელ-
ახლად არ შეუერთდება ვეებერთელა
ბურთს. უძრავი ვარსკვლავები სრულებით
აო არსებობენ. წინად ეგონაი არიან უძ-
რავი ვარსკვლავებიცო, რომელნიც ჩუმა-
და სდგანანო, მაგრამ ეს ტყუილია. ყვე-
ლაფერი საუკუნიდან საუკუნემდე მუდმივს
მოძრაობაშია... მე ვგრძნობ ამ წუთში
როგორ უძგერთ გული ბავშვებს, რომელ-
ნიც ჩუმად სხედან ბნელს ოთახში და
როგორ იღვიძებს მათში შეგნება, რომ
ყველაფერი—ერთია და განუყრელი და
თვითონ ისინიც მჭიდროთ არიან დაკავ-
შირებულნი დაუსაბამოსთან...

„როცა ოთახში სულ ჩამობნელდება
და არაფერი სჩანს გარდა ვარსკვლავ-თვა-
ლებისა, განსაკუთრებით მტრედის ფერ
გერმანულ შავთმებიან ტიროლელ ტან-
ბენგერის თვალებისა, მაშინ ვიწყებ სა-
უბარს ვარსკვლავ-თვალებზე, ვამბობ, რომ
თვალები—სარკმელია ადამიანის სულისა.

„მოსამსახურე დერეფანში ზარს რეკს,
სიბნელეში კიდევ ვარჩევ, რომ ზოგ მო-
წაფეებს არ შეუძლიათ გონებას მოვიდ-
ნენ, ზოგი კი მხოლოდ ეხლა მოისაზრე-
ბენ, რომ საჭირო იყო ლამპის ანთება.
ნელა შეჰკვრნენ თასმებით თავიანთ წიგ-
ნებს და გადიან საკლასო ოთახიდან.
მხოლოდ აი რუდბერტი დიდხან ზის თა-
ვის ადგილზე, რამდენიმე ხნის შემდეგ
ისიც იღებს და ალაგებს თავისს ნივთებს.
ის შემომყურებს ისე, თითქოს მე ვიყო
უფალი ღმერთი, რომელსაც ძალუძს გა-
ალოს და დაჰკეტოს წყარო მზის სისტე-
მისა, როგორც ბაღის მეთვალყურე აღებს
და ჰკეტს დიდს შადრევანს. ბოლოს წე-
სიერებაში მოიყვანა თავისი ნივთები,
სერიოზულად თავი დამიკრა და წავიდა
კარებისკენ. მე შევეკითხე. „აბა, რუდ-
ბერტ, რაზე ჰფიქრობდი ასე დიდხანს,
რომ დაიგვიანე?“ მან მიპასუხა: მე მო-
მაგონდა მთებში ერთი ტბა, სადაც ზაფ-
ხული გავატარე“. ქუდი ხელში უჭირავს
და შემომყურებს ისეთის თვალებით, თით-
ქოს მეკითხება რასმეო. როცა მისი ფე-
ხის ხმა მიწყდება დერეფანში, მეც გამოვ-
დივარ ბნელი ოთახიდან!!.

ამ სახით მასწავლებელი ესაუბრება მო-
წაფეებს ვარსკვლავებზე, ჩრდილოეთის
სიმშვენიერეზე, მუდმივ თოვლზე, გაზაფ-
ხულზე და პეპელებზე, სიცოცხლის ენერ-
გიის საუკუნოებაზე, ბუნებაში ერთობა-
ზე, უმაღლესის და პატარა ნივთების სი-
ყვარულზე, ესაუბრება ყველაფერზე, რაც
იმ დროს მას იტაცებს და აღელვებს და
რითაც ის სცოცხლობს. ის ლაპარაკობს
მხოლოდ მაშინ, როცა გრძნობს ამის
მოთხოვნილებას და არ შეუძლია არ ილა-
პარაკოს. ის უამბობს მოწაფეებს თავის
პირადი საქმეებზე, სიმხიარულეზე, გადა-
სცემს საკუთარს აზრებს და გეგმებს, უამ-
ბობს იმიტომ, რომ მას უსაზღვროთ უყ-
ვარს თავისი მოწაფეები, გრძნობს, რომ
ისინი მისი მეგობრები არიან: ჯერ პატა-
რები არიან, მაგრამ ხშირად გვგონია,
რომ მათ ყველაფერი ესმისთ, მოზრდი-
ლებზე უკეთაც. არავითარ მიზანს არ მის-
დევს ის ამ შემთხვევაში, არც დარიგებას
უკითხავს „სწავლისათვის“ და ყველაფერ-
ზე ელაპარაკება, არამედ იმ აზრით, რომ-
ლითაც ერთმანეთის მოყვარული ადამი-
ანები ესაუბრებიან ერთმანეთს საპირადო
და არა საპირადო საგნებზე. მასწავლე-
ბელს და მოწაფეებს ერთმანეთი უყვართ,
კარგათაც იცნობენ ერთმანეთს და ესმისთ
ერთმანეთის გულის პასუხი: პატარა ბრუმ-
ხუბერი გვიამბობს: მან კარგად იცოდა,
რომ მასწავლებელი ძლიერ გაჯავრდებო-
და, როცა კლასში შემოვიდოდა და და-
ინახავდა მშვენიერ ტყის ვარდს ტა-

ლახიან საწერელში ჩასმულს. ასეც მოხდა. მასწავლებელი კინაღამ ატირდა სიბრაზის გამო. „ბავშვებო, რას შვრებით! განა არ იცით, რომ ტყის ვარდს დილის ნამის, მიწის და მტრედის ფრის ცის სუნი ასდის! მაგაზე უნაზესი ყვავილი სხვა არ არის!“. როდესაც „რეალისტმა“ შტიხელჰეიმმა უპასუხა და აუხსნა, რომ წითელი და შავი ფერი კარგად შეზავებულ ჰარმონიას შეადგენსო, გაკვეთილის შემდეგ ბრუმხუბერი მივიდა მასთან და უთხრა; „შენაც წითელი და შავი ხარ! თმა ქერა გაქვს და სული შავია!“—ბავშვების სიტყვებიდან სჩანს როგორ უყვართ მათ ეს გაკვეთილები, როგორს აზრებს, გრძნობებს, ფიქრებს და სურვილებს იწვევს მათში და რა აზრზე აყენებს მათ. „ჩვენი მასწავლებლის გაკვეთილების შემდეგ მე განვიცდიდი ნეტარებისა და სიამოვნების ძლიერ გრძნობას იმ აზრით, რომ ვარსებობ ქვეყანაზე“, სწერს ერთი ჭკვიანი, მხიარული ლამაზი ბავშვი, რომელიც აღელვებულია იმ ადამიანების თავხედობით, რომელნიც ურჩევენ ხორცის მაგიერ ვარდებით საზრდოობას, რომ განიმსჭვალონ სიმშვენიერით და მზით. „ადამიანები თავხედებად და გაქსუებულებად მეჩვენებიანო“, გაიძახის მეორე; „ახ, როგორ მინდა ვიყო სრულიად სპეტაკი, ვიცხოვრო ბროლის სასახლეში, სადაც პაწაწა მტვერსაც კი ადვილად დაინახავ და წაშლი!“

იმას, რასაც მოწაფეები ჰფიქრობენ, რაზედაც ოცნებობენ, რაც აგონდებათ იმ საათში, ისინი სწერენ. თვეში ერთხელ იმათ „თხზულების“ წერის გაკვეთილები აქვთ. მოუთმენლად მოელიან ამ გაკვეთილებს. არ გრძნობენ არავითარ დაჩაგვრას სასკოლო წესიდან, ისინი თავისუფლად აზროვნობენ, გულწრფელად და მარტივად სწერენ. ისინი **ჰქმნიან.** ბევრნი მათგანი, მდიდარი ფანტაზიით დაჯილდოვებულნი, აღგზნებულნი მასწავლებლის სიტყვებით, პატარა ნამდვილ პოემებსა სწერენ. მათთვის ყველაფერი ნებადართულია: შეუძლიათ სწერონ, რაც პირადად გამოუცდიათ, ან რაც ეხატებათ პოეტიურ წარმოდგენილებაში, თავის იმედებისა ოცნებათა შესახებ.

თოთხმეტი მოწაფის ყველა თხზულება პედაგოგს დაბეჭდილი აქვს თავის წიგნში. „მხოლოდ ესტეტიური კმაყოფილების გამო“, ამბობს ივი,—შევაგროვე ეს თხზულებები. ამ კრებულის კითხვა ჩემთვის სასიამოვნოა, როგორც მშვენიერი სიმღერა ბავშვთა გუნდისა“.—თითოეული თხზულების დაწერის წინ იმართებოდა საკლასო საუბარი. მასწავლებელი გამოთქვამდა თავის შეხედულობას, მაგრამ ძალას არ ატანდა მოწაფეებს მიეღოთ მისი აზრი, მხოლოდ ცდილობდა მათი აზრისა და გულისხმის აღძვრას.

აი რამდენიმე ნიმუში მოწაფეთა ნაწერებიდან:

ყმაწვილი გვიდო ფერნლეიტნერი სწერს:

„მწუემსი იწვა კლდის ნაპირზე მთის იალდთან. ძროხების ეკვნების ულარუსი სრულიად არ ესმოდა მას და უცქერდა ღამის ღურბლებს, რომელიც გადაწოლოდა შორეულს საკინულეს: ღრუბლები და საკინულეც ოქროს ფრად ბრწყვრიალებდნენ. ყმაწვილი გასტერებით შეჰყურებდა ამ ოქროებს და სტკბებოდა ბუნების სურათის ხილვით. მოაგონდა, რაც გაეგონა ცის შესახებ. ის ხედავდა ანგელოზების ოქროს ფრთებს და ცის გაღებულ კარებში დაინახა ტახტი, რომელზედაც, უეჭველია, იჯდა თვითონ ღმერთი. ყველა ამ ოქროების დანახვის დროს ყმაწვილი ისეთის სიხარულით ადივსო, რომ მოუნდა გაეგონა ციური საგალობელი. უცებ მოეჩვენა, რომ იმასაც ოქროს

ფრთები გამოესხა და გაფრინდება. ის წამოხტა და ჩავარდა ღრმა ჯურღმულში. რამდენიმე ხნის შემდეგ ოქროს ფერი სინათლე ჩაჭქრა, ღრუბლები მუქ-ბოლფერჯო ფერისა გახდესს და დაღამდა. ამნაირად ამ ოქროს სიმშვენიერემ დაჭღუპა უმაწვილი".

ნოემბერში ბავშვებს მისცეს დასაწერი თემა „ვარსკვლავებზე". ემილი შპინვებერი სწერს:

„მე ძალიერ მიყვარს თოვლის ფიფქის ვარსკვლავები, განსაკუთრებით როცა სადამოთი ცვივა ჩვენი ოთახის სახურავზე, ჩარდახზე. როცა დედას შემოაქვს შუშა, ის მხიარული შუშოდის სახლში და ანთებს ბუხარს. რადგანაც ჩუში საწოლი დაქანებული სახურავს ქვეშ არის, მესმის როგორ ცვივა თოვლის ფიფქები. შეიძლება ვცდებოდე. სიამოვნებით ვფიქრობ გერმახული ესის შობამდე გაკვეთილზე და ტაბიდან ჩამეძინება. ყველა ამის შესახებ წინდაწინ მოვიფიქრე დაწერა, რადგანაც მეგონა, რომ წერა მოგვიხდება თოვლის შესახებ. მე ძალიერ მიყვარს ვარსკვლავები—თვალები, ყველაზე უფრო დედა-ჩუშის თვალები. ცოცხ მნათობებში ყველაზე უფრო ხარიპარია მიყვარს, რომელსაც შუბუურებ ოთახის სახურავის ფანჯრიდან და მჯერა, რომ ეს ის ვარსკვლავია, რომელიც გზას უჩვენებდა სამს მოგვს".

„პატარა ნივთების სიყვარულის" თემაზე მაქს ასპენანგი, პოეტი და მუსიკოსი სწერს შემდეგს:

„მე ძალიერ მიყვარს როიალის პაწაწა ჩაქუჩები და ჩუში ჭიანურს ჯორა. როცა ჭიანური მიჭირავს ხელში და ჩავიხედავ მიგ ნახვრეტიდან, რომელიც ასო f ჩამოგავს, ვხედავ გამტვერიანებულ ქალალდს ზედ წარწერით: Josephus Paulime fecit. Lincii 1789. ეს ნიშნავს: მე გამაკეთა იოსებ პაულიმ ლინცში 1789 წელსო. როდესაც ვუკრავ, ყოველთვის მგონია, თითქოს ჩუში ჭიანური რადასაც გაიმღერის იოსებ პაულის შესახებ. თითქმის მაშინაც კი, როცა რასმე სამხიარულოს ვუკრავ, ხშირად მომესმის რადაც ნადვლიანი, დამაღონებელი ხმები, თითქოს ჭიანური იგონებს იოსებ პაულის გარდაცვალებასაო. რა იქნებოდა რომ ამეგლიჯა ის დაწერილი მტვერიანი ქალალდის ნაწეკვი? შეიძლება ჭიანურს მეხსიერება დაჭკარგოდა და ემღერა ის, რასაც მე თვითონ ვიგრძნობდი. ან შეიძლება სულ გაკმენდდა ხმას. მე მიყვარს კიდევ სიმების ქვეშ თეთრი მტვერი, რომელიც ცვივა ჭიანურის ქამანჩას. ასე რომ თითქოს ჭიანური რთვილით არის დაფარულიო და მოგაგონებს შაქარ მოყრილ შოკოლადს. ხან და ხან სიმების გრძელ ბოლოს შემოვახვევ ჭიანურის ბურღებს და მაშინ ისე მოგეჩვენება, თითქოს ჭიანურს გრძელი და ბრწყინვალე თმები ჭქონდეს, როგორიც ჩვენს ზონლეფლერას აქვს. მე ძალიერ მიყვარს ახალი როიალის ცქერა, როცა დედა უკრავს, მე ვუცქერი, როცა უხილავი სიბნელიდან გამორბიან ვარდის ფერი ტუავის თავიანი პაწაწა ჩაქუჩები, მიეხლებიან სიმებს და წამსვე გაჭქრებიან სიბნელეში. მე მგონია, რომ იმათ კარგად ეუურებათ და ესმისთ, როცა როიალს ახდიან და რაკი ეს ხმაურობა შემოესმით, მაშინვე მოემზადებიან გამოსახტომად.—აი როგორი პატარა ნივთები მიყვარს მე".

ზამთარში, შობის წინა ღამეს, ერთი ყმაწვილი თავის გრძნობებს და ფიქრებს ასე ასწერს:

„ეხლა იწყება ჩემი საყვარელი დრო. ამ დროს ყველას სწამს ის, რასაც სრულიად არ ხედგენ და ეს მე ძალიერ მახარებს. ეხლა ყველა რადაც სიამოვნებასა გრძნობს, ყველას გულში რადაც საიდუმლოება აქვს, რასაც ერთმანეთს არ უმჟღავნებენ. კარგი იქნებოდა მთელი წელიწადი ასე ყოფილიყო, მაშინ ადამიანებს უფრო ეყვარებოდათ ერთმანეთი. ეხლა მე მგონია ყველა რადაცაზე ოცნებობს.

მეც მთელი წლის განმავლობაში რაღაცაზე ვფიქრობ და ვოცნებობ და მჯერა ის, რასაც არ ეხედავ. სხვები კი მხოლოდ ზამთარში დიდი დღესასწაულის წინ არიან ისეთები, როგორიც მე ვარ. მე ვისურვებდი, რომ იმათ მაისშიაც ენახათ ასეთი მხიარულება და საიდუმლოება, რომ გაზაფხულზედაც ეოიეილიეო ამისთანა დღესასწაული, როცა ყველა ხალხი მოელოდებოდა რაღაცას, რაც ერთს შშვენიერს დამეს შეიძლება ჩამოსულიეო ზეციდან. ვერავის იმას ვერ დაინახავდა, მაგრამ ყველა დარწმუნებული იქნებოდა, რომ ის სამდვილად ჩამოვიდა".

ყველა ახალგაზდა ავტორები არ არიან დაჯილდოებულნი ფანტაზიით და ყველა ასე პოეტიურად არ სწერს. მათ შორის არიან შეუბრალებელი „მატერიალისტებიც", რომელთაც არაფერი სწამთ გარდა ფიზიკისა და დარწმუნებულნი არიან, რომ კარგი მიკროსკოპი გაცილებით სჯობია მხატვრულ ფანტაზიას. ისინი თავიანთ აზრს გულ ახდილად გამოსთქვამენ და სრულს ზიზღს უცხადებენ პოეტებს. ყმაწვილი შტიხელ ჰეიმი თემაზე „ოქროზე და მზეზე" სწერს მხოლოდ მზის ქიმიურ შედგენილებაზე, ოქროს ფულებზე და ოქროს საათებზე, რომლის მიღების იმედი აქვს კონფირმაციით. ვარსკვლავები მისთვის სხვა არა არის რა, გარდა რკინისა და გოგირდისა. ცეკვა—ეს სულელური ტრიალია ადამიანისა თავისი ღერძის გარშემო მუსიკის აკომპანიმენტზე. ყვავილები—რაღაც ნასიცხი მუწუკია დედამიწის ზედაპირზე, რომელიც ჩნდება გაზაფხულზე, როცა დათბება.

ამ თავისი ცივი და უსულო რეალიზმით ეს ყმაწვილი აშფოთებს ამხანაგებს იდეალისტებს და პოეტებს. ერთი უკანასკნელთაგანი იმის შესახებ სწერს შემდეგს „სატირას":

„ერთს დიდს შტიხელ ჰეიმის ოთახის ფანჯრებზე ოოვლის მშვენიერი სახეებია. შ. იდვიძებს და ლანძღავს მათ: ეჰ, ვითომ არ სტეუეთ! რად სახავთ თავის თავს ეეავიდეებად! უკეთესია აეეავიდით ასეესსგის ფანჯარაზე, ის თქვენ ნამდვილ ალმასის მტვრად მიგიდებთ. მე კი ეხლავე გაგსინჯავ თქვენ მიკროსკოპში! აი თქვენ შატეუარავ!" ის მსწრაფელ წამოხტება და თავისი წვეტიანი წითელი ტხვირის წვერით გააეოლებს ხაზს ეეავიდებზე მისის ერთი კეთხიდან მეორემდის. ხაზი ითითქოს კალმით გაუსვამთო. „გაეინეული ორთქლია და სხვა არაფერი!" ბეტბეტებს ის და ისევ გაეხვევა საბანში"

კითხულობ ყველა ამ თხზულებებს, ყურს უგდებ ყმაწვილთა გუნდის გალობას და გრძნობ ულრმესს ნამდვილ მხატვრულ სიამოვნებას. არც ერთი ფრაზა, არც ერთი თაღლითი ხმა! გავიწყდება, რომ ეს არის კრებული მოწაფეთა თხზულებებისა და გგონია, რომ კითხულობ ნამდვილი ხელოვანის მიერ დაწერილს რომანს ბავშვების ცხოვრებიდან.

რამდენი სურათია შიგ და ცოცხალი სახეები! რამდენი კარგად ნაცნობი ამბებია აწერილი! რამდენი გრძნობები და გულის აზრია, რაც ყველას გამოგვიცდია!

აი მარხილებით გამგზავრება ზამთრის მთვარიან ღამეში: ხეები გახვეულია სქელსა და თეთრს საბანში, ჰაერი დაწყნარებულია და სუფთა, შორს ნოისმის ოქროს ზარის ხმა.

აი ყმაწვილის სიყვარული ოქროს ფერ არშიან თავს ხურიან პატარა ქალთან. სიყვარული წმინდა, ბავშვური, ყმაწვილი გულ წრფელად მოგვითხრობს ამას იმიტომ. რომ „ბ-ნი პროფესორიც გვიამბობდა, რომ ისიც, როცა მოწაფე იყო, მუდამ ჰფიქრობდა ერთს პატარა ქალზე".

მეორე ყმაწვილი წყნარს შემოდგომის

ღამეში ზის ბაღში და ვარსკვლავებსა სთვლის. ზის და დიდხანსა სთვლის, ვიდრე კისერი არ ასტკივდება, მაგრამ პოლოს მაინც ანგარიში არ ეშლება.

აი კიდევ ყმაწვილი საღამო ჟამს, როცა უკვე ჩამობნელდა, სდგას ღობესთან და გაჰყურებს მიმავალს მატარებელს. სდგას ერთს ადგილას და დიდხანს უყურებს უკანასკნელი ვაგონის წითელ ფრანს. მატარებელი მიდის იმ ადგილებში, სადაც მისი ბებია სცხოვრობს. ბავშვიც სდგას, შეჰყურებს მატარებელს და ჩუმად სტირის...

ხშირად ყმაწვილები თხზულებებში მოგვითხრობენ თავიანთ მშობლებისა, და ნაცნობების შესახებ და ამ სახით ხან და ხან ნათლად გვიხატვენ ცხოვრების ნამდვილ სურათებს.

აი ყმაწვილი მაქსი და იმისი დედა, რომელიც ყვავილების გამყიდველი იყო, დაპატიჟეს მდიდარს სასახლეში, რომლის დიასახლისი, წარჩინებული პირი, მათი მფარველი იყო. მაქსი დიდს საზოგადოებაში უხერხულად გრძნობს თავის თავს. დედაც საწყლად მოსჩანს მდიდრულ ხომლების სინათლეზე, თუმცაღა მან თმებიც დაიხუჭუჭა და თავისი საუკეთესო ტანისამოსიც ჩაიცვა. ყმაწვილი გრძნობს, რომ მდიდრებს ისინი არ უყვართ, არ ესმისთ მათი და ცივადაც ეპყრობიან. ყმაწვილი ურჩევს დედას წასვლას. როცა ქუჩაში გამოვლენ, ყმაწვილი მობრუნდება და ძუშტის მოღერებით იმუქრება განათებულ ფანჯრებისაკენ. დედა გამოჰკითხავს შვილს გაჯავრების მიზეზს, მაგრამ ის ხმას არ იღებს...

მეორე ყმაწვილი მოგვითხრობს ამბებს თავისი მხიარულ და ხუმარა მამის შესახებ, როგორიც თვითონ არის. ძლიერ უყვარს მოხუცს გადაჰკვრა და რაკი სამიკიტნოდან შინ დაბრუნდება, ჩაცმული დაწვება, დედა ხდის წაღებს. ბურნუთს ეწევა და გულკეთილობით ლაზღანდარობს. შვილს ხანდახან წკეპლებით კანს აუწვავს. სკოლისა და გერმანული ენის მასწავლებლის შესახებ ამბობს: „აი კიდევ რაზედ გინდათ არ ყბედობთ ამ გაკვეთილებზე!“ მაგრამ ამასთანავე გულკეთილად და საკმაოდ გაიღიმებს.

შპინვებერის დედა, საწყალი ქვრივი, ხშირად მოიგონებს თავის გარდაცვალებულს ქმარს და ჩუმი ლოცვით უგზავნის მოკითხვას. სცხოვრობს თავისი შვილით სახურავს ქვეშ, პატარა ცუდ ოთახში. მაგრამ, როცა ოთახში თბილა, მაშინ კარგია, განსაკუთრებით საღამოობით. მაშინ ყმაწვილი წამოწვება ფანჯარასთან და შეჰყურებს თავისს საყვარელს ხარიპარია ვარსკვლავს, შეჰყურებს და ფიქრობს, სანამ არ მიეძინება.

ვკითხულობთ მოწაფეების ყველა ნაწერებს და ვიღებთ ცხად წამოდგენილებას თითოეული მოწაფის პიროვნების შესახებ, თითოეული მოწაფის სახე ცხადად გვეხატვის თვალწინ, თითქოს პირადად ყველანი გავიცანით. ძნელი გამოსაცნობი არ არის რომელ მათგანს დაუწერია რომელიმე 126 თხზულებაში. ეს ფრიად საჭიროა. აიღეთ 126 თხზულება საშუალო მასწავლებლის 14 მოწაფისა, წაიკითხეთ და იშვიათად გამოიცნობთ, თუ რომელიმე თხზულება ვისი დაწერილია. ეს იმას აძტკიცებს, ოომ მოწაფეებს დამოუკიდებლად არ უმუშავნიათ, აო შეუტანიათ საძუშაოში არაფერი თავისი, არ უწერიათ ის, რის წერაც მათ უხდოდათ. უწერიათ არა ის, რაც უნახავთ, გაუგოიათ, უგრძვნიათ, უწერიათ ხალისს მოკლებული სავალდებულო საწერი შაბლონურს თემაზე და ამიტომაც უწერიათ შაბ-

ლონურად, უსიცოცხლოდ, გაუმეორებიათ სადღაც გაგონილი, ან წაკითხული სხვისი სიტყვები. მოსაწყენია ამისთანა თხზულებების კითხვა! უსარგებლოა და მავნებელიც მათი საწერად მიცემა, რადგანაც სისტემატიურად აჩვევს სხვისი სიტყვების გამეორებას, ეს კი იმას ნიშნავს რომ შეაჩერო დამოუკიდებელი და ორიგინალური აზროვნების განვითარება და გაავითაროს მიდრეკილება უშინაარსო ფრაზებით ლაპარაკისა.

ჩვენი ავტორი ბავშვების თხზულებათა შესახებს ამბობს, რომ მათი წაკითხვა მისთვის ნამდვილი დღესასწაული იყო. შეაგროვებდა რვეულებს თუ არა, მიეჩქარებოდა სახლისკენ, რომ მიეღო ძლიერი და ნამდვილი ესტეტიური კმაყოფილება. მოწაფეებიც მოუთმენლად ელოდნენ თხზულების გაკვეთილს, წინდაწინვე ჰქონდათ მოსაზრებული, ბჭობა ერთმანეთთან თემის შესახებ და ბოლოს სწერდნენ სრულიად თავისუფლად, ნამდვილის გატაცებით.

საოცარი საქმეა: არც ერთი მეცნიერი, არც ერთი პოეტი და პუბლიცისტი არ სწერს იმ საგნის შესახებ, რაც მას არ აინტერესებს, არ იზიდავს, ბავშვებს კი ჩვენ ვაწერინებთ სხვა და სხვა საგნების შესახებ, რაც ფიქრად მოგვივა და სრულიად არ ვეკითხებით სურთ მათ ამის შესახებ წერა თუ არა. ეს ჩვენი მასწავლებელი არა თუ თავისუფლებას აძლევდა წერაში მოწაფეებს—წერის ნებასაც კი არ აძლევდა იმ პრინციპის მიხედვით, რომ ვერავინ ხეირიანს რასმე ვერ დასწერს, თუ მას მოთხოვნილება და ხალისი წერისა არ ექნება და თუ საფუძვლიანად არ ეცოდინება ის, რის შესახებაც უნდა დასწეროს. მოწაფეებს ხშირად არ აქვთ და შეიძლება არც ჰქონდეთ სრულიად ცხადი წარმოდგენილებანი საგანზე და მაშასადამე ვერც რასმე დასწერენ; მხოლოდ იმის შესახებ შეუძლიათ სწერონ, რაც მოწაფეების საკუთარის დაკვირვების და ცდის ფარგალშია მოთავსებული, რაზედაც უფიქრნიათ და რასაც აღუძრავს მათი გრძნობისა და ფანტაზიის მოქმედება. მხოლოდ მაშინ შეუძლიანთ მათ სწერონ კარგად, ცოცხლად, მხატვრულად და მართლა მაშინ მათი ნაწერები ჩაითვლება საინტერესოთ პსიხოლოგიისა ანუ მხატვრობის მხრივ. საზოგადოთ ძნელი წარმოსადგენია იმაზე უფერული, უშინაარსო და მცირედ ორიგინალური, რასაც წარმოადგენს მოწაფეთა ჩვეულებრივი ნაწერები. თუ ამ გვარ ნაწერებშ ენა სწორია, მართლ წერის მხრივ შეცდომები არ არის, ფორმალისტ მასწავლებლისთვის ეს საკმარისია. კიდევ კარგი თუ მასწავლებელი სხვა მიზანს არ მისდევს. მაკრამ თუ ამასთან ერთად ის თავის გემოვნებას და შეხედულობასაც თავზე ახვევს მოწაფეებს, ებრძვის ყოველგვარ ორიგინალურ აზრებს და აზრთა გამოხატულობას, მაშინ უბედურებაა!

უნდა შევნიშნოთ, რომ ამავე შეცდომას ე. ი. თავისი რწმენის და შეხედულობის ქადაგებას ხშირად მისდევენ მოწინავე, პროგრესის მიმდევარი მასწავლებლებიც. ისინი მართალნი არიან, როცა დახავსებული და ყოველგვარ განვითარებისათვის მავნე ქადაქებას ეწინააღმდეგებიან, მაგრამ დიდს შეცდომას სჩადიან, როცა ამ ბოროტების საწინააღმდეგოთ მთავარ საშუალებათ მოწინააღმდეგე და ახალი პროგრესიული „მოძღვრებათა“ ქადაგება მიაჩნიათ. სკოლამ საზოგადოთ არავითარი სწავლა არ უნდა მოახვიოს ნაძალადევად მოწაფეს, არამედ უნდა ხელს უწყობდეს მას დამოუკიდებლად შეიმუ-

შავოს თავისი მსოფლ-მხედველობა, აღ-ძრას და განავითაროს მოწ. ფეებში გონ-ებრივი და სულიერი ძალები, რომელიც საჭიროა, რომ ადამიანისაგან შეიქმნეს პიროვნება, რომელსაც ძალუძს დამოუ-კიდებლად გარკვევა ყველაფერში, შეგ-ნებული და დამოუკიდებელი ცხოვრება, თავისუფალი ცხოვრება. მასწავლებელი, რომელიც სკოლაში მუშაობს და მისდევს ამ გვარ აზრს და მიმართულებას, ემსგავ-სება „ჭკვიანს და გამოცდილს მებაღეს, რომელიც არ მიისწრაფვის, რომ ყვავი-ლებისაგან ან ნორჩი ხეებისაგან ხელოვ-ნურად შეჰქმნას რაღაც სავალდებულო და ან მის მიერ მოგონილი „ფასონები", არამედ სცდილობს ყველა მათ მიაწოდოს მეტი ნოყიერი საზრდო, ჰაერი და სი-ნათლე და მით ხელი შეუწყოს. მისი ბუნების მიხედვით, თავისულად ზრდას და განვითარებას!!. სკოლა, სადაც ამ გვარი მუშაობა ჰსუფევს, არის ნამდვილი **თავისუფალი სკოლა** და არა ის, სადაც თავისუფალ იდეებს და შეხედულებათა ჰქადაგებენ.

თუ ჩვენ ვითხოვთ, რომ მოწაფის ნი-ჭისა და მიდრეკილების მიხედვით, ყურად-ღება მიექცეს მისს პიროვნებასაც, მით უფრო საჭიროა მოვითხოვოთ, რომ მა-სწავლებლებიც, თავისი ბუნების, გემოვ-ნების და ნიჭის მიხედვით, **თავიანთ მოქ-მედებაში სკოლის კურსის ფარგალში, რასაც აღნიშავენ** სავალდებულო საბო-ლოო მოთხოვნილებანი, **სრულიად თა-ვისუფალნი იყვნენ**. როგორც სჩანს ხსე-ნებული მასწავლებელი არ ყოფილა შე-ვიწროებული სკოლის მთავრობისაგან სა-სტიკი ფორმალური მოთხოვნილებებით, ან შეიძლება სკოლის მთავრობის მოწე-რილობას ის ყურადღებასაც არ აქცევდა. **ყოველ შემთხვევაში ის ასწავლიდა მხო-ლოდ** იმას, რაც თვითონ ეუყვარდა და რითაც გატაცებული იყო, ასწავლიდა ისე, როგორც საუკეთესოდ და შესაფე-რისად მიაჩნდა დასახულს პირობებში. მართლაც და რა სისულელეა ჭაბუკთა სწავლა აღზრდის საქმეში მოთხოვნა სას-ტიკის და დაწვრილებითი პროგრამებისა დაწვრილებითივე განმარტებითი წერილე-ბით და სასტიკად ასრულება ყოველივე მისი მუხლისა. სწავლა აღზრდის საქმე **შემოქმედებათს სამუშაოს** წარმოადგენს და გაურბის ასეთს კანონებს და შაბლო-ნებს.

რასაკვირველია არც ამ წიგნს შეიძ-ლება ისე შევხედოთ, როგორც საპრო-გრამო წიგნს და არც მისი ავტორის პე-დაგოგიურს ხერხს სრულიად არ უნდა ჰბაძავდნენ იმ მოსაზრების ძალით, რომ ყოველგვარი მიმბაძველობა—ბოროტებაა. როგორც ხელოვანი, აგრეთვე მასწავლე-ბელიც მაშინ არის კარგი, როცა ის მთლად—**ის თვათონა.** ყველამ ასწავლოს თავისებურად: ერთმა განუვითაროს მათე-მატიკური ნიჭი, მეორემ—ფილოსოფიური აზროვნება, მესამემ მოამზადოს ბავშვის გონება სამეცნიერო მოქმედებისათვის, მაგრამ ყველამ იმუშაოს ისეთი ცოცხალი ინტერესით, ისეთი გულწრფელი გატა-ცებით და ისეთი ბავშვებისა და თავის საგნისადმი სიყვარულით, როგორიც ჩვე-ნი პედაგოგია! საიდეალოა მისი დამოკი-დებულება საქმესთან, მშვენიერია სული და მიქცევა გონებისა, რომლითაც გამ-სჭვალულია ყველა მისი მუშაობა! ის მართლა „მთელს სულსა სდებს" თავისს სამუშაოში, ის აძლევს არა მარტო „იმას, რაც აქვს", არამედ „იმას, რაც არის", აძლევს თავის თავს. რის მაქნისია აქ „პროგრამა"!

არა თუ ჩვენში, არამედ უცხოეთშიაც ჯერჯერობით ძლიერი არის „პროგრამების“ სასწაულთ მოქმედებითი ძალისადმი რწმენა, საქმით იქაც გამეფებულია მკვდარი ფორმალიზმი, საქმე კი ითხოვს მასთან ცხოველ დამოკიდებულებას, საზოგადოებაც გაჟღენთილია ამ გვარი შეხედულობით და ყოველგვარ დამოუკიდებელს და ორგინალურ დასაწყისს სკეპტიკურად უყურებენ. ეს მტკიცდება იმ გარემოებითაც, რომ ჩვენმა ავტორმა ვენაში ვერ ნოიპოვა თავისი წიგნის გამომცემელი. „მაგრამ სასოს ნუ წარიკვეთ, ჩემო ძვირფასო წიგნო“, სწერს ის წინასიტყვაობაში, „ნუ შეკრთები, თუ რამემ შეგაშინოს ე. ი. თუ შენს შესახებ რეცენზიას დასწერს ვინმე „სკოლის საქმის სპეციალისტი“. შენ მამაცურად აიტან ამ უბედურებას—მართალია განა?“

მართლაც წარმოსადგენია ის გაუგებრობა ამ წიგნის კითხვის დროს, რასაც იგრძნობს მასწავლებელი, ხელოვნურ ალლოს მოკლებული, „პლატონის მტერი“ და მეორეს მხრით—დახვსებული პედანტი და ფორმალისტი, რომელიც დაჩვეულია კანცელიარული მოწერილობათა ყურმოჭრილ ყმასავით შესრულებას და რომელთაც არ შეუძლია კლასში მეცადინეობა ისე, თუ არა „მოწონებული“ სახელმძღვანელოებით ხელში.

იმას კი, ვინც ნამდვილი პედაგოგია, სულით ნამდვილი ხელოვანია, ეს წიგნი ნამდვილს ღრმა სიამოვნებას აგრძნობინებს, სულით და გულით მადლიერი იქნება ავტორისა და მასთან ერთად გაიყოფს იმ სიამოვნებას და ბედნიერებას რასაც ის განიცდიდა იმ დროს, როცა ეთხოვებოდა ბავშვებს, შეიძლება სამუდამოდ და ხედავდა მათ მადლობასა და სიყვარულს:

„დღეს უკანასკნელად ვიდექი ჩემი პატარა ბიჭების წინ“.—სწერს ის ბოლოსიტყვაობაში, „და იმათ მთელი მაგიდა მოჰფინეს საუცხოვო, საუცხოვო ვარდებით. ღმერთმა უწყის რომელი ბაღებიდან, ადგილებიდან და მაღაზიებიდან არ შეაგროვეს ამოდენა ყვავილები! თითქოს წინდაწინ ჰქონდათ ნათქვამი: შეაგროვეთ, შეაგროვეთ ვარდები, ვისაც საიდან შეუძლია, ვისაც რამდენი შეუძლია და მოიტანეთ დღეს სკოლაშიო! და აი ჩემს მაგიდაზე ცვივოდა სისხლივით წითელი და თოვლივით თეთრი ვარდები და ამ ყვავილთა წვიმის წვეთები იატაკსაც აპკურებდა!!.

ლ. ბოცვაძე.

სახალხო განათლების საქმე საქართველოში

(მოკლე მიმოხილვა)

მე-XIX საუკუნის დასაწყისიდან, როცა ქართველ ერის ცხოვრებამ შეიცვალა ჩვეულებრივი ისტორიული კალაპოტი, საქართველოში სალხის განათლების საქმეც უკეთესად მოეწყო. წინად საქართველოში თითქმის ყველა ეკლესიებთან არსებობდა სამრევლო სკოლები. საზოგადოო რომ ვსთქვათ—ეს სკოლები ვერ იყო პედაგოგიურად მოწყობილი, მაგრამ ზოგ მათგანში, როგორც ისტორია მოგვითხრობს, საკმაოდ კარგად ყოფილა სწავლა აღზრდის საქმე დაყენებული და მოწაფეებსაც, მაშინდელ პირობების მიხედვით, შესაფერისს გონებრივს და სულიერს საზრდოს აწვდიდენ. ამის დასამტკიცებლად მოგიყვანთ შუძლეგს ისტორიულს ფაქტებს—მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ცხობილი პროფესორის ნიკოლოზ ჩუბინაშვილის მამას დეკანოზს დავით ჩუბინაშვილს ჰქონდა სასწავლებელი კახეთში, სადაც

სხვებთან ერთად იზრდებოდა იმისი შვილი ნიკოლოზ ჩუბინაშვილიც, 14 წლამდის ეს უმაწვილი სწავლობდა ყველა საგნებს მშობლიურს ენაზე; შემდეგში 1804 წელს, როცა 14 წლის უმაწვილი ნიკოლოზ ჩუბინაშვილი მიაბარეს თბილისში კეთილშობილთა სასწავლებელში, რომელიც დაარსებული იქმნა 1804 წელს 21 მაისს საქართველოს მთავარ მართებლის თავადის ციციანოვის მიერ, ჩუბინაშვილი შესანიშნავ წარმატებას იჩენდა ქართულ-რუსულ ენებში, სალმრთო სჯულში, რიტორიკაში, ლოდიკაში, ზნეობრივ-ფილოსოფიაში. მატემატიკაში, ლათინურსა და გერმანულს ენებში და სხ. ამ მასწავლებლის დირექტორი ბურტინსკი, რომელმაც ქართული ენაც კარგად იცოდა, ჩუბინაშვილის ასეთს წარმატებას სწავლაში მიაწერდა სხვათა შორის იმ გარემოებას, რომ ჩუბინაშვილი კეთილშობილთა სასწავლებელში მიბარებამდის თავის მამის სკოლაში გულმოდგინეთ სწავლობდა ქართულ ენას და ვითარდებოდა დედა ენაზეო. ბუკრინსკის აზრით — დასძენს ბროფ. ცაგარელი, რომ დედაენის სათუძვლიანად შესწავლა ძრიელ უწყობს ხელს სხვა საგნების შესწავლას და სხვა ენების სწრაფად შეთვისებას. ახალი არ არის და არც ერთი სერიოზული პედაგოგი არ იქნება ამის წინააღმდეგი. ჩუბინაშვილის გარდა სხვა მაგალითებიც ვიცით რუსულ ენაში წარმატებისა, როცა თავდაპირველად დედაენა ჭქონდათ საკმაოდ შესწავლილი. ასეთები იყვნენ, სხვათა შორის, პლ. იოსელიანი, დ. ყიფიანი და სხ.

რუსების შემოსვლამდის ტფილისისა და თელავის სასულიერო სემინარიები ისე იყო მოწყობილი, რომ ყველა საგნებს მოწაფეები სწავლობდნენ დედაენაზე, ვრცლად სწავლობდნენ თავის ქვეყნის წარსულ ცხოვრებას, ვრცლად შეითვისებდენ ქართულ ლიტერატურის ქმნილებათა და ამასთან საზოგადო საგნებსაც. მაშინდელს დროის გამოჩენილნი პოეტნი ბესარიონ გაბაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ფილოსოფოსნი და რიტორნი ჭაბუა ორბელიანი, სოლომონ ლეონიძე, შესანიშნავნი მქადაგებელნი, ამბროსი ნეკრესელი, ვარლამ ერისთავისშვილი, სახელოვანი ღვთის მეტყველნი ანტონ I, დოსითეოს ნეკრესელი და გაიოსი, სასულიერო მწერალნი — ლეკანოზი სოლომონ და ალექსი ალექსიშვილები, ბიოგრაფნი ომან ხერხეულიძე, ალმწერელი მეფე ირაკლის ცხოვრებისა, და სხვა შესანიშნავი სასწავლნი პირები — მაშინდელი ქართული სკოლებისა და სემინარიების ყოფილი მოწაფეები იყვნენ და მათი ღვაწლიც თავლსაჩინოდ სჩანს ქართულს მწერლობაში.

მთელი სისტემა სწავლებისა სემინარიებში და დაბალს სკოლებში დამკვიდრებული იყო ეროვნულს ნიადაგზე და შეთანხმებული მაშინდელი ცხოვრების მოთხოვნილებასთან. მაშინდელ დროში, როგორც მოწმობს საეკლესიო გუჯრები, ყოველი ეპისკოპოსი, კურთხევის დროს აძლევდა აღთქმას, ხელწერილსა, რომლითაც იგი ვალად იდებდა საეკლესიო სკოლების გამრავლებას თავისს ეპარქიაში, რასაც საერო მთავრობაც ხელს უწყობდა. საინტერესო ცნობებს ვკითხულობთ ამ საგნის შესახებ გიორგი მე XIII ცხოვრებაში — „მეფემ უბრძანა თელავიდან მოსულს დავით რეკტორსა თელავის სემინარიისას, შემდგომად გაიოზისა მოძღვრისა, დახედოს თბილისის სასწავლებელთა, რომელნიც იყვნენ დროსა ამას — ნათლის მცემლის ეკკლესიისა, კალოუბნისა, სიონისა, ქვაშვეთისა, მეტეხისა და ანჩიხატისა. ასწავებდენ აქ წერასა, კითხვასა, გალობასა, გრამატიკასა, კატეხისმოსა ანტონ კათალიკოზის სისტემითა, ძველთა სამეფო ისტორიათა და სხ. მოსულთა ჭესაკთა შინა კერძოთ და არა ყველგან ასწავლიდნენ ძველსა და ახალსა ფილოსოფიასა და ღვთის მეტყველებასა, ანტონისავე შედგენილს. მოწაფენი დროთა ამით იყვნენ ოთხასამდის, ვითარცა იტეოდნენ თვა-

ლით მხედველნი მოხუცნი. მაისის დღეს შეუერთეს მიბრძანდა და იხილა მოწაფენი ეფრემ მდგდლისა კალოუბნელისა; თვითოეულს უბრძანა წაიკითხოს, აგალობა იგინი და თვითონაც გალობდა წირვასა და მწუხრისა საგალობელთა. დიდათ გამხიარულდა მეფე. იხილა რა ერმანი მადლიანად მკითხველნი, უბრძანა თითო აბაზი და ამცნო ემათა, რათა ეშინოდეთ მათ ღვთისა და შეიქმნებიან ბრძენი და შვილნი ეკკლესიისანი, ვინაიდგან დასაწყისი სიბრძნისა არს შიში უფლისა და სხ.

აქედან სჩანს, რომ მაშინდელი სკოლები მარტო წერა-კითხვის მიმდევნი არა ყოფილან, იმათი პროგრამა ეხლანდელ სასულიერო სასწავლებლის პროგრამასაც აღემატებოდა. მაშინდელ დროში წერა-კითხვის ცოდნა დაბალ ხალხშიაც გავრცელებული იყო. განსაკუთრებით მონასტრებისა და საეპისკოპოზო კათედრების ახლოს სოფლებში იშვიათად იპოვიდით ქალს, რომელსაც წიგნი არ სცოდნოდა, ხალხსაც გაზეპირებული ჰქონდა ხუკეთესო ადგილები „ვეფხის ტყაოსნისა“. (იხ. „რანი ვიყავით გუშინ“ ი. გოგებაშვილისა). სამეცნიერო შინაარსის წიგნებიც აუარებელი იყო. მეტაფიზიკიდან და დიალექტიკიდან დაწყებული, ვიდრე გეომეტრიამდე ქართულ ენას ჰქონდა შეძენილი ყოველის მეცნიერების თხზულება, ან ორგინალური ან ნათარგმნი. მარტო ანტონ კათალიკოსმა გაამდიდრა ჩვენი მწერლობა 43 ახალი თხზულებითა, რომელთა შორის ნახევარი საერო მეცნიერებას ეკუთვნოდა. ანტონ კათალიკოსის მოღვაწეობა ჩვენს დიტერატურაში ევროპის მწერალთა და სწავლულთა გავლენის ქვეშ სწარმოებდა. მაშინდელი პოლიტიკური იდეების ზედ გავლენის კვალიც კი ეტყობა ჩვენს ცხოვრებას. ამას კვიმტკიცებს შემდეგი ისტორიული ამბავი: როდესაც ეკატერინე მეორე მთელს რუსეთში ჰფენდა ბატონყმობის სენსა არიგებდა თავის უბორტებს აქა იქა, ერეკლე შეფემ გამოსცა ბრძანება, რომლის ძალითაც ყმობიდან განთავისუფლდებოდა ყოველი გლეხი, რომელიც ტყვეობიდან დაბრუნდებოდა. ეს ფაქტიო, დასძენენ ისტორიკოსები სრულს საბუთს გვძლევს ვსთქვათ, რომ „თუ ჩვენი ისტორიული მსვლელობა თავისი ნაციონალური კალაპოტიდან, არ გადავარდნილიყო, ვინ იცის იქნება ბატონყმობის გაუქმებას, 64 წელზე ბევრად ადრე მოვესწრებოდით და ეს გაუქმება მომხდარიყო უფრო სასარგებლო საფუძველზე. დატულ ბარათაშვილმა და ბევრმა იმის მომხრეებმა მეფე გიორგის სიკვდილის შემდეგ შეადგინეს შეთქმულება, რომლის განძრახვა იყო დაცვა დამოუკიდებლობისა და დადგინება საქართველო ში რესპუბლიკისა„.*)— მაგრამ რუსის მთავრობამ საქართველოში მაგრად მოიდგა ფეხი, გაუქმა ყველა ქართული სკოლები და სამაგიეროდ ზოგიერთ ადგილებში დაარსა რუსული სკოლები თავად-აზნაურთა წოდების შვილებისათვის; თუ როგორი შედეგი მოჰყვა ამისთანა სკოლებს ნათლად სჩანს სხვათა შორის ილია ჭავჭავაძის მოთხრობიდან „სახჩობელაზე“, ლოჭინის სკოლაში ნასწავლი ხდება ავაზაკად და სულს სახრჩობელაზე ჰლევს— „აგვიეროლეს სული რუსულის ლანძღვითა და თრევითა“, „ამოგვარეთეს სული ცემა ტეპითა“ ამბობს მეორე ეპაკე სკოლაში ნასწავლი. ეს არის მოკლე სურათი მაშინდელი რუსული სკოლებისა ჩვენში.

მთელი ნახევარ საუკუნეზე მეტი, ბატონყმობის გადავარდნამდის ქართველი გლეხისათვის სწავლა განათლება აკრძალული ხილი იყო. ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ საქართველოშიაც არსდება სახალხო სკოლები, განთავისუფლებულს გლეხსაც დიდი იმედი ეძლევა, ხალისით ეკიდება სწავლა განათლების საქმეს, აშენებს სკოლებს, აძლევს ჯამაგირს მასწავლებლებს და ეწევა ყოველგვარ ხარჯს,

*) „რანი ვიყავით გუშინ“.

მეგრამ გადის დრო და ხალხი ატეობს, რომ სკოლამ ვერ გაუმართლა მას ის იმედი, რასაც მისგან გამოელოდა. გაისმის ხალხში დრტვინვა და უიმედობა: ბევრგან სოფლად, რომ თავიდან აიცილონ უთავბოლო და უნაყოფო ხარჯი სკოლის შესანახად, სწვავენ სკოლის შენობებს, სდევნიან მასწავლებლებს. ამ გარემოებას ზოგიერთები, ვისაც არ ესმოდა ხალხის მაჯის ცემა, მისი გულის ტკივილები—ხალხის ბარბაროსობას აწერდნენ, სრულიად არ უკვირდებოდნენ და არ იკვლევდნენ იმ მიზეზებს თუ რად აიტრუა ხალხმა გული სკოლაზე და რად უეურებდა მას უნდობლად. მთავრობა, რომელიც სკოლებს ხმარობდა ხალხის დამაბნელებელ და არა განმანათლებელ იარაღად, ურჩევს სოფლის საზოგადოებას სხვა და სხვა ტიპის სკოლებს—იმედს აძლევს ხალხს შვილების აღზრდაში მეზრუნველობა გაუწიოს, აარსებს ესრედ წოდებულს „ნორმალურს“ სკოლებს, რომლის შესანახად ხარჯს მთავრობაც ეწევა. თავდაპირველად „ნორმალურ“ სკოლებში ქართულ წერაკითხვასაც ასწავლიდნენ, მაგრამ მალე იმავე მთავრობამ ამ სკოლებიდან სრულიად განდევნა დედა ენის სწავლებაც და ამისთანა სკოლები სასაცილოდ „ნორმალურად“ იწოდებოდა ჩვენში. ხალხი ცხადათ ხედავდა, რომ ვერც ეს სკოლები იძლეოდა რაიმე ნაყოფს; ხალხში ეხლაც უკმაყოფილება ისმის სკოლების შესახებ, მთავრობა ცდილობს როგორმე თვალი აუხვიოს ხალხს და წინადადებას იძლევა „ნორალური“ სკოლების ორკლასიანად გადაკეთებაზე და სამეურნეო განყოფილებითა დაარსების შესახებ, მაგრამ არც ორკლასიანმა სკოლამ უშველა საქმეს თავისი სამეურნეო განყოფილებით, რადგანაც ყოველივე ცოდნის შეძენა დამყარებული იყო უცხო ენაზე თუთიყუშურ გაზეპირებით და ამიტომაც მასწავლებლისა და მოწაფეთა შრომა წყლის ნაყვაზე უარესი ხდება, რადგანაც წყლის ნაყვით არავის ზარალი არ მოსდის რა და უწესრიგო სწავლებით კი სახიჩრდება ადამიანის გონება და ხალხიც, მოკლებული თავის დედა ენაზე სწავლა აღზრდის უფლებას, დგება გადაგვარების გზაზე. ნორმალურ სკოლებთან ერთად არსდება სოფლის საზოგადოების სკოლებიც, რომლის ხარჯს მთლად იხდის სოფელი. თუმცა „ნორმალური“ სკოლების მასწავლებლები ჯამაგირისა და პენსიის მხრითაც უკეთეს პირობებში იყვნენ ჩაყენებულნი, მაგრამ იმავე მოთხოვნილებას უდგენდა მთავრობა სასოფლო სკოლის მასწავლებლებსაც, რასაც იგი თხოულობდა „ნორმალური“ სკოლებიდან ე. ი. განდევნას დედა ენისას და სწავლების შემოღებას რუსულ ენაზე. სასოფლო სკოლის მასწავლებლების უმეტესობაც იმ პირობებში იყვნენ აღზრდილნი, რომ ძალა უნებურად უნდა აღესრულებინათ ის, რასაც უბრძანებდნენ უფროსი ბობოლაები.—მთავრობა ეხლაც ხელავდა ხალხის უკმაყოფილებას სკოლისადმი და ამ 30 წლის წინად ჭმართავს სახალხო მასწავლებლების საერთო კრებას ქუთაისში და ტფილისში სკოლებში სწავლების უკეთ მოწყობის შესახებ მოსალაპარაკებლად. მასწავლებელთა კრება ქუთაისში და ტფილისში დადგება იმ მოსაზრებას, რომ სარგებლობის მოტანა შეუძლიან მხოლოდ ისეთს სკოლას, სადაც საგნების სწავლება წარმოებს დედა ენაზე და არა უცხო ენაზეო. ამის მიხედვით ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების მასწავლებლები აღგენენ განსაკუთრებულ გეგმას, რომელშიაც შეტანილია საგნების სწავლება ქართულს ენაზედ და რუსული ენის სწავლება გადატანილია მესამე წლისათვის. ეს გეგმა მასწავლებელთა კომისიის მიერ შემუშავებული თავისი განმარტებითი წერილით წარედგინა საზოგადო კრებას მასწავლებლებისა და დირექტორებისას. კრებაზე კამათში მონაწილეობას იღებდენ გარეშე პირებიც. მასწავლებლების მიერ შედგენილმა სასწავლო გეგმამ რომლის შედგენაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა ჩვენი ცნობილი პედაგოგი ალ. ჭიჭინაძე, რომელსაც იმ დროს კერძო სასწავლებელი ჰქონდა ქუთაისში, დი-

ლი კამათი გამოიწვია. მასწავლებლები მა-ინც მტკიცეთ ადგნენ თავისს აზრს და თხო-ულობდენ გეგმის დამტკიცებას. სამოსწავლო მთავრობამ არ მოიწონა მასწავლებლების გეგ-მა და 1881 წელს გამოსცა თავისი ცნობი-ლი გეგმა, რომლითაც რუსული ენის სწავლე-ბა იწყებოდა პირველ წლის მეორე ნახევრიდან და საგნების სწავლება მეორე წლიდანვე იწყებო-და რუსულს ენაზედ. ქართული ენა ამ გეგმით მთლად უარეოფილი არ იყო, მაგრამ იგი ისწავ-ლებოდა როგორც ცალკე საგანი. მთავრობა ამა-საც არ დასჯერდა—1881 წლის სამოსწავლო გეგმას დიდხანს არ უბოგინია სკოლებში, მან-ვე უარეო ეს გეგმა და დაუბრუნა ისევ ძველ გზას, უველგან ძალას ატანდა, რომ სკოლებ-ში სწავლება თავიდანვე რუსულად წარმოებუ-ლიყო და ქართული ენის ხსენებაც ფაქტი-ურად ბევრ სახალხო სკოლებიდან სრულიად განდევნილი იქმნა. შემოღებული იქმნა სკო-ლებში უხერხული და უკულმართი მუნჯური მეთოდი, ბავშვებსაც უკრძალავდენ ქართულ ლაპარაკს და მასწავლებლებსაც სდევნიდენ, ვინც კი მიმართავდა ქართულ ენას, როგორც შელაგოგიურს საშუალებას, უცხო ენის შეს-წავლის დროს. ამრავლებდენ ქართულ სკო-ლებში რუს მასწავლებლებს და ამნაირად ქარ-თულს სკოლასა და მასწავლებლებს შორის აარსებდენ მთელს ჯურღმულს, რომ სკოლის შეგირდებს არა გაეგონათ რა თავის დედა ენაზე და უფრო მალე შეეთვისებინათ რუსუ-ლი ენა. ამის მიხედვით განდევნეს სკოლები-დან ქართველ ბავშვებისათვის შედგენილი რუ-სული ენის სახელმძღვანელოები და შემოიღეს პირდაპირი რუსული სახელმძღვანელოები ან ისეთი წიგნები, რომლებიც შედგენილი იყო განძრახ დამახინჯებულს მუნჯურს მეთოდზე. იქ, სადაც ხალხი დაეინებიო თხოულობდა სკოლაში ქართული ენის სწავლებას; შეამცი-რეს დედა ენის გაკვეთილები და ისიც გადა-ცეს მდგდლებს სასწავლებლად; იმ მღვდლებს, რომელნიც თავის საგანს—საღმრთო სჯულსაც კი არ ასწავლიდნენ და ხშირად აცდენდენ გა-კვეთილებს, ქართულმა ენამ ვერც მღვდლების ხელში იხეირა. ასე იყო საქმის ვითარება ამ უკანასკნელ დრომდის. ამ უტეეარი ფაქტების შემდეგ გამოდის ეოფილი ოლქის მზრუნვე-ლი ზაკლინი და 1905 წლის ცირკულიარში ბრძანდება ესირეხვილო წერილს, სადაც ამბობს, რომ 1881 წლის გეგმა არავისგან უარეო-ფილი არ ეოფილა და ეველა სკოლებში სწა-ვლება ამ გეგმაზე სწარმოებდა და ისიც დედა ენაზედაო". ეს ხელსი ტეეილი ჩვენთვის ცხადია, ცხადია ისიც, რომ მზრუნველს მა-შინ სხვა განძრახვა ალაპარაკებდა, ეს გეგმა მას მოაგონა დროთა გარემოებამ, ვითომ თა-ვიც იმართლა და მოაგონა მის მიერ შედგე-ნილს ცალკე კომისიას 11 მასწავლებლისგან და უმაღლეს მთავრობას ხელახლად დამტკი-ცებინა 1881 წლის გეგმა, რომელსაც ზოგი-ერთები გულუბრეეილო სიხარულით მიეგებნენ და ერთი ფეხის წინ გადადგმად დასახეს; დღეს კი თვალსაჩინოდ ვხედავთ, რომ ამ ხსე-ნებულმა გეგმამაც ჩაირეულის წყალი დალია და ადგილობრივი დირექტორ ინსპექტორები მა-სწავლებლებისგან თხოულობენ პირველ გან-ეოფილებაში რუსულული ენის 12 გაკვეთილს კვირაში.

აქ უნებლიეთ იბადება შემდეგი კითხვა, თუ მართლა ასეთს უნუგეშო პირობებში იყო სახალხო სკოლების საქმეც, მაშ რად ხსნი და ხალხი სკოლებს ეოველ წლობით? პასუხი ამ კითხვაზე ძნელი არ არის. ხალხი ისე მი-ეჩვია უკულმართ მორჩილებას ბევრგან, რომ მის საწინააღმდეგოთ არც ძალი შესწევდა და არც ღონე. რომელიმე ბოქაული ! მივიდოდ სოფელში და ძალდატანებით ადგენინებდა პრიგოვარებს: ეს იყო ერთად ერთი ხერხი ბოქაულის სამსახურში დაწინაურებისათვის და ისიც გულმოდგინეთ ასრულებდა სახალხო გ-ნათლების მინისტრობას—ბოქაული სასტი-

კად სჯიდა სკოლის მოწინააღმდეგეებს, დამ-ერთხალი ხალხი ძალა უნებურად თანხმდებო-და სკოლების გახსნაზე, რომ თავიდან აეცი-ლებინა რისხვა ბოქაულისა—სკოლას იგი მთა-ვრობის სკოლას ეძახდა და ამისთანა სკოლე-ბის გახსნაც სახელმწიფო ბეგარად დაედო ხალხს, რომელიც ყოველთვის სულით და გუ-ლით წინააღმდეგი იყო და არის მთავრობის უგულმართი სკოლებისა, რადგანაც არავითარ ცოდნას და უბრალო წერა-კითხვასაც კი ვერ ავრცელებდა ხალხში.

37 წლის წინად ჩვენშიაც ზოგიერთ მიუ-რეებულს ადგილებში დაარსდა ქრისტიანობის ალმადგენელ საზოგადოების მიერ ერთნაირი ჯერის სკოლები ოთხის წლის კურსით. მშვე-ნიერი შენობები, მომზადებული მასწავლებ-ლები, რომლებიც იღებდნენ თვეში ხუთ ექვს თუმანს და პენსიასაც.—ისეთს პირობებს წარ-მოადგენდნენ, რომ ამისთანა სასწავლებლებს მაინც უნდა ეხეირნათ ჩვენში, მაგრამ კარგი შედეგი არც ამას მოჰყვა. დედა ენის ჩამო-ქვეითებამ, უცხო ენის გაბატონებამ აქაც მა-ლე იჩინა თავი, მთავარი დანიშნულება სკო-ლისა აქაც უარეოფილი იქმნა და ვერც ამ სკო-ლებმა, რომელიც შემდეგში სამრევლო სკო-ლებათ გადაკეთდა, ვერ მოუტანა ხალხს სა-სურველი სარგებლობა, ვერ შეიტანა ხალხში ჭეშმარიტი სხივი განათლებისა.

ცოტად თუ ბევრად უფრო ოვალსაჩინოდ ხალხის განათლებას ჩვენში ხელს უწყობდა „ქ. შ. წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგა-დოება“ იმ ორიოდე სკოლით, რომელიც მის უწყებაში იმეოფებოდა, მაგრამ მთავრობა აქაც ძალას ხმარობდა, მთელის თვისი ძალ-დონით ცდილობდა ამ ორიოდე, ერთ დროს დაარსე-ბული სკოლების გაუკუღმართებასაც; სკოლე-ბის გახსნის ნებას 1881 წლის გეგმის მი-ხედვით მთავრობა არ იძლეოდა და საზოგა-დოების მოქმედებაც არც ისე დიდათ ნაყოფი-ერი იყო, რასაც გამოელოდა მისგან ქართვე-ლი საზოგადოება.

1884 წლიდან ჩვენშიც, როგორც მთელს რუსეთშიაც, მრავლდება რიცხვი სამრევლო სკოლებისა. სამრევლო სკოლების გავრცელე-ბის აზრი რუსეთში დაიბადა რეაქციონური მთავრობის წაყალობით და ტნობილის პობე-დონოსცევის მეთაურობით. რუსეთში, ზოგან სადაც ერობა იყო შემოღებული, ცდილობდენ სკოლების საშუალებით ნათელი სხივი შეეტა-ნათ ხალხში. ეს კი არ მოსწონდათ ბატონ-ყმობის მოტრფიალეთ და დაუწყეს დევნა სა-ერო სკოლებს, აბრალებდენ მართლმადიდებ-ლობის დალატს და თვითმპყრობელობის პრინციპის უარის ყოფას. ამ ბრალდებას მხა-რი დაუჭირა სახალხო განათლების სამინისტ-რომაც და ამ უკანასკნელის განკარგულებით სასულიერო წოდებას გადაეცემა მთელი უფ-ლება სახალხო სკოლების კანტროლისა, მრავლდება სამრევლო საეკლესიო სკოლები და ამას ხელს უწყობს აუარებელი ხარჯი სა-ხელმწიფო ხაზინიდან. შედეგი სამრევლო სკოლებისა ჩვენში და მთელს რუსეთშიაც ცხადი ხდება. ყველა შეგნებული ადამიანი სამ-რევლო სკოლებს რუსეთში „სულის საყასბო-ებს“ უწოდებდა, მაგრამ სამღვდელოებას რუსეთში დიდი გავლენა ჰქონდა მრევლზე და ეს უკანასკნელი არ იშურებდა თავისი შვილი ამ საყასბოში გაეგზავნა. ცოტათ თუ ბევრად სამღვდელოებას ჩვენშიაც გავლენა ჰქონდა. მაგრამ ჩვენში ხალხი და ზოგიერთი შეგნე-ბული პირიც მოატეუა იმ გარემოებამ, რომ სამრევლო სკოლებში თავდაპირველად ქართულ წერა-კითხვის სწავლებასაც ადგილი ჰქონდა დათმობილი. ამის გამო ჩვენში ბევრნი სა-ხალხო სამინისტრო სკოლებზე გულგატეხილ-ნი და ხალხის გულშემატკივარნი ფიქრობდ-ნენ, რომ სამრევლო სკოლას სხვა არ იყოს რა, წერა-კითხვის გავრცელება მაინც შეუძ-ლიანო, ამის გამო ჩვენში სამრევლო სკოლე-

ბის გამრავლებას ბევრნი ოინაუგრძნობდნენ. ო

მასწავლებელი აღმოჩენილა სადის ეუდაგოგიურის აზრების მიმდევარი და მასწავლებლობაში ცდილობდნენ არ გაეშრუდებინათ ჭეშმარიტი გზა, ამისთანა მასწავლებლები მეგრძოლნიც იყვნენ, მაგრამ რას იქმა თითო ოროლა მასწავლებელი, როდესაც უმეტესი რიცხვი სულ სხვა გზას ადგა და ზოგნი მათგანი ჩვენდა სავალალოდ ჯაშუშობისა და მაბეზღარის როლსაც ასრულებდენ, ან განა შეიძლებოდა ჩვენში ნაყოფიერი მოქმედება, როდესაც მასწავლებელთ შორის არა სუფევდა არავითარი შემაერთებელი კავშირი, ერთობა და სოლიდარობა? სამწუხაროდ დღესაც ასეთი სურათი გვიდგას თვალწინ: არა თუ მთელს საქართველოში ვერ ვხედავთ ერთის მიზნით და მიმართულებით განმსჭვალულს მასწავლებლებს; პირიქით ისეთს ქალაქებში და დაბებში, სადაც თავი მოუყრია ჩვენებურს მასწავლებლებს, შეერთებულად მოქმედების ნაცვლად, ერთმანეთის ბეზღებაში ამოდიოთ სული, გაუტანლობა, შური, ბეზღება და ათას გვარი ზნეობრივი სიდუხჭირე ნიშნობლივ თვისებას შეადგენს ჩვენებურის მასწავლებლებისას. მასწავლებელთა უერთობამ და უგულმართმა ადრზდამ დაჭბადა ჩვენში აშორდიები, რომელთაც სარგებლობის ნაცვლად, დიდი ვნება მიაყენეს ხალხის განათლების საქმეს ჩვენში. სიმართლე მოითხოვს ვსთქვათ, რომ საბედნიეროთ აშორდიებთან ერთად იყვნენ მადალი იდეებით გატაცებულნი სახალხო მასწავლებლებიც, რომელთაც არ უდალატნიათ მადალი მიზნისათვის და მტკიცეთ სჭერიათ ხელში დროშა განათლებისა. ისინი დღეს არა სჩანან, ჩუმად და მეუდროთ ეწევოდნენ თავიანთ მძიმე უღელს მიურეებულს სოფლებში, იყოფდენ შუა ხალხის ჭირსა და ლხინსა, აარსებდნენ სოფლებში სახალხო სამკითხველოებს, ბიბლიოტეკებს, რომელსაც გამასწორებელი რაზმი სწვავდა და ანადგურებდა მოძრაობის დროს. მტირე იყო და უფრო მტირეა დღესაც ამისთანა ბრწყინვალე იდეებით გატაცებული მასწავლებლები, მაგრამ მაინც იყვნენ და არიან თითო ოროლა და ხალხიც აფასებს მათს შრომასა და ამაგს. მტირედ ბეუტავს მათი მოქმედება საზოგადო წყვდიადით მოცულს ქვეყანაში, მტირეა ის სინათლე, რომელიც მათ შეაქვსთ ხალხში, მაგრამ ესეც რომ არ ყოფილიყო, მაშინ ხომ მთელი ჩვენი ქვეყანა სრულიად უკუნეთს და დაუსრულებელ სიბნელეს წარმოადგენდა. ვნუგეშობთ იმითი, რომ თითო ოროლა პატიოსანი მუშაკი ხალხის განათლებისა კიდევ გვეოლია და ადრე თუ გვიან, ქვეყანა ისე არ წახდება, რომ ამათ მიმბაძველნი არ აღმოუჩნდეთ.

ოამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ეველა ტიპის სახალხო სკოლები ჩვენში დღემდის უნაყოფო დაწესებულება იყო; იმ ხარჯთან შედარებით, რასაც ხალხი იხდიდა სკოლებზე, ამ უკანასკნელთ ვნების გარდა არავითარი არსებითი სარგებლობა არ მოუტანია ხალხისათვის. ჩვენთვის იდეალს არ შეადგენენ არც ძველი ქართული სკოლები და არც ამ საუკუნის რუსული სკოლები, პირიქით დღეს ძველი სკოლა ჩვენთვის მკვდარი სკოლაა, მოკლებული ყოველ გვარს სიცოცხლეს. მან უკვე განვლო თავის დრო, მოწამა თავისი საუკუნე და ისტორიაც ღირსეულად მოიხსენიებს მას; ძველმა სკოლამ განვლო თავის დრო და თან წაიღო ის პრინციპები, რომელნიც მას აძლევდენ სიცოცხლესა და მნიშვნელობას, იგი სრულიად უუფლებო სკოლა იყო და დღეს იგი მკვდრად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც უუფლებო ცხოვრებასაც ბოლო უნდა მოეღოს; ადამიანის პიროვნებასაც უნდა მიეცეს ადამიანური უფლება- აი ამ ხანაში ვალად გვაძევს ეველა მასწავლებლებს გამოვიკვლიოთ, შეკავსწავლოთ ადგილობრივი პირობები, წარვმართოთ სკოლის საქმეები ახალი ცხოვრების მოთხოვნილების მიხედვით, მოვაწყოთ ხალხის განათლების საქმე ისე, როგორც ამას

მოითხოვს ხალხის თანამედროვე ცხოვრების პირობები; საქმის პირნათლად გაძღოლა და შესრულება მასწავლებელთა შორის თვინიერ ერთი ერთ შორისის კავშირისა, განცალკევებულად უ'დ მოუხერხებელია და შეუსრულებელი. დღევანდელი ცხოვრების პირობა მასწავლებელს უფენებს საკითხს ეოფნისას ან არ ეოფნისას, ან უნდა გავაკეთოთ რამე შეერთებულის ძალ-ღონით, რაც საზოგადოთ სასარგებლოა ხალხის სწავლა განათლების საქმეში, ან ავიკრათ ჩვენი გული ნაბადი და ჩამოვშორდეთ იმ საქმეს, რომლის გაკეთებაც გვიკისრნია, მაგრამ შესრულება კი არ ძალ გვიძს. არც ერთი მებრძოლი ვაუკაცი არ გაიქცევა ბრძოლის ველიდან, მისი იდეალია ან შეაკვდეს მტერს, ან გამოვიდეს გამარჯვებული და მიადწიოს სწადელს. უძლურება იხატება განცალკევებაში, ძლიერებაა ერთობაში, რასაც სულით და გულით ვუსურვებთ უველა ჩვენებურს მასწავლებლებს.

კახაბერი.

საუნჯე

ერთი „მაქვს“ სჯობს ათასს „მქონდას,
ჭკუას უთქვამს, გულს უგრძვნია,
მაგრამ ეს თქმა მოხუცებას
სანუგეშოდ ვერ უცვნია:

—

ჩხირკედელობს, თავს იტყუებს,
ჰზრუნავს, შფოთავს, კვნესის, ოხრავს,
მაგრამ ამით რას გაიტანს?
ის უკბილო რაღას მოჰხრავს?

—

რაც სახორცო სიყმაწვილით
შეძენილი მას ჰქონია,
საიქიოს ვერ წაიღებს
და თავისი ნუ ჰგონია!

—

მხოლოდ რაც კი შრომა-ცოდნას
შეაქვს ჭკუის სალაროში,
თან ეხლება განუყრელად
ვერ დაჰკარგავს ვერას დროში!

—

ის წარსულიც აწმყოშია
და ნუგეშს სცემს მოხუცებულს,
მოიმედეს მომავლისას,
როგორც თაფლი დაუტკბობს გულს.

—

მაგრამ მაინც ერთი „მაქვს“ სჯობს
ათასს „მქონდას“ გადასულსა;
რაც გამქრალა ველარ აღგებს
ველარც ხორცს და ველარც სულსა!

აკაკი.

სიმართლისკენ

(სპარსული ზღაპარი ევგენიევისა)

— დემონები შეძრწუნდნენ.

მრისხანე ხმაურობით, მხეცურ ღრიალით, რაღაც მიზეზით აფორიაქებულნი უხილავი ავი სულები, როგორც გრიგალი, დაჰქროდენ მთელ ღამეს; მძინვარეთ შეიჭრებოდენ კაცთა სადგომებში, ანგრევდენ ყველაფერს და უფრო მეტის მძინვარებით მიჰქროდენ წინ.

სისხლით მორწყული კვალი დევებისა და მკვდარ ბავშთა სხეულნი მოწმობდენ მათს მხეცურს გამანადგურებელ თავნებობას.

და იყო დიდი ტირილი, მოთქმა და გოდება ქვეყნად იმ ღამეს.

„მკაცრი არიმანი—ღმერთი ყოველგვარ ბოროტებისა და სიავისა, აჩვენებდა თავისს ძლიერებას, ძალას და უფლებას ადამიანთა“ —ეუბნებოდენ ხალხს მაგუშები თავიანთ ქადაგებაში,—ევედრეთ მას, ხშირათ შესწირეთ მსხვერპლი და განიწმიდენით ცოდვებისაგან. ხალხი მიისწრაფოდა და მრისხანე ღვთაებას შეწყალებასა სთხოვდა ლოცვითა და მსხვერპლის შეწირვითა. მათ გულში კი თანდათან უღვივოდათ იმედი ნათელის, დიდებულის, ბრძენისა და სამართლიანის ორმუზდის ჩქარა მოვლინებისა.

შეიხ-ალი-მირზა უქადაგებდა მის გარშემო თავმოყრილ ხალხს. საშინელი ღამე იყო,—სიბერისაგან ხმის კანკალით ნელა განაგრძო მაგუშმა შეიხ-ალი-მირზამ თავისი ქადაგება.... საშინელი და ამასთანავე დიდებული ღამე, რომელმაც გადაარჩინა ორიმანის მრისხანებას იმ დროს დაბადებული წინასწარმეტყველი ზარატუსტრა“... წინასწარმეტყველის ხსენებაზე მაგუში პირქვე დაემხო მიწაზე, მის მაგალითს მაყურებლებმაც მიჰბაძეს; წუთის შემდეგ ყველა ისევ წამოდგა და შეიხ-ალი-მირზამ ისევ განაგრძო: ამ დიდებულმა, ორმუზდისაგან გამოგზავნილმა მოძღვარმა სინათლე მოჰფინა დედამიწას, ბევრი სიკეთე მოუტანა მას: მის მოსვლამდი ეს კურთხეული ღრუბელი არ გვიფარავდა ჩვენ მზის ბწვავე სხივებისაგან, ის არ იყო ისეთი სქელი, როგორც ეხლა; წინასწარმეტყველმა აუხილა თვალი ხალხს და დაანახვა ნათელი ღმერთი, დიდებული და ბრძენი ორმუზდი, რომელსაც ხალხი იქამდის ვერ სცნობდა და რომელიც მაინც იცავდა ხალხს არიმანის ხრიკებისაგან; ასწავლა ხალხს კეთილის სიყვარული, მისწრაფება ნათელ ღვთაებისადმი და ბოროტის სიძულვილი. რაც უფრო მტკიცეთ შეასრულებთ ჩემს მცნებათ,—ამბობდა დიდებული წინასწარმეტყველი, მით უფრო მალე შეისრულებთ თქვენს მისწრაფებათ და უფრო ადრე დამარცხდება არიმანი. მაშინ ორმუზდი იქნება ჩვენი ერთად ერთი ღმერთი და მთელ ქვეყანაზე დამყარდება მშვიდობა და სიყვარული.

ასე ქადაგებდა ზარატუსტრა!

მაგრამ მრავალ საუკუნოების გამოცდილება, და ჭალარით შეძოსილი სიბრძნე ასე არ მეტყველებდა: დიდებულ მოძღვრის სიტყვები შესრულებულ იქნება მხოლოდ ან თვით მოძღვარისაგან ან და სხვა დიდებულ მოძღვართაგან; და ასეთნი კი ზარატუსტრას შემდეგ არა ყოფილან, თუ მას აქეთ ორი ათასმა წელმა განვლო, საბრალო მამაკვდავნი კი ცოდვებში ჩაიფ-

ლენ და ერთი ნაბიჯითაც ვერ მიდიან წინ **სინათლისაკენ.** და ამიტომ დაგვრჩენია მხოლოდ ლოცვა, მოთმინება და რწმენა, რომ დადგება დრო, როცა ორმუზდი გაიმარჯვებს არიმანზე და ჩამოგზავნის მიწაზე ღვთაებრივ ცეცხლს, რომელიც განსწმენდს ქვეყანას, და დაამყარებს თავის საუკუნო მეუფებას. ბრძოლა ჩვენ ღმერთებს შორის, ბრძოლა მედგარი იწყება და სწარმოებს ათასის წლის განმავლობაში, დროებით იმარჯვებს ის, ვის მხარეზედაც ჩვენ ვიმყოფებით, ე. ი. ვისკენაც ჩვენ მივყევართ დიდებულ მოძღვრებას.

ვეეედროთ ძმანო არიმანს, რომ მისი სამართლიანი რისხვა არ მოგვეევლინოს; მოთმინებით და რწმენით ველოდოთ ორმუზდის ბრწყინვალე ჩქარა მოსვლას.

ასე ქადაგებდა შეიხ-ალი მირზა. ასე ქადაგებდენ ყველა მოგვები.—და ხალხი მორჩილებით ასრულებდა მათ სიტყვებს: ეეედრებოდენ ერთს და ელოდენ, ელოდენ მეორეს

მეგობრებო!

ჩვენ რა, რომ ორმუზდი მილიონ წლებს იქით იმეფებს კაცთა შორის! რამდენი მოდგმა ხალხისა უნდა უსარგებლოდ დაიღუპოს სანამ მოვა ის დიდებული, ბრძენი და სამართლიანი! არ შეიძლება შეეეცადოთ ციდან ღვთაებრივ ცეცხლის მოტანას და ამით დავაჩქაროთ იმ მეუფების მოვლინება, რომელსაც ასე გამუდმებით და წუხილით ელოდებიან! ყველამ გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს. ხმა მაგუშისა უნებლიეთ შესწყდა და ყველა ეძებდა იმას, ვინც წარმოსთქვა ეს ლალი, წმინდანის შეურაცხმყოფელი სიტყვები! „ვინ ამბობს ამას?“ გაისმა მკრთალი ჩურჩული ხალხში.

„ვინ ამბობს? მრისხანედ შეჰყვირა შეიხ-ალი-მირზამ.

ეს—გარუნრაშიდია—ჭაბუკი თამამი, ლალი და თავნება.

იგი თამამად გამოვიდა შეიხ-ალი-მირზის გარშემო შეკრებილ ხალხთა ჯგუფისაგან და გაბედულათ დაიწყო: ნუ თუ სიმართლეა, რასაც მოგვები გვიქადაგებენ? ნუ თუ უნდა ველოდოთ იმ დიდებულ ადამიანთ, რომელნიც ჩვენ მაგიერ იბრძოლებენ და თვით ჩვენ კი ამ ბრძოლაში მონაწილეობა მხოლოდ უნაყოფო ლოცვით და მსხვერპლის შეწირვით მივიღოთ?. არა! ეგ სიცრუეა! დიდებულმა ზარატუსტრამ სთქვა: რაც უფრო მიისწრაფვის ადამიანი ზევით სინათლისაკენ, მით უფრო მაგრად იდგამს სიმართლე ფესვებს მიწაში, მას არ უთქვამს, რომ მისი სიტყვები მხოლოდ დიდებულ ადამიანთაგან შესრულდებაო. და ასე ა-ც შეიძლება იყოს: ზარატუსტრის შემდეგ მისი მსგავსი არ ყოფილა, მაშ, მაგუშის აზრით, ჩვენ და მთელი ქვეყანა მუდამ არიმანის მონა უნდა ვიყოთ? ეს უგნურობაა! ეს სიგიჟეა!!!! თქვენ, მაგუშებო სისულელეს და უგნურობას უნდა ებრძოდეთ და არა თუ არ ებრძვით, იცავთ კიდეც მათ! თქვენ უმალავთ ხალხს ზარატუსტრის მოძღვრების ჭეშმარიტ მნიშვნელობას და აიძულებთ მათ დარჩნენ მუდმივ ბოროტ მონად. მედგრად ჰქუხდა ჭაბუკის ხმა. ყოველს მის ბგერას ბანს აძლევდა მთა და ტყე-ველი, კონცენტრიულ ტალღათ იშლებოდა და იკარგებოდა ირანის უსაზღვრო არე-მარეში.

მაშინ ჭაბუკის წინააღმდეგ გამოვიდა სავან-ტაგი, სიბრძნე ხალხისა, სიმართლე დღდამიწისა და სთქვა: „შენი მოსაზრება მშვენიერია, გარუნ-რაშიდო, მაგრამ არ ითქმის რომ ის ახალი იყოს: შენს წლოვანებაში ყველა ეტანებოდა მას! შეხედე ამ ხალხს! ყველა აქ მყოფი ჭაღარითაა

შემოსილი, და ეს ჭალარა მოწმობს მათს ცხოვრებაში გამოცდილებას! ჰკითხეთ მათ და ყოველი მათგანი გიპასუხებს, რომ წარსულ დროში მათაც არ ასვენებდათ ეს მისწრაფება, მაგრამ იმასაც მეტყვიან, რომ ყოველმა მათმა ცდამ უნაყოფოთ ჩაიარა. იცოდე ჭაბუკო: — იდეალი — მიუხწეველია. იდეალისკენ მხოლოდ უნაყოფო მისწრაფება შეიძლება. და შენი ცდის ბედიც ასეთი იქნება. შენ ახალგაზდა ხარ და გამოუცდელი; სული შენი ისწრაფვის ბორკილთაგან განთავისუფლდეს, მაგრამ, ვიმეორებ: არა მარტო შენ ხარ ამ ყოფაში... ყური მიგდე გარუნ-რაშიდო! ბუნებას აქვს ერთხელ და სამუდამოთ დადგენილი, მტკიცედ განსაზღვრული კანონები და ადამიანთა კანონები ვერ ემსგავსებიან მათ. აი სწორეთ ამ კანონებში აღნიშნულია დრო ორმუზდის მოსვლისა. ეს დრო სისწორითაა განძარტებული და პირდაპირი გზით გვიახლოვდება ჩვენ, ნელა, მაგრამ შეუჩერებლივ, მსგავსათ ვარსკვლავთა. გახსოვდეს: კაცთა შექმნილი კანონები ჩვენ ძალგვიძს გამოვსცვალოთ, მაგრამ ერთხელ და სამუდამოთ დადგენილ ბუნების კანონების შეცვლა არ ძალუძს არათუ ადამიანს, თვით ბუნებასაც კი. გარდა ამისა ქვეყნის ნაპირებზე სდგას ის კედლები, რომელზედაც დამყარებულია ცა, სადაც ორმუზდი სცხოვრობს და მის სამოთხეში გაჩაღებულია და ანათებს ის **ყველაფერის გამწმინდავი ციური ცეცხლი**, რომელზედაც შენ ოცნებობ. ორმუზდსა და ცეცხლს იცავენ იზიდები და უცხოს არავის შეუშვებენ სამოთხეში. სთქვი ამის შემდეგ, უგუნურო რა გინდა? რა უფლება გაქვს შენ დამჯერე ხალხის ბრბო ნამდვილ დაღუპვის გზაზე დააყენო? გეშინოდეს იმ წყევლა-კრულვისა მაინც, რომელიც წამოინთხება შენს უბადრუკს თავზე შენი ლაღი, ჯერეთ უსმენელ სიტყვებისათვის და შეიძლება მოქმედებისათვის!!"

არა თქვენ ძლიერნო ამა ქვეყნისა მოგმართავ მე! წამოიძახა გარუნ-რაშიდმა, რაკი შესწყდა სავანტაკის ხმა — თქვენ ბრმა წინამძღოლნო ბრმებისა, არ გინდათ გაიგოთ და ვერც გაიგებთ ჩემ სურვილს. დაბადებით მონა ვერც კი წარმოიდგენს თავის თავს თავისუფალ არწივათ! თქვენ ახალგაზდა ძალნო მოგმართავ! თქვენი ხვედრია დიდებულ ზარატუსტრის ანდერძის ასრულება. ძნელია ეს საქმე, მის ასასრულებლათ თქვენ უნდა აიტანოთ უსაზღვრო ტანჯვა-წამება, სიღატაკე და შეიძლება სიკვდილის წერაც გახდეთ, რადგან თქვენ ამ საქმეს პირველად უნდა მოჰკიდოთ ხელი, მაგრამ იმედი გვქონდეს ჩვენი ძალისა. გახსოვდეთ სიტყვები ზარატუსტრისა: „გმირი იყავ სულით, და მუდამ გქონდეს ზეიმტაცი იმედი."

მოხუცებულნი, — მამაკაცნი და დედაკაცნი — ისმენდნენ ახალს, გაუგებარს სიტყვებს და მწუხარებით აქნევდნენ თავსა. მაგუში შეიხ-ალი-მირზა მრისხანეთ აბრიალებდა შავ თვალებს: მისი რკინის ფერი, სველი სახე დაპრანჭული იყო სიბრაზისაგან, და მეტის-მეტი განრისხებით ენაც ვერ მოებრუნებია პირში. ახალგაზდობის ნაწილი კი შემოხვეოდა გარუნ-რაშიდს და აღტაცებით გრგვინავდა.

გაუმარჯოს გარუნ-რაშიდს!!!, გაჰქრეს სიბნელე!!!, გაგვიძეხ გარუნ-რაშიდო, ჩვენ განუყრელად შენთანა ვართ!!! და ყველა ჩქარა ადგილიდან დაიძარა; მალე ისინი სქელ ბნელ ნისლში გაეხვივნენ. წყეულიმც იყავით!!!, წყეულიმც იყავით!!!, სიბრაზით მიაყვირა მაგუშმა მიმავალებს,

როცა ისინი უკვე ცისკიდურში იმალებოდენ.

და ნისლმა დაჰფარა ისინი.

ბევრმა წელიწადმა განვლო.

წასულ ვაჟ-კაცთა შესახებ არაფერი ისმოდა. ხალხს ებრალებოდა ისინი, ნათესავებმა გამოიტირეს, იგლოვეს და თანდათან დაივიწყეს... მაგუშები ჩვეულებრივად წვრთნიდენ ახალთაობას. ხანდახან ათასში ერთხელ თავის ქადაგებაში გამოურევდენ ზარატუსტრის სიტყვებს, მაგრამ მაშინვე აფრთხილებდენ, რომ ყალბათ არ გაეგოთ ეს სიტყვები: „რადგანაც,—იყვნენ ისეთი უგუნურები",—ამბობდენ მოგუშები,—რომელთაც მოიწადინეს კანონები თავიანთ მასწავლებლების უკეთ აეხსნათ და გაეგოთ, რისთვისაც არიმანისაგან დაისაჯხენ, ვინაიდან ზენდ ავესტში ნათქვამია: „მოწაფე არ უნდა იდგეს მასწავლებელზე მაღლა."

და ასე ერთი-მეორეს მისდევდენ წელიწადები. დრო მიდიოდა ნელა, ერთნაირად, უფერულად და მოწყენით... მხოლოდ ხანდახან გაიხსენებდა ვინმე გარუნ-რაშიდს, შიშით და გულში ჩამარხულის სურვილით ელოდა დაენახა „რაღაც", იყურებოდა-რა იმ მხარეს, საითკენაც გარუნ-რაშიდი წავიდა.

დილა იყო.

სქელი ნისლი არწევდა მიწას. ირანის განცალკევებულ მთის მწვერვალები ბნელით მოცულნი და ყინვის გვირგვინით შემოსილნი, ბრწყინვალე მანტიაში გახვეულნი, დევებსავით გამოიყურებოდნენ. მედიდურობით სავსე იალბუზი და დაშავეიდი თითქოს ჩაფიქრებულიყვენ. **ასე სჩანდა თითქო ღაშე კიდევ გრძელდებოდა და გაგრძელდებოდა განუწყვეტლათ დიდხანს.**

უცბათ საუკუნოებით მყოფი ნისლი აიბერტყა. დაუცხრომლად დაიწყო მან წინ და უკან მოძრაობა, ხან მიწისაგან ზევით ადიოდა, ხან მტკიცედ შემოერტყმოდა მას. ხალხი გაკვირვებული უყურებდა ამ ბუნების ხოტურ მოვლენას და იდუმალ ჩურჩულით ეკითხებოდნენ ერთმანეთს: „რა არის?". ნისლი კი უფრო და უფრო მოუსვენებლათ ეხლებოდა აქეთ იქით, და ნაწილ-ნაწილ ირღვეოდა, მის ნაწყვეტებს შორის ცისკიდურიდან ჩნდა რაღაც უცნაური სინათლე. დიდის მოუთმენლობით ელოდა ხალხი მის მოახლოვებას, მაგრამ სინათლე ძალიან გვიან ახლოვდებოდა. გავიდა რამდენიმე ათი წელიწადი, და ეს არა ჩვეულებრივი სინათლე, ვარსკვლავთ მხილველთა ანგარიშით მხოლოდ ერთი ნაბიჯით მოახლოვდა. მკრთალ შიშთან გადახლართულ იმედით მოხუცთ დაიწყეს ლაპარაკი, რომ ის ციური მოვლენა ყველაფრის გამწმინდავი ცეცხლიაო, გარუნ-რაშიდის ნაშოვნი, და სირცხვილის სქელი ლაქა ედებოდა მათ დანაოჭებულ სახეს ამ აზრთან ერთათ: სინდისი აწუხებდა მათ იმიტომ, რომ არ გაყვნენ გარუნ-რაშიდს და უქმად დაღუპეს თავისი ახალგაზდობა. ყოველ ღონის ძიებას ხმარობდენ მაგუშები ხალხის დასარწმუნებლათ იმაში, რომ ეს ცეცხლი გააქრობს ყველას, ვინც გაბედავს ძასთან ახლო მისვლას. ილოცეთ, რომ არიმანმა დააწყნაროს თავისი რისხვა, იგი გვიმზადებს ჩვენ განსაცდელს".—გაჰყვიროდენ ისინი. მაგრამ ხალხი ნაკლებათ უჯერებდა მათ. მთელი ძისი ყურადღება მიქცეული იყო აქამდი უხილავ საკვირველ სინათლეზე. და ახლა, როგორც უწინ, ახალგაზდობა მამაცათ შეუდგა გარუნ-რაშიდის გზას, მის ნაშოვნ ციურ ცეცხლის შესახვედრათ. გრძლათ გაჭიმული წყება ახალგაზდობისა მიისწრაფოდა წინ

ვიწრო ბილიკზე და ყოველის მხრიდან ემატებოდა მათ ხალხი.

და ვიდოდენ ისინი.

დაუთავებელ ბრბოს მიუძღოდენ წინ უსახო ფიგურები, ერთი მეორეს ასწრებდა. მიდიოდნენ მოხუცნი და ახალგაზდანი, მამაკაცნი და დედაკაცნი, მოზდილელები და ბავშვები. მიდიოდენ სწავლულები და მაგუშებიც კი, ყველანი გარუნ-რაშიდისაგან გათელილ გზაზე მიდიოდნენ. და ხალხი თანდათან ემატებოდა, ბრბო დიდდებოდა, განიერდებოდა, იზდებოდა. ციური ცეცხლი უფრო და უფრო ჩქარა ახლოვდებოდა და მისი სინათლე თანდათან ძლიერდებოდა სპარსეთში.

სიკოცხლის უკანასკნელ წუთებში ჰბორგავდა ნისლი და ღაფავდა სულს.

განწირული

მეგრული ნანა

იავ ნანა, ვარდო ნანა,
შვილო იავ ნანინაო!
ტკბილი ძილი ანგელოზმა
შენთვის მოაყვანინაო.
თავზედ ადგას შენს აკვანსა,
ფრთები გადაგვაფარაო,
მავნე სულს არ მოგაკარებს,
დაიძინე, პატარაო.
აკვანს გირწევ, ჩანგურს გიკრავ,
ზედ დავმღერი სიმებსაო,
ბადრი მთვარე და ვარსკვლავნი
გიგზავნიან სხივებსაო.
ბინდის ნამმა ნორჩს ყვავილებს
პირი დააბანინაო.
იავ ნანა, ვარდო ნანა,
შვილო, იავ ნანინაო!

* * *

გაიზარდე, დავაჟკაცდი,
გაახარე მშობელიო,
დედინაცვლად გაგიხდება
ჩვენი წუთის-სოფელიო.
დაინახავ, რომ ცხოვრება
არ აამებს ყველასაო,
ჩაგრულნი და დავრდომილნი
თხოულობენ შველასაო.
მამა შენმაც ამ ყოფაში
ადრე სული დალიაო,
მისის აღთქმის შესრულება
შენი წმინდა ვალიაო.
მოკვდა. . შავმა ბედმა ცოდვა
არც-კი მოანანინაო.
იავ ნანა, ვარდო ნანა,
შვილო, იავ ნანინაო!

დაინახავ განდევნილსა
ჩვენს ტკბილ დედა-ენასაო,
უღვთოდ დასჯილ ხალხის შვილთა
მშობელთ ცრემლის დენასაო.
სამშობლოსთვის საბრძოლველად
გლოცავ საიმედო, შვილო,
გამარჯვება, ან სიკვდილი!
ვინძლო, აღარ გამაწბილო.
თუ მახსენე ველს მდებარემ
დაკოდილის გულ-მკერდითო,
მაშინ მოკვდეს დედა-შენი,
წამს არ გავჩნდე შენს გვერდითო. .
ჯერ წალკოტი სანეტარო
ძილმა მოგაზმანინაო,
იავ ნანა, ვარდო ნანა,
შვილო, იავ ნანინაო!

* * *

განახლების წამი დაჰკრავს,
აჰყვავდება მამულიო,
ერი განთავისუფლდება
ბნელის ჯაჭვით დაბმულიო.
მოგეგებვით დაბრუნებულს
ჩანგითა და მღერითაო,
დასტკბებიან ახალგაზდა
ქალნი შენის მზერითაო.
შ ნი სიყრმის მეგობრითურთ
დაფნის გვირგვინს დაგიწნამო,
და ჩემს ვაჟკაცს სასახელოს
ჩემის ხელით დაგადგამო.
მერმე დეე, ღმერთმა ქვეყნად
თუ არ დამახანინაო.
იავ ნანა, ვარდო ნანა,
შვილო, იავ ნანინაო!

მელიტონ გობეჩია.

გამოუთქმელი სიჩუმე

საღამო ჟამზედ—ნინა იმ ამბავს ასე მომიყვა:

— ერთხელ, მხოლოდ ერთხელ კი გაატრეოლა ბუხართან მჯდომი დიდედა და იმ დღეს აქეთ, საწყალს ადგომა ვეღარ ეღირსა. ღმერთმა დასწყევლოს, მეტად სუსტად და უღონოდ თურმე ჰქონის ადამიანს ის ოხერი სიბერე. აი დიდედაც ისეთი სუსტი იყო ამ ბოლო დროს, რომ გარედ ცოტა ოდნავ ქარს რომ დაებერა, ის ტოტმანით და ბუზღუნით შინისკენ მობარბაცებდა, თითქოს ეშინოდა რომ ქარს, შემოდგომის სუსხისაგან მიმჭკნარ ფოთოლივით უგზო უკვლოდ არსად მოეტაცნა. იმ საღამოს სიცივის გამო ყველანი ბუხართან ვისხედით და რაკი სამხრობის დრო იყო, მის მოლოდინში დიდედას სიამოვნებით ყურს ვუგდებდით, რომელიც მუდამ ძველ ამბებს გვიამბობდა და იმ წარსულით თითონაც თითქოს გულის ბოლმას იკლავდა და ჩვენც წარსულის ცოდნას და ოცნებას გვმატებდა. იმ საღამოს დიდედა ბატონ-ყმობის ამბავს მოგვიყვა, მაგრამ მივიდა თუ არა იმ ადგილამდინ, სადაც ტანჯვა-ვაება უნდა დაეხატა, მან უცებ ყურებში ხელი დაიცო და ჩუმად წაიდუდუნა „მტრის კარს, მტრის კარსო“, ყველას გაგვიკვირდა მის უცბათ ბაასის შეწყვეტა და შელოცვის მგზავსათ სხვა სიტყვების ლიპარაკში ჩართვა.

— დიდედა, ყურებზედ ხელი რად მიიფარე—შეეკითხა მის გვერდით მჯდომი გაოცებული მარო და თან მუხლებზედ ხელები გადუცაცუნა.

— არაფრად შვილო, ყურმა საშინლად გამწივლა და თავბრუ დამასხა. ყურის წივილს თურმე წყეულთა ზრახვა მოსდევს და ის არ მესიამოვნა—უპასუხა მან, ხელები ისევ ცეცხლს მიუშვირა და მას შემდეგ ხმა აღარ ამოუღია, უცებ დადუმდა—ბარემ გულით გვინდოდა ცოტა რამ კიდევ მოგვესმინა, მაგრამ დიდედას დაღონებამ უცბად ჩვენც დაგვაღონა და ამისათვის ხმა აღარავის გაგვიცია.

გარედ ცივი ქარი საშინლად ჰქროდა, მიუხედავად იმისა, რომ გაზაფხულის პირი იყო, არე მარეს მაინც სუსხავდა და ანთებულ ბუხარს მაღლიდგან თითქოს ტირილით ჩამოღმუოდა. ის იყო დედამ სამხარი მოგვიტანა, როდესაც თითქოს ბურანიდგან გამორკვეულმა მოხუცმა ჩუმად წარმოსთქვა: „განვლო სიცოცხლემ სიზმარივითაო“—და შემდეგ დედას მიჰმართა:—შვილო, ლოგინი გამიშალე, თორემ რაღაც გუნებაზედ არა ვარო.

ჩაწვა თუ არა, საწყალს ისეთი ბაბანი დააწყებინა, რომ იმის ცოდით მზად ვიყავით საბნის მაგივრად ჩვენც ზედ მივფარებოდით. იმ ღამეს დიდი სიცხე მისცა, მეორე დღეს გამოურკვეველივით იწვა, მაგრამ მესამე ღამეს კი სიცხემ ისე მოუმატა, რომ უღონო მოხუცი მთლად გადარია.

შუა ღამემდინ ვინ იცის რას არ ამბობდა; ხან თითქოს ზარის ხმა ელანდებოდა, ხან მფრინავ მტრედებს შეჰღიღინებდა, ხან კი ომობდა და იმ ომის დროს გულ ამოსკვნილი ვიღასაც თავს აბრალებდა. შუა ღამემდინ ამ ვაი ვაგლახით გაატარა და შუა ღამეს კი თითქოს მოსვენებას მიეცა, ამასთან კიდეც მოიღალა და დამშვიდებულმა წყნარი ფშვინვა ამოუშვა. ჩვენც ყველას მიგვეძინა. მოღლილ

დედა ჩემს რაკი სამი ღამე თვალი არ მოეხუჭა, იმანაც იმ სიმშვიდით ისარგებლა—იქვე მის გვერდით მოკუნტულმა სკივრზედ თავი თურმე მიაყრდნო და მიიძინა.

არ ვასულიყო რამდენიმე ხანი, როდესაც დედას რაღაც ფაჩუნი შესმოდა და თვალები რომ გაეხილა, შიშისაგან ჰკუაზედ კინაღამ შეშლილიყო: მოხუცი ავადმყოფი პერანგის ამარა და ფეხ შიშველი კარებს თურმე მისდგომოდა და რაღაც ბუზღუნით ურდულის გაყრას ლამობდა.

დედა კანკალით წამომდგარიყო, მოხუცისთვის ნაზად ხელი მოეკიდა და წყნარი ვედრებით შეჰკითხებოდა: „გარედ რა გინდა, შენ გენაცვალე, ხომ გაცივდებიო“. დიდედა უკან მოტრიალებულიყო, ჯერ დედასთვის გაშტერებით შეეხედნა და მერე დინჯად ეპასუხნა:—გესმის, ჩემი გიორგი მოსულა და კარებს მიკაკუნებსო.

ამ სიტყვების შემდეგ, თითქოს გონებაზედ მოსულმა ზედ თურმე ის დააყოლა, რომ გიორგი ალბათ თუ მომელანდა თორემ ის უბედური ოცი წელიწადია, რაც მიწას მივაბარეო“,—მაგრამ სანამ ლოგინთან მიაღწევდა, მანამდინ მაინც რამდენჯერმე ჩერდებოდა, შეშფოთებული ისევ კარებისკენ იხედებოდა და უკან გაბრუნებას აპირებდა.

სანამ ბამალი ფრთას შემოჰკრავდა და მიყრუებულ არე მარეს განთიადს მითი ამცნებდა, სანამ რიჟ-რაჟ მიძინებულ დედამიწას ძილს დაუფრთხობდა, მანამდი მოხუცს სულ გიორგი თურმე ელანდებოდა, რადგან ხან დედას ეხვეწებოდა „კარი გაუღე, შემომძახისო“, ხან კი თვითონ ლოგინიდგან წამოიწევდა და ვიღასაც ეხმაურებოდა. სწორედ იმ დროს კი, როცა ცისკარი აღმოსავლეთით გაშუქებულა, ავადმყოფი მაშინ უფრო შეშფოთებულა, მაგრამ მეტად მისუსტებულს თავი ოდნავადაც კი ვეღარ წამოუღია, მხოლოდ უღონოდ ხელს თურმე ისე იქნევდა, თითქოს ნათლად ვისმეს ხედავდა, ეშინოდა და უნუგეშო ხელის დაქნევით თავიდგან მოცლას ეევედრებოდა. შემდეგ სახეზედ უცბათ ღიმი გადაჰკრთომია, სუნთქვა ხშირი დამძიმებია და ბოლოს ერთი მსუბუქი ამოოხვრით სიცოცხლეს გამოსალმებია.

უცბათ მეც თითქოს ხელ-წაკრულივით გამომეღვიძა. ყური დავუგდე, მაგრამ სახლში რაღაც აუტანელი სიჩუმე სუფევდა. აღარ ისმოდა დიდედას დაუღალავი ხრიალი, სამაგიეროდ იქვე ბნელ კუნჭულში გულ-ამომჯდარი დედა ჩემი უხმოდ ტიროდა; გულს არ დაუჯერე, თავი მაღლა წამოვიღე,—მინდოდა ის სიჩუმე დამერღვია, მაგრამ ყოველივე ჩემი მოძრაობა რაღაც უღონოდ და უმგზავსად იკარგებოდა იმ ძლიერ და გამოუთქმელ სიჩუმეში. ზეზე ავდექი, მინდოდა თავი როგორმე დამერწმუნებინა, მაგრამ ბანიდგან ჩამოკვრეტილ ცისკრის შუქზედ რომ შევხედე, შემეშინდა იმ სიმშვიდისა, რომელიც მის სახეს ვით ლანდი ზედ მოჰფენოდა...

დედას უფრო გული ამოუჯდა, თუმცა ხმა მაინც ვერ ამოიღო, ნახლოდ ხარიხიდგან თეთრი ხელსახოცი ჩამოიღო და პირზედ გადააფარა...

რაღაც ძლიერი და გამოუთქმელი იყო ის სიჩუმე, თითქოს დამჩაგრა მის სიძლიერემ და ამისათვის არას დროს არ დამავიწყდება.

ცქვიტი.

აკაკის

(„გადარჯულებულის“ გამო)

მარიალი სთქვი შენ, მგოსანო,
გადაგვირჯულდნენ ქალები,
ვერ იგუებენ სიმართლეს
იმათი ბეცი თვალები!
აინუნშიაც არ მოსდით
სამშობლოს კეთილ-დღეობა
და ავიწყდებათ თავისი
სპეტაკი მოვალეობა!
ვითომ გაზარდონ შვილები,
ქართულად უთხრან ნანინა?
„სკვითურს“ ასწავლის, ქართულზე
ხელები დააბანინა!

რა საჭიროა პირის-მზევ,
ქართული ენის ცოდნაო,
„სკვითური“ ენა ისწავლე
არ ჩაიდინო ცოდვაო!
სხვის მაღმერთებელს გულით სურს
გადაარჯულოს შვილები,
რომ დარჩეს ერი ერთგულთა,
შვილთაგან განაწბილები!
მართლაც „რა უთხრა მე მაგისს
უკუღმართ შემქმნელ-მშობელსა,
ჩვენი სამშობლოს გამომხვრელს
და სკვითის მახარობელსა“!!

ლადო გეგეჭკორი.

სანიმუშო პროგრამები

საქართველოს სახალხო სკოლებისათვის

სამშობლოს შესწავლა

(გეოგრაფია და ისტორია).

მე-II განყოფილება.

საკლასო ოთახი, სკოლა და სკოლის უბო. აწერილობა თავისი სოფლისა, მაზრისა და მახლობელი ქალაქისა, საქართველოს მდინარეები, მთები, სოფლები, ქალაქები; საქართველოს საზღვრები და ნაწილები მოკლედ: ისტორიული ცნობები იმ ნაშთების შესახებ, რომელიც ბავშვის მახლობლად მოიპოვება იმ მაზრაში, სადაც სასწავლებელია. ექსკურსიები შესანიშნავმახლობელ ადგილების დასათვალიერებლად და გასაცნობად.

მე-III განყოფილება.

გაფართოება ცნობებისა; შესწავლა მთელი კუბერნიისა, ამიერკავკასიის, დასავლეთის და სამხრეთის საქართველოისა ეკონომიურის, ეტნოგრაფიის, გეოგრაფიის და ისტორიის მხრივ. ზოგიერთი ისტორიული ცნობები საქართველოს წარსულიდან. მოკლე ბიოგრაფიული ცნობები სამშობლოსათვის თავდადებულ შესანიშნავ ისტორიულ პირებისა.

მე-IV განყოფილება.

გამეორება მესამე განყოფილებაში სასწავლისა შევსებით და უფრო ვრცლად, შესწავლა მთელი კავკასიისა და ზოგიერთი გეოგრაფიული ცნობები რუსეთზე. მოკლე კურსი საქართველოს ისტორიისა და ზოგიერთი მოკლე ბიოგრაფიული ცნობები, როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნების შესანიშნავ ისტორიულ პირთა და მეცნიერთა შესახებ.

საზოგადო **გეოგრაფია** (საქართ. გეოგრაფიასთან დაკავშირებით).

მე-V და მე-VI განყოფილებაში.

დაწვრილებით განხილვა საქართველოსი და

მთელი კავკასიისა. შესავალი მატემატიკური გეოგრაფიისა. მოკლე აწერილობა ორიგე ნახევარ სფერისა. მოკლე განხილვა ქვეყნის ნაწილებისა: აზია, ევროპა, აფრიკა, ამერიკა, ავსტრალია, მათი ფიზიკური და პოლიტიკური გეოგრაფია. ზოგიერთი ასტრონომიული ცნობები.

საზოგადო ისტორია დაკავშირებით საქართ. ისტორიასთან.

მე-V და VI განყოფილება.

გამეორება საქართველოს ისტორიისა შესანიშნავ მოვლენათა შესახებ უფრო ვრცლად და დალაგებით, მოკლე მოთხრობები საზოგადო ისტორიიდან—საბერძნეთის, რომის, ინგლისის, გერმანიის, ისპანიის და ჩრდილოამერიკის შესახებ დაკავშირებით საქართველოს ისტორიასთან, თუ რომელ ხანაში რა ისტორიული ამბები ხდებოდა საქართველოში და უცხო ქვეყნებში. კითხვა საკლასო ბიბლიოთეკიდან ისტორიულის შინაარსის წიგნებისა. ამერიკის დასახლების ისტორია და გამოლაშქრება ამერიკელებისა ინგლისის წინააღმდეგ. შესანიშნავ ისტორიული პირების ბიოგრაფიები. მოკლე ცნობები შვეიცარიის კონფედერაციისა, კონსტიტუციისა, მოქალაქის ვალდებულებისა და უფლებათა შესახებ.

შენიშვნა: პირველ ორი წლის განმავლობაში სამშობლოს შესწავლა თავისი შინაარსით მჭიდროთ არის შეკავშირებული დედა ენასთან, არითმეტიკასთან და საუბრებთან ბუნების მეტყველების შესახებ, ამიტომ ამ მოსამზადებელ საფეხურზე არ მიგვაჩნია საჭიროდ სამშობლოს გეოგრაფიის გამოყოფა და მისთვის ცალკე გაკვეთილების დანიშვნა. სამშობლოს გეოგრაფიას და ისტორიას ჩვენ ვუთმობთ ორს გაკვეთილს მესამე განყოფილებიდან *).

*) გაკვეთილების ნუსხაში (იხ, ,,განათლება'' № 1) შეცდომით გამოტოვებულია ორი გაკვეთილი სამშობლოს შესწავლისა მესამე განყოფილებაში, ჯამი გაკვეთილებისა სწორია; ორი გაკვეთილი, რაც ჯამშია მეტი, სამშობლოს შესწავლას ეკუთვნის. რედ.

სამშობლოს შესწავლის დროს მასწავლებლებმა უნდა იხმარონ ბ-ნი ალ. ჭიჭინაძის წიგნაკი. **„მოკლე საუბარი“** თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს პირველ-დაწყებითი კურსი გეოგრაფიისა; ი. გოგებაშვილის „ბუნების კარი“; ილ. ალხაზიშვილის ,,ბუნება და ცხოვრება'', ვახუშტის გეოგრაფია მოსე ჯანაშვილის რედაქციით გამოცემული. საზოგადო გეოგრაფიის შესასწავლად სახელმძღვანელოდ უნდა იხმარებოდეს მოკლე კურსი გეოგრაფიისა შედგენილი ალ. ჭიჭინაძის მიერ; ან არისტ. ქუთათელაძის მიერ შედგენილი ესეთივე მოკლე კურსი გეოგრაფიისა; გეოგრაფია ივანოვისა და ლიმბერგისა, გამოცემული ტფილისის ქართული გიმნაზიის მიერ. ვახტეროვის წიგნი: **Небесныя свѣтила, общедоступн. очерки по астрономіи** ფასი 30 კ. 2) **О преподованіи Географіи въ начальной школѣ Я. И. Рудневъ.** 3) მეცნიერებისათვის წამებულნი—ტისანდიე.

თვალსაჩინო საგნები გეოგრაფიის შესწავლის დროს საკმაოდ აქვს აღნუსხული ბ-ნ ალექსი ჭიჭინაძეს ,,მოკლე საუბარში'' და რუდნევს ზემოთ დასახელებულ წიგნში.

სამშობლო ისტორიის შესწავლის დროს მასწავლებლებმა უნდა იხელმძღვანელონ თავდაპირველად იმ მასალით, რაც ,,ბუნების კარშია'', შემდეგ უფროს განყოფილებებში შეუძლიათ ისარგებლონ დ. კარიჭაშვილის ,,მოკლე ისტორიით''. ს. ქვარიანის წერილით ,,ხეთი და **ნაირი**'' (,,განათლება'' № 1. 1909 წ.) ივ. ჯავახიშვილის ,,ქართველ-ერის'' ისტორიით და ს. გორგაძის ისტორიული წერილებით, რომელიც ამ ჟამად იბეჭდება ჟურნალ ,,ჯეჯილში''.

რაც შეეხება საზოგადო ისტორიას, ქართულ ენაზე მცირე მასალა გვაქვს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში განსვენებულის ვლ. ლორთქიფანიძის რომის და საბერძნეთის ვრცელს ისტორიას. ამიტომ ვიდრე შესაფერისი სახელმძღვანელო გვექნებოდეს, საჭიროა მასჩავლებლები სარგებლობდნენ იმ მოკლე მასალით, რაც რუსულ სახელმძღვანელოებშია.

პედაგოგიის ისტორია

დ—რ ვაიმერისა

სწავლა-აღზრდის საქმე მე-XVII საუკუნეში. § 12. ჰუმანისტების სასკოლო საქმეების დაქვეითება მე-XVII საუკუნის პირველ ნახევარში და განათლების ახალი იდეალის აღორძინება.

თავისუფლებას, რომელსაც მეთექვსმეტე საუკუნეში გერმანიაში გზა გაუკაფა ჰუმანიზმის და რეფორმაციის შეერთებულმა ძალამ, თავდაპირველად ადგილი უნდა დაეთმო შეურიგებლობისათვის, სახელდობრ ისეთს ადგილებში, სადაც სასიამოვნოთ უნდა მიეღოთ— უნივერსიტეტებში. ეკლესიურმა განხეთქილებამ კათოლიკებსა, ლუტერანებსა და რეფორმატორთა შორის გამოიწვია მწვავე შეტაკება თეოლოგეში. უველა ადმსარებელთა მისწრაფებამ რომ დამტკიცებინათ თავიანთ სარწმუნოებათა მოძღვრების უპირატესობა, გამოიწვია ადორძინება ახალის სხოლასტიკისა, რომელიც ისეთსავე მცირე უურადღებას აქცევდა ლათინურს, როგორც ერთს დროს საშუალო საუკუნოების სხოლასტიკა. ახალმა საუკუნემ ვერ წარმოშვა შესანიშნავი ჰუმანისტები, რომელთა რიცხვი მრავალი იყო მე-XV და მე-XVI საუკუნოებში. გაჭრა მისწრაფება კაზმულ ოხზულებათა შედგენისა ლათინურსა და ბერძნულს ენებზე. ჰუმანისტიურ მეცადინეობის დაქვეითებას უნივერსიტეტებში მოჰყვა სკოლებში ძველი ენების შესუსტებაც, რადგანაც ასეთს მაღალ სკოლებში კურს დამთავრებულებმა არ იცოდნენ ძველი ენები. როცა მასწავლებლის დანიშვნაზე მიდგებოდა საქმე, უსაჭიროესად მიაჩნდათ წესიერი სარწმუნოებრივი აღსარება; მისი ნიჭი და ცოდნა მეორე ადგილს იჭერდა, და რომ ძველი ენების შესწავლას ცუდად არ ემოქმედნა მოწაფეებზე, განძრახ გვერდს უხვევდნენ, რომ არ გაეგოთ შინაარსი წარმართ მწერალთა ნაწერებისა, რომელსაც მხოლოდ სტილისა და გრამატიკის მხრით არჩევდენ. ბერძნულ ენაზე მხოლოდ ახალი აღთქმის ისტორიას ჰკითხულობდნენ. ოცდა ათ წლიან ომმა სახოგადო კეთილდგომარეობასთან სახოგადო განათლების სკოლებიც გაანადგურა.

მაგრამ ზოგან თავი იჩინა ახალმა სიცოცხლემ. ეპოქა, რომელიც აღნიშნავს ჰუმანისტური სკოლების დაცემას, შეიქმნა იმავე დროს ბუნების გაძლიერებულ შესწავლის ხანად. ოუ ამ დრომდის ბუნების მეცნიერებას სწავლობდნენ ბერძნებისა და რომაელების მწერლებისაგან, განსაკუთრებით არისტოტელის ნაწერებიდან, ეხლა თვალი მოარიდეს წიგნებს და მიაპურეს გარშემო ბუნებას და ეურს უგდებდნენ მის საკვირველ საიდუმლოებას, რომლის აღმოჩენამ უკვალვ ჰეგეს კოპერნიკის, კეპლერის და ჭალილეის სახელი. ბუნების მეტეგვლებამ მიიღო მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა. ბეკონ ვერულამელმა (1561—1626) გახადა ის ფილოსოფიურ გამოკვლევის საფუძვლად, მეცნიერება დასწია უკან ცდისა და ნატურფილოსოფიისკენ. როგორც მან გასწეგიტა ტრადიციონულ ტრუმორწმუნოებისა და ავტორიტეტთა აზრების ძაფი, აგრეთვე დეკარტმაც (1596—1650) უარჭყო ფილოსოფიური სისტემა თავის წინამოადგილეებისა და უჩვენა ახალი გზა და მიზანი თანამედროვეთა აზროვნებაში. ორივემ ასწავლა თანამედროვეთ და შთამომავლობას უკუ აგდონ ძველთა ეავარჯენი და თავისი ძალის სასიამოვნო შეგნებით გაჭეენენ წინ შემეცნების გზას.

დიდებული ფრანგი ფილოსოფოსი უკვე მე-XVI საუკუნეში მოამზადა ორმა მეცნიერ-

მა—ჰუმანისტმა Petrus Ramus-მა (+1572) და გონებით მახვილმა მიშელ მონტენმა (1533—1592)—პირველმა დაუდალავის და დაუცხრომელის ბრძოლით არისტოტელისა და სქოლასტიკის წინააღმდეგ; მეორემ სკეპტიციზმით, რასაც ის აშკარად ხდის თავისს „ცდებში“ (Essais) ადამიანის შემეცნების ყოველგვარ საგნის ახსნის დროს, ორივე მუშაობდა აგრეთვე სწავლა აღზრდის საკითხის შესახებაც—Ramus-ი პრაქტიკულად და თეორიულად, მაგრამ მაინც ვერ შესძლო თავის რეფორმატორული გეგმები გაეტარებინა საფრანგეთში; მონტენი კი მხოლოდ თეორიულად არკვევდა საკითხს და ისიც შემთხვევით, თავის „ცდების“ პირველ წიგნში (თავი 24 და 25). მაგრამ ეს შემთხვევითი შენიშვნებიც მახვილ გონებიან ადამიანისა შეადგენენ უდიდესს სიმდიდრეს ახალის პედაგოგიურის აზრებისას, რომელმაც შემდეგში ლოკკისა და რუსსოს წყალობით ფეხი მოიკიდეს გერმანიაში სწავლა აღზრდის საქმის განსავითარებლად.

აღზრდა მონტენის აზრით სწავლებაზე უაღრესია. მან უნდა წაქეზოს ბავშვი დამოუკიდებელ მოქმედებისკენ და ეგუებოდეს მის პიროვნებას. ერთიც და მეორეც სრულად შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ მოწაფეს დანიშნული ჰყავს ცალკე აღმზრდელი, აღჭურვილი სადი ადამიანის გონებით, რომელიც არ გადასცემს მოწაფეს მზა მზარეულად სასწავლო მასალას დასახსოვნებლად, არამედ აჩვევს საკუთარის თვალით ხედვას და საკუთარის გონებით მსჯელობას. ყოველი ადგილი და დროც ხელს უნდა უწყობდეს სწავლებას; მთელი სიცოცხლე—სკოლა უნდა იყოს. პირველი ადგილი ყოველთვის აზრს უნდა ეკავოს და შემდეგ უკვე სიტყვას, რომელსაც დღემდის უფრო მეტს ყურადღებას აქცევდნენ. მოწაფეები კი მთელს სასკოლო დროს მხოლოდ ენების სწავლას ანდომებენ და ამასთან მკვდარ ენებისას, მაშინ როდესაც დედა ენას და მეზობელთა ენას ყოველშემთხვევაში მეტი უპირატესობა უნდა ჰქონდეს. როგორც ცოცხალი ისე მკვდარი ენებიც უფრო სწრაფად და ადვილად ისწავლება ლაპარაკში ვარჯიშობით, ვიდრე გრამატიკით. მაგრამ ყველა ცოდნაზე უსაჭიროესი ცოდნა ადამიანისა და ბუნების შესწავლაა, რასაც უფრო სარწმუნოდ შეიძენენ საკუთარის დაკვირვებით და ისტორია ფილოსოფიაში მეცადინეობით. საჭირო მოვლა ტანისა აღზრდას ხდის სრულად და ჰარმონიულად. ამიტომ მონტენი ითხოვს ყოველ დღე სხეულის საკმარისს ვარჯიშობას, როგორც აღზრდის უსაჭიროესს ელემენტს. ეროვნული სხვაობის შეგნებამ, რომელიც გამოხატა მონტენმა დედა ენის მამცურად ლაცვაში, იმავე სახით კაიდვიძა გერმანიის ნიადაგზე ლიუტერის მიერ დაბადების (ბიბლიის) გადათარგმნის შემდეგ. მართლაც აქ მე-XVI საუკუნის მეორე ნახევარში მადალ წრეებში მოდათ გადაიქცა უცხო ენებზე ლაპარაკი (იტალიანურ, ესპანურ და ფრანგულზე), რაც იწვევდა ჭრელ-ჭრელ ლაპარაკს.—ამას კი ვნება მოჰქონდა გერმანული ენის სად განვითარებისათვის. სწორედ იმავე დროს, როცა ეს „მოდური“ ენა იმუქრებოდა უმწვერვალეს არაბუნებრივობისადმი მიღწევას, გერმანულ ხალხის საუკეთესო წრეებში აღიმაღლეს ხმა ამ შერეული ენის წინააღმდეგ დაარსეს საზოგადოება ენის შესასწავლად (სასარგებლო საზოგადოება 1617 წელს); ამ შერეულ ენასა ჰგმობდნენ აგრეთვე სატირიულს ლექსებში თანამედროვე მწერლებიც (მოშეროში, ლაურემბერგი). ამავე დროს პირველად გამოიდაშქრეს პედაგოგებმა, რომლებიც სწავლების ერთ მთავარ დანიშნულებად დედა ენის შესწავლას აღიარებდნენ: ესენი იყვნენ დიდებული მასწავლებელი რატიხი და კომენსკი.

პროცესსი გერმანელ პედაგოგის შარრელმანისა

შარშან გერმანიის პედაგოგები ძლიერ ააღელვა იმ პროცესმა, რომელიც გამოიწვია გერმანელ „ხელოვან პედაგოგის ჰენრიხ შარრელმანის აზრებმა, რომელთაც ჩვენი მკითხველები „განათლების“ 1909 წ. № 1 და ამავე ნომერში გაეცნობიან. შარრელმანი სწავლა-განათლების საქმეში რევოლიუციონერი არ არის—ის მხოლოდ სკოლის რეფორმატორია. მისი იდეები საზოგადოთ იმაში გამოიხატება, რომ მასწავლებელი არ უნდა იყოს არც ხელოსანი, არც მოხელე—არამედ ხელოვანი, —შემქმნელი თავისი დიდებული საქმისა; სკოლა ბავშვის შემოქმედების, დამოუკიდებლობის განმავითარებელი, სამხიარულო მეცნიერების ადგილი უნდა იყოს და არა მშრალი სწავლებისა. ყველა ამის შესრულება, შარრელმანის აზრით, უნდა შესძლოს და კიდეც შესძლებს აწინდელი სკოლა და მასწავლებელი და არა მხოლოდ მომავალი სკოლა და მისი მასწავლებელი.

შარრელმანი იწვევს მასწავლებლებს სკოლის საქმის განახლებისაკენ და არა არსებული სკოლების დასარღვევად; თვითონ თავის მასწავლებლობაში მიისწრაფოდა ამ განახლებისაკენ, ცდილობდა გამხდარიყო ხელოვანი მასწავლებელი და არა ხელოსანი ან მოხელე. შერრელმანის იდეებში არაფერი უკიდურესობა და უტოპია არ ყოფილა: იმას მიყვებოდა შეგნებული ნაწილი გერმანელ მასწავლებლებისა, რაც სჩანს იქიდან, რომ უმრავლესობა პედაგოგიური და სხვა გერმანული გამოცემისა მთლად მიემხრო შარრელმანს.

და აი თავისი აზრებისა და მოქმედებისათვის იგი სამართალში მისცეს, გაამტყუნეს და 1,000 მარკი ჯარიმა მიუსაჯეს.

შარრელმანის პროცესმა ძლიერ ააღელვა გერმანიის საზოგადოება და პირველად, რასაკვირველია, მასწავლებლები, რადგანაც ამ პროცესმა ნათლად დაანახვა ყველას თუ რამდენად ძლიერი არის კიდევ ბიუროკრატია ხალხის სწავლა განათლების საქმეში, რამდენი ეკლიანი გზაა კიდევ გასავლელი და რა გვარი დაბრკოლება ელობება წინ ყველა მუშაკს, საქმის მოყვარულ მასწავლებელს.

შარრელმანის პროცესმა დაანახვა ყველას თუ ვისთვის არის ძვირფასი სამშობლო ქვეყნის განათლება, როგორ უყურებს სწავლა-განათლების საქმეს მმართველი ბიუროკრატია, რა არის ამ უკანასკნელის აზრით მავნებელი და სასარგებლო, რა არის ცუდი და კარგი ხალხის განათლების საქმეში.

ამ მხრით შარრელმანის პროცესი ყველასთვის საყურადღებოა და მომეტებულად ჩვენთვის, ქართველ მასწავლებლებისათვის, რადგანაც ყველასთვის საჭიროა იცოდეს თუ „ოფიციალური“ პედაგოგიც რას ხედავს დანაშაულობად მასწავლებლის მოქმედებაში.

შარრელმანის წინააღმდეგ, რასაკვირველია, პირველად ამხედრდა ადგილობრივი სამრსწავლო მთავრობა, რომელიც აბრალებდა მოვალეობის შეუსრულებლობას, რომელიც გამოიხატებოდა მთავრობის დადგენილებით შემდეგში:

1. ის სახალხოდ ბეჭდვით ჰგმობდა თავისი უფროსების წესწყობილებას და

მოწერილებას, აცხადებდა, რომ ის არ არის ვალდებული შეასრულოს მთავრობის მოთხოვნილებანი.

2) სამსახურის დროს გაურბოდა თავისი მოვალეობის სასტიკად ასრულებას, მიუხედავად მისდა, რომ დირეკტორი არა ერთხელ აგონებდა მას.

3) მას მართლად მიაჩნდა თავისი თავი, ფიქრობდა შემდეგშიაც ასე მოპყრობოდა მთავრობის გეგმებს დამოწერილობებს, რომელთაც შეუთანხმებდა თავისი სინიდისის ხმას და სწავლა-აღზრდის მაღალს მიზანს.

ამას გარდა თავისი უფროსები შარრელმანს კრიტიკული აზრების გავრცელებას აბრალებდენ. წამოაყენეს იმისი სტატია Roland-ში დასტამბული, სადაც ნათქვამია: „სასკოლო წესები ჭეშმარიტი წესების კარიკატურაა“, „ყველა ახალი რამ პირველად წინააღმდეგობას უწევს ძველს, ვიდრე ამ უკანასკნელს არ დასთურგნის. ავრეთვე სკოლაც. სკოლაში მასწავლებელმა ახალი პედაგოგიის მცნება უნდა გამოსცადოს. არავის არ აქვს უფლება უბრძანოს მასწავლებელს, თუ როგორ უნდა ასწავლოს“.

ბრალმდებელთა აზრით შარრელმანმა უარჰყო სახალხო მასწავლებლის სამსახურის მოვალეობა. მართალია მთავრობის მოწერილობის კრიტიკულად განხილვა იმას შეეძლო, მაგრამ არ უნდა დავიწყებოდა თავისი უწყებისადმი პატივისცემით მოპყრობა. მაგრამ შარრელმანმა უფრო გააორკეცა თავისი დანაშაულობა იმით, რომ თავის გეზოზე ცვლილა გაკვეთილებისათვის დროს განაწილებას და სასწავლო გეგმებს; მოწონებული ქრესტომატიების ნაცვლად, მოწაფეებს გრიმის ზღაპრებს აკითხებდა და სხ. მაგრამ ყველაზე უარესი დანაშაულობა ის არის, რომ რამდენჯერმე მიმართავდა სხვა მასწავლებლებსაც, რომ ისინიც მასავით მოქცეულიყვნენ.

შეკითხვის დროს შარრელმანმა, სხვათა შორის განაცხადა, რომ ის ყოველთვის ხელმძღვანელობდა არა მკვდარი ასოებით, არამედ მოწერილობის აზრით, მკვდარი გეგმებისა და მთავრობის მოწერილობის პატივსაცემად მას არ შეეძლო მოწაფეთა ცხოველი ინტერესები მსხვერპლად შეეწირა.

გასამართლების შემდეგ შარრელმანმა დასტამბა თავისი განმარტება: „საკუთარი საქმის გამო“. (in eigener Sache), რომელშიაც ყველა ბრალდებაზე პასუხს აძლევს მსაჯულებს:

„ჩემი საქმე იმიტომ წამოაყენესო— სწერს ის, რომ გადავეყენებინეთ სამსახურიდან“, და შემდეგ არღვევს ყველა ბრალდებას. ის ამტკიცებს, რომ გერმანელი და კერძოთ ბრემენელი მასწავლებლები მოკლებულნი არიან ყოველგვარს თავისუფლებას სწავლების საქმეში, იმათ ჰბორკავს მთავრობის ათასგვარი მოწერილობა, პროგრამები, გეგმები, რომ ყოველგვარი რჩევა მასწავლებლებისა ამა თუ იმ პროგრამების, გეგმების შეცვლისა და ზოგიერთი სასკოლო რეფორმების შემოღების შესახებ სრულიად უშედეგოდ რჩება, მასწავლებელთა კავშირი, მათი შეერთება ერთად სამუშაოდ პედაგოგიის საქმეში ყოველთვის წინააღმდეგობას იწვევს მთავრობის მხრივ და სხვ. ის უჩვენებს, რომ მისი სტატიიდან მოყვანილი ადგილები მსაჯულებს უსინიდისოდ დაუმახინჯებიათ, ბრალდება არსებითად არ ყოფილა წარმოყენებული, გასამართლებული იყო ბიუროკრატიულად—ის ამტკიცებს, რომ პედაგოგიური ცდა, რაშიაც იმას ბრალსა სდებენ, ჭეშმარიტი სკოლის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს, ამას

მხარს უჭერს არა მარტო ახალი პედაგოგია, არამედ ისიც, რომ მასწავლებელთა ერთურთი დახმარება ერთად ერთი ჭეშმარიტი გზაა.

„მთავრობის მოწერილობა—სწერს შარრელმანი,—იმდენად მიმაჩნია სავალდებულოდ, რამდენადაც ის არ ეწინააღმდეგება ჩემს პედაგოგიურს სინიდისს“.

„ეხლაც, საქმის გათავების შემდეგ იმ აზრზედ ვდგევარ, როგორც წინედ,—მასწავლებელი თავისი სამსხაურის შესრულების დროს თავდაპირველად და ყოველს შემთხვევებში უნდა მიხვდეს თავისი პედაგოგიური სინიდისის ხმას, რომ მისს საკუთარს კარგად მოფიქრებულს და საფუძვლიან აზრს უფრო მეტი ფასი აქვს, ვიდრე კანონების ყველა პარაგრაფებს ერთად“.

„18 წელი ვიბრძვი სკოლის სიდუხჭირის წინააღმდეგო—ათავებს შარრელმანი თავის პასუხს—და კიდეც ვიბრძოლებ სანამ ძალღონე შემწევს“.

დასასრულ შარრელმანი მადლობას უძღვნის ერთს უცნობ დედაკაცს, რომელმაც გადასცა მას 1000 მარკა ჯარიმისათვის.

შარრელმანის პროცესმა გამოიწვია გერმანიაში საზოგადო ყურადღება. მთელი საზოგადოება და პედაგოგიური მწერლობაც მხარს უჭერს დევნილ მასწავლებელს. სხვათა შორის ძლიერ გავრცელებული „Allgemeine Deustche Lehrerzeitung“ ი სწერს:

„ათი ათას მასწავლებელზე შარრელმანი ნაყოფიერად მოქმედებდა. უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში პედაგოგიაში და განსაკუთრებით სწავლების მეთოდებში დიდი ცვლილება მოხდა და აქ ამ საქმეში შარრელმანს დიდი ღვაწლი მიუძღვის. შისი თხზულების ყოველი გვერდიდან, ყოველი სტრიქონიდან და სიტყვიდან ჩვენ გვიცქერის და გვესაუბრება ხელოვანი მასწავლებელი ბრემენი უნდა ცდილიყო დაეტოვებინა თავისთან შარრელმანი და არ მიეტოვებინა მას ეს ქალაქი. მაგრამ თუნდაც მომკვდარიყო შარრელმანი, მისი სული მაინც დარჩებოდა და განაგრძობდა მოქმედებას“.

მეორე ჟურნალი „Freie Lehrerstimme“ შარრელმანის ისტორიას ყველა გერმანელ სკოლების ბედ-იღბალს ადარებს: „რად ეძახიან ჩვენს ხალხს დიდებულ პედაგოგების ხალხს? განა ჩვენი ძველი პედაგოგები იმიტომ გახდნენ დიდებულები, რომ ისინი ყურ-მოჭრილად ასრულებდნენ სხვის ბრძანებას? ყველა მათ, ტროტცენტორფიდან დაწყებული პესტალოცცამდის და დისტერვერგიდან ჩვენ დრომდის, თავიანთი საკუთარი მეთოდი ჰქონდათ. უდიდესი სენი ჩვენი აწინდელი სკოლებისა მთელ გერმანიაში ის არის, რომ მეტად განმხნევებული და გულმოდგინე მასწავლებლები ყოველს მოძრაობაში ბორკილებსა გრძნობენ.

შარრელმანს საკმაოდ მხარს უჭერს საეკლესიო ორგანოც: „Schul und Kirchenbote“: „ვინც იცის შარრელმანის მნიშვნელობა, ვისაც წაუკითხავს იმის წიგნები, ის ღრმად აღშფოთებული უნდა იყოს საქმის ასე დაბოლოვებით. განა შეიძლება სამსახურის პარაგრაფებით (mit der Elle der Dienstparagraphen) გაზომვა ადამიანისა, რომელსაც მთელი თავისი ძალღონე სწავლების მაღალ საქმისათვის შეუწირავს? მაგრამ გამარჯვება წვრილგულმოდგინეობისა, შურისა და მთავრობის მოყვარეობისა მოჩვენებითი გამარჯვებაა, რადგანაც ეჭვი არა გვაქვს, რომ სკოლიდან განდევნილი შარრელმანი უფრო გულმოდგინეთ და ხალისით იბრძო-

ლებს თავისი იდეების დასაცველად და ათასობით სხვა მასწავლებლებიც მიემხრობიან მას. მასწავლებლებში თავისუფალი აზრის გამოთქმის ჩაქრობა ჩვენს დროში არც ისე ადვილია. ცნობილი გამოცემა „Die Neuen Bahnen“ სხარტულად შენიშნავს: „შარრელმანის განდევნა ქ. ბრემენს სახელს არ შესძენსო. სკოლის მთავრობა ბრალდებას იმაზე აფუძნებს, რომ შარრელმანი თავის მოქმედებას მათ მოწერილობას არ უთანხმებს მაგრამ ეს გამოტყორცნილი ისარი თვითონ მსროლელსა ხვდება. სენატს ჰგონია, რომ სწავლების შესახებ მსჯელობა შეიძლება იმის მიხედვით, თუ რამდენად ეთანხმება ის ცირკულიარებს“.

ბოლოს საუკეთესო პედაგოგიური ჟურნალი „Pädagoqische Reform“ შარრელმანის პროცესს „სამარცხვინოდ“ ჰხდის და დასძენს, რომ ამისთანა პროცესი ცხადად ამტკიცებს თუ როგორ მძიმე მარწუხებშია მომწყვდეული გერმანული სკოლა მმართველ პედაგოგ-ბიუროკრატების ხელში

დევნა ისეთის მასწავლებლისა, როგორც შარრელმანია, მართლა სამარცხვინოა ქვეყნისათვის, იმაზე უაზრობა არა არის რა, როცა მასწავლებლის ცოტათ თუ ბევრად თავისუფალ ნაბიჯში, უაზრო ცირკულიარების უარის ყოფაში კანონის დარღვევასა ხედავენ და ამისათვის სასტიკად სჯიან.

მაგრამ ამასთან გერმანიაში საზოგადოება და პრესსა მხარს უჭერს ყველა გონიერ მასწავლებელს. ჩვენში კი ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ ასეთი შეგნება არ არის, არც საზოგადოებაში და არც თვით მასწავლებლებში, რომელთაგან არა ერთი სულით დაცემულია, რომელიც ჯაშუშობასაც კი არ ერიდება, რომ ამ სამარცხვინო საქციელით თავისი ამხანაგი მიწასთან გაასწოროს. ჩვენში შარრელმანის მსგავსი პედაგოგური „შეცოდებანი“ უფრო სასტიკად არის აღკრძალული, მაგრამ მაინც უნდა ვისურვოთ, რომ ქართველ მასწავლებლებშიაც უმეტესობა მაინც დაადგეს შარრელმანის გზას და საზოგადოებამაც და მწერლობამაც ისეთი მხარი მისცეს მათ, როგორც გერმანიაში მოიქცნენ.

Ratti.

შინაური მიმოხილვა

რა უნდა აკეთოს მასწავლებელმა ზაფხულში

უცხო ქვეყნებში, სადაც სახალხო სკოლები უფრო უკეთეს ნორმალურ პირობებშია, ვიდრე ჩვენში, სასკოლო მეცადინეობა ზაფხულობით ისე არა შეწყვეტილი, როგორც ჩვენში. ცხადია აწინდელი ცხოვრება ბევრს რასმე ითხოვს სკოლისაგან, სკოლა კი იმის მეათედსაც ვერ ასწრებს, რაც საჭიროა და ამისი მიზეზი სხვათა შორის ისიც ჯრის, რომ საწყვლო წელი ძლიერ მოკლეა. ზოგან ჩვენში წლის განმავლობაში წესიერი სწავლება მხოლოდ ოთხ თვეს სწარმოებს სხვა და სხვა ადგილობრივი პირობების მიხედვით, ამის გამო, რასაკვირველია სამი ოთხი წლის განმავლობაში, ან უკეთ რომ ვსთქვათ 12—16 თვეში მოწაფე იმდენს ვერ შეიძენს, რომ ამ დროს შეძენილი ცოდნა საკმარისი იყოს დღე-

ვანდელს კართულებულს ცხოვრებაში. ამასთან წარმოიდგინეთ ორი და სამი განოფიდება ერთ მასწავლებლის ხელში და ცხადი იქნება თუ რა მცირე ცოდნა უნდა ჰქონდეს ამისთანა სკოლის მოწაფეებს.

დღეს უველგან სკოლებში განსაკუთრებულ უურადღებას აქცევენ ბუნების მეტუველების შესწავლას. მაგრამ შენიშნულია ისიც, რომ ბუნების შესწავლა სკოლაში წიგნებითა და სურათებით ეოველად შეუძლებელია; ამგვარი სწავლება მოწაფეს აძლევს მხოლოდ „სიტუვიერ წარმოდგენილებას“, რომელსაც ხშირად არავითარი დამოკიდებულება არ აქვს ბუნების ნამდვილ მოვლენებთან და საგნებთან. ამასთან ძლიერ კარგადაც რომ იეოს დაუენებული სკოლაში ბუნების მეტუველების სწავლება, სკოლა მაინც ვერ მისცემს იმას, რაც მიზნად აქვს დასახული ზოგად განათლების სკოლებს— **მთლიანად შეგნება ბუნებისა**. კლასში სწავლებით აუცილებელია თვითოეული მოვლენის ცალკე განხილვა, როცა ამ მოვლენათა შორის ბუნებაში მჭიდრო კავშირი არსებობს. ეხლანდელი ხერხი ბუნების მეტუველების სწავლებისა გვამცნევს, რომ ცხოვრების მოვლენათა რომელიმე განცალკევებული მხარის ანალიზის დანიშნულება, გამოკვლევა და შესწავლა უნდა იძლეოდეს ახალ მასალას ბუნების მოვლენათა უფრო ვრცელი სინტეზისათვის. აქედან ცხადია, რომ მასწავლებელმა შეძლებისა დაგვარად ზაფხულის დროც უნდა გამოიეენოს, გაზაფხულის და შემოდგომისაც. რასაკვირველია ზაფხულში ბავშვებთან მეცადინეობას სხვანაირი ხასიათი უნდა ჰქონდეს. აი სწორედ იმ დანაკლისის შევსებას, რასაც მასწავლებელი კლასში ვერ ასწრობს, დრო გამოშვებით ზაფხულიც უნდა მოანდომოს, პრაქტიკული მუშაობით, ექსკურსიებით, დაკვირვებისა და ცდის მოხდენით, საჭირო კოლექციების შეგროვებით არე მარეში, ახლო და შორს, ტეეში, მინდორში, ბდინარეზე, ტბებზე და ჭაობებში გასეირნებით. ასეთს მეცადინეობას ზაფხულში ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს. იმას, რაც ბავშვებს უსწავლიათ ან გაუგონიათ სკოლაში, ეხლა ბუნებაში ხედვენ, უკვირდებიან და თვალსაჩინოდ სწავლობენ და ადიბეჭდავენ მეხსიერებაში, რადგანაც თვალწინ გადაშლილი ბუნება თავისი ფერადი სურათებით, სიცოცხლით და ერთობით გაცილებით უკეთესია ეოველ გვარ ხელოვნურს სურათზე. ბავშვების მონაწილეობა ამ საქმეში უღვიძებს მათ თვით მოქმედების და შემოქმედებითს ძალას, ამიტომ ხშირად ბევრი გონება დახშული ბავშვი ხდება ცოდნის მოეკვრე, ჰატარაობიდანვე მიეჩვევიან დაკვირვებას, გამოკვლევას, რაც უვითარებს მათ თვით მოქმედების და თვითგანათლების ნიჭს.

აი სწორედ ასეთი მეცადინეობა ბუნების წიაღში საჭიროა რთული ბუნების თანდათან სრულად შესწავლისათვის, აქ თითოეული განცალკევებული ელემენტი, ანალიზი მჭიდროთ შეკავშირებულია ცხოვრების სინტეზში, აქ ბავშვი გაიცნობს ბუნების მთლიანობას: მინერალოგიური, ზოოლოგიური და ბოტანიკური მასალები ექსკურსიების დროს თვალწინ გადაეშლება მოწაფეებს ერთმანეთთან დაკავშირებით. ასეთი მეცადინეობა მოწაფეებს ბუნებასაც შეაუკარებს და ბუნების სიმშვენიერის შეგნებაც ხელს შეუწყობს ესტეტიურ აღზრდას. კანიკულებში ასეთს პრაქტიკულს მუშაობას მასწავლებლისა და მოწაფეთა ძალღონით მოჰყვება თვალსაჩინო სწავლებისათვის მდიდარი მასალის შეგროვება; ცოცხალ კოლექციებზე და საზოგადოთ მრავალგვარ შეკრებილ მასალებზე შეიძლება შემდეგ სკოლაში დაკვირებაც და ცოცხალი საუბრების გამართვაც. ამას გარდა კანიკულებზე პრაქტიკულ მუშაობას შედეგად მოჰყვება საუკეთესო შედეგი როგორც სწავლის წარმატებაში, აგრეთვე სკოლის მთელს ცხოვრებაში.

თუ ამგვარი მეცადინეობა ზაფხულში სა-

ჭირო სოფლის სკოლებში, მით უმეტეს აუცილებლად საჭიროა იგი ქალაქის სკოლებისათვის, სადაც თავმოყრილია წვრილ მოვაჭრეების, მდაბიო ხალხის, ხელოსნების და მუშების შვილები, რომელთაც თავისი ქუჩისა და ეზოს გარდა არა უნახავთ რა: იმათ ბუნება სრულიად არ უნახავთ; სოფელი და ბუნება შეუსწავლიათ წიგნიდან, მაგრამ არავითარი ცხადი წარმოდგენა არ აქვთ, მთელი წიგნური ცოდნა რადაც ხოტიურ მასსას წარმოადგენს, ბევრი ტყე, მინდორი, ველი, უანა და მდინარეც კი არ უნახავს. ერთი სიტყვით გარდა წიგნური წარმოდგენილებისა, რასაც ოდნავად თვალსაჩინობას უწევს სურათები, ქალაქის სკოლების მოწაფეებს ნამდვილი ცოდნა არ აქვთ და რაც უნდა მშვენივრად უხსნიდენ გაკვეთილს, მოწაფეებს მაინც ბუნდოვანი წარმოდგენილება ექნებათ იმის შესახებ, რაც თვითონ არ უნახავთ

აქედან ცხადია, რომ ზოგზულში, როგორც სოფლის, ისე ქალაქის მასწავლებლებსაც ფართო მოედანი აქვთ გაშლილი სამუშაოთ.

საქმე მხოლოდ პრაქტიკულ განხორციელებაშია. თავდაპირველად საჭიროა გეგმის შემუშავება ადგილობრივი პირობების მიხედვით. თუ ისარგებლებს არსებულის ლიტერატურით, რომელიც ყოველ სკოლის ბიბლიოტეკაში იქნება, მასწავლებელს ადვილად შეუძლიან გეგმის შედგენაც და საქმის გაკეთებაც. ჩვენ დავასახელებთ სახელმძღვანელოდ ახლად გამოსულ წიგნს „Ступникъ экскурсанта", მიტნერის გამოცემას, საიდამაც ბევრს პრაქტიკულს ცნობებს ამოკრეფს მასწავლებელი. ასეთი მეცადინეობა ზოგზულობით ყველაზე უფრო საჭიროა ჩვენს სკოლებში, საიდანაც მოწაფეები გამოდიან თავისი ქვეყნის სრულიად უვიცნი და ჩრდილო ქვეყნების ვითომ მცოდნე, მაგრამ ყველამ ვიცით თუ რა ცოდნაა ეს ცოდნა. საჭიროა აგრეთვე ზოგზულობით, როცა მეტ-ოავისუფალი დრო აქვს მასწავლებელს, ეს დრო თვით განვითარებას მოახმაროს, რადგანაც უბრალო ჭეშმარიტებაა—ვინც მუდმივ არ სწავლობს, არ ადგას თვით განვითარების გზას, ის სხვასაც ვერაფერს ასწავლის.

ლას-ბანი.

მოწერილი ამბები

ხ ო ნ ი *)

საქართველოში ამ უკანასკნელ 5 წლის განმავლობაში დიდი დღე მრავლდება სკოლები, და ამავე დროს სკოლაში მოწაფეთა რიცხვიც დიდი დღე მატულობს. ხონელებიც საზოგადოთ სწავლა განათლებას დიდს მნიშვნელობას აძლევენ. აქაც გახსნეს მრავალი პირველ დაწყებითი და საშუალო სასწავლებელი პირველ ხანათ ზოგიერთ სასწავლებლების შენახვა თვითონ ხონელებმა იკისრეს. ზოგიერთ სასწავლებლებსაც გახსნის დროს დიდძალი ერთ დროული დახმარება ადმოუჩინეს. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა ხონში არსებულ სასწავლებლებს ხონის საზოგადოების ფულით ჩაეყარა საძირკველი, ხონელებს მაინც ფიქრათ არ მოსვლიათ, რომ ამ სასწავლებლებში საშობლო ენისათვის საპატიო ად გი მოეპოებიათ. ამიტომაც ხონში არსებულ სასწავლებლებში საშობლო ენის შესწავლის საქმე მეტად ცუდ მდგომარეობა-

*) ეს წერილი იბეჭდება საკმაო შესწორებით და შემოკლებით. ორიგინალში აუარებელი სამარცხვინო ცნობებია ხონელ პედაგოგებზე პიროვნების დასახელებით; რასაც ავტორი წერილისა იწერება, თუ მეათედი მაინც მართალია, ვერაფერი აღმზრდელები ყოფილან ხონელი პედაგოგები!

რედ.

შია. ზოგიერთ სასწავლებლიდან ის სრულიად განდევნილია, ზოგან არა სავალდებულო საგანთ ითვლება, ზოგიერთშიაც უხეირო მასწავლებლების წყალობით ქართულ ენას განდევნა მოელის. მშობლებიც გადაგვარების გზაზე დამდგარან. ისინი გაიძახიან „ქართული ენა სახლშიაც იცით, სკოლაში იმიტომ ვგზავნით, რომ რუსული ისწავლოსო! ერთმა პირმა, რომელსაც თავი ქართველ მოდვაწეთ მოაქვს და ხონის ერთ-ერთ სასწავლებლის გამგეა, მოწაფეებს ურჩია, რომ ამხანაგებში ქართულათ ნუ ილაპარაკებთ, რუსულათ ელაპარაკეთ ერთმანეთს და მით რუსულს დაისწავლითო. ამით თქვენ არც გვარი შეგეცვლებათ და არც სახელი. დიახ საზოგადო მოდვაწეობაც ასეთი უნდა. სახლშია და მშობლები ჩასჩიჩინებენ რა დროს ქართულია, რუსული ისწავლეო. სკოლაშია და ქართველი პედაგოგები ურჩევენ ქართული ლაპარაკი მიატოვეო.

დიახ ესეთი არიან ხონის დიდებული პედაგოგები და მასთან ერთად ხონის მოწაფეთა მშობლებიც. პედაგოგების ამგვარი მოქმედება გამოწვეულია მთავრობისადმი ერთგულობით, უფროსებისადმი დაქუცით და სამსახურში წარმატების სურვილით. მშობლებს კი არ ესმით რა ტიპის სასწავლებელია მათი შვილებისათვის უფრო ხელსაყრელი, როგორი სწავლაა ცხოვრებაში გამოსაყენებელი რა დანიშნულება აქვს დედა ენას და ამიტომ ბევრგან ჩვენში ისეთი ტიპის სკოლებსა ხსნიან და უაზროთ ხარჯს ეწევიან, რომ ეს სკოლები ხალხს არავითარ სარგებლობას აძლევს. ბევრმა მშობელმა არ იცის, რომ უდაოთ სკოლა მკვდარი სკოლაა და ჩამგონებელიც არავინ ჰყავს.

ჩვენი ხალხი სამეურნეო სასწავლებლებს ნაკლებ ეტანება, ხონი მეტად დარიბია სამეურნეო სასწავლებლით. ეს როგორ დაარსებენ აქ სამეურნეო სასწავლებელს, როდესაც ხონელებს ასეთი შეხედულობა აქვთ მეურნეებზედ: „შვილს იმიტომ ვასწავლი, რომ მიწის მუშობას ავცდინოთ და არა იმიტომ, რომ კურს დასრულების შემდეგ, კვლავ მიწის მუშობას დაუბრუნდესო. ამისთანა შეხედულობის წყალობით ხონში არც ერთი სამეურნეო სასწავლებელი არსებობს და სხვა არსებულ სასწავლებლებსაც არ აქვთ სამეურნეო განყოფილება.

ივანდიდის ორ კლასიან სასწავლებელში სწავლობენ უმთავრესად დარიბი გლეხის შვილები, რომლებიც სკოლაში კურს დასრულების შემდეგ, ისევ ოჯახს უბრუნდებიან და მშობლებს ეხმარებიან საოჯახო საქმეებში. „წერა-კითხვა ხომ გასწავლე შვილო, მეტი რა გინდა? ძაძა-ჩემს არც ეს უსწავლიანია ჩემთვის. შეძლება არ მაქვს, რომ მეტი ცოდნა მიგალებიო, თორემ არ დავიშურებდიო. უწეებას ან წერილს, რომ მიიღებ მეგობრებისგან იმას მაინც წაიკითხავ, სხვასაც მისწერ წერილს და სხვა მეტი რა გინდა შვილო, ესეც დიდი ბედნიერებაა ჩვენთვისო“. ელაპარაკება გლეხი თავის შვილს, რომელსაც ორი კლასი დაუმთავრებია „ეხლა კი მოდი და ისევ გვერდში ამომიდექი საოჯახო საქმეებშიო“. შვილიც, რასაკვირველია, ნებას ჰყვება და მამასთან ერთად ეწევა საოჯახო საქმეებს. მაგრამ სავალალო ის არის, რომ ამისთანა ნასწავლს ოჯახში არავითარი გაუმჯობესობა არ შეაქვს. ეს კი ხდება იმის გამო, რომ 5—6 წელიწადი ეწვალა და ვერავითარი ცხოვრებაში გამოსაყენებელი ცოდნა ვერ მისცეს, გარდა უბრალო წერა-კითხვისა.

არსებობს ხონში მხოლოდ ერთად ერთი სკოლა, რომელსაც სახელოსნო სკოლა ჰქვიან და რომლის კურს დასრულებულ მოწაფეებს შეუძლიანთ მეურნეობის განვითარებაში თავიანთი წვლილი შეიტანონ, გაუმჯობესებული სამეურნეო იარაღების გავრცელებით. მაგრამ სკოლის რეჟიმი მოწაფეებში ახშობს ხალხისადმი სამსახურის გრძნობას, და ისინიც კურს დასრულების შემდეგ, სოფლის გაჭირვება

დალხინებაზედ თავს არ იწუხებენ. ისინი მხოლოდ თავიანთ კუჭს ეთაყვანებიან და საითაც მეტად გაძღება ეს კუჭი, იქეთ მიეშურებიან. ამ სკოლიდან სამშობლო ესა განდევნილია ხონის საბოქაულოს მცხოვრებლები კი თვითოული ოჯახი დღესაც 50 კაპ. იხდის ამ სკოლის სასარგებლოდ და ხმას არავინ სძრავს, რომ ამ სკოლაში ქართული ასწავლონ. იგივე ითქმის სხვა სასწავლებელზედაც, იქაც სკოლის ცუდი რეჟიმი მოწაფეებში აქრობს ხალხისადმი სიყვარულის გრძნობას. იქაც უხეირო პედაგოგების წყალობით მოწაფეები გადაგვარების გზას ადგებიან და ათას გვარ ტუტუცურს რასმეითვისებენ. საკვირველიც არ არის, როდესაც პედაგოგისაგან გაიგონებს მოწაფე ათას გვარ უშვერ სიტყვებს ლანძღვა გინებისას და ადამიანის პიროვნების შეურაცყოფისას, რასაც უკანასკნელი კინტოც კი არ იკადრებს, რა გასაკვირველია, რომ გაზრდილიც თავისს გამზრდელს დაემსგავსოს სიტყვა პასუხში და ქცევაში.

ზოგან ხონის სასწავლებლებში მუშტიკრივი და ცემა-ტყეპა გამეფებულია და დღემდის ბოლო არ ეღება. არ შეიძლია აქვე არ მოვიხსენიო სამრევლო სკოლის ერთი ბრწყინვალე პედაგოგიც, რომელიც სასწავლებელში რუსული ენის სწავლებას და წერა-კითხვას პირველ წლიდანვე აწყებინებს ბავშვებს და მით გონებას ულაყებს. როდესაც ჰკითხეს თურმე ამ ვაყბატონს თუ რისთვის იქცევა აგრე, მას უპასუხნია — რუსულს მიტომ ვასწავლი პირველ წლიდანვე, რომ შემდეგ ჩემი მოწაფეები პროგიმნაზიაში ეგზამენს ადვილად დაიჭერენო. ამნაირად საქმის დაყენება ძირს უთხრის ბავშვის გონივრულ განვითარების საქმეს და აყენებს ამ უკანასკნელს გადაგვარების გზაზედ.

აქილლესი.

პეტერბურგი

წინა წერილში ვსწერდით ჩვენებურ სტუდენტების მატერიალურ დაქვეითების შესახებ, ამას კიდევ გაუძლებდა კაცი, რომ მას თან არ სდევდეს სულიერი დაქვეითებაც. როგორც ბევრ სხვა საუნივერსიტეტო ქალაქებში, პეტერბურგშიაც დიდი ხანია არსებობს ქართული სათვისტომო. სათვისტომო თავის ფუნქციას ავად თუ კარგად ასრულებს, ამის წინააღმდეგ არაფერი მაქვს სათქმელი. მაგრამ, როდესაც სხდომებს ვესწრები და მორუსულე ორატორებს ვუსმენ, გული მიკვდება. რაშია საქმე? **„ჩვენი, ქართველების, დღევანდელი საზოგადოებრივი ცხოვრება მოწამლულია, დაკარგული აქვს წმინდა ეროვნული ელფერი და ამიტომა ვართ ასე სასაცილონი ყველას თ ალში“**,—სთქვა ბელლეტრისტმა ია—ეკალაძემ თავის მოთხრობაში „გზა-და-გზა“, რომელიც სტუდენტების ცხოვრებიდან აქვს დაწერილი („დრ.“ 1909 წ, № 258). ეს სიტყვები სრულიად მართლდება აქაურ სათვისტომოზე; მას ეროვნული ელფერი დაკარგული აქვს. უსმენ მორუსულე ორატორ-წევრს და გეცოდება იგი, რადგან ტიპიური წარმომადგენელია გადაგვარების გზაზე დამდგარ ადამიანისა, რომელსაც ვერსად უპოვნია რიგიანი თავ-შესაფარი, თავის კერას ვამოქცევია და სხვისაში-კი ჯერ კიდევ აო შეუყვია თავი. ქართულად ვერ ლაპარაკობენ, (რასაკვირველია ყველა წევრებზე ეს არ ითქმის, ზოგი ქართულად მშვენივრად ლაპარაკობს) ენა უბორ-

ძიკდებათ, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ვერც რუსულში იჩენენ სიყოჩაღეს, ისე ამტვრევენ ამ პატიოსან რუსულ ენას, რომ პურიშკევიჩიც-კი, ეს უთავბოლო პატრიოტი, მათ მადლობას არ ეტყვის.

ამ უბედურებას ზედ ერთვის ერთი კიდევ უფრო დამაღონებელი მოვლენაც. მე მოგახსენებთ ზოგიერთთა პირმოთნეობით მსჯელობაზე. ამ გვარმა მსჯელობამ უფრო იჩინა თავი სათვისტომოს ბოლო კრებაზე, სადაც გაირჩა საქმე ს. კაკაბაძესა და იოს. ყიფშიძის შორის მომხდარ ინციდენტის შესახებ. საქმე შემდეგში მდგომარეობს: როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, ამას წინათ მ. ჯანაშვილით წაქეზებულმა გ. გვაზავამ გაილაშქრა პროფ. მარრის წინააღმდეგ. ამის გამო მარრის მოწაფეებმა იოს. ყიფშიძემ და ვ ბერიძემ რამოდენიმე ფელეტონი დასტამბეს „დროების“ ფურცლებზე, სადაც ამტიცებდენ მარრის მოწინააღმდეგეთა უვიცობას. ამ წერილების გამო კამათი ასტყდა ს კაკაბაძესა და ყიფშიძე-ბერიძის შორის უნივერსიტეტის აუდიტორიაში. კაკაბაძემ საკამათო საგნის მეცნიერულად დამტკიცების მაგიერ, უშვერი სიტყვების ხმარების შემდეგ, მუშტები უთავაზა მოკამათე ყიფშიძეს. უკანასკნელმა „მუშტი-კრივით“ მოკამათეს წინააღმდეგობა არ გაუწია და უფრო კულტურულ საშუალებას მიჰმართა; სთხოვა სამეცნნერო წრეს გაერჩია ეს საქმე. ბ. კაკაბაძე სამეცნიერო წრის გადაწყვეტილებას არ დაემორჩილა; სთქვა:—შემთხვევით შეკრებილ ხალხის დადგენილებას მე არ დავემორჩილებიო. მაგრამ სჩანს იგი აღარც სათვისტომოს დადგენილებას აქცევს ყურადღებას, რადგან პირველ კრებას არ დაესწრო და მეორე კრებასაც არ მოეპყრო თავაზიანად, სადაც ერთი სიტყვაც არ უთქვამს საქმის გამოსარკვევად. ასეთ კაცს ზოგიერთებმა ამ კრებაზე მხარი დაუჭირეს და მის გამართლებას მოითხოვდენ. ეს ღა გვაკლდა! თუ სცემე ვისმე, მართალი ხარ, წინააღმდეგ შემთხვევაში მტყუანი!

უნივერსიტეტთან არსებული ქართული სამეცნიერო წრე დიდ იმედებს იძლევა ქართულ ენის შესწავლის და დაცვის საქმეში. მისი ხელ-მძღვანელი პრივატ-დოცენტი ბ ი. ჯავახიშვილი უზომო მადლობის ღირსია თავის უანგარო შრომისათვის. ამ სამოსწავლო წლის განმავლობაში წაკითხულ იქმნა რამოდენიმე რეფერატი სტუდენტებისაგან ბარათაშვილზე, გიორგი საკაძეზე და სხვ. რეფერატებმა კამათი გამოიწვიეს არ შემიძლია კამათის შესახებ ერთი შენიშვნა არ გავუზიარო წევრებს. კამათის დროს აღელვებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს; მშვიდ ნიადაგზე საქმის გაკეთება ყველაფრით ნაკურთხია. უცდომელი ამ ქვეყნათ არავინ არის. რეფერენტსაც შეეპარებოდა რეფერატში შეცდომები, მაგრამ მოკამათეებმა რომ ამის გამო რეფერენტს უვიცი დაუძახონ, რიგიანი არ იქნება, როგორც აღნიშნა ერთ-ერთ სხდომაზე კამათის დროს თვით ხელმძღვანელმა ბ ნმა ჯავახიშვილმა. ერთი შენიშვნა თვით რეფერენტებსაც. რეფერატი ყოველთვის მოკლე უნდა იწერებოდეს, რომ შესაძლებელი იქნეს სამი საათის განმავლობაში წაკითხვა და მოკამათეების მოსმენაც. ერთ და იმავე თემაზე შესაძლებელია ბევრიც დაიწეროს და ცოტაც. ჩემს აზრით მოკლე რეფერატი უფრო მეტ სარგებლობას მოიტანს. ვინემ გაჭიანურებული, როგორიც იყო რეფერატი ბარათაშვილზე, სადაც მეცხრამეტე საუკუნის ლიტე-

რატურის მთელი ისტორია იყო მოთხრობილი.

სამეცნიერო წრე მკვიდრ ნიადაგზე ემყარება და საქმეს ენერგიულად ეკიდება, მაგრამ რად არ ეწერება წევრად ქართველ სტუდენტთა უმეტესობა? ალბათ არ აინტერესებთ ქართული და მის საუკეთესო წარმომადგენლებზე რეფერატების მოსმენა! ასში ხუთი თუ ირიცხება წევრად და შეაღწევს საწევრო ფული კიდევ დიდია, რაც სამწუხარო მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

ლადო გეგეჭკორი.

ბიბლიოგრაფია

(„რას გვიამბობს ოთახი“ ავერანიუსისა, თარგმანი გ. ჯაფარიძის მიერ „ნაკადულის“ პრემია 1909 წ.)

ჩემს წინ გადაშლილია ავენარიუსის პატარა წიგნი: „რას გვიამბობს ოთახი“, ქართულად ნათარგმნი. აი მისი შინაარსი: ბავშვი წევს სიბავშვო ოთახში, მაგრამ მას არა სძინავს მთელს დამეს, „ძილი სადღაც გაურბის“, როგორც ამბობს მთარგმნელი. ის ჭფიქრობს ნახულზედ და გაგონილზედ, რადგან ძლიერ ცნობის მოყვარე ბავშვია, ყველაფრის ცოდნა უნდა, ყველაფრის გაგება უნდა. ამ დროს ადაპარაკდებიან ყველა საგნები, რაც ოთახში მოიპოვება! სკამები, მაგიდა, შკაფი, გასადები, დუმელი და სხვა და სხვა. ესენი უამბობენ ერთმანეთს თავისს თავ-გადასავალს, თავისს წარმოშობის ისტორიას, უხსნიან ერთმანეთს მათს დანიშნულებას და მნიშვნელობას ადამიანისათვის ამ წიგნის ერთად-ერთი მიზანია,—გაცნობს ბავშვს მის გარშემო არსებული საგნები, ე. ი. მისცეს მას ცოდნა; რამდენად აღწევს ამ მიზანს, ამას ქვევით დავინახავთ.

თვით მოთხრობის სიუჟეტი, ჩემის აზრით, არ არის ბუნებრივი, იგი ნაძალადევია: პატარა ბავშვმა მთელი დამე გაათენა უძილოთ, ის საცოდავათ ფორთხავს, თავის ლოგინზედ შეოთავს, მთელი დამე არა სძინავს და რისთვის, რათა? მხოლოდ იმისათვის, რომ გაიგოს—რისგან კეთდება სკამი, შკაფი, საწოლი და სხვა, ავტორი ამბობს, რომ ეს ბავშვი ძლიერ ცნობის მოყვარე იყო და ის გაიტაცეს ფიქრებმა ნახულზედ და გაგონილზედაო. მე კი მგონია, რომ ის იმ დროს ავად უნდა ყოფილიყოს... რადაც არა ჩვეულებრივი და ბავშვის ბუნებისათვის შეუფერებელი ცნობის მოყვარეობაა! სულ სხვა იქნებოდა, რომ ეს მოთხრობა ზღაპრად იყოს დაწერილი, ან სიზმრად. მაშინ ბავშვის ფანტაზიას უფრო ფართო გზა ექმნებოდა. ახლა კი იგი არც ზღაპარია, არც სინამდვილე, არც სიზმარი და არც სიცხადე—ყველაფერი ერთმანეთში არის არეული. ნაძალადეობა და არა ბუნებრივობა არის უმთავრესი მიზეზი იმისი, რომ მოთხრობა ნაკლებად არის საინტერესო, ავტორს დაუსახავს მიზნად, რომ გააცნოს ბავშვებს ესა თუ ის საგნები და ამისათვის **გაუკეთებია** მოთხრობა.

ახლა გადავიდეთ იმაზედ, თუ როგორ აღწევს ავტორი მის მიერ დასახულს მიზანს. რა დარჩება პატარა მკითხველს თავში იმ შრომის შემდეგ, რომელიც დასჭირდება წიგნის წაკითხვისათვის? მხოლოდ ის, რაც თითქმის ყველა ბავშვმა უამისოდაც იცის (მით უმეტეს იმან, რომელიც ეკვე წიგნსა კითხუ-

ლობს), რომ სკამი, მაგიდა, შკაფი ხისაგან კეთდება, საწოლი რკინისაგან (თუმცა ხის საწოლებიც არის) და სხ. შეიძლება არ იცოდეს—რისგან კეთდება შუშა, შუალერი. რაც შეეხება იმას, თუ როგორ კეთდება ეს საგნები, ამაზედ მოთხრობა ძლიერ ბუნდოვანს წარმოდგენას აძლევს მკითხველს. ამ გვარ ბუნდოვანს ცოდნას ჩემის აზრით არ ცოდნა სჯობია. ამ გვარი ცოდნა აჩლუნგებს შისს გონებას, უკარგავს ბავშვს ხალისს ცოდნას შეძენისას.

მოვიუკასოთ მაგალითი. ოიხის ტასტი უამბობს ალთაფას, თუ როგორ გააკეთა ის შეჯურჯლემ: „ჩვენ გავჩნდით ჯურჯლის ქარხანაში, უბრალო უშნო გუნდებათ ვეუარეთ შეჯურჯლის გვერდზედ, უცებ მტაცა მეჯურჯლემ ხელი, დამათხლიშა ძრგვალ-მბრუნავ მაგიდაზედ, გამოჰკრა ცალ-ფეხ მაგიდას ფეხი, ჩამჯდა მაგრა ხელი და ჰერი!., დვიწეე ციბრუტივით ტრიალი... ვგრძნობ, რომ შუაგული როგორღაც მიდრმავდება... ცოტა ხანს შემდეგ შეჯურჯლემ გვერდზედ გადამდგა. აკუდ-დავხედე ჩემს თავს,—ის ადარ ვიუავ, უბრალო გუნდათ რომ ვეგდე: ოსტატმა დაშაზ თიხის ტასტათ გადაშაქცია. შევხედე: ოსტატმა ისევ დაატრიალა ცალფეხი (თუ ცალფეხა?) მაგიდა, სტაცა ხელი მეორე გუნდას, გაადინა თხლაშანი მაგიდაზედ და დაუწეო კეთება რაღაცას“. ამ მეორე გუნდისა თურმე ალთაფა გაკეთდა. აქედან ბავშვი მხოლოდ იმას გაიგებს, რომ რაღაც ცალფეხა მაგიდა ტრიალებს და მეჯურჯლე ზედ დაათხლეშავს ხოლმე გუნდას, და იმას კი თუ რა შუაშია იქ ცალფეხა მაგიდა და მისი ტრიალი, ან როგორ აძლევს მეჯურჯლე უბრალო გუნდას ამა თუ იმ ფორმას, ამაზედ მას არავითარი წარმოდგენა არ დარჩება. ფითქმის ასეთივეა სხვა დანარჩენი საგნების ნაამბობიც. მაშასადამე მოთხრობა ვერ აღწევს მიზანს: ის თითქოს აძლევს რაღაც ცოდნას, მაგრამ ეს ცოდნა ბუნდოვანია.

ამ რიგად ჩემთვის რომ ეკითხა ვისმე ამ მოთხრობის შესახებ, მე არ ვურჩევდი მის გადათარგმნას, ვინაიდგან ამაზედ ბევრად უკეთესი მოთხრობები მოიპოვება რუსულს ენაზედ, თვითონ ავენარიუსს აქვს ამაზედ უკეთესი მოთხრობები. შეიძლება ჩემი შეხედულება უკიდურესად ჩასთვალონ, მით უმეტეს, რომ ეს მოთხრობა მოწონებულია და ბრემეიითაც კი არის დაჯილდოვებული ფრებელის საზოგადოების მიერ. მაგრამ სამაგიეროდ ჩემს შეხედულებაში მარტოდ არ მე ვარ. მოსკოვის საუკეთესო მოდვაწეთა და პედაგოგთა წრემ გამოსცა კატალოგი საბავშვო წიგნებისა: „რა უნდა იკითხონ ბავშვებმა!“ და ამ წრემ დაიწუნა „რას გვიამბობს ოთახი“

რაც შეეხება თარგმანს, ჩემის აზრით, სუსტობს, უმთავრესი ნაკლი თარგმანისა ის არის, რომ, ის არ არის ცოცხალის, მხატვრულის ენით დაწერილი, რაშიაც ძლიერ ჩამორჩება ორიგინალს. ზოგიერთი ადგილები სწორეთ არ არის ნათარგმნი. თარგმანში სწერია: „ამ ნახულისა და გაგონილის ფიქრმა აზრი—სრულიად დაუბნია და გარკვევით ვერაფერი წარმოუდგენია“ გვ. 6 ორიგინალში კი ასე სწერია: „**и накопилось у него теперь въ головѣ всякой всячины столько, что мѣста уже нѣтъ, вонъ випираетъ, спать не даетъ**“. აქ სრულიად ის არ არის ნათქვამი, რომ ბავშვს აზრი დაებნა და გარკვევით ვერაფერი წარმოუდგენია, პირიქით, მას უველაფერი ძალიან კარგად აქვს წარმოდგენილი და ბევრი რამ იცის. ამ გვარი ადგილები სხვაც ბევრი მოიპოვება. სკამების დაწნული გულების გაკეთება მთარგმნელს რაღაც მიზეზით გამოუტოვებია. ამნაირი ცხოველად დასურათებული ადგილი: „**Чистенькіе, гладенькіе; ножка въ ножку, спинка въ спинку, хваты, что солдаты.**“ მთარგმნელს

ასე აქვს ნათარგმნი: „რა კოხტა და ლამაზები ვიუავით! გეგონებოდათ ასე დაბადებულანო“. გვ. 11.

სიტყვა „руда“ ნათარგმნია—როგორც „ლითონი“, უნდა იყოს-კი მადანი ანუ მადნეული. „გრაფინის“ ანუ გრაფინის ნაამბობი ძლიერ სუსტად და ბუნდოვანად არის გადმოთარგმნილი. არ ვიცი საიდგან აუღია ავტორს სიტყვა „ნაცარ-წმენდილი“. ამ სიტყვის შემადგენელი ნაწილებია „ნაცარი“ და „წმინდა“ ანუ „წმინდი“, უნდა იყოს: „ნაცარ-წმინდი“ ანუ „ნაცარ-ტუტა“. „Продушили“ მთარგმნელს უთარგმნია „გაგვბანეს“. ერთს ადგილას ორგინალში სწერია: Какъ бы не такъ! Хлористою водою, сударь мой. Пахнетъ они, правда, вовсе не духами, расчихаешься, раскашляешься; зато очиститъ, убѣлитъ какъ снѣгъ. ეს ადგილი ასეა ნათარგმნი: ოდეკოლონი რა არის?! ქლორის წყალში გაგვატარეს, გაგვწმინდეს, გაგვსუფთაკეს, თუმცა ამ წყალს საქები სული არ უდის, მაგრამ უველაფერს უცბად სწმენდს, ათეორებს! ამ შედარებიდგან მკითხველი ადვილად დაინახავს, რომ მთარგმნელს ნაკლებად მიუქცევია უურადღება მოთხრობის მხატვრულის ენისთვის და სახუმარო კილოსთვის. ამ გარემოებით მოთხრობა ბევრს ჰკარგავს.

ზოგიერთი ადგილები ძლიერ უხერხულად არის ნათარგმნი. მე 31-ე გვერდზედ სწერია: „გამდელმა უცებ გადმოჰხედა ვანოს და **გაკვირვებითა** ჰკითხა“. იქვე, ცოტა ქვემოდ ასეა: „ვანომ უცბად გადაჰხედა გამდელს **გაკვირვებით** და შეეკითხა“. ორივე „გაკვირვება“ აქ უადგილოა და ორიგინალში არც არის ეს სიტყვა.

ან კიდევ ეს: „**ღმერთმა** ეროსტი მისცა (იადონს) და გაჰკვივის, სანამ **ხრინწი** არ გაუჩნდება“... როგორ მოგწონთ იადონის ეროსტი და ხრინწი?!..

დასასრულ ორიოდე სიტყვა: ამ შენიშვნით მე ის კი არ მინდა ვსთქვა, რომ მთარგნელმა დიდი ცოდვა ჩაიდინა, რომ ეს თხზულება გადმოსთარგმნა. პირიქით, ძლიერ სამაგალითო იქნებოდა, რაც უცხო ენებზედ წიგნებია დაწერილი, ეველა გვქონდეს გადმოთარგმნილი, ეს ჩვენ არაფერს გვაზარალებდა, მაგრამ, რადგან ჩვენი სამაგალითო ლიტერატურა ძლიერ დარიბია **კარგი** წიგნებით, ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ სწორედ ასეთი წიგნები შევმატოთ მას და ამაზედ დავხარჯოთ ჩვენი შრომა და ენერგია. გარდა ამისა მეტი ეურადღება უნდა მიექცეს თარგმანს, მეტის დაკვირვებით და უკეთესის ენით უნდა ითარგმნებოდეს.

განი.

ცხოვრებიდან და მეცნიერებიდან

ელექტრონობა დაბადებაში (ბიბლიაში).

ფრანგულ ეურნალ L'électricien-ის სექტემბრის ნომერში საეურადღებო ცნობებია დასტამბული ამ საგნის შესახებ. მოგვეკვს აქვე უფრო საინტერესო ადგილები.

ეოველს ეჯვს გარეშეა, რომ ძველმა ებრაელებმა იცოდნენ შეხის ამცდენი. ლითონის ჯოხები, დასობილი ტაძრის სახურავზე, შეერთებული იყო ჯაჭვებით, ის ჯაჭვები თავდებოდა სპილენძის ბოძების თავზე, რომელიც იდგა ტაძრის შესავალთან: (1 წ. მეფეთა თავ. 7, სტ. 17, 2 წიგნ ნეშთა თავ. 3 სტ. 17). წყლის აუზის საშუალებით, ლი-

თონის ჯოხები ლითონითვე შეერთებული მიწამდის უწვდებოდა. ამ მოწყობილობაში ადვილად გაარჩევდით მეხის ამცდენის უსაჯროესს ნაწილებს, რადგანაც მეხის ამცდენი დღესაც ასე კეთდება. ტაძრის შენობა სჩანს ხელოვნურად იყო დაცული ატმოსფერის ათეთქებისაგან.

მეორე წიგნში ნეთა თავი 3 დაწერილია შემდეგი: „ხოლო წარავლინა სოლომონ ხირამ მეფისა ქიმართ თურისა... და უქმნა წინაშე ტაძრისა ორნი სტჯტნი წყართა ოცდა ათ ხუთმეტი სიმაღლედ, და თავნი მათნი ხუთი წყართა; და უქმნა ჯაჭნი დაბირსა, და დახსნა თავთა ზედა სტჯტთასა. და დაადგინა სტჯტნი წინაშე პირსა ტაძრისასა, ერთი მარჯუჯნით და მეორე მარცხენით“. ბიბლიაში ამას გარდა დაწვრილებით არის აღწერილი წულის აუზი, რომელიც შეერთებული იყო მიწასთან, ის იყო ჩამოსხმული აუზი, მრგვალი, რომელსაც 10 წყართა სიგანე ჰქონდა; ასეთი დიდი ზომისა იმიტომ აკეთებდნენ, რომ უეჭველია აუზს სხვა დანიშნულებაც ჰქონდა (განბანვა, შელამაზება).

სხვა გვარ ჩვენებას ვპოულობთ მოსეს მეოთხე წიგნის 21 თავში სტ. 4—9, სადაც სათქვაშია: „და იტრნეს ორით მთით გზით ზღვით კერძო ერუთრად და გარე შევლეს ქვეყანა ედომისა (აღგილი, სადაც ჯექა ქუხილი ბევრია) და მოუვლინა უფალმან ერსა მას გუსლნი მო სჩრელნი, და უკბენდეს ერსა მას, და მოისრა ერი მრავალი ძეთა ისრაელისთა. და ქმნა მოსე გუსლი რუალისაჲ, და აღმართა იგი სასწაულსა ზედა“. ამის შემდეგ არავინ მომკვდარა, რადგანაც ცეცხლის გველი (ელვა) შთანთქა გველმა რვალისამ.

დიდი ხნით დარწმუნებული ვიყავიო, ამბობს ამ შენიშვნის ავტორი, რომ ძველ ებრაულებს ზოგიერთი ცნობები ელექტრონის შესახებ უკვე ჰქონდათ, ჩემი აზრი ამ საკნის შესახებ უფრო დამტკიცდა, მას შემდეგ, როცა პროფესორმა რტემიუკმა გამოაქვეყნა თავისი ელექტრონის ბადე, ლითონისაგან მოქსოვილი, როცა ის ამ ბადეს გადაიცვამდა სრულიად უვნებელი ხდებოდა ელექტრონის უძლიერეს ნაპერწკალთაგან. როცა ამ ბადის აწერილობა წავიკითხე, მაშინვე გაოცებულმა დავრჩი მისი მსგავსებით მდვდელ-მთავრების სამოსელთან, როგორც აწერილია დაბადებაში. ამ სამოსელს უეჭველია მეხის ამცდენის დანიშნულებაც უნდა ჰქონდა.

ადთქმის კიდობანს ზევიდან ჰქონდა განცალკევებული მინის სახურავი,*) შიგნით დგარეთ ორი ლითონის მოჯედილობა: როცა ამას დაუკვირდები, დაინახავ, რომ საქმე გაქვს დიდს ლეიდენის ბანკასთან, ის იყო გატენილი ატმოსფერის ელექტრონით ლითონის ჯოხიდან, რომელიც ტაძრის სახურავზე იყო დასობილი; ვინც კი მიეკარებოდა ადთქმის კიდობნის ლითონებს, ათეთქებისაგან ცოცხალი არ დარჩებოდა, მხოლოდ მდვდელ-მთავრებს შეეძლოთ მისულიყვნენ უვნებლად ადთქმის კიდობანთან.

მოსეს მეორე წიგნში თავ. 25 სტ. 10—11 ვკითხულობ: „და ჰქმენ კიდობანი წამებისა ძელთაგან ულპოლბელთა, ორ წყართა კერძო სიგრძე მისი, და წყართა კერძო სიგანე მისი და წყართა კერძო სიმაღლე მისი და მოსთხზნა იგი ოქროთა წმიდითა, შინაგან და გარე მოლესო ოქროთა, და აქმნე მას კიდე თხზულად ოქროსა, და გარემო უქმნე მას ოთხნი გრაკლნი ოქროსანი, და გარდააცვნე იგი ოთხსავე კიდეთა მისთა. ორნი იგი გრაკლნი ერთ კერძო და ორნი იგი მეორესა მას კიდესა“.

ოცდა მერვე თავში მოსეს მეორე წიგნში აღწერილია სამდვდელ-მთავრო სამოსელი. სამოსელი წარმოადგენდა შუხის ასაცდენ

*) სიტყვა მინაჲ დაბადებაში მხოლოდ ერთ ალაგს არის ნახსენები (წიგნი იობისა თავი 37 გვ. 17). შეიძლება ავტორის აზრი სწორი იყოს, მაგრამ ზოგიერთი ადგილები ბიბლიიდან მთლად ვერ ამტკიცებს ავტორის აზრს. რედ.

დეს აფეთქების დროს ლეიდენის ბანკიდან, რასაც წარმოადგენდა ადთქმის კიდობანი, რადგანაც სხვა ქსოვილებთან ერთად ამ სამოსელში ოქროს ქსოვილიც ერია. იმავე თავში არის ნათქვამი, რომ სარტყელმა სრულად უნდა შეჭკრას სამოსლის ზემო და ქვემო ნაწილები, ე. ი. გაჩინოს კარგი კონდაკტი. რამდენჯერმე არის ნათქვამი, რომ სამოსლის ორივე ნაწილი შეერთებული უნდა იქმნას ცალკე შესაკრავი დილით და ლითონის ძეწკვით. სამოსლის დანიშნულების შესახებ ნათქვამია, რომ „არონიც და იმისი შვილებიც ისე ჩაიცმენ. „და შემოსე იგი აარონს ძმასა შენსა, და ძეთა მისთა მისთანა, და სცხო მათ, და აღავსნე ხელნი მათნი და განსწმინდე იგინი; რათა მღვდელობდენ ჩემ წინაშე—35 მუხლში სწერია: „და იგი სახენი მროწეულაკინა ოქროსანი: და ეჟვანი შორის მათსა, გარემოს მროწლად ეჟვანი და ყუავილი ნივთსა მას შესასხმელთასა გარემოს. და იყოს აარონის მსახურებასა მის სასმენელ ჴმაჲ მისი შესულასა მას მისსა სიწმიდესა მას წინაშე უფლისა; და გამოსვლასა მისსა, რათა არა მოკუდეს“. ეს მუხლი ეთანხმება დიბადების სხვა ადგილებს, სადაც ნათქვამია ვინც არ ადგევდა ადკრძალვას და შედიოდა წმიდათა წმიდაში, უცებ კვდებოდა: ლეიდენის ბანკიდან აფეთქება ხოცავდა მათ. ნადაბი და აბიუდი ძენი აარონისა შევიდნენ ერთხელ სელის სამოსლით წმიდათა წმიდათაში „და გამოჰხდა ცეცხლი უფლისა მიერ და შეწუნა იგინი, და მოსწყდეს წინაშე უფლისა“. (მეს.-მე წიგნი მოსესი თავ. 10. მუხ. 2). მოსეს მეოთხე წიგნის მეოთხე თავში (მუხ. 19—20) ვკითხულობთ: „ესე იყავით მათდა მიმართ, და ცხოვნდენ, და არა მოსწყდენ, მორავიდოდიან იგინი წმიდასა მას წმიდათასა, აჰრონ და ძენი მისნი, შევიდენ და დაადგინონ კაცად კაცადი მათი მსგავსად აღსაღებელისა მათისა, არა შევიდენ იგინი ხილვად მეყსეულად წმიდასა მას წმიდათასა, და არა მოსწყდენ.

პირველ წიგნში ნეშტთა (თავ. 13, მუხ. 9—10) არის ნაამბობი ვინმე ოზანის სიკვდილის შესახებ, რომელიც შეეხო ადთქმის კიდობანს, როცა ის გადაჭონდათ. „და მოვიდეს კალოსა ქიდონისასა და განმარტა ოზან კელი თვისი რათა იპყროს კიდობანი, რამეთუ დეკეული მიდრკა მისგან და განრისხნა უფალი რისხჳთა ოზას ზედა, და დასცა იგი მუნ, ამისთჳს, რამეთუ განმარტა ხელი თჳსი, დი შეახო კიდობანსა, და მოკუდა მუნ წინაშე ღუთისა“.

ნამდვილი ცნობები სამსხვერპლოს დანიშნულების შესახებ არა გვაქვს; მაგრამ ზოგიერთი ჩვენება მოსეს დარიგებიდან (მეორე წ. 28 თავი მუხლი 43), რომ საკურთხეველში შესვლა აკრძალული იყო, რადგანაც სიკვდილი მოელოდათ, გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ მასაც ლეიდენის ბანკის თვისება ჰქონდა; უეჭველია მსხვერპლს, რომელსაც ხეთს გადასხამდნენ, ალი მოედებოდა ამ კონდენსატორის მიერ ხელოვნურად მოწყობილი აფეთქებით. საკურთხეველიც რომელსაც ოქროთი მოჭედილი ულპობელ-ხისას აკეთებდნენ, ისეთი საშიში იყო, როგორც ადთქმის კიდობანი. ნელსაცხებელთა შორის, რასაც ხმარობდენ დვთის მსახურების შესრულების დროს, ბევრს შემოხვევაში მოხსენებულია ბელეკონი (სკიპიდარი). ეს ნივთიერება ჭაერგვარად ორთქლდება, რომელიც კონდენსატორის დაცლის დროს ელექტრონის ნაპერწკლებისაგან აენთება. ამაში გვარწმუნებს მოსეს მესამე წიგნის მე-9 თავი 24 მუხლი: „და გამოჰკდა ცეცხლი უფლისა მიერ, და შეჭამა ყოველივე რაჲცა იყო საკურთხეველსა მას ზედა, ყოვლად დასაწველი იგი“. ხეშტთა პირველ წიგნში (თავი 21, მუხ. 26) „და აღუშენა მუნ დავით საკურთხეველი უფალსა და

აღამაღლა ყოვლად დასაწუსლი და ცხოვრებისა, და ხადოდა უფლისა მიმართ, და ისმინა მისი ცეცხლითა ზეცით გარდამო საკურთხეველსა ზედა ყოვლად დასაწუსლსა, და აღწბა ყოვლად დასაწუსლი".

ვინც მხოლოდ ევროპის ჰავის პირობები იცის, საეჭვოთ მიიღებს, რომ შეიძლება ისეთი ეფექტების მიღება, რაც ზემოთ ნაჩვენებია მაღლობზე დასმული ლითონის ჯოხით. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში პალესტინაში ჰავის მდგომარეობას, მსგავსი მოგზაურობა ადვილი ასახსნელია. ევროპაში მოსალინეს ცდა იმ მიზნით, რომ მოეგროვებინა ელექტრონული ძალა, როცა ჭექა ქუხილიც არ იყო, და მიიღეს სამი მეტრის სიგრძის ნაპერწკალი; ასე რომ ძველი ებრაელების შღვლები რომ სარგებლობდენ ატმოსფერის ელექტრონის ძალით რელიგიოზურ ცერემონიებში სრული სიმართლეა.

უეჭველია, მოსემ ცნობები ელექტრონის შესახებ ეგვიპტეში შეჰკრიბა.

როდესაც ვიფრენთ

(ნემეცურიდგან).

წერილი ბერლინის ერთ ფარჩეულობის მაღაზიის მოგზაურ-აგენტისა თავის ბერლინელ ბიუროში.

მილანი, სამხრეთ იტალია,
1 აგვისტო 2000 წ.

ბ-ნთ ვოლფმილხს, ბუტტერბრეტტს და ამხ. ბერლინში.

თქვენი ორდერის თანახმად დღეს დილით უნდა მოვსულიყავი მილანში, მაგრამ ცოტა დავიგვიანე.

ბერლინიდგან გამოვედი დილის 10 ს. 15 წ. პირველ ჩქარ ჰაერის ხომალდს ვეღარ მივუსწარი, რადგან ჰაეროომობილს, რომლითაც ჩემი სახლიდგან ცენტრალურ ჰაეროვანთ სადგურზედ მივფრინავდი, გზაში მოტორი გაუფუჭდა და ცოტა შეიგვიანა. ავიღე პლაცკარტი და ცოტა ხნის შემდეგ მეორე (8 ს. და 15 წ. მომფრინავ) ჰაეროგემში ჩავჯექი.

გზიდგან უმართულო დეპეშა მივეცი ბ. ბლაუკოფვის და ამხ. რწმუნებულს, რომ იგი დამხვედროდა ერთ-ერთ მოზრდილ ჰაეროსადგურზედ, მინდოდა იმისთვის მეჩვენებინა ნიმუშები ჩვენი ახლად გამოგონილ ჰაერით მრეცხავ მანქანებისა.

დიდხანს გაჩერება რომ არ დამჭირებოდა, ჩემი ჰაეროგემი დავტოვე და გადავჯექ ჰაერონავში (ალპების ჰაერონავთ ამხანაგობის), რომელიც ჩქარა გაუდგა გზას. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ჰაერონავი ისეა ხოლმე თითქმის ყოველთვის გატენილი ტურისტებით (მომეტებულ ამერიკელებით), რომ კაცი მასში ვერავითარ სიამოვნებას ვერ იგრძნობს.

გარდიის ტბასთან ცოტა შევიგვიანეთ.

კინალამ უბედურება გვეწვია. ჰაეროსემაფორი *) უჩვენებდა, რომ გზა თავისუფალი იყო ჩვენი ნავისთვის ჰაერონავთსადგურში. როგორც თქვენ უფრო კარგად მოგეხსენებათ, ჰაეროსემაფორი უჩვენებს ნიშანს სალოს რეფლექტორით, რომელიც მზის ზედა პირს ღებავს ლურჯ ან მწვანე ფრად. სწორედ ჩვენი მოსვლისას წვიმა დაიწყო. ამ წვიმის ბრალი იყო, რომ ჩვენმა ცისკაპიტანმა ლურჯი მწვანედ მიიღო და ჩვენი ჰაერონავით ერთ, მთელი თავის სისწრაფით მიმფრინავ ორიენტალ-ექსპრესს-ჰაეროგემში შიგ შეგვაფრინა. ჩვენს ჰაერონავს, როგორც მოსალოდნელი იყო, არაფერი გაჰფუჭებია რა, რადგან იგი საიმედო კონსტრუქციისაა. მხოლოდ დაჯახების დროს ერთი ჩვენი თანამგზავრი—ატტაშე იტალიის საელჩოსი, რომელიც ბერლინიდგან რომში მიდიოდა მინისტრთან რაღაც მოხსენებით და საღამოზედ ისევ ბერლინში უნდა დაბრუნებულიყო, ჰაერონავიდგან ძირს გადმოვარდა. მაგრამ მშვიდელი ავტომატი, რომელიც ყველა მგზავრს ზედ უკეთია, კარგი გამოდგა და ატტაშე სრულიად უვნებლად გადარჩა. ჩვენ მშვენივრად ვხედავდით ჩვენი ნავის კუპეების ფანჯრებიდგან, როგორ ნელ-ნელა ეშვებოდა ჩვენი ყოფილი თანამგზავრი ძირს დედამიწაზედ და ბოლოს როგორ ერთს, გზაში მიმავალ ავსტრიის დამოკენის მოხელეს, ზედ ზურგზედ დაეცა.

*) სემაფორი—რკინის გზებზედ მაჩვენებელია, თუ ლიანდაგი ცარიელია, და მატარებელს თავისუფლად შეუძლიან შესვლა სადგურში.

დღეს ნაშუადღევის 2 საათზედ მოვედი მილანში და მაშინვე გავეშურე ყველა ჩვენ მუშტრებთან. ზოგი სახლში არ დამიხვდა. ვისაც კი სახლში მოვასწარი, უნდოდა თუ არ უნდოდა, ძალად ვაჩეჩებდი ჩვენი საქონლის ნიმუშებს და ყველას სათითაოდ ვაწონებდი.

ჯერედ ამაზედ გავჩერდები.

გთხოვთ საჩქაროდ გამომიგზავნოთ უმართულო პერევოდით 400 ლირა, გზაზედ ცოტა შემოვიხარჯე.

ბატიუისტემით კლაზერშტაინი.

ივ. ყიფშიძე.

განცხადებანი

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

სახალხო გაზეთი

გაზეთს ექნება: **სურათებიანი დამატება.**

წლიურად გაზეთი ღირს 8 მან 50 კ. ნახევარი წლით 4 მან. 80 კაპ. ერთი თვით 80 კაპ. 1910 წელს წლიურ ხელის მომწერლებს დაურიგდებათ **კედლის კალენდარი**

ადრესი: **Тифлисъ, Большая Ванская ул. № 12, Семену Пашалишвили**

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

ჩვენი გაზეთი

გაზეთი წლიურად ღირს 7 მანეთი, ნახევარი წლით 4 მან. ერთი თვით ტფილისში 80 კაპ. ტფილისს გარეშე 90 კაპ. რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა, № 3, ზემო სართული.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: **Тифлисъ, тип. „Шрома" Калистрату Конст. Цуладзе.**

შემდეგი ნომერი განათლებისა გამოვა 1 ენკენისთვეს

რედაქცია სთხოვს ხელის მომწერთ და აგენტებს, ვისაც ჟურნალის ფული მთლად გადახდილი არ აქვთ, დაუჩქარონ გამოგზავნას, რომ პირველ ენკენისთვიდან არ მოესპოთ ჟურნალის მიღება. ჟურნალის გაგზავნა პირველ ენკენისთვიდან მოესპობათ აგრეთვე იმ ძველ ხელის მომწერლებს, ვისაც დღემდის ეგზავნებოდათ ჟურნალი, თუ ხელახლად არ განაცხადებენ სურვილს ჟურნალის მიღებისას და არ გამოგზავნიან ერთ მანეთს დანარჩენ ნომრებისათვის.

რედაქცია სთხოვს თანამშრომლებს და სოფლის მასწავლებლებს მოაწოდონ შესაფერისი მასალა ჟურნალში დასასტამბავად.

შინაარსი: 1. მზიანი სკოლა (ს. დაუგე) **ლ. ბოცვაძისა.** 2. სახალხო განათლების საქმე საქართველოში—**კახაბერისა.** 3. საუნჯე (ლექსი) **აკაკისა.** 4. სიმართლისკენ (სპარსული ზღაპარი ევგენიევისა) **განწირულისა.** 5. მეგრული ნანა (ლექსი) **მელიტონ გობეჩიასი.** 6 კამოუთქმელი სიჩუმე **ცქვიტისა.** 7. აკაკის („გადარჯულებულის" გამო) **ლადო გეგეჭკორისა.** 8. გეოგრაფიის და ისტორიის პროგრამები საქართველოს საგალხო სკოლებისათვის. 9. პედაგოგიის ისტორია დ—რ **ვაიმერისა.** 10. პროცესი გერმანულ პედაგოგის შარრელმანისა. Ratti-სა. 11. შინაური მიმოხილვა—რა უნდა აკეთონ ზაფხულობით მასწავლებლებმა. **ლას-ბანისა.** 12. მოწერილი ამბები—ხონიდან—**აქილლესისა.** პეტერბურგიდან—**ლადო გეგეჭკორისა.** 13. ბიბლიოგრაფია—„რას გვიამბობს ოთახი"—**განისა.** 14. ცხოვრებიდან და მეცნიერებიდან—ელექტრონობა ბიბლიაში. 15. როდესაც ვიფრენთ (გერმანულიდან) **ივ. ყიფშიძისა.** და 16 განცხადებანი.

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა. სპირიდონ მ. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა საკუთ. სახლი № 5.

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი

განათლება

(წელიწადი მეცამეტე)

VII ენკენისთვე 1910 წ.

ჟურნალი წლიურად ღირს 3 მან.
ნახევარი წლით . . 2 მან.
სახალხო სკოლების მასწავლებლებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად **ოჩრ მანეთად.**

ცალკე ნომრის ფასი **30** კაპ.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“ და „ნაკადულის“ რედაქციაში. წერილები და ჟურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: **Тифлисъ. Дворянская Грузинская Гимназія Л. Г. Боцвадзе.**

საუბარი სახალხო სკოლაზე

(წერილი პირველი)

სახალხო სკოლა დასაწყისი სახალხო სასწავლებელია. სასწავლებლები საზოგადოთ სხვა და სხვა ტიპისანი არიან, არიან უმაღლესი, საშუალო და პირველ დაწყებითი სასწავლებლები. სახალხო სკოლა-განათლების მიხედვით, პირველ-დაწყებით სასწავლებელს ეკუთვნის. როგორც პირველ-დაწყებითი სასწავლებელი იგი წარმოადგენს საფუძველს საზოგადო განათლებისას. არიან სკოლები—სახელოსნო, სამეურნეო, სამხატვრო. ამათი დანიშნულებაა მოამზადოს სპეციალისტები რომელიმე დარგში. სახალხო სკოლას კი ამ გვარი მიზნის დასახვა არ შეუძლია, იგი თავდაპირველად უნდა ემსახურებოდეს დამოუკიდებლად პიროვნების განათლებას, რომლისგანაც ხალხი შესდგება. ამის მიხედვით სახალხო სკოლამ უნდა აღზარდოს კარგი ადამიანები, რომელნიც გონებითა და ზნეობით მაღლა უნდა იდგნენ. ყველა არ შეიძლება იყვეს მხატვარი, მეცნიერი, ხელოსანი და არც უნდა იყვეს, მაგრამ კარგი ადამიანი, ზნეობრივად და გონებრივად განვითარებული ყველანი უნდა იყვნენ და ვალდებულნიც არიან ასეთები გახდნენ. ჯერ უნდა ვეცადნეთ კარგი ადამიანის აღზრდას და შემდეგ ამ საფუძველზე აღმოცენდებიან სპეციალისტები. აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ სახალხო სკოლა სავალდებულოა განურჩევლად ყველასათვის, რადგანაც ყველა ვალდებულია გახდეს განვითარებულ მოქალაქედ.

დიდებული პედაგოგები კომენსკი, პეს-

ტალოცცი, ფრებელი, რუსსო, სპენსერი, პოროგოვი, უშინსკი და ბევრი სხვებიც პედაგოგიას და სახალხო სკოლას უყურებენ, როგორც საშუალებას, მიმართულს ბავშვის სულიერი და ხორციელი ძალების აღსაზრდელად და ჰარმონიულად გასავითარებლად. ბავშვი სკოლაში იგივეა, რაც ბაღში მცენარე. სახალხო სკოლა— ეს საძირკველია, რაზედაც უნდა აშენდეს მკვიდრი შენობა ადამიანის პიროვნებისა, თვით შეგნებისა, მისი ზნეობრივი, გონებრივი და ფიზიკური სიკეთისა. სახალხო სკოლა ისეთივე ტაძარია მეცნიერებისა, როგორც სხვა სასწავლებელი, რომელიც ზრდის მოწაფეს და აძლევს ცოდნას. კარგად მოწყობილი და დაყენებული სახალხო სასწავლებელი ხალხის ბედნიერების საფუძველს შეადგენს.

მაგრამ რას ვხედავთ ამ მხრით ჩვენში და საზოგადოთ დღევანდელს რუსეთში? ჩვენში სახალხო სკოლა წარმოადგენს ისეთს იარაღს, რომელიც გვიქადის გაჩანაგებას, გონებრივ და ზნეობრივ სიღატაკეს და არა იმას, რაც სკოლის პირდაპირს და წმინდა დანიშნულებას შეადგენს. სამწუხაროდ ჩვენში და რუსეთშიაც პედაგოგიას, პედოლოგიას — ადამიანის აღზრდის და განათლების მეცნიერებას ალმაცერად უყურებენ, ან სრულიად ცრუ შეხედულება აქვთ ამ საგნის შესახებ. დღევანდელი სწავლა-აღზრდის წესი თუ რაიმე საზრდოს აწვდის მოწაფეს— ეს მხოლოდ გონების მხრით, გული და ნება უყურადღებოთ რჩებიან. ბევრი ამ ცალმხრივ მოსაზრებას იმით ამართლებს, რომ სადაც თავია, იქ გულიც არისო, მაგრამ ასეთი შეხედულობა ფრიად შემცდარია და არა პედაგოგიური. ჩვენში კი სახალხო სკოლა, სამწუხაროდ ვერც თავს აკმაყოფილებს და ვერც გულს.

როგორც სხვა სასწავლებლებში სახალხო სკოლაშიაც მოწაფე იღებს ცოდნის ნაწყვეტს და თუ ეს მცირე ცოდნაც შეუმუშავებელ ნიადაგზე მოჰყვა, მისგან ძლიერ მცირე სარგებლობას გამოიტანს ადამიანი ცხოვრებაში. მაგრამ ამ სიდუხჭირეში ბრალი მარტო პედაგოგებს არ მიუძღვით: ბევრში დამნაშავენი არიან მშობლებიც, მთელი საზოგადოება და სახელმწიფო, რადგანაც სწავლა აღზრდის საქმე ყოველთვის საზოგადო პირობებზეა დამყარებული. ამასთან ახალთაობის სწავლა აღზრდის საქმეში ყველას თავისი საკუთარი შეხედულობა აქვს, რომელიც ხშირად მოკლებულია **მეცნიერულს საფუძველს.**

ამიტომ ჩვენ გვგონია ბავშვის აღზრდის საქმეც მკვიდრს მეცნიერულს ნიადაგზე უნდა იქმნეს დამყარებული და ეს უბრალო პედაგოგიური ჭეშმარიტებანი შეთვისებული უნდა ჰქონდეს ყველას, ვისაც საქმე აქვს ბავშვებთან, როგორც მშობლებს, ისე მასწავლებლებსაც. რომ გამოგვეძებნა აღზრდის ისეთი საზოგადო ზომები, რომელსაც ყველა მოაზრე ადამიანი მოიწონებდა და ცდის საშუალებითაც შემოწმებული იქნებოდა, რომ უეჭველად გვცოდნოდა რა არის საჭირო კარგი ადამიანის აღსაზრდელად, ეს აღზრდის საიდუმლოება რომ ჩვენს ხელთ ყოფილიყო, მაშინ, რასაკვირველია, არც პედაგოგიის მეცნიერება იქნებოდა საჭირო. მაგრამ ბავშვის სული, როგორც მოზრდილი ადამიანისა, საიდუმლოებით არის მოცული, ამიტომ ასე ადვილად ვერ შეეხებით მას —ეს სული სიყვარულით უნდა შეისწავლონ, მეცნიერებით უნდა გააშუქონ. მხოლოდ სრულიად უვიცს ადამიანს მიაჩნია სწავლა-აღზრდის საქმე უბრალო საგნად. ასე უყურებენ

ამ საგანს უმეცარი მშობლები და დახავსებული პედაგოგები... ჩვენც კარგად ვიცით, რაც ხდება ამის გამო. რასაკვირველია, პრაქტიკულ გამოცდილებას ბევრი რამ შეუძლიან, მაგრამ ყველა ეს საკმარისი არ არის, რომ ჩვენი აღმზრდელობითი მოქმედება სრულიად საფუძვლიანი იყოს. აღმზრდელი, რომელსაც ზემოთ ნაჩვენები თვისება აქვს, ე. ი. გამოცდილება მომეტებულ შემთხვევაში მაინც ინსტიქტიურად, შემთხვევით მოქმედებს, თუ ანგარიშს არ უწევს თავის მოქმედებას, არ ფიქრობს იმის შესახებ თუ რად იქცევა რომელიმე შემთხვევაში ასე და არა სხვანაირად. ეი ამის გამო საჭიროა აღზრდის მეცნიერების შესწავლა, პედაგოგიის, ჰიგიენის, ექსპერიმენტალური პსიხოლოგიის (პედოლოგიის) ცოდნა და ნათლად შეგნება აღზრდის მაღალი პრინციპის ძირითადის კანონებისა, რომელიც საფუძვლად უძევს აღზრდის მეცნიერებას. რად არსებობს სხვა და სხვა გვარიშეხედულობანი აღზრდის შესახებ მასწავლებელთა შორისაც, თუ არა იმის გამო, რომ აღზრდის უმთავრეს პრინციპებში ვერ შეთანხმებულან და სხვა და სხვა წესები გამოჰყავთ სხვა და სხვა პრინციპებიდან. ვისაც აღზრდის კანონები და საშუალებანი საჭირო საქმედ მიაჩნია, ის უეჭველად აღიარებს თუ რამდენად საჭიროა საზოგადო სავალდებულო, საზოგადოთ მიღებული აღზრდის **უმაღლესი საფუძველი** და უმაღლესი ძირითადი პრინციპები. ეს უმაღლესი პრინციპი უბრალო ჰიპოტეზას არ წარმოადგენს; ის არავითარ დამტკიცებას არ თხოულობს და არც საჭიროებს, ის ჭეშმარიტებაა, რომელიც ყველამ უნდა შეიგნოს და იგრძნოს. ეს პრინციპი ე. ი. უმაღლესი საფუძველი აღზრდისა—**საზოგადო** დებულებად უნდა გახდეს. ეს დიდებული და უტყუარი პრინციპი აღზრდისა გვეუბნება: **აღზარდე ადამიანი მისი ბუნების მახედვით**. ეს სადა კანონი სრულიად საერთოა, ის არის პირველი და უკანასკნელი საფუძველი მთელის პედაგოგიისა. ის არის ერთად ერთი, სრულიად საკმარისი და ყოვლის მხრით უცილობელი პრინციპი, იმაზე უნდა იქმნას დამყარებული მთელი აღზრდა ბავშვისა, მომავალ მოქალაქისა. ამ სახით, უეჭველია, პედაგოგია არის მეცნიერება, რომელიც ითხოვს, როგორც თეორიულს, ისე პრაქტიკულ მომზადებას, ე. ი. ცდას, რომლის დროსაც შეითვისებენ ამა თუ იმ წესს და იმის საშაულებით იმოქმედებენ ბავშვის გონებაზე და გულზე. მაგრამ მარტო ცდა არ შეიძლება ჩაითვალოს საუკეთესო საშუალებად. ხშირად შენიშნავთ ცხოვრებაში, რომ კაცი, რომელსაც ყოველ მხრივ განათლება მიუღია, სრულიად გაქნილი, გახრწნილი და ცუდი ადამიანი გამომდგარა და პირიქით, ვისაც არსადაც არ უსწავლია, არ გაუვლია დღევანდელი დუხჭირი სკოლა—თავის თავად კეთილშობილი ადამიანი და საზოგადო მოღვაწე გამხდარა. რას გვიმტკიცებს ეს ფაქტი? იმას რომ ადამიანი ბუნებით გონიერი და თავისუფალი არსებაა, რომლის მოქმედება განისაზღვრება არა მარტო გარეშე პირთა გარეგანი გავლენით და გარემოებით, არამედ **მისი ბურებრავი ძალებით** დ ნაჭათ.

მაშასადამე ცდა ვერ წარმოადგენს ისეთს საბუთს კარგად მიდიოდა თუ ცუდათ აღზრდის საქმე, ცდის საშუალებით შემოწმება სწორედ რომ საჭიროა, მაგრამ მარტო ცდაზე არ შეიძლება დამყარდეს პედაგოგიის მეცნიერება. ვერც პედაგოგიური ავტორიტეტები სწყვეტენ

საკითხს მეცნიერების მხრით. საქმე იმაში კი არა თუ ვინ წარმოსთქვა ესა თუ ის მეცნიერული ჭეშმარიტი აზრი, არამედ იმაში თუ რამდენად ჭეშმარიტია ესა თუ ის აზრი და რამდენად ემხრობიან მას ყველანი ე. ი. მთელი საქმე ობიექტიური უცილობელი და საზოგადოთ მიღებული ჭეშმარიტებაა.

ამ სახით უცილობელს ჭეშმარიტებას, როგორც ზემოთაც ვთქვით, შეადგენს ბუნებრივი პრინციპი. აქედან თავისთავად ასეთი დასკვნა გამოდის—ის, რაც ბუნების თანახმაა, კარგია; პირიქით, რაც ეწინააღმდეგება მის ნორმალურ განვითარებას, ბოროტებაა, ბარბაროსობაა. რაც ბუნების თანახმაა ის არ შეიძლება ცუდი ან დამახინჯებული იქმნას. ის კარგია და სხვანაირი არც შეიძლება იყვეს იმიტომ, რომ ბუნებასთან არის შეთანხმებული. ბავშვი სკოლაში შესვლის დროს ლაპარაკობს თავისი დედაენით, რომელიც შეადგენს მისს სულიერ 'სალაროს; ბავშვის ბუნება ითხოვს ამ თავისი ღვიძლი ენის საშუალებით განვითარდეს, შეიძინოს საჭირო ცოდნა; დედაენა ამ საქმეში უსაჭიროესი, უპირველესი იარაღია, თვინიერ მისსა არავითარი ცოდნის შეძენა საფუძვლიანად და შეგნებით არ შეიძლება. და ამიტომაც მის გარეშე მიღებული ყოველგვარი ცოდნა და განვითარება ფუჭეა, უსიცოცხლოა, მკვდარია და მავნებელი ბავშვის ბუნებისა, დამამახინჯებელი მისი სულიერი ნიჭისა. ჩვენი ბავშვები მიდიან სკოლებში სწავლის შესაძენად, იქ სკოლის კარებშივე შეეხეჩება მათ უცხო ელემენტი, უცხო ენა, რომლის საშუალებით ცდილობენ ვითომდა გაუვითარონ ბავშვს გონება, მაგრამ განვითარების მაგიერ უფრო ეხშავენ, ამახინჯებენ ბავშვის ბუნებას და მის სულიერ ძალას ასუსტებენ და რყვნიან. ამაზე უარესი ბარბაროსობა კიდევ იქნება! პრინციპი, რომ სწავლა-განათლება ყველა ერმა თავის დედაენაზე უნდა მოიწყოს, შეადგენს პედაგოგიის ძირითად საფუძველს, იგი ჭეშმარიტებად არის მიღებული ყველა დიდებული პედაგოგების მიერ და დამტკიცებული, რომ ამ საფუძველზე უნდა აშენდეს ყოველი სკოლა. ეჭვს გარეშეა, რომ ამავე საფუძველზე უნდა იქმნას დამყარებული ბავშვების აღზრდა და განათლება სახალხო სკოლებშიაც ბავშვის ბუნების მიხედვით და **მეცნიერების მხრით ფართო გაშუქებით**. სამეცნიერო პედაგოგია გვასწავლის, რომ საჭიროა სულიერ ნიჭთა და სხეულის ჰარმონიულად განვითარება და ეს შესაძლებელია მაშინ, როცა ზემოთ დასახელებულ პრინციპებს ვადგევართ და ვასრულებთ ცხოვრებაში.

როცა ერთს ძირითადს მაღალ პრინციპს ვითვალისწინებთ, ვადგენთ ერთნაირ პროგრამას სახალხო სკოლებისათვის, იმავე დროს პრაქტიკულის მოსაზრებით, მოწაფეთა და მასწავლებელთა ინტერესის დასაცველად არ უნდა დავივიწყოთ, რომ აღზრდის საქმე **თავისუფალ შემოქმედების საქმეა**, რომელშიაც პედაგოგმა უნდა გამოიჩინოს მთელი თავისი ნიჭი და უნარი. როცა მასწავლებელს საზოგადო ცოდნა და სერიოზული მომზადება აქვს, ის სწავლას არ სწყვეტს, სწავლობს პრაქტიკულად ცოცხალ საქმეზე. ასობით სკოლის ბავშვები—ფართო ასპარეზს წარმოადგენენ პსიხოლოგიურ დაკვირვებისათვას, პედაგოგირი წესების შესამუშავებლად ცდის საშუალებით და **თეორიული მეცნიერების მუდმივის დახმარებათ**. მხოლოდ აღმზრდელის გონიერ თვითმოქმედებაზეა უმეტესად დამოკიდებული

წესიერი აღზრდა განვითარება მოწაფისა. ამიტომ აღმზრდელი ხდება ხელოვანი, შემოქმედი, რომელიც ხელს უწყობს ქვეყვნის დიდებულს შემოქმედს გააღვიძოს ღვთის მიერ ჩანერგილი ძალები ბავშვის ბუნებაში. აღზრდის მთელი ხელოვნება ცოდნის მიღების შეგულიანებაშია და აღზრდაც მაშინ აღწევს თავისს მიზანს, თუ მოწაფე მოიკრეფს იმდენს ძალას და ნებას, რომ შემდეგ თავისს სიცოცხლეში თვითონვე ეცდება თვით განვითარებას, მუყაითად ჩასჭიდებს ხელს იმ საქმეს, რომელიც შეესაბამება მის სულიერს და ფიზიკურს ძალებს. სამწუხარო ის არის, რომ დღევანდელი სკოლა სრულიად არ ამზადებს მოწაფეს ცხოვრებისათვის; ის ცოდნა, რასაც დღევანდელი სკოლა იძლევა ერთი რომ ძლიერ სუსტია და მეორე სკოლა იმდენს უსარგებლო გონების ძალდატანებას ითხოვს მოწაფისაგან, რომ ეს უკანასკნელი ზიზღით უყურებს სწავლას და მასწავლებელსაც. რასაკვირველია ამისთანა პირობებში მოწაფეს არა თუ განუვითარდება სწავლისადმი მისწრაფება, არამედ მოესპობა კიდეც მთელი ხალისი თავის თავად ცოდნის შეძენისა. უნდა გვახსოვდეს, რომ სწავლების მთავარი მიზანი, იმაში კი არ გამოიხატება, რაც შეიძლება მეტი ცოდნა გადასცეთ მოწაფეს, არამედ მოწაფეთა სულიერ ნიჭთა განვითარებაში, გონებით მუშაობის შეგულიანებაში, სწავლისადმი მისწრაფებაში და ისეთს პირობებში ჩაყენებაში, რომ მოწაფეს ადვილად შეეძლოს ეს ხალისი და მისწრაფება დაიკმაყოფილოს ე. ი. თვითონ თვით მოქმედებით შეიძინოს ცოდნა.

ადამიანისათვის უმაღლეს გონებითს სიამოვნებას შეადგენს თავისთავად სწავლის შეძენა და შემოქმედებითი მუშაობა აზროვნებაში. ყველა ეს, რასაკვირველია, პატარაობიდანვეც შესაძლებელია იმ ფარგალში, რასაც ბავშვის დაკვირვება შეიცავს. თუ კი დასაწყისი სკოლა შესძლებს გამოიყვანოს მოწაფე ფართო და წარმტაცს გზაზე, ამით ისს შექმნის ისეთს ადამიანს, რომელიც მთელს სიცოცხლეში გატაცებული იქნება გონების მუდმივი ვარჯიშობით, ადამიანს, რომლის შემდეგი განათლება სამუდამოდ უზრუნველყოფილია, სულ ერთია იგი შეევა საშუალო სასწავლებელში და იქ შეუდგება სისტემატიურს სწავლას, თუ დარჩება საშუალო სკოლის გარეთ, მაგრამ ხელსაყრელს პირობებში განაგრძობს თვით განვითარების საქმეს. სწორედ ასეთი მისწრაფების გამოწვევა მოწაფეში და მისი დაკმაყოფილება შეადგენს დღევანდელი სახალხო სკოლის დანიშნულებას და ეს მოსახერხებელია მაშინ თუ სკოლაში ოთხი წლის ნაკლები კურსი მაინც არ არის, მასწავლებელიც საკმარისად მომზადებულია და სკოლაც ყოველ გვარი საჭირო ხელსაწყო ნივთებით, წიგნთსაცავით და თვალსაჩინო სწავლებისათვის ყოველგვარ კოლექციებით უზრუნველყოფილია. მაგრამ ასეთი სკოლა და მასწავლებელიც დღეს ფარნით საძებარია ჩვენში და ამიტომაც ფრიად საჭიროა ყოვლის უწინარეს მიექცეს ყურადღება ამ მხრით სკოლის საქმის ნაყოფიერად მოწყობას, რომ თავი დავახწიოთ იმ სიგლახაკეს, რასაც დღეს განვიცდით უბადრუკი სკოლების წყალობით.

როგორი ხასიათი უნდა ჰქონდეს სახალხო სკოლას მოსამზადებელი თუ ცოტად თუ ბევრად დასრულებული? ეს საკითხი ჩვენში დღეს ბევრს ბუნდოვანად აქვს წარმოდგენილი. ამას წინად ამ საკითხზე მცირე პოლემიკაც კი გაიმართა

ორს ჩვენს ყოველ დღიურ გაზეთს შორის, მაგრამ სავსებით და ჭეშმარიტებით საკითხი არც ერთს არ გამოურკვევია. ეს საკითხი ჩვენში არ ახალია, ძველია. ჩვენში სკოლების დაარსებიდანვე მთავრობა იმ აზრს ადგა, რომ სახალხო სკოლებს მოსამზადებელი ხასიათი ჰქონოდა, მაგრამ ჩვენმა პედაგოგებმა და საზოგადო მოღვაწეებმა ჩვენში არა სასურველად სცვნეს ასეთი შეხედულება სახალხო სკოლებზე და თითქმის საერთოთ აღიარებული იქმნა, რომ სახალხო სკოლა არ ამცდარიყო თავისს პირდაპირს დანიშნულებას—სწავლა-განათლების გავრცელებას ხალხში. *) დღესაც, როცა ვამჩნევთ, რომ არავითარი ცვლილება არ ხდება საშუალო ⁄ მაღალს სასწავლებლებში, როცა სკოლების დემოკრატიზაციის იდეა ჯერ კიდევ საოცნებო საგანს წარმოადგენს, როცა ვხედავთ, რომ ჩვენებურს საშუალო სკოლაში ნასწავლებს ეროვნული ნიადაგი ეცლებათ ქვეშიდან და გადაბირების გზაზე დამდგარნი და აღზრდილნი ვერ სცნობენ თავისიანებს, ჩვენ უნდა მივსდიოთ სულ სხვა გზას და არა იმას, რომ დასაწყისი სახალხო სკოლები დაუკავშიროთ ეხლანდელს საშუალო სასწავლებლებს და ხელი შევუწყოთ ჩვენში ისედაც არა მცირე რიცხვის მუქთა ხორა მოხელეების გამრავლებას. ჩვენს დღევანდელს მიზანს უნდა შეადგენდეს სახალხო სკოლების კურსის გაფართოება, რიგიან მასწავლებლების მომზადება და სკოლის დაახლოება ცხოვრებასთან და ისეთის გზის ჩვენება სოფლის სკოლაში ნასწავლ მოწაფეთათვის, რომელიც უმრავლესობისათვის ხელსაყრელია, რომ ეს უკანასკნელი მსხვერპლად არ შეეწიროს უმცირესობას, რომელსაც სურს თავიანთი შვილი ეხლანდელს გიმნაზიებში გამოზარდონ; ისინი ამ მხრით ისედაც გაიკვლევენ გზას და ამისთვის საჭირო არ არის, რომ სოფლის სკოლამ გვერდი შეაქციოს თავის უპირველესს დანიშნულებას.

რასაკვირველია ქვეყნისთვის ის უფრო სახეიროა, რამდენიც მეტია მაღალ სწავლა მიღებული პირები, ფრიად სასურველია სასწავლებელთ შორის მტკიცე კავშირი იყოს, მხოლოდ სხვა პირობებით და არა დღევანდელ პირობების მიხედვით, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენზე უფრო ბედნიერ პირობებში მყოფი ერებიც კი სახალხო სკოლას მთლად არ უკავშირებენ საშუალო სასწავლებლებს, რადგანაც ბევრი კმაყოფილდება იმ სწავლით, რასაც სახალხო სკოლა იძლევა. ავიღოთ მაგალითად გერმანია და ამერიკა *)—გერმანიაში დასაწყისს სკოლას ცნობილის პედაგოგის პაულსენის სისტემით ექვსის წლის კურსი აქვს, იგი საზოგადო სახალხო სკოლაა, მხოლოდ უკანასკნელ სამ წელში ⁄ სწავლება ახალი ენები ფაკულტეტივად ე. ი. ზოგი სწავლობს, ზოგი არა; ვინც არ სწავლობს ახალს ენებს, ისინი გადადიან ექვსი წლის შემდეგ უმაღლეს სახალხო სკოლაში; სხვები ოთხ წლიან რეალურ სასწავლებელში, ზოგიც ექვსწლიანში და ზოგიც ექვსწლიან კლასიკურ გიმნაზიაში, ყველაზე ბოლოს არის სპეციალური განათლება. ამერიკაში დასაწყისს სკოლას რვა წლის კურსი აქვს. სკოლის დემოკრატიზაცია იქ უფრო განხორციელებულია, ვიდრე სხვაგან, იქ სწავ-

*) მეტად საფუძვლიანი წერილები ამ საგნის შესახებ იხილეთ ბ-ნ ი. გოგებაშვილის ნაწერებში და ილია ჭავჭავაძის პოლემიკურ წერილებში იანოვსკისთან.

*) იხ. „განათლება“ № 5—6. 1908 წლ. წერილი ს. ავალიანისა: სკოლის დემოკრატიზაცია.

ლების ყველა მაღალი საფეხური გაგრძელებაა დაბალი საფეხურისა, მაგრამ იქაც ბევრი კმაყოფილდება დასაწყისს სკოლაში სწავლის მიღებით, რადგან ამ ცოდნას, სხვა გარეშე პირობების ხელის შეწყობით, ბევრი თავისთავად აფართოვებს, აბევრებს და არ მიჰყვება სკოლის მაღალ საფეხურებს და ვინც მიჰყვება, მათთვის, დასაწყისი სკოლის შემდეგ, იშლება სხვა და სხვა გზა, რომელსაც სურვილისამებრ აირჩევენ. ჩვენში ეს სასურველი და მეტად ნაკოფიერი კავშირი სასწავლებელთა შორის, ვამბობთ, დღევანდელს პირობებში, სანამ არ მოვიპოვებთ სრულს კანონიერს უფლებას აღზრდის საქმეში, სანამ ჩვენს სასწავლებლებში არ მოისპობა ერთვნული გრძნობის დაჩაგვრა, სანამ ერთი ენა მეორის უფლების შეურაცხყოფაზე ხელს არ აიღებს და თანასწორობა არ დამყარდება, ჩვენ ისეთივე დაბეჩავებულნი ვიქნებით, როგორც დღესა ვართ და ისეთივე კუს ნაბიჯით მოგვიხდება სიარული, როგორც დღეს მივჩანჩალებთ.

თვითონ რუსეთშიაც კი, სადაც ყოველგვარ სკოლებში სწავლება დედაენაზეა, სასურველად მიაჩნიათ, რომ სახალხო სკოლას დამოუკიდებელი დამთავრებული კურსი ჰქონდეს. ეს ნათლად სჩანს სხვა და სხვა კომისიების, განათლების საზოგადოებათა და მასწავლებელთა კრებების მუშაობიდან სახალხო სკოლების საკითხის შესახებ დღევანდელს რუსეთში. სახალხო სკოლების მასწავლებელთა კრებამ, სხვათა შორის, დაადგინა: „პირველ-დაწყებითი სკოლა ჯერ არ უნდა შეადგენდეს მოსამზადებელ საფეხურს სხვა მაღალი ტიპის სასწავლებელთათვის, არამედ—დამოუკიდებელ სასწავლებელს თუმცა მცირე, მაგრამ დამთავრებულის კურსით. ამასთან ერთად სასწავლო საგნების პროგრამები ისე უნდა იქნეს შედგენილი, რომ არ უნდა არღვევდეს კურსის მთლიანობას, მაგრამ შეძლებას აძლევდეს ადვილად და ბუნებრივად გადავიდნენ ერთკლასიან სკოლიდან ორკლასიანში და ორ კლასიანიდან საქალაქოში“. (იხ. ჟურნალი „Для нар. учителя“ № 20 1909 წ. გვ. 19).

ამ სახით, თუ ჩვენი მკითხველები დაუკვირდებიან იმ პროგრამებს, რომელიც იბეჭდება ჟურნალ „განათლებაში“, დარწმუნდებიან რომ სასურველი კავშირი ერთ კლასიანსა და ორ კლასიან სკოლებში უკვე დაცულია. ჩვენს შემდეგ მიზანს უნდა შეადგენდეს ორკლასიან სკოლების კურსის გაფართოება; თუ ეხლა ერთკლასიან სასოფლო სკოლაში ოთხი წლის კურსი გვაქვს შემოღებული, შემდეგში ორკლასიანი სკოლა რვა წლის კურსად უნდა გადაკეთდეს და ამას მოჰყვება სხვა შესაფერისი სასწავლებლებიც, სადაც მსურველთ შეეძლებათ სწავლის განგრძობა. დღევანდელს პირობებში კი, როცა საშუალო სკოლები ბურუსით არის მოცული, სახალხო სკოლას მასთან კავშირის დაჭერა ხეირს ვერ დააყრის.

ყოველივე ცვლილება ძირიდან უნდა მოხდეს, დღევანდელი ჩვენი სოფლის სკოლის პროგრამები ყოვლად უვარგისია და ცხოვრებაში ვამოუყენებელი, ჩვენი მიზანია ახალი პროგრამის, ახალი სხივის შეტანა სახალხო სკოლებში. და ეს სხივი ბომავალში თან და თან გაშუქდება, გაძლიერდება და თავის ცხოველ მყოფელ გავლენას შემდეგს საფეხურზედაც გადაიტანს მაშინ იქნება ჩვენშიაც დადგეს ის სანეტარო დრო ხალხის განათლების საქმეში, რასაც დღეს ვხედავთ გერმანელებსა და ამერიკელთ შორის და არ ჩამოვრჩეთ უკან სხვებს, არ გავხდეთ ქვეყნის მაჩანჩალად.

ლ. ბოცვაძე.

მასწავლებლის განათლება

და მისი პიროვნება.

საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად მრავალ მნიშვნელოვანია პედაგოგისათვის ფსიხოლოგიის ცოდნა, უკვე გამორკვეულია: „პედაგოგს არ შეუძლიან კაიგოს არც ერთი მოვლენა ბავშვის სულიერ ცხოვრებისა, თუ მას წინადვე არა ჰქონია გამორკვეული, რამდენად და რა აზრით შეიძლება ფსიხოლოგიურ მოვლენათა გაგება“,—ამბობს შტრიუმპელი. მასწავლებლისათვის უველაზე უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს აზროვნობის, მესსიერების და შთაბეჭდილებათა ფსიხოლოგიას. ფსიხოლოგიურ ცოდნათა შეთვისება არის გარკვევა უმაწვილის სულიერ ცხოვრებისა, მასწავლებლის დამცველი მრავალ გვარ შეცდომისაგან და იმავე დროს პედაგოგიურ შრომის გამაადვილებელი საგანიც. ამიტომაც ფსიხოლოგიის გაცნობა და შეთვისება მასწავლებელთა მიერ თან და თან ფეხს იკიდებს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ დროსაც მოიპოვებიან ისეთი „პედაგოგ-ემპირიკები“, რომლებიც მიგითითებენ პედაგოგიას ფსიხოლოგიასთან შეთანხმების სიძნელეზე, რომელთაც არა სურთ ფსიხოლოგიის ვითარებას თვალ-ყური ადევნონ, ისინი უველა თავის იმედებს ამყარებენ თავის პედაგოგიურ გამოცდილებაზე. ეს იმიტომ ხდება, რადგანაც ემპირიკები ივიწყებენ, რომ მათი გამოცდილება არის შედეგი იმავე ფსიხოლოგიურ ჩაკვირვებისა, იგივე შეთვისება ფსიხოლოგიურ მოვლენათა გარკვევა, მხოლოდ მათთვის შეუგნებლად მომხდარი. ჩვენ გვეტუვიან: უოფილა ისეთი მაგალითები, როდესაც პედაგოგიურ ტალანტს ფსიხოლოგიურ მეცნიერების შეუთვისებლად სწორედ გადაუწყვეტია მრავალი პედაგოგიური საკითხი; დიახ უოფილა, მაგრამ ფსიხოლოგიის უცოდინარობამ მათ მოქმედებას ბევრი რამ დააკლო: რაკი მათ არ იცოდნენ ფსიხოლოგიის ენა, უოველივე მათ მიერ ნათქვამი არის ბუნდოვანი, გამოურკვეველი: მაშასადამე, ვისაც იმ ტალანტების მაგალითი თვალით არ უნახავს—ვერ შეითვისებს მათ ხელოვნურ მოდვაწეობას, ამასვე ვეტუვით მატტიასსაც, პედაგოგ ემპირიკს, რომელიც ამბობს: „თვალი—სულის სარკეა, იქ შეგიძლია წაიკითხო, თუ როგორ ესმის უმაწვილს შენი ახსნა, როგორ ეჭიდება სიძნელეს, რაში ეჭვობს, რა სწამს, აქვს ნდობა თუ არა და რამდენ ძალ-ღონეს ხმარობს საქმის ასრულების დროს“; და ზედ დაუმატებთ იმას, რომ პრაქტიკულ გამოცდილებას მაშინ აქვს საუოველთაო მნიშვნელობა, როცა ის მეცნიერულ ნიადაგზე არის დამყარებული. უშინსკის, სხვათა შორის, ის დიდი ღვაწლი მიუძღვის, რომ უმტკიცებს მასწავლებლებს: „ერთად ერთი გზა აღზრდა კანონითარებისა არის მხოლოდ ის, რომელიც ფსიხოლოგიაზეა დამყარებული“ (Человѣкъ, какъ предметъ воспитанія).

ვნახოთ, რას ამბობს ფსიხოლოგია შესახებ მასწავლებლის თვისებებისა.

მასწავლებლის ერთად ერთი იარაღი სასწავლებელში არის მოწაფეთა სიყვარული ავტორიტეტთან შეკავშირებული. Montaigné ამბობს: „მასწავლებელი, რომელსაც მოწაფენი სიყვარულით არ ეკიდებიან, თავის დღეში ვერ მიაღწევს სასურველ მიზანს; მისმა რჩევამ და მისმა მაგალითმა შესაძლებელია გააკვირვოს უმაწვილის გონება, მაგრამ უმაწვილის გულს კი ვერ მისწვდება. როგორც უნდა უმტკიცებდეს უმაწვილს ჯაუ, რომ ეს და ეს მასწავლებელი სასარგებლო და საჭირო არის,

მაინც, თუ არ არის სიყვარული მოწაფისა და მასწავლებლის შორის, ჰირველი ყოველ დრონის ძიებასა ხმარობს ეწინააღმდეგოს მასწავლებლის მოქმედება-ზედ-გავლენას; სიყვარულის დროს კი ძალ დაუტანებლად ვემორჩილებით მას, ვინც გვიყვარს და ვასრულებთ მის სურვილს. რა ზომები უნდა მიიღოს მასწავლებელმა, რომ მოიპოვოს მოწაფეთა სიყვარული? მხოლოთ ერთი: მასწავლებელს თვითონ უნდა უყვარდეს ყმაწვილები; ვინც ყუურებს ყმაწვილს La Bruyère-ის თვალით; „ყმაწვილები ამაყნი არიან, ანჩხლნი, შურიანი, გაუმაძღარნი, ზარმაცნი, თავშეუკავებელნი, მატყუარანი, ეშმაკნი"... (La Bruyère De l' Homme); „მასწავლებელს, რომელიც არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს მოწაფეთა სულიერ ცხოვრებაში, არ ხდება თანამოზიარედ მათ მწუხარება—სიხარულისა — ადგილი არ უნდა ჰქონდეს მოწაფეთა შორის, ამბობს ფელიკს ტომა. „მას უნდა ეცხოვრნა იმ დროს, როცა კლასები სავსე იყო წკეპლების ნამტვრევებითა", მისი ანჩხლი გული მამაშინ გაიხარებდა და ღატაკი ჯკუა დარწმუნდებოდა, რომ ყმაწვილები ცოდნას იძენენ; ეხლანდელ დროისათვის ისინი არიან სამწუხარო ანომალია. აგრეთვე ვერ მოიპოვებენ მოწაფეთა სიყვარულს ის მასწავლებელნი, რომლებიც შრომობენ მხოლოთ ჯამაგირისათვის და თავის საქმეს გულ გრილად ეკიდებიან. „ვისაც ტოტათი მაინც უსწავლებია ყმაწვილებისათვის და ვერ გაუგია, ვერ უგვრძნია, თუ რაძდენად სასიამოვნო და მშვენიერია ეს საქმე—იმას მე ვერა გზით ვერ გავამართლებ, ის წავიდეს და ქვები თალოს ქუჩაში" (Anthoine A travers nos écoles). ჩვენდა სასიხარულოთ ასეთ მასწავლებელთა რიცხვი დღითი დღე კლებულობს და ეხლანდელ მეტ ნაწილს მასწავლებლისას სხვა სენი სჯირთ—სენი ყმაწვილებისადმი გადაჯარბებულ სიყვარულისა. გადაჯარბებულ სიყვარულსაც ის ნაკლი მოსდევს, რომ მასწავლებელი ხელს აფარებს ყმაწვილის ცუდს საქციელს, აჩვენებს მას ერთი თვალით უყუროს კარგსა და ცუდსაც. ასეთ მასწავლებელთ ვეტყვით, რომ ნამდვილი სიყვარული შეკავშირებულია ჰატივისცემასთან იმისაგან, ვინც გიყვარს. ყმაწვილი უნდა ჰატივსა სცემდეს თავის მასწავლებელს; ეს ჰატივის ცემა იკარგება, თუ მასწავლებელი თავის დროზე არ მიუთითებს და ენერგიულ წინააღმდეგობას არ გამოუჩენს მოწაფეის არა სასურველ საქციელს, ამ ჩაირად ზნეობრივ გავლენას მასწავლებლისას თან და თან ფერთები ეკარგება; ამიტომაც მასწავლებელმა უნდა მხარე აუქციოს იმ თეორიებს, რომლებიც ეხლანდელ დროს გავრცელდნენ: ყმაწვილებს უნდა მოვეპყროთო უსაზღვრო ნებაყოფლობით, რაიცა ნათლათ გამოიხატება სიტყვებში: „laisser faire". სკოლა ნურც სწკეპლავს ყმაწვილებს, ნურც ანებივრებს. უკვე ცნობილია, რომ გონიერ სიყვარულს მოსდევს სიყვარული და ჰატივის ცემა, ეს არის ჰსიხოლოგიური მოვლენა. (Тома Внушеніе).

გარდა ამისა, როგორც რომ მასწავლებელი შეუდგება თავის საქმეს, საჭირო მოწაფე სმენად გადაიქცეს. რა საშუალებაა ამისთვის საჭირო გარდა ურიერთ შორის სიყვარულისა?

ზედ მიწევნითი შეთვისება მასწავლებლის მიერ თავის საგნისა. ასეთ შეთვისებას მოსდევს რწმენა. რწმენას მოსდევს ადტაცება, ადტაცება გადამდები სენია. უვიცობას მოსდევს ეჭვი, ეჭვი აფერხებს ყოველივე წინსვლას. როცა კაცს თვითონ არა სწამს სინამდვილე თავის ცოდნისა, როცა მას ვერ გაურკვევია გზა მიზნისაკენ და თვით ეს მიზანიც ბუნდოვანად ეხატება—მაშინ მისი გული ადივსება ეჭვით, მისი შრომა ვერ მოიტანს ნაყოფს, უვიცი ადამიანი ბევრჯელ იცრუებს, ან მიმართავს სხვა საშუალებას დაფაროს თავისი უვიცობა, მაგრამ ამოდ, ყმაწვილის

ინსტინკტი მაღე მიხვდება რაშია საქმე და მაშინ—ვაი უვიც მასწავლებელს! მას მოელის უსაზღვრო სიძულვილი. სარწმუნოებათა დამარსებელნი, შესანიშნავნი სარდალნი, მეცნიერნი, ორატორნი იზიდავდნენ თავის მიზნისაკენ ადამიანთ თავისი რწმენით. ჭკუა ვერ იქონიებს გავლენას ბრბოზე და უმაწვილებზე, თუ მის სჯა-აზროვნობას გრძნობათა მსვლელობასთან არ აქვს კავშირი. ისტორია გვიმტკიცებს, რომ მხურვალე რწმენა არის დამძრავი ძალა. დარწმუნებული ვარ, რომ უთუოდ გვკითხავენ, ნუ თუ უგულს შეუძლიან იქონიოს რწმენა, მეტადრე ჩვენ დროს, როცა სხვა და სხვა თეორიას სხვა და სხვა მიმართულებას ჰეავს მრავალი მომხრე და მიმდევარი, და გვეტყვიან, რომ კრიტიკით და ანალიზით აღჭურვილ ადამიანს არ შეუძლიან მიემხროს რომელიმე მათგანს, შეიძლება იქამდისინაც მივიდეს ადამიანი, რომ თავისი თავი უარ ჰყოს და დასამტკიცებლად ზემოუვანილის აზრისა Amiel'ის სიტყვებიც ზედ დაუმატონ: „ანალიზით ამოუთხარე ძირი ყოველივე რწმენას ჩემში, ანალიზით მე უარ ვეყვი ჩემი თავი, ანალიზმა მომიკლა ინსტინკტი, მიდრეკილება, გამბედაობა, რწმენა და სხვა“... (Amiel Journal intime).. და აი ამასთანავე ჩვენც ვეტყვით, რომ ანალიზმა შეჰქმნა ქიმია, მედიცინა, ბიოლოგია, ანალიზი შესანიშნავი იარაღია მეცნიერებისათვის, მაგრამ პრაკტიკულ ცხოვრებისათვის მხოლოთ ანალიზს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. ანალიზით აღჭურვილ მასწავლებელს შეუძლიან შეჰქმნას უძლური ფანტაზიორები, დიალეკტიკის მოყვარე ადამიანები, რომელთაც არ შეუძლიანთ მიიღონ რამე გადწყვეტილება და იმოქმედონ. სკოლაში უნდა ჰქონდეს ადგილი იმ ადამიანს, რომელსაც აქვს გამორკვეული მიმართულება, გამორკვეული შეხედულება ადამიანის მოვალეობაზე, ასეთ ადამიანს უფრო კარგად ესმის ცხოვრების მოვალეობანი, რადგან თვითონ არის პრაქტიკი, ვიდრე ანალიზატორს, რომელიც პრაქტიკას შორიდან შესცქერის. მკითხველი დამეთანხმება, რომ აქამდისინ დაპარაკი გვქონდა მასწავლებლის შინაგან ესე იგი სულიერ არსებაზე და იმ დასკვნამდის მივედით, რომ მას უნდა ჰქონდეს მოსიყვარულე გული, გამბედაობა, ღრმა და ფარითო ცოდნა და რწმენა თავის მიზნის სარგებლობისა; ეხლა შევეხოთ მის გარეგან თვისებებს. ვინ არ იცის, რომ ბავშვი მიმბაძავია, ის ითვისებს ყველაფერს, რაც მის გარშემო ხდება და რასაც უფრო ხშირად ჰხედავს, უფრო იმახსოვნებს, რაც იშვიათად ხვდება, იმას ივიწყებს. უმაწვილი ჰბაძავს დაპარაკს, მაშასადამე მასწავლებელს უნდა ჰქონდეს კარგი გამოთქმა, მას უნდა ჰქონდეს შესაფერი მიხრა მოხრა, მოკლებულ იყოს ამპარტავნობას; ტყუილა უბრალოდ არ უნდა ჯავრობდეს, თუ არ აქვს საკმარისი მიზეზი, არც აქოს უმაწვილი და არც აძაგოს, ყოველივე ეს ნიადაგს უთხრის მის საყოფიერ შრომას. მასწავლებელი ყველაფერის მაგალითი უნდა იყოს უმაწვილის თვალში. მოვიყვანთ ერთს მოთხრობას, თუ რა ძალა აქვს მაგალითს. ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი ინგლისში საჯაროდ სასჯელის ასრულების აკრძალვისა იყო შემდეგი შემთხვევა. 1856 წ. ნიუგეტაში ჩამოახრჩვეს კაცის მკვლელი, როდესაც სასჯელი გათავდა, უმაწვილებმა თამაშობა გამართეს. მოაწყვეს სახრჩობელა, გაინაწილეს როლები, ერთმა ჯალათობა იკისრა, მეორემ მდგდობა, შესამემ შერიფობა, მეოთხე დამნაშავეს წარმოადგენდა, დანარჩენი ბავშვები ხალხის მაგივრობას ეწეოდნენ. უმაწვილების არაფერი არ დაავიწყდათ და ჯრცლად აღადგინეს სასჯელის სურათი, ბოლოს „ხალხმა“ (ბავშვებმა) დიდის ადტაცებით და ტაშის კვრით (როგორც სასჯელის დროს მოხდა) გათავეს თამაშობა.

როგორც რომ პარლამენტის წევრებმა გაიგეს ეს ამბავი, აკრძალეს სამკალოდ სასჯელის გამართვა, რადგან ესეთი მაგალითები ჭრეგნიან ხალხსო.

მასწავლებელს, რომელმაც ეოველივე ზემონათქვამი ასრულა და მიზანსაც მიაღწია, ესე იგი სიუკვარულიც მოიპოვა, ცოდნა და რწმენაც აქვს და გარეგნულადაც შესაფერად მომზადებულია, აქვს შესაფერი ქცევა და დაპარაკი, შეუძლიან თამამად შეადგა კლასის კარები და შეუდგეს თავის ძნელ, მაგრამ დიდად სასარგებლო საქმეს. თვით გაკვეთილზედ მერე მოვიდაპარაკებთ.

ი. ნიკარაძე.

სქესობრივი საკითხი აღზრდაში

ამ უკანასკნელ დროში აუარებელი პუბლიცისტიური და წმინდა სამეცნიერო წერილები დასტამბულა სქესობრივი საკითხის შესწავლის საჭიროების შესახებ სასწავლებლებში. ეს საკითხი არა ერთხელ განუხილავთ საფრანგეთის სხვა და სხვა კონგრესებში. ერთ მოთავედ ამ საკითხში საფრანგეთში ითვლება ბ-ნი ბერტიე, როშჩის სკოლის დირექტორი. ის იყო პირველი, ანუ ერთი პირველთაგანი, რომელმაც მთავრობის სკოლაში ეს საკითხი საბოლოოდ გადასწყვიტა. აი რას სწერს იგი, სხვათა შორის, ამ საგნის შესახებ:

„როცა მოწაფე შემოდის როშჩის სკოლაში, მე ყოველთვის ვკითხავ ბავშვის მამას—უთქვამს მისთვის რამე სქესობრივ საკითხის შესახებ თუ არა. უნდა შევნიშნო, რომ მრავალ შემთხვევაში პასუხი უარყოფითია. მაშინ მე ვეუბნები ბავშვის მამას—სურს მას თუ არა—მე განუმარტო ბავშვს ეს საკითხი. უარი არასოდეს არავისაგან არ მიმიღია. მოზდილებს 14—16 წლიანებს უფრო დაწვრილებით ვუხსნი ამ საკითხს, წინ და წინ ვაფრთხილებ მშობლებს და ვკითხავ—იქნებ მათ სურთ ეს მოვალეობა იკისრონ. თუ რომელიმე კერძო შემთხვევაში საჭირო გახდება ექიმის დახმარება, იმასაც ვიწვევ. ასეთი საჭიროება შემხვდა სულ სამჯერ.

როცა ბავშვები სწავლას მორჩებიან, შევკრებ ყველას ერთად და 1—$1^1/_2$ საათის განმავლობაში ვესაუბრები იმათ. იმ განსაცდელზე და შეცდენაზედ, რაც მოელის მათ ცხოვრებაში, ვესაუბრები ქალებზე, სიწმინდის დაცვაზე და მათ მოვალეობაზე საზოგადოების წინაშე. ჩემს მოწაფეთაგან მხოლოდ ერთი აღმოჩნდა ისეთი მორცხვი, რომელიც განცვიფრებაში მოდიოდა ამ გვარ საუბრის დროს. უნდა ვსთქვა ამასთანავე, რომ ორი წლის წინად მისგანვე მივიღე წერილი, რომელშიაც მადლობას მწერდა, რომ ჩემმა განმარტებამ იხსნა იგი მძიმე განსაცდელისაგან. მე მგონია, ამ ნაირად აღზრდილი მოწაფეები სხვებზე უფრო წმინდა დარჩებიან. ამნაირი აღზრდის საწინააღმდეგო მშობლებს არა ჰქონიათ რა".

ბუნების მეტყველების მასწავლებელი გოშას ლიცეიში ბ-ნი ბრიუკერი ითვალისწინებს აუარებელს მასალას, რაც მწერლობაშია მოგროვილი და უმთავრესად საზოგადოებრივს აზრს, იგი დაჟინებით ითხოვს, რომ საშუალო სასწავლებლებში სქესობრივი საკითხი სასწავლო საგანს შეადგენდეს.

ჯერ ბრიუკერი უთითებს იმ გარემოებაზე, რომ გამრავლების ფუნქციის ახსნა შეიძლება სრულიად ბუნებრივად და მარტივად, თუ თავდაპირველად არ გინდათ შეეხოთ ადამიანს, რაც საჭიროც არ არის არც პედაგოგიურის და არც თეორიულის მოსაზრებით. გამრავლების ფუნქცია ცხადათ უნდა დაანახვოთ დაბალ ცხოველებზე და მცენარეებზე, რაც მშობლებში არ გამოიწვევს არავითარს წინააღმდეგობას.

ბრიუკერის აზრით მცენარეებზე, უხერხემლო და დაბალ ხერხემლიან ცხოველებზე შეიძლება შედგენა სრული საზოგადო წარმოდგენილებისა გამრავლების ფუნქციის შესახებ. თევზები მოგვცემენ მასალას შინაგან განაყოფიერებისა, ცოცხლად გაჩენისა და პლაცენტის შექმნის ასახსნელად. ზვიგენის გამრავლების ფუნქცია ვერ გამოიწვევს მოწაფის გონებაში ვერავითარ მაცდურს და ზნეობის მხრით საშიშს აზრებს.

ნამდვილად სკოლების საკლასო კედლის სურათებზე გიმნაზიებში და ლიცეებში ყველგან არის ისეთი სურათები, რომელიც არავისგან საძდურავს არ იწვევს. როცა ვესაუბრებით მაგ. წიწილის განვითარების შესახეს, შეგვიძლია მთელი ცნობა გადავცეთ რძით მკვებავ ცხოველთა გამრავლებაზე. რაც შეეხება ამ ფუნქციებს ადამიანში, არ მოგვიხდება რამე განსხვავება ვუჩვენოთ სხვა რძით მკვებავთან შედარებით. ბევრი საუბარი რძით მკვებავთა შესახებ და არაფერი ადამიანზე—ასეთი წესი უნდა იყოს სკოლებში სქესობრივი საკითხის შესახებ. შემდეგ როცა გამრავლების ფუნქციას განაყოფიერებასთან ერთად განუმარტავენ ცხოველთა მთელს რიგზე, ადამიანის გარდა, და თვითონ საგანს მეცნიერების სასტიკის თვალსაზრისით შეეხებიან, დარწმუნებული ვიქნებით, რომ თვით ჯიუტი მშობლებიც კი დაეთანხმებიან ასეთს სწავლებას სკოლებში.

რაც შეეხება სასკოლო ჰიგიენის საკითხს, საფრანგეთის სასკოლო ჰიგიენის ლიგაში კამათის დროს გადაწყდა ერთხმად, რომ სქესობრივი ჰიგიენა სკოლებში უნდა ისწავლებოდეს ისე, როგორც სხვა საგნები, ამასთან ეს საგანი ისე უნდა ისწავლებოდეს, რომ მოწაფეს აზრადაც არ მოუვიდეს, რომ საგნის განმარტება შეიძლება ქუჩურად და არა მხოლოდ სასტიკ მეცნიერების მიხედვით. ამიტომ, როცა საკითხი ეხებოდა სქესობრივ საკითხის შესწავლას წიგნებისა და ბროშურების საშვალებით, ამას მომხრე არავინ აღმოუჩნდა.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი შეხედულობა ბეჭდური სიტყვის შესახებ სქესობრივს საკითხში აიხსნება იმ გარემოებით, რომ ამ ბოლო დროს ძლიერ გავრცელდა პორნოგრაფიული წიგნები და ბროშიურები, რომლის ავტორებიც სარგებლობენ საზოგადოების მოუფიქრებლობით და ორივე სქესის ახალგაზდების ფარული ცნობის მოყვარეობით. ასეთი წიგნები, თუ გინდ საუკეთესო ბელეტრისტის მიერ იყოს დაწერილი, მაინც მეტად მავნებელია. სკოლებში სქესობრივი ჰიგიენის სწავლებისა და მასთან გამრავლების ფუნქციების ახსნაში იმდენად მოწაფეების მხრით შიში არ არის, რამდენადაც მშობლებისა და ოფიციალური მეთვალყურეების მხრით, რომელნიც გაჟღენთილი არიან მავნე ცრუ მორწმუნეობით, რაც გარს ახვევია მოზარდ თაობას. ჯერ თვითონ მშობლები უნდა მიეჩვივნენ ერთის მხრით ანატომია—ფიზიალოგიის გამოყოფას სოციოლოგიის სფერიდან,

მეორეს მხრით ხალხის რთული სოციალური ცხოვრების მხატვრულად ან ბელეტრისტიულად გამოხატვის უაზრობას. ყველას საკმარისი ბოროტება მიუძღვის. თითოეული დარგი თავის ხელოსანს ითხოვს.

თითოეულს ადამიანს დაბადებიდან თან დაყოლილი აქვს მრავალი სხვა და სხვა ორგანოები, რომლებიც ასრულებენ ადამიანის სხეულის სხვა და სხვა ფუნქციებს და მოთხოვნილებათა: საზრდოობა ფართო მნიშვნელობით თავდება სხეულისათვის ურგები ნაწილების მოშორების პროცესებით—წყლის ორთქლისა და ნახჟირ მჟავის, განავალისა, ოფლისა, შარდისა და სხ. ყველა ორგანოების ერთს ძირითადს ფუნქციას, რომელიც იწვევს ერთს უძლიერესს და ჩაუქრობელს მოთხოვნილებას, შეადგენს სქესობრივი ფუნქცია. ერთის შეხედვით რა უნდა იყოს იმაზე უფრო ბუნებრივი, რომ ასწავლო ბავშვს როგორ უნდა მოუაროს თაეის ორგანოებს ისე, როგორც ასწავლიან თან და თან თვალის გამაგრებას, ფეხზე დადგომას, სიარულს და სხ. მაგრამ ცრუ-მორწმუნოება მოზრდილებს იმდენად მაგრად აქვთ გამჯდარი ძვალ რბილში, რომ მშობლები სისტემატიურად ფარისევლობის ნიღაბს იფარებენ სახეზედ თავიანთ საკუთარის შვილების წინაშე. განა დრო არ არის, ყველა მშობლებმა შეიგნოს ის საყოველთაო ჭეშმარიტება, რომ მათი შვილები ორივე სქესისა ძლიერ ადრე გაიგებენ იმას, რის თქმასაც თვითონ ერიდებიან თავის საკუთარ შვილებთან. ეს ადრიანად გაცნობა ბავშვებისათვის თავისი სხეულის ფუნქციებისა სრულიად ბუნებრივია და აუცილებელი. უბედურება იმაშია, რომ ბავშვები ვერ ღებულობენ სწორს პასუხს თავიანთ შეკითხვებზე. გაღვიძებული მოთხოვნილებანი და ცნობის მოყვარეობა პოულობენ ხშირად თავიანთ საკუთარს მიხვევ-მოხვეულს გზას და კმაყოფილდებიან გარეშე ამღვრეული წყაროთი. ბავშვები და ახალგაზდები ანატომია ფიზიოლოგიას ეცნობიან ან ფრანგულ რომანებში ან არციბაშევის სანინში. ყველა ამას ნაყოფად მოსდევს ორ ნაირი ვნება: გონებრივი მოთხოვნილება, ცნობის-მოყვარეობა და სოციალური ზნეობრივი გრძნობა დაუკმაყოფილებელი, დამახინჯებული და გარყვნილი რჩება მეცნიერების შეერთებით ბელეტრისტიულ პორნოგრაფიასთან.

ყველა ბავშვები მიუხედავად მშობლების ან აღმზდელის სურვილსა, თუ არა სურვილსა პატარაობიდანვე დაინტერესებულნი არიან გაიგონ ყველა რთული ამოცანები, რომლის ახსნა-განმარტებაზე მუშაობენ მოზრდილი ადამიანები, მათი მამები-შეერთებული საზოგადოება ანუ სახელმწიფო. საჭმლის მონელების ფუნქცია ყოველს ადამიანში თავდება განავალით, ოფლით, შარდით და სხ. ეს საგანი ხდება საზოგადო საზრუნავ საგნად, რაც გამოიხატება საზოგადო მზარულების მოწყობით, ქალაქებში სასმელი წყლისა და წარსადენელი წყლის მილების გამართვაში და სხ. სქესობრივი სიყვარულის და გამრავლების ფუნქცია კი ცხოვრებაში ჰქმნის აშკარა როსკიპობისა და ქორწინების ინსტიტუტს. ყველა ფიზიოლოგიური ფუნქცია, რაც შეადგენს ცალკე პირის თვისებას, ბუნებრივად ხდება საზოგადო ფუნქციად, რომელიც მტკიცდება უფლებიან ინსტიტუტებში, რომელიც საზღვრავს მოქალაქეთა უფლებას და ვალდებულობას.

ყველა ამას ბავშვები უყურებენ, გრძნობენ და შეუგნებლად ყველაფერს წინააღმდეგობას უწევენ. არ უნდა დავივი-

წყოთ, რომ ბავშვს გაჩენის პირველ დღიდანვე ერთბაშად თავს აწვება მთელი სოფლიო, მთელი ბუნება, ორგანიული და არა ორგანიული ქვეყანა, ცალკე პირები და საზოგადოება. საჭიროა შევიბრალოთ ბავშვები, ხელი შევუწყოთ მიმოიხედოს გარშემო, გაეცნოს და თან და თან განთავისუფლდეს ამ აუარებელის და რთულის ტვირთისაგან. ეს ვანთავისუფლება ადამიანის მსოფლიოს შეგნებაშია. საუკეთესო მოსამზადებელ საშუალებად ბავშვების მიერ საზოგადოების რთულ მოვლენათა გაცნობაში იქნება სოკრატის სიტყვები: „შეიგენ შენი თავი“ ე. ი. საკუთარი სხეულის ფუნქციების საფუძვლიანი გაცნობა.

და აი რომელიმე დიდებულმა ხელოვანმა რომ აიღოს ყოველგვარი ფიზიოლოგიური პროცესები თავის შემოქმედების საგნად, თუნდ ფიზიოლოგიურად სიმართლით ასწეროს ყველაფერი, მისი შემოქმედებიდან მხატვრული ნაწარმოები მაინც არ გამოვა. ფრიად ცნობილნი დედა-მამანი პორნოგრაფიული ლიტერატურისა არსებითად თავის საქმეს არ აკეთებენ: სოციალურ პსიხოლოგიის გამოსახატავად ისინი მიძვრებიან ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიის დარგში.

აი ასეთი წიგნები და ნაწარმოები უეჭველად დასაგმობია. მაგრამ რადგანაც ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია შევიტანოთ სკოლებში სქესობრივი ჰიგიენისა და გამრავლების პროცესის სწავლება, ჩვენ ვერ ვპოულობთ მიზეზს თუ რისთვის არ უნდა ისარგებლონ მოწაფეებმა ისეთის სახელმძღვანელოებით, რომელნიც მართლა ხელმძღვანელობას გაუწევენ და არ იქნებიან ისეთი, როგორც პორნოგრაფიული წიგნაკები.

დასასრულ ვიმეორებთ: საქმე ბავშვებზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ მათს მშობლებზე და სახალხო განათლების ოფიციალურ ხელმძღვანელებზე. ვის შეაქვს ბავშვის გონებაში აკვნიდანვე ცრუ ცნობები მამაკაცთა და დედაკაცთა, ქალთა და ვაჟთა სოციალურ განსხვავებაზე? ვინ აცალკევებს მათ, აშორებს ერთმანეთს, როცა უშლის საერთო სკოლების გახსნას ქალთა და ვაჟთათვის? ვინ ამცირებს დედაკაცს ყოველს ნაბიჯზე, არ აძლევს ნებას დაიჭიროს საზოგადოებაში სასარგებლო და საჭირო სამსახურის ადგილი; თუნდ ის უფრო ნიჭიერი იყოს მამაკაცზე?

თუ ჩვენ ვუსაყვედურებთ მშობლებს მრავალს ცრუ მორწმუნოებას, უნდა ვსთქვათ, რომ საზოგადო აზრი ჩვენში საკმაოდ მომწიფებული უნდა იყოს საზოგადო ცხოვრებაში ძირითადი რეფორმების მოსახდენად და იმათ რიცხვში ბავშვების აღზრდის საქმეშიაც. ჩვენ გვგონია, რაც უნდა დაბრკოლება გვედოს წინ, დრო მაინც თავისას ითხოვს. (В. Зн.)

კარგი მასწავლებელი

მასწავლებლის თვით-განვითარება

(ანასტასიევისა)

რაც უნდა უბრალო, რაც უნდა მცირე იყოს ჯამი იმ ცოდნისა, რაც შეადგენს დასაწყისი განათლების კურსს, რაც უნდა ადვილი იყოს, ერთის შეხედვით, ორიოდე საგნის შესწავლა—ეს საგნები რომ ასწავლო დასაწყისს და საშუალო სასწავლებლებში, მასწავლებელს მაინც არ შეუძლია ნაყოფიერად შეასრულოს თავისი საქმე, თუ მას თავდაპირველად არ მიუღია შესაფერისი წინასწარი, როგორც საზოგადო, ისე სპეციალური, განათლება, და შემდეგ ძიაც არ აფართოებს და არ აღრმავებს თავისს ცოდნას. უწინარეს ყოვლისა მასწავლებლისათვის აუცილებლად საჭიროა საფუძვლიანი ცოდნა სასწავლო საგნებისა. რა მასწავლებელია ის, რომელსაც საგნებიც კი არ აქვს რიგიანად შეთვისებული? რას და როგორ ასწავლის ის თავის მოწაფეებს, თუ თვითონ სუსტად იცის სასწავლო საგნები?—ცხადია, რომ მასწავლებელმა არამც თუ ზედმიწევნით უნდა იცოდეს გადასაცემი საგნები, არამედ მუდამ უნდა ცდილობდეს თავის ცოდნის გაფართოებას ამ საგნების ფარგალში. ამის გარდა, მასწავლებლისთვის აუცილებლად საჭიროა მიიღოს, შეძლების და გვარად, ყოველ მხრივი საზოგადო განათლება: ერთი მეცნიერება დაკავშირებულია მეორესთან, მასწავლებელს არ შეუძლია ჭეშმარიტად საკმარისი ფართო მეცნიერული შეხედულობა, თუ მას არ მიუღია საზოგადო განათლების კურსის ცოდნა. მასწავლებელს, უფრო კი ერთი რომელიმე საგნის სწავლების დროს, ხშირად მოუხდება შეეხოს სხვა რომელიმე, მონათესავე და ახლობელ დარგის ცოდნას. შემდეგ ამისა სპეციალისტ-მასწავლებელმა უნდა იმოქმედოს მოწაფის ყველა საუკეთესო მხარეებზე და განავითაროს ისინი. როგორ დაეხმარება ის მოწაფეს ყოველ მხრივ განვითარებაში, როდესაც თვითონ არ აქვს მიღებული საკმაო ფართო სწავლა-განათლება. მეცნიერულ-განათლების დამახასიათებელ თვისებას კი, უწინარეს ყოვლისა, შეადგენს მუდამ შეუსუსტებელი, ცოცხალი და მოუღალავი მისწრაფება ახალი ცოდნის შესაძენად. მასწავლებელი, რომელიც მისულა იმ დასკვნამდის, რომ ის უკვე საკმაოდ განათლებულია და მას ადარ ესაჭიროება თავის ცოდნის გაფართოება, ღირსი არ არის იმ თანამდებობისა, რომელიც მას უკავია,—ის მასწავლებელი კი არა, დაქირავებული მოჯამაგირეა. რაკი მიატოვი თვითგანვითარებაზე ზრუნვა, მასწავლებელს არ შეუძლია თავის მოწაფეებს ჩაუნერგოს ეს თვისება—ცოდნის მოუვარეობისა, რადგან თვითონ არ აქვს, არ შეუძლია გაჩადოს მოწაფეში ნაპერწკალი გონებრივად თანდათან გაღვიძებისა, თუ ეს თვისება მასწავლებელში ჩამქრალია. ასეთ მასწავლებელს არ შეუძლია გულ-წრფელ აღფრთოვანებით გადასცეს მოწაფეს ცოცხალი აზრი, მკვირცხლი გრძნობა და მიიზიდოს სწავლისკენ მოწაფეების ნორჩი გონება. ასეთ მასწავლებლების გაკვეთილებს, ჩვეულებრივად, აქვთ ერთნაირი ხასიათი და წლიდგან-წლობამდის იმეორებენ, ლეკვენ ერთსა და იმავეს ერთნაირის ხერხით. სამართლიანად შენიშნავს რუსის ერთი პედაგოგი. „დიდს მეცნიერსა, რომელიც ახდენს მეცნიერულ გამოკვლევებს, და დასაწყისი სკოლის მოწაფის შუა, რომელიც აკეთებს პირველ ნაბიჯებს გონებრივ განვითარებისკენ, უფრო ნაკლები მანძილია, ვიდრე იმ მოწაფისა და მასწავლებლის შუა, რომელმაც უკვე მიატოვა ზრუნვა თვით განვითარებაზე: დიდი მეცნიერი და მოწაფე დასაწყისი სკოლისა, განმსჭვალულნი არიან გონებრივ განვითარე-

ბის აზრით, ისინი ერთსა და იმავე კიბეზე სდგანან, მხოლოდ ერთი ზედა საფეხურზეა, მეორე კი ქვედაზე. ამ კიბეზე არ აქვს ადგილი, არ აქვს საფეხური იმ მასწავლებელს, რომელმაც უკვე შესწავლიტა ზრუნვა თვითგაივითარებაზე. ადამიანს არასოდეს არ შეუძლია და არც უნდა წარმოიდგინოს თავის თავი რადაც მკვდარ, სრულიად დამთავრებულ შენობად. როგორც ცოცხალი არსება, ის უნდა მიისწრაფოდეს წინ, არ სწყვეტდეს მეცადინეობას და შრომას თავის თავზე. ყველა მასწავლებლისთვის აუცილებლად საჭიროა თავის თავად მეცადინობა (იმ საგნების შემდეგ, რომელსაც ასწავლის) იმ საგნებში, რომელთაც ახლობელი დამოკიდულობა აქვთ მის მოღვაწეობასთან, ასეთი არიან „პედაგოგია“ და „პსიხოლოგია“, უფრო კი ფსიხოლოგია ბავშვის ჭკვისაკის. ზედმიწევნითი კაცნობა, როგორც ერთის, ისე მეორე საგნისა, შეძლებას აძლევს მასწავლებელს დაინახოს თავისი ნაკლი, რომელსაც იგი წინად ვერ ამჩნევდა, გაიგოს პირობები, თუ როგორ შეიძლება გაკვეთილების უფრო ნაყოფიერად გადაცემა და უფრო ღრმად ჩასწვდეს გონების თვალით მოწაფის სულიერ ქვეყანას. მასწავლებლისთვის სასარგებლოა აგრეთვე ფილოსოფიურ თხუზულებების კითხვა, რადგან მათ შეუძლიათ გაფართოვონ მისი მეცნიერული შეხედულობა და ხელი შეუწყონ საფუძვლიან მსჯელობაში. თუ მასწავლებელი აკმაყოფილებს მხოლოდ იმ მცირე მოთხოვნილებათა, ურომლისოდ მას სრულიადაც არ შეუძლია გაკვეთილების ახსნა, ადვილად შესაძლო მას ეწვიოს არა სახარბიელო ბედი. მეცნიერება დღითი დღე წინ მიდის, ცვლის და ავსებს ძველს ახლით. როდესაც მასწავლებელი გვერდს უხვევს ამ მოძრაობას, ის თანდათან სწყვეტს მეცნიერებასთან კავშირს და ჩერდება ერთ წერტილზე; ვინც წინ არ მიდის, ის უკან რჩება.

როდესაც მასწავლებელი სდგას მეცნიერების და თვითგანვითარების გზაზე, ის თავიდგან იშორებს მრავალ ნაკლულოვანებას, რომელთა რიცხვი, სხვათა შორის, მასწავლებლის თავის თავზე დიდი წარმოდგენა, შეგნება თავის გონებრივ უპირატესობისა მოწაფეებთან შედარებით, ხანდახან აბრკოლებს მასწავლებლებს. ამ პარტავნობასთან მტკიცედ დაკავშირებულია უკმეხი და ხეპრული მსჯელობა. რომ მასწავლებელი აცილდეს თავის თავზე ასეთს წარმოდგენას, საჭიროა არ ჩაიკეტოს თავი თავის სპეციალობის ვიწრო ჩარჩოებში. როცა მასწავლებელი ვითარდება თავის სპეციალობის გარეშეც, მაშინ ის დაინახავს, რა ძნელია მოწაფისთვის ახლის შეთვისება და ამიტომ ხდება ზომიერი და დამთმობი მასთან თავის მოოხოვნილობებში. რამდენადაც მასწავლებელი უოველ მხრივ განვითარებულია, იმდენად ის უფრო ითმენს მოწაფეთა უხეირობას გაუგებრობას.

მეცნიერების შესწავლა გარდა იმისა, რომ იფარავს მასწავლებელს სიბრიყვისაგან, გონებრივის სიბერისაგან და სულიერად გამოლაუებისაგან, იხსნის მას აგრეთვე „პედანტიზმისაგან“, რაც გამოიხატება ერთხელ მიღებულ ფორმების ბრმა მიმდევრობაში, გარეშე, უბრალო რამეების ზედმეტ გაზვიადებაში და ამა თუ იმ საქმის ნამდვილ ვითარების გაუგებლობაში. მხოლოდ ის, ვინც თავს აღწევს ათასნაირ შემავიწროვებულს პირობებს, არ ჭკარგავს ხალისს დაეწაფოს ოვით-განვითარების წყაროს, ვისაც ახარებს სინათლე მეცნიერებისა, ვინც ეროს საათს მაინც უთმობს დღეში სწავლა მეცნიერებას, მხოლოდ ის არ ბერდება, არ ლაუდება გონებრივად მაშინაც კი, როცა პირისახე იფარება ნაოჭებით და თმა ჭაღარით.

ბეს. ღამბაშიძე.

Raoul Wallenberg

იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილი

(ორმოცდა ხუთის წლის პედაგოგიურს ასპარეზზედ მოღვაწეობის გამო)

იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილი ჩვენში ცნობილი პირია. მისი ცხოვრების ცნობების აღწერა ჩვენთვის იმდენად საჭირო არ არის, რამდენადაც მისი მამულიშვილობის გაცნობა, მისი კაცად-კაცობა, მისი სულის და გულის ზე აღმაფრენი მოქალაქობა, შრომა, ცდა და ღვაწლი, რაც საყურადღებო და საგულისხმიეროც არის ყოველის ქართველისათვის. ჩვენც ვალდებულნი ვართ ასეთ კაცთა ცხოვრებას თვალ-ყური ვადევნოთ და მისგან ვისწავლოთ ჩვენი სავალდებულო კაცური მცნება—კერძოდ ქართველთ მამულიშვილობის ვალდებულება და საზოგადოდ მსოფლიო ვითარება.

ერთსა და იმავე დროს იაკობ სვიმონისძე გოგებაშვილი არის ქართველი მოღვაწე, ქართველი მამულისშვილი, დაჩაგრულ და დაბეჩავებულ ერთა მოსარჩლე, მათი ისტორიის მცოდნე, მოამაგე, მფარველი. ამავე დროს იგი გახლავთ მსოფლიო მასწავლებელი, ჩვენი პედაგოგიის მამა-მთავარი. ამას გვისაბუთებს მისი განვითარებული შრომა, მისი დაუფასებელი რეალური ამაგი. ასეთის ამაგის ისტორია მეტად დიდია, მეტად ფართოა; ამის ისტორიის ცნობას დიდი შრომა და შესწავლა უნდა, იგი გაფანტულია ქართულ და რუსულ გაზეთებში, მას ანუსხვა უნდა, შეკრება, ბეჭდვა და გამოქვეყნება. უამისოდ ჩვენ იაკობ სვიმონის ძის გოგებაშვილის მარტოდ „დედაენა“ და „ბუნების კარის“ მეტი სხვა არა გვეცოდინება-რა.

ი. ს. გოგებაშვილის მსოფლიო მნიშვნელობას, მსოფლიო მისწრაფებას და კაცად—იშვიათ კაცობას ცხადათ ასაბუთებს და ამტკიცებს თვით ისეთი პატარა წერილებიც კი, რომელიც, მაგალითებრ, მან მიუძღვნა ინგლისის ფილოსოფ-მეცნიერ ჰერბერტ სპენსერის გარდაცვალებას. მარტო ეს წერილი რომ წავიკითხოთ, მარტო ეს პატარა მცნება, თვით აქედამაც კი მივხვდებით კარგად, რომ დიახ, ჩვენ, ქართველნი, ვყოფილვართ რამე და გვყოლიან ჩვენი მოსარჩლე, მოამაგე და მოტრფიალე გულ-შემტკივარი კაცები, რიგიანი მოძღვარნი, გზის მაჩვენებელნი, მოამაგენი, რომელნიც ამ უკაცობის დროს, გულადათ და მხნეთ წინ გვიდგანან და თვისის შრომითა და სამსახურით გონებასაც გვინათებენ და გვიახლებენ ბევრნაირის საჭირო მცნებით და კაცურის მიხვედრის ვალდებულებით.

იაკობ სვიმონის ძეს შეუძლიან თამამად სთქვას შემდეგი თქმულება: მოვიცალე სხვათა ყოველთა კეთილთაგან და ვერ მოვიცალე ქართველის ტომის მსახურებისაგან. დიახ, სულს უხარის, გულს ელხინება, როცა ჩვენის ქვეყნის შრომის ასპარეზზედ ასეთ ენერგიის კაცებს ვხედავთ, ასეთს დაუშრეტელის მამულისშვილობით აღვსილს გმირებს, ასეთს სუფთა მოამაგე მუშაკთ კი არა, არამედ მოციქულებს. ნახეთ თუნდ, აი ამ ბოლოს დროს, გამოცემული იაკობ სვიმონის ძის ნაწერების პირველი წიგნი, გულზედ ხელი დავიდოთ, ჩვენის ნამუსის წინაშე ქუდი მოვიხადოთ და ვსთქვათ სწორე სიტყვა, სწორე ფასი, სწორე საწყაული ჩვენთვის მარად სასწავლებელ კაცის ცხოვრების,

შრომის და მოქმედების შესახებ და მე იმედი მაქვს, რომ მაშინ ჩვენთვის ყოველივე ფარდა ახდილი შეიქნება, ყველაფერი გამოჩნდება და მით იქნება ჩვენც ვისწავლოთ რამე, თვალები გავახილოთ და ფუქსავატ ცხოვრების და ლაყბობის მაგიერ ამ პირის საქმიანობის და მამულის შვილობის მსგავსს გზას დავადგეთ.

მე რომ მიკითხავს რუსთა გამოჩენილ კაცთა ცხოვრება, მაშინ გული მომკვდომია, სული ამშფოთებია, რა არის ჩვენი ცხოვრება, ჩვენ არც ჩერნიშევსკი გვყავს, არც პისარევი, არც ჰერცენი, მაკუნინი, არც მიხაილოვსკი და არც სხვა ბევრი ამ გვარნი რუსეთის ერის გონებითი განახლების მეთაურნი და მამანი, რა ვართ ჩვენ, რა დავაშავეთ, ამ განახლების მეცხრამეტე საუკუნეში? მაგრამ მადლობა გარემოებას, გულ დაწყვეტილთ, სულით აღშფოთებულთ და უკაცობის მაყურებელთ გვაქვს კიდევ ბედნიერება და არსებობის იმედები, სასოწარკვეთილების მომსპობი გარემოებანი, ჩვენი დაიშვიათებული კაცობის სინათლე და სიგმირენი, ყოველივე ამისი ძალა და სახსარი გახლავსთ ზოგიერთ თითო ოროლას გარდა, იაკობ სვიმონის ძის ცხოვრება, მოქმედება და შრომა, რასაც ეჭვი არა აქვს და რაც ცხადია და სწორი ისე, როგორც ნათელ დღეს მზის გამომცემი ბრწყინვალე შუქი—ნათელი სხივი.

რომ ბ-ნ ი. გოგებაშვილს აუარებელი ღვაწლი მიუძღვის ჩვენში საპედაგოგიო ასპარეზზე, ამაში დარწმუნებულია ყველა წერა-კითხვის მცოდნე ქართველი. მაგრამ ყველას არ ეხსოვნება ის თავ-გამოდებითი მედგარი ბრძოლა, რაც გამოიარა ამ თავიდანვე ერთად ერთმა ბრძოლის ველზე დარჩენილმა სახელოვანმა მეომარმა, რომელსაც მტკიცედ ეჭირა ხელში და დღესაც, ჩვენდა სასიხარულოდ, თამამად მიაფრიალებს განათლების დროშას. თუ ხალხის განათლება დედა ბოძია ერის ყოველის მხრით ბედნიერებისა, თუ მთელი ზნეობრივი და გონებრივი განვითარება ერისა დამოკიდებულია კანონიერად სწავლა აღზრდის საქმის მოწყობაზე, თუ დედა ენა ქვაკუთხედია ერის არსებობისა, თამამად უნდა ვსთქვათ—ვინც ამ საგანს ღირსეულად ემსახურება, ვინც მისთვის არ ზოგავს ცოდნას, შრომასა და ღვაწლს და ნიჭიც შესწევს, ის ყველაზე უკეთესი მოამაგეა თავის ერისა, რადგანაც ყველაზედ მეტი თვალსაჩინო სარგებლობა ერისათვის სწორედ ასეთს მოღვაწეს მოაქვს. ასეთია ჩვენს პედაგოგიურს სარბიელზე ჩვენი სახელოვანი პედაგოგი ბ-ნი იაკობ გოგებაშვილი. ვისაც თვალყური არ უდევნებია მისი მოღვაწეობისათვის, ვურჩევთ წაიკითხოს ახლად გამოცემული მისი „რჩეული ნაწერები", რომლის ფასი ისე მცირეა, რომ მისი შეძენა, თუ გული გულობს, ყველას შეუძლიან და ყველანიც ვალდებულნი არიან გაეცნონ აზრსა და მიმართულებას, რასაც მამანი ანდერძად უტოვებენ თავიანთ შვილებს.

ვისაც სმენა აქვს და თვალთ ხედვა, მისთვის ამ მოძღვრის მოქმედება და შრომაც კმარა, მხოლოდ აქ თვალის გახილება არის საჭირო, ყურადღების მიპყრობა და შესწავლა მისი, თუ რასაც ეს დიდებული ადამიანი თავის მხრით, კალმით და სიტყვით გვასწავლის ჩვენს სავალდებულო მცნებად.

იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილი ეკუთვნის სასულიერო წოდების შთამომავლობას, უფრო კი გლეხკაცობის მოდგმას: დაიბადა იგი 15 ოქტ. 1840 წ. გორის მაზრის სოფ. ვარიანში. მამა იაკობისა გახლდათ სვიმონ ბღვდელი, სოფ.

ვარიანის მოძღვარი. მეტად გულ კეთილი მოძღვარი ყოფილა, გარდაიცვალა 1860 წ. დედა იაკობისა გახლდათ—მაგდანა, თავის დროის კვალად პატიოსანი მანდილოსანი, რომელთა მსგავსნითაც სავსე იყო ქაშინდელი საქართველო. დედა იაკობისა მიიცვალ 1867 წ. ამ პირთა ღირსებას და სამაგალითო ვითარებას ცხადათ ასაბუთებს თვით ის ჭეშმარიტი გარემოებაც, რომ მათ მომავალში უნდოდათ გამოეზარდათ საუკეთესო თვისების შვილი, სამაგალითო ადამიანობის მექონი, რომლის გონებასა და აღმზრდელობაზედ შეუძლებელია რომ მშობლებს რამე გავლენა არა ჰქონოდესთ. ამას ეჭვი არ უნდა იაკობ სვიმონის ძის გულისა და სულის ძგერის არსებობაში მშობლების გავლენას დიდი თუ არა, მცირე რამ მნიშვნელობა მაინც ექნება.

იაკობ სვიმონის ძე პირველად სწავლობდა ტფილისის სასულიერო სასწავლებელში, სადაც პირველ მოწაფედ ითვლებოდა. მერე იქიდამ ტფილისის სემინარიაში შევიდა, სადაც პირველ მოწაფედ დაამთავრა სწავლა 1861 წ. და მერე აქედამ მთავრობამ იგი გაგზავნა კიევის აკადემიაში, სადაც მან ბრწყინვალედ დაამთავრა კურსი ყველა საზოგადო საგნებისა. აკადემიის პროფესორთა რჩევას სურვილი ჰქონდათ, რომ იაკობ სვიმონის ძე აკადემიაშივე დაეტოვებინათ პროფესორის თანამდებობის მისაღებად, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა, რადგანაც იქაურს ჰავას ვერ იტანდა ადვილად და ამიტომ იგი საქართველოში დაბრუნდა და პირველის წლიდგანვე აღმოჩნდა სამასწავლებლო ასპარეზზე მუშაკად. ჯერ იყო მასწავლებლად ტფილისის სასულიერო სემენარიაში, მერე სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად. სადაც კი მსახურებდა იაკობ სვიმონის ძე სამოსწავლო ასპარესზედ, იქ მას შეჰქონდა თავის ბრწყინვალე გეგმა და წეს-წყობილება სწავლა განათლების სასარგებლოდ. მისი მოღვაწეობა, როგორც სემენარიაში, ისე სასულიერო სასწავლებელში არის ბრწყინვალე და შესანიშნავი, სამაგალითო. მაგრამ ჟამთა ვითარების და სხვა და სხვა ნაირ საქმეთა გამო, ეს ამ ასპარესზედ დიდხანს არ დარჩენილა. 1873 წ. იგი განშორდა მას, თავისთვის დაიწყო ცხოვრება და მოქმედება.

ამ საქმის თავ-დანებებას დიდი ისტორია აქვს, აქ მის ანუსხვას ჩვენ არ შეუდგებით, ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ იაკობ სვიმონის ძის პედაგოგიური მოქმედების და მოღვაწეობის შესახებ საკმარისი ცნობები მოიპოვება საიდუმლოდ დაბეჭდილს სინოდის რევიზორის კერსკის რევიზიის ვრცელს წიგნში. იქიდამ კარგად სჩანს, რომ იაკობ სვიმონის ძეს თავის მოღვაწეობის დროს სკოლებში საკმარისის მხნეობით უფხიზლებია ქართველი მოწაფენი და მათში უადრესის მიდრეკილებით ულვიძებია მამულის-შვილური გრძნობები, მეცნიერების პატევისცემა, წიგნების კითხვა, ქართულ მწიგნობრობის სიყვარული, პატივისცემა მწერლობისა და სხვანი, რასაც მართლაცა და კერსკის რევიზიის გარეშე ცხადათ მოწმობენ თვით იმ დროის ის ქართველნი განათლებულნი პირნი, რომელნიც იაკობ გოგებაშვილის ზე გავლენის და დარიგების მეოხებით კაცად ქცეულან.

გავიხსენებთ აქ ერთს მოგონებას რომელიც ახასიათებს ჩვენს პედაგოგს, როგორც ჩინებულს პრაქტიკულ მუშაკს სამასწავლებლო ასპარეზზედ.

ჩვენი ბელეტრისტი ს. მგალობლიშვილი თავის „წარსულიდან“-ში (ს. შუალო

სასწავლებელი, ნაწილი მესამე. ახალი სასწავლებელი, თავი VIII), რომელიც იბეჭდებოდა 1899 და 1900 წლ. ჟურნალ „მოამბეში" ასე ახასიათებს იაკობ გოგებაშვილსა:

„საშუალო სასწავლებელთან (აქ ავტორი გულისხმობს სასულიერო სემენარიას) მოთავსებული იყო დაბალი სასწავლებელი, იმისთანა ტიპის სასწავლებელი, რომელიც ჩვენ ამ მოთხრობით მეორე ნაწილში ავწერთ. მაგრამ განსხვავება დიდი ვნახეთ: ჩვენ სრულიად უსწავლელნი, გაუგებარნი ჩამოვედით საშუალო სასწავლებელში; ორის წინადადების გადაბმა არც ქართულად და არც რუსულად არ შეგვეძლო; ასეთივე იყვნენ სხვა პროვინციებიდან ჩამოსულნიც, მაგრამ სულ სხვა იყვნენ ტფილისის დაბალი სასწავლებელიდან (აქ ავტორი გულისხმობს სასულიერო სასწავლებელსა) საშუალო სასწავლებელში გადმოსულნი. ესენი მშვენივრად ლაპარაკობდენ ქართულადაც და რუსულადაც, ბაასობდენ და მსჯელობდნენ ორსავე ენაზე. პირველად ამათგან გავიგონეთ გამოჩენილ რუსთა მწერალთა სახელები: გოგოლი, ტურგენევი, დოსტოევსკი და სხვები; გვიკვირდა, თუ ვინ იყვნენ ეს კაცები, ვის ეკუთვნოდნენ ეს სახელები; რამდენი დაცინვა, რამდენი თავში ცემა გვხვდა საცოდავ პროვინციელებს, ამ დიდებულის მწერლების სახელები რომ ვიკითხეთ. ეს სასწავლებელიც ყოფილა ერთს დროს ისეთივე ჩალფაჩუნა, როგორიც ჩვენი, მაგრამ მის ბნელს სამეფოში ადრე შეაშუქა განათლების სხივმა: მესამოცე წლების დიდებულის აზრებით გულ-გამთბარმა, ჭკუა-გონება გაბრწყინვებულმა ადამიანმა შეიტანა ეს წყვდიადის გამფანტვი სხივი, მაგრად დაიკავა განათლების ლამპარი ხელში და ეკლით მოცული გზა გაჭკაფა და გაატარა მშვიდობისა, მამულის სიყვარულისა და სწავლა-განათლების მოყვარეობის გზაზე. თუმცა ნათქვამია: „ერთი მერცხლის მოფრენა გაზაფხულს ვერ მოიყვანს, ერთი მხედარი ბრძოლით ველზე ვერას გახდება", მაგრამ მე ამის წინააღმდეგი ვარ; უკედ რომ ვსთქვათ, ეს ანდაზა აი რას ნიშნავს: ხანდისხან ერთი მერცხლის მოფრენას მაშინვე არ მოჰყვება ხოლმე გაზაფხული; „წყეული მარტის თვე" შეაფერხებს ხოლმე ხანდისხან გაზაფხულის დადგომას და „იმ ერთს მერცხალს" სხვა მერცხლები ფეხდაფეხ ვერ მოჰყვებიან ხოლმე; მაგრამ იმ ერთს მერცხალს თავის დროზე მეორე მოსდევს, იგი წინამორბედია მაინცა და მაინც გაზაფხულისა, მის კვალს სხვანიც გამოჰყვებიან ხოლმე; ერთი მხედარი, მართალია, ლელოს ვერ გაიტანს, მაგრამ მისი მაგალითი თავგანწირულების, მაინცა და მაინც დიდი ამბავია, იგი ის **მერანია**, რომელიც პოეტისა არ იყოს, მაინც გზას გასთელს, ბილიკს დააჩენს, რომ შემდეგს მხედარს უბორძიკოდ შეეძლოს გავლა ახლად გათელილს გზაზე. აი ამ მადლიანმა მერცხალმა, ამ ერთად ერთმა თავგანწირულმა მხედარმა გამოაბრუნა სასწავლებელი კეთილ გზაზე და შემდეგ, როდესაც დარწმუნდნენ მის სიკეთეში, სასწავლებლის სათავეშიაც ჩააყენეს. მისი მეოთხე კლასის შეგირდები ჭკუა-გონების განვითარებითა, ცოდნითა, სხვა და სხვა წიგნების შეგნებულად ნაკითხებით საშუალო სასწავლებლის მოწაფეებს არ ჩამოურჩებოდნენ და ხშირად დისპუტში კიდევაც სჯობნიდნენ. ყველას გული და სული მიზიდული იყო ამ მადლიანი ადამიანისაკენ. ყველას გვენატრებოდა ხშირ-ხშირად მისი ნახვა, თვალის დაკვრა; თუმ-

ცა იგი ჩვენს ახალს სასწავლებელში არ მასწავლებლობდა, მაგრამ მისი ბრწყინვალე სხივი ჩვენც გვათბობდა, ჩვენს გულშიც ნერგავდა საღმრთო აზრებსა, კეთილ მისწრაფებათა. თვისს სიცოცხლეში სხვაც რომ არა გაეკეთებინა-რა ამ მადლიანს, ამ სხივ-მომფენს ადამიანსა, მაინც უკვდავად დარჩებოდა მისი სახელი ჩვენს ქვეყანაში ახალი თაობის კეთილად დამწყისათვის. ის ეკლის გვირგვინი, რომელიც მას ბოლოს ჟამს წილად ჰხვდა სასწავლებელში, ყველა მაშინდელ მოსწავლეს, ან ცხოვრებაში გამოსულს, ნათლად უდგიათ თვალ წინ; ეს გვირგვინიც კმა არის, დაუვიწყარ იყოს იგი სახელოვანი კაცი დღეს ჩვენ შორის".

აქ ბ. ს. მგალობლიშვილი არ ასახელებს პირადად ი. სვ. გოგებაშვილსა, მაგრამ ავტორი სხოლიოში ამბობს: „ეს სტრიქონები შეეხება იმ კაცსა, რომელსაც მთელი საქართველო იცნობს, როგორც მამა-მთავარს ქართულის პედაგოგიისას, ამიტომ საჭიროდ არ ვრაცხ მის პირადად დასახელებას".

იაკობ სვიმონის ძის თვალის გახილეგისა და ცხოვრების ასპარესზედ გამოსვლის დროსთან, მკაცრად არის დაკავშირებული ის ხანა და მდგომარეობა ქართველთა, როცა მთელს ქართველობას სალათას ძილით ეძინათ, როცა ქართველებში არც ანბანი იყო წიგნად დაბეჭდილი და არც სხვა ასეთნი მრავალნი. იაკობ სვიმონის ძეს სრულიად ცალიერი სამოქმედო ასპარეზი დახვდა. მაინც ძან ამით გული არ გაიტეხა, სამშობლო ქვეყნის საქმეს გულ მხურვალედ მოჰკიდა ხელი და ჯერედ ინსპექტორად, ანუ მასწავლებლად იყო, რომ მან გამოსცა ქართველთათვის უბრალოდ, ანუ მარტივად დაწერილი კარგი ანბანის წიგნი და ამ ანბანს მალე მოაყოლა „ბუნების კარიც". ამ ორი წიგნის მოვლენა მაშინ ქართველთათვის გახდა ისეთ საქმედ, როგორც ციდამ მოვლენილი მანანა. მინამდის თუ რამ ორიოდ ქართული ანბანის წიგნები იყო ქართველთ შორის, ყველა ძველის ენით ნაწერი და ძველის ამბებით, თითქმის მკვდარ შინაარსიანი და უსიცოცხლო იყო იმ დროის ქართველთათვის, როგორც უვარგისს მეთოდზე შედგენილი.

1865 წ. შემდეგ, ი. გოგებაშვილი სდგას ჩვენის საზოგადო საქმეთა მოქმედების ასპარეზზედ, იგი მოქმედებს კალმით, საქმით, სიტყვით. მარტოდ იმ დროდამ ჩვენამდე, მან დასტამბა მრავალ ნაირ ქართულ სახელმძღვანელონი. 1875 წ. გამოსცა პირველად „დედა-ენა", რაც გახდა დიდს მოვლენად არამც თუ მარტოთ ქართულს პედაგოგიურს მწერლობაში არამედ მთელს ქართველ ერის ცხოვრებაში, ქართულს საზოგადო მწერლობაში. ამაგი და ღვაწლი ამის წიგნებისა ქართველ ერზედ დღეს აშკარა და ცხადია. ქართულ სახელმძღვანელო და სხვა წიგნების დაბეჭდილთა რაოდენობა უდრის 1,044,200 ცალს. ამ წიგნების ბეჭდვის საქმეს ვრცელი ისტორია აქვს. ამის შესახებ მთელი წიგნი დაიწერება და არა პატარა წერილი.

ასეთის ამაგით და სამსახურით ვერც ერთი ქართველი მოღვაწე ვერ დაიკვეხებს, იაკობ სვიმონის ძე პირველი გახლავსთ.

ასეთ სამწიგნობრო შრომის გარდა იაკობ სვიმონის ძეს წილად ხვდა ამ 45 წლის განმავლობაში ბევრ ნაირი სამოღვაწო საქმის ვალდებულება. ამ ხნის განმავლობაში იგი ქართულსა და რუსულს გაზეთებში, ქართველ ერს დარაჯად

ედგა და ყოველთვის და ყოველგან იცავდა ჩვენს ინტერესებს დიდის გულმხურვალებით და მამულის შვილობით. ჩვენ რომ ამაზედ სათითაოდ ვილაპარაკოთ და ავნუსხოთ ყოველივე ის კითხვები, რასაც კი ეს მკაცრი მოსარჩლე შეხებია და უწერია, მაშინ იგი გამოვა ვეება ტომი. მიტომ რომ ყოველ იმ კითხვას, ყოველ იმ საგანს, რასაც კი ეს პირი შეხებია აქვს მეტად დიდი მნიშვნელობა, დიდი ისტორია, ყოველივე იგინი ჩვენის ერის ინტერესების გარშემო ტრიალებენ და ყოველთვის პირუთვნელად და სინიდისიერად იცავენ ქართველთა ინტერესებს.

ვიტყვით იმასაც, რომ იაკობ სვიმონის ძეს ყოველს კითხვასა და მსჯელობაში თან სდევს დიდი მოქალაქობა და დიდი კაცთმოყვარება. მისი ჩვენდამი მფარველობა არის სწორი, ჰეშმარიტი, სხვა ერთა ინტერესების წინაშე უვნები და უბოროტო. მისი ნატვრა გახლავთ ქართველი ერის განვითარებით დაწინაურება, ამაღლება, თავის ისტორიის ცოდნა, ქვეყნის შენახვა—მიწა მამულის არ დაკარგვა, ცხოვრებით დაწინაურება. ხოლო ყოველივე ეს იმ გვარად, რომ იგი არც სხვა ერს ეწინააღმდეგებოდეს და ქართველი ერი ყოველთვის ძმა და მეგობარი იყოს თავის სამშობლოში შემოსულის და დასახლებულის სომხის, რუსის და სხვა ტომთაცა. მთელი ამისი მოქმედება და სამწერლო შრომა პირდაპირ ამას მოწმობს და ამას ღაღადებს.

აი დღესაც, 70 წლებს მიღწეულა იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილი, სდგას თავის მიერ არჩეულს ასპარეზზედ, დღესაც იგი მთელის თავის არსებობით, სიცოცხლით, შრომით, ქონებით, სიტყვით თუ საქმით იცავს ქართველი ერის ინტერესებს, დღესაც იგი იმავე კილოთი და ენით ეხება ჩვენს კითხვებს, იმავე გულით და წმინდა სულით, როგორც იგი ახალგაზდობიდამ გახლდათ და ამიტომ ჩვენ სრული უფლება გვაქვს, რომ მას უწოდოთ უდიდესი გულ შემატკივარი ქართველის ერისა—უპირველესი მოღვაწე. მე ვიცნობ მის ცხოვრებას და მოღვაწეობას კარგად, ვიტყვი თამამად, რომ მათი ცხოვრების შესახებ დაიწერება მთელი ტომი და არა ასეთი პატარა წერილი. აქ სადღეისოდ ჩვენ ეს ვიკმაროდ და იმედია სხვანი სხვას უფრო უკეთესად დასწერენ მომავალში.

XX.

ПСИХО-ФИЗИОЛОГИА

სატკივრის ბიოლოგიური მნიშვნელობა

(დ—რ დიკკერი)

მკაცრად, დაუნდობლად და ბრაზიანად შეიჭრება სატკივარი ჩვენს შეგნებაში. მტკიცედ და გულშემზარავად გაისმის ავადმყოფის კვნესა—უნდა რომ შეისმინონ. გინდათ თუ არა სატკივარი მაინც იპყრობს თქვენს გულის ყურს. ყოველგვარი მოქმედება უცბად სწყდება, ყოველგვარი საქმე ჩერდება. სატკივარსაც უს უნდა. მტირედის ძალით წააქცევს იგი მოწიფულს მაგარ ადამიანს. განა არის კი ისეთი ჯიუტი და თავმომწონე ადამიანი, რომელსაც ქედი არ მოეხარონ სატკივრის წინაშე, არ მოკუზულიყოს და არ დაევიწყებინოს თვისი ადამიანური დირსება ჯოჯოხეთურ წამების დროს? დიად, სატკივარი იმორჩილებს,

ის ადამიანს აშტარავებს, ერთ ნამცეცადა ჭხდის. თუ ვინმე ისე დაცა, რომ მისი ტლანქი გრძნობა ვერ ამჩნევს დრმა მწუხარებას, რომ სხვისი ტანჯვა ვერ შეარეევს მისს არა ადამიანურს გულს და არ გამოიწვევს მასში მწუხარებას, ის მაინც კანკალებს სატკივრისაგან, კბილების დრჭენით ემორჩილება მას, გაშოტილია მიწაზე, კვნესის და ეკვირის. სატკივარმა შეწყალება არ იცის. იგი წოდებასა და ხასიათებს შორის განსხვავებას ვერ ხედავს. ის იმდენად სასტიკია, რომ სამარცხვინო წარსული საუკუნოები რკინის კავებს, შანთსა და ნემსებს, ცეცხლსა და ოოკებს ხმარობდენ, როგორც ნაცადს საშუალებას ტურაქლებისა და კუდიანების წინააღმდეგ. ხალხს გუნდ გუნდათ ერეკება ექიმისაკენ ავადმყოფობა კი არა, უფრო ტკივილი და ექიმისაგანაც ჩვენ ველით უფრო ტკივილებისაგან განთავისუფლებას, ვიდრე სატკივრისაგან განკურნებას. რად იჩენს ასეთს სიმკაცრეს სატკივარი? თუ ჩვენ შეჩვეული გვაქვს თავადი და ბუნების პროცესში რადაც გონიერებასა ვხედავთ, თუ შეჩვეული ვართ რომ ცხოველ არსებათა აგებულება და შეგუება საკვირო რამ არის, თუ წარმოვიდგენთ, რომ ყოველგვარი შეგუება ცოცხალ არსებათა ჩვენ მიერ შეძენილია, რადგანაც თითოეული მათგანი თავის დროზედ მოთხოვნილებასაც შეადგენდა და სარგებლობაც მოჰქონდა ცხოვრებასთან ბრძოლაში—მაშ სატკივარი რიდასი მაქნისია? ნუ თუ მას საფუძვლად რაიმე უაზრობა არ აქვს? როგორ შეიძლება, რომ სატკივარი კარგი იყოს, ან საკვირო? ის, რომელსაც ყველა კრულავს? მაინც სასარგებლოა! სწორედ იმ ტანჯვის გამო, რაც სატკივარს მოჰყვება. ის ის ადამიანისათვის კეთილია, საყვარელი, სარწმუნო და მისთვის მზრუნველი მეგობარია.

დავუკვირდეთ შემდეგს პატარა მაგალითს: კაცი ფეხშიშველი დადის (ეს დასაწყისია). აი დაადგა მან ფეხი რადაც მწვეტიან საგანს. უცბად, როგორც ელვა, გრძნობს ტკივილს და ელვასებრ სისწრაფით აცლის ფეხს. აი პირველი უპირატესობა—სწრაფი განშორება უვნელსაგან, რაც მავნებელია. ტკივილის გრძნობა რომ არ ეოფილიყო, ეს კაცი თავისუფლად იკლიდა თავისი გზით და აუარებელი ხიჭვით აიგსებდა სხეულს. ამ სახით—მეორე უპირატესობა—კაცი იძულებულია ამოიძრაოს ხიჭვი, რომ მოიშორეს ტკივილის მიზეზი. კიდევ ერთი უპირატესობა: ნატკენ ფეხს იგი არ ადგამს, უფრთხილდება, ამით ის ჩქარა და სრულად მორჩება, ამასთან ათრთხილებს არ დაჩირქიანდეს, ანთებად არ გადაექცეს, სხეული არ მოუშალოს. მიუხედავად ამისა ნატკენი ადგილი თუ მაინც დაუჩირქიანდა და ანთებად გადაექცა, ამ ანთების დროს გაძლიერებული ტკივილები მოითხოვენ მისგან სრულს სიმშვიდეს და ზრუნვას, რაც უსაჭიროესი პირობაა კამოთელებისა. მაგრამ სატკივარს კიდევ ერთი უპირატესობა აქვს: კაცი, რომელსაც ეკალი შეერჭო ფეხში, შემდეგ უფრო გათრთხილდება. ის ამ ზიანით დაჭკვიანდა. ამ სახით სატკივარი ჩვენ გვათრთხილებს, რჩევას გვაძლევს, გვასწავლის და გვზრდის. მაშასადამე ტკივილების გრძნობის სარგებლობას ეხლა უარს ვერავინ ჭეოფს.

ერთის შეხედვით გაუგებარია, რატომ სხვა და სხვა ნაირია ტკივილის გრძნობა სხეულის სხვა და სხვა ადგილას. მტვერის პაწია ნამცეცი რო ჩაგვივარდეს თვალში, მაშინვე ვიგრძნობთ ძლიერს ტკივილს, რომელიც მხოლოდ მაშინ ჭქრება, როცა მას მოვიშორებთ ხაზი ხეხვით ან ცრემლით. ასეთი მტვერის ნამცეცი რომ ჩაგვივარდეს ცხვირში, ან პირში, სრულიად ვერაფერს ვიგრძნობთ; დიდ, ჩვენ იმდენს მტვერსა ვულაპავთ, რომ ფილტვები მთლად გაშავებული გვაქვს მისგან, მაგრამ მაინც ვერაფერსა ვგრძნობთ. ასეთი უგრძნობელია ჩვენი კანი, თვალის შესაერთებელ თხელი კანის გრძნობიერებასთან შედარებით. კანიც სხვა

და სხვა ადგილას სხვა და სხვა გვარ გრძნობიერებას იჩენს: ზურგში ჩხვლეტა ნაკლებ საგრძნობელია, ვიდრე თითის წვერებზე. ჩვენ ადვილად ვიგებთ ამ განსხვავების მიზეზს ტკივილის გრძნობაში: განსხვავება გამოწვეულია იმ საჭიროებით, რასაც მეტად ითხოვს ცხოვრებისათვის მეტად საჭირო ნაზი და ადვილად გასაჭრელი ორგანოები—ოვალები და თითები, მისთვის რომ შეასრულონ თავიანთი დანიშნულება.

მეტად ძლიერი სატკივარი იწვევს **ანთებას**. ამას დიდი სამკურნალო თვისება აქვს, რადგანაც ანთებულს ნაწილების გამომთელებისათვის საჭიროა სრული მოსვენება, აგრეთვე იმის ასაცილებლადაც, რომ ჩირქი არ ჩავიდეს სხეულში. მაგრამ არათერი ისე არ გვატანს ძალას მოსვენებით ვიყოთ, როგორც ყოველი მოძრაობა, რომელიც ტკივილს გვაგრძნობინებს. თუ კაცს ფეხში აქვს ანთება ან სხვა რამე სატკივარი, ის იძულებული მტკივანი ფეხი არათერს დაადგას, წვება და ფეხიც რჩება, ამასვე ვამჩნევთ ხმელს ძარღვებშიც. ისინი თავისთავად გრძნობას მოკლებულია, მაგრამ ასეთი არ არის ხმელი ძარღვებიხ ბუდე, სადაც ისინია გაწოლილი. იმათაც ხანდახან ანთება მოსდით, ამას მოჰყვება ტკივილი—დამშვიდება—მორჩენა. ამ სახით სატკივართან ერთად ანთება წარმოადგენს ჰირველს რგოლს იმ მოვლენათა შორის, რომელსაც გამომთელება, განკურნება მოჰყვება. ანთებული მეტად დაავადმოფებული თვალი სამშვიდეს ადწევს იმით, რომ ზემოდამ ქუთუთოები გადაეფარება. ნაწლევების ანთების დროს ისეთი ტკივილები ჩნდება, რომ რადაც ძალა ჩაგდებს ადამიანს ლოგინად და ის ძლივსდა სუნთქავს. მხოლოდ ამ აბსოლუტურ მოსვენებას შეუძლია ხელი შეუწყოს გამომთელებაში. ამ შემთხვევაში ავადმყოფი ადვილად ემორჩილება ექიმს, რადგანაც ამ უკანასკნელს მომხრედ ჰყავს სატკივარი და თუ **ამანაც** უბრძანა, მას გაუგონებენ სიტყვის შეუბრუნებლად.

ზოგს, ვისაც ექიმობისა არა გაეგება რა, ჰგონია—ვითომ რამდენადაც სხეულში ჭრილობა დრმად არის, იმდენად ტკივილიც ძლიერი უნდა იყოსო. ეს სრულიად მართალი არ არის. რადგანაც შინაგანი ორგანოები დაფარულია სიცხე-სიცივისაგან და დაშვებისაგან, რადგანაც მათ მოულოდნელად ვერ ეხება გარეგანი ძალა, არც საჭიროა, რომ ტკივილი იგრძნონ. ხირურგებს ხშირად ისეთი შემთხვევა აქვთ, რომ მჭრელი დანით და ნემსით მიადგებიან უხლორტოფორმო ავადმყოფების გულს, ნაწლევებს და სხვა და სხვა შინაგან ორგანოებს. ავადმყოფები კი ამ დროს ტკივილს არ გრძნობენ. ღვიძლი და ტყორში, თირკმელი, ძარღვები, კანტელები და ძვლები სრულიად უგრძნობელნი არიან; აგრეთვე, როგორც სჩანს, უგრძნობელია ტვინიც, როგორც ხშირად შეუსიშნავთ თავის ქალის გაჭრის დროს.

სატკივარი გვაიძულებს დამშვიდებული ვყოფილიყვნ რომელიმე ორგანო ან სხეულის ნაწილი. ეს სხეულისათვის ძლიერ კარგია. მაგრამ თუ სხეულის ეს ნაწილი არ იქნა დამშვიდებული? საშინელება იქნებოდა თუ ის ორგანო ტკივილისაგან დადნებოდა. მართლა გული არავითარ მონაწილეობას არ იღებს. იმას შეიძლება ანთებაც მოუვიდეს, გულის სატობების მოქმედებაც შეირეცეს, მაგრამ ყველა ეს ხდება უტკივრად. წარმოიდგინეთ რამდენად საშინელება იქნებოდა ყოველი მაჯის ცემა რომ ტკივილებს გვაგონებდეს. ასეთივე უგრძნობელია მუდამ დუღლავი ფილტვებიც. შეიძლება სრულიად უტკივრად მოიშალოს ფილტვები თუ ჰლევრებს არაფერი შეეხო. უგრძნობელია აგრეთვე მუდამ მჭეფი ძარღვები, გულ-მკერდის აფსკა, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს სუნთქვას და მუდამ დაუცხრომელი ნაწლევები.

მოკლედ რომ ვსთქვათ: სხეულის მსოლოდ ის ნაწილები გრძნობენ ტკივილს, რომლისთვისაც სატკივარს სარგებლობა მოაქვს; ისინი იმდენად უფრო გრძნობიერებია, რამდენადაც დაშვებულია და მეტს მფარველობას თხოულობს და რამდენადაც შეგნებულად და ადვილად შეგვიძლია დავამშვიდოთ.

ტრაპიზონი

(მგზავრის შენიშვნები)

ზღვიდან კარგი შესახედავია ტრაპიზონი. რომ იტყვიან: „შორიდან მტერს გაუხეთქს გულს და ახლოს მოყვარესო“, სწორედ ამაზეა გამოჭრილი. მიმიტაცა გემიდან მისმა მშვენიერებამ, გადავჯექი ნავზე და გავეშურე სანახავად.

ჩემი, აგერ ნახევარ საუკუნის დავიწყებული, თათრული კიდევ გამომადგა და თარჯიმანი აღარ დამჭირვებია.

ნავიდან რომ გადავხტი, იქ ზღვის პირად, სხვათა შორის, ერთი ვიღაც დარბაისელი თათარი დამხვდა და, ყური რომ მოჰკრა ჩემ ჩიქორთულ-თათრულს, ღიმილით მითხრა: სომეხი ხარ?

— არა, ქართველი!

— ვაჭარი?

— არც ვაჭარი. გზად გამოვიარე.

— მაშ დათვალიერება გინდათ ქალაქის?

— დიახ.

— კეთილი! მე გაგატანთ თანამგზავრს და ის გიჩვენებსთ ყოველივეს. ფეხის ქირასაც ბევრს არ გადაგახდევინებსთ. ჰეი —მიუბრუნდა ვიღაც ახალგაზდას— იახელი, ყოლიფერი უჩვენე, რაც კი სანახავია!.. არ დაგავიწყდეს გურჯის საფლავი!.. აქ ერთი გურჯის თავადი მარხია და მისი საფლავი ნახეთ!—მომიბრუნდა მე.—მე და ჩემი მგზავრი შეუდექით გზას. ბევრი ოღრო-ჩოღრო ამატარ-ჩამომატარა და ბოლოს, როგორც იქნა, მივადექით ბერძნების წმინდა-გიორგის ეკკლესიას. საყდრის კარები დაკეტილი იყო, მაგრამ გალავანი კი-ღია. იმ გალავანში ერთადერთი საფლავია ოთხ-სვეტიან თაღ ქვეშ, რიგიანად შენახული ბერძნულ ზედ-წარწერით. გავსინჯე ყოველ-კუთხით და ერთგან ეს ეწერა ქართულად:

„განმეშორა მე პირველ ქმნილი სიკეთე, მშვენიერება და მდებარე ვარ, შიშველ დაგდებული საფლავსა ამას შინა. ტომისაგან დავითისა, სრულიად იმერთა მეფე სოლომონ, რომლისათვისცა ვითხოვ ყოველთა მიერ შენდობასა“ თებერვლის 8-სა ქ. აქეთ ჩყიე.

საფლავი არ არის ურიგოდ შენახული და ზედ-წარწერაც ისე ცხოველია, თითქო გუშინ დაუწერიათო. ფიქრებმა გამიტაცეს. გამახსენდა იმერეთის, ამ უკანასკნელ მეფის, შავი დღეები. მისი დაპატიმრება, მისი გაქცევა და სათათრეთში თავის შეფარება. აბა ამაზეა ნათქვამი:

„სადაური სად მოკვდება, სად უთხრიან სამარესო?“ კიდევ კარგი, რომ ასე დაუმარხავთ მაინც!...

მაშინ ამ გადავარდნილ მეფეს თან გაჰყვა ორი სვიმონ წერეთელი და ალბათ იმათი მეოხებითაა ეს: დაუმარხავთ და, როცა დაბრუნებულან სამშობლოში, ის მიუტოვებიათ ასე სხვების ამარად. — საფლავის ქვაზე წარწერაც, ალბათ, მისი მოძღვრის ყანჩავლის ხელითაა. იმ წმინდა მამის ხელით, რომელიც სამშობლოში აღარ დაბრუნებულა, შევიდა ათონის მონასტერში და იქ იხსენიებდა წირვა ლოცვის დროს უბედურ მეფეს... საუკუნოდ იყოს მათი ხსენება.

აკაკი.

მოგონება*)

(ბოდბის მონასტრის ცხოვრებიდან)

1898 წელს ბოდბეს მონასტერში მასწავლებლის ადგილი მივიღე. სწორედ 4 იანვარს მივედი მონასტერში: ასე მქონდა წერილით ნაბრძანები იღუმენიასაგან.

ორი კვირის შემდეგ იღუმენია ტფილისში წავიდა, და აი მონასტერში მცხოვრებნი როგორ მოველოდით იმის დაბრუნებას:

რა დღესაც უნდა მოსულიყო, ხაზინადარ—მოლოზანს დეპეშა მოუვიდა. ერთი ალიაქოთი შესდგა. უფროს მასწავლებლისაგან ნათქვამი გვქონდა, რომ ყველანი შეგირდებით შევიკრიბებით ეზოში იღუმენიას დასახვედრადაო.

დაღამდა. რვა საათი გახდა. მორიგე მასწავლებელმა ბავშვებს ჩაი დაალევინა და, საწოლ ოთახებში აყვანის მაგიერ, ისევ კლასებში შეიყვანა.

სამრეკლოზედ მრეკავი—მოლოზანი წამოსკუპდა და ნუკრიანისაკენ გაიცქირებოდა: დაინახავდა თუ არა მომავალ ეტლს, ზარების წკრიალი უნდა გაემართნა.

გაისმა ზარის ხმა. ბავშვებმა საჩქაროზედ ჩაიცვეს და მწკრივად ეზოში გამოვიდნენ, ჩვენც ყველანი უნდა შევგებებოდით.

ზამთარია. ჰყინავს. მოკაშკაშებული ცა მოციმციმე ვარსკვლავებით თვალს გვიშვრება. მთვარე შუა ეზოში მდგომ ხეს მოჰფარებია და ნიშანს გვიგებს: გცივათ თუ არაო!

ცივა. ფეხებს თოვლზე ვაბარტყუნებთ. ბავშვები მალი-მალ ხელებს პირით ითბობენ.

მომავალმა ეტლმა სიღნაღისაკენ გაუხვია, შევბრუნდით შინ, რის ვაი ვაგლახით გავხადეთ ბავშვებს ზემოდან ჩასაცმელები: ეზარებოდათ, საცაა ისევ დაგვიძახებენო. გავიდა ცოტა ხანი.

აგერ მორჩილიც შემოვარდა.

— მობრძანდება, მობრძანდება, ჩქარა, ჩქარა! ერთს ფაცი-ფუცში ვართ ყველანი. ჩავაცვით ისევ ბავშვებს, გამოვედით გარეთ.

— ჩქარა, ჩქარა, საცაა ალაყაფის კარებში შემოვა ეტლი.

მოვასწარით ბავშვების წყვილ-წყვილად ჩამწკრივება. მოგრიალდა ეტლი, გაურბინა ბავშვებს გვერდზედ. ავიდა მაღლობზედ, შეჩერდა. მისცვივდნენ მოლოზნები. გამოაღეს ეტლის კარი, ჩამოაბრძანეს იღუმენია, შეუდგნენ მხრებში, ზოგმა ანაფორის კალთა დაუჭირა.

მასწავლებლებმა ხოროთი სალამი ვუძღვენით. ბავშვებიც მიესალმნენ.

იღუმენიამ შენდობა გვიბოძა მასწავლებლებს და წაბრძანდა თავის სადგურში.

გამოვბრუნდით. ბავშვები მორიგემ დასაძინებლად წაიყვანა.

მე, როგორც გამოუცდელი, რაღაც სასიამოვნოს ველოდი დახვედრისაგან, და ეს რაა მეთქი, ვეკითხები ჩემს თავს! რას გრძნობდნენ ნეტა ბავშვები?

ნუ გგონიათ, შესაძლო ყოფილიყო მასწავლებლისათვის, შეგირდებთან გულ-

*) ჩვენი სახელოვანი მგოსნის აკაკის ლექსმა „ᲒᲚᲝᲕᲐᲛ“, რომელიც დაბეჭდილი იყო ამ წლის „განათლების“ №-ში, თვალწინ გადმიშალა სურათი ბოდბის მონასტრის ცხოვრების წარსული მოგონებიდან, რასაც ვუზიარებ მკითხველებს.

ᲐᲕᲢ.

ახდით ლაპარაკი?! კედლებსაც ყურები ჰქონდათ. ყველა შენი გულის ზრახვანი გაგებული ჰქონდა იღუმენიას. ისიც კი იცოდა, რომელი მასწავლებელი რომელ საათზედ იძინებ-იღვიძებდა.

რომელი ჩვენგანი გაჰბედავდა წირვას არ დასწრებოდა კვირა-უქმე დღეს! ყოველივე ასეთი წესის დარღვევა იღუმენიის სასტიკს წყრომას იწვევდა. მერე რა დამამცირებლად (ბავშვების თვალწინ) დაგსჯიდათ: წირვის შემდეგ შენდობის ასაღებათ მისულს, ლოყაზედ არ გაკოცებდათ, როგორც ყველა სხვა მასწავლებელს, უსულ-გულოდ ჩაგიდებდათ ხელებში თავის სპეტაკ სურნელოვან ხელს და თვითონ კი სხვას ვისმე ელაპარაკებოდა ამ დროს, ხშირად იმ მასწავლებელს, რომელსაც ამ წუთში კარგი თვალით უყურებდა. საყდარში ცალკე სავარძელი ჰქონდა დადგმული: სწორედ ამ სავარძლის წინ ვამწკრივებდით შეგირდებს და ჩვენც იქ ვიდექით. თვალს ადევნებდა შეგირდებს. თუ მასთან ახლო მდგომი თავ-თავის დროზედ პირ ჯვარს არ გამოისახავდა, მუჯლუგუნს მიიღებდა კისერში იღუმენიისაგან.

თითქმის მთელი წირვის გამოსვლამდის იჯდა. იქვე მიართმევდნენ ხოლმე სილნალიდგან ფოსტით მოტანილს წერილებს, იქვე კითხულობდა.

თუ თქვენ სახელზედ წერილი იყო და ამ დროს თქვენზედ გაჯავრებულიც იყო ცოტათი, თქვენ გვარს ხმა მაღლივ წაიკითხავდა და წერილს, შენდობის ასაღებად მისულს, მოგცემდათ; თუ გუნებაზედ იყო, მარტო თქვენს სახელს ახსენებდა და იქვე ტკბილის ლიმილით გადმოგცემდათ წერილს; ხან კი ეკლესიაში შენსას ვერც გვარს და ვერც სახელს გაიგებდი—წირვის შემდეგ მორჩილის ხელით მიიღებდი წერილს, ეს მეტის-მეტს რისხვას მოასწავებდა.

როგორც უფროსი კლასის მასწავლებელს 25 მ. მქონდა თვეში. ზაფხულის ჯამაგირი სამი თვისა ერთად მოგვცა მაისის გასულს.

—თქვენ რადგანაც სწავლის-წლის ნახევარში მოხვედით, მხოლოდ ნახევარი გერგებათო,—მიბძანა და 37 მ. 50 კაპ. მომცა, ხელიც მომაწერინა-სრულად მივიღეო. რას ვიტყოდი. თავისი გამოგონილი კანონების დადება იცოდა თავის მონასტერში.

ქართული ლაპარაკი არ შეიძლებოდა მონასტერში. ორიოდე ქართველი მოლოზანი იყო და იმათთანაც რუსულად უნდა გელაპარაკნა თუ მოხდებოდა. ამტვრევდნენ ისინიც საბრალო რუსულს. ქართულად რო გაებედნათ, დაასმენდა ვინმე იღუმენიასთან, და ვაი იმათი ბრალი!..

ჩემ იქ ყოფნაში მთავრად მენთეშაშვილი იყო. პატიოსანი ადამიანი. თუ თვეში ერთხელ მარტონი მოვხვდებოდით ერთმანეთს და ქართულად ამოვიღებდით ხმას, მიმინოსაგან შეშინებულ ბეღურასავით აქეთ იქით იყურებოდა.

რა წელსაც მონასტერში მიველი, იმ წლის დეკემბერში თელავის წ. ნ. სასწავლებელში ადგილი მივიღე. მაგრამ ჯერ ვის გაუზიარებდი ასეთს ამბავს. ხომ მომიშხამავდა უკანასკნელ დღეებს იღუმენია. ვითმინე, ვითმინე, მაგრამ როდემდის—მასწავლებელი არ უნდა ეშოვნა დროზე?!

19 დეკემბერს გაუმჟღავნე. გამიწყრა. არც კი შემომხედა. შენდობისათვის გაწვდენილ ხელებში ერთი თითი ოდნავ ჩამიდო. გამოვტრიალდი.

მეორე დღეს ნაშუადღევზედ მორჩილის

პირით შემომითვალა—ხვალვე წადიო. რას ვიზამდი. აი ხათაბალა! მივწერე ჩემი შეგირდის მამას სიღნაღში: მარტოდ წასვლა მიხდება თელავში და სანდო მეეტლე დამიქირავეთ მუთქი.

საღამოთი, როდესაც მორიგეს ბავშვებს დასაძინებლად მიჰყავდა, მორჩილი შემოვივა და მითხრა: ილუმენია მობრძანდება, ბავშვების გალობა უნდა მოისმინოსო.

მშვენივრად გალობდნენ ეკლესიაში და საერო კილოებიც იცოდნენ მხოლოდ მარტო რუსულად. მასწავლებელი ქალიც რუსი იყო.

ბავშვები სიმღერა-გალობით შეაქცევდნენ ილუმენიას, აქეთ იქით მჯდომი მასწავლებლები ლაპარაკით. მე კი შეჩვენებულივით ხან ერთ სკამზედ ჩამოვჯდებოდი ხოლმე და ხან მეორეზედ.

გამოთხოვების დროს ყველა მასწავლებელს ლოყაზედ აკოცა ჩემს გარდა. მეორე დღეს დილის რვა საათზედ ჩემი წამყვანი ეტლი მონასტრის ეზოში მიცდიდა.

ბავშვებს, ჩემდა სასიხარულოდ, ჩემთან გამოთხოვება არ დაუშალეს. გამოვემშვიდობე პატარა მეგობრებს და გავუდექ გზას. გულში კი ნაღვლიანად ვფიქრობდი—საცოდავი ბავშვები: რა უნდა გამხდარიყვნენ ისინი ამ გვარი აღზრდის წყალობით?!

ნ. მ. შ.

დედ-მამა

ღარიბ დედ-მამამ სკოლაში
შვილი რომ მიაბარესა,
ცას მისწვდნენ სიხარულითა,
მოევლენ მზე და მთვარესა.

—

ჭამა-სმას უკლეს საწყლებმა,
ტანზე იცვამდენ ძველასა
და იშოვნიდნენ რასაც კი
შვილს ახმარებდენ ყველასა.

—

ფიქრობდენ: გამოიზდება,
გაიკვლევს გზას და კვალსაო;
ჩვენ სიბერესაც მოხედავს,
არ დაივიწყებს ვალსაო.

—

მაგრამ დაბერა გრიგალმა,
გზა დაუბნია ყველასა!..
თავისთვინ არვინ ფიქრობდა,
სხვებს უპირებდა შველასა!

—

შვილიც გავიდა სკოლიდან,
წავიდა სოფლით სოფლადა;
თვალ-ცრემლიანი დედ-მამა
მარტო დააგდო ობლადა.

—

მაგრამ დედ-მამა მაინც კი
ეეედრებოდა უფალსა;
„შენ შეეწიე უფალო!
ნუ გაამტყუნებ მართალსა!!

აკაკი.

არწივი

ფრიდერიკა ბრემერისა*)

(თარგმანი)

მშვენიერი დილა იყო. მზის სხივები ნათლად და ბრწყინვალედ კაშკაშებდნენ მოწმენდილს ცაზედ. ახალგაზდა დედალი არწივი იჯდა მაღალ კლდეზედ მომარიულ ბუდეში და დაღონებული გაიცქირებოდა დაუსრულებელს სივრცეში. ჯერ კიდევ სუსტი ფრთები მოსვენებას არ აძლევდნენ არწივს, თითქო უნდოდა მომწყდარიყო და გაფრენილიყო ლამაზ ცის სივრცეში, ამაყად ძგერდა ახალგაზდა არწივის გული.

— მზისკენ! მაღალ მზისკენ! — ამბობდა თვის გულში.

— მე მინდა ახლო ვნახო მზე, მინდა ვისიამოვნო იმის ოქროს ფერ სხივებით, მინდა შევიძინო ძალ-ღონე კეთილის-მყოფელ სიცოცხლით სავსე მზის სხივებისაგან. ჩემი თვალები კამკრიახია, ფრთები ქორფაა, ნება მტკიცეა. მინდა მაღალ ხმით ქება შევასხა ამომავალს მზეს!....

მაღალ, მაღალ მზისკენ. —

არწივი გაფრინდა, დილაა. მზე მხურვალედ კაშკაშებს, დაუსრულებელი ჭაერის სინაზეს და ახალგაზდა შემძლე ძალის გრძნობამ არწივს აღუვსო გული სიხარულითა. მაგრამ ცოტა რომ დაესვენა და უფრო ესიამოვნა ახალი მშვენიერი ცხოვრების დასაწყისით, ის ჩამოჯდა მაღალ მუხის კენწეროზედ.

იქვე ქვევით უბრალო ხის ტოტებზედ ჩამომსხდარიყვნენ სხვა და სხვა ფრინველები, ამათ შენიშნეს გაბედული და თავ-განწირული ადმოფრენა ადალგაზდა დედალ-არწივისა.

— კარგია, კარგი — მაღალ ჭაერში ხტომით მხიარულად შესძახოდნენ ტოროლები.

— კარგია მზისკენ, — თავ განწირულო ფრინველო! შენ სიამაყეს შეადგენ ჩვენს სქესთა შორის.

— გაბედვით — გასძახოდა კეთილ-შობილი ლაკლაკი, გაბედვით, ჩემო ახალგაზდო ამხანაგო!

— იცოცხლე, იცოცხლე ჩემო საყვარელო დობილო! — მღეროდა თეთრი გედი, რომელიც წყალში ცურაობდა ბატარა მწვანე კუნძულებს შორის.

— ეგა, ეგა, ეგა! დაიჩხავლა ეგავმა, — ასეთი ხიჩქარე საშიშია. თავს უნდა გაუფრთხილდე ახალგაზდა დედალო არწივო.

— ღრრ! ღრრ! ღრრ! დაღუღუნებდა მტრედი, რად ეძებ ბედს ასე მაღალ? დარჩი შინ, შენს ბუდეში, სიყვარულით ეალერსე შენს ქმარს, იზრუნეე შენი საყვარელის ბარტყებისათვის და დიდხანს იცოცხლებ! ღრრ! ღრრ!

— უჭუ! უჭუ! გულ საკლავად მოისმოდა ბუს ხმა, — უსათუოდ რამე მოხდება.

— დიად, უბედურება მოხდება, განიმეორეს მასთან ერთად თუოიუუშებმა და შოშიეებმა.

— კარგია! კარგი! სისინებდნენ ბატები ძალიან კარგია! მხოლოდ ახალგაზდა კეთილ-შობილმა მამალმა არწივმა, რომელიც შორახლოს იჯდა ხის ტოტზედ, ნაზად და ალერსიანად უთხრა:

— შენი საქციელი კარგია, მაგრამ მიზანი ძნელია. ჯერ გამოუცდელს ახალგაზდას შეგწევს განა იმდენი ძალ-ღონე, რომ მიზანს მიაღწიო?

*) ფრიდერიკა ბრემერი — შვედელი ცნობილი მწერალი ქალია, ერთი პირველი მებრძოლთაგანია ქალთა ემანსიპაციისა შვეციაში.

ნება მომეცი გამოგეგზე თან და როცა ადმა-ფრენაში დაიღლებით, ჩემი მაგარი ფრთები მოგეშველებიან, ისინი დაფარავენ შენს მშვენიერს თვალებს უმობელი მზის მწვავე სხივებისაგან, ნებას არ მისცემს დაგაბრმაოს; თუ რამე განსაცდელი შეგემთხვა, ან ძალ-დონემ გიღალატა, მე წაგიყვან ჩემს მშვიდს ბუდეში, რომელიც შორს აქვან მაღალ მთაზედ არის აღებული. შენ იქ ჩემთან დარჩები!

მაგრამ ამპარტავანმა დედალმა არწივმა უარის თქმით თავი გაიქნია.

— მე მარტო ყოფნა მინდა,—სთქვა მან,— მე მარტოს მინდა შევქნა ჩემი საკუთარი ბედი. მას თითქმის არც ესმოდა ფრინველთ გამამხნევებელი ხმები. შინაგანი ხმა კი მაღლა ამოსძახოდა:

— მზისკენ! მაღლა მზისკენ!

გაისწორა ფრთები, ბოემზადა გასაფრენად. გამხნევებული სინათლით, ახალგაზდობით და მხიარულ იმედით, მხნედ გაფრინდა, მაღლა, მაღლა, შორს ბრწყინვალე მზისკენ. დალონებულმა მამალმა არწივმა დაიბერტყა თავისი მაგარი ფრთები, თვალები მოაშორა უზკეო დედალ არწივს, ამოირჩია სხვა ამხანაგი და წაიყვანა თავის შორ ბუდეში, მთის წვერობზედ. დედალი არწივი მიფრინავდა მარტოდ მარტო... მზე ძალიან ახლო იყო, მეიდიდურად შეხედა მას. მაგრამ ვაი! იმ წუთშივე თვალები ამოეწვა გახურებული მზის სხივებისაგან, თავი მოწყენით დალუნა, წინ ვერაფერს ხედავდა. ისევ მიფრინავდა, მხოლოდ მზისკენ კი არა, ძავ-დედამიწისკენ. მიმავალმა მონადირემ შეამჩნია და თოფი ესროლა. ტყვიამ ულმობლად გაუხვრიტა ცხელი გული ამაე ფრინველს. დაკოდილი არწივი ისევ ფრინავდა. ბოლოს დაბურულმა ტყემ დაფარა იგი სხვის თვალთაგან. მწვანე ფიჭვის ტოტზედ იჯდა არწივი, დაკოდილი გულით და მწარე ცრემლს ღვრიდა მიმქრალს თვალებიდან.

— კარგია — ჩუმათ წარმოსთქვა მან, — კარგია, შემიძლიან მოგკვდე ისე, რომ არავინ შემიბრალოს, მოგკვდე მარტოდ მარტო. ესმოდა რას ეუბნებოდა მამა-მტრედი თავის ხუნდებს:

— ჩემო შვილებო! არასოდეს არ მოიქცეთ ისე, როგორც მოიქცა ის თავხედი დედალი არწივი. ამპარტავანი, უზკეო ფრინველი, რასაკვირველია დაბრმავდა მზესთან მიახლოვებამდის. დარჩით მუდამ შინ, თქვენს მინდორ ველზედ, თქვენს წყნარს ბუდეში და დიდხანს იცოცხლებთ ქვეყანაზედ.

— შევცდი,—სთქვა დედალმა არწივმა, მისი დაკოდილი გული გასისხლიანებულ მკერდში ტკივილისაგან იკუმშნებოდა.

— შევცდი თავგამოდებით და იმიტომ დავისაჯე. მაგრამ მშვიდათ ავიტან ბედისგან დასჯას, დე, სხვები იყვნენ ბედნიერები. მე არ ვწუხვარ. რაგან ახლო ვნახე მზე..... მე ვნახე მზე.

უჰ! უჰ! გულსაკლავად წიოდნენ ბუები.

— უჰ!—იმეორებდენ თუთიყუშები და შოშიები.

— კარგი, კარგი!—დაცინვით სისინებდნენ ბატები და თავზედ დაფრენდნენ დაბურულ ტყეს.

— ვკვდები—წარმოსთქვა არწივმა, და ფონე ოან და თან ეცლებოდა.—ვკვდები, მაგრამ..... მე მზე ახლოს ვნახე. როგორ კარგად ვარ!

კეთილ-შობილმა ფრინველმა გაშალა ფრთები, მოსწყდა ტოტიდან დაეცა ძირს დედამიწაზედ.

მას მერმე არ უცოცხლია.

ვალიკო.

სიკვდილით დასჯილი

(თარგმანი)

ვენგრელსა გრაფსა, ხელ-ფეხ დაბორკილს,
მტერთ მიუსაჯეს სიკვდილი მწარე;
ჭსურდა დაეხსნა მონობისაგან
მრავალ ტანჯული სამშობლო მხარე.
ამხედრდა სული მარად ამაყი,
მონათა შორის თავს მონად ჭკრძნობდა;
მაგრამ დამარცხდა ცხარე ბრძოლაში,
სიკვდილით დასჯა ელოდებოდა!..
არ გაუვლია მისთვის ოც ზაფხულს
უკვე საწუთროს ემშვიდობება;
მაგრამ სიკვდილის არ ეშინიან,
გული შვებასა მით ედირსება.
სავალალოა, რომ ხალხით სავსე
ვრცელ მოედანზე ჩამოახრჩობენ;
მოფრინდებიან მინდვრის ყორანნი
და უდვთოდ კორტნას მას დაუწყებენ.
ასე ფიქრობდა საპყრობილეში
ვენგრელი გრაფი აღშფოთებული;
მიეურდნო კედელს სვეტსა, ნესტიანს
და მოერია თვალებზე სრული.
განთიადისას გულ ამოსკვნილი
თვისს ერთგულს მშობელს ემშვიდობება:
—„მშვიდობით დედავ! სიკვდილი შელის,
ადრე ცსოვრების მზე მიბნელდება!
ჩემთან უკვალოდ წავა, გაჭქრება
წმინდა სახელი, ჩემი დიდება:
ოჭ, შეიბრალე ერთგული შვილი,
ხვალე ცოცხალი აღარ იქმნება.
არ ვუკრთებოდი ომსა საშინელს
არცა მტრის ტყვიას და ცეცხლს აგზნებულს;
მაგრამ ხვალ, ვიცი, სახრჩობელის წინ
ავკანკალდები, შეეიშაოთებ სულს!“
დედა ამშვიდებს და ეუბნება:
—„შვილო, გამხნევდი, ნუ, ნუ ჭკანკალებ!
წავალ და შეეხოვ ჩვენსა ბრძანებელს,
შენ თავს მოთქმითა მე შეეაეედრებ.
განთიადისას, რომ მოედანზე
გაგამგზავრებენ, მსწრაფულ იქ კაეჩნდები,
და აიენიდან, შვილო, განიშნებ
ჩამოგახრჩობენ თუ გადარჩები.
თუ დამინახე შავს ტანსაცმელში,
მწარე სიკვდილსა ვედარ ასცდები;
და იმედი მაქვს სახრჩობელაზე
თამამად ახვალ, არ შეუდრკები.
ვენგრული სისხლი შენში კვალად სჩქეფს,
სიკვდილი ჩემს შვილს ვერ შეაშინებს;
ჰირდაჰირ უკმეხს ბედსა შეხვდები
და ვერც ცრემლს თვალით დაგაფრქვევინებს.
მაგრამ თეთრებში თუ დამინახო
იცოდე, ბედი კვლავ არის შენკენ;
ქვეყნის მჩაგვრელთგან შეწყნარებულ ხარ,
მუხთალ სასჯელსა ადარ მიგცემენ.
იმ დროს ჯალათმა თუნდაც შეგიბურას
ნუ შეეშინდები, ნუ იწყებ კანკალს“!..
გრაფს ტკბილად სძინავს და სიზმრად ჭხედავს
თეთრ ტანსაცმელში თვისს მშობელ დედას.
ხალხი ირევა... დაჭკრეს დაფდაფი...
ჯარის კაცთ მოჭყავთ ვენგრელი გრაფი!
შეწუხებულსა უმზერენ ქალნი,
ცრემლით ევსება მგზნებარე თვალნი.
მთრთოლვარე ხელით უვაილს ესვრიან,
სალამს აძლევენ, ეთხოვებიან.
მდუმარე გრაფი ვერაფერს ამჩნევს,
მოუთმენელად წინ იცქირება;
და დაინახა დედა თეთრებში,
აივანიდან შვილს ედიმება!
გრაფი ადიესო სიამით, შვებით,
სიკვდილით დახსნას საბრალო ელის;
თამამად წასდგა ნაბიჯი წინა
იმედის თვალით დედას უმზერის.
ჯალათმა უეცრი მოსდო კისერზე
კლაკვნა დაიწყო სახრჩობელაზე;
ბორს კი თეთრებში გამოწყობილი
დედა მოსჩანდა კვლავ აივანზე.
რად მოატეეა მშობელმა დედამ,
თეთრებში რისთვის ეჩვენებოდა?
—უნდოდა შვილი მხნედ ეოფილიეო,
სიკვდილს უშიშრად მიჭგებებოდა!..

ა. შანშიაშვილი

ზღვის სურათები

I. ნაპირზედ.

მშობელ ქვეყნის დამამშვენო,
სტიქიონო თვალ-უწვდენო,
კვლავ ვემსტუმრე შენს ნაპირებს,
ჩემის სიყრმის აღმამფრენო!
შენს განუყრელს გიჟმაჟ ფაზისს
მომხიბლავად დღესაც აზის
კვალი მღელავ სიცოცხლისა
და წარუვალ სილამაზის.
მესმის შენი ხმა მგრგვინავი,
ვით მუსიკა მომფრინავი,
ვხედავ, როგორ ახლოვდება
ზვირთების მთა მომცურავი.
მოტრიალებს და გასკდება
ქვიან კიდეს რომ ეხლება,
ზვირთთა ქაფი კენჭთა შორის
თეთრ მძივებად იფანტება.
ფაფარ-აყრილ ლომივითა
უკან იხევს ერთ წამითა,
ძალას იკრებს დედის მკერდში
და კვლავ მოჰქუხს მედგარ ხმითა.
ვერ ვაშორებ ხიბლულს თვალებს
ლურჯზე მსრბოლავ სპეტაკ ხალებს,
ტალღა ფერხთა მეპარება
და ერთბაშად იგრიალებს.
ჩემს სულში-კი ლაღის ფიქრის
ფრთები მასთან შორსა მიჰქრის
და მოქარგულ ოცნებათა
კონა ტალღასავით იკვრის.
ცხოვრების კლდეს რომ ეხლება,
ისიც ცვარებრ იფანტება,
და ჩემს არსთან განუყრელი
მხოლოდ სევდა გულში მრჩება.

II. ხანდაკზედ.

ვდგევარ ხანდაკზედ, კედელი ქვისა
თეთრ ნამგალივით ზღვას მოჰხვევია,
დაუდგრომელი, მჩქეფი ტალღები
მოფარგლულს წრეში მოუმწყვდევია.
წყნარად ისვენებს დიდრონი გემი,
მედგარ ღელვასთან ბრძოლით დაღლილი,
გარს მიმოუვლის პაწა ნავები.
წყობ-წყობად გვერდით ნიჩაბ-გაყრილი.
დამშვიდდი ტალღავ, შესწყვიტე ჩქეფა,
ნავთ-სადგურში ვარ შენთან მოსული,
დამღალა ღელვამ ცხოვრების ზღვაში,
ვინძლო შენს პირზე მოვითქვა სული!
მაგრამ გარედან ხანდაკს ძალუმად
სცემს ზვირთი, ლამობს ზედგადმოხტომას,
ან ქვის გარღვევას, რომ წამიერაც
ბოლო მოუღოს შიგნით განცხრომას.
ბეჩავო გულო, ვერ მოისვენებ,
ვერ ეღირსები წამსაც შვებასა!
მიჰყევ თანამგზავრს შენსა სტიქიონს
და შენთან შეზრდილს მღელვარებასა!

მელიტონ გობეჩია

სანიმუშო პროგრამები

საქართველოს სახალხო სკოლებისათვის

ხატვა-ხაზვა

I განყოფილება

1) თავისი აზრით და სურვილით დახატვა (რაც უნახავთ, რაც ესიამოვნებათ და რის გამოხატვაც უფრო კარგად იციან). 2) მარტივი ფორმის საგნების დახატვა გონების თვალით და მათი ფერები. 3) ბუნებიდან გადადება მარტივი ფორმის საგნებისა (ბურთი, აგური, მსხალი და სხ.). 4) მოძრაობა, ხაზების მიმართულება, ორივე ხელით ხატვა. 5) საამხანაგო ხატვა (კოლეკტიური) ხახულ-გაგონილისა (საკლასო დაფაზე ერთი ან ორი ხატავს ნახულს და გაგონილს, დანარჩენები რჩევას აძლევენ, ან უმატებენ ახალს ფიგურებს). 6) საკლასო დაფაზე ხატვა და იქიდან გადახატვა. 7) კლასში ნასწავლის მოთხრობების ან იგავ-არაკების დასურათება, ან სურათიდან გადადება. 8) აჩრდილების (სილუეტების) დახატვა მელნით ან ტუშით, ფართოთ, უკონტურად.

II განყოფილება.

1) თავისი აზრით რისმე დახატვა. 2) ბუნებიდან გადადება. 3) კოლეკტიური მუშაობა, ხატვა (ნახულის და გაგონილისა). 4) კლასში ნასწავლი გაკვეთილის დასურათება (რა მომენტიც უნდა მოწაფეს თვით ირჩევს). 5). რებუსები (მათი კითხვა და შედგენა). 6) ბუნების მოვლენათა დასურათება (მათი კითხვა და შედგენა). 6) ბუნების მოვლენათა დასურათება (წვიმა, თოვლი, ცეცხლი), ან ჰატარა ცნობილი ანრები. 7) უსაწირო ესი გეომეტრიული ფიგურები.

III განყოფილება.

1) კოლეკტიური კომპოზიცია დასურათებისა (საკლასო დაფაზე ერთი ან ორი ერთს სურათს იგონებს, დანარჩენები თავიანთ ადგილიდგან მონაწილეობას იღებენ, მერე ხატვენ). 2) ბუნებიდან გადადება. 3) თავისი აზრით სურათის დახატვა. 4) დასურათება ნასწავლის მოთხრობისა. 5) სოფლის და ქალაქის მუშაობის დასურათება. (კალო, გუთანი, მკა, რთველი და სხ. 6) ასო მთავრული მოხოგრამები; ახსნა მათი და შედგენა სხვა და სხვა საგნებისა. 7) გეომეტრიული ფიგურების გამოუენება. პერსპექტივის კანონები. 8) არშიების შედგენა, ჩუქურთმის მაგვარი, კედლის არშია და სხვა (ფოთლების და სხვა საგნისაგან). 9) ბუნების დაკვირვება კლასს გარეშე. სხვა და სხვა ფერები. 10 ნიმუშები შეძერწვისა. თიხის მომზადება და მუშაობა.

IV განყოფილება.

1) ბუნებიდგან გადადება. 2) დაჩითვა და არშიების შედგენა, (კედლისა, ეკლესიისა და სხვა); ნიმუშები ქართული ჩუქრთმისა. 3) შეძერწვა ხილის და ცხოველებისა. 4) პერსპექტივი ხაზოვანი და ჰაერეოვანი. 5) ბასი ხელოვნებაზე, ქართული მხატვრობა და ხეროთ მოძღვრება. ნიმუშები და ნაშოები ქართული ხელოვნებისა. 6) დაკვირვება ბუნებისა და მათი გადადება (გარეთ). 7) შედარება ადამიანის აგებულობისა და ცხოველებისა. 8) თავისი აზრის და ოცნების დასურათება. 9) შეძერწული საგნებიხ გაშოწვა, ქურის აშენება, ჩაწყობა და შეკეთება.

V და VI განყოფილება.

1) იგივე სავარჯიშოები, რაც მესამე და მეოთხე განყოფილებებში იყო; მხოლო აქ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს დაფერადებული სურათების ხატვას, შესანიშნავ მხატვართა ნაწარმოების განხილვას, მხატვრების ბიო-

გრაფიებს, საუბრებს ხელოვნების შესახებ და ხატვის პრაქტიკულ მნიშვნელობას.

შენიშვნა: ა) სასურველია რომ შეძერწვაც, როგორც ხატვა პირველი წლიდანვე დააწყებინონ მოწაფეს, რადგანაც ეს ძლიერ შველის ბავშვს ფორმის შესწავლაში; ხატვა სჯობიან დაიწყონ ფერადი კარანდაშებით, რადგანაც იგი ადვილი სახმარებელია და ნაკლებადაც ითხუპნებიან ბავშვები. შეძერწვისათვის საჭიროა თითო ბავშვს თითო პრტყელი ფიცარი ედოს წინ სიგრძით 8 და სიგანით 4 ან 5 გოჯი, რომელზედაც აკეთებენ ქანდაკებას. რაც შეეხება თიხას ის მთელი კლასისათვის საერთოდ უნდა აიზილოს და ინახებოდეს სველად კოდში ან კასრის მაგვარ ჭურჭელში საიდამაც საჭიროებისამებრ გუნდებად ამოიღებენ.

ბ) ხატვა-ხაზისთვის ბუნება იძლევა აუარებელს მასალას, მხოლოდ მასწავლებლის საქმეა მისი კონცენტრიულად დალაგება, მოწაფეებში ხალისის აღძვრა და ტეხნიკის სიადვილე. ამ პროგრამის მიხედვით ყველა განყოფილებაში თითქოს ერთი და იგივე მოთხოვნილებაა, მაგრამ კარგად რომ დაუკვირდეთ შევატყობთ, რომ პროგრამა თანდათან ფართოვდება ახალი ცნობების შეძენით. თემებიც ხატვისათვის თავიდანვე თითქოს ერთი და იგივეა, მაგრამ სიძნელე შესრულებაში და მოთხოვნილება სხვა და სხვა უნდა იყოს; მასწავლებლის საქმეა ამ შემთხვევაში, წესიერად სახატავის მასალის მიწოდებით, იმდენად გაუადვილოს მოწაფეს მიცემული თემა, რომ მას ადვილად შეეძლოს მისი შესრულება; ეს კი შესაძლებელია მასალის თანდათანობით მიცემით, ადვილიდან მძიმეზე გადასვლით და სისტემატიურად სწავლებით, რომლის დროსაც დაცული უნდა იქმნას, მოწაფის ხალისი და შემოქმედება მუშაობაში.

გ) ხატვა-ხაზვაში სახელმძღვანელოდ მასწავლებლებს ვურჩევთ გაეცნონ ახალს წიგნებს, გორბუნოვ-პოსადოვის რედაქციით გამოცემულს რუსულს ენაზედ: 1) „Давайте рисовать"—პატარა ბავშვებისათვის, 2) მისივე გამოცემა წიგნი პროფ. **უ. აუძსგურგისა** „ხატვის ახალი სკოლა", I წიგნი, მცირე და საშვალო ასაკის ბავშვებისათვის. 3) **პანოვი** „Дитя художникъ" თავისუფალი ხატვა I და II ნაწილი.

ხატვის სწავლების ახალი წესი

წინათ ბევრნი იმ აზრისანი იყვნენ, რომ ხატვას ყველა კაცი ვერ ისწავლის, რადგანაც მას განსაკუთრებითი ნიჭი უნდაო. ეხლა ეს აზრი სრულიად უსაფუძვლოა, რადგანაც გამოცდილებამ დაგვარწმუნა, **რ**ომ ხატვა ისევე ადვილად ისწავლება, როგორც მაგალითად წერა-კითხვა. მართალია ყველა მოწაფე ხელოვანი მხატვარი არ გამოვა, მაგრამ ნახულის და გაგონილის დახატვას კი მიგვანებით ყველა შესძლებს.

წინანდელი ხატვის ხელმძღვანელობა მოკლებული იყო ხალისსა და სიცოცხლეს. პირველსავე გაკვეთილზე მოსწავლეებს მოწყენილობა ეშჩნეოდათ. მართლაცა და სიცოცხლით სავსე ბავშვებს, რომელთაც ათას ნაირი ზიზილ-პიპილოვანი სურათები ელანდებათ ხატვის გაგონებაზე, დასხამდნენ კლასში და გეომეტრიულ ფიგურებს აკქერინებდენ წლითიწლამდის; ან კიდევ დახატულ უჯრებზე ახაზვინებდნენ. ამის გამო კლასში მუდამ აურზაური იყო და მომეტებული ნაწილი შეგირდებისა ცდილობდნენ როგორმე ასცდენოდნენ გაკვეთილებსა.

ახალი სისტემით სწავლა კი სულ სხვანაირად მოქმედობს ბავშვებზე: ისინი არამც თუ გაურბიან ხატვასა, პირ-იქით დიდის მუყაითობით და სიამოვნებით მისდევენ მას. რაც შეეხება შედეგს, იგი ნაყოფიერია.

გარდა ამისა, ახალი სისტემით სწავლა მით არის შესანიშნავი, რომ პირველ დაწყებითი ხატვის სწავლება და ხელმძღვანელობა, არა სპეციალისტთაც შეუძლიანთ,

რაც დიდად საჭიროა პროვინციის სკოლებისათვის.

თავდაპირველად საჭიროა ბავშვში გაღვიძო ხატვის სურვილი, რომ ავად თუ კარგად მიჰყოს ხელი ხატვასა. შემდეგ უნდა ჩააგონო ბავშვს რომ მას შეუძლიან ხატვა და იცის კიდეცა. მომეტებული ბავშვები უარზე იქნებიან და გეტყვიან, რომ მათ ხატვა არ უსწავლიათ და არ იციან. მაშინ მასწავლებელი აძლევს წინადადებას დახატონ ის, რის დახატვაც უფრო კარგად იციან, ან რაც უფრო მოსწონთ. თუ ამის შემდეგ ბევრნი კიდევ ვერ გაბედავენ ხატვას, მაშინ მასწავლებელი ერთერთ ბავშვს გაიწვევს საკლასო დაფასთან (უფრო ისეთს, რომელიც სრულიად უარს ამბობს ხატვისას) და ეტყვის დახატოს ბურთი. როგორია ბურთი? ბურთი არის მრგვალი. აბა დახატე მრგვალი. ბავშვი ადვილათ დახატავს. მასწავლებელი მოუწონებს. მერე წინადადებას მისცემს დახატოს ჯვარი. მას ყველა ბავშვი ადვილათ დახატავს. ამ ნაირად მასწავლებელი ბავშვს არწმუნებს, რომ მას სცოდნია ხატვა და ვერა ჰბედავდა. საკმარისია ამისთანა მაგალითი რომ მთელმა კლასმა იგრიალოს და ყველამ ხატვა დაიწყოს.

დიდი სიფრთხილე მართებს მასწავლებელს, რომ ბავშვმა პირველადვე გული არ ჩაიხვიოს. როგორც უნდა დახატოს ბავშვმა, მასწავლებელმა მაინც უნდა მოუწონოს, რომ უფრო წაახალისოს.

აქ ისევე უნდა მოექცეს ბავშვს მასწავლებელი, როგორც ახალ ფეხ-ადგმულს მშობელი: მშობელს ნახევრად არ ესმის ბავშვის ტიტინი, მაგრამ მაინც „ჰოს“ ეუბნება იმის ჭრელ ლაპარაკზე, ვიდრე სრულიად არ გაიმართება ლაპარაკში.

ამ ნაირად მასწავლებელი ჩაუნერგავს ბავშვს მეტს სიყვარულს და გამბედაობას და ბავშვიც დაიწყებს თავისებურათ ხატვას იმ საგნებისას, რასაც მის მეხსიერებაში კვალი დაუტოვებია.

დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ პირველში ბავშვი უფრო თავის მოსაზრებითა ხატავს, ვიდრე გადიღებდეს სურათიდგან ან ბუნებიდგან. ამიტომ ვამჯობინებთ პირველი ნაბიჯი ხატვისა ამ გვარადვე იყვეს. შემდეგში აჩვენებს რომელსამე ნივთს (ცოცხი, აქანდაზი, და სხვა) და და ისევ გაიტანს კლასიდან, ბავშვები მოგონებით ხატვენ—ვისაც როგორ დაახსოვდა. ამის შემდეგ პირდაპირ დაუდგამენ რომელსამე ნივთს და ბავშვები ბუნებიდგან გადიღებენ მას.

კიდევ ვიმეორებთ, რომ თუ ბავშვს არ მოსწონს თქვენ მიერ არჩეული ნიმუში, დეე, თავად დახატონ, რაც უნდოდეს. აგრეთვე ნუ დაუშლით თუ ბავშვმა მოიწადინა სურათიდგან გადაღება, მხოლოთ რჩევით კი ურჩიეთ, რომ უფრო თავისით და ბუნებიდგან ხატოს. არც ერთ შემთხვევაში მასწავლებელმა არ უნდა გადაუსწოროს ნახატი, როგორც ეს ძველი სისტემის დროს იყო ხოლმე. მხოლოდ სიტყვიერად უკეთებს შენიშვნებს და აძლევს რჩევას. თუ მაინც და მაინც მასწავლებელს უნდა აჩვენოს მაგალითად რისმე დახატვა, მაშინ ის საკლასო დაფაზე ხატავს და ისევ მალე წაშლის, რომ შეგირდებმა არ დაუწყონ გადაღება. ბავშვის მიერ შეთხუზულ სურათს უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, ვიდრე მისგანვე სურათიდგან გადაღებულ ნახატს. მოკლედ რომ ვსთქვათ მხატვრობის ხელმძღვანელმა საფუძვლად უნდა დაიდოს განვითარება ბავშვის ინდივიდუალური გრძნობისა და ბუნებითი გემოვნებისა ხატვაში.

ა. მრევლიშვილი.

ამერიკული მეთოდი ხატვის სწავლებაში

ამ რამდენიმე წლის წინად ჩრდილო ამერიკის ეროვლგვარ სკოლებში ხატვის სწავლებაშიაც ძირითადი ცვლილება მოახდინეს. ძველი მეთოდი, რომელიც დაფუძნებული იყო გეომეტრიული ფიგურების ფორმების შესწავლაზე, უსიფუძვლოდ იქმნა ადიარებული, რადგანაც არ აკმაყოფილებდა თანამედროვე ცხოვრებისა და ტექნიკის მოთხოვნილებებს; ნაცვლად შემოიღეს ახალი „ამერიკული" მეთოდი, რომელიც დამყარებულია ცოცხალი ბუნების, სრული მოძრაობის, ფორმების და ფერების დამოუკიდებელ და სხვა და სხვა გვარ შესწავლაზე.

საზოგადოთ, ვისაც კი შემოხვევა ჰქონია ახლო გაცნობოდა ამ ახალს მეთოდს, ეველა დარწმუნებულა, რომ ხატვა ერთი იმ საგანთაგანია, რომლის კარგად დაუენებას და სწავლებას მოწაფეებში არა ჩვეულებრივს ხალისს იწვევს, განცვიფრებაში მოჰყავს ეველა მნახველი.

შედიხართ კლასში. ვრცელს ნათელს ოთახში, სადაც თავი მოუყრიათ 6—7 წლის ბავშვებს, სრული სიცოცხლეა გამეფებული. თითო მოწაფეს წინ უდევს ოთხ სწორ კუთხიანი თხელი ფიცარი და თიხა, რომლიდგანაც პაწია, მაგრამ მარდი ხელებით აკეთებს, რასაც მასწავლებელი უჩვენებს—ერთი—ბაღში წელის მოსასხურებელ ჭურჭელს, მეორე ქოთანს ეგვიპტელებისათვის, მესამე—ვაშლს, მსხალს და სხ. პატარა მოწაფეები არ გრძნობენ მუდმივს თვალმომბეზრებელ კონტროლს მასწავლებლის მხრით, რომელიც მხოლოდ იშვიათად და ისიც ხელოვნურად გაერევა მუშაობაში; ბავშვები მარდად აკეთებენ მიცემულს სამუშაოს შეხედეთ, როგორის სერიოზულის გულის ეურით და გონების მიპურობით აკეთებს რამე საგანს რომელიმე პაწანწკიტელა ბავშვი. მუშაობა სდუღს, ცოტა ხანში პაწია ბავშვი, თუმცა პრიმიტიულად, მაგრამ საჭირო დაკვირვებით, გონების მუშაობით, თავვებს მიცემულს სამუშაოს.

შემდეგს კლასში 8—9 წლის ბავშვები წარმტაცის ხალისით ჭიდებენ ხელს მაკრატელს, სჭრიან სხვა და სხვა სიგრძისა და სიგანის ფერად ქაღალდების ზოლებს, აწებებენ მათ ქაღალდზე და აგენენ სხვა და სხვა სახეებს, ნაწიბურებს, არშიებს და სხ.: შემდეგ 10 წლის ბავშვები ბეჯითად ხატავენ ფერადის სადებავებით ჭრელ პეპელებს ენტომოლოგიურის კოლექციიდან, ხატვენ გამხმარ ეგვიპტელებს და ფოთლებს ადგილობრივის მცენარეთაგან, ჭერბარიუმიდან, ახლად მინდორში დაჭერილს კალიებს და ბუზანკალებს. შემდეგ 11—12 წლის ბავშვები, წლოვანების მიხედვით, ადვილად ახერხებენ გარშემო არსებულის რთული საგნების და მორთულობის გამოხატვას ფერადს ქაღალდზე ორ-სამ ფერით.

ვერსად ხედავთ წინანდელს „თეთრს" მოდელებს, მის მაგიერ—სხვა და სხვა ფორმებითა და ფერადებით გაღაშლილია თვალწინ სრული ქვეყანა, რაც ეროვლს ნაბიჯზე თვალში ეჩხირება ბავშვების, ასაზრდოვებს დაკვირვებას და ავითარებს მისს გონებას ამასთან ერთად, როგორც გვარწმუნებენ მცოდნე მნახველები, ამერიკის სკოლებში ვერსად შეხვდებით იმ მოწეენილობას, იმ კასოცარ ერთგვარობას, რასაც ჩვენში ვხედავთ ხატვის გაკვეთილებზე. პირიქით, ხეშრობა, სიცილი, სამხიარულო არაკები, საინტერესო პაწაწა დექსები, პატარა მოთხრობები ამა თუ იმ მხატვრის ცხოვრებიდან, ხელოვნებათა ისტორიიდან თან დათან მიჰყვება ფერადებით ხატვას, შეძერწვას, სურათების კასინჯვას და სხ. აქ დაკვირვება, ხშირი ცვლა შთაბეჭდილებისა და კასოცარი-

სხვა და სხვა ფერობა გადაცემაში დიდს როლს ასრულებს; ყველა ამის შედეგი შედარებით უკეთესია, ვინემ ჩვენს სკოლებში.

ამერიკული მეთოდის მთავარი მიზანია მოამზადოს საზოგადო განათლების სკოლისათვის ისეთი ნიადაგი, რომელზედაც, როგორც მკვიდრს საფუძველზედ, შესაძლებელი გახდება ბოლოს ხატვის შესწავლა ხელოვნების, მრეწველობისა და ტეხნიკის ყოველს ასპარეზზედ.

ამის მიხედვით ამერიკის სახალხო სკოლებში ხატვას საზოგადო განვითარების სასტიკი ხასიათი აქვს, რაც განირჩევა ტეხნიკურისა და სამხატვრო სკოლების ხატვისაგან; იქ თავდაპირველად წმინდა ხელოვნებას, ტეხნიკის შემუშავებას, სურათის სისწორეს და წვრილმანობას, აგრეთვე წმინდა სარგებლობის მიზანს უკანასკნელი ადგილი უჭირავს. „საჭიროა თავისთავად არა სურათი ბავშვისა, არამედ ის, რასაც სწავლობს ამ ხატვის დროს“ — ასეთია ამერიკული მეთოდის პრინციპი. ტეხნიკურს მხარეს თავდაპირველად იმდენი ფასი არ აქვს ხატვის დროს, ის თავის თავად შეიმუშავება, როგორც შედეგი ხანგრძლივი ვარჯიშობისა, არამედ ბავშვის ვარჯიშობას მხედველობის, დაკვირვების, შედარების, საგნების ფორმებისა და ფერების დათვსების განვითარებაშია თავი საქმე და ბავშვის გონების და შემოქმედების ძალის გაღვიძებაში.

„საგნის დანახვის ცოდნისკენ, თვალით შეგნებისა და გაზომვისკენ არის მიმართული ხატვის გაკვეთილები ამერიკის სკოლებშიო“ — ამბობს ქ-ნი იანყული თავისს საინტერესო წიგნში „ამერიკის სკოლა“. საგნის დანახვა არც ისე ადვილია, ეს შეიძინება მხოლოდ რამდენიმე განმანათლებელი პროცესებით. იმის მსგავსად, როგორც კითხვის უმეცარი ვერ არჩევს წიგნში ვერაფერს გარდა აბრეულებულის გვერდებისა, აგრეთვე ისიც, ვისაც ხატვა არ უსწავლია, ბევრს ვერ არჩევს, რაც ერთბაშად მოხვდება თვალში, თუ მას არ უვარჯიშნია ფორმების დაკვირვებაში და სურათების კითხვაში. ხატვის გაკვეთილებმა წესიერება უნდა შეიტანოს ბავშვის ხოტიურს წარმოდგენაში. როცა ბავშვი ძირითად ფორმებსა და მათის გამოხატულობას გაიცნობს, მას არ გაუკვირდება ზედა პირებისა და ხაზების არევ-დარევა, რაც თვალებში ეხირება, რადგანაც მაშინ ყველაფერში მხოლოდ სხვა და სხვა კომბინაციებს და ცნობილ ტიპიური მოხაზულობის გამეორებას დაინახავს. მოზრდილ ბავშვს სხვა და სხვა ფორმები რაღაც საუცხოოდ, გაუგებრად და რთულ საგნად მიაჩნია, იგი ისეთივე დარჩება თუ პატარაობიდანვე არ დაჩვეულა ყველა ფორმების ჯგუფ-ჯგუფად ცნობილ კლასებად და ნორმებად დაყოფას, — ერთის სიტყვით თუ არ დაჩვეულა ხილული ქვეყნის **შეგნებით განხილვას.**

ასეთი შეხედულობა აქვს ხატვის მნიშვნელობაზე ამერიკის პედაგოგიას. როცა ჩვენში ხატვის სწავლების დროს კადიან ელემენტარული ხატვის სისტემატიურს კურსს კედლის ტაბულებიდან, მასწავლებლის ნიმუშებიდან ან ორიგინალებიდან, რომლის მიზანი გამოიხატება ხაზების მეხანიკურად შესწავლაში, ტეხნიკაში; როცა ჩვენში მთელს წელიწადებს ანდომებენ ერთსა და იმავე კომბინაციების ხელოვნურად შეგროვებულ ნიმუშების (მოდელების) გამეორებას და მხოლოდ ბოლოს დიდი ჯაპანწყვეტის შემდეგ მიუახლოვდებიან სკოლაში ხატვის უკანასკნელს მიზანს — ბუნებიდან გადახატვას, ამერიკელები, ზემოთ მოყვანილი მოსაზრებათა მისედვით, სკოლის სწავლების პირველ დღიდანვე, მოწაფეებს პირდაპირ გადუშლია თვალ წინ ბუნებას და ნებას აძლევენ მათ თვითონ გააკეთონ მიწოდებული ამოცანა. ამერიკელ პედაგოგს სრულიად არ აშინებს ბავშვის ნახატის ბუნებრივი ტეხნიკური უსწორ-მასწორობა. „ყოველს

ტლანქს ხაზში, თითოეულს ბავშვის ნახატის უსრულს ფორმაში ჩვენ ვხედავთ აზრსა და გრძნობას—ბავშვის სულიერი ცხოვრების ცხადს გამოხატულებას. . ასეთი თავისუფალი ადბეჭდა ბავშვის აზრისა საჭიროა ყოველთვის გამხნევებული იქმნეს და არა შეკავებული. საჭიროა ბავშვს ჰქონდეს რვეული, რომელშიაც თან და თან უნდა შეჰქონდეს სურათები, რომლის ერთად ერთი მიზანი მისი ცხოვრების, მოქმედების, აზრის და გრძნობის გამოხატვა უნდა იყოს: ტეხნიკას ამ საფეხურზე მნიშვნელობა არ აქვს. ასეთია რწმენა ამერიკელი პეოაგოგისა. „გაანთავისუფლეთ ბავშვი დროებით ტეხნიკურ საგნების სწავლებისაგან, მიეცით ნება თავისუფლად ხატვისა, ცარცით დაფაზე, ფანქარით და კალმით ქაღალდზე, მხოლოდ ხატვის კმაყოფილებისათვის, შემდეგ კი მიაქციეთ მისი გულის ყური ხატვის ტეხნიკას, რაც მისთვის შემდეგში უფრო აზრიანი იქნება“—ამბობენ ამერიკელელები. მეორე დამახასიათებელი თვისება ამერიკული მეთოდისა არის დამოუკიდებელი გადაცემა საგნისა მთელის სისრულით, წვრილმანების მიუხედავად. მარტივი ყვავილი იქნება, მინდვრის ბუზანკალი თუ რთული ბუნება სხვა და სხვა გვარ საგნების ერთათ შეჯგუფებით, ან ქმნილებათა გვირგვინი—ადამიანი, ამერიკელი პატარა მხატვარი თავდაპირველად გადმოგვცემს საგნის საზოგადო ხასიათს, საზოგადო მოხაზულობას კერძო თვისებათა მიუხედავად.

ამერიკული ხატვის პრინციპები ეხლა ზოგან ჩვენშიაც შემოიღეს, მაგრამ ისეთს შედეგს ჩვენში ვერ ვხედავთ, როგორც ამერიკაში. ამიტომაც ამერიკული სკოლის მოწაფის ნახატი, თუმცა ტეხნიკის მხრით სისრულეს მოკლებულია, მაგრამ საზოგადო მსგავსებით ბუნებასთან და ტიპიური გამოხატულობით გასაოცარია. მაგალითად რომელიმე მოძრავი საგნის ხატვა, თუნდ ფრინველის მოძრაობა (რასაც ხშირად ვარჯიშობენ ამერიკის სკოლებში) თავის თავად ითხოვს უტებ მოჰკრა თვალი მთელს საგანს და უტებვე გადაიღო ქაღალდზე. ამით აიხსნება ცალკე სავარჯიშოების გავრცელება ამერიკის სკოლებში ე. ი. „კალმის მოსმით“ ხატვა. მოწაფეს აძლევენ საგანს მაგ. სკამს, ქოლგას ეუთს და სხ. განსაზღვრულ დროში (20. 15, 10 წუთი) იმან მიცემული საგანი უნდა დახატოს სხვა და სხვა მდგომარეობაში, რამდენად მეტია ეს სხვა და სხვა მდგომარეობა საგნისა ჩახატული რვეულში, იმდენად ბავშვის ნამუშევარი უფრო მოსაწონია. ამისთანა სავარჯიშოებს ის დირსება აქვს, რომ უვითარებს ბავშვს სწრაფ მოსაზრებას და ხელის სიმარდეს.

წარმოდგენილების განვითარებას და შემოქმედებითი ძალის გაღვიძებას მოწაფეებში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ამერიკულს მეთოდში. „ჩვენ გვრწამსო—ამბობენ ამერიკელი პედაგოგები, „რომ თითოეულს ბავშვში არტისტის სული იმალება: ყველა მოწაფეს შეიძლება ასწავლო რამდენადმე მაინც დაინახოს სიმშვენიერე ბუნებაში და ხელოვნებაში და ყველას მოუნდება გამოხატოს ის, რასაც ხედავს“. ჩვენ, რომელნიც მიჩვეულნი ვართ და შემოქმედებით ძალა მხოლოდ რჩეულ პირებში გვგონია და არა ყველა სკოლის მოწაფეში, ეს კადაჭარბებულად გვეჩვენება. მაგრამ საჭიროა ჩაიხედოთ ამერიკელ მოწაფის რვეულში, რომ დარწმუნდეთ ამაში. . არ არის არც ერთი ასაკოლო საგანი, ამბობს ქანი იანგული, რომლის სწავლების დროსაც არ მიმართონ ხატვას, რომლის ნიმუშებით დასურათებულია მოწაფეების საწერი რვეულები. თუ უნდა მოწაფეს ასწერინო ის, რაც გაიგო ბოტანიკის გაკვეთილზე ვთქვათ, ლობიოს შესახებ, ის თავის აწერილობას თან ჩაურთავს ლობიოს სურათებს სხვა და სხვა განვითარების ხანაში: თუ სწერს თხზულებას ზოოლოგიიდან, მოწაფის რვეულში შეხვდებით სურა-

თებს, რომელიც ახასიათებს მაგალ. კურდღლების ზნეს; თუ უნდა ასწერონ ისტორიის რომელიმე ხანა, მაგ. ჩრდილო ამერიკის დასახლება, ის ასურათებს თავის მოთხრობას პირველ ახალშენთა მოწყობილობით. თითქმის იგივეულებანიც ლიტერატურიდან და ანრითმეტიკის რვეულებიც კი სავსეა სურათებით“. „საზოგადოთ ე. ბ. კოვალევსკის სხარტული შენიშვნით, თუ ევროპაში მოწავეის რვეულში, რომლის გვერდზე შენიშნავთ ამა თუ იმ სურათს, შრისხანებას იწვევს მასწავლებელში, ამერიკაში, პირიქით, ასეთი ვარჯიშობა სრულიად ბუნებრივად და სასურველად მიიჩნიათ“.—

ფერადებით ხატვა ამერიკის სკოლებში უველა კურსებზეა. ჩვენ ვცხოვრობთ არა მარტო ფორმების, არამედ ფერადების ქვეყანაში, ამიტომ წესიერების სისტემის და კლასიფიკაციის შეტანა ფერადების სხვა და სხვაობაში, ამერიკელების აზრით, ისეთივე საჭიროა, როგორც წერა-კითხვა. ამ მიზნით მოწავეებს ეოველთვის აქვთ მზად თუ აკვარელის ფერადები არა, ეოველ შემთხვევაში სხვა და სხვა ფერის ქაღალდები, ფერადი ფანქარი, ფირფიტები, კუბიკები და სხვა ფერადი ხელსაწეობები. რომ ფერად ხატვას საპატიო ადგილი უჭირავს ამერიკის სკოლაში, იქიდანა სჩანს, რომ ქ-ნი იანეულის სიტეყვით, სახალხო სკოლების მასწავლებლები, რომელთაც ხატვა თითქმის უველამ იცის, გაკვეთილებზე ხშირად მიმართავენ ამა თუ იმ სურათს, რომელსაც ხატვენ საკლასო დაფაზე ფერადის ცარცით. გზა და გზა ფანქარით და ფერადებით ხატვის დროს ამერიკულ მოწავეს გადასცემენ ზოგიერთ ცნობებს ხელოვნების ისტორიიდან, დიდებული მხატვრების ბიოგრაფიებს, სტილის დახასიათებას და სხ.

ამერიკული მეთოდის დამახასიათებელი თვისებაა საშუალებათა მრავალ-გვარობა, რომელსაც მიმართავენ ფორმების შესწავლის დროს; შეძერწვა თიხისა და ცვილისაგან, ამოჭრა და დაწებება არშიებისა ფერადი ქაღალდებისაგან, ხეზედ ამოჭრა, ნახშირით, ფანქრით, კალმით, ფერადი ცარცით და საღებავებით ხატვა, ქაღალდის მოხრა.—ეს ის იარაღები, რომელსაც აძლევენ ხელში პატარა მხატვარს, რომ თავისუფლად გამოხატოს თავისი აზრები და გადმოგვცეს ნახული. რასაკვირველია ამ სხვა და სხვა ფერობის გამოხატვა არა ჩვეულებრივი საინტერესო საგანი ხდება და სწავლაშიაც ცოცხალს სიეცარულს და ხალისს უდვიძებს მოწავეს.

არაფერს ვიტეყვით იმის შესახებ, რომ ამერიკის სკოლებში ბავშვის თვით მოქმედებას ფართო თავისუფლება აქვს მინიჭებული და მასწავლებელი მოწავეის გულის ეურს მიმართავს რომელიმე საგნისკენ და ნებას აძლევს, რომ თვით მოწავეებმა გამოიეენონ შესაფერისი დასკვნა.

რაც შეეხება ამერიკულ მეთოდის სისტემას, ის იმდენად ორიგინალურია, რომ ერთი შეხედვით და საზოგადოდ მიღებულ სისტემასთან შედარებით, გეგონებათ, თითქოს სისტემა სრულიად არ არსებობს, მართლაც რა სისტემა შეიძლება ამ უხეირო შესრულებულ სურათებში, სადაც მაგალითად ბურთის ხატვას, კუბიკის ხატვა მოჰყვება, სადაც რამდენიმე წლის განმავლობაში ერთი მეორეს მჭეეეებიან და მეორდებიან.—ფრინველები, მცენარეები ხილეულობა, ცხოველები, თითქოს ფორმებში თანადათანობისა და კავშირის დაუცველად—სრული წინააღმდეგია იმ მეთოდისა რომელიც დამეარებულია გეომეტრიული ფიგურების შესწავლაზედ, მაგრამ ეს ერთი შეხედვით გვეჩვენება ასე. ეფრო გულ დასმით, რომ გავშინჯოთ ამ თითქოს უხეირო სურათების კოლექციები, რაც ზოგჯერ მართლა მშვენიერად არის შესრულებული, დავინახავთ სისტემასაც, რომელიც შეიძლება ზოგათვის საკამათო იეეს, მაგრამ ეოველ შემთხვევაში

არ არის მოკლებული სასურველს თანხმობას, გაწყობილებას და საფუძველს.

ამერიკული სისტემა ხატვის სწავლებისა კონცენტრიულია ე. ი. მეცადინეობა ყოველ წელიწადს არსებითად ერთი და იგივეა, მაგრამ პროგრამმა სწავლებისა, ვარჯიშობისა და ტეხნიკურ განვითარების მიხედვით თანდათან ივსება, ფართოვდება და რთულდება ახალ ახალის ცნობებით. ხატვაში მეცადინობა მარტო ხატვაში კი არ მდგომარეობს, არამედ, როგორც ზევითაც ვსთქვით, მრავალ სხვა და სხვა გვარ ვარჯიშობაში, რომელიც ასე თუ ისე ხელს უწყობს მოწაფის ყველა სულიერ ძალთა განვითარებას.

ფერების შესწავლა: წინასწარ გიმნასტიურ ვარჯიშობის შემდეგ, რასაც მიზნად აქვს გაცნობა ბავშვები ცნებებს — ზევით, ქვევით, მარჯვნით, მარცხნით და მწუობრი მოძრაობით გაუვითარდეს პატარა ბავშვებს თავისუფლება, სიადვილე და რწმენა, შეუდგებიან ფერების განხილვას (მზის ჩასვლას, საპნის ბუშტების ფერი, სხივების გადატეხვა პრიზმაში და სხ.) და ამ დაუსრულებელი სხვა და სხვაობიდან სამი ძირითადი ფერის გამოყოფას: ყვითელის, წითელის და ლურჯის. ამ სახით ფერების შესწავლა პირველ ადგილს იჭერს ამერიკულს მეთოდში და წინ უსწრობს ხაზებით ვარჯიშობას იმიტომ, რომ, ამერიკელების აზრით, ფერი ყველაზე წინ გვხდება თვალში, ფორმის შესახებ ცნება კი მხედველობისა და შეხების შთაბეჭდილებიდან წარმოსდგება.—

ფორმის შესწავლა: ბავშვებს ურიგებენ გეომეტრიული სხეულების პატარა მოდელებს. ისინიც ყურადღებით შინჯავენ, შეეხებიან, და თამაშობენ ამ საგნებით, ამავე დროს ყოველის მხრით გაიცნობენ ხილული ქვეყნის ტიპიურს ფორმებს: სფერებს, კუბს, ცილინდრს და პრიზმას. ამასთან მშრალს და განეენებულს განსაზღვრებას ადგილი არ აქვს, პირადი დაკვირვება და ცდა შეადგენს საფუძველს—ესა თუ ის დამოუკიდებელი დასკვნა პირველს ადგილს იჭერს.

შენობების აგება შესასწავლ ფორმებისაგან, რასაც მასწავლებელი მისცემს, ან მოწაფეები თავის თავად მოისურვებენ (სახლები, კოშკები, ციხეები, ხიდები და სხ.) შეადგენს აგრეთვე ფორმების შესწავლას, მხოლოდ ხელოვნურად დაფარულის სახით. ამერიკელების აზრით ასეთი ვარჯიშობა თავისი შედეგით ძლიერ ნაყოფიერია: იმით მიჰყავთ ბავშვები მარტივი ფორმების შეგნებისა და დაფასებისაკენ, ფორმისა და მანძილს შორის განსაზღვრისაკენ, საზღვრებისა და დანიშნულების სახით. შეძერწვაც ერთი მრავალ საგანთაგანია ფორმის შესასწავლად. ამ წესის ღირსება გამოიხატემა მხედველობისა და შეხების ერთისა და იმავე დროს განვითარებაში. საზოგადო სახის შესწავლა წვრილმანების მიუხედავად—შეადგენს, სხვათა შორის, მიზანს შეძერწვისას. როცა მოწაფეები შეითვისებენ დასაწყისი შეძერწვის ზოგიერთს ხერხს, ბავშვები აკეთებენ თიხისგან მასწავლებლის შიერ მიცემულს გეომეტრიულს ფორმებს (სფერას, კუბს და სხ.) ან და გონებით, მეხსიერებით (თავისუფალ არჩევითაც) კატას, ძაღლს, ვაშლს, მსხალს, სახლს და სხ.) შეძერწვის ტეხნიკა აქ საჭირო არ არის, მოითხოვენ მხოლოდ ზოგიერთს მსგავსებას საგანთან; ფასი აქვს იმას, რის გადმოცემაც სურდა ბავშვს.

ხატვა საილიუსტრაციო და მიცემულს თემებზე. აი დადგა დრო, როცა ბავშვს აძლევენ ხელში ფანქარს ბავშვისათვის ადვილად გასაგებ და გატაცებულ ცოცხალის საუბრებით მასწავლებელი აძლევს მოწაფეებს მოელს რიგს თემებისას დასასურათებლად: რას აკეთებენ ბავშვები? და სხ. ბავშვები სრულიად დამოუკიდებლად მუშაობენ. აქ მათ შეძლება აქვთ გამოიჩინონ ნიჭი, ცოდნა ფანქარის დაჭე-

რისა, ძალა წარმოდგენილებისა და შთაბეჭდილებისა, ცოდნა—გადმოგვცეს იმისი სახე, რაც მათს გონებაშია. მასწავლებელს სრულიად არ უკვირს მოწაფეთა ნახატის ტექნიკური სისუსტე, იგი უურადღებით ათვალიერებს ყველა ნამუშევარს და სტრიქონებს შუა კითხულობს ბავშვების აზრებს.

დაფერადება. ბატარა ყუთი სამი ძირითადი ფერის საღებავით, ორ-ორი სახატავი ფოჩი, ფინჯანი წყლით და თაბახი თეთრი ქაღალდი უძევს წინ ბატარა მხატვარს. მასწავლებელი ხელოვნურად ხელმძღვანელობს, ბავშვები თითქმის „თამაშობით“ სწავლობენ საღებავების წასმის ტექნიკას და სამი ძირითადი ფერისაგან—მწვანის, ნარინჯის და იის ფერების შედგენას. ხატვენ ბუნებიდან და ზეპირად: ფოთლებს, ყვავილებს, ხილს, ადგილების სურათს,—ხატვენ უხაზოთ და ხანდახან უფანქაროდაც, ცდილობენ სახატავი ფოჩის ერთის მოსმით გამოხატონ საზოგადო შთაბეჭდილება.

მაგრამ ფერების შესწავლა რთული საქმეა და ბევრს ვარჯიშობას ითხოვს. ამიტომ ამერიკელი პედაგოგები არ სჯერდებიან მარტო გაფერადებას და ამ საკარჯიშოს ასხვაფერებენ სხვა და სხვა ნაირად. სახეების გამოჭრა და დწებება ერთი ფერად სახალისო საკარჯიშოა ამ კურსის პროგრამაში. ბატარა მხატვარს აძლევენ ყუთს ფერადის ფირფიტებით, ფერადს ქაღალდს, მაკრატელს, ფოჩს და შრეშს დასაწებებლად. ფირფიტებს შეკეცავენ, ან სჭრიან ფერად ქაღალდებს და გააკრავენ კარდონზე სხვა და სხვა ფორმისა და ფერის სახეებს. ამ ვარჯიშობით მოწაფეები უკეთ იძენენ ცხად წარმოდგენილებათ ფერებზე; ბავშვები სწავლობენ ფერების სხვა და სხვა ნაკვეთების დირსებას და ეჩვევიან ამ ჭარმონიიო სიამოვნებას.

დაკვირვება და ხატვა. ხატვის სწავლების ამ საფეხურს იმის შემდეგ, როცა სანგარს კარგად დაუკვირდებიან, დაწვრილებით შეისწავლიან, თავისუფალ დასურათებას ბუნებიდან გადადება მოჰყვება; ბავშვები შეძერწავენ კურდღელს და ხატვენ; მოაქვთ თან მინდვრიდან ბალახი, და გადაქვთ ქაღალდზე საღებავით და სხ. მანძილი საგნების შორის (პერსპიკტივა) თვალსაჩინოდ ისწავლება, და ცოდნა რომელიმე საგნის სისწორით გამოხატვისა პერსპექტიულ შემოკლებით შეიძინება არა თეორიულ საფუძვლის ცოდნით (რასაც ცდილობენ ძველ მეთოდში), არამედ გულის-ყურის მიპყრობით და ხატვაში ხანგრძლივი ვარჯიშობით, მოკლედ რომ ვსთქვათ ეს შეიძინება იმდენად გონებით კი არა, რამდენადაც გრძნობით.

სურათების გასინჯვა. ვინ არ იცის, რომ ფერადი სურათებიანი წიგნი ბავშვებისათვის ბედნიერებას შეადგენს. განსაზღვრულ სასწავლო დღეებში ბავშვებს უჩვენებენ საუკეთესო მხატვრების ნაწარმოებს და მასთან გზა და გზა გადასცემენ ცნობებს ხელოვნების ისტორიაზე, უამბობენ ცნობილ მხატვრების ბიოგრაფიას და სხ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, კედლებზე გამოფენილი სურათები, როგორც კედლზე გაუოლებით დათა ხატვისათვის, ჩვეულებრივი მოვლენაა ამერიკის სკოლებში: სურათს დიდს მნიშვნელობას აძლევენ ესტეტიური გემოვნების განვითარებაში და ზნეობრივი მისწრაფებათა გაღვიძებაში, იმიტომ, რომ „სურათები“ ამერიკელი პედაგოგების აზრით, „უხმოდ მიმართავენ ბავშვის ნებას სიკეთისაკენ“!—

მარტო ზემოთ ჩამოთვლილ ვარჯიშობას არ ჯერდებიან ამერიკის სკოლებში. საქმეში დახელოვნებული ამერიკელი პედაგოგი ვარჯიშობას აძლევს საოცარს სხვა და სხვა ფერობას. თითქმის ისეთი საკარჯიშო, როგორც არის მაგალითად ქაღალდის შოხრა, ან კერვა ქარგაზედ, მის ხელში აღმზრდელობითს მნიშვნელობას იღებს. არსებობს ორნაირი წე-

სი ქაღალდის შეკეცვისა—ერთს საფუძვლად აქვს გეომეტრიული სხეულების ტიპიური მოდელები იმ მიზნით, რომ გაკგებინონ ბავშვს ძირითადი ფორმები და აქედან შეადგენინონ ახალი ფორმები და კომბინაციები,—მეორე ხდება ზეპირ გადაცემით და ხელს უწყობს სამუშაოს სისწორის და თითების სიმარდის განვითარებას. აქ სავარჯიშოების დროს მასალა ბავშვების ხელში მოულოდნელად რადაც ახალ რამედ იქცევა, რაც, რასაკვირველია, მათთვის სიხარულის წყაროს წარმოადგენს. ჭკეცენ ქაღალდს წიგნის ყდის სახით, ჩარჩოებად, დასაკიდ კალათებად, ქოლგებად, ფეშტემლებად და სხ. ქარგაზედ კერვა თითქოს საქალებო პროფესიონალური სკოლის საქმე უნდა იყოს, მაგრამ საზოგადო განათლების სკოლაში ამას ამერიკელები დიდს მნიშვნელობას აძლევენ. ქარგაზედ კერვა ამერიკელი პედაგოგების აზრით ხელს უწყობს ხელის საშუალებით გონების განვითარებას; ეს სავარჯიშოები ავითარებს ხელის სიმარდეს, აჩვევს თვალს სიმშვენიერის შეგნებას, ფერადების ჭარმონიულად შექსოვას და მიჭვავს გონება ახალი ფორმების შექმნისაკენ. ბავშვებს წინდაწინ გაუთრთხილებენ როგორ უნდა მოეპურანნ ნემსს, შემდეგ მისცემენ სქელ ქაღალდს, რომელზედაც დაწებებულია დამაზი სურათი, მისცემენ სხვა და სხვა ფერის აბრეშუმის და მატულის ძაფებს, ბავშვებმა უნდა შეჭკერონ მიცემული სურათის კონტური.

საკლასო დაფაზედ ხატვაში ამერიკელი პედაგოგები ამხნევებენ მოწაფეებს. როგორც ვსთქვით კედლებზე ჩაფოლებული საკლასო დაფა მუდამ ბავშვების უფლებაშია. ისინი ყოველი თავისუფალი წუთით სარგებლობენ, რომ გამოხატონ რამე დაფაზედ. როგორც საკლასო სავარჯიშო, დაფაზედ ხატვა უვითარებს ხელებს, ხელს უწყობს ფართოდ მოხაზულობას და სურათის სისწრაფეს, ბავშვები ვარჯიშობენ სხვა და სხვა სახეების ხატვაში ერთსა და იმავე დროს ორივე ხელით.

ჩამოთვლილ სავარჯიშოებს თუ კიდევ დავუმატებთ სწრაფ ხატვას გაშლილ ჭერზე, ცოცხალი ცხოველების და ფრინველების გადახატვას, რაც შეადგენს უფრო მოზრდილების სავარჯიშოს, მაშინ ამერიკული მეთოდის სურათი ტოტად თუ ბევრად სრული იქნება. ამას უნდა დავუმატოთ კიდევ ერთის მხრით თეორიული მეცადინეობა—ხელოვნების ისტორიის კურსი, სტილების შესწავლა; მეორე მხრით პრაქტიკულ ცხოვრებაში გამოსაყენებელი მეცადინეობა, ხელით მუშაობა (ხეზე ამოკვრა, ფურგლობა და სხ.), ერთიც და მეორეც ამერიკის სკოლაში მჭიდროდ უერთდება ხატვას.—

კახაბერი.

უ ც ხ ო ე თ ი

სკოლის გამოცდილებიდან

სწავლაში ხელსაწყო მხატვრული დია წერილები

საფრანგეთის სასწავლებლებში მხატვრულ დია წერილებს დიდს მნიშვნელობას აძლევენ; დია წერილების ხმარება სკოლებში დღითი დღე ვითარდება და ვრცელდება. სურათების საშუალებით სწავლების მოწყობის საქმე ახალს აზრს არ შეიცავს, მხოლოდ დია წერილებმა, როგორც შედარებით იაფმა საშუალებამ, უფრო გაადვილეს ამ აზრის განხორციელება.

თავდაპირველად ამ საგანს საფრანგეთში 1880 წელს მიაქცეს ყურადღება, როცა სამინისტრომ დანიშნა კომისია „სასკოლო მუზეუმის“ დასაარსებლად. აზრად ჰქონდათ ყველა სახალხო სკოლასთან შეედგინათ სურათების, ქანდაკებათა და ფოტოგრაფიის პატარა კოლექციები, რომელთაც უნდა წაეხალისებია ბავშვი. ამ გვარი სასკოლო მუზეუმიდან ბავშვებს უნდა შეესწავლად ზოოლოგია, გეოგრაფია, გეოლოგია, ისტორია და აგრეთვე მხატვრობის, ქანდაკების და ხუროთ მოძღვრების ნაწარმოებნი. მაშინ ბევრს სკოლას ამშვენებდა საუცხოო მხატვრული ნაწარმოები. მაგრამ სამინისტროს კეთილი განძრახვა უსახსრობის გამო ვერ განხორციელდა. უკვდავი იდეა კი ბოლოს განხორციელდა დია წერილების საშუალებით, თუ სახალხო სკოლებში არა, საშუალო სასწავლებლებში მაინც. შეძლებული ოჯახის მოწაფისათვის დია წერილების კოლექციების შედგენა სიძნელეს არ წარმოადგენს. ხუთი წლის წინად საშუალო სასწავლებლის ზოგი მასწავლებლები წასაქეზებლად აძლევდნენ დია წერილებს მოწაფეებს, მაგალითად ლათინურიდან კარგს ოარგმანში მოწაფე მიიღებდა დია წერილს რომელიმე შესანიშნავ ძველი ხელოვნების სურათით. მაგრამ მაშინ სკოლებში დია წერილებს შემოხვევითი ხასიათი ჰქონდა. ეხლა კი პარიზის მრავალს ლიცეებში დია წერილებს ისე ხმარობენ, როგორც საუკეთესო საშუალებას სწავლების დროს. მაგალითად პარიზის ლიცეის ბუნების მეტყველების მასწავლებელმა კონდორსემ თავის საგანში ჩინებული კოლექცია შეადგინა დია წერილებისა, რომელიც გაკვეთილების დროს გადადის კლასში ხელიდან ხელში. ხშირად კოლექციებს თვითონ მოწაფეები ადგენენ მასწავლებლის ხელმძღვანელობით. თითოეული მოწაფე ზაფხულში, დასვენების დროს, აგროვებს დია წერილებს და მიაქვს სასწავლებელში კოლექციის გასამდიდრებლად. ზოგი მოწაფეები თვითონვე ამშვენებენ დია წერილებით თავიანთ რვეულებს, სადაც იწერება სასწავლო კურსი, რომელთანაც დია წერილს აქვს კავშირი. მასწავლებლებიც აქეზებენ მოწაფეებს კოლექციების შედგენაში. ისტორიის სწავლების დროსაც ხშირად მიჰმართავენ ხოლმე დია წერილებს. ამ საგნის სწავლება საფრანგეთში ყოველთვის ისე იყო მოწყობილი, რომ დასურათებას პირველი ადგილი ეჭირა; არა მარტო სახელმძღვანელო წიგნებია სავსე აუარებელი სურათებით, არამედ ისტორიის მასწავლებლებიც ხშირად აცხოველებდენ თავიანთ კურსს თიდისმის ფანრის დახმარებით. ეხლა აუარებელი კოლექციებია ისტორიული დია წერილებისა, რომელზედაც გამოხატულია სხვა და სხვა სურათები.

ამას წინად პარიზის უნივერსიტეტის პროფესორმა და „როლენის“ კოლეჯის მასწავლებელმა პოლ-კრუზემ გამოსცა მთელი სერია დია წერილებისა ლიტერატურის შესასწავლად — „ლიტერატურა სურათებში“.

მწერლების სახელები, როგორც ისტორიუ-

ლი დატები, მოწაფის გონებაში ხშირად ირევა, სურათების საშუალებით კი მწერლის სახე მოწაფისათვის კონკრეტიული ხდება. როცა მოწაფეს უჩვენებენ რომელიმე მწერალს იმ წრეში, საცა ის სცხოვრობდა, როცა თვალწინ გადაუშლიან მთელს ეპოქას, მოწყობილობას, სადაც მწერალმა შეჭქმნა ესა თუ ის ნაწარმოები, მაშინ მასწავლებელი იმ მწერალს მართლა ცოცხალ და ცნობილ პირად დაუსახავს მოწაფეებს.

თითოეული ზემოთ ნათქვამი სერია „ლიტერატურა სურათებში“ შეიცავს 12 ლია წერილს. დღემდის გამოსულია სერიები, რომელიც გვიხატავს მოლიერს, ვიქტორ ჰიუგოს, საფრანგეთის თეატრს კორნელამდის, რასინს, მონტერიუს, ვოლტერს, შატობრიანს. მაგალითისთვის ავიღებთ ვიქტორ ჰიუგოს სერიებს: იქ შეხვდებით ლია წერილებს, რომელზედაც გამოხატულია: სახლი, სადაც ვიქტორ ჰიუგო დაიბადა და ცხოვრობდა პარიზში, „ერნანის“ პირველი წარმოდგენა, კარიკატურები ვიქტ. ჰიუგზე, მუზეუმის დარბაზის ერთი კუთხე, რომელიც უძღვნეს ვ. ჰიუგოს; ვიქტორ ჰიუგო ჟერსეის კუნძულის კლდეზე (ფოტოგრაფია გადაღებულია მისი შვილის შარლ ჰიუგოს მიერ); ექვსი სურათი ვიქტორ ჰიუგოსი—სურათები მისი რომანებიდან, სურათი მხატვრისა სტეინლენისა „ღარიბი ხალხი“ ვ. ჰიუგოს რომანიდან; ოთხი სურათი ვიქტორ ჰიუგოს სახისა, კაბინეტი, საცა ის მუშაობდა და გარდაიცვალა და ბოლოს პარიზი, პატივისმცემელი ვიქტორ ჰიუგოსი.

აქედან სჩანს, რომ სალიტერატურო ლია წერილები შეიძლება მრავალიც და სხვა და სხვა გვარიც: ავტორების სურათები, კარიკატურები, ქანდაკებანი ავტორის თხზულების პირველ გამოცემიდან, ფაქსიმილე, ხელნაწერი, ავტოგრაფები, სადაც დაიბადა და ცხოვრობდა ავტორი, მხატვრული ან ქანდაკების ნაწარმოები, რომელთაც დამოკიდებულება აქვს ავტორის პიროვნებასთან ან მის თხზულებასთან, ოთველგვარი სურათები მწერლის ცხოვრებიდან და სხ.

ზოგი მასწავლებელი ლია წერილებს თხზულებისათვის თემად ხმარობენ. იმის მაგიერ რომ უკარნახო სამი სიტყვით თხზულების შინაარში, მასწავლებელი აძლევს ასწერონ ის, რასაც მოწაფე თავის თვალწინ ხედავს. ის მისცემს ასწერად მოწაფეს მაგ „ზღვის ღელვას და გემის დადუპვას“, თუ მას ზღვა არ უნახავს, ამის მაგიერ ის იღებს სურათს, რომელზედაც გამოხატულია ქარიშხლიანი ზღვა და ეუბნება. მოწაფეს არ მოუხდება ძალა დაატანოს მეხსიერებას და მოიგონოს წიგნში წაკითხული საზოგადო ადგილები ზღვაზე ქარიშხლის შესახებ, ისინი უჩვენიან დაკვირვებას და ლიტერატურულის ენით თავიანთი აზრისა და შთაბეჭდილების გამოთქმას.

უეჭველია დასურათებულ ლია წერილებს დიდი სამსახურის გაწევა შეუძლიან სკოლებში უფროსებისა. მომავალში სკოლები იმდენად რომ გამდიდრდნეს კიდეც, რომ სინემატოგრაფს მიჭმართონ, ეს უკანასკნელი მაინც ვერ გაძევებს ბავშვების მიერ საყვარელ სურათებს, რომელთაც ეველა მათგანი დაიჭერს ხელში და გაშინჯავს რამდენიც უნდა.

სასურველია ჩვენშიაც მიექცეს ეურადღება ამ საქმეს. ის პირდაპირი მოვალეობაა ჩვენის „წერა-კითხვის“ საზოგადოებისა და ვნახოთ როგორს უნარს გამოიჩენს.

ჟურნალ-გაზეთებიდან

სკოლები ოსმალეთში

ჟურნალ „B. Вѣст“. 1909 წლის მე№ 9 დაბეჭდილია ბელოუსოვის წერილი „სკოლა ოსმალეთში“. ავტორი აღნიშნავს მიზეზებს, რომლის გამო წერა-კითხვა ოსმალეთში დაბალს სავეხურზედა სდგას და ახასიათებს ეხლანდელ ოსმალეთის სკოლებს. სკოლა ოსმალეთში ორნაირია: სასულიერო და საერო.

სასულიერო სკოლა. არაბების მიერ შეთვისებულია ცოდნათა დაუოფა რაციონალურად და გამოცხადებით—პირველს ეკუთვნის: კითხვა, წერა (თათრულად), ანტიური ფილოსოფია, არაბული ენა და გრამატიკა, მათემატიკა, ლოდიკა; მეორეს—ყურანის შესწავლა. ამის გამო სასულიერო სკოლები „მედრესე“ განიყოფებოდა ორს რიგად: მოსამზადებელი და მაღალი რაციონალური, ბოლოს დაემატა სასულიერო აკადემიები და უმაღლესი მეცნიერების კურსი. საერო ნიშნებით ამ გვარი მოწყობა სასულიერო სკოლებისა დაცულია დღესაც ოსსალეთში, მაგრამ საზოგადო დაცემულებასთან ერთად სასულიერო სკოლაც დაეცა. მაღალ სკოლებში კათედრები ან ცალიერია, ან და უწერავს კარიერის და არა მეცნიერების მიმდევართ; დაბალს სკოლებში საოდაგად ძლივსდა სწავლობენ წერა-კითხვას და იზეპირებენ გაუგებარს უცხო არაბულს ენაზედ ყურანს.

ჯამესთან არსებულ სკოლებში დიდს ქალაქებში ასწავლიან შარიატს, ამზადებენ მოლებს და სასულიერო მსაჯულებს. ამ სკოლებს არც პროგრამა აქვსთ და არც განსაზღვრული დრო, იქ მხოლოდ უსაქმოები იერიან თავს: მოწაფეები სოფლები განთავისუფლებულნი არიან სამხედრო ბეგარისაგან. ისინი ცხოვრებენ ჯამესთან სახელმწიფო ხარჯზე ათ წლობით, სოფლების მოსწილეობა რეაქციონურ მოძრაობის დროს 31 მარტს 1909 წ. რაც გაზეთებიდან გვეუწყა, აიხსნება—ცხოვრების ხასიათის წაქესებით: იმაზე ცოტათი აღრე პარლამენტში აღიძრა კითხვა სოფლების ომში გაწვევის შესახებ, თუ სწავლას განსაზღვრულს დროს არ დასრულებდნენ. აჯანყების შემდეგ რამდენიმე ათი ათასი სოფლი მოჰყვა ჯარის კაცად.

ოსმალეთის სასულიერო სკოლების ბრწყინვალე მხარედ ავტორი ასახელებს დამოკიდებულებას მასწავლებელსა და მოწაფეთა შორის, თამაშობისა და ეშმაკობის ნებართვას ჯამეებში გაკვეთილების შემდეგ დასვენების დროს. შეკითხვაზე თამაშობის შესახებ ტაძარში, ავტორმა მიიღო ასეთი პასუხი: „განა თქვენა გგონიათ, რომ სამოთხეში, ღვთის ზეციერ სახლში, ბავშვები ვერ ითამაშებენ? მაშ აქაც შეიძლება“.

უკანასკნელ ხანებში შეიხულ ისლამი (სასულიერო უწყება ოსმალეთში) მოწადინებულია სასულიერო სკოლებში რეფორმები შემოიღოს, ბუნების მეტყველებისა და ახალის ენების შესწავლით.

მეადრესეები სხვა და სხვა სახელით ოსმალეთში 200-მდისა, მოწაფეთა რიცხვი 100,000 აღემატება.

საერო სკოლა ოსმალეთში დიდი ხანი არ არის რაც არსებობს: ის დაარსდა აბდულ ჰამიდის მეფობის დროს. 1901—2 წელს ოსმალეთში საერო სკოლა იყო: დაბალი 32,339, საშუალო ვაჟებისა და ქალებისა 1 და მეორე ხარისხიანი 681, მაღალი 15, საერთო რიცხვი მოწაფეებისა 1,500,000.

ახალი განათლების სამინისტროსთან არის საადმინისტრაციო და სამეცნიერო საბჭო, თითოეულს ვილაიეტში—პედაგოგიური საბ-

ჭოა სახალხო სკოლების დირექტორთან, თა-თოეულს სანჯაკში ერთი ან ორი ინსპექტორია.

სკოლაში სიარული სავალდებულოა და ამის სისრულეში მოუვანას ოვალეყურს ადევნებს ეადი (მსაჯული შარიათით).

ოთხ საფეხურიანი საერო სკოლების პროგრამები ისეა შედგენილი, რომ დაბალი საფეხურიდან გამოუცდელად გადადიან შემდეგს სკოლაში. ენებისა და კლასიკური ლიტერატურის გარდა, დიდს ყურადღებას აქცევენ მათემატიკასაც.

დაბალს სასწავლებელში, ოთხის წლის კურსით, გარდა ოსმალური წერა-კითხვისა, ასწავლიან ყურანს ახსნით, სწავლობენ არითმეტიკას, ტოტა რასმე ისტორიიდან, გეოგრაფიიდან, ზოგან ხელოსნობასაც ასწავლიან. დაბალ სკოლაში ქალ-ვაჟნი ერთად სწავლობენ 6—7 ან 10—12 წლამდის.

თითქმის ყველა არა ოსმალური სკოლები ოსმალეთში (მათი რიცხვი ტოტაა) საეკლესიოა.



არაბული სკოლა.

ბიბლიოგრაფია

„ქართველი მწერლები“, შედგენილი **ივ. გომელაურის** მიერ, მესამე გამოცემა „სორაპანისა“. წიგნი პირველი.

დიდი ხანი არ არის, რაც ბ-ნი გომელაურის წიგნი „სკოლებში შესასწავლი **ქართველი მწერლები**“ პირველად გამოვიდა. ეს უკვე მესამე გამოცემაა, რაც ცხადად ამტკიცებს, რომ ამ წიგნს ბაზარი უკვე მოუპოვებია. მესამე გამოცემა ბევრად განირჩევა წინა გამოცემებისაგან, როგორც გარეგნობის, ისე მასალის ასე

თუ ისე პედაგოგიურად დამუშავების მხრითაც. ახალი ამ გამოცემაშია უკეთესი სურათები ქართველ მწერლებისა, სიტყვების უფრო კანონიერი ახსნა-განმარტება. მასალის დანაწილება, საწერი თემები და შნოიანი ფერადი ყდა. მასალაც მომატებულია, მხოლოდ არ ვიცით რად გამოუტოვებია წიგნის შემდგენელს მშვენიერი მოთხრობა ი. ევდოშვილისა „ორი ობოლი“ რაც შეეხება მასალის დანაწილებას, როგორც ბ ნს გომელაურს აქვს მოყვანილი, ცოტა არ იყოს, საფრთხილოდ მიგვაჩნია; რადგანაც ამ ხერხით მოწაფეს და მასწავლებელსაც თვით-მოქმედება ესპობათ და ძალა უნებურად უნდა მიჰბაძონ წიგნის შემდგენელს, და რადგანაც ყოველგვარი მიმბაძველობა ბოროტებაა იმ მხრით, რომ მიმბაძველს ეკარგება თავისი აზროვნება, ამიტომ უკეთესი იქნებოდა წიგნის შემდგენელს მხოლოდ რამდენიმე თითო ოროლა მასალაზედ ეჩვენებინა მხოლოდ სტატიის ნაწილები და მაინ სათაურის გაკეთება კი მოწაფეებისათვის მიენდო; ამ შემთხვევაში მოწაფე უსათუოდ გაითვალისწინებს მოკლედ მოთხრობის ნაწილის შინაარს და გაუკეთებს შესაფერისს სათაურს; უკეთესი იქნებოდა, რომ თვით საკითხავი მასალა შინაარსის მიხედვით წიგნშივე იყოს თავებად დაყოფილი ისე, როგორც მაგალითად ნ. ლომაურის „ქაჯანა“ ან ეკ. გაბაშვილის „მაგდანას ლურჯა“ — მაშინ ასეთი კითხვა — „დაყავით მოთხრობა ნაწილებად“ — როცა ის თავებად არის უკვე დაყოფილი, საჭირო არ არის. საზოგადოთ, როცა წერას ნასწავლ მასალასთან შეკავშირებითაც ასწავლიან, მოსაწონია და მხატვრული ადგილების დასურათებაც მოწაფეების მიერ საუკეთესო ვარჯიშობაა, თუმცა, სასურველია, რომ თვითონ წიგნშიაც იყოს დასურათებული რამდენიმე ადგილი. საზოგადო წიგნს თანდათანობით წარმატება ეტყობა და იმედია მომავალში ამ წიგნს კიდევ უფრო გაუმჯობესებულს დავინახავთ, —

შინაარსი: 1. საუბარი სახალხო სკოლაზე (წერილი პირველი) **ლ. ბოცვაძისა.** 2. მასწავლებლის განათლება და მისი პიროვნება **ი. ნიჟარაძისა.** 3. სქესებრივი საკითხი აღზრდაში 4, კარგი მასწავლებელი (ანასტასიევისა) **ბეს. ღამბაშიძისა.** 5. იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილი (მისი 45-ის წლის საპედაგოგიო ასპარეზზე მოღვაწეობის გამო), სურათით და ფაქსიმილეთი. 6. სატკივრის ბიოლოგიური მნიშვნელობა—ფსიხო-ფიზიოლოგია. 7. ტრაპეზონი (მგზავრის წერილებიდან) **აკაკისა.** 8. მოგონება ბოდბის მონასტრის ცხოვრებიდა ნ. მ. **ბ. ისა.** 9. დედ-მამა (ლექსი) **აკაკისა.** 10. არწივი (თარგმანი) **ვალიკოსი.** 11. სიკვდილით დასჯილი (თარგმანი) ლექსი **ა. შანშიაშვილისა.** 12. ზღვის სურათები (ლექსი) **მელიტონ გობეჩიასი.** 13. სატვა-ხაზვის პროგრამები საქართველოს სახალხო სკოლებისათვის. 14. ხატვა-ხაზვის სწავლება **ალ. მრევლიშვილისა.** 15. ამერიკული მეთოდი ხატვის სწავლებში—**კახაბერისა.** 16. უცხოეთი: სკოლის გამოცდილებიდან: მხატვრული დია წერილები საფრანგეთის სკოლებში. 17. სკოლები ოსმალეთში. არაბული სკოლის სურათით. 18. ბიბლიოგრაფია: „ქართველი მწერლები“ **ივ. გომელაურისა** ნაწ. I, გამოცემა მესამე.

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა, სპირიდონ მ. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა საკუთ. სახლი № 5.

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი

განათლება

(წელიწადი მესამე)

VIII ღვინობისთვე 1910 წ.

ჟურნალი წლიურად ღირს 3 მან.
ნახევარი წლით . . 2 მან.
სახალხო სკოლების მასწავლებლებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად **ოჩ მანეთად.**

ცალკე ნომრის ფასი 30 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და „ნაკადულის“ რედაქციაში. წერილები და ჟურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ. Дворянская Грузинская Гимназія. **Л. Г. Боцвадзе.**

საუბარი სახალხო სკოლაზე

(წერილი მეორე)

სახალხო მასწავლებელი

სკოლა თავის თავად მკვდარია,
მისი სულის ჩამდგმელი მასწავლებელია.
ალტენშტეინი.

დღეს სახალხო განათლების საქმის მოწესრიგება უპირველეს საკითხს შეადგენს ჩვენში. ამიტომ ყველაზე უწინ უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს სკოლის სულის ჩამდგმელის-მასწავლებლის ავ-კარგიანობას, მის მომზადებას, კარგ მასწავლებელთა რიცხვის გამრავლებას, რადგანაც სკოლის ბედ-იღბალი ყოველთვის მასწავლებელზე ჰკიდია.

რად გვინდა მრავალი სკოლა, თუ რიგიანი მასწავლებლები არ გვეყოლება, რომლებმაც, უნდა შეიტანონ ხალხში და მოჰფინონ საღი განათლების სხივები? დღეს ჩვენში რიგიანად მომზადებული სახალხო მასწავლებელი ფარნით საძებარია; მაშ რა მოგვივა ბაშინ, რომ ჩვენც ვეღირსნეთ საზოგადო სწავლების შემოღებას, სად ვიშოვით ხეირიან მასწავლებლებს, როცა ისინი დღესაც კი საძებარი გვყავს. კარგი სკოლა და მომზადებული მასწავლებელი ისეთივე საჭიროა, როგორც ჰაერი; ხალხმა უკვე შეიგნო სწავლის საჭიროება, სკოლის კარებს აწყდებიან მოწაფეები, ბევრი ქუჩაში რჩება, არ არის საკმაო სკოლა, არ არიან მასწავლებლები. ცოტად თუ ბევრად თვალწინ გვეშლება სრულ უფლებიანი მოქალაქობრივი ცხოვ-

რება, მაგრამ რამდენს უფლებასაც შევიძენთ, იმდენი მოვალეობაც გვაწევს. ყველა მოქალაქის უპირველესი მოვალეობაა შვილების შესაფერისი აღზრდა, რომ ისინი შეიქმნენ საზოგადოებისათვის სასარგებლო მოქალაქენი: ქვეყანაზედ გაჩენიდან ადამიანის საღვთო უფლებას შეადგენს—მიიღოს წესიერი და კეთილი აღზრდა, რომელსაც მხოლოდ კარგი ოჯახი, სასწავლებელი და რიგიანად მომზადებული მასწავლებლები შესძენენ მოზარდ თაობას. ჩვენში დღეს სამივე კოჭლობს, არც ოჯახი გვივარგა, სკოლებიც უხეიროდ არის მოწყობილი და მასწავლებლების უმრავლესობაც ხომ უბადრუკ არსებას წარმოადგენს. ხალხის ჩამორჩენა, მისი სიღარიბე, უძლურება, დამოკიდებულება, ეკონომიური და პოლიტიკური არარაობა შედეგია ჩვენებური დუხჭირი სკოლებისა და მისი უხეირო მასწავლებლისა. სად არის ცხოველი ინტერესი და სიყვარული სკოლისადმი, რომელსაც საფუძვლად უნდა ჰქონდეს სასტიკი პედაგოგიური იდეები და წმინდა კულტურული მოსაზრებანი, რომელთაც შეუძლიათ სკოლა გახადონ ხალხის განათლების იარაღად?! არსად,—ყველა საღათას ძილს შეუპყრია და არავინ ფიქრობს გამოფხიზლებას, რომ საღის თვალით შეხედოს აწმყოსა და მომავალს.

მომეტებული რიცხვი დღევანდელის სკოლებისა უბრალო წერა-კითხვის ცოდნის მეტს არაფერს იძლევა და თუ მცირეოდენ ცოდნასაც აძლევს კიდევ მოწაფეებს, ისინი სკოლიდან გამოსვლისთანავე ივიწყებენ, რაც სკოლაში უსწავლიათ. რასაკვირველია იმ პირობებში, რომელშიაც ჩაყენებულია დღევანდელი სკოლა, მეტს ნაყოფს არც უნდა მოველოდეთ; ამას გარდა ყველამ კარგად ვიცით, რომ ჩვენებურმა სახალხო სკოლებმა, უკულმართ მოქმედებით, ვერავითარი სინათლე ვერ შეიტანეს სოფელში, რაც ფრიად სამწუხაროდ და სავალალოდ უნდა მიგვაჩნდეს. მაგრამ უფრო სავალალო ის არის, რომ ზოგიერთები ჩვენში ისე შეეჩვივნენ დღევანდელი სკოლის უკულმართობას, რომ ყოველი შეუწყნარებელი ნაბიჯი სკოლის ცხოვრებაში წაღმართად მიაჩნიათ, თითქოს არც კი შეიძლებოდეს იმაზედ უკეთ საქმის მოწყობა, როგორც დღეს არის. სამწუხაროდ ამ აზრს შეეგუენ ბევრი მასწავლებელთაგანიც. ვისაც დღევანდელი სკოლა და მისი მასწავლებელი სასურველად მიაჩნია, ის, უეჭველია, იმ აზრისაც იქნება, რომ სოფლის მასწავლებლობას წერა-კითხვის ყველა მცოდნე შესძლებს, მაგრამ ასეთის აზრის უსაფუძვლობა ნათელივით ცხადია და ყველა გონიერ ადამიანს მხოლოდ უკმაყოფილების ღიმილსა ჰგვრის.

ჩვენში ხშირად მასწავლებლად მიდიან ისეთები, რომელთაც სხვა სამსახურის ადგილი ვერსად უშოვნიათ, ასეთები არიან სასულიერო, ან საქალაქო სასწავლებლიდან გამოსულები, საქალაქო სკოლებთან არსებულის „პედაგოგიური კურსების“ მსმენელები, ორკლასიან სკოლის შაგირდები, ან ვისაც სპეციალური გამოცდით მასწავლებლობის დიპლომი მიუღია, რისთვისაც საჭიროა სამრევლო სკოლის კურსის ცოდნა, ან რომელიმე საშუალო სასწავლებლიდან გამორიყულები, რომელნიც ლუკმა პურისათვის საუკეთესო ყურ მოჭრილ ყმობას ეწევიან, ოღონდ კი დაიმსახურონ ბატონების ყურადღება და ამისთვის არაფერს ჰზოგავენ. რომ კარგად დავუკვირდეთ, ამისთანა მასწავლებელთა ცხოვრებას და მოქმედებას, ნათლად დავინახავთ თუ რამდენი გარყვნილება შეაქვს ცხოვრებაში ასეთს

თათარიახნად შეთითხნილს და ნაძალადევ მასწავლებელს, რომელსაც არც ცოდნა და არც გამოცდილება აქვს და არც პასუხის მგებლობასა გრძნობს ერის წინაშე იმ დიადს საქმეში, რომლისთვისაც მოუკიდია მას თავისი უვიცი ხელი.

ზოგიერთებს ჩვენში საუკეთესო მასწავლებლებად მიაჩნიათ საქალებო ეპარქიალურ სასწავლებელში, სასულიერო და საოსტატო სემინარიაში ან საქალებო გიმნაზიაში კურს დასრულებულები. მაგრამ ცხოვრების დაკვირვებამ, ამგვარ მასწავლებლების გაცნობამ და მათ მოქმედების განხილვამ ცხადად დაგვარწმუნა, რომ ბევრნი ვერც ამათგანი უწევენ სახალხო სკოლას სასურველს ხელმძღვანელობას: ეპარქიალურ სასწავლებლიდან გამოსულებს სრულიად არ აქვსთ ისეთი ცოდნა და მომზადება, რასაც დღევანდელი დრო და სახალხო სკოლა მოითხოვს; ვერც სასულიერო სემინარია იძლევა სასურველს სახალხო მასწავლებლებს. მართალია ზოგიერთს გამონაკლისს ვამჩნევთ, მაგრამ უმრავლესობა, სასულიერო სემინარიაში კურს დასრულების შემდეგ, იმიტომ მიდის სახალხო მასწავლებლად, რომ თავიდან აიცილოს სამხედრო ბეგარა, ჯარის კაცად გაყვანა, ან და მიდის მასწავლებლად ცოტა ხნით, ვიდრე უკეთესს ადგილს იშოვნიდეს; მათი სული და გული სკოლისკენ არ არის; დროებით ეგუებიან მასწავლებლობას, როგორც აუცილებელ ბოროტებას, იღებენ ჯამაგირად თვეში 25 მანეთს და თან გაიძახიან: „ამის საღირალს კიდეც ვაკეთებთ!“

საჭირო ცოდნას მოკლებულნი არიან აგრეთვე საქალებო გიმნაზიაში კურს დასრულებულებიც; მართალია ზოგიერთ საქალებო გიმნაზიებთანაც არსებობს დასაწყისი სკოლა, ანუ გიმნაზიის მოსამზადელი კლასები, სადაც მომავალი მასწავლებლები ვითომ პრაქტიკულადაც ვარჯიშობენ, მაგრამ ვინც საქმეს კარგად დაუკვირდება და გაეგება რამე, მალე დარწმუნდება, რომ არც აქედან გამოდის დიდი რამ სახეირო. გიმნაზიების შეუფერებელი კურსი, მოკლე დრო პედაგოგიური საგნებით მეცადინეობისა, მოუმზადებელი ხელმძღვანელები, უვიცობა სახალხო სკოლაში მეცადინეობისა და სხვა გარემოებანი შეადგენენ მთავარ მიზეზს იმ პირთა უვარგისობისას სახალხო სკოლისათვის, ვინც ქალთა გიმნაზიებს ათავებს. ამას დაუმატეთ ისიც, რომ არც ერთს მთავრობის სასწავლებელში ქართველ ენას, ქართველ ერის ისტორიას და საზოგადოთ საქართველოს შესწავლას—არავითარს ყურადღებას არ აქცევენ და დარწმუნდებით, რომ ვერც ერთი, ამგვარ სასწავლებლიდან გამოსული, ვერ გაუწევს რიგიან ხელმძღვანელობას საქართველოს სახალხო სკოლებს, რომელნიც დიდი ხანია მოელიან სპეციალურად მომზადებულს, საქმის მცოდნეს და დახელოვნებულს მასწავლებლებს.

სპეციალურად სახალხო მასწავლებლებს ჩვენში ამზადებს ორიოდე საოსტატო სემინარია, მაგრამ ამ სასწავლებელში კურს დასრულებულთა რიცხვი ერთს ცვარს შეადგენს ცხოვრების ზღვაში. ამას დაუმატეთ ის გარემოებაც, რომ ბორის სემინარიაში ქართველ მოწაფეთა რიცხვი არამც თუ შეამცირეს, თითქმის სრულიადაც მოსპეს. საოსტატო სემინარიაში კურს დასრულებულთა სიმცირემ და სხვა არა საკადრისმა მოსაზრებამ გაამრავლეს ჩვენს სკოლებში უვიცი მასწავლებლები, თუმცა დღევანდელს პირობებში ძნელია კაცი დასჯერდეს იმ ცოდნას, რასაც საოსტატო სემინარია აძლევს თავისს მოწა-

ფეებს. ამიტომ ერთად ერთ სახსრად სახალხო სკოლებისათვის მასწავლებლების მოსამზადებლად მიგვაჩნია ისევ საოსტატო სემინარიების გამრავლება და მისი კურსის გაფართოება იმდენად, რომ სემინარიაში კურს დასრულებულს ჰქონდეს საკმაო ენციკლოპედიური სწავლა-განათლება, რიგიანი ცოდნა მშობლიურის ლიტერატურისა და თავისი სამშობლო ქვეყნის აწმყოსა და წარსულისა. შეცდომად მიგვაჩნია განსვენებულის უშინსკის აზრი, რომ სახალხო მასწავლებლისათვის ბევრი ცოდნა საჭირო არ არისო, რადგანაც ბევრის მცოდნე დიდხანს მასწავლებლად არ დადგებაო, მაგრამ ნახევარი საუკუნე გავიდა მას აქეთ, რაც ეს აზრი წარმოითქვა და, მიუხედავად აწინდელი ცხოვრების მოთხოვნილებისა, ბევრს ეს უშინსკის აზრი დღესაც ენაზედ დაუკერია და ჭეშმარიტებად მიაჩნია. სახალხო მასწავლებლისათვის, რომელიც სოფელში, ხალხში ტრიალებს, საჭიროა ყოველმხრივი განვითარება, საკმარისი ფართე ენციკლოპედიური ცოდნა.

მასწავლებელი ერთად ერთი განათლებული კაცია სოფელში, დიდი და პატარა ყველა მას შეჰყურებს, მისგან გამოელის პასუხს ცხოვრების სხვა და სხვა საკითხებზე და თუ ის უვიცია, ვერ შესძლებს შესაფერისად ემსახუროს ხალხის განათლების საქმეს. თვითონ უშინსკი სამართლიანად შენიშნავს: „მასწავლებლების ცოდნა განვითარება სხვა გვარი უნდა იყოს, რასაც მას ვერ მისცემს ვერც უნივერსიტეტი და ვერც გიმნაზიები. **ეს ცოდნა უნდა იყვეს ენციკლოპედიური, იმავე დროს დასრულებული, განსაზღვრული და ცხადი.** მასწავლებელს ცოდნა უნდა ჰქონდეს არა მარტო საღმრთო სჯულისა, გრამატიკისა, არითმეტიკისა, ისტორიისა და გეოგრაფიისა, არამედ საჭიროა აგრეთვე საბუნების მეტყველო, პრაქტიკულ ექიმობის, სასოფლო მეურნეობის საგნების ცოდნაც; ამას გარდა მან უნდა იცოდეს კარგი წერა, კითხვა, ხატვა-ხაზვა, ცხადად, მკაფიოდ და გამომეტყველებით კითხვა და თუ შეიძლება—სიმღერა-გალობაც“.

თვით სწავლის გადაცემაც სახალხო სკოლაში, სადაც მასწავლებელი პირისპირ უდგას ხალხს, რომლისთვისაც გიმნაზია არ არსებობს, სულ სხვანაირია, ასე რომ გიმნაზიის კარგი მასწავლებელი სრულიად არ გამოდგება სახალხო მასწავლებლად. აგრეთვე ცნობილია, რომ **კარგს** მასწავლებლებს გიმნაზიებისთვისაც ვერ ამზადებენ ვერც უნივერსიტეტები და ვერც საისტორიო-ფილოლოგიური ინსტიტუტები, რადგანაც ბავშვის აღზრდაში მარტო **ცოდნა** საგნისა სრულიად საკმარისი არ-არის, არამედ საჭიროა კიდევ ამ ცოდნის გადაცემა. ბუნებრივი ნიჭიერი აღმზრდელები, რომლებიც თვითონ იკვლევენ გზას აღზრდის საქმეში, იშვიათი მოვლენაა, ამიტომ იმათი იმედი არ უნდა გვქონდეს, როცა მასწავლებლები ათასობით საჭირონი არიან. მაგრამ სწავლის და გადაცემის ცოდნას, რომ სწავლებით იმოქმედონ ბავშვების ზნეობისა და გონების განვითარებაზედ, მისცემთ ისეთს ახლგაზდა ყმაწვილებსაც, რომლებიც არ არიან დაჯილდოვებულნი განსაკუთრებული ნიჭით“.

შეიძლება საქმეს ცოტათი მაინც ჰშველოდა რამე იმ შემთხვევაში, სახალხო სკოლის მასწავლებლებს კარგი ხელმძღვანელები რომ ჰყოლებოდათ; მაგრამ ჩვენებური სახალხო სკოლები და მასწავლებლები იმით იყვნენ და არიან დაჩაგრულნი, რომ სასურველი ხელმძღვანე-

ლები არასოდეს არ ჰყოლიათ. რას წარმოადგენდნენ და წარმოადგენენ დღესაც სახალხო სკოლების ინსპექტორ-დირექტორებიჩვენში? იმათ ყველაფერი იციან, გარდა სახალხო სკოლის საქმისა, სკოლაში სწავლებისა, რისთვისაც არც ცოდნა შესწევთ და არც გამოცდილება აქვსთ, რადგანაც არც ერთს მათგანს სახალხო სკოლაში არ უსწავლებია, ვერ იცნობს ჩვენს ხალხს, არ ესმის ხალხის ენა და თავის მოქმედებაში ხელმძღვანელობს მხოლოდ ბიუროკრატიულის მოსაზრებით, რომ სახალხო სკოლა აცდეს თავისს პირდაპირს დანიშნულებას და ემსახუროს მხოლოდ პოლიტიკას. ასეთმა პოლიტიკანებმა თავიანთი უმსგავსო ცირკულიარებით, რასაც არავითარი კავშირი არ აქვს საღ პედაგოგიურს აზრებთან, გარყვნეს მასწავლებლები, დააყენეს ისინი გადაგვარების გზაზედ და მათი წყალობით გამოაცალეს მკვიდრი ნიადაგი სახალხო სკოლებს. ამდენი ხნის განმავლობაში, რაც ჩვენში რუსული სახალხო სკოლები დაარსდა, ვერ იპოვით ვერც ერთს სახალხო სკოლების ინსპექტორ-დირექტორს პედაგოგიურის აზრებით განმსჭვალულს. თავის დროზედ ისტორია შესაფერისად დააფასებს მათს ღვაწლს ერის გადაგვარების წინაშე. დიახ, რაკი ჩვენს სახალხო სკოლებს არ ჰყოლიათ და არც ჰყავთ საკმარისად მომზადებული, პედაგოგიურის აზრების მიმდევარი ხელმძღვანელები დირექტორ-ინსპექტორებთაგან, ამიტომ სკოლის ნაყოფიც თვალსაჩინოდ შემცირდა და სკოლამაც სრულიად უხეირო და მავნე მიმართულება მიიღო.

სახალხო სკოლაში მასწავლებლობა არც ისე ადვილი საქმე გახლავთ, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. სამართლიანად ამბობს ერთი რუსის პედაგოგი: „ძნელია პროფესორობა, უფრო ძნელია გიმნაზიაში მასწავლებლობა, მაგრამ სახალხო სკოლის მასწავლებლობაზე უძნელესი არა არის რაო, რადგანაც აქ სკოლა და ცხოვრება, სწავლა და დისციპლინა, ცოდნის გადაცემა და ცხოვრების სახის შექმნა ერთმანეთში მჭიდროდ არიან შექსოვილნი“.

ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ სახალხო სკოლების მეთვალყურეებს, დირექტორ-ინსპექტორებს პედაგოგიური გამოცდილება უნდა ჰქონდესთ. ნამდვილი ხელმძღვანელობის გაწევა სახალხო სკოლისათვის მხოლოდ ისეთს კაცს შეუძლია, ვისაც თვითონ უმსახურნია სახალხო სკოლაში, შეუსწავლია იგი ყოველის მხრით და გამხდარა ნამდვილი პედაგოგი. მართალია ყველა განათლებულ კაცს შეუძლია გაიგოს რა არის სკოლაში კარგი და მოსაწონი და რა არის ცუდი, მაგრამ მარტო ეს არ კმარა. ჩემის აზრით ინსპექტორ-დირექტორები თავდაპირველად მასწავლებლების ხელმძღვანელები და საუკეთესო მრჩევლები უნდა იყვნენ. მაგალითად მოვიყვანთ მსახიობებს. ვინ არის მათთვის უფრო სასარგებლო: გამოცდილი რეჟისორი, თუ გაზეთების რეცენზეტი? უეჭველია, რომ რეჟისორი, როგორც საქმეში დახელოვნებული პირი, უფრო გაწრთვნის მსახიობს, ვიდრე გაზეთის კრიტიკოსი, რომელსაც შეუძლია ზოგჯერ სიმართლიდაც აღნიშნოს ამა თუ იმ მსახიობის ნაკლულევანება სცენაზედ, მაგრამ მას არ შეუძლიან უჩვენოს თუ როგორ უნდა დააღწიოს მსახიობმა თავი აღნიშნულს ნაკლულევანებას, აი აქ რეჟისორის დახმარება მეტად საჭიროა. აი სწორედ სახალხო სკოლების ინსპექტორიც რეჟისორი უნდა იყოს თავის რაი-

ონში; მან ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს მასწავლებელს საქმით, პრაქტიკულის ჩვენებით, სწავლების ხერხით, ნაკლულევანების აღნიშვნით და გზის ჩვენებით, თუ როგორ უნდა გაასწოროს მასწავლებელმა აღნიშნული ნაკლულევანება სკოლაში. არც ერთს ინსპეკტორ-დირექტორს, თუგინდ დიდად განათლებულებიც იყვნენ, რეჟისორობა არ შეუძლია, რასაც გვამცნევს აუარებელი ყოველდღიური ფაქტები. ეს შეუძლია მხოლოდ ისეთს კაცს, ვისაც ეს გზა თავისთავად მოხერხებულად გაუვლია. ამიტომ დიდი შეცდომაა ინსპეკტორებად დანიშვნა ისეთებისა, რომელნიც მასწავლებლად ყოფილან გიმნაზიებში, ან სხვა საშუალო სასწავლებლებში და არ განუცდიათ თავისთავად სახალხო სკოლის მასწავლებლობა. კარგი გამოცდილი და დახელოვნებული სახალხო მასწავლებელი ინსპეკტორობით უფრო მეტს სარგებლობას მოუტანს სკოლებს, ვიდრე უნივერსიტეტში ახლად კურს დასრულებული ან გიმნაზიის ყოფილი მასწავლებელი.

როცა ხელმძღვანელი აღნიშნავს სკოლაში რამე ნაკლულევანებას, საჭიროა მაშინვე პრაქტიკული რჩევა, პრაქტიკული გაკვეთილი, რომლიდანაც მასწავლებელი ცხადად მიხვდება შეცდომასდა გაასწორებს, რომ აიცდინოს შემდეგში იგივე შეცდომები. წელიწადში ორჯელ-სამჯერ რომ მოხდეს ამგვარი ხელმძღვანელობა, შემდეგში მალე დაეტყობა სასურველი ცვლილება, როგორც მასწავლებელს, ისე მოწაფეებსაც.

ამ სახით დღევანდელი ჩვენი ცხოვრება ნათლად გვიკარნახებს და თვალწინ გვიყენებს სახალხო სკოლის მასწავლებლის საკითხს. რად გვინდა მრავალი სკოლა, თუ ამ სკოლაში ისევ ძველებური სული იტრიალებს. სკოლის სულს ამაღლებით, სკოლის სულის ჩამდგმელის მასწავლებლის განვითარებით და საზოგადო განათლების მიღებით სკოლაც ამაღლდება და ჩვენი ბეჩავი ხალხის ცხოვრებაც წინ წაიწევს. ეს არის დღეს ჩვენი ერთი უპირველესი მიზანთაგანი, რომელსაც ხელი უნდა შეუწყოს, როგორც მთავრობამ, ისე საზოგადოებამაც—ახალი საოსტატო სემინარიების დაარსებით, როგორც ვაჟთათვის, ისე ქალებისთვისაც; სემინარიების კურსის გაფართოებით, სახალხო მასწავლებელთათვის საზოგადო განათლების კურსებით მოწყობის და კარგი ხელმძღვანელობით, მასწავლებელთათვის სარაიონო ბიბლიოტეკების დაარსებით, სკოლებში საუკეთესო სახელმძღვანელო წიგნების და თვალსაჩინო სწავლებისათვის საჭირო ნივთების შეტანით და სხვა ყოველი ღონისძიების მიღებით, რაც კი ხელს შეუწყობს სკოლის განახლებას და სწავლა განათლების აყვავებას, მასწავლებლის ნივთიერად უზრუნველ ყოფას და მისს მუდმივ თვით-განვითარებას, სკოლების პედაგოგიურს ნიადაგზე დაყენებას და წარმართვას.

შეიძლება ცხოვრების ბევრი საკითხი კაცმა უყურადღებოდ დასტოვოს, მაგრამ სახალხო განათლების საკითხი ისეთი აუცილებელი და უსაჭიროესი საკითხია, რომ მისი უყურადღებობა და მიფუჩეჩება არავისთვის ხელსაყრელი არ არის, პირიქით ჩვენში ხალხის განათლების საქმე სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხს შეადგენს და ყველანიც ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ ამ საქმის წესიერად წარმართვას, არ დაზოგონ ამისთვის არავითარი ხარჯი, რომელიც ამერიკელების თქმისა არ იყოს, დაკარგულად არ ჩაითვლება, არამედ მოგებით ერთი ასად და უბრუნდება ისევ ქვეყანას.

ლ. ბოცვაძე.

მ. კალგინი

მასწავლებელი ხელოვანია თუ ხელოსანი?

ეს საკითხი თითქოს გადაწყვეტილია: სიტყვიერების თეორიის სახელმძღვანელოდან უკვე იზეპირებდენ, რომ სუთი ხელოვნება: არქიტექტურა (ხუროთ-მოძღვრება), მხატვრობა, ქანდაკება, მუსიკა და სიტყვიერება კაზმული ხელოვნებაა, რომელთაც უმეტეს შემთხვევაში მიზნათ აქვთ არა პრაქტიკული, არაშედ სულიერი,—გონებრივი სარგებლობა. სხვანაირი ხელოვნება კი მაგალ.ლურგლობა, მჭედლობა და სხვა არის მექანიური, იმათ უმთავრესად პრაქტიკული, მატერიალური სარგებლობა მოაქვთ, რიოსაც განირჩევიან კაზმულ ხელოვნებისაგან. კაზმული ხელოვნება სულ ხუთია, მექანიური კი უთვალავი.

ამ რიგათ მასწავლებლობა ჯერ არ მიუკუთვნებიათ არც არამატერიალურ და არც მატერიალურ ხელოვნებათათვის, მაშასადამე შეიძლება იგი მიეწეროს მექანიურ ხელოვნებათ, ესე იგი ხელობას. მაგრამ...

— მასწავლებლობა—ხელობაა?...

როგორც გნებავთ, მაგრამ ის მოსაზრება, რომ ამოს კოშენსკი, პესტალოცი, უშინსკი და სხ. დიდებული მასწავლებლები და ხელოვანები თითქოს მხოლოდ ხელოსნები იყვნენ და მეტი არაფერი, აშკარად წარმოუდგენელია და ეს მოსაზრება საბუთიან კამათის მაგიერ ღიმილს იწვევს. ეს მოსაზრება დაბადა იმ ხელოვნების თეორიამ, რომელსაც დღემდის ასწავლიან ჩვენ სკოლებში.

— მაგრამ, უკანრავად, შეიძლება მასწავლებლობა არც ხელოსნობაა, არც ხელოვნება არამედ მეცნიერება?

არა, მასწავლებლობა მეცნიერება არ არის, რადგანაც არ აქვს შესაბამისი ნიშნები მეცნიერებისა, ხელოვნების ნიშნები კი აქვს. მემკვიდრეობითი მეცნიერება ნამდვილია. დადებული მეცნიერებისგან შესრულებული ცდის განმეორება შეუძლია ყველა არა შესანიშნავ მეცნიერსაც და თუ ცდის პირობები ორსავე შემთხვევაში ერთნაირია—შედეგიც ერთნაირი იქნება, ასე რომ განმეორებელის პიროვნებას შედეგზედ არავითარი გავლენა აქვს. მეცნიერება წმინდა, სწორი გონების საკვიდროა; ის შეგვიძლია შევადაროთ ნახაზს, რომლის ყოველი ხაზი გაიზომება და რომლის გაშეორება შეუძლია ყველას, ვინც კი ხაზვა იცის.

ხელოვნება კი მემკვიდრეობითია მხოლოდ ტოტალურად. ხელოვნების ის ნაწილი, რომელიც, როგორც მეცნიერება, დამყარებულია წმინდა აზროვნებაზე და შეადგენს ხელოვნების მეცნიერებას,—მემკვიდრეობითია. ეს განსაკუთრებული თვისება აშკარად ცხადდება მაგ. მუსიკაში, როდესაც ორ მუსიკოს ერთნაირი ნოტები აქვს და შესრულება კი სხვადასხვანაირი. ხელოვნება შეიძლება სურათის დავადაროთ. სურათის ასლის გადადება რამდენადმე შეიძლება, მაგრამ მისი აბსოლუტური ნამდვილი გადადება ძეუძლებელია მექანიურადაც კი.

მასწავლებლობა მემკვიდრეობითია მხოლოდ ტოტალურად. მასწავლებელს შეუძლია სრულად შეითვისოს დიდებულ პედაგოგის წესები, მაგრამ თუ მის არსებაში არ არის ის „რადაც“—რომელიც იყო ამ წესების შემომქმედი, შედეგი არ იქნება იგივე, რაც დიდებული პედაგოგის მოდვაწეობას მოჰყვა. ამ „რადაცას“ არსებობის და ოდნობის მიხედვით შეიძლება შედეგი დაშორდეს ან მიუახლოვდეს იდეალს.

— მაშასადამე, მასწავლებლობა—ხელოვნებაა?

დიახ, ხელოვნებაა. მაგრამ ხანდახან მასწავლებლობა ხელოსნობათ იქცევა. და არა მარტო მასწავლებლობა, არამედ ყველა ხე-

ლოვნება და მეცნიერება გადაიქცევა ხოლმე ხელობათ — ხანდახან — იმისდა მიხედვით თუ ვინ ჭკიდებს მათ ხელს — ხელოვანი თუ ხელოსანი.

ვინ არის — ხელოსანი? ეს კაცია, თავის საქმის გულგრილად მკეთებელი, მის მოდგაწეობას არავითარი სიყვარულის ნაპერწკალი არ აშუქებს, ხშირად მძიმე შრომას აადვილებს მიჩვევა და სულს უდგამს მოგება და ის ატრიალებს ქარხანაში მძიმე ჩარხს, ხატავს ჩასუქებულ ვაჭრის სურათს, სწერს სათადარიგო სტატიას, ან ჯდაბნის დუქანს, რომ ვალები გადაიხადოს, ან დაიგიწყებს-რა სხვა საქმეებს, უკეთებს საცდელად გამოგზავნილ ნავთს დაწვრილებითს ანალიზს, რისთვისაც საქციონერო საზოგადოება რიგიან ჯილდოს მისცემს. მისი შრომა ხშირად მძიმეა, ხანდახან საზარგებლოც, მაგრამ არასოდეს მის შრომას არა აქვს ის ძვირფასი თვისება ძალადაუტანებელ შრომასა, რომელიც ადამიანურენას იწვევს მშრომელში და ამაღლებს იმ დარგს, რომელშიაც იგი მუშაობს. ამას შეუძლია თავის სპეციალურ საგანში რამე აღმოჩენა გააკეთოს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მისი ღვაწლი უდრის ისეთის კაცის ღვაწლს, რომელიც არაფერს არ ეძებდა და უცებ ძვირფასს ადამიანს წააწყდა.

ხელოვანი.... მხოლოდ მეცნიერებისა და ხელოვნების იმ მოღვაწეებს, შეიძლება ეწოდოთ ხელოვანები, რომელთაც აქვთ შემოქმედებითი ნიჭი. რთულსა თუ მარტივ მეცნიერებასა და ხელოვნებაში ხილოვანი ყოველთვის სჩანს. ერთი თავის თავად გასწავლული მხატვარი ხატავდა წმინდანებს სასაცილოთ, სრულიად გაუნათლებელი კაცი იყო, ქირურგიასა და ანატომიას ერომანეთში ვერ არჩევდა. მაგრამ ყოველი იმისი ნახატი რაღაც სიცოცხლით ჭყეთქვდა, — მის წმინდანებს ყოველთვის არა ჭქონდა ხოლმე განსაზღვრული გამომეტყველება, — მაგრამ, მეტის-მეტად ცხოველი იყვნენ. მას ძალიან უყვარდა ხატვა და შეკვეთილ განცხადებებსაც კი ადიერთოვანებით სწერდა, დიდხანს ფიქრობდა, რომელი ფერადით დაეწერა ესა თუ ის ასო. მისი ფერადები ისეთი საუცხოო, ბრწყინვალე და ნაზი იყო, რომ იმისთანები სამსახტვრო გამოფენებზედაც იშვიათად მინახავს.

ერთი ექიმი, უკვე არა ახალგაზდა, საგმოთ მოთელილი ცხოვრებისაგან, მთელი დღე იცინოდა სიხარულისგან, რომ მისი მძიმე ავადმყოფი პაციენტი სიკვდილზ გადარჩა: ავადმყოფი მისთვის სრულიად უცნობი კაცი იყო, მაგრამ... ექიმი ებრძოდა სხეულებას და ამასთანაც ხელოვანიც იყო. ერთმა მკურვალმა, როცა ფული მივეცი და მოტანილი ტანისამოსი გამოვართვი, რაღაც შეშინებული შორიახლებული წამოიძახა, კინაღამ ხელი მტაცა და გაწითლებულმა მორცხვად ლაპარაკი დამიწყო: „მმ... მე... მაპატიეთ, ეს როგორ შეიძლება?! თქვენ ტანისამოსი“... გამოაშკარავდა, რომ ძას არ ეამა, როცა უხერხულათ მოკიდე ხელი ტანისამოსს, ე. ი. ადმოჩნდა რომ მას უფასო სიყვარული ჩაეტანებია კერვაში: ისიც ხელოვანი იყო. მე დაცინვა არ დაუწყე. მე ამისთანა „ხელოვანების“ ხსენებაზე დიმიდი არ მოსდის. ეს ხელოვანები ბრეწეულებში არ შინდა ჩავსვა.

— ძალიან ბევრი ხელოვანი ყოფილა! — მეტყვიან. — რაც მეტი, მით უკეთესია — ვუპასუხებ მე. რადგანაც მეცნიერებასა და ხელოვნებაზე მეტისმეტად სულელური შეხედულობაა გამეფებული, ისინიც კი, ვინც თავისუფალნი არიან მოღვაწეობის არჩევაში, ეკიდებიან ისეთ მოღვაწეობას, რომელიც მათ სრულიად არ შეეფერებათ და ამიტომაც ყოველნაირ სამოღვაწეო ასპარეზზე შეხვდებით ძალიან ბევრ ხელოსანს, რომელთაგან კეთილსინდისიერნი ცოტანი არიან, და წარმოადგენენ ძალიან მცირე რიცხვს — ხელოვნებისას.

ადამიანების უმეტესი ნაწილი დღესაც ე-

ადიარებს — „მადალსა“ და „დაბალს“ ხელოვნებასა და მეცნიერებას, მაშინ როდესაც ნამდვილად არსებობს მხოლოდ სასარგებლო, ან მავნებელი ხელოვნება და მეცნიერება. ტერმინი — „მდაბიო ხელოსანი“ — ძალიან ხშირათ იხმარება რუსულ სპეციფიკურ — ასნაურულ მწერლობაში. მე კი ვფიქრობ, რომ მდაბიო და სასარგებლო შრომა არ არის; არის მხოლოდ მავნებელი და ამიტომაც მდაბიოა. ყოველნაირი სასარგებლო შრომა არც მდაბიოა და არც კეთილშობილი, თუ კი ის ნიჭის სამოღვაწეოთ გამოდგება. შრომა ნიჭიერ მჭედლისა, მაგალითად, ერთ იმათაგანის, რომელმაც ხელით, მანქანისა და სხვა იარაღის დაუხმარებლად, გამოსჭედა საზამთრო სასახლის მხატვრული მოაჯირი, ბევრით მაღლა სდგას საბულვარო გაზეთის მეფელეტონისა და ან უნიჭო მხატვარის შრომაზე; მოაჯირი აგრძნობინებს ესთეტიურ სიამოვნებას ყველას, ვისაც კი ცოტათი მაინც განვითარებული აქვს მხატვრული გემოვნება. და რა „ესტეტიური“ სიამოვნება შეუძლია მოგვაწოდოს ხელოსან — მეფელეტონეს ულაზათო ხუმრობამ ან ხელოსან — მხატვრის ძალა შოკლებულ პრეტენციოზურ ნათითხნმა.

შეგეცდები დავსურათ რამდენიმე ტიპი ხელოვან სახალხო მასწავლებლებისა, რომელთაც შევხვედრივარ ჩემს სამასწავლებლო მოღვაწეობაში. ამასთან ჩემს ვალათ ვრაცხ გავითვალისწინოთ მკითხველი, რომ ეს ტიპები — გაზოგადებული ტიპებია, ცხოვრებაში კი შესაძლებელია ამ ტიპთა სხვადასხვაობა უარესის ან უკეთესის მხრით; მაგრამ ნიშანდობლივი თვისებანი მკითხველთა ნაჩვენები და ადვილი შესანიშნია ყველა ცოტათი ჩაკვირვებულ ადამიანისათვის... რასაკვირველია გარდა ბბ. სახალხო სკოლების ინსპექტორებისა, დირექტორების და მათ მსგავს პირთა, რომელნიც ათვალიერებენ-რა სკოლას წელიწადში ერთ დღეს და დღეში ერთი საათის განმავლობაში, დარწმუნებულნი არიან, რომ სწავლების საქმე სკოლაში „ასწონ-დასწონეს“ და „დაითვალეს“.... ამ პირთა თვიქრათაც არ მოსდით, რომ მათგან გამოტანილი აზრები, უკეთესს შემთხვევაში — შემთხვევითია და მაშასადამე შემცდარი, ან და უარესს შემთხვევაში, რომ მათ ძალიან ფროხილად, ზრდილობიანად ეინულზე აცურებენ... მაგრამ კმარა ამ პირებზე; ჩემი შენიშვნა მათთვის არა დაწერილი.

I

პირველი და ძლიერ თვალსაჩინო ნიშანი ხელოსან-მასწავლებლისა არის ხელობის უსიყვარულობა. იგი ამძიმებს მას, ასეთი მასწავლებელი არა თუ მხოლოდ დროებით იღლება, მას მუდამ ემძიმება მასწავლებლობა და პირველ შემთხვევისთანავე სცვლაეს მას სხვა მოღვაწეობაზე და ხშირად არც ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესობას მისდევს: ერთის სიტყვით ძნელია კაცისათვის არა საყვარელ შრომის ატანა. მასწავლებლობის უსიყვარულობა განმარტავს მის მოღვაწეობას. ხანდახან ასეთი მასწავლებელი კერძო ცხოვრებაში, ძალიან კეთილსინდისიერია — მაგრამ, იმავე დროს, იგი მეტად უგულოდ ეკიდება თავის მოვალეობას. ის არ წაიკითხავს არც ერთს პედაგოგიურ წიგნს, თუნდა შეეძლოს კიდეც: არც კი ასწონ-დასწონავს გადმოღებულს ტრაფარეტულს ან შემთხვევით შემუშავებულ სწავლების წესს; არც ერთს გაკვეთილზე არ დაისახავს მიზანს — შესრულოს ეს და ეს, გადასცეს მოწაფეებს ეს და ეს: მას მხოლოდ ერთი გამოურკვეველი მიზანი აქვს: რომ ბავშვებმა დღეს იკითხონ — და რას წაიკითხავენ ეგ სულ ერთია; რომ ბავშვებმა ამოცანები ახსნან — და რომელი ამოცანები — ეგ სულ ერთია, რაც შეხვდება წიგნში, და რაც მოხერხებულათ მოეჩვენება — იმას დაწერინებს. თუ სწავლება კარგად ვერ მიდის — ყოველთვის ბავშვებია დამნაშავე: გასაკვირვე-

ლია სწორეთ, რა უტვინოები არიან, მხოლოდ უმეცარ კაცს შეუძლია მათი გამართლება. და ისინი კი.... ზის ეშმაკის კერძი, როგორც ხის კუნძი, სხეც თითქო ქვისა აქვსო და არაფრის სწავლა არ უნდა. და ხანდახან, კერძო ცხოვრებაში, გულ-კეთილი, უბოროტო კაცი, ბავშვებთან სკოლაში განძრახ ბოროტობს. რომ თავი არ აიშვან, თორემ შეჩვენებულებთან ვერაფერს გაუწყობო. ამისთანა მასწავლებლის სკოლა—იშვიათად არის მხიარული, აქ სიმხიარულეც ცოტა ბრიყვულია: ჩვეულებრივად დასცინიან ხოლმე რომელიმე ცუდს მოწაფეს, წეს-რიგი ყვირილითა და ღრიალით მყარდება; ასეთები ახლა თითქმის აღარ არიან, მაგრამ მე მახსოვს ისეთები. რომელნიც აუცილებელ ბოროტებათ სთვლიდენ ცემასა, და ამასთანავე დარწმუნებულნი იყვნენ, რომ საქმეს სადი შეხედულებაი უყურებენ: განა მათ სახლში არა სცემენო? ისეთს გაადებს მამა სახლში, რომ შენი მოწონებული!...

ასეთმა ხელოსან-მასწავლებელმა იცის, რა საკვირველია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო-განათლებას, და ხანდახან ბევრს ლაპარაკობს კიდეც ამ საგანზე, მაგრამ ნამდვილათ, არა თუ ეშსახურება ამ საქმეს, ჰირიქით თავის სალაპარაკეოც ავიწყდება და არცა გრძნობს თუ რა დიდი მოვალეობა აწევს. შეგნებულათ თუ შეუგნებლათ ის ესწრაფვის არა განათლების გავრცელებას, არამედ მარტო წერა-კითხვის სწავლებას, იმასაც იმდენად, რომ უფროსებისგან ქება მიიღოს. თუ უფროსმა შეაქო—იდეალს მიღწეულია. იგი კმაყოფილია, სრულიად დარწმუნებულია, რომ მას ეგვალეფერი „რიგზედ“ აქვს. საქმე კი ნამდვილათ სრულიადაც ასე არ არის, სწორედ ამას, ამ პრაქტიკის კაცს, ეგვალეფერი არ აქვს „რიგზე“

II

მეორე ტიპის მასწავლებელი ასეთი არაა. ის თითქო იმ საზღვარზე დგას, საიდანაც იწყება ნიჭი. ის უწინარეს ყოველისა თავ-მოყვარეა, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით. ეოველ მის ნაბიჯს ზომიერი თავმოყვარეობისა და ნათელი აზროვნების ბეჭედი აზის. ეს, საზოგადოთ რომ ვსთქვათ, ნაკითხია, მისი ერუდიცია მარტო მეტოდიკით არ განისაზღვრება, მას უკითხავს სპენსერი, სელლი, ბენი, გიუიო, და თუ კომენსკიზე, პესტალოცციზე, ან უშინსკიზე შეეკითხებით —ჩაიცინებს და კეტუვისთ—რა თქმა უნდა! და ხშირად დაამატებს კიდეც: ტოლსტოი კი დაგავიწყდათ?—ან ჰრეიერი, ჰერე.... მაგრამ, ნამდვილათ კი, მარტო მეტოდიკებს სარგებლობს, თორემ სსვა, ღმერთმა იცის იმათი თავი, ბრძნულათაა ნაწერი – კითხვით ვკითხულობთ, მაგრამ ჩვენ, ჩვენსას მივსდევთ —უბრალო ხალხი ვართ—ერთი კურდღელი მაინც დავიჭიროთო— ესეც არის, ხანდახან ცოტ-ცოტას ეველასგან ისესხებს. იმან კარგათ იცის სამი რამ: პირველი, რომ მასწავლებლობა არა თუ სასარგებლოა, არამედ საკეთილშობილო, მაღალი მოღვაწეობაა, და კარგ მოღვაწეთ ეოფნა სრულიადაც არ არის მეტი ზნეობრივ კომფორტისათვის, მასთან თუ ამ საქმის სიყვარული არა აქვს, რა უშავს—მიჩვევა შეისეიდის ამ ნაკლს; მეორე: თუმცა მასწავლებლობა ძალიანა ჭკვავს ხელოვნებას და საჭიროებს ნიჭს,—რომელიც ასეთს მასწავლებელს აკლია—მაგრამ მაინც არა უშავს რა; გოგრა ცოტათ თუ ბევრად ჭკვიანი აქვს და ასეთი თავითან ბეჯიდი მეცადინეობით ბევრს რასმე გააკეთებს—შეიძლება ზოგიერთს ნიჭსაც დაუხლოვდეს; მესამე: ჭკვიანისა და თავმოყვარე ადამიანისთვის აუცილებელია ამორჩეულ მოღვაწეობაზე არსებულ ლიტერატურის ცოდნა, მაგრამ თეორიებთან შეიძლება მხოლოდ თათბირი, და კარეშემო ცხოვრების პირობებთან ანგარიშის გაწევა კი უცოლოთ საჭიროა, რადგანაც ადამიანი, უწინარეს

ყოველისა, მიწაზე სცხოვრობს და ყველაფერი მიწიერი მასთან უფრო ახლოა, ვიდრე ცეცერი. მისი მოღვაწეობის ყველა კანონები ამ სამ მოსაზრებაზეა დამყარებული. იგი ეეურადღებად არ სტოვებს სახალხო სკოლების განმანათლებელ მიზნებს და სწამს, რომ მისთვის შესაძლებელია რამდენადმდე ამ მიზნებისადმი მიღწევა—მაგრამ ყოველი მიზნისადმი მიღწევა შეიძლება სათუოთ და დამოკიდებულია არსებულ პირობებზე. ის დარწმუნებულია, რომ ბავშვები სულ უმანკო ანგელოზები და ან სულ ეშმაკის კერძები კი არიან, არამედ მხოლოდ პატარა ადამიანები, რომელთაც თან-დაყოლილი აქვთ ადამიანის სულის კარგი თუ ცუდი თვისებები და შეკრებილი არიან ერთ ბრბოთ სკოლაში. ბრბო საეკლესიაც არ არის მშვიდი, და როგორც ბრბო: ჩვეულია მშვენიერ მოძრაობასა და აგრეთვე უმსგავსოებასაც, მისი ხელში დაჭერა შიშის გავლენით შეუძლებელია—შიში მხოლოდ ცუდ გრძნობებს უღვიძებს ადამიანს—მაგრამ არც მარტოოდენ სიყვარულით შეიძლება მისი დამორჩილება—მარტო სიყვარული ჭქმნის თავაშვებულობის ატმოსფერას: საჭიროა სიმპატია და ამასთანავე მორიდების გრძნობის განვითარება,—ერთის მხრით სიმპატია და მეორე მხრით მორიდება, არიან პრაქტიკულ პატივისცემის შემადგენელი ელემენტები; პატივისცემა კი შესაძლებელია მხოლოდ კარგად განვითარებულ შეგნებასთან, რადგანაც უიმისოთ შეუძლებელია საპატივცემო პიროვნების დაფასება. ამ მასწავლებლის ცელქი ბავშვები ესათუოთ შესაფერათ ისჯებიან, ნამდვილათ ეს დასჯა დიდი არაფერია, მაგრამ ისეა მოწყობილი, რომ უბრალო დატუქსვის შთაბეჭდილებას არ ახდენს, თვით დამნაშავეზე უფრო მოქმედობს იმის შეგნება, რომ მისი საქციელით სერიოზულად აღშფოთებულნი არიან, ვიდრე დასჯის ფაქტი, რომელიც მას არაფრად მიაჩნია. ასეთი დაღებითი ტიპის მასწავლებელი კარგად ასწავლის ბავშვებს, პროგრამას უნაკლულოთ ასრულებს და ამასთანავე ყოველი შემთხვევით სარგებლობს ბავშვების განვითარების წინ წასაწევათ. ამავე დროს იგი სიამოვნებას გრძნობს, რომ მარტო უბრალო მასწავლებელი კი არა, არამედ ემსახურება კიდეც დიდებულ საქმეს.... იგი სრულიად არ ერიდება ხანდახან ბავშვებზე ძალის დატანებას. თუ ვერ მოუხერხებია, ან შეუძლებელია მათში ცხოველი ინტერესის გაღვიძება, მაგრამ თვითონაც განუწყვეტლივ შრომობს. და ყოველთვის იცის, სით მიდის და რა გზებია დანიშნულ მიზნის მისაღწევათ.

ის ხანდახან ბავშვების თავმოყვარეობასაც სარგებლობს. რომ სასურველ მიზანს უფრო კარგად მიაღწიოს, თუმცა კარგად იცის, რომ ეს საშუალება საუკეთესო არ არის, მაგრამ იგი ნიჭი არაა და ამ ძლიერ ფაქტორის მაგივრობის გაწევა არ შეუძლიან. თვის „მსურს"-ს იგი ბავშის „მსურს"-ზე მაღლა აყენებს და სრულიადაც არა სწუხს თუ ეს სურვილები ერთმანეთს არ ეთანხმებიან. ეს ორი თვისება—შეიძლება ითქვას მასწავლებლის ცუდს მხარეს შეადგენენ. მაგრამ ისიც კარგია, როდესაც იგი ამბობს „მსურს"—იცის რა სურს და სურს მხოლოდ შესაძლებელი და მისაღწევი. ასეთი ტიპის მასწავლებელს, თუ კი მას დიდიხნის გამოცდილება და განვითარებული გონება აქვს ვერც გავარჩევთ ნამდვილს ნიჭისაგან—მასზე თითქოს მართლდება ერთი თავისებური ჰიპოტეზა...

კარგათ არ მახსოვს, ვინ გამოთქვა პირველად ეს უცნაური, მაგრამ არა შესაძლებელი ჰიპოტეზა. იგი იმაში მდგომარეობს, რომ ნიჭი არის მხოლოდ რაღაც ძლიერ განვითარებული ხვეულობა ტვინისა: მთელი ტვინი შეიძლება ჩვეულებრივი იყოს, ან და ჩვეულებრივზედაც ნაკლები—აკი ამბობენ—გენიოსები ცოტათი შეშლილებიც არიანო!—ერთი სიტყვით ნიჭიერი

კაცი იბადება გადიდებულ ხვეულობით ტვინისა. მგონია ოდესღაც ლერმონტოვი ამტკიცებდა, რომ კაცს, რომელმაც ბუნებისგან მიიღო ძლიერი ტვინი, შეუძლია ტვინის ცალმხრივი განვითარებით შეიძინოს როგორიც უნდა ისეთი ნიჭი; ზოგიერთი ნიჭიერი ადამიანები სწორედ ასეთი ძლიერი ტვინით დაჯილდოებულნი გაჩნდნენ და შემდეგ, გარემოსა და მდგომარეობის მიხედვით, განვითარეს ამის თუ იმის შესანიშნავი ნიჭი. ამ თეორიას თუ მივიღებთ მხედველობაში, სარწმუნოა რომ სოფიო კოვალევსკის დიდებული მატემატიკური ნიჭი იმ ოთახმა შეჭქმნა, სადაც იგი ბავშვობაში იყო და რომელიც შეწებული იყო ციფრებით აჭრელებულ ქაღალდებით.... და თუ ეს ასეა, მეორე ტიპის მასწავლებელი შეგვიძლია შევადაროთ ტალანტს...

III

მესამე ტიპის მასწავლებელი—უეჭველათ ზეგარდმო მადლით დაჯილდოებულია, მაგრამ ასეთ მასწავლებელს უპირველესად ყოველისა ბავშვები უყვარს და იმათი მიზეზით ის საქმეც, რომელსაც ემსახურება. ხანდახან მას მასწავლებლისთვის საჭირო ტალანტი არა აქვს, მისი ტალანტი სხვანაირია, მაგრამ იდეა და ბავშვების სიყვარული მასწავლებლობისაკენ მიმართავენ მისი ნიჭის მთელ ძალას.—ჩვეულებრივად ის კარგი მცოდნეა თავის საკნის ლიტერატურისა, მაგრამ შესწავლილი და შეგნებული აქვს მხოლოდ ზოგადი შეხედულება სწავლებისა და აღზრდაზე, კერძო, არა ზოგადი საკითხები არ იცის, მტკიცედ არა აქვს შესწავლილი. იგი ხედავს თავის მიზანს, მაგრამ ყველა არსებული იქ მიმავალი გზები გრძელად ეჩვენება, ეოუმანობს, ხან ერთს გზას ირჩევს, ხან მეორეს—ცდილობს კიდეც ახალი გზა აღმოაჩინოს და ამასობაში კი—თავისდა უნებურად, მოუფიქრებლად შეიმუშავებს სრულიად შემთხვევით ხასიათის საშუალებას და მეთოდს.. აქედან წარმოსდგება მისი სწავლების უსწორ-მასწორობა ხანდახან—მოისმენ რა მის გაკვეთილს, იტყვი:—გვარიანი, საშუალო, თითქმის საშუალოზე ნაკლები მასწავლებელია; ხანდახან კი, როგორც იტყვიან, გაკვირვებით პირს დააღებ—როცა ხედავ-რა გემოიანად, ბრწყინვალეთ მიჰყავს საქმე... და შაშინ დიდებულ ბედაგოგად მიიჩნევ. ტალანტია და ელვარეო? ტალანტი! მაგრამ რაღანაც სწავლების მეთოდი რიგიანად და მტკიცეთ არა აქვს შემუშავებული, ამიტომ მისი მცადინეობის პრაქტიკული ნაყოფი ცოტათი თუ იქნება საშუალოზე მეტი, უსწორ მასწოროა: ხანდახან ჩინებული, სამაგალითო, ხანდახან—ასე—გვარიანი,—ეგ კარგია, ის მოისუსტებს... სურათოთ დიდი არაფერი, ბევრ ნაკლებია ვიდრე მეორე ტიპის მასწავლებლის მეცადინეობის ნაყოფი. სამაგიეროთ არა პრაქტიკული მხარე ისეა დაეუნებული, როგორც მეორე ტიპის მასწავლებელი ვერასოდეს ვერ დააუნებს: აღმზრდელობითი და განათლებითი გავლენა ნიჭიერ მასწავლებლისა შეუდარებლად მეტია, ვიდრე არა ნიჭიერისა. მაგრამ ეს განმაკეთილშობილებელი გავლენაც არ ვრცელდება მთელ სკოლაზე: მისი მოდვაწეობის ნაყოფი, როგორც სწავლებაში, ისე ამ შეთხვევაშიც უსწორ-მასწოროა. სკოლის საუკეთესო ელემენტი ადვილათ ითვისებს მის კეთილ გავლენას, ცუდნი კი ხშირად არათუ უკეთესდებიან, უარესს გზას ადგებიან; ასეთებისთვის მასწავლებლის რბილი მოქცევა—სისუსტის სინონიმია, მისი ახსნა და ბაასი სხვებისთვის ძლიერ საინტერესო, მათთვის მოსაწყენია: ტალანტი, ვიწრო-პრაქტიკულის ბუნების მქონენი, ხანდახან ძლიერ მიხვედრილები არიან, თითქმის გაქნილნი ცხოვრებაში, მაგრამ წარმოდგენის უნარი ძალიან მცირე აქვთ და აზროვნების ხანგრძლი-

ვი მუშაობა მათ ძლიერ მაღე ჰღლის. ამიტომაც მასწავლებელი ზოგიერთების ავიათარებს, აძლევს ჭეშმარიტ აღზრდას და ამასთანავე ხელს უწყობს სხვებში ბავშის სულის უარეოფითი მხარეების განვითარებას: ამხანაგებთან შედარებით ისინი თანდათან უკან რჩებიან და, რასაკვირველია, ამჩნევს ამას, ხოლო ასეთი ჩამორჩენა ძალიან ცუდათ მოქმედებს არა თუ ბავშვის, მოზრდილს კაცის ფსიხიკაზედაც. მაშინ როდესაც მეორე ტიპის მასწავლებლის სკოლა ასე თუ ისე ერთნაირად მიდის, — მესამე ტიპის მასწავლებლის ბავშვებს დიდი განსხვავება ეტეობათ: კაცი იფიქრებს, განზრახ ცდილან, რომ ასეთი განსხვავება გამოეწვიათო. ამაში ის ცოტათი ხელოსან-მასწავლებელს მიაგავს: იმის მოწაფეებშიც ასეთი დიდი განსხვავებაა, მაგრამ როდესაც ხელოსან-მასწავლებლის სელში მთელი სკოლა, ზოგიერთ ბედნიერ შემთხვევის გამოკლებით, ციკანთა კრების ემსგავსება და მხოლოდ ძლიერ ნიჭიერნი და მთლიანი ბუნების მქონე ბავშვები გადარჩებიან, შესამე ტიპის მასწავლებელს ციკნები გაცილებით ნაკლები ჰყავს, ვიდრე ბატკანი, მაგრამ ეს ციკნები— მართლაც ციკნები არიან. ეს ციკნები ბატკნებისთვისაა შეწირული, ისინი დაივწყა მასწავლებელმა, მისმა მოუქნელმა ნიჭმა, ვერ შესძლოს მათი ვიწრო, მაგრამ მაინც ცოცხალი სულის მოვლა და კამოკეთება... ამ შემთხვევაში მისი დამახასიათებელი თვისებაა—ტალანტის ინსტიქტის გადაჭარბება დინჯსა და დამჯდარ გონებაზე, და ეს თვისება აიძულებს მას იმოქმედოს ისე, როგორც დაუდეგარი ბუნება, რომელიც უხვია ნაოფიერ ნიადაგისთვის და უმოწყალო მწირ ადგილებისთვის. ეს მასწავლებელი ბევრს ბედნიერს გაიტანებს მაღლა, ჭეშმარიტ კულტურისკენ მაგრამ ძირს მაინც რჩებიან გონება-ბნელნი და სულით დატანჯნი და ამის წინააღმდეგ ძალუნებურად ბროტესტს აცხადებს ადამიანის გრძნობა... მესამე ტიპის მასწავლებელი რჩეულებთან ერთათ კულტურის საფეხურებზე უფრო მაღლა ავა. ვიდრე მეორე ტიპისა, — იგი ნაკლებ საფეხურებს გაიარს, მაგრამ უფრო მეტ ხალხსა ასწევს მაღლა. რადგანაც მას ჩამორჩენილები არა სწყამს, უკეთ რომ ვსთქვათ არ ურიგდება ჩამორჩენილობას...

IV

მეოთხე ტიპის მასწავლებელზე ბევრს ვერაფერს ვიტყვი, რადგანაც მე არ შემხვედრია ასეთი მასწავლებელი და სხვისი ბირით უნდა ვილაპარაკო, უნდა დავსწერო ის, რაც სხვებმა გადმომცეს; სხვისი ბირითა და გადმონაცემის მიხედვით ლაპარაკი კი, იგივე არ არის, რაც ბირდაბირი დაკვირვებისა და თვალით ნანახის გადმოცემა. მეოთხე ტიპის მასწავლებელი ხელოვანია, დიდი სამასწავლებლო ნიჭით დაჯილდოებული და ამასთანავე ჭეშმარიტად განათლებული. გადმონაცემის მიხედვით რომ განვსაჯოთ მასში საბედნიეროთ შეერთებულია მესამე ტიპის მასწავლებლის სტიქიური ტალანტი და მეორე ტიპის დინჯი, აუმღვრეველი საზრიანობა. იგი ეოვლთვის განათლებული ადამიანია, იმისდა მიუხედავათ თუ რა განათლების ცენზი აქვს. იმას, რაც ვერ მისცა სასწავლებელმა, სადაც სწავლობდა, თვითონ შეივსებს ხოლმე, ამასთანავე მისი თვითგანათლება სრულიად არ წაგავს ისეთ შაბლონურ განათლებას, რომელსაც ხშირად ვხედავთ: მეცნიერება თავისთვის, კაცი კიდევ თავისთვის, შაბლონურად განათლებული კაცი ისე იმოსება მეცნიერებით, როგორც ტანისამოსით, — მხოლოდ გამოეწყობა იმით და არსებითად მეცნიერება მის „მე"-სთან არ შესისლხორცებულა, მეცნიერება მის გონებას არ ავითარებს, არამედ მხოლოდ აშალაშინებს. უკანასკნელი ტიპის მასწავლებელის ტვინი კი, როგორც ღონიერი, სადი კუჭი, ინელებს, შეირგებს და შეიწოვს ყველაფრის ნოეიერს წვენს,

რასაც კი მიაწვდიან; იგი სავსებით ითვისებს მეცნიერებასა და ეს გარემოება ჭლესავს მის ნიჭს, და უვითარებს იმ მრავალ მხრივან მოქნილ ძალას, რომელსაც ბევრი მისი ნაკლებათ რთული ბუნების ამხანაგი ვერ მიაღწევს.

თქმაც არ უნდა, რომ იგი განირჩევა პირველ ტიპის მასწავლებლისაგან, და აგრეთვე არსებითად განირჩევა მეორე ტიპის მასწავლებლისაგანაც. მეორე ტიპის მასწავლებლის თვისებას შეადგენს: გონიერება, რომელიც განზე სტოვებს უველაფერს, რაც სრულიად ნათელი და გამორკვეული არ არის; მისი სწავლების მეთოდი სწორია, მაგრამ მეტის მეტად შაბლონური, ჩვეულებრივი, იგი ფრთხილია და მხოლოდ უმახლობელს მიზანზე ფიქრობს. მეოთხე ტიპისა კი, არა თუ გონიერია, ეს შემოქმედ-ხელოვნის ლოგიკის კაცია, იგი განზე არაფერს სტოვებს, არამედ სცდილობს და ყველაფერს ნათელსა ჭვენს, მისი მეთოდი სწორია, უტეუარია, ორიგინალურია, მაგრამ ორიგინალობას კი არ მისდევს, ზოგჯერ მისი მეთოდი ჩვეულებრივია, მაგრამ შაბლონური ხასიათისა კი არასოდეს.

ეს ჩვეულებრივი მეთოდი, რომელიც მეორე მასწავლებლის ხელში სიცოცხლეს მოკლებულია, ამის ხელში ნიჭის წყალობით ისევ გადაქმნილი, როგორც მაგ. ხელოვანი-მასწავლებელი ჩვეულებრივ სიტუვებს, ტკბილ ხმოვან და ბრწყინვალე დიალოგებათ აქცევს. მეორე ტიპის მასწავლებლისთვის მახლობელი მიზანი მხოლოდ სათეხურია და შეიძლება ასეთი შედარება მოვიუვანოთ: მეორე ტიპისმას წავლებელი თითქოს ადის ცოდნის კიბეზე და მიჭვავს თან სკოლა, მიდის და თან ათვალიერებს ეოველ სათეხურს და მხოლოდ ხანდახან გადახედავს მთელს კიბეს; უკანასკნელი ტიპის მასწავლებელი კი მუდამ მოელს კიბეს, უახლოვეს და უკანასკნელ სათეხურს—ეველას ერთსა და იმავე დროს ერთნაირის დაკვირვებით ხედავს.

მესამე ტიპის მასწავლებლისაგან იგი იმით განირჩევა, რომ მისი მეუშაობა სწორია, ერთნაირია, „უფერული ადგილები“ მის მოდვაწეობაში არ არის,—მას ჭეავს მოწაფეები, რომელნიც სხვებს წინ უსწრებენ, ჭეავს ისეთებიც, რომელნიც სხვებს ჩამორჩებიან, იმისდა მიხედვით, ვინ როგორი ნიჭითაა დაჯილდოებული, მაგრამ სრულიად ჩამორჩენილნი მას არა ჭეავს, მის მოწაფეებში ეველა ითვისებს იმდენს, რამდენიც შეუძლია, მაგრამ ისეთნი, რომელნიც არაფერს ითვისებენ, არა ჭეავს. ბავშვები თითქმის ადმერთებენ ასეთ მასწავლებელს, შეიძლება შეუგნებლად იხიბლებიან მისი ძლიერი გონებისა და კეთილმობილი სულის გავლენით, თვითონ მას კი გაცილებით ნაკლებათ ეუვარს ბავშვები, ვიდრე მესამე ტიპის მასწავლებელს: როგორც განათლებული, კაცთმოეკარე ადამიანი, რა თქმა უნდა ტლანქად მოუხეშავად არ ეპურობა ბავშვებს, მაგრამ ამისდა მიუხედავად გულგრილად, ობიექტიურად იქცევა მათთან, მისი ბავშვების სიეკვარული თითქო ჰეტრე დიდის რუსეთისადმი სიეკვარულს წაგავს, რომელსაც მომავალი რუსეთი ძლიერ ეეკვარდა, მაგრამ ოანამედროვე რუსეთს უდიერათ ეპურობოდა. ნამდვილად ასეთ მასწავლებელს საოცრათ ეეკვარს პირველ ეოვლისა ხელოვნება, ხელოვნებისათვის თავგადადებულია და კაცი კი ეფრო როგორც ადგრდის საგანი ისე ეეკვარს.. მაგრამ მისთვის მასწავლებლობა—ჭეშმარიტი და ერთი იმ სადვთო მსახურების უმაღლესი ფორმათაგანია, რომელსაც ემსახურებოდენ ძველი და ახალი ბუმბერაზები, რომელთაც კაცობრიობა ეწოდება....

ე. ფალავა.

ექსკურსიის მნიშვნელობა

შოწაფეთა და მასწავლებელთათვის

ექსკურსიების აღმზრდელობითი მნიშვნელობასა და სარგებლობაზე ლაპარაკიც მეტია, რადგანაც დღეს ეს ყველა ცოტათ არის მაინც საღი პედაგოგიური შეხედულების ადამიანისათვის ანბანურ ჭეშმარიტებად არის გადაქცეული. ამ ჟამად ყველა კულტურულად დაწინაურებულ ქვეყნებში ყოველ გაზაფხულზე სახალხო მასწავლებელნი ოამოდენიმე ხნით სტოვებენ ხოლმე სასწავლებლის კედლებს და მოსწავლეებთან ერთად სამშობლოს საზღვრებში მოგზაურობენ, როდესაც სწავლა-მეცადინობა ბუნების წიაღზედ სწარმოებს. ამ დროს სახელმძღვანელოდ მათ თვალწინ გადაშლილია ერთად ერთი საკვირველი და მეტად შინაარსიანი წიგნი—ბუნება. ეს ექსკურსიები აცნობენ ბავშვებს სამშობლოს არე-მარეს, საყურადღებო ადგილებს და ღირსშესანიშნავ ნაშთებს; შეასწავლის მათ თავის ქვეყნის ბუნებას: მთებსა და ღრეებს, მცენარეთა, ცხოველთა და მინერალთა სამეფოთ. ასეთი მოგზაურობა ნორჩ ბავშვებს თავიდანვე უნერგავს სამშობლოსადმი კეთილშობილურ სიყვარულს, უვითარებს დაკვირვების ნიჭს, ულვიძებს და უნმტკიცებს ესტეტიურ გრძნობებს, იწვევს სწავლისა და ცოდნის შეძენის თავდაუჭერელ სურვილს, აძლევს თავის სამშობლოზე შედარებით სწორ წარმოდგენილობას, რომელიც ბევრად უადვილებს სხვა შორეულ უცხო ქვეყნების ნათლად წარმოდგენას და სხვ.

ეს ერთი ხანია ჩვენშიაც გაისმის ხმები საკუთარ ქვეყნის შესწავლის სასარგებლოდ და ამ მიზნით ექსკურსიის აუცილებელ საჭიროების შესახებ. ეს აზრი თანდათან ფეხს იკიდებს ჩვენში და მომხრეებს პოულობს. ამ მხრით პირველი ნაბიჯი საზოგადოების თვითმართველობის ორგანოებმა უნდა გადადგან. ასეც მოიქცა ქ. ქუთაისის თვითმართველობა, რომლის სკოლებშიაც მასწავლებელთა კორპორაციის თაოსნობით ეს 4—5 წელიწადია სამშობლოს შესწავლა სავალდებულოდ გახადეს და ყოველ გაზაფხულზედ უფროს განყოფილების მოსწავლეებთან ექსკურსიებს მართვენ. თქმა არ უნდა ისეთ ნაირად ბუნების შესწავლის დაყენება და ეკსკურსიების მოწყობა, როგორც საზღვარ გარეთაა, ჩვენთვის შორეულ იდეალს წარმოადგენს, მაგრამ პირველ ხანებში ამ გვარად საქმის დაწყებაც სასიამოვნო და სანუგეშო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს.

ქუთაისის პირველ-დაწყებითი სკოლების ბავშვები პირველად ეცნობიან თვით ქალაქს: მასწავლებელთა ხელმძღვანელობით ათვალიერებენ ქუჩებს, სტამბებს, ქარხნებს, საღორაის ტყეს, წყალ წითელას მიდამოებს, არქიელის გორას და ბაგრატის ციხისა და ეკლესიის ნანგრევებს. გასულ სასწავლო წლის მაისში გასცილდენ ქალაქის საზღვრებსა და დაათვალიერეს გელათის მონასტერი, ტყიბულის ქვა-ნახშირის მაღაროები და დასასრულ ფოთი, ბათუმი, ჩაქვა და ქობულეთი. გელათის უმშვენიერესმა მდებარეობამ, თვალწარმტაცმა ბუნებამ და თვით მისმა სიდიადემ აღტაცებაში მოიყვანა ბავშვები. აქ მოწაფეები თვალნათლივ დარწმუნდენ, რომ ჩვენ ბედშავ ქვეყანა-

საც წარსულში, თვისი გრძელ მოწამებრივ სიცოცხლის დროს, ჰქონია ბრწყინვალე ხანა, როდესაც სწავლა-მეცნიერება და ხელოვნება ჰყვაოდა და უმწვერვალეს ხარისხამდი განვითარებული იყო. აქ ბავშვებმა თავისით გამონახეს ყოველივე საგულისხმიერო და გულმოდგინეთ დაათვალიერეს. მონახეს კუთხის ქვები, დავით აღმაშენებელის საფლავი, დარუბანდის რკინის კარები. ამაოდ ეძებეს თამარის და რუსუდანის საფლავები. შიგ ტაძარში სწრაფად მონახეს დავით აღმაშენებელი გელათის გეგმით ხელში, აგრეთვე თამარის, რუსუდან მეფის და სხვების სურათები. დაკვირვებით დაათვალიერეს ძვირფასი თვლებით გაჭედილი გელათის, ბიჭვინტის და ხახულის ხატები და აგრეთვე თვლებით მორთული და ოქროს მკედით ნაქსოვი მეფეებისა და მიტროპოლიტების ქუდები, ქოშები და სამოსლები. მოიკითხეს დავითის ბეჭედი და თვით უნდა გენახათ, რა მწუხარება იგრძნეს ბავშვებმა ამ განძის დაკარგვის გაგონებაზე. აქვე დაათვალიერეს სანთლის ქარხანა. დასასრულ ავიდნენ მონასტრის გვერდით აღმართულ ათასგვარ მცენარეებით მწვანედ შემოსილ მთაზედ, საიდანაც ბავშვების წინ გადიშალა ბუნების მომხიბვლელი სურათები. ჰარმონიულად შეზავებულ ბუნებისა და ხელოვნების სიდიადემ განაცვიფრა მოწაფეები და ამის გავლენით გატყინებულმა ერთმა მათგანმა მაღლობიდან აღფრთოვანებით და გრძნობით წაიკითხა ვ. ორბელიანის „გელათი“.

რამოდენიმე დღის შემდეგ ტყიბულის ქვანახშირის მაღაროები მოინახულეს, სადაც ყველაფერს დაწვრილებით გაეცვნენ. ბოლოს 22 მაისს 90 მოწაფე თავიანთ მასწავლებლებით ფოთისაკენ გაემგზავრნენ. გზაზედ ყმაწვილების დაკვირვებულ ყურადღებას შეუნიშნავი არაფერი რჩებოდათ. მერცხლების ბარტყებივით გამოეყოთ ვაგონის ფანჯრებში თავი და სიამოვნებით გასცქეროდენ მრავალფრად ლამაზად მობობინე რიონოს ჭალებს, რომელსაც სამხრეთიდ მედიდურად სდარაჯობს აჭარა-ახალციხის მთის კალთები. გავიარეთ სადგური სამტრედია და შემდეგ მდ. ცხენის-წყალი. აქ ოვით ბავშვებმა გვაცნეს—ახლა სამეგრელოში შევედით. გზა-და-გზა შენიშნეს მდ. აბაშა და ტეხური, ეკის მთა, თეკლათის მონასტერი და ჭაობები.

ფოთში ორი დღის განმავლობაში საკმაოდ დაიარეს ქალაქის ყველა კუთხეები, ნავთსადგური, გემები, ელექტრონის სადგური, ელევატორი, „მაოფი“ ნავებით დიდხანს ისეირნეს პალიასტომის ტბაზე და მესამე დღეს საღამოს ჟამის გემით ბათუმისკენ წავიდნენ. ამ დროს ნამგზავრი ბავშვები მეტად დაღლილ-დაქანცულად გრძნობდენ თავს, მაგრამ პირველად გემით მგზავრობამ, ზღვის უცხო სურათებმა და ტალღების საამურმა თამაშმა ყველაფერი დაავიწყათ და სრულებით გამოაცოცხლათ. აქ, პირველი კლასის ბანზედ, რომელიც თავაზიანათ დაგვითმო გემის კაპიტანმა, მოწაფეებმა დაუსრულებელი ჟრიამული ასტეხეს, სიმღერები და ცეკვა-თამაში გამართეს და მთელ გემს მხიარულების ხმები მოჰფინეს.

ბათუმში ერთს დღეს დაჰყვეს და შემდეგ რკინის გზით უკან დაბრუნდნენ. გზაზედ ჩაკვის სადგურზე შეჩერდნენ და მოინახულეს ჩაის მცენარით გაშენებული საუფლისწულო მამულები. აქ ნახეს ჩაის ქარხანა, სადაც დაწვრილებით აუხსნეს ჩაის მოყვანა. ამ მამულის დავლის დროს ერთმა ასე 10—11 წლის ბავშვმა სია-

მოვნებით წარმოსთქვა: „კოტე კარგია რომ ჩვენში ასეთი ადგილები ყოფილაო!“ მაგრამ როდესაც შეიტყო თუ ვინ იყო „ასეთი ადგილების“ ბატონ-პატრონი, სახე უკმაყოფილოდ მოეღურბლა. აქედან წასულნი ქობულეთში გაჩერდენ. ზღვაში ბანაობის შემდეგ მეჩეთში შევიდნენ და ქართველი მახმადიანების ლოცვას უყურეს. გარედ შეკრებილ ხალხს ბავშვები ვინაობას ეკითხებოდენ იმ განზრახვით, რომ ეთქვათ ჩვენც ჩამომავლობით ქართველები ვართო, მაგრამ უმრავლესობა თავს თათარს უწოდებდა. ხოლო ერთმა დარბაისელმა მოხუცმა სთქვა: „ჩვენ ყველანი ძმები ვართ,—თქვენ ქართველი ქრისტიანები ხართ და ჩვენ ქართველი მახმადიანებიო“. დასასრულ 27 მაისს დილის 4 საათზე უსაზღვროთ ნასიამოვნები მუწაფენი ქუთაისში დაბრუნდნენ. ამ ექსკურსიის დროს ნანახი და მიღებული ბრწყინვალე შთაბეჭდილებანი წარუხოცელი დარჩება ბავშვების ხსოვნაში და მისი მოგონება ყოველთვის სასიამოვნო იქნება მათთვის.

ასეთი ექსკურსიები მეტად სასარგებლო და ფრიად სასურველია არა მარტო პირველ-დაწყებით სკოლების მოსწავლეთათვის, არამედ თვით სახალხო მასწავლებელთათვისაც, რომელთა უმრავლესობა თავიანთ სამშობლოს ერთ კუთხეს არ გასცილებია და საერთოდ ჩვენს ქვეყანაზედ ბუნდოვანი წარმოდგენილობაც არა აქვს. სახალხო მასწავლებლებთან ერთად მთელი ჩვენი ეგრედ წოდებული ინტელიგენცია ვერ იცნობს თავის სამშობლოს „ვერც გეოგრაფიულად, ვერც ეტნოგრაფიულად, ვერც ეკონომიურად, ვერც ისტორიულად და ვერც ფსიხოლოგიურად“. არ ვიცნობთ „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტ“ ქვეყნის სიმშვენიერითა და სიდიადით აღსავსე ბუნებას, მისს სიძველეებს, მისს ნაშთებს მრავალ წლების მოწამეთ. რაც არ იცი და რასაც ვერ იცნობ, იმას ვერც შეიყვარებ და აი სწორედ ამით აიხსნება ჩვენი ინტელიგენციისა და კერძოთ სახალხო მასწავლებელთა ეროვნულ თავმოყვარეობის უქონლობა, ჩვენი ქვეყნის ავ-კარგზე, ასე გულგრილათ ცქერა და უკუდო უფროსების ბრძანების უსიტყვოთ ასრულება მოზარდ თაობისა და მთელი ქვეყნის საზარალოდ. გვეტყვიან: ჩვენ იმისთვის არ ვიცით ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრება, ჩვენი ერის აწმყო და წარსული, რომ სკოლაში არ უსწავლებიათო, მაგრამ ეს ვერაფერი საბუთია, რადგან უცხო ქვეყნიდან ჩამოსული ხალხი ახერხებს ჩვენი ერის შეთვისებას და ჩვენი სამშობლოს გულდასმით დაწვრილებით შესწავლას, ბით უმეტეს მასწავლებელი მოვალეა, თუ სურს ჯეროვან სიმაღლეზე იდგეს და თავის დანიშნულებას პირნითლად ემსახურებოდეს, ყოველი დანაკლისი თვისი მაცადინობით შეივსოს და გონებრივი სალარო თანდათანობით გაამდიდროს. „მასწავლებელს იმ დრომდე შეუძლია ნაყოფიერად იშრომოს სხვების გასანათლებლად და აღსაზრდელად, სანამ თვით განაგრძობს მუშაობას საკუთარ თავის ჭეშმარიტ განათლებასა და აღზრდაზე“, ამბობს დისტერვეგი. ვთქვათ ჩვენ სახალხო სკოლებში სავალდებულო სასწავლო საგნად გახადეს სამშობლოს შესწავლა, მაგრამ თუ თვით მასწავლებელი კარგად ვერ იცნობს თავის ქვეყანას, არ დაუთვალიერებია თავის თვალით ყველა ღირს შესანიშნავი ადგილები და ხალხი, ჩვენს სამშობლოს ყველა ადგილებში მცხოვრებნი, მისს სწავლებას სასურველი შედეგი ვერ მოჰყვება და ვერც შეძ-

ლებს ყმაწვილებში სამშობლოსადმი ცხოველი ინტერესი გამოიწვიოს და ჩვენი ერის სულიერი და ეკონომიური ცხოვრება მკრთალად მაინც შეასწავლოს.

განათლებულ და კულტურულად დაწინაურებულ ქვეყნებში არდადეგების დროს მასწავლებელნი უპირველესად დაწვრილებით და თვალსაჩინოთ ეცნობიან თავიანთ სამშობლოს ყოველ კუნჭულს და მხოლოდ შემდეგ მეზობელ სახელმწიფოებისა და სხვა და სხვა ქვეყნების დასათვალიერებლად მიემგზავრებიან. ჩვენ საზოგადოთ მოდის ხალხნი ვართ და უხეირო მიმბაძველობაში სწორი არა გვყავს. ბევრ ჩვენ ინტელიგენტს თავდაუჭერელი სურვილი აქვს უცხო ქვეყნების დავლისა და შემთხვევის დროს საშუალებას არ ზოგავენ ამ სურვილის განსახორციელებლად. გასულ ზაფხულში რამოდენიმე ქართველი მასწავლებელი მოსკოვის ექსკურსიას გაჰყვა ევროპის დასავლელად და იმავე დროს თავის ქვეყნის ბევრი საყურადღებო ადგილების სახელებიც, ღრმად დარწმუნებული ვარ, გაგონილი არ ექნებათ. ამნაირად თვით პედაგოგები ღალატობენ პედაგოგიის ელემენტარულ დებულებას, რომ სწავლა-დაკვირვება უნდა იწყებოდეს მახლობელ საგნებიდან და თანდათანობით შორეულზედ გადადიოდეს. საქართველოს უხვი ბუნებასა და ღირს შესანიშნავ ნაშთებს განცვიფრებაში მოჰყავს უცხოთა მეცნიერნი და ტურისტები და უფრო და უფრო მეტ მკვლევარსა და მოგზაურს იზიდავს თავისკენ. ჩვენ კი ასეთ ყოველ მხრით მეტად საინტერესო საკუთარ ქვეყნის გაუცნობელი ევროპისაკენ მივილტვით. მხოლოდ ჩვენში შეინარჩუნება ასეთი უკულმართობა, რომ სხვა ქვეყნის ნაშთებს, მთებსა და მდინარეებს ზეპირად ჩამოვთვლით და ამავე დროს სოულებით არ გვაინტერესებს ჩვენი ხალხი და მისი წარსული, ჩვენი სამშობლოს სიძველეები და მისი მშვენიერი და მდიდარი ბუნება, რომლის სილამაზე და სიდიადე თვით მკვდარსაც სულს ჩაუდგამს.

ჩვენი ქვეყნის „ჭირისუფალთა“ მედგარი შრომის ნაყოფია, რომ ჩვენში დახშულია ეროვნული თავმოყვარეობა და საკუთარი ინტერესების თვითშეგნება, დავივიწყეთ წარსული, არ ვფიქრობთ აწმყოზე და მომავალზე და საარაკო გულგრილობით ვუცქერით სამშობლოს არემარეს. ჩვენი „კეთილმყოფთა“ გამანადგურებელ პოლიტიკას ახლა ჩვენც აკტიურად ხელს ვუწყობთ და შეუბრალებლად ვასახიჩრებთ მოზარდ თაობას. სწორედ ჩვენთვისაა საჭირო სახელმძღვანელოდ გავიხდიდეთ პროფ. მარრის სამართლიანს შენიშვნას, რომელიც ამბობს: „როგორ სისტემითაც უნდა აღზარდოთ ხასიათი, როგორ განმანათლებელ საგნებისა და მეცნიერების იდეალურ შერჩევით უნდა ავარჯიშოთ ყრმათა ჭკუა-გონება, ხელოვნურად მოწყვეტა მშობლიურ კულტურულ წარსულზე უცილებლად გამოიწვევს დიდ უმრავლესობის სულიერ გადაგვარებას. თუ მოსწავლეს არ აღუძრავთ ცხოველ ინტერესს მისდამი, რაც გულთან ახლოა, ჩვენ მით ვუჩლუნგებთ მას კეთილშობილურ სტიმულს თვითმოქმედებისას“.

დროა მომავლისათვის ფართო ხასიათის ექსკურსიის მოწყობას შევეცადოთ, რომლის თაოსნობა ყველაზედ უფრო წ.-ქ. გ. საზოგადოების მთავარ გამგეობას და მისს ფილიალურ განყოფილებათ, აგრეთვე ქალაქებში მცხოვრებ მასწავლებელთ და საზოგადოთ ჩვენი ხალხის სწავლა-განათლებით დაინტერესებულ კერძო

პირთ შეფერით. თუ გავითვალისწინებთ რა აუტანელ და სულის შემხუთველ პირობებში უხდებათ თვისი მეტად მძიმე და პასუხსაგები სამსახურის შესრულება მივარდნილ სოფლებში დაქსაქსულთ ტანჯულთ სახალხო მასწავლებელთ, ადვილად მივხვდებით, რომ იმათ ექსკურსიების მოწყობა არც დაეკისრებათ და ვერც მოახერხებენ. არ კმარა მარტო ოდენ სიტყვების ფრქვევა და მასწავლებელთადმი საყვედურებით მიმართვა, უფრო საჭიროა და ნაყოფიერი იქნება იმათ გათვითცნობიერებას და სწორ გზაზედ დაყენებას, სიტყვების ნაცვლად, საქმით შევეცდებოდეთ, საშუალებებს გამოვნახავდეთ. ერთ ასეთ საშუალებათ ექსკურსიებიც უნდა ჩაითვალოს. ექსკურსიების ხელმძღვანელობა უნდა იკისრონ ჩვენი ქვეყნის ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და გეოგრაფიის, ცოტათ თუ ბევრად მცოდნეთ. ქუთაისში ასეთს ხელმძღვანელებას, ჩემის ფიქრით, გაუწევენ ს. ქვარიანი, გარსევანიშვილი, ს. ყიფიანი და სხვანი.

ტეხურის-პირელი.

დედა-კაცის მდგომარეობა საინგილოში

(ეთნოგრაფიული წერილი)

დედაკაცის მდგომარეობა საინგილოში მეტად მძიმეა და შეუსაბამო. მარტო ის გარემოება, რომ ქალი პირდაპირ ფულად იყიდება, როგორც უბრალო რამ საქონელი და ვინც მეტს შეაძლევს იმას მიათხოვებს მშობელი, ამცირებს მას კაცის თვალში და უბრალო რამ ნივთად ჰხდის, რომლის შესაძენადაც მხოლოდ ფულია საჭირო. სიყვარულით გათხოვება და სხვის გაყოლა საინგილოში თითქმის უცნობი ხილია, რადგანაც ხშირად ქალიშვილი ჰასაკში არც კი არის ხოლმე შესული, რომ მშობლები მაშინვე ათხოვებენ და მძიმე უღელს ცოლქმრობისას ადებენ კისერზედ.

საშინელია ოჯახის მდგომარეობა, იგი გათხოვების პირველის დღიდგანვე მწარე მონობის უღელს განიცდის. ახალგაზრდა, მორცხვი პატარძალი იძულებულია მუდამ საღამოს ოჯახის ყოველ წევრს ფეხები დაჰბანოს წყლით. ჩამოუვლის პატარძალი ტასტითა და აფთაფითა (სპილენძის თუნგია) დიდსა და პატარას, ჩააყოფინებს წყლით სავსე ტასტში ფეხებს, წმინდათ დაჰბანს და შესწმენდავს. ასე ჰბანს ფეხებს პატარძალი ოჯახის ყველა წევრს მთელი ერთი წლის განმავლობაში ყოველ საღამოს, შემდეგ კი მოვალეა ჰბანოს მარტო მამამთილსა და დედამთილს.

გარდა ამისა მთელი სახლის საქმეები მას აწევს კისერზედ და მოვალეა ხმა ამოუღებლივ გააკეთოს ყველაფერი. ბრინჯი აქვს, მაგალითად, მოსახარში, პატარძალმა უნდა მიუტანოს და უჩვენოს დედამთილს რაოდენობა ბრინჯისა.—პაწა ააკლო ან თამამო, ეტყვის დედამთილი და ნათქვამის თანახმად უნდა მოიქცეს პატარძალი, ხმა ამოუღებლივ და სიტყვაშეუბრუნებლივ. იმას არამც თუ სიტყვის შებრუნება—უბრალო დალაპარაკებაც კი არ შეუძლიან სიმამრ-სიდედრთან და ყვე-

ლა ოჯახის იმ წევრებთან, რომელნიც მის ქმარზედ უფროსნი არიან. აუტანელია ამ შემთხვევაში ქალის მდგომარეობა, ყველანი ელაპარაკებიან, ასაქმებენ, დარიგებას აძლევენ, ის კი თავჩაქინდრული სდგას მუმიასავით გაჩუმებული და გარინდული და ხმას არ იღებს. ადათით რძალს ნება არა აქვს გამოელაპარაკოს თავისზედ უფროს ვისმეს ოჯახში და თუ აუცილებელი საჭიროება მოითხოვს გამოლაპარაკებას, მაშინ შუაკაცათა ხმარობს ოჯახის მცირეწლოვანს ბავშვს, იმას უზიარებს თავისს გულის ნადებს და ის გადასცემს უფროსებს მის წადილსა და პასუხს. არამც თუ გამოლაპარაკება არ შეუძლიან უფროსებთან, არამედ სალამზედ პასუხის გაცემაც კი. რამდენიც გინდა სალამი მისცენ, ქალი პასუხს მხოლოდ იმითი აძლევს, რომ თუ მჯდომარეა უნდა აღგეს ფეხზედ და თუ მდგომარეა, მაშინ თავი დაუკრას.

ასე გაჩუმებულ-გარინდული დაიარება რძალი და არავის შინაურს ხმას არა სცემს მთელი ერთის წლის განმავლობაში. ერთის წლის შემდეგ კი ოჯახის ყველა წევრებს გამოელაპარაკება, გარდა დედამთილ-მამამთილისა, რომლებსაც მთელ სიცოცხლის განმავლობაში არ გამოელაპარაკება.

აღსანიშნავია ამასთანავე ის გარემოება, რომ საინგილოში მცხოვრებ სხვა ერებშა არ შენახულა და არც არსებობს ეს ჩვეულება. ძნელი ასახსნელია რაზეა დამოკიდებული და რა აქვს საფუძვლად ამ ჩვეულებას. ზოგმა მითხრა: რადგანაც რძალი—დედამთილსა და ოჯახის სხვა წევრებს არ ელაპარაკებაო, ამიტომ მათში ჩხუბი და უსიამოვნება არასდროს არა ხდებაო და ამით მტკიცედ ვიცავთ ამ წესსაო. ზოგნი კი ამ ჩვეულებას პატივისცემით ხსნიან უფროსებისადმი, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ რძალი ხმა ამოუღებლივ ასრულებს უფროსების ყოველივე ბრძანებას.

ამავე პატივისცემისა გამო არასოდეს არ დაჯდება ახალი რძალი ოჯახის სხვა წევრებთან პურის საჭმელად. როცა ყველანი გაათავებენ პურის ჭამას, მაშინ წაიღებს პატარძალი თავისს კერძს „ფერდოს“ (ფარდის) იქით, რომელიც ოთახის რომელიმე კუთხეში არის და იქ ჩუმად შეექცევა საჭმელს. მასთანვე სადილობენ პატარა ბავშვები, თუ ასეთები არიან სახლში, რათა მარტო სადილობა არ მოსწყინდეს პატარძალს.

დედაკაცი მუდმივ გართულია საოჯახო საქმეებში და იშვიათად ნახავთ გარედ გამოსულს, კარმიდამოს გაცილებულს. მინდორში ან კალოზე მომუშავე დედაკაცს ვერსადა ნახავთ კაკის საბოქაულოში. მხოლოდ ერთად-ერთი პურის მარგვლა არის, როცა დედაკაცი გადის წვრილ-ფეხობით, ბავშვებით მინდორში და ჯეჯილში ამოსულს მავნე ბალახებს ძირიანათა ჰგლეჯავს და ასუფთავებს ყანას. გარდა ამ მარგვლისა სხვა რამე სამუშაოსთვის არ გავა დედა-კაცი მინდვრათ სამუშაოთ. ალიაბათის საბოქაულოში პირიქით დედაკაცს უფრო მეტი თავისუფლება აქვს და ყველგანა ნახავთ მას მომუშავესა და მოსაქმესა. მინდვრიდგან ძნის მოტანა, კალოს გალეწვა, ტყიდგან შეშის მოტანა დედაკაცების საქმეა. აქ დედაკაცი გვერდში უდგია მამაკაცსა და მასთან ერთად მუშაობს.

მაგრამ ყველაზედ ბედშავი დედა-კაცი ორსულობა-მშობიარობის დროს არის, მშობიარე დედა-კაცი უწმინდურათ ითვლება, მას მოსალოგინებლად სახლში არ უშვებენ, შუა ზამთარიც რომ იყვეს და

გარედ ქარბუქსა და ყინვას მოეცვას ყველაფერი, მაინც მელოგინე დედა-კაცს სახლში არ შეუშვებენ და ბოსელში ან ქოხში სადმე უნდა მოილოგინოს, რომელშიაც ზოგჯერ ისეთი სიცივეა, რომ თვით კარგად მყოფს ადამიანსაც კი გაჰყინავს და დაავადმყოფებს. ამავე დროს ასეთს გომურში მოთავსებული მშობიარე დედა-კაცი ღვთის ამარად არის მიტოვებული. საჭმელ-სასმელსაც კი ხეირიანად არავინ მიუტანს, კარებს ოდნავ გამოაღებენ, შეუდგმენ საჭმელს და ისევ გამოიხურავენ. თუ ზამთარია და ძალზე ცივა, მაშინ პატარა ბავშვს შეგზავნიან და ის უნთებს ცეცხლს. სამაგიეროდ მელოგინის გარშემო ლოგინის ირგვლივ დიდს თოკს შემოავლებენ ხოლმე და თავთით დაუდებენ წალდსა და საჩეჩელსა. ყველა ამაებს იმიტომ შვრებიან, ვითომ ავმა სულებმა ანუ ალებმა არაფერი ავნოს მშობიარესო.

თუ დედაკაცი ძნელადა შობავს, ან ავად გახდა, მაშინ იმ ქოხს სადაც მელოგინეა თოფს ესვრიან, რათა ავი სული მოაშორონ მშობიარეს. გარდა ამისა მძიმე მშობიარეს გაახვევენ ხოლმე ნაბადში და აქეთ-იქით გორაობას დაუწყებენ, რომ ჩქარა ეყოლოს შვილი, ან კიდევ საბელს ჩამოჰკიდებენ თაროზედ, რომლის ერთი ბოლოც მშობიარეს უჭირავს, ხოლო მეორე ბებიასა და სხვებს და ამ რიგად ასწევ-დასწევენ თოკს, რომელსაც მშობიარე ასდევ-ჩასდევს. ზოგნი კიდევ მისცემენ ხოლმე ბოთლს ან აფთაფას (ვიწრო ყელიანი სპილენძის ჭურჭელია) და ააბერვინებენ რაც ძალი და ღონე აქვს. თუ ეს საშუალებანი არა სჭრიან, მაშინ რომელიმე ქალიშვილი მშობიარესთან პერანგის საყელოდგან შიგნით ჩაუგდებს კვერცხს, რომელიც მაშინათვე იატაკზედ ეცემა და ინტვრევა და სამჯერ მიაძახებს: „—ემ კორცხ გულივით მალ გეყოლოს“.

საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ მელოგინე დედა-კაცის მოვლა საინგილოში არ იციან. ღვთის ანაბარად მიგდებულს მელოგინეს ბავშვის საცვლებსაც კი არავინ გაურეცხავს ხოლმე და თითონ მეორე-მესამე დღეს იძულებულია წამოდგეს და გარეცხოს. რასაკვირველია, მოუვლელობისა და უპატრონობის გამო მეტადრე ცივს ზამთარში ძალიან ბევრნი ესალმებიან ხოლმე წუთი სოფელს. მშობიარობის დროს გაცივების და მოუვლელობის გამო მომკვდართა რიცხვი დიდს პროცენტს შეადგენს, რომელიც ზოგჯერ 20% უდრის ხოლმე.

მაგრამ ეყოლება თუ არა მელოგინეს ბავშვი, მეორე დღიდგან ნათესავები და ნაცნობები დაიწყებენ ჭისვლას და მილოცვას მშვიდობით გადარჩენაზედ. მოვლენ, კარებს ცოტას გამოაღებენ, მიულოცვენ, შეუდგამენ მირთმეულს საჭმელს და წავლენ. ყოველ მიმსვლელს პირველ სამის დღის განმავლობაში მიაქვთ მელოგინესათვის ფაფა და ფასალი (რუსული „ბლინჩიკების“ მინაგვარი რამ საჭმელი არის). შემდეგ დღეებში კი მიაქვთ ფლავი ტოლმით, მოხრაკული ქათმით ან ცხვრის ხორცით. ზოგნი კიდევ ღვინოსა და ნაზუქებსაც მოუტანენ ხოლმე.

ქმარი მელოგინე დედაკაცთან არამც თუ არ მივა სანახავად, არამედ რაც გინდა მომაკვდავი იყვეს და იტანჯებოდეს ახლოს არ გაეკარება ამ დროს ცოლს, რადგანაც სირცხვილად მიაჩნიათ ცოლის გამოლაპარაკება. ვიდრე ორმოცი დღე არ შესრულდება დღიდგან მშობიარებისა, ახლოს არ გაეკარება და ხმას არ გასცემს. საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ,

რომ ქმარი ცოლს, გინდა ის მარტოხელაც იყვეს, ბავშვის მოვლა აღზრდაში არასდროს არ დაეხმარება და ერთხელაც ხელში არ აიყვანს და არ მიუალერსებს, გინდა რომ ბავშვი ტირილით კვდებოდეს და იჭაჭებოდეს. რაღაც სირცხვილად და სათაკილოდ ითვლება შვილის ალერსი ყველა კაცისათვის და ვიდრე ოთხის ან ხუთის წლისა არ შესრულდება ბავშვი მამას ახლო არ ეკარება.

ცოლქმრობის ურთიერთობის დარღვევა არა იშვიათია საინგილოში, თუმცა ქრისტიან ინგილოებში უფრო იშვიათია ვიდრე მუსულმანებში. ნაადრევი ქორწინება, როცა ქალიშვილი ჰასაკშიც არ მოსულა და ხეირიანი წარმოდგენაც კი არა აქვს ქორწინებაზედ ძალა უნებურადა ჰხდის ამ გარემოებას. გონს მოვა თუ არა ქალი და გაითვალისწინებს, რომ სრულიად შეუფერებელს კაცს მოაფხოვეს მშობლებმა, ზიზღით იხედება თავისს ოჯახზედ, ქმარზედ, რომელმაც ფულებზედ იყიდა ივი და გატაცებით მირბის თავისავე მეზობელ თვალჟუჟუნა მისსავით ახალგაზრდა ვაჟკაცისაკენ. ამიტომ იშვიათი არ არის ქმრის ღალატი და სხვათა გაყოლა, მაგრამ თუ ქრისტიანს ინგილოებში ასეთი საქციელი ხშირად დაუსჯელი ჩაივლის ხოლმე, ალიაბათის მუსულმან ინგილოებს ამ შემთხვევისათვის სპარტანული ჩვეულება აქვთ შემოღებული და ხშირად ტყვიით უმასპინძლდებიან ხოლმე ოჯახის შემარცხვენელს.

დაბოლოს უნდა აღვნიშნოთ, რომ თუმცა მუსულმან ინგილოებს კანონით ნება აქვთ რამდენიმე ცოლის ყოლისა, მაინც საინგილოში ძალიან იშვიათს მოვლენას შეადგენს მრავალცოლიანობა.

ზ. ედილი.

ორი ძაღლი

იმერელი აზნაური,
ულვაშ-გაპიწკინებული;
ჯიბეში რომ თაგვი უხტის
და აქვს მილიონის გული,

—

ერთხელ ჩემსა გამობრძანდა...
გაანათლა ჩემი სახლი!...
და ტრაბახით, ძღვნად მომგვარა,
(ვითომ ლეკვი) ორი ძაღლი.

—

გამაყრუა ბაქი-ბუქით!—
ქებით ცამდი აიყვანა.
მარწმუნებდა: „ეზოს ძაღლი
არ ნახულა ამათთანა!..

—

მტერსაცა და მოყვარესაც
გაარჩევენ სუნითაო!!
ცოტა.. ახლა.—შეილახენ.
ვითომ... რაღაც მუნითაო.

—

ქართლიდან მყავს მოყვანილი...
არა ვსტყუვი ამასაო.
მხოლოდ თქვენთვის მემეტება...
არ მივცემდი მამასაო!!!

—

იმერეთში ვერ იშოვნი
ამისთანა ეზოს ძაღლსო.
ორგულისა და მტრისაგან
შეგინახვენ კარგად სახლსო.

—

ვიცოდი, რომ მატყუებდა,
მაგრამ მაინც გავუგონე.
და ან კი რა უნდა მექმნა,
რომ არ მქონდა მეტი ღონე?

—

დავუმადლე საჩუქარი,
თუმც არ ღირდა, რომ ვსთქვათ, მად-
მაგრამ მალე მე ის „მადლი [ლად.
გადამექცა სხვა გვარ მატლად:

—

მითხრა: ცხენი აღარა მყავს,
დავეთრევი ასე მეო!...
ეგებ, ერთი ჯოგის კვიცი
მითავაზო როგორმეო?!

—

რას ვეტყოდი? გადავეცი...
გამომტყუა ბედაური
და გაუდგა თავისთვის გზას,
როგორც დიდი ნამსახური.

—

სად ის ცხენი?! სად ეს ძღვენი,
ეს ძაღლები, საცოდავი?
უჭმელობით შიმშილისგან
გადაკვროდათ ძვალზე ტყავი.

—

წუწკუნობდენ, კუდს ჰლოკავდენ,
ფანფალობდენ ცოცხალ-მკვდარი.
საქმე იყო მისწრებაზე
და მეც იქვე ბიჭს ვუთხარი:

—

„თუ ღმერთი გრწამს, საწყალ ძაღ-
ერთი მალე მიეშველე... [ლებს
შიმშილისგან სული ხდებათ,
ყელი რითმე ჩაუსველე!“

—

მოიტანა, რაც ეშოვნა:
ნახარში და თანაც ძვალი
და მისცვინდენ ზედ ძაღლებიც,
საწუწკარს რომ მოჰკრეს თვალი.

—

გამოძღენ და გასისინდენ;
აიწიეს მაღლა თავი
და, ერთმანეთს რომ შეხედეს,
არ იამათ სანახავი:

—

ჰხედავთ? ისიც გამაძღარა...
უშოვნია საჭმელიო.
მაგას მჭადიც ეყოფოდა
ობიანი და ხმელიო!..

—

ეს რომ ვნახე, მივხვდი: ქართლით
რომ არ იყვნენ მოყვანილი!..
ჩვენებური ძაღლებია,
იმერეთში გამოზრდილი!

აკაკი.

საფლავის კარამდინ

(აზრი ფრანგულიდან)

ანდრია ღუღუნაძე სულ პატარა „ჩინოვნიკი“ იყო კონსისტორიაში, პატარა ჯამაგირითაც, რასაკვირველია. საზოგადოდაც სუფევლადფერში პატარა იყო ანდრია: პატარა ტანად, პატარა ხელ ფეხით, პაწაწინა მრგვალი შავი თვალები; ყოველი იმის მოთხოვნილებაც პაწაწინები იყვნენ, მაგრამ რაც კი რამ ებადა ღუღუნაძეს, პატარა სელფეხიდგან დაწყობილი პატარა ფიქრებამდე და პატარა სურვილებამდე, მკვიდრი და შეურეველი იყო. მაგალითად ის ფიქრი რომ უთუოდ შეეძინა როდისმე პატარა ადგილი სადმე წყლის პირად, დამაზ მდელოზედ და მთელი სამსახურ გარეშე თავისუფალი დრო, იმ ხელის ოდენა მიწის შემუშავებისათვის მოენდომებინა, თავის ღღეში თავიდგან არ განშორებია.

ღღე და ღამ, შეტადრე კვირაობით, როდესაც გადასწერ ქალაღდებს ადარ დასტრიალებდა, ეს სურვილი მეტად გაუძლიერდებოდა ხოლმე.

ის მაშინ ქალაქს გარედ გადიოდა სასეირნოდ და იქ ათვალიერებდა ბაღებს, მინდვრებს და თითქო არჩევდა იმ სანეტარო ადგილს, რომელიც ერთ დროს ამის საკუთრებად უნდა ქცეულიყო და ამის პატარა ხელებით უნდა დამუშავებულიყო.

— რა ეკვილებს მოვიეგანდი, რა გვარის გემოვნებით შეკვახამებდი ყვავილნარებს! რა ჯიშის და ფორმის ჩირგვებს არ დავრგავდი, რა მაგრე ხილ-მოგრეხილ მსვლელობას არ შევცემდი პატარა ნაკადს, რომელიც მშვენიერ ყვავილთა შორის ირბენდა, იჩუხჩუხებდა და თან ტოტხალი ყვავილივით ვერცხლივით იბზენდა მზეზედ, მოვარეზედ...

რად დაებადა ანდრია ღუღუნაძეს ეს აზრი, რად გაუჯდა ამ აზრის განხორციელების სურვილი ძვალსა და რბილში, თითონაც არ იცოდა. ანდრია ერთი იმ უპატრონოდ მიტოვებულ ბავშთაგანი იყო, რომელთაც საბაბო ინსტიტუტს შეაფარებენ ხოლმე უბედური მშობლები და ინსტიტუტი თავის მხრივ გაბარებს ხოლმე ღარიბ-ღატაკ ოჯახებში. ანდრიას აღმზდელებმა მისცეს ბავშს თავისი სახელი და გვარი და რამდენიმე წლის შემდეგ ბაღდი ისევ ინსტიტუტს დაუბრუნეს იქიდან ანდრიამ კარგა ხნით დაიბინავა ნავთლუხის ბავშვთა ოავშესაფარში.

შემდეგ რა შეემთხვა, სად აღიზარდა, როგორ მოხვდა კონსტიტორიაში მოხელედ, ეს ღმერთმა იცის! ამაზედ დაპარაკი ანდრიას არ უყვარდა, თავისი აზრის, საყვარელი სურვილის განვითარება და მაზედ დაპარაკი კი არ ეზარებოდა, თუ ვისმეს მოიპოვებდა ამ პატარა საგანზედ მსურველ მოლაპარაკეს. მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, „კაცი ბჭობს და ღმერთი იცინის“ და ანდრიას აზრის განხორციელებაზედაც ჯერ-ჯერობით, ღმერთი იცინოდა.

ანდრია ღუღუნაძე იდგა მთაწმინდის გვერდობზედ, სულ უკანასკნელ შენობის ერთ ერთ პაწია ოთახში, ორი ფანჯარა და პატარა აივანი გადმოჰყურებდა მთელ თბილისს და მის გარშემო მდებარე არე მარეს.

ეს აივანი ზაფხულობით და ფანჯრები ზამთრობით, უმადლესს სიამოვნებას აგრძნობინებდნენ პატარა ანდრიას. არამ თუ ნასადილევს, სადილ წინადაც კი, როდესაც ანდრია კონსისტორიიდგან ბრუნდებოდა და დადალულ დაქანცული ცალკე მტვრიანი ქალაღდების ფურცვლით და წერით, ცალკე თავისის სადგურის ციცაბოზედ აბობღებით, ერთს მაინც შესდგებოდა და თვალს გადაავლებდა ამ მშვენიერ, ფარფო პანორამის.

— რა კარგი ხარ ქვეყანავ! ამოიოხრებდა და თავის პაწაწინა რგვალ თვალებს ხელებს გადუსვამდა, თითქო უნდოდა იმათი გაგანიერება, გაფართოება, რომ უფრო ვრცლად და გარკვევით დაენახა ეს ქვეყნის მშვენიერება.

— მთელი ჩემი დღენი კი ამ დიდ მურალ ქალაქს და დაობებულს კონსისტორიას უნდა შევალიო! ამოიოხრებდა ანდრია. მაგრამ ანდრიას ამოოხვრაც მძლავრი არ იყო. და გულის დარდიც პატარა ანდრიასი ძრიელ პროტესტს ვერ გამოსცემდა არსებულისადმი, ის შემდეგ ჩუმად, წყნარად შეუდგებოდა ხოლმე სადილს და სადილის შემდეგ, ხმელ ტახტზედ განსვენებას.

ერთ მშვენიერ მაისის დილას, რაღაც დღესასწაულის გამო თავისუფალი, ანდრია ჩვეულებრივ ქალაქის გარედ გავიდა სასეირნოთ. მშვენიერი, გონების წარმტაცი საღამო იყო. ანდრია არა ჩვეულებრივ მდელვარებას გრძნობდა დღეს ნაცნობი ველ-მინდორი, რაღაც ტკბილ სამოთხეთ ეჩვენებოდა და მას ჩვეულებრივ საუკარელ ფიქრებს, მიწის შეძენისას, ბევრი სასიამოვნო და სანეტარო რაღაც ერეოდა. ამის წვრილ ტუჩებზედ, ხშირად მწიდრად მოკუმულებზედ, დღეს რაღაც ნათელი ღიმილი კაიელვებდა ხოლმე.

— თალაკო შეირთეო, მირჩევს ჩემი სახლის პატრონი! ბოლოს სთქვა იმან კარგა ხმა მაღლა და შესდგა.

— შევირთო?! კვლავ გაიმეორა ანდრიამ და ახლა უფრო სერიოზულად დაიწყო ამ აზრის გამორკვევა, გარემოების შედეგის განხილვა.

— ლამაზი, მხიარული, გულ უბრუვილო გოგონაა!

— მაშინ ხომ ჩემ სურვილზედ, ჩემ საუკეთესო ეკვილებით აუვავებულ ბაღჩაზე ხომ ხელი უნდა ავიღო. ერთი ორიოდ გროში, რაც მაქვს გადადებული ჩემი სურვილის განსახორციელებლად, ხომ უნდა ქორწილს, საპატარძლოს საჩუქრებს მოვანდომო? ან ოთხი თუმანი ცოლიან კაცს მაცხოვრებს? შვილებიც რომ გაგვიჩდეს?! ამ ფრიად ძნელ საპასუხო კითხვებს აძლევდა ანდრია თავის თავს, მაგრამ თალიკოს ეშხით სავსე და იმისი წკრიალა ხმა უოველივე დაბრკოლებას უკუ ჰურიდა ოდა ხუთის წლის პატარას, მაგრამ გრძნობით აღსავსე, ვაუკაცს.

— თალიკო ობოლია, სიღარიბეში აღზრდილი, კეთილი გულის ადამიანი, ის ცხოვრების გაუზომავად არ მოიქცევა. ბოლოს გადასწყვიტა ანდრიამ და თან დაუმატა!—იმასაც ვეტუვი, შევაუკარებ ჩემს აზრს, ჩემი სურვილების სიძლიერით გავიტანებ და ეგების ერთად უფრო გავიმარჯვოთ...

აგერ ექვსი წელიწადია ანდრია და თალიკო რაც ერთად სცხოვრებენ ისევ იმ მოა წმინდის მაღლობზედ, ისევ იმ პატარა სადგურში და გულით ხარობენ. იმათ ერთფეროვან ცხოვრებას არაფერი არ არღვევს.

თალიკო მართლა რომ სამგალითო ქალი გამოდგა. მთელი დღე თავის პატარა ბუდეში მერცხალივით დასრიალებს და თან მერცხალივით დაწიკწიკობს: „კოკობო ვარდო, არ დამაგდო, ვარ მონა შენი“ და როცა ანდრია ფთხილად, ჩადის მთაწმინდის დაღმართზედ, ეს ღიღინიც უკან მისდევს.

— სამი საათია, საცაა ანდრია მოვა დაღალულ დაქანცული, გამტვრიანებული, იტეოდა თალიკო და სუფრის გაშლას შეუდგებოდა, ანდრიას საუკარელ სასმელ-საჭმელს მოამზადებდა და გაღებულ ფანჯრიდგან გადიხედავდა.—ოჰ, მოდის, მოდის! და შემოსძახებდა: „კოკობო ვარდო არ დამაგდო, ვარ მონა შენი!“ და თან თეთრს ხელსახოცს აუფრიალებდა.

გორის ძირად შესასვენებლად შეჩერებულ ანდრიას გმაყოფილების ღიმილი მოიცვამდა და ისიც იქიდგან ხელით კოცნას უგზავნიდა და ალმართის შეუმჩნევლად აირბენდა:

— აა, ვაუბატონს ვახლავარ! სიცილ კასკასით მიეგებებოდა მეუღლე კონსისტორიის მწერალს და მეფე—ბატონივით სუფრაზედ დააბძანებდა.

ბედნიერი იყო ანდრია და უგელა ამის ბედს დანატროდა:—სწორედ ორი მტრედია! ეს მამაცხონებულები, იტყოდნენ ხოლმე მეზობლები—ნეტა თუ ასე როგორ აქვთ შეწონილი ახასიათები?!

სწორედ ძნელი წარმოსადგენი იყო ეს გარემოება ბევრისთვის, მაგრამ ნამდვილად ასე კი იყო. ანდრია აღმერთებდა თავის მოჭიკჭიკე იადონ თალიას და თალია თავის თვალ ყუყუნა პატარა ანდრიას.

ათასში ერთხელ, როდესაც ბუნების სიმშვენიერე გაიტაცებდა ცოლ ქმართ, ესენი გავიდოდნენ ხოლმე ქალაქის გარედ სასეირნოდ და აქ კი ანდრიას კვლავ გაეღვიძებოდა ძველი სურვილი და ამოოხვრით იტყოდა: „ოხ, ჩემო სანატრელო ბაღჩა—ბაღო! როგორ მიუვარდა შენზედ ფიქრი, თავისუფალი შრომა ამაგი და შენ კი სად გამიფრინდი!

— ფიქრი ნუ გაქვს, ნუ დაღონდები! ტკბილის ღიმილით მიუგებდა თალიკო ქმარს. ერთხელაც არის ჩვენც მამულის პატრონები შევიქნებით. აი, გაზაფხულზედ შეიძლება ბაღჩის ალაგის ქებნასაც შეუდგეთ. შენ გგონია მეკი არ მინდა, რომ ლამაზი ვარდები, ჩემის ხელით მოგლეჯილი ვარდები გულში გავიმაგრო! მე კი არ მინდა რომ მუშაობის დროს გვერდში ამოგიდგე?!

—ხა, ხა, ხა, გადიხარხარებდა ამაზედ ანდრია.—ბაღჩის ალაგის ქებნასაც შეუდგებით! განა შენ არ იცი, რა ძვირად ღირს ქალაქის მახლობლად მამულები? ჩვენ კი რა გვაქვს, რა გვაბადია?!

შემოდგომაა ახლა, მერე ზამთარი მოვა და გაზაფხულზედ კვლავ მერცხალი აჭიკჭიკდება და თან ჩვენს ნეტარებასაც მოიტანს... ეშმაკურის ღიმილით ჩაიცინა თალიკომ და შინისკენ წასასვლელად გაბრუნდა.

ერთ შემოდგომის სუსხიან დღეს, ანდრიამ პირველად მას აქეთ, რაც ცოლი ჰყავდა, თალიკო თავისი სახლის კარებში ველარ დაინახა, როდესაც აღმართზედ ადიოდა.

— ეს რა ამბავია? ცოტა არ იყოს შეშფოთებით შეეკითხა ის თავის თავს და სიჩქარით ოთახში შეირბინა.

თალიკო საბანში გახვეული და აძაგძაგებული ლოგინზედ იჯდა, ის ეცადა რომ თავისებერად ტკბილად გაეღიმნა ანდრიასთვის, მაგრამ სიცილის მაგივრად ტუჩები სატირლად დაებრიცა.—ანდროჯან, ძრიელ ავადა ვარ, ჭვალი მადგია ველარ ვინძრევი. სახლი პატრონს დაუძახე.

— ავადა ხარ? ჭვალი გადგია?... დაბნეულად ეკითხებოდა თალიკოს ქმარი და თან რეტ დახვეულივით ტრიალებდა. ოთახში მალე სახლის პატრონიც შემოვიდა, თალიკო ლოგინში ჩაწვინეს და ანდრია ექიმთან გაიქცა.

შვიდი დღე იყო მათიკო ავად, მეშვიდე დღეს სული განუტევა. სიკვდილის ორი საათის წინათ, ქმარს ხელში პატარა გასაღები ჩაუდო და ჩუმათ წასჩურჩულა: „არ დაჭკარგო, ბაღჩის ალაგის ფასი მზათ არის... ვინ ძლო, უჩემოთაც ააუკავო და უკავილთა შორის ჩემი სახელიც გამოჭქარგო“...

ბევრი იტირა, თავში იცა და სევდა ანდრიასი უკურნებელი იქნებოდა, რომ იმას თალიკოს მოცემული გასაღები არ გახსენებოდა და უკანასკნელი სიტყვები თალიკოსი გასაოცრად არ დარჩენოდა.

როცა მარტოდ მარტო დარჩა, ანდრია მუხლების კანკალით მიუახლოვდა პატარა სარკეს, რომლის უჯრის გასაღებიც ამას ხელში ეჭირა და გაიღო,—ოხ, ღმერთო ჩემო! ორმოცი თუმანი სულ ოქროებად დაწყობილი! შეჭუვირა ამან.

— ძვირფასო დედაკაცო, ჩემო ნამდვილო მეუღლევ! ნეტა თუ რა შრომით და რა წვა და დაგვით შეაგროვე, ეს საუნჯე და რა სიხარული იქნებოდა ჩემთვინ, რომ შენთან ერთად მოგვხმაროდა ეს თითო სისხლ წვეთად დირებული ოქროები!

ანდრია დიდა ადრიან ადგა და სასაფლაოზედ წავიდა, იქ დიდის ფიქრის და მოსაზრების შემდეგ, სულ შორს, შორს უკანასკნელ განაპირის ადგილი აირჩია და სასაფლაოს ზედამხედველმაც, თუმცა გოლიებულმა, ამ არა ჩვეულებრივ მოვლენით, მაგრამ გახარებულმა, რომ ამ გვარი უხვი გამდები მგლოვიარე იპოვნა, სამოცი საქონი მიწა ორმოც თუმნად მიუზომა. ანდრიამ ამ თვრთო ადგილის შუა, მესაფლავეთ თალიკოს საფლავი გაათხრევინა.

სუეველას ეგონა, რომ ანდრია თან კადაჭუვებოდა თავის ძვირფას მეუღლეს. რომ გამარტოებული, ობლად დარჩენილი, თავის მოჭიეჭიკე იადონს მოკლებული, ლოთობას, ან სხვა რამ კასართობს გადაეოლებდა თავის ვარამს; მაგრამ ანდრია ჩვეულებრივ ბეჯითად დადიოდა კონსისტორიაძი და ჩვეულებრივ მუეითად სწერდა და ფურცლავდა „მეტრიკათა“ ძველის ძველ წიგნებს—და არც თუ თავის კერძო ცხოვრება შეუცვლია შესამცნევად. ის ისევ მთაწმინდის კალთაზედ იდგა და ისევ მადლიდგან გადმოსცქეროდა ქალაქს და მის თვრთო არემარეს; მხოლოდ ერთ ადგილს, ამ შორეულ ადგილს, ს

ზღვის კიდეს

(ჰიმნი)

ტალღას გადმოჭეეე ადმოსავლეთით,
ჩემს სამშობლოში ზღვით შემოსცურდი
და რა გიხილე ცეცხლად ადგეგზენ,—
იესოს ვნებად ჩემს სულს მოსწყურდი.
ცაზედ ვარსკვლავნი როცა სხლტებიან,
მეინვარმა ცივმა არ უწყს, არ იცის,—
არარას მეტეეი და ჩემი გული
შენს სამსხვერპლოზედ ორთოლვით დაიწვის.
და... სული დეე, მარად ივლტოდეს,
გადაჭეეეს ზღვის ჭავლს, ტალღას მქუხარეს,
გადაქცო

IV. ნავთ-სადგურში

ამოტურდა ბადრი მთვარე,
წითელ ბურთად მოელვარე,
მთას ეფეთრდა,
გაუსწორდა
ზღვის ზედაპირს სხივ-მფინარე.
ხანდაკიდან ნაპირამდის
ხიდი გადო შარავანდის,
ტალღა სხივებს
ატიმტიმებს
და მბრწყვინავ ზოლს ზედ გადადის.
ცის მთიები დაირაზმა,
მთლად დაყვარდი მოიკაზმა,
თითქოს რძითა
მორწყულ გზითა
ცა გაპო ვარსკვლავთ დასმა.
კიდეს მდგომი ნათლის სვეტი,
ფერად ტეტხლით გადმომწვრეტი,
ხან აწითლებს,
ხან აყვითლებს
ღრმის სიგრცეს, დაუშრეტი.
ჩემო გემო, კასწი წინა,
ცის მნათობმა თუ გაცდინა,
მუშის ხელი,
დაუდელი,
სანდო არის, ვითა რკინა.
მისკენ მტკიცედ აგებული
სვეტი მუდამ ანთებული
ნავთ-საყუდარს
უნათებს კარს,
და შიგ შეხვალ სულ-მოთქმული!

V. გამოსალმება

მშვიდობით ზღვაო! მშობელ სტიქიონს
უკანასკნელად გავლებ ოვალებსა,
კარს შემოწდობილს შენსთლილს ხანდაკსა
და მოუსვენრად მჩქეფავს ტალღებსა.
შენს პირად მდგომს, მქენჯნავი სევდა
მე წამიერად მიქარდებოდა,
შენს ნათლის სვეტში, ელფერს კიდურში
სიცოცხლის შვება მესახებოდა.
როს დაგანძრევდა მქუხარე ძალით
ამოვარდნილი ქარი-ბორია,
შენს ზედაპირზე დანავარდობდა
თვითონ მრისხანე ღმერთი, ბორია,—
მე ეურს ვუგდებდი მდელვარე შხეილს,
ვლამობდი მასთან ზვირთად ქცევასა,
და ჩემს კარშემო ამართულ კედლის
მედგარ შეტევით წამოქცევასა.
ერთხელ, როს პირი გადაიწმინდე,
ჭაეროვანი ორთქლი დაგერდა,
თვალი მოვკარი ჩემს სათაუანოს,
ის იალქანით ახლოს დაჭრდა.
მეის მივესწრაფე, ხმა მივაწვდინე,
მაგრამ უსიტყვოდ თვალთ-მიმეფარა...
„მშვიდობით!—ვუთხარ გულ-დაწყვეტილმა,—
მე ამ ქვეყნადა ვინ მანეტარა?“
უკან დევნა? რათ? შორს ჩემგან იწვი,
დე, სხვას აღირსოს თვისი სიამე,
მე-კი მოგსძებნი ახალს იდეალს,
დღემდის ამოდ მიძებნია მე!
მშვიდობით ზღვაო, და შენს პირად
წამს გამომნათო ბედის ვარსკვლავო!—
მე კვლავ ვბრუნდები ბრძოლის ძახილში,
რომ ჭაბუკთ შორის დავესაფლავო....

მელიტონ გობეჩია

ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოზი კირიონი

(მისი 30 წლის მოღვაწეობის გამო)

ყოვლად სამღვდელო კირიონი ფრიად თვალსაჩინო მოღვაწეა ჩვენს სასულიერო ბერთა შორის. მღვდელ-მთავარი კირიონი, ერის კაცობაში გიორგი იერონიმეს ძე საძაგლიშვილი, დაიბადა 10 ნოემბერს 1854 წელს ტფილისში. 1876 წელს დასრულა ტფილისის სასულიერო სემინარია და შევიდა კიევის აკადემიაში ისტორიულს განყოფილებაზედ. 1880 წელს დასრულა კურსი სასულიერო აკადემიაში და დანიშნული იქმნა ოდესის სასულიერო სემინარიის ინსპექტორის თანაშემწედ. 1883 წელს გადმოიყვანეს თელავის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწედ, ამ დროდან, ვიდრე ბერად აღიკვეცებოდა, ეწეოდა სასულიერო სამსახურს სექსარხოსის სხვა და სხვა სასწავლებლებში, ამავე დროს სწავლობდა სამშობლო ქვეყნის ისტორიულს და არქეოლოგიურს და საქართველო ეკლესიის მდიდარს მასალას, სწერდა ისტორიულ-არქეოლოგიურს თხზულებებს, ბეჭდავდა მრავალ წერილებს რუსულად და ქართულად სხვა და სხვა კამოცემებში და თავის დაუღალავის შრომით მაგალითს აძლევდა სხვებს და ახალისებდა საქართველოს დიდებული წარსულის შესწავლაში. 1910 წელს მან გამოსცა ფრიად საუურადღებო თხზულება: „Культурная роль Грузіи въ исторіи Руси", რასაც მიუდგომელი ბრესა ღირსეულად დაუფასებს.

მღვდელმთავარი კირიონი თავ-გამოდებული დამცველია საქართველოს ეკლესიის და ქართველი ერის უფლება აურილის ცხოვრებისა. მას შემდეგ, რაც გ. ი. საძაგლიშვილს ცოლშვილი დაეხოცა, 2 ნოემბერს 1896 წელს აღიკვეცა ბერად. ჯერ იღუმნის და შემდეგ არხიმანდრიტის ხარისხით იყო ქვათახევის მონასტრის წინამძღვრად, საეპარქიო მონასტრების კეთილ-მოწესეთ და ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლებში ინსპექტორად. უველა ამ თანამდებობას ასრულებდა ცოდნით და საქმის სიყვარულით. 27 ივნისს 1898 წელს დანიშნულ იქმნა

ალავერდის ეპისკოპოზად და 12 აგვისტოს 1900 წელს გორის ეპისკოპოზად, რომელიც ითვლებოდა აგრეთვე ქართლ-კახეთის ეპარქიის პირველ ვიკარად. ამავე დროს ეწ სამღვდელო კირიონი იყო ქართულ საეკლესიო მუ-

ზეუმის თავმჯდომარედ, რომლის დროსაც მუზეუმმა შეიძინა მრავალი ძვირფასი ძველი ხელნაწერები. ეპისკოპოზ კირიონის შრომას, მისს რეფერატებს და გამოკვლევებს მეცნიერებმა უურადღება მიაქციეს არა მარტო რუსეთში უცხო ქვეყნებშიაც

ეპისკოპოზ კირიონს კბილის მატლად გამოუჩნდა ყველას მიერ ცნობილი კათხსირებული მღვდელი ვოსტორგოვი, რომელსაც თავისი მეცაძეობით და გაქნილობით გავლენა ჰქონდა, როგორც ეგზარხოსზედ, აგრეთვე სხვა ბიუროკრატ მოხელეებზედაც. ვოსტორგოვის გაქნილობამ და ჭორებმა გასჭრა, მას უნდოდა საქართველოდან გაეძევებინა ეპ. კირიონი და გაეძევეს კიდეც, 10 მარტს 1902 წელს გადაიყვანეს ბალტის ეპისკოპოზად, ბოდოლის ეპარხიის ვიკარად. მაგრამ ნიჭიერმა მღვდელმთავარმა აქაც თავი იჩინა თავისი კეთილ-სათნოებით და მეცნიერულის ჭკუით, აქედან გადაიყვანეს დამოუკიდებელ კათედრაზედ ორლოვის მდიდარ ეპარქიაში. ეპ. კირიონი აქ ყველაფერით უზრუნველ ყოფილი იყო, მაგრამ მაინც უსამართლობად და სამძიმოდ მიაჩნდა სამშობლო ქვეყნის განშორება, სადაც „სამკალი ფრიად არს და მომკალი მცირე“, ცხადად გრძნობდა, რომ ქართველი ეპისკოპოზი საჭირო საქართველოში და არა სადმე ორლოვში. 1905 წელს ითხოვა და გადაიყვანეს სოხუმში ეპისკოპოზად. ეს ის დრო იყო, როდესაც რუსეთში პატრიარქობის აღდგენას ფიქრობდნენ და საქართველოს ეკლესიასაც უნდა მინიჭებოდა მისი კანონიერი უფლებები. ამ საკითხის გარჩევის დროს ეპ. კირიონი გაწვეული იყო პეტერბურგში ორჯელ. მან ოთხი მოხსენება წარადგინა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. იქვე წაუყენეს ეპ. კირიონს მისი მოკეთე ვოსტორგოვი, რომელმაც ქართველების ზურგზე ჩინებული კარიერა გაიკეთა. როგორც მოსალოდნელი იყო ეპ. კირიონს ითვალ არ დაუჯდა მისი თავგამოდებითი დაცვა იბერიის ეკლესიისა. ვოსტორგოვის დაბეზღებით კირიონი 25 იან. 1907 წ. გადაიყვანეს ქ. კოვნოში ლიტოვის ეპარქიის ვიკარად და შემდეგ 20 დეკემბერს 1908 წელს სინოდის განკარგულებით გადაყვანეს ტამბოვის ეპარქიაში სანაქსარის მონასტერში. ამ მიმდინარე წლის დასაწყისში ეპ. კირიონს ნება მისცეს პეტერბურგში მისვლისა, სადაც მან საბუთიანად გაიმართლა თავი ყველა იმ ცილის წამებაში, რაც მისმა და საქართველოს მტრებმა დასწამეს მას.

გვჯერა, რომ სიმართლე, ადრე თუ გვიან, გზას არ დაჰკარგავს, უსამართლოდ დატანჯული და წამებული სიმართლე კვლავ შეიმოსება შარავანდედით და მისი მტრები დიდხანს ვერ იპარპაშებენ ასე ფრთა გაშლილი. ამის ნიშანს უკვე ვხედავთ. ხოლო უსამართლობით მრავალ-ტანჯულს მღვდელმთავარს ვუსურვებთ მოთმინებას, ჯანის სისადეს, რომ კვლავ ძალონით აღვსილი დაუბრუნდეს საყვარელ სამშობლოს თავისი ერისა და ეკლესიის სასარგებლოდ.

შინაური მიმოხილვა

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების „სანიმუშო პროგრამები“ და გაზეთი „ახალი გზა“

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ წარსულ ზაფხულში გამოსცა სანიმუშო პროგრამები მის უწყებაში არსებულის სკოლებისათვის. რომ სკოლის განახლებისათვის საჭიროა ახალი პროგრამა, შეგუებული აწინდელი ცხოვრების მოთხოვნილებასთან, ეს ყველასთვის ცხადია; ცხოვრება წინ მიდის, დღევანდელი ცხოვრება სკოლას სულ სხვა მოთხოვნილებას უყენებს, ვიდრე წინა დროებში ყოფილა; გავა ხანი და დღევანდელი მოთხოვნილებაც შეიცვლება იმის მიხედვით თუ რა საკითხს წამოაყენებს ცხოვრება სკოლის საქმეში. ამიტომაც ყოველი სკოლა ვითარდება და მასთან ცხოვრებაც უმჯობესდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ასრულებს სკოლა თავისს დროს შესაფერისს დანიშნულებას.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ, შეძლების და გვარად, შეადგინა ახალი პროგრამები, დაბეჭდა და დაურიგა მსურველებს, მცოდნე პირებს და პრესის წარმომადგენლებს, რომ გამოეთქვათ თავიანთი აზრი ამ რთული საგნის შესახებ. მაგრამ ერთი ორგანოს გარდა დღემდის არავის კრინტი არ დაუძრავს. მხოლოდ გაზეთმა „ახალმა გზამ“ ხსენებულს პროგრამებს უძღვნა საკმაოდ ვრცელი წერილი, ყურადღებით გააარჩია და გამოსთქვა, ასე თუ ისე, თავისი გადაჭრილი აზრი. ზოგი შენიშვნა გაზეთისა საფუძვლიანია, როგორც მაგალითად რუსული ენის სწავლების დაწყება მესამე წლიდან, რასაც ჩვენაც თავიდანვე ვამტკიცებდით. საზოგადოების გამგეობა ამ საქმეში იმ აზრისა ყოფილა, რომ, თუ პირველი წლის მეორე ნახევრიდან არ დავაწყებინეთ რუსულის სწავლება, რასაც მთავრობის გეგმა მოითხოვს, ისე სკოლების გახსნის ნებას არ მოგვცემენ და არსებულს სკოლებშიაც აგვიკრძალავენ რუსულის გვიან სწავლებასაო; გამგეობა შერიგებია ამ კომპრომისს, თუმცა, პედაგოგიურის მოსაზრებით, არავის მიაჩნია სასურველად ორ წელზე ადრე უცხო ენის სწავლების დაწყებინება. ჩვენც სწორედ რუსულის ასე ნაადრევად სწავლება პროგრამის სუსტ მხარედ მიგვაჩნია, თუმცა არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მცირეოდენი პროგრესი მაინც წინანდელთან შედარებით, როცა რუსულ ენას პირველ დღიდანვე ასწავლიდნენ სახალხო სკოლებში, რაც რასაკვირველია, შედარებით უფრო საზარალო იყო. მაგრამ წ.-კ. საზოგადოების სკოლები სულ სხვა პირობებში უნდა იყვეს, ვიდრე სხვა სახალხო სკოლები. აქ კომპრომისებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს — ყველაფერი საღ პედაგოგიურს ნიადაგზე უნდა იქმნას დაყენებული.

ვერ ვეთანხმებით გაზეთ „ახალ გზას“ ბევრს სხვა შენიშვნებში. ავიღოთ თუნდა საღმრთო სჯულის სწავლების საქმე სახალხო სკოლებში, რაც გაზეთს უადგილოდ მიაჩნია და რასაც მცირე ადგილს უთმობს და იმასაც მხოლოდ მეოთხე განყოფილებაში. საღმრთო სჯულის სწავლების საკითხი მეტად რთულია. ეს საკითხი ევროპის მოწინავე ქვეყნებშიაც

ვერ გადაუწყვეტიათ ისე, რომ სრულიად განდევნონ მისი სწავლება სკოლებიდან. მართალია ზოგან უფრო განათლებული ქვეყნების სასკოლო პროგრამაში საღმრთო სჯული არ შედის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სადმე რელიგიოზურ სწავლა განათლებას სრულიად უარს ჰყოფდნენ, ამასთან ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ასეთს სკოლებში ხშირად თავს იყრიან ისეთი ბავშვები, რომლებიც სარწმუნოების მხრით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. აქ ყველა სარწმუნოების ჯგუფს სრული უფლება აქვს თავისი სარწმუნოების მიხედვით მიიღოს რელიგიოზური სწავლა განათლება, რისთვისაც იწვევენ სასულიერო ან საერო პირებს სჯულის მასწავლებლად. იქ კი, სადაც სკოლაში ერთი სარწმუნოების ბავშვები დადიან სკოლებში, თითოეულ მათგანს თავისი საღმრთო სჯულის მასწავლებელიც ჰყავს. მაგალითისათვის მოვიყვანთ შვეიცარიას, ქვეყანას, რომელიც საღმრთო სჯულის სწავლებაში უფრო ნეიტრალობას იჭერს. ციურიხის სკოლებში საღმრთო ისტორიის და საზნეობრივო ცნებებს I—VI კლასამდის Primarschule ასწავლის თვითონ მასწავლებელი, რომელიც საგანს ასწავლის კონფესიონალური სარჩულის უარყოფით, როგორც საზოგადო მორალურ დოკტრინებს; მხოლოდ VII და VIII კლასებში საღმრთო სჯულის სწავლება გადადის ადგილობრივი მღვდლების ხელში, მაგრამ, სამაგიეროდ, ამ კლასებში საღმრთო სჯულის გაკვეთილები სავალდებულოდ არ ითვლება. ვაადტის ყველა სკოლებში ასწავლიან საღმრთო სჯულს. ჟენევის სკოლებში საღმრთო სჯულის სწავლებას ფაკულტატიური სახე აქვს, როგორც კათოლიკეთა ისე ლოთრანგთა მღვდლები ასწავლიან სკოლებში თავიანთ აღსარებას. საღმრთო სჯულის გაკვეთილებს აქ ნიშნენ სასწავლო დროს გარეთ. ბერნის სკოლებში ქრისტიანულ სარწმუნოებას ბიბლიურ ისტორიის საფუძველზე ასწავლიან, მაგრამ ეს სწავლება სწარმოებს ან პირველ გაკვეთილზე, ან ყველა გაკვეთილების ბოლოს. ბევრგან ლოთრანგთა ბავშვები საღმრთო სჯულის გაკვეთილებს ეკლესიებში ისმენენ, რასაც ზამთრის თვეებში ყოველ კვირაში ორჯელ ნახევარ დღეს ანდომებენ და თუ ამ გაკვეთილებზე დამსწრენი ბლომად არიან, სკოლის სამზრუნველო განკარგულებას ახდენს შესწყვიტონ ამ დროს სკოლაში მეცადინეობა. მოვიყვანდით სხვა ქვეყნების მაგალითებსაც, რომ საღმრთო სჯულის სწავლება არც ისე გაძევებულია სკოლებიდან, როგორც ზოგიერთებს გონიათ, მაგრამ მოყვანილი ფაქტებიც საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ შეიძლება ეს საგანი სკოლებშიაც ასწავლონ, მხოლოდ საჭიროა საესურველი რეფორმები, რომ საღმრთო სჯულის სწავლებამ დისგარმონია არ შეიტანოს სკოლის ცხოვრებაში და არ დაჰბადოს ბავშვის გონებაში რაიმე საწინააღმდეგო აზრები—ეს კი შესაძლებელია, როცა საღმრთო სჯულს მასწავლებელი ასწავლის და არა მღვდელი, რაშიაც ვეთანხმებით „ახალ გზას“.

სამართლიანად ამბობენ, რომ ბავშვი თავის ცხოვრებაში განიცდის ყველაფერს, რაც კაცობრიობას გამოუვლია თავის ცხოვრებაში, რელიგიოზური გრძობაც ბავშვს თან დაყოლილი აქვს, ველურების მსგავსად ბავშვსაც ისე არ შეუძლიან ღმერთი წარმოიდგინოს, თუ არა ადამიანის სახით, ადამიანის ყოველგვარ თვისებებით და ჩვეულებებით, მაგრამ დრო გადის და ბავშვიც იცვლის ამ გვარ შე-

ხედულობას, უფრო ადრე შეიცვლის, რამდენადაც მარტივად აუხსნიან და გააგებინებენ რელიგიოზურს ცნებებს, ისე კი ადამიანი რჩება პირველ ყოფილ ველურ მდგომარეობაში. მაშასადამე საღმრთო სჯულის წესიერად სწავლება კი არ უხშავს ბავშვს გონებას, პირიქით უფრო ასაზრდოებს მის ჭკუა-გონებას, ფანტაზიას, წაახალისებს ბავშვს სწავლაში, თუ კი სწავლება წესიერად არის დაყენებული.

გაზეთ„ ახალ გზას“ საღმრთო სჯულის მასალა,რაც მოქცეულია „სანიმუშო პროგრამებში“ ვრცლად მიაჩნია. პირიქით, რომ შეადაროთ ეს მასალა სხვა პროგრამებს, რომელიც არსებობს დღევანდელს სკოლებში, დარწმუნდებით, რომ ბევრად ნაკლებია და ისიც ისეთი მასალაა დასახელებული, რომლის ასე თუ ისე შესწავლა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ბავშვის ზნეობრივს განვითარებას. ლოცვებიც ძლიერ ცოტაა საზეპირო და ისიც ისეთები, რომლის აზრი ბავშვისათვის გაუგებარია არ არის. თუ რამდენს საზეპიროს აძლევენენ უცხოეთში მოწაფეებს სჩანს კანტონ შაფფჰაუზენის სახალხო სკოლების პროგრამიდან. მეორე წელიწადს ასწავლიან ზეპარად 60 ტექსტს საეკლესიო საგალობლებიდან ბიბლიურ მოთხრობებთან დაკავშირებით, მესამე და მეოთხე წელიწადს ამდენსავე, მეხუთე და მეექვსე წელიწადს 40 ტექსტს საზეპიროდ და 5 საგალობლად. „ქრისტეს შესახებ მოკლე ცნობები და მოკლე განმარტება ქრისტიანობისა“, რასაც „ახ. გზა“ გვირჩევს, საკმარისად არ მიგვაჩნია არც პედაგოგიურის მხრით და არც ზნეობრივი სწავლების სიმტკიცისათვის. ჩვენ არ გამოუდგებით იმის დამტკიცებას, თუ რა მნიშვნელობა აქვს საზოგადოდ ძველ აღთქმის ისტორიის ზოგიერთს ადგილებს მაინც, ეს უეჭველია თითოეულს ჩვენთაგანს გამოუცდია თავის თავზე, ვიტყვი იმასაც—არიან ისეთი შესანიშნავი და ცნობილი პირები, როგორც მაგ. ლ. ტოლსტოი, რომელსაც დაბადება (ბიბლია) საუკეთესო წიგნად მიაჩნია სახალხო სკოლებში საკითხავად.

ამბობენ სარწმუნოების სწავლება ოჯახს მივანდოთო. კარგი და პატიოსანი, მაგრამ გვყავს კი ისეთი ოჯახი, რომელიც გაუძღვება ამ საქმეს? რამდენს განსაცდელს გამოივლის ჩვენი ხალხი თუ მას ერთი მხარე ზნეობრივი აღზრდისა ჩამოშორდება. ამასთან ბევრი ჩვენში და სხვაგანაც რჩება იმ ზნეობრივი ცოდნის ამარა, რასაც დასაწყისი სკოლა აძლევს, შემდეგში მეცნიერების შესწავლას ბევრი მოკლებულია, რომ უკეთ გახიმტკიცოს ზნეობრივი მხარე და ამიტომაც უფრო საჭიროა სახალხო სკოლებში სარგებლობა ყოველის ღონისძიებისა, რაც ხალხის ზნეობას ხელს უწყობს და მაღლა აყენებს. ერთ ამ საშუალებათაგანი საღმრთო სჯულის წესიერი სწავლებაც არის.

მართალია მეცნიერების შესწავლაც ხელს უწყობს ზნეობრივს აღზრდას და ამიტომ შემცდარი ბრძანდება მამა დეკანოზი ერმალაოზ კანდელაკი, რომელიც ურჩევს მასწავლებლებს „ყოველი თავისი მოქმედება დაამყარონ სარწმუნოებრივ ნიადაგზე“ (იხ. „სახალხო გაზეთი“ № 85), მაგრამ საღმრთო სჯულიც ერთს საჭირო საგანს წარმოადგენს ხალხის ზნეობის განსპეტაკების მხრით, თუ მისი სწავლებით არ ჩააგონებენ ხალხს ბატონ-ყმურს მოთმინებას და ამა ქვეყნის ძლიერთა ბატონობას უფრო სუსტებზე, რაც პირველთათვის ხელსაყრელია, მაგრამ უზნეო და მეორესათვის კი ყოველის მხრით საზარალო; არამედ გადასცემენ წმინდა

ზნეობრივ მოძღვრებას, რომელსაც დღემდის შეუნახავს ქართველი ერი, ისტორიულს ქარცეცხლში გატარებული.

შემცდარია „ახალი გზა“, როცა ამბობს „სასულიერო გალობაც უნდა ამოიშალოს პროგრამიდან და დარჩეს მარტო ხალხური სიმღერებიო“. მეტად ცალმხრივი შეხედულობაა. მეცნიერები გვარწმუნებენ, რომ ქართული საეკლესიო გალობა ხალხური კილოდან წარმოსდგაო, რადგანაც ხალხურ სიმღერებსა და საეკლესიო გალობას შორის დიდს მსგავსებას პოულობენ. ყველა სიმღერა-გალობაში ხალხის სული ტრიალებს, შიგ არის ჩაქსოვილი ხალხის გრძნობა, სიმხიარულე, სულის კვეთება, სულ-მაღლობა და მრავალი საუნჯე წარსული დროებისა, ხალხმა შეჰქმნა სიმღერა-გალობა, დროს განმავლობაში გაიმშვენიერა იგი, პირველ ყოფილი სიმღერა გადიქცა ბუნების ჰიმნად, გალობად და ანდერძად გადაეცა შთამომავლობას; ქართული საეკლესიო გალობა არა ნაკლებ ტკბილი, სასიამოვნო და ესტეტიური გრძნობის აღმძვრელია, ვიდრე სახალხო სიმღერები, რომელთა შორის ბევრი არც შესაფერისია სკოლაში შესასწავლად. მაშ რა უფლება გვაქვს უარ ვჰყოთ ის, რაც მრავალ საუნოების განმავლობაში ერს შეუქმნია, თავისი სულის კვეთება შიგ ჩაუტანებია და საშვილიშვილოდ გადმოუცია, ნუ თუ ეს არ იქნება ეროვნულ ნიადაგს დაშორება, ან ცალი ფეხით მოკიდება ეროვნულს ნიადაგზედ?!

„სასულიერო გალობის სახალხო სკოლებში არ ასწავლიან არც არავინ ამას ყურადღებას არ აქცევსო“, ამბობს „ახალი გზა“. არ ვიცი რომელი სკოლები ჰყავთ სახეში, თუ ჩვენებური—იქ ბევრს სხვასაც არ ასწავლიან, სხვაგან კი, თუ გინდ რუსეთში გალობა ბევრს სკოლებში თითქმის პირველ საგნად ითვლება, ამას გარდა როგორც ზემოთ ვამბობდით კანტონ შაფფ-ჰაუზენის სახალხო სკოლებში აუარებელს საგალობლებს ზეპირობენ და სწავლობენ. საზოგადოთ გაზეთი „ახალი გზის“ შეხედულობა საღმრთო სჯულის სწავლების შესახებ, მართალია, მოდური შეხედულობაა, მაგრამ მოკლებულია საგნის ყოველ-მხრივ აწონ-დაწონვას და მიუდგომელად განხილვას. ეს შეხედულობა მეტად საბუთიანიც რომ იყოს, მისი განხორციელება ჩვენს აწინდელს ცხოვრებაში შეუძლებელიც არის და არა სასურველიც.

გაზეთი „ახალი გზა“ არ ეთანხმება „სანიმუშო პროგრამას“ რომელშიაც ქართული ენის გრამატიკის სწავლება მესამე წლიდან არის განზრახული. გაზეთი ურჩევს გრამატიკის უფრო ადრე სწავლებას. ვინც სახალხო სკოლას კარგად იცნობს და საუკეთესო პედაგოგების დაკვირვებასაც ყურად იღებს, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ენის გრამატიკის ნაადრევად შესწავლა ცარიელი წყლის ნაყვაა, გარდა იმისა, რომ პრაქტიკულად რომელიმე ენის შესწავლა, თუ გინდ სამეგრელოს სკოლებში, რასაც გაზეთი იხსენიებს, გრამატიკის წესით უნაყოფო იქნება და მოწაფისათვის მოსაწყენიც. თავი საქმეა თავდაპირველად კითხვაში ვარჯიშობა ყოველის მხრით და აგრეთვე პრაქტიკულად ვარჯიშობა ლაპარაკში, სწორმეტყველებაში, გრამატიკის სწავლება კი, როგორც ცალკე განყენებული საგნისა, დროებით განზე უნდა გადავდვათ.

ყოველი საათი, რომელსაც ართმევთ კითხვას სხვა საგნისათვის, საქმისთვის მავნებელია. განმარტებით კითხვა არის

ცენტრალური საგანი სახალხო სკოლების პროგრამაში. სკოლიდან მოწაფემ უნდა გამოიტანოს ხელოვნური კარგი კითხვა, წიგნების კითხვის სიყვარული თვისდა სასარგებლოდ და სასიამოვნოდ. ამის მიხედვით ზოგიერთები სრულიად უარს ჰყოფენ გრამატიკის სწავლებას სახალხო სკოლებში, მაგრამ, ჩვენის აზრით კი თავიდანვე გრამატიკით გატაცება საჭირო არ არის და მისი სწავლება შესაძლებელია, როგორც ცალკე სავარჯიშო საგნისა, მხოლოდ მესამე წლიდან, როცა ყმაწვილს „დედაენის“ მეორე ნაწილი გავლილი აქვს. მართალია გზა და გზა „დედაენის“ სწავლების დროსაც ვარჯიშობენ მოწაფეები პრაქტიკულად სწორმეტყველებაში, სიტყვის ნაწილების კანონიერ ხმარებაში, მაგრამ ეს ხდება გზა და გზა—ეს შეადგენს თითქმის მოსამზადებელ საფეხურს, საჭირო მასალას, რომელიც გამოადგება მასწავლებელს შემდეგში, როცა მოწაფეებს დაუწყებს საუბარს ენის გრამატიკის შესახებ. ამ მხრით ყოველი სტატია, ლექსი თუ მოთხრობა იგივე მასალაა ენაში საავარჯიშოთ. როცა მოწაფეს მასალა საკმარისად აქვს, როცა დედაენაში ასე თუ ისე გავარჯიშებულია, მაშინ ენის გრამატიკის, ამ განყენებულის საგნის შესწავლაც უკეთესს პირობებში იქნება და მოწაფისათვისაც ადვილი წარმოსადგენი და შესათვისებელი გახდება ის ზოგადი გრამატიკული წესები, რაც ენაშია დაცული.

გაზეთ „ახალ გზის“ თანამშრომელს ბ-ნს ვ. სისოშვილს, რომელსაც ეკუთვნის ეს ვრცელი წერილი „სანიმუშო პროგრამის“ შესახებ, როგორც სჩანს ძლიერ მოსწონს გოლდენბერგის პროგრამა არითმეტიკისა, ამიტომ რჩევას იძლევა: „მე-III განყ. წერა-კითხვა ყოველ სიდიდის რიცხვებისა და ოთხი მოქმედების შესწავლა ყოველ სიდიდის რიცხვებზე“ (გაზ. „ახალი გზა“ № 43). ეს აზრი გოლდენბერგის არის, მაგრამ მისი უნიადაგობა საკმარისად სჩანს ყველა სკოლების გამოცდილებიდან, ასის შემდეგ ყოველ სიდიდის რიცხვებზე ვარჯიშობა ბავშვებს, რაც უნდა კარგად ჰქონდეს შეთვისებული რიცხვების შემადგენლობა და მათი ადგილობრივი მნიშვნელობა, მაინც უძნელდებათ ოთხი მოქმედების წარმოება, რადგანაც რიცხვების სიდიდე მძიმე ტვირთად აწვება ბავშვის გონებას, ამიტომ პრაქტიკულის გამოცდილებით საუკეთესოდ მიაჩნია ყველას თანდათანობით გადასვლა 100-დან 1000-მდის და შემდეგ. გარდა იმისა არც გოლდენბერგის და არც მით უფრო ევტუშევსკის პროგრამას არ აქვს ისეთი აღმზრდელობითი მნიშვნელობა, როგორიც სასურველია. საზოგადოთ როცა რომელიმე საგანი მისდევს მხოლოდ ერთგვარ სავარჯიშოს და მუდამ ბავშვიც იმას ჩაკირკიტებს, ეს სავარჯიშო მოკლებულია მნიშვნელობას და ბავშვების გონების დამასუსტებელიც არის. ასეთია მაგალითად დიდი ხნით ვარჯიშობა ჯერ განყენებულს რიცხვებზე, შემდეგ გადასვლა სახელწოდებულს რიცხვებზე, ნაწვერებზე, კვადრატულ და კუბიკურ ზომებზე და სხვა, რასაც მისდევენ გოლდენბერგი და ევტუშევსკიც. არითმეტიკას აღმზრდელობითი მნიშვნელობა მაშინ აქვს, როდესაც ყოველს საფეხურზედ მოწაფე ასრულებს ყოველგვარს სავარჯიშოებს განყენებულს და სახელწოდებულს რიცხვებზედ, ნაწევრებზედ, ამოცანებზედ, რიცხვით მაგალითებზედ, სწრაფ ანგარიშზედაც და სხ. და სხ. ეს არის უკანასკნელი მოთხოვნილება

მეთოდიკისა და ეს აზრია გატარებული „სანიმუშო პროგრამაშიაც“.

რაც შეეხება ამოცანების კრებულს, ამაზედ უნდა მოვახსენო, ბ-ნს სისოშვილს, რომ ამ მხრითაც ამ უკანასკნელ ხანებში დიდი ცვლილება მოხდა. გამოცდილებამ დაანახვა ყველას, რომ მოწაფეს შეუძლია აუარებელი ამოცანები გააკეთოს უწესრიგოდ, მაგრამ როცა აძლევ გასაკეთებლად რომელიმე ტიპიურ ამოცანას, იგი შესდგება—ვერც თავს გაუგებს ამოცანას და ვერც ბოლოს, თუმცა მსგავსი ამოცანა ოდესღაც გაუკეთებია კიდეც. მიზეზი—ამოცანების დომხალივით მიწოდებაშია, ამ ამოცანათა არეულობაში მოწაფე საკმარისად ვერ გარკვეულა, ტიპიური ამოცანები, გაფანტული კრებულში სხვა ამოცანათა შორის, ვერ შეუგნია და ამის გამო ამოცანების კეთებაშიაც სისუსტე ეტყობა, თუმცა დრო მოუხმარია და შრომაც საკმარისად გაუწევია. ეს საზოგადო ნაკლულევანებაა გოლდენბერგ-ევტუშევსკის კრებულებისა. ამის გამო მოსკოვის მასწავლებელთა ჯგუფმა გამოსცა ახალი ამოცანათა კრებული, სადაც ამოცანები მართლა სრულის სისტემით და თანდათანობით არის დალაგებული ტიპების მიხედვით. ამიტომ ეს კრებულები დიდს ხელმძღვანელობას გაუწევენ მასწავლებლებს, რომელთაც „სანიმუშო პროგრამა“ მხოლოდ გზას და სახელმძღვანელოებს უჩვენებს, მაგრამ იმავე დროს სრულიად არ ავალებს მათ, რომ ბრმად მიჰყვნენ რომელსამე სახელმძღვანელოს; პირიქით საჭიროა მათი შესწავლა და მათი შემწეობით საკუთარი გზის გამონახვა. ამაში გოლდენბერგის მეთოდიკაც ხელს შეუწყობს და როცა „სანიმუშო პროგრამა“ ამ წიგნს იხსენიებს, უეჭველია სახეში ამავე ავტორის ამოცანათა კრებულიც აქვს როგორც სწავლაში ხელსაწყო ნივთი, რასაც მასწავლებელი კიდეც გაეცნობა თუ დღემდის ვერ იცნობს.

რაც შეეხება საექიმო ცნობების შეტანას სახალხო სკოლების პროგრამაში და მის გადაცემას მეოთხე განყოფილებაში, უნდა ვსთქვათ, რომ ექიმობა, ავად-მყოფის მოვლა, წამლობა და სნეულობის გამოცნობა არც ისე ადვილი საქმეა, რომ თორმეტის წლის ბავშვმა გაიგოს, რაშიაც თვით ექიმებიც ხშირად ცდებიან ხოლმე. რასაკვირველია სოფლის მასწავლებელმა უნდა იცოდეს ექიმობაც, ადგილობრივი სნეულების მკურნალობა რამდენადაც კი შესაძლებელია, შეუძლია მას იქონიოს სკოლაში პატარა აფთეკაც, ასწავლოს მოზრდილ მცხოვრებლებს წამლის ხმარება, ხოლო სკოლაში საკმარისია დასჯერდეს ჰიგიენური ცნობების გადაცემას, რაც უკვე შეტანილია „სანიმუშო პროგრამაში“.

დანარჩენ შენიშვნებს არ შევეხებით, რადგანაც ისინი ზოგი უმნიშვნელოა და ზოგი ჩვენც სამართლიანად მიგვაჩნია. საზოგადოთ უნდა ვსთქვათ,—საგანი იმდენად რთული და საყურადღებოა, რომ გვიკვირს დღემდის გარდა „ახალი გზისა“ სხვა გაზეთებმა და ჩვენმა პედაგოგებმა ხმა არ ამოიღეს ამ ფრიად საჭირო საკითხის გამოსარკვევად.

კახაბერი.

დაბადება (ბიბლია),

როგორც საუკეთესო წიგნი დასაწყისს სკოლებში საკითხავად

(ლ. ტოლსტოის თხუზულებიდან)

კაცობრიობის ბავშვობის ხანის წიგნი ყოველთვის საუკეთესო იქნება ყველა კაცის ბავშვობაში. ამ წიგნის შეცვლა შეუძლებლად მიმაჩნია. შეცვლა, შემოკლება ბიბლიისა, რასაც სჩადიან სახელმძღვანელო წიგნებში, მავნებლად მიმაჩნია. ყველაფერი, თითოეული სიტყვა იმაში სამართლიანია, როგორც გამოცხადება და მართალია, როგორც მხატვრული ხელოვნება. წაიკითხეთ ბიბლიაში ქვეყნის შექმნაზე და მოკლე სადმრთო ისტორიაში და ბიბლიის გადაკეთება სადმრთო ისტორიაში სრულიად გაუგებრად მოგეჩვენებათ. სადმრთო ისტორიიდან ისე არ შეიძლება, თუ ზეპირად არ ისწავლე; ბიბლიაში კი ბავშვს თვალწინ ეხატვის დიდებული სურათი, რომელსაც არასოდეს არ დაივიწყებს. გამოტოვებული ადგილები სადმრთო ისტორიაში სრულიად გაუგებარია და მხოლოდ სადმრთო წერილის სიმშვენიერეს და ხასიათს არღვევს. უნდა იკითხონ ბიბლია გაურუვნელმა ბავშვებმა, რომ შეიგნონ რამდენად საჭიროა და ჭეშმარიტი რასაც ბიბლიიდან განძრახ სტოვებენ. მე ვერ წარმომიდგენია როგორი განათლება შეიძლებოდა, რომ ეს წიგნი არ ეოფილიეო. მგონია შეიძლება შეასწავლონ ბავშვს წერა-კითხვა და ანგარიში, შეიძლება შეასწავლოთ ისტორია, გეოგრაფია და ბუნების მოვლენანი უბიბლიოთ და ბიბლიის წინ; მაგრამ არსად ასე არ იქცევიან,—ყველგან თავდაპირველად ბავშვი გაიცნობს ბიბლიას, მოთხრობებს და იქიდან ამოღებულს ადგილებს. პირველი დამოკიდებულება მოწაფისა და მასწავლებელს შორის ამ წიგნზეა დამყარებული. ასეთი საზოგადო მოვლენა შემთხვევითი არ არის. ბავშვი, ანუ კაცი, რომელიც სკოლაში შედის (მე არავითარს განსხვავებას არ ვხედავ 10, და 30, ან 70 წლის კაცში) თან მიაქვს თავისი ცნობილი, ცხოვრებიდან გამოტანილი და მისი საყვარელი შეხედულობა ნივთზედ. რომელიმე ასაკის ადამიანმა რომ დაიწყოს სწავლა, იმისთვის საჭიროა სწავლა შეიყვარონ. სწავლის შესაყვარებლად კი საჭიროა, რომ მან შეიგნოს ნივთზე თავისი შეხედულობის სიცრუე და ნაკლულევანება, წინდაწინ იგრძნოს ის ახალი სოფლ-მჭვრეტელობა, რომელსაც თვალწინ გადუშლის მას სწავლა. ვერც ერთი კაცი და ბავშვიც ვერ შეიძლებდა სწავლას, თუ მისი სწავლის მომავალი თვალწინ გამოეხატებოდა მხოლოდ წერა-კითხვისა და ანგარიშის შესწავლაში. ვერც ერთი მასწავლებელი ვერ ასწავლიდა სხვას თუ მისი სოფლ-მჭვრეტელობა უმაღლესი არ იქნებოდა იმაზედ, რაც ბავშვებს აქვსთ. მოწაფე რომ სრულიად მიენდოს მასწავლებელს, საჭიროა ახადო ცალი მხარე იმ ფარდისა, რომელიც უჩრდილებდა მას იმ ადგილის, ტოდნის და ბოეზიის სიმშვენიერეს, რომელშიაც იგი უნდა შეჭუკვდეს სწავლას. მხოლოდ მაშინ, როცა მოწაფე მუდმივ მოხიბლულია იმის წინ ბრწყინვალე სხივით, შეუძლია მას იმუშაოს ისე, როგორც ვითხოვთ მისგან. რა საშუალება გვაქვს, რომ მოწაფის წინ ავხადოთ ამ ფარდის კალთა?.. მეც მეგონა, როგორც ბევრს ჰგონია, რომ ამ ქვეყნად ვარსებობთ და წინ ვუძღვებით ბავშვებს, ამას ადვილად შეეძლებდი და მეც ვასწავლიდი წერა-კითხვას, ვუხსნიდი ბუნების სხვა და სხვა მოვლენას, ვუამბობდი, როგორც ანბანშია, რომ სწავლის ნაყოფი

ტკბილია, მაგრამ მოწაფეებს არ სჯეროდათ და უველაფერი ეუცხოვებოდათ. მაშინ მე ვშინჯე ბიბლიის კითხვა და ამით მთლად შეგიპყარ ისინი. ფარდის კალთები აწეული იქმნა და ბავშვებიც სრულიად მომეხდვნენ. იმათ მეც შემიყვარეს, წიგნიც და სწავლაც. დამრჩა მხოლოდ ხელმძღვანელობა შემდეგში. ძველი ადთქმის შემდეგ მე უამბობდი მათ ახალ ადთქმას და იმათაც თანდათან შეეპარათ ჩემი და სწავლის სიყვარული. შემდეგ ვუამბობდი მათ საზოგადოს, რუსეთის და საბუნებისმეტყველო ისტორიას, ბიბლიის შემდეგ,—ისინი უველაფერს ეურს უგდებდნენ, უველაფერი სჯეროდათ, თან და თან თხოულობდნენ და თან და თან ეშლებოდათ მათ თვალწინ აზრის, ცოდნის და პოეზიის პერსპექტივები. ამ სახით რომ გადუშალო მოწაფეს თვალწინ ახალი ქვეყანა და უცოდნელად შეაყვარო ცოდნა, სხვა წიგი არა არის რა გარდა ბიბლიისა. მე არ ვიცი სხვა ნაწარმოები, რომელშიაც ისე მოკლედ იყოს ჩამოსხმული პოეტიურის ფორმით ყოველი მხარე ადამიანის აზრისა, რასაც შეიცავს ბიბლია. უველა საკითხები ბუნების მოვლენათა შესახებ ახსნილია ამ წიგნში, უველა პირველ-დაწყებით ურთი ერთობა, ერთმანეთში დამოკიდებულება ოჯახის, სახელმწიფოსი და რელიგიისა პირველად შეიგნება ამ წიგნში. აზრთა გაზოგადება, სიბრძნე ბავშვურის მარტივის ფორმით თავიდანვე ხიბლავს ბავშვის გონებას... ვის არ უტირნია იოსების ისტორიის და ძმებთან შეხვედრის შოთხრობის დროს, ყის არ უამბნია გულის ფანტქალით შეპურობილის და გაკრეწილის სამსონის ისტორია, რომელიც, მტერთა ჯავრის ამოსაყრელად, თვითონაც იღუპება და მტრებსაც ხოცავს დანგრეულ სასახლის ქვეშ მოყოლებით და ასობით სხვა შთაბეჭდილება, რომლითაც ადზრდილი ვართ, როგორც დედის რძით? უბიბლიოთ შეუძლებელია ჩვენს საზოგადოებაში ისე, როგორც შეუძლებელია უჭიმურად ბერძნების საზოგადოებაში ბავშვის და ადამიანის განვითარება. ბიბლია ერთად ერთი წიგნია ბავშვებისათვის პირველ-დაწყებით საკითხავად. ბიბლია, როგორც ფორმით, ისე შინაარსითაც სამაგალითო უნდა იყვეს ყველა სახელმძღვანელობისა და საკითხავ წიგნებთა შორის. მარტივის ენით გადმოდებული ბიბლია საუკეთესო სახალხო საკითხავ წიგნს წარმოადგენს. ამისთანა თარგმანის მოვლენა ჩვენს დროში მთელს ეპოქას შექმნიდა რუსის ხალხის ისტორიაში.

უცხოეთ

მეცნიერების მონაწილეობა ზნეობრივს აღზრდაში *)

უველამ იცის, რომ ზნეობრივ აღზრდას მიზნად აქვს, მადლის ნიჭის მიხედვით, განვითარდეს ადამიანში „თვითონ ადამიანი, ე. ი. მისი გული, გონება, და სინიდისი“. ამის გამო აღზრდა ცდილობს ისარგებლოს ბავშვის ჩვეულებით, რომელიც ეხება გრძნობიერებას,

*) გამოკრეფილია აკადემიის ინსპექტორის დოზას სიტყვიდან, რომელიც წარმოსთქვა მან საფრანგეთის ერი და ლუარის დეპარტამენტის მასწავლებელთა საზოგადო კრებაზე.

გონებას ანუ ნებას; ბოლოს ეს ჩვეულებები გარდაქმნას ნიჭად და საქმე განმტკიცოს საზნეობრივ საქციელის წესებით, რაც უნდა განაგებდეს ნებას, თავისუფალ მოქმედებას.

აღზრდა თავდაპირველად, ერთის მხრით, ითხოვს ბავშვის შესწავლას, ე. ი. რამდენად დაჯილდოვებულია იგი ზნეობრივი ნიჭით, თხოულობს ბავშვის საზოგადოებრივ მდგომარეობის ცოდნას, მემკვიდრეობითს მიდრეკილებებს, რაც დამახასიათებელია ბავშვის გარშემო არსებული წრისა; მეორე მხრით თხოულობს შესაფერისს ზომებს იმ მიდრეკილებათა ამოსაფხვრელად, რაც ყველას ეუდათ მიაჩნია,—იმ თვისებათა განმტკიცებას, რაც საჭიროა და სხვა ღირსებათა შეძენას, რაც აკლია, რომ ბავშვის პირადი ბედნიერება და იმ საზოგადოებისა, რომელთანაც მას დამოკიდებულება ექნება უზრუნველ იქმნეს.

სკოლაში ზნეობრივი აღზრდა ეოველი წუთის საქმეა; არ არის არც ერთი საგანი, რომელიც ხელს არ უწყობდეს ამაში, არ არის არც ერთი სავარჯიშო, რომლის დროსაც ინტელიგენტ მასწავლებელმა ვერ იპოვოს შემოხვევა, რომ კეთილად იმოქმედოს ბავშვის სულსა და გულზე. აუარებელი შემოხვევაა, რომლის დროსაც შეიძლება ზნეობრივი დარიგების მიცემა, კეთილისკენ მითითება, ცუდის საქციელის გამო შენიშვნების მიცემა, კარგ საქციელში წაქეზება ბავშვისა; მრავალი შემთხვევაა, რომელიც წარმოადგენს მაგალითს მამა-შვილური პატივისცემისას, დედის სიყვარულისას, კაცთა შორის სოლიდარობისას, ნების სიმტკიცისას, მოვალეობის ასრულების დროს გმირობის გამოჩენით და თავ-განწირულობის სახით.

თუ მორალისტების და ფილოსოფოსების საუკეთესო თხზულებები, თუ ფრიად მაღალ აზროვანი და შშვენიერი გვერდები პოეტებისა და პროზაიკების ნაწარმოებიდან, თუ თვით ისტორია სიმშვენიერის, კეთილშობილობის, სულგრძელობის და ღრმა საკაცობრიო მაგალითებით მეტის მეტად საჭიროა ზნეობრივი აღზრდისთვის იმ დიდებული აზრებით და მაღალის გრძნობით, რომლითაც განიმსჭვალება სული და გული,—მეცნიერებასაც თავისი წილი აქვს, და ის ნაკლებ მაღალი და ძლიერი არ არის, რადგანაც „მეცნიერება, სპენსერის სიტყვით—არის საუკეთესო საშუალება არა მარტო გონებრივის, არამედ ზნეობრივის დისციპლინისთვისაც“. მეცნიერებამ იცის რამდენი განსაცდელი მოელის თითოეულს სამეცნიერო პროგრესს რუტინასთან და ცრუ მორწმუნეობასთან ბრძოლაში ჭეშმარიტების სიყვარულით ძიების დროს. მართალი სთქვა ვაშერომ: „ზნეობა ფაქიზდება მეცნიერების ზრდის მიხედვით“.—

მათემატიკის მეცნიერება, სკოლებში არითმეტიკისა და გეომეტრიის პრაქტიკულად გამოყენებით, ნებას აძლევს მასწავლებელს გაავითარონ მოწაფეში გულის-ყურის ჩვეულებებთან ერთად, წესიერება, სინამდვილე და სისასტიკე, ძალა და სიმართლე მსჯელობაში. მათემატიკის მეცნიერების წყალობით, როგორც ამბობს დეკარტი, „ადამიანი ეჩვევა ჭეშმარიტებით საზრდოობას და არა ცრუ დამტკიცებებით კმაყოფილებას“. მათემატიკოსი მსჯელობს მტკიცედ აღიარებულ ჭეშმარიტების მიხედვით, მისი დასკვნანი ლოდიკურად და მტკიცედ გადაბმულია ერთმანეთზედ, ამგვარ დასკვნას შეუცდომლად მიჰყავს იგი ჭეშმარიტების აღმოჩენისკენ.

ფიზიკური მეცნიერება, ბუნების მოვლენათა შესწავლით და ამ მოვლენათა ხელოვნურად ჩვენებით, გვასწავლის იმის დანახვას, რაც ჩვენს თვალწინ ხდება, რომ ანგარიში გაუწიოთ და ავხსნათ ეს მოვლენანი; ამ სახით ჩვენში ვითარდებიან დაკვირვების, აზროვნობის და გამოცნობის ჩვეულებანი; ისინი გვაგებინებენ წესიერებას, სინამდვილეს, ჭარმოხნიას და გვასწავლიან კანონებს, რომლის

უტუვრობა ათავისუფლებს ჩვენს გონებას ცრუ-მორწმუნეობისაგან და ეოველგვარ არა მეცნიერულ აზრებისაგან. ამ მარტივის, მაგრამ დიდებით აღსავსე კანონების წაკითხვით ჩვენს სულში იღვიძებს სიმშვენიერის, სიდიადის და ბუნებით აღტაცების ცნება. ამას გარდა ფიზიკური მეცნიერება გვიჩვენებს, რომ დიდებული აღმოჩენა, როგორიც არის მაგალითად ორთქლი, მისი გამოეენებით ხმელეთზე და წყალში მოგზაურობის დროს, ელექტრონობა ტელეგრაფში და ტელეფონში სჭობს სივრცეს და ზღუდეს აღამიანთა შორის, ხელს უწყობს ხალხის ერთმანეთთან დახლოვებას, ახლო გაცნობას, ერთმანეთის გაგებას და ერთურთის პატივისცემას, ამზადებს თანხმობის დასაწყისს, შეგობრულს კავშირებს.

რა მშვენიერი როლი აქვს ბუნების მეტეველებას ზნეობრივ აღზრდის საქმეში! ნაკლებ მიმზიდველი არ არის ბუნების შესწავლა, შესწავლა იმ ეოველ ცხოველ არსებათა, რომელიც ბუნებაში ბინადრობენ, აცხოველებენ და ამშვიდებენ მას, შესწავლა დედამიწის სფერის მოეკვანილობისა და მისი ისტორიისა, რაც მას გადახდა დრის განმავლობაში, ბევრად უწყობს ხელს გულის ეურის, დაკვირვების, შედარების, კასაზოგადოების ნიჭის განვითარებას, მცენიერული ჭკუა-გონების შექმნისაკენ. ბუნების მეტეველებით ჩვენ ვცნობილობთ ბუნების სხვა და სხვა ფორმებს და ფერებს, ორგანიზმთა მახვილ-გონიერებას, რომ შეეგუონ სხვა და სხვა სტიქიონს, შრომის კანონებს, რაც გამეფებულია ცხოველთა და მცენარეთა ცხოვრებაში, დაუცხრომელს ბრძოლას არსებობისათვის და სოლიდარობის მშვენიერი კანონების საეოველთაობას; ჩვენ ვცნობილობთ აგრეთვე ბუნების სრულეოფის კანონებს ნელის, მაგრამ მუდმივის შეცვლით არსებათა ორგანოებში და ფორმებში. როცა ახლო გავიცნობთ ცხოველთა სისოცხლეს, მათის ინსტიკტით, ზნით და გონებით,—მცენარეებს მათი ფიზიოლოგიური მოვლენებით, ბუნების მეტეველება გვაგონებს ეოველ ცხოველთა სიკვარულს და როცა ადამიანზე ვლაპარაკობთ—გვიკარნახებს ადამიანის პირველების პატივისცემას და მისს დამოუკიდებლობას. იოლად ბუნების მეტეველება ჭიკიენიურის წესით ხელს გვიწყობს ჩვენს კეთილს მდგომარეობაში, დღეგრძელობაში და ამით კერძო პირთა ზნეობასაც მაღლა აეენებს,—ფიზიკური ჭიკიენა სარწმუნო ფაქტორი არის ზნეობრივის ჭიკიენისა.

ეხლა თუ თავს დავანებებთ იმ საგნებს, რომელიც ჩვენს გარშემოა და თვალს მოეაპურობთ

ურს მნათობს, რომლებიც თავს დაგვეურებენ, ბუნების სიმშვენიერით აღტაცებ ექსტასად, დრმა განცვიფრებად გადაიქცევა. რა დიდებულ და საეცხოვო სანახავად გვეჩვენება მზე, რომლის გარშემო შეეცდომლად დიდს მანძილზე ტრიალებენ ცდომილები, რომლებზედაც ის, წყარო სიცოცხლისა, აფრქვევს თავის სითბოსა და სინათლეს და თავსბრეუ დამხვევი სისწრაფით მიჰეავს თან, გამოურკვეველის მიზნით, შეუჩერებლად და შეუძლებლად კვლავ დაბრუნდეს უსაზღვრო მსოფლიოში მილიონ ვარსკვლავთა შორის, რომელნიც იგივე მზეა, გამანათლებელი ეოველივის ქვეენებისა. მისთვის, ვისაც ელემენტარული ცოდნა მაინც აქვს ვარსკვლავთ ქვეეანაზე, განა შესაძლებელია ამაზე უფრო თავისი ზდაბრული სიდიადით, რასაც ის შეიცავს, სხვა რამე, რომელმაც ჩაუნერგოს ადამიანს დრმა აზრი და წაიევანოს მისი სული მაღალის ზნეობისაკენ. ეველა ამ დიდებულ საკვირველების ხილვის დროს ჩვენ შეგვიძლია წამოვიძახოთ პოეტთან ერთად: „მითხარ, მიწავ და ზეცაო, მითხარ ბნელო ზღვაო, თუ ვერაფერსა გრძნობთ, რა არის ამქვენში ისეთი, რაც აღელვებს ჩემს გულს და მადრეკინებს მუხლს“. (ა მიუსე).

„ციურ მნათობთა მეცნიერება განსაკუთრებით გვიჩვენებსო—ამბობს ბუანკარე,—რამდენად პატარაა ადამიანი ტანით და დიდი ჭკუა გონებით, იმიტომ, რომ მას შეუძლია გონების თვალით განიხილოს ეს ბრწყინვალე დაუსრულებლობა, სადაც მისი სხეული წარმოადგენს მხოლოდ შავს წერტილს“.

როცა ბუნება გვიხსნის თავის საიდუმლოებას, ის არის შეუდარებელი სკოლა ენერგიისა და მოქმედებისა, სათნოებისა და მაღალთ გრძნობათა პატივისცემისა.

ამ სახით, მეცნიერება, თავისის მთლიანობით, შესწავლის მეთოდით, დაშლითა და შეერთებით (ანალიზი და სინტეზი), გამოკვლევით და ცდების საშუალებით, თავის მიმდევართ აძლევს ჭკუა-გონების ცნობილს მიდრეკილებას და დისციპლინას, რაც საბედნიეროდ შეეწონება სინიდისსა და გულს; აქეზებს მუშაობაში, მოთმინებაში, უანგარობაში, და ხან და ხან ჭეშმარიტების ძიებისათვის თავის განწირვაში; მიჭკავს მაღალის გრძნობებისკენ, ამაგრებს ნებას, წრთვნის ხასიათს, შეაყვარებს ჭეშმარიტებას, სიმშვენიერეს და სიკეთეს, შეაგნებინებს სავალდებულო შრომას, პიროვნულ სრულმოფელობის და დამოუკიდებლობის იდეას, ყველა ცხოველ არსების სიყვარულს. „წინააღმდეგ თავისი გულგრილობისა, როგორც ამბობს ანატოლ ფრანსი, იგი ხელს უწყობს ზნეთა მოლბობას. იმის მიხედვით როგორც მეცნიერება აღმოაჩენს ბუნების კანონებს, ის მიიმხრობს თავისკენ კაცთა კანონებს და თან და თან აღწევს მიზანს, ე. ი. ნივთის ბუნებასთან შეთანხმებით ართმევს თვითნებობას და სიმკაცრეს, რაც ხდებოდა უმეტრებისა და შიშისა გამო, და ცდილობს გადასცეს მათ დაურღვეველი და მშვიდობიანი ძლიერება, რასაც ისინი მიაღწევენ მომავალში ცხოვრებისა და აზრის უსაჭიროეს პირობათა სრულის შეთანხმებით“.

ვინც მეცნიერებას მიჰყვება, მან იცის რა უმნიშვნელო ადგილი უჭირავს მას ვრცელს სამყაროში; მან იცის უსაჭიროესი დამოკიდებულება ყველასთან, რაც მის გარშემოა, მჭიდრო კავშირი სოლიდარობისა, რომელიც მას ერთებს ნამყოსთან და მეოფადთან ოჯახის, საზოგადოების და მთელი კაცობრიობის საშუალებით, აგონებს მას თავის პასუხის მგებლობას და მოვალეობას, აგრეთვე უხსნის თუ ცხოვრება და მუშაობა დიდებულ მეცნიერთა რად წარმოადგენენ მაგალითებს უწმინდესის და უმაღლესის ზნეობისას. საკმარისია მიუთითოთ ჩვენს მეცნიერებზე პასტერზე და ბერტელოზე, როგორც დაუცხრომელი შრომის, საზოგადოებისათვის თავ-განწირვის და მაღალი მეცნიერული პატიოსნების შემაერთებელ პირებზე. ეს მეცნიერები მომავალ თაობისათვის იქნებიან ბრწყინვალე გზის მაჩვენებელნი, რომელთაც გადასცეს კაცობრიობას საუკეთესო თავიანთი გონების ნაწარმოებისა. (Revue pédagogique).

საჭირო განმარტება *)

ის მეთაური „სახალხო გაზეთისა“ რომელიც შეეხებოდა ჩემს პატარა წერილს, დაბეჭდილს გაზეთში „საქმე“, სრულიად გამომეპარა, რადგანაც მაშინ გზაში ვიყავი, და მისი დაბეჭდვა შევიტყე და წავიკითხე ერთის კვირის შემდეგ, რამაც დააგვიანა ეს ჩემი პასუხი.

მსგავსივე ბაასი მოგვიხდა „ცნობის ფურცლის“ რედაქციას და მე რამდენისამე წლის წინად. ამ გაზეთმა აღნიშნა თავისს ფურცლებზე ის სამწუხარო ფაქტი, რომ მოსწავლეების მშობელნი შესთხოვენო სასწავლებელთა მთავრობასა— გაანთავისუფლეთ ჩვენი შვილებიო ქართული ენის გაკვეთილებიდგანაო, და ამით დაკმაყოფილდა. რადგანაც ასეთს მოპყრობას საკითხისას ადვილად შეეძლო საზოგადოებაში და თვით მთავრობაშიაც დაებადნა ის აზრი, რომ ქართველებს თავისი ღვიძლი ენა არაფრად ეპიტნავებათ და გამოეწვია სრული გაუქმება ქართულის ენისა სასწავლებლებში, ამის გამო იმავე გაზეთის ფურცლებზე ვრცლად გავმარტე ის მიზეზები, რომელნიც აიძულებენ მშობლებს ასეთი უშვერი თხოვნით მიმართონ მთავრობასა, და ცხად ვყავი, რომ ამ სამწუხარო მოვლენაში დამნაშავეა სამოსწავლო ბიუროკრატია და არა მშობლები მეთქი. აი ეს მიზეზები მოკლედ: ქართულს ენას ყოველი უფლება აქვს ჩამორთმეული, იგი სავალდებულო საგანი არ არის, მისი უცოდინარობა მთავრობის თვალში ნაკლს კი არ შეადგენს, ღირსებად ითვლება. ქართულის ენის მასწავლებლებად ნიშნავენ სრულიად უვიცს პირებს, მისი სწავლებისათვის დანიშნულია ზედმეტი მეექვსე გაკვეთილები, როდესაც დაქანცულ ქართველ ბავშვებს უკიდურესად უჭირთ დასვენება, და სხვანი. გააუქმეთ ეს დამბრკოლებელი მიზეზები, ჩააყენეთ ქართული ენა იმავე ნორმალურს პირობებში, როგორშიაც არიან ყველა სავალდებულო, საშტატო საგნები და მაშინ აშკარად დაინახავთ, რომ ქართველს მშობლებს სხვებზე ნაკლებად არ უყვართ

---

*) ეს სტატია მოგვივიდა დასაბეჭდად შემდეგ წერილთან.

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ ამ ჩემს წერილს, რომელიც შეეხება ხალხის განათლების ერთს საკითხს, ადგილი დაუთმოთ თქვენს ჟურნალში. მე იგი გავუგზავნე „სახალხო გაზეთის“ რედაქციას 13 ამ მიმდინარე თვისს; ჯერ მითხრეს—ვბეჭდავთო, მერმე შემატყობინეს: მეორე ნახევარს წერილისას მოვათავსებთ ჩვენს გაზეთში, პირველს კი ვერაო, რადგანაც მასში ჩვენი გამოლანძღვა ვპოვეთო. მე შემოკლებაზე არ დავთანხმდი და უკან წამოვიღე წერილი. გიგზავნ თ მას სრულიად უცვლელად: არამც თუ სიტყვა, ერთი ასოც არ არის შეცვლილი. გადაკითხველი გაოცდება და იტყვის: სიდან მოსჩვენებიათ აქ ლანძღვაო? აქ არის მხოლოდ საგნის გამორკვევა, საკითხზე სინათლის მიყენება და სხვა არაფერიო. მაგრამ ამ სინათლეს მტეუანად გამოჭყავს არა მარტო კორეს პონდენტი გაზეთისა, არამედ ი ვით რედაქციაც, რომელიც მეთაურს წერილში გამოესარჩლა მას და თავისი მფარველი კალთა გადაუფარა და მიზეზიც ალბად ეს გახლდათ.

იაკობ გოგებაშვილი.

თავისი ღვიძლი ენა, და აღარც ერთი მათგანი აღარ მიმართავს მთავრობას სამარცხვინო თხოვნით მეთქი. ეს წერილი მოთავსებულია ჩემს „რჩეულს ნაწერებში“ ამ სათაურით: „ეროვნული სენის მიზეზი და წამალი“ (388—393 გვერ.).

სწორედ ამისთანავე ხასიათისაა ის ჩემი წერილი, რომლის წინააღმდეგ აღიჭურვა მეთაური. რადგანაც „სახალხო გაზეთის“ ბევრს მკითხველებს არ ეკნებათ წაკითხული ჩემი წერილი „საქმეში“, და სგანი კი ფრიად საყურადღებოა, ამიტომ საჭიროდ ვრაცხ გავაცნო მათ უმთავრესი ადგილები მისი. მაგრამ ჯერ წავიმძღვაროთ ის ადგილი გაზეთის კორესპონდენტის წერილიდან, რომელმაც გამოიწვია ჩემი პროტესტი.

„მშობლები ხშირად ამბობენ სკოლებისადმი საყვედურსა, რომ იქ რუსულის ენის სწავლებას ნაკლები ყურადღება ექცევა, ვიდრე ქართულის ენისასა, რომელიც გამოუსადეგარი არისო, საქართველოს იმ კუთხეში კი, რომელიც კულტურულად დაწინაურებული ითვლება სხვა მხარეებთან შედარებით, გურიაში, ხშირად შეხვდებით ამის მაგალითსა „ქართული ენა და „დედა-ენის“ კითხვა მე კაი ხანია კარგად ვიცი; მაგრამ ეს ჩემთვის გამოუსადეგარია. ბავშვს სკოლაში იმიტომ ვაბარებ, რომ ორიოდე რუსული სიტყვა ისწავლოსო“.

ამ ციტატას მივაყოლე „საქმეში“ შემდეგი ჩემი მსჯელობა:

„ეს ნათქვამი რომ სასეგრობით მაინც მართალი იყოს, გურია დაწინაურებული აღმოჩნდება არა კულტურით, როგორც ბრძანებს ავტორი, არამედ საარაკო სისულელით, რადგანაც ეგეა ხალხს მშობლიური ენა მიაჩნია განათლების და განვითარების დედა-ბოძად და მის ფართო დაუენებაზე სკოლებში დაუცხრომელად ზრუნავს. საბედნიეროდ, ეს მსჯელობა ჩვენის კალმოსნისა ჰიტლერ სიცრუეს შეადგენს, და ეს ამისი შეურეველი საბუთიცა: კარგად მოგეხსენებათ, რომ ბოლოს წლებში ბევრი თხუზულება იბეჭდება ქართულს ენაზე და ჩვენი ლიტერატურა დღითი-დღე მდიდრდება, წინააღმდეგ მრავალი დაბრკოლებისა. აბა ახლა გამოიძიეთ, ჰკითხეთ გამომცემელთ და წიგნის მაღაზიებს, სად უფრო მეტი რიცხვი ახლად გამოცემულის წიგნებისა ეფინება, და თქვენ დარწმუნდებით, რომ ბატარა გურია ერთი სამად მეტს ქართულს წიგნსა ყიდულობს, ვიდრე დიდი ნაწილები საქართველოსი. თუ გურულებს ქართული წიგნი გამოუსადეგრად მიაჩნიათ, მაშ რად ხარჯავენ თავისი ღარიბი ჯიბიდან უკანასკნელს გროშებს ქართულის წიგნების შესაძენად? ეს სწორედ ამისთანა შემთხვევაზეა ზედ გამოჭრილი ქართული ანდაზა: „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“.

„რა საკვირველია, ნიჭიერს გურიაში შეიძლება მოიბოვებოდეს ზოგიერთა რეგვენი, რომელსაც არ ესმოდეს, რომ მშობლიურის ენის და წიგნის უარყოფა, გამოუსადეგარ რადმე ჩათვალა, თავისი თავის უარყოფაა, თავისი თავის გათახსირებაა. მაგრამ ჩვენ რომ ამის გამო გურულებს საზოგადოდ სირეგვნე დავაბრალოთ, დავემგზავსებით იმ სულელს მოგზაურსა, რომელიც, როცა ისპანიის ქალაქს ბარსელონას მიუახლოვდა და ერთი კოჭლი შეხვდა ქალაქის ჰირში, ცხენი უკან გამოაბრუნა და თავის მოგზავრობაში ჩასწერა: „ქალაქი ბარსელონა იმითია შესანიშნავი, რომ შიგ სულ კოჭლები ცხოვრებენო“.

„სამწუხაროდ, ავტორის სიცრუე მარტო სასაცილო როდია; მას შეუძლიან დიდი ვნება მოუტანოს ჩვენს ბედკრულს ხალხსა, სახელდობრ: ხელი შეუწყოს უკიდურესად დაჩაგვრას ჩვენის სახალხო სკოლისასა. ამისთანა ცნობებს შავ-რაზმელი ნაწილი სამოსწავლო ბიუ-

რეკრატიისა ზეციური მანანასავით მოელის, დაუეონებლივ სთარგმნის და გზავნის იქ, სადაც იჭედება ეოველი შემავიწროებელი ჯახრაკები. ამ ცრუ ამბის ძალით ვოსტორგოვებს, **ვალია** მარკოვებს, გიორგიევსკებსა და ბნელეთის სხვა გმირებს სრული სიბუთი ეძლევათ ჯერ უკანასკნელად შეავიწროვონ ჩვენნაურს სკოლაში ქართულის წიგნის სწავლება, შერმე სრულიად გაუქმონ იგი და ასე იმართლონ თავი: თვითონ ქართველს ხალხს გამოუსადეგრად მიაჩნია ქართულის წიგნის სწავლება და ცოდნა, იეოს ნება მისი და მოისპოს იგი საქართველოს სკოლებშიო".

მეთაურმა ამ ჩვენს სტრიქონებს დიპლომატია დააბრალა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არც ერთი შეგნებული მკითხველი „სახალხო გაზეთისა" ამ ბრალდებას არ შეიწყნარებს, და ჩვენს მსჯელობას წინდახედულობის სახელით მოანათლავს. თვით ერთმა მკითხველმა სახალხო გაზეთისამ კორესპონდენტის საოცარი წერილის მოვლენა ასე ახსნა: აქ პარტიული ხრიკია: გურიაში მეფობდა სხვა დასი და მან გურულები გაასულელაო; ჩვენს გავლენას რომ გურულები დამორჩილებოდნენ, ეოველი მათგანი ახლა სოლომონ ბრძენი იქნებოდაო. გამოდის, რომ დიპლომატია გაზეთის მოქმედებაში სჩანს და არა ჩვენსაში. მაგრამ პირადად ჩვენ ხრიკსა და დიპლომატიას არა ვხედავთ გაზეთის საქციელში, რადგანაც მისი შემცდარი ნაბიჯი უფრო უბრალოდ და ბუნებრივად აიხსნება: აიხსნება წინდაუხედებლობით და მოუფიქრებლობით, რაც ადვილად ხდება გაზეთურს სასწრაფო მუშაობაში, მეტადრე მაშინ, როდესაც ზოგნი მისნი მუშაკნი დაქსაქსულნი არიან ძალა-უნებურად.

გაზეთს თავისს კორესპონდენტისათვის ხელი კი არ უნდა დაეფარებინა; არამედ შეესწორებინა მისი მონაწერი. რადგანაც ამ პატარა მონაწერში დიდი შეცდომები მოიპოვება. მართალია, რომ ხალხი ყველგან უკმაყოფილოა სკოლით; მაგრამ არა იმიტომ, ვითომც მასში ორიოდე რუსულსაც არ ასწავლიდნენ. რუსულს ენას გადაჭარბებით დიდი დრო აქვს დათმობილი ამ მომენტში ყოველს სახალხო სკოლაში. თვით ერთს კლასიანს სკოლაში ათავებენ მთლად ჩემს „Русское Слово"-ს ორივე ნაწილსა. ორივე ნაწილში კი რაოდენობა რუსული სიტყვებისა სჭარბობს ოთხი ათასსა (4,000). ამაში ადვილად დარწმუნდება ყოველი მკითხველი რომელიც ჩააკვირდება Русское Слово-ს ლექსიკონს, ჩართულს ამ სახელმძღვანელო მეორე ნაწილის ბოლოში... მაგრამ ქართულს ენას კი მეტად ნაკლები დრო აქვს დათმობილი, რის გამო „დედა-ენიდან" მხოლოდ პატარა მოთხრობებს და ლექსებს ასწავლიან. მასწავლებელნი იძულებულნი არიან, დროის უქონლობის გამო, გამოსტოვონ სასაუბროები, და ხუთივე შემდეგი განყოფილებანი, რომელნიც აძლევენ მოსწავლეებს ელემენტარულს ცოდნას ზოოლოგიისას, ბოტანიკისას, ბუნების მოვლინებისას, საქართველოს გეოგრაფიისას და საქართველოს ისტორიისას. ასეთს შევიწროებას ქართულის ენისას ის შედეგი მოსდევს, რომ მოსწავლეებს სკოლიდან გამოაქვთ ცოდნა მხოლოდ უბრალო წერა-კითხვისა, რაც დიდს სიკეთეს არ შეადგენს. სრულიად სხვა შედეგი მოჰყვებოდა სკოლის სწავლებასა, თუ, მაგალითად, „დედა-ენას" და „ბუნებისკარს" მთლად და სავსებით ათავებდნენ სკოლაში. მაშინ მოსწავლენი აღჭურვილნი იქნებოდნენ ბევრი

ელემენტარული ცოდნით, ელემენტარული განვითარებით და ამას კი დიდი ფასი აქვს ყველას თვალში. მაშინ არც ერთი გლეხი აღარ იტყოდა, მე ქართული წიგნი ვისწავლე; მაგრამ ეს ჩემთვის გამოუსადეგარიაო. როცა „სახელოვანი“ ვოსტორგოვი თხოულობდა, რომ ქართულს სახელმძღვანელოებში უნდა იყოს მხოლოდ მოთხრობები და ლექსებიო და მათში ადგილი არ უნდა ჰქონდეს არც ზოოლოგიურს, არც ბოტანიკურს, არც ფიზიკურს, არც გეოგრაფიულს, არც ისტორიულს განყოფილებასაო, რადგანაც ყველა ეს საგნები უნდა ისწავლებოდნენ მხოლოდ რუსულს ენაზედაო, უსათუოდ სახეში ჰქონდა, რომ ასეთი ვიწრო ფარგალში ჩაყენება ქართულის ენისა ხალხს მასზე გულს აუცრუებსო,— და თითქოს მართლდება მისი ბოროტი განზრახვა.

დიდს მადლობას დაიმსახურებენ ქართველი საზოგადოების მიერ მასწავლებელნი, თუ გაზეთის საშუალებით აუწყებენ მას: რამდენს წელიწადს ასწავლიან სკოლაში საგნებს ქართულს ენაზე, რამდენი გაკვეთილია ქართულის ენისა თვითო განყოფილებაში, რომელ სახელმძღვანელოს ხმარობენ და ამ სახელმძღვანელოს როგორ ათავებენ: შემოკლებით, თუ მთლად? თუ შემოკლებით, სახელდობრ რას ამოკლებენ? ასეთივე ცნობებია საჭირო რუსულის ენის შესახებაც.

ფრიად საგულისხმიეროა და საყურადღებო ყოფილი ექსარხოსის პავლეს აზრი შესახებ ყოველდღიური გაკვეთილების განაწილებისა სამრევლო სკოლებში საგანთა შორის. ამ რუსის უკიდურესს პატრიოტსაც კი საჭიროდ მიაჩნდა ასეთი განაწილება: ორი გაკვეთილი დღეში ქართულს ენას, ერთი გაკვეთილი—რუსულს ენასაო. მის მიერ შედგენილს სამოსწავლო გეგმაშიაც, რომელიც სინოდმა დაამტკიცა, ასეთი განაწილება იყო განხორციელებული და კანონად დადებული. ფრიად საინტერესოა ვიცოდეთ: რამდენად შეესაბამება ამ განაწილებას აწინდელის პირველდაწყებითის სკოლების გაკვეთილების განაწილება როგორც სადირექციო ისე სამრევლო სკოლებში?

იაკობ გოგებაშვილი.

ბიბლიოგრაფია

რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტიური ნაწერები **ი. გოგებაშვილისა**

ტომი პირველი.

მე არ მეგულება საქართველოში ისეთი ლიტერატორი, საზოგადო მოღვაწე კაცი ქართველი, რომელსაც განუწყვეტლივ სალიტერატურო თუ სასაზოგადოებრივო ასპარეზზე გამოსვლიდან დღემდე ხელიდან კალამი არ გაეგდოს, მის კალამს მელანი არ შეშრობოდეს, მუდამ მოღვაწეობდეს, ჩვენის დუხჭირი ცხოვრების ჭირ-ვარამს კვალში არ უდგეს და ფეხდაფეხ არ მოსდევდეს, როგორიც არის ი. გოგებაშვილი, ავტორი ზემორე დასახელებულის ნაწერებისა. ამისთანავე მუდმივი მოღვაწეა მეორე დიდებულ კაცი—მგოსანი **აკაკი**. აი ეს ორი ქართველი მას შემდეგ, რაც თავი შეუსწავლიათ, მედგრად

ემსასურებიან სამშობლო დიტერატურას, ქართულს სიქმეს, ემსახურებიან არა შოვინისტურად, არამედ შეგნებით, დირსებით, სანაქებოდ. ეს ორი დიდებული ქართველი კამსჭვალულნი იყვნენ და არიან ერთის და იმავე იაეით: დაცვა სამშობლოსი, მისი ტკბილ ქართულისა, ეროვნებისა, ტერიტორიისა; აკაკი პოეზიაში, იაკობი პუბლისტიკასა და პედაგოგიაში ახორციელებდნენ ამ იდეასა. იაკობსაც იგივე შეუძლიან სთქვას თავის თავზე, რაცა აკაკიმ ჩამოაკვნესა თავის მუზის ჩანგზე:

„არა!... აჭყვავდეს იმედი!...
გულს ვერ გამიტეხს ჭადარა!...
გმირებს დაეძებს, უყივის
ჩემი დაფი და ნადარა“...

ი. გოგებაშვილი დღესაც, მოხუცებულობის ყამსა, ისეთისავე ჯაბუკურის ხალისით, ადფთოვანებით და გატაცებით მსჯელობს საჯაროდ და წერს თავისს სტრფიალო საგნებზე, როგორც სიჯაბუკეში; ისევე „ხელ მარჯვედ სცემს ჩოგანსა“, როგორც სიუმაწვილეში, მას ჭადარამ გული ვერ გაუტეხა, იგი იმედით იცქირება მომავლისაკენ. რომელს წერილსაც კი გადიკითხავთ ამ დიდს წიგნში, მისს „ნაწერებში“, ყველგან **წითელი ზოლივით** გავლებულია მამულის, სამშობლოს სიყვარული, სამშობლო ენის დაცვა შემწიკვლისაგან, ტერიტორიის შერჩენა: „არა გვგონია ვისთვისმე უცნობი იყოს ის აზრი, რომ მამულის სიყვარული, მსურვალე ეროვნული გრძნობა **არის უპირველესი თანხა ქვეყნის ბედნიერებისათვის** (კურსივი ყველგან ჩვენია)... **მამულის სიყვარული მეტად ნაზი მცენარეა**.... ეროვნულს, პატრიოტულს გრძნობასაც დიდი ხნის ზრუნვა, მოვლა, ყურის გდება და ერთგულება ესაჭიროება. იგი არის ნაზი, როგორც კაკლის ხე, დრმა, როგორც მისი ფესვები, როგორც მისი წვერი, მის ტოტებსავით განიერი და მის კოკრებსავით ნაოფიერი“.... („შინაური მიმოხილვა“, გვ. 21).

პატრიოტობა იაკობს ვიწროდ, შოვინისტურად, არ ესმის. აი, დავუგდოთ ყური:

„ვისა ჰქვიან პატრიოტი? მას, ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუხდია მშობლიურის ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავგამოდებულად და შეუპოვრად ებრძვის დაუღალავად ყოველს დაბრკოლებას, რომელიც მის სამშობლო ქვეყანას წარმატების გზაზედ გადაღობებია, ვისაც მთლად დაკარგულად მიაჩნია ყოველი წამი, რომელიც არ მოუხმარნია მამულის ზრუნვისათვის, ვისაც ედაგვის გული მამულის ტანჯვით, უხარის მისი ლხენით, ვინც ბედნიერია მის ბედნიერებით, უბედურია მის უბედურობით და ვინც მზად არის დიმილით შესწიროს მას თავისი სიცოცხლე“ (იქვე გვ. 22).

აგერ მეორე საუკუნეა, რაც ჩვენი თავი ჩვენ არ გვახლავს, ამდენი ხნის განმავლობაში ჯერ არა თუ **გარიბალდი** არ გამოგვჩენია, მისი ტოლიც კი არსად სჩანს, ვერავინ ვერ დაიგვეხებს მამულის-შვილობას, „უწინდელი ნიადაგი, რომელზედაც მამულის შვილები იზდებოდნენ, შეიცვალა“.... „სუსტია ჩვენში ეროვნული გრძნობა, მამულის სიყვარული,—განაგრძობს იაკობი ისევ იმ წერილში,—მაგრამ, სანუგეშოდ, ზოგიერთა ისეთი სიკეთე ახლავს და ისეთი წმინდა თვისებით არის შემკობილი, რომ სწორედ დირსია უფრო ბედნიერების, სახარბიელო მომავლისა“. იაკობი და მისი დიტერატორის ტოლ-ამხანაგნი თავის ქვეყნის ბედნიერების მიხწევას მისდევენ სწორის და წმინდა გზით, რომელიც სხვა ერების უბედურობაზე არ არის აგებული.

იაკობის წერილი „შინაური მიმოხილვა“, რომელიც იყო დაბეჭდილი 1880 წ. „ივერიაში“, არის ბრაგრამა, მთელი ბეგმა მისი მოდვაწეობისა. იაკობი შუამ ყამს ჭქადაგებდა ეროვნულს მნიშვნელობაზე დედა-ენისა; ჭხე-

დავდა რა უსუგეშო მდგომარეობას დედა-ენისას საერო სასწავლებელში, მაშინვე მეხივით დაეცემოდა მტერს, მისი სამშობლო ენის მოძულესა და მდევნელსა, უტუარის საბუთებით უმტკიცებდა მოწინააღმდეგეს მისი აზრების სიცალიერეს. ხშირად კიდევაც უგონებდენ ძალა-უნებურად და ხანდისხან ჩვენს დედა-ენას, იაკობის წყალობით, მზის შუქს დაანახვებდენ ხოლმე. ადგილ-მამულის სივიწროვეზე საქართველოში, ტერიტორიის შერჩენაზე ხომ მრავალჯერ სწერა. ერთის სიტყვით ამ მადლიანს კაცს არ დაუტოვებია არც ერთი საკირ-ბოროტო საკითხი, რომელიც ასე თუ ისე შეეხებოდა მისს სატრფიალო ქვეყანას, ასე თუ ისე ჩრდილში სტოვებდა, სჩაგრავდა, დასცინოდა მის ერთგულებას, ენას, ეკლესიას, რომ იგი თავგამოდებით არ გამკლავებოდა მოწინააღმდეგესა. აძლევდა პასუხს წრფელს, დაუფარავს, გულდიად. ეოველი მისი წერილი ამ დიდს წიგნში განყენილია დიადის, თავგამოდებულის სიყვარულით თავის სამშობლოსი, ერისა, დედა-ენისა, ტერიტორიისა, გაყენთილია წმინდა და ნაზის სიყვარულით. იაკობი,—თუ შეიძლება ასე ითქვას,—**კალმით არიბ-ლაა**.

იაკობის „ნაწერები“ დიდებული განძია ჩვენის გონებითის სალარისა. ეველა ქართველისათვის, ჩემის აზრით, საყვლდეულია ამისთანა წიგნები შეიძინოს და ძუდამ ხელთა ჰქონდეს სახელმძღვანელოდ. განსაკუთრებით ვურჩევთ ჩვენს დედებს და მასწავლებლებს წაიკითხონ ის წერილები იაკობისა ამ წიგნში, რომელიც შეეხებიან დედა-ენის მნიშვნელობას მოზარდი თაობის აღზრდაში.

ს. მ.

შინაარსი: 1. საუბარი სახალხო სკოლაზე (წერილი მეორე) **ლ. ბოცვაძისა**. 2. მ. კალგინი. მასწავლებელი ხელოვანია თუ ხელოსანი? **ე. ფალავასი**. 3. ექსკურსიის მნიშვნელობა მოწავეთა და მასწავლებელთათვის **ტეხურის-პირელისა**. 4. დედა-კაცის მდგომარეობა საინგილოში (ეთნოგრაფიული წერილი) **ზ. ედილისა**. 5. ორი ძალი (ლექსი) **აკაკისა**. 6. საფლავის კარამდინ მოთხრობა **ეკ. გაბაშვილისა**. 7. ზღვის კიდეს (ჭიმნი) **ბაბალინასი**. 8. ზღვის სურათები (ლექსი) **მელიტონ გობეჩიასი**. 9. ე'დ სამდვდელო ეპისკოპოზი კირიონი (ბიოგრაფიული შენიშვნა). 10. შინაური მიმოხილვა: ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების სახიმეშო პროგრამა და გაზეთი „ახალი გზა“. **კახაბერისა**. 11. დაბადება (ბიბლია), როგორც საუკეთესო წიგნი დასაწყისს სკოლაში საკითხავად (ლევ ტოლსტოის თხზულებიდან). 12. უცხოეთი. მეცნიერების მონაწილეობა ზნეობრივს აღზრდაში. 13. საწერო განმარტება **იაკობ გოგებაშვილისა**. 14. ბიბლიოგრაფია—რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები **იაკობ გოგებაშვილისა**, ტომი პირველი **ს. მ—ლისა**.

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე**.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა, სპირიდონ მ. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა. საკუთ. სახლი № 5.

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი

განათლება

(წელიწადი მესამე)

IX ბიორგოობისთვე 1910 წ.

ჟურნალი წლიურად ღირს 3 მან.
ნახევარი წლით . . . 2 მან.
სახალხო სკოლების მასწავლებლებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად **ოჩ მანეთად.**

ცალკე ნომრის ფასი 30 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში" და „ნაკადულის" რედაქციაში. წერილები და ჟურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ. Дворянская Грузинская Гимназія. **Л. Г. Боцвадзе.**

ბავშვების სოფლ-მხედველობა *)

(le monde et ses mysteres aux des enfantis. Paola Lambroso)

მოზდილებს რომ ჰკითხოთ იმათი სოფლ-მხედველობის, აუარებელ თეორიების, ჰიპოტეზების და რწმენის შესახებ, რასაც იჩენს ეხლანდელი მცირედ განვითარებული ადამიანიც კი ბუნების, ციურ მნათობების, გეოლოგიური შრეების, სიცოცხლისა და სიკვდილის არსებითი მხარის, ატომების და მოლლეკულების სტრუკტურის, ნივთიერების სხვა და სხვა ფორმებისა და ევოლიუციის კანონების შესახებ, პასუხად ვეებერთელა წიგნი დაიწერება.

*) ჟურნ. Русская школа 1909 წ. № 5—6 ქ-ნ პ. ლომბროზოს სტატია პირველად დაისტამბა ჟურნალ „La Rewue-ში.

ბავშვების წარმოდგენილება მსოფლიოზედ და ბუნების მოვლენათა შესახებ იმდენად ცალმხრივია და მარტივი, რომ იმათი განხილვა შეიძლება ჩვეულებრივს საჟურნალო წერილშიაც; მდინარე, რომელიც სათავეში ერთი პეშვიღაა, ჩასა რთავში აჩენს ზღვის მთელს უბეს, ასე იზრდება ადამიანის წარმოდგენილებაც.

მიუხედავად ამ ფარგლისა, ან უკეთ რომ ვთქვათ, ამ ფარგლის წყალობით, ბავშვის სოფლ-მხედველობა მეტად საინტერესოა, რადგანაც მისი წინასწარი აზრი დიდათ განსხვავდება მოზრდილთა აზრთაგან.

მართალია, ჩვენ, მოზრდილებს საკმარისად ფართო და სრული ცნება გვაქვს

ქვეყნიერებაზე და მისს საოცარ მოვლენებზე, მაგრამ არც ერთს ჩვენთაგანს ის არ შეუძენია დამოუკიდებლად საკუთარის ცდის საშუალებით, პირიქით, ყველა ეს გარედან მონაბერია, ხელოვნურად (artificie-usement). რა არის მიწა, მთვარე, სიცოცხლე, სიკვდილი? როგორ შეგვიძლია ვიცნათ ღმერთი, როგორ მივსწვდეთ გონებით წმ. სამებას? ყველა ეს შეერთებული წარმოდგენილებანი სარწმუნოებაზე, ქვეყნის შექმნაზე და საოცარ მოვლენათა შესახებ, ყველა ეს ცნებები გაჩნდა ჩვენში არა ჩვენი გონების შინაგანის ძალით, არამედ გაკვეთილების, კითხვის და სპეციალურად სწავლის წყალობით. მარტო გონების მუშაობით ჩვენ სრულიად ვერ აღმოვაჩენდით ყველა იმ საოცარ და სხვა და სხვა გვარ კანონებს, რომელნიც განაგებენ ქვეყნიერებას.

პირიქით, ყველა შეხედულობა და წარმოდგენილება, რაც ბავშვს აქვს ქვეყნიერებაზე, ძლიერ ორიგინალურია და სასურველი გამოსაძიებლად იმიტომ, რომ ბავშვი მივიდა იქამდინ თავისის ცდით, თავის თავზე და ყველა და მის გარშემო არსებულზე დაკვირვებით.

იმ ხანში, როცა ბავშვს ჯერ კიდევ არ ასწავლიან, არავითარ წესებს, ცნებებს არ აგონებენ, რომ მოაწესრიგონ და მიმართონ მისი შეხედულობა რომელიმე გზით, მსოფლიოს დიდებული სურათები: ცა, წყლები, ხმელეთი, სიცოცხლე და ყველა მისი სხვა და სხვა გვარი საიდუმლო თითქოს მარტივი მოვლინებანი, ბავშვის განცვიფრებულს თვალში სულ სხვა და სხვა სახეს იღებს და მიჰყავს იგი მოულოდნელის ახსნისაკენ.

და თუმცა მისი დაკვირვება მოვლენათა შესახებ და ახსნა განმარტება უეჭველად შეზღუდულია, უსრული, ბავშვურად გულწრფელი, მაგრამ მაინც საინტერესოა და ძვირფასიც თავისის თვით არსებობით.

ბავშვების დაკვირვებათა გაცნობა გვიჩვენებს არა მარტო იმას თუ რა სახით ადგენენ ისინი რთულ მოვლენათა პრიმიტიულად ახსნის გზას, არამედ იმასაც თუ რა გზით ვითარდება ბავშვის გონება.

II

ბავშვების შეხედულობით მთელი სოფლიო რაღაც უბრალო რამ არის, რაც არ წარმოადგენს არაფერს გასაოცარს, რომლის ახსნაც მათ არ შეეძლოთ თავისებურად, საკმარისად და სწრაფად.

დედამიწაზე, როგორც ცთომილზე იმათ, რასაკვირველია, არავითარი წარმოდგენა არ აქვთ და არც ფიქრობენ ამის შესახებ. იმ ბავშვებს მაინც, რომელთაც კი დავეკითხე, არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ დედა-მიწაზე და მის მოყვანილობაზე.

ამ რიგად ბავშვს, რომელსაც ესაუბრებოდა სიული (Sully), მიწა ჰტყელ სიმრგვლედ ჰქონდათ წარმოდგენილი, რომელსაც ზევიდან ცის გუმბათი ეფარა, მთვარე კი—დაპირ-ქვავებულ თეფშად. საზოგადოთ მთვარე უფრო იპყრობს ბავშვების გულის-ყურს, ვინემ მზე, რომელსაც ისინი უფრო ხშირად ხედვენ და რომელიც უნათებს და ათბობს მათ. ეს უეჭველად იმის გამო ხდება, რომ მზე თავისი სინათლით დაფანტულად ეჩვენებათ; მზე იმათ საგნად კი არა მოვლენად, მოქმედებად მიაჩნიათ, როგორც მაგ. ქარი, რომელსაც შეისუნთქავ, მაგრამ (იმათის ცნებით) ვერა გრძნობ. მთვარე, პირიქით, საოცარის ვერცხლის დისკოთი გამოჩნდება თუ არა მტრედის ფერს ცაზედ, უფრო ძლიერ აღუძრავს ბავშვს

ფიქრებს. მაგრამ ყველა მათი ჰიპოტეზები საკუთარი პატარა ცდის გარშემო ტრიალებენ.

ერთს სამის წლის ბავშვს ეგონა, რომ მთვარე ძაფზეა დაკიდებული, როგორც ფერადი ბურთი, რომლითაც იგი თამაშობს და გაფრენილა ცაში. მეორე ბავშვს ეგონა: მთვარეს ფრთები აქვს და ის შველის მაღლა გაჩერებაშია. მესამე ბავშვი, მხატვრის შვილი, დარწმუნებული იყო, რომ მთვარე დახატულია რომელიმე მხატვრის მიერ იმის მსგავსად, როგორც მამა მისი ხატავს ხეებს და სახეებს ტილოზედ. მეოთხე ბავშვს, რომელსაც ენახა ოთახში შპალერს რომ აკრავდენ, ეგონა: მთვარე და ვარსკვლავები ვისმესგან ცაში გაბნეული ფერადი ქაღალდებიაო. ბავშვს, რომელსაც სიულლი შეეკითხა, ეგონა ცა ვეებერთელა ბურთია მთვარით და ვარსკვლავებით მოჭედილი. მეორემ უფრო მარტივად ახსნა ეს საკითხი — მთვარე დიდი ფარანიაო — ცაზედ დაკიდებული ქუჩების გასანათებლადო. ბევრი ბავშვი ფიქრობს, რომ არის რამდენიმე მთვარე, თითო ყველა ქუჩაზედ, როცა მხოლოდ მთვარის $^1/_4$ დაინახავდნენ, ეგონათ დამტვრეულა და ვერ დაუწვებებიათო, ან და ცას დაეჭერია, როგორც ხაფანგს თაგვი-კუდითო.

ხშირად ბავშვები სრულიად ახირებულ შედარებას ახდენენ, რომელიც მათის აზრით სრულიად ლოგიკურია. ისინი თავისებურად ხსნიან ვარსკვლავთა ბუნებას და მთვარის ნაკვთებს და ამ ახსნაში ყოველთვის რომელსამე ახლო ნაცნობ ფაქტებზედ ან ნივთებზე დაემყარებიან.

ერთს ჩემს ნაცნობს პატარა ქალს ვარსკვლავები ცაში გაფანტულ მბრწყინავ მინებად ჰქონდა წარმოდგენილი, მეორე ქალს, $2^1/_2$ წლისას სჯეროდა, რომ ვარსკვლავები ცეცხლის ნაპერწკლებიაო, ისეთი მოციმციმე და ცხელი, როგორც ნამდვილი ნაპერწკალი. მეორე, ოთხის წლის ქალი, ფიქრობდა — ვარსკვლავები დღის პაწაწა წინწკლებია ღამეში ჩასხურბულიო.

ერთს პატარა ამერიკელს, ცა ვეებერთელა ცხრილი ეგონა, რომელშიაც გასდის სინათლე და ამ სახით ჩნდებიან ვარსკვლავებიო.

ექვსის წლის ყმაწვილს ისეთი აზრი შეედგინა ცდომილთა სისტემის შესახებ, რომელსაც ვერავინ მოიფიქრებდა: იმას ეგონა მზე ქმარია, მთვარე ცოლი და ვარსკვლავები შვილებიო.

ამასთან ბავშვებს ჰგონიათ მზე, მთვარე და ვარსკვლავები ძლიერ ახლოა დედამიწაზედ. მხოლოდ ხელების გაშვერაა საჭირო, რომ მისწვდე მთვარესა და ვარსკვლავებს. ასე ერთს პატარა სამი წლის ბავშვს ეგონა მთვარე სამრეკლოზედ ჰკიდიაო. მეორეს ეგონა რამდენიმე კიბე რომ ერთმანეთზედ გადავაბათ ცამდის ავალთო.

არა ნაკლებ საგულისხმიეროა ბავშვების წარმოდგენილება ქარის, წვიმის და სხვა ბუნების მოვლენათა შესახებ. სიულლის მოჰყავს აზრი რამდენიმე პატარა ამერიკელისა: ერთს ეგონა ქარს ხეები აჩენენო, ქარი კი არ არხევს ხეებს, თვითონ ხეს მოჰყავს ჰაერი მოძრაობაშია. მეორე ამტკიცებდა — არის ორი სხვაგვარი ხე, ორი დიდი თელა, რომელიც თავისი გრძელი შტოებით აჩენს ქარსაო.

ბევრს ჰგონია — ქარი ცოცხალი არსებაა და ამასთან ისეთი ურცხვი, რომ ჰბედავს ქუდის მოტაცებას, ფოთლებს კანკალს დააწყებინებს, ტანისამოსშიაც ურცხვად მიძვრება. განსაკუთრებით გრიალი, ხმაურობა, ღრიალი, რაც ქარს

მოსდევს აგონებენ ბავშვებს, რომ ქარი სულიერი არსებაა. სხვები გამოსახავდენ თუ არა ქარს, ფიქრობდენ—ის ცხოვრობს განსაზღვრულს ბინაზედ, საიდანაც ხან და ხან გამოდის, რომ გაინავარდოს მინდვრებზე. აქ ვხედავთ მსგავსებას ძველს თქმულებასთან ქარისა და ქარიშხლის ღმერთის ეოლის შესახებ.

უორჩესტერის (Worcester) ანკეტას მოჰყავს ბევრი ბავშვის აზრი, რომ სინათლეს ღმერთი აჩენს გაზის ანთებით, ან რამდენიმე კოლოფი ასანთის გაკვრით. წვიმა წარმოდგენილი აქვთ ისე, თითქოს მილიდან ან ვეებერთელა კოკიდან გადმოდიოდეს წყალი. მე ვიცნობდი პატარა ქალს, რომელსაც ეგონა თოვლი პურის ნამცეცებია ან შაქრის ფხვნილი, რომელიც სამოთხიდან ცვივაო. ბავშვმა, რომელმაც პირველად დაინახა ზღვის ქაფი, წამოიძახა: ეს ფუფალამ გააკეთა საპნის ქაფიო. მეორე ექვსის წლის ყმაწვილს ეგონა მთები აგურით არის აგებულიო, ამიტომ ის ადვილად ააგებს მას ხის კუბიკებისაგან.

III

ის უზომო სიმარტივე, რომლითაც ბავშვები განმარტავენ თავისთვის ყოველგვარ მოვლენას, ყველა, ცოტად თუ ბევრად, მათთვის საკვირველ სანახაობას, სჩანს აგრეთვე მათს სარწმუნოებისადმი უზომო მატერიალისტურ დამოკიდებულებაში. მათი წარმოდგენილება ღვთის შესახებ არავითარს ღვთაებრივს ან დაფარულს რასმე არ შეიცავს. ერთმა ბავშვმა დაინახა მაღლა ტელეგრაფის ბოძზე ჩამომჯდარი კაცი, რომელიც მავთულებს ასწორებდა და იკითხა:—ეს ღმერთია? მხოლოდ ღმერთს არ ეშინია ასე მაღლა ჯდომისა.

მეორემ დაინახა სამუშაოდან სახლში მიმავალი კალატოზები და დედას ჰკითხა: ისინი ღმერთს არა გვანანო.

—რატომ?

—იმიტომ, რომ ისინი აკეთებენ ეკლესიებს, სახლებს, ხიდებს, როგორც ღმერთი—კაცს, ძაღლს და მთვარეს.

ბავშვის განსაზღვრულ გონებისათვის ღვთის შემოქმედება არაფრით არ განირჩევა კალატოზისა და კბილის ექიმის მუშაობისაგან.

ყმაწვილმა, რომელსაც აფრთხილებდენ დანით ხელი არ გაეჭრა, ასე უპასუხა:

—არა უშავს რა: ღმერთს ყველაფერი შეუძლია და ფრჩხილებსაც გამისწორებს, მხოლოდ ვილოცავ: „აბა, ფუფალა, გააკეთე შენი საქმე!“

მეორე ყმაწვილმაც, რომელსაც დედა ავად ჰყავდა და შემდეგ მოურჩა, თავისებრივი წარმოდგენილება შეადგინა ღვთის ხელოვნებაზე, რომელმაც დედა მოურჩინა,—წარმოდგენილება სრულიად მოკლებულია გადამბირებელ საიდუმლოებას.

—ეს ფუფალამ მოარჩინა დედა ჩემი ლაქით.

ეს ყმაწვილი ხედავდა, როცა ლაქით აწებებდნენ მის დამტვრეულს სათამაშოებს.

არიან ბავშვები, რომელთაც ველურების მსგავსად არ შეუძლიათ ღთერთი ისე წარმოიდგინონ, თუ არა ადამიანის სახით, ადამიანის ყოველგვარ თვისებებით და ჩვეულებებით. ასე ერთმა პატარა ქალმა სერიოზულად იკითხა—ღმერთს ცოლი ჰყავსო, და იმის ცოლს ქალბატონ ღმერთს ეძახიანო (m—m Dieu?) ჩემი სამის წლის დისწული ქალი მუდამ მეკითხებოდა—ანგელოზები ღვთის მოსამსახურეები არ არიანო, და როცა ვუპა-

სუხებდი—ღმერთს მოსამსახურეები არ სჭირიან მეთქი, უნდობლად მომიგებდა:

—როგორ შეიძლება ასე? ხომ უნდა ვინმემ იქ ცაში საჭმელი მოუმზადოს!

ერთმა ჩემმა პატარა ნაცნობმა მკითხა ერთხელ—ღმერთს უსათუოდ თავს ბრუ უნდა ესხმოდეს, როცა ამ სიმაღლიდან მოუხდება ყოველ დღე გადმოხედვაო. ერთს შვიდის წლის ბავშვს არ უნდოდა ლოცვის წაკითხვა და დამშვიდებულად სთქვა:

—სულ ერთია ღმერთი ძლიერ მაღლა არის და ჩემს ლოცვას მაინც ვერ გაიგონებსო.

ამიტომ, უეჭველია, რომ ზოგიერთი ველურები ლოცვის წინ იმიტომ სცემენ საყვირსა, რომ მიიქციონ ღვთის ყურადღება.

იმ აზრს, რომ ღმერთი ყველგან-მყოფია, ყველაფერს ხედავს და ყოვლის შემძლებელია, ბავშვები მეტად კრიტიკულად უყურებენ.

პატარა ქალმა, რომელსაც ურჩევდნენ კარგად მოქცეულიყო, რადგანაც ღმერთი ყველა მისს საქციელს ხედავსო, ღრმა სკეპტიკურად უპასუხა:

—აბა, როგორ დამინახავს, როცა ის შუმ საყდარშია ჩაკეტილიო.

მეორე ითხოვდა ეჩვენებინათ კიბე, რომ ასულიყო ცაზედ და მისულიყო ღმერთთან. პატარა ბავშვმა, რომელსაც ამაღლების სურათი უჩვენეს, გაკვირვებით სთქვა:

—რა სულელი ყოფილა ღმერთი! დარჩა ქვეყანაზედ და იტანჯა, როცა თავისუფლად შეეძლო ცაში გაფრენილიყო:

ბავშვები ხშირად იძლევიან კითხვებს, რომ გაიგონ რამდენად დიდია ნაქები ყოვლის შემძლებლობა ღვთისა.

—თუ ღმერთს ყველაფერი შეუძლია, რატომ არ შვრება რომ ჩემი სახელწოდების დღეობა წელიწადში ორჯელ იყოს?

ერთი ნაცნობი პატარა ქალი, რომელიც ყოველთვის ლოღიკურად მსჯელობდა,—უკეთესად, ვიდრე ზოგიერთი მოზრდილები, ერთხელ პირდაპირ შემეკითხა:

—რატომ არის ღმერთი უფრო კეთილი მდიდარ ბავშვებისათვის, რომელთაც აუარებელს სათამაშოებს უგზავნის, მაშინ როცა ღარიბებს ძლიერ ცოტა აქვს და, მაშასადამე, უფრო საჭიროებენ?

ერთი სიტყვით ეხლანდელი ბავშვების წარმოდგენილება ღმერთზე შეიცავს ცოტა პატივისცემას, ცოტა მოკრძალებას; პირიქით ისინი სრულიად ურწმუნონი არიან. შეიძლება ვსთქვათ, რომ ისინი უფრო სკეპტიკები არიან, ვიდრე ცრუ-მორწმუნენი. ამ მხრით ისინი ძლიერ განირჩევიან ველურებისაგან, რომლებიც თუმცა გამოსახავენ ღვთაებას და თავიანთ კერპებს კაცის სახეს აძლევენ, მაგრამ ამასთან ისინი შიშითა და მოკრძალებით სავსენი არიან.

ეს განსხვავება იმაშია, რომ ველურები არიან იმ საოცრების, ფენომენების უფლებაში, რომლიდგანაც ჩვენ გვინდა დავიხსნათ ბავშვები და რომელიც აგონებს ველურებს რწმენას მაღალის არსებისადმი მათდა სასარგებლოდაც.

IV

დავუკვირდეთ ეხლა, რა გავლენას ახდენენ ბავშვის ტვინზედ ფიზიოლოგიური მოვლენანი, რაც მუდამ თვალში ეჩხირებათ,—როგორც სიცოცხლე, სიკვდილი, დაბადება და ჩვენი სხეულის განვითარება.

დაბადების ანუ ქვეყნად გაჩენის საი-

დუმლოება უფრო მეტს ყურადღებას იპყრობს ბავშვების მხრით, რაც ძალდატანებით ამუშავებს იმათ პატარა ტვინს. ამ დარგში ისინი ჰქმნიან საკვირველ ჰიპოტეზებს, ფრიად საოცარს თეორიებს.

ბევრი ბავშვი კმაყოფილდება მშობლების ახსნით, რომ ახალ შობილ ბავშვებს ჰპოულობენ ბაღში, ყვავილებში, კომბოსტოშიო.

ერთი ჩემი კარგად ნაცნობი პატარა ქალი ყოველთვის, როცა ბაღში შევიდოდა, უსათუოდ მივარდებოდა ჩირგვებს და ყვავილებს, რომ ეპოვნა ახლად შობილი ბავშვი. თვითონ მეც პატარაობისას მეგონა, რომ ჩემი დედოფლები ბავშვებად გადიქცევიან მეთქი. ერთხელ საჩუქრად მივიღე დიდი ლამაზი დედოფალა, რომელიც თვალებს ახელდა და ხუჭავდა, აკვანიც ჰქონდა, ლოგინიც და ფარდაც სინათლის მხრით ჩამოსაფარებლად, სწორედ ისე, როგორც ნამდვილს აკვანს აქვს. მეგონა, ერთს მშვენიერს დილას, როცა გასაღვიძებლად მივალ, ჩემს დედოფალას ამდგარს დავინახავ, საბან ახდილს, ცოცხალს, როგორც ნამდვილს ბავშვს, რომელიც სუნთქავს, ყვირის და ძუძუსა სწოვს. ეს აზრი ჩემთვის არავის ჩაუგონებია. მეგონა, რაკი ისეთს დედოფალას, როგორიც ჩემი იყო, ჰქონდა ისეთი სრული, ადამიანური გარეგნობა, იმაში სიცოცხლეც უნდა გამოჩენილიყო.

უეჭველია ბავშვის თვალსაზრისით საგანი თავისთავად უფრო ლოლიკურად გვეხატება, ვიდრე განმარტება, რასაც მშობლები მისცემდენ ამ საგნის შესახებ, რაც არ განსხვავდებოდა იმ ბიბლიურს განმარტებისაგან, რომ ადამიანი თიხისაგან არის შექმნილი და შემდეგ შემოქმედმა შთაბერა თიხაში თავისი სული და ამის გამო გაცოცხლდაო.

ბავშვმა ერთხელ ყური მოჰკრა ქვისა და რკინის საუკუნოების ადამიანების შესახებ ლაპარაკს და ეგონა, რომ ეს ხალხი ეხლაც ცხოვრობსო, რომ მართლა იყვნენ ქვისა და რკინის კაცებიო, რომ ეს მხოლოდ საჭირო სახეა კაცობრიობის განვითარებაში, რასაც მოჰყვა ხორცით და სისხლით შესხმული ადამიანები.

ბევრს ბავშვს ჰგონია, რომ ის მუდამ არსებობდა; საინტერესოა გავიხსენოთ რას ამბობს თავისს მოგონებაში ჯონ ინჯელაუ (Jhon ingelow): „მე ყოველთვის მიტაცებდა საკითხი, შესაძლებელი იქნებოდა, რომ ყოფილიყო რამე ჩემზე ადრე, სანამ მე გავჩნდებოდი ქვეყანაზედ და, მაშასადამე უფრო ადრე, ვიდრე მე ამას დავინახავდი? ის კიდევ შეიძლებოდა, რომ იყო დრო, როცა მე პატარა კენჭის ოდენა ვიყავი, მაგრამ სრულიად შეუძლებლად მიმაჩნდა, რომ ყოფილიყო ისეთი ეპოქა, რომელიც წინ უსწრობდა ჩემს დაბადებას, ან ისეთი დრო, როცა პირადად მე არ ვყოფილიყავი“.

ერთს ნაცნობს ბავშვს, ეგონა, რომ ყველა კაცობრიული არსება ერთბაშად გაჩნდა ქვეყანაზედო, სწორედ ისე, როგორც ეხლა ხედავს ე. ი. ბავშვები და დიდები, მამაკაცები, დედაკაცები და მოხუცებულები.

ასე, ბავშვებს ჰგონიათ, რომ ისინი ყოველთვის იყვნენ, და რაც მათს გარშემოა, ყველა ისეთი იყო, როგორც ეხლა ხედავენ, ამიტომ ძნელი წარმოსადგენია მათთვის, რომ მათი დედა ოდესღაც პატარა ყოფილიყოს.

— ვინ იყო დედა შენი, შენ პატარა რომ იყავიო? ჰკითხა პატარა ქალმა თავისს დედას.

ძეორე განსხვავება ბავშვის შეხედულობისა, რაც ჩვენ სრულიად არ ვიცით, ეს არის ბავშვების დაუჯერებლობა საკუთარს პიროვნებაში. ასე, ერთი პატარა ქალი, რომელმაც გაიგო დედისგან როგორ იბადებიან ბავშვები, დაჟინებით ჰკითხავდა:

— თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ მე ვაჟი არა ვარ? თქვენ თვითონ ამბობდით ყოველთვის, რომ მე ვაჟსა ვგევარ.

ხუთის წლის ვაჟი დარწმუნებით ამბობდა, რომ ერთი წლის წინად ის ქალი იყო: მაშინ მას ქალის ტანისამოსი ეცვა. ორი ტყუბი დარწმუნებული იყო, რომ ერთის ხნისანი არ არიან, იმიტომ რომ სხვა და სხვა ტანისამოსს ატარებდენ.

ერთი ოთხის წლის ქალი, რომელმაც ძნელი ჭრილობა აიტანა ფეხის გასწორებაში, დარწმუნებული იყო, რომ იგი გაცვალეს, რომ მისი წინანდელი უშნო „მე“ შესცვალეს ახალი ლამაზი „მე“-თ, გული მოსდიოდა, როცა ძველ სახელს უწოდებდნენ. მან სახელიც გამოიცვალა.

— მე მინა არა ვარ,—გაჯავრებული ამბობდა,—მე კატო ვარ, ეხლა მე სულ სხვა ქალი ვარ.

V

ნაკლებ არ იტაცებს ბავშვებს იდეა ცხოველ არსებათა ზრდის შესახებ. როგორ თავისებრივია იმათი წარმოდგენილება ამაზე სჩანს ჩემი პატარა ნაცნობის სიტყვებიდან, რომელსაც ეგონა, რომ სხეულის გასაზრდელად საჭიროა მიემატოს ცოტ-ცოტა მასალა: — კისერს— კისრის ნაჭერი, ფეხებს — ფეხის და ხელებს — ხელის.

ზოგიერთი ბავშვები, როცა ეუბნებოდნენ გაიზრდებიან თუ სჭამენ წვენს და პურსაც არ დასტოვებენო, ყოველთვის, ჭამის შემდეგ, მივარდებოდნენ სარკესთან, რომ გაეგოთ რამდენად გაიზარდნენ. საყურადღებოა ბავშვის წარმოდგენილებაში კიდევ შემდეგი: ბავშვებს სჯერათ, როცა ისინი დიდები შეიქნებიან, დიდები, პირიქით, დაპატარავდებიან. და აუცილებლად მიაჩნიათ ასეთი ცვლილება ბა ასაკობაში; ყველა უნდა იყოს პატარა, შემდეგ დიდი, ან ჯერ დიდი და შემდეგ პატარა.

ბავშვების წარმოდგენილება სიკვდილის შესახებ ფრიად ბუნდოვანი და განუსაზღვრელია. ისინი ვერ იგნებენ სიკვდილის მარადისობას ისე, როგორც არ შეუძლიათ წარმოიდგინონ მათი ქვეყნად გაჩენის წინანდელი დრო.

და რამდენადაც მათთვის გაუგებარია ღმერთზე წარმოდგენილება, იმდენად ბუნდოვანია ყველაფერი, რაც გამოდის **ნამდვილ-განსაზღვრულის** ფარგლიდან, და ეს ხდის მათ არა მორწმუნედ.

ჟორჟ-ზანდი გვიამბობს „ჩემი ცხოვრების ისტორია“-ში—როცა მან მთელი ოჯახი ღრმა მწუხარებით და სევდით მოცული დაინახა მამის სიკვდილის გამო, გაკვირვებულმა მწუხარედ იკითხა:

— განა ის ყოველთვის მკვდარი იქნება?

პატარა ყმაწვილმა, რომელსაც უამბეს მისი პატარა მეგობრის სიკვდილი, იკითხა:

— როცა ჩვენ ლონდონში დავბრუნდებით, იგი ისევ მკვდარი იქნება?

ბავშვებს ვერას გზით ვერ შეუძლიათ გაიგონ, რომ ცაში წასვლა, როგორც ჩვენ ვამბობთ მათთან ლაპარაკის დროს, სულ ერთი არ იყოს, როგორც ლონდონში ან პარიზში წასვლა. პატარა ბავშვმა გაიგონა ერთხელ როგორ სწუხდნენ მისი მშობლები ერთი ნაცნობი ყმაწვი-

ლის სიკვდილის გამო და ფილოსოფიურად შენიშნა:

— დიახ, იგი ეხლა ცაშია; იქვე დაბერდება.

პატარა დამ, რომელსაც ძუძუ-მწოვარა ძმა მოუკვდა, ნაღვლიანად იკითხა:

— ეყოლება იქ ცაში ძიძაო?

მეორე პატარა ქალი მუდამ კითხულობდა, ხომ არ არის ცაში ორჭოლი ქარი, თორემ განსვენებული პაპა იქ გაცივდებაო.

ბავშვების ყველა წარმოდგენილებათაგან ფიზიოლოგიურ მოვლენათა შესახებ უფრო გასაოცარია მათი შეხედულობა ორგანიზმის ზოგიერთ დანიშნულებათა შესახებ, იმიტომ რომ მათ ყველაფერი პირდაპირ ესმისთ და მსჯელობენ მხოლოდ წმინდა გარეგან ანალოგიის მიხედვით.

გლეხის პატარა გოგოს ეგონა—საიდუმლოება აღმოვაჩინე—რა უნდა ქნან რომ ავად არ გახდნენ:

„არ უნდა დაწვნენ ლოგინში, რადგანაც იქ გვემართება ყოველგვარი ავადმყოფობაო“, სერიოზულად გამომიცხადა მან ერთხელ.

ბავშვები ხედვენ, რომ ავადმყოფებს ყოველთვის ლოგინში აწვენენ, იმათაც ასეთი დასკვნა გამოჰყავთ, რაკი ავადმყოფობა ლოგინში ჩაწოლით ხდება, მაშ უნდა ვიხმაროთ ცოტა ოსტატობა: ნუ ჩაწვები ლოგინში და ყოველთვის ჯანსაღად იქნები.

ერთ ქალაქელ ბავშვს, რომელიც მუდამ ქალაქში ცხოვრობდა, ეგონა, რძეს თეთრი ძროხები იწველიან და ყავას—შავი ძროხებით.

ამ შემთხვევაში ორ მოვლენათა ყოველთვის ერთმანეთთან დაკავშირების ასოციაციამ ლოგიკურად ხელი შეუშალა წარმოდგენილებათა ასოციაციებს მათი წარმოშობის შესახებ.

ერთს ოთხის წლის ბავშვს გული მუცელში ჩადებული საათი ეგონა, იმან წარმოიდგინა აგრეთვე, რომ თავში ღვიძლი და ტვინი აქვს. აქაც ასოციაცია ხდება:

ამ ბავშვს ხშირად ესმოდა, როცა მამა შეუკვეთდა რესტორანში ღვიძლსა და ტვინს, მანაც გადაწყვიტა—რაკი იმას თავში ტვინი აქვს, მაშასადამე ღვიძლიც იქვეა. აქ ბავშვის წარმოდგენილებაში ტვინი და ღვიძლი განუყრელია.

ერთს ხუთის წლის ყმაწვილს წარმოდგენილი ჰქონდა, რომ ძილს წამწამები ჰგვრიან.

ერთი პატარა ქალი გულუბრყვილოდ არწმუნებდა ყველას, რომ აზრი თავიდან პირში გამოდისო; აქ, ცხადად სჩანს ზოგიერთი ანალოგია პრიმიტიულ მხატვრობის ჩვეულებასთან, რომელნიც ხატვენ ადამიანებს, რომელთაც პირიდან ამოდისთ ლენტი ზედ წარწერით—თუ რას ამბობდა, ან ფიქრობდა ესა თუ ის პირი.

ამას გარდა ბავშვებს თავიანთი სუბიექტიური შთაბეჭდილება ხშირად გადაქვთ სხვებზედ. ცნობილია ბევრი სხვაც.

პატარა ბავშვებს ჰგონიათ თვალს რომ დახუჭვენ, სხვები იმათ ვერ ხედვენ.

VI

ბავშვების წარმოდგენილებათა დიმახასიათებელ თვისებას შეადგენს მათი არეულობა სულიერ და უსულო საგნებისა,—მისწრაფება გამოსახონ უსულო სულიერად. ჩემს პატარა ბავშვს მართლა ეგონა, რომ ორთქლ-მავალი და მატარებელი სულიერი არსება არისო, მორიდებით და პატივისცემით დაუწყებდა ლაპა-

რაკს. მხოლოდ ერთს აზრს, რომ ორთქლ-მავალს შეუძლიან გაიგოს ყველა მისი ჟინიანობის ამბავი, შეეძლო გადაჩვევა ეშმაკობისა და ჟინიანობისაგან. სიულლი იგონებს ერთს პატარა ქალს, რომელიც ნებას თხოულობდა მიეალერსებოდა ორთქლ-მავალის ლამაზს თავს და მიეცა მისთვის შაქრის კვერები.

მეორე პატარა ქალს ეგონა მისი სათამაშო კრკალი (სერსო) ცოცხალი არსებაა.

— იმას ჩემი ეყურება იქით მიგორავს, საითკენაც მინდა!

მეორეს ეგონა სავარძლის საჯდომი ცოცხალი არსებაა იმიტომ, რომ გრძნობდა და ხედავდა—როგორ ჩაიზნიქებოდა იგი დაჯდომის დროს.

ერთმა ბავშვმა დაინახა, როცა დედამ ბზრიალა დაატრიალა და აღტაცებულმა წამოიძახა: „მხეცი, მხეციო!“

ბევრს ბავშვებს ცეცხლი და წყალი ცოცხალ არსებათ მიაჩნიათ, როცა ხედავენ ალის თრთოლას და ესმისთ ტკაცანი ან წყლის შხუილი. ამ შემთხვევაში ცხადია, რომ მოძრაობა და ხმაურობა ბავშვებში აღძრავს სიცოცხლის ილიუზიებს. ზოგნი შეცდომაში შედიან ცხოველ არსებათა რომელიმე გარეგანის ანალოგიის (მსგავსების) გამო. ძნელი ასახსნელი არ არის თუ რად მიაჩნდა ერთს ყმაწვილს თავის ხის ცხენი და სათამაშოები სულიერ არსებად და მეორემ რად გადისროლა ფანჯარაში მიღებული ბრინჯაოს გველი ამ სიტყვებით: დეე, დაისვენოს ქვეზედ!“

ზოგჯერ ბავშვები სიცოცხლეს და ადამიანის მოქმედებას ისეთს საგნებსაც კი მიაწერენ, რომლებიც სრულიად მოკლებულია მოძრაობას და გარეგნულადაც ვერ გვაგონებენ ცხოველ არსებას.

ჩემმა პატარა ყმაწვილმა, რომელსაც აჩუქეს ერთი ყუთი თითბრის ჯარის კაცებით, ჯერ ამოაგალა ისინი, მაგრამ მაშინვე დამალა. არ გაცივდეს და სურდო არ შეეყაროსთო. იგივე, როცა ხილს მთხოვდა, ჩვეულებრივ სულ პატარა ვაშლებს არჩევდა და გვიხსნიდა, რომ ესენი ვაშლის შვილებიაო (fruits—bébé), ისეთი „ბებე“, როგორც თვითონ არის.

ერთი პატარა ქალი მუდამ ელაპარაკებოდა ყველა ცხსულო საგნებს, ეგონა უნდა ესმოდესთ ჩემი სიტყვებიო.

— კარო, გაიღე! რატომ არ იღები? რატომ ხარ ასეთ გაუგონარი? ყავადანო, სადა ხარ? დროა ცეცხლზე შესკუპდ. აბა მოიხარშე! ეხლავე, ეხლავე, ცოტა მოითმინე, წყალი ადუღდება და ჩამოგდგამ.

იმას ეგონა, რომ პატარა კენჭები დიდი ქვების შვილებია, ისინი ისე ზრუნავენ კენჭებზე, როგორც თავისი დედამასზედ.

მეორე პატარა ქალს Joanne igelou-ს ეგონა, რომ ქვასაც კაცის გრძნობა აქვს. იგი ძლიერ სწუხდა, ვითომ ქვები იტანჯებიან, რომ მოძრაობა არ შეუძლიათ და თვითონ ამოძრავებდა ე. ი. აქეთ იქით გადაჰქონდა.

ერთს ბავშვს ველი „ბალახების ქალაქად“ მიაჩნდა.

იმას ეგონა ღეროები ეს ცალკე პირებია, რომელნიც დასახლებულან ველად, როგორც ადამიანები სახლობენ ქალაქში.

მოხდენილი და მხატვრული სახეები, რომლითაც ბავშვები გამოხატავენ ხილულ საგნებს და მოვლენებს იმ მისწრაფების ძალით, რომ სული შთაბერონ ყველა არსებათ, აუარებელი და დაუსრულებელია.

გავიხსენოთ პატარა სენპიერის აღტაცება (ბოლოს „Harmonie de Nature-ს შესანიშნავი ავტორის), რომელმაც დაინახა მაღალი კოშკები და განცვიფრებით წამოიძახა: „ღმერთო ჩემო, როგორ მაღლა აფრენილან!“ გავიხსენოთ აგრეთვე სიტყვები პატარა ალფრ. მიუსესი, რომელიც ამაყობდა ახლად ნაჩუქარ წუღებით.

ჩქარა, ჩქარა, თორემ ჩემი ახალი წუღები დაბერდებიან.

ბავშვების ყველა ამ წარმოდგენილებათა და აზრთა წარმოშობის და ქვეყნიერ მოვლენათა საოცარი განმარტების კვალში ჩადგომა და ახსნა ძნელი არ არის. ბავშვი ბუნებრივად იჩენს ცნობისა და ცოდნის მოყვარეობას, მას აქვს მოთხოვნილება თვითონვე ახსნას და განმარტოს უფრო საოცარი მოვლენები, რაც მის გარშემო ხდება, ამასთან იმას უნდა, რომ ეს განმარტება, შეძლების და გვარად, სრული და დამაკმაყოფილებელი იყოს, მაგრამ ამისთვის არ უნდა ხარჯავდეს დიდს ძალას, რომ არ მოიქანცოს გონებით. ეს ახსნა უნდა იყოს სრულიად მარტივი, ადვილ გასაგები, მოკლებული მრავალ სიტყვებს, ფართო მსჯელობას, დახლართულობას, რასაც ბავშვი ვერას გზით ვერ შეიგნებს.

აქედან არის ეს თავისებური ახსნა-განმარტება, ეს საოცარი ასოციაციები, მსჯელობა, დაფუძნებული თავისუფალ ანალოგიაზე უფრო რთულ და არა ჩვეულებრივ მოვლენათა შესახებ; აქედანვე გამომდინარეობს სიმსუბუქე მსჯელობისა, რაც დაფუძნებულია ზერელე, წმინდა გარეგნულად გაზოგადებაზედ.

აი რატომ ადარებენ ისინი ერთმანეთს ვარსკვლავებს და ბრჭყვრიალა შუშებს, მთვარეს და ჰაერში მფრინავ ბურთს, აი რატომ ჰგონიათ გული საათად და რომ გაიზარდნენ საჭიროდ მიაჩნიათ ცოტა მიემატოს ხელ-ფეხს.

აი რატომ არის ბავშვის წარმოდგენილება ღმერთზე ასეთი ღარიბი, და ღმერთიც ხორცშესხმულად ჰყავს წარმოდგენილი და ანიჭებს მას ადამიანის ყოველგვარ სისუსტეს. აქედან არის წარმოდგენილებაც ზეციერ ცხოვრებაზე, რომელიც არაფრით განირჩევა ქვეყნიერ ცხოვრებიდან, რაც ბავშვის გარშემოა და რომლითაც თვითონ ცხოვრობს დედა-მიწაზე,—ღვთის მოსამსახურეებზე, ქალბატონ ღმერთზე (m-me Dieu)) და ორჭოლ ქარებზე ზეცაში.

რაც შეეხება უსულო საგნების და ქვეყნიერ მოვლენათა სულის შთაბერვას და ცოცხალ გამოსახულობას, ესეც გამომდინარეობს მეორე თვისებიდან.

არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ბავშვი ვერ არჩევდეს თავის თავს ქვისაგან ან ყავადანისაგან; ან ფიქრობდეს რომ კოშკს მართლა შეუძლიან ჰაერში, ცაში აფრენა. მაგრამ ბავშვში ბევრად სჭარბობს სიმპატია, რომელსაც უნდა დაერთოს სხვა საგანს და ისიც უხვად ჰფანტავს ამ სიმპატიას თვისს გარშემო. ბავშვი გატაცებულია ძმობისა და სიყვარულის გრძნობით ყველა მის გარშემო არსებულ საგნებთან და მოვლენასთან, და რომ უფრო დაიახლოვოს ისინი, შეუგუოს თავის ცნებებს, ის იმათ ამაღლებს, მიაწერს მათ თავის საკუთარს გრძნობებს, საკუთარს სახეს, აცოცხლებს თავის სიცოცხლით, ცდილობს ისინი მას დაემსგავსნენ, როგორც შეყვარებული, რომელიც თავის საყვარელში ხედავს სილამაზეს და მოხდენილობას, როცა სხვები მასში არაფერს შესამჩნევს არ ხედვენ.

ლ. ბოცვაძე.

პედაგოგიის ისტორია

დ—რ ვაიმერისა
(თარგმანი გერმანულიდან)

§ 13 რატიხიუსი.

გერმანიის დიდებულმა პედაგოგებმა მოგებას ეურადღება არ მიაქციეს; არ შეუშინდნენ მრავალჯერ იმედის გატრუებას და მთელი თვისი ძალა მოანდომეს ახალ პედაგოგიურ აზრების განხორციელებას. ჰოლშტინელი ვოლფგანგ რატიხიუსი (რატკე) (1571—1635) პირველი იყო მათ შორის. ჯერ კიდევ როსტოკში და ამსტერდამში, როცა სტუდენტად იყო, რატიხიუსი გულმოდგინეთ იკვლევდა პედაგოგიურ საკითხებს, მაგრამ რეფორმატორულმა აზრებმა ვერც ჰოლანდიაში და ვერც სხვაგან სადმე ვერ ჰპოვა საჭირო ნიადაგი, სანამ რატიხიუსმა არ წარუდგინა გერმანიის წოდებათა წარმომადგენლების სეიმს მოხსენებანი სწავლა-აღზრდის შესახებ. მთავრები გამოექომაგენ რეფორმატორს: ჰესსენ-დარმშტადტის ლონდგრაფმა ლუდვიგ მე-V-თემ უბრძანა პროფესორებს გელჰიგსა და იუნგს რატიხიუსის გეგმები გაეშინჯათ. პროფესორების პასუხი ისეთი სახეირო გამოდგა რატიხიუსისათვის, რომ ლანგრაფმა ნება დართო ჰელკიგსა და იუნგს რატიხიუსთან ერთად პრაქტიკულად გამოეცადათ აუგსბურგში ახალი სწავლის სისტემა. ეს იყო 1614 წ. აუგსბურგის ცდამ ტუდათ ჩაიარა რადგან, ერთის მხრით უთანხმოება სუფევდა რატიხიუსისა და თანამშრომელთა შორის, და მეორის მხრით სასულიერო წოდება მტრად გადაეკიდა ახალ საქმეს. მხოლოდ 1618 წელს ბევრის ძებნის შემდეგ რატიხიუსმა ჰპოვა ნამდვილი მფარველი: ეს იყო ანპალტ-კიოტენის მთავარი ლუდვიგი. რატიხიუსის გეგმით კიოტენში დაარსებულ იქმნა სკოლა და განსაკუთრებული სტამბა ახალი სახელმძღვანელოების დასამზადებლათ. თვით რატიხიუსი იძულებული იყო ახალი მასწავლებლები გაეწრთვნა. სასწავლებელი იყოფებოდა ორათ: გერმანულ და უფრო მაღალ სკოლებათ. ყოველ მათგანში სწავლა გრძელდება 3 წელი. უკანასკნელ განყოფილებაში უმთავრეს საგნებათ ითვლებოდა: ლათინური და ბერძნული; ებრაულისა და ფრანგულის სწავლა მოწაფის არჩევანზე იყო დამოკიდებული. ყოველ დღიურათ 4 გაკვეთილი იყო: დილას ორი და ნაშუადღევს ორი. გაკვეთილებთა შორის ერთი საათი დასვენება იყო შემოღებული. შაბათი განმეორებას ჰქონდა დათმობილი. განსაკუთრებულ ზედამხედველებს ჰქონდა მინდობილი წეს-რიგის დაცვა და მთელი საქმის გაძღოლა. სახელმძღვანელოებს ადგენდნენ რატიხიუსი და თანამშრომლები და მისდევდენ ერთის უწყებულს მეთოდს. სკოლის განვითარებას აქაც ბოლო მოუღო სამღვდელოებამ.

სკოლის გახსნის შემდეგ წელიწად ნახევარს არ გაუვლია, რომ ქედ-მოუხრელი და ფიცხი რეფორმატორი მეფის წინააღმდეგობისათვის ჯერ დიდის ხნით დაატუსაღეს და შემდეგ სამთავრიდან განაძევეს. მაგდებურგშიაც (1620—1622) სარწმუნოებრივმა უსიამოვნებამ დაურღვია რატიხიუსს იმედები. შვარცბურგელი გრაფის ქალი ანნა-სოფია ხელს უწყობდა რატიხიუსს უკიდურესს სიღარიბეში, ვაიმარის სასახლესთან მოლაპარაკებამაც უნაყოფოდ ჩაუარა რეფორმატორს. ამ უბედურს კაცს უკანასკნელი იმედიც გაუტრუვდა: მან ვერ მოახერხა ოქსენტურნის დახმარებით შვეიცარიაში განხორციელებია თვისი რეფორმატორული იდეები— დამბლამ იგი გამოაცალა ქვეყანას 1635 წელს.

რატიხიუსი თავის მეთოდს საიდუმლოთ ინახავდა. თავის სწავლის სისტემას წერილობით მხოლოდ მაშინ გამოთქვამდა, როცა იძულებული იყო. დედა აზრები სწავლის შესახებ, რომელნიც მისი ხელით არიან დაწერილნი, წარმოადგენენ მოკლე დებულებებს. აი უმთავრესი მათგანი: 1) ყველაფერი უნდა ეთანხმებოდეს ბუნების კანონებსა და მსგელლობას. 2) შეუძლებელია სხვა და სხვაობა ერთსა და იმავე დროს 3) ხშირი გამეორება ერთი და იგივესი 4) ყოველივე დაწყებისას დედა-ენაზე 5) ყველაფერი ძალა დაუტანებელათ (მასწავლებელი სატუსალოს ზედამხედველი კი არ არის!) 6) ზეპირათ (მექანიურად) არაფერი უნდა ისწავლებოდეს 7) შეთანხმება ყოველ დარგში (მეთოდისა, წეს-რიგისა და სახელმძღვანელოებისა შორის) 8) ჯერ თვით საგანი, მერმე საგნის კანონები (ე. ი. ენის შესწავლის დროს ჯერ უნდა წაკითხულიდან შეიგნოს მოწაფემ კანონი და მერმე თვით კანონი უნდა იქმნეს შესწავლილი) 9) ყველაფერი გამოცდითა და საგნის შესწავლით (ინდუქტიური მეთოდი).

ამ დედა-აზრებით ხელმძღვანელობდა რატიხიუსი კიოტენში. თვით მთავარმა ლუდვიგმა შეადგინა რატიხიუსის თანამშრომლობით სამოსწავლო გეგმა. როცა მოწაფეები შეისწავლიდენ, გერმანული განუოფილების სამს კლასში დაბადების კითხვას, წერას და გერმანულ გრამატიკას, მეოთხე კლასში მათ ხელი უნდა მიეყოთ ტიპიურ რომელ შწერლის ტერენტის თხზულებათა კითხვისთვის. მიზნის მოკლე განხილვას კომედიის შინაარსს და პირველი კომედიის (Andria) გერმანულათ წაკითხვას უნდა მოეშზადებინა მოწაფეები ტექსტის გაგებისათვის. მეორე გაკვეთილზე უნდა წაეკითხათ პირველი მოქმედება უკლებლად, მერმე გაემეორებინათ წინასიტყვაობა და პირველი გამოსვლა იმავე მოქმედებისა გერმანულად; ბოლოს კი უნდა ეთარგმნათ მხოლოდ აზრი ამ ნაწილისა. ასეთივე მეთოდი იყო მიღებული დანარჩენი გამოსვლებისა და მოქმედებისათვის. როცა ყველა კომედიებს ამგვარათ გადათარგმნიდენ. უნდა დაეწყოთ ხელმეორეთ თარგმნა. მაგრამ ეხლა კი „სიტყვა-სიტყვით". სიტყვა-სიტყვით თარგმნის საკმაოდ შეთვისების შემდეგ იწყებოდა მესამე სამუშაო ლათინური გრამატიკის შესასწავლად, ასე რომ მეოთხე წლის ბოლოს მოწაფეებმა უკვე იცოდენ ელემენტალური გრამატიკა და უმთავრესი სინტაქსიური კანონები. მეხუთე წელს გრამატიკას უფრო ფართოდ შეისწავლიდენ ხოლმე ტექსტის მიხედვით. ამ დროამდე მთელი შრომა მასწავლებელს აწვებოდა, მოწაფეთაგან კი მოითხოვდენ „ბითაგორეულ სიჩუმეს". საშინაო მუშაობაც კი აღკრძალული იყო მათთვის.

სამოსწავლო გეგმა მხოლოდ მეხუთე კლასის შეკირდებს აძლევდა ნებას გადათარგმილი გაკვეთილი სახლში ქაღალდზე დაეწერათ, და გერმანულიდან ხელმეორედ ლათინურათ გადათარგმნით შეჩვევოდენ ლათინურის ხმარებას. კიოტინის გეგმა ასეთსავე მეთოდს ხმარობდა ბერძნულის შესასწავლად. მეექვსე კლასში სახელმძღვანელოდ მიღებულ იყო ახალი აღთქმა. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ საშინაო მუშაობა უფრო ფართოდ და უფრო ვრცლად იყო მიღებული.

საიდუმლოებამ და კვეხნამ, რომლითაც რატიხიუსი დაპარაკობდა თავის რეფორმატორულ აზრების შესახებ, უბედობამ, რომელიც ოთვალ პრაქტიკულ საქმეში ოან დასდევდა ამ დაუდგრომელ, ამაყ, და ცხოვრებასთან შეურიგებულ პედაგოგს, მოუხვეჭეს მას მატეუარ ოინბაზის სახელი. ასე იყო თუ ისე რატიხიუსი პირველი წინადადგა საუკუნოებით მიღებულს „მეხსიერების" მეთოდს და გვაჩვენა, რომ მასწავლებლობა ხელოვნებაა, რომელსაც შესწავლა სჭირდება და რომლის წეს-რიგს შეთვისება სჭირია. ჭეიძლება რა-

ტიხიუსის რწმენა მისი მეთოდის შეუცდომლობის წინაშე და ზოგიერთი პედაგოგიური დებულებანი (მუდმივ ერთის და იმავე ავტორის შესწავლა; „პითაგორეული სიჩუმე“ მოწაფეებისა; წინად განზრახული დათრგუნვა მოწაფეთა თვისებისა; გათიშვა გაწრთვნისა (აღზრდისა) და სწავლებისა სკოლაში უკუვაგდოთ; ეოველ შემთხვევაში უარს ვერ ვიტეგით, რომ რატიხიუსმა პედაგოგიკა გაამდიდრა მრავალ მართლაც სასარგებლო აზრით. მოთხოვნა, რომ ეოველი ენის გრამატიკა შესწავლილი იქმნეს დედა ენის დახმარებით; რომ მთლიანობა, თანდათანობა იქმნეს დაცული, როგორც სახელმძღვანელოებში ისე სამოსწავლო გეგმაში; ინდუქტიურის მეთოდის, როგორც ბუნებასთან შეთანხმებულის მეთოდის შემოღება; გრამატიკული კანონის დამყარება საგულისხმიერო ცოცხალ ვარჯიშობაზე; უარეოფა ეოველივე ძალდატანებისა სწავლის საქმეში;—ეი სიმდიდრე, რომელიც რატიხიუსმა პედაგოგიკას შესძინა და რომელსაც მის შემდეგ პედაგოგიკა ვეღარ დასთმობდა.

ნ. ლორთქიფანიძე.

კარგი მასწავლებელი

(ანასტასიევისა)

სპეციალური პედაგოგიური მომზადება.

მასწავლებლისთვის მარტო საზოგადო განათლება არ კმარა,—მისთვის აუცილებლად საჭიროა სწავლების ცოდნაც, მოწაფისათვის ცოდნის გადაცემა, მოწაფის საგნით დაინტერესება და აღძვრა თვით-მოქმედების სურვილისა. ეს არც ისე ადვილია, როგორც შეიძლება ზოგჯერ ეჩვენოს ვისმე. სწავლების ხელოვნება შეიძინება უწინარეს ყოვლისა სპეციალურ-პედაგოგიურის მომზადებით განსაკუთრებულ სასწავლებლებში. ყოველი პროფესია ნაყოფიერ მუშაობისათვის ითხოვს სპეციალურ ცოდნას. ხელოსანს, ფერშალს, ექიმს, ოფიცერს, ვექილს არცერთს მათგანს არ შეუძლია თავის მოვალეობის ხეირიანად შესრულება, თუ მას მიღებული არ აქვს საკმარისი წინასწარი მომზადება. მით უმეტეს ეს მომზადება აუცილებელია სამასწავლებლო კანდიდატებისათვის, რადგან ფიზიკურად, გონებრივად და ზნეობრივად აღზრდა მოწაფისა, რომელიც შეადგენს მათ მოღვაწეობის საგანს, არის ერთი ურთულესი და უძნელესი პროფესიათაგანი. მხოლოდ მასწავლებლების უმცირესობაა დაჯილდოვებული ბუნებისაგან ბედნიერის ნიჭით, რომ შეუძლიათ სხვისი სწავლება, უმეტესობა კი იძენს მას სპეციალური განათლებით და ხანგრძლივ პრაქტიკულ ვარჯიშობით. როგორც ერთისთვის, ისე მეორისთვისაც სასარგებლოა და თითქმის აუცილებელიც განსაკუთრებული მომზადება, რომელსაც იძლევიან სამასწავლებლო სკოლები, სემინარიები და ინსტიტუტები. აქ, ერთის მხრით, სამასწავლებლო საგნების თეორიულად შესწავლის მეოხებით, მეორეს მხრით უფრო კი სამაგალითო სკოლაში გამოცდილ მასწავლებლების სამაგალითო გაკვეთილების ზეგავლენით, აგრეთვე საკუთარი გამოცდილებით, რასაც იძენენ მუდმივი და კომპეტენტური ხელმძღვანელობით, სამასწავლებლო კანდიდატები იძენენ ბევრს რასმე, რაც შეეხება: მოწაფის სულიერი ბუნების გაგებას, სწავლების თანდათანობით, გასაგებად, თვალსაჩინოდ და მარტივად მოწყობას. აქ, ამ სპეციალურ-პედაგოგიურ სასწავლებლებიდან გამოდიან ძვირფასი

თავდებები იმ სულიერ განწყობილებისა, რომლის დამახასიათებელია: სულით და გულით აღზრდის საქმის შეყვარება, მუდამ მზად ყოფნა მის ერთგულებაში, სურვილის უქონლობა ამ პროფესიის სხვა რომელსამე, თუნდა უფრო მომხიბლავ, პროფესიაზე გადაცვლისა და მუდმივი ინტერესის დაჭერა პედაგოგის თეორიულ და პრაქტიკულ საქმესთან. ასეთ ხელის შემწყობ პირობების მაგიერობას ვერასოდეს ვერ იზამს ვერც ბუნებრივი ნიჭი მასწავლებლობისა, ვერც მარტო თეორიულად მომზადება, ვერც მარტო პირადი, თუნდაც ხანგრძლივი, მასწავლებლის გამოცდილება, ვერც მით უმეტეს, წიგნით გაცნობა პედაგოგიკისა. აღზრდა, ვიდრე სხვა რომელიმე ხელობა, არის უფრო ცოცხალი საქმე, რომელიც მუდამ ითხოვს ყველა პედაგოგიურ-თეორიების საშუალებად გამოყენებას და ამიტომ ძალიან ძნელიც იმათთვის, ვისაც არ უვარჯიშნია ამ თეორიების ხმარებაში და ვინც მიჩვეულია ერთგვარ შაბლონურ სწავლებას. პედაგოგიურს ასპარეზზედ თეორია და პრაქტიკა, სიტყვა და საქმე არამც თუ ერთი მეორეს მისდევს არამედ ერთი მეორეს ხელს უწყობს და აძლიერებს კიდეც; ცოდნა და გამოცდილება ამ პროფესიაში განუყოფელი არიან, თუმცა მუდამ უნდა გვახსოვდეს სენეკას ძვირფასი სიტყვები: „მოკლეა და ჭეშმარიტი მაგალითის გზა, გრძელია გზა წესებისა“.

რაც უნდა საფუძვლიანი მომზადება ჰქონდეს მასწავლებელს, ის მაინც უსათუოდ უნდა ემზადებოდეს ყველა გაკვეთილისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ეს აუცილებელია სწავლების ნაყოფიერად წარმოებისთვის, სამწუხაროდ, მასწავლებლების უმეტესობა არ აძლევს ამას შესაფერ მნიშვნელობას; ზოგი მასწავლებელი არ ემზადება გაკვეთილისთვის, რადგან თავისის თავის დიდი იმედი აქვს, ზოგს — საქმის ნაკლები სიყვარული აქვს და ზოგიც უბრალო დაუდევრობას სჩადის. ამასობაში კი წინასწარ-მოუმზადებლად არამც თუ ძნელია, ბევრს შემთხვევებში სრულიად შეუძლებელიც და სრულიად მიუწვდომელიც საინტერესო, მიზან-შესაფერისი და თანდათანობითი გაკვეთილის მიცემა. როდესაც მასწავლებელი ემზადება გაკვეთილისთვის, მან უსათუოდ უნდა განუმარტოს თავის თავს შემდეგი სამი კითხვა: ა) რა უნდა ასწავლოს მან, ე. ი. ყოველ მხრივ ცხადია თვითონ მისთვის ის საგანი, რომელიც უნდა გადაცეს თუ არა, ბ) როგორ უნდა ასწავლოს ე. ი. როგორი საშუალებით, როგორი ხერხით და და ზომებით შეუმსუბუქოს ბავშვებს გაკვეთილის შეთვისება, ვ) როგორი სავარჯიშოები დაუნიშნოს, რომ უფრო კარგად დაიხსოვნონ იგი.

ნათქვამიდან ცხადად სჩანს, რომ გაკვეთილისთვის მომზადების დროს უსათუოდ უნდა გაარჩიო, პირველად, სასწავლო მასალა და მეორედ, გადაცემის მეთოდი. ძალიან კარგია წინდაწინვე წერილობით შედგენა გაკვეთილის კონსპექტისა ე. ი. წინდაწინვე ამოწერა, თუ გინდ მოკლედ, მის უმთავრეს დებულებისა. სწავლება რომ ნაყოფიერად მიდიოდეს, მასწავლებელმა უნდა ჩაურთოს მას საჭირო ხალისი; მაშასადამე, მან უნდა მოიფიქროს გაკვეთილის წინ, როგორ შეიძლება ამ ხალისის აღძრვა მოწაფეებში, რითი შეიძლება მისი შეკავება, შენარჩუნება და როგორ პირობებში უფრო გაძლიერებულია მოწაფეთა ხალისი სასწავლო საგნისადმი.

ბეს. ღამბაშიძე.

ვილიამ ჯემსი

საუბრები ფსიხოლოგიაზე

I

ფსიხოლოგია და სწავლება

უკვლა იმ მისწრაფებათა შორის, რომელ-ნიც მიმართული არიან უმაღლეს, იდეალურ მიზანთა მისაღწევად, მგონი არც ერთი არ გვიქადის უკეთეს ნაყოფიერებას, ვიდრე ის, რამაც აგერ რამდენიმე წელიწადია იჩინა თავი მასწავლებლებში. მიუხედავად იმისა, თუ სწავლა-აღზრდის რომელ კერძო დარგს ემსახურებიან ისინი, ჩვენ ვამჩნევთ მათ შორის ფრიად გასაოცარ მოთხოვნილებას თავიანთ მოწოდების უმაღლეს მიზანთა კამორკვევისა და გათვალისწინებისას.

ხალხთა განახლება პირველ ოთხლისა იწ-ყება მოაზროვნე მოქალაქეთა შორის და აქ-და ნაკადი განახლებისა ეფინება ქვემოთკენ. ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი სამ-შობლოს მასწავლებლებს ხელთ უჭირავთ ჩვენი ქვეყნის მომავლის დროშა. სერიოზობა, რომელსაც ისინი იჩენენ თვით განვითარების და, სასოგადოთ, თავიანთ სულიერ ძალთა განმტკიცების საქმეში, მაჩვენებელია იმისა, რომ ამერიკის ხალხი მტკიცე, შეურეველი ნაბიჯით ივლის წინმსვლელობის გზაზე.

აღზრდის საქმის გარეგნული ორგანიზაცია შესაძლოა უფრო კარგად იყოს დაუნებული შეერთებულ შტატებში, ვიდრე სხვაგან სად-მე. სახელმწიფოებრივი სწავლების სისტემა არსად არ იძლევა იმოდენა სხვა-და-სხვაობას, ცდისა და, თუ გნებავთ, შეგულიანების ნებას სწავლების საქმეში, რამდენსაც ჩვენში. ჩვენი უნივერსიტეტები და კოლეჯები დამოუკიდე-ბელი არიან, მათში ადგილი აქვს მხოლოდ ერთმანეთისათვის სამაგალითო მოქმედებას და, რაც ფრიად საბედნიეროა, მათსა და და-ბალ სასწავლებელთა შორის არსებობს მტკი-ცე, ორგანიული კავშირი. სწავლების ჩვეულებ-რივი მეთოდი, რომელიც განვითარდა ძველი ამერიკული მეთოდისაგან, ერთის მხრით მო-კლებულია დექციური მეთოდის ნაკლს (კავ-რცელებულია კერმანიასა და შეტლანდაში; ამ მეთოდით სწავლების დროს თითქმის არავი-თარ ეურადღებას არ აქცევენ მსმენელთა ინ-დივიდუალურ თვისებებს), მეორე მხრით— იგი თავისუფალია ინგლისური სისტემის ნაკ-ლისაგან, რომელიც, მგონი, ახასიათებს, რომ მასწავლებლის პიროვნება მსხვერპლად შეეწიროს თითოეული მოსწავლის პიროვნებას. ბოლოს ქალ-ვაჟთა ერთად სწავლება, რომლის კეთილნაყოფიერებაში თითოეული ჩვენგანი გულწრფელად დარწმუნებულია,—ეკვლა ეს ისეთი სასიხარულო მოვლენებია ჩვენი სკო-ლის ცხოვრებაში, რომ ნებას გვაძლევს დი-დის იმედით შევეურებდეთ მომავალს.

ასეთი ჩინებული ორგანიზაცია გვაქვს ხელთ და ჩვენი ვალია, გავანაყოფიეროთ ის ღირსეული და მცოდნე პირებით; მოვიწვიოთ მაღალ-გონიერი ადამიანები, რომელნიც მთელს თავიანთ ძალ-ღონეს ამ ორგანიზაციის საკე-თილდღეოთ შესწირავენ და, აი, მაშინ, რამ-დენიმე თაობის შემდეგ, ამერიკა შესძლებს ხელმძღვანელობა გაუწიოს მთელი ქვეყნის აღზრდის საქმეს. უნდა აღვიარო, რომ არა მცირედი რწმენით მოვედი იმ დღეს, როდე-საც ეოველივე ეს ფაქტი იქნება.

პედაგოგიურ წრეებში არსებულ მოძრაობით

*) ვილიამ ჯემსი ცნობილი ამერიკელი ფსი-ხოლოგი და პროფესორია. 1892 წ. ჰასვარდის და ივერსიტეტის წინადადებით მან ეს საუბრები გაუმართა კემბრიჯის სახალხო მასწავლებლებს.

მგონი არავის არ უსარგებლია იმ ზომად, როგორც ჩვენ—ფსიხოლოგებმა. სახალხო მასწავლებლების ძალიერი მისწრაფება თვით განვითარებისა და თავიანთ მოწოდების უფრო ნათლად გამორკვევისადმი აიძულებდა მათ ხშირათ მოემართნათ ჩვენთვის მათი მოდვაწეობის ძირითად პრინციპების განსამარტებლად. თქვენც ჩემგან ისეთ ცნობებს მოელით ადამიანის სულის ვითარების შესახებ, რომელიც მოგცემთ საშუალებას უფრო ნაკლების და გონივრულის შრომით უკეთეს ნაყოფიერებას და სასურველ შედეგს მიაღწიოთ.

რასაკვირველია, მე სრულებით უარს არ ვეუფ, რომ ფსიხოლოგიას შეუძლია მსგავსი იმედები აღძრას ადამიანის გულში. დიად, ფსიხოლოგიამ უეჭველი და არსებითი დამხმარება უნდა გაუწიოს მასწავლებლებს. მაგრამ წინ და წინვე უნდა ადვიარო, რომ ბევრს გადამეტებული წარმოდგენა აქვს ფსიხოლოგიის შესახებ და ეს სწორედ იმიტომ, რომ ამ ბოლო დროს ჩვენში ძალიან ბევრსა სწერდენ და გასძახოდენ ამ საგნის შესახებ. შეიქმნა რადაც „ახალი ფსიხოლოგია“, და აი, თქვენც შესტოპეთ ამ მეცნიერების შესახებ ცალიერ სიტყვათა მორეკვში, მიიღეთ აუარება ტრუ პასუხი და არა ნამდვილი ცოდნა. იქ, სადაც მოწაფეები ჯერ იმდენათ განვითარებული არ არიან, რომ კრიტიკულათ შეხედონ ყოველივე იმას, რასაც მათ ეუბნებიან, იქ, ვამბობ, ძალიან ადვილათ მოხდება, რომ მათი ხელმძღვანელნი თითონ აცდებიან სინამდვილეს და დაკარგავენ ზომიერებასაც. მე ვფიქრობ, რომ სახალხო სკოლების მასწავლებლებსაც აქვთ რაიმე ნაკლი, და ეს ნაკლი პირველ ყოვლისა მდგომარეობს იმაში, რომ ისინი უფრო ადვილათ მიმყოლნი არიან.

რაც შეეხება ფსიხოლოგიას, ჩემის რწმენით, „ახალი“ ფსიხოლოგია, როგორც მეცნიერება, არ არსებობს. არის მხოლოდ ძველი ფსიხოლოგია, ლოკის დროს განმარტებული, და შევსებული ტვინის და გრძნობათა ორგანოების ფიზიოლოგიურ კანონებით და, აგრეთვე, ევოლიუციონურ იეორიის ზოგიერთა განმარტების მიხედვით. მართალია, თვით-დაკვირვების დარგში შეტანილია ზოგიერთა გაუმჯობესებანი, მაგრამ ეს მასწავლებლის მიზნისთვის მაგრე რიგათ გამოსადეგი არაა. მასწავლებლისთვის გაცილებით მეტი დირებულება აქვს ე. წ. ფსიხოლოგიის ძირითად ელემენტებს. ვიტყვი აგრეთვე, რომ ღრმათ შეშფოთარი იქნებით, თუ იფიქრებთ, რომ ფსიხოლოგიიდან, როგორც ადამიანის სულიერ ცხოვრების მეცნიერებიდან, თქვენ გამოიყვანთ განსაზღვრულ პროგრამებს, ან სწავლების მეთოდებს. ფსიხოლოგია მეცნიერებაა, სწავლება კი—ხელოვნება. მეცნიერებანი პირდაპირ არასოდეს არ წარმოშობენ ხელოვნებათ: აქ საჭიროა მახვილი გონება, რომელიც, თავის ორიგინალობის წყალობით, პრაქტიკულათ გამოიყენებს მეცნიერების შენაძენს.

ლოდიკას ჯერ არავისთვის უსწავლებია სწორათ აზროვნება, არც ეთიკას—კარგი ყოფა-ქცევა. ამ გვარ მეცნიერებათ შეუძლიათ მხოლოდ დახმარება აღმოგვიჩინონ ჩვენსავე დაჯერაში და შეგვაყენონ, როდესაც ჩვენ მზათ ვართ რაიმე ცუდი ჩავიდინოთ, ან ტრუ დასკვნა გამოვიყვანოთ. რომელიმე მოვლენისაგან; მათ შეუძლიათ აგრეთვე ყოფრო ნათელ ჰყონ ჩვენივე თვით კრიტიკა, როცა რაიმე შეცთომა ჩავიდინეთ. მეცნიერება უჩვენებს საზღვრებს, რაშიაც უნდა ტრიალებდეს ხელოვნება. და კანონებს, რომელიც უნდა დაიცვას მან, ვინც ხელოვნებას ემსახურება. თუ როგორ უნდა მოვიქცეთ თითოეულ კერძო შემთხვევაში, ეს დამოკიდებულია თვით პიროვნებისაგან: ერთი მშვენიერ შედეგს მიაღწევს ამ გზით, მეორე—არა ნაკლებს სულ სხვა გზით. საქმე მხოლოდ იმაშია, რომ არც ერთი არ გადასცდეს ნაჩვენებ საზღვარს.

სწავლება ვითარდებოდა საკლასო ოთახში მასწავლებლის კამჯრიახობისა და მისი მხურვალე დაკვირვების წყალობით. იმ შემთხვევებშიაც კი, როდესაც ესა თუ ის ადამიანი ხელს უწყობდა ხელოვნების განვითარებას და ამავე დროს თვით ფსიხოლოგიც იყო, (ასეთი იყო, მაგ., ჰერბარტი), პედაგოგია და ფსიხოლოგია სწორათ მიდიოდენ და პირველი არასოდეს არ კამოდინარეობდა მეორისაგან.— ორივე სწორ მნიშვნელოვანი იყო და არც ერთი არ იყო დამოკიდებული. სწორეთ ამ რიგადვე უნდა იყოს შეთანხმებული ფსიხოლოგია და სწავლება. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, ვითომც რომელიმე წესი სწავლებისა მარტო და მხოლოდ იყოს ამ რიგად შეთანხმებული, ვინაიდან სწავლების მრავალი სხვა წესებიც შესაძლოა შეთანხმებულ იქმნას ფსიხოლოგიის კანონებთან.

ამიტომ—თუ ვისმე შესწავლილი აქვს ფსიხოლოგია, ეს იმას კიდევ არ ნიშნავს, რომ ის კარგი მასწავლებელიცაა. რომ კარგი მასწავლებელი გახდე, საჭიროა განსაკუთრებული ნიჭი, ტაქტი და მომენტის ადგილს ადება, ე. ი. თქმა და ქმნა იმისა, რაც საჭიროა სწავლების ამა თუ იმ მომენტში.

ფსიხოლოგია და მასზე დაფუძნებული საზოგადო პედაგოგიკა ძალიან მოგვაგონებს სამხედრო მეცნიერებას—სტრატეგიას. აქაც და იქაც ძირითადი პრინციპები ძალიან მარტივი და განსაზღვრულია. ომში, პირველ ეოვლისა, საჭიროა მტერი ისეთ მდგომარეობაში ჩაუყენო, საიდანაც მას—ბუნებრივათ—გასავალი აღარ ჰქონდეს. შემდეგ მიესიო უმეტესი ძალით სწორეთ იმ დროს, როდესაც ამას არ მოელის, და, ბოლოს, თავის საკუთარ ძალა ნაკლები გაშლით შემუსრო და დაატეხეო ნაშთი. სწორეთ ასევე—სწავლების დროს თქვენ უნდა აღძრათ მოსწავლეში ისეთი ძლიერი ინტერესი იმისადმი, რაც თქვენ გსურთ მას გადასცეთ, რომ ვერც ერთმა სხვა საგანმა ვერ მიიპყრას იმის ყურადღება. შემდეგ განმარტეთ თქვენი საგანი ისეთ ნაირათ, რომ ის ერთხელ და სამუდამოთ აღიბეჭდოს მის გონებაში; ბოლოს ჩაუნერგეთ მოწაფეს ძლიერი სურვილი იმის გაგებისა, თუ რაა შესაძლო გამომდინარეობდეს ამა თუ იმ საგნიდან. ეს პრინციპები იმდენათ მარტივია, რომ გეჩვენებათ, ვითომ ისინი, ვინც ეს შეიგნო, ყოველ წამს გამარჯვებას განიცდიან, როგორც ბრძოლის ველზე, ისე საკლასო ოთახებში. მაგრამ როგორც ამ, ისე იმ შემთხვევაში, სახეში უნდა ვიქონიოთ ერთი დიდი გარემოება: **სული მოწინააღმდეგისა.** თქვენი მოწინააღმდეგის—მოწაფის სული იმავე ნაირათ ცდილობს ჩაანელოს ყველა თქვენი დოხისძიებანი, როგორც სული მტრის მხედართმთავრისა ცთილობს ჩაფუშოს რომელიმე მეცნიერულად განბრძნობილ გენერლის გეგმა. იმის გაგება, თუ რას ფიქრობს და რა სურს მტერს, რა იცის მან და რა არა,—ეს მასწავლებლისთვისაც ისე საძნელოა, როგორც სარდლისთვის. აქ ჩვენ ვერ გვიშველის ვერც ფსიხოლოგიური პედაგოგიკა, ვერც თეორიული სტრატეგია, არამედ—კამჯრიახობა და დაკვირვება.

თუმცა ის სარგებლობა, რომელიც შეუძლია მოგვიტანოს ფსიხოლოგიამ, ამ შემთხვევაში უფრო უარეოფითია, ვიდრე დადებითი, მაგრამ აქედან კიდევ ის არ გამოდის, რომ ამ ცოდნას ფრიად თვალსაჩინო სარგებლობის მოტანაც არ შეუძლია. მაგ., ეჭვს გარეშეა, რომ ფსიხოლოგიის ცოდნის წყალობით, ძალიან ვიწროდება ყოველგვარ ექსპერიმენტთა და ცდის ფარგალი. ფსიხოლოგმა წინ-და-წინ იცის, რომ ესა და ეს მეთოდი მრუდეა და ამიტომ ყოველთვის შეუძლია გვერდი აუხვიოს შეცდომას. ფსიხოლოგია გვშველის—აგრეთვე—უკეთ გავიგოთ ის, რის შესრულებაც გვწადიან. ჩვენ უფრო მაშინ ვენდობით ამა თუ იმ მეთოდს, როდესაც ვიცით, რომ ეს მეთო-

დი არა თუ პრაქტიკულად განსახორციელებელი და გამოსადეგია, არამედ—თეორიულადაც სისწორეს წარმოადგენს. მაგრამ ყველაზედ უფრო საჭირველი ისაა, რომ—ამ რიგად—ჩვენ უფრო დამოუკიდებელნი ვხდებით, ჩვენი ინტერესი უფრო ცხოველდება, როდესაც საგანს ორი სხვა და სხვა მხრით შევეხებით და საშუალება გვეძლევა შივიღოთ ახალგაზრდა ორგანიზმის, ასე ვთქვათ, სტერეოსკოპიული გამოსახულება; და როდესაც ჩვენ მასზე ვცდით ჩვენს გამჭრიახობას, ტაქტს,—იმავე დროს ნათლად წარმოვიდგენთ ფრიად საინტერესო შინაგან ელემენტებს მისი, სულიერი მექანიზმისას. მოწაფის ამ რიგად გაცნობა, დაფუძნებული ინტუიციასა (სულიერ, შინაგან ძალთა განჭვრეტა) და ანალიზზე, უნდა შეადგენდეს თითოეული მასწავლებლის მისწრაფებას.

საბედნიეროთ, მასწავლებელთათვის ძნელი არ არის მოწაფის სულიერი მექანიზმის ელემენტების და მათი მოქმედების გაცნობა. რადგანაც ზოგადი ელემენტები და პროცესები შეადგენენ ფსიხოლოგიის სწორეთ იმ ნაწილს, რომლითაც მასწავლებელს დამოუკიდებლად, პირ-და-პირ შეუძლია სარგებლობა, ამიტომ აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ უსაჭიროეს ცნობებს ფსიხოლოგიიდან თითოეული მასწავლებელი მაინც და მაინც ვალდებული არ არის ძლიერ ვრცლად იცნობდეს. ვისაც სურვილი აქვს, ის საგანს ეოველთვის შეისწავლის და ამით ის—როგორც მასწავლებელი—არაფერს დაკარგავს, რასაკვირველია; თუმცა, შესაძლოა, ზოგიერთმა კი დაკარგოს საჭირო სწორ-ზომიერება, ვინაიდან ჩვენ ხშირათ სრულიად უადგილოდ ვაზვიადებთ ამა თუ იმ საგნის იმ მხარეს, რომელსაც უფრო გაუტაცნიეართ და თეორიულადაც შეგვისწავლია.

როგორც მასწავლებლებისათვის, თქვენთვის უფრო ნაკლებ საყვალებულოა წმინდა ფსიხოლოგიურ საკითხთა კარგვევა ან საპასუხისმგებლო მასალის შეკრება ფსიხოლოგიურ დაკვირვებათაგან. მე ვშიშობ, რომ ზოგიერთნი, გატაცებულნი უმაწვილის ბუნების შესწავლით, ზედმეტ შრომას კაკისრებენ თქვენ ამ შემთხვევაში. დეე უმაწვილობის შესწავლა წინ წავიდეს: ეს მოგვცემს ჩვენ უფრო საკ შეხედულებას უმაწვილის ცხოვრების შესახებ. არიან მასწავლებლები, რომელთაც განსაკუთრებულ სიამოვნებასა გვრის დღიურები, დაკვირვებათა შეკრება და პროცენტების გამოანგარიშება ამ გზით მიღებულ სტატისტიკურ ცხრილებიდან. ეჭვი არაა, რომ ასეთი დღიურების და დაკვირვების წაკითხვით ჩვენ უმეოესათ გავეცნობით ჩვენს შეგირდებს. ჩვენი თვალი და ყური მიეჩვევა და უფრო ადვილათ გამოიცნობს თითოეულ ბავშვში იმ პროცესებს, რომელნიც აღნიშნული გვექნება. მაგრამ, გაფიცებთ, ნუ აწუხებთ მასწავლებლების უმრავლესობას და გაათავისუფლეთ ისინი ამ შრომაში მონაწილეობისაგან. ნუ გამოვაცხადებთ უმაწვილის ბუნების შესწავლას სავალდებულოთ და ნუ დავაკისრებთ იმათ, ვინც არ გრძნობს არავითარ მისწრაფებას ასეთი შრომისადმი. მე ამ შემთხვევაში სრულებით ვეთანხმები პროფეს. მუნსტერბერგს, რომელიც ამბობს, რომ მასწავლებლის დამოკიდებულება უმაწვილთან პირ და პირ წინააღმდეგია ფსიხოლოგის დამოკიდებულებისა, ვინაიდან პირველი ემსახურება პრაქტიკულ ეთიკურ მიზნებს, მეორის მიზანი კი თეორია და ანალიზია.

იმაზე უარესი არა არის რა, როდესაც კარგი მასწავლებელი ცუდ ფსიხოლოგად გრძნობს თავს. ჩვენი მასწავლებლები უმისოთაც დატვირთულნი არიან. ვინც იოტის ოდენს ზედმეტს და ამსთანავე არა პირ და პირ საქმეს აკისრებს მათ, ის მტერია სწავლა-აღზრდისა. დაუწუნარებელი სინიდისი კიდევ უფრო ამძიმებს ეოველივე ტვირთს. მე ვიცი, რომ უმაწვილის სულის შესწავლამ და მსგავს ფსი-

ხოლოგიურ მოთხოვნების წამოყენებამ არა ერთსა და ორ ჩინებულ ბედაგოგს დაურღვია სულიერი სიმშვიდე. ყველაზედ უკეთესი მასწავლებელი ხშირათ ძლიერ სუსტი მუშაა უმაწვილის სულის შესწავლის საქმეში და, პირიქით, იშვიათ ნაუოფიერ მასალას უმაწვილის ფსიხოლოგიისათვის იძლევა ხშირათ ფრიად სუსტი მასწავლებელი. ეს ყველასათვის ცხადზე ცხადია.

ზემო ნათქვამი საკმარისათ მიმაჩნია, რომ საზოგადოთ დამეხასიათებია ის მდგომარეობა, რომელშიაც ჩაყენებულ უნდა იქმნას მასწავლებელი ფსიხოლოგიურ საკითხთა გამო, გადავიდეთ ამ საკითხზე.

II

შემეცნების ნაკადი.

ზევით მე აღვნიშნე, რომ ცნობანი შემეცნების ზოგად ელემენტებსა და ფუნქციებზე—აი, რაა უუსაკირესი თითოეული მასწავლებლებისთვის თავის მიზნების განსახორციელებლად.

უნდა ვთქვათ, რომ მოვლენა, რომელსაც პირველ ყოვლისა იკვლევს ფსიხოლოგია, ზოგადი მოვლენაა. იგი მდგომარეობს იმაში, რომ თითოეულ ჩვენგანში მდგიძარების (ხშირათ ძილის დროსაც) დროს ხდება რომელიმე შეგნებული პროცესი. ჩვენში მიმდინარეობს შემეცნების სხვა და სხვა გვარი ნაკადი,—გრძნობის, სურვილის ფიქრის და სხ., რომელნიც ერთმანეთს მოსდევენ, როგორც ტალღები. ამ განუწყვეტელად ერთი-მეორეზე მიმავალ მოვლენათაგან შესდგება ჩვენი შინაგანი ცხოვრება, ამ ნაკადის არსებობა არის უმთავრესი ფაქტი, რომელსაც აღნიშნავს ჩვენი მეცნიერება. მისი ბუნება და წარმოშობა—აი, უმთავრესი საკითხები ამისა. როდესაც ჩვენ ვცდილობთ კლასიფიკაცია ვუყოთ შემეცნების ამ ტალღებს, ავწეროთ მათი სხვა და სხვა თვისებანი, დავშალოთ მათი შეცულობა ელემენტებათ ან გამოვარკვიოთ მათი ჩვეულებრივი თანდათანობა, მაშინ ჩვენ ვახდენთ ანალიზს. როდესაც ვკითხულობთ, თუ სიდან გაჩნდა ასეთი მოვლენანი, რატომ ისინი სწორეთ ამ გვარნი არიან და არა ისეთნი—მაშინ ჩვენ გადავდივართ მათს განმარტებაზე.

ამ შემთხვევაში დავტოვოთ კითხვები, რომელნიც ეხებიან ამ მოვლენათა განმარტებას. უნდა აღვიარო, რომ შემეცნების ამ ერთი მეორეზე მომდევნო ტალღებისა და მათი ამ გვარი შეცვლების, შინაგან აგებულების შესახებ ჩვენ, არსებითად, არა ვიცით რა. მართალია, ისინი მოჰყვებიან ტვინის განსაზღვრულ მდგომარეობას, როგორც შედეგი ასეთ მდგომარეობისა; აგრეთვე ცნობილია, მათი წინასწარი ფორმები დამოკიდებულია ჩვენს გამოცდილებასა და აღზრდაზე. მაგრამ ჩვენ ვკითხულობთ: **რა რიგათ** არიან ისინი ტვინზე დამოკიდებულნი,—პასუხს ვეღარ ვპოულობთ. იმ კითხვაზე კი, თუ რა რიგად გადაქმნება ტვინი აღზრდის ზედ გავლენით—შეგვიძლია მივუგოთ მხოლოდ ბუნდოვანი ფრაზებით. თუ ჩვენ მივწერთ მეცნიერების ასეთ მდგომარეობას რომელიმე სულიერ პირსს, ე. წ. სულს, რომელიც ვითომ ამ სულიერ ენერგიათა საშუალებით მოქმედებს ტვინზე, მაშინ, მართალია, უველასათვის ნაცნობ ენაზე დავიდაპარაკებდით, მაგრამ ამ დაპარაკში ძალიან ცოტა რამ იქნებოდა იმისა, რასაც ახსნა ეწოდება. ნამდვილათ ჩვენ არ ვიცით პასუხი იმ კითხვებზე, რომლებიც ახსნას ეხებიან, თუმც ზოგიერთ შემთხვევებში შეიძლებოდა რაიმე საიმედო გამოგვეძებნა ამ მხრით. გადავიდეთ პირ და პირ მოვლენათა აღწერაზე.

ჩვენა გვაქვს ასპარეზი შემეცნებისა—ასეთია პირველი ფაქტი; მეორე კი მდგომარეობს იმაში, რომ ეს ასპარეზი ყოველთვის რთულს რასმე წარმოადგენს. იგი შეიცავს შთაბეჭდი-

ლებებს ჩვენივე საკუთარი სხეულისა თუ გარეშე საგანთაგან, ხსოვნას, სურვილებს, ნების გადაწყვეტილებით და სხვ.

შემეცნების კონკრეტულ მდგომარეობაში ამ ელემენტთა სხვა და სხვა გვარი სახე გვხვდება უმეტეს ნაწილად ერთ დროულად, თუმცა მათ შორის დამოკიდებულება ხშირათ დიდს რეკვაშია. ერთგვარი მდგომარეობა შესდგება თითქმის მარტოოდენ გრძნობელობათა მიმღებობთაგან (чувственныя воспріятія), მეორე გვარი მოგონების ზედგავლენით და სხვა. მაგრამ თუ ჩავუკვირდებით, ადმოვაჩენთ, რომ მიმღებობა (воспріятіе) ყოველ მხრივ გარემოცულია აზროვნების და ნების სამოსლით, მოგონება კი მომწყვდეულია სხვა და სხვა შთაბეჭდილებათა აჩრდილებში.

უმეტეს შემთხვევებში შემეცნების ასპარეზს აქვს განსაკუთრებულად ცხადი და განსახიერებული ნასკვი, შემდგარი მიმღებობთაგან. მაგ., თქვენ ამ წუთში ფიქრობთ და გრძნობთ კიდეცა, მაგრამ მხედველი ორგანოს საშუალებით თქვენ მაინც ღებულობთ შთაბეჭდილებას ჩემის სახისა ან სხეულისაგან, ხოლო სმენის საშუალებით—ჩემის ხმისაგანაც. ეს შთაბეჭდილებანი ამ წუთში თქვენი შემეცნების ასპარეზის ცენტრია ანუ ფოკუსი, ხოლო თქვენი ფიქრები და გრძნობანი შეადგენენ მხოლოდ იმის კიდეს. მეორე მხრით შესაძლოა, რომ იმ წუთში, როდესაც მე თქვენ გებაასებით, თქვენი შემეცნების ასპარეზში შემოიჭრა რომელიმე სხვა საგანი, მაგ., წარმოდგენა რომელიმე შორეულ საგანზე, ერთი სიტყვით, თქვენ გონებით დაშორდით ჩვენი ბაასის საგანს. ამ შემთხვევაში შთაბეჭდილებანი ჩემის სახისა და ხმისაგან თუმცა სრულიად არ გაქრებიან თქვენი შემეცნებიდან, მაგრამ, როგორც ასეთ შემთხვევაში, მეტათ მქრთალნი, დაიჭერენ მხოლოდ განაპირა ადგილს.

ან, რომ მოგვიყვანოთ მეორე გვარი მაგალითი, შესაძლოა, რომელიმე გრძნობელობა, თქვენ საკუთარ სხეულთან შეკავშირებული, ჩვენი ბაასის დროს დაიჭერს ადგილს თქვენი შემეცნების ფოკუსში.

„საფოკუსო ობიექტი“ და „ნაპირის ობიექტი“ მგონი მეტ განმარტებას ადარ მოითხოვს, მაგრამ მათში მომწყვდეულ ცნებათა გარჩევა კი მეტის მეტად საჭიროა.

შემეცნების ასპარეზის შემდეგ თან და თანობით ცვლილებებში ერთი მდგომარეობიდან მეორეზე გადასვლის პროცესი ხდება ძლიერ მძიმეთ და შემეცნებით შეცულობაც ნაირ-ნაირათ ლაგდება.—ხან ფოკუსში ხდება მცირე ცვლილება, მაშინ როდესაც ნაპირი შესამჩნევ ცვლილებას განიცდის; ხან ფოკუსი იცვლება, ნაპირი კი რჩება უცვლელათ. მოხდება, რომ ფოკუსი და ნაპირი ადგილ-ადგილ იცვლებიან; ხან კი უეცრად განახლდება მთელი შეცულობა შემეცნების ასპარეზისა. დაწვრილებით ადწერა აქ იშვიათ შემთხვევებშია შესაძლო. აქ შეგვიძლია მხოლოდ შემეცნების ერთი განსაზღვრული ასპარეზი შევუკავშიროთ მეორეს—მსგავსს, შევაჯგუფოთ და დავარქვათ მას სულიერი მღელვარების მდგომარეობა, შერეულობა, დაკვირვება, განყენებული მსჯელობა. და სხვ.

ასეთი ადწერა შემეცნების ნაკადისა ძალიან ზოგადი და ბუნდოვანია; ეგაა, რომ ამით თავიდან ავიცილებთ ზოგიერთ ფაქტიურ შეცთომებს.

დ. ო—ძე.

ბავშვი და სიკვდილი

ერნსტა ლორენცისა

(გერმანულიდან)

სამის თუ ოთხის წლისა ვიქნებოდი, როცა ერთხელ დედამ დამიძახა,—მე მაშინ ლოგინში ვიწექი.

— ერნსტ, მოდი ჩქარა!

გავიქეცი სამზარეულოში, ფეხ შიშველა და პერანგის ამარა. მიჩვენეს ხაფანგი, რომელშიაც თაგვი იყო გამომწყვდეული და ყელზე მავთული შემოჭირებოდა. პირი ღია და თვალები გადმობრეცილი ჰქონდა. მოაშორეს მავთული, მაგრამ თავი უძრავად ეგდო. მოვავლე კუდზე ხელი, მაგრამ არ ინძრეოდა. შემდეგ მოვარდა კატა, გამომტაცა ყლაპ! ყლაპ! და გადაყლაპა. მე იქვე ვიდექი. მაშ ეხლა თაგვი კატაში ზის. მეგონა კატა თუ პირს გააღებდა, თაგვი მაშინვე ამოხტებოდა. შევეკითხე დედას.

— არაო—მითხრა მან,—თაგვი ეხლა ვერ ამოხტება, ეხლა მას სირბილი არ შეუძლია: ის უკვე მკვდარია.

. . . ჩვენი მეზობლის ქალი ქრისტინე ავად იყო. მე დიდი ხანია არ შემეძლო მასთან თამაშობა, რომ მეც ავად არ გამხდარვიყავი. მაგრამ დღეს მამიდამ მითხრა—გინდა თუ არა ერთხელ კიდევ ნახო ქრისტინეო. რატომ არა! ალბად დღეს ისევ უკეთ არის. შევედი ოთახში. იქ ბევრ ხალხს მოეყარა თავი. ყველას დაღვრემილი სახე ჰქონდა. მხოლოდ საათის საქანელი არაკუნებდა. იქვე შავს ყუთში იწვა ქრისტინე. იმას ეცვა გრძელი თეთრი პერანგი და საბანი სრულიად არ ეხურა: ალბად ისევ ავად გამხდარა. სახეზე ფერი სრულიად არ ჰქონდა, წინად კი მთლად ვარდის ფერი იყო. რას ვიზამდი? ვხედავ, სძინავს.

— ეხლა ჩემო კარგო ყმაწვილო, შენთან ის ვერასოდეს ვერ ითამაშებს,— მითხრა ქრისტინეს დედამ.

— განა იმას ყოველთვის ასეთს მაგარს საწოლზე სძინავს?—ვკითხე მე.

— დიახ.

დედიდა ცხვირსახოცით თვალებსა სწმენდდა. როდესაც ხელახლა გამოველ გარედ, მზეზე, ჰაერზე, თავში სხვა და სხვა აზრი მიტრიალებდა: რად აქვს ეხლა მას ახალი საწოლი? და მასთან სრულიად შავი.

სახლი სავსე იყო სხვა და სხვა ხალხით. უეჭველად ისინი ჩაწვებოდენ ქრისტინეს საწოლში და ეს კი ჩააწვინეს მისი ზომის პატარა ყუთში; ჩემს პატარა ძმას ყოველთვის აკვანში სძინავს, სხვაგან არსად არ იძინებს.

მეორე დღეს სახლის ახლო აუარებელი ეტლი იდგა. ერთი ჯაგვა ნაძვის ტოტებით იყო მორთული. ყველას მაღალი ბჭყვრიალა ქუდები ეხურათ. შემდეგ გამოჩნდა შავი ყუთი, ეხლა ზემოდამ მაღალი სახურავი ჰქონდა, დასდგეს საცხედრეზე და ზემოდამ გვირგვინი დაადვეს. ყველანი ჩასხდნენ ეტლებში. ჯაგვამ წინ გასწია, სხვები უკან მიჰყვებოდნენ; ყველანი ნება-ნება მიდიოდნენ, მათრახს არავინ იქნევდა. რას უნდა ნიშნავდეს ეს? ქრისტინე კიდევ ყუთში იყო? სად მიდიოდნენ ყველანი? მე შევეკითხე:

— დედილო, ქრისტინე საავადმყოფოში მიჰყავთ?

— არა, სასაფლაოზედ მიჰყავთ, ის ხომ მოკვდა.

— რა უნდა გააკეთოს იქ?

— იქ გათხრილია ღრმად სამარე, შიგ ჩასდებენ კუბოს და ზემოდამ მიწას გადაყრიან.

— ეს ხალხი იქს ამას?

— დიახ.

— ის ხომ ვერ შეიძლებს მერე იქიდან ამოსვლას!

— ვერა.

ეხლა გავიგე: იმას ეძინა. ჯერ კიდევ ველოდი; შემდეგ გავიქეცი ომნიბუსთან, როცა ის მეზობლის სახლთან იდგა და ჩუმად ვფიქრობდი, შეუძლია მას ოდესმე დაბრუნდეს. მაგრამ ისევ ეძინა. ამასთან კუბოზე ბევრი მიწა ეყარა: არა, რასაკვირელია, იმას არ შეუძლია იქიდან ამოსვლა.

. . . შემდეგ ერთხელ ქუჩაში ბელურა ჩიტი დავინახე, ფეხებ გაჭიმული მშვიდად იწვა, ახლოს მივედი, სრულიად არ ინძრეოდა. იგი, ალბად, ან ძლიერ პატარა იყო, ან სულელი. ჩუმად მივეპარე და ჩალის ქუდი დავაფარე ზემოდამ. ის ეხლა ჩემი იყო. ფრთხილად ჩავისვი ჯიბეში და ხშირად ვშინჯავდი ისევ ჯიბეში მყავდა თუ არა. შევაყენე ფეხებზე, ორივე ხელით დავიჭირე, მაგრამ არ უნდოდა დადგომა. თავს აქეთ იქით არხევდა. ჰაერში ავისროლე, მაგრამ არ უნდოდა გაფრენა. დავინახე თვალები დახუჭული ჰქონდა: რასაკვირველია ეძინა. როდესაც ვანჯღრევდი, არ იღვიძებდა. როდესაც ჩემს ძმას ვუჩვენე—ჯერ არ მინდოდა ჩვენება, რადგანაც ყველაფერს მართმევდა, რასაც კი ვუჩვენებდი, მითხრა:

— სულელო, ეს ხომ მკვდარია!..

მკვდარი? ესეც? ეხლა მივხდი: სიკვდილი ეს ძილს ნიშნავს, ისეთს მაგარს ძილს, რომ გაღვიძება შეუძლებელია. სიკვდილი—ნიშნავს არა სიცოცხლეს.

. . . შემდეგ დავესწარი როცა ღორსა ჰკლავდნენ. იჩქეფა სისხლმა. როცა მთლად გამოცალია, ღორმა ერთხელ კიდევ გაიზმორა და შემდეგ უძრავად დაეგდო.

ყასაბმა მითხრა:

— ეხლა იმას სული ამოუვიდაო!

დიახ, ეს მესმის: ფუფალამაც ჩაჰბერა ადამს სული ცხვირში და გააცოცხლა. თუ ვისმე სული მოშორდა და სისხლი გამოუვიდა, იგი მოკვდება. ამ დღიდან საოცრად მეშინოდა, როცა თითიდან, ან ცხვირიდან სისხლი წამსქდებოდა. დავმშვიდდებოდი მხოლოდ მაშინ, როცა დედა შემიხვევდა და სისხლს არ ვხედავდი.

ჩემთვის სანუგეშო იყო, როცა ნესტიან ამინდში სეირნობის დროს ვხედავდი, რომ პირიდან ორთქლი ამომდიოდა: სჩანდა ჯერ კიდევ ცოცხალი ვიყავი.

ღორი ყასაბმა მოკლა; ქრისტინე ვიღამ მოკლა? მე მგონია ეს ექიმის ბრალია, რომელიც ყოველ დღე დადიოდა მასთან სახლში; ამასთან ერთხელ ყური მოვკარი დედის სიტყვებს, რომელიც მამას ეუბნებოდა, რომ მას ექიმისა არა სჯერა რა. მაშ უეჭველად ეს ექიმის საქმეა: უფრთხილდი ექიმს! ერთხელ თვალი ამტკივდა და დამიპირეს ექიმთან წაყვანა, დედა ჩემმა შაქარ-ყინულით და ქლიავით ამივსო ჯიბე, რომ გავყოლოდი. როცა ექიმთან მივედით, შკაფში დავინახ გაპრიალებული ხერხი და დანები, თვითონ ექიმს თეთრი ფეშტამალი ჰქონდა წინ ჩამოფარებული; ყველა ამის დანახვაზე მოვრთე ღრიალი, სრულიად

დარწმუნებული ვიყავი, რომ დედას ჩემი მოშორება უნდოდა და მოსაკლავად მიმიყვანა. თუმცა ექიმი მეალერსებოდა, სურათებიც მიჩვენა, მაგრამ ვფიქრობდი ამას თვალთ-მაქცობით შვრებოდა ისე, როგორც ყასაბი ჯერ ამშვიდებდა ღორს და შემდეგ კი დანა გაუყარა ყელში.

მაინც ვერ დამამშვიდეს.

მე მაინც მშვიდობიანად დავბრუნდი სახლში: ექიმს ძლიერ შეეშინდა ჩემს ყვირილზედ.

. . . შემდეგ ერთხელ ყინული ჩამიტყდა, ჩავვარდი წყალში და დავსველდი, მაგრამ დედისთვის არა მითქვამს რა—არ ვიშორებდი თბილს საცმელს და მთელი დღე დავრბოდი სველი წინდებით. მეორე დღეს ჭვალი დამადგა, სუნთქვა გამიჭირდა და ჩავწევი ლოგინში. მოვიდა ექიმი და რაღაც ტკბილი სასმელი დამალევინა, დედა კი მთელი დღე გვერდით მიჯდა და ზღაპრებს მიამბობდა. როცა რამდენიმე დღის შემდეგ უკეთ შევიქენი, მივხვდი, რომ ექიმი კაცს არ ჰკლავს. დედამაც ეს მითხრა. არა, დიდხანს რომ სველი ფეხებით იარო, ადვილად ამოვა სული და მაშინ მოკვდები. ეხლა კი მივხვდი, რომ დედ-მამას ჩემი სიკვდილი არ სდომებოდათ. დედის შესახებ კი მე ნამდვილად გავიგე: ის მოუშორებლად იჯდა მთელი დღე ჩემ გვერდით. მამა კი მორიგეობდა ღამით, რაც მე არ ვიცოდი.

. . . შემოდგომაზედ მამა ჩემმა ორმო გათხარა ზამთრისთვის მწვანილეულობის შესანახად. მე იქვე ვიდექი. მაგრამ არ ვიცოდი რისთვის სთხრიდა ამ ორმოს და ვკითხე:

— ვინ უნდა დამარხოთ აქ?

— შენ. ჩაწექი შიგ! მიპასუხა მამამ.

მე შევხედე მამას, სერიოზული სახე ჰქონდა. ჩავწექი ორმოში. დამაყარა ზემოდამ ორი ნიჩაბი მიწა. მე ვიწექი დამშვიდებულად თვალ ახილული: ცრემლი სრულიად არ მომდიდა.

— რას იტყვის დედა შენი ეხლა შენ რომ არ იქნები! იმან ხომ არ იცის, რომ დაგმარხეს. ის დაგიწყებს სოფელში ძებნას და მოჰყვება ტირილს!

ამის შემდეგ ყოველგვარი ცრემლები დამავიწყდა.

მამაჩემი დამშვიდებულად სთხრიდა ორმოს, მე ვგრძნობდი, რომ ფეხები მუხლებამდის მიწაში მქონდა ჩაფლული. ეხლა ქვიშა უნდა გადმოეყარა, თვალებზე ხელი მივიფარე და მოვემზადე სასიკვდილოდ. სიამოვნებით ვფიქრობდი იმ წუთზე და მიხაროდა, როცა ჩემზე ცრემლებს დაღვრიდნენ.

მაგრამ დედაც მოვიდა; ეს კი მეწყინა, რატომ ვერ მოიცადა ხუთი წუთი მაინც!

— მამა, შენ დიდი ბავშვი ხარ,—სთქვა მან,—რას უშვრები ჩემს ყმაწვილს?

— მე იმას ვისაფლავებ, მიუგო მამამ და თან დამშვიდებით განაგრძო მუშაობა.

მაშინ ამოვხტი ზევით: დედასთან ყოფნა მაინც უფრო სასიამოვნო იყო. ეხლა კი ცრემლი ვერ შევიკავე: ვტიროდი, რომ მამამ მომიძულა და ალბად მართლა უნდოდა ჩემი დასაფლავება.

ეხლა დადგა დრო, როცა დავიწყე „დასაფლავებანას“ თამაშობა. არც ერთი ცოფის ჭია, არც ერთი ბუზი, ან მატლი არ მრჩებოდა დაუსაფლავებელი. ჩემთვის დღესასწაული დღე იყო, როცა ერთხელ ჩვენმა ბროლიამ მშვიდათ განუტევა სული თავისს სადგომში. ეს იყო „დიდი“ ლეში. ჩავასვენეთ დიდს ყუდში, ჩავჭედეთ შიგ. მაგრა ისე, რომ მისი მობრუნება სიკვდილის შემდეგ ფიქრადაც

არავის მოუვიდოდა. დავმარხეთ კაკლის ხის ქვეშ.

ორი ჯოხი ჯვარად შეკრული დიდხანს გვაგონებდა მწუხარეთ მისს განსასვენებელს ადგილს.

იგი, მგონია, სამი თვე იქნებოდა უკვე მიწაში, როცა მომინდა გამეგო კიდევ ყუთში იყო თუ არა. გავთხარე მიწა. ყუთსა და თოკს ობი მოჰკიდებოდა, მაგრამ მთელი იყო. სამაგიეროდ ცხვირში მეცა ისეთი საზიზღარი სუნი, რომ ვერ გავბედე ყუთის გახსნა, მაგრამ სიმძიმე კი ვიგრძენ: ცხადია „ბროლია“ ისევ იქ იყო.

. . . ფოსტის დამტარებელმა წერილი გადმომცა, რომელსაც ზემოდამ შავი არშია ჰქონდა შემოვლებული. ამისთანა წერილი ჯერ არ მენახა. მივუტანე მამას.

— შეხედე, რა ლამაზი წერილია!

მამამ გამომგლიჯა ხელიდან, ხელები აუკანკალდა და დაიწყო კითხვა.

— რა ამბავიაო,—ჰკითხა დედამ.

— პაპამ სული განუტევაო,—მიუგო მან.

რა? პაპა ღმერთთან წავიდა? ის ზეცაშია იესოსთან და ანგელოზებთან!

მაშ იმას იქ არა უშავს რა: რა საჭიროა ტირილი!

კარგი, მაგრამ პაპა როგორ ავიდა ზეცაში? ხომ ვერ აფრინდებოდა, როცა მიწაზედ უჯოხოთ სიარულიც კი ვერ შეეძლო. დიახ, პაპა ზეცაშია—ამბობდა დედა ჩემი; ამის გარდა სხვა არაფრის მოსაზრება არ შემეძლო.

მეორე დღეს მამა ჩემმა დაიხურა თავის სამგლოვიარო ქუდი; ეხლა მივხვდი საქმე რაშიაც იყო; მამა ჩემს უნდოდა პაპის დამარხვა. მაგრამ ის ხომ ცაშია! როგორ წავა იქ მამა, არ შეიძლება წავყვე, ვფიქრობდი ჩემს გულში. არა.

მივმართე დედას.

— დიახ, უნდათ დაასაფლაონ პაპის გვამი.

მაშ პაპა ჯერ კიდევ ქვეყანაზეა. არ შემეძლო ყველა ამაში გამოვრკვეულიყავი. ბოლოს ასე გადავსწყვიტე: იმისი სული წავიდა, გაფრინდა ზეცაში. სხეული კი მკვდარია. თუ პატარა სული ღმერთთან არის, ის შექმნის ახალს პაპას. მას ყველაფერი შეუძლია. დედა კი ფიქრობს—ანგელოზს შექმნისო! მაგრამ ეს მე არ მჯერა: ასეთი ბებერი ანგელოზები სრულიად არ არიან.

მთელს წიგნში ბიბლიურს მოთხრობებში არც ერთი ასეთი არ შემხვედრია. და რომ პაპა გადიქცეოდა პატარა ქოჩორ თმიან ანგელოზად, პატარა თავით, ხელებით და მსხვილი ფეხებით—არაფრის გზით არ მჯეროდა. პაპას გრძელი თეთრი წვერი და თეთრი თმა ჰქონდა. ამიტომ აზრად მომდიოდა იქნება ღმერთი პაპას შობის პაპად გადააქცევდა? დედაც მეუბნებოდა, რომ ეს სრულიად შესაძლებელიაო. ამიტომ შემდეგ დავრბოდი სოფელში და ყველა ბავშვებს ვუმამბობდი:

— ჩემი პაპა ეხლა საშობაო პაპაა და მე ეხლა ყველაზედ მეტს საჩუქრებს მივიღებ მეთქი.

და ეს, უეჭველად, ბევრს ჩემს ამხანაგებს შურდათ.

ლასი.

გ უ ლ ი

გულის მსგავსი პაწაწინა
ნივთი რამე ერთ კაცს ჰქონდა,
სადაც მიდი-მოდიოდა,
ის საუნჯეც თან დაჰქონდა.

—

ნაძლევს სდებდა, მაგრამ მაინც
იმისთანა ვერ ვინ ნახა,
რომ საუნჯე ის მსუბუქი
მძიმე ტვირთ ქვეშ დაემარხა!

—

თავზე რა არ დააყარეს?...
ოქრო, ვერცხლი, ხე თუ რკინა!
მაგრამ თავზე დაასკუპდა
მაინც ყველას „პაწაწინა“.

—

გაუკვირდა მეფეს და სთქვა:
„ვინც რომ მაგ ცელქს შეაჩერებს,
იმდენს მივცემ ოქროს და ვერცხლს,
სანამ გულს არ გაიჯერებს“.

—

წინ წამოდგა თვით პატრონი,
მეფეს მდაბლად თაყვანი სცა;
მოთხარა და მოიტანა
ერთი პეშვი შავი მიწა.

—

დააყარა თავზე ამ ნივთს,
მოამწყვდია მიწის ქვეშა!
თითქო რაღაც ჯადოსნობით
გააქვავა.. გააშეშა...

—

და მერე სთქვა: თქვენც ხომ ჰხე-
რომ ეს არის კაცის გული? [დავთ,
ამას ვერრა გააჯერებს,
ვერც ქონება და ვერც ფული!

—

გაუმაძღარ ხარბისათვის
ტყუილია ყოლიფერი!.
როგორც მიწას, მოასვენებს
მხოლოდ ერთი მუჭა მტვერი!..

აკაკი

გუშინ და დღეს

(ფუძღვნი ქართველ ბედაგოგების მამათმთავარს)

აჩრდილი აჩრდილს მისდევდა—
ნაკადი იდეალისა,
სასწორ-მხედველოდ ამხელი
ადამიანთა თვალისა.
მიჰქროდა სადღაც უვალში,
ვით მოწყვეტილი ცთომილი,
პირ-ნაბრუნები კაცთაგან,
ჭირ-ვარამ გადახდომილი.
ელვარე ბოლოს სტოვებდა,
ისიც უმალვე ქრებოდა,
თითქო ქვეყანას სამუდმოთ
სიბნელით ემუქრებოდა!..

დუხჭირ ცხოვრების ვაებას
აეშვა ჭიმი, ალვირი,
ყუჩ-მოტეხილი ეგდო თვით
იერიქონის საყვირი!..
სინათლის ნაცვლად მზის თვალიც
ყველაფერს აფერ-მკრთალებდა;
სადაც ბულბული კვნესოდა,
იქ ყვავი დაყრანტალებდა!..
ჩანგურს მივმართე, ადრეე რომ
ხმა-ტკბილად დაღუღუნებდა:
წკრიალა ჟღერის მაგივრად
გლოვის ხმით უბარტყუნებდა!..

გულ-ჩაწყვეტილი ვიდექი,
მდუღარე ცრემლის მფრქვეველი...
სიკვდილი ხშირათ ჯილდოა,
მწარ-ბედის დამარღვეველი!..

*
* *

შევსდექ სერზე, გულის წვერზე
რაღაც მომხვდა, მესიამა:
სულ სხვა ძალა შთამომბერა
ქართველ ყრმათა მე სიამა!..

ტიტვლიკანა, ფეხ-შიშველა,
ვით ქართველნი, თითქმის ყველა,
მაგრამ მათში ელვარებდა
თითონ ნოეს ცისარტყელა!

მოკისკისობ-მოხტუნავდა
გუნდი-გუნდათ, რაზმი-რაზმათ,
წიგნებით რომ იღლიაში
მოერთოთ და მოეკაზმათ.

ტკეთესი სამკაული
სხვა რა უნდა ქართვლის შვილებს?..
მათი სახე იმედს მიგზნებს
და ჭირ-ვარამს მიადვილებს!..

აგერ თვალწინ გადმეშალა
სულ ახალი ძალთა-ძალი,
თვალ-ცხადლივ რომ ხელთ უპყრია
ჩვენი ერის მომავალი.

კვლავ სიცოცხლე დამიბრუნდა,
გავერიე მათში მეცა...
და გუშინ რომ წარბს მიკრავდა,
გამიბრწყინდა დღეს კი ზეცა!..

აწ სიკვდილი, ცელ-მოწვდილი,
რას დამაკლებს? ვერ მაშინებს:
დრო მოვა და იგი მხოლოდ
ტკბილ იმედით დამაძინებს.

დ. თომაშვილი.

მწუხრის ყამს

დაბნელდა უკვე... დასავლეთით მზე ჩაესვენა,
მზე ჩაესვენა მოელვარე, სხივთა მფრქვეველი;
სიმფონიური მოსწყდა ფრთოსანთ ჭიკჭიკი-სტვენა,
ჭიკჭიკი-სტვენა, კაეშნისა გამქარვებელი.

შავის მანტიით შეისუდრა ცა ზღვებრ მღელვარი,
ცა ზღვებრ მღელვარი მთიებითა გაბრწყინვებული;
შავ-ჩრდილთ ქსოვილით მოიქარგა მინდორ-მთა-ბარი,
მთა-მინდორ-ბარი, ცის ნამცვრევებ ჩამოფრქვეული.

სევდის ბორიომ ჯადოსნური მორთო სიმღერა,
მორთო სიმღერა, სათუთ გულის მტანჯავ-მქენჯნავი;
აღარ გაისმის სასიცოცხლოდ გულისა ძგერა,
გულისა ძგერა, უგბილთ ლაშქართ მმუსრავ-მგმირავი.

ვერანად ქცეულ ანაოხარ ცხოვრების მთებზე,
ცხოვრების მთებზე, ავნი სულნი გამწკრივებულან
და შავ-სხივთ ფრქვევით, გულ აღვრევით საზარელ ხმებზე,
საზარელ ხმებზე, აღტაცებულ-ამქუხრებულან.

ადამიანო, საღათას ძილს არ მისცე თავი
არ მისცე თავი მხდალ მონასებრ მორჩილებასა,
თორემ იცოდე თვალბედითი ღამე ფრთაშავი,
ღამე ფრთაშავი გიქადს დიად დამარცხებასა.

წამოიჭერი, ხელთ აიღე ხმალი ზღვევისა,
ხმარი ზღვევისა ალმასივით პირ-გაბასრული
და ავსა სულებს თავს დაატყდი ვით რისხვა ცისა,
ვით რისხვა ცისა, ამქუხრებულ-აღშფოთებული.

დ. თურდოსპირელი.

გ რ ი შ ა

(მოთხრობა. ან. ჩეხოვისა).

გრიშა—ხაწია, ფუნჩულა ბიჭი, რომელიც ამ ორი წლისა და რვა თვის წინად დაიბადა, ახლა თავის გადიასთან ერთად ბულვარში სეირნობს. ტანზე გრძელი დაბამბული ქურქი აცვია, კისერზე თბილი ულლსახვევი ახვევია, თავზე დიდი ფოჩიანი ბოხოხი ახურავს და ფეხებზე თბილი კალოშები აქვს. ცხელა, სული ეხუთება და აქ კიდევ აპრილის ცხარე მზე ჰირ და ჰირ თვალებში მისჩერებია და სწვავს ქუთუთოებს.

უხერხულად, გაუბედავად მობაჯბაჯე ხაწია გრიშა სრულ გაოცებას გამოსახავს.

ამდენხანს გრიშამ მხოლოდ ერთად-ერთი ოთხი კუთხი ქვეყანა იცოდა, სადაც ერთ კუთხეში თითონ გრიშას დოგინი სდგას, მეორეში—გადიის სკივრი, მესამეში—სკამი და მეოთხეში ხატის წინ ლამპარი ანთია.

დოგინს ქვეშ თუ შეიხედავთ, ხელმოტეხილ დედოფალას და დაფს დაინახავთ. გადიის სკივრის გადადმა კი ბევრი სხვა და სხვა ნივთებია: უძაფო კოჭები, ქალალდის ნაფლეთები, თავმოგლეჯილი კოლოფი და გატეხილი მასხარა ტიკინა. ამ ქვეყანაში გადიისა და გრიშას გარდა შემოდიან ხოლმე დედა და კატა. დედა დედოფალას ჭკავს და კატა კი მამის ქურქს, მხოლოდ ქურქს თვალები და კუდი არა აქვს. ამ ქვეყნიდან. რომელსაც ბავშვის ოთახს ეძახიან კარი იმ სივრცეში გადის, სადაც სადილობენ და ჩაის მიირთმეგენ. იქ გრიშას მადალ ფეხება სკამი სდგას და საათი ჭკიდია, რასკვირველია საათი იმიტომ ჭკიდია, რომ ქანქარა იქითა-აქეთ აქნიოს და რეკოს.

სასადილო ოთახიდან იმ ოთახში გასვლა შეიძლება, სადაც წითელი სავარძლები სდგას. იქ ხალიჩა ერთ ადგილას დალაქვებულია, რისთვისაც გრიშას ახლაც კი ემუქრებიან თითით. ამ ოთახის იქით სხვა ოთახია. იქ გრიშას არ უშვებენ. იქ მოსჩანს ხოლმე მამა,—ერთობ უცნაური ვინმე. გადია და დედა რომ არსებობენ, ეს ადვილი გასაგებია: ისინი აცმევენ გრიშას, აწმევენ, აწვენენ დასაძინებლად, მაგრამ რისთვის არსებობს მამა, ეს კი გაუგებარია.

არის ერთი კიდევ უცნაური ვინმე—ეს გახლავთ დეიდა, რომელმაც გრიშას დაფი აჩუქა. დეიდა ხან გამოცხადდება და ხან ისევ გაჭქრება. ნეტავი სად ჭქრება? გრიშას ბევრჯერ შეუწყეტია ლოგინ ქვეშ, სკივრის უკან, სავარძლის ქვეშაც, მაგრამ ვერსად ვერ უპოვია.

აქ კი, ამ ახალ ქვეყანაზე, სადაც მზე ასე სწვავს თვალებს, იმდენი მამები, დედები და დეიდები არიან, რომ არ იცი ვისთან მიირბინო. ყველაზე უფრო უცნაური და საკვირველი—ცხენებია. გრიშა უყურებს ცხენების მოძრავ—მოსიარულე ფეხებს და ვერა გაუგია რა; შესტქერის გადიას, რომ აუხსნას რაშია საქმე, მაგრამ გადია სდუმს.

უცებ ფეხების საშინელი ბრახა-ბრუხი ესმის... ბულვარზე მწკვრივად, და მწყობრად, პირდაპირ გრიშასკენ ჯარის კაცების გრუა მოდის. სახე დაჭარხლებულნი არიან; იღლიაში აბანოს ტოტხები უჩრიათ. გრიშას შიშის ცივ ოფლს ასხამს და შეჰყურებს გადიას, თვალებით ეკითხება: საშიში არის რამ თუ არა? მაგრამ გადია არ გარბის და არც ტირის. მაშ საშიში არაფერი ეოფილა. გრიშა თვალს ადევნებს სალდათებს; იმათ სიარულის ტაქტს აყოლებს ფეხს და თითონაც სალდათივით დადის.

ბულვარი გადაჭრით გადირბინა ორმა დიდ-

მა კატამ. კატებს ენა გარეულ გამოეგდოთ, კუდები აუბრიხათ. გრიშამ იფიქრა: მაშ ხირ-ბილი შეიძლებაო და გამოუდგა კატებს.

— დაიცა!—დაუყვირა გადიამ და ჩასწიდა მხრებში ხელი,—სად მირბიხარ? განა არ გიბრძანეს, არ იცელქოო.

ი ი ქ ვიდაც გადია ზის და ფორთხლებით სავსე კალათი უდგას წინ. გრიშამ, როცა გვერ-დით ჩაუარა, დაიხარა და ერთი ფორთოხალი თავისთვის აიღო.

— აბა, რად აიღე?—დაუყვირა გადიამ, მოარტყა ხელებზე და გამოგლიჯა ფორთოხა-ლი,—ბრიყვო!

მაგრამ გრიშა მაინც დიდის სიამოვნებით აიღებდა ი ი ქ ს, აგერ ფეხებ ქვეშ რომ ბწყვრიალებს ხატის ლამპარივით; მაგრამ ეშინია კიდევ არ მიარტყან ხელებზე.

— გამარჯობა—ესმის გრიშას ვიდაცას მა-ღალი, ბოხი ხმა და ხედავს, რომ ეს მაღა-ლი—ბწყვრიალა და ლილებიანი კაცია.

გრიშას გულის გასახარად კაცმა ჩამოართ-ვა ხელი გადიას, გაჩერდა და ლაპარაკი დაუ-წყო..

ბრწყინვალე მზე, ეტლების ხმაურობა, ცხენები, ბწყვრიალა ლილები. ყველაფერი ეს საშიში სრულიადაც არ არის და ისე ახალი და საკვირველია, რომ გრიშას გული სიხარუ-ლით ევსება და ხარხარებს.

— წავიდეთ, წავიდეთ!—უყვირის ის და ეწევა კალათაზე ბწყვრიალა ლილებიან კაცს.

— სად წავიდეთ? ჰკითხა კაცმა.

— წავიდეთ!—ადარ ეშველება გრიშა.

გრიშამ უნდა უთხრას, კარგი იქნება თან წავიყვანოთ მამა, დედა და კატაო, მაგრამ ენა სულ სხვას ამბობს.

ცოტა ხნის შემდეგ გადიამ ბულვრიდან ქუჩაში შეუხვია და გრიშა დიდ ეზოში შეიყ-ვანა. ეზოში თოვლი ალაგ-ალაგ ჯერ კიდევ არ დამდნარიყო. ბწყვრიალა ლილებიანი კა-ციც იმათთან მიდიოდა. სიფრთხილით უქცე-ვენ გვერდს აქ-იქ დახვავებულ თოვლს და ტალახს, შემდეგ ადიან ბუჭეიან ბნელ კიბეზე და ოთახში შედიან. ოთახი კვამლით და შემ-წვარის სუნით არის სავსე. ვიდაც ლედაკაცი ფეჩთან სდგას და კატლეტებს ხრაკავს. მზა-რეული ლედაკაცი და გადია ერთმანერთს ჭკოტნიან, კაცთან ერთად სხდებიან გრძელ სკამზე და ნელის ხმით ლაპარაკობენ. შეფუ-თვნილ გრიშას უზომოდ სცხელა და სული ეხუთება.

„ნეტავი რატომ მეხუთება სული“,—ფიქ-რობს გრიშა და იქით-აქეთ იცქირება. ხედავს გაშავებულ ჭერს, ქოთნების შესადგამ რკინის რქებიან მაშას, ფეჩს, რომელიც დიდ შავ ფულუროსავით გამოიცქირება...

— დე-ე-ე-დაა!—წუწუნებს გრიშა.

— სუ, ჩუმად, ჩუმად! არა გიშავს რა,—დაიცდი ცოტას!—უყვირის გადია.

ლედაკაცმა დადგა მაგიდაზე ბოთლი, ორი ჭიქა და ხაჭაპური. ორივე ლედაკაცებმა და ბწყვრიალა ლილებიანმა ჭიქები ერთმანერთს მიახალეს და რამოდენიმეჯერ გადაჰკრეს. თა-ნაც ბწყვრიალა ლილებიანი კაცი ხან მზარეულ ლედაკაცს ეხვეოდა და ხან გადიას. შემდეგ სამნივემ ნელის ხმით სიმღერა დაიწყეს.

გრიშა ხაჭაპურს წაეტორტმანა და პაწია ნაჭერი იმასაც მისცეს. სჭამს გრიშა და ფე-ხედავს, რომ გადია სვამს და მასაც მოუნდა დალევა.

— დამალევინე, გადია! დამალევინე!—სთხოვს: გრიშა.

გადიამ დაალევინა ცოტა, თავის ჭიქაში მოანარჩენი.

გრიშამ თვალები დაჭეიტა, დაიჭმუხვნა, ხველა აუტეხა და დიდხანს ახავხავებდა ხელებს; მზარეული ლედაკაცი კი უცქერდა და იცინოდა.

დაბრუნდა თუ არა შინ გრიშა, მაშინათვე მოუყვა დედას, კედლებს, სკამებს იმის ამბავს რაც ნახა, იმდენს ესით არ დაპარაკობდა,

რამდენსაც სახის გამომეტყველებით და ხელებით.

აჩვენებდა როგორ ბრწყინავს მზე, როგორ დარბოდნენ ცხენები, როგორ გამოიცქირებოდა საშინელი ფეჩი და როგორ სვამდა მზარეული დედაკაცი.

საღამოს აღარ დაეძინა გრიშას. აბანოს ცოცხიანი სალდათები, დიდრონი კატები, ცხენები, შუშა, ფორთოხლით სავსე კალათი, ბეწვრიანი ფიფები, — ყველაფერშა ერთად მოიყარა თავი და აწვება იმის ტვინს. გრიშა ტრიალებს დოგინში, ტიტინებს და ბოლოს ვედარ იტევს გულში აღელვებას და ტირის.

— ავად ხარ, აი, სიცხე გაქვს! — უთხრა დედამ, როცა დაადვა შუბლზე ხელი, — ნეტარ შიზეზი უნდა იყოს? — ამბობს ის.

— ფეეჩი! — ტირის გრიშა, — დაიკარგე აქედან, ფეეჩო!

— უთუოდ ბევრი ბუმა... — გადასწყვიტა დედამ და ახალ ცხოვრების გამოცდილ, შთაბეჭდილებით გაბერილ გრიშას ერთი კოვზი სასაქმებელი ზეთი გადააყლაპა.

ნინო ნაკაშიძე.

სახელმძღვანელო წიგნების საჭიროება

დასაწყისს სკოლებში

(ვუძღვნი ბ-ნ ილია წინამძღვრიშვილს)

ბევრგან სკოლების უნაყოფობამ, უხეიროდ სწავლებამ, სკოლებიდან ცოცხალი სიტყვის განდევნამ და ყველაფრის წიგნიდან თუთიყუშურ გაზეპირებამ, განმარტებითი კითხვის უწესოთ წარმოებამ და სხვა არა ნორმალურმა მოვლენამ სკოლის ცხოვრებაში დაბადა ისეთი მიმართულება, თითქოს სკოლის ჩამოქვეითების მიზეზი მხოლოდ სახელმძღვანელო წიგნები იყოს; ამიტომ ამ აზრის მიმდევარნი რიხიანად გაიძახიან — განდევნეთ სკოლებიდან სახელმძღვანელო წიგნები, დაამყარეთ ყველაფერი ცოცხალ სწავლებაზე, ცხოველი სიტყვით ახსნა-განმარტებაზედ, ბუნების წიაღში თვალსაჩინოდ სწავლებაზედ და ნაყოფიც უკეთესი იქნებაო.

როგორც პირველი, ისე მეორე მოსაზრებაც მეტის მეტს უკიდურესობას წარმოადგენს. როგორც ყოველთვის, აქაც ჭეშმარიტებას შუა ადგილი უჭირავს. არ შეიძლება განვდევნოთ სახელმძღვანელო წიგნები, მაგრამ არც ის შეიძლება, რომ ამ წიგნებიდან მოწაფეები შეუგნებლად ზეპირობდნენ რასმე და არ ჰქონდეთ ცხადი წარმოდგენილება ყოველის სიტყვის, აზრის და საგნის მნიშვნელობის შესახებ, რაც შეადგენს მიზანს განმარტებითი კითხვისას.

ერთი უსაჭიროესი სწავლებაში ხელსაწყო ნივთთაგანი, რომელიც ხელს უწყობს მოწაფეს შეითვისოს სასწავლო საგანი, არის **სახელმძღვანელო წიგნი**. ის არის საუკეთესო და სრულიად საიმედო გზის მაჩვენებელი, ფრიად ძნელის და უცნობის გზისა, რომელიც უნდა გაიაროს ყველა მოწაფემ და შეიძინოს ცნობები სასწავლო საგნიდან; იგივე წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას ამ ცნობათა აღსაბეჭდათ ბავშვის მეხსიერებაში. მარტო ცხოველი სიტყვა, ზეპირი განმარტება საკმარისი არ არის, მას ბავშვი მალე ივიწყებს, რადგანაც ამ ნაირად

სწავლების დროს ბავშვის მხოლოდ ზოგიერთი გრძნობები იღებს მონაწილეობას, სწავლება ზერელე გამოდის და ცოდნაც ხან მოკლე. მაშინ კი, როცა მეტი გრძნობები იღებენ მონაწილეობას ამა თუ იმ ცნებათა შეთვისებაში, ნასწავლი მასალაც, საჭირო განმარტების შემდეგ, წიგნში წაკითხული უკეთ აღიბეჭდება ბავშვის მეხსიერებაში.

ყველა სკოლებში და განსაკუთრებით დასაწყისს სკოლებში გაკვეთილები, მასწავლებლის ცოცხალი საუბრის და ყველა მოწაფეების მიერ აქტიური მონაწილეობის მიღებით თითოეული გაკვეთილის ახალი მასალის შემუშავების დროს, სკოლაში უნდა ისწავლებოდეს. სახელმძღვანელო წიგნი რომ არ ჰქონდეს ხელში, რომლიდანაც ყოველთვის შეუძლია მოწაფეს აღადგინოს შინაარსი წინა გაკვეთილისა, იგი მოკლებული იქნება უსაჭიროეს საშუალებას მტკიცედ და საფუძვლიანად შეითვისოს კლასში შეძენილი ცნობები, რომელიც უიმისოდ თან და თან გაჰქრება ბავშვის მეხსიერებიდან. როცა მოწაფეები მალე ივიწყებენ კლასში დაწვრილებით ნასწავლს, უსახელმძღვანელოდ მათ არ ექნებათ საკმარისად მოფიქრებული და მეხსიერებაში აღბეჭდილი მასალა, რომელსაც ბევრს მუხლებში ადვილად შეუერთებდა ახლად შეძენილ ცოდნას ახალს გაკვეთილზედ და ამ სახით შეიძლებოდა შეთვისება უკანასკნელისა სასურველი ლოგიკური კავშირის და თან და თანობის დაცვით. ამ ნაირად სახელმძღვანელოს უქონლობა გაუძნელებდა მოწაფეს საკმარისად გამორკვეულიყო თითოეულს გაკვეთილზე სასწავლო საგნის ფარგალში, რომ მოეხდინა გონებრივი სრული მიმოხილვა საგნის შინაარსისა, როგორც ნაწილად ისე მთლიანად.

განსაკუთრებით მნიშვნელობა სახელმძღვანელო წიგნებს დასაწყისს სკოლებში აქვს. აქ იდება საფუძველი წიგნის სარგებლობისა, აქვს სწავლობენ წერა-კითხვას. ჩვენში სოფლის სკოლებში სახელმძღვანელო წიგნების ხმარება ძით უფრო აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, რომ ბევრი სოფლელი ბავშვი სიღარიბის, ტანისამოსის და ფეხსაცმლის უქონლობის და სხვა ეკონომიური პირობების გამო იძულებულია ხშირად მოცდეს გაკვეთილებს, დარჩენ სახლში, სადაც კარგი სახელმძღვანელო რამდენადმე მაინც გაუწევს სკოლის გაკვეთილების და მასწავლებლის მაგიერობას. პედაგოგიურად შემუშავებულს სახელმძღვანელოებს დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ადგილებში, სადაც მასწავლებლობას ეწევიან ისეთი პირები, რომელთაც პედაგოგიური განათლება არ მიუღიათ და ასეთი სკოლები ხომ ჩვენშიაც ბევრია. თითქმის მცირედ მოამზადებულ მასწავლებელსაც კი შეუძლია სასურველ მიზანს მიაღწიოს სწავლების საქმეში, თუ მისი მოწაფეები ხმარობენ მეთოდიურად შედგენილს სახელმძღვანელოებს.

რასაკვირველია სახელმძღვანელოს შედგენა ადვილი საქმე არ არის, ამისთვის შემდგენელს წინ ეღობება მრავალი სერიოზული მოთხოვნილება. მოკლე მოცულობასთან სახელმძღვანელო უნდა შეიცავდეს საგნის არსებითს და საზოგადოთ მიღებული მხარეების დასურათებას. ეს დასურათება უნდა მოხდეს მეცნიერების და დიდაქტიკური ხელოვნების მიხედვით. შემდეგ სახელმძღვანელოში მოთავსებული მასალა ისეთის თანდათანობით უნდა იქმნას დალაგებული, რომ

კავშირი და ურთიერთშორისი დამოკიდეკულება და მნიშვნელობა საგნის ყველა ნაწილებისა ადვილად გასაგები და მისახვედრი იყოს მოწაფისათვის და სხ.

უფრო ძნელია და რთული მოთხოვნილება ელემენტარული სახელმძღვანელოებისა. აქ სხვათა შორის, დიდი მნიშვნელობა აქვს თვალსაჩინობას, რომელიც შესასწავლ საგანს უფრო ადვილ მისაწვდომად და გასაგებად ხდის, ამასთანავე თვალწინ უშლის მოწაფეს საგნის ისეთს მხარეებს, რომლების ცხადათ წარმოდგინება მხოლოდ სურათების ან განგებ შერჩეული მაგალითებისა და სავარჯიშოების საშუალებით შეიძლება.

რიგიანად სახელმძღვანელო წიგნების ხმარება და საგნის შესწავლა მოწაფეს შეაყვარებს წიგნს, რაც ეყვარს, იმას არც მოიშორებს და წიგხიც საუკეთესო საყვარელი მეგობარი გახდება მისთვის ცხოვრებაში. ვისაც გონია, რომ წერა-კითხვის შესწავლის შემდეგ ბავშვებს მხოლოდ უკითხეთ და აკითხეთ წიგნებიო, აარჩიეთ მასალა სხვა და სხვა წიგნებიდანო, იგი მხოლოდ ნახევრად სდგას სიმართლის გზაზედ. ესეც საჭიროა, მაგრამ ამგვარი კითხვა მაშინ არის სასარგებლო, როცა ის შეადგენს სახელმძღვანელო წიგნის დამატებას, უფართოებს მოწაფეს გონების ფარგალს და საგანსაც მრავალ მხრივ სწავლობს. აქ ცენტრი მაინც სახელმძღვანელო წიგნს უჭირავს, მის გარშემო ტრიალებენ სხვა მასალები, რომლებიც შეადგენენ დამატებას სახელმძღვანელო წიგნიდან შეძენილი ცოდნის გასაფართოებლად და სისტემატიურად წიგნების კითხვაში ვარჯიშობისათვის.

თუ კი სწავლებაში წარმატება მომეტებულად დამოკიდებულია სახელმძღვანელო წიგნების ავ-კარგიანობაზედ, მათს არჩევასაც უნდა მიექცეს სასურველი ყურადღება. არჩევა სახელმძღვანელო წიგნებისა პირდაპირი საქმეა მასწავლებლისა და სკოლის პედაგოგიური საბჭოსი, რომელიც ხელმძღვანელობს ამ შემთხვევაშიაც მხოლოდ პედაგოგიურის მოსაზრებით. ძალად მიჩეჩება რომელიმე სახელმძღვანელოსი მასწავლებლისათვის საქმისთვისაც საზარალოა. ძნელია მასწავლებლისათვის სწავლება ისეთს წიგნში, რომელიც მისს აზრს გონებას და პედაგოგიურს მოსაზრებას არ ეგუება. ამისათვის ყველასთვის სავალდებულო უნდა იყოს რითაც შეიძლება დახმარება გაუწიოს სკოლის პედაგოგიურს საბჭოს, რომელიც მხოლოდ ამ შემთხვევაში იმოქმედებს ნაყოფიერად.

თუ ჩვენი სწავლა განათლების საქმეკუს ნაბიჯით მიდის, სკოლაში ნასწავლი მოწაფეები, ცხოვრებაში გამოსულები თან და თან ივიწყებენ სკოლაში ნასწავლს და ისევ უმეცართა ბრბოს უერთდებიან იმის ნაცვლად, რომ თვითვე შეეტანათ და გაევრცელებინათ ხალხში შუქი განათლებისა, ეს იმის ნიშანია, რომ სკოლას თავის მიზნისადმი ვერ მიუღწევია, მოწაფეს წიგნი ვერ შეუყვარებია და კითხვა ვერ გაუხდია ცხოვრების აუცილებელ მოთხოვნილებათ. აქაც სახელმძღვანელო წიგნს დიდი მნიშვნელობა აქვს—სჩანს იგი ვერ უხმარიათ სკოლაში შესაფერისად, ვერ აღუძრავთ მოწაფეში საკმარისად სწავლის ხალისი და სახელმძღვანელოს საშუალებით სწავლის შეძენისა და თვით-განვითარების სიყვარული ვერ ჩაუნერგავთ მოწაფეში. **ლ. ბ—ძე.**

იძულებითი განმარტება

(ბ. ჯავახელის წერილების გამო) *)

სრული ჭეშმარიტებაა, რომ ისეთი ძნელი და საფრთხიანი საქმე, როგორც ბავშვების სწავლება და აღზრდაა სხვა არა არის-რა ადამიანის ცხოვრებაში, და მთელი კაცობრიობის ბედიც ამ საგანზედ არის დამყარებული. აი, რისთვის აწევს დიდი მოვალეობა მასწავლებელს კისერზედ და ის, რომ ჰირნათლად შეასრულოს ეს მძიმე საქმე, უნდა იყოს დახელოვნებული ცოდნა-გამოცდილებით და აღჭურვილი საჭირო იარაღით, როგორც ყველა ოსტატი. მასწავლებლისათვის ერთს უპირველესს იარაღს შეადგენს საუკეთესო მეთოდზედ შედგენილი სახელმძღვანელო წიგნი. რაც უნდა ადვილი საგანი იყოს, უსახელმძღვანელოდ შესწავლა ძნელია. ენების შესწავლაში კი კარგი სახელმძღვანელო სწავლის არსებობას შეადგენს.

ცნობილია, რომ ჩვენებურ მაღალ კლასებში ქართულის ენის სწავლება სასურველად ვერ არის დაყენებული. ამის მიზეზი სხვათა შორის ისიც არის, რომ ამ კლასებში სახელმძღვანელო წიგნები სრულიად არ მოიპოვება. დაბალს კლასებში კი, სადაც სახელმძღვანელოდ ხმარობენ ბ. გოგებაშვილის „დედა-ენასა“ და „ბუნების-კარს“ და სინდისიერად და ბეჯითათ ასრულებენ—ამ სახელმძღვანელოების მოთხოვნილებას სწავლების დროს, ქართულის ენის სწავლება ჩინებულად არის დაყენებული და უსათუოდ ესეც უნდა იყოს იმიტომ, რომ „დედა ენა“ შედგენილია საუკეთესო გერმანულს მეოთოზედ, რომელმაც დიდებულის რუსის პედაგოგის უშინსკის სახელიც კი დაჩრდილა. ამ სახელმძღვანელოებს რამდენადაც უფრო მეტს ეცნობით, იმდენად მათი მეტი დირსება გეშლებათ თვალწინ. ბევრჯერ შემოუჩივლიათ ჩვენთვის სომეხ—მასწავლებლებს: „ჩვენ სახელმძღვანელოები ბევრი გვაქვს, მაგრამ ისეთი ერთიც არაა, როგორით თქვენი „დედა-ენა“ და „ბუნების-კარი“. ბევრჯელ გვსმენია უოფილი მზრუნველის ზავადკისგან „დედა-ენის“ ქება. დირექტორები: დიმიტრიევი, შულგინი და ლედენცოვი იწონებდნენ „დედა-ენასა“. შულგინი ხშირად იტყოდა დედა-ენის შესახებ: „დედა-ენა“! „მშვენიერი სახელმძღვანელო წიგნია“.

კავკასიაში მეოთი გერმანელი პედაგოგები, რომელთაც კი გაუცვნიათ „დედა-ენა“ ბ. გოგებაშვილისა, სცნობენ ამ სახელმძღვანელოს საუკეთესო გერმანულ მეთოდზედ შედგენილად. იმათი აზრით „დედა-ენა“ არც ერთს გერმანულ სახელმძღვანელოებს არ ჩამოუვარდება. ამითი ჩვენ ის კი არ—გვსურს, რომ გოგებაშვილი და მისი სახელმძღვანელოები ზეცით მოვლინებულად დავსახოთ, არამედ ის, რომ გოგებაშვილი სხვა ხალხში უფრო მეტს სახელს, დიდებას და პატივს მოიხვეჭდა, მინამ ჩვენში. გოგებაშვილმა ჩვენ გამოგზარდა; სხვები აფასებენ და ჩვენ კი არა. ჩვენ ყველაფერში გაღაჭარბება გვიყვარს და, როგორც კრიტიკოსები, არ ვარგვართ. არ შეგვიძლია ისე შევეხოთ საგანს, რომ მოწინააღმდეგის პირადობა არ გავთელოთ. ამას გვიმტკიცებს ამ ბაფხულს ატეხილი პოლემიკა სატოდავ ოფოფის შესახებ, რამაც ყური გამოგვიჭედა.

ბ. გოგებაშვილის „დედა-ენის“ სასულიერო ზნეობრივს განყოფილებაში შეტანილი აქვს სუდრის აღწერა და ჯვარი. ასოს „ღ“ შესასწავლად კი ანბანში დახატულია ღორი. ბ. ჯავახელი ბძანებს: შორს მხედველობის პოლიტიკა თხო-

*) იხ. „სახალხო გაზეთი № 40 და 68.

ულობს, რომ უფრო სათუთად მოვექცეთ ჩვენი თანამემამულე ძმების რწმენას, მათს რელიგიურს მეტად ნაზს და წმინდა გრძნობას და განვდევნოთ დედა ენიდგან სიტყვები: საედარი, ჯვარი და ღორიო. ჩინებული აზრია ჩვენის თანამემამულე ძმების (ქართ. მუსულმანების და ებრაელების) რწმენის სათუთად მოქცევა, მაგრამ ისინი (ქართ. მუსულმანები და ებრაელები) დარწმუნებულნი უნდა ბრძანდებოდენ, რომ ჩვენთვის ქრისტეს ჯვარი და ეკლესია, ეს დედა ბოძი ჩვენის სარწმუნოებისა, რომლისათვისაც 15 საუკუნე სისხლი ვღვარეთ, იმდენად ძვირფასი რამ არის, რამდენადაც მუსულმანებისთვის მიზგითი და ებრაელებისათვის თორა; როგორც ისინი ვერ შეელევიან სხვისი რელიგიური ფანატიკოსობისთვის თავის სარწმუნოებას, აგრეთვე ჩვენც. ამიტომ განდევნა სახელმძღვანელოდგან ჯვრისა და ეკლესიისა, როდესაც ეს საგნები უკვე ძალანილია დედა-ენაში, იქნება ან თვალთმაქცობა და ან სიმხდალე და სილაჩრე. ასეა, თუ ისე, რად უნდა ვაფიქრებინოთ ქართ. მუსულმანებს და ებრაელებსა, რომ იგინი ჩვენ თვალში ფანატიკოსები არიან და ამიტომ ჩვენ, მათი გული რომ მოვიგოთ, იმასაც კი ვდევნით სახელმძღვანელოდგან, რომლის განდევნა 15 საუკუნის განმავლობაში აღმოსავლეთის მტარვალებმაც-კი ვერ გვაიძულეს. ამ ჩვენმა ძმებმა (ქართ. მუსულმანებმა და ებრაელებმა) რომ გვითხრან: „შემცდარი ბრძანდებით, გაზეთებში ტუუილად გვარცხვენთ. არც ისე შეუგნებელი და ფანატიკოსები ვართ, როგორც თქვენ წარმოგიდგენიათ“. ნეტა რა პასუხს მისცემს ბ. ჯავახელი! ეხლა ვესტუმროთ ჯავახელისგან მოძულებულს—ღორს. ზემოდ მოგახსენეთ, რომ ასოს „ღ“-ს შესასწავლად დედა-ენაში დახატულია ღორი. ბ. ჯავახელი ბრძანებს: „მაინც და მაინც რა სამკაულს შეადგენს ღორი, არ შეიძლება დახატოს ღამურა, ღუზა, (ამ სიტყვის მნიშვნელობას ბავშვი ვერ წარმოიდგენს), ღობე, ღალღა და სხვა“. ჩვენის აზრით ღორი ისეთივე ცხოველია, როგორიც ყველა სხვა შინაური და გარეული პირუტყვი. რითი არის ღორი უარესი ძაღლზედ? კანონი ორივეს ჭამას უშლის ორთავეს ჩვენს ძმებს. თუ ბძანებენ, ღორი ბიბლია ცხოველია და ზიზღსა გვრის—ჩვენს ძმებსო და ამიტომ იმათ საკითხავ წიგნებიდგან უნდა გაიდევნოსო, შემცდარი აზრი იქნება, ქვეწარმავალთა უსაზიზღრესი განა იქნება ქმნილებათაგანი? მიუხედავად ამისა, სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნების ფურცლები ამ საზიზღარ ცხოველების სურათებით არის აჭრელებული და ეს წიგნები, როგორც ჩვენ, ისე მუსულმნებს და ებრაელებს უჭერიათ ხელში. ზოოლოგიაშიც სხვა ცხოველებიან ღორსაც სწავლობენ, რის შემდეგ ისევ მუსულმანებად და ებრაელებად რჩებიან. რაც უნდა იყოს, შორს მხედველობის პოლიტიკა თხოულობს იმას კი არა, რომ გაზეთების საშუალებით მოვრიოთ ყვირილი: თუ სახელმძღვანელოებიდან არ განიდევნა ეს და ეს სიტყვები, ქართ. მუსულმანები და ებრაელები ქართულს არ ისწავლიან და საქართველო დაიღუპებაო. ეს პოლიტიკა უფრო იმას თხოულობს, რომ ამსარი საკითხები უგაზეთოდ, უყვირლად და უკიჟინოდ შინაურულად სწყდებოდეს.

ბ. გოგებაშვილს დედა-ენაში ნახმარი აქვს სიტყვა „ბურტული:“ ფრინველი შემოსილია ბურტულით. ჯავახელი ბძანებს: „საჭიროდ მიგვაჩნია შეიცვალოს სიტყვა ბურტული უფრო კეთილ- ხმოვანზედ ბუმბულზე“-ო. სიტყვა: „ბუმბული“, მართლა, უკეთილხმოვანესია სიტყვაზედ „ბურტული“, მაგრამ დედა-ენაში-კი კანონიერად არის ნახმარი და სწორედ იქ, სადაც სწერია ბურტული, ბურტული უნდა იყოს და არა ბუმბული. გავარჩიოთ სიტყვები: ბურტული და ბურდღა (გურიაში ამასაც ხმარობენ) და ამათგან წარ-

მომდგარი სიტყვები და ნათლად დავინახავთ სიმართლეს გამოთქმულს ჩვენ მიერ ახსნისას. ბურტულისაგან წარმოსდგა სიტყვები: ბტყვნა ვბტყვნი, საბტყვენი, ნაბტყვენი; ბურდღისაგან წარმოსდგა: ბდღვნა, ვბდღვნი, საბდღვენი, ნაბდღვენი. ბურტული და ბურდღა ნიშნავს ნივთიერებას, რომლითაც შემოსილია საგანი და სიტყვები: ბტყვნა, ვბტყვნი, ბდღვნა, ვბდღვნი, ნიშნავს მოქმედებას ხსენებულის ნივთიერების მოსაშორებლად საგნიდან. სიტყვები: საბტყვენი და საბდღვენი უჩვენებენ ნივთიერებაზედ, რომელიც უნდა გაიბტყვნას. ნაბტყვენი და ნაბდღვენი უჩვენებს ნივთიერებას, რომელიც უკვე მობტყვნილია და მობდღვნილია. ამნაირად, რითაც ფერინველი არის შემოსილი ბურტული ან ბურდღა უნდა ეწოდოს; ტანიდგან შემოტლილს ნივთიერებას ნაბტყვენს, ნაბდღვენს და ნაკერტენს ეძახიან. გარჩეულს ნაბტყვენს, ნაბდღვენს და ნაკერტენს ბუმბული ეწოდება. როცა ვამბობთ, ბუმბული ვიყიდეო, მაშინ ვგულისხმობთ გარჩეულს და არა ფერინველის ტანზედ სხმოიარეს ბურტულსა. ჯავახელს საშინლად ეჯავრება თურმე ასო „უ", მაგრამ მისი განდევნა ყოვლად მოუხერხებელია და შეუძლებელიც.

დედა-ენაში (42 გვ.) ბ. გოგებაშვილს უხმარია ერთი ტერმინი: „ბატს ფეხის თითები გაერთიანებული აქვს კანითა". ჯავახელს შეუძლებლად მიაჩნია ესეთი ტერმინი და გვითითებს ორბელიანის დექსიკონში გვ. 28 შემდეგზედ: „ბანდად ითქმის მღვიმობის ფრთა და წულის ფრინველთა ფეხი, ხოლო ბანდული ლანჩა დაწნული, ფეხისაცმელი". ჯავახელი ამბობს: „დამეთანხმებით, ტერმინი „ბანდი" არსებულა ქართ. ენაში და უკეთესია, ვიხმაროთ ტერმინი „ბანდი", და აქედგან ფეხბანდული ფრინველი. ორბელიანს აქვს ნახმარი სიტყვა „ბანდად", მაგრამ ის მხოლოდ მსგავსებაზედ უთითებს და არა ისე, როგორც ჯავახელს ჰგონია. სიტყვას „ბანდი" ასე ხსნის თავის დექსიკონში (გვ. 28) ორბელიანი: ბანდი: მას უწოდებენ უხმარს ძონძსა, გინა წვრილთა თასმათა და მისთანათა; ბანდს უწოდებენ ერთსა სენსა ჰირუტეუთასა", მართლა, როგორც ჩანს ხალხნიც ხმარობენ, ბანდი ნიშნავს თასმას და ბაწარს, რითაც ლანჩას ბანდვენ და ბატის ფეხთან საერთო ცოტა აქვს. ეხლა გავსინჯოთ სიტყვა ბანდული, რომელსაც ორბელიანი ლანჩას და წნულს ფეხსაცმელს უწოდებს. ბანდული ანუ ფეხსაცმელის ძირი იშნაირად იწვნება, როგორც ცხრილი და მასავით ნახვრეტები აქვს, რომ არ დასველდეს ოფლზედ. ბატის ფეხის თითები კი ერთიანად არის გაერთებული ტყავით (კანით), რის გამო ეხერხება მოსმა წყალზედ და მარდად ცურავს. ბატს ფეხის თითები ცხრილის მსგავსად რომ ქონდეს გაბანდული, მარდათ ცურვას ვერ მოართვდა. რადგანაც სიტყვა ბანდი ტერმინად ვერ გამოგვადგება, უკეთესია მივმართოთ ისევ ხალხსა, რომელიც ხმარობს ტერმინებს: ბანდული, ბანდულიანი, აქედგან ფეხბანდული, ფეხბანდულიანი. თუ ჯავახელი ბძანებს: ბანდული და ბანდულა ერთი და იგივეა, მხოლოდ ა-თი და ი-თი განსხვავდებაო, მაშინ ჩვენც ვუპასუხებთ ასე: როგორც ტომარა და ტომარი, გარეგნობით განსხვავებული ანით და ინით, ერთსა და იმავე საგანს ნიშნავს, ისე ბანდული და ბანდულა. მიუხედავად ამისა ბ. გოგებაშვილის ტერმინი: „ბატს ფეხის თითები გაერთიანებული აქვს კანი" კანონიერიც, სწორეც და გასაგებიც არის ბავშვებისთვის. ბ. გოგებაშვილი დედა-ენაში შინაურის ცხოველების აღწერის დროს ხმარობს ტერმინებსა: ჩლიქი, გაუოფილი და გაუუოფელი. ჯავახელს მიუმჩნევია ამნაირის ტერმინების ხმარება მომაკვდინებელ ცოდვად, იგი ბძანებს: „გაუუოფელს (გაუპობელი სჯობს) ჩლიქს ქართულად ქაჩარი ქვია, აქა და რუსებს

არ აქვს, ჩვენი რა ბრალია. ამგვარად ქაჩაჩიანი ცხოველები (однокопытныя животныя) და ჩლიქიანი ცხოველები (двухкопытныя животныя). ვნახოთ რაგდენად მართალია ჯავახელი ახალ ტერმინების გამოგონებაში! ჯავახელი ამბობს: „ჩლიქს ქართულად ქაჩაჩი ქვია. ვკითხოთ ახლად მოგლინებულს მეცნიერებს, თუ ჩლიქი ქართულად ქაჩაჩია, მაშ ჩლიქი ქართული სიტყვა არ ეთქვილა და თუ ქართული არ არის, მიგვითითოს, რომელი ხალხის ლექსიკონიდან ისესხეს ქართველებმა ეს სიტყვა. ჩვენ კი წმინდა ქართულ — სიტყვად მიგვაჩნია ჩლიქი. საქართველოში ცხენის, ჯორის და ვარის ფეხების იმ ნაწილს, რომელიც რქის მსგავსი ნივთიერებით (роговое вещество) არის დაფარული და ქვემოდან ნალებსა აკვრენ, ჩლიქი ეწოდება. მწერლობაშიც ეგრე იხმარება; მაგალითად, ბ. აზბეგს თავის მოთხრობაში „ელგუჯა“, გვერდი 17, ზევიდან მე-15-ტე სტრიქონი (გამოცემა ამხანაგობის) ესე აქვს ნახმარი: „ახალ დასამულს მიწას ადვილად შეამჩნევდით უნალო ცხენის ნაფეხურს და **ჩლიქებას** იმ გვარ ბეჭდებს, რომელსაც „ბაკაკს“ ეძახიან“. ეჭვის შეტანა შეუძლებელია იმაში, რომ აზბეგმა წმინდა ქართული იცოდა. თუ ვინმე ქართველთაგანი — ერთი — ორი ჩლიქის მაგიერ ქაჩაჩს ხმარობს, ეს უვიცობად უნდა ჩაითვალოს და არა სასოგადო კანონად *). ზემოდ დასახელებულს ცხოველებს ჩლიქის ზემოდ მეორე სახსარში, ამოსდის გრძელი ბალანი (რუსულად шелка), ამ ბალანის ბოლოს და სახსარს ქაჩაჩი ქვია. ამ სიტყვას ვპოულობთ იმავე ბ. აზბეგის მოთხრობაში: „ელისო“ გვერდი 191, სტრიქონი ზევიდან მე-18-ტე: „ვაკიამ ცხენებს ქაჩაჩზედ ნაბდის ნაჭერი მაგრა ამოკრა“, ქვიან ალაგას ცხენების ჩლიქებს ქვემოდან ამოსდებენ ნაბდის ნაჭრებს და თოკით ქაჩაჩზედ ამოაკვრენ, რომ არ წასძვრეს. ამნაირად ცხენს, ჯორს და ვირს ჩლიქიც აქვს და ქაჩაჩიც, მხოლოდ სხვა და სხვა ალაგას. რაც შეეხება რქიანს საქონელს, ჯავახელი გადაჭრით ამბობს — ჩლიქი აქვსო და ჩვენც დაუმატებთ: ქაჩაჩიც აქვს. რქიან საქონელსაც, როგორც ცხენს, ჯორს და ვირს, ჩლიქებზედ ზემოდ სახსარში ამოსდის თითო ფეხზედ ორ-ორი პატარ-პატარა ჩლიქის მსგავსი; ამ პატარა ჩლიქებს და სახსარს ქაჩაჩი ეწოდება. ამ ჯგუფს ეკუთვნის ღორიც. ცხენს, ჯორს და ვირს გაუფოფილი ჩლიქები აქვსთ და რქიანს გაფოფილი; ჯავახელს ტერმინები: გაფოფილი და გაუფოფელი არ მოსწონს და ბძანებს: გაუფოფელს გაუპობელი სჯობსო. ესეც ჭეშმარიტებას არის მოკლებული. რომ შევადარეთ ტერმინები: გაფოფილი, გაუფოფელი, გაპობილი და გაუპობელი, აშკარად დავინახავთ, რომ პირველნი: გაფოფილი და გაუფოფელნი წარმოადგენენ ბუნებრივს საგანს და მეორენი: გაპობილი და გაუპობელი კი ხელოვნურს, კაცის ხელის ნამოქმედარს. რადგანაც ცხოველები ბუნებრივად ჩლიქ გაფოფილი და გაუფოფელი იბადება, ამიტომ ტერმინები: „გაფოფილი და გაუფოფელი უნდა ჩაითვალოს სწორე და მართალ ტერმინებად და არა გაპობილი და გაუპობელი, როგორც ოცნებობს ბ. ჯავახელი.

ჩვენ სრულიადაც არ გვეწადა რაიმე პასუხი გაგვეცა ჯავახელისთვის, მაგრამ ბ. გოგებაშვილმა უფურადღებოთ დასტოვა მისი მეორე წერილი (სახალხო გაზეთი № 68, ამ წლის), რომელშიაც იმასვე გაიძახის, რასაც პირველს წერილში (სახალხო გაზეთი, № 40). უპასუხოდ დატოვება ამნაირი წერილებისა საზარალოდ, მომაკვდინებელ ცოდვად მიგვაჩნია, რადგანაც ბევრნი ჭეშმარიტებად ჩასთვლიან იმას, რაც უვიცობის ნაყოფია.

*) გურიაში ჩლიქს ფოლოსაც ეძახიან ტ იმერეთში ფოლსაც (ფლო).

არ შეგვიძლიან უსაუკეთესოდ შეგარჩინოთ ჯავახელს კრიტიკოსს შემდეგიც: „თუ ვინმემ დაგვიმადლა სხვა წიგნებზედ სხვა დროს ვიტუვით“-ო, ბძანებს კრიტიკოსი თვისის პირველის წერილის ბოლოში. ჩვენ ზემოთვე მოგახსენეთ, ბატონებო, რომ ეოველიგვში გადაჭარბება ვიცით შეთქი. მსოფლიო მწერლებსაც კი არ მოუთხოვნიათ: თუ დაგვიმადლებთ, კიდეგ დავსწერთო. ჯავახელმა კი ორი მცირე წერილი დასწერა, ისიც სიმართლეს მოკლებული და თავმომწონედ თხოულობს: „თუ დამიმადლებთ, კიდეგ ვიტუვი“-ო. მართლა რომ სასაცილოა.

ბსი.

უ ც ხ ო ე თ ი

დასრულებული ტიპის სკოლები და დამატებითი კურსები.

მეტის მეტმა სიღარიბემ, გაუნათლებლობამ, ადგილის სივიწროემ, მიწის შემუშავების უვარგისმა ხერხმა და სხვა უბედურებამ ჩვენი სოფელი ისე გააღატაკა, რომ ბევრი იძულებულია მიატოვოს სოფელი და სამუშაოდ გასწიოს ქალაქებისკენ. ჩვენმა სკოლებმა ხალხს მხოლოდ მცირეოდენი მადა გაუხსნა, მაგრამ სასურველი საზრდო კი ვერ მიაწვდინა, ვერ გააუმჯობესა ხალხის მდგომარეობა, ვერ მისცა შესაფერისი ცოდნა. ეხლა, როდესაც ფიქრობენ სახალხო სკოლების კურსის გაფართოებას, როდესაც აზრად აქვთ ჩვენშიაც საზოგადო სავალდებულო სწავლება შემოიღონ, საჭიროა მივაქციოთ ყურადღება ამ საგანს და ნათლად წარმოვიდგინოთ თუ როგორ არის ამ მხრით მოწყობილი საქმე ევროპის მოწინავე ქვეყნებში.

გერმანიაში დიდს ყურადღებას აქცევენ პროფესიონალურ სწავლა განათლებას, რასაც მცხოვრებთათვის დიდი სარგებლობა მოაქვს. პროფესიონალური და მრეწველობითი განათლება გერმანიაში დაიწყო 1870 წლიდან და დღეს შესანიშნავი ნაყოფი მოაქვს ცენტრალური მმართველობის ძლიერის დახმარებით, რომელსაც მთავარ მიზნად აქვს სავალდებულო სკოლაში კურსის დასრულების შემდეგ, მოწაფეებს შეეძლოთ პროფესიონალური ცოდნის მიღება, იმდენად მტკიცედ, რომ მათ ჰქონდეთ სრული წარმოდგენა იმ ნაწარმოების უსაჭიროესს პროცესების შესახებ, რასაც ასწავლიან, ამისთვის კი საჭიროა, რომ დასაწყისმა სკოლამ მისცეს მოწაფეს არა მარტო წერა-კითხვის ცოდნა, არამედ ისეთი საზოგადო განვითარება და ცნობები, რაც საჭიროა პროფესიის შესასწავლად—მაგ. ცნობები ბუნების მეტყველებიდან, ფიზიკიდან ქიმიიდან და სხ. და აი გერმანიაში სახალხო სკოლებთან, რომელსაც 8 წლის კურსი აქვთ, არსდება ესრედ წოდებული „დასასრულებელი სკოლები“, სადაც საზოგადო სავალდებულო საგნებთან ერთად ასწავლიან რამე წარმოებას, ან ხელოსნობას. ამისთანა ტიპის სკოლა 90% ყველა სამრეწველო სასწავლებლიდან და დანიშნულია ახალგაზრდა მუშებისა, მიწის მუშაკთა შვილებისა და სახელოსნოების მოწაფეთათვის; უკანასკნელები ვალდებულნი არიან იარონ საღამოობით კურსებზედ, მოისმინონ საზოგადო საგნები და იმუშაონ პროფესიონალურს კლასებში. დასაწყისი სკოლების ყველა მოწაფეები კურსის დასრულების შემდეგ ვალდებულნი არიან ორი, სამი და თითქმის ოთხი წლის განმავლობაშიაც იარონ „დასასრულებელ სკოლებში“ ე. ი. 14—

18 წლამდის. ამ კანონით დასაწყისს სკოლებში კურს დასრულებულნი და აგრეთვე სახელოსნო მოწაფეებიც კრიტიკულს ასაკში იძულებულნი ხდებიან ასცდნენ ქუჩის ცხოვრებას, სკოლაც ზრდის მათ ზნეობრივად, და იმავე დროს აძლევს მათი მოქმდებისათვის სასარგებლო ცნობებს და ხდიან მათ გამოცდილ შრომის მოყვარე მოქალაქეებად. რადგანაც გერმანული „დასრულების სკოლები“ გაგრძელებაა დასაწყისი სკოლებისა, ეს უკანასკნელებიც ცდილობენ მოამზადონ მოწაფეები პრაქტიკული ცოდნის შესაძენად. სახალხო სკოლებში შემოღებულია ხელით მუშაობა, რაც აჩვევს მოწაფეს სისტემატიურს დალაგებულს მუშაობას; შემოღებულია ხატვა ჰამბურგის ყველა პროფესიონალური სკოლების დირექტორის შტულმანის მეთოდზე, ასწავლიან საუბრებს, ცხოველებზე, მცენარეებზე, ადგილობრივ მადნეულებზე, ხელოსნობაზე, ვაჭრობაზე, მისვლა-მოსვლაზე, გარედ გასატან და შემოსატან საქონლებზე. მაგრამ სახალხო სკოლას პროფესიონალური სკოლის ხასიათი არ აქვს, არც აძლევს ასეთს განათლებას, ის მხოლოდ ამზადებს მოწაფეს პროფესიონალურის განათლების მისაღებად. პირიქით, დასრულებულ პროფესიონალურ სკოლებს თვით აქვს საზოგადო განათლების კურსები, იმ ცოდნათა დასამატებლად, რაც მიუღიათ სახალხო სკოლაში. გერმანიაში, ავსტრიაში და ინგლსში დამატებითი კურსების სკოლებში საზოგადო განათლების საგნებს შეადგენენ: დედა ენა, სტილი, კითხვა ავტორებისა, სამშობლოს ისტორია, ცნობები სამრეწველო და კომერციული გეოგრაფიიდან, ბუნების მეტყველება, ფიზიკა, ქიმია, კომერციული არითმეტიკა, გეომეტრია და ხატვა. განსაზღვრული პროგრამა და ცხრილი საგნებისა არ არის; ყველა დამოკიდებულია თვითონ პროფესიონალური კლასების ხასიათზე. მეცადინეობა ნაშუადღევს არის, საღამოობით და კვირა დღეებში, ზოგს სკოლებში დილითაც. პროფესიონალური სწავლება შეფარდებულია ადგილობრივის ფაბრიკების ნაწარმოებთან. ქალაქებში შეიძლება მეტი სპეციალიზაცია, არის თითქმის ცალკე სკოლები სასტუმროში მოსამსახურეთათვის, პარიკმახერების, ყასბების, კარეტების მკეთებელთა ხელოსნებისა და სხ. ქალაქებში 30 ათას მცხოვრებზე ერთია ასეთი სკოლა, პროვინციებში ასეთი სკოლები აქვსყოველს სოფელს, სადაც ათასამდის მცხოვრებია.

სპეციალობის სხვა და სხვა გვარობა ამ სკოლებში გასაოცარია, მაგრამ ყველაზედ უფრო მეტი კომერციული სკოლებია, რომლიდანაც გამოდიან მარდი და ვაჭრობის მცოდნე აგენტები, კომმივოიაჟორები, რომელთაც იციან უცხო ენები, ანგარიშის წარმოება, კომერციული გეოგრაფია, საკომერციო წერილების შედგენა, ლამაზი წერა.

რამდენად გავრცელებულია გერმანიაში „დასასრულებელი სკოლები“ ვუჩვენებთ ბავარიაზედ, სადაც ექვს მილიონ მცხოვრებს 704 სკოლა აქვს ამ ტიპისა, რომელშიაც სწავლობს მცხოვრებთა 5% ე. ი. ის ნაწილი, რომელსაც შესაფერისი ასაკი აქვს პროფესიონალურ განათლებისათვის. ამ სკოლათა რიცხვში ბავარიაში არსებობს ცალკე კურსებიც მეურნეობის, ხეხილის მოყვანის, მებოსტნეობის და სხვა დარგის შესასწავლად, დიდი გავლენა აქვს სამეურნეო მრეწველობის ინტენსიურად განვითარებაში, რითაც სარგებლობენ იქაური გლეხები მცირე ნაჭერ მიწაზედ.

ამას წინად გამოქვეყნებული სტატისტიური ცნობები პრუსიაში 1907 წლისა ვაჭრობა-მრეწველობიდან იძლევა საყურადღებო ციფრებს ორივე სქესის დასასრულებელ სასწავლებლის მოწაფეთა შესახებ. ვაჟები, რომლებიც ხელობასა სწავლობენ, არიან 428000, ამათგან 329900 დასასრულებელ სკოლაში დადიან. ხელოსანი ქალები 68000, აქედან დასასრულებელ სკოლაში 18000, ამ სახით რჩება 100.000 სახელოსნო სკოლის მოწაფე ე. ი. საზოგადო რიცხვის $^1/_4$ და 50.000 სახელოსნო სკოლის მოწაფე ქალი, ე. ი. $^5/_7$, რომელნიც არ იღებენ არავითარ დამატებით განათლებას დასაწყისს სკოლებში კურსის დასრულების შემდეგ.

ამის გამო პრუსიის მთავრობა ამზადებს კანონ-პროექტს სავალდებულო სიარულის შესახებ დასასრულებელს სკოლებში ქალთა და ვაჟთა მიერ.

დამატებითი სკოლები ინგლისში ამ უკანასკნელ ხანებში იმდენად განვითარდნენ, რომ მიიღეს სახალხო უნივერსიტეტების ხასიათი (University Extension lectures). ამნაირ კურსების მეორე სახეს წარმოადგენენ „მოზრდილთა სასწავლებლები“ (adult schools), რომელთაც წინად კონგრესიონალური ხასიათი ჰქონდათ, ეხლა კი წმინდა რელიგიოზურ-ზნეობრივი. 1906 წელს სასწავლებელთა კომიტეტების ასოციაციამ ინგლისში (Association of education committees) დაადგინა შემდეგი: 1) ორთავე სქესის ბავშვებმა 14 წლამდის უნდა იარონ სკოლაში დღისით, 2) თუ რამე მიზეზის გამო ამას ვერ შესძლებენ, იმათთვის უნდა იქმნას გამართული დამატებითი საკვირაო ანუ საღამოობითი კურსები. საღამო კურსებზე საგნების სწავლება ექვს ჯგუფად არის დაყოფილი: 1) საზოგადო განათლების საგნები და სავაჭრო კურსები, 2) ხელოვნება, 3) ხელოსნობა (manual instruction in wood, metal or other materials), 4) ნიშნობლივი მეცნიერება და გამოსაყენებელი ცნობები, 5) მეოჯახეობა და ვაჭრობა და 6) ფიზიკური აღზრდა. საღამო კურსებზე მსმენელთა რიცხვის სწრაფად გაბევრებამ ხელმძღვანელები იქამდის მიიყვანა, რომ ფიქრობენ ამ კურსის გავლის დაკანონებას იმ პირთათვის, რომელთაც 12 წლამდის სახალხო სკოლა არ გაუთავებია. განსაკუთრებული თვისება ინგლისის დამატებითი სკოლების სისტემისა ის არის, რომ ადგილობრივს სამოსწავლო ორგანიზაციებს კანონით უფლება აქვს მიმართოს სხვა განმანათლებელ დაწესებულებებს ყოველგვარი სკოლებისა და კურსების მოწყობის შესახებ იმ მიზნით, რომ ფართოთ გაავრცელონ დამატებითი განათლება ხალხის მასსაში. პროფესორ სედლერის სტატისტიკურის ცნობით 1908 წლის განმავლობაში დამატებითს სკოლებში 35 მილიონ მცხოვრებზე 800,000 მოწაფეს უვლია.

აი ასეთი დასასრულებელი სკოლები და დამატებითი კურსებია საჭირო ჩვენშიაც, რომ დასაწყისს სკოლებში კურს დასრულების შემდეგ მოწაფემ შეიძინოს ისეთი ცოდნა, რომელიც მას ცხოვრებაში გამოადგება; მხოლოდ ასეთს პირობებში შეიძლება, რომ საზოგადო სწავლებამ სასურველი ნაყოფი მისცეს მცხოვრებლებს და მწვავე სასკოლო საკითხიც მშვიდობიანად გადაწყდეს.

მ. ქ. ყიფიანი

ბუნება ქართული ენის ეტიმოლოგიურ შენობისა. მოკლე საგრამმატიკო წერილები სამასალოდ. ტფილისი 1910.

საგრამმატიკო წერილი მ. ქ. ყიფიანისა შეეხება ფრიად საყურადღებო საგანს გარდა იმისა, რომ იგი საფუძვლიანად იცავს ვნებითი ბრუნვაში **თ**-ს, იგი აღნიშნავს აქამდის მკრთალად შემჩნეულს საგრამატიკო ნაწერებში სხვა და სხვა თვისებას ჩვენი ენისას. იგი განმარტავს, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქართულ სიტყვების წარმოებაში მარტივ ნაცვალ სახელებს: **ა**-ნს, **ი**-ნს და **ე**-ნს „ა"-ნი უჩვენებს მანძილ ახლოდ, „ი"-ნი მანძილ-შორად და „ე"-ნი მანძილ-გარეშედ საგანს. მარტივი ნაცვლები თავის შერთვით სიტყვების კილოს და სინონიმობას ჰქვიან: ლომ, ლომა, ლომი, ლომაი, ლომია, ლომაია, ლომიაი. საბრუნებლად სიტყვისა აიღება ან მხოლო ძირი მისი (თავ, ლომ, კაც, წერ), ან იგივე შეუღლებულად მარტივ ნაცვლებთან (ვაჟა, კაცი, ვაჟი კაცია). ამ სახიერებით სიტყვები საფუძვლებად, ბრუნვების ძირებად შედიან კანკლედობაში. კანკლედობის საფუძველი არის წრფელობითი ბრუნვის ფორმა. მოიყვანს იგი კანკლედობის საზოგადო სხმას და კანკლედობას სიტყვისა თავ, თავ-ა, თავი და დასკვნის: აქ ზედკეცილ ბრუნვის საფუძვლები არან: I, თავ, თავა, თავი; II, თავის, თავისა, თავისი; III, თავად, თავადა, თავადი. ამ საფუძვლებს განავითარებენ ძირ **თავ** და მანძილად მაჩვენებელი მარტივი ნაცვალ-სახელები „ა" ნი და „ი"-ნი. ესრეთ განვითარებული ყოველი საფუძველი წრფელობით ბრუნვისა შემდეგს ბრუნვებში ვითარდება ბრუნვის მეტასიათე ნიშნებით: **ს, მან, თ, დ, ო.** ამ კანონს იგი უწოდებს **ბრუნვათა ზედკეცილობის ბრუნვას**, ხოლო მას უძღვის ძირითადი **კანონი სიტყვათა ფორმადობისა** მანძილად „ა" და „ი" ანუ **ა, ი და ე-თი.** ამ კანონით აიხსნება წარმოება ქართული სახელებისა: შინდისი, რუისი, ტფილისი. განვითარებითი ბრუნვის ფორმებით იგი კვალად ამტკიცებს **დ**-ნის უპირატესობას **თ**-ნის წინაშე: მამითა, მამითად, მამათადი და არა მამითათი.

საინტერესოა ის ურთიერთობა, რომელსაც ავტორი უჩვენებს კანკლედობის და უღვლილების შორის. სამართლიანად გაკიცხულია აქ ქართულ საგრამმატიკო შრომაში უცხო ენათა გრამატიკის სქემაზე ჩამოსხმა. ამ წამბაძველობის გამო შეუნიშნავი რჩებოდა მთავარი ქართული საგრამმატიკო კანონი, სახელდობრ **კანკლედობრივი ცვალებადობა** განურჩეველად არსებით სახელისა, მისი ყოფა მოქმედებისა თუ თვისება ვითარებისა. ქართულ ვრამმატიკის თვისებას შეადგენს ზმნის ძირითადების და მთლად უღვლილების კანკლედობრივი შთამომავლობა. ამ ტეზისის დასამტკიცებლად იგი იღებს სახელზმას: ნაწერი, ნაცემი, ნახევი, ნაფენი და დააბრუნებს მათ ძირებს: წერ, ცემ, ხევ, ფენ (წერ, წერსი, წერსა, წერმან, წერთა—წერთი), წერდა =(წერდი, წერდე, წერო). სამანძილო ნაცვალ სახელების დახმარებით—ა, ი, ე—თი. ადგილი ნებას არ გვაძლევს ამოვწეროთ ის საგულისხმიერო ურთიერთობა—შეთანხმება, რომელიც ავტორის მა-

გალითით მტკიცდება კანკლედობას და ულვლილებასა შორის. მკითხველმა თითონ მიმართოს მ. ქ. ყიფიანის შრომას და ფასი დასდოს იმის ხანგრძლივ დაკვირვებას ქართული ენის თვისებისას. დასასრულ იგი განმარტავს ეტიმოლოგიურს მნიშვნელობას სიტყვისა „კაცი“ და შეადარებს რა ლათინურს cephalas caput (=თავი), როგორც ამ სიტყვას, აგრეთვე რამდენსამე სხვას (კისერი, კეფა, კოტორი...), დასკვნის, რომ ძირი ჩვენი და უცხო ენების (ინდო-ევროპიელი ჯგუფისა) ერთი და იგივეა კ. რადგან caput ნიშნავს თავს, აქედან იმის აზრით დამტკიცდა, რომ ქართული სიტყვა კაცი ნიშნავს „თავიანობასა“.

საყურადღებოა მ. ქ. ყიფიანის გამოკვლევა. ვთქვათ, ცოტა ნაძალადევი იყოს კაცის ეტიმოლოგიური ახსნა, მაინც უმთავრესი ნაწილი მისი შრომისა, რომელიც შეეხება კანკლედობის და ულვლილების ურთიერთობას ღირსებიანი დაკვირვებაა. არ ვვესმის მხოლოდ ენის ამ საფუძვლიანად მკოდნე პირმა რად მოისურვა აეჭრელებინა ასე უადგილოდ ჰ-ეს „ჩაკვეხებით“ ზმნის ფორმებში: ვაჰ ბეკვდინო, დამაჰცალა, მოვაჰნდომეთ, უჰთქვამს, იჰყოს, იჰჭერს, გვაჰქვს, ენაჰხათ, გვჰჯეროდეს და მრავალ ამ გვარს სიტყვაში?! თუ ეს ქართული ენის კანონია, რატომ გამოსტოვა ჰ ამისთანა მაგალითებში: ეძებდნენ, დავაბრუნოთ?..

ა. ხახანაშვილი.

А. Натроевъ. — Иверскій монастырь на Аѳонѣ, въ Турціи, на одномъ изъ выступовъ Халкидонскаго полуострова. (Историко-археологическая справка по вопросу о спорѣ грузинъ съ греками на право владѣнія имѣніями означеннаго монастыря). Изданіе **П. І. Туманова.** — Тифлисъ.—1910 г. (I+II+455 стр.). Цѣна 1 руб.

ბერძენ-ქართველთა დავა ათონის ივერიის მონასტრის ფლობის შესახებ არ ახალია, ძველია. ჯერ კიდევ მე-XIX საუკ. დასაწყისში ქართველთა დაუძლურებით გათამამებულმა ბერძნებმა ადნიშნული მონასტერი ძალად მიისაკუთრეს და ქართველი ბერები იქიდან თან და თან გაძევეს. და დღეს ქართველების მიერ დაარსებული (მე-X საუკუნეში), მათ მიერვე მთელ რვა საუკუნის განმავლობაში ნაპატრონებ-ნაჯარმაგევი და აუარებელ სიმდიდრით აზდვავებული „ივერონ“ უცხო ტომის საკეთილდღეო წყაროდ ითვლება და მრავალ ტანჯულ ქართლოსიანთ შიგ არც კი აჭაჭანებენ. ეჭვს გარეშეა, ყოველი შეგნებული ქართველი ზნეობრივად ვალდებულია—რითაც შეუძლია—ხელი შეუწყოს სადავო საქმის სამართლიანად დაგვირგვინებას და ბერძენთა უსაბუთო ბრეტენზიების ალაგმვას. და ამ მხრით კი, პირველ ყოვლისა, საჭიროა ვრცელი და ყოველმხრივად გათვალისწინებული ცნობების შეკრება დიდებულ „ივერონ“ წარსულის და აწმყოს შესახებ, რომ ყველასთვის აშკარა იყოს ქართველთა კანონიერი უფლება სადავო საკუთრებ.

ბ-ნ ა. ნატროშვილის წიგნი, რომლის სათაური ჩვენ ზევით ამოვწერეთ, სწორედ ამ უკანასკნელ მიზანს ემსახურება. მხოლოდ კი, სამწუხაროდ, თხზულებაში გამოკვლევის მეთოდი კოჭლობს და ამიტომ დიდძალი ცნობები—ისტორიულ—არხეოლოგიური და იურიდიული—ავტორის მიერ შეკრებილნი ათონის ივერიის მონასტრის შესახებ ჯეროვნად ვერ არიან გამოყენებულნი. ყოველ ისტორი-

ულ შრომას იმდენად აქვს ჭეშმარიტ ისტორიული დირებულება, რამდენად მასში ახალი, ჯერ უცნობი, ცნობა—საბუთებია შემოტანილი ავტორისაგან, ანდა უკვე ცნობილნი მასალანი ახალ თვალსაზრისით არიან განხილულნი და დაფასებულნი. და ამ კრიტერიუმით რომ მივადგეთ ბ-ნ ნატროშვილის წიგნს—ადმოჩნდება, რომ მთელი თერთმეტი თავი (I—XI)—წიგნის თითქმის სამი მეოთხედი (სულ ბ-ნ ნატროშვილის წიგნში 16 თავია), სადაც მოთხრობილია ათონის ივერიის მონასტრის დაარსების, ადგილ-მდებარეობის, წმიდა სამკაულების შესახებ და სხვა,—ძველ, უკვე ცნობილ, მასალათა კრებულს წარმოადგენს. ახალს აქ (პირველ თერთმეტ თავში) ავტორი არაფერს ამბობს და არც რამე უცნობი საბუთი შემოაქვს. მხოლოდ მეათე თავში სცდილობს ბ-ნი ნატროშვილი საქვას ახალი მონასტრის (ივერიის) წინამძღვრებზე და იძლევა მათ სიას, მაგრამ უნდა შევნიშნოთ—აქ ავტორი ვერ იჩენს მეცნიერულ ფხას და მის მიერ შედგენილი წინამძღვართა სია დიდად სათუოა და აპრიორიული. საქმე იმაშია, რომ ბ-ნი ავტორი არ უჩვენებს იმ კონკრეტიულ საბუთებზე, რომლის მიხედვით შეუდგენია მას ადნიშნული სია. თუ ადაპეებით ისარგებლა მან, რომლებიც ქართ-კახეთის სამდვდელოების საეკლესიო შუზეუმის მიერ გამოცემული „ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლ. ხელთნაწერ"-შია მოთავსებული (თბილისი, 1901 წ. გვ. 216—277),—მაშინ უნდა შევნიშნოთ, რომ ეს მეტად სახიფათო და ცდომილი გზაა, ვინაიდან ადნიშნულ ხელთნაწერში ადაპები ხრონოლოგიურად არ არიან დაწყობილნი, რაშიაც, ვფიქრობთ, თვით ბ-ნი ა. ნატროშვილიც დაგვეთანხმება. სწორედ წყაროების გამოურკვეობით და მათ არევ-დარევით აიხსნება ისა, რომ ჩვენი ავტორი (ერთ და იმავე დროს) მონასტრის მეშვიდე წინამძღვრად 223 გვერდზე თვლის ვინმე სვიმონს, ხოლო ოთხი გვერდის შემდეგ კი 227 გვ. ვინმე ნიკოლოზს.

ძვირფასს ნაწილს ბ-ნ ა. ნატროშვილის თხზულებისას შეადგენს უკანასკნელი ხუთი თავი (XII—XVI), სადაც ავტორი იძლევა პირველ წ. არობების მიხედვით, რომლებითაც მას უსარგებლნია ნამესტნიკის არხივიდან, მდიდარ ცნობებს „ივერონ" სიმდიდრის შესახებ, ბერძენ-ქართველთა დავის გამო დიპლომატიურ მიწერ-მოწერაზე, „ახალ ივერიის იოანე დვთისმეტყველის სავანის" აღშენების შესახებ ათონის მთაზე მე-XIX საუკ. მეორე ნახევარში და სხვა. თითქმის ყველა აქ მოყვანილი ცნობები პირველად ბ-ნ ნატროშვილისაგან არის გამოქვეყნებული. მხოლოდ, სამწუხაროდ, ნაკლი ისევ იმაშია, რომ ავტორი მათ (ცნობა-საბუთებს) მეთოდიურად ვერ აწყობს და მეცნიერულად ვერ ლარავს. ეოველ შემთხვევაში წიგნის ეს ნაწილი (XII—XVI თ.) უტილობად აკტივში უნდა ჩაეთვალოს ბ-ნ ა. ნატროშვილის.

საზოგადოდ კი ჩვენ ავტორის შესახებ უნდა შევნიშნოთ კიდევ ისა, რომ ხშირად, კითხვის გადაწყვეტის დროს, ის მეცნიერულს სიფრთხილეს და დეტალობას ვერ იჩენს. მაგალითად, პირველ თავში (გვ. 5) ბ-ნი ნატროშვილი სწერს—ქრისტიანობა ქართველებმა 326 წელს მიიღესო და ამასთან თავის ამგვარ აზრის დასამტკიცებლად არავითარ საბუთს არ ასახელებს. აქ საჭირო იყო ჩვენს ავტორს მოკლედ სხოლიოში განემარტა—თუ რა მოსაზრების ძალით ქართველელების მიერ ქრისტიანობის მიღებას ის მიაწერს სახელდობრ 326 წელს, და არა 317, 324, 357 და etc. წლებს, როგორც ამას სხვები ამტკიცებენ. მკითხველის მეცნიერულ ცნობისმოყვარეობის დასამტკიცებლად ეს უსათუოდ უნდა ექმნა ბ-ნ ნატროშვილს.

კიდევ ერთი მაგალითი ამ მხრით. 153 გვერდზე (შენიშვნაში-თავი VIII.) ბ-ნი

ნატრონშვილი კატეგორიულ ტონზე სწერს— ბალავრის სიბრძნე ქართულიდან უთარგმნიათ ბერძნებსო (ამასთან თარგმანს მიაწერს წმ. ევთიმეს). შეიძლება ეს მართლაც ასე ეოფილიყოს, მაგრამ **გადაჭრით** მტკიცება ამისი, როდესაც რომ იმისთანა მეცნიერნი, როგორიცაა, მაგალითად, ცოტენბერგი (Zotenberg), გრუმბახერი, მეიერი... სულ სხვა აზრისანი არიან. ეოველ შემთხვევაში დიდი გამბედაობაა,—უფრო კი—როდესაც ავტორი თავის აზრს ხატავს, გამოთქვამს (როგორც მაგალითად აქ ბ-ნი ნატრონშვილი) და არავითარ დამამტკიცებელ საბუთ-მოსაზრებას არ მოიეგანს.

არ შეგვიძლია არ ვუსაეგედუროთ ბ ნ ა. ნატრონშვილს აგრეთვე ისიც, რომ მარტოდ რუსულ-ქართულ წყაროებით უსარგებლნია და უცხო ენებზე, უფრო კი ბერძნულ წყაროებისათვის ეურადღება არ მიუქცევია. უეჭველია უკანასკნელში იგი ბევრს ძვირფასს ცნობებს იპოვნიდა. ჩვენის მხრით შეგვიძლია ვუჩვენოთ, სხვათა შორის, პროფ. ფრ. მიკლოშიჩის fr. Miclosich და იოს. მიულერის (Ios. Müller) მიერ შეკრებილ და გამოცემულ „კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს აკტებზე—„acta partiarchatus constantinopolitani“ (ორი ტომია), სადაც მდიდარი ცნობებია მიმობნეული ათონის ივერიის მონასტრის შესახებაც (t. II, pp. 462, 476 etc.).

ორიოდე სიტყვა წიგნის ტექნიკურ მხარეზედაც. პირველ ეოვლისა წიგნში ზოგიერთ ადგილას ციტატები სწორი არ არიან. (მაგ. 163 და 246 გვ. ნაჩვენებია ეორდანიას „ქრონიკა“, მაგრამ რომელი წიგნია ან გვერდი—არ არის ნაჩვენები). გარდა ამისა ციტატების დრო ხშირად ერთ და იმავე წიგნის სახელი სრულადაა მოეგანილი. ბეჭდვითი ტექნიკა კი მოითხოვს წიგნის სრული სახელის მოეგანას მხოლოდ მაშინ, როდესაც პირველი ციტატი ამოაქვთ წიგნიდან, შემდეგ კი გამეორების დრო, ჩვეულებრივად წიგნზე მოკლე ჩვენებით კმაეოფილოებიან ხოლმე. და გვგონია ეს ნაკლი ადვილად ასაცდენი იეოს თავიდან, როდესაც წიგნი იბეჭდება თვით ავტორის ხელმძღვანელობით. კორრექტურული შეესწორებელი შეცდომებიც ბ-ნ ნატრონშვილის წიგნში საკმარისია.

დასასრულ უნდა აღვიაროთ, რომ, ამ ჩვენ მიერ ნაჩვენებ ნაკლულევანებათა მიუხედავთ, ბ-ნ ნატრონშვილის შრომა, როგორც ისტორიულ-არხეოლოგიური „სპრავკა“, თავის მიზანს აღწევს. პრაქტიკული მნიშვნელობა წიგნისა ეოველს ეჭვს გარეშეა. ეოველს ეჭვს გარეშეა აგრეთვე ისიც, რომ ეოველი შემდეგი ათონის ივერიის მონასტრის მეისტორიე დიდძალ ხელის შემწეობ მასალას იპოვნის ჩვენის ავტორის თხზულებაში და ზურგს ვერ აუქცევს მას, უფრო კი მის უკანასკნელ ნაწილს, სადაც მოეგანილნი არიან საბუთები ნამესტნიკის არხივიდან.

როგორც პირველი შემკრებელი ცნობებისა მთელ საუკუნის განმავლობაში მივიწყებულ დიდებულ ჩვენ ისტორიულ ნაშთის შესახებ ბ-ნი ა. ნატრონშვილი დიდი მადლობის დირსია. უნდ მეცენატზე, მარად პატივსაცემ პ. ი. იუმანიშვილზედაც, რომლის საეასიოთ გამოცემული ბ-ნ ნატრონშვილის აღნიშნული წიგნი, მადლობის მეტი არა გვეოქმის რა.

სამ. ცომაია.

მოწერილი ამბები

(წერილი დასავლეთ საქართველოდან)

რიცხვი პირველ დაწყებითი სკოლებისა ამ ჟამად ჩვენში ძრიელ მატულობს, სკოლების გამრავლებასთან ერთად სოფლის მასწავლებელთა რიცხვიც იზრდება. მაგრამ ეს მასწავლებლები ხარისხით, ღირსებით და ცოდნით თან და თან უკან-უკან მიდიან. ამ უკანასკნელ ხუთი წლის განმავლობაში იჩეკებიან ისეთი სოფლის მასწავლებლები, რომლებსაც სადი პედაგოგიურის აზრებისა არაფერი გაეგებათ, არ ესმისთ სამშობლო ენის დიადი მნიშვნელობა მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეში. ამისათვისაა, რომ მათგან სკოლებში სამშობლო ენა მეტად აბუჩადაა აგდებული. ის მასწავლებლები კი, რომლებიც ქართველ ერს მე 80 წლეებში ჰყავდა გაჭრნენ. მაშინდელი სოფლის მასწავლებლები თუ 1881 წელს გამოცემულ სამოსწავლო გეგმას იწუნებდნენ, ახდენდნენ კრებებს და იიხოვდნენ მთელი მასწავლებლების სახელით უცხო ენის სწავლებას მხოლოდ ორის წლის შემდეგ და მოწაფეთა განვითარებას — სამშობლო ენაზე, დღევანდელი სოფლის მასწავლებლები სხვანაირად სწერავენ. მათს ტიბიკონში მხოლოდ ეურმოჭრილი უმობა სწერია: მათ არამც თუ რაიმე ახალი მოუთხოვიათ, პირ იქით ბოძებულს საკვალდებულო 1881 წლის გეგმაზედაც კი ხელს იღებენ. ეს ხდება იმის გამო, რომ დღევანდელი სოფლის მასწავლებელთა უმრავლესობა მდარე ხარისხისაა, გონებრივათ დაქვეითებული ხალხია და პირადი ინტერესების გარდა იმათ არაფერი ახსოვთ. საზოგადოთ სოფლის მასწავლებლობა არც ისე ადვილი ხელობაა, როგორც ეს ზოგიერთებს გონიათ. პირველ დაწყებითი, სკოლის მასწავლებლებს უფრო დიდი მოვალეობა აწევსთ კისერზედ, ვიდრე საშუალო სკოლის მასწავლებლებს, რადგანაც მათ საქმე აქვსთ ისეთს ნორჩს არსებასთან, როგორც 7—8 რვა წლის ბავშვებია, რომელთა აღზრდაც გაცილებით მეტ შრომას, ცოდნას და განსაკუთრებულ მოვლას მოითხოვს, ვიდრე 12—18 წლის ჭაბუკი. სოფლის მასწავლებელმა, გარდა საგნების ცოდნისა, უნდა იცოდეს აგრეთვე ბავშვის სულის ვითარება, მისი ფსიხოლოგიაც. თუ მან ესენი არ იცის ის ვერაფერი შვილი მასწავლებელია. იგი კანონიერ აღზრდის მაგიერ რუვნის და ამახინჯებს ნორჩ არსებას.

რაც შეეხება დღევანდელ სოფლის მასწავლებლებს უნდა აღვნიშნოთ, რომ ისინი, ბევრში სცოდავენ, ბავშვის ცუდი საქციელის გასწორებას გინება-დაცინვით და ცემა-ტეხვით ცდილობენ, ასეთს ზომებს არც ერთი გონიერი აღმზრდელი არ მიმართავს. ყველა გონიერმა აღამიანმა იცის, რომ ცემა-ტეხვით გინებით და დაცინვით ბავშვი ცუდს საქციელს ვერ მოიშლის, პირიქით ყოველივე ეს ზომები უკარგავს მოწაფეს სწავლის ხალისს. და ისე აუზნეურებს მას, რომ მისი გასწორება შემდეგში ყოვლად შეუძლებელი ხდება. მიუხედავად იმისა რომ სოფლის მასწავლებლობა აგრეთი ძნელი საქმეა, და სოფლის მასწავლებლის მოვალეობა ძრიელ პასუხის საგები მოვალეობაა, დღეს მაინც ყველა მასწავლებლობს, ვისაც უსწავლია ორიოდე ანა-ბანა და ვისაც კარგი პროტექტორები ჰყავს. მასწავლებლობს დღეს ის, ვისი გონებაც 6 წლის განმავლობაში სამოქალაქო სასწავლებელში ჩლუნგდებოდა ცუდი მეთოდზე სწავლებით და ან ვის აზროვნებასაც ახშობდა 4 წლის განმავლობაში სულ შემხუთავი რეჟიმი ქალთა მრიამის სკოლისა. ესენი არიან ახალ მოდის მასწავლებლები. ორივე ზემოხსენებულ სასწავლებლებში ქართულ ენას ნაკლებ ასწავლიან მოწაფეებს და თუ ასწავლიან, იმასაც მხოლოდ

მეხუთე გაკვეთილზე, როდესაც მოწაფეები დაღლილ დაქანცულნი თვლემის მეტს არაფერს აკეთებენ. ეგრეთვე მეთოდი სწავლებისა ამ ზემოხსენებულ სასწავლებლებში ისეთია, რომ მოწაფეს, რასაც დღეს ასწავლიან, ის ხვალ არა ახსოვს და რეციდივიზმიც ამ სასწავლებლის კურს დასრულებულ მოწაფეებში ხშირია. ათავებენ ასეთ უვარგის სკოლებს, ჭეოფენ მცირე დროს პრაქტიკაზე და იწურენ შემდეგ მასწავლებლობის ეგზამენს. ეოველივე ამას მიუმატეთ ისიც, რომ ისინი სკოლის გარეშე ცოდნის შეძენაზედ მწყურალად არიან. გაზეთები და თვით განმავითარებელი წიგნების კითხვა, თეატრში სიარული და სხვა მათ არასოდეს არ ჭქონიათ მოთხოვნილებად გადაქცეული და არც არაოდეს შეუწყნარებიათ ოავი თვით-განმავითარებულ წიგნების კითხვით და თეატრებში სიარულით. აი ასეთი ადამიანების ხელშია დღეს ჩვენი სკოლების ბედ-იღბალი, ნამეტურ ასეთი ადამიანები განაგებენ დასავლეთ საქართველოს პირველ-დაწყებით სკოლებს. ამგვარმა „პედაგოგებმა“ სხვას რა უნდა ასწავლონ, როდესაც თვითონ არაფერი ესმისთ. არ ესმისთ არამც თუ ფსიხოლოგია და პედაგოგია არამედ სასკოლო საგნებიც კი. საკვირველია სწორედ როგორ უნდა ადზარდონ იმათ მოზარდი თაობა, როცა თვითონ არ არიან ადზრდილნი კარგათ, სწორის გზით. ვისაც სამოქალაქო სასწავლებლის 4 კედელშეა გაუტარებია 6 წელი, დარწმუნებული ვარ ადამიანობის არაფერი სცხია. სკოლის სულშემხუთველი რეჟიმი 6 წლის განმავლობაში ჩაქრობდა მასში ღვთიურ ცეცხლს ახალგაზრდობისას, ადმოეხვრიდა მის გულში ხალხისადმი სიყვარულის გრძნობას, გახდიდა მონას სულით და გულით და თანაც გააუზნეურებდა, გაატუტუცებდა; ექვსის წლის განმავლობაში სწავლების უგვანო მეთოდის წესლობით გონება გამოუჩლუნგდებოდათ, ზრდენება დაეხშობოდათ, დაჭარგვდენ თავისებურობას, ორიგინალობას და გადაიქცევოდნენ მჩვრად, უსულ-გულო მანქანად უფროსების ხელში. აი ასეთი დირსებებით შემკობილია დღეს დასავლეთ საქართველოს პირველ-დაწყებით სკოლების მასწავლებელთა უმრავლესობა. რასაკვირველია, რომ იმ სკოლას, სადაც ამ ჯურის მასწავლებელი მოღვაწეობს, არავითარი სარგებლობა მოქონდეს ხალხისთვის, ასეთი ჯურის „პედაგოგების“ წყალობითაა, რომ დღევანდელ სკოლებში სულშემხუთველი ატმოსფერა თან და თან ძლიერდება. მიზეზი კი ის არის, რომ დღევანდელი სკოლები ხალხს არავითარ სარგებლობას არ აძლევენ, და ამ უნაყოფობის გაძლიერებასაც დიდათ უწყობენ ხელს ახალი ჯურის „პედაგოგები“. გლეხი ჩვენში დღეს ისევ და ისევ გაჭირვებულ მდგომარეობაშია, მეურნეობა დაცემულია, ტრუ-მორწმუნეობა კვლავ პარპაშობს სოფლად, ჩარჩ-ბატატებიც არ აკლებენ ხელს სოფლელებს და ისიც თარეშობს და სხვა. ვიტყვი მანამდე არ მოიტანს სკოლა ხალხში სარგებლობას, სანამ მისი ბედ-იღბალი ასეთი ჯურის „პედაგოგების“ ხელში იქმნება. რაც შეეხება სამასწავლებლო სემინარიის კურს დასრულებულ სოფლის მასწავლებლებს, იმათ საგნის ცოდნა მაინც აქვთ. გარდა ამისა იმათში ბევრია ისეთები, რომლებიც თავიანთ შოვალეობას პირნათლად ასრულებენ.

ჩვენდა სამწუხაროდ ამ უკანასკნელ ხანებში სამოსწავლო მთავრობა სემენარიელ მასწავლებლებს სოფლად არ აყენებს. იმათ ამწესებენ ესლა უმთავრესად სამოქალაქო სასწავლებლებში და ასე ამ რიგად სოფლად სწავლა-აღზრდის საქმეს „გოროდისტ-მარიანკებს“ უგდებენ ხელში. სკოლამ რომ სარგებლობა მოუტანოს ხალხს, საჭიროა ამისათვის სადი მასწავლებლები. ეს სადი მასწავლებლები თვითონვე აღმოეხვრიან სკოლიდან ასეთ რეჟიმს და შექმნიან სადს სკოლას.

აქილესი.

წერილი პეტერბურგიდან

— პსიხო-ნევროლოგიური ინსტიტუტი;—სტუდენტობა საერთოდ;—ქართველი სტუდენტები: მათი სათვისტომო, სამეცნიერო წრე და ბეჭდური ორგანო:

პსიხო-ნევროლოგიური ინსტიტუტი ცნობილია როგორც ამერიკული ტიპის უმაღლესი იდეალური სასწავლებელი. სწავლა-აღზრდის საქმე ამ ინსტიტუტში მეტად კარგად სწარმოებს. პროფესორებად მიწვეულნი არიან კარგი და ცნობილი პირები. ყველაზე უფრო აღსანიშნავი ინსტიტუტის ორი წლის არსებობაში არის ის, რომ პროფესორებსა და სტუდენტებს შორის მჭიდრო შემაერთებელი ხიდი იქნა გადებული. აქედანვე ცხადად სჩანს, რომ ეს ჯერედ ნორჩი სასწავლებელი სწორ, მიზან-შეწონილ გზაზე არის დამდგარი პროფესურა და სტუდენტობა ერთ შეთანხმებულ ოჯახს წარმოადგენენ. ოჯახს ისეთს, სადაც ყველა წევრებს თანაბარი უფლებები აქვს მინიჭებული. ჭეშმარიტად არ ჩამომერთმევა თუ ვიტყვი, რომ სწავლა-აღზრდის საქმეში არც ერთი სხვა რუსეთში არსებული და ნაარსები სასწავლებლები ახლოს ვერ მიუდგებიან პსიხო-ნევროლოგიურ ინსტიტუტს. აქ კარგ აუდიტორიასთან ერთად კარგი ლაბორატორიაც არის. ის, რაც აუდიტორიაში პროფესორის მიერ ითქმის, ლაბორატორიაში პრივატ-დოცენტისა ან ასისტენტის მიერ მტკიცდება,—ტეორიას პრაქტიკა თანა სდევს. სწავლის ასეთ ნიადაგზე დაუენება აფრთოვანებს სტუდენტებს და ამით აიხსნება მათი მეცნიერებისადმი ასეთ ნაირად გატაცებული მისწრაფება.

პსიხო-ნევროლოგიური ინსტიტუტში ხუთის წლის კურსია. დებულობენ ორივე სქესის წარმომადგენლებს კაცებს და ქალებს. პირველი ორი კურსი საერთო გამავითარებელ კურსებად ითვლება, დანარჩენი სამი-კი სპეციალური კურსებია. ინსტიტუტში სამი ფაკულტეტია. იურიდიული, სიტყვიერ-საისტორიო და საბუნების მეტყველო-საისტორიო. ჯერ-ჯერობით ინსტიტუტს უფლება არ მოუპოვებია, მაგრამ მალე ალბათ ამასაც შეიძენს. ამ ინსტიტუტის პრეზიდენტს აკადემიკოს ბეხტერევს ჯერ ადარც-კი უფიქრია უფლების შესახებ ცთიდიეო, რადგან ინსტიტუტში წელს მესამე სპეციალური კურსები გაიხსნა და, ცხადია, თავის დროზე უფლებაც და სხვა უპირატესობაც ინსტიტუტს ბეხტერევის წყალობით არ დაკლდება.

ეროვნივე ჩვენგანმა უწყის, თუ რა რიგად დაცემულია პედაგოგიკის საქმე რუსეთში. რუსეთს არა ჰყავს კარგი პედაგოგები. სწავლა-აღზრდის საქმე დაბალ და საშუალო სასწავლებლებში მეტად უხამსად სწარმოებს. მოუმზადებელი მასწავლებელი, რასაკვირველია, სწავლების ნაცვლად ბავშვს გონებას უწლუნგებს. უნდა მოვიხსენიო აქვე, რომ დღევანდელი იურისტ-ვექილებიც ვერ ემსახურებიან პირნათლად თავიანთ დანიშნულებას მოუმზადებლობისა გამო. და ამ საშინელ კრიზისის დროს რუსეთს ევლინება პსიხო-ნევროლოგიური ინსტიტუტი, რომელიც ისახავს მიზნათ შეასწავლოს თავის სტუდენტებს ადამიანი სავსებით, მოამზადოს სტუდენტები ეროვნების მხრით და გადასცეს რუსეთს მომზადებული პედაგოგები, მომზადებული იურისტები და უთხრას:—აი, ნამდვილი შვილები, მომზადებულები, გაწვრთნილები, დახელოვნებულები, მიიღე და ამსახურეო.

აი, ამ მეტად საჭირო და სასარგებლო სასწავლებელს მალე თავისი საკუთარი შენობა ექნება. პირველ ოქტომბერს ამ შენობას უბვე საფუძველი ჩაუყარეს, აკურთხეს იგი მრავალ პროფესორებისა და სტუდენტთა თანადასწრებით. პსიხო-ნევროლოგიურ ინტიტუტმა ეს დღე თავის საადღესასწაულო დღედ ჩასთვალა.

სტუდენტებმაც იდღესასწაულეს ეს დღე. გაიმართა ინსტიტუტის შენობაში შინაური „სადამო“. აქ პროფესორებიც იყვნენ. ისრიის მხცოვან პროფესორს კარეევს სტუ-

დენტებმა გრძნობიერი სიტყვა უთხრეს. სიტყვა უთხრეს აგრეთვე ჰსიხო-ნევროლოგიურ ინსტიტუტის ბურჯს აკადემიკოს ბეხტერევს, რომელმაც თავის მხრივ გამოსთქვა ის აზრი, რომ ეცდება ინსტიტუტი უფრო კარგ ნიადაგზე დააყენოს. ერთმა სტუდენტმა უთხრა მას:—ინსტიტუტის საუკეთესო მიზნები უფლების მოპოვებას არ ანცვალოვო. ამაზე ბეხტერევმა უპასუხა:—იდეალს ვიდმერთებ და მას ვემსახურებიო. ამ დროს იგრიალა სტუდენტების ტაშმა. აქედან ცხადათ სჩანს, რომ ამ სასწავლებლის სტუდენტებსა და პროფესორებს შორის მჭიდრო კავშირია დამყარებული და ასეთ ნიადაგზე დაუგენებულ სასწავლებლიდან კარგს მომავალს უნდა მოელოდეს რუსეთი.

თანამედროვე სტუდენტობამ—აქ მხედველობაში მყავს საერთოდ სტუდენტობა—თავისი ფიზიონომია ძალზე გამოიცვალა. ადარ არის წინანდელი კატაკება პოლიტიკისადმი, ჩაქრა მათში რამოდენიმედ მაინც რევოლიუციონური სული. დღეს სტუდენტი ის ადარ არის, რაც იყო ამ სამი-ოთხი წლის წინედ. მას დღეს მხოლოდ-და მეცნიერება აინტერესებს, პოლიტიკა-კი მისთვის ოითქოს სრულიად ადარ არსებობს.

უმაღლესი სასწავლებელი ზრდის სტუდენტს ხალხის სასამსახუროდ; რასაც უნივერსიტეტში იძენენ ის შემდეგ ხალხში უნდა გაავრცელონ, ხალხს უნდა გადასცენ. მაგრამ საკითხი იბადება, როგორ შესძლებ ემსახურო ხალხს, გაიგო ხალხის მოთხოვნილებები, როდესაც ამ ხალხს შენ ადარ იცნობ, მისს ჭირ-ვარამზე ცოტა რამ იცი! იქნებ მიგიყენონ, ეს სიმართლეს მოკლებულია, ჩვენ ხალხს ძალიანაც ვიცნობთო და სხვა. მაგრამ ამაზე შემიძლია ვუპასუხო იმათ,—ოქვენ ხალხს ადარ იცნობთ. ხალხის გაცნობა მარტო გაზეთში ამოკითხულ ცნობებით ეოფლად მოუსერხებელი საქმეა. ამისთვის საჭიროა ხალხშივე ცხოვრება, ხალხიან ტრიალი, რაც შესაძლებელია სტუდენტისათვის საზაფხულო კანიკულების დროს. მაგრამ დამურწმუნეთ, მკითხველო, ისინიც-კი, ვისაც ბედმა არგუნა ამ დროს სოფლებში ცხოვრება, არ აკვირდებიან ხალხის ცხოვრებას, თორემ რომელმა მოიწადინა ამ მიზნით ხალხში გასულიყო, სოფელი აერჩია და გაეცნო იგი საკუთარი? ასეთები დღეს ან არ მოიპოვებიან, ან მათი რიცხვი ძალიერ ცოტა და უნდა იყოს.

ქართველი სტუდენტები ამ შემოხვევაშიაც ქართველობენ. რამდენადაც მახსოვს ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში ბევრი ითქვა შესახებ იმისა, რომ სტუდენტებმა საზაფხულო კანიკულების დროს გაიცნონ სოფელი, შეისწავლონ გლეხების საჭიროება, შეჰკრიბონ ცნობები სოფლის ეკონომიურ და სხვა გვარ მდგომარეობაზე, შეჰკრიბონ სხვა-და-სხვა ნაწარმოებები ხალხში შენახული: სიმღერები, ლექსები, ზღაპრები და სხვა. კარგი ხანია მას შემდეგ, რაც ქართულ სამეცნიერო წრისაგან საზაფხულო სამუშაო ფურცელი იქნა გამოცემული. ამ ფურცლების საშუალებით წრეს უნდა ეკეთო, რამდენი მცხოვრებია საქართველოში, როგორი სოფლებია, ვინ რა ხელობის არის, სკოლები რამდენია და სხვა, მაგრამ ჯერ ერთი სტუდენტიც არ მოწადინებულა ეშუშავნა ამ ფურცლების საშუალებით: მაგრამ ეს საკვირველიც არ არის. ქართველი რისი ქართველია თუ თავისი სიზარმაცე უველგან არ წასჩხირა. ქართველ სტუდენტებში იშვიათია მშრომელი და ვინც შრომობს იმას კიდეც აქვს გასაგული, რადგან სხვაზე თუ არა უფრო, ნაკლები ნიჭის არ გახლავან. მხოლოდ სიზარმაცე-კი თავისას მაინც არ იშლის. ეს არის ქართველების დაუძინებელი მტერი.

რა-კი სიტყვა ქართველ სტუდენტებზე ჩამოვარდა, არ შემიძლიან იმათ სათვისტომოსა და სამეცნიერო წრეს ორიოდე სიტყვით არ შევეხო. სათვისტომო დიდი ხანია არსებობს; წინეთ იგი ნამდვილი სახის მატარებელი დაწესებულება იყო ქართველ სტუდენტებში, მაგრამ ამ ბოლო წლებში მას რაღაც შაზეზით ნაკლებ მნიშვნელობას აძლევენ. წევრებათ ძალიერ ცოტანი ეწერებიან და ვინც ჩაეწერა, ისიც თვიურ გადასახადს არ იხდის და ზოგჯერ კრებაზე მობრძანებასაც არ კადრულობს; ერთი სიტყვით იგი სიტყვით არის წევრი სათვისტომოსი. ამის მიზეზში ჩემის

ასრიით წილი უდევს უმთავრესად თვით სა-თვისტომოს გამგეობას. მას ძეუძლია უფრო ფართო დემოკრატიულ ნიადაგზე დაუყენოს სათვისტომო, მეტი წევრები მიიზიდოს, თავის დროზე გადასახადიც მოსთხოვოს და სხვა. იმართება კრებები და ყამსვე რუსულ ენაზე ლაპარაკს მოუვებიან; ან ირჩევენ ისეთ თავმჯდომარეს, რომელმაც ქართული სუსტათ იცის, ან ლაპარაკობს ისეთი, რომელიც ქართულად ისე ვერ გამოსტავს ოავის აზრს, როგორც რუსულად,—გადაგვარებულია, ან არა და კურსელი ქალები გაგვერევიან ისეთები, რომელნიც მხოლოდ სახელს ატარებენ ქართველისას, თუმცა, უნდა გამოტეხით ვსთქვა. არ შინახავს ქართველ კურსელ ქალებში ქართულ ენაზე რიგიანად მოლაპარაკე... ერთი სიტუაციო, კიდევ ვიმეორებ, გამგეობა მოკალა ეურადღება მიაქციოს ეოველივე ამას; კრებები ხშირად მართოს, წესად შემოიღოს ქართულათ ლაპარაკი კრებებზე. მეტი წევრები მიიზიდოს. თავის დროზე გადასახადი მოსთხოვოს და საქმეც მაშინ კარგად წავა.

გადავიდეთ ახლა სამეცნიერო წრეზე. სამეცნიერო წრე კარგ ნიადაგზეა დაუყენებული. ხელ-მძღვანელი კარგი ჰყავს, პრივატ-დოცენტი ივ. ჯავახიშვილი, ჩვენი ისტორიკოსი, რომელიც ეოველ ვრებას ესწრება. იგი ჯერჯვან ხელმძღვანელობას უწევს წრეს, მაგრამ თუ წრემ აქამდის ნაოოფი მაინც ვედარა გამოიდო-რა, ეს ისევ წევრებს უნდა დავბრალდოთ. არ არის გატაცება საქმისადმი. ამასაც, სათვისტომოსი არ იყოს, სჭირია ფართო დემოკრატიულ ნიადაგზე დადგომა, ამიტომ გამგეობის წევრები და ისე წევრებიც ეველანი თანაბრად უნდა ცდილობდნენ მეტი წევრები მიიზიდონ. ქართველები პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებლებში, ცოტა რომ ვსთქვათ, სამასამდე იქნებიან და წრეში-კი მხოლოდ 30—40 კაცი იქნება ჩაწერილი. რეფერატები წრეში უფრო ხშირად უნდა იკითხებოდეს, ვინემ ეს შარშან ხდებოდა და სამკითხველოც უფრო უნდა გამდიდრდეს წიგნებით. ქართველ სტუდენტების ერთ ჯგუფში დაიბადა აზრი, გამოსცენ პეტერბურგში ქართულ ენაზე სა-სტუდენტო ბეჭდური ორგანო. რა მიმართულების იქნება ეს ორგანო და ვისი ხელმძღვანელობით გამოვა, ეს სულ მალე გამოირკვევა. ახლო მომავალში გაიმართება ამ მიზნით კრება, სათანამშრომლოთ მიწვეულია ოცამდე ქართველი სტუდენტი.

ლადო გეგეჭკორი.

სამწუხარო მოვლენა

(მცირე შენიშვნა).

ჩვენში ერთად ერთი სასწავლებელია—თბილისის საოსტატო ინტიტუტი, რომელიც ავათა თუ კარგათ ამზადებს მასწავლებლებს სამოქალაქო სასწავლებლებისათვის. იყო დრო, როდესაც ამ სასწავლებლის დიდ უმეტესობას შეადგენდნენ ქართველები [1]), მაგრამ აი მეოთხ მოცე წლებიდან მათი რიცხვი თვალსაჩინოთ კლებულობს, მეოთხმოცდა ათე წლებში თითო ოროლას იღებენ, ხოლო ამ ბოლო დროს იქამდის მივიდა საქმე, რომ უკვე ვერც ერთი მოწაფე ვერ შედის ინსტიტუტში... ამ მოვლენას ვეძახი მე სამწუხაროს იმიტომ, რომ რამდენიმე წლის შემდეგ საქართველოში არსებული სამოქალაქო სასწავლებლებისათვის ქართველი მასწავლებლები აღარ იქნებიან და ეს გარემოება ძლიერი საბუთი იქნება იმათ ხელში, რომელთაც უნდათ, რომ ჩვენ მოზარდ თაობას, უფრო ადვილათ გადასამახინჯებლათ, მიუჩინონ ჩვენი ენის და ზნე-ჩვეულების არ მცოდნე მასწავლებელ-აღმზრდელები...

რა არის ასეთი არა სასიამოვნო მიზეზი—ეხლა ჩვენ ამის ახსნა-განმარტებას ვერ შევუდგებით... ზოგნი ამბობენ, რომ ინსტიტუტის მთავრო-

[1]) იხ. ი. გოგებაშვილის თხზ. პირ. ტ. გვ. 127.

ბას მტკიცეთა აქვს გადაწყვეტილი ადგილობრივი ელემენტი არ შეუშვას სასწავლებელშიო, ზოგი ქართველი ყმაწვილების დაუდევრობასა და მოუმზადებლობას ასახელებს და სხ. და სხ. ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ ეს ვერ წარმომიდგენია, რომ ეხლა, როდესაც სკოლაში შესვლისათვის სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლაა გამართული—სწორეთ ეხლა გამოეჩინოს ქართველ ახალგაზრდობას ასეთი შეუწყნარებელი სიზარმაცე და დაუდევნელობა!.. არც ის არის დასაჯერებელი, რომ ჩვენები აღარ ეტანებიან ინსტიტუტს: მე მრავალი მაგალითი ვიცი, რომ ქართველი ჭაბუკი გულითა და სულით იყო მოწადინებული იქ შესასვლელათ... ამიტომ მე უფრო პირველი მიზეზი მიმაჩნია საბუთიანათ: ინსტიტუტის მთავრობა განგებ ულობავს გზას ჩვენებს, რომ მომავალში დასახული მიზანი ადვილათ და ჩვენდა თვალ ასახვევათ განახორციელოს...

რა უნდა ეწამლოს ამ მოვლენას? უპირველესათ, მე მგონია, საჭიროა უფრო მტკიცე იერიში ამ სასწავლებელზე, რაც უნდა გამოიხატოს ჩვენი ყმაწვილების უკეთ მომზადებაში, რომ უთანასწორო ბრძოლა-კონკურენციაში გამარჯვება მაინც მათ დარჩეთ... მაგრამ თუ ინსტიტუტის მთავრობამ თავის ჯიუტობას არ ულალატა და ამ საშუალებით ვერას გავხდით, მაშინ უეჭველათ საჭირო იქნება ჩვენი კერძო სასწავლებლის დაარსება, რომელსაც მიზნათ ექნება სოფლისა და ქალაქის მასწავლებელთა მომზადება... სად და როგორ უნდა მოხერხდეს ამისთანა სკოლის დაარსება აი რაზე უნდა იზრუნოს ეხლა ჩვენმა საზოგადოებამ!...

მირზა.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ განათლების IX.

1. ბავშვების მსოფლ-მხედველობა (Შ. ლომბროზოსი) **ლ. ᲑᲝᲪᲕᲐᲫᲘᲡᲐ.** 2. ᲨᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ—(დრ. ვაიმერისა) **ნ. ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲘᲡᲐ.** 3. კარგი მასწავლებელი, (ასასტასიევისა) **ბ. ᲚᲐᲛᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡᲐ.** 4. ვილიამ ჯემსი, საუბარი ფსიხოლოგიაზე **დ. Ო—ᲫᲘᲡᲐ.** 5. ბავშვი და სიკვდილი (გერმანულიდან) **ᲚᲐᲡᲘᲡᲐ.** 6. გული, (ლექსი) **ᲐᲙᲐᲙᲘᲡᲐ.** 7. გუშინ და დღეს (ლექსი) **დ. ᲗᲝᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.** 8. მწუხრის ყამს (ლექსი) **დ. ᲗᲣᲠᲓᲚᲝᲡᲞᲘᲠᲔᲚᲘᲡᲐ.** 9. გრიშა (მოთხრობა ან. ჩეხოვისა) **ᲜᲘᲜᲝ ᲜᲐᲙᲐᲨᲘᲫᲘᲡᲐ.** 10. სახელმძღვანელო წიგნების საჭიროება. **ლ. Ბ—ᲫᲘᲡᲐ** 11. იძულებული განმარტება (ბ. ჯავახელის წერილის გამო) **ᲒᲡᲘ—ᲡᲐ.** 12. უცხოეთი. დასრულებული ტიპის სკოლები და დამატებითი კურსები. 13. **მ. Ჭ. ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘ.** მოკლე საგრამატიკო წერილები... **ᲐᲚ. ᲮᲐᲮᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.** 14. А. Натроевъ.—Иверскій монастырь... **Ს. ᲪᲝᲛᲐᲘᲘᲡᲘ** 15. წერილი დასავლეთ საქართველოდან **ᲐᲥᲘᲚᲔᲣᲡᲘᲡᲐ.** 16. წერილი ᲨᲣᲢᲒᲐᲠᲢᲣᲠᲒᲘᲓᲒᲐᲜ **Ლ. ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘᲡᲐ.** 17. სამწუხარო მოვლენა—**ᲛᲘᲠᲖᲐᲡᲘ.**

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ᲑᲝᲪᲕᲐᲫᲔ.**

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა, სპირიდონ მ. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა საკუთ. სახლი № 5.

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი

განათლება

(წელიწადი მესამე)

X ქრისტეშობისთვე 1910 წ.

ჟურნალი წლიურად ღირს 3 მან.
ნახევარი წლით . . . 2 მან.
სახალხო სკოლების მასწავლებლებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად **ოჩ მანეთად**

ცალკე ნომრის ფასი 30 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“ და „ნაკადულის“ რედაქციაში. წერილები და ჟურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ. Дворянская Грузинская Гимназія. **Д. Г. Боцвадзе.**

საუბარი სახალხო სკოლაზე

(წერილი მესამე)

რა ენაზე უნდა სწარმოებდეს სწავლება.

მკითხველი ამ სათაურის წაკითხვის შემდეგ, უეჭველია, გაიღებს და იტყვის— რა საჭიროა ამისთანა კითხვაზე საუბარი, განა ყველამ არ ვიცით, რომ სწავლება დედა ენით უნდა სწარმოებდესო. მართალია ჩვენი მკითხველი, მაგრამ მართალია ისიც, რომ ხშირად იძულებული ვართ ასეთი სანბანო ჭეშმარიტებაც გავხადოთ საუბრის საგნად.

ბევრმა უკულმართმა აზრებმა, რაც გამეფებულია მთელს რუსეთში და ჩვენშიაც არა რუსთა სწავლა-აღზრდის შესახებ, რასაც ასე მტკიცეთ ადგანან ბიუროკრატიულს წრეებში, ჩვენშიაც მოიპოვა ნიადაგი ზოგიერთებში და მალვით თუ ცხადად, საქმით თუ სიტყვით ხელს უწყობენ ამ ჩვენთვის დამღუპველს და გამანადგურებელ აზრების გავრცელებას. ისინი გაზეთებშიაც ჰბეჭდავენ, თითქოს ჩვენებური გლეხი თხოულობდეს მასწავლებლისაგან უცხო ენა ასწავლეთ ჩვენს შვილებს, დედა ენა ისედაც იციანო და სხ. ეს რომ ცხადი და ხალასი ცილისწამებაა სჩანს იქიდან, რომ ამ ოძრაობის დროს ყველგან ჩვენში ხალხმა სწავლება დედა-ენაზე მოითხოვა და სწორედ ეს მოთხოვნილება უნდა ჩაითვალოს ხალხის აზრად და არა ის,

რასაც თითო ოროლა გადაბირებულ და პირთაგან მართლა შეგიძლიათ გაიგონოთ, რაც სათვალავში მისაღები არ არის და არც საჭიროა ასეთი დუხჭირი აზრი მოახვიოთ ხალხს, რომელსაც, მრავალი წლის გამოცდილებით, ბევრი სიმწარე უწვნია და დღეს ერთად ერთ საშუალებად დედა-ენაზე სწავლების შემოღება მიაჩნია.

დღეს, თუ რომელი ენით უნდა სწარმოუბდეს სწავლება არა რუსთა სკოლებში, მწვავე საკითხს შეადგენს. მთელი რუსეთის მცხოვრებთა შორის 44°/₀-ია, რომლის დედაენად ჩაითვლება რუსული ენა, სხვები სულ სხვა და სხვა ენაზედ მოლაპარაკე ხალხია; ამ უკანასკნელში ვერ იპოვით ისეთს მცირე ერსაც, რომელიც მთელის თვისის ძალღონით არ იცავდეს თავის დედა-ენას და არ თხოულობდეს სიმართლისა და ჭეშმარიტების აღდგენას თავიანთ სკოლებში ე. ი. დედა ენაზედ სწავლების შემოღებას. ამასთან არც ჩვენში ხალხი და არც სხვა უცხო ერი რუსეთის სახელმწიფოში მცხოვრები უარს არ ჰყოფს რუსული ენის შესწავლას, როგორც სახელმწიფო ენისას. სახელმწიფო ენის ცოდნა საჭიროა და ამას უკეთაც შეისწავლის ყველა თუ ძალ-დატანებას არ მიმართავენ. ამის მაგალითს ამერიკა წარმოგვიდგენს. ამერიკაში არაფერი იმ ძალდატანების მსგავსი არ არის, რასაც ჩვენში ვხედავთ, მაგრამ სახელმწიფო ენას იქ ყველა სწავლობს და ყველანი ხალისიანათაც სწავლობენ.

პედაგოგიურის მოსაზრებით სკოლებში სწავლება საგნებისა დედა ენაზედ უნდა სწარმოებდეს და თვითონ დედა-ენაც ერთ უმთავრეს საგანს უნდა შეადგენდეს სკოლაში. ეს უტყუარი მოსაზრებაა, საღი ჭეშმარიტებაა, რომლის შესახებ არა ერთხელ გვიწერია. აუარებელი დაკვირვება ენის შესწავლაში გვამცნევს, რომ წინასწარ განწყობილებას და მემკვიდრეობით გადაცემას დიდი მნიშვნელობა აქვს ენის შესწავლაში. დედა ენა არ არის მარტო ერთმანეთთან ხმების შექსოვა. ცხადია თვითონ სიტყვის ორგანოებში, ტვინის ნერვებში ისეთი განსხვავებული რამე სჩანს, რაც მემკვიდრეობით გადადის შთამომავლობაზე და რაც გამოიხატება თავისებურს გამოთქმაში, სიტყვაპასუხში. რუსის ბავშვისათვის ძნელია ისეთის ხმების გამოთქმა, რაც ქართულშია და რუსულში არა, აგრეთვე ქართველ ბავშვისთვისაც ძნელია ისეთი ხმების გამოთქმა, რაც რუსულშია და ქართულში არა, თუმცა ორნივე თავიანთ დედა-ენაზედ არსებულს ხმებს ადვილად წარმოსთქვამენ. უეჭველია სხვა გვარ გამოთქმასთან ერთად მემკვიდრეობით გადადის სხვა წინასწარი განწყობილებაც, რაც ენას შეეხება. დედა-ენა შეიცავს ხალხის ცხოვრების მთელს წარსულს, მისს გადმოცემებს, სიმღერებს, ზღაპრებს, ანდაზა-გამოცანებს, ისტორიას, კულტურას და ყველაფერს საუკეთესოს, რაც მოუფიქრნიათ, უგრძვნიათ, გამოუცდიათ, უთქვამთ და დაუწერიათ უხსოვარის დროიდან, შეიცავს ყველაფერს უფრო საინტერესოს, რაც ხალხს უნახავს, გაუგონია, განუცდია, შეუმუშავებია, შეუძენია.

პედაგოგების აზრით ხალხის დედა-ენა საუნჯეა, სადაც დაცულია ხალხის გულნადები სასურველი აზრები, მისი საუკეთესო გრძნობები, სურვილები და მისწრაფებანი, მისი იმედი, უძვირფასესი იდეალები; დედა-ენა ხალხის სულიერ სიცოცხლის ორგანოა, ყოველი ადამიანის წმიდა წმიდათაა, რომლის შებღალ-

ვას, დაცინვას და გაკილვას ვერც ერთი თავ-მოყვარე ადამიანი ვერ მოითმენს. პედაგოგების აზრით, როცა ბავშვი დედა-ენასა სწავლობს, აუარებელი სულიერ სიმდიდრის მემკვიდრე ხდება; ეს სიმდიდრე რამდენიმე ასის და ათასის წლების განმავლობაში შეუქმნია წინაპართ. დედა-ენის თითოეულს სიტყვაში აღბეჭდილია ხალხის სულის კვეთება და მასთან დაკავშირებულია მრავალი განსაცდელი, რაც ხალხს უნახავს თავისს ცხოვრებაში. ავიღოთ მაგალითად უბრალო სიტყვები: სიმართლე, მეგობრები, მტრები და სხ. რამდენი მაგალითი წარმოგვიდგება თვალწინ თითოეულ ამ სიტყვების შესახებ, ჩვენის პირადის გამოცდილებით, სხვისი სიტყვებიდან, გადმოცემით, წიგნებში წაკითხვით; რამდენი სხვა და სხვა გვარი გრძნობა და აზრი აღუძრავს ჩვენში თითოეულს ამ მაგალითს! ასე დიდია ის სულიერი სიმდიდრე, რომლის მატარებელიც არის დედა-ენის ერთი რომელიმე ორმარცვლოვანი სიტყვა. გაუნათებელი კაცის ენა ათასს სიტყვას არ აღემატება. ეს სიმდიდრე მატულობს იმის წყალობით, რომ ენა მარტო იმის მატარებელი კი არ არის, რაც ერთს კაცს, ან ერთს შთამომავლობას განუცდია, არამედ იმისი, რაც მრავალთაობას უნახავს, უგრძვნია, განუცდია და თავისი წვლილი ამ საუნჯეში შეუნახავს, დაუცავს შემდეგის შთამომავლობისათვის. ამიტომ საკვირველიც არ არის, რომ ყველა პედაგოგები კომენსკიდან დაწყებული დღევანდლამდის ერთხმად ამტკიცებდენ, სწავლება წარმატებით შეიძლება მხოლოდ დედაენის საშუალებითო. ყველა დიდებულმა ადამიანებმა, როგორც მათის ბიოგრაფიებიდან სჩანს, ზედმიწევნით იცოდნენ თავისი ღვიძლი დედაენა.

გამოცდილებამ დაანახვა ყველას, რომ უცხო ენის სწავლება იმაზე ადრე არ შეიძლება დააწყებინოთ ბავშვს, ვიდრე დედა-ენაზედ არ დაიწყებს თავისუფლად ლაპარაკს. უცხო ენის ადრე სწავლებას ბავშვის ფსიხიკაში არეულობა შეაქვს, ბავშვი უნდა განიმსჭვალოს უცხო ენის სულით იმ დროს, როცა ჯერ კიდევ დედა-ენის სული და გული ვერ შეუთვისებია. ნორმალურს პირობებში უცხო ენას ადგილი არც უნდა ჰქონდეს იქ, სადაც საქმე ეხება სამშობლოს, მის ისტორიას, გადმოცემას და სხვა საგნებს, რაც ადამიანთან ახლოა. მაგრამ რომ გონებით შეიძინოს კაცმა რამე, შეიძლება ისარგებლონ უცხო ცნობილის ენითაც, თუმცა ყველა საგნების სწავლება უფრო ნაყოფიერი და ხელსაყრელი იქნება, როცა დედა ენით სწარმოებს; რადგანაც ამას დროც ნაკლები უნდა და ძალაც. როცა საგანი ბავშვის გონებასთან მისს გრძნობასაც აღძრავს, როცა გვინდა მოწაფემ სწავლა (გულის სიღრმემდის გაატაროს, აუცილებელი და უპირველესი საშუალებაა დედა-ენით სწავლება, იმ ენით, რომელიც ბავშვს აკვნიდან ესმოდა და რომელთანაც დაკავშირებულია მისი სიმპატია და ყოველგვარი თავ-გადასავალი.

ვისაც კი უნდა, რომ სკოლამ კეთილად იმოქმედოს ბავშვის არა მარტო გონებაზედ, არამედ გრძნობაზედაც, ვისაც კი უნდა, რომ სკოლამ აღზარდოს ბავშვები, ის ყოველის ღონის ძიებით, მთელის თვისის არსებობით უნდა შეებრძოლოს უკულმართს პირობებს და მოუპოვოს დედა-ენას სათანადო ადგილი სკოლებში. ეს უფრო მეტად საჭიროა ჩვენისთანა ერებისათვის, თუ კი ღირსეულად ვაფასებთ ჩვენს კულტურას, ენას,

ლიტერატურას და ჯრ გვინდა გავქრეთ დედა-მიწის პირიდან. მართალია თვითონ შუაგულ რუსეთში, მცირე-რუსეთში, განაპირა ქვეყნებში და ზოგან ჩვენშიაც ბევრი მასწავლებელი გამხდარა მსხვერპლად მთავრობის უდიერობისა საგნების სწავლების ენის შესახებ, მაგრამ არსად იმდენი ყურ-მოჭრილი ყმობა მასწავლებლებს საერთოდ არ გამოუჩენიათ, როგორც ჩვენში. დღესაც თავისუფალს აზრს, თავისუფლად ნაბიჯის გადადგმას ისე უფრთხის ზოგი ჩვენებური მასწავლებელთაგანი, რომ ვერაფერს ახერხებს თავის თავად თუ ყოველ შემთხვევაში არ შეეკითხა თავის მომავლინებელს ბატონს, რომელიც რასაკვირელია, ისე სჭრის, როგორც მას ეპრიანება და რაც ხშირად სამარცხვინოც არის და საზარალოც.

დღეს ყველგან ცდილობენ სკოლებში სწავლება დედა-ენაზედ შემოიღონ. და თუ პედაგოგიაში არსებობს უცილობელი ჭეშმარიტებანი, მათ შორის პირველია— დედა-ენით სწავლება: ეს ისეთი პრინციპია, სადამდინაც მიგვიყვანა სკოლის გამოცდილებამ და რომელსაც ამტკიცებენ პსიხოლოგიის, პედაგოგიის შედეგები. ეს ისეთი პრინციპია, რომელსაც ანგარიშს უწევს დღეს და ძვირად აფასებს ყველა შეგნებული ერი. ეს ისეთი პრინციპია, ურომლისოდ შეუძლებელია მშვიდობიანობა სხვა და სხვა ერთა შორის. ეს ის პრინციპია, რასაც ისტორია გვამცნევს. ეს საანბანო ჭეშმარიტებაა.

როგორც ვიცით 1905—6 წლების სხვა და სხვა პარტიებისა და კავშირების პროგრამაში რუსეთის სახელმწიფოს ყველა ერების უფლება ნათლად იყო გამორკვეული, ყველას უნდა მინიჭებოდა ეროვნული კულტურულ განვითარების უფლება; ეს ცნება სხვათა შორის, იმასაც შეიცავს, რომ სწავლება ყველა ეროვნებას მშობლიურს ენაზე უნდა მოეწყო. ამ უფლების თანახმანი იყვნენ არა მარტო უკიდურესი მემარცხენენი, არამედ მწერლების, მასწავლებლების, ვუქილების, ინჟინრების, ტეხნიკოსების და ექიმთა კავშირებიც; აგრეთვე კონსტიტუციონალურ—დემოკრატიული, რადიკალური და თავისუფალ მოაზრეთა პარტიები და სხვებიც. ვაჭრობა—მრეწველობის კავშირის პროგრამა მოითხოვდა, რომ „რუსეთი განაპირა ქვეყნებისათვის დედინაცვალი კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ ისეთი ფორმა სახელმწიფოებრივ ერთიანობისა, რომელშიაც სახელმწიფოს საზღვრებში მყოფს ყველა ერებს უნდა მინიჭებოდათ სრული უფლება, რომელიც განსაზღვრავდა და უზრუნველ ჰყოფდა მათს თვითარსებობას“. თითქმის რუსის ეროვნული ყველა წოდების კავშირიც თხოულობდა—„რომ ჩვენი სახელმწიფოს არც ერთი კანონი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს რუსის სამი მთავარი ეროვნების (ველიკო რუსების, მალოროსების და ბელოროსების) მატერიალურს, სულიერს და პოლიტიკურს განვითარებასაო“. არც ერთი პარტია, ან კავშირი რუსეთში, გარდა შოვინისტურის ელემენტებისა და ბიუროკრატ მთავრობისა, წინააღმდეგი არ არის, როგორც საზოგადოთ გამოირკვა, რომ ყველა ეროვნებას რუსეთის სახელმწიფოში მყოფს უფლება ჰქონდეს მშობლიურს ენაზედ ასწავლონ ბავშვებს.

მაგრამ უფრო საკვირველი სამინისტროს მსჯელობაა. როცა იგი პედაგოგიურს მოსაზრებაზედ სდგას, გმობს გარუსების პრინციპს და დედა-ენის სახელმწიფო ენით შეცვლას. 1905 წელს სა-

ხალხო განათლების სამინისტროსთან მოწვეული იქმნა საგანგებო კრება აღმოსავლეთში მცხოვრებ არა რუსთა განათლების საკითხის გამოსარკვევად და დედა-ენის შესახებ საკითხი ასე გამოირკვა:

„საზოგადოების სკოლის მასწავლებელმა, რომელსაც თვალწინ ჰყავს არა მუნჯი ბავშვები, არამედ კარგად მოლაპარაკე თავიანთ დედა-ენაზედ, რატომ უნდა უკუ აგდოს ეს მათი ცოდნა და მეტყველი არსებანი რად უნდა გახადოს მუნჯებად? განა ეს წინააღმდეგი არ არის ფსიხოლოგიის და პედაგოგიის დებულებათა, რომელნიც ხედვენ მოწაფეში ერთგვარს ფიზიკურს და ფსიხიურს სხეულს, რომელიც ვითარდება შინაგანის ზრდით, მიღებულ შთაბეჭდილებათა შეთვისებით და ძველთან ახალის შეკავშირებით და არა ძველისა და ახლის მექანიკურის შეწებებით და ახლის მიერ ძველის განადგურებით. ცხადია რომ ამ კითხვებზე შესაძლებელია ერთად ერთი პასუხი. და კრების თავმჯდომარემაც განაცხადა, რომ დედა-ენის უარჰყოფა „არის დანაშაულობა, სკოლის ძალებისა და საშუალებათა შეზღუდვა, რაც უეჭველია ცუდად იმოქმედებს, როგორც სწავლების შედეგებზე, აგრეთვე სკოლის საზოგადო აღზრდა-განვითარების დანიშნულებაზედ“... შემდეგ განაგრძობს იგივე თავმჯდომარე, რომ არ შეიძლება სკოლიდან დედა-ენის განდევნა, თუ არ გვინდა არა რუსთა სკოლებში ბავშვების სისტემატიურად გამოთაყვანება და გასულელება, და ამასთან ერთად ხელოვნურად გამოწვევა მცხოვრებლებში სკოლისადმი წინააღმდეგობისა და ზიზღისა... სწორი შეხედულობაა, მაგრამ როგორ გნებავთ ახსნათ და შეუფარდოთ ერთმანეთს სიტყვა და საქმე? რით აიხსნება ის დევნა დედა-ენისა არა რუსთა სკოლებში 1905 წლის შემდეგაც? ადვილი ასახსნელია და განმარტებაც მხოლოდ ერთი შეიძლება. არსებობს პოლიტიკური თეორიები, რომლის ძალით საჭიროა ბრძოლა დედა-ენის წინააღმდეგ არა რუსთა სკოლებში; როცა პოლიტიკა და პედაგოგია პირდაპირ შეხვდებიან ერთმანეთს, პედაგოგიამ გზა უნდა დაუთმოს პოლიტიკას. როცა მთავრობა ლაპარაკობს, პესტალოცცი და რუსსო სდუმან, კრინტს ვერა სძრავენ, ამაში გამოიხატება დღევანდელი ძალმომრეობა, სიმართლის გათელვა და საღი მეცნიერული ჭეშმარიტების დარღვევა, რაც არავისთვის სახეირო არ არის. ამ შემთხვევაშიაც პედაგოგიური მოსაზრებანი მსხვერპლად შეეწირვიან პოლიტიკურს მოთხოვნილებებს. ერთად ერთი ხსნა მხოლოდ იმაშია, რომ სკოლა განთავისუფლებული იქნეს პოლიტიკისაგან და მან იხელმძღვანელოს მხოლოდ პედაგოგიურის მოთხოვნილებით, რომ ღირსეულად შეასრულოს თავისი დანიშნულება, გარმონიულად განავითაროს ბავშვის ნიჭი მისის ბუნების მიხედვით. ამისათვის არ არის სხვა უმშვენიერესი ხერხი და უმარტივესი საშუალება გარდა დედა-ენით სწავლებისა, იმიტომ რომ რუსების წარჩინებული პედაგოგის უშინსკის სიტყვებით, „დედა-ენა უდიდებულესი მოძღვარია ხალხისა, რომელიც ასწავლიდა ხალხს მაშინაც კი, როცა არც წიგნები იყო და არც სკოლები და განაგრძობს სწავლებას ხალხის ისტორიის დასასრულამდის... დედა-ენა უხსნის მას ბუნებას, როგორც ვერ აუხსნიდა ვერც ერთი ბუნების მეტყველი; აცნობს მას გარშემო ხალხის ხასიათს, საზოგადოებას, რომელშიაც ის ცხოვრობს, მისს ისტორიას და მისწრაფებათა, რასაც ვერ ასწავლიდა

ვერც ერთი ისტორიკოსი; დედა-ენა უხსნის ხალხის რწმენას, ხალხის პოეზიას ისე კარგად, რასაც ვერ შესძლებს ვერც ერთი ესთეტიკოსი; ბოლოს დედა-ენა იძლევა ისეთს ლოღიკურს ცნებებს, და ბრძნულს შეხედულობათა, რასაც, რასაკვირველია, ვერ გადაცემდა ბავშვს ვერც ერთი ფილოფოსი... მაგრამ ეს საკვირველი პედაგოგი — დედა-ენა — არათუ ბევრს ასწავლის, ასწავლის საკვირველად მარტივად, რაღაც მიუწდომელის ადვილი მეთოდით".

დიაღ, დედა-ენა ისეთი ძვირფასი რამ არის, რომ სადაც მას შესაფერისი პატივით არ ეპყრობიან, იქ ბარბაროსობაა, იქ სიბნელეა, ტანჯვა წამებაა და ის სკოლაც, სადაც დედა-ენა აბუჩად არის აგდებული, სადაც სწავლება საგნებისა ბავშვის ღვიძლს ენაზედ არ სწარმოებს, ის საწამებელი ადგილია და არა საღვთო ტაძარი, რომლის წმიდათა წმიდა მუდამ შეუბღალავი უნდ იყვეს.

ჯერ-ჯერობით ძნელი წარმოსადგენია როგორ გადაწყდება რუსეთის კანონმდებლობით მომავალი სვე-ბედი არა რუსთა სახალხო სკოლებისა და დედა-ენისა. მაგრამ როგორც უნდა გადაწყდეს, თუნდაც ცოტად თუ ბევრად სახეიროდ—ეს გადაწყვეტილება იმდენად აკიბულ-ჩაკიბული და ორჭოფი იქნება, რომ ბევრს სიკეთეს მაინც არ უნდა მოველოდეთ.

ჩვენი უბედურება ის არის, რომ ციხე ყოველთვის შიგნიდან ტყდება, არა გვაქვს იმდენი მოქალაქობრივი გამბედაობა დავიცვათ ჩვენი ღირსება, ჩვენი დედა-ენა სკოლებში. დაქსაქსული სახალხო სკოლის მასწავლებელი, სკოლის სულის ჩამდგმელი ზოგჯერ ისეთს ყურ-მოჭრილ ყმობას ეწევა, რომ თვითვე ხდება სკოლის სულთამხუთავად. ეს სამარცხვინო სულმდაბლობა, ერთმანეთის გაუტანლობა, ბეზღება, შური მასწავლებელთა შორის ჰქმნის ისეთს ატმოსფერას, რომელიც სწამლავს სიცოცხლეს და ძირს უთხრის სწავლა-განათლების საქმეს ჩვენში. რაც ჩვენს ხელშია, იმას არ ვიცავთ, და რაც წაგვართვეს, როგორღა დავიბრუნებთ! ცოტად თუ ბევრად სკოლა მასწავლებლის ხელშია. თუ მასწავლებლები ერთის აზრით განიმსჭვალებიან, თუ მათ შორის ერთობის პრინციპი ღრმად გაიდგამს ფესვებს, თუ ამ პრინციპებში ერთმანეთს არ უღალატებენ, სკოლის საქმეებს დაამყარებენ საღ პედაგოგიურს ნიადაგზე, ჩააყენებენ სკოლას ნორმალურს კალაპოტში, იმოქმედებენ სკოლაში პოლიტიკის გარეშე, თვალწინ დაისახვენ ცოცხალს სკოლას, რომელიც უნდა ჰფენდეს თვისს გარშემო განათლების სხივებს დედა-ენის საშუალებით, მაშინ ჩვენი სახალხო სკოლაც გამობრუნდება და დღევანდელი წყვდიადიც ნათელად შეიცვლება. სხვა მხრივ მოქმედება საქმის დამღუპველია და ჩვენი გამაჩანაგებელიც. ყველა ეს ჩვენს ხელთ არის, მაგრამ მაინც არ ვიცავთ და მით საქვეყნოდ აღვიარებთ ჩვენს სილაჩრეს. როდემდის?

ლ. ბოცვაძე.

ნაგრძნობ-დანაკვირვები

I

ჩვენი „ინტელიგენტი“ მშობლებ-ნათესავებში.

ბევრი დაწერილა ქართველ ინტელიგენტების შესახებ: ბევრი მათი ნაკლულევანება ადუნიშნავთ, ბევრში გაუკიცხავთ და სამართლიანად ადუარებიათ მათი მოუმზადებლობა, უენერგიობა, გადამახინჯება, ბევრს შემთხვევაში კი გადაგვარებაც. ეს უკანასკნელი ნაკლი, რასაკვირველია, იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენს ხალხს, როგორც ეროვნებას, როგორც სხვა და სხვა ფუნქციათა მქონე სოციალურ ორგანიზმს, მძიმე და საშიში ავადმყოფობა გასჩენია ტანში და, თუ ენერგიული ზომები არ იქმნა მიღებული, თუ მართალი დიაგნოზი არ იქმნა დაუენებული და დახელოვნებულ—გამოცდილ ჯარა—ექიმის მკვეთრი ნეშტერი არ მოხვდა სისხლის მომშხამველ იარას, მთელი ჩვენი ერის არსება მოიწამლება და, ხანგრძლივ აგონიის შემდეგ, სულს განუტევებს. მაგრამ დღეს ჩვენ არ გვინდა ქართველ ინტელიგენტების ამ დიდ ნაკლთ შევეხოთ... ადამიანის სულიერი ვითარება, მისი ხასიათი, მისწრაფება, სიმპატია, ანტიპატია, გონების მიმართულება, მოქმედების სარჩული, აზრთა და მიდრეკილებათა ელფერი უფრო ცოცხლად, უფრო ნათლად და სარწმუნოდ პირად ცხოვრებაში, პატარა საქმეებში, მომეტებულად ოჯახურ განწყობილებაში, ნათესაურ ურთიერთობაში გამოიხატება და გამომჟღავნდება. რას წარმოადგენს ამ მხრივ ჩვენი „ნასწავლი“? რასაირად გამოსჩანს მისი გონებრივ-ზნეობრივი სახე პატარ-პატარა და შინაურულ საქმეებში და ურთი-ურთობაში? ცალკად, ვიტყვი მეტსაც, საზიზღრად...

რა უნდა იყოს უტკბეს—უწმინდესი მშობლიურ სიყვარულისა? თუ რომელიმე გრძნობა ადამიანისა შეიძლება ადვიარროთ ციურ და უწმინდეს გრძნობათ, მაშინ მხოლოდ დედამამის სიყვარული შვილებისადმი. არც ერთი დარგი სიყვარულისა: არც ქალ-ვაჟის მიჯნურობა, არც განდეგილის სიყვარული ღვთაებისა, არც ღრმა და გიჟური სიყვარული მამულის შვილისა, არც შეგნებულ—წმანარი სიყვარული მეცნიერისა—არ შეედრება სიდრმით, სიძლიერით, უანგარობით და სიწმინდით მშობლიურ სიყვარულს... ადამიანი,—ეს მრავალ ენებათა და მიდრეკილებათა მიერ ხშირად მხეც-ქმნილი,— მხოლოდ მშობლიურ გრძნობაში გამოაკაშკაშებს თვისს ღვთის ხატებას, მხოლოდ მაშინ ხდება ის მართლად წმინდა ზნეობრივ არსად. რასაკვირველია, ეს გრძნობაც, როგორც სხვა გრძნობა—ემოციები, კეთობრიობის განვითარებასთან ერთად ვითარდება, შალაშინდება, სუფთაკდება, ღრმავდება. კეთობრიობის განვითარების პირველ და მეორე საფეხურზე ეს გრძნობა იმპულსივურია და უფრო მოგვაგონებს მეცვირალა და ფეხი-ფეხით მოჩხრიალე პატარა მთის მდინარეს, რომელიც ხანგრძლივი და ღრმა არ არის. განვითარება და კულტურა კი მას აღრმავებს, ძალას აძლევს, ახანგრძლივებს. ის მაშინ გავს წყნარს, მაგრამ მძლავრს, ზღვა-ოკეანეს, რომლის ამოწურვა და დალევა არაფერს შეუძლიან, სანამ ბუნების კანონები არ შეიცვლებიან. როგორ ევოლიუციას განიცდის ეს გრძნობა მომეტებულ შემთხვევაში ქართველ „ნასწავლთა“ არსებაში?—

უკეთესართს, ანომალურს.

პირველ ხანებში ის ნორმალურად იზრდებიფურჩქნება. ამ დროს ის მძლავრია, ხშირად ემოციის ხასიათსაც იღებს: მაგრამ, რაც თანდა და თან და წინდა წინ

მიდის პროცესსი ჩვენებური უკუდმართი სწავლა-განათლებისა, ეს გრძნობაც უკუდმართდება, ჭკარგავს სინაზ—სინარნარეს და ბოლოს საზიზღრად მახინჯდება...

ავალაპარაკოთ ხშირად სახელ-გაგონილი ფაქტები. ჩვენს გაკვრით გამოთქმულ ზოგად და განუვლებულ აზრებს ისინი ხორცს შეასხამენ, ენას ჩაუდგამენ და აალაპარაკებენ.

აი ავიღოთ ტრადიციული, მუდმივ შრომა-გარჯაში გარეულ-განმული ჩვენი სასულიერო წოდების ოჯახი კერძოთ, წარმოვიდგინოთ ოჯახი ჩვენებურის ტიპიურის მედავითნისა. რომელიც იგივე გლეხია, გლეხური ტანისამოსში, გლეხური ზნე-ჩვეულებით, აზრ-მიმართულებით, მისწრაფება იდეალით. ის, როგორც გლესი, მიწის ძვილია; გუთანი, სახნის-საკვეთი, „ნალესი ალმასივითა“, ხარ-კამბეჩი, ურემი—აი მისი სიმედო და სასურველი სახსარი ცხოვრებისა; „თქვენი იმედით ვცოცხალვარ, რომ თქვენით ვეწიმო პურია“—შეუძლიან თამამად სთქვას მან; მედავითნობა—ეს მეორე, მესამე ხარისხოვანი სახსარია ცხოვრებისა. ეს ჩვენი ძველი ტიპის მედავითნე მხოლოდ იმით განირჩევა თვისი თანა მოძმეებისაგან, რომ წერა-კითხვა იცის, სადმრთო წიგნებს ხშირად გაუგებრად, შექანიკურად „ჩაბუდბუდებს“ ხოლმე საკადარში... მაგრამ, რაც გინდა იყოს, მას და მის ოჯახობას ინსტინკტურად მაინც ესმის სარგებლობა სწავლისა. რასაკვირველია სწავლის სარგებლობა მას ესმის ეგოისტურად, სწავლა მას მიაჩნია უტყუარ და საუკეთესო სახსრად კმაყოფილი და უზრუნველი ცხოვრების მოსაწყობად. დეე ასე იყოს! ჩვენს მედავითნეს ეს არ გაემტყუნება! რაც გინდა იყოს მას მაინც ესმის სწავლის მნიშვნელობა და სწყურიან თვისს შვილს შისცეს სწავლა-განათლება. დიდს შრომას, უნარს, თითქმის თავგანწირვას იჩენს საბრალო ჩვენი მედავითნე შვილის სწავლებაში: ცხოვრების სიდუხჭირით მოხრილ ზურგით, ხშირად დიდს მანძილზე, უზიდავს ის შვილს პურის და სიმინდის თქვილს და შეკაბმანდს. თითონ ჩამოგლეჯილ-ჩამოფლეთილი, უკანასკნელ გროშებით ყიდულობს საადგილოდ მაინც შვილისთვის ჩითის და ტილოს ტანისამოსს, რომ სიხარულით ავსოს პირიმოა შვილის გული ერთხელ მაინც წელიწადში. ასე მიდის დრო, ხანი... და აი გაიტანა საბრალო მედავითნემ ბურთი და მოედანი. შესძლო თვისი შვილის „კაცად“ გამოყვანა; შეაიარაღა ცხოვრებისთვის საჭირო იარაღით—„დიპლომით“, ხანდისხან უმეღლეს სასწავლებლისაც. „სასწავლმა“ შვილმა კაი გაიკვლია, ცხოვრებას აღდო აუღო, „დიდ კაცებში“ გაერია, თითქმის თითონაც გახდა „დიდ-კაცათ“,—პრაქტიკის მქონე ექიმად, ვეტერინარად, პოპულარულ მასწავლებლად, „ინჟინერად“... მას კარი დია აქვს ყველასთვის; ქართველურ გულახლობას და პურმარილობას იჩენს. ხშირად მართავს წვეულებებს; ვის არ შეხვდები მის სახლში? ყველას, გარდა დედ-მამისა, გარდა ღარიბ-ღატაკი მისი ნათესავებისა. რცხვენიან, ბატონებო, თვისი წელში მოხრილი, ჩამოკანკალი, ხელებ დაბეგვილი, თმა-წვერ-ულვაშ გაჩანჩლული მამა—მედავითნე და ჭრელ ხელსახოცით თავ-შეკრული, კბილებ ჩაცვენილი და ჩამომხმარი დედა-მშობელი ბრწყინვალე და „განათლებულ“ სტუმრებს უჩვენოს, მათში სამარცხვინოთ გაურიოს?! ვსთქვათ ამ ჩვენში „ღომით“ და „ჭადით“ გამოზრდილმა „ნასწავლმა“ განიზრახა გაბედნიერება, ცხოვრებისთვის მეუღლის პოვნა-მონახვა. მას, რასაკვირველია, უნდა დაუმეგობრდეს მდიდარს და „შთამომავლობიან“ ოჯახს, შეირთოს ამ, მომეტებულ შემთხვევაში გადაგვარების გზაზე დამდგარ, ოჯახის ნასწავლი, კურს-დამთავრებული უმეკლუცესი არსება... ბედმა გაულიმა... ადრე დაუჯდა. კეკლუცმა „მაშიკომ“, „ტანი მაინციის“ მოყვარულმა, „მალინა-ჯალინას“

მოტრფიალეს, გაბედნიერა ჩვენი მედავითნის შვილი თანხმობით... „ოქროს ზვარაკის“ თაყვანის მცემელმა და მონა-მორჩილმა მამამ დალოცა და აკურთხა ისინი... დადგა ყამი ბედნიერებისა და განცხრომისა—ჯვარის წერა-ქორწილი. დიფი, ნადარა, უბანი, წინწილა და საყვირი მხიარულად, ნაზად, სმატკბილად, წარმტაცათ უტკბობენ სმენას ბედნიერ რჩეულთ ამ ქორწილის დამსწრეთა. სულო და გულო რაც გინდა სუყველაფერ უხვათ არის სუფრაზე! რჩეულნი, გამოწკეპილნი, მობრწყვინალე სტუმრები ბუზებივით ირევიან... უბრალო, შორეული ნაცნობიც მოუწვევიათ უხვ მასპინძლებს... მხოლოდ ადარ ჩანან მეფის დედამამა, ჩვენი ნაცნობნი მედავითნე და მისი დირსეული, სათნოიანი მეუღლე! ისინი სხედან ოვის გაწყვარტულ და ფარდალადა ქოხში და მოსიყვარულე, სათნოიან და სუყველაფერის მპატიებელ გულით მაინც უსურვებენ ძვირფასს შვილს, ტანჯვა-ვაებით და თავგანწირვით გამოზრდილს, ბედნიერებას, სიკეთეს და სიცოცხლეს. ისინი რადაც უხერხულათა გრძნობენ თავს, რომ პირადად არ ესწრებიან შვილის ბედნიერებას, მაგრამ მაინც არ სდრტვინავენ, არ ემდურიან შვილს; ისინი მზათ არიან სუყველაფერი აპატიონ მას, მათს მზე და მთვარეს... „მზე და მთვარე“ კი უკადრისობს თვისი შობელ-ამდზრდელ, თავგანწირულ მოამაგე, დედ-მამას; რცხვენია გვერდით მიუსვას თვისი უბრალო, დარიბ-დატაკი, მაგრამ პატიოსანი, სათნოიანი თუ განწირული, ნამდვილ დვთაებრივ გრძნობით ადსავსე დედ-მამა გამოპრანწულ, უსულ-გულო და გადამახინჯებულ ცოლის დედ-მამას. აი ნაოფი ტრუ განათლებისა! აი სამარცხვინო სურათი სულიერად დაცემისა! აი „გულაბზიკობა“ ჩვენი ინტელიგენტისა! ნუ გგონია, პატივცემულო მკითხველო, რომ მე პამფლეტს ვსწერდე ჩვენ „ნასწავლების“ შესახებ; ნუ გგონია, რომ დახატული სურათი ჩემის ფანტაზიის ნაყოფია და თანამედროვე სინამდვილე მსგავს რასმეს არ გვაძლევდეს. მიიხედ-მოიხედეთ, მიიკითხ-მოიკითხეთ, თავისთავსაც დაუკვირდით, ვაუკაცურად შეხედეთ თვალებში სინამდვილეს და მაშინ შეიძლება ზემორე ნათქვამი მოლად ან ნაწილად მაინც სიმართლე გამოდგეს ბევრს ჩვენთაგანის შესახებ...

იშვიათია, ძლიერ იშვიათი ჩვენში ტიპი ისეთის „ნასწავლისა“, როგორიც იყო საბრალო უდროოდ გადაცვლილი მელიტონ ჩოგოვაძე,—ეს **ნამდვილი შვილი** თვისის დედმამისა და სამშობლოსი. ის სტუდენტობის დროს და მაშინაც, როდესაც „კარგი ადგილი“ ეწირა, შესანიშნავის სიყვარულით ეპურობოდა დედ-მამას, ნათესავებს და ერთ მესოფლეებს. სწავლამ, „კარგმა ადგილმა“ არამც თუ არ დაუშორა მელიტონ თავისიანებს; პირ იქით მათ გაადრმავეს მათში სიყვარული, ნდობა, სიმპატია. რამდენჯერ უნახავთ მელიტონი სტუდენტობის დროს, რომ სიმინდით სავსე ტომარით ზურგზე მიდიოდა წისქვილში; რამდენჯერ უნახავთ მელიტონი, რომ თვისი მეზობლის ტვირთით ზურგზე მიდიოდა თავის სოფელში. მიდის ფეხით მელიტონი თავის სოფელში, დაეწია გზაზე საბრალო მოხუცებულ მეზობელს, რომელიც დატვირთული ძღივს მიათრევს ფეხებს. აჩერებს მეზობელს, ართმევს ტვირთს, იკიდებს ზურგზე და მიაქვს სოფელში.

ეს ანეგდოტი არ გეგონესთ; ეს ფაქტია. ასეთი შემთხვევები ხშირი იყო მელიტონის ცხოვრებაში. და ხალხმაც დააფასა ეს!

აი ნამდვილი ნასწავლი; აი დირსი შვილი დედმამისა და „მარილი“ ამა სოფლისა!

იპ. ვართაგავა.

კლას გარედ კითხვა

საკითხი კლასში და კლას გარედ კითხვის შესახებ ფრიად საჭიროა. ამას ამ ბოლო დროს დიდს ყურადღებას აქცევენ ყველა პედაგოგები და პედაგოგიური ჟურნალ-გაზეთებიც. ყველგან არკვევენ კლას გარედ კითხვის მნიშვნელობას, ახასიათებენ სხვა და სხვა ტიპის მკითხველ-მოწაფეებს და არჩევენ მათთვის საკითხვა წიგნებს.

პედაგოგების აზრით საბავშვო საკითხავი წიგნი უნდა აკმაყოფილებდეს მხატვრულს და პედაგოგიურს მოთხოვნილებას:

1) საბავშვო წიგნი პირველ ყოვლისა უნდა იყოს მხატვრული ნაწარმოები. ცოცხალი სახეები, მართალი შინაარსი, კაზმული ფორმა— ყველა ეს ხელს უწყობს ბავშვში წიგნის კითხვის სიყვარულის გაძლიერებას და საზოგადოთ ბავშვის სულის აღზრდას. ჩვენ საბავშვო მწერლობაშიაც ბლომად მოიპოვება მხატვრული ნაწარმოები, მაგრამ, საუბედუროდ, ისეა გაფანტული ჟურნალ-გაზეთებში, რომ თუ ვინმემ თავი არ მოუყარა და არ გამოსცა—უსარგებლო იქნება ჩვენი ბავშვებისათვის.

2) საბავშვო წიგნი საკმარისად შემაქცევარი და მიმზიდველი უნდა იყოს ბავშვისათვის. დიდების შეხედულობით ბევრს კარგს წიგნს ბავშვები არ კითხულობენ. ბავშვის ხალისის გაგება თეორიულად არ შეიძლება, ამისათვის დაკვირვებაა საჭირო.

3) საბავშვო წიგნის შინაარსი სიმართლეს უნდა შეიცავდეს. იმაში საჭირო არ არის ცხოვრების დაფერადება, არც მისი იდეალიზაცია, არც ფერების შესქელება.

4) საბავშვო წიგნმა უნდა მისცეს ბავშვებს დებულებითი შინაარსი. იმაში ცხადად უნდა ჩნდეს სიმართლისა და სიკეთის ზნეობრივი იდეალი, შეზავებული ბავშვებისადმი სიყვარულით, რომელიც თავისთავად უარჰყოფს, როგორც ზედმეტს რეალიზმს, აგრეთვე სანტიმეტალობასაც. რამდენადაც არა სასურველია ტიპი ისეთის ბავშვებისა, რომელთაც არ იციან რა ხდება თავის გარშემო, იმდენადვე დამღუპველია მეორე ტიპი ათის წლის ბავშვისა, რომელიც ჩაფლულა ცხოვრების პროზაში და მის სიცრუეში.

5) საბავშვო წიგნი გამამხნევებელი და სამხიარულო უნდა იყოს. იქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს პესსიმზს, მოქანცულობას, უიმედობას. წიგნმა არ უნდა მოშალოს ბავშვის საღი სიყვარული ცხოვრებისადმი, არ უნდა დაანაღვლიანოს ცხოვრეტრაგიზმით, არ უნდა განუვითაროს მელანხოლია.

6) საბავშვო წიგნი ჰკუის მასწავლებელი უნდა იყოს, მაგრამ არა ტენდეციოზური. არ შეიძლება უარ ვჰყოთ ზოგიერთი საბავშვო მოთხრობები, რომელიც იძლევა შესაფერისს მორალურ დარიგებას. იქ, სადაც ფაბულა იმდენად ცხადია და სამართლიანი, დასკვნა თავისთავად ცხადია და გასაგები ბავშვებისათვის, იქ ყველაფერი საგულისხმიეროც იქნება; მაგრამ თუ მოთხრობა იდეას ემორჩილება, შეთხზულია მორალურ მოძღვრებისათვის, სადაც მწერალი სიმართლეს ღალატობს ზნეობრივი სწავლის გასამარჯვებლად, იქ ჩვენ თვალწინ ტენდენცია, გვეჩხირება.

აი უმთავრესი პირობები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს საბავშვო წიგნების ში-

ნაარსი. რაც გარეგნობას შეეხება—წიგნი უნდა აკმაყოფილებდეს ბავშვის ესტეტიურ მოთხოვნილებას. წიგნებში საჭიროა მხატვრული სურათები, ქაღალდი სქელი, ასოებიც საკმარისად მსხვილი და გარკვეული.

ეხლა შევეხოთ თუ რა პრინციპებზე უნდა იქმნას აგებული კლას გარედ კითხვა. ამ საკითხს პედაგოგები ასე არკვევენ:

1) კლასს გარედ კითხვა უნდა შეადგენდეს კლასში ნასწავლის დამატებას და გაგრძელებას, ამასთან უნდა სწარმოებდეს სისტემატიურად.

2) კითხვამ უნდა დააჩვიოს ბავშვები აკტიურ მოქმედებას, არა მარტო წიგნების არჩევაში, არამედ საკითხავ ნაწარმოების შინაარსის დამოკიდებულებაშიაც.

3) დასასრულ კითხვა უნდა იქნეს ინდივიდუალური.

კლას გარედ კითხვის წესიერად მოსაწყობად საკმარისი არ არის მარტო თეორიული რჩევა, საჭიროა კიდევ განხილვა სხვა და სხვა პირობებისა და წესისა, რომ კითხვა პრაქტიკულად განხორციელდეს სკოლაში. ამისათვის საჭიროა მიექცეს ყურადღება: 1) წიგნების არჩევას სკოლაში, 2) წაკითხულის შემოწმებას და 3) მოწაფეების დაჩვევას დამოუკიდებლად კლას გარედ კითხვაში.

ა) **საკითხავ წიგნების არჩევა**. კლას გარედ კითხვა უნდა შეადგენდეს კლასში წაკითხულის დამატებას და შევსებას. აქედან სჩანს, რომ მასწავლებელმა თავდაპირველად უნდა აარჩიოს ისეთი წიგნები, რომლის შინაარსი უდგება კლასში საკითხავად შემოღებულს წიგნს. ამ წიგნებიდან უნდა აარჩიოს საუკეთესო წიგნები, რომლის წაკითხვა უნდა დაევალოს ყველა მოწაფეს. ამისთანა წიგნები ბევრი უნდა იყოს. საკლასო საკითხავი წიგნის თითოეულს განყოფილებაზედ უნდა მოსდიოდეს ორი-სამი წიგნი კლას გარედ საავალდებულო საკითხავად. რასაკვირველია, მოწაფის წლოვანების მიხედვით, საავალდებულო საკითხავ წიგნების რიცხვიც იზრდება. სასურველია, რომ საავალდებულო საკითხავი წიგნებიც რამდენიმე ცალი იყოს სკოლაში, რომ მისი წაკითხვა ერთსა და იმავე დროს რამდენსამე მოწაფეს შეეძლოს. დანარჩენი წიგნები მოწაფეებმა თავის გემოზე უნდა აირჩიონ წასაკითხად. ამასთან შესაძლებელია, რომ ბავშვების მიერ თავისუფალ კითხვას შემთხვევითი, უსისტემო ხასიათი მიეცეს, რომ წესიერება ჩამოვარდეს ბავშვების კითხვაში, მასწავლებელმა აქაც ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს და დაიცვას ზოგიერთი სისტემა.

როცა მოწაფეებს აწვდიან სხვა და სხვა შინაარსის წიგნებს და აკვირდებიან ვინ როგორ კითხულობს, ვის რა აინტერესებს და რომელი წიგნი რა გვარ შთაბეჭდილებას ახდენს მათზედ, მასწავლებელს ამ დროს შეუძლია გაიგოს მოწაფის გემოვნება და გამოარკვიოს ტიპი მკითხველებისა. იქნება ყველაზედ უკეთესი საშუალებად თითოეული ტიპის მკითხველთათვის ცალკე სიის შედგენა შეიქნეს. ვინც კითხვაში გულ-გრილობას იჩენს, იმას უნდა მიაწოდონ საკითხავად უფრო საინტერესო მოთხრობები. ვინც ბევრს წიგნებს თხოულობს და ჩქარ-ჩქარაც კითხულობს, მათთვის წიგნების არჩევა იმდენად ძნელი არ არის, რამდენადაც წაკითხულის შეთვისება. შეიძლება ბევრი იკითხონ, მაგრამ ამ გვარი კითხვა, სიჩქარის გამო, უნაყოფო იქნება. აფფექტებისათვის მკითხველები დიდს აქტიურს მონაწილეობას იღებენ წიგნე-

ბის არჩევაში, მაგრამ მათი მოთხოვნილება წიგნებისაგან ცალმხრივია: ისინი წიგნებში ეძებენ მხოლოდ ძლიერ შთაბეჭდილებას, სხვა შინაარსთან წიგნებს გულ-გრილად ეპყრობიან. როცა მასწავლებელი ამ გვარ ტიპებისათვის ადგენს წიგნების სიას, ყურადღება უნდა მიაქციოს ამ ტიპის განსაკუთრებულ თვისებას. ძალა რომ არ დაატანოს ამ ჯურის მკითხველთ გემოვნებას და ერთბაშად რომ არ შესცვალოს ხასიათი მათ მიერ არჩეული წიგნებისა, მასწავლებელმა თან და თან უნდა გააფართოვოს მათი ინტერესები ნელ-ნელა ახალი შინაარსიან წიგნების შეპარებით. ვინც დიდის ხალისით ეტანება წიგნებს, ზოგჯერ თხოულობს ამ ინტერესის შესუსტებასაც უფრო სერიოზული კითხვის გაძლიერებით. რასაკვირველია ამ გვარს მკითხველებს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, უფრო მაშინ, როცა მათ წასაკითხად უფრო სერიოზული, მათის სიტყვით „მოსაწყენი" წიგნები შეხვდებათ. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც, თუ საჭიროება არ მოითხოვს, ბავშვის გემოვნებისადმი ძალ-დატანება არ უნდა. საჭიროა ბავშვმა კითხვა შეიყვაროს, მიეჩვიოს ერთსაც და მეორესაც. ეს კი შესაძლებელია, როცა მოწაფეებს რამდენადმე მაინც თავისუფლება აქვსთ წიგნების არჩევაში და როცა მასწავლებელიც მათი გემოვნების მიხედვით აწვდის წიგნებს. თავი საქმეა ბავშვის გემოვნების გაგება,—მაშინ ხელმძღვანელობაც უფრო ნაყოფიერი იქნება.

ბავშვების მიერ საკითხავ წიგნების არჩევის დროს ძლიერ საჭიროა ხელმძღვანელობა სისტემატიურად კითხვაში, რაც ერთგვარ სიძნელესაც შეადგენს. როგორც წიგნების დალაგება სისტემაზედ, აგრეთვე სისტემატიური კითხვის მოწყობაც ადვილი საქმე არ არის მასწავლებლისათვის, როცა მას მოუხდება მუშაობა ჯერ გაუკვლეველ გზაზედ. მართალია ჩვენი საბავშვო მწერლობა ჯერ კიდევ ღარიბია საკითხავ წიგნებით, მაგრამ რაც არსებობს იმის სისტემატიურად დალაგებისათვისაც დღემდის არავის უზრუნვია და ამიტომაც მასწავლებელს დღეს-დღეობით წინ არ აქვს სახელმძღვანელოდ სხვისი გამოცდილება, მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ სხვისი გამოცდილება ამ საქმეში ბევრად ხელსაყრელი არც იქნება, თუ საკლასო საკითხავი წიგნები სხვა და სხვაა და სკოლის ცხოვრებაც თუ განსხვავებულს პირობებშია,—კითხვის სისტემაც შეიცვლება.

საქმით კითხვაში სისტემის განხორციელება სკოლებში კიდევ იმით არის ძნელი, რომ, გადაჭრით რომ ვსთქვათ, თითოეული მოწაფე და თითოეული ტიპი განსაკუთრებულ სისტემას ითხოვს. მაგრამ მაინც შესაძლებელია სკოლაში მოწაფეს, რომელიც უბრუნებს მასწავლებელს წაკითხულს წიგნს, მიაწოდონ სხვა იმგვარივე შინაარსის წიგნი. ამ სახით მოწაფეს შეუძლია მიყოლებით წაიკითხოს რამდენიმე წიგნი ერთსა და იმავე თემაზედ. ამას გარდა სავალდებულო საკითხავ წიგნთა სიაში მასწავლებელს შეუძლია შეიტანოს ზოგი ისეთი წიგნებიც, რომლებიც ეხებიან ერთს რომელსამე მოვლენას ცხოვრებაში და აშუქებს მას სხვა და სხვა მხრივ, ამ სახით მოწაფეები წაიკითხავენ მთელს რიგს მოთხრობებისას განსაზღვრულს თემაზედ. თითოეულს განყოფილებაში (გარდა I-სა) შეიძლება დაინიშნოს ორი ამისთანა თემა წლის განმავლობაში, იმ მოსაზრებით, რომ ყოველ ნახევარი წლის ბოლოს მოანდომონ რამდენიმე დრო წაკი-

თხული წიგნების საერთოდ გარჩევას. ამას გარდა საერთო კითხვების დროსაც შეიძლება აიღონ მოთხრობა ერთი და იმავე შინაარსისა. ამ სახით მოწაფეებს თან და თან შეუგროვდებათ მრავალი აზრი და სურათები, რასაც სისტემატიური კითხვით შეიძენენ.

ბ) **შემოწმება ბავშვების მიერ წაკითხულისა:** ნაყოფი კითხვისა იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ კითხულობენ ბავშვები. ამ მხრით დაკვირვება ბევრს განსხვავებას აღმოაჩენს. ზერელე კითხვა ზოგიერთ ბავშვებისა მათი დამახასიათებელი ნიშანია. ამიტომაც საჭიროა შემოწმება იმისი, თუ როგორ ითვისებენ მოწაფეები წაკითხულს.

მაგრამ მასწავლებლისათვის საინტერესოა და საჭირო მეორე საკითხიც: როგორ მოეპყრნენ ბავშვები წიგნს. როგორ მოეწონათ იგი, რა არის მაგალითად წიგნში მათთვის სახალისო, ან ხალისს მოკლებული. ამ ცნობებით მასწავლებელს ადვილად შეუძლია დანამდვილებით განსაზღვროს, რომელ-ტიპს ეკუთვნის უსა თუ ის მკითხველი მოწაფე და მაშასადამე როგორი ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს მან წაღებულ წიგნების კითხვაში. ამ სახით წაკითხულის შემოწმებას ორგვარი მნიშვნელობა აქვს: ა) გაგება თუ რამდენად შეუგნია ბავშვს და შეუთვისებია წაღებული წიგნის შინაარსი, ბ) რა ხარისხის და ხასიათისაა ის შთაბეჭდილებანი, რაც ყმაწვილს გამოუტანია წიგნის წაკითხვისაგან. შემოწმება შეიძლება ზეპირადაც და წერითაც. ზეპირ შემოწმებისათვის უკეთესია კვირაში ცალკე ერთი საათი დაინიშნოს წიგნების მიცემამდის, რომ დარწმუნდეს მასწავლებელი რა წიგნს საჭიროებს მოწაფე. როცა ერთ დროს ხდება წაკითხულის შემოწმებაც, წიგნების უკან დაბრუნება და ახალის მიცემაც, მაშინ უნებლიეთ წიგნების მიცემა აჩქარებით მოხდება, რაც ხელს შეუშლის ბავშვების კითხვის მოწეს-რიგებას. ეს კი სასურველი არ არის.

ზეპირი შემოწმება სხვა და სხვა ნაირად შეიძლება მოხდეს: ა) წაკითხულის თავისუფლად მოყოლებით, ბ) წაკითხულიდან ზეპირ გამორკვევით, დაწვრილებით მოთხრობით ერთი რომელიმე ეპიზოდის, ან რომელიმე მომქმედ პირის შესახებ, გ) მასწავლებლის კითხვებზე პასუხის მიცემით. თვითონ კითხვები შეიძლება სხვა და სხვა გვარი იყოს. ზოგი კითხვები შეეხება წიგნის შინაარს, სხვები უმთავრეს მომქმედ პირთა დახასიათებას, ზოგიც წაკითხული წიგნის მთავარს აზრს, ზოგი წაკითხული წიგნის შინაარსის კავშირს სხვა წაკითხულ სტატიების, კლასში ან სახლში წაკითხულ წიგნების შინაარსთან და სხ. დ) ცალკე მოწაფესთან შეკავშირებული საუბრის გამართვით და ბოლოს ე) მთელ კლასთან საერთო საუბრის სახით წაკითხულ თხზულებათა შესახებ. პირველ ოთხს წესს შემოწმებისას ერთეული შემოწმების სახე აქვს, მეხუთეს კი კოლექტიური ხასიათი აქვს.

წაკითხულის ზეპირი შემოწმება უფრო მარტივია და ადვილი, ის ნაკლებ შრომას ითხოვს მოწაფის მხრით და ნაკლებს ყურადღებას მასწავლებლისაგან, მისი ნაკლულევანება მხოლოდ იმაშია, რომ ის არ სტოვებს თვალსაჩინო კვალს მოწაფეში წაკითხულ წიგნებისაგან. ყველაფერი დავიწყების კანონს ემორჩილება და იმათში ისიც, რასაც მოწაფეები ამოიკითხავენ წიგნებიდან. ვისაც უნდა ეს შინაარსი დიდხანს შეინარჩუნოს მეხსიერებაში, უნდა მიაკრას იგი რასმე გარეგ-

ნულს, ნივთიერს, თვალსაჩინოს და ხან და ხან აღადგინოს იგი მეხსიერებაში. აი ამიტომ ზეპირ შემოწმებასთან ერთად უფლება აქვს—წერით შემოწმებასაც.

წერითი შემოწმება თან და თანობით უნდა შემოიღონ და თან და თანვე უნდა გაართულონ. ყველაზე უფრო მარტივია წიგნის სათაურის და მთავარ მომქმედ პირთა ჩაწერა. წაკითხული წიგნების ჩასაწერად უნდა შემოიღონ ცალკე რვეული, სადაც თითოეული მოწაფე აღნიშნავს: 1) ავტორის სახელს, 2) წიგნის სათაურს, 3) მთავარ მომქმედ პირთა სახელებს, 4) წაკითხვის დროს, 5) შენიშვნა იმის შესახებ მოეწონა წიგნი თუ არა. ასეთი რვეულის შემოღება შეიძლება სწავლების მეორე წლიდანაც. რომ არ გაიფუჭონ ბავშვებმა რვეულები, შეიძლება ის მიეცეს მხოლოდ თითოჯერ ჩასაწერად. წიგნთან ერთად რვეულსაც უბრუნებენ მასწავლებელს, რომელსაც შენახული აქვს შემდეგ ჩაწერამდის.

როცა ბავშვები ამ ფორმაზე მიეჩვევიან ჩაწერას, შეიძლება შემდეგ მარტივად მოკლე შინაარსის ჩაწერა ერთის წინადადებით. მაგ. „აქ ნაამბობია რა გაჭირვება გამოიარა ყვავილისგან დაბრმავებულმა ობოლმა სოფლელმა ლექსომ ვაჭრის ხელში". („ღვთის შვილი" საყმაწვილო მოთხრობანი ეკ. გაბაშვილისა). წერით შემოწმებისათვის უმაღლეს ფორმად უნდა აღიარებულ იქმნას ცოტათ თუ ბევრად ვრცლად გადმოცემა წაკითხულ წიგნის შინაარსისა და აგრეთვე წერილობითი პასუხი სხვა და სხვა კითხვებზედ წიგნის შინაარსის მიხედვით. ამგვარი ჩაწერა ითხოვს ცოტად თუ ბევრად საკუთარი აზრის გამოთქმის ცოდნას, ამიტომ ამ შემთხვევაში სიფრთხილეა საჭირო. ასეთი ჩაწერა შინაარსისა თან და თანობით შეიძლება მესამე წელს და მუდმივ მოთხოვნიღებათ შეიძლება გახდეს არა უადრეს მეოთხე წლისა. აქ სასარგებლო იქნება ჩაწერილში შეიტანონ ნარკვევები წაკითხულიდან (მაგ. ბუნების აწერილობა სხვა და სხვა დროს, უმთავრესი აზრი და სხ.)

წერილობითი შემოწმება მეტად გართულდება თხზულებებში. უმჯობესია თხზულების წერა კოლეკტიურად წაკითხულის საუკეთესოდ შეთვისებისა და გარჩევის შემდეგ. უფროს განყოფილებებში (IV და V) შეიძლება წერითი თხზულებების სარგებლობა, როგორც შესამოწმებელი ხერხი კოლეკტიური კითხვის დამოუკიდებლადაც. საწერი სამუშაო ამ შემთხვევაში წარმოადგენს წერითი პასუხის გაფართოებას კითხვებზე თხზულებამდის. მაგრამ ეს თხზულებები სასურველი არ არის იმიტომ, რომ მოწაფეები გულ გრილად მოეპყრობიან შინ დამოუკიდებელ კითხვას.

ბ) მოწაფეების მიჩვევა კლას გარედ დამოუკიდებელ კითხვას.

კლას გარედ კითხვის გონიერად მოწყობა მასწავლებლისაგან ბევრს შრომასა და ჯაფას ითხოვს, არა მარტო წიგნების არჩევაში, არამედ აზრიანად და დამოუკიდებლად სახლში კითხვის მიჩვევაშიაც. აქ მასწავლებელს წინ აქვს ორი მიზანი: აღძრას მოწაფეში ხალისი კითხვისა და ხელმძღვანელობა—როგორ უნდა იკითხოს მოწაფემ წიგნი სახლში. ამ მიზნისადმი მისაღწევად ორი უმთავრესი საშუალებაა: ა) მოთხრობების კითხვა კლასში და ბ) კოლექტიური კითხვა. ორსავე კითხვას თან მიჰყვება საუბრები.

მასწავლებლის მიერ კითხვა კლასში და მიყოლებული საუბარი, ანუ ესრედ წოდებული „აღმზრდელობითი კითხვა", შეადგენს მშვენიერს საფეხურს საკლა-

სო კითხვიდან კლას გარეთ კითხვაზე გადასასვლელად. ასეთი კითხვა ერთბაშად ორს მიზანს ემსახურება: ის ულვიძებს მოწაფეს წიგნის კითხვის ხალისს, აღუძრავს ხალისს თვითონ წაიკითხონ რამე საინტერესო; ამას გარდა აჩვევს ბავშვებს ერთბაშად წარმოიდგინოს მოთხრობის ჩონჩხი, გამოიჭიროს მთავარი ძაფი, რომელზედაც ასხმულია თვალწინ გადაშლილი ამბავი. ეს შეჩვევა კი, რომ არ გაიფანტნენ მოთხრობის წვრილმანებში, შეიძლონ გამოკრეფა მთავარის აზრისა, დიდი ლირსებაა დამოუკიდებლად კითხვის დროს. ამიტომ, ვიდრე მასწავლებელი შინ საკითხავად დაურიგებდეს წიგნებს, უნდა მოაწყოს რამდენიმე ისეთი საკლასო კითხვა, რომლითაც უნდა მოამზადოს მოწაფეები კლას გარედ დამოუკიდებელ კითხვისათვის.

კოლლექტიური კითხვა ორნაირად შეიძლება: ა) რომელიმე მოთხრობის საერთო კითხვით ყველა მოწაფეების მიერ რიგ-რიგად და ბ) ყველა მოწაფეთათვის ერთი და იმავე თხზულების სახლში სავალდებულოდ წაკითხვის დანიშვნით განსაზღვრულ დროს განმავლობაში.

საზოგადო შეერთებული კითხვა სასარგებლოა ბავშვებში ხმა მაღალ კითხვის გასავითარებლად. ის შეიძლება იქ, სადაც ბავშვებს კითხვის მექანიზმი საკმაოდ განვითარებული აქვსთ. ის შეიძლება პანსიონებში ზამთრის გრძელ საღამოობით. აქ ასეთი კითხვა ბავშვებისათვის სასიამოვნოც არის და სასარგებლოც.

კოლლექტიური კითხვა უცხო ქვეყნებში კიდევ სხვანაირად არის მოწყობილი. ზოგან დიდის წარმატებით სარგებლობენ მოძრავ ბიბლიოტეკებით, რომელიც შესდგება საუკეთესო ლიტერატურულ ნაწარმოებიდგან, რომელთაგან თითოეული იმდენი ცალია, რომ საკმარისია მთელის განყოფილებისათვის. ეს თხზულებები გადააქვთ სკოლიდან სკოლებში. როცა მასწავლებელი მიიღებს ასეთს ბიბლიოტეკას, ურიგებს მოწაფეებს თითო ცალს ერთსა და იმავე წიგნს და დაუნიშნავს ვადას, რომლის განმავლობაშიაც უნდა წაიკითხოს; ვადაზედ (მაგ. კვირა) მასწავლებელი გამოართმევს უკან წიგნებს და დაუწყებს საერთო საუბარს წაკითხული წიგნის შესახებ. მოწაფეები ერთმანეთს შველიან და დაწვრილებით მოჰყვებიან წაკითხულის შინაარს. შინაარსის გადმოცემის შემდეგ საუბარი გაიმართება მოქმედ პირთა მოკლედ დახასიათებაზე და უმთავრესი აზრის შედგენაზედ. ეს საზოგადო საკლასო სამუშაო დასრულდება შესაფერისი საკლასო ან საშინაო საწერით. ერთს სკოლაში წაკითხული და გამოყენებული წიგნები გაიგზავნება შემდეგ სხვა სკოლაში.

არ შეიძლება არ აღვიაროთ, რომ ამ გვარი კოლექტიური კითხვა დიდათ სასარგებლოა და ნაყოფიერი. ასეთი კითხვა მთელს კლასს, თითქმის ზარმაცს და გულგრილ მოწაფეებსაც კი ჩაითრევს სამუშაოში, ამას გარდა ზედ მიყოლებული საუბრები ხელს უწყობს წაკითხულის საუკეთესოდ შეთვისებას. იმ წვრილმან ადგილებს, რომელსაც სერიოზული მნიშვნელობა აქვს და რომელიც ბავშვებს უყურადღებოდ დაუტოვებიათ, ხელახლად მოიგონებენ და შეიგნებენ, რომ წაკითხვა უფრო გულდასმით უნდა. ასეთი საუბრები ჩინებული საშუალებაა ბავშვებში წაკითხულის შინაარსისადმი აქტიური დამოკიდებულების გასავითარებლად. წაკითხული ნაწარმოების ანალიზით მოწაფეები არა თუ შეითვისებენ მისს შინაარსს და მოაწესრიგებენ თავიანთ გრძნობებს და გამოერკვევიან იმ შთაბეჭდილებებში, რაც წიგნიდან მიულიათ, არამედ შეიმუშავებენ თავისთვის, თავის გემოზედ მოთხოვნილებებს წიგნზე. მის შინაარსზე და ფაბულაზედ. ასე დაყენებული კოლექტიური კითხვა ხელს უწყობს მაღალი ტიპის კითხვის შესწავლას და განვითარებას.

კახაბერი.

ვილიამ ჯემსი

საუბრები ფსიხოლოგიაზე

III

ბავშვი, როგორც მომქმედი ორგანიზმი

შემეცნების ნაკადს აქვს ორი ფუნქცია: იგი იწვევს ჩვენში შეგნებას და მოქმედებას.

რომელი მათგანია უფრო არსებითი?

აქ უნდა შევეხოთ ძველს—ისტორიულ სხვაობას აზრთა შორის ამ საგნის შესახებ.

უმრავლესობა ყოველთვის იმდენათ აფასებდა ადამიანის სულიერ პროცესებს, რამდენადაც ამ უკანასკნელთ გავლენა და მნიშვნელობა აქვთ ადამიანის პრაქტიკულ ცხოვრებაში. ფილოსოფოსები კი—წინააღმდეგი სხვა აზრისანი იყვენ. ისინი ამბობდენ: „ადამიანის უმაღლესი დიდება იმაში მდგომარეობს, რომ იგი იქნეს არსება გონიერი, შეიგნოს აბსოლუტური, სამარადისო და უნივერსალური ჭეშმარიტება. გონების მიმართვას პრაქტიკულ მიზნებისადმი დამოკიდებული მნიშვნელობა აქვს. მხოლოდ „თეორიული ძიება ნივთთა“ არის იმის დირსი, რაზედაც უნდა აფარჯიშოს და ამოქმედოს ოვისი ძალნი ადამიანის სულმა“. იმაზე შეტის განსხვავების წარმოდგენა შეუძლებელია, რაც ამა თუ იმ შეხედულების მიმხრობისაგან წარმოსდგება, ვინ რას გაუსვამს ხაზს—პრაქტიკულს თუ თეორიულ იდეალს. უკანასკნელ შეთხვევაში უარ-ყოფა ვნებათა და გრძნობელობათა, განშორება სოფლიურ ამოებისაგან არა თუ ეპატიება ადამიანს, საქებარიცაა მისთვის. ამ შეხედულების თანახმათ, ყოველივე მას, რაც ხელს უწყობს მეუდრო და განწვრეტელობით ცხოვრებას, უნდა ვუეურებდეთ, როგორც საფეხურს ადამიანის უმაღლეს განვითარებისას. პირიქით, პირველ შემთხვევაში ადამიანი, განწვრეტილობითი ცხოვრების მაძიებელი, არა სრული ქმნილებაა. პირველი შეხედულების თანახმათ, სწორეთ ვნებანი და პრაქტიკული ტალანტი შეადგენენ ადამიანთა დიდებას.

ვერ უარვეოფთ, რომ თანამედროვე ფსიხოლოგიის სიმძიმის ცენტრი უძევს არა მარტოდენ სულის მსჯელობითი ფუნქციებში, როგორც ფიქრობდენ პლატონი, არისტოტელი და სხვა კლასიკური ფილოსოფოსები, არამედ სულ სხვაგან, რაც ამდენხანს, ასე ვთქვათ, აბუჩათ იყო აგდებული: ეს გახლავთ ფუნქცია, რომელიც ემსახურება ადამიანის ცხოვრების პრაქტიკულ მხარეს. უკანასკნელი შეხედულება შემუშავდა ევოლიუციონური იეორიის წყალობით. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ადამიანი განვითარდა დაბალ არსებათაგან, რომელთაც—ძალიან საეჭვოა, ჰქონდათ თუ არა რაიმე ნასახი წმინდა გონიერებისა, და რომელთა სულიერი ფუნქციები იმ რიგად იყო შეთანხმებული გარეშე მოვლენებთან, რომ მათ (იმ არსებითი) შესძლებოდათ თავის დაღწევა რაიმე განსაცთელისაგან. ამ რიგად, შემეცნება პირველად იყო თითქო გაგრძელება ბიოლოგიურ გაუმჯობესებისა; ეს გაგრძელება უსარგებლოც იქნებოდა, რომ ამის წყალობით არ მივისწრაფოდეთ მიზან შეწონილ მოქმედებისადმი და განუმარტებელიც, საგანს რომ სხვა მხრით შეეხედოთ.

შემეცნების ბიოლოგიური საფუძველი არსებობენ ჩვენივე საკუთარი ბუნების წიაღში. შთაბეჭდილებათ ის ხოლო აქვთ, რომ მიგვიზიდონ, ან ხელი გვერან და უარ გვყონ; მოგონებანი გაგვაფრთხილებენ ან გაგვამხნევებენ და წაგვაქეზებენ; გრძნობელობანი აღ-

გვძრავენ სამოქმედოდ: აზრნი — შეაუნებენ ამ მოქმედებათ. ამ რიგათ, ეს ბიოლოგიური საფუძველნი გვიჩვენებენ გზას, რათა კეთილ გვეყოს და დღეგრძელ ვიყოთ ქვეყანასა ზედ. ის მეტაფიზიკური იდეები ან პრაქტიკულ მნიშვნელობას მოკლებული ესტეტიური წარმოდგენილებანი, ან ზნეობრივი გრძნობანი, რომელთაც ადგილი აქვთ ჩვენს არსებაში, უნდა კანვიხილოთ როგორც გარდამეტებული ფუნქციები, რომელნიც თან ახლავან ოფველი რთული მანქანის მოქმედებას.

თუმცა ამით ვერ ამოვაშრობთ თეორიულ მხარეს ჩვენის საგნისას, მაგრამ მე მაინც გთხოვთ დაიტოთ ეს ბიოლოგიური თვალთა ხედვა, რადგანაც ეს პრაქტიკულათ ფრიად სასარგებლო იქნება. ნუ დაივიწყებთ, რომ ადამიანი პირველ ოფლისა პრაქტიკული არსებაა, ხოლო სული მინიჭებული აქვს მას როგორც საშუალება ცხოვრებასთან შესაგუებლად.

როდესაც რომელიმე საგნის შესწავლას შევუდგებით, უნდა დავიწყოთ მისი არსებითი მხრიდან, დანარჩენი მხარეები განზე დავტოვოთ; შემდეგ თან და თანობით შევიტანოთ შესწორება და შევავსოთ საერთო სურათით საგნის სხვა მხარეების გამოკვლევით. ოფველივე ის, რაც ჩვენ ჩვენის გრძნობების საშუალებით შეგვიძლია შევიგნოთ, როგორც „ეს ქვეყანა“, არის მხოლოდ ჩვენის სულის წრისა და ობიექტის ნაწილი. მაგრამ რადგანაც ეს ამაგე დროს უმთავრესი ნაწილიცაა, ამიტომ იგი ყველა დანარჩენისთვის აუცილებელიცაა. რაკი ერთხელვე ოქვენ საფუძვლიანათ გაეცანით იმ ფაქტებს, რომელთაც დამოკიდებულება აქვთ „ამ ქვეყანასთან“, შეგიძლიათ გულ დამშვიდებით შეუდგეთ უმაღლეს სამეცნიერო გაცნობასაც.

სულისა და ტვინის მოქმედება პარალელურათ წარმოებს. ტვინი, როგორც ჩვენ ეს გვესმის, ემსახურება ჩვენს პრაქტიკულ მოქმედებათ. ოფველი საკადული, რომელიც კანიდან, თვალიდან თუ ყურიდან მიდის ტვინში, უკანვე უბრუნდება კუნთებს, ჯირკვლებს თუ შინაგან ნაწილებს და ხელს უწყობს, რომ ორგანიზმი შეეგუოს იმ წრეს, სადაც იგი ნაკადული მოსჩქეს. ჩვენი განხილვა უფრო ზოგადი და თან მარტივიც იქნება, თუ ტვინისა და სულის მოქმედებას შევხედავთ იმ მხრით, რომ ისინი ერთსა და იმავე ძირითად მიზანს ემსახურებიან.

სულის მოქმედების ისეთი ნაოფი, როგორც ეთიკა, ესტეტიური სახილველნი, მარადისობის განჭვრეტა, ან ლოგიკურ-ფანტასტიური სახეობანი ვერაოდეს ვერ აღმოცენდებოდა, უკეთუ ადამიანის სულს, რომელმაც ისინი შექმნა, არ შესძლებოდა უფრო სასარგებლო პრაქტიკული ნაოფის გამოღება. ამ რიგათ ეს უკანასკნელი უფრო არსებითია, ან უფრო ძირითადი.

მოქმედების ის სახე, რომელიც მიმართულია არა არსებით და არა პრაქტიკულ მიზნებისადმი, უფრო ახლო დგას ჩვენთან, ვიდრე ეს ერთი შეხედვით გვეჩვენება. საეჭვოა არსებობდეს ისეთი ჭეშმარიტება, რაც უნდა განუნებული იყოს იგი, რომელმაც, რაკი ერთხელვე შეოვისებულ და მიღებულ იქმნა ჩვენ მიერ, რაიმე გავლენა არ იქონიოს ჩვენს ქვეყნიურ მოქმედებაზე. სიტყვას „მოქმედება“ ვხმარობ ვრცელი და ფართო მნიშვნელობით. მე აქ ვგულისხმობ სიტყვასა და წერას, მტკიცებას და უარეოფას, მისწრაფებას რაიმესადმი და უკუ სწრაფვას რაიმესაგან, აგრეთვე— ემოციალურ მდგომარეობას; ამასთანავე სულ ერთია—სრულდება ოფველივე ეს აწმეოში თუ მომავალში. თქვენ ამ ჟამად ყურს მიგდებთ და შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ამ პროცესს არავითარი მოქმედება არ მოჰყვება თან. თქვენ შეიძლება უწოდოთ ამას წმინდა თეორიული პროცესი, რომელიც არავითარ პრაქტიკულ შედეგამდე არ მიგვიყვანს. ასე-

თი შედეგი კი უეჭველად უნდა იყოს. პრო-ცესი ისე არ აღსრულდება, თუ რაიმე უფ-ლება არ იქონია თქვენს მოქმედებაზე. იმაზე, რაზედაც თქვენ ახლა ფიქრობთ, ბოლოს და ბოლოს იძულებული იქნებით სულ სხვა პასუ-ხი გასცეთ, ვიდრე აქამდის. ზოგიერთ თქვენგანში ჩემი სიტყვა გამოიწვევს ახალ საქმიანობას, ახალი წიგნების წაკითხვის სურ-ვილს. ეგელა ამის გამო თქვენ შეიმუშავებთ საკუთარს აზრს, შეხედულებას და გახდებით ან მომხრე, ან წინააღმდეგი ჩემი. თქვენ წარმოსთქვამთ თქვენს შეხედულებათ და თქვე-ნი წრის პირები კი კრიტიკას გაუწევენ მათ, ეს კი გავლენას იქონიებს მათ აზრზე თქვენ შესახებ. ჩვენს დანიშნულებას ვერ წაუვალთ, — იგი პრაქტიკულის ხასიათისა; ჩვენი ნიჭის ის მხარეც კი, რომელსაც შეეძლო თეორიე-ბის შექმნა, ხელს შეგვიწყობს ჩვენი დანიშ-ნულების აღსრულებაში.

გულწრფელად ვფიქრობ, რომ თქვენთვის, როგორც მასწავლებლებისთვის, საკმაოა ის შეხედულება, რომ იმ ფსიხიურ მოვლენებით, რომელთაც თქვენი დაკვირვება აღმოაჩენს თქვენდამი რწმუნებულს უმაწვილებში, უნდა ისარგებლოთ უკანასკნელთა მომავალი მოქმე-დების წარსამატებლად. ეოველ შემთხვევაში ეს შეხედულება საკმაოა, როგორც პირველი და უმთავრესი. ამიტომ თქვენი მიზანი უმ-თავრესად და არსებითად არის **მოწაფეების** აღზრდა **საამოქმედოდ**. მოქმედებას ვხმა-ობ ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. ეს თქმა ჩემთვის ნიშნავს და იეურობს ეგელა იმ მიზან შეწონილ რეაქციათა სახეს ეოველგვარ პირობებში, რომელშიაც შესაძლოა მოჰყვეს უმაწვილი ცხოვრების და ბედის ცვალებადო-ბის დროს.

რეაქცია, მართალია, ხშირად უარეოფვითი რამაა. „**არ** ილაპარაკო“, „**არ** გაინძრე“ ეს ზოგიერთ შემთხვევებში ჩვენი უდიდესი მო-ვალეობაა. მცნება: „ნუ იქმ, ნუ გსურს, თავი შეიკავე!“ თხოულობს ნების ძლიერ სიმტკიცეს და ამ მცნების აღსრულება ფი-ზიოლოგიური თვალთა ხედვით ისეთივე და-დებითი ნერვიული ფუნქციაა, როგორც მამო-ძრავებელი ძალა.

IV

აღზრდა და მოქმედება.

ჩვენ შევიმუშავეთ ძალიან მარტივი შეხე-დულება აღზრდაზე. აღზრდა ბოლოს და ბოლოს ნიშნავს ორგანიზაციას ადამიანში ისეთ საშუა-ლებათა და ძალთა მოქმედებისადმი მიმართულთ, რომელნიც მისცემენ მას სახსარს კარემო სოციალურ და ფიზიკურ წრესთან შეგუებისას. „აღუზრდელი“ ადამიანი—ეს ისეთი ადამია-ნია, რომელიც შაბლონისაგან რამდენადმე განსხვავებულს მდგომარეობაში მორს არაა შეშლილობისაგან. პირიქით, „აღზრდილი“ ადამიანი, მის ხსოვნაში დაგროვებულის მა-გალითების და განუყენებულ ცნებათა წყალო-ბით, თავდაჭერილად გამოვა ისეთი მდგომა-რეობიდანაც, როგორშიაც ის ჯერ არ ეოფი-ლა. ერთი სიტყვით, აღზრდა უფრო კარგათ შეგვიძლია განვმარტოთ, როგორც **ორგანი-ზაცია ქცევის შეძენილ ჩვეულებათა და მიდრეკილებათა მოქმედებისადმი.**

განვმარტოთ მაგალითით. თითოეული ჩვენგანი რამდენადმე თავისებურათაა აღზრ-დილი და ასეთი აღზრდა აშკარათ ეშჩნევა ჩვენს საქციელსაც. ჩემთვის ჩემივე ტეხნიკუ-რათ და სპეციალურათ მიმართულ სულიერ ძალების მიხედვით—შეეძლებელია აქ მდუმა-რება და უმოქმედობა იმ მხედველობით შეა-ბეჭდილების გავლენის გამო, რომელთაც მე ვიღებ თქვენის აქ ყოფნით. რაღაც ჩამძა-ხის, რომ ჩემგან სიტყვას მოელიან, რომ უნდა ვილაპარაკო და არ კი ვდუმდე, რაღაც მაიძულებს განვაგრძო ჩემი სიტყვა. ჩემი სა-მეტყველო ორგანოები აღძრულია ტვინი-

დან მომჩქეფარე ნაკადულებით, რომელთა მოძრაობა თავის მხრით გამოწვეულია მხედველ ორგანოსაგან მიღებულ და ტვინში გატარებულ შთაბეჭდილებათაგან. ფორმა და თან და თანობა თითოეულის მოძრაობისა, რომელსაც ჩემი სამეტყველო ორგანოები ასრულებენ, სავსებით განისაზღვრება იმ გაწრთვნით, რომელიც წინა წლებში მიმიღია სიტყვების წარმოთქმის თუ კითხვის დროს. ბირიქით, თქვენი მდგომარეობა ამ ყამათ, ერთის შეხედვით, ბასიურ მდგომარეობათ გვეჩვენება. მაგრამ უბრალო ყურის გდებაც სრულიად განსაზღვრული სახეა მოქმედებისა. როდესაც ყურს მიგდებთ, თქვენი სხეული განსაკუთრებულად ძალა-მოკრებილია; თქვენი თავი და თვალები დებულობენ განსაზღვრულ დამახასიათებელ შეხედულებას. ჩვენი საუბრის დასასრულს კი თქვენ უეჭველათ მიხვალთ, როგორც ვთქვი, განსაზღვრულ მოქმედების კარებამდე, მაგ., ჩემი სიტყვების ზედგავლენით თქვენ თქვენს კლასში, შესაფერ ბირობების მიხედვით, მოიქცევით სხვა რიგათ, ვიდრე მოიქცეოდით წინათ. იგივე მოუვა იმ შთაბეჭდილებებს, რომელთაც თქვენ თქვენს შაგირდებზე მოახდენთ. უნდა შეითვისოთ ის აზრი, რომ თითოეულმა თქვენ მიერ შაგირდებზე მოხდენილმა შთაბეჭდილებამ უნდა გამოიწვიოს ამათში რაიმე გვარი მოქმედება. თუ თქვენ ამის თანახმა ხართ, მაშინ ყოველ მერყეობის გარეშე უნდა ადიაროთ ბიოლოგიური შეხედულება სულზე, როგორც ისეთ რამეზე, რომელიც მოცემული გვაქვს ჩვენ პრაქტიკულ მიზნებისათვის. თქვენს აღმზრდელობით მოღვაწეობას ეს შეხედულება სავსებით ეთანხმება.

თუ განვიხილავთ აღზრდის იდეალს სხვა და სხვა ქვეყნებში, ვნახავთ, რომ მისი საერთო მიზანია მოქმედებითი ძალების განვითარება. ეს ყველაზე უფრო აშკარათა სჩანს გერმანიაში. აქ უმაღლესი სწავლის მიზნათ დასახულია, რომ მოსწავლისაგან შეიქმნეს იარაღი მეცნიერების პროგრესისათვის. გერმანიის უნივერსიტეტები ამაყობენ ახალგაზრდა სპეციალისტთა რიცხვით. ხშირათ ეს სპეციალისტები ორიგინალობას კი ვერ იჩენენ, მაგრამ ისე კი არიან გაწრთვნილი, რომ შეუძლიათ, ზოგადი შენიშვნების შემდეგ, დამოუკიდებლათ განაგრძონ მუშაობა. იმათ ისე კარგათ იციან პირველ წყაროებით სარგებლობა, რომ ხშირათ, რამდენიმე თვის მუშაობის შემდეგ, ამა თუ იმ ცოდნის დარგიდან მარცვალს მაინც აღმოაჩენენ ჭეშმარიტებისას და ესეც დიდი შეძენაა. იგი მარცვალი ემატება ამა თუ იმ საგნის შესახებ არსებულს ცოდნას და ამ რიგათ ფართოვდება ეს უკანასკნელი.

რაიცა შეეხება იხგლისს, ამაზე გეტყვით შემდეგს. ოქსფორდის უნივერსიტეტის ერთს პროფესორსა ჰკითხეს: „რას აძლევს ოქსფორდი სტუდენტებსო“. პროფესორმა მიუგო: „ოქსფორდს შეუძლია ასწავლოს იეოს ინგლისის ჯენტლმენს, თუ როგორი უნდა ინგლისელი ჯენტლმენიო“. თუ ვიკითხავთ, როგორი უნდა იყოს ჯენტლმენიო, პასუხად მიგვითითებენ ადამიანის საქციელსა და მოქმედებებზე. ინგლისელი ჯენტლმენი კი ისეთი პიროვნებაა, რომლის მოქმედება მკაცრათ განსაზღვრულია ცხოვრების ყოველგვარ პირობებში. აქაც, როგორც ყოველთვის, ინგლისი მოელის, რომ თითოეული თავის მოვალეობას აასრულებს. *)

დ. ო—ძე.

*) „ინგლისი მოელის, რომ ყველა თავის მოვალეობას აასრულებსო“, ასეთი იყო ნელსონის პაროლი ტრაფალგარის ბრძოლის წინ.

პედაგოგიის ისტორია

დ—რ ვაიმერისა

(თარგმანი გერმანულიდან)

§ 14. კომენიუსი.

იოდან ამოს კომენიუსი ანუ კომენსკი (ეს სახელწოდება წარმოსდგება დაბა კომნიდან, იოდანეს წინაპრების სამშობლოდან) დაიბადა 1592 წელს ნიჟნიცში, მერენში (მორავიაში). უკვე თექვსმეტის წლის იყო ემაწვილი, როცა იგი პირველად შევიდა ლათინურ—სკოლაში. 1611 წელს ღვთისმეტყველების შესასწავლად წავიდა იგი ჰერბორნში (ნასსაუში არის). აქ ალსტედის ზეგავლენით შეიმუშავა კომენსკიმ ნიადაგი შემდეგის პანსოფიურის და ხილიასტურის ოცნებებისათვის. ამავე დროს (1613) ჰელვიგმა და იუნგემ გამოაქვეყნეს თავიანთი აზრი რატიხიუსის იდეების შესახებ. ამ ნიადაგ კომენსკი გაეცნო თვით რატიხიუსის აზრებს. როცა კომენიუსმა უნივერსიტეტი დამთავრა ამსტერდამსა და ჰაიდულბერგში, მან დაიწყო მოღვაწეობა თვის მოძმეთა შორის ბოჰემიაში: პრერაუში (1614), როკორც სკოლის მზრუნველი და ფულსეკში (1618—1621), როგორც მქადაგებელი. თეთრ მთასთან ბრძოლის შემდეგ ბოჰემიაში დაიწყო დევნა პროტესტანტთა. კომენსკი და ათასი მისი თანამორწმუნე, ბევრის ხეტიალის შემდეგ, იძულებულნი გახდენ დატოვებინათ სამშობლო მხარე და გადახვეწილიყვნენ პოლონეთში—ლისსაში (1628). აქ ჭეშვა კომენსკიმ საკმაო დრო საპედაგოგიო ხაოთვიერ შრომისათვის, თუმცა თანამორწმუნეთა სულიერი ხელმძღვანელიც იყო, აქ შეექმნა კომენსკიმ: დიდი სწავლა სწავლების შესახებ (Didactica magna) და „ისევ გაღებული ენების კარები“ (Janua linguarum reserata); ამ თხზულებებმა ჩქარა მოუხვეჭეს ავტორს მთელს ევროპაში დიდი სახელი: ინგლისი და შვეცია ღრმა პატივისცემით ეპატიჟებოდენ კომენსკის. მოლაპარაკება ინგლისის პარლამენტსა და კომენსკის შორის შეწყდა, რადგან ამ დროს იჩინა თავი ინგლისში შინაურმა ბრძოლამ; კომენსკიმ 1642 წელს ქალაქ ელბინგენში ოქსენტიერნის წინადადებით მიჰყო ხელი ახალ სახელმძღვანელოების შედგენას, რომელთაც უნდა მოემზადებინათ ნიადაგი შვეციაში სწავლის საქმის შეცვლისა. მორაველ ძმათა ეფისკოპოსათ არჩევამ აიძულა კომენიუსი მეორეთ წასულიყო ლირსაში 1648—1652. შემდეგ კომენიუსი მიიწვია თავადმა რაკოციმ უნგრეთში, რომ საროსპატოკში დაეარსებინა მისი იდეების შესაფერი ლათინური სკოლა (1650—1654). აქ დასწერა კომენიუსმა Orbis sentualinm pictus, რომელიც დაიბეჭდა 1657 წელს ნიურნბერგში. პატკში შრომამ უნაყოფოდ ჩაუარა; კომენსკი დაუბრუნდა ისევ ლირს, მაგრამ დაბრუნების ორის წლის შემდეგ ეს ქალაქი გაანადგურეს, დაანგრიეს. ისევ დაიწყო სამშობლოს დაშორებულმა მოხუცმა ხეტიალი მთელს გერმანიაში, სანამ არ ჭეშვა ამსტერდამში ერთს ძველს მფარველთან (De Geer) თავშესაფარი. კომენსკი გადაიცვალა 1670 წელს ნაარდენში.

---

*) იანუა გადათარგმნილია ევროპის და აღმოსავლეთის მრავალ ენაზე.

უმთავრესი თხზულება კომენსკისა არის: „დიდი სწავლა სწავლების შესახებ“. უმწვერვალესი დანიშნულება ადამიანისა ამ წიგნის აზრით არის ნეტარება ღმერთთან. მიწიერი ცხოვრება მხოლოდ მზადდება ამ უკანასკნელი მიზნისათვის. ნამდვილი მომზადებისთვის კი საჭიროა: 1) ცოდნა 2) კეთილი ზნე 3) სარწმუნოებრივი გრძნობა. ყველა ეს თვით ბუნებამ ჩაგვინერგა; აღზრდამ და სწავლამ ისინი მხოლოდ უნდა განვითაროს ბავშვობის პირველ დღეიდანვე. რასაც ვერ მოახერხებენ მშობლები, თავს უნდა იდვას სკოლამ. აქ უნდა მიიღონ ბავშვებმა განურჩევლად სქესისა და შთამომავლობისა პირველ დაწყებითი სწავლა, რომელიც საფუძვლად დაედება მეცნიერულს, ზნეობრივს და სარწმუნოებრივ განვითარებას. სწორ სამოსწავლო მეთოდს შეუძლია ანგარიში გაუწიოს მოწაფეთა ნიჭის სხვა და სხვაობას, თუნდაც მოწაფეთა რიცხვი დიდი იყოს, საჭიროა მხოლოდ ეური დაუგდოთ ბუნების მაგალითს. როგორც ბუნებაში ხდება განვითარება სხეულებისა, ისე უნდა მოეწყოს ადამიანის განვითარებაც. თავდაპირველად აღზრდის საქმეა განაგრძოს ადამიანის ცხოვრების ღღენი; ამიტომაც საჭიროა ეურადღება მიექცეს ადამიანის სხეულს: დროზე მის დასვენებას. ღღე უნდა გაიყოს სამჯერ რვა საათად: რვა საათი შრომა, რვა საათი დასვენება და რვა საათი—ძილი. რომ **აუცილებელად** დასწავლო, შეურჩიე დრო, როგორც ამას ბუნება შეგრებ. ადრე ცხოვრებაში და ადრე ღილით დაიწყე სწავლება. როგორც ბუნება ჯერ მასალას დამზადებს, სანამ რასმე გამოხატავდეს, ისე შეჭმენი ჯერ ცნება და მერმე სიტყვა, განვითარე დრამატიკული კანონები წაკითხულ მწერალთა მაგალითებზე; როგორც ბუნება ყველაფერს სადა ფორმებიდან ჭქმნის, თან და თანის განვითარებით, ისე მასწავლებელმა მიზნისაკენ გაუძღვეს მოწაფეთ აუჩქარებლივ, უნახტომოთ. **ადგილათ** **და სასაამოგნოდ** ეჩვენება მოწაფეს სწავლა, როცა **ერთი** და **იგივე** მასწავლებელი მართალის შეთოდით შეუმსუბუქებს შრომას და გაუღვიძებს ცნობის მოყვარეობას. სუფთა, მხიარული და სათელი სადგომი, ბადი და სათამაშო ადგილი იმდენსვე ნიშნავს, რამდენსაც ალერსიანი მოპყრობა მასწავლებლისა. ჯერ უნდა ავარჯიშოთ მოწაფეთა გრძნობა, შემდეგ მეხსიერება, მერმე გონება და ბოლოს მსჯელობა. ყოველ შემთხვევაში გაუგებრად რისიმე დასწავლა შეუწყნარებელია. კანონები მოკლეთ, გასაგებათ და მაგალითებით უნდა იქმნას განმარტებული. დედა-ენამ უნდა მოამზადოს ნიადაგი ყველა ენების შესასწავლად! ბოლოს მთლიანობა უნდა სუფევდეს ყველა საგნებთა და ყველა სახელმძღვანელოთა შორის, **საფუძვლიანა** მოწაფის განათლება, თუ საკარგებლოს პატივისცემით ყველაფერი უსარგებლო გამოტოვებულია სწავლის გეგმიდან. მთელი ცოდნა ერთს ძირითად ცნებაზე უნდა იყოს აგებული და შეგირდის პირად განცდაზე და დაკვირვებაზე დამყარებული. წინად ნასწავლი ნიადაგი უნდა დაედვას შემდეგ სასწავლოს: შეგირდმა უნდა შეიგნოს კავშირი მიზეზთა და შედეგთა შორის. შესწავლილი მასალა მთლიანი მოყოლებით, განმეორებით და მოწაფისა და მასწავლებლის კითხვა-პასუხით უნდა იქმნეს საგსებით შეთვისებული. **სწრაფად** მიდის სწავლის საქმე თუ მასწავლებელი დაიხმარებს თვით მოწაფეებს. როცა მასწავლებელი სდგას ან ზის და ასწავლის, ათისთავები (დეკურანები) მის მაგიერ ასწორებენ ნაწერს ან ამეორებინებენ ჩამორჩენილ მოწაფეებს. მასწავლებელმა ყოველსავე საშუალებას უნდა მიმართოს, რათა მოწაფეთა ეურადღება მუდამ ფხიზელი იყოს. შეგირდებს ყველას ერთი და იგივე სახელმძღვანელო უნდა ჭქონდეთ. სასწავლო მასალა სისწორით უნდა იყოს დაყოფილი ყოველი წლის, დღისა და საათისათვის.

ამ საერთო კანონების შემდეგ კომენსკი არჩევს ცალ-ცალკე სხვა და სხვა მეცნიერებათა და ხელოვნებათა მეთოდს. უპირველესად ყოველისა კომენსკი თხოულობს ზრუნვას თვალსაჩინოდ სწავლებისა და ვარჯიშობის შესახებ. რადგან ენა მხოლოდ იარაღია განვითარების შესაძენათ, შესწავლილ უნდა იქმნენ მარტო ის ენები, რომელნიც ძლიერ საჭირონი არიან: დედა-ენა (პირველ რვა—ათ წელიწადს), მოსამზღვრეთა ენა (ყოველი მათგანი თითო წელიწადს); მომავალ მეცნიერს საჭირდება აგრეთვე ლათინური (ორი წელიწადი) ფილოსოფოსებმა და ექიმებმა უნდა შეისწავლონ არაბული და ბერძნული, ღვთისმეტყველებმა (თეოლოგებმა) ებრაული (ნახევარი წელი). მუდამ სახეში უნდა გვქონდეს, სიტყვისა და საგნის შეთანხმებით სწავლება. ენა უნდა ისწავლებოდეს უფრო ამ ენის ხმარებით ვიდრე კანონებით. უცხო ენის გრამატიკა დაემყარება დედა-ენის გრამატიკაზე და მხოლოდ მათ შორის განსხვავების აღნუსხვა საჭირო. ერთგვარობა სწავლების მეთოდში და სახელმძღვანელოების მასალის დალაგებაში ყველა ენებისთვის სავალდებულოა. სახელმძღვანელოები შეგირდების ხნოვანების შესაფერად უნდა იყოს შედგენილი: ა) პირველდაწყებითი 2) დაბალი განყოფილება 3) საშუალო 4) მაღალი განყოფილება. *)

ყოველივე სწავლება უნდა ემსახურებოდეს შეგირდთა ზნეობრივ აღზრდას. უწინარეს ყოვლისა ოთხი სიკეთე გონიერება, თავდაჭერილობა, ზომიერება და სამართლიანობა უნდა ჩაენერგოს მოწაფეს. მშობლებისა, მასწავლებლების მაგალითი, მუდმივი ვარჯიშობა და საჭირო წეს-რიგი საუკეთესო საშუალებანი არიან ზნეობრივი აღზრდისათვის.— **მართლ-მორწმუნეობის** განვითარებას ხელს უწყობს სადვთო წიგნების კითხვა, ბუნების დაკვირვება და საკუთარის გულის გამოცდა. წეს-რიგი, რომელიც სკოლისათვის ისე საჭიროა, როგორც წისქვილისათვის წყალი, უფრო მეტს ყურადღებას უნდა აქცევდეს მოწაფეთა ყოფაქცევას, ვიდრე მათ ბეჯითობას და წარმატებას. სასჯელს თავისი განსაზღვრული საფეხურები უნდა ჰქონდეს; უფრო სასურველია წეს-რიგმა ცუდი საქციელი როგორმე სკოლას თავიდან აცდინოს, ვიდრე ცუდი საქციელისთვის ვინმე დასაჯოს.

ადამიანის სწავლა-განათლება 24 წელიწადი უნდა გრძელდებოდეს. პირველს ექვს წელიწადს ყოველს ოჯახში **დედის სკოლა** (schola materna) აწვდის ბავშვს პირველდაწყებით სწავლასა და აღზრდას. თორმეტს წლამდის ყოველი ბავშვი გერმანულ ანუ დედა-ენის სკოლაში (schola vernacula), რომელიც ყოველ თემში არის ისწავლის კითხვას, წერას, ანგარიშს, გაზომვას, სიმღერას, სამართო რჯულს და ელემენტალურ ისტორიასა და ბუნების მეტყველებას. ვინც კი შევა **ლათინურ სკოლაში** (schola latino ყოველ ქალაქშია) ექვსი წლის განმავლობაში გერმანულ, ლათინურ, ბერძნულ და ებრაულთან ერთად შეისწავლის თავისუფალ ხელოვნებებს

*) ამ მოთხოვნისამებრ კომენიუსმა დასწერა: 1) 1633 Vesibulum (წინა კარი), რომელშიაც 10 თავი იყო 500 წინადადება და 1000 სიტყვა. იგი იძლეოდა სიტყვის ნაწილების და მარტივი გრამატიკის ცოდნას; 2) 1831 წელს Ianua (კარი), რომელშიაც 8000 სიტყვა 1000 წინადადება; ამ სახელმძღვანელოში განმარტებულია გრამატიკა, მოყვანილია პროსოდია და სიტყვათა წარმოშობა. 3) 1651 წელს Atrium (ბინა), რომელიც 1000 პერიდებით იძლევა რეტორიული გამოთქმის მაგალითებს. უმაღლესი განყოფილებისთვის ნააზრევი სიტყვიერების საუნჯე Jhesaurus liuguarum), რომელიც უნდა ყოფილიყო კონა საუკეთესო და ზნეობა დაცული მწერლებისა, არ გამოსულა.

ფიზიკას, ისტორიას, ქრონოლოგიას, ეტიკას და ღვთის-შეტყველებას. ბუნების მეტყველება ისწავლება აქ უცხო ენების წინ. აკადემიები, რომელნიც ყოველ პროვინციაში არიან, ექვსი წლის განმავლობაში დაამთავრებენ სწავლის საქმეს.

კომენსკის თეორია ყველა წინათ მოყვანილ პედაგოგიურ თეორიებზე უფრო მდიდარია და ფართო. შართალია მის აზრებში ხშირად შეხვდებით წინად რატიხიუსის შიერ გამოთქმულს აზრს, მაგრამ რაც რატიხიუსმა როგორც ჩანასახი გვაჩვენა, იგი დაამტკიცა წესრიგზე დაწყო კომენსუსმა. ამაშია უკანასკნელის მნიშვნელობა. მაგალითად, რაც რატიხიუსმა გამოთქვა სიტყვებით: „ყველაფერი ბუნების წესის და განვითარების თანახმად“, იგი გვაჩვენა კომენიუსმა თვისი „სწავლა სწავლების შესახებ“-ით, რომელიც იმავე პრინციპზეა აგებული. გარდა ამისა, რატიხიუსის მიზანი პრაქტიკული იო — რაც შეიძლება მალე შეესწავლებინა მოწაფისთვის ენები; კომენსკი, რატიხიუსის უმცროსი თანამედროვე, მთელს აღზრდას ზნეობრივს, გონებრივს და სასულიეროს ჰკიდებს ხელს ბავშვის დაბადების პირველი დღიდან სრულ დავაკაცებამდე. პირველად კომენსკიმ აღნიშნა ნამდვილი მნიშვნელობა ენების შესწავლისა. რადგან ენების ცოდნა მიზანი კი არ არის, არამედ საშუალება ცოდნის შეძენისათვის, ენაც იმდენად უნდა შეისწავლოს კაცმა, რამდენადაც აუცილებლად საჭიროა. ენებზე მაღლა კომენსკი აყენებს რეალური საგნების ცოდნას, როგორც საფუძველს მეცნიერულის განათლებისას. მათი შესწავლა კომენსკის აზრით თვალსაჩინოთ უნდა იყოს. Orbis pictus, სურათებიანი გამოცემა იანუასი თუმცა ცუდის ლიტერატურით არის დაწერილი და ცუდი სურათები აქვს, ეხლაც არ ჰკარგავს თავის მნიშვნელობას, როგორც პირველი ცდა თვალსაჩინო საგულმძღვანელოისა. პირველ დაწყებითი სწავლის დედა-აზრიც, წინანდელ პედაგოგთან შედარებით, გაარღმავა კომენსკიმ: რატიხიუსი კმაყოფილდება პირველ დაწყებით სკოლაში დაესწავლა ყველას წერა-კითხვა, კომენიუსი კი თხოულობდა სწავლის პირველ ხანებშივე მოემზადებინათ ნიადაგი ადამიანის საერთო განვითარებისათვის. თვის სწავლების გეგმაში, რომელიც ოთხის განყოფილებისთვის იყო შედგენილი, მან პირველად განახორციელა იდეა მთლიანის სკოლისა. წინად არც ერთს პედაგოგს არ განუვითარებია ისე ვრცლად სკოლის მოვალეობა ზნეობრივს აღზრდაში, როგორც კომენსკიმ. საჭიროა მხოლოდ, რომ რელიგიური და ზნეობრივი აღზრდის საკითხმა კომენიუსი ძლიერ გაიტაცა და ძველი კლასიკური მწერლობის მნიშვნელობა დაავიწყებინა: ერთხელ კომენიუსი კიდევაც იჩქვდა იმ ეფესელების მაგალითის მიბაძეთ, რომელთაც ქრისტიანობის მიღებისთანავე, დასწვეს ყველა კერპთთაყვანის მცემლების ნაწერები.

ნ. ლორთქიფანიძე.

სამშობლო ქვეყნის მოღვაწენი

ნიკოლოზ ზებედეს ძე ცხვედაძე

იგი ბრძენია, ვინც კლდეთა
სახლსა აგებდეს ხალისად.

ნიკოლოზ ზებედეს ძე ცხვედაძე ერთი იმ იშვიათ მამულიშვილთაგანია ჩვენში, რომელსაც საქმით და თავისი ერისადმი უანგარო სიყვარულით დიდი ღ თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის სამშობლოს წინაშე. მან თავისი ღირს შესანიშნავი მოღვაწეობა დაარგვირგვინა იმ დიადი საშვილიშვილო საქმით, რომელსაც განცვიფრებაში მოჰყავს ყველა უცხოელიც კი, ვისაც უნახავს ის დიდებული ტაძარი სწავლა განათლებისა, რომლითაც მუდამ იამაყებს ქართველობა.

სამართლიანად ამბობენ განათლებული უცხოელები—თუ გინდა რომელ.მე ერის სულიერი ძალა დაგვანახვოთ დარბაზებს კი ნუ გვიჩვენებთ სკოლაში შეგვიყვანეთო. მართლაც, სკოლა ერის ცხოვრების სარკეა და ქართული გიმნაზიის შენო-

ბაც, რომლის აგებაში უმთავრესი ღვაწ-
ლი ბ-ნს ნიკოს მიუძღვის თავისი დაუ-
ღალავის შრომით, ენერგიით და მოხერ-
ხებით, გვითვალისწინებს ჩვენი ერის
მომავალს ბედს და სანუგეშოთ და გასა-
მხნევებლად გვიშლის თვალწინ ბედნიერს
მომავალს, რაც იმედით აღვსილს ერს
ყოველთვის მოელის. შესწავლა ჩვენდა
მოღვაწეთა ცხოვრებისა ისეთივე საჭი-
როა, როგორც ცოდნა თავისი ერის
ისტორიისა. ნ. ზ. ცხვედაძის ცხოვრებაც
ბევრს საგულისხმიერო რასმე გვეუბნება.

ნიკოლოზ ზებედეს ძე ცხვედაძე დაი-
ბადა 1844 წელს გორის ბაზრის სოფელ
კავთიხევში. მამა ნიკოლოზისა იყო ზე-
ბედე მოძღვარი, რომელსაც გულში
ჰქონდა ღრმად ჩანერგული ქართული
მწიგნობრობისა და განათლების პატივის-
ცემა და შვილების აღზრდის სიყვარუ-
ლი. ზებედე მოძღვარი დიდი ოჯახის
პატრონი იყო, მასთან ხელ მოკლეც,
მაგრამ მან მაინც პატარა ნიკოს თფ.
სემენარიაში აღზრდა განიძრახა და ეს
მოახერხა კიდეც მალე. ეს იმ დროს ბევ-
რისთვის მეტად ძნელიც იყო. ამ სიძნ-
ელეს აქვს თავის იმ დროის პირობები და
მიზეზებიც.

შინაურ სწავლა-მომზადების შემდეგ,
ნიკოლოზი თავის მამამ თფილისში ჩამო-
იყვანა და სასულიერო სასწავლებელში
მიაბარა თავის ხარჯით, სკოლაში სია-
რულის დროს პატარა ნიკო ხარფუხში
სცხოვრებდა ერთს სომხის დედაკაცის
სახლში და იქიდამ დადიოდა სასულიერო
სასწავლებელში. როგორც სოფლის ღა-
რიბს მღვდელს ნიკოს მამას ძლიერ უჭი-
რდებოდა შვილის ხარჯი თფილისში,
მაგრამ რას იზამდა, დიდი სურვილი
ჰქონდა შვილის გამოზრდისა და ამის გა-
მო ყველა ტვირთს იტანდა.

ერთხელ საქართველოს ეგზარხოსი ისი-
დორე იყო ქვათახევის მონასტერში დღე-
სასწაულზე წირვის გადასახდელად; გზა-
ზედ მიმავალს თავის ამალით კავთიხევში
მოუხდა დარჩენა და ღამე ზებედე მღვ-
დლისას გაათია. აქ მან ნახა ამ მღვდლის
შინაური ცხოვრების გაჭირება და დაჰ-
პირდა, რომ შენს შვილს ნიკოს სასუ-
ლიერო სასწავლებელში სახელმწიფო
ხარჯზედ მივაღებიებო. დაპირება მართ-
ლაც შეუსრულდა და, ეგზარხოსის თფი-
ლისში დაბრუნების შემდეგ, ნიკო სა-
ხელმწიფო ხარჯზედ იქმნა მიღებული.

მამა ნიკოლოზ ცხვედაძისა გადიცვალა
1856 წ. და დედა მარიამი 1897 წ. ამ
მანდილოსანს პირადად ვიცნობდი, იგი
იყო მწიგნობარი და მასთან დიდათ მო-
ყვარული წერა-კითხვისა.

არ უნდა ფიქრი, რომ კაი დედ-მამის
თვისებას მეტად კარგი გავლენა არ ჰქონ-
დეს შვილზედ. ნიკო თუმც პატარაობი-
დამვე განიცდიდა შეუძლებლობის ნაკლს.
მაგრამ მან სწავლა სასულიერო სასწავ-
ლებელში დაამთავრა კარგად, შემდეგ
თფილისის სემენარიაში სწავლობდა. აქ
მან სწავლა დაამთავრა 1865 წ. და იმავ
ზაფხულს გაემგზავრა რუსეთს, მოსკოვის
აკადემიაში შევიდა სწავლის გასაგრძობ-
ლად. ეს გარემოებაც ღარიბ სოფლის
მღვდლს საქმეს ძრიელ უჭირებდა, მაგ-
რამ რას იზამდა, სწავლის მნიშვნელობა
ნიკოს მშობლებმა ისე კარგად იცოდნენ,
რომ იგინი ამისთვის ყოველივე ტვირთს
იტანდნენ.

მოსკოვის აკადემიაში სწავლა დაამ-
თავრა 1869 წ. და იქიდამვე ეს დანიშ-
ნეს თფილისის სემენარიაში მასწავლებ-
ლად, სადაც სულ სამი წელიწადი დაჰ-
ყო, რადგანაც მაშინდელის კერსკის რე-
ვიზიის გამო ეს აქედამ გარიცხეს. ამ

დროს ნიკოლოზს კერძო გაკვეთილებიც ჰქონდა. ამასვე დროს იგი მასწავლებლად იყო იმ დროის სამიჯნაო სკოლის უფროსს კლასებში. 1873 წ. იგი მასწავლებლად შევიდა თფილისის წმიდა ნინოს ქალთა სასწავლებელში. იმავ დროდამ ქალთა ინსტიტუტშიაც იყო მასწავლებლად, აქ ამ ასპარეზზედ დაამთავრა მან თავის სამსახურის ვადა. ორსავე ამ სასწავლებელში ნიკოლოზს დიდი შრომა და ამაგი მიუძღვის.

ნ. ზ. ცხვედაძეს თავიდანვე დიდი სიყვარული ჰქონდა თავისი ერის და საზოგადოებისათვის სამსახურისა. მას ეს სურვილი და მისწრაფება აშკარად ემჩნეოდა, და სხვა თავის თანამედროვე პირებისაგან დიდათ გაირჩევოდა... როცა სხვები სახელმწიფო სამსახურში მყოფნი ერიდებოდნენ ჩვენებურს საქმეებს, ნ. ცხვედაძემ სკოლაში მოქმედების დროსაც, კერძოდ, თუ საზოგადოთ არც ქართულ საქმეებს აკლებდა თავის შრომას და 1870 წლების შემდეგ ქართველთ შორის არ გაკეთებულა, ან არ მოწყობილა და დაარსებულა რამე საზოგადო და თუნდ კერძოდ ქართველთა რამე საქმე, რომ იქ ნიკოს მონაწილეობა არ მიეღო, მხურვალედ არ ემუშაკნა.

ამის მოქმედებას შეესწრო თითქმის ქართველთ ყველა იმ დაწესებულებათა— დაარსების შრომა და ვითარება, რომელთა არსებობითაც — დღეს სუნთქავს ქართველი ერი და მით ვითარდება მისი ორგანიზმი. ასეთ საქმეთა დაარსება და მოწყობა ითხოვდა ერთგულ თავ-დადებულ მოღვაწეთა განათლებულ ცდას და შრომას. აგერ ჩვენც ვხედავთ სწორედ ასეთ თავ-დადებულ და მშრომელ მოღვაწედ ნიკოლოზ ზებედის ძეს, რომლის საზოგადოებრივი შრომის ვითარებას, ანუ ღვაწლს ერთობ კარგი, სიმპატიური ისტორია აქვს. იგი ღირსია უფრო ფართოდ დაწვრილებით აღწერისა.

იგი თავის შეძლების და გვარად ქართველთ ყველა საზოგადო საქმეში იღებდა მონაწილეობას. როგორც დღეს, მაშინაც, ანუ 1870 წლებიდამ, ქართველთ შორის დიდს საჭიროებას შეადგენდა როგორც საქმით მომქმედთ პირთ ცდა და შრომა, ისევე კალმით და სიტყვითაც ბრძოლა, ჩვენ ვხედავთ, რომ თუმცა ნიკოლოზ ცხვედაძე უმთავრესად საქმის კეთებას და სიტყვიერად ლაპარაკს უფრო მისდევდა, ვინაიდგან ეს უფრო პირველ საჭიროებას შეადგენდა, ვიდრე მწერლობა და სხვა მოღვაწეობა, რადგანაც მან კარგად იცოდა, რომ „ენის ძალით მაბრძოლარი საქმით ცოტას გაიმარჯვებსო“, მაგრამ მაინც ნიკოლოზ ზებედის ძეს არც ამ გარემოებისთვის დაუკლია თავისი ცდა და ენერგიული შრომა

იგი ჯერეთ რუსეთიდამ სწერდა ქართულს გაზეთებში სხვა და სხვა წერილებს მაგალითებრ აღწერა: „ტიმოთეს მონასტერი“ და „ანდრია რუსი“ მღვ. მიხეილ გურგენიძის ნეკროლოგი, პეტერბურგის ქართველ სტუდენტების აღწერა და მრავალნი სხვანი. მერე, საქართველოში, 1877 წ. ახლად დაარსებულ ქართულს თვიურს ჟურნ. „მნათობში“ მოათავსა ისტორიული წერილი:—„მისვლა-მოსვლა საქართველოსი რუსთა შორის“, ისტორიული წერილი, რაც ცხადათ უჩვენებს იმ გარემოებას, თუ როდის დამკიდრდა ამ ორ ერთ შორის მისვლა-მოსვლა და წერილების წერა. იმავ დროს, ანუ 1873 წ. ჟურ. „კრებულის“ ნომრებში დაბეჭდა წერილები:—„მეთექვსმეტე საუკუნე, ანუ ევროპის ერის გონებითი განვითარება“, სადაც ანუსხულია ევროპის ერ-

თა რეფორმაციები და მათი მიზეზები. ამის შემდგ, 1877 და 1878 წლებს, გაზეთ „ივერია“-ში იბეჭდებოდა მისი კორესპონდეციები ევროპის ქალაქებიდამ და მასთანვე ამავე გაზეთში დაიბეჭდა მისივე შესანიშნავი წერილი:—„ჩვენი ხალხის განათლება“ რაც მერე ცალკე წიგნადაც იქმნა გამოცემული. ქართულ წერილებს გარდა აქვს რუსული წერილებიც, მაგალითებრ როგორც „записка“ 1892 წ. გამოცემული ცალკე წიგნად, სამოქალაქო და სამეურნეო სკოლების სასწავლებელთა შესახებ. და სხვაც მრავალნი.

ყველა ეს წერილები ცხადათ მოწმობს დამწერლის სამწერლო შნოსა და ჰუნარს, ნიკოლოზ ცხვედაძეს რომ მოენდომნა, იგი ყოველთვის იმწერლებდა და იმოღვაწებდა სამწერლო ასპარეზზედ, მაგრამ მისდა უნებლიეთ, თუ სხვა რამ პირობების წყალობით იგი ამ ხვედრს გასცილდა და დაიწყო საქმით და სიტყვით მოღვაწეობა, მისი ამაგი და შრომაც არ არის ნაკლები სამწერლო მოღვაწეობასა და შრომაზედ. ვიტყვით, რომ მარტო წერით არა გამოვარა, წერის კვალად საქმესაც უნდა გაკეთება და სწორედ ასეც მოღვაწეობდა ნიკოლოზ ცხვედაძე და მით ჩვენც გვაძლევდა კარგს სამოქმედო გეგმას, წესდებას და სხვათა. იგი ასეთის მოღვაწეობით დაბერდა ქართველ ერის სამუშაკო ასპარეზზედ და ამავ დროს, იგი არც ქართული მწიგნობრობის კავშირს ასცილებია, იგი ყოველთვის ახლოს იდგა ქართულ მწერლობასა და ქართველ მწერლებთან.

ამასვე დიდი ღვაწლი მიუძღვის „წერაკითხვის საზოგადოების“ დაარსების მუშაობასა და წესების შედგენაში. დაარსების შემდეგიდამაც მას მოღვაწეობა არ-მოუკლია ამ საზოგადოებისათვის. 1884 წ. მან წარუდგინა ვრცელი მოხსენება ქართველ თავად-აზნაურობის კრებას მთავრობის წარსადგენად ქართველ მოსწავლეთა შესახებ. აქ სწერდა, რომ საქართველოს სასწავლებლებში ყველა საგნები უნდა ქართულის ენით ისწავლებოდეს და რუსული ენა კი უნდა იყოს როგორც შესასწავლი საგანი, ეს მოხსენება თავად-აზნაურთ კრებაზედ საჯაროდ იქმნა წაკითხული და მასთან ერთბაშათაც მოწონებული. ამისავე გეგმით არის დაარსებული ქართველთ თავად-აზნაურთაგან გახსნილი აწინდელი გემნაზია, ამ გემნაზიის დასრულების შემდეგ მიწერ-მოწერაც მთლად ამას ეკუთვნის. უნდა ითქვას, რომ ამავე ნიკოლოზ ცხვედაძეს ეკუთვნის ბევრი კიდევ სხვა და სხვა საზოგადო საქმეთა წესდებების შედგენა, შემუშავება, მოღვაწეობა და სხვა ასეთი შრომანი.

იგი, როგორც კარგად მომზადებული მოქალაქე, 1889 წ. თფილისის ხმოსნათაც იქმნა არჩეული. 1892 წ. ხმოსნობას თავი დაანება და სხვა ქართველებთან ერთად გამგეობიდამ გავიდა, ვინაიდგან მაშინ ქართველები სომხის ვაჭრებმა დაამხეს, აბუჩად აიღეს და კარში გამორეკეს. 4 წლის განმავლობაში აქაც კაი სამსახური მიუძღვის მას და იგი ყოველთვის სინდისერად იცავდა თფილისის მკვდართა ინტერესებს განურჩევლად ეროვნებისა.

უმთავრესად კი ამის საგვირგვინოსნო შრომას შეადგენს აწინდელი ქართულ გემნაზიის შენობა, რომელიც მთელ ტფილისს ამაყად დაჰყურებს და რაც ცხადად ჰყოფს დაუფასებელს ამაგს ამ საპატიო პირისას.

ზ. ჭ.

მკვდრის დამარხვა საინგილოში

მკვდრის დასაფლავებაზედ საინგილოში ბევრი ისეთი ჩვეულებანი და ადათები იციან, რომელთაც დანარჩენს საქართველოში ვერა ვხედავთ, ამიტომ ჩვენ გვინდა გაგაცნოთ მკითხველებს ყოველივე ის წვრილმანი, რითაც კი აქაური ჩვეულებანი განირჩევიან დანარჩენ საქართველოს ჩვეულებათაგან.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ადამიანს, თუ მძიმე ავადმყოფია ან სულთ მობრძავი, თავიდგან-არავინა შორდება,—და თუ მძიმე ავადმყოფი მოხუცია, შვილები ფარვანასავით თავს ევლებიან და სცდილობენ ყოველივე უკანასკნელი სიტყვა და დარიგება მშობლებისა გაიგონონ და დაიხსომონ.

თუ ადამიანი სულთ მობრძავი შეიქნა, მაშინ სახლიდამ, რაც კი წყლითა ან ღვინით სავსე ჭურჭელი აქვთ, გარეთ უნდა გაიტანონ. ამას იმიტომ შვრებიან, რომ როცა სულთა-მხუთავი კაცსა ჰკლავსო, სისხლი გამოდისო და ეს სისხლი ჭურჭელში რომ ჩავიდეს ცუდიაო. ამასვე სჩადიან მახლობელი შეზობლები, თუ გაიგეს რომ ავადმყოფი სულთმობრძავი შეიქნა. გარდა ამისა თუ სახლში დაკეტილი რაშე აქვსთ—კიდობანი ან სკივრი, ყველაფერი უნდა გაადონ, რომ ადამიანის სული არსად დარჩესო.

მოკვდება თუ არა ადამიანი, მაშინვე თავლებს უხუჭავენ, ხელებს გულზედ დაუკრეფავენ და ფეხებს ესწორებენ. თავით კიდევ ერთ კუჭელა (დოქი) ღვინოსა და ერთ ჯამ სორბალს დაუდგმენ. ხორბალისაგან შემდეგში სულიშურში კორკოტს აკეთებენ და ხალხს აჭმევენ, ღვინოს კიდევ ვინც სულის ამოსვლაში დაესწრო, ისინი დალევენ დამარხვის დღეს და შენდობას შეუთვლიან.

მკვდრის დამარხვა საინგილოში იმავე დღეს იციან და ზოგჯერ ჯერ ისევ თბილ-თბილ მიცვალებულს მიაბარებენ ხოლმე დედამიწას. ამას იმიტომ შვრებიან, რომ ინგილოთა შეხედულობითა საჭიროა, რომ სული და გვამი ადამიანისა ერთსა და იმავე დროს წარსდგნეს უფლის წინაშეო და თუ გვამმა დაიგვიანა ძალიან ცუდი არისო. ეს ჩვეულება მტკიცედ ყოფილა დაცული ძველად, მაგრამ ეხლა ქრისტიანებში თან და თან გამოვიდა ჩვეულებიდგან და მხოლოდ მუსულმან ინგილოებში დარჩა.

თუ მიცვალებული მეორე დღემდის დარჩა სახლში დაუმარხავი, მაშინ ღამით სარკეს დაადებენ პირზედ მიცვალებულს და ზედ სანერს პირქვე გადაფარებენ, ირგვლივ კიდევ საბელს შემოავლებენ. ამას იმიტომ შვრებიან, რომ კატმა ან ქათამმა არ გადაურაოს მიცვალებულსო. თუ ვინიცობაა ქათამმა გადაუარა, მაშინვე დაჰკლავენ, თორემ სხვა ვინმეც მოჰკვდება ოჯახშიო. თუ კატამ გადაუარა ან დაფხაჭნა მიცვალებული, კატას ან მოჰკლავენ, ან წაიკვანებენ და შვიდ სოფელს იქით გაუშვებენ.

ვიდრე მკვდარს კუბოში ჩააწვენენ მახლობელნი მიცვალებულს ქალები ქალს და კაცები კიდევ კაცს გაჭბანენ. მკვდარს იმიტომ ჭბანენ, რომ საჭიროა მიცვალებული სუფთა წარსდგეს უფლის წინაშეო. მიცვალებულს ჯერ თბილის წყლითა და საპნით გაჭბანენ, ბოლოს კი ცივს წყალს გადაავლებენ, რომ სხეული გამაგრდეს. წყლის გასათბობლად ერთის ხელით ზედადგარს დასდგამენ, ხოლო მეორე ხელით ცარიელს ქვაბს შესდგამენ და მერე ისე ჩასხამენ გასათბობელათ წყალს. მიცვალებულის გასაბანათ სახლში ერთ კუთხეში ორმოს ამოთხრიან (ინგილოებს ყველას

სახლებში მიწის იატაკი აქვთ) ზედ ფიცრებს დაალაგებენ, გადაათვარებენ ჯეჯიმს და ზედ მიცვალებულს დასვენებენ გასაბანავად. როცა ბანავს გაათავებენ კოტოშს, რომლითაც მიცვალებულსა ჭბანდნენ, დაინტვრევენ, იმ ამოთხრილს ორმოში ჩაატანენ განარეცხს წყალთან ერთად. ზოგს სოფლებში კიდევ კოტოშს წყლის პირად დასდებენ, რომ გამვლელ-გამომვლელი წყალს დალევს კოტოშით და მადლიაო.

გაბანილს და გასუფთავებულს მიცვალებულს რაც რამ სუფთა ტანისამოსი აქვს სულ ზედ ჩაცმევენ, სამს, ოთხს და ზოგჯერ მეტს ხელსაც ჩაცმევენ ხოლმე თუ კი ჩაეცმეჯ ტანზედ. ძველსა და ჭუჭყიანს ტანისამოსს კი კუბოს ძირს გაუგებენ და ისე დასდებენ ზედ ცხედარს. სახლში იტოვებენ მხოლოდ ერთს ხელს ტანისამოსს სატირლად. ამ გვარად გაბანილს და ჩაცმულს მიცვალებულს ოთახის შუაგულში ჯეჯიმს გაუშლიან და ზედ დასვენებენ. მიცვალებულს ერთ ხელში ფულს მისცემენ დაწყებული აბაზიდამ მანეთამდის და მეტსაც შეძლებისა და გვარად. საქიოში იქნება დაჭირდეს, ფულის მიცემა იყვეს სადმე საჭირო, ან მოვალე გამოუჩნდეს ვინმეო და გადუხდის ვალსო. მეორე ხელში კი სამს სანთელს აძლევენ, ანთებენ და როცა მიიწვის სუდარათი გააქრობენ და ასე ნამწვარ ჩაატანევენ კუბოში. სანთელი ნიშანია იმისო, რომ მიცვალებული ქრისტიანია და სიქიოს ეგელამ იცნოს და მუსულმანებში არ აირიოსო. ძველს დროში საინგილოში სანთლის მაგივრად ეურებსა და ცხვირში მიცვალებულს საკმელს უკეთებდნენ. შემდეგ მიცვალებულს პირისახეზედ მუშამბას დაადებენ. მუშამბა გასამთლილი ტილოა და შემდეგ ნაირად ამზადებენ: ცვილს (სანთელს) ადნობენ, შიგ ტილოს ამოავლებენ და მერე პირისახეზედ გადაკრავენ. ინგილოთა შეხედულობით ამ გვარად ადამიანის სახე უფრო დიდხანს შეინახება, არ დაჭკარგავს თავისს ელფერს და მადლიაო. ძველად კიდევ ქალებს მთელს იმრათს (ვერცხლის სამკაულს) ატანდნენ ხოლმე სთავში, მაგრამ ეხლა ეს ჩვეულება სრულიად გადავარდა.

მიცვალებულს, ჩვეულებრივ, თეთრს სუდარაში ახვევენ. გახვევის დროს სუდარს ორი თითის სიგანეს გახვევენ ხოლმე და კერიაზე ჩამოჭკიდებენ. ორმოცის დღის შემდეგ ამ ნახევს ჩამოჭგლეჯავენ და ცეცხლში დასწვავენ ან მდინარე წყალში ჩააგდებენ.

გაიგებენ თუ არა სოფელში ნათესავები და ნაცნობები გარდაცვალების ამბავს, მაშინვე დაგროვდებიან და მივლენ შისატირებლად. წყება-წყებათ მიდიან კაცები და ქალები, შუდიან პირდაპირ იმ ოთახში, სადაც მიცვალებული ასვენია და მოთქმით ტირილს დაიწყებენ. ერთი რომელიმე უფროსი ოჯახში მოსთქვამს, ჩამოსთვლის ეოველივე დირსებასა და სიკეთეს მიცვალებულისას, სხვები კი ქვითინებენ, ბანს აძლევენ და ხანდიხან გულში შუშტს ირტყამენ. ამ დღეს კაცებიც სტირიან, სხვა დროს კი ტაბლებსა და სულპურში მტირალს კაცს ვერ დაინახავთ. საეურადღებოა ის გარემოებაც, რომ თუ მიცვალებულს პაპა ან დიდედა ცოცხალი ჰყავს, მაშინ მამა ვერ იტირებს შვილს, რაც გინდა ძალიან ეტირებოდეს, რადგანაც ძალიან სირცხვილად ითვლება ისეთი კაცის ტირილი.

ეოველ ტირილის შემდეგ ჩამოატარებენ ხოლმე წყლით სავსე ჯამს, რომელშიაც ეველანი სათითაოდ ჩაჭეოფენ თითებს და თვალებს მოიწმენდავენ. შემდეგ ამ წყალს დასხმენ ხოლმე იმ ადგილს, სადაც მკვდრის ნაბანი ჩასხეს.

კუბოთი საინგილოში მარტო ქრისტიანებს მარხავენ, მუსულმანები კი კუბოს მაგივრად საკაცებსა ხმარობენ, რომელთაც კიბის მზგავსად აკეთებენ. მიცვალებულს სუდარას კარგად გადაუჭერენ, გაჭკერენ, დასდებენ საკაცეზედ

და ზედ აბრეშუმის ხვეულებით მიაბამენ. ამ-
გვარი აბრეშუმის ხვეულები ეოველს ოჯახში
მოიძებნება საინგილოში, რადგანაც საინგი-
ლოში მეაბრეშუმობა საშინლად არის გავრცე-
ლებული და ეველას შინა აქვს აბრეშუმი.
მკვდარს ზევიდამ ეფარებენ წასახურს, სამ-
ოთხს არშინს ჩითს, არ თუ მდიდარია აბრე-
შუმის ქსოვილს. ზოგან აქ წასახურავის შე-
წირვაც იციან, შეძლებული ვინმე ნათესავი
უეიდის მიცვალებულს და მიუტანს.

როცა დანიშნულს დროს მღვდლები ქრის-
ტიანებში და მოლები მუსულმანებში ანდერ-
ძის აგებას დაიწყებენ, მაშინ ერთი ბერის
მცხობელთაგანი შევა იმ ოთახში, სადაც მი-
ცვალებულია, თან შეიტანს სატერსა და სამს
ბურსა, დაადებს სატერს მიცვალებულსა გულ-
ზედ, ზედ გადასტენს სამ-სამ ნატეხად თი-
თო ბურს და უკანვე გაიტანს. ამ ბურს, როცა
სუფრაზედ დასხდება ხალხი, ეველას ჩამოუ-
რიგებენ.

გაათავა მღვდელმა ანდერძი და კუბო ას-
წიეს. ამ დროს კარები იხურება, კუბოს სამ-
ჯერ მიარაკუნებენ კარებს და გაადებენ. ეზო-
ში ხელახლივ დაიწყება ტირილი, უმეტესი
ოჯახისა კიდევ მოსთქვამს და ჩამოსთვლის
მიცვალებულის ღირსებას დიდის ხმით. ქა-
ლები აქ საბოლოოდ ემშვიდობებიან მიცვალე-
ბულს, რადგანაც სასაფლაოზედის გაეოლა ქა-
ლებმა არ იციან და დარბაზის კარებიდგანვე
ბრუნდებიან ხოლმე უკან.

მკვდარს რომ ტოტს გაციდებენ კარმიდა-
მოს, მაშინ ერთი ახალგაზდა ვინმე აიღებს
ქვას, შეიტანს სახლში, იმ ადგილს დასდებს,
სადაც მკვდარი ესვენა, მერე ისევ ჩქარა წა-
მოავლებს ხელს, გაიტანს გარეგ, ბირუკუღმა
დადგება, ზურგთ უკან გადაგდებს ქვას და
იტეგის:

— „წაა, ბოინ ამაშინს უკან დაგოსხენ“.

სახლში შემობრუნებული ქალები ხელებს
დაიბანენ და ბურის საჭმელად მოეშზადებიან.
ქალებს ხელებს აბანინებს ვინმე კაცთაგანი,
რომელსაც დიდი სბილენძის თუნგი უჭირავს
ხელში და თანაბრად და განუწყვეტლივ ეს-
ხამს წყალს ეველას. ამასთანავე უნდა შეენი-
შნოთ, რომ თუ ეზოში ისეთი ხე სდგას,
რომ არ ისხამს, მაშინ ამ ხის ძირში აბანი-
ნებენ ხელებს ქალებს. ხელების დაბანვის
შემდეგ ქალები სუფრას შემოუსხდებიან და
ჭამა-სმას შეუდგებიან. ამ დროს ქალებს ჩა-
მოურიგებენ ოროლ სამ-სამ აგება ფერად (წი-
თელს, ეფვითელს, მწვანეს და სხ.) აბრეშუმის
ძაფს. ეს ძაფები ოჯახშივე არის დამზადებუ-
ლი ქალებისგანვე და გარდაცვალებულის სახ-
სოვრათა და სამადლოთ ურიგებენ ქალებს ამ
ძაფებს.

ვიდრე ქალები ჭამა-სმაში არიან, ამ დროს
მიცვალებულს უკვე დასასაფლავებენ. ისეთი
თავდარიგი აქვთ დაჭერილი სასაფლაოზედ,
რომ ერთის გვარისანი, ანუ როგორც აქ ეძა-
ხიან თოჩუმისანი ერთ წუებად საფლავდებიან.
სამარეს თავში და ბოლოში გრძელს ბრტეელს
ქვებს ჩაუდებენ, შენდობას მიაძახებენ და სახლ-
ში ბრუნდებიან. მღვდელი წასახურავს იღებს
თავის სასარგებლოდ, მოლა კიდევ იმ აბრე-
შუმის შულებს, რომლითაც ცხედარი მიმაგ-
რებულია საკაცეზედ.

ვიდრე სახლში დაბრუნდებოდნენ კაცები,
იმ დროსთვის სუფრა უკვე მზად არის. ქა-
ლებს გაუთავებიათ ჭამა-სმა და სახლებში
წასულ-წამოსულან. დაბრუნებულნი დამზად-
ებულს სუფრას მოუსხდებიან, ღვინოს ტოტას
ბურზედ თავს წამოუქცევენ, შენდობას ეტეგი-
ან, ფლავსა და ხორაგეულობას შესჭამენ და
დაიშლებიან.

თუ მიცვალებულის ოჯახში ვისთვისმე და-
ნიშნული ჰყავთ სადმე ქალიშვილი, მაშინ და-
ნიშნული უგზავნის მიცვალებულისთვის ერთ
წეილს წინდებს.

ბირველს სამს დღეს ეოველ დილით ოჯა-
ხის ერთ-ერთი წევრი მიდის გარდაცვალებუ-

ლის საფლავზედ, ასწორებს მას და წყალს ასხამს. წყალსვე ასხამენ ხოლმე საფლავს თუ ქვრივი ქალი ან კაცი შეუღლდა ხელახლავ, მაშინ გარდაცვალებულს წყალი უნდა დასცხეს.

ცისკრის ტირილა. დამარხვის მეორე დღეს შინაურები და მეზობლები დილით ადრე მზე ამოვიდოდეს ხელახლივ იტირებენ მიცვალებულს. წყლით სავსე ჯამს სანთელს მიაკრავენ და იქ სდგამენ, სადაც მკვდარს სული ამოუვიდა. შემდეგ საკმელს ჩაჭერიან ნაკვერცხლით სავსე ქაფქირში და გამოატირებენ ხელ-ახლივ მკვდარს. გარდა ამისა ვიდრე ორმოცი გავიდოდეს (ორმოცი აქ ხუთი კვირა ითვლება) ყოველ დღე ასე უნთებენ სანთელსა და უკმევენ საკმეველსა. ამ-თანავე ყოველდღე კერძს მიუტანენ ჯამითა და დაუდგაძენ.

ტაბლობა, გარდაცვალების მესამე დღეს ტაბლობა იციან, რომელსაც განსაკუთრებით მარტო ქალები ესწრებიან. ამ დღისთვის ამზადებენ ყოველივე საჭმელს, გარდ ხორცეულისა, რადგანაც ინგილოების შეხედულობით ხორცეული ამ დღეს არ ერგება მიცვალებულს. სამგლოვიაროთ მოდიან განსაკუთრებით დედა-კაცები და მოაქვთ შესაწევნად ფლავი, კვერცხები, ღვინო, ხიდი და სხ. როცა ყველანი შეიკრიბებიან, ჩამოიღებენ მიცვალებულის ტანისამოსს, გაშლიან იმ ადგილს, სადაც მკვდარს სული ამოუვიდა და ტირილს დაიწყებენ. ტირილის შემდეგ ტანისამოსს ჭკეცავენ და ინახავენ, ხოლო მის ადგილას აწყობენ ხორაგეულობას: პურს ვარცლით, ფლავს ქვაბით, კვერცხებს, ხიდს, ღვინოს და სხ. აქვე ადგებენ მოსულთაგან მოტანილს ხორაგეულობას და ღვინოს. ქალები შემოუმწკრივდებიან ხორაგეულობას, ამ დროს მისტემენ ოჯახის უფროს ქალს ნაკვერცხლით სავსე ქაფქირსა და საკმელს. უფროსი ქალი საკმელს აიღებს, ჩადებს ორს კაბილს ქაფქირში და იტყვის:—ღმერთმან აცხონოს, ჯანნათში (სამოთხეში) შეიყვანოს. შემდეგ დანარჩენი დედაკაცებიც რიგ-რიგით მოვლენ, ისინიც ჩაჭერიან საკმეველს და იმავე სიტყვებს ეტიმეორებენ. როცა საკმელი წვას დაიწყებს, მაშინ სამჯერ შემოავლებენ კმეკვით ხორაგეულობას ორი დედაკაცი. კმეკვა იწყება აღმოსავლეთის მხრის ქვეშო კუთხიდამ მარცხნიდამ მარჯვნივ. შემდეგ მეორე დედა-კაცს გადასცემს და ისიც კმეკვით ისევ აქეთ გადმოსცემს. კმეკვის კათაკვების შემდეგ საკმელს არ აქრობენ, არამედ იქა სდებენ, სადაც მიცვალებული ესვენა და ვიდრე მთლად არ დაიწვება საკმელი, საჭმელს ხელს არავინ ახლებს. საკმლის გაქრობისთანავე სუფრას შლიან და სტუმრის თავზედ სამს პურს ჩამოჭერიან. სტუმრებმა კარგად უნდა სჭამონ და სვან და რასაც ჯერ შესჭამენ უნდა ჩაიწყონ თან მოტანილს პატარა ხურჯინებში და სახლში წაიღონ. ეგრეთვე თან უნდა წაიღონ სახლის პატრონის დვინით სავსე კუჭულები. ესეთივე ტაბლობა იმართება გარდაცვალების ყოველ სწორზედ ვიდრე ორმოცი შესრულდება.

ყველაზედ უფრო საყურადღებო ამ ტაბლობაში ქაფქირით კმეკვა-კურთხევა სუფრისა. ლაპარაკი არ უნდა, რომ ეს ჩვეულება იმ დროს შემოსულა, როცა საინგილოში მუსულმანებმა ძალდატანებით მღვდელი გააძევეს და ხალხს გარეგნულად ქრისტიანობაზედ ხელი აიღებინეს. სწორედ ამ დროში უნდა შემოსულიყო ქალებისაკენ სუფრის კურთხევა და ქაფქირიც იმაჟე სატეცხლურსა ნიშნავს, რომლითაც მღვდელი უკმევს ხოლმე მიცვალებულს.

სულპური. სულის პური ანუ სულის ახსნა მიცვალებულისა ერთ განსაზღვრულს დროს არ იციან, მაგრამ უფრო კი მეორმოცე დღეს ხდიდობენ ხოლმე. ამ დღისათვის წინ და წინ ამიწვევენ ყველა ნათესავებ-

სა და ნაცნობებსა მთელის ჯალაბობით. დიდი მზადება და ხარჯი იციან ამ დღეს, აცხობენ ბურს, ლავაშს, ჭელავენ საკლავს. საკლავი სამი უნდა დაკლან ან სამივე ცხვარი, ან არადა ორი ცხვარი და ერთი დეკეული. ლარიბები კიდევ ერთს ცხვარსა და ორს ქათამსა ჭკლავენ. ცხვარს დაკვლის წინ მარილს შეაჭმევენ, ქათმებს კიდევ ქოჩორს შეუტრუსავენ.

ამ დღეშდის, ვინც ბლოვიარეთ არიან, წვერ და თმას არ იკრეჭ-იბარსვენ. გარდა თმა-წვერის დაუენებისა სხვაფრივ მიცვალებულის გლოვა აქ არ იციან. ქალები იმის მაგიერ, რომ შავს ტანისამოსში გამოეწყონ, ბირიქით რაც რამ ახალი და ჭრელ-ჭრელი ტანისამოსი აქვთ ეხლა უნდა ჩაიცვან და ისე იარონ. ამ დღისთვის დაბარებული ჭეავთ დალაქი და ყველა მგლოვიარეს თმასა და წვერსა ჭბარსავს და ჭბარსავს. დალაქს გასამრჯელოდ აძლევენ ერთს აბაზს, ერთს ხელსახოცს ან ჩითის სუფრას, ერთ საინ ფლავსა და ლავაშებსა.

ვიდრე კაცები თმა-წვერის ბარსვაში არიან, ქალები შინაურები და ნათესავები 10—20 მიდიან გარდაცვალებულის საფლავზედ და თან მიაქვთ საჭმელ-სასმელი და ტანისამოსი მიცვალებულისა, თან მისდევთ ერთი ან ორი კაცი, რომელთაც თან მიაქვთ საჭმელ-სასმელი. მისვლისათანავე მიცვალებულის ტანისამოსს შლიან საფლავზედ, დაალაგებენ საჭმელ-სასმელს, აუნთებენ სანთელს და უგმევენ. შემდეგ ტირილს დაიწყებენ დიდხანსა სტირიან და მოსთქვამენ გარდაცვალებულის წარსულის ავ-კარგსა. როცა ტირილით გულს იჯერებენ, დასხდებიან და ჭამა-სმას შეუდგებიან. რაც რამე დარჩებათ შეუჭმელი იმას სახლში ვდარ წაშოიღებენ ქვრივ-ოხერს უწყალობენ. ტანისამოსს კი ბაჭკეცავენ, უკანვე წამოიღებენ და იმას აჩუქებენ, ვინც მიცვალებული გაჭბანა. ქალების დაბრუნებისას უკვე ყველაფერი მზად არის და სუფრა გაშლილია. აქაც ჩაუყრიან მიცვალებულს სამთელ-საკმელს და მერე დასხდებიან სუფრაზედ. სტუმრებს ამ დღეს წვნიანსა, მოხრაკულსა, ფლავსა და ხილეულობას მიართმევენ, ქალებს, გარდა ამისა, კორკოტითაც გაუმასპინძლდებიან. წასვლისას ყველას თან მიაქვს ერთი-ორი ლავაში, კუჭულა ღვინო და სხ.

ხალხი რომ დაიშლება, წავა-წამოვა, მაშინ მიცვალებულისათვის საგანგებოდ გამოცხობილს ბატარა ბურს ლობეზედ შესდებენ და იტყვიან: — „შენ წილ მიგიღი, წაა, შენ წილ რამ აქ ადარაა“. ამ ბურს ლობეზედ შესდებენ და თუ მათხოვარი გამოიკლის, იმას უწყალობებენ.

სულბური სამჯერ იციან — ერთი ჩვეულებრივ მეორმოცე დღეს, მეორე წლის თავზედ და მესამე ორი წლის თავზედ. გარდა ამისა ვინც მდიდარია და შეძლებული ყოველ წლივ იწვევს ხოლმე ნათესავებს და იხდის სულბურს.

ზ. ედილი.

ურიული მოქმითი ტირილი საქართველოში *)

ახა ნარინჯო, ნარინჯო
შენ ბროწეულო, იაო,
პირი ზურგისკენ გიქნია
კისერი მოგგრეხიაო!..

აღარა ჰყვავი ვარდივით,
რა ფერი დაგდებიაო?
დაგიკრეფია ხელები,
თვალები დაგხუჭვიაო;
მოგელის ბნელი სამარე,
საფლავის კარი ღიაო.
საიდან მოხვალ? სად მიხვალ?
ჯერეც ვერ გაგვიგიაო!
ახა ნარინჯო, ნარინჯო
შე ბროწეულო იაო!..
მიდიხარ. თუ არ დაგიხვდეს
სამოთხის კარი ღიაო.

დაქრთამე, ფული მიეცი,
თანვე რომ წაგიღიაო
და თუ არ გასჭრას, მაშინ კი
ეს ცული აგიღიაო,
ორივე ერთად კუბოში
შენთვის რომ ჩაგვიწყვიაო;
ერთამი ჯოჯოხეთს ანათებს,
ცულს ყველა შეუძლიაო!
ახა ნარინჯო, ნარინჯო,
შენ ბროწეულო იაო!

იქ ნახავ იერემიას,
გადაეც გულში ნადები:
ჯერ არ სრულდება არც ერთი
იმისი დანაქადები,

ველით და ველით მესიას,
გვიგვიანდება ვადები,
ორივე ხელით ჯერ ტკბილად
არ გვიჭამია ქადები!.
ნურას დაჰფარავ! მეორედ
ხომ აღარ დაიბადები?..

იქაურებსაც გადაეც,
რაც რომ აქ გაგიგიაო!
ახა ნარინჯო, ნარინჯო
შე ბროწეულო იაო!

შეხვდები მოსეს, აარონს
ილიას, ელისესაო—
უთხარი: არ ვსტეხთ „ძველ აღთქმას“
რაც რჯულმა დაგვიწესაო;
ვერც ვხედავთ ახალ რჯულებში
იმ ძველზე უკეთესსაო!

გადაგვამტერა ქვიყანა
იმან და დაგვაკვნესაო.
რაც ურიებმა დასთესეს
ქრისტიანებმა მკესაო
და დაგვრჩენია ნუგეშად
მხოლოდ ქურდული ქესაო.
უთხარი, ნურას დაფარავ,
რაც ტანჯვა მიგვიღიაო.
ახა ნარინჯო, ნარინჯო,
შე ბროწეულო იაო!

გაბნეული ვართ ყოველგან
სხვა და სხვა უცხო მხარესა,
ვერ ვხედავთ იერუსალემს,
იმის მზეს, მისსა მთვარესა,

ველარც ვჭვრეტთ სოლომონისა
დიდ ტაძარს მოელვარესა,
რჯული გვედება მალამოდ
გულ-დამწვარ სისხლ-მდუღარესა;
უცხო ვართ ყველა ხალხებთან,
ცრემლს ვაქცევთ მუდამ მწარესა!
შეჰვედრე: ტანჯვა გვაკმარონ,
მეტი არ შეგვიძლიაო.
ახა ნარინჯო, ნარინჯო
შე ბროწეულო იაო!

დაგიკრეფია ხელები,
თვალები დაგხუჭვიაო;
აქ დაგრჩენია, რაც გქონდა
თან ველარ წაგიღიაო.
ნაცვლად დაგხვდება იმ ქვეყნად
სამოთხის კარი ღიაო

და ათას კეცად ის ვარგა,
რაც აქ ვერ მიგიღიაო.
ჩვენ კი მაგ შენმა დაკარგვამ
გულები დაგვისიაო!
მშვიდობით, ახა ნარინჯო
შე ბროწეულო იაო!

აკაკი.

*) ებრაელები მკვდარს კისერს უგრეხენ ზურგისკენ და ნაჯახსა და ფულს თან ჩაატანებენ.

ძ ი ძ ა

(ძველი თქმულება)

ცხოვრობდა ერთ დროს სახელოვანი და მამაცი მეფე, რომელიც განაგებდა მრავალი ქალაქებითა და ნაყოფიერი მიწებით სავსე სამეფოს. ერთხელ გაილაშქრა მან შორეულ სამეფოზე და შინ დასტოვა დედოფალი ძუძუთა მემკვიდრით. გავიდა ხანი. მოიჭრა ბრძოლის ველიდან შიკრიკი, სისხლში მოსვრილ, გატეხილ ხმლითა და გულ-მტკივნეულად აუწყა დედოფალს ჯარის დამარცხებისა და მეფის სიკვდილის სამწუხარო ამბავი.

შესწუხდა დედოფალი. სტიროდა და გლოვობდა ძვირფას და მშვენიერ ქმრის დაკარგვას, მაგრამ უფრო გულს უკლავდა ჯავრი დაობლებული შვილისა, რომელიც რჩებოდა უმწეოდ მოსისხლე მტრების ხელში. ერთი ამ მტერთაგანი იყო ბიძა მისი, გარდაცვალებული მეფის ნახევარი ძმა, კაცი სასტიკი და შეუბრალებელი, უზნეო და ხარბი, რომელსაც მარტო უფლება, სიმდიდრე და სახელი სწყუროდა და ნივთიერ სარგებლობის მეტი არა სწამდა რა.

ცხოვრობდა ის მიუდგომელ კლდეზე აგებულ კოშკში, გარს ეხვია ბრბო თავის მიმდევრებისა, და უდარაჯებდა დავლას, როგორც ნადირი ბუნაგიდან... და აჰა, დავლაც გამოჩნდა. ეს იყო მეფის მემკვიდრე, რომელიც იწვა უშფოთველად კაკანაში და ტიტინებდა..

სასახლის ერთ ოთახში იდგა ორი აკვანი: ერთი—ძვირფასი, სპილოს ძვლისა, ფარჩის იარაღით მორთული და მეორე—უბრალოდ მოწნული კალათა. პირველში იწვა ოქროს ქოჩრიანი მემკვიდრე, მეორეში—პაწაწა გიშრის თმიანი მონა, ძიძის შვილი. ეს ლამაზი და ჯანით სავსე ახალგაზდა ქალი თავის შვილსაც ზდიდა და მომავალ მეფესაც ერთსა და იმავე დროს. ორივე ბავშვი ერთ ღამეს იყო დაბადებული, და როდესაც დედოფალი ძილად მისვლის დროს შებრძანდებოდა შვილის გამოსამშვიდობებლად, შვილის სიყვარულით ძიძის შვილსაც კოცნიდა. ძიძა ორივე ბავშვს ერთნაირად უვლიდა და ეფერებოდა, თუმცა სიყვარული სხვა და სხვა ჰქონდა: ის აღმერთებდა პაწია მემკვიდრეს, მაგრამ ამ გაღმერთებას თან სდევდა მუდმივი შიში, განუშორებელი ფიქრი იმაზე, თუ რა განსაცდელი მოელოდა მას ყოველ ჟამს ბოროტი ბიძისაგან; თრთოლვით იკრავდა მას შიშით მღელვარე გულში, რომელსაც მხოლოდ მაშინ იმშვიდებდა, როდესაც თავის შვილს არწევდა,—შვილი მას უყვარდა უშიშრად: აბა, ვინ რა ცუდს განიზრახავდა იმის უსახლ-კარო და უწილ-კერძო შვილიკოს წინააღმდეგ!.

ძიძა დაბადებული იყო მეფის სასახლეში და ისე აღმერთებდა ამ ოჯახს, რომ არავინ, დედოფლის გარდა, ისე არ სწუხდა მეფის სიკვდილს, როგორ ის; არავინ იმაზე გულწრფელად არ სტიროდა მის უდროოდ დაკარგვას.

ძიძა ეკუთვნოდა იმ სარწმუნოების ხალხს, რომელსაც სწამს სააქაო ცხოვრების გაგრძელება საიქიოს, და მოკლული მეფე წარმოდგენილი ჰყავდა, როგორც მფლობელი მრავალი ქალაქებისა და ნაყოფიერი მიწებისა ზეციურ სამე-

ფოში. იმისი საომარი რაში, იმისი ია რაღები, იმასთან დახოცილი მხლებლები—ახლა მეფესთან ეგულებოდა საიქიოს და როცა სხვა მისი ქვეშევრდომები დაიხოცნენ, ისინიც თავის ყოფილ მეფეს შეუერთდებოდნენ და ემსახურებოდნენ ისე ერთგულად, როგორც აქ, დედამიწაზე. თვითონაც ხომ მის წინ წარსდგებოდა როდისმე და ისეთისავე სიამოვნებით ემსახურებოდა, როგორც ამ ქვეყნად.

სასახლეში, სადაც მეფის მოადგილეთ დარჩა დედაკაცი, რომელსაც დარაჯობდნენ მხოლოდ დედაკაცები,—ყველანი თრთოდნენ: ბოროტი ბიძა თავისი ბრბოთი მთიდან ჩამოსულიყო; გადაელახა სოფლები, დაბები, მინდვრები, ბაღები და სადაც კი ფეხი დაედგათ ყველაფერი აეკლო და გაენადგურებინა...

ქალაქის ზღუდე გაამაგრეს, სადარაჯო კოშკებზე ჩირაღდნები გაუქრობლად ბდღვრიალებდენ, მაგრამ საიმედო მფარველი არავინ მოიპოვება,—ყველა ერთგული და მამაცი გმირები უბედურ ბრძოლის ველზე დახოცილიყვნენ. რა უნდა ექმნა საბრალო დედოფალს?! ის შესცქეროდა შვილს აკვანში და მწარედ ოხრავდა... მარტო ძიძას შერჩენოდა გული და მხნეობა; ის იხუტებდა გულში მემკვიდრეს, თითქო იფარავდა მას მძლავრ, მკერდ ქვეშ განსაცდელისაგან.

ერთ ბნელ ღამეს, როცა ძიძამ ჩააწვინა ბავშვები და თვითონაც საძილეთ ემზადებოდა, ბაღის კარებში რაღაც ხმაურობა შემოესმა. ის გაეხვია წამოსასხამში და ყური მიუგდო. ქვიშიან ბილიკზე ნაბიჯის ხმა მოისმა.... აი, შემოდგა კიდეც ვიღაცამ ფეხი სასახლეში და იატაკზე დაეცა... ძიძამ ფარდას გასწია და დერეფანში რამდენიმე შეიარაღებული კაცი დაინახა ანთებულის ფანრებით. ცხადი იყო, რომ სასახლისთვის ალყა შემოერტყათ და ბოროტი ბიძა ახლა ტახტის მემკვიდრეს ეძებდა, რომ სიცოცხლე მოესპო.

საჩქაროდ, მოუფიქრებლად ამოიყვანა ძიძამ მეფის შვილი აკვნიდან და ჩააწვინა თავის შვილის აკვანში, ხოლო თავისი შვილი ჩაკოცნა, ჩაკოცნა ხარბად, ჩაგდო ძვირფას აკვანში და ფარჩის საბანი დახურა.

ძლივს მოასწრო ეს, რომ კარებში გამოჩნდა წამოსასხამში გახვეული უზარმაზარი ტანის კაცი, რომელსაც უკან სხვები სანათით მოსდევდნენ. ნადირმა მიმოავლო თვალი ოთახს, მიირბინა მემკვიდრის აკვანთან, ამოგლიჯა ბავშვი, გაახვია წამოსასხამში და გაიქცა. ძიძა გასტერებული იდგა და თვალთ უბნელდებოდა.

ასტყდა სასახლეში ხრიანცელი, ჟრიამული, იარაღის ჩხარა-ჩხური.... თმა გაწეწილ და ტანთ ჩაუცმელი დედოფალი შემოვარდა საბავშვო ოთახში და განწირულების ხმით დაუწყო ძახილი შვილს. რა დაინახა ცარიელი აკვანი, ერთი საშინლად შეჰკივლა და დაემხო მის წინ.

მომაკვდავივით გაფითრებული და გასტერებული ძიძა მივიდა დედოფალთან და ხმა ამოუღებლად მიუთითა თავის შვილის აკვანზე. იქ მშვიდად ეძინა მეფის შვილს და პირზე უდარდელი ღიმილი უთამაშებდა.

გაისმა კვლავ ხმაურობა, მაგრამ ეს იყო გამარჯვების ხმა: ბოროტი მტერი სასახლის მცველებს მოეკლათ და ის იატაკზე გაშოთილი სისხლისგან იცლებოდა; მაგრამ, ოჰ, საშინელებავ! იქვე

ეგდო მოკლული ბავშვის გვამიც, წამოსასხამში გახვეული!

გაიგო რა გამარჯვების ხმა, დედოფალმა ბედნიერების ღიმილით აიყვანა ხელში და დაანახვა ყველას ცოცხალი შვილი, რომელიც ცნობის მოყვარეობით აბრიალებდა თვალებს და ძიძას ეტოტინებოდა.. ერთ ხანს გაოცებულმა ჯარის-კაცებმა უცებ დაიყვირეს: „ვინ იხსნა მემკვიდრე სიკვდილისაგან? ვინ!!

უხმოდ, უძრავად იდგა ძიძა, რომელმაც შესწირა მსხვერპლად ღვიძლი შვილი მემკვიდრის დასახსნელად..

დედოფალი გაექანა იმისკენ, მოეხვია სასოებით და მხურვალეთ კოცნა დაუწყო...

კარის კაცები მიესალმნენ მას აღტაცებულის ყიჟინით და მოითხოვეს, რომ განსაკუთრებული ჯილდო ებოძებინათ— მისთვის... დიახ, ღირსეული ჯილდო, მაგრამ რითი უნდა დაეჯილდოებინათ?

გადაწყვიტეს, შეეყვანათ ძიძა სამეფო სალაროში რომ თვითონვე აერჩია, რაც მოეწონებოდა. დედოფალმა სიხარულით მოჰკიდა ხელი ძიძას და წაიყვანა. გააღეს მძიმე კარები სალაროსი, ახადეს დახურული ფანჯრები. მოეფინა დარბაზს დილის კაშკაშა მზე და აანთო ცეცხლივით ოქრო-ვერცხლისა და ძვირფასი თვლების ზვინები, რომლებითაც სავსე იყო მთელი დარბაზი.

გაისმა აღტაცების ხმა დამსწრეთა შორის და ჩამოვარდა სიჩუმე... ამოდენა სიმდიდრის დანახვით თითქო მოხიბლული და თავზარდაცემული ძიძა იდგა უძრავად შუა დარბაზში და მიეპყრო მშრალი, შავი კუნაპეტივით თვალები სარკმელისაკენ, საიდანაც ანათებდა მოოქრული ცა.

— ის, იმისი შვილიკო, ახლა იქ იყო, იმ დილის უმანკო ზეცაში.

კარგა ხანს გაევლო, მზე მაღლა ამოსულიყო და ის, იმისი შვილიკო, კი მშიერი იყო!

ძიძამ გაიღიმა და გაიშვირა ხელები. ყველა ცქერათ გადაიქცა და სულ გაკმენდილი თვალს ადევნებდა ძიძის ხელის მოძრაობას.

— ნეტავ რას აირჩევსო? ჰფიქრობდნენ. ოქროებს მოხვეტავს!.. ალმასებსა და ლალებს აკრეფავს!.. ბრილიანტთა და ალმასებით მოჭედილ სამკაულებს აირჩევს!?

მაგრამ ძიძამ აირჩია სულ სხვა რამ: იარაღების საწყობიდან აიღო ერთი ხანჯალი, რომლის ზურმუხტებით მოჭედილი ტარი ერთ სოფლად ღირდა... დაიჭირა მაგრად ხელში ხანჯალი, აიხედა ზეცას, საიდანაც ანათებდა დილის მზის სხივები, დაასტერდა დედოფალს, გადახედა იქ დამსწრეებს და ღიმილით წამოიძახა:—

ჩემი მეფის ძე ცოცხალია!. ახლა მე წავალ რომ ჩემ შვილსაც მოვაწავო ძუძუ!. და... ხანჯალი ტარამდი გულში ჩაირჭო!...

თეო კანდელაკი.

საღამო

ობლად შთენილი,
მწარე ხვედრით გულ-დასაგრული,
ერთ წუნარ საღამოს
ზღვის ნაპირას მიმოვიდოდი;
ულვთოთ დევნილი,
უველასაგან უკუგდებული,
ლამაზ მიდამოს
საიმედო გულით შევსტრფოდი!

—

ტალღებს ვანდობდი
საიდუმლოს ჩემი გულისას,
მათ ბუტბუტ-დუდუნს
ვუერთებდი სულის მწარ კვნესას;
ტანჯვით ვუთხრობდი:
— ჰე, ტალღებო, ჩივილს ობლისას
ნუღარ დასდებთ წუნს,
რადგან გითხრობთ ნამდვილ გულის თქმას!

—

აღარ მედირსა
მე ამ სოფლად ბედნიერება,
სულით ობოლმა
ვერსად ვპოვე საკვნე წუნარი;
ულმობელ ჭირსა
ზედ დაერთო ავსულთ ქენება,
ესრეთ ამ გულმა
განიცადა უოფა საზარი!

* * *

მზისა სხივები
გულზე ფენით მეთხოვებოდენ,
ამბორის უოფით
სალამი მცეს უკანასკნელად;
ამაკი მთები
მათ ალერსით წამს მშვენდებოდენ...
სიბნელე თვისით
იბნეოდა მაშინ ძირს ველად!

—

მივმართე მზესა:
მედიდურო, დინჯად მავალო,
შენს კვლავ ამოსვლას
მოუთმენელ გულით მოველი,
მხოლოდ გთხოვ ერთსა:
— ნუ მოგაქვს თან რამ საკვალალო,
სჭირია ველს
სრული შვება, სრული ნათელი!

—

სამშობლო ჩემი,
ათას გვარად განაწამები,
ისევ მტერსა ჭეავს
ბასრ კლანჭებში გამომწყვდეული;
ნუგეშის მცემი
ექმენ შენ მას, კეშუდარები...
მშრომელს ნერა ავს
ნუ შეამთხვევ... იხსენ ბედ-კრული!

* * *

იგი საღამო
კვლავ ტანჯვით მომაგონდება,
რადგან ამაო
გამოდგა ის ხვეწნა-შუდარა:
აღარც საამო
მედირსა მე ბედნიერება
და გულ საწვაო
მომეფინა შავი სუდარა!

—

სამშობლო კვალად,
ვხედავ, სულს ლეკს ტანჯვით მიხდილი,
კვლავ გავიგონე
მაშვრალს კვნესა აღმოხდა მწარე!...
მე-კი დღეს ვალად
დამრჩენია მხოლოდ ტირილი...
აღარ მაქვს ღონე,
ობლად დავძრწი... ვერ გავიხარე!

ლადო გეგეჭკორი.

ი რ ე მ ი

(თარგმანი)

ზოოლოგიურ ბაღში წაყვანას ბავშვებს შემოდგომაზედვე დაჰპირდნენ, მაგრამ ვერ აუსრულეს, ჰპირდებოდნენ კი, შემდეგ სრულიად გადაავიწყდათ.

— გაზაფხულზე, როცა ამწვანდებაო,— ეუბნებოდათ გადია.

გოგიას ჯერ კი სწყინდა. მუდამ პურუტყვებზედ ფიქრობდა. სკამების გალიებს აკეთებდა და თვითონ ძვრებოდა შიგ, ან ბუთხუზა ბუბუს სვამდა. მერე ამასაც გადაავიწყდა. ზამთარი მეტად მხიარული იყო. ბუბუს წითელა სჭირდა. ახალი ექიმი დაიარებოდა. ბოლოს პატარა დაიბადა. მერე კიდევ ბუხარმა პირი ჰქმნა. ეს უკანასკნელი ყველაზედ საყურადღებო იყო და აი როგორ მოხდა: გოგია საბავშვო ოთახში ბუხაროან იდგა, მისჩერებოდა ბუხარსა და კედელშუა დატოვებულ ალაგს. უეცრივ რაღაც გამოვარდა, მრგვალი, პატარა, წვრილფეხა. მარჯვედ აირბინა კედელზედ, გაჰკურცხლა, თითქო საქმეზედ მიეშურებაო; შეჩერდა, თითქო გასაღები ან სხვა რამ დაავიწყდაო. სდგას. გოგია უყურებს, ის კი ფიქრობს.

მოვიდა გადია, გაიძრო ფეხიდგან ფლოსტი, დაარტყა მრგვალს:

— აი, შე წყეულო, შენა, ვინც შენ მოგკლავს, ორმოცი ცოდვა ეპატიება! გადიამ ბუხარსა და კედელს შუა თავი შეჰყო და მრავალი რამ ნახა. ასორსოლებული მტვრით სავსე იყო იქაურობა, შეჭვარტლული აბლა-ბუდები, კედელში შრიალით დაძვრებოდნენ რაღაც ღიპიანები და გრძელ ულვაშიანები. გოგიამ ნაზუქი დაუფშხვნა და ბუბუ მიიყვანა რომ გაეკვირვებინა. ბუბუს სამაგიეროდ შეეშინდა, დაიწყო ფშრუკუნი. გოგიასაც ფერი ეცვალა. ჩასჭიდა დას ხელი და მეორე ოთახისაკენ გაიქცა.

რაკი ბუხარმა ერთხელ პირი ჰქმნა, ჩასთვლემდა თუ არა გოგიას, იქიდგან ყველა უცნაური გამოძვრებოდა და ხოლმე. ძილი გოგიასათვის ტანჯვად გადაიქცა. ადრე აძინებდნენ ბავშვებს, რვა საათზედ. კედლისაკენ აქნევინებდნენ პირს და თვალებს ახუჭვინებდნენ. მაგრამ გოგია თვალებს არა ხუჭავდა.

გადია დიდხანს ალაგებდა ოთახს და თან ბუტბუტებდა, აგონდებოდა მთელი დღის ნაწყენი.

— უნდათ მომიდნონ! უნდათ! საყდარში ფეხს არ გასდგამენ, პირ-ჯვარს არ გადიწერენ... როგორ შეიძლება... ბუტბუტებდა, ბუტბუტებდა გადია, კედელზე კი ჩრდილი დარბოდა, დარბოდნენ ძაღლები, კურდღლები და მრავალი სხვა ღიპიან-ულვაშაები. ელოდნენ, როდის ჩაეძინებოდა გოგიას, რო შიგ საწოლში ჩასცვივნოდნენ.

შემდეგ ბაკალავრი გამოტყვრა. დიდებმა სადილზედ რამდენჯერმე გაიმეორეს ეს სიტყვა. ბუბუმ მამიდასა ჰკითხა, რასა ნიშნავსო.

მან უპასუხა:

— სწორედ დაჯექ და ნუ ლაპარაკობ. გოგიამ ალარ იკითხა. ღამე კი, ძილში შემდეგი მოხდა:

გოგია დიდ ოთახში შევიდა, სადაც სიზმარში ხშირად ყოფილა. იქ ვიღაც უცნაური იდგა, პირისახე ცხვრისა ჰქონდა, მიმზიდველი შეხედულე

ნით გამოიყურებოდა, ხელში გარღვეული ბალიში ეჭირა და ბუმბულს მუჭა-მუჭა იყრიდა პირში. ეს იყო ბაკალავრი.

მეორე დღეს, როდესაც მასწავლებელმა გოგიას გაამეორებინა: „ფუტკრები იკვებებიან თაფლით“, გოგიამ გაუბედავად დაუმატა: „ბაკალავრი კი ბუმბულით“.

მასწავლებელმა შეხედა გოგიას და ხმა არ გასცა. გოგიამ გაიფიქრა: „არას ამბობს, სჩანს მართალია“.

ამის შემდეგ ბაკალავრი ყოველ სიზმრის სტუმარი იყო. მოდიოდა გოგიასთან და ბუმბულს სთავაზობდა. გემრიელი საჭმელი იყო თუ მუჭა-მუჭა იყრიდი პირში, ჭამას ცოდნა უნდოდა.

საშობაოთ, როდესაც გოგია ავად გახდა, ბაკალავრი დღისითვე ჩაუძვრებოდა გოგიას საწოლში და ბალიშიდგან ბუმბულსა ჰპარავდა.

გოგია დიდხანს ავადმყოფობდა. ბუბას არ უშვებდნენ, არც არავის. მხოლოდ გადია იჯდა და ერთსა და იმავე ზღაპარს უამბობდა. მარტო ერთი იცოდა.

ზღაპარი გოგიას გულს უხეთქავდა. ბუხრის გვერდითაც ჩამი-ჩუმი არ ისმოდა.

ზღაპარს ისმენდნენ.

ერთი გოგო იყო, ოცი წელი არ იზრდებოდა, იწვა აკვანში. ერთხელ ღამე უყარაულეს. ადგა, ჭერამდე გაიზარდა, მიძებნ-მოძებნა რაც რამ შესაჭმელი იყო ქოხში, შეჭამა, დაალაგა ქოხი და ისევ აკვანში ჩაწვა. დედამ გოგო სალოცავად წაიყვანა. მიდიან ხიდზე, რაღაც ხმა შემოესმათ: „გოგო, გოგო, სად მიდიხარო?“—ეშმაკის ხმა იყო.

— სალოცავადაო! მიუგო გოგომ და წყალში ბლარტანი კი მოიღო.

ესე დაიღუპა.

გოგია თრთოდა.

— სალოცავადაო და შიგ წყალში კი ჩავარდა.

გათენებისას უზარ-მაზარი ჩრდილი დასრიალებდა კედელზედ; ეს ის გოგო ჰგვიდა ოთახს.

დრო გავიდა. გოგია სხვა ოთახებშიც გამოუშვეს.

— გამარჯობა, ბუბა!

მაგრამ დედამ შეაჩერა:

— ბუბას რად ეძახი? სონა ჰქვიან! შენ ეხლა პატარა აღარა ხარ, არ შეგშვენის.

გოგიამ დას შეხედა და გაჯიუტდა:

— თუ კი ბუბაა!

ავადმყოფობამ გოგია დაასუსტა. ბაკალავრიც დანაღვლიანდა. მოდიოდა კოჭლობით და შესჩიოდა გოგიას,—მშიანო. ბუხრის გვერდითაც ცვლილება მოხდა:

გადიამ რაღაც დაყარა, ტკბილი (ბუბამ გემოთი ნახა) და მეორე დღეს ბატის ფრთით მკვდარი ჭიები გამოგავა. ფაჩაფუჩი აღარ ისმოდა, სამაგიეროდ ვილაც მწარედ ქვითინებდა ხოლმე ბუხარში. გოგია თვალ დახუჭული უგდებდა ყურს.

დიდ მარხვაში ძლივს აუსრულეს დანაპირები—წაიყვანეს ზოოლოგიურ ბაღში. მწვანე ბალახი ჯერ არსად იყო.

გოგიას რაღაც აწუხებდა.

იმედი ჰქონდა გზა ამწვანებული იქნებოდა, მოგზაურობა მხიარული, სასაცილო.

ეტლით წავიდნენ. ბუბა დედას ეჯდა მუხლზე, გოგია გადიას. მიმავალმა ბიჭმა დაუძახა: შორს გადაყარე, არ აყროლდესო.

გოგიას მწვავედ ეწყინა.

— ამათაც ეწყინებოდათ,—იფიქრა გოგიამ:—მაგრამ არ ამჩნევენ.

მივიდნენ. დიდხან ყიდულობდნენ რა-ლაც ბილეთებს, ელაპარაკებოდნენ მწვანე ქამრიან კაცს, რომელმაც აქაურობისა ყველაფერი იცოდა.

ყველაზე უწინ ციყვი დაინახეს. ციყვი თხილს აცმაცუნებდა და განგებ ყურადღებას არ აქცევდა სტუმრებს.

გოგიამ გაიფიქრა, უზრდელობა სხვისა ციყვის ასე თვალიერება, და იქით წავიდა.

მოაჯრის იქით გაბანჯგნული ლურჯ სახიანი ადამიანი იდგა. სწრაფად ახამხამებდა თვალებს, წვრილი გრძელი ხელი სტუმრებისაკენ გამოეშვირა.

— ეს ადამიანის მსგავსი მაიმუნია,— უთხრათ დედამ შვილებს.

გოგიას გული აერია.

მოწნულიდგან სასუქის სუნი ეცა, იქ თავ ჩაქინდრული, კუზიანი ფურები იდგნენ.

ოთხ-კუთხ აუზში ჭყუპალაობდა რა-ლაც არა-ადამიანი. ხან ჩაიყურყუმელავებდა, ხან ამოჭყოფდა სველ, შავ, მელოტ თავს, ისევ ჩაიყურყუმელავებდა ხოლმე და წყალ-ქვეშ ცურავდა.

— აი არწივი, ფრინველთა მეფე. გამხდარი, ჭუჭყიანი ფრინველი სასაცილო თეთრ შალვარში კაი-მქნელივით დააბოტებდა გალიაში.

— აგე, მგონი მგლები,— სთქვა გადიამ და ბავშვებს ხელი წაავლო.

— აქეთ, აქეთ! არ გამოცვივდენ,— სთქვა დედამ.

ესენი ყველაზედ საშიშნი იყვნენ, ამ ქვეყნის მხეცები, ნაცნობნი, შინაურები. გადია შიშისაგან დაფარფატდა.

— შორს, შორს!

აგერ კიდევ რაღაც უცნაური რამ. ზევიდგან რაღაც მრგვალი ჯამი აქვს დაპირქვავებული, მხოლოდ თითები და ბრწკილები ღა უჩანს.

ბუბას მოეწონა.

გოგია განზე გადგა. ცალკე მოწნულში მარტო მდგომი ოთხფეხი დაინახა.

პირუტყვს წინა ფეხები მიტკუცული ჰქონდა, თავი მაღლა აშვერილი, შავი თვალები სევდიანად იყურებოდნენ. თავში ორი გამხმარი შტოიანი ტოტი ჰქონდა ჩარჭმული, თითქო ეხლავ შუბლს შუა გაუპობსო.

პირუტყვი ვარდისფერ ზოლს მისჩერებოდა, რომელიც ოდნავ აშორებდა ცასა და დედიმიწას. გარშემო გამდნარი თოვლი იყო. აქა-იქ მიწა შავად გამოიყურებდა. დამპალი მიწის სუნი იდგა. ის კი იმ ზოლს მისჩერებოდა.

გოგია თრთოლამ აიტანა და უეცრივ შეჰკივლა.

დედა მიუახლოვდა.

— ირემია, რძით მკვებავი ცხოველი. შინ წასვლის დროა, საცოდავად გალურჯულ ხარ.

შინ ბუბა ზოოლოგიურ ბაღობას თამაშობდა. კუსავით დაცოცავდა.

გოგია კი მონაწილეობას არ იღებდა. იჯდა მარტო.

მეორე დღეს, სადილ შემდეგ, ძუძუთა სასტუმროში გამოიყვანეს. ყველანი იმას მოეხვივნენ. გოგიაც მივიდა, ენა დაუტკაცუნა, დაეხმაურა:

— ა-ღუ, ა-ღუ!

თავი მოსწონდა, შეეძლო კარგადაც ელაპარაკნა და ამასავითაც.

დედამ გოგია ჟღარუნის მოსატანად გაგზავნა.

ოთახში რაღაც უცნაური სიჩუმე იდგა. გოგიას აქამდე ეს ოთახი ცარიელი არ უნახავს, აქ ან ძუძუთას ეძინა, ან ტირილი, ან აბანებდნენ; ეხლა კი სიჩუმე იყო.

საქარვეველი ოდნავ არახუნებდა. ბინდ

ბუნდი იყო. გოგია რაღაც სევდა-შიშმა აიტანა.

— ირემი!—მოაგონდა გოგიას.

ცხადათ გრძნობდა, რო ირემი აქ სადღაც იყო მიმალული, რქები თავში ჰქონდა ჩარჭმული, ფეხები მიტკუცული, თავი მაღლა აშვერილი, თვალები კი სევდიანად მისჩერებოდნენ ვარდისფერ ზოლს.

გოგია უკან გამოვარდა უეღარუნოდ. დიდ მარხვის მეოთხე კვირაში ბავშვები საყდარში დაჰყავდა. აღსარებაზედ გოგიას ღვდლისათვის ხმა არ გაუცია. შინ კი რო დაბრუნდა, ტიროდა.

დედამ დაინახა, გაკვრით მოუალერსა:

— რაზე იკლავ თავს ტირილით, შე სულელო?!

გოგიამ თავ ჩაღუნულმა მარდათ გასცა პასუხი:

— მე ერთი საიდუმლო მაქვს.

— რა საიდუმლო? შვილებს მშობლებისაგან არაფერი არ...

— ირმისა მეშინიან.

— ირმისა? რა სისულელეა! სად არის ირემი?

— იქ! —მიუთითა გოგიამ სასტუმროსაკენ.— გრძნობდა, რო სულ ერთი იყო საითაც უნდა ეჩვენებინა.—იქ.

— ნუ სულელობ! ირემი როგორ ამოვიდოდა მეოთხე სართულში?

დედამ გოგია გზიდან მოიშორა და მიმავალმა დაუმატა:

— ირემი ოთხფეხი პირუტყვია, რძით მკვებავი, კაცისათვის სასარგებლო.

გოგია თან და თან ილეოდა. პირისახე თაგვივით გაუმწვეტდა, იჯდა კუთხეში და ირემზედ ფიქრობდა: მიტკუცული წინა ფეხები, გამხმარი რქები, სევდიანი თვალები ვარდისფერ ზოლზედ მიჩერებული.

ეხლა თითონ მიდიოდა ცარიელ ოთახში, როდესაც ჰაერს სწმენდნენ. სუნთქავდა თოვლით გაჟღენთილ ჰაერით, უგდებდა ყურს საქარვეველის რახუნს და ელოდა ირემს, გრძნობდა მის სიახლოვეს, მაგრამ ვერ კი ხედავდა.

— რა მოგდის? ეკითხებოდნენ გოგიას.

— ცუდათა ვარ! ცუ-უ-დათ!—აჭიანურებდა ბავშვი.

— კურკოს ყავა ვასვათ,—ბუტბუტებდა გადია. აი კორსაკოვიანთას ბავშვებს სუ კურკოს ყავას ასმევდნენ, იმისათვისაც იყვნენ ჯანმრთელები.

ვნების კვირის უკანასკნელ დღეებში ყველანი გაჯავრებულები დაფუსფუსებდნენ, რეცხდნენ სწმენდნენ, ამზადებდნენ, ერთმანეთს უსაყვედურებდნენ.

შაბათ საღამოს გოგია სამზარეულოში შევიდა. ბრაზიანი, გაჭარხლებული მზარეული რაღაც ნაჭერს აშიშხინებდა, რომელიც აქეთ-იქით ცხელ ქსფა ისვრიდა.

გარედ გასავალი კარები ღია იყო.

გოგია შეუმჩნევლად გაძვრა, ღია ფანჯარაზე აეხოხა.

— ახ!

სველი მიწის სუნი ეცა. ბინდ-ბუნდი იყო. შორს ვარდის ფერი ზოლი მოსჩანდა. სწორედ ის ზოლი იყო, მხოლოდ ცოტათი მკრთალი. იგივე სევდა მოაწვა, ირმის თვალებში რო ამოიკითხა მაშინ. კიბეზედ ვიღაც კაცი ამოდიოდა. თეთრი წინსაფარი ეფარა, თავზედ ღორის ბარკალი ედვა. შეხედა გოგიას და სამზარეულოში შევიდა.

— კარგს მზარეულს კარგი საჩუქარი,— დაიღრიალა მოსულმა.

— ან წინად, ან ცოტა გვიან სად იყავ, რაღა ეხლა მოხველ!

უსაყვედურა მზარეულმა.

გოგიამ დაიჩოქა და ფანჯრიდგან გადაიხედა.

ყურებში ზარებმა რეკა დაუწყეს.

— რას მეპრანჭები! — ეუბნებოდა მოსული მზარეულს. — ცალი ფეხი სამარეში გიდგა და შენსას არ იშლი.

ზარებმა წკრიალს მოუხშირეს.

— ირემო! ირემო! ირემო!

— თქვენი ყმაწვილია ფანჯარაზედ? დაეკითხა მოსული მზარეულს.

მზარეულმა გაიხედა.

— რას არახუნებ! იქ არავინაც არ არი.

— არ არი და ნუ არი!

— არც იყო!

— არც იყო და ნუ იყო!

მზარეული ფანჯარასთან მივიდა, გაუსო ხელი ფაცარს.

— ადგილი სწორია. აქ არაფერიც არ არის! გასწი, რალას უდგეხარ? ან წინად, ან ცოტა გვიან სად იყავ... მოეხეტებით, როცა არ გეპატიჟებიან...

ნინო გოგნიაშვილისა.

ბ ა ა ს ი

გული და კუჭი შეიბნენ,
შეექნათ დიდი ბაასი;
გულმა რომ უთხრა „ასისა“
კუჭმა მიუგო ათასი.

—

გულმა სთქვა: წმინდა ბროლი ვარ,
ბუდე ვარ სიყვარულისა;
კაცი ამყვანი ზეცაში,
და მნათე მისი სულისა.

—

წარმომშობი ვარ სიცილის,
ტირილიც ჩემი მონაა;
ჩვენი ცხოვრების მწარ-ტკბილი
ჩემი ზომა და წონაა.

—

რუსთველმა მაქო და მისი
ნათქვამი ყველა დიდია:
„უგულო კაცი ვერ კაცობს,
კაცთაგან განაკიდია!“

—

კუჭმა მიუგო სიცილით:
რაც სთქვი სულ მართალიაო,
მაგრამ უჩემოდ კი ყველა
გარწმუნებ, ტყუილიაო.

—

ჩვენი ცხოვრების ჭახრაკი
არის პირველად პურიო
და მიუპყრია ქვეყანას
მისკენ თვალი და ყურიო!

—

თუ ჩემში არა ყრია რა
და მშიერი ვარ მეცაო,
მაშინ ვის გაახსენდება
მაღალ საგნებათ ზეცაო?

—

შენ ზეცის მოციქული ხარ,
მე ჭახრაკი ვარ ქვეყნისო.
ყველა პურს ეძებს! ეს ძებნა
კაცს აბეჩავებს და რყვნისო!

—

გამრყვნელი, მაგრამ ძალა ვარ
უთვალავი მყავს მონაო
და მაშინ შენც გაიხარებ,
თუ რომ მე მომეფონაო!

—

გული აშფოთდა. პასუხი
მიუგო მედიდურადა:
„დრონი მეფობენ“, მაგ ძალას
ნულარ ჩააგდებ ნურადა.

—

მოვა დრო, როცა შეგზღუდვენ,
ეგ ძალა გაგიხუნდება
და კაცი უფრო სპეტაკი
ისევ გულს დაუბრუნდება.

აკაკი.

სიმღერა

სასასპარეზოდ მოგვცა უფალმა
წუთისოფელი ადამიანთა:
გამოცდა არი ჩვენთვის სიცოცხლე
ასე უცნია კაცთა ჭკვიანთა;
ვაკეს ვინ აქებს თუ არ ავივლით
ოდრო-ჩოდრო გზებს ადმართიანსა.
თუ ბაბანებამ არ შეგვწუხა
ვინ დაინატრებს ალაგს მთიანსა?
ღამე არ იყოს თავ-პირ სამტვრევი
ვინ შეაქებდა დღესა მზიანსა?
მადლსა მადლადა ვინ ჩაგვითვლიდა
რომ არ გვაძლევდეს პირადს ზიანსა.
როგორა ცხონდეს, აბა, მხედარი,
თუ არ იბრძენებს მაჯას ხმლიანსა,
თუ არ შეაკლა თავი იმასა
ვინც შამულს აძლევს მისას ზიანსა.
ადამიანი მითი ფასდება,
აზრს ვინ ატარებს რამდენად ფრთიანსა.
საწყლებსა სთესავს წუთისოფელზე,
ასე მიცნია, მიტომ კანგებ:
მადლი თუ გვინდა კამოვიჩინოთ
რომ ჩვენა გვქონდეს მათ შებრალება.
ასევე გვმართებს გაჯავრებულთა
და მოტირალთა ჩვენ დაწყნარება.
თუ კი ამ ქვეყნად, არსად მის კიდეს,
არ იქნებოდა რამე საწყლობა
ვნახავდი სადმე ჩვენ კაცსა ქვეყნსა,
ან იქნებოდა სადმე ქვეყლობა?
თუ არ იქნება სიგნის მუშტარი,
იქნება კანა მისი ხელობა?!
თუ დიაცს შვილი არ ჰყოლებია
სიდან ექნება მშობლური გრძნობა?
თვალში-თვალადა, გულში-გულადა
ჩაქსოვებული შვილისა ცნობა?
ან უსამშობლომ, კაცმა ბოგანომ,
რა იცის რაა სამშობლოს ტრფობა?
ან უშურელი კარგად ვით ვიცნოთ
თუ კი არ იყოს შური და მტრობა?!..
სასასპარეზოდ გვაქვს ეს სოფელი,
დაეშურენით მიიღოთ ჯილდო, —
და ვინც ბიჭი ხარ ენდა ეცადო
კაცურ-კაცობა მამაცად ჭეზიდო!

ვაჟა-ფშაველა.

ურვა

ისევ მარტო ვარ... ცხოვრების ტყეში
განუქარვებელ სევდით ტყვენილი
და სულთქმის, ურვით ცას შევდაადებ
მუხთალ-ბედისგან კიცხულ-დევნილი.

—

მყავდენ მოძმენი... ფაკრამ ჩამოშყედენ
ვით შემოდგომის ფოთოლნი ხესა;
მყავდა სატრფოცა... ვაი ჩემს თვალებს
ვნებით ეხვევა დღეს სულ სხვის უელსა.

—

იმედის კოკობს ტუჩი კაეპო
გარიჟრაჟზედა გაშლას დამობდა;
ოცნების გედი პირველ სიმღერას
ჭიმნათ აკმევდა მოფსალმუნობდა.

—

ვაგლახ... იმათაც უსწრო ყინვამა,
ჩაჭკნა ყვავილი, დადუმდა გედი;
ჭამლეტის სევდა გულს ჩამეკვესა,
გამინიავდა სულთქმის იმედი.

—

წუთისოფლისგან მიუსაფარი
უგზო-კვლოდ დავძრწი ვითარცა მწირი
და წარსულ დღეთა ძვირფას დანაკარგს
სისხლის ცრემლებით დავკვნეს-დავტირი.

დ. თურდოსპირელი.

† ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი

(1828 — 1910)

7 ნოემბერს საუკუნოდ გამოესალმა წუთისოფელს რუსეთის მხცოვანი მწერალი ლ. ნ. ტოლსტოი, რომელსაც მთელს მსოფლიო ლიტერატურაში დიდი სახელი აქვს მოხვეჭილი, როგორც ფილოსოფოსს, ბელეტრისტს, ღრმა მოაზრე ადამიანს, მორალისტს და ახალი პედაგოგიის იდეების მქადაგებელს.

1844 წლებში ტოლსტოიმ, ახალგაზდა მემამულემ, გახსნა სკოლა თავის სოფელში იასნო პოლიანაში ტულის გუბერნიაში. მაშინ ტოლსტოი დაესახლა სოფელში და სხვა საზოგადო დაწესებულებასთან ერთად, რაც ხალხისათვის განიძრახა მან, სახალხო სკოლაც ერთი მათგანი იყო. მაგრამ მალე კავკასიაში წამოვიდა და სკოლაც დროებით დაიხურა. ათი წლის შემდეგ, როცა ტოლსტოიმ უფრო მეტი სახელი მოიხვეჭა მწერლობაში, ისევ დაუბრუნდა სკოლის საქმეებს. ამ დროს იგი თავის ცხოვრებაში სკოლის საკითხებით გატაცების ხანას უწოდებს. ეს საკითხები თავიდან არ გაშორებია მას. სულ იმის ფიქრში იყო რა და როგორ უნდა ასწავლონ გლეხის ბავშვებს. თვითონ შეუდგა მასწავლებლობას, მაგრამ მალე ეჭვი შეეპარა საზოგადოთ მიღებულ სწავლების წესების სინამდვილეში. მიატოვა დროებით თავისი პედაგოგიური მოღვაწეობა და 1859 წელს იმოგზავრა დასავლეთ ევროპაში, რომ თვალსაჩინოდ გაეცნო სწავლების წესები და მათი შედეგები. იყო გერმანიაში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, ინგლისში და ყველგან აკვირდებოდა სკოლის საქმეებს, ესაუბრებოდა მასწავლებლებს და გამოჩენილს პედაგოგებს, ესაუბრებოდა ბავშვებსაც, ხალხსაც, რომ დაწვრილებით გაეგო მათი სულიერი ინტერესები, განვითარების საფეხური და გონებითი მიდრეკილება, გაიცნო დაწვრილებით მაშინდელი პედაგოგიური ლიტერატურა. მაგრამ ყველა ეს მაინც არ აკმაყოფილებდა მას და არც ერთი ტიპი სკოლისა და არც ერთი ხერხი სწავლებისა მთლად გამოსაყენებელი არ იყო მისის ფიქრით იასნოპოლიანის სკოლისათვის. ამ მოგზაურობამ მაინც ბევრი რამ შესძინა ტოლსტოისდა ბოლოს შეიმუშავა საკუთარი ხერხი და შეხედულება სწავლებაზედ.

ტოლსტოი აკვირდებოდა ხალხის გონებრივს ვითარებას, განსაკუთრებით გლეხების შვილებისას და იმათს გონებაში კითხულობდა თუ რა გვარი სწავლა ესაჭიროებოდათ მათ. არც ერთს 50—60 წლების მწერალ-პედაგოგებს არ მიუმართავთ ამ უტყუარ წყაროსათვის—რა და როგორ უნდა ესწავლებინათ ხალხის შვილებისათვის. იმ დროს სახალხო სკოლა რუსეთში ზოგან უკვე არსებობდა, იზრდებოდა და ვითარდებოდა, სკოლა დაარსებული იყო ხალხის მიერ. ტოლსტოიმ პირველად ამას მიაქცია ყურადღება, იმას სახეში ჰქონდა არა სახელმწიფო სკოლები, ზოხელეების მიერ დაარსებული მთავრობის მიზნის შესასრულებლად, არა-



მედ ნამდვილი თავისუფალი სახალხო სკოლა, რომელსაც ხსნიდნენ თვითონ გლეხები თავის ხარჯით და თავისივე თაოსნობით, მთავრობის დაუკითხავად, უკიდურესს მდგომარეობაში იყვნენ მაშინ რუსის გლეხები; ისინი ბავშვებს გარეთ ვერ უშვებდენ, ბატონი დაინახავს და ან ბატების სამწყესავად გაგზავნის ან და მოსამსახურედ წაიყვანს სახლშიო. წერა-კითხვის მცოდნე გლეხს მოსამსახუ-

რედაც არ აიყვანდნენ. წყურვილი წერა-კითხვის შესწავლისა გლეხობაში ძლიერ დიდი იყო.

საზღვარ გარეთიდან დაბრუნების შემდეგ ლ. ნ. ტოლსტოი მომრიგებელ შუამავლად იყო. ამ დროს ის უფრო დაუახლოვდა გლეხობას და კარგადაც გაიგო მათი მდგომარეობა. ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ტოლსტოი სწერდა: „ხალხი დარწმუნებულია, რომ მათთვის ძლიერ საჭიროა მეტი განათლება, რომლისთვის თავის შეძლებას არ ზოგავს ეს საქმითაც ხორციელდება—ბევრგან გაიმართა მრავალი თავისუფალი სკოლები“. ტოლსტოი კარგად გაეცნო ამ სკოლებს და დარწმუნდა, რომ მათ გასაუმჯობესებლად საჭიროა მასწავლებლების მომზადება და სწავლების ძველი მეთოდების ახლად შეცვლაა. იასნოპოლიანის სკოლაში ჯერ თვითონ მასწავლებლობდა, შემდეგ მოიწვია ისეთები, რომლებიც ტოლსტოის ხელმძღვანელობით მუშაობდნენ. ვისაც ყურადღება მიუქცევია რუსების განათლებისათვის, მოღვაწეთა და ერობათა მოქმედებისათვის რუსეთში 60 წლებიდან, დარწმუნდება, რომ რუსის ხალხის განათლებაში პირველი გზის მაჩვენებელი ლ. ნ. ტოლსტოი იყო. თავისუფალი საგლეხო სკოლები და ლიტერატურა 60 წლებში უშინსკისაც მოსწონდა და ბუნებრივად მიაჩნდა ამ გზით სახალხო სკოლების აღორძინება. ტოლსტოის ბევრი მიმბაძველი აღმოუჩნდა მემამულეთა შორისაც. ტოლსტოის აზრს დაადგა ბარონ კორფიც. ამანაც მოიარა დასავლეთ ევროპა და როცა დაბრუნდა რუსეთში გამართა მასწავლებელთა კურსები, რომელზედაც ასწავლიდა სახმო მეთოდით და საუკეთესო წესებით სწავლებას.

ტოლსტოის პრაქტიკულ მოქმედებას სკოლის საქმეში დიდი შედეგი არ ჰქონდა. მას აღმოუჩნდენ კრიტიკოსები და ერობის შემოღების შემდეგ 1866 წლებიდან ტოლსტოის სკოლაც დაიხურა. მაგრამ მისმა მოქმედებამ მიიპყრო საზოგადოების ყურადღება პედაგოგიურს საკითხებისკენ. საკითხი რა უნდა ესწავლებინათ სკოლებში მარტივად სწყდებოდა—კითხვა, წერა და ანგარიშიო“, მაგრამ საჭირო იყო ძლიერი სიტყვა და მოქმედება დაენახვებინათ საზოგადოებისათვის, რომ ეს საკითხი ფრიად ძნელია და რთული: საჭირო იყო, რომ ამ გენიოსს მწერალს და მაღალ განვითარებულ ადამიანს უძლურად და მოუმზადებლად აღეარა თავისი თავი მასწავლებლობისათვის, საზოგადოებას რომ გაეგო უბრალო ჭეშმარიტება. რომ საქმის წარმატებისათვის საჭირო იყვნენ მომზადებული მასწავლებლები. ტოლსტოიმ გააცნო საზოგადოებას რას და როგორ უნდა ასწავლიდნენ სახალხო სკოლებში. ამ საკითხის გამოსარკვევად იმავე დროს მუშაობდა მეორე გენიოსი პედაგოგი უშინსკი, რომლის შეხედულება განსხვავდებოდა ტოლსტოის შეხედულობისაგან, მაგრამ დღეს რომ კარგად განვიხილოთ ის სიმდიდრე, რაც უშინსკიმ დაუტოვა რუსის სკოლას და ის შესწორება, რაც მეცნიერებამ შეიტანა უშინსკის სისტემაში, დავინახავთ, რომ ბევრი შესწორება ტოლსტოის სისტემიდან არის აღებული. უშინსკის რომ დაკლოდა და კარგად შეემოწმებინა თავისი სისტემა სოფლის სკოლებში, მაშინ ამ ორ სისტემათა შორის მცირე განსხვავება იქნებოდა. ორნივე უშინსკიც და ტოლსტოიც ერთის გზით მიდიოდნენ, ერთს ღმერთსა სცემდნენ თაყვანს. ორნივე ყველაზე უფრო

მაღლა აყენებდენ პიროვნებას, ბავშვის ინდივიდუალურ განვითარებას, რასაც უშინსკის მიმდევრები ხშირად უყურადღებოდ სტოვებდნენ.

ლევ ტოლსტოის პედაგოგიურ ასპარეზზე მოქმედება არ შეწყვეტილა არც მისი სკოლის დაკეტვისა და არც მისი პედაგოგიური ჟურნალის გამოცემის შეწყვეტის შემდეგაც. ის ხშირად ჰბეჭდავდა წერილებს პედაგოგიურის კითხვების შესახებ და აძლევდა პასუხს თავის მოწინააღმდეგებს და ადგენდა სკოლებში საკითხავ წიგნებს. ლ. ტოლსტოის სასკოლო წიგნები მარტივის ბავშვებისათვის გასაგების ენით არის დაწერილი, ზოგი მოთხრობები იასნოპოლიანის სკოლის მოწაფეების ნაწერია, მისი შინაარსი ადვილი გასაგებია გლეხის ბავშვებისათვის, წიგნებში როგორც ენა, ისე შინაარსიც, თუმცა შეუმჩნეველად, მაგრამ თან და თან რთულდება, შინაარსი უფრო სერიოზულია და ენაც წმინდა ლიტერატურული. ტოლსტოის სახელმძღვანელო წიგნებს ეხლაც ბევრგან ხმარობენ სკოლებში. ტოლსტოის სახელმძღვანელო წიგნებმა ღრმა კვალი დასტოვეს რუსების საბავშვო მწერლობაში. დღეს იშვიათად ნახავთ სოფლის სკოლებში სახმარ რუსულ სახელმძღვანელო წიგნებს, რომელშიაც არ იყოს შეტანილი ტოლსტოის საყმაწვილო მოთხრობები. ლ. ნ. ტოლსტოიმ ჯერ კიდევ 60 წლებში აღირა საუკეთესო მეთოდად ის, რაც მასწავლებელს უკეთ ეხერხება და რაც მის საუკეთესოდ მიაჩნია; ბავშვებს უნდა ასწავლონ არა მარტო ის, რაც მისაწვდენია, არამედ ისიც, რაც მათთვის სახალისოა. ზოგი მასწავლებლებიც ყურს უგდებდნენ ამ დიდებულს მოძღვარს და ისე ყურ მოჭრილად არ ემორჩილებოდნენ ბიუროკრატ მოხელეების ბრძანებას.

ოთხმოციან წლების დასასრულს ლ. ნ. ტოლსტოი სახალხო წიგნების გამოცემის მოთავედ გამოდის და იმგვარი წიგნების საუკეთესო ავტორად ხდება. რუსეთში დაარსა წიგნის გამომცემლობა „შუამავალი"; ამ ამხანაგობამ პირობა შეკრა წიგნების გამომცემელ სიტინთან, რომლის ხელშიაც გადავიდა წიგნების ბეჭდვა და გავრცელება წიგნებისა. თუ მანამდინ თითოეული სახალხო წიგნი 2—3—5 ათასი ცალი იბეჭდებოდა, „შუამავალის" წიგნები 12—24 ათასი ცალი იბეჭდებოდა ვრცელდებოდა ხალხში, ხშირად ერთი და იგივე გამოცემა წელიწადში ორჯერ იბეჭდებოდა. მომეტებული რიცხვი გამოცემებისა ტოლსტოის ნაწარმოებს შეადგენდა. პირველი ათი წლის განმავლობაში „შუამავალმა" გაცილებით მეტი წიგნი გაავრცელა ხალხში, ვიდრე ერთად ყველა სხვა გამომცემლებმა და ავტორებმა. ამ დროს განმავლობაში მკითხველების გემოვნებაც შეიცვალა საუკეთესოდ და ცუდი შინაარსის წიგნებსაც დიდი მეტოქეობა გაუწია.

სამოციან და სამოცდაათიან წლებში, რასაკვირველია, ტოლსტოის პედაგოგიურს აზრებს შედარებით მცირე მომხრენი ჰყავდა. პროფესიონალურ პედაგოგებმა არა თუ დაჰგმეს ტოლსტოის თეორიები თავისუფალ აღზრდის შესახებ, არამედ თვითონ აზრი და ცდა იასნოპოლთანის სკოლაში სამასხაროდაც აიგდეს; ოცი წლის განმავლობაში ამ თეორიას ისე უყურებდნენ. როგორც დაგმობილს და უკვე დავიწყებულს გენიოს მწერლის შეცდომებს. მაგრამ ტოლსტოის აზრი მაინც სცოცხლობდა, თან და თან პოულობდა მომხრეებს, ვრცელდე-

ბოდა და ფესვებს იკიდებდა. ოფიციალური პედაგოგია სრული წინააღმდეგი იყო თავისუფალი აღზრდის იდეებისა, მაგრამ ბოლოს ცოტად თუ ბევრად მაინც შეირყა სახელმწიფო სკოლის კედლები, საზოგადოების მოთხოვნილებით გაფართოვდა მოწაფეთა თავისუფლება, მოისპო გადასაყვანი გამოცდები, რასაც ტოლსტოი ჰგმობდა 60 წლებში და სხვა ზომების წყალობით სკოლა ცოტად მაინც მიტრიალდა თავისუფალ აღზრდისკენ.

დღეს მთელს რუსეთში „თავისუფალი აღზრდის" მოტრფიალენი დღითი დღე მატულობენ, ყველას თავის წინამძღვრად ტოლსტოის აზრები მიაჩნია, ისინი აშკარად აღიარებენ ტოლსტოის იდეების მიმდევრობას. თავის მოქმედებას ისინი ახორციელებენ არა მარტო პედაგოგიაში პრაქტიკულად, არამედ ემხრობიან კიდეც იმავე ვამომცემლობას „შუამავალს", რომელიც 25 წლის არსებობაში მტკიცედ იცავდა ლევ ტოლსტოის მოძღვრებას და ავრცელებდა მას, როგორც ხალხში, აგრეთვე ინტელიგენტ მკითხველებშიაც. აუარებელი წიგნების გამოცემის შემდეგ, რომელშიაც ირკვევოდა სწავლა აღზრდის საკითხები და თავისუფალი აღზრდის ძირითადი პრინციპები, გამომცემლობა „შუამავალი" შეუდგა საკუთარ ჟურნალის „Свободное воспитаніе"-ს გამოცემას. ამ ჟურნალის მახლობელ თანამშრომლებმა განიძრახეს თავიანთ შვილებისათვის ისეთის დაწესებულების დაარსება, სადაც შეუძლიათ საქმით განახორციელონ თავისუფალი აღზრდის პრინციპები.

როგორც უნდა შევეხოთ თავისუფალ აღზრდის მომხრეთა თეორიებს, რაც საქმით ძნელი ასასრულებელი ხდება, მაინც არ შეგვიძლია ერთის დაგმობა, რადგანაც ეს თეორია დღეს ერთად ერთი ცდაა ახალი აღზრდის თეორიების შესაქმნელად, ეხლანდელი სასწავლებლების ფორმისა და სულის შესაცვლელად. რომელთა უვარგისობა ყველას მიერ აღიარებულია. თავისუფალი აღზრდის მოტრფიალეთ განსაზღვრული იდეალი აქვს აღზრდის შესახებ, რაც არ ითქმის იმ თ მოწინააღმდეგებზე. ამ მეცნიერების უარ ჰყოფა ეხლა შეუძლებელია. თუ დავუკვირდებით იმ აუარებელ კერძო სასწავლებლებს, რაც ყოველ წლობით იხსნება და სადაც მისდევენ ახალს იდეალს, ჩვენ შევნიშნავთ, რომ ყველანი მიილტვიან თავისუფალი სწავლა აღზრდის გაფართოებისაკენ ე. ი. იმ თეორიისკენ, რომელიც აღმოცენდა ლ. ნ. ტოლსტოის პედაგოგიურ იდეებ ს ნიადაგზე.

ჩვენ ვხედავთ, რომ რუსეთში მასწავლებელთა შორის ტოლსტოის პედაგოგიურს იდეებს საკმარისად აქვს ფესვები გამდგარი, ეს იმის ნიშანია, რომ რუსეთის სახალხო სკოლა ახლო მომავალში წარმატებაში წავა, საფუძვლიანად შეიცვლება არა სახელმწიფო სათათბიროს წყალობით და არც სახალხო განათლების ოფიციალურ წარმომადგენელთა ორგანოებით, არამედ თვითონ სახალხო მასწავლებლების მეცადინეობით, ისინი შეასრულებენ ამ დიდებულს საქმეს და მით ადიდებენ შარავანდედით მოსილს. დიდებული მოძღვრის რუსების უდიდეს სახალხო მასწავლებლის ლევ ტოლსტოის სახელს. საჭიროა დაუფიქრდნენ ამას ჩვენებური მასწავლებლებიც.

Katti

ლევ ტოლსტოი სოფლის ბავშვებში.

სანიმუშო პროგრამები

საქართველოს სახალხო სკოლებისათვის

(დასასრული)

სიმღერა—გალობა

პირველი განყოფილება.

1. დარიგება თუ როგორ უნდა ისუნთქონ, იდგნენ და გააღონ პირი სიმღერის დროს, 2. გაცნობა ნოტის ანბანისა. ადგილობრივი საბავშვო სიმღერები.

მეორე განყოფილება

საუბარი ხმაზე; მუსიკალური ხმები, მაღალი და დაბალი ხმა. ნოტების დაყოფა: მთელი ნოტი, ნახევარი, მეოთხედი, მერვედი და ბოლოს მეთექვსმეტედი, წერტილი, პაუზები. გამმა და მისი საფეხურები. ადგილობრივი სახალხო სიმღერები.

მესამე განყოფილება

მთელი და ნახევარი ტონი; ნახევარი ტონების ადგილი გამმაში, „დო“ მაჟორი. სმენით გარჩევა ტონისა და ნახევარ-ტონისა. ინტერვალები 1—8 ერთხმაზედ, კონსონანსები ორხმად; ხმის შესაცვლელი ნიშნები: დიეზი, ბემოლი, ბეკარი. ხრომატიული გაბმა. საზოგადო ქართული სიმღერა და საეკლესიო გალობა ორსამ ხმაზედ.

მეოთხე განყოფილება

გამეორება მოკლედ წინა წლებში ნასწავლისა; მაჟორის გამმა; სახელწოდება, აშენება ერთის, ორის მარტივის გამმისა ბავშვის მიერ. მინორის გამმა: მისი გაკეთება მაჟორის გამმიდან, ამაღლება მეშვიდე მუხლისა. საზოგადო ქართული სიმღერები, საეკლესიო გალობა. სიმღერა — ორ-სამ ხმაზედ.

მეხუთე და მეექვსე განყოფილება

ხასიათი და რიცხვი მაჟორის და მინორის გამმებისა. სმენით გარჩევა გამმებისა: მაჟორის, მინორის, გარმონიულის და ხრომატიულისა. გაცნობა გასაღებებისა „დო“ „ფა“; განვითარება ხმისა და სმენისა; უფრო რთული საზოგადო ქართული სიმღერები, პატრიოტული სიმღერები და საეკლესიო გალობა. მოკლე საუბრები მუსიკის განვითარების შესახებ საზოგადოთ და ქართული სიმღერა-გალობისა კერძოდ.

შენიშვნა: — კარგი სახელმძღვანელო სახალხო სკოლებში სიმღერა-გალობის შესასწავლად, სამწუხაროდ, ძლიერ მცირეა, მაგრამ ვიდრე ასეთი სახელმძღვანელო გვექნებოდეს, მასწავლებლებს შეუძლიათ იხელმძღვანელონ ბ. ჩხიკვაძის „სალამურით“ და არაუიშვილის სიმღერებით, რომელნიც გამოცემულია სახალხო სკოლებისათვის.

კანონმდებლობა და საუბრები ეკონომიურს კითხვებზე.

მე-V და მე-VI განყოფილებაში

კანონმდებლობა — კავშირი, სახელმწიფო, კანონი, რუსეთის, კანონები, მეფისა და ქვეშევრდომთა უფლებანი რუსეთში, თვითმმართველობა, ერობა, სამართალი, კაცობრიობა, როგორც კავშირი სახელმწიფოებისა. თავისუფალ სახელმწიფოთა კანონმდებლობანი, არსებითი მხარე კონსტიტუციისა; გამოცხადება ადამიანისა და მოქალაქეთა უფლებებისა თავისუფალს სახელმწიფოებში. მოკლე ცნობები ვახტანგ მეფის კანონებზე.

საუბარი ეკონომიურს კითხვებზე: მრეწველობა. სამი სახე მრეწველობისა: მოპოვებითი, შემუშავებითი და ვაჭრობა. წარმოება და მისი პირობები: ბუნება, შრომა და კაპიტალი. განაწილება (распредѣленіе), შემოსავალი და მისი დაყოფა. რენტა, მოგება, სამუშაო ხელფასი, ცვლილებანი რენტაში, მოგებაში და სამუშაო ხელფასი; გაცვლა (обмѣнъ) ღირებულება, სამუშაო დღე, როგორც საზომი ღირებულებისა, ფული. ფული — საქონელი (деньги товаръ) ნდობა (кредитъ), ვექსილები, ჩეკი, აქციები, ობლიგაციები, ბანკები, ამხანაგობანი: რწმენაზე, აქციონიური და სხ.

შენიშვნა: ამ გარდამავალ ხანში, როცა მოგველით სახელმწიფო მმართვა-გამგეობის

ცვლილებას, ხალხის წარმომადგენელთა მონაწილეობით, აუცილებლად საჭიროა ხალხში გავრცელებულ იქმნას ცნობები უფლებიან წეს-წყობილების შესახებ. ამ მხრით ერთად ერთი გზაა კანონმდებლობის შესწავლა სკოლებში. ამ საგნის სწავლებას მიზნად უნდა ჰქონდეს მოწაფის საზოგადო განვითარება და გაცნობა დემოკრატიული სახელმწიფოების იდეებისა, აღზრდა მოწაფეში კანონის პატივისცემის გრძნობისა. ხალხს რომ დაეხმარონ მისს სრულს იურიდიულს უმწეობაში, საუკეთესო საშუალებაა მისი ცოდნით აღჭურვა, გონებით განვითარება და უფლებათა ძირითადი პრინციპების ცოდნა. ამგვარი ცოდნა ხელს შეუწყობს ხალხს საკუთარ უფლებათა დაცვაში. მოწაფეებმა რომ უკეთ შეიძინონ ცნობები კანონმდებლობიდან, სწავლებას არ უნდა ჰქონდეს განყენებული და დოგმატიური ხასიათი. საზოგადო დებულებათა და დასკვნათა თან უნდა ახდეს ცოცხალი კონკრეტიული მაგალითები. საშობლოს სიყვარული და მოკრძალებით მოპყრობა მისის დაწესებულებისა და ისტორიის სიამაყისა, რასაც ინგლისის და საფრანგეთის სკოლების ანალოგიურს კურსში ვპოულობთ, ადგილი უნდა ჰქონდეს ჩვენს სკოლებშიაც. მაგრამ ეს გრძნობა რომ მართლა ღრმად შეიგნონ, მისი აღზრდა მოკლებული უნდა იქმნას ტენდენციოზობას და ძალადობას. არ შეიძლება გვერდი აუხვიოთ მას, რაც შეადგენს ისტორიის სიძნელეს და უარეოფითი მხარეს საშშობლოს ისტორიაში; ბავშვს უნდა შეასწავლონ და შეაყვარონ ის, რაც მართლა კარგია და ღირსი სიყვარულისა.

დღეს ქართულ ენაზედაც საკმარისად ისტამბება ისეთი წიგნები, რომლებიც ეხებიან ეკონომიურს საკითხებს. ამ წიგნების შინაარსის შეგნება ყველა მკითხველისათვის ადვილი არ არის, თუ მას საკმარისი მომზადება არ აქვს და არც ესმის წიგნში ხმარებული ტერმინები. ამ მხრით სკოლამ ისეთი მომზადება უნდა მისცეს მოწაფეს, რომ ამ უკანასკნელს ადვილად შეეძლოს წაკითხულის გაგება. ამ მიზნით სკოლამ ყურადღება უნდა მიაქციოს ეკონომიური კითხვების განმარტებასაც. ამ მხრით საუკეთესო სახელმძღვანელოდ ჩვენ მიგვაჩნია კარიშევის „საუბრები ეკონომიურს კითხვებზე", რომლის თარგმანი ქართულად დასტამბულია ჟურნალ „მეურნის" 1896, 97, 98 წლების ნომრებში, გადათარგმნილია თ. ხუსკივაძის მიერ. ჩვენის აზრით ამ თარგმანის ცალკე წიგნად გამოცემა ძლიერ საჭიროა.

შინაური მიმოხილვა

თანამედროვე გიმნაზიები ჩვენში

ვისაც აქვს სადი თავისუფალი აზროვნება და იცნობს დღევანდელ სკოლას, მას კარგად ეტყოდინება, რომ დღევანდელი სკოლა ეოვლად უვარგისს ნიადაგზეა დამყარებული: სწავლა-განათლების გადაცემის მეთოდი არა ბუნებრივ კალაპოტშია ჩაყენებული, დღევანდელს ცხოვრებას დაშორებულს სკოლას, არ შეუძლია დაკმაყოფილოს ახალგაზდობის სულიერი ცხოვრების მოთხოვნილებანი, არ ძალუძს გაუწალდოს გზა მოწაფეთ მომავალ სამოქმედო საზოგადოებრივის ასპარეზისკენ.

დღევანდელი მოსწავლე ახალგაზდობა მეტად უმწეო, უნუგეშო მდგომარეობაშია; იგი ითმენს ეოველგვარ ტანჯვა-წვალებას, როგორც ფსიხიურს, ისე ფიზიკურს. სკოლის მკაცრი რეჟიმი, ვით დესპოტი, ისე ბატონობს მასზე, დღევანდელი მოწაფის სულიერი ცხოვრების გახვითარების ჰორიზონტი მეტად ვიწრო ფარგალშია მომწყვდეული, უკეთ რომ ვსთქვათ, დახშულია იგი.

მოწაფე დღეს გასიცდის დაცემას როგორც სულიერს, აგრეთვე გონებრივს და ზნეობრივს. მან დაჰკარგა მომავლის ეოველივე იმედი, რწმენა, სასოწარკვეთილების მსხვერპლი შეექმნა; მთელი მისი სული უსაზღვრო პესიმიზმა მოიცვა და სკეპტიციზმი მისი ცხოვრების უმთავრესი საგანი გახდა: იგი იჭვის თვალით, უნდობლათ ეეურებს თვით რელიგურ ჭეშმარიტებასაც კი.

გონებრივი სიდატაკე გამოიხატება იმაში, რომ დღევანდელი მოწაფე მოკლებულია შესაფერ ცოდნას, საზოგადო განვითარებას, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ცხოვრებასა და მსოფლიოზე, არ შეუძლია გაარჩიოს ავი და კარგი, არ შეუძლია დაეფასოს ღირსეული ადამიანი და უღირსს რიგიანი პასუხი გასცეს. იგი ხშირად ბედისგან დაჩაგრულ-დანაღვლიანებული ეწევა უზომო ლოთობას და ინსტიქტიურად მასში ჭეშეს ნეტარებას.

აქ იჩენს თავს მოწაფის ზნეობრივი დაცემა.

ეოველივე ამის მიზეზად უნდა ჩაითვალოს თანამედროვე სკოლა და ის პოლიტიკა, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს და უმთავრეს როლს თამაშობს ჩვენებურ საშუალო და დაბალ სკოლათა ცხოვრებაში. რომ ავიღოთ მეცხრამეტე საუკუნის ჩვენი სკოლები, უკეთ რომ ვსთქვათ, სკოლები, დაარსებული ჩვენში მთავრობის მიერ, და შეუდაროთ დღევანდელ სკოლებს, დავრწმუნდებით, რომ მათ შორის თითქმის არავითარი განსხვავება არ არსებობს. მართალია, როზგით ცემა მოისპო, მაგრამ სულიერი ტანჯვა, ჩემის აზრით, როზგზე უარესი უნდა იყოს და ეეორე ღრმა კვალს უნდა ამჩნევდეს მოწაფის ტემპერამენტის გარდაქმნაზე, მისი სულის დაბეჩავებასა და დაუძლურებაზე.

გიორგი წერეთელმა და აკაკიმ შესანიშნავი ილუსტრაცია მოგვცეს მეცხრამეტე საუკუნის საშუალო სასწავლებლისა. პირველის „ჩვენი ცხოვრების ეკვილი“ და მეორე „ჩემი თავგადასავალი“, განსაკუთრებით ის ადგილი, სადაც აწერილია აკაკის გიმნაზიაში ცხოვრება, ნამდვილს სარკეს წარმოადგენენ წარსული საუკუნის ჩვენი გიმნაზიების ცხოვრებისა და მისწრაფებისას. თანამედროვე გიმნაზიის დახასიათების ანალიზის დროს, ჩვენ ნათლათ დავინახავთ, რომ დღევანდელი საშუალო სას-

წავლებული პოლიტიკის მხრით მკვიდრი შვილია წარსული საუკუნის კიმნაზიებისა.

პირველად აღვნიშნოთ, რა გავლენას ახდენს ხალხზე დღევანდელი საშუალო სკოლის გარეგნობა, რითაც იგი განსხვავდება მეცხრამეტე საუკუნის სკოლებისაგან.

ქუჩის პირზე, ან ცოტა მოშორებით, სდგას უზარმაზარი, მაგრამ ლამაზი ორ-სამ სართულიანი შენობა, ბლიდი ქვით ნარნარათ აგებული, სხვა და სხვა ფიგურებით გამონაკოთულ-გამოსატული, რომელიც არწივისებური მედიდურობით გადასცქერის მთელი ქალაქის მიდამოს, ანდამატურად იზიდავს ადამიანის მხედველობას და იტაცებს მთელ მის ყურადღებას. ქართველ მშობელს, კარიერის მოტრფიალეს და სკოლის გარეგანი ფორმით მოდორებულს, უკვე სურვილი აქვს აღძრული შეიყვანოს თვისი შობილი ამგვარ სასწავლებელში. და მართლაც იგი დიდხანს არ აყოვნებს; მოსამზადებლად აბარებს შვილს დაბალ სასწავლებელში, სადაც ბავშვს ლევიტკის მეთოდით ულაყებენ ტვინს. ამის შემდეგ ბავშვი შეჭყავთ საშუალო სკოლაში განსაკუთრებით კიმნაზიაში.

ბავშვს ძალიან უსარდოდ კიმნაზიაში შესვლა, მაგრამ შედგა თუ არა ფეხი იქ, რადაც ანორმალურად იგრძნო მან თავის თავი: იგი, აღზრდილი ბუნების წიაღში, თავისუფალი, წმინდა ჰაერით ნაუნოს-ნაგემი, ვერ შეეჩვია კიმნაზიის კედლებს. ეს უკანასკნელი მისთვის მეტად ვიწრო გამოდგა: ბავშვი გრძნობდა თავის თავს ბნელსა და ნესტიანს საკანში.

ნუ თუ ბავშვს, ჯერ სადი და ნორჩი გონების პატრონს, რომელსაც ერთი წელიც არ დაუყვია კიმნაზიაში, არ გაუცვნია ზერელეთ მაინც მისი ცხოვრება, ასე მალე შესძაგდა სასწავლებელი?

როგორც მოგვითხრობს გიორგი წერეთელი, („ჩვენი ცხოვრების ეკვანილი“ გვ. 118) რუსი პედაგოგები განიზრახავენ რა კავკასიაში წამოსვლას, ჰუმანიური, ალტრუისტული გრძნობებით არიან გამსჭვალულნი უცხო ერთა მიმართ. მაგრამ რაკი გადმოლახავენ კავკასიონის ქედს, ეს უნიადაგო, უგულო ჰუმანიზმი და ალტრუიზმი შოვინიზმათ იცვლებიან და რუსის პედაგოგები ხდებიან უუდიერესი მტერი ჩვენი მოზარდი თაობისა.

თუ ეს ასე იყო გ. წერეთლის დროს, დღეს კი სულ სხვაგვარადაა. ზემოხსენებულ ავტორის წინააღმდეგ დღეს რუსი პედაგოგები მოდიან ჩვენს ქვეყანაში წინასწარ განზრახვით: სკოლაში გარუსების პოლიტიკის შესატანად. ჩვენი მიზანია განვიხილოთ პოლიტიკური მიმართულება სკოლაში განმანთავისუფლებელ მოძრაობის შემდეგ.

1908 წლის დამდეგს ქ—ისის კიმნაზიას ჯგროთ მოაწვა ახალი პედაგოგები, რომელთა შორის კუსტინოვიჩიც ერია. ამ პედაგოგებმა ძველი პედაგოგების შეერთებით დაარსეს წრე, რომლის მიზანს შეიცავდა, რაც შეიძლება—შებორკოს, შეზღუდოს მოწაფეთა თავისუფალი აზროვნება, გაავრცელოს მოწაფეებში დუხჭირი აზრები, აღუძრას მათ სიძულვილი სამშობლოსადმი და ამ რიგად მოწაფეები გახადოს აბსოლიუტიზმის მოტრფიალე.

1908 წ. იანვარში გამართული იყო სადამო აკაკი წერეთლის სახელზე. სადამოს თვით ჩვენი მხცოვანი პოეტიც დასწრო. სადამოს პროგრამაში სხვათა შორის შედიოდა რეფერატების კითხვა მოწაფეების მიერ. პირველი რეფერატი აკ. შანიძემ (მერვე კლასის მოწაფემ) წაიკითხა. რეფერატის შესავალში იგი შეეხო აკაკის წინა დროებებს და აგრეთვე აღნიშნა რუსთა მოხელეების უდიერი საქციელი ქართველების მიმართ. ამის გამო შანიძე კინაღამ გამორიცხეს კიმნაზიიდან. იმიტომ, რომ შანიძემ სიმართლე სთქვა და არც იცოდა, თუ ამ სიმართლის თქმით შეილახებოდა რუს პედაგოგთა პიროვნება.

190⁸/₉ სამოსწავლო წელს კიდევ შემდეგი

საუკურადღებო ამბავი მოხდა: მეშვიდე კლასის მოწაფეები აუჯანუდენ მასწავლებელ იურკევსკის.

უკანასკნელი მეტად ღრმა ფანატიკოსი იყო და თითქმის სხვა პედაგოგებზე უფრო ინტენსიურად უმაგრებდა ფესვებს გარუსების პოლიტიკას. ამ აჯანყებამ იმსხვერპლა ერთი მოწაფე ებრაელი, იგი გიმნაზიიდან გაიძეგეს. აჯანყების მეოთურად ებრაელი ჩარიცხეს. მეორე მოწაფეს, ქართველს, სტიპენდია წაართვეს. მაგრამ ზემო აღნიშნულმა წრემ უფრო თვალსაჩინოდ გაიძიერა თავის შოქმედება მაშინ, როცა ჩვენს საზოგადოებაში კარგად ცნობილმა კუსტინოვიჩმა შელახა ჩვენი ერის წმიდათა წმიდა: ქართულ ენას ცხოველების ენა უწოდა.

ამგვარად კუსტინოვიჩმა უფრო თამამად, პირდაპირ წარმოსთქვა ჯეშმარიტ რუს პედაგოგთა ლოზუნგი: „ქართული ენა ცხოველების ენაა, ზიზღი მას და უპატიურება, მისი აღმოფხვრა სკოლიდან და აღგვა დედამიწისა პირისაგან“. ამაზე უფრო ზნეობრივი დაცემა, უსაქციელობა, უკიდურესი შოვინისტობა, მე მგონია, ეოვლად შეუძლებელია: სკოლაში, მეცნიერების ტაძარში, შელახო მთელი ერის უდიდესი საუნჯე, ერის კულტურის უძლიერესი ფაქტორი—ენა, რომელიც, უშინსკის სიტყვით, „ერის სრული და სარწმუნო მატიანე ხალხის სულიერ და მრავალ-საუკუნე-განვლილ ცხოვრებისა და იგივეა უდიდესი ხალხის მოძღვარი, მასწავლებელი ხალხისა უხსოვარის დროიდან, როცა ჯერ კიდევ არც წიგნი ეოფილა და არც სკოლები“.

თუ ქ—სის ჯაყთა გიმნაზიაში ასეთი ამბები ხდებოდა, ასე მაგრად გაიდგა ფეხი გარუსების პოლიტიკამ, არა ნაკლები საეურადღებო მოვლენა იყო სხვა საშუალო სასწავლებლებშიაც.

190$^{9}/_{10}$ სამოსწავლო წელს აქაურს მეორე საშუალო სასწავლებელში მეექვსე კლასში ორმოცზე მეტი მოწაფე დასტოვეს, მეშვიდეში-კი—32, და აქაც ისევ პოლიტიკა თამაშობდა მთავარს როლს. მღვ. ცქ—შვილის ერთი შვილი მეექვსე კლასში სწავლობდა ზემოაღნიშნულ სასწავლებელში, და მეორე შვილი მეშვიდეში იწერდა ეგზამენს, როგორც ეგსტერნი. როცა პირველს გამოუცხადეს დარჩენა და მეორეც ჩაჭრეს, მათი მამა მივიდა დირექტორთან და სთხოვა—დარიგება მიეცა მისთვის, თუ რა გზას დადგომოდა, როგორ გადაერჩინა უფროსი შვილი (რომელსაც ჯარის კაცად გაწვევა მოელოდა) კაზარმაში ცხოვრებას. დირექტორმა უპასუხა, ჯარის კაცად თუ წავა, გამოიწვრთნება და სამხედრო პირი დარჩებაო; თქვენს შვილებს აქ არა აქვთ ადგილიო, აქ რუსები უნდა მივიღოთო.

ეს სიტყვები ნათლათ ამტკიცებენ, რა მიმართულების განმტკიცებელი ეოფილა დირექტორი.

იმ დროს, როცა ჩვენი პოეტი **ცახელი** შემდეგ მოძღვრებას ქადაგებს:

კაცობრიობა ხესა ჰგავს დიადს,
ტოტებ გადაშლილს და გალაღებულს,
იმის სიცოცხლის ძალთა საზრდელად
ზედა აქვს საზრდო მისს ფესვთა კრებულს.
ეს არის წესი:
თუ გახმა ფესვი
ჭკნობას დაიწყებს ხე ახოვანი
და რა დრო განვლის,
ფუტად ჩაივლის
ფესვთა ამაგი, მრავალ-წლოვანი.
კაცობრიობის ფესვია ერიც,
ის ზრდის მსოფლიოს დიდ აზროვნებას,
და ვინც ერს უკლავს თვისებურებას!
კაცობრიობას დიდს აძლევს ენებას!

და ეს იმის მაჩვენებელია, რომ ქართველ კაცს უკვე შეუგნია—შეუმეცნებია ერის ღირსება-უპირატესობა და მისი მნიშვნელობა კაცობრიობისათვის, უმეტეს ნაწილს რუს პედაგოგებისას, შოვინიზმით ღრმად გამჯდარს

ძველსა და რბილში, ფანატიკური შსოფლმხედველობის მქონეს, საუცხოოდ გაჭეავს სკოლის ცხოვრებაში კაცი-ჭამია ბურიშკევიჩ-ტიმოშკინის და მათგვარს ცრუ პატრიოტთა არა ადამიანური ბრინციპი: შკოლა ჭეშმარიტ რუსთა ბედაგოგებს ქართველ ერის გადასაგვარებელ იარაღად გადაუქცევიათ, ასცდენიან ჭეშმარიტების გზას და უძირო მორევში სტურავენ: ბუნებრივ ძალს, ბუნების შემოქმედებას ეომებიან.

ასეთია დღევანდელი ჭეშმარიტ რუსთა ბედაგოგები, ასეთია მათი საერთო ფიზიონომია. თუ წარსულში „კუზიანები“ თავის ეგოისტურ-შოვინისტური მიზნებით თავისუფლად დათარეშობდენ ბუნებით შეუმწიკვლელ სკოლაში, დღეს კუსტინოვიჩებს დაუჭერიათ მათი ბოზიცია და მართლაც რომ საუცხოოდ ასრულებენ თავიანთ როლს. მაგრამ ხშირად მოწაფეთა ბუნებრივი ნაციონალური ნიჭი, ძალა, წინ უდგება ადმზრდელთა უკეთესთა სურვილს და დიდს ზიანს აძლევს უკანასკნელთ თავიანთ ულოდიკო ბრინციპის შესრულების საქმეში.

ცხადია, რომ დღევანდელ მომენტში ამ გვარი მასწავლებლები ვერ გასდებენ მოწაფეებთან სასიეგარეულო სწავლა-განათლების ხიდს, და ამიტომ ჩნდება ორი მოპირდაპირე მხარე, მეტად სასტიკი და საშინელი.

მოწაფე სასწავლებელში შესვლისთანავე ინსტიქტიურად გრძნობს ძირითად უსამართლობას; უცხო ენის გამეფებას და სამშობლო ენის დაჩაგვრას. გაუგებარ ენაზე დაწყებინეს მას სხვა და სხვა საგნების შესწავლა. ხშირად ისეთი სიტყვები და აზრები შეხვდება ხოლმე, რომლის ასვავლ-დასავლს ის ვერ გებულობს, ამხსნელი კი არ ჭეავს. ამიტომ მოწაფე მიმართავს ერთგვარ უაზრო მეთოდს „ზეპირობას“. მან სულ ზეპირად იცის ისტორია, რუსული სტატიები, ბუნების მეტყველება, ჯეოგრაფია და მრავალი სხვა საგნები, იცის არა საფუძვლიანად, არამედ ზერელეთ და ხშირად უაზროთაც. გერმანულ და ფრანგულ ენათა გაკვეთილების დაზეპირებაში ხომ ბადალი არა ჭეავს. სწავლა მისი იძულებითია და არა ბუნებრივი. ადმზრდელებიც ხუთების დაწერით და თავზე ხელის სმით ამხნევებენ მოწაფეს და ასე გრძელდება მოწაფის ცხოვრება მეხუთე კლასამდი. მეხუთე კლასიდან კი „ზებრობას“ ნიადაგი ეცლება. აქ საჭიროა ცოტად თუ ბევრად ლიტერატურის ცოდნა, ნაკითხობა, განვითარება. თუ მოწაფეს წინა კლასებში ხუთები და ოთხები ჭქონდა, მეხუთე კლასში ისე ჩამოქვეითდა, რომ სამებსაც ძლივ-ძლივობით სწერენ, ხშირად ორებსაც არგუნებენ ხოლმე. მოწაფე ეხლა ზიზღით შეჭეურების მასწავლებელს, ვერ შესძლო კაკვეთილების დაზეპირება. არ არის იშვიათი მოვლენა, რომ მოწაფე მეხუთე კლას ვერ გადასცილებია. მეექვსე, მეშვიდე და მერვე კლასებიც მისთვის უნაყოფოა. რვა წლის განმავლობაში მოწაფეს უაზროდ აზეპირებინებდენ უცხო ენებს, როცა მ. ს შეუსწავლელი ჭქონდა სამშობლო ენა და, მოგეხსენებათ, კედლების აშენება უსაძირკვლოთ ყოველად შეუძლებელია; გეოგრაფია ისე შეასწავლეს, რომ ნათელი წარმოდგენა არა აქვს ქვეყნის მდებარეობაზე: ევროპა აზიაში ჭგონია და უკანასკნელი პირველში; მათემატიკა რადაც უაზრო, ცხოვრებაში გამოუსადეგარ საგნად მიაჩნია; ისტორიაც ძალიან ნაკლებად იცის; მოწაფე რვა კლას ათავებს და რიგიანად არ შეუძლია თავისი აზრი გადასცეს რუსულ ენაზე. სხვა საგნების ცოდნაშიაც ასეთს სიიოჩალეს იჩენს; ქართული ენის და ლიტერატურის ცოდნა მისთვის ხომ სიზმარს წარმოადგენს. მართალია, დღეს გიმნაზიებში მეშვიდე კლასამდი გრძელდება სამშობლო ენის სწავლება, მაგრამ ქართულ ენას მეხუთე-მეექვსე კაკვეთილები აქვს დათმობილი, როცა მოწაფე დადალულ-დაქანცულია, არაქათ გაშო-

ლეული, და რა გასაკვირველია, რომ იგი, რაც უნდა დიდი სიყვარული ჰქონდეს სამშობლოსი, დიდს ადგილს იჩენს ქართული ენის შესწავლაში; სიმართლე რომ ადვილოთ, პედაგოგების იძულებითმა სწავლებამ იმნაირად მოაგვარა მოწაფის სულიერი ცხოვრების განწყობილება, რომ მას ხელი აადგია სამშობლო ენის შესწავლაზე.

თვით კლასში მეოთხის დროს მოწაფის სულიერი მდგომარეობა ავტომატიურია, უგრძნობარი, მოდუნებული: მზის სხივებს დაუკარგავს მისთვის სიცოცხლის ნიშან-წყალი, სინათლეც ბნელით არის მოცული. მასწავლებლის ნალაპარაკევ-ნაამბობი არავითარ ხალისს არ იწვევს მოწაფის სულში; რუსის ერის დიდებასა და უბერატესობაზე ებაასებიან მას; ხშირად ქართველებს იღებენ მაგალითად და მზაკვრულად, სარკაზმულად დასცინიან მათ; ცოცხალი აზრების მაგივრად ტრედიაკოვსკის, თეოფანე პროკოპოვიჩის, სტეფანე იავორსკის და მათგვარ მწერალთა საწარმოებს მოუთხრობენ ხოლმე. მოწაფეს ხული ეხუთება, სურს გარეთ გავიდეს, მაგრამ მასწავლებელი წინ ედობება მას. მთელი სუთი საათის განმავლობაში მოწაფე ასეთს სულიერ ტანჯვას, დრამას განიცდის.

ასე გადიან დღეები, თვები და წლები. ხანგრძლივი სულიერი ტანჯვა-მღელვარება იწვევს სულიერად დასუსტებას, დაუძლურებას, თუ სულმა ვერ მიაღწია თავის საწადელს. მოწაფისათვის გიმნაზია და მასზე გარშემორტემული გალავანი ნამდვილი კონკრეტიული სატუსაღო, კაზარმაა.

ამგვარად გიმნაზიიდან გამოდიან სულით უძლურნი, მცირე ცოდნით აღჭურვილნი ცხოვრების ასპარეზზე გამოსასვლელად, მადალს იდეალს მოკლებულნი. ისინი ვერ იცნობენ ცხოვრების შინაარს, ევროპის ხომ არა გაეგებათ რა, აკრეთვე ვერ იცნობენ ვერც ევროპის ლიტერატურას; უმთავრესად სამშობლო ქვეყნის ზნე-ჩვეულება, მისი ისტორია, გეოგრაფია (როგორც ძველი, ისე ახალი) და კულტურა მათთვის შეუტეობელ-შეუმეცნებელია. ისინი მიდიან უნივერსიტეტში, და რომ ჰკითხოს ვინმემ, კავკასიაში ვინ სცხოვრობენო, უპასუხებენ „სომხებიო“. ისინი, ვით „კიკოლიკი“, [1]) ეურებს ჩამოჭერიან მცოდნე და შეგნებულ ბოლოხელის წინ, როცა უკანასკნელი იტალიის შესანიშნავ გმირზე მოუთხრობს ამბანაგებს.

უნივერსიტეტის გათავების შემდეგ ბრუნდებიან სამშობლო ქვეყანაში და შესანიშნავათ ასრულებენ „კიკოლიკის“ როლს, ვინც სხვა და სხვა მიზეზთა გამო ვერ ათავებს გიმნაზიას, ეწერება „დათიკოსა“ [2]) და „იერემია წარბა-ს [3]) რაზმში. ამნაირად გიმნაზია გვიზრდის ისეთს მამულიშვილებს, რომელიც არიან ზემო დასახელებული ტიპები. მაგრამ შესამჩნევი ის არის, რომ ეს სამი პიროვნება, პირველი წარმომადგენელი ჩვენი ინტელიგენციისა, და ორი უკანასკნელი—ჩოხოსნები, დღესაც ბევრი აგვაკვს, „კიკოლიკები“, მოგეხსენებათ, კაბინეტურ ცხოვრებას მისდევენ, ჯერ ჯიბის გასქელებაზე ზრუნავენ და შემდეგ საზოგადო კეთილდღეობაზე; თვალჭუჭუნა ბოგოს შესცქერიან და მარტო სახელის მოხვეჭის ინტერესი ოუ აქვთ. (მათი ნალაპარაკევი საზოგადო კეთილდღეობაზე მარტო სიტყვების რახუნია და სხვა არაფერი). „დათიკოებს“ და „იერემიებს“ თქვენ ეოუოდ დაინახავთ საქართველოს ეოველ კუთხეში, სოფელსა, დაბასა თუ ქალაქში. თქვენ იკითხავთ, რას აკეთებენ ისინი? მეც გიპასუხებთ: ისინი არიან დაუდევარნი, ზარმაცნი, მუშაობის მოძულენი, ლოთობის მოყვარულნი, ქალებთან

---

[1]) გ. წერეთლის თხზულება „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“.

[2]) გლახის ნაამბობი ი. ჭავჭავაძისა.

[3]) პირველი ნაბიჯი გ. წერეთლის.

უტიფარნი და ძმაზე ხმალ მომარჯვებულნი. აი, რა შეადგენს მათი ცხოვრების საკანს. დიახ, ბატონებო! გიმნაზია ამგვარ ადამიანებს გვაძლევს, ასეთს შემოქმედებას იჩენს ადამიანის ცხოვრების პროგრესის გზაზე დაუენებაში. ასეთია თანამედროვე გიმნაზია.

თქვენ ეხლა დარწმუნებული იქნებით, რომ გიმნაზიას არ შეუძლია მძიმე ტვირთი მოხსნას ჩაგრულ ქვეყანას, არ შეუძლია გამოზარდოს ადამიანი ამ სიტუვის ნამდვილი მნიშვნელობით.

შეიძლება ვინმემ სთქვას: „ილია ჭავჭავაძემ, გიორგი და აკაკი წერეთლებმა და სხვა ჩვენმა მწერლებ-მოღვაწეებმა განა გიშნაზია არ დამთავრესო? მაგრამ მე გიპასუხებთ, რომ გიმნაზია ზემოხსენებულ მწერალთა განვითარების მაგიერ სცდილობდა მათი ჭკუაგონების დახშობას, და თუ ისინი კარგნი დარჩნენ, ამის მიზეზია ბუნებრივი შემოქმედებითი ნიჭი, რომელსაც სასტიკი ოპოზიცია გაუკეთებია სკოლის უკუღმართობისათვის.

გიმნაზიების არსებობა ჩვენში ეოვლად უსაფუძვლო და უნაყოფოა. ამიტომ უნდა მოხდეს გიმნაზიების სრული რადიკალური ცვლილება, უნდა გარდიქმნას იგი არსებითად, და უნდა განიდევნოს სკოლიდან პოლიტიკა და ეხლანდელი გიმნაზიის მაგივრად უნდა აშენდეს სრულიად ახალი, ეროვნულ-ნაციონალური სკოლა, რომელიც მოგვცემს ჩვენ მცოდნე თავდადებულს მამულიშვილებს-გმირებს, რომელნიც წამოაყენებენ ფეხზე და სრულიად განჭკურნავენ სხვა და სხვა მწვავე იარებისაგან ჩვენს მრავალწამებულს, ორი ათასი წლის ბრძოლით დალილ-დაქანცულ, „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტს, ჩვენს საამშობლო მხარეს“, რომ უკანასკნელმა ბოლო დროს მაინც თავი მიანებოს ხანგრძლივ ძილს, გამოეფხიზლდეს, გაძლიერდეს, განვითარდეს, შეიგნოს ფილოსოფია — საბაბი არსებული საამყაროსი და შეიტანოს თავისი საკუთარი წვლილი კაცობრიობის სიტუვისა და აზრის საალრაში.

გმირა უდრეკელი.

აკაკი და მსოფლიო გოდების პოეზია

„ცრემლში ნალესი ნაღველი მინდა რომ მელნად ვიხმაროო“, გვამცნევს ჩვენი სახელგანთქმული პოეტი და განუწყვეტლივ იმეორებს ამ გრძნობა-აზრს „ჩემს შარბათში ნაღველს ვეკვრეტ და ვარდში ეკალს“, კვლავ გვაგონებს იგი, მწუხარებით გულდაწყვეტილი. „შხამ-ნაღველი და ძიმწარე კალამსა და ცრემლები ამ ჩემ შემკრთალ წერასა“, გაიმეორებს და ღრმა ხაზს გაუსვამს ამ დედა-ძარღვს თავისს ქმნილებისას. ეს ჰანგი, რომელსაც აკაკი თითქმის განუწყვეტლივ დაჰკვნესის, მისს პოეზიას აძლევს პესსიმისტიურს ელფერს და გადაქმნის მსოფლიო გოდების მელოდიად“.

თვითოეული მძლავრი პოეტის ნაწერებში შეგვიძლიან გამოვნახოთ ისეთი ნაწყვეტები, რომელნიც დაახასიათებენ წინაღებულს აზრს, კრიტიკის მიდრეკილებას. ჩვენ არ ვაპირებთ ვერაგობით დიდებულს მგოსანს თავს მოვახვიოთ ტენდენციური მისწრაფება. დააკვირდით

მისს მრავალგვარ ნაწერებს და თვით დარწმუნდებით, რომ ერთი სიმი უფრო ხშირად ჟღერის, ერთი გრძნობა უფრო ხმამაღლივ გაისმის: ეს ის გრძნობაა, რომელიც პოეტისთვის „კრემლში ნალესი ნაღველია“, ანუ „ნაღვლიანი მდუღარეობა“; ამით აიხსნება, რომ მთელი კრებული მისი ნაწარმოებისა გაიყოფება ორ დარგად: სატირად და ელეგიად. აკაკი ეკუთვნის იმ მწერალთა ჯგუფს, რომელსაც ასულდგმულებს და აღაფრთოვანებს „მსოფლიო მწუხარება“. ამ „მსოფლიო გოდების პოეზიის ებრაელთა შორის წარმომადგენელია მეფე სოლომონ, რომელმაც ჭმუნვარებით აღიარა არარაობა მსოფლიო დიდებისა: „ამაობა ამაობათა და ყოველივე ამაო“. მას ბანს აძლევს სპარსელი პოეტი ომამ ხაიხმი, იტალიელი ლეოპარდი, ინგლისელი ბაირონი და სხ. საინტერესოა, რომ აკაკის ყურადღება ახალგაზდობაშივე მიიპყრო იმ მსოფლიო ჭმუნვის მგოსანმა, რომელიც გამეფდა მთლად ევროპიულს პოეზიაში. და სთარგმნა ბაირონით „გოდება ებრაული“ და „იაფთაას ასული“.

არც გასაკვირველია, თუ ჩვენი პოეტიც გაიტაცა ბაირონის მიმართულებამ. დაფერფლული ნაციონალური გრძნობა, დაჩაგრული საზოგადოება, მივიწყებული წარსული და უიმედო აწმყო თავისს მწუხარების ბეჭედს ასვამს პოეტის ნაზს გულს და სასოწარკვეთილებამდე მიჰყავს. პირადი უსიამოვნება მხოლოდ აცხოველებს ამ ზოგადს ჭმუნვას და სულის კვეთებას. ამიტომაც იგი ხშირად ემდურის ბედს, მოსთქვამს მწარედ „გულის მოდუნებას და ოცნების გაფანტვას“. იმედ გაცრუებულს პოეტს გაუქრა საამური ჩვენება და თვალთაგან გადეშალა „დედი-ნაცვლის, პირშავი სამშობლოს“ სურათი. იგი შეუწყნარებელი და შეურიგებელია ამ სოფლად, სადაც „დაიარება მარტოკა-ობლად“, „დევნილი ყველასაგან საქმით და სიტყვით“. წადილი ვერ აუსრულდა, მისი იდეალი ვერსად მოინახა“. წინააღმდეგ, მეგობარმა უღალატა, სატრფომ სხვაზე გასცვალა, ცხოვრებამ ტკბილი წყაროს მაგივრად მწარე სამსალა შეასვა, ია ვარდის მაგივრად სარბელი ჭინჭრით მოუფინა. ეკლით ნაჩხვლეტს პოეტს სასოწარკვეთილებამდის მიუღწევია, როცა გვამცნევს წარსული აღარ მარგებს მომავალი მენანებაო. ამ აღსარებით იგი უერთდება ლეოპარდს ქვეყნიური ამაობის შეგნებით და ლერმონტოვს სიკვდილისაკენ მისწრაფებით: „ღმერთსა ვვედრებ, რომ მეღირსოს საფლავში დაძინება, სჯობს სულ განქრეს კაცი, რადგან მტვერია“. თუ ლეოპარდი გაიძახდა, რომ მე შევნატრი მიცვალებულთ და მხოლოდ მათთან მსურს ხვედრის გაცვლაო, აკაკიც სწორედ ამ დასკვნას გამოიტანს ცხოვრების დაკვირვებიდან: „სიცოცხლე არის მონება, სიკვდილი განსვენებაო“.

ს. ხახანაშვილი.

კრწანისში გასეირნება

კრწანისი ის ადგილია, სადაც უკანასკნელად გადაწყდა საქართველოს ბედი, სადაც ქართველობამ უკანასკნელი ძალღონე შეალია მტერის მოგერებას, მაგრამ ურიცხვმა მტრმა სძლია, გაანადგურა ტფილისი და ბოლო მოუღო საქართველოს თვით-არსებობას. ამ საისტორიო და ქართველთა სისხლით გაჟღენთილი ადგილის დასათვალიერებლად ღვინობისთვის 21 გაემგზავრნენ ტფილისის ქართული გიმნაზიის მესამე კლასის მოწაფეები მასწავლებლებით და ალმზდელებით. დღე მშვენიერი იყო. ქართულ გიმნაზიიდან მოწაფეები ტრამვაით ჩავიდნენ ორთაჭალამდის. გზაზე ყველას სიამოვნება ეტყობოდა სახეზე. ჩამოვხტით ორთაჭალაში და შეუდექით კრწანისის გზას, გავიარეთ ბაღები და მივადექით

მოწაფეები კრწანისის ბაღების ორღობეებში

ერთს დუქანს. მცირე დასვენებისა და საუზმის შემდეგ შევუდექით ადგილის დათვალიერებას. მაღლობიდან მოსჩანს კრწანისის ბოლო, სადაც დაბანაკდა აღა მაჰმად-ხანი სამოცდა ათი ათასი მეომრით. აჰა ტაბახმელის გზაც, კოჯრიდან ტფილისში მომავალი, საიდამაც მტერი ჩამეუშვა სოლოლაკში და ააოხრა ტფილისი. გავედით ბრძოლის ველზე. აქ თვალწინ წამოგვიდგა საზარელი სურათი ხოცვა-ჟლეტისა. აჰა ადგილი, სადაც გადაწყდა ქვეყნის მომავალი, სადაც დაიწერა საშინელი განაჩენი, სადაც მრავალ ტანჯული ქვეყანა არ შედრკა შავი დღის წინ და მედგრად წარსდგა სასტიკის მტრის წინაშე. გავედით ველზე. შემოდგომის მზე მხიარულად ათბობდა დედამიწას. მეცხვარეებს ფარა გაეშალათ მთის ფერდოებზე და თავიანთ ქოფაკებით ფხიზლად ავლებდენ თვალს არე მარეს. აქ მოწაფეებს უამბეს და გაახსენეს ის გოდებისა და ზარის დღე, რომელიც გაუთენდა საქართველოს 1795 წლის სექტემბრის 10. აქ ყველას თვალწინ

წამოუდგა შარავანდედით შემოსილი და ქვეყნისთვის თავდადებული მეფე ერეკლე. მოაგონდათ გ. ორბელიანის ნაღვლიანი სიტყვები ერეკლეს შესახებ „ივერი ველარ იხილავს ირაკლის ხმალსა მღელვარეს, დიდება ივერიისა მასთან მარხია სამარეს,—მოაგონდათ ერეკლეს დიდებული სურათი „მოხუცის ნაამბობიდან“—

„მთელი სიტურფე ქართლისა
იმას ესვენა მხარზედა,
როგორაც შუქი მთვარისა
იალბუზისა ქედზედა“.

თვალწინ წარმოგვიდგა, გმირი მაჩაბელი თავისი რაზმით, სამასი თუშ-ფშავ-ხევსურნი, რომელთაც ფიცი დასდვეს, ვაჟ-კაცის ფიციც წმინდად შეასრულეს და მამაცურად შეაკვდნენ მტერს,—წარმოგვიდგა საზარელი სურათი ბრძოლის ველისა, ვეებერთელა კრწანისის მიდამო ქალაქის გალავნამდე დაფენილი დახოცილ მეომრებითა. ამდენ ხანს მხიარული სახე მოწაფეებს დაუნაღვლიანდათ. თითქოს ბუნებამაც ხმა მისცა ამ ნაღვლიანობას, უცებ მოიღურბლა და წამოწვიმა კიდეც, მაგრამ აღმოსავლეთით უეცრად გამოჩნ-

მოწაფენი ტაბახმელის მთის ძირში, იტქირ. კოჯ. სოდოლაკში მიმავალ გზისკენ.

და საუცხოო სანახავი—ვეებერთელა ფერადი ცისარტყელა რკალივით ვადაეკრა ცას, მას მოჰყვა მეორე ცისარტყელაც და აფერადდა ცა. დიდხანს ვუცქერდით ამ საოცნებო სურათს. ერთმა მოწაფემ მხიარულად წარმოსთქვა: ეს ცისარტყელა ნუგეშის და იმედის მომასწავებელიაო და თან დაუმატა აკაკის ლექსი:

„მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა გმირი,
სიხარულად შეეცვლება
ამდენი ხნის გასაჭირი“.

გრძნობით აღვსილნი მოწაფენი ისევ იმ გზით დაბრუნდნენ ტფილისში, კმაყოფილნი ნახულისა და გაგონილისა.

დამსწრე.

ბიბლიოგრაფია

სიმონ ქვარიანი.—საქართველოს ისტორია. შემოკლებული კურსი ფასი 25 კაპ. ქუთაისი 1910 წ. (127+III—გვ.)

ბევრს ვლაპარაკობთ და ვსწერთ კიდევაც მოზარდ თაობის ეროვნულ ნიადაგზე აღზრდის საჭიროებაზე. ხოლო ამ აღზრდის რეალურად ხელის შემწყობ კონკრეტულ პირობებზე და საშუალებებზე ცოტასლა ვფიქრობთ. ცნობილია, მაგალითად, რომ სასწავლო საგნებთა შორის სკოლებში ყველაზე უფრო ეროვნულ გრძნობას და თვითშეგნებას ავითარებს და ზრდის მოწაფეთა გულში და გონებაში სამშობლო ისტორიის სწავლება (რასაკვირველია, რაციონალურად დაყენებული). და აი სწორედ ამ უკანასკნელ საგანში ჩვენ დღემდე არ მოგვეძებნებოდა (თუ არ მივიღებთ მხედველობაში ამ 28 წლის წინად (1882 წ.) თბილისში გამოსულს ო. ცამციევის მიერ სუსტად შედგენილს „შემოკ. საქართვ. ისტორია“-ს) სისტემატიურად შედგენილი **სპეციალური სახელმძღვანელო**. ამიტომ ყოველს ეჰვს გარეშეა, რომ ბ-ნი ს. ქვარიანი, რომელმაც წელს ჩვენს სკოლას შესძინა მშვენიერის ენით, მოკლედ და მკაფიოდ დაწერილი კურსი „საქართველოს ისტორია“, დიდ და გულწრფელ მადლობის ღირსია, როგორც თვით მოწაფეთაგან, აგრეთვე მათ მშობელ-მასწავლებელთაგანაც.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ბ-ნ ქვარიანის წიგნს ჩვენს სკოლებში დიდი გასავალი ექმნება, ასე რომ ახლო მომავალში სწორედ მას მეორედ გამოცემა დასჭირდება. ამიტომ საჭიროდ ვრაცხთ აქ ვუჩვენოთ— მოკლედ მაინც—ზოგიერთ იმ ნაკლულევანებებზე, რომლებიც ჩვენ შევამჩნიეთ წიგნის კითხვის დროს და რომლებიც, ჩვენის აზრით, შემდეგს გამოცემაში უსათუოდ უნდა იქმნას შესწორებულნი.

პირველი ნაკლულევანება ბ-ნ ქვარიანის „ისტორიისა“ ისაა, რომ მასში არ არიან მოთავსებულნი ცნობები ზოგიერთ იმისთანა ღირს შესანიშნავ ფაქტორებზე და მოვლენებზე სამშობლო ისტორიიდან, რომლებიც უსათუოდ უნდა იცოდნენ მოწაფეებმა. მაგალითად, მეთექვსმეტე თავში (გვ. 23) ბ-ნი ქვარიანი სწერს: ...ვახტანგმა პირველად დაადგინა საქართველოში კათალიკოსიო—და ამასთან კათალიკოსის უფლების და როლის შესახებ სამეფოში არას ამბობს. როგორც ვიცით, კათალიკოსები ჩვენში დიდის ავტორიტეტით იყვნენ აღჭურვილნი და მეფეებთან ერთად ისინი სამეფოს უმთავრეს ბედის გამგეებად ითვლებოდნენ. ისტორიულ ცხოვრების ჩარხის ბრუნვა ჩვენში თანაბრად დამოკიდებული იყო როგორც ხორციელ მეფიდგან, აგრეთვე სულიერ მეფე-კათალიკოსიდანაც. საჭირო იყო ამიტომ ბ-ნ ქვარიანს კათალიკოსთა ინსტიტუტის მნიშვნელობისათვის ჩვენში ცალკე თავი (მეჩვიდმეტე) ეძღვნა .. ძუნწობს ჩვენი ავტორი ცნობებზე 44 გვერდზედაც. ეჰ, სხვათა შორის, ნაჩვენებია დავით აღმაშენებელის დროს მომხდარი სასულიერო კრება. ხოლო თუ როდის

ან სად მოხდა ეს კრება არაფერია ნათქვამი, არაფერია აგრეთვე ნათქვამი იმაზედაც, თუ რა სახელითაა ცნობილი ამ კრების დადგენილება. ეჰვს გარეშეა აქ „ძეგლის წერის“ დამდგენელი 1103 წლის რუის-ურბნისის სასულიერო კრებაა ნაგულისხმები, რომელს ჩვენს ისტორიულს ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და რომლის შესახებ მოწაფეებს უსათუოდ უნდა ჰქონდეს სრული და სწორი ცნობები. არ უნდა იქმნას გამოტოვებული აგრეთვე დავით აღმაშენებელის დროის ცნობილ პირთა სიიდან არსენ იყალთოელი, როგორც ამას შვრება ჩვენი სახელმძღვანელოს ავტორი... არსენი იყალთოელი იმისთანა მსხვილი ფიგურაა ჩვენს ისტორიულ ცხოვრების ნამყოდან, რომ მოწაფისათვის მისი არ ცოდნა—ცოდვაა. *)

შემდეგი ნაკლულევანება ბ-ნ ქვარიანის წიგნისა იმ ფაქტიურ შეცდომებშია, რომლებიც ერთ-ორ ადგილას კონდრაბანდად შეპარვია მას. აი, მაგალითად, 35 გვერდზე ჩვენი ავტორი მარტვილის მონასტრის აღშენებას მიაწერს ბაგრატ **III** (980—1014 წ.). „ქართ. ცხოვრ.“-ის, ვახუშტის და სხვა მოწმობების მიხედვით კი ვიცით, რომ მარტვილი დააფუძნა გიორგი II აფხაზეთისამ (921—955 წ.). (იხ. „ქარ. ცხ.“ ზ. ჭიჭინაძის გამოც. წ. II, გვ. 285 „საქართ. გეოგრაფია“—ვახუშტისა გამოც. მ. ჯანაშვილის რედაქტ. გვ. 295; შეად. „ქრონ.“ თ. ეორდანიასი წ. I, გვ. 84). ეს ერთი. მეორე—120 გვერდზე მეფე ირაკლი II-ის წინააღმდეგ შეთქმულობის მომხრეთ პირებზე ბ-ნი ქვარიანი შენიშნავს... შეთქმულება დროით შეიტყო ერეკლემ, შეიპყრო მოღალატენი და გადასცა სამჯავროს, რომელმაც სცნო ისინი დამნაშავეთ და მიუსაჯა სიკვდილით დასჯა. ეს განაჩენი მეფემ მოიყვანა სისრულეში“... ეს სწორედ ასე იყო. მაგრამ აქ ჩვენს ავტორს ერთი რამ დავიწყებია, რომელიც მეტად სიმპატიურ მხრით ხატავს გმირ—მეფეს. საქმე აი რაშია. კრებამ მოღალატეებს მართლა სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. ირაკლი კი ამით უკმაყოფილო დარჩა, ვინაიდგან **იგი სიკვდილით დასჯას წინააღმდეგი იყო.** მაგრამ ბოლოს კრებამ მაინც თავისი გაიტანა. მეფე დაიყოლია და ის იყო რომ მოღალატეებს თავები მოკვეთეს (იხ. „მასალ. საქართ. ისტ.“ შეკ. ბატონიშვილის დავით გიორგისძის და მისი ძმების მიერ—თბილ. 1906 წ. გვ. 14). განკერძოებით მეფის ამგვარ სულგრძელების ჩვენებას გარდა მისა, რომ ბრწყინვალე შარავანდედს მოფენდა პატარა კახის სახელს, მოწაფეთათვის დიდი ზნეობრივ-აღმზრდელობითი მნიშვნელობაც ექმნებოდა.

ნაკლულევანებად უნდა ჩაითვალოს ბ-ნ ქვარიანის წიგნში აგრეთვე ხშირი გრამატიკული შეცდომები მასში. საპედაგოგიო ლიტერატურაში აქსიომადაა უკვე მიღებული ის აზრი, რომ სახელმძ-

*) საზოგადოთ ბ-ნ ქვარიანი ძველ საქართველოს კულტურულ ცხოვრების აღწერას ცოტა ყურადღებას აქცევს და განსაკუთრებით მოგვითხრობს ომებზე. მაგრამ ისტორიის სახელმძღვანელოში, რომელიც ყოველ მხრივ სარკე უნდა იყოს ერის წარსულ ცხოვრებისა, მარტოოდენ ომების აღნუსხვა საკმარისი არ არის. ჯეროვანი ადგილი ისტორიის კურსებში ერის შინაურ ცხოვრების სტრუკტურას (ვრცელი მნიშვნელობით ამა სიტყვებისა) და მის მამოძრავებელ ძალების აღწერასაც უნდა დაეთმოს...

ს. ც.

ღვანელო წიგნები ყოველ გვარ შეცთომების გარეშე უნდა იდგნენ. როგორც ვიცით, მოსწავლე სახელმძღვანელო წიგნებში (რომელ საგნიდანაც არ იყოს—სულ ერთია) მხედველობის მიჩვევით, ან ეგრედ წოდებულ თვალების აკომოდაციის შემწეობით, სრულიად მექანიკურად მართლ წერასაც ითვისებს. ამიტომ შეუწყნარებელია, როდესაც ჩვენი ავტორის წიგნში სიტყვა თბილისი სამი სახით დასვირნობს (თბილისი—თფილისი—ტფილისი...).

პროვინციალიზმებიც ამ მხრით სახელმძღვანელოებში გასაკიცხია და მათი ხმარება ზედმეტად უნდა ჩაითვალოს *).

როგორც სახელმძღვანელოსთვინ ბ-ნი ქვარიანი კარგს იზამდა, რომ თავის „ისტორიისთვინ“ ცალკე კარტაც დაერთო. უფრო კარგი იქმნებოდა, რომ თვით ტექსტიც დაესურათებია ცნობილ ისტორიულ პირების, მეფეების ღირს შესანიშნავ. არხეოლოგიურ ნაშთების და etc. სურათებით. ისტორიის ელემენტარულ კურსებში ეს უკანასკნელი წესი ეხლა საყოველთაოდ მიღებულია. სურათებს, როგორც ვიცით, სასწავლო საგნების შესათვისებლად დიდი მნემონიური მნიშვნელობა აქვთ.

ზედმეტი არ იქნებოდა აგრეთვე, რომ ბ-ნ ქვარიანს წიგნის ბოლოში უუმთავრეს ისტორიულ პირთა და მოვლენათა შესახებ ქრონოლოგიური მაჩვენებელიც მოექცია. მოწაფეთათვის საგნის განმეორების დროს ამას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ექნებოდა.

*) მეტად უხვია ბ-ნი ქვარიანი სიტყვების პროვინციალურ ფორმების ხმარებით. იხ. მაგალ. „ისტ.“ გვ. 29, 61. 82, 93, 94, 100, 104. 109, 121, 125 etc.

დასასრულ კიდევ ერთი შენიშვნა. 119 გვერდზე ბ-ნი ქვარიანი სწერს: „ერეკლემ მოახდინა სასულიერო პირთა **მსოფლიო** (!?) *) კრებაო“. აქ სწორედ ავტორს lapsus calami მოსვლია. ეჭვს გარეშეა ბ-ნ ქვარიანმა იცის თუ რა არის მსოფლიო კრება. სწორედ მას აქ სურდა ეთქვა—ერეკლემ მოახდინა **სრულიად** საქართველოს სასულიერო პირთა კრებაო—და გაუფრთხილებლობით წამოსცდა სიტყვა მსოფლიო.

ამ ნაირად, ვიმეორებთ, **საჭიროა** ჩვენ მიერ ზემონაჩვენები შენიშვნები სახეში მიღებულ იქმნას წიგნის მეორედ გამოცემის დროს. ნამდვილია ბ-ნ. ს. ქვარიანის „კურსი“ მოკლე ეპიზოდური კურსია. მაგრამ ჩვენ მიერ ნაკარნახევი ცვლილებანი ისეთი ხასიათისაა, რომ ისინი მოკლე კურსშიაც უსათუოდ უნდა იქმნან შეტანილნი.

ეჭვს გარეშეა—ჩვენი desiderata-ს განხორციელება მეტს ხარჯს და შრომას მოითხოვს, ვინემ „ისტორი“-ის პირველი გამოცემა. მაგრამ დეე მეტი შრომა და ხარჯიც გადაგვხდეს, მხოლოდ გვექმნეს კი რაციონალურად შედგენილი სახელმძღვანელო!... **სამ. ცომაია.**

*) კურსივი ჩვენია.

შეცდომის გასწორება: ბ-ნი ნატროშვილის წიგნის გარჩ. შემ. კორეკ. შეცდომები:

გვერ.	სვეტი	მწკ.	არის	უნდა იყოს
433	2	4 (ქვევ.)	დასამტკიცებლად	დასაკმაყოფილებლად
—	—	11 (ზევ.)	ხატავს,	სახტად
434	1	1 (ქვევ.)	ციტატიის	ციტაციის

ან სად მოხდა ეს კრება არაფერია ნათქვამი. არაფერია აგრეთვე ნათქვამი იმაზედაც, თუ რა სახელითაა ცნობილი ამ კრების დადგენილება. ეჭვს გარეშეა აქ „ძეგლის წერის“ დამდგენელი 1103 წლის რუის-ურბნისის სასულიერო კრებაა ნაგულისხმები, რომელს ჩვენს ისტორიულს ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და რომლის შესახებ მოწაფეებს უსათუოდ უნდა ჰქონდეს სრული და სწორი ცნობები. არ უნდა იქმნას გამოტოვებული აგრეთვე დავით აღმაშენებელის დროის ცნობილ პირთა სიიდან არსენ იყალთოელი, როგორც ამას შვრება ჩვენი სახელმძღვანელოს ავტორი... არსენი იყალთოელი იმისთანა მსხვილი ფიგურაა ჩვენს ისტორიულ ცხოვრების ნამყოდან, რომ მოწაფისათვის მისი არ ცოდნა—ცოდვაა. *)

შემდეგი ნაკლულევანება ბ-ნ ქვარიანის წიგნისა იმ ფაქტიურ შეცდომებშია, რომლებიც ერთ-ორ ადგილას კონდრაბანდად შეპარვია მას. აი, მაგალითად, 35 გვერდზე ჩვენი ავტორი მარტვილის მონასტრის აღშენებას მიაწერს ბაგრატ III (980—1014 წ.). „ქართ. ცხოვრ.“-ის, ვახუშტის და სხვა მოწმობების მიხედვით კი ვიცით, რომ მარტვილი დააფუძნა გიორგი II აფხაზეთისამ (921—955 წ.). (იხ. „ქარ. ცხ.“ ზ. ჭიჭინაძის გამოც. წ. II, გვ. 285 „საქართ. გეოგრაფია“—ვახუშტისა გამოც. მ. ჯანაშვილის რედაქტ. გვ. 295; შეად. „ქრონ.“ თ. ეორდანიასი წ. I, გვ. 84). ეს ერთი. მეორე—120 გვერდზე მეფე ირაკლი II-ის წინააღმდეგ შეთქმულობის მომხრეთ პირებზე ბ-ნი ქვარიანი შენიშნავს.... შეთქმულება დროით შეიტყო ერეკლემ, შეიპყრო მოღალატენი და გადასცა სამჯავროს, რომელმაც სცნო ისინი დამნაშავეთ და მიუსაჯა სიკვდილით დასჯა. ეს განაჩენი მეფემ მოიყვანა სისრულეში“... ეს სწორედ ასე იყო. მაგრამ აქ ჩვენს ავტორს ერთი რამ დავიწყებია, რომელიც მეტად სიმპატიურ მხრით ხატავს გმირ—მეფეს. საქმე აი რაშია. კრებამ მოღალატეებს მართლა სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. ირაკლი კი ამით უკმაყოფილო დარჩა, ვინაიდგან **იგი სიკვდილით დასჯას წინააღმდეგი იყო**. მაგრამ ბოლოს კრებამ მაინც თავისი გაიტანა. მეფე დაიყოლია და ის იყო რომ მოღალატეებს თავები მოკვეთეს (იხ. „მასალ. საქართ. ისტ.“ შეკ. ბატონიშვილის დავით გიორგისძის და მისი ძმების მიერ—თბილ. 1906 წ. გვ. 14). განკერძოებით მეფის ამგვარ სულგრძელების ჩვენებას გარდა მისა, რომ ბრწყინვალე შარავანდედს მოფენდა პატარა კახის სახელს, მოწაფეთათვის დიდი ზნეობრივ-აღმზრდელობითი მნიშვნელობაც ექმნებოდა.

ნაკლულევანებად უნდა ჩაითვალოს ბ-ნ ქვარიანის წიგნში აგრეთვე ხშირი გრამატიკული შეცდომები მასში. საპედაგოგიო ლიტერატურაში აქსიომადაა უკვე მიღებული ის აზრი, რომ **სახელმძ-**

*) საზოგადოთ ბ-ნ ქვარიანი ძველ საქართველოს კულტურულ ცხოვრების აღწერას ცოტა ყურადღებას აქცევს და განსაკუთრებით მოგვითხრობს ომებზე. მაგრამ ისტორიის სახელმძღვანელოში, რომელიც ყოველ მხრივ სარკე უნდა იყოს ერის წარსულ ცხოვრებისა, მარტოოდენ ომების აღნუსხვა საკმარისი არ არის. ჯეროვანი ადგილი ისტორიის კურსებში ერის შინაურ ცხოვრების სტრუკტურას (ვრცელი მნიშვნელობით ამა სიტყვებისა) და მის მამოძრავებელ ძალების აღწერასაც უნდა დაეთმოს...

ს. ც.

ღვანელო წიგნები ყოველ გვარ შეცთომების გარეშე უნდა იდგნენ. როგორც ვიცით, მოსწავლე სახელმძღვანელო წიგნებში (რომელ საგნიდანაც არ იყოს—სულ ერთია) მხედველობის მიჩვევით, ან ეგრედ წოდებულ თვალების აკომოდაციის შემწეობით, სრულიად მექანიკურად მართლ წერასაც ითვისებს. ამიტომ შეუწყნარებელია, როდესაც ჩვენი ავტორის წიგნში სიტყვა თბილისი სამი სახით დასეირნობს (თბილისი—თფილისი — ტფილისი...).

პროვინციალიზმებიც ამ მხრით სახელმძღვანელოებში გასაკიცხია და მათი ხმარება ზედმეტად უნდა ჩაითვალოს *).

როგორც სახელმძღვანელოსთვინ ბ-ნი ქვარიანი კარგს იზამდა, რომ თავის „ისტორიისთვინ“ ცალკე კარტაც დაერთო. უფრო კარგი იქმნებოდა, რომ თვით ტექსტიც დაესურათებია ცნობილ ისტორიულ პირების, მეფეების ღირს შესანიშნავ არხეოლოგიურ ნაშთების და etc. სურათებით. ისტორიის ელემენტარულ კურსებში ეს უკანასკნელი წესი ეხლა საყოველთაოდ მიღებულია. სურათებს, როგორც ვიცით, სასწავლო საგნების შესათვისებლად დიდი მნემონიური მნიშვნელობა აქვთ.

ზედმეტი არ იქნებოდა აგრეთვე, რომ ბ-ნ ქვარიანს წიგნის ბოლოში უუმთავრეს ისტორიულ პირთა და მოვლენათა შესახებ ქრონოლოგიური მაჩვენებელიც მოექცია. მოწაფეთათვის საგნის განმეორების დროს ამას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ექნებოდა.

დასასრულ კიდევ ერთი შენიშვნა. 119 გვერდზე ბ-ნი ქვარიანი სწერს: „ერეკლემ მოახდინა სასულიერო პირთა **მსოფლიო** (!?) *) კრებაო“. აქ სწორედ ავტორს lapsus calami მოსვლია. ეჭვს გარეშეა ბ-ნ ქვარიანმა იცის თუ რა არის მსოფლიო კრება. სწორედ მას აქ სურდა ეთქვა—ერეკლემ მოახდინა **სრულიად** საქართველოს სასულიერო პირთა კრებაო—და გაუფრთხილებლობით წამოსცდა სიტყვა მსოფლიო.

ამ ნაირად, ვიმეორებთ, **საჭიროა** ჩვენ მიერ ზემონაჩვენები შენიშვნები სახეში მიღებულ იქმნას წიგნის მეორედ გამოცემის დროს. ნამდვილია ბ-ნ. ს. ქვარიანის „კურსი“ მოკლე ეპიზოდური კურსია. მაგრამ ჩვენ მიერ ნაკარნახევი ცვლილებანი ისეთი ხასიათისაა, რომ ისინი მოკლე კურსშიაც უსათუოდ უნდა იქმნან შეტანილნი.

ეჭვს გარეშეა—ჩვენი desiderata-ს განხორციელება მეტს ხარჯს და შრომას მოითხოვს, ვინემ „ისტორი“-ის პირველი გამოცემა. მაგრამ დეე მეტი შრომა და ხარჯიც გადაგვხდეს, მხოლოდ გვექმნეს კი რაციონალურად შედგენილი სახელმძღვანელო!... **სამ. ცომაია.**

*) მეტად უხვია ბ-ნი ქვარიანი სიტყვების პროვინციალურ ფორმების ხმარებით. იხ. მაგალ. „ისტ.“ გვ. 29, 61. 82, 93, 94, 100, 104. 109, 121, 125 etc.

*) კურსივი ჩვენია.

შეცდომის გასწორება: ბ-ნი ნატრიშვილის წიგნის **კარჩ. შემ. კორეკ. შეცდომები**:

გვერ.	სვეტი	მწკ.	არის	უნდა იყოს
433	2	4 (ქვევ.)	დასამტკიცებლად	დასაკმაყოფილებლად
—	—	11 (ზევ.)	ხატავს,	სახტად
434	1	1 (ქვევ.)	ციტატიის	ციტაციის

მიიღება ხელის მოწერა 1911 წლისათვის

სამეცნიერო—პედაგოგიურს და სალიტერატურო ჟურნალ

„განათლებაზე“

(წელიწადი მეოთხე)

ჟურნალი გამოვა ყოველ თვეში, გარდა ზაფხულის ორის თვისა, იმავე პროგრამით, როგორც ამდენ ხანს გამოდიოდა. ჟურნალი წლიურად ღირს გაგზავნით **სამი მანეთი**, ნახევარი წლით 2 მანეთი. სოფლის მასწავლებელთათვის წლიურად 2 მანეთი. ცალკე ნომრები გასასყიდად არსად არ გაიგზავნება. დაიბეჭდება იმდენი ცალი, რამდენიც ხელის მომწერნი იქნებიან. ხელის მოწერა მიიღება ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში **ივანე ავალიშვილთან** და „ნაკადულის“ რედაქციაში, პროვინციებში კერძო აგენტებთან.

მისამართი: Тифлисъ Дворянская Грузинская гимназія **Луарсабу Герасимовичу Боцвадзе**

P. S. რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს და აგენტებს დროზედ აცნობონ ადრესები, რომლითაც ჟურნალი უნდა გაეგზავნოს ხელის მომწერლებს.

ამ ნომერთან ხელის მომწერლებს გაგზავნებათ ცალკე განცხადება ჟურნალ „განათლებისა“.

შინაარსი: 1 საუბარი სახალხო სკოლაზე **ლ. ბოცვაძისა.** 2 ნაგრძნობ-დანაკვირვები ჩვენი „ინტელიგენტი“ მშობლებ-ნათესავებში. **იპ. ვართაგავასი.** 3. კლას გარედ კითხვა **კახაბერისა.** 4. ვილიამ ჯემსი—საუბარი ფსიხოლოგიაზე **დ. ო—ძისა.** 5. პედაგოგიის ისტორია დ—რ—ვაიმერისა **ნ. ლორთქიფანაძასა.** 6. სამშობლო ქვეყნის მოღვაწენი ნ. ზ. ცხვედაძე **ზ. ჭ—ისა.** 7. მკვდრის დამარხვა საინგილოში **ზ. ედილისა.** 8. ურიული მოთქმითი ტირილი საქართველოში (ლექსი) **აკაკისა.** 9. ძიძა (ძველი თქმულება) **თეო კანდელაკისა.** 10. სალამო (ლექსი) **ლ. გეგეჭკორისა.** 11. ირემი (თარგმანი) **ნინო გოგნიაშვილისა.** 12. ბაასი (ლექსი) **აკაკისა.** 13. სიმღერა (ლექსი) **ვაჟა-ფშაველასი.** 14. ურვა (ლექსი) **დ. თურდოსპირელისა.** 15. † ლ. ნ. ტოლსტოი. 16. სანიმუშო პროგრამები საქართველოს სახალხო სკოლებისათვის (დასასრული). 17. შინაური მიმოხილვა—თანამედროვე გიმნაზიები ჩვენში. **გმირი უდრეკელისა.** 18. აკაკი და მსოფლიო გოდების პოეზია—**ალ. ხახანაშვილისა.** 19. მოწაფეთა გასეირნება კრწანისში. 20. ბიბლიოგრაფია. ს. ქვარიანის ისტორია **ს. ცომაიასი.** 21 შინაარსი 1910 წლის „განათლებისა“ და განცხადებანი.

რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. **ბოცვაძე.**

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა, სპირიდონ მ. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა საკუთ. სახლი № 5.